გიზო ნიშნიანიძე

# გაქცეული კალამი

თბილისი
2010



სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფი — გულქან (ანი) ხიხაძე,
ნატო დავითაშვილი, ირინა შავლაძე, მზია ერისთავი
ტექნიკური რედაქტორი — ირაკლი ბელთაძე
წიგნი აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „ოაზისში"
დაიბეჭდა შპს „საარში"
მისამართი: თევდორე მღვდლის 57
E-mail:saari_ltd@yahoo.com
ISBN 978-99940-60-92-4
© გიზო ნიშნიანიძე

# წერილი ქუთათურებს!

## (ქალაქის თავებს, გულებს, თვალებს და ყურებს)

ქუთაისის იუმორისტული ფესტივალის კონტურები!

...სანამ ხარს რქაში ვნედებოდეთ, ცოტა შესავალი!

ზეპირსიტყვიერების იშვიათი ნიმუშების შეკრება-სისტემატიზაცია გადაუდებელი ეროვნული საქმეა.

„ყველას ვთხოვთ, რომ ვინც რითაც შეიძლოს, ამ დიდ საქმეში დახმარებას და შემწეობას ნუ მოგვაკლებს" — 1897 წელს თავის „კრებულში" მიმართა ერს აკაკიმ. „ცოდვაა მათი დაკარგვა. მიშველება უნდა, ჯერ კიდევ მოსახერხებელია მათი მოგროვება", — დაგვიბარა მან.

დიდი ენერგია შეალია ხალხურ საუნჯეს ერის მამამ, ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და შესწავლის ორგანიზატორმა, დიდმა ილიამ. იცოდნენ ამ საშვილიშვილო საქმის ფასი ერის შვილებმა და ქართული ფოლკლორისტიკის ყამირზე ღრმა კვალი გაავლეს: გრ. ბაგრატიონმა, პლ. იოსელიანმა, დ. ჩუბინაშვილმა, თ. ბატონიშვილმა, მ. ბროსემ, ი. ცისკარიშვილმა, რ. ერისთავმა, გ. ერისთავმა, ი. გოგებაშვილმა, პ. უმიკაშვილმა, თ. რაზიკაშვილმა, ალ. ყაზბეგმა, ალ. ხახანაშვილმა, ალ. ცაგარელმა, ლ. აღნიაშვილმა, ექვთ. თაყაიშვილმა და მათი ჯილაგისა და მოდგმის სხვა სახელოვანმა ერის შვილებმა.

ვინ იცის, ერთი მოხდენილი კაფიისათვის, რამდენი მთა-ბარი და რამდენი ხევ-ხუვი მუხლჩაუდგმელად უკეცია ვაჟა-ფშაველას; კოლხეთიდან, ჯერ კიდევ როდის, რა ზღაპარი, თქმულება, ლეგენდა თუ ანეკდოტი გაუზიდია ძველ ბერძენ ისტორიკოსს ჰეროდოტეს: ანდაზის, ფრთიანი სიტყვის ფიქსაციის ფაქტს ვანყდებით. უკვე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც.

დადიოდნენ ამ ქვეყანაზე აედები, ბარდები, სკალდები, მინეზინგერები, შპილმანები, სკომოროხები, მიმები, ჰისტრიონები, მუტრიბნი, მუშაითნი, აშუღები, მესტვირეები, კარის მეზღაპრენი, ხუმარები, ბერიკები და დაჰქონდათ ქვეყნად სიცილი, მოსწრებული სიტყვა, ფრთიანი ფრაზა და თაობიდან თაობას გადასცემდნენ ხალხური სიბრძნის მარგალიტებს — იუმორს, ფაბლიოს, ფაცეციასა თუ ანეკდოტს.

მშობლიურ ლიტერატურაში უკვე X საუკუნიდან გვხვდება ადაპტირებული ტექსტები. XIV საუკუნიდან კი ვანის ქვაბების წარწერებმა შემოგვინახეს ხალხური ჩანაწერები. XI-XII საუკუნიდან უკვე აქტიურად ჩაებნენ მარგალიტის — ხალხური სიბრძნის ძიებაში — ფოლკლორულ ლაშქრობაში.

რაც შეეხება ქართულ ხალხურ სატირასა და იუმორს, იგი ეროვნული ფოლკლორის ერთ-ერთი უმძლავრესი ნაკადია, რომელიც ნამუსიანად იხდიდა და იხდის თავის მამულიშვილურ, გნებავთ; საკაცობრიო ვალსაც კი, მისი შემოქმედი ხალხის ჭირისა და ლხინის გასაზიარებლად

და ცოდვილი დედამიწის გასაკეთილშობილებლად.

„მეფე, ხელმწიფე, იმპერატორი!... ეინ იცის, რამდენ პარადს
სარდლობდნენ,
ქვეყნიერების იყვნენ პატრონი, იუმორისა კი... არასოდეს!
ციხე-დარბაზი ლხინით ტკბებოდა, თეით ჩიტის რძესაც კი
არ ნატრობდნენ,
მაგრამ ეზოპე გამოჩნდებოდა და დიდებულნი პგავდნენ მათხოვრებს."

ასე უმღერა იუმორს ევგენი ევტუშენკომ.

უნდა ვაღიაროთ: ქართული იუმორი, საერთო-საკაცობრიო ხალხურ შემოქმედებასთან ერთად, კაცურად იხდის თავის პროფესიულ-ჟანრობრივ ვალს ერის წინაშე, ხალხი კი, რა დასამალია და, დღემდე მის ვალშია!

ქართველი ფოლკლორისტების ხელდასხმითა და სიცილის „კადრის" ჯარისკაცთა დახმარებით, სწორედ, ამ საშვილიშვილო ვალმა გაგვაბედინა და მოგვაკიდებინა ხელი ამ ეროვნულ საქმეზე და სიცილის საერთაშორისო დღეს — 1982 წლის 1 აპრილს საქართველოს ტელევიზიაში წამოვიწყეთ ციკლი „სიბრძნე სიცილისა", რაც გახლდათ კიდევ ერთი ცდა (თანამედროვე ტექნიკისა და კომუნიკაციის პირობებში მაინც), დავძლიოთ ის, რის გაკეთებასაც ჩვენი წინაპრები ამ ტექნიკური რევოლუციის გარეშეც, ასე ვთქვათ, — ცარიელი ენთუზიაზმითაც კი, შეძლებისდაგვარად ახერხებდნენ.

ვიდრე ამ კეთილშობილური ცდის ავ-კარგს ავწონიდეთ, მოვუხმობდეთ საზოგადოებრივ აზრს და სხვათა შენიშვნებსაც მოვისმენდეთ, აქვე გულახდილად უნდა ვთქვათ ის, რასაც სხვის დაუხმარებლადაც ვგრძნობთ: პირველი გადაცემა ნაჩქარევი გამოგვივიდა (აქედან გამომდინარე შედეგებით), რამაც ერთგვარი უკმარისობის გრძნობა გაგვიჩინა.

ციკლის თავფურცელში მეტი ლაპარაკი იყო სიცილზე, ვიდრე თვითონ სიცილი... სანყისი გადაცემისათვის ეს, იქნებ, ბუნებრივიც იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ სიტყვას, ამ ეტაპზე, განცხადების ფუნქცია უფრო ეკისრებოდა, ვიდრე გასართობ-სანახაობრივი...ისე კი, კაცმა რომ თქვას, არც ამ უკანასკნელის სიმცირე და მთლად უამისობა იყო... იყო სიცილიც, მაგრამ, შედარებით მცირე დოზით... აკლდა დახვეწა, გამოსახვის ორიგინალური ფორმების შერჩევა, ახლდა ტექნიკური წუნი და ყველა დიდი თუ პატარა საქმის წამოწყებისთვის დამახასიათებელი სიჩქარის თანმხლები სხვა ხარვეზები. და მაინც, ციკლის პირველმა გადაცემამ, ძირითადში, შეასრულა თავისი ფუნქცია. მან გასაღები მოარგო იმ ჯადოსნურ სკივრს, ყულაბას, რომელსაც ქართული ხალხური იუმორი ჰქვია. საბედნიეროდ, ეს არ არის მარტო ჩვენი აზრი, რასაც ადასტურებს ციკლთან დაკავშირებული სარედაქციო ფოსტაც.

ისღა დაგვრჩენია, გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც ამ ეროვნულ საქმეში თანადგომას გვიცხადებს და, რაც უფრო დასაფასებელია, ერთსულოვნად გვეხმარება. ამ გამოხმაურებებს (პოზიტიურსაც და ნეგატიურსაც) მხოლოდ ერთი ობიექტური ახსნა

---

*გურამ ბენაშვილი: „...ეშმაკეული ცთუნებებით შეპყრობილი დრტვინავს და ამაოდ „ნეტარებს", ლამის სრული სიბერწისადმი მიდრეკილი ქართველობა" („კალმასობა", 2002, №1).*

აქვს — კეთილი ადამიანების კეთილგანწყობა, ცოდნა, პასუხისმგებლობა, ეროვნული საქმისათვის თავდადება და სულგრძელობაც, იმის შეგნებით, რომ კარგ „გამარჯობას" — კარგი „გაგიმარჯოს" უნდა, „ერთი შემოკვრით ხე არ წაიქცევა" და ისიც, რომ „თოხნა ძნელია! ცოხნა ადვილი"... როგორც იტყვიან, „მთქმელსაც და გამგონებელსაც ღმერთი გწყალობდეს ყველასა", ასეთ საქმეში (და, მით უფრო, სიცილ-სიცილში), რასაც ასი ხელი უნდა და ერთი პირი.

დიახ, სარედაქციო ფოსტამ გაგვამხნევა, მაგრამ — „თუ ცეცხლში ერთი მუგუზალი ბოლავს, ცეცხლი არ აინთებაო". ერთი კი მართლაც ისე ხრჩოლავს, მის დამწერს გული რომ ეწვოდეს — წამკითხველს თვალი ასე არ აეწვებოდა!

ამ გადაცემის მისამართით მოსული დადებით-უარყოფითი შეფასებების ბალანსის მიხედვით ანგარიშია 30:1 ჩვენს, უფრო სწორად კი, საქმის სასარგებლოდ. და აი, ის ერთიც (თუმცა მას, ვითომ 5 კაცი აწერს ხელს).

„ამ წერილს ხუთი პიროვნება გწერთ"... თავიდანვე რიცხვით მოდის „შეტევაზე" ავტორი?!. და თქვენ წარმოიდგინეთ ამ ხუთი კაციდან არც ერთს არ ეყო კაცობა ბარათისთვის ხელი მოეწერა — თითქოს დიდ, სახელმწიფო საიდუმლოებას ამჟღავნებდა... ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ, გინდათ დაიჯეროთ ოპონენტის გულწრფელობა? არადა, თავის გულწრფელობაში თავადვე დაეჭვებულნი, კატეგორიულად მოითხოვენ: „ძალიან გთხოვთ, დაიჯეროთ ჩვენი გულწრფელობა, რამეთუ ჩვენ არანაკლებ შეგვტკივა გული ქართულ კულტურაზე, ვინემ სხვებს (?!), ოფიციალური პირი იქნება ის თუ სხვა ვინმე (?!) თქვენ ვალდებული ხართ, გაითვალისწინოთ ეს და, ამბიციის მაგივრად, სიფაქიზით გვიპასუხოთ."

იგივე თხოვნა გვექნება ჩვენც — როცა საქმეს და, მით უფრო. ასეთ ეროვნულ საქმეს შეფასებას ვაძლევთ, ყველას მეტი სიფაქიზე გვმართებს. ახალ წამოწყებას, როცა სიახლე ფეხს იდგამს, მხარში უნდა დგომა და არა კვანტის დადება! რაც შეეხება 1984 წლის 1 აპრილის გადაცემას, მოდით ყველამ იმედით შევხედოთ მას და რწმენით ვთქვათ — „რაც ამ დილამ ქმნასო — ხვალე დილამ სცნასო".

ხვალეს კი, ამ მხრივ, კარგი პირი უჩანს, ბოლო ათწლეულში საქართველოში ბევრ ჭეშმარიტ ეროვნულ საქმეს ჩაეყარა საფუძველი და ტრადიციად იქცა... დღეს დღის წესრიგში დგას ახლა სახალხო ზეიმიც — „ქუთაისობა" — რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის, საქართველოს

*კანონპროექტში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლოა, აირჩიოს და ატაროს ნებისმიერი გვარი, სახელი და მამის სახელი. თუკი განმცხადებელი მომართავს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს გვარის, სახელის, მამის სახელის გამოსაცვლელად, მას არანაირი პრობლემა არ ექნება, გარდა ადმინისტრაციული ხარჯების გადახდისა.*

*თუმცა ნიხრი ჯერ დაწესებული არ არის. ამბობენ, გაცილებით ძვირი იქნება თავადური გვარები.*

*ამას ჯერ კიდევ რუსთაველი ამბობდა: „ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა" — გააჩნია გვარსა და ზრდილობას.*

*დღევანდელი ზრდილობის ფასი კაპიკია და გვარიშვილობაც იმას დაემსგავსა, რომ გახვრეტილი მაურიც აღარ ღირს.*

*„კვირის პალიტრა" 30.05-5.06.2005.*

*ზვიად ჩაკვეცაძე — „ქალაქი მოკვდა..."*

*სიცოცხლე რომ ძვირდება, სიკვდილი იაფდება. წინათ, კაცის სიკვდილს*

იუმორის სატახტო ქალაქად კურთხევა!

შესავალი, რომელიც ამ წერილს უძღვის, ეფიქრობთ, ისტორიული ასპექტითაც და დღევანდელობის თვალსაზრისითაც, საკმაოდ დამაჯერებლად გამოხატავს ამ ახალი სახალხო ტრადიციის შექმნის უაღრესად დიდ მიზანსა და აზრს, რომელსაც სერიოზული პარტიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა და სახელმწიფოებრივი იერიც ეძლევა. ამ საშვილთაშვილო ეროვნულ საქმეში ჭეშმარიტად მისასალმებელია ქუთაისელთა დიდი მონადინება და ახალი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის თავდადებული ყველა ადამიანის რუდუნება. ადრე იყვნენ ადამიანები, ვისაც სიცილი არასერიოზულ და მავნე საქმედაც კი მიაჩნდათ. მათ ჰყავდათ თავისი წინაპრები, რომლებმაც რევოლუციის შემდეგ სატირასა და იუმორს — როგორც ჟანრს, ტაბუ დაადეს — ბოიკოტი გამოუცხადეს და ე.წ. „პროსკრიფციონულ" — აკრძალვათა სიაში შეიტანეს: რამეთუ რევოლუციამდელმა სიცილმა თავისი საქმე უკვე გააკეთა და, ანი, ჩვენთან რა ხელი აქვს, რაღაში გვჭირდებაო! ილფი და პეტროვი რომ არა, სიცილს წირვა ჰქონდა გამოყვანილი. მაგრამ სიცილის ფენომენისადმი მკრეხელურმა დამოკიდებულებამ უფრო ადრე ნაიღო ჭირი, ვიდრე სიცილის — სახალხო გმირის შემდგომმა სასახელო ისტორიამ. სიცილი, როგორც გორკიმ ბრძანა, „ყველა სიბინძურეს კლავს" და მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი თანამედროვეობა ახლა სიცილზე სულ სხვა აზრისაა.

კაცობრიობა გადარჩა იმიტომ, რომ იცინოდაო. სრულიად სერიოზულად აცხადებენ ისინი, ვისაც ამქვეყნად ჭკუა მოეკითხებათ.

კლასიკური და უმაღლესი კლასობრივი შეფასება მისცა სიცილს კომუნისტური მსოფლმხედველობის ფუძემდებელმა კარლ მარქსმა და ეს არის ამოსავალი წერტილი, რომელიც გვირგვინად ადგას ამ ჟანრს!

ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის" შესავალში კარლ მარქსი შავით თეთრზე და ხაზგასმით წერს, რომ: „ისტორია საფუძვლიანია და მრავალ ფაზას გადის, როდესაც მას ძველი ფორმა სამარეში მიაქვს. მსოფლიო-ისტორიული ფორმის უკანასკნელი ფაზა კომედიაა (სიცილია). საბერძნეთის ღმერთები, რომლებიც ერთხელ უკვე ტრაგიკულად, სასიკვდილოდ დაიჭრნენ ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეოსში", კიდევ ერთხელ კომიკურად (სიცილით) უნდა დახოცილიყვნენ ლუკიანეს „საუბრებში". რატომ მიდის ასე ისტორია? რომ კაცობრიობა თავის წარსულს მხიარულად განშორდეს".

აი, რა არის სიცილი. აი, რა მნიშვნელობა აქვს მას! აი, რატომ ეშინოდათ სიცილისა, ასე ძრწოლით გაურბოდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და, სამაგიეროდ, ასე აფასებდა და აფასებს დღესაც მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, ჩვენი ხალხი, რომელსაც იგი მის მეკავშირედ მიაჩნია და ბაღდადელი მაიაკოვსკის ანდერძისამებრ („სიცილი" ყველაზე ძლიერი და საყვარელი სახეობის იარაღია"!), უნარიანად იყენებს მას საერთო-სახალხო საქმისათვის საბრძოლველად.

„სიცილი ხალხის ქომაგი არის, მას მშობლად მხოლოდ ხალხი უცვნია, საგირა საფლავს უთხრიდა ცარიზმს და მხარში ედგა რევოლუციას"! ...„სხ-

---

*„...აღმოივსეთ წყალი მხიარულებითა წყაროითაგან ცხოვრებისაითა" (ესაია. XII,3).*

*„...ჩემი სიხარული თქვენში დარჩეს, და სრულ იყოს თქვენი სიხარული" (იოანე, XV,2).*

ვამ რაც უნდა ისა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით ვიმხნევებ ჩემს თავსა — მოყვარეს პირში უძრახე... სადა ხარ, ამ გონიერი სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ. ხალხში ხარ, უხილავო და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან". — ქედი მოიხარა ამ სახალხო გმირის წინაშე ერის მამამ — დიდმა ილიამ.

საბჭოთა სატირის ფლაგმანის — „კროკოდილის" სეხნია „ნიანგის" ძმადნაფიცი, მოლდავეთის სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „კიპერუში" წერს: ჩვენ გვჯერა, რომ დადგება დრო, როცა, ბომბების ნაცვლად, სიცილის ძალას გამოცდიან. მაშინ ძლიერად მოხარხარე ქვეყნები დაეხმარებიან უფრო სუსტად მომღიმარ ქვეყნებს და ხუროთმოძღვრები აუცილებლად ააგებენ სიცილის სატახტო ქალაქს...

სატახტო ქალაქის აგებამდე ჯერ, ალბათ, ბევრი წყალი ჩაივლის, მაგრამ იუმორით გამორჩეული ქალაქები კი უკვე გაჩნდნენ მსოფლიოს რუკაზე და, მათ შორის, ერთი უბრალო ქალაქიდან, სწორედ, სიცილის პოპულარობით გავიდა დიდ საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი მოძმე — ბულგარეთის, ერთდროს სრულიად შეუმჩნეველი, პატარა ქალაქი გაბროვო, სადაც ერთ-ერთ გაბროვულ ფესტივალზე, თქვენს მონა-მორჩილს, როგორც „ნიანგის" რედაქტორის მოადგილეს, მომიხდა გამოსვლა და სახალხოდ განცხადება, რომ არის საქართველოში ერთი ქალაქი... (არა ერთი... მრავალი, მაგრამ ერთი განსაკუთრებით!) რომელიც სიცილით, სიყვარულით, სიკეთით, ნრეგადასული ხელგაშლილობითა და მხარჯველობით ჯიბეში ჩაისვამს წუწურაქობაზე ამხედრებულ გაბროვულ ხუმრობებს, თავის სახელგანთქმული სახლითა თუ სასახლეებით.

სიყვარულში, სიცილში, შრომასა და ძმობაში ჯიბრი და შეჯიბრი, მოგეცათ ლხენა, სწორედ რომ კარგი საქმეა. უყვარს სიცილს კაფიაობა და კენწლაობა, რადგან იგი ყველა ჭრილობის მალამოა და ყველაზე უებარი ანტისეპტიკური საშუალება. და აი, დადგა დიდი ხნის ნანატრი დღეც. მოვიდა ქუთაისის ჯერიც, როცა ის, ფაქტიურად, საქართველოს იუმორის სატახტო ქალაქად უნდა ვაკურთხოთ.

როგორ მესახება მე ეს ზეიმი!

რამდენიმე სიტყვა მის ორგანიზაციაზე!

უპირველეს ყოვლისა, ეს ღონისძიება უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოებრივად და მიეცეს საქართველოს მთავრობის დადგენილების სახე, რომელშიც სასურველია გათვალისწინებულ იქნას

*რომ გაიგებდა კაცი... ლამის საფლავში მიყვებოდა — ცენცერაძის მალაზონივით გაუთავებელი ვლოვა ვიცოდით. ახლა რა ვიცინოთ, რამდენი ვიცინოთ, აღარ ვიცით. ადამიანები კი არა, უკვე ქალაქები კვდებიან. გაშრა ცრემლი. ძუკნურელი რეზო გაბრიაძევ, რა ხდება ჩვენს „მერეკილებში" — ოკრიბაში? ამ ჩვენს კორესპონდენტს ზეიადი კი ჰქვია, მაგრამ ნამდვილად არ აზვიადებს. მოვუსმინოთ!*

*— როგორც გავიგე, ტყიბულში რამდენიმე კაცი შიმშილისგან დაღუპულა.*

*— მეილო, მე რომ მიყურებ, დღეს ლუკმაც არ გადამხვლია ყელში. ხალხი შიმშილისგან ნელ-ნელა იფიტება და იღუპება. კაცი რომ გარდაიცვლება, ხალხს იმედი აქვს, ქელეხზე ერთ-ორ ლუკმას არ დაგვამადლიან ჭირისუფლები.*

*მკვდართა ქალაქი. აბა, რა — ერთი კილა ღვინით და პაწაწა პურმარილით ორო-თასიან მინას იყიდი. ამ დროს კი, ახალი გამგებელი 1200-კაციან სუფრას შლის. რატომაც არ იქნება. მამამისი ტყ-*

ყველა მომენტი... მათ შორის, პირველი რიგის — საქართველოს სატირისა და იუმორის სახლის ფუნდამენტის ჩაყრა. ოპერატიულად და მასშტაბურად გაშუქდეს ტელევიზიაში, პრესაში (მოსამზადებელი პერიოდიდან ზეიმის ფინალამდე) ღონისძიებათა ნუსხა.

სცენარში გასათვალისწინებელია გაბროვოს გამოცდილება. მაგრამ, ქუთაისურ ზეიმს, მაინც, სრულიად ორიგინალური და საკუთარი სახე უნდა ექნეს, რაც, შევეცდები, ზოგად შტრიხებში წარმოვიდგინო და წარმოგიდგინოთ:

1. საქტელერადიოში, განცხადების გასაკეთებლად, გამოვა მთავარი მასპინძლის — ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენელი — თავკაცი! მასთან ერთად იქნებიან სცენარისტიცა და რეჟისორიც, რომლებიც აუწყებენ რესპუბლიკას ამ ღონისძიების შესახებ. ეს იქნება საორგანიზაციო-ინფორმაციული ხასიათის გადაცემა, რომელიც ზეიმურად გაიჟღერებს და, ამასთან, სრულიად კონკრეტულ ამოცანებს დაუსახავს შესაბამის რესპუბლიკურ ორგანიზაციებს, მახვილსიტყვაობისა და სატირული გრაფიკის — ანუ სიცილის ოსტატებს.

შემდგომში, ტელევიზიამ, ზომიერი პერიოდულობით, უნდა გააშუქოს სიცილის ფესტივალის საორგანიზაციო საქმიანობა. ვთქვათ, როგორ ემზადება თბილისი, კახეთი, ფშავი, ხევსურეთი, გურია, სამეგრელო და ა.შ. ამ ღონისძიებაზე (თავისი ქალაქისა თუ სოფლის წარსადგენად) — ვინ ვის და რით ხელდამშვენებულს აგზავნის ზეიმზე (მთლიანად არ გავხსნით ფრჩხილებს, მაგრამ საჭირო დოზით, უკვე, შევამზადებთ ამ სავარდ-სანავარდო და სამაისო ქუთაისის ზეიმს). არ იქნება ურიგო, ქუთაისზე სიმღერების შესანიშნავ ავტორს — ნუნუ დუღაშვილს მოვუწყოთ სპეციალური გადაცემა, მანამ კი, ახლავე, ვთხოვოთ მას, დაწეროს რაიმე საამზეიმო ნაწარმოები, იქვე ვაჩვენოთ, როგორ ამზადებს იგი გუნდს, კაპელას ჩემს სიტყვებზე უკვე დაწერილი მისი „სიცილის ჰიმნის" შესასრულებლად.

2. უმოკლეს დროში ვაპირებ საქტელერადიოში წარმოვადგინო სცენარი სრულმეტრაჟიანი ტელეფილმისათვის, სათაურით „ჭიპილიას მარში" („ქუთაისო, ქუთაისო"...), რომლის მოსამზადებელ სამუშაოში ჩართულია ქუთაისის ფილარმონიის დირექტორი დევის ახვლედიანი და ჟურნალისტი ბიჭიკო პატარიძე. ვეცდებით, ტელეფილმი სწორედ იმ ზეიმს დავამთხვიოთ. სცენარი აგებული იქნება ქუთაისელების ხალხურ იუმორზე. მასში მონაწილეობას მიიღებენ კონკრეტული ადამიანები, რომლებიც დღევანდელ ქუთათურ კოლორიტს ჰქმნიან. ეს იქნება მასშტაბური, შეძლებისდაგვარად, ყოვლის მომცველი, იდეურ-პოლიტიკურად გამართული, დახვეწილი მასალა, რომელიც კარგ საშუალებას მოგვცემს ამ ღონისძიების ამსახველი და შესაფერი მხატვრულ-დოკუმენტური ტელეფილმის შესაქმნელად. სცენარის პირველადი ვარიანტი მოწონებულია საქტელერადიოკომიტეტისა და ქუთაისის პარტიულ-საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ (კოლექტიური კითხვის დროს), ქუთათურების მხრიდან ესწრებოდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. კაკაურიძე, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო კო-

---

*ბიძინა აკალიშვილი: შევარცხვინე ის თბილისელი, რომლის ქალაქელობა „თბილისელის" „ზნაჩოკით" რომ გახდება საცნობი!*

*შალვა ცვაიგი: ნუთუ, ჩემს ქვეყანაში მხოლოდ მაიმუნები უნდა ცხოვრობდნენ ადამიანურად?!*

მიტეტის ალმასკომის თავმჯდომარე გ. აბზიანიძე და ერთი პასუხისმგებელი მუშაკი, რომლის გვარი, სამწუხაროდ, ალარ მახსოვს.

3. ქუთაისის იუმორისტული ფესტივალის ღონისძიებების პროექტიდან კარგ შთაბეჭდილებას ახდენს შემდეგი პროექტები:

ა) კომედიური ფილმების კინოფესტივალი — „ქუთაისი-85". მაგრამ, აქვე, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი არ უნდა შემოიფარგლოს მარტო ეროვნული მასალით. საქართველოს სსრ კინოფიკაციის კომიტეტს უნდა დაევალოს, თავი მოუყაროს საკავშირო თუ საერთაშორისო ეკრანის საქვეყნოდ აღიარებულ კომედიურ ფილმებს („ჩაპლინი", „ვოლგა-ვოლგა", „მხიარული ბიჭები", „წმინდა იორგენის დღესასწაული", „მისტერ პიტკინი" (მით უფრო, რომ ეს მეორე მსოფლიო ომის თემაზეა, წელს კი სამამულო ომის 40 წლისთავია), ინგლისური — „სიცილის სამოთხეში", იტალიური — „ნეაპოლი მილიონერების ქალაქია", ყორყოლიანის, კვანტალიანის, იპოლიტე ხვიჩიას ფილმები, ფიუნესის სურათები და სხვა).

კარგი იქნება ე.წ. „კინოაჯაფსანდალიც", ჩვენს ზეიმთან დაკავშირებულ, ახალი ტექსტების დადებით. მისი მომზადება ყველაზე უფრო, ალბათ, ხელეწიფება „საქართველოს ფილმს", ხოლო ტექსტების შედგენაში გავითვალისწინოთ, როგორც ქუთაისელი ავტორები, ისე ქართლოს კასრაძე, გივი ბერიკაშვილი და მსგავსი „ძმანი მათნი".

ბ) კარგი იქნება კომედიური სპექტაკლების ქუთაისში ჩატანა და შემდეგ მათი პერსონაჟებით (დასკვნით ღონისძიებებზე) კოსტუმირებული ბალმასკარადის მოწყობა. ასევე, ქუთაისის ოპერაში მოწვეული უნდა იქნეს „ქეთო და კოტეს" და მუსკომედიის ძველი თუ ახალი თბილისური პერსონაჟები, რომლებიც სათანადო ანტურაჟით, გარკვეულ კოლორიტს შექმნიან ქუთაისობის ზეიმზე.

დროთა კავშირისა და, საერთოდ, ისტორიის თვალსაზრისით, აქ განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს თენგიზ ჩანტლაძის მინიატურების თეატრმა: ჩვენი ქუთაისელი სისხლის და ხორცის — რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრმა, რომელსაც შეუძლია, ერთ-ორ ძველ ფაიტონზე დაატიოს მთელი თავისი უძრავ-მოძრავი თეატრი და თავისი პოპულარული თოჯინებით იაროს ძველ ქუთაისურ ეზოებში, თავშეყრის ადგილებში, უჩვენოს თავისი დიდი ხელოვნება. ეს იქნება თვალწარმტაცი სანახაობა და მეხივით გავარდება მთელ ქალაქში. ნამდვილად მასობრივს, სახალხოს გახდის ჩაფიქრებულ ზეიმს. ასეთი „ბალაგანის" ტრადიცია ჩვენში არსებობდა.

*იბულის ცენტრალური ბაზრის ერთპიროვნული პატრონია, ფულს ბლომად მოულობს. ყველა პრესტიჟულ თანამდებობაზე რაიონის ხელმძღვანელებს აუქციონი აქვთ გამოცხადებული...*

*სენატორმა ჰილარი კ ლ ი ნ ტ ო ნ მ ა საქართველოში ესტარი აფრინა: ფრთხილად იყავით, ჩუღურეთის სასამართლოში რელიგიურ უმცირესობათა უფლებები ირღვევა... ასე ამბობენ სუპერდემოკრატი „ენჯეოშნიკები" თავის ქვეყანას, რომ მერე, ოკეანის გაღმიდან, ნასუფრალ გრანტს გამოჰკრან ხელი.*

*სოროსმა, თავის ინსტრუქციებში შეილობილ ორგანიზაციას ერთ-ერთ მცნებად ცილისწამება და მ ა ბ ე ზ ღ ა რ ო ბ ა დაუსახა: „მთავარია, ბრალი დასდოთ, რომც გამართლდნენ, არაფერია! რადგან, ვინც თავს იმართლებს, ის უკვე ნახევრად დამნაშავეა". 50-იანელთა სექტა ცრუ სწავლების მიმდევარია — უარყოფენ ქრისტეს ეკლესიას, მათ ღოც-*

...ამასთან, თუ ამდენ სიკეთესაც გვიზამს ჩვენი ძუკნურელი რეზო გაბრიაძე, შეიძლება შეიქმნას თბილისელი „ხეჩოს" ქუთაისური პროტოტიპი, რომელიც ამ პერსონაჟისა და თავად ვანო ფანტიაშვილის ერთობ პოპულარული დიალოგისამებრ: „მაინც, რად გიყვარს ასე ეს რვაჯერ დაქცეული თბილისი?"... იტყვის — „რად უყვარს ასე ქუთაისი — ეს სამოთხის ტურფა ბაღი"... ან, ამ დღესთან უფრო დაკავშირებულ სხვა რამე-რუმეს.

გ) გაზეთმა „ინდუსტრიულმა ქუთაისმა", გაზეთ „თბილისთან" და საქართველოს ძირითადი რეგიონების ზოგიერთ სხვა ორგანოსთან ერთად (როგორც კოლექტიური კორესპოდენტებისაგან), გზადაგზა უნდა ბეჭდოს მასალები და ზეიმის ბოლოს გამოუშვას სპეციალური ნომერი.

თავისი პროფილით — ამ ღონისძიების ერთ-ერთი წარმმართველი და მეთაური, ბუნებრივია, ჟურნალი „ნიანგი" იქნება, რომელიც, ალბათ, სპეციალურ გაერთიანებულ ნომერს მიუძღვნის ქუთაისობას, ხოლო დასკვნითი საღამოსთვის წარმოადგენს წლების განმავლობაში წამოღვანარი ქართული სატირისა და იუმორის „ზეპირ ჟურნალს", მანამ კი, გზადაგზა ასახავს ზეიმისათვის მზადების პროცესს.

დ) პროექტში გათვალისწინებულია საკავშირო „ლიტერატურნაია გაზეტას" მე-16 გვერდის ავტორთა მოწვევაც, ეს, სასურველია, მაგრამ მთლად რეალურად არ მეჩვენება. გთავაზობთ სხვა ვარიანტს — მაისში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს დაგეგმილი აქვს ჟურნალ „კროკოდილის" რედაქტორისა და წამყვანი საბჭოთა სატირიკოს-იუმორისტების მოწვევა (მკითხველთა კონფერენციების ჩასატარებლად). უფრო უპრიანია, საბჭოთა სატირულ-იუმორისტული ფლაგმანის ჩამოსვლა დავამთხვიოთ ქუთაისურ ზეიმს და, ასე ვთქვათ, „კროკოდილი", მტკვრიდან რიონში, თავით გადაეუშვათ! ოღონდ, ამას, ახლავე უნდა გადანყვეტა, რომ ისინიც შეემზადონ საამისოდ, პერიოდულად ბეჭდონ ფესტივალის სამზადისის ამსახველი მასალები.

ე) აუცილებელია ქართველი იუმორისტი მწერლების მიწვევა. და ერთიც — კიდევ უფრო სასურველია, მოწვეულ იქნას ოდესიდან რაიკინის ტექსტების ავტორი მიშა ჟვანეცკი, რომელიც, აშკარად, „დაგვამშვენებს". თუ ეს მისაღებია, საჭიროა, მათ ახლავე დავუკავშირდეთ. წინასწარ ვაცნობოთ მოწვევის მიზანი და ვთხოვოთ, მისთვის ჩვეული ოსტატობით მოამზადოს სპეციალური გამოსვლა.

ვ) მე, პირადად, ქალაქში მრავალი დროებითი სცენებისა და პოდიუმების მოწყობა ზედმეტად მიმაჩნია. ნანვალები ყველაფერი ნვალებადვე აღიქმება აღმქმელისაგან. ამ „გრანდიოზული" (როგორც ქუთაისური გაქანებით ჩაფიქრებული) ღონისძიების მარშრუტი მესახება სამ ძირითად პუნქტში — თეატრის წინა მოედანზე, ბაღის კიდეზე (სახალხო სეირნობისა და ატრაქციონებისათვის), სტადიონზე — მასობრივი სანახაობისათვის და თეატრი — დასკვნითი საღამოსათვის.

ამ სანახაობების ქვემოთ, შეძლებისდაგვარად, დაწვრილებით, მაგრამ ჯერჯერობით, მაინც, ზოგად შტრიხებში წარმოვიდგენ და წარმოგიდგენთ!

ზ) სიმონეთში გასვლა (თეატრონი ღია ცის ქვეშ, კლდიაშვილის გმირე-

---

*ჯანსუღ კეკელია – გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონია. რადგან იგი მდებარეობს კავკასიონის ყელზე.*

*P.S. კიდეც იმიტომ ვადგავართ ყელზე კავკასიას!*

ბი) ერთობ ეფექტური იქნება. ასევე აუცილებელია, ქუთაისის თეატრში თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება სატირისა და იუმორის საკითხებზე. არის წინადადება, ეს კონფერენცია გაიმართოს პედინსტიტუტში (როგორც მეცნიერთათვის, ისე სტუდენტებისათვის... ყველა მსურველისათვის).

თ) ფესტივალს აუცილებლად უნდა ექნეს ემბლემა, რაც ხელენიფებათ, შექმნან მხატვარ-კარიკატურისტებმა ჯემალ ლოლუამ ან ნოდარ მალაზონიამ. მათვე შეუძლიათ, თავი დაადგან ტრანსპარანტებს და სხვა მხატვრულ მასალას, რომელიც საჭიროა ფესტივალის გაფორმებისათვის. -

აქვე აღვნიშნოთ! მოსანყობია მხატვარ-კარიკატურისტთა ნამუშევრების, კრიტიკულ-მამხილებელი და კურიოზულ ფოტო-ილუსტრაციების, უხარისხო ნანარმისა და რეკლამაციების გამოფენა. დაეუმატებ ერთსაც — საჭიროა (და ერთობ ორიგინალურიც), მოენყოს ქალაქის ნარმოება-დანესებულებების, სავაჭრო ობიექტების, საჩივრის ნიგნების გამოფენა (განსაკუთრებული ჩანანერების ილუსტრირება). შესაძლოა და უფრო მოსალოდნელიც, რომ საჩივრის ნიგნები სულ სუფთა იყოს (!) და უფრო მეტიც — ქებით აჭრელებული, მაგრამ ესეც ხომ კურიოზია. ასე, რომ საჩივრის ნიგნებიდან კარგ საკბილოს უნდა ველოდეთ.

ი) ქუთაისური ბაზარი და ბაზრობა: ტელეჩანანერი დიალოგები სტუმრებსა და მასპინძლებს შორის; სუვენირების გაყიდვა; ბაზარში ერთ-ერთი ასეთი ტრანსპარანტი — იოსებ ნონეშვილის ლექსიდან „ნუ იყიდი, ილონდ გემო გაუსინჯე, ბატონო!" (ნაღდი იმერულია!)

კ) იუმორისტული პოეზიის, პროზის და სიმღერის კონკურსი (გადაცემები რადიოში). ჩამოვთვლი ზოგიერთ სიმღერას: „უბედურმა ჩემმა ქმარმა, საღამომდე ყანა ფოცხა, საღამოზე რომ მოვიდა, ერთი-ორი ძლივს მაკოცა..."; „მასვი ერთი პაპიროსი"; „უბედურო აფრასიონ, როგორ უძლებ მატრონასო"; კახური — „ქუდი გვერდზე დაგიხურავს, ამპარტავანსა ჰგევხარო!"; ძაგნიძე-ჩხიკვაძე; სულხან-საბას მოტივზე შექმნილი გომარ სიხარულიძის მუსიკალური კომპოზიცია — „სიბრძნე-სიცრუისა"; ახლახანს გამოსული მულტფილმის „სოფლის შენებას რა უნდა?" სიმღერა და ა.შ.

ლ) სასურველია, მოვინვიოთ ქალაქ გაბროვოს მერი, სატირის და იუმორის სახლის დირექტორი და გაბროვის ერთი ისეთი ემბლემა-პერსონაჟი, რომელიც მხატვრულად ნარმოგვიდგენს ბულგარული იუმორის ქალაქს. ამ ზეიმზე უნდა გაფორმდეს გაბროვო-ქუთაისის დაძმობილებისა და შეჯიბრის ხელშეკ-

*ვა-ექსტაზზე თან ხდება იატაკზე ხოხვა, გოდება, ყმუილი, კანკალი.*

*„უპატრონო ეკლესიას ეშმაკები შეესიაო", ნათქვამის და ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ რა კომფორტულად გრძნობენ თავს ეს უპატრონოები ახლა „პატრონების" ხელში? ფუი, ეშმაკს (თუ მარცხი ფეხი ეყოფა ეშმაკებს).*

*ასტროლოგ მიხეილ ცაგარელის პროგნოზით, თურმე, ასტროლოგიურად, საქართველო ყველაზე მეტად სომხეთს ვერ ეწყობა (ვითომ სხვაზე მზე და მთვარე ამოსდიოდეს). ალბათ, ღმერთმა ჩვენი მეზობლობა იმიტომ ინება, რომ ერთმანეთით ერთმანეთი გამოვცადოთ!*

*ქოთანს საიდანაც გინდა, ყურს იქედან მოაბამ.*

*იგორ გიორგაძის გასამცუყუნებლად, თურმე, ნებისმიერი საბაბი არსებობს. ერთმა, პირველი ბრალდება მოუხსნა და მეორე აკიდა: უშიშროების ყოფილ შეფს იგი სახელმწიფოს უთაურ პე-*

რულება (ხელმონერის ცერემონიალი, ცხადია კომიკურ სტილში, გროტესკში).

მ) აუცილებელია, მოვინვიოთ ქუთაისელი მაყვალა ქასრაშვილი, ზურაბ სოტკილავა, ნანი ბრეგვაძე, ვახტანგ კიკაბიძე, ზურაბ ანჯაფარიძე, რამაზ ჩხიკვაძე, ჯანსულ კახიძე, პაატა ბურჭულაძე, თეიმურაზ ჩირგაძე, ბიძინა მახარაძე (ახალი ტალანტი-იმიტატორი, რომელსაც ნინასნარ უნდა შევუთანხმდეთ, რომ მსოფლიო კომიკოსების სახელით მიულოცოს ქუთაისს — საქართველოს იუმორის სატახტო ქალაქად გამოცხადება). და ეს, იქნებ კიდევ... ბევრი არანაკლებ საჭირო კაცი, რომელიც მე გამომრჩა და თქვენ გაგახსენდებათ, რაც შექმნის იუმორის ზეიმის შესანიშნავ განნყობასა და სიტუაციას.

ნ) ბაღის კიდეზე სკამებს გაუკეთდეს ნარნერები: „აკაკის სკამი", „სერგია ერისთავის სკამი", „გალაქტიონის სკამი", პეტრე ჭაბუკიანის სკამი, და დანარჩენი, ვისაც ეკუთვნის ასეთი „საკარცხულები"!.. უბრალო ქუთაისელ დინოზავრებსა თუ ღვინოზავრებს, რომლებმაც, იშვიათი მახვილსიტყვაობით, ქუთაისის კოლორიტის სახელი დაიმკვიდრეს ქალაქში (მაგ. სოსო ხარაბაძესა და სხვათა!)

ო) საქართველოს ტელევიზიითა და რადიოთი გამოცხადდეს კონკურსი „ქუთაისის ზეიმზე — ყველგან და ყველაფერში, სანიმუშო ნესრიგი!" რომლის სახალხო კონტროლი იქნება... სიცილი! ამას, შეიძლება, მივაყოლოთ განცხადება, რომ ამ დღეებს ვაცხადებთ სანიმუშო ნესრიგის ჯერ კვირეულად, მერე ერთნლიურად და თუ მოგვენონება, მერე — ყოველნლიურად! რაში გამოიხატება ეს კონკურსი: ყველგან და ყველაფერში — მაღაზიაში, რესტორანში, სასტუმროში, ნარმოება-დანესებულებაში არ უნდა იყოს ნესრიგის დარღვევის „არც ერთი" შემთხვევა; ყველას — დიდსა თუ პატარას, სულ ია და ვარდი ეფინოს სახეზე, ხურდის დაბრუნება ხდებოდეს გინება-ხურდის მოყოლების გარეშე; არ უნდა იყოს სიტყვის შებრუნება, ან, თუ იქნება, უფრო უკეთესი ზრდილობის ფარგლებში... მოკლედ, ზუსტად ისეთი, როგორიც ჩვენთვისაც და სხვისთვისაც გვინატრია. ...რა მოხდა, იქნება ერთი კვირა მაინც გაუძლოს კაცმა ასეთ ნესრიგს და მერე გემოს რომ გაუფცქვნით და მოგვენონება, ქე ვიცხოვროთ ასე ადამიანურად. მაგრამ, თუკი ამ ერთ კვირასაც ვერ გაუძლო ვინმემ, დავსაჯოთ სასჯელის უმაღლესი ზომით... სიცილით! გამოვაჭენოთ ხალხში! ასეთი ცნობების შეგროვება არ იქნება დიდი პრობლემა.

პ) უპრიანია თამადების კონკურსის მონყობაც! გავხსნათ თამადობის კურსები, გამოვაქვეყნოთ სავალდებულო სადღეგრძელოების სია და ინსტრუქცია: სამშობლო, მშვიდობა, მშობლები, შვილები, დედმამიშვილები, ხელისუფლება, თავისუფლება და ა.შ.

ჟ) გაბროვოს ჩამოუდის მდინარე, სადაც სატირისა და იუმორის ქალაქმა ძეგლი დაუდგა მისი საფუძვლის ჩამყრელს, სახალხო გმირ — რაჩოს. ტრადიციული, გაბროვული ყაირათიანობითა და მახვილგონიერებით ეს ძეგლი დგას ნყალში. რატომ, არ იკითხავთ? იმიტომ, რომ მინის ნაკვეთის ეკონომიას ენევიან!

ნაციონალური სიცილის ჩვენს ქართველ დიდოსტატს, განზოგადოებულ პერსონაჟს, ჩვენც უნდა დავუდგათ ძეგლი და სად და როგორ?.. ეს ისე უნდა გადავნყვიტოთ, რომ აქ გაბროველებს, ეკონომიკის თვალსაზრისითაც, „გადავუჯოკროთ..." არც ადგილი დაგვეჭირდეს ძეგლისათვის, არც ქვა, არც რკინა და არც ბეტონი. დიახ, ჩვენ ასე ჩავუყრით

საფუძველს ძეგლს ქუთაისის ფესტივალზე: ბაღის კიდეზე დავაყენებთ... ცოცხალ კაცს — სიცილის რომელიმე ცნობილ დიდოსტატს (ისედაც, ყოველთვის დგანან ბაღის კიდეში ცნობილი კოლორიტული ადამიანები). ასეთ პერსონაჟად, ვთქვათ, გამოდგება ნინა ლონისძიებების კონკურსში გამარჯვებული. დადგება ბაღის კიდესთან ისე, როგორც ჩვეულებრივ დგებიან ხოლმე, დაელაპარაკება ხალხს, ნაცნობებს, უცნობებს, იცინებს, გააცინებს და საღამოს... ქე ნავა სახლში. შესაძლოა, ეს მან თვითონ ვერ შეძლოს, მაგრამ აქ შეიძლება სიცილის დიდოსტატი კაცის ნარმოდგენის შერჩევა, რომელიც ექსკურსიამძღოლივით მიუშვერს ხელს „ცოცხალ ძეგლს" და მოუყვება ხალხს მის სასაცილო ამბებს. ეს შეიძლება იყოს „ძეგლი" ერთი კაცისა ან მთელი ჯგუფის (ჯგუფური კომპოზიცია). უფრო ბუნებრივია, რომ ერთად ყოფნით მათ მეტი გაქანება მიეცეთ. ასე, ყოველწლიურად, შეიძლება ახალი პერსონაჟების ნარმოჩენა, სანამ ქართულ იუმორს ნამდვილ სახალხო ძეგლს დაეუდგამდეთ (რაღაც ნაცარქექიას, ბერიკას, ოთარიკას, ლევარსი როხროხაძისა და დღევანდელი კოლორიტი ოსტატების ნაჯვარს).

აქვე, მინდა შეგახსენოთ! რამდენადაც ვიცი, სიცილის დიდოსტატ ხალხურ პერსონაჟს, პირველად, იტალიაში დაუდგეს ძეგლი. ეს იყო უბრალო იტალიელი ბიჭი, სახელად პასკვინო (მერე ამ სახელს მიეცა სხვა იერი და პასკვინო — „პასკვილად" გადაიქცა!). ეს ბიჭი მთელს იტალიას უყვარდა თავისი მართალი და მოსნრებული სიტყვისათვის, რითაც ის სიმახინჯეს როზგავდა. ჰოდა, სიცილისა და სიცილის ფასის მცოდნე იტალიელებმაც აიღეს და ძეგლი დაუდგეს. ამ ძეგლთან მთელი იტალია აივლ-ჩაივლიდა, თავის სათქმელს, მხიარულ ამბავს ნერილობით ტოვებდა, სამაგიეროდ, რაც აქ ხედებოდა, იმას კითხულობდა, გულიანად იცინოდა და სიცილით სულის განმენდასთან ერთად... ალმერთებდა ამ გაქვავებულ ბიჭს! ქუთაისური მემორიალის შექმნისას ეს ტრადიციაც უნდა გაეითვალინინოთ.

...ახლა, ზოგიერთი დეტალი პროლოგიდან ეპილოგამდე (ისევ ზოგად შტრიხებში).

ქუთაისის ალმოსავლეთ და დასავლეთ ჭიშკრებში — საფიჩხიისა და სამტრედიის შემოსასვლელებში, უნდა დაიდგას საზეიმო სტენდები (ლონისძიებების სქემებით). სათანადო იუმორისტული სტილისტიკითა და გაფორმებით, რომელზეც აღინიშნება პროგრამა, მისამართები, სტუმრების უფლება-მოვალეობანი, ზეიმის ნესდება — ვთქვათ, ასეთი

თაურზე ცერაქცის ორგანიზებაში კი არ ადანაშაულებს. არამედ პირიქით. იმაში, რასაც თავადაც აღიარებს: მე არაფერ შუაში ვარო!

ამერიკული თეთრი პეპელა, რომელიც არნახულად მრავლდება ზუგდიდის რაიონში, 200-მდე სხვადასხვა სახეობის მცენარეს ესევის და ხილის მეურნეობას საფრთხეს უქმნის. ეს თეთრი პეპელა რუსეთიდან შემოტანილ ხის მორებს შემოჰყოლია.

ახლა, მე, როგორც მკითხველმა და განმკითხველმა, აღარც ვიცი. ეს ფაქტი ამერიკელებს დავაბრალო თუ რუსებს?

ეს პეპელა, თუ მუსრი გავლებას გვეპირებს, გვაქვს თუ არა უფლება, ჩვენ თვითონ გავავლოთ მუსრი? შიშს დიდი თვალები აქვს და, ასე, შეიძლება, პეპელა თუ ბუზი, სპილოდ ვაქციოთ!

2000 წელს, საქართველოს ისტორიაში პირველად, სიკვდილიანობამ შობადობას 028 ერთეულით აჯობა და ეს პროცესი, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება.

ასე თუ გაგრძელდა,

გაფრთხილებით: „ქალაქში ცუდი განწყობილების შეტანა სასტიკად აკრძალულია!

გთხოვთ, თქვენი დარდები ჩააბაროთ ბაგაჟში;

გთხოვთ, ჩაიხედოთ სარკეში და მოიჩხრიკოთ ჯიბეები — ხომ არ დაგრჩათ სახლში ფესტივალის საშვი — ღიმილი?..."

ამ სტენდებთან უნდა მოეწყოს მრუდე სარკეები, რომლებსაც ხშირად შეხვედრიხართ კულტურისა და დასვენების პარკებში, „სიცილის ოთახებში", აქვე შეიძლება ასეთი კოსმიური ბრძანების მსგავსი რამ: „ქუთაისის იუმორის ზეიმის დღის გახანგრძლივების მიზნით, მზეს დაევალოს, ამოვიდეს დილის 6 საათსა და 00 წუთზე, ორი ცვლის განმავლობაში იმუშაოს შესვენების გარეშე და ჩავიდეს ქუთაისის ელ-ქსელის სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით. ღამის ცვლაში დაინიშნოს მთვარე"... და რაღაც ამის მსგავსი.

ქალაქის შემოსასვლელებში (შერჩევით) მანქანებს გააჩერებენ ავტოინსპექტორები. გაუსინჯავენ საბუთებს, მოთხოვენ ფესტივალის საშვ-პაროლს — ერთ ძველ ან ახალ ანეკდოტს, ერთ პირად ხუმრობას და, მისი ეფექტიანობის მიხედვით, გადაწყვეტენ „სასჯელის ზომას" (გაუხვრეტენ მოსაწევე ბარათს, სრულიად სერიოზულად ჩამოართმევენ რაიმე საბუთს და დააჯარიმებენ გარკვეული თანხით (ისე რომ დასჯილებმა თავიდან არც კი იცოდნენ, სად მიდის ეს თანხა). მათ, აქვე, გააფრთხილებენ, რომ საბუთები მოიკითხონ გარკვეულ დროს და გარკვეული მისამართით. იქ კი იმუშავებს სასუვენირო კიოსკი, სადაც „ჯარიმის" შესაბამისი თანხით (რომელიც სუვენირის ღირებულებისა იქნება), მათ მონიწებით დაუბრუნებენ საბუთს და გადასცემენ სასაცილო სუვენირებს, უნიკალურ წიგნებს (საავტორო ავტოგრაფებით), იშვიათ გამოცემებს — „საოჯახო მედიცინა", „სიყვარულის წიგნი", „იუმორისტული ლიტერატურა", რითაც ფესტივალი უნდა მოამარაგოს „საქწიგნმა".

ქართველი სატირიკოს-იუმორისტების მაძიებლური გონებით, ეს დეტალები თანდათან უფრო დაიხვეწება და გამრავლდება.

სასტუმროში — ტრანსპარანტი — გაცხადდება: „სტუმარი ღვთისაა, მიაკითხეთ მას"!.. რესტორნებში — „გვაქვენ ხაში — მტკიცე ფასები?!" რკინიგზის სადგურში: „მატარებელი ქუთაისი-თბილისი ერთი კვირის შემდეგ გავა პირველი ლიანდაგიდან... მეორე ლიანდაგში?!".

წყალტუბოს შემოსასვლელში: „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო, თუ მაისის ქუთაისმა გკითხოს, ვინა ხარო..."

უთხარი, ვინცა ხარ და წარმოადგინე ფესტივალის საშვი!..

და ასე შემდეგ.

ბალის კიდეში, სიცილის დიდოსტატების — კონკრეტული ცოცხალი ხალხური გმირების ირგვლივ მოეწყობა სახელდახელო ქუჩური იუმორისტული ტურნირი, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სიცილის ოსტატების გაცნობა, წარდგენა, „დაჯახება" — იუმორისტული სპექტაკლების ფრაგმენტების გათამაშება. აქვე გავიხსენებთ ძველი ბალის კიდის იუმორისტულ ტრადიციებს: ალეგრო ქუთაისის ბალში! მასალა საკმარისადაა ჩემს წიგნში „სიცილის არქივიდან". აქვე გაიმართება იუმორისტული სიმღერების, საკონცერტო ნომრების კონკურსი; ქუთაისელ მაია ჩიბურდანიძის ერთდროული სეანსი ქუთაისელებთან;

---

*რუსუდან კერვალიშვილი, ბიზნესლედი: ბედნიერება სულაც არ არის ყველა სურვილისა და ახირების დაკმაყოფილება. როცა აღარაფერი რჩება სანატრელი! ეს მხოლოდ სიჩლუნგეს იწვევს. („თბილისელები", 2006).*

ტურნირი ნარდში — ნაღდი მონარდეებისა; ხალხური მთქმელების გამოსვლა. მწერლებისა და პოეტების იუმორისტული ტურნირები.

სტადიონი!

საქვეყნოდ ცნობილი მსოფლიო კომიკური პერსონაჟების: დონ კიხოტის, ნაცარქექიას, მოლა ნასრედინის, სანჩო პანსას, ოთარიკას, ბარონ მიუნჰაუზენის, ჩარლი ჩაპლინის, შვეიკის, ტილ ულენშპიგელის, ბულგარელ პეტრეს, გარგანტუასა და პანტაგრუელის, ოსტაპ ბენდერის საზეიმო სვლა ცხენებით, ვირებით, ჯორებით... მათი მისალმება ფესტივალისადმი, კერძოდ, დონ კიხოტისა და ოთარიკას დიალოგი (ამას მე გავაკეთებ ისტორიული მასალისა და ლიტერატურის მიხედვით, თავის პატარა სატირული ტექსტებით).

ძველი მანქანების, ფაიტონების, პრალიოტკების (ძველ ხონში მის მეტი რაა, ურმების, ორთვალების აღლუმი).

ქუთაისის „კამაზის" მანქანებმა ბუქსირით გამოათრიონ მწყობრიდან გამოსული, ჩამონერილი მანქანები, ან ნაავარიევი მანქანების აცმა.

აქვე გაიმართება ხალხური სპორტული თამაშობები. აშკარად, ეფექტური იქნება ლამანჩელი როსინანტის ოკრიბელი ოთხფეხა ძმაკაცების — მოუვლელი, ბეხრეკი ცხენების დოღი. დანესდება პრიზი, რომლის პირობები ცნობილი არ იქნება და დოღის დამთავრების შემდეგ პრიზს მიიღებს... ფინიშზე ყველაზე ბოლოს მოსული! პრიზი იქნება... არც მეტი, არც ნაკლები — მათრახი! და იგი მოხვდება არა ცხენს, არამედ ცხენის პატრონს (ცუდი მოვლისათვის). შეიძლება მოეწყოს დოღი ნარევი ცხოველებისაგან: ცხენი, ჯორი, ვირი, თხა, ღორიც კი... მამლების ჩხუბი, ძაღლების ჩხუბი, თხებისა და ხარების რქენაობა — კორიდა!

...ქუთაისელი „ტორეადორი" ფერდებჩაცვენილ ძროხასთან! ქუთაისელ „მატადორს" უჭირავს პლაკატი: „ვალდებულებას ვკისრულობთ, ნველადობა ავიყვანოთ ასი ათას ლიტრამდე!"

„უფრო მეტსაც შევძლებთ, მარა მთლად წყალი იქნება!"

„ბაბუებისა" და „შვილიშვილების" გუნდების 15 წუთიანი ტურნირი ფეხბურთში. ბაბუების გუნდის ემბლემა „ყანწი", წარწერა — „ბაბუა-85", „მარკოზიჩი" — შვილიშვილების გუნდის ემბლემა „კვიცი-11". ბიჭუნების ზურგებზე იკითხება თითოთითო ასო, რომლითაც იკინძება სიტყვა — „კვიცი გვარზე!". პენალტების სერია. 11:0... მომავლის სასარგებლო! ბაბუებს, ყველას, N1 აწერია ზურგზე.

*როგორც იტყვიან, ჩქარა ჩვენი ბურღლაც აღარ იქნება, ვერც ალავერდი „სიმწარე გვამორის — სიტკბო მოგვეცეს" გვიმღერის, ვერც საქართველოს სადღეგრძელოს ყანწით დალევა და ვერც ერთმანეთის სუფრული ლოცვა-კურთხევა — გამარჯვებით, ვითარცა ადამ და ევაი... და ველარც მრავალმჟამიერიანობისთვის მრავალცოლიანობის მემღერება.*

*„თუ საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობა არ გამოსწორდა, შეიძლება არაქართველები... ქართველებზე მეტი აღმოჩნდნენ. მაშინ კი, შესაძლებელია, საქართველოს პრეზიდენტიც არაქართველი გახდეს!" წერს აკადემიკოსი აკაკი გვარამაძე.*

*ახლა, სინამდვილე კი არის — წყეულიც გვამორის ღმერთმა. თუმცა, კაცის გასაკეთებელი საქმე კაცს უნდა მოთხოვოს კაცმა.*

*სად ხართ, კაცებო???*

*„ქართული უნივერსიტეტი" (31.IV-6.IV.2004).*

*„გაევროპელება ძველ თბილისში"*

რატომ? საქართველოში მეორეობას არავინ კადრულობს.

გამოცანა-ხუმრობების რამდენიმე ვარიანტი: მოდის ორი კაცი. ერთს მარცხენა ხელი აქვს გაშავებული, მეორეს მარჯვენა. გამოიცანით, ვინ არის ეს ორი კაცი. პასუხი ასეთია: ერთი შოფერია, მეორე ხაზეინი. მარცხენაზე შოფერს აქვს „ზაგარი", მარჯვენაზე „ხაზეინს".

გოჭი გარბის სტადიონზე.

მიკროფონში კითხვა: რას ნიშნავს ეს?

მიკროფონთან მიდის მახარაძელი სტუმარი და იძლევა პასუხს: მე გახლავართ მახარაძის რაიონის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლეონიდე მახარაძე. ჩვენ, სტადიონის ადმინისტრაციის ნებართვით, ვატარებთ ექსპერიმენტს.

რა მიზანს ისახავს ეს საჯარო ექსპერიმენტი? ბუნებრივია, დაგებადოთ კითხვა... მოგახსენებთ, — ამას წინათ ოზურგეთში გვენვია სტუმარი და, მართალია, სტუმარი ღვთისაა, მარა პატივი ჩვენ უნდა ვცეთ. მეზობლებმა გვითხრეს, ერთი გოჭი რამდენ კაცს ჩამეიარსო?

ჩემი პასუხი ასეთი იყო:

ცოცხალს თუ გაუშვებთ, ბიძია, მთელ სოფელს ჩამეიარს, თვარა ისე მარტო მე არ მეყოფა-მეთქი!

შეჯიბრი ცხელ-ცხელ ანეკდოტებში.

რატომ ანეკდოტი? აქ სინამდვილე მოგონილზე უფრო ფანტასტიკური და სასაცილოა.

ეჭვიანმა ცოლმა, კვირადღეს, „სამუშაოდ" სამსახურში ნასულ ქმარს ე მაშინ შეუმტვრია კაბინეტის კარი, როცა ის თავის ახალ მიღებულ მდივან ვოგოს ეხვეოდა და კოცნიდა.

- ახლა რაღას იტყვი!.. დანაშაულზე ნაუსწრო ცოლმა.

— რა უნდა ვთქვა, — იხტიბარი არ გაიტეხა ქმარმა, — ვაი, შენს პატრონს, შენ გგონია, ახლა, მე ამას ვეარშიყები???

ასე თუ არ ეფერე თანამშრომლებს, კვირა დღეს იმუშავებს ვინმე!!!

და ასე შემდეგ.

... დასასრულს თეატრში მოეწყობა დიდი საღამო-კონცერტი ყველაზე თვალსაჩინო გამოსვლებით. თეატრი სათანადოდ გაფორმდეს, სცენაზე, სიტყვაში გამომსვლელთა ტრიბუნის თავზე, დაიკიდოს ქუჩის მოძრაობის ის ნიშანი, რომელიც კრძალავს 5 წუთზე მეტად ერთ ადგილზე დგომას (რაც ზრდილობიანად და, ამასთან, სატირულ ფორმებში მიანიშნებს გამომსვლელებს, რომ „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის").

საერთოდ, საგზაო ნიშნების პაროდირებით, მთელ ქალაქში შეიძლება გაკეთდეს ფესტივალის იდეის გამომხატველი იუმორისტული ნიშნები.

სათანადო აქტუალური თემების მიხედვით, საჭიროა, დამზადდეს ნიღბები.

ახლა, რაც შეეხება ჰიმნს! ასეთი ჰიმნი კომპოზიტორ ნუნუ დულაშვილთან ერთად (ტექსტი გიზო ნიშნიანიძისა) უკვე არსებობს. იგი სრულიად ახალია და ღრმად ვარ დარწმუნებული, ზედგამოჭრილი იქნება ამ დღისთვის. თანაც, ეს ჰიმნი ნამდვილ ქართულ ჰანგზეა გამართული, ყველა ვითარებაში იმღერება და მასობრივი შესრულებისათვის ადვილი შესასწავლი, და შესასრულებელი:

---

*ლოგბარი ანზორ ერქომაიშვილი: 2001 წლის 18 მაისს, იუნესკომ ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო პოლიფონიის შედევრად აღიარა.*

## ჰიმნი სიცილს!

(სახელდახელო ვარიანტი)

მსოფლიო, პლანეტა ამას სულ გრძნობდა,
გადარჩა იმიტომ, რომ იცინოდა!
იცინოდა ქვეყანა და მას უმადლოდა —
სიცოცხლე მიწაზე ლაღად რომ ქროდა.
ეიცინოთ, ვიცინოთ — უხიცინ-ხიცინოდ
აბა — პე, აბა — პო, ოხოხოხო!
ვახახა, ოხოხოხო...
სიცილი, ყოველგვარ სიბინძურეს კლავს,
სიცილი, სიმძლაერით — ატომურ ბომბს
ჰგავს,
სიცილია წამალი და სიცილია ჯეარცმა,
მოყვარეს მოყვრულად უძრახოს კაცმა!
ეიცინოთ, ვიცინოთ, უკიდისქიცინოდ,
აბა, პე, აბა, პო... ოხოხოხო,
ვახახახა, ოხოხოხო.
სიცილი ქუხდება, დასანგრევს — ანგრევს,
სიცილი უხდება გულსისხლთა ძარღვებს.
ნაღელის ბუშტსა და დიაბეტს,
ენცეფალოსინდრომს,
ამპულებს და ამ ფულებს, ისა სჯობს იმ
დროს,
ეიცინოთ, ეიცინოთ, უცილინმიცინოთ.
ვახახა — ოხოხოოხოხოხო...
სიცილით ვინც კვდება, ის დიდხანს
ცოცხლობს,
სიცილი უხდება ოსტეოქონდროზს!...
კუჭ-ნაწლავს და იშიაზს,
რადიკულიტ-შაშიკს,
არ უნდა ჟიჟინი და ლაპარაკი.
ვიცინოთ, ვიცინოთ, უაურმიცინოდ.
აბა — პე, აბა — პო, ოხოხოხო,
ვახახახა, ოხოხოხო.
სიბრძნე — სიცილისა გადამდებია...
დე, იყოს სიცილის ეპიდემია,
რომ კედლებმაც იცინოს და იცინოდეს მზე,
რომ
იხარო შენ, ჭერო, შენ მოკვდე, მტერო!
ეიცინოთ, ეიცინოთ უკუდისქიცინოდ
აბა — პე, აბა — პო, ოხოხოხო,
ვახახახა, ოხოხოხო.

*„ქალაქი ნამდვილ ბაბილონის გოდოლს დაემსგავსა, დიდი სიჭრელე და არეულობაა".*

*„ივერია", 1880.*

*რუსები „მოყვრულად გვეპყრობიან" (გრ. ორბელიანი)*

*„გამინაურების" მომგვრიანი პოლიტიკა გაატარა მეფისნაცვალმა ვორონცოვმა XIX ს. 40-იანი წლებში.*

*მაშინ რუსები თავად წერდნენ: ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკის ამოსავალი... გარუსების, ასიმილაციის პრინციპია" ისინი თვლიდნენ, რომ კეთილშობილური იყო „ველური აზიატების" ევროპეიზაცია.*

*პლ. იოსელიანი: „ძველთა ჩვეულებათა ჩვენთა [illegible]".*

*„კახურსა და ნემეცურ ლუდს მოსდით ჩხუბი, არ ვიცით ვის დარჩება მეიდანი" („ივერია" 1880 N 85).*

*ჩვენი ლექსიკა ფრანგულმა მლაპებმა შეცვალეს, ფაფახი — ცილინდრმა, ჩოხა-ფრაკმა, მამაპაპური ხანჯალი-ტროსტმა, ქადა-ნაზუქი-ბლინმა, ბოზბაში — ნემეცურმა სუფმა.*

*ქართველების ზნის გამოცვლა სტომაქით დაიწყო.*

ქართული სატირულ-იუმორისტული ფოლკლორი ერის უზარმაზარი განძია, რომელიც პატრონს ელოდება.

გითხარით, ერთი კაფიისათვის ვაჟა-ფშაველა ცხრა მთას გადაივლიდაო!

არადა, რა ჰქონდა საძებარი — თვითონ იყო ცხრა მთაცა, ცხრა ბარიცა და ცხრათავიანი დევიც!

მაგრამ ხალხის სიბრძნეს, ეროვნულ განძს პატრონი სჭირდება და არა ბატონი!... და იყო პატრონი!

ჰოდა, პატრონობდნენ ერის შვილნი ერის სიმდიდრეს.

ღმერთმა ნუ ქნას, ეს ტრადიცია გაქრეს.

ჩვენც, ჩვენებურად, შეძლებისდაგვარად, შევეცადეთ, ამ დიდ საქმეში პატარა წვლილი მაინც შეგვეტანა... პირველი ტელეგადაცემა ცოტა ნაჩქარევი გამოგვივიდა (ისე, როგორც ახლანდელ წამოწყებებს ჩვევია), თუმცა, თუ ამ ციკლის გამოხმაურებებს გავითვალისწინებთ — მაყურებელი დიდი სიხარულით შეხვდა ჩვენს ეროვნულ მიზანსა და მისი განხორციელების პირველსავე ცდას. და მაინც, ეს ცდა, ბედის მენახევრე გამოდგა...

მერე მინდოდა, ამ დაბოღმილ და სევდიან დროში, რადიოში თუ ტელევიზიაში, სიცილის წუთი შემომეღო. აღფრთოვანდნენ, მოიწონეს, მაგრამ ეს ამბავიც სურვილს არ გასცილებია.

ამ საშვილთაშვილო საქმეს იქნებ, ანი მაინც, გამოუჩნდნენ უფრო თავგადადებული და სიცილის ჟინით შეპყრობილი ადამიანები — „შერეკილები", რომ კიდევ ერთხელ შემოჰკრან ხალხური იუმორის სახარხაროებს!

* * *

ქუთაისის ჩემი პირველი ბავშვური აღქმა 1936 წელს — ოთარ კორინთელით დაიწყო. დეიდაშვილის — ნანუშას ქმარი იყო... საკონსერვო ქარხნის დირექტორი... ულამაზესი კაცი, რომლის სურათებს ღია ბარათებად ბეჭდავდნენ . თეთრცხენებიანი ეტლი ჰყავდა და აქეთ-იქით დამაგრიალებ-დამაპორწიალებდა.

პოლიტიკურზე დაიჭირეს.

მერე ისიც დაიჭირეს, ვინც ის დაიჭირა... მერე ისიც, მერე ისიც და აი, დადგა „მონანიების" დრო!

ერთხელ, ჩვენი თაობის ერთი შესანიშნავი თავი-კაცი — კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე შემხვდა და „სპარინგ-პარტნიორივით" მომიყვა ფილმი, რომლის კონტურები ის-ის იყო ესახებოდა.

მაშინ ამაზე ჩუმად ლაპარაკიც დიდ ნდობად და ვაჟკაცობად ითვლებოდა. მეც, სწორედ მაშინ, მოვუყევი ერთი ეპიზოდი ქუთაისური სინამდვილიდან, რომელიც ავტორმა ფილმში შესანიშნავად გამოიყენა!

მასობრივი რეპრესიების წლებში, ქუთაისის ქალაქის თავი, ერთი თავზე და ნამუსზე ხელაღებული კაცი — თ. კ-ი... ყოფილა, რომელიც სულ ქეიფსა და დროსტარებაში იყო, ქალებში გრიალებდა, თავისი უფლებამოსილების ბეჭედს კი უკანალზე — დუნდულებზე ურტყამდა მის ხელში გამოვლილ ტურფებს... ბოლოს კი, თვითონაც ამოყო თავი ვირის აბანოში — გადაასახლეს! გამოხდა ხანი და როცა დროს, როგორც ყველაფერი, მისი სახელიც უნდა წაეშალა, ციმბირიდან მოსულ ხე-ტყეს, მისი არსებობის ნიშან-წყალივით მოჰყვა ერთი მორი, რომელზეც იმ

კაცის სახელი და გვარი ენერა! (დანით იყო ამოკანრული).

...ასე გაუვიდა ყაველი იმ დროსაც! ეკლესიასტესი არ იყოს — ჟამი ქვათა მიმოფანტვისა შეიცვალა ჟამით — მათი შეგროვებისა და ძეგლთა, ვითომ „სამშვიდობოს" გასული ძეგლები, კვარცხლბეკებიდან ჩამოყარეს...

ამ ახალ „ქვათა ღალადში" ხმამ მღაღადებელმან უდაბნოსა შინა, ვერ მიანვდინა ხმა ახალი დროის მესვეურებს, რომ ძეგლები, სხვა თუ არაფერი, ხელოვნების ნიმუშებია და მათი ასე გაუპატიურება ადამიანს არ ეკადრება. განა, ცუდი იქნებოდა, რომ ქალაქების გზებსა და გზაჯვარედინებზე გამოჯგიმული ეს ძეგლები ნაგველო მახათაზე (სადაც, მათ მიერ გამოტანილი განაჩენებით, ხალხს ხვრეტდნენ), მოგვენყო აქ „სიკვდილის პარკი" — მემორიალი და დაგვერქმია მისთვის „ქვაში დასჯილი ბოროტება" ან „არაჩვეულებრივი გამოფენა"... ან რაღაც სხვა, ამდაგვარი, რაც ხელოვნებასაც შეინახავდა, ისტორიასაც — ნარსულსაც და სასტიკი გაფრთხილებაც იქნებოდა მომავლისათვის. ეს, ერთხელ უკვე ვთქვი და ვიმეორებ!

...ამასთან, ერთხელ კიდევ შეგახსენებთ, რომ დიდი ხანია ქართული ხალხური ფოლკლორის, განსაკუთრებით კი იუმორის, კვალდაკვალ დავდივარ და თუ პრესით, თუ ტელევიზიით, შეძლებისდაგვარად, ვცდილობ ჩვენი დიდი ნინაპრის ანდერძის აღსრულებას. მაგრამ, რაც დრო გადის, ამ საშეილთაშეილო საქმეს სულ უფრო აკლდება მარგალიტების მაძიებელი პატრიოტ-ენთუზიასტები.

არადა, ამ საუნჯეს ნაღდად სჭირდება პატრონი. და თუ ოდესმე მას ჭირისუფალი გამოუჩნდა, იქნებ, ოდესღაც, ჩვენმა ნამეცადინარმაც ნააშველოს ხელი, რადგან არაფერი ისე არ გამოაჩენს საკაცეთს, ვიდრე ის, თუ რაზე და როგორ იცინოდა და იცინის!

ასე და ამრიგად, ჯერჯერობით, ყოველივე ეს ზოგად კონტურებშია, ღმერთმა ხელი მოგვიმართოს!..

1984 წ.

* * *

რევიზიაზე თბილისიდან ჩამოსულმა კაცმა ქუთაისელების მიპატიჟებაზე უარი განაცხადა:

— ვერ დავლევ, მახველებს, ბატონო.

— მაგაზე ნუ შენუხდებით, თქვენ დალიეთ და ჩვენ დავახველებთო — უპასუხა სოსო ხარაბაძემ.

ყდენობის მცირე — ბალმასხკარადები, მწვანე მაუდზე კარტით ბრძოლა (კაზინო). „გაქრა ყარაჩოხელთა „ქუჩის პოეზია", საკვირაო საერთო სადილები".

ქართველები იოლად, დაუფიქრებლად კარგავდნენ თავის „ლამაზ ფერსო" (გრ. ორბელიანი)

„ლ.ს.". 16-22.VI.2004.

მზის ქართმანის წიგნში „ბიზნესის ეთიკა" მოყვანილია ფაქტი რომ „...კანადელმა ფაბრიკანტმა არ შეუშვა ფაბრიკაში კარნეგი. მასთან 600 ქალი მუშაობდა. თუ სტუმარი იქ მივიდოდა, 600 ქალი ერთხელ მაინც წამოსწევდა თავს და ამით თითოეულს დაეკარგებოდა ნახევარი წუთი"

„...გამოკვლევები ადასტურებენ, რომ მორწმუნე მეწარმეები აღწევენ ბევრად მეტ წარმატებას ბიზნესში"

„...ჰოლანდიელი ყაჩაღის პიტერ პაონის ძეგლის კვარცხლბეკზე არის წარწერა: „ოქრო მოიჩვენის ვერცხლს, მაგრამ ყველაფერზე მაღლა ღირსებას ვაყენებ"

შოპენჰაუერი: ჩვენ ვკარგავთ ჩვენი ცხოვრების სამ

* * *

ხორცკომბინატის შემოწმების დროს რევიზორმა საყვედური უთხრა საამქროს უფროსს:

— წვერი რატომ არ გაქვთ გაპარსული?

— ბაბუა გარდამეცვალა, ბატონო.

რევიზორმა იფიქრა, ჭირისუფალ კაცს აქტი როგორ შევუდგინოო, მაგრამ საღამოს, ქეიფში, წვეროსანმა სიმღერა რომ შემოსძახა, ცოტა არ იყოს, შეცბა.

— ყმაწვილო, მიცვალებული თუ გყავს სახლში, რა გაქეიფებს და გამღერებს. როდის გარდაგეცვალა ბაბუა?

— 1935 წელს, ბატონო.

— მერე, წვერი ახლა მოუშვი, შე კაცო?

— აბა რა მექნა, მაშინ წვერი არ მქონდა, ბავშვი ვიყავი.

* * *

... ძველი ამბავია! ქუთაისში ვინ არ იცის ებრაელებით დასახლებული შაუმიანის ქუჩა. მილიციელი მიდის-მოდის და ყურადღებით ათვალიერებს მიმსვლელ-მომსვლელს.

— თქვენ რა გნებავთ, მოქალაქე?

— მაკინტოში, ბატონო.

— შებრძანდით პირველ პადიეზდში.

— თქვენ რას ეძებთ, აქ?

— მოკასინებს.

— მეხუთე პადიეზდში!

— თქვენ?

— სუნამო.

— სუნამო რაღა ჯანდაბაა?

— დუხი, ბატონო, ფრანგული.

— მერე, მასე გეთქვა, შე კაცო, მეათე პადიეზდი, მოშესთან.

— თქვენ რას აკეთებთ აქ?

— არაფერს, ბატონო.

მილიციელმა იტაკა პირში სასტვენი და ხმამაღლა შეიცხადა.

— გაიარეთ... უსაქმოდ გაჩერებული არ დევინახო აქ არევინ!

* * *

ქუთაისელებისთვის რომ სტუმარ-მასპინძლობა საგანგებო მოვლენაა, ამას ერთი ასეთი უცნაური და თანაც უტყუარი ეპიზოდიც ადასტურებს. ქუთაისში ცხოვრობს მხატვარი ოთარ ქანთარია. იშვიათად იტყვის, მარა თუ იტყვის, ღირს სათქმელად. ერთხელ, თურმე, დილაადრიან, ფეხსაცმელების მწმენდავს უჯდა სკამზე, როცა ამხანაგები დაადგნენ თავზე.

— საით ოთარ, ფეხსაცმელების წმენდით რომ დაგიწყია დილა?

---

*ვახტანგ ხარჩილავა: ჩურჩული მტყუანების ენაა, მართლები ხმამაღლა ლაპარაკობენ.*

*თემურ შამიაშვილი: ვინც კარგ დროს ელოდება, ცუდს ახანგრძლივებს.*

— ფულის სასესხებლად მივდივარ და ტალახში ამოგანგლულ კაცს ქუთაისში ვინ გასესხებს ფულს?!

ეს ის ოთარ ქანთარიაა, დილაობით სულ მატარებელს რომ ხვდება ქუთაისში.

ერთხელ, ერთ კაცს, ბაქანზე წინ და უკან მოსიარულე ოთარისთვის კითხვა დაუსვამს, ჩვენც რომ გვებადება, აგერ.

— რაზე გარჯილხარ, ბატონო ოთარ? ვის ელოდებით მატარებელზე?

— არავის (?!), მარა, ვილაცა ხომ ჩამოვა და ვილაცა ხომ უნდა დახვდეს. იქნება ნაცნობიც გამოჩნდეს. ქუთაისია ესო — უთქვამს.

* * *

ქუთაისელ ვახტანგ ბუკოვსკის ძმაკაცი მურმანი სასადილოს გამგედ დანიშნეს. ბრძანება რომ ინერებოდა, განათლების მოწმობა მოთხოვეს, მაგრამ რაც არ ჰქონდა, რა მოეტანა! არიქა, რალაცა უნდა ვუშველოთო და სასწრაფოდ სავაჭრო ტექნიკუმში შეიტანეს განცხადება. ქიმიაში ერთობ გაჭირდა საქმე.

— ჩამოგვითვალეთ მჟავეები, — უთხრა გამომცდელმა.

— ჯონჯოლი, ღანძილი, კიტრის მწნილი, მჟავე პამიდორი...

— მაინც, რა ნიშანს მოელით ჩვენგან? — გამომცდელად ჰკითხა გამომცდელმა.

— ბავშვები ფრიადოსნები მყავს, ბატონო და ნუ მომჭრით მათთან თავს...

* * *

ბონდოიას მშობლები პურზეც არ უშვებდნენ ქუჩაში. როცა ოჯახის მეგობარმა ამის მიზეზი იკითხა, ბონდოიას დედამ უპასუხა:

— რამდენი ქუჩაში გოუშვით, ბატონო, იმდენი ცოლი მეიყვანა და დავშინდით.

* * *

ერთხელ ბუსუიამ ამხანაგებში წაიტრაბახა: თქვენ იკითხეთ, თქვე უბედურებო, სამსახურიდან თუ მოგხსნეს, უმუშევარი დარჩებით, თვარა მე ექიმი ვარ, ხის კენწეროზე რომ ევიდე, იქაც ვირჩენ თავსო.

— კი, კი, მამა გიცხონდა, შენც ისეთი ექიმი ხარ, რომ ავადმყოფები ხეზე კიბეს მოადგამენ და იქ ამოგაკითხავენ, — გადაასხა ცივი წყალი ვილაცამ.

მეოთხედს იმაზე, რომ დავემსგავსოთ სხვას.

სტატისტიკა აღიარებს, რომ 70% მიბაძვით ცხოვრობს.

„ჩინელი და თურქი ვაჭრები საქონლის ფასს აწესებენ მყიდველის თვალების გუგების მიხედვით. თუ იგი კმაყოფილია ფასით და ყიდულობს მას, მისი თვალების გუგა ფართოვდება"

P.S. ახლა, ზოგჯერ, თვალები შუბლზე აგვდის!

ჯუმბერ თითმერია:

...ქუჩაში, როცა ქალთანაა მამაკაცი, ქალი ყოველთვის დგას მარჯვნივ, სამხედროსთან კი მარცხნივ (კაცი მარჯვენა ხელით უნდა მიესალმოს სამხედრო უფროსებს).

...ნაპოლეონი ყოველი ბრძოლის წინ მართავდა ლხინს, რომელზეც უსაშველოდ ბევრ ღვინოს მიირთმევდნენ და კერძს კერძი ცვლიდა. ჰიტლერი არც ეწეოდა, არც სვამდა (თვით ყავასა და ჩაისაც კი). მაგრამ სისტემატურად მიირთმევდა ბალახეულის ჩაის. მაო-ძე დუნს უყვარდა ძაღლის ხორცი... ამბობენ, მარპეის

* * *

პატიმარი ვენეროლოგთან მიიყვანეს გასასინჯად:

— რა ჭირს? — იკითხა ექიმმა.

— ჭირი მაგას... იძახის ტანი მეფხანებაო.

ექიმმა გასინჯა, დარწმუნდა, რომ პატიმარი სრულიად ჯანმრთელი იყო და სიმულიანტობდა.

— სხვა რამე თუ განუხებს, არ ვიცი და ჩემი განხრით ჯანმრთელი ხარ.

— რა ვქნა, ბატონო, მაინც მეფხანება.

— რამდენი გაქვს მისჯილი?

— შვიდი წელი.

— ჰოდა მეტი რა საქმე გაქვს, დაჯექი და იფხანე.

* * *

ქუთაისელს სიმამრი გარდაეცვალა. მიცვალებული ჩოხა-ახალუხში გამოაწყვეს და თან, კუბოში, ძველი დამბაჩა და ვაზნები ჩაუწყვეს. ბიძინა ლოლობერიძემ მიუსამძიმრა ჭირისუფალს და თან ყურში ჩასჩურჩულა:

— ვიეტნამის ომში აგზავნით ამ უბედურს?

* * *

ექიმმა გულდასმით გასინჯა მოხუცებული და შვილიშვილებს ურჩია, ამას, კაი ჭამა-სმის გარდა, არაფერი სჭირდებაო.

— ხიზილალა თუ მოუხდება? — იკითხა ერთმა.

— ხიზილალა მაგას კი არა, ჩვენც მოგვიხდება, თუკი გაქვენ...

— რავა არ გვაქვენ, ბატონო, მარა ქელეხისთვის ვინახავთ!

* * *

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების პერიოდში, პარტიის საქალაქო კომიტეტში მოშე მოშიაშვილის განცხადება შემოვიდა: გთხოვთ, გამიშვათ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლადო?! პარტიულ მუშაკებს კიდეც გაუხარდათ და კიდეც გაუკვირდათ მისგან ასეთი პატრიოტული ინიციატივა, მით უფრო, რომ ქალაქკომში ასეთი განცხადება სხვისგან არავისგან იყო შემოსული. სასწრაფოდ გამოიძახეს და თან კორესპოდენტებიც მოიწვიეს ფაქტის გაზეთში დასაფიქსირებლად.

კაბინეტში შემოიძურწა გაფითრებული მოშე. კორესპოდენტები შემოეხვივნენ და ინტერვიუ ჩამოართვეს.

— ბატონო მოშე, თქვენმა პატრიოტულმა საქციელმა მთელი ქუთაისი განაცვიფრა. რას იტყოდით თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით?

— რა უნდა გითხრათ, დაგენაცვლეთ, ყამირი და ნასვენი მიწა დაეყარა მაგ განცხადების დამწერ, ვიღაცამ მიმტრო და ჩემი სახელით დაწერა მაგ განცხადება. მე, ჩემ ბალახვან ვერ მოვცილდები, ისევ ახალგაზრდებს უნდა დავუთმო ასპარეზი.

---

*ძლიერია ის ქვეყანა, სადაც ხალხი მართავს ხელისუფლებას და სუსტია, სადაც ხელისუფლება მართავს ხალხს.*

*„ახ-დას."* ***10-16.07.06.***

* * *

ქუთაისში სიმონ ჟვიტიაშვილი სიროპიან ნყალს ყიდდა ბაზართან. მეტსახელად სიმონ ტკბილი შეარქვეს, მაგრამ ყოველ ჭიქის ჩამოსხმაზე სულ იმას ეუბნებოდნენ, სიმონ ცოტა კიდევ გაატკბე ნყალიო.

— ნყალი გავატკბო და ცოლ-შვილი გავამნარო?! — ტკბილი სიტყვით ისტუმრებდა სიმონ ტკბილი.

* * *

სიმონს მეზობლებმა უჩივლეს, სიროპიანი ნყლით სასახლე ააშენაო.

— რა მოხდა მერე, — თქვა სიმონმა, — მე სიროპიანი ნყლით ავაშენე და თქვენ უბრალო ნყალზე ამოდენა ჰესებს აშენებთო!

* * *

ბიძინა ღოლობერიძე პარტიის ქალაქკომის მდივანმა გამოიძახა და კარგად გაჯორა: შემოსულია სიგნალი, რომ თქვენს სახლში სულ ყანნების ტრიალი და ტაშ-ფანდურიაო.

ახსნა-განმარტება დაანერინეს, რომლითაც ახსნილი და განმარტებული იყო, რომ: რადგან ოჯახში ჩაის სერვიზი არ გააჩნდათ, ჩაის... ყანნებით სვამდნენ. ხოლო, როცა საჭმელს შოულობდნენ, მადლიერების ნიშნად, „დესერტად" სიმღერასაც აყოლებდნენ.

ბიძინას ქალაქკომის მდივანთან ღირსეულად ეჭირა თავი, არც ფეხი ეშლებოდა, არც ენა და მისი ამ მდგომარეობით კმაყოფილმა მასპინძელმა გააფრთხილა — სულ ასე, ფხიზლად უნდა იყოო.

ჩემმა მტერმა უყურა ამ ქვეყანას ფხიზელი თვალითო, გაიფიქრა ბიძინამ და გარეთ მომლოდინე ამფსონებს მიახარა:

— უფროსმა მითხრა, 3 ბოთლი ღვინის მეტი არ დალიოო.

თურმე, ზუსტად ამდენი ჰქონდა ნაყლაპი.

* * *

იმ პლეადის კოლორიტმა კაცმა ხუხა გაბუნიამ მიამბო, ერთხელ, როგორ მოინახულეს ძმაკაცებმა ღოლობერიძე და სოფელში ააკითხეს. პოდა, რაც ნახეს — ნეტა, არ ენახათ: შემოდგომის აზნაურის ტიპიური სახლ-კარი, გაპარტახებული ეზო, ოჩოფეხებზე მდგარი ოდა სახლი, რომელსაც ზენა ქარი დაუბერავდა — მეზობლის ეზოში გადანვე-

იშვიათ ჯიმს მეს-რი გაავლიით.. ბე-ნიტო მუსოლინი ჯიბით ყოველთვის პურის ნაჭერს დაა-ტარებდა.

თენგიზ კებლაშ-ვილი (ლ.ხ. 30.09.2005)

დიდი მოუ საქართველოსათვის! სტრასბურგის უნი-ვერსიტეტის პროფე-სორი აბრაამ მოლი მასობრივ ხელოვ-ნებას, კიჩს (მასო-ბრივი ხელოვნების ერთ-ერთი სახელ-წოდება) „ბედნიერე-ბის ხელოვნებას" უწოდებს. კიჩი მოიცავს როგორც ხე-ლოვნებას, ასევე ექსტრავაგანტურ ნივთებს, გამომწვევ ქუდებს, ამბობს მო-დის, მორალის და გ ო ნ ი ე რ ე ბ ი ს წინააღმდეგ. რაც. პროფესორის აზ-რით, უნდა ახასი-ათებდეს თავისუფალ ადამიანს თავისუ-ფალ საზოგადოებაში. ფრანგი ჟურნალ-ისტები კიჩზე წერენ, რომ იგი „არის ცუდი გემოვნებას კვადრატში", ხოლო გერმანელები სიტყვა „კიჩ"-ით აღნიშ-ნავენ უხამს ლიტერ-ატურულ ნაწარ-მოებს, ყოველგვარ უგემოვნობას, ნამდ-ვილი ხელოვნების დ ა თ ა ფ ლ უ ლ -

ბოდა, ქვენა ქარი შემოუბერავდა — უკან ბრუნდებოდა!... მოკლედ — ეს, „დაკარგული სამოთხე" იყო ამ ღრიჭინ-ღრიჭინში.

— სადაა ბატონი ბიძინა? — მაინც სტუმრული ზრდილობით იკითხეს ჩამოსულებმა.

— აგერ, მეზობელ სოფელშია წასულისა ტირილში — იმერული შეპატიჟებით უპასუხა მამამისმა ელადიმერმა.

— სხვაგან რას მიდიოდა, აგერ ჰქონია სატირალი — უთხრა ხუხამ და ზენა ქარზე მეზობლის ეზოში ჭრიალ-ჭრიალით გაქანებულ ოდასახლს გახედა.

* * *

ბევრი მოარული ხუმრობაა ცნობილ ქუთაისელ ლოტბარ ბიძინა ღოღობერიძეზე, რომელმაც იმითაც გაითქვა სახელი, რომ გალაქტიონის ლექსის („წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო") საკადრისი სიმღერა შექმნა. ბიძინას, დღე და ღამე, პურ-მარილში უხდებოდა ყოფნა, რადგანაც განუმეორებელი კაცი იყო და განუმეორებელი სიმღერა იცოდა. არადა, ეს გაუთავებელი ქეიფი და აულაგებელი სუფრა რავარი მოსათმენი იყო მისი ოჯახისა და, მით უფრო, ცოლისათვის.

— მოგკლავს ამდენი ღვინო, დაანებე თავი, — უჩიჩინებდა ცოლი.

რამდენჯერაც დადო პირობა, არ დავლევო, იმდენჯერ დაარღვია, მაგრამ, სახლში ერთ-ერთი მიბრუნების დროს, გალეწილმა მთვრალმა ცოლს ათმანეთიანი ჩაუდო ჯიბეში. თითო ჭიქის დალევაში თითო მანეთი და აბა რა მექნაო.

— შენ გაგისკდა მუცელი, — უპასუხა ცოლმა, — სხვა დროს, როცა არაფერს გაძლევენ, ოც ჭიქას სვამ და ახლა რაღა ღმერთი გაგიწყრაო — გაუბრაზდა.

* * *

ლოტბარმა ბიძინა ღოღობერიძემ ერთ შეუხედავ მომღერალს, რომელსაც, ლამის, ოთხკუთხედი თავი, მაგრამ კარგი ბანი ჰქონდა, რამდენადაც შეეძლო, ზრდილობიანად უთხრა:

— შენ, თუ ძმა ხარ, პირი კი დააღე და იმღერე, მარა, უკან დადექი და ნუ გამოჩნდები, ხომ იცი, რავარი შესახედავი ხარო.

— შესახედავად არც თქვენ მყავხართ დიდი ხვითოო — შეკადრა განაწყენებულმა ბანმა.

— ჰოდა, იმიტომაც ვდგავარ ზურგით ხალხთან! მარა სულ რომ არ გამევიდე სცენაზე, ისიც არ შეიძლება, დირიჟორი ვარო, — აუხსნა თავკოლოფას.

* * *

რესტორნიდან გამოსულ ნასვამ ბიძინას ძმაკაცმა გადახვია ხელი და უთხრა:

---

*ვანო კიღურაძე, აკადემიკოსი: გალილეი რომ შეაშინეს, თქვა, დედამიწა არ ბრუნავსო. ჯორდანო ბრუნო კი კოცონზე აიყვანეს, მაგრამ თქვა, დედამიწა მაინც ბრუნავსო. ჩვენ ყველას ჯორდანო ბრუნოობას ვერ მოვთხოვთ, ზოგი შეიძლება გალილეიც იყოს.*

ქალებში უნდა წაგიყვანოო.

ბიძინამ იუარა.

მჭრი თავსო? — იწყინა მეგობარმა,

რომ წამოგყვე, უფრო მოგჭრიო.

მიადგნენ ერთ სამხედრო დასახლებას, სადაც ის ტურფა ეგულებოდათ. დაკაკუნება ვერ მოასწრეს, რომ ბარაკიდან ქამრის სწორებით ვიღაცა ახმახი ლეიტენანტი გამოვიდა. არ გასულა ხუთი წუთი, ლეიტენანტს კაპიტანი მოყვა, კაპიტანს მაიორი და ბიძინამ, მისთვის ჩვეული ენის ბორძიკით, უთხრა თავის მხლებელს:

სანამ მარშალი არ გამოვა ამ სახლიდან, არ მევეშვათ ამ მარშლიუხასო?

* * *

ანტუშას სიდედრი გარდაეცვალა და კინაღამ გადაყვა თან, ისეთი პატივი სცა. ბიძინამ მიუსამძიმრა:

— კაი, ახლა, ნუ მეიკლავ თავს, თუ ასე ნუხარ სიდედრის დაკარგვას, გაგიცვლი შენს მკვდარს ჩემს ცოცხალშიო.

* * *

ომის დროს ნაფრონტალი მეზღვაურები ანიოკებდნენ ქალაქს. ერთხელ, ანტუშა, ბიძინა და ლეგენდარული ჟორჟიკა იაშვილი ამ მოხულიგნო მეზღვაურების დიდ ჯგუფს გადაანყდნენ და დიდი ჩხუბიც გაიმართა. ჟორჟიკა იაშვილმა ყველაზე ზორბა მეზღვაური ამოარჩია და ერთი დარტყმით მიწაზე გაშოტა, მერე კი სხვებს დაერია. პატარა ტანის ბიძინა წამოაჯდა ამ უშველებელ მეზღვაურს და რაც შეეძლო, უტყაპუნა ხელები ყბაში. იმდენი ურტყა, რომ, ბოლოს და ბოლოს, გამოაფხიზლა, მეზღვაურმაც შეარხია ბეჭები და წამოიწია...

— ეეე, ბიჭო, ჟორჟიკა, მიშველე, მგონია დგება ეს შობელძაღლი.

ლეწა მეზღვაურმა ბიძინას და წააქცია. წამოიწევს ბიძინა, მოუწაცვლებს მეზღვაური, ისევ დააგდებს მიწაზე.

— მიშველე, ჟორჟიკა! — ყვირის ბიძინა.

გაგანია ჩხუბის აზარტში შესულმა ჟორჟიკამ ერთი მოუხედა და უთხრა: — მაცალე, ბიძინა, შენთვის არ მცალია. ინექი მანდ, ნუღარ დგები, მაინც უნდა წეიქცე და იყავი მასეო.

* * *

ერთმა ღვთის პირიდან გავარდნილმა ქუთაისელმა მომაკვდავ ბებიას პირზე ინდაურის

ეპიგონურ გადაკეთებას, ხალტურას.

...ბაზარზე გამოჩნდა ახალი საქონელი ერზაცკულტურა. კიჩი, რომელიც მომხმარებლისაგან, ფულის გარდა, არაფერს ითხოვს... იგი გათვლილია გართობაზე დახარბებულ მასაზე, ვისაც ნამდვილი ხელოვნების გაგება და მისით ტკბობა არ შეუძლია...

ის კულტურა, ის ხელოვნება, რომელიც ფულის გაკეთებისა და გართობის საშუალებად გადააქცევს, ადამიანში კლავს სულს და ჰედონისტური მოთხოვნილებების მონად აქცევს.

ამ მონისთვის გაუგებარია და მის აღშფოთებას იწვევს დონ კიხოტის მწუხარე სახე, ჰამლეტის „უაზრო" ლაპარაკი ყოფნა-არყოფნაზე, დროთა კავშირის რღვევაზე... არც სულით ობლობა აწუხებთ, არც მელის ნუკრის ბედი და არც იმის ფიქრით იტკიებენ თავს, თუ რას ელიან „მთანი მაღალნი"...

დროის კრიზისმა საქართველოს ფარლის კარზეც მოაკაკუნა და ხმაურითაც შემოაღო! ამაზე მეტყველებს ქართული კულტურისა და ხელოვნების კიჩად

ჩიჩახეი დაადო — მისი უკანასკნელი სუნთქვა მინდა შევინახოო. ხალხს გული აუჩუყდა და ვილაცამ თქვა — შვილიშვილიც ასეთი უნდაო.

— მაგ უბედურს, სიცოცხლეში სული ამან ამოხადა და ახლა, ნეტავ, ვინ სულელს უნახავსო! — უთქვია ბიძინას.

* * *

რესპუბლიკის სახალხო არტისტის, შალვა ხონელის გულმავიწყობაზე ქუთაისს ბევრი ხუმრობა ახსოვს. პლეხანოვის პროსპექტზე შალვა ხონელი აკაკი კვანტალიანს შეხვედრია.

— გამარჯობა, ჩემო ილია?! — მიესალმა შალვა აკაკის.

— აკაკი, ჩემო შალვა, აკაკი, — ზრდილობიანად შეახსენა კვანტალიანმა.

— ეს ილია და აკაკი სულ მერევა ერთმანეთში. უკაცრავად, ჩემო ბატონო, ერთ ქუჩას დავეძებ აგერ, ხომ ვერ მიმასწავლი?

— რომელ ქუჩას?

— ცნობილი რევოლუციონერის სახელი რომ ჰქვია.

— მასე რას იპოვი, თბილისის ნახევარ ქუჩებს რევოლუციონერების სახელი ქვია.

— აი, ისა, სულ ციხეში რომ იჯდა, ბანდიტიც იყო. გიჟობას იგონებდა თუ მართლა გიჟი იყო...

— სულ ბანდიტები და გიჟები არ იყვნენ, რომელი იყო დალაგებული?!

— აი, ისა, კაცო, იმას რომ მიირთმევდა.

— იმას რომელი არ მიირთმევდა?!

— რაღაც მწვანილის სახელს ჰგავს: ქინძი, ოხრახუში, კამა...

— მასე გეთქვა, შე კაცო, ალბათ, კამოს ქუჩას დაეძებ. აგერ ჩაუხვევ და აქვეა.

— გმადლობთ, ჩემო იაკობ, — ისევ აერია სახელი შალვას.

* * *

შალვა ხონელს ქუთაისის თეატრში ახლადმიღებული მსახიობი გააცვნეს.

— შოთა პირველი, — გამოუწოდა მან ხელი.

— სასიამოვნოა, ბატონო.. პეტრე პირველი რა იყო თქვენი?

* * *

ბადრი დვალიშვილი:

ქუთაისის ბაზართან ხელჩანთებით დამძიმებული აგრაფინა ბებია დგას და ტაქსს აჩერებს.

— სოხუმის ქუჩაზე წამიყვან, შვილო?

— ხუთი მანათი უნდა მაგას.

— ხუთი მანათი რა ამბავია?

— რა ვქნა, ბებია, თუ არ მოგწონს, ა, ჩემი მანქანის ნომერი და სადაც გინდა, მიჩივლე.

ბებია აგრაფინა ერთი წამით ჩაფიქრდა და ბოლოს, მანქანაში, თავის ხელჩანთებ-კალათებიანად მოიკალათა. მანქანა მის სახლთან რომ გაჩერდა, მრიცხველს დახედა და ზუსტად იმდენი მისცა, რამდენიც ეწერა.

— რაა ბებია ეს?

— რა ვქნა, შვილო, თუ არ მოგწონს, ა, ჩემი სახლის ნომერი და შენც, სადაც გინდა, იქ მიჩივლე.

* * *

ქუთაისის „ტორპედომ" ერთობ პრინციპული მატჩი წააგო და ნაგებაში ცოტა დამსახურება როდი მიუძღოდა მსაჯს. გასახდელისკენ მიმავალ არბიტრს, დათიკო მილიციელი, დანაშაულის პროფილაქტიკის მიზნით, ფეხდაფეხ მიჰყვა.

— დათიკო ბიძია, ერთ დავარტყამ, რაა, — ნამოენია ვილაც ქუთაისელი ბიჭი.

— ხომ არ გაგიჟდი, ბიძია, შენ? — დაუყვირა დათიკომ.

— ერთი მაინც დამარტყმევინე, თვარა, იცოდე — დედას შეგაგინებ, — არ მოეშვა მოთმინებადაკარგული ქუთაისელი და მართლაც, ამას, დათიკო მილიციელის მისამართით, მოჰყვა უნმანური გინება.

— ამ შობელძაღლის გულისთვის მაგინებ, — ვეღარ მოითმინა დათიკომ და თვითონ მოსდო ყბაში მსაჯს.

* * *

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რეკონსტრუქციით აშშ-ს დაზვერვა დაინტერესდა და აგენტი მოაელინა. პირველ ორ თვეს კი ილებდნენ რაღაც-რაღაცა ცნობებს მისგან, მარა მერე კავშირი განყდა. ერთი წლის შემდეგ ახალი აგენტი გამოაგზავნეს ამბის გასაგებად. ძლივს მიაგნო თავის კოლეგას რესტორან „იმერეთში" (დიდ საბანკეტოში), სადაც იგი... ასკაციან სუფრას თამადობდა, ხელში უზარმაზარი ყანწი ეჭირა და დედმამიშვილების სადღეგრძელოს სვამდა. ახლად ჩამოსულმა აგენტმა მოიმიზეზა, ტოლუმბაშთან ვახტანგურად მინდა დავლიოო და თამადას ყურში პაროლი ჩასჩურჩულა. გაქუთაისებულმა ყოფილმა აგენტმა აგდებულად გადახედა ზემოდან და ხმამაღლა უთხრა:

— მონყდი თავიდან, შე შპიონო, ვის უბედავ მაგასო.

* * *

მერაბიეს ერთი მეგობარი უმელოტდება.

— თმა გცვივა? — ჭირისუფლურად ჰკითხა მერაბიემ.

— არა, — იუკადრისა მელოტმა.

— აბა, იპუტავ?

გარდაქმნის სწრაფი, თავბრუდამხვევი, გამაოგნებელი პროცესი.

საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი განათლების სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნის „კოსმიური გრძნობა", სწრაფვა „კ ო ს მ ი უ რ ი მთლიანობისკენ", „აბსოლუტურობისკენ", რაც გამოიხატა კოსმიური სხეულის — მთვარის უკანალის კოცნის დაუოკებელ სურვილში, ქალის სარცხვინელის ასფალტზე დანარცხების სისხლიან, საზარელ ხილვებში...

საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი მწერლობის პრეტენზიის მქონე ადამიანთა უხამსი, ამორალური, ანტიქრისტიანული, ავადმყოფური ფანტაზიით ნაცოდვილარი „რომანები"

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა უყურებს და უსმენს ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა ს, როგორც კიჩის დანერგვის უძლიერეს საშუალებას...

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ტელევიზიის ყველა არხს (თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან) საეთერო დრო დათმობილი აქვს გამომათაყვანებელი სერიალების, პორნოგრაფიის, ძალადობის ჩვენებას და

* * *

ვაჟა ჭყონია:

ნოდარიემ ვაჟასგან სამი ათასი მანეთი ისესხა, სამ დღეში დაგიბრუნებო. მას შემდეგ სამი დღეც გაფიდა, სამი პარასკევიც და სამი თვეც... არ დაადგა საშველი. მიადგა ვაჟა და ფული მოთხოვა.

— არ გადამრიო, შენგანაც მაქ ფული ნასესხები? — გაიკვირეა ნოდარიამ, მერე ამოიღო თავის სამახსოვრო წიგნაკი და მევალეების სიას დახედა — ნუ გეშინია, აგერა ხარ, მეჩვიდმეტე ყოფილხარ... ახლა, მეც ძალიან მჭირდება ფული. ერთი ხუთასი მანეთი დამიმატე და სიაში წინ წაგწევ.

ვაჟა აყვირდა.

— რა გაყვირებს, თუ იცი! შენ, ძმაო, მომეფერე, თვარა... სულ ბოლოსკენ გადაგიტან სიაში და მერე წადი და სადაც გინდა, იქ მიჩივლე.

* * *

— ეს ნვერებიანი კაცი ვინაა? — იკითხა ვაჟამ და შავ ჩარჩოში ჩასმულ სურათს ახედა.

— რა ვიცი, მგონია ბაბუაჩემის ბაბუის მამა უნდა იყოს.

— ამ ოჯახში ვინმეს ახსოვს?

— არა.

— აბა, შე კაცო, თუ არავის გახსოვთ, უფრო ლამაზი კაცის სურათი ვერ ჩამოკიდეთ?

* * *

გივი მელქაძე:

ბონდომ, როგორც იქნა, დაადგა საშველი, ცოლი მოიყვანა, ჰოდა, ერთხელ, ბალშიც გაასეირნა... მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან ბალში ხვევნა-კოცნას მიჩვეულმა, ახლა, საკუთარ ცოლსაც სხვანაირად შეხედა და ქე აკოცა. სად იყო, სად არა, მილიციელი დაადგა თავზე და საზოგადოების თავშეყრის ადგილში „უნმანური ქცევისთვის" ქმარი 5 მანეთით დააჯარიმა და ცოლი 15-ით.

— შენი ამბავი გამკვირვებია. ცოლის კოცნაში მე 5 მანეთი გადამახდევინე, ჩემს ცოლს კი 15 მანეთი.

— ცოლი არ ვიცი მე. ამ ბალში შენ პირველად გხედავ და ეს ქალი უკვე მესამედაა(?!)

* * *

კადრების განყოფილებაში:

— გვარი?

— სვინტრაძე.

— სახელი?

— ბიკენტი.

— ოჯახური მდგომარეობა?

— აუტანელი...

* * *

ბალის კიდე!

— ამალამ, ჩვენთან ქეიფზე რას იტყვი?

— თქვენთან ქეიფს რა ჯობია!

— ჰოდა, დაგვპატიჟე... ეგება, დაგთანხმდეთ კიდეც!

* * *

ქმარი: — სოჩაში, დასასვენებლად რომ მივდიოდე, წაგიყვანდი, მარა... მივლინებაში მივდივარ.

ცოლი: — ეს საქორწინო ბეჭედი მაინც რატომ არ მიგაქვს?

— ამ სიცხეში?

* * *

ვახტანგ დვალიშვილი (მეტსახელად „შავი თხა") გვარიანად დამთვრალა. შუაღამეს გამოსულა გარეთ და, მანქანის მოლოდინში, კედლის საათის ქანქარასავით ირხეოდა აქეთ-იქით! მანქანას ჩამოუვლია, მარა ამას მანქანის გაჩერების თავი არ ჰქონდა. იღბლად, თვითონ მანქანა გაჩერებულა, უტაცია ხელი ვახტანგისთვის, ძალის-ძალად ჩაუჯენიათ და გაუქანებიათ. გალეშილ მთვრალს გუნებაში უთქვამს, — ა, ხალხი, ქუჩაში არ მიმატოვეს, ამათ უპატივცემულოდ როგორ გავუშვებო და გაქაჩულა, სახლში შემობრძანდით — თითო ჭიქა დაელიოთო. ისინი გადარეულან და კიწნისკვრით გაუგდიათ წინ — შენ ხომ არ გადაირიე, ჩვენ მილიციელები ვართ და სახლში კი არა, მილიციაში მიგვყავხარო. მოკლედ, მილიციაში გაუთენებია ღამე, კარგად გამოუძინებია და მეორე დღეს უფროსისთვის საყვედური უთქვამს, თქვენი თანამშრომლები ისე იქცევიან, მილიციაში მოსვლას შეგაძულებენ კაცსო.

* * *

თბილისიდან ქუთაისში ჩასულმა გიგა ლორთქიფანიძემ ქალაქის ცენტრში გააჩერა მანქანა. ავტოინსპექტორმა იცნო, მაგრამ მაინც ზრდილობიანად ჰკითხა:

— რამდენ ხანს აპირებთ აქ დგომას, ბატონო?

— ერთი კვირით ვარ ჩამოსული, — უპასუხა გიგამ.

— მაშინ გავიქცევი, ბატონო, სახლში. ბრეზენტს მოვიტან და მანქანას გადავაფარებ, არ დასიცხოს, — ნახევრად ხუმრობით ტონში უთხრა სტუმარს ავტოინსპექტორმა.

* * *

რეზოიე 6-ს სწორედ მაშინ მოუსწრო მილიციის უფროსმა დავით კაკაურიძემ, როცა ის 14 სართულიანი სახლის მე-13 სართულზე იყო ამძვრალი ბინის გასატეხად... სწორედ, ამ პერიოდს დაემთხვა

*ევრო-ამერიკულ საესტრადო მუსიკას, რომელიც შავი ჭირის სასიკვდილო ცელივით მუსრს ავლებს, როგორც ფოლკლორს, ასევე კლასიკას... იგი გვევლინება როგორც გემოვნების, ქცევის, ზრდილობის გადაგვარების, სექსუალური რევოლუციის, ნარკომანიის, ძალადობის და „ცისფრობის“ აგენტი.*

*ყოველივე ეს მოიძლება დახასიათდეს ერთი სიტყვით — სატანიზმი!*

*საქართველოს გზებზე ბევრგან. შეხვდება უზარმაზარი რეკლამა: „ჩაწვდი ამერიკის სულს!“ ეს ძალზე ადვილია, რადგან ამერიკული პრაგმატული სული მარტივად და დაუფარავად ვლინდება.*

*აშშ-ში გამოიცა მ. მიდის ახალი წიგნი, რომელიც მკითხველს ასწავლის, თუ როგორ იშოვონ ფული მოტყუებით, აფერისტობით, ეშმაკობით... იგი ბავშვს ასეთ რჩევას აძლევს: თუ გინდა, დედამ ის საჩუქარი გიყიდოს, რომელსაც არ ყიდულობს, იგი უნდა შეაშინო. ღამ-ღამობით გააღვიძე ხოლმე ყვირილით და თან საჩუქრის სახელი იჩურჩულე. ...ორი-სამი დღის შემდეგ*

ამერიკელები მთვარეზე რომ გაფრინდნენ და ბაღის კიდეში კიდეც გაიმართა ასეთი დიალოგი.

— გეიგე, ამერიკელები მთვარეზე რომ გაფრენილან!

— რა იყო, შე კაცო, რავა ყველაფერი სხვისი გიკვირთ, დათიკო კაკაურიძე რომ არა, რეზოიეს მთვარემდე ნახევარი გზა უკვე გავლილი ჰქონდა.

* * *

რეზო ძიძიგური ქალის გადანახულებას დაესწრო. სადედოფლოს გრძელმა ცხვირმა ხასიათი გაუფუჭა. უხერხულობის გასაფანტავად რაღაცა ამბის მოყოლა გადაწყვიტა და როცა ცოტა დაუჯერებელი ამბავიც მოყვა, სადედოფლომ ამ დროს ორჯერ დააცემინა. მსმენელებმა ეჭვი შეიტანეს რეზოს მონათხრობში და საბუთი მოთხოვეს. რა საბუთს მთხოვეთო — გაუკვირდა ძიძიგურს, — აგერ, დედოფალმაც დამიმოწმა ცხვირის დაცემინებით და ჩემი თუ არ გჯერათ, ამხელა ცხვირის მაინც დაიჯერეთ. ცხვირი კი არა, ნოტარიუსიაო.

* * *

ვაჟა ჭყონიას რესტორანში, ერთმა ფულით გაყოყოჩებულმა თანამდებობის პირმა ოფიციანტს უბრძანა: გეიქეცი და ახლავე შენი უფროსი მომგვარე აქაო. რა ექნა, ადგა ვაჟა და ეახლა.

— რა გნებავთ, ბატონო?

— ხელები ამოიღე ჯიბიდან და ისე მელაპარაკე! — მთლად გაუვიდა თავს ახირებულ კლიენტს.

ვაჟამ ეელარ მოითმინა და მისთვის ჩვეული ენაკვიმატობით უთხრა:

— რას გეტყვით, იცით, ბატონო, მე ჩემი ხელები ჩემს ჯიბეში მიწყვია და ჯობია, თქვენ დაანებოთ თავი სხვის ჯიბეში ხელის ფათურს.

* * *

ერთხელ ბიძინა ღოღობერიძეს ჰკითხეს:

— ბატონო ბიძინა, მილიონი გირჩევნიათ თუ...

— რად უნდა, ბიჭო, მაგას თუ!... აღარ დააცალა ბიძინამ.

* * *

ქუთაისის მილიციის უფროსმა, ძველმა ვერელმა ძმაკაცმა, ბესო ბალავაძემ მიამბო:

— მილიციის უფროსად რომ დამნიშნეს, სწორედ იმ დღეს ქალაქში ცეცხლი გაჩნდა და ფორმის ჩაცმაც ვერ მოვასწარი, ისე გავიქეცი შემთხვევის ადგილზე.

აგვისტოს პაპანაქებაა და სულ ტკაცა-ტკუცი გაუდის ვიღაცის ფიცრულ სახლს. სახანძრო რაზმი ქუთათური მარიფათით მუშაობს. მაგრამ ვხედავ — ერთი ეშმაკის მაშხალა მეხანძრე ნამდაუწუმ გამორბის

---

*გოგი ქავთარაძე: რუსმა მკითხა: სომეხი და ქართველი ერთმანეთისგან რით განსხვავდებითო?*

*— ქართველი ნიჭიერია და სომეხი — ჭკვიანი-მეთქი, — ვუპასუხე.*

*გამოჩენილი სოციოლოგი მორენო წერს: „ამერიკელი ერი დაავადებულია სოციალური ავადმყოფობით, რომელსაც მე ვუწოდებ ურთიერთ მხარში დგომის დაბალ დონეს" (Морено "Социометрия", М. 1958, № 25).*

სახლიდან და იქვე მდგარ ჯიხურში ცივ ლუდს — კათხას-კათხაზე ცლის. შევარდება ცეცხლში — გამოვარდება, დალევს ლუდს, შევარდება-გამოვარდება... გავაჩერე და ვუთხარი — შენ, ბიძია, ცოტა ხომ არ გაკლია-მეთქი.

— რავა გეკადრებათ, ბატონო, ცოტა კი არა ბევრი მაკლია?!... კაცს საკუთარი სახლი რომ ენვის, გარეთ გამორბის და სხვას ეძახის მიშველეთო, მე კი, აგერ, სხვის ცეცხლში ვიხრუკები.

* * *

ქუთაისში ვინ არ იცნობდა ფოტოგრაფ ჩარკვიანს. დარბაისელი კაცი იყო. საინტერესო ფოტოპორტრეტებს ქმნიდა. სანამ სურათს გადაიღებდა, კაცს ათასჯერ გაზომავდა თვალით, ვინაობას, პროფესიას გამოკითხავდა და მერე შეუდგებოდა საქმეს. საფოტოგრაფე ღიმილს კი მისი მარილიანი სიტყვა ყოველთვის იშოვიდა.

ერთხელ კუდი ყავარზე გადებული რაიკომის მდივანი ნევევია, სურათის გადაღება უნებებია. ჩარკვიანს საკაბინეტე სურათისთვის განკუთვნილ სავარძელზე დაუბრძანებია და უთქვამს:

ისეთი სახე მიიღეთ, ვითომ ქვეყნის დარდი გაქვთ და საქმეზე ფიქრობთო?

* * *

ქუთაისში ცნობილი ექიმი მიშა მოშიაშვილი მუშაობდა. ყველა ებრაელი მისი პაციენტი იყო. მიადგა ერთი გათხოვილი ქალი — შვილი არ მიჩნდება და თუ გამიჩნდებაო? მეშველებაო? — ჰკითხა.

— შთამომავლობითი ხომ არ არის თქვენი უშვილობა... დედაშენს თუ ჰყავდა შვილებიო? — ჰკითხა ნუხანდელმა ნაბახუსევმა მიშამ.

* * *

ქუთაისში ცნობილი კაცი იყო ებრაელი მიშა ყაიჩო, რომლის კარის მეზობელი გახლდათ, ასევე ცნობილი ქუთაისელი — ბატონო ბესარიონი. ერთხელ, ამ კეთილ მეზობლობაში შავმა კატამ გაირბინა. ბესარიონმა ცხვირ-პირი დაამტვრია შენს ყაიჩოს, რომელიც ვაჟკაცობაზე დებდა თავს. მიშა სახლში შევარდა და, ყველა რომ ელოდა, თოფ-იარაღასხმული გამოვაო, სახლიდან კედლის დიდი კალენდარი გამოიტანა(?!)... მეზობლები სახტად დარჩნენ. ყაიჩომ კალენდარი გადმოკიდა აივანზე და ბესარიონს უყვირა: — ამოირჩიე, ბესარიონა უბედურო, რომელ დღეს, რომელ რიცხვში და რომელ საათზე ამოგჟუჟო ცოლშვილიანადო!

დედა ფსიქიატრთან ნაგიყვანს. მაგრამ ნუ შეშინდებით, ისევ გულგრილად იყავი. სულ მალე სათამაშოს გიყიდიან. შენც აისრულებ გულის წადილს და დედაც გახარებული იქნება.

აშშ-ში ბავშვებისთვის დიდი ტირაჟით იბეჭდება კომიქსები. ერთ-ერთი კომიქსის გმირს, მცირეწლოვან გოგონას, მილიონერი დეიდა ჰყავს. მისი მემკვიდრე რომ გახდეს, ობოლი უნდა იყოს. ამიტომ, დედის პისტოლეტით მამას კლავს, დედას ელექტრონის სკამზე აგზავნის და მიზანს მიაღწევს. დეიდას მემკვიდრე ხდება. იგი გმირია და თანატოლები აღტაცებითა და შურით შესცქერიან!

ევროპელებისა და სენდვიჩფაგების, მომღერლებისა და ცაკისმასხრების, ტელეჟურნალისტებისა და რეჟისორების, პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, მუცლითმეზღაპრეთა, პორტფელოსან და უპორტფელო მინისტრების, მოდურ მოდელებისა და სტილისტების ახალფეხადგმული სოციალური ფენიდან გამოიყოფა ისეთი ადამიანები, რომლებიც საკუთარი

* * *

მიშა ყაიჩოს მეზობლებმა უთხრეს, როგორ შეარჩინე ბესარიონს გალახვაო.

— მეზობლობით, დაგენაცვლე, თვარა, ერთხელ ქუთაისში ვიღაცა კაპიტანს რომ დავარტყი, ნახევარ საათს ბოჭავედნენ მისი პაგონების ვარსკვლავებსო, — არ გაიტეხა იხტიბარი ყაიჩომ.

* * *

მოშე-კუპატას სწორედ იმ დროს წაასწრეს, როცა ცეხიდან ტომრით „ლევი" საქონელს ეზიდებოდა... სწორედ ამ პოზაში, საკუთარი ზურგით ათრევინეს მარცხენა საქონელი მილიციამდე.

— ახლა რაღას იტყვი, მოშე, ხომ ხარ ფაქტზე დაჭერილი? — ნიშნის მოგებით უთხრა ობეხეესის უფროსმა.

— ვაი, თქვენ ნუ მომიკვდებით, ტყუილია მაგი?!... შენმა მოადგილემ მთხოვა, მილიციამდე მიმატანინე ეს ტომარაო და ახლა იქით მდებთ შარს?!

* * *

ყაიჩოს ჰკითხეს, საათს რატომ არ ყიდულობო.

— ჯერ ერთი, მაყუთ ვზოგავ, თან რაში მჭირდება, დამეძინება — დავწვები, გამეღვიძება — ავდგები.

* * *

## *„ბერი კაცი ვარ!.."*
## *МОИ ГОДА – МОЕ БОГАТСТВО!*

...მაშინ არც ვიცოდი, რას ვმღეროდი —
სიბერემდე სიქაჩლე თუ მელოდა —
ამ მელოდიას სიბერემდე ველოდი —
გული საგულეში მიმღეროდა!..
ბერი-კაცი —
ბერ-მუხა და
ბერ-მონაზონი...
საცა სი-ბერე ახსენო — სიტყვა გაზომე!
მისი ბერ-კეტით,
ძველის ბერ-ტყვით,
სიბრძნის-სიცრუით,
„ცერ-ბერის ყეფით", ბებრის ენით,
ბებრული ჭკუით!
წლის დაბერების, დაბრძენების —
და წაბრძანების
თვე არის ოთხი
და ოთხივეს „სიბერე" ახლავს.
და ოთხივ კუთხით — ჰორიზონტალ-ვერტიკალებით —
ძველს აცილებს და ახალს ხვდება
და პირჯვარს სახავს.
სექტემ-ბერი!

ოქტომ-ბერი!
ნოემ-ბერი!
დეკემ-ბერი!

* * *

— ვინაა, ბიჭო, ეს ანა ანტონოვსკაია, ამხელა წიგნი რომ დოუწერია გიორგი სააკაძეზე. რა იცის მაგან, ვინ იყო გიორგი სააკაძე.

— ელაპარაკე ახლა ამ უვიცს! რას ჰქვია, რა იცის — ოცი წელიწადია, მისი საყვარელია.

* * *

- სადაა ის ბალანა, ამდენხანს, რომ არ ჩანს, — იკითხა მარკოზიჩმა ქუთაისიდან სასწავლებლად გადახვეწილ ერთ ნაცნობ ბავშვზე.

— სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობს, მეათე წელია.

— ვაი, მაგის პატრონს, ვირი რომ დააბან ამდენ ხანს მინდორში, აგრონომი გამოვა, — დაასკვნა მარკოზიჩმა.

* * *

პატარაობაში მარკოზიჩი სკოლაში სიარულით მაინცდამაინც არ იკლავდა თავს, მაგრამ, ერთხელ, ისეთ დროს ნახეს სკოლისკენ მიმავალი, რომ მთელი ქუჩა გამოეფინა.

— სად მიდიხარ ამ დილაუთენია? — დაადევნეს სიტყვა.

— სად და სკოლაში.

— დღეს კვირაა, ბიჭო.

მარკოზიჩი ცოტა კი შეცბა, მარა მთლად არ დაბნეულა:

— კარგი მოსწავლე არც კვირას გააცდენს სკოლას.

* * *

მარკოზიჩს ჰკითხეს, ოფიციალურად რა საქმიანობას ეწევიო.

— ოფიციალურად არც პაპიროზს ვეწევი. მარა ისე, რავარც სხვები, მეც სამეცნიერო ხარისხზე ვმუშაობ. გადავწყვიტე, საზამთროს კაკლები ბუზებად გადავაქციო, რომ, გაჭრის დროს, ისინი თავისით გაფრინდნენ და კაცი არ შეაწუხონ.

— ეს საკანდიდატო დისერტაციად გამოდგება. სადოქტოროზე არ ფიქრობ? — ჰკითხეს ირონიით.

— ვფიქრობ, აბა, არ ვფიქრობ... ის ბუზები რო გაფრინდებიან, ტყვილა ხო არ უნდა იბზუილონ. გადაწყვეტილი მაქვს, ჩვეულებრივი ბუზები გადავაქციო ფუტკრებად.

არასრულფასოვნების კომპლექსის უსიამო განცდიდან თავის დაღწევას ევრო-ამერიკულად გადაქცევით ცდილობენ.

მერაბ ჯიბლაძე:
<u>დეგრადაცია</u>

მიმოიხედეთ ირგვლივ და ადვილად ნახავთ ჩვენი საზოგადოების დეგრადაციას: კაფე-ბისტროებმა წიგნის მაღაზიები გამოდევნეს, კინოთეატრებს კაზინო-რესტორნები დაეპატრონა, თეატრები იხურება და სარდაფებს შეაფარეს თავი. სასწავლებლები გამრავლდა და გაპარტახდა. განათლებულობა არავის აწყობს: არც სწავლა უნდა არავის და არც ის, რომ სხვას ასწავლოს. ქართველ ქალთა ნაწილი მეძავი გახდა (თავი რომ გადაირჩინოს) და მრავალი მამაკაცი ცოლის მეძავობას შეურიგდა. ჩვენი პრესა და ტელევიზია კი ამ დეგრადაციის სრული ანარეკლია.

პროფესორის ხელფასი მეეზოვის ხელფასს გაუტოლეს, სამეცნიერო წოდებები გააუქმეს და აკადემიის ინსტიტუტები რაღაც უსახურ ცენტრებად სურთ გადააკეთონ და შემ-

— რომ არ გადაიქცენ?
— მაშინ, ვაი, მაგენის ბრალი, ყველას სათითაოდ დავხოცავ.

* * *

კიბოს პრობლემებზე მთელი მსოფლიო მუშაობს, მაგრამ როგორც ირკვევა, არც ქუთაისია მთლად ხელდაკრეფილი. ასე, მაგალითად, მებუფეტე ვახტანგ ბუკოვსკიმ ერთობ საყურადღებო ვერსია წამოაყენა კიბოს გამომწვევ მიზეზებზე. ეს ასე მომხდარა: რაღაცა იღბლად, ვიღაც კლიენტს, სასადილოში, პურის ჭამის დროს, წამოუყენებია კითხვა:
— დედამიწის ზურგზე, თუ იცის ვინმემ, ვინ და რამ გააჩინა ეს ოხერი კიბო?
აი, სწორედ მაშინ ჩარეულა ბუკოვსკი საქმეში და კომპეტენტურად უთქვამს:
— პარტიის დავალებით, საბჭოთა კავშირმა რომ ჭაობები ამოაშრო, რა ექნა კიბოს, სად უნდა წასულიყო?... ადგა და ეცა ადამიანსო...
საყურადღებო ჰიპოთეზაა.

* * *

მებუფეტე ვახტანგ ბუკოვსკიმ მევალეების სია გადმოიღო და ერთ-ერთი მუშტარი კატეგორიულად გააფრთხილა:
— დროზე მეიტანე, ბიძია, ვალი, თვარა ურჩ გადამხდელთა სიაში შეგიტანო.

* * *

- ალო, ალო, როგორი ამინდია ქუთაისში?
— ქარს მიაქვს აქაურობა.
— მერე რას შობით?
— ტაქსებით დავდევთ ქუდებს.

* * *

ქუთაისელ პოეტს დავით ხუროძეს მოგონებების მთელი ციკლი აქვს სათაფლიის აღმომჩენ პეტრე ჭაბუკიანზე. ბატონ პეტრეს ბანდიტები დასხმიან. რა გნებავთ, ბატონებოო? — უკითხავს პეტრეს. რა უნდა გვენებავდეს, ფულიო! — უყვირიათ ბანდიტებს. პეტრეს ჯიბეში ჩაუყვია ხელი, მოხალული კვახის კაკალი ამოუღია ჯიბიდან და წყნარად უთქვამს: — ა, ბიძია, თქვენ, თავი შეიქციეთ მანამ, სანამ ფულიანი კაცი ჩამოივლისო.

* * *

ძველ დროში როგორი არჩევნებიც ტარდებოდა, კარგად მოგეხსენებათ. მაგრამ მოხდა ისე, რომ რაიონული საბჭოს დეპუტატად, სწორედ, მილიციელი ვალიკო ჩიტიანი დაასახელეს და მასთან ამომრჩევლების შეხვედრაზე, სეირის საყურებლად მოსულმა ქუთაისმა გაჭედა დარბაზი. დეპუტატობის კანდიდატი კარგად მიხვდა, რომ ამდენი ხალხი რაიმე პოლიტიკური ინტერესებით კი არა, საღადაოდ მოვიდნენ. ჰოდა, არც თვითონ დაუმალავს თავისი სათქმელი:

— რა იყოთ ყე, რამ გადაგრიათ, ამდენი ხალხი რომ მოსულხართ და მომშტერებიხართ! რავარი ამომრჩევლებიც თქვენ ხართ, ისეთი დეპუტატობის კანდიდატი ვარ მეც.

* * *

რეზო ძიძიგურს ებრაელი მიუყვანეს: ყელში ძვალი აქვს გაჩხერილიო.

— სახლ-კარს გავყიდი, ოღონდ გადამარჩინე, — შეევედრა ებრაელი.

ამოუღო ძვალი. მეორე დღეს, გადარჩენილმა ოცი მანეთი მოუტანა.

— ოც მანეთად სახლ-კარი რამ გაგაყიდვინა, შე უბედურო, — შეეცოდა რეზოს და ის ფულიც უკან დაუბრუნა.

* * *

ოტია იოსელიანს და რეზო მიშველაძეს, მკითხველებთან შეხვედრაზე, ასეთი შეკითხვაც დაუსვეს: რამდენჯერ შეიძლება ქალმა შეიყვაროს მამაკაცი?... ოტიამ რეზოს შეაჩეჩა კითხვა, პროფესორი კაცია, ამას უფრო ეცოდინებაო. რეზოსაც, რაღა ექნა, ამ უხერხული კითხვის მიუხედავად, ილაპარაკა სიყვარულში ერთგულებაზე, პლატონურ სიყვარულზე, დედაკაცსა და მამაკაცს შორის ძველმოდურ თუ ახალმოდურ ურთიერთობებზეც, მაგრამ ზუსტი ციფრის დასახელებას მაინც მოერიდა. კითხვის ავტორი ქალი კი არა და არ მოეშვა.

— გამეცით პასუხი, მაინც რამდენჯერ შეიძლება სიყვარული?

რადგანაც აღარ იყო საშველი, რეზო მიშველაძემაც, არც აცხელა, არც აცივა, და ციფრი დაასახელა — თხუთმეტჯერო!

— თქვენ რაღას იტყვით? — ახლა ოტიას შეუბრუნა ქალმა კითხვა.

— მეც იგივე აზრის ვარ, თხუთმეტჯერ, — უპასუხა ოტიამ.

— ესე იგი თექვსმეტჯერ არ შეიძლება? — იკითხა ქალმა.

— მეთექვემეტედ უკვე ბოზობაა, ქალბატონო! — თქვა ორივემ.

* * *

- რას დაასეირნებს, თუ იცი, ჭიჭიკია თავის სიდედრს ვენახში?

— ასე მითხრა — ვენახს ვწამლავო.

— მაშინ, საფრთხობელაც დაეყენებია და ჩიტი ვერ გადაუფრენდა თავზე.

დეგ მათი. ისედაც უბადრუკი, დოვლათი აუქციონზე გროშებად გაყიდონ. მაინც, პირველ რიგში, უმაღლესი და საშუალო სკოლა უნდა განადგურდეს. აი, ესაა დეგრადაციის საფუძველი.

და ყველაფერი, რაც საუკუნეების მანძილზე ვაშენეთ, გამალებით ვანგრევთ. ჩვენს ქვეყანაშიც ეშმაკები შეძვრნენ და განხეთქილებისკენ უბიძგებენ. თურმე, მართლმადიდებლობა ტოლერანტობაში გვიშლის ხელს და გვეშინია, საქართველო ჭეშმარიტ ქრისტიანულ ქვეყნად ვაღიაროთ. ამიტომაც, მოვიმრავლოთ გადამთიელთა სექტები და შეტევები მართლმადიდებლობაზე.

თურმე, მთავარია, ტოლერანტები ვიყოთ და სულერთია, სად ვილოცებთ... იქნებ გაიხსენოთ, თურქეთში ეხლა მცხოვრებ ქართველთაგან, ვინმე პოეტი, მხატვარი, მწერალი ან მეცნიერი?

საკვირველია, ჯერ კიდევ როგორ ცხოვრობს ხალხი, როცა საშუალო ხელფასი სიღატაკის ზღურბლს მრავალჯერ ჩამორჩება. ამიტომაც, ასე გაივსო თბილისი მათხოვრე-

— შენ ხუმრობ და ისეთი საფრთხობელა გამოუგონებია, რომ ყვავებს შარშანდელი ნაქურდალიც უკან მოაქეთ?!

* * *

დურუ შენგელიამ ვაჟა ჭყონიას ორკაპიკიანები გამოართვა ტელეფონზე დასარეკად, მაგრამ რამდენიც ჩააგდო — იმდენი გადაყლაპა ავტომატმა.

— რაა, შე კაცო, ეს... თბილისური ავტომატები სამი ციფრის აკრეფას მაინც გაცლიან კაცს, აქ კი...

— მაგდენი კულტურა სადა გვაქვს, ბატონო, აქაური ტელეფონები დაუღეჭავად ყლაპავენ ფულს.

* * *

ფარვიზ ზარქუა:

— ნუხელ ოთხმა კაცმა ძლივს შემოგიტანა სახლში, — უსაყვედურა ცოლმა ქმარს.

— აბა, ის ჯობდა, ოთხ კაცს გავეტანე სახლიდან?

* * *

გივი მელქაძე:

— სად იყავი?

— ჩვენი ქალაქკომის მდივანი გადაუყვანიათ თბილისში და მატარებელზე გავაცილე.

— მერე, სახეზე ეგ მაზუთი რა არის?

— გაცილებისას ორთქმავალს ვაკოცე.

* * *

დათო ნერეთელი:

ბიზნესი ქუთაისურად!

— პირველი ბიზნესმენი: ერთ ვაგონ შაქარს მოგყიდი 600000 მანეთად, გინდა?

მეორე ბიზნესმენი:

— მინდა...

— დაკა ხელი!

ერთი შაქრის საშოვნელად გაიქცა, მეორე ფულის.

* * *

ექიმთან:

— ღვინოს სვამთ?

— მხოლოდ დღესასწაულებზე...

— კერძოდ... რომელია თქვენი საზეიმო დღეები?

— როცა ღვინო მაქვს.

* * *

ამირან ვიბლიანი:

სვანი თვითმფრინავში ცოლ-ქმარს შორის მოხვდა. ცალკე ქმარმა თხოვა, ცალკე ცოლმა — თუ შეიძლება, ერთი სავარძლით იქეთ გადაჯექითო, მაგრამ, შენც არ მომიკვდე — ფეხი ვერ მოაცვლევინეს.

— ჩემი ადგილი ეს არის და სხვაგან რა მინდა? — ნარბები შეკრა მან.

თვითმფრინავში მეგრელი ამოვიდა და იკითხა — რა ამბავია აქო?

უთხრეს. დანყნარდით, ახლა მე მაგას ერთ სიტყვას ვეტყვი და სულ ჩავა თვითმფრინავიდანო. მართლაც, მივიდა, რაღაცა უთხრა და ის კაცი, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ადგა და ჩავიდა.

— რა უთხარი ასეთი? — ჰკითხეს მეგრელს.

— რა და — ეს რიგი დღეს არ მიფრინავს-მეთქი?!

* * *

- ეს კაცი ვინ არის?... გადაუბრიალა ქმარმა ცოლს თვალები და მის სანოლში მხვრინავ კაცზე მიუთითა.

— ვინაა და ის კაცია, ჩვენ რომ ბინის მიღებაში დაგვეხმარა, მანქანა გამოგვაყვანინა, შვილი უმაღლესში მოგვინყო...

— საბანი გადააფარე, ქალო, არ გაცივდეს... გააფრთხილა ქმარმა.

* * *

ერთ გურულს ჰკითხეს: ამდენი სისულელის გაკეთებას როდის ასნრებო და უპასუხა: გვიან ვნვებიო.

* * *

ალეკო გეგია:

— პირველად ვხედავ, მიცვალებული იღიმებოდეს!

— აბა, რა ქნას... პანაშვიდზე მისი უფროსობა მოვიდა და მათ უცინის.

* * *

— რატომ არ სვამ ღვინოს, კირილე!

— დღეს კრებაზე სიტყვით ვარ გამოსასვლელი და მეშინია, სიმართლე არ ნამომცდეს!...

* * *

ჩემი ცოლის ძმის — ოზურგეთელი არსენა კეჭაყმაძის მონაყოლია! გურიაში, გოგოლივით, ბევრ

*ბით და ყოველი მეოთხე დედა ახალშობილზე უარს ამბობს, ხალხი ლუკმა პურისთვის ყველაფერს ყიდის, რაც ოჯახში გააჩნია, რომ შვილი მაინც როგორმე გადაარჩინოს.*

*ინტელიგენცია სხვათა მსახური გახდა თავის ქვეყანაშიც და უცხოეთშიც. ქართველი მოჯამაგირეებით გაივსო გერმანია და პოლონეთი, თურქეთი და საბერძნეთი. მთელ მსოფლიოში დაეცა ქართველი ადამიანის პრესტიჟი.*

*რა გვეშველება? რატომ უნდა გვეშველოს, როცა ერთმა (ამჟამად, უკვე ყოფილმა) პარლამენტარმა ეკონომისტმა ისიც კი ბრძანა, რომ თუ პროფესორს თავის რჩენა არ შეუძლია, ფეხსაცმელების მწმენდავად იმუშაოსო. ეტყობა, თუ ესეც ვერ შეძლო, უნდა მოკვდეს. სხვა რა გზა აქვს? საოცარი სწორედ ისაა, რომ თვით ეს ყოფილი პარლამენტარი პროფესორია და, მიუხედავად იმისა, რომ პროფესორობა ვერ შეძლო, აღარც განათლების ბედი აწუხებს და არც მეცნიერთა გენოციდი მიაჩნია საგანგაშოდ.*

*მიხეილ თევდო-*

რუსულ გვარს ნაანყდები კაცი და ბევრ რუსს ნახავ გაგურულებულს, რუსულის ინჩი-ბინჩი რომ არ ესმის. ყოველივე ამას, ხშირად, კურიოზებიც ახლავს!

გაცლილ და უსაქმურობისაგან მონყენილ „საქმიან ეზოში" ვიღაცა რუსი შემოვიდა და რაღაც ორი ღერი ფიცარი რომ ყრია, იმის ფასი იკითხა. აქაურ მუშას სანყობის გამგესთან საჩურჩულოდ ორი ფეხის გადადგმაც შეეზარა და რადგან კლიენტიც არა აქაური — ვიღაცა გადამთიელი ეგონა, მთელი ეზოს გასაგონად, მთქნარებით გასძახა:

— ტოტოშა!... ეინცხა რუსია მოსული, აგერ. ფიცარი უნდა და სამი მეტრი ხუთად მუუზომო?...

— მე შენ მოგზომავ, კარგად! — არ დააყოვნა პასუხმაც, მაგრამ არა ტოტოშას, არამედ იმ გაგურულებული რუსის მხრიდან, რომელსაც რუსულზე უკეთ უკვე ქართული ცოდნია!

* * *

მეორე შემთხვევა კი ასეთი იყო: სახინკლეში ნაბახუსევმა სპარტაკ ბაღაშვილმა შემოალაჯა. დიდხანს უცადა გასულ დახლიდარს, რომელიც მაგიდებს შორის დაბორიალებდა ხინკალ-ქაბაბით ხელში და, რომ აევსო მითმინების ფიალა, ადგა, მუხის კასრიდან ამოშვერილ შეორთქლილ მილს შეუშვირა კათხა და ნახევრად აავსო... ამასობაში, თვითმომსახურებაზე გადასულ საქვეყნოდ ცნობილ კლიენტს დახლიდარმაც მოუსწრო და უთხრა:

— გაამოს, გაამოს, სპარტაკჯან... ბოლომდე რატომ არ შეავსე ჭიქა?

— ხელობას ხომ არ გაგიფუჭებდი... რაც ვერ ავაქაფე — დავაკელი... ალალად უპასუხა ბაღაშვილმა და სულმოუთქმელად დაცალა კათხა.

* * *

სასამართლოში განქორწინების საქმე ირჩეოდა.

— ქორწინებამდე რა ურთიერთობა გქონდათ?

— მოგვწონდა ერთმანეთი.

— ქორწინების შემდეგ?

— აღარ მოგვწონს.

— ქორწინებამდე რას აკეთებდი?

— რისი ხომშიც მქონდა!

* * *

კახელი მივიდა მეგრელთან და სამსახური თხოვა.

— ხო იცი, კახელები როგორი ჩუმი და ერთგული ხალხი ვართ.

— კი, მაგრამ... — თავი შეიკავა მეგრელმა, — საიდუმლოს შენახვა რომ არ იცით?

— ვინა, კაცო, ჩვენა?

— დიახ, დიახ, თქვენა — გაუმეორა. აბა, ვირთან რომ რაღაც ინტიმურ კავშირზეა ლაპარაკი, ის ვირმა თქვა? — გამოიჭირა მეგრელმა.

---

*„მზად იყავით, ვინაიდან, როცა არ ელით, სწორედ მაშინ მოვა ძე კაცისა" (მათე, 21-44).*

* * *

დებილობის ათასნაირი ვარიანტი არსებობს!... მახსოვს, ერთმა კაცმა, ერთი კვირის შემდეგ, ერთ ადგილზე დამინიშნა შეხვედრა, სადაც, ცარიელი მინდორის გარდა, არაფრის ჭაჭანება არ იყო?!

— სად შევხვდეთ? — ვკითხე მე.

— აგერ იქ, ის კაცი რომ დგას — „ამიხსნა"...

— კი, მარა, ის კაცი სულ მანდ იქნება?

— აბა, სად ჯანდაბაში წავა? — თავის თავზე კი არა, იმ კაცზე გაბრაზდა ის კაცი?!

* * *

მე თუ, მკითხავთ — ყველა კაცი კარიერისტია, მაგრამ ყველა კარიერისტი არაა კაცი. ახლა ამ უკანასკნელზე მოგახსენებთ!

შემხვდა და სალამი დამიგვიანა... მერე, მასზე უფრო დიდი თანამდებობის პირთან დამინახა და პირი „მოიწმინდა".

— მაპატიეთ, სათვალეებში ვერ გიცანითო.

— არა უშავს, ან ჩემი სათვალეებია მიზეზი, ან შენი უსათვალობა! — „დავამშვიდე".

— დიახ... შეიფერა და მოიბოდიშასავით — ახლო მხედველი ვარ...

— მჯერა... შორსმხედველი რომ იყო, ასე არ მოიქცეოდი!

* * *

გმირთა მოედანთან გამძვინვარებული რეიდია. არის ყაყანი, სტვენა-სტვენა და მანქანების ზედახორა. აბა, ჩაისუნთქე!... აბა, ამოისუნთქე! მოკლედ, ამ ქვეყანაზე ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შეგიძლიათ და ვალდებულიც ხართ, თავისუფლად ჩაისუნთქოთ და ამოისუნთქოთ!

— რა ამბავია?... კითხულობს ერთი გალეწილი მძღოლი და ყოველგვარი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის გარეშე ღვინის სუნით აყროლებს იქაურობას.

— მშვიდობაა, ქაბატოჯან — „ქეთო და კოტეს" პერსონაჟივით ადგება თავზე ავტოინსპექტორი. — შენი ფეხით მოხვედი, ჩიტო?...აბა, საბუთები!... ყოველგვარი ხუმრობის გარეშე ხმას უწევს იგი და გულგრილად ათვალიერებს მძღოლის მოწმობას... მერე, უეცრად ფერი ეცვლება და გონს მოდის.

— შენი გვარი სირაძეა?

მთვრალი შოფერი თანხმობის ნიშნად თავს აქნევს.

— იმიტომ ხარ ასე დიდ გულზე... ცეკას მდივანი ვიქტორია სირაძე რა არის შენი?

მძღოლს იმდენი სიფხიზლე კი შერჩენია და იმდენი ჭკუა კი აქვს მიხვდეს, რომ ახლა წყდება მისი ბედი.

*რაძე (სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილე).*

*1941 წლის 7 ნოემბრის სამხედრო აღლუმის ყველა მონაწილე საბრძოლო ტექნიკით და შეიარაღებით იყო აღჭურვილი, რომლებიც პირდაპირ მოწინავე ხაზზე გადიოდნენ. სტალინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე იდგა და პირადად აცილებდა „წითელი არმიის" ნაწილებს. როგორც კი მონღოლების კავალერიამ ჩაიარა, დაახლოებით 10 წუთის შემდეგ. ე. წ. სახალხო ლაშქრის ნაწილები გამოჩნდნენ. ისინი ავტომატებითა და შაშხანებით იყვნენ შეიარაღებულები. როდესაც „ლაშქრის" კოლონა მავზოლეუმს გაუსწორდა, მათი რიგებიდან, მავზოლეუმის ტრიბუნის მისამართით, მიზანმიმართული, ავტომატური ცეცხლი გაიხსნა, რომელიც დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მსროლელი თავად მისმა მეგობრებმა განაიარაღეს. ნასროლი ტყვიები სტალინს მოხვდა, რომელიც ძირს დაეცა და აგრეთვე, მოლოტოვს, რომელსაც მხოლოდ ხელი გაუკაწრა. დაჭრილი სტალინი საავადმყო-*

— ბიძაა ჩემი, ბატონო!

ეს მარტო მთვრალი კი არა, დეგენერატიც ყოფილაო — გაიფიქრა რეიდში მონაწილე ავტოინსპექტორმა და მატყუარა მძღოლს ტვინთან ერთად ტალონიც გაუხვრიტა.

* * *

ჩვენში საცალფეხო გზებს სამანქანოდაც იყენებენ.

* * *

არ ვიცი, რატომ ჰქვიოდა მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო? დღემდე ვერ აუმუშავებიათ!..

ესე იგი, არც ისე „მსუბუქი" ყოფილა!

* * *

პახმელიაზე ვართ.

— დავლიოთ გაზიანი ბორჯომი, — ამბობს ერთი.

— უფულობას რა ვუთხარი, თორემ შამპანიურს რა — ნაკლები გაზი აქვს! — ამბობს მეორე.

* * *

თავმდაბალი კაცია — ჩრდილში დგომა უყვარს (როცა ცხელა!).

* * *

ყველაზე რიგიანი რიგი!

...როცა მრავალშვილიანი დედის ოჯახში ტყუპები დედის „რძის რიგში" დგანან... უფრო სწორად — წვანან!

* * *

ჩვენს დროს, მისაღებ გამოცდებზე, იყო ასეთი შემთხვევა: ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ძმა — ძმის მაგივრად გაეიდა და ვერაფრით ნიშანი ვერ დააკლეს.

— შენ აფერისტი ყოფილხარ — უთხრეს გამწარებულმა გამომცდელებმა, როცა გაიგეს რაში იყო საქმე.

— მე ძმა ვარ — მიუგო მშვიდად — აფერისტები კი თქვენა ხართ!.

* * *

გავიხსენოთ ერთი ასეთი ამბავიც.

აღსრულდა!.. რევოლუცია ფაქტად იქცა!.. დაიბადა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო და აღმოჩნდა, რომ... მას არ ჰქონდა სახელმწიფო ჰიმნი?!

— სახელმწიფო უჰიმნოდ?.. ყოვლად დაუშვებელია, — თქვეს პროლეტარებმა და, როგორც ყოველთვის, მუშათა კლასს ძმასავით ამოუდგა მხარში პროლეტარული სატირა, რომელმაც მაშინვე ნახა გამოსავალი.

— ძველი ჰიმნი ხომ გვაქვს? — თქვეს მუშებმა.

— მერე, ძველ ჰიმნს რა თავში ვიხლით, — გაიკვირვეს ახალი ერის მშენებლებმა, — „ბოჟე, ცარია ხრანის“ ხომ არ ვიმღერებთ?..

- რატომაც არა, — უთქვამს ერთს. — სანამ ახალ ჰიმნს შევქმნით, დავტოვოთ ძველი, მხოლოდ „მცირეოდენი“ შესწორებით — ძველ ტექსტს დავუმატოთ თავსართი „ოტ“ და ყველაფერი თავის ადგილას დადგება.

და რა გამოვიდა?

— „ბოჟე, ოტ ცარია ხრანი!“

* * *

რევოლუციამდელი საქართველოს სატირულ-იუმორისტული პერიოდიკის შთამომავალმა და საბჭოთა საქართველოს სატირულ-იუმორისტული პრესის თავფურცელმა, 1921 წლის 1 აგვისტოს გამოცემულმა ჟურნალმა „ყუმბარამ“ ერთგვარად შეაფასა მისი წინაპრების შემოქმედებითი რევოლუციური ღვაწლი და მის ერთადერთ ნომერში გამოაქვეყნა ძველი დროების სამგლოვიარო განცხადება:

„თავზარდაცემული ჭკუის კოლოფი ანტანტა მწუხარებით აუწყებს თავის თითებზე ჩამოსათვლელ ნათესავეთა და სანთლით საძებნელ მეგობრებს, რომ ხანგრძლივი სენით შეპყრობილმა ამიერკავკასიის ბურჟუაზიულმა რესპუბლიკებმა... სული განუტევეს და მემკვიდრეებს სთხოვს, თავი არ შეიწუხონ, ვინაიდან მათი უძრავ-მოძრავი ქონება და მკვდარი და ცოცხალი ინვენტარი წინდაწინვე გაზიდულია“.

გვარს არ ვასახელებ, რადგან არ შემიძლია, „აფერისტი“ ვუწოდო გენიალურ იმპროვიზატორს.

... ჩვენი ბიჭობის დროს მთელი თბილისი „საზრიანთა კლუბს“ (კვნ-ს) წარმოადგენდა და მის ყოველ კუთხე-კუნჭულში დადიოდნენ ადამიანები, რომლებიც, ასე ვთქვათ, ენით მეცხრე სართულიდან ჩამოიღებდნენ კაცს და ქვიდან წვენს ადენდნენ.

მათ შორის იყო ერთი ექიმი, გარეგნულად, თავის ხალათიანად თეთრი და ბროლივით გამჭვირვალე კაცი, თუმცა ეშმაკიც ვერ მიხვდებოდა, მის თავში რა ტრიალებდა და გულში რა ედო. დავარქვათ მას კოლექტიური მეტსახელი — პეტრე ან პავლე. მით უფრო, რომ იგი თავადაც ხშირად იყენებდა ამ მეტსახელებს და სიტუაციის მიხედვით — ხან პეტრე იყო — ხან პავლე.

იმჯერად, ბატონი პეტრე, თბილისის გარეუბანში მუშაობდა (სასწრაფო დახმარების ექიმად) და

*ფომში გააქანეს. მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა და, მართალიც, დიდი შეღავათი იყო ის, რომ მოკლული. სინამდვილეში, სტალინის ერთ-ერთი ორეული იყო, ხოლო, თავად დიდი ბელადი კი მოსკოვის თავდაცვის ხაზის სამეთაურო პუნქტზე იმყოფებოდა და იქიდან ადევნებდა თვალყურს, როგორ შეეცის მონღოლთა ოცდაათიათასიანმა ლაშქარმა გაოგნებულ „ესესელთა“ ნარჩევ დივიზიებს და კუდით ქვა ასროლინა მათ. „სტალინის“ მკვლელი კი ვინმე სტეპან კარპოვი აღმოჩნდა, რომელიც ფაშისტური დაზვერვის დავალებით მოქმედებდა და მიზნად დიდი ბელადის ლიკვიდაცია ჰქონდა დასახული.*

**P.S.** *ისე, ერთი სტალინი კი სამუდამოდ და დანარჩენები სამარადისო სტალინად რომ შემოენახათ, ისიც გადარჩებოდა და ჩვენც.*

*ქმარი თავის ძაღლს ცოლივით მოექცა ცოლი ძაღლს — ქმარივით!*

*ყველაზე სასარგებლო ანდერძი ცხოველებისთვის — კი-*

იმ დროისათვის შესაფერი „სასწრაფო" ტრანსპორტიც ერგებოდა — ცხენი თუ ჯორი! დიახ, ცხენი... ავტომანქანით მიუვალ ადგილებში მისასვლელად! მიუვალ ადგილებში მისვლა კი, ბატონ პეტრეს, არც ცხენით უყვარდა, არც ფეხით და არც მანქანით. ამიტომ, ადგა და ერთ მშვენიერ დღეს ეს ცხენი... მიაპრადალა! (ფული უფრო დაჭირდა, ვიდრე ცხენი).

ოთხფეხა „სასწრაფო დახმარებას" ასეთ ვითარებაში უფრო სასწრაფოდ გამოუჩნდნენ მომხმარებლები და ბატონმა პეტრემ ეს ფული ძმაკაცებში დაამღერა.

მაგრამ ეს მუხთალი წუთისოფელი გაახარებს ვინმეს, განა! ბატონ პეტრეს ქალაქის ჯანგანის რევიზია დაეცა და ცხენი მოიკითხა.

— კაკო ყაჩაღს ვათხოვეო — იფიქრა, ხუმრობით ვუშველიო თავს, მაგრამ ვერ უშველა. ჯანგანი ჯანიან-განიანად დაადგა თავზე და ყელზე:

— ამხანაგო, თქვენ მაიმუნობას თავს დაანებებთო?

ისინი რომ მართლა ამხანაგები ყოფილიყვნენ, ამას ხომ არ ეტყოდნენ?! — პავლეს ვათხოვეთ და ხვალვე მოვიყვანთო — შეპირდა პეტრე.

ის რევიზია არ იყო ერთი დღით მისული და აცალეს მეორე დღემდე. ერთ დღეში ან ცხენს იშოვნი — ან ფულსო... ვილაც მენავთეს სთხოვა, შენი ტაჭკის ცხენი მათხოვეო.

- ეს ცხენი თეთრია, ჩვენ კი საბუთებში შავი გვიწერია, — შეახსენა ბატონ პეტრეს მედიცინის ძმამ (კაცი იყო).

შავად გვქონია საქმეო — გაიფიქრა საზრიანობით ცნობილმა ბატონმა პეტრემ და გამოსავალი მაინც ნახა — მოძებნა ნაცნობი მღებავი, თეთრი ცხენი შავად გადაალებინა და ა, ბატონო ჩვენო, ყორანაო.

ასე გადაურჩა რევიზიას, მაგრამ მერე ძლივს გადაურჩა „მეტაჭკეს", რომელმაც ცხენი ველარ იცნო და ერთი თეე ბანდა და რეცხდა თავის ჯაგლაგს.

* * *

მისი იშვიათი იშკილბაზობის კიდევ ერთი ამბავი, რომელიც ნებისმიერ ფათერაკებიან სათავგადასავლო და ე.წ. „პლუტოვსკი" რომანს დაამშვენებდა!

ბატონი პეტრე ვილაცას თვითმფრინავზე აცილებდა მოსკოვში. ამ დროს თვალი მოკრა ქალაქში ერთ ცნობილ ვაჭარ ებრაელს, რომელიც ფაციფუცით ადიოდა ტრაპზე... იფიქრა, ამას დიდი ფული მიაქვსო, სალაროში მივარდა, ბილეთი აიღო და უცებ, გამცილებელი — მგზავრად იქცა?!..

მერე?

მიხვდი რამეს, მკითხველო?

რასაც ბატონი პეტრე ან პავლე ჩაიფიქრებდა, ამას შენ კი არა, ეშმაკი ვერ მიხვდება.

კავკასიონს გადაუფრინა თუ არა თვითმფრინავმა და, ასე ვთქვათ,

---

*„მრავალი პირველი იქნება უკანასკნელი და უკანასკნელი – პირველი" (მათე, 19, 30).*

*ანდრე მორუა: სერიოზულობისაკენ მიდრეკილების გამო განსაკუთრებით მსიამოვნებს... ბავშვებთან საუბარი.*

„ცვლაგეზი" აილო — გაიკაკა, ბატონმა პეტრემ პენსნე მოიხსნა. ქათქათა ცხვირსახოცით შეუდგა სათვალის გაკრიალებას და სტიუარდესაც იხმო.

- მადამ... აქ, სადღაცა, თვითმფრინავში, ფული დავკარგე. გთხოვთ, გამოაცხადოთ სალონში. თუ ვინმემ იპოვნა — თხოვეთ, დამიბრუნოსო, წინაალმდეგ შემთხვევაშიო, მგზავრებთან დიდი ბოდიში, მაგრამ იძულებული ვიქნები, მილიციას მივმართო და მგზავრები მოსკოვში გავაჩხრეკინოო!.

ეს მორიძალებული „განცხადება" ზუსტად ასე თავაზიანად და სიტყვასიტყვით გამოაცხადეს!... ვაჭარი სავარძელში გველნაკბენივით შეხტა, მაგრამ თავი შეიკავა. მგზავრებმა ერთმანეთს მშვიდად გადახედეს, მერე კი თანაგრძნობით გამოხედეს თხემით-ტერფამდე ინტელიგენტური გარეგნობის კაცს, რომელიც შესახედავად ანგელოზს უფრო ნაგავედა, ვიდრე მინიერსა და, მით უფრო, ბინიერს.

თვითმფრინავში ისევ ზუზუნა სიჩუმემ დაისადგურა. თუმცა, ეს სიმშვიდე, ცხადია, მოჩვენებითი იყო, რადგან სალონში ეკლებზე იჯდა რბილ სავარძელში მოკალათებული უცნობი, რომელმაც ამასობაში გონებაში უკვე ასჯერ გაზომა და ერთხელაც ვერ გაჭრა — როგორ მოქცეულიყო. ბატონი პეტრე თუ პავლე კი (ჯანდაბას მისი თავი) მშვიდად იჯდა და ელოდა.

ვაჭარმა ვაჭრული ალღოთი იგრძნო, რომ ბატონი... ამჯერად, პავლეს სახით, საქმე ჰქონდა უმაღლესი რანგის აფერისტთან, მაგრამ კარგად რომ დაფიქრდა, არც თვითონ იყო დიდი მამა აბრამის ბატკანი — მოსკოვში საქმეების ჩასანყობად მიდიოდა და მილიონი მანეთი მიჰქონდა, თუმცა, ძველი კურსით, მაგრამ ეს რომ „გაეშმონათ" და ვინმეს ენახა... რა „კურსით" შეხედავდნენ ამას... ხომ ეტყოდნენ — საიდანო?

ახლა ხომ მიხედით, რა მუცლის გვრემაც ჰქონდა? ... ადგა, სწორედ მუცლის გვრემა მოიმიზეზა და შენუხებული სახით გაალაჯა იქეთ, სადაც მეფეებიც კი თავისი ფეხით დადიან, აქეთობას კი, არც აცია-არც აცხელა და კაი შეყვარებულივით მიუჯდა გვერდით ბატონ პეტრეს.

— რამდენი დაკარგეთ, ბატონო?

— 100.000 მანეთი — ისე დამაჯერებლად წარმოსთქვა, რომ ეტყობოდა მანეთის დამკლები არ იყო.

ვაჭარს სახე მოექცა.

— არ დაკარგავდით ამდენს...

— როგორ გეკადრებათ...

— არ დამღუპო — შეევედრა.

— თქვენ რა შუაში ხართ?

*ნოპროდიუსერმა, მილიონერმა როჯერ დორკასმა თავისი 65 მილიონიანი ქონება საყვარელ ძაღლს, მაქსიმილიანს დაუტოვა. სასამართლომ ძაღლი იურიდიულ პირად ცნო და ქონებაც გადაულოცა. დორკასმა ცოლს მხოლოდ 1 ცენტი დაუტოვა. ქალმა კი ეშმაკობა იხმარა და ცოლად გაჰყვა ძაღლს.*

*მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმში, რომელიც ლონდონში მდებარეობს, ახალი ექსპოზიცია გაიხსნა, რომელიც რობი უილიამსს ეძღვნება. სახელგანთქმული მომსრულებლის ახალი ორეული ინტერაქტიულია და ნებისმიერ შეხებაზე რეაგირებს. თქვენ შეგიძლიათ, ცვილის „რობის" ლოყაზე აკოცოთ. ამ ყველაფერზე თავად თოჯინა, ლაწვების თამაშით და თვალებში ნაპერწკლების გაელვებით, გიპასუხებთ. ყველაზე მხურვალე თაყვანისმცემლისთვის დაწესებულია პრემია. სიმღერა „She's the One" („ის ერთადერთია"), რომელიც მორიახლის დამონტაჟებული რეპროდუქტორებიდან მოისმის.*

მძიმე პაუზა.

— ჯანდაბა შენ თავს... გამოაცხადე, რომ ფული იპოვნე! — ჩაიქნია ხელი ვაჭარმა და ქაღალდში აკურატულად გახვეული მისი წილი ბატონ პეტრეს მოართვა (მოუტეხა)... ოღონდ, ერთი პირობით... დააყოლა მან, — შენ დიდი ოხერი ვიღაცა ჩანხარ და სხვა დროსაც რომ არ გამიმეტო ასე, მოდი, დავძმაკაცდეთ... ამ საღამოს, 7 საათზე, რესტორან „არაგვში" გელოდები.

ასე დამთავრდა ეს ეპიზოდი... უფრო სწორად ასე დაიწყო!

ამ ამბავს მეორე სერიაც ჰქონდა. იგი სწორედ იმ საღამოს ზუსტად საათზე შედგა.

პატივცემული (თანაც, ერთობ პატივცემული) ბატონი პეტრე თუ პავლე საღამოს 7 საათზე „ნემეცური" სიზუსტით გამოცხადდა რესტორან „არაგვში", პალტო გაიძრო, შლაპაც მიაყოლა, ხელთათმანებიც... ეს ყველაფერი მეტრდოტელს მიაჩეჩა და ყველაზე უფრო პრესტიჟულ მაგიდაზე გამოიჯგიმა...

არანაკლები „ნემენცური" სიზუსტით გამოცხადდა ახალდაძმაკაცებული ვაჭარიც, რომელსაც თან ორი საეჭვო გარეგნობის ახალგაზრდა შემოყვა და ორბის მზერა მოაველო დარბაზს.

— ერთი, აქეთ მობრძანდი, — გაიხმო ბატონი პეტრე ახალმოსულმა და იმ ორ უცნობზე მიანიშნა, — დაგენაცვლე, იმ ტიპებს ხომ ხედავ, შენი დასაფსები თვალით... ხარჯი-ხარჯია, ბიძია.... შენ ისეთი შტუკა გამიკეთე, მაგას არ შეგარჩენ... აი, ეს ორი კაცი დავიქირავე შენს მოსაკლავად... ხუთას-ხუთას თუმან ფულს ვაძლევ და გიტირებ ბოხი ხმით.

- ოხ, მაგათი მეძეირე დედა... — უპასუხა ბატონმა პეტრემ და გვარიანად შეიკურთხა, — მე, აგერ, ქუჩაში, „ბასიაკები" რომ ყრია... ერთი ლიტრი არყის ფასად დავითანხმებ მაგ საქმეზე!

* * *

პროფესორი ოთარ ღუდუშაური ახალი დანიშნული იყო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად. მასთან და მის თანამშრომლებთან ერთად ერთ წვეულებაზე მოვხვდი, სადაც ინსტიტუტის ძველი ხელმძღვანელობიდან ჯერ კიდევ შემორჩენილმა ერთმა „მუშაკმა", ახალ რექტორთან იმდენი კოლეგა ჩაუშვა, იმდენი კაცი დაასამარა, რომ ძლივს ვიკავებდი თავს, დედა არ შემეგინებინა... ვიჯექი ჩემთვის, შესაფერ მომენტს ველოდი და ამანაც არ დააყოვნა!

შუა სუფრაზე ღუდუშაურმა ნასვლა დააპირა, ადგა და ბოდიში მოგვიხადა:

— ბატონებო, მოგეხსენებათ, ხვალ გამწვანების ერთთვიური იწყება და ნერგების ჩასაყრელად ჩვენს ინსტიტუტს გეგმით 4000 ორმო აქვს გასათხრელი.

— პატივცემულო რექტორო, — ვიხელთე დრო, — აგერ თქვენმა ახალმა თანამშრომელმა — თქვენს ძველ თანამშრომლებს იმდენი ორმო გაუთხარა... ჩათვალეთ, რომ გეგმა შესრულებული გაქვთ — ვუთხარი მე.

---

*ღვთისო მამისაშვილი: ხალხის მეხსიერებამ შემოგვინახა კაფიები და მათ შემქმნელთა ვინაობაც: მერცხალა, ყრუ გიორგი, ფრუშკა, მეშვათ ჭრელა და სხვანი.*

* * *

პარიზი!

ფარდა!

— ჩამოეუშვათ?

— არა, პირიქით ავხადოთ, რომ ავსულს სული ამოვხადოთ!.. რადგან, როგორც იტყვიან — არაფერი ისე არ უკარგავს საქციელს ბოროტებას, ვიდრე იმის შეგნება, რომ მას მიუხვდნენ!..

„ნიანგში" მუშაობის დროს, ჯერ რედაქტორობაში მეცილებოდნენ, მერე — მოადგილეობაში... იმდენი „მოინდომეს", რომ ახლა ის „ნიანგიც" წყალმა წაიღო და ის მოგონებაც. მაგრამ ყველაფერს დროს ვერ გავატან.

*„კარგი მეხსიერება იმას აქვნია, ვისაც... დავიწყება შეუძლიაო?!"*

მე თვითონ ამ ჭკუაზე ვარ „პაემანში..." მაგრამ არც გულღრძოობა შეიძლება და არც გულმავიწყობა!

დაუსჯელობა ბოროტების წახალისებაა და თუ ავ საქმეს ხალისი არ დაუკარგე, მისი თანამონაწილე ხდები! ამიტომ ამ „ოპუსს" ვუძღვნი იმ კაცს, რომელსაც სახელით იმიტომაც არ ვახსენებ, რომ ...უხსენებლად ვთელი.

არადა, დღესაც კაი ბიჭად (რაღა დროს მისი ბიჭობაა) თვლიან თბილისელები... 2 კაცის გარდა! ერთი — მე ვარ, მეორე — თვითონაა!

ასე არ გავიმეტებდი — ასე რომ არ გავემეტებინე!

1967 წელს — დიდი ოქტომბრის (მაშინ „დიდს" ვეძახდით) სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე, როცა მთავარი რედაქტორი მორიგ შემოქმედებითს შვებულებაში იყო და ჟურნალს ხელს მე ვაწერდი... კარგი საიუბილეო ნომრის მომზადებისათვის „დამაჯილდოვეს" პარიზის ტურისტული საგზურით. თვით ჰემინგუეის უთქვამს, რომ პარიზი — ეს არის ზეიმი, რომელიც მუდამ დარჩება მასთან, ვინც მას იხილავს.

იმ დროში, როცა შენს ნებაზე ავლაბარს ვერ გაცილდებოდი კაცი, უცხოეთში და, მით უფრო, პარიზში წასვლა არ გახლდათ სახუმარო საქმე. სოციალისტურ და კაპიტალისტურ ბანაკებს შორის ჩამოშვებული იყო რკინის ფარდა, ცხვირს 1000 ნებართვის გარეშე ვერ გაყოფდი და თუ გაყოფდი... კიდეც წაიმტვრევდი.

ვენდოთ მეხსიერებას! აქ კვლავ მოტივტივებს უცხოელი კორესპონდენტის ისტორიული ინტერვიუ — ... სტალინთან!

კითხვა: თქვენ სტუმართმოყვარე ერის შვილი,

*P.S. რამდენი ინ-ტერებს ასეთ „ინტე-რაქციულ", თუნდაც, ცეილის ფეხურას, როგორც იაპონიაშია — ეს მათი ცხვარ-ძირის დასანაყად. ვისზედაც მარტო კაბ-ური გინებით ვერ ვიყრით ჯავრს!*

*ვისთვისაც ჰობად იქცა რბევა და აწ-იოკება. ალბათ. იმან დაარბია ხობის რაი-ონის სოფელ ხიბუ-ლაში ლურწყაიების სახლი, სადაც სა-ქართველოს პირ-ველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაიღუპა.*

*თუმცა ხობის ხო-ბობაც ძნელი დასა-ჯერებელია. ახლა ამ ობობას ბოროტების ქსელში, სადაც დღეს ან ხვალ, ვინ იცის, რომელი პა-რაზიტი გაებმება.*

*ვაცალოთ ისტო-რიას!*

*აკადემიკოსი ია-კობ ახუაშვილი: მსოფლიოს მარ-თვის ორგანიზაციული ფორმაა „300-თა კო-მიტეტი", რომელიც 1992 წლიდან მარ-თავს საქართველო-საც მასონთა ლოჟ-ების კომანდორის, „მალტის ორდენის" კავალერის — ედუ-არდ ამბროსის ძე შევარდნაძის თავკა-*

ქართველი ხართ... რა საჭიროა ეს რკინის ფარდა, რატომ თავისუფლად არ უშვებთ საბჭოთა კავშირში უცხოელებს?

პასუხი: — ჩვენში, როცა სახლს აშენებენ — მშენებლებს ინვევენ და როცა ააშენებენ — სტუმრებს!

უკაცრავად პასუხია, ასეთი იყო ამ უპასუხობის პასუხი!

... მივხედოთ, ახლა, ისევ ჩვენს საქმეს.

მაშ ასე, პარიზში მივდივართ! ზოგს თეთრი შურით შურს, ზოგს შავით... რას გაარჩევ? ნათქვამია — თეთრი და შავი აბანოში გამოჩნდებაო და აგერ გამოჩნდა კიდეც!

ჭრელ აბანოში ჭრელი კაცი შემხვდა და ჭრელ-ჭრელი ამბების მოყოლაში შემომაპარა, რომ გაეგო ჩემი პარიზში ნასვლის ამბავი და ერთ კარგ რჩევას მაძლევს — ბლომად ნაიღო ფული, ფრანკები ან დოლარები. თორემ იქ ისეთ რაღაცეებს ნახავს კაცი, რომ შეიძლება გაგიჟდეს!

რა მნიშვნელობა აქვს, აქ გაგიჟდები კაცი თუ იქ? — ვფიქრობ გუნებაში და თავს ვუქნევ, თანაც ერთი სიმღერა მახსენდება, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს კგბ-სთან, მაგრამ თითქოს მასზეა ზედგამოჭრილი — „ვენაცვალე მაგ შენს თვალებს — ჩუმ-ჩუმად რომ მითვალთვალებს..."

საპნის მუთაქებში პირალმა ვგდივართ ქვის ტახტებზე. მექისე ცალკე მაძრობს ტყავს და ეს „კეთილის მსურველი" ცალკე მიპირებს ტყავის გაძრობას.

— არ იდედლო, ბევრი ფული ნაიღე, იცოდე... ნახე, მერე გამიხსენებ... მიჩიჩინებს და მართლაც გავიხსენე, ოღონდ პარიზში კი არა, უკვე აგერ — თბილისში, როცა ნასვლის ნინ (ერთი კვირით ადრე) უშიშროებაში (მე საშიშროებას უფრო დავარქმევდი) მინისტრის მოადგილემ, გენერალმა შოთა ხარდალიშვილმა გამომიძახა და კონფიდენციალური საუბარი გამიმართა.

ამ კაცს მანამდეც კარგად ვიცნობდი და ურთიერთპატივისცემაც გვქონდა, მიუხედავად არასასიამოვნო თემაზე საუბრისა, გარკვეულ თუ გაურკვეველ მოკრძალებას ახლაც აშკარად ვგრძნობდი მისგან, მაგრამ აქ ამის იმედზე ყოფნა არ შეიძლებოდა.

ათასი ძველი თუ ახალი ამბავი გამომკითხა. პარიზში ნასვლაზეც ჩამომიგდო ლაპარაკი... ვიფიქრე, ჯგუფის ხელმძღვანელობას ხომ არ მიპირებენ-მეთქი. რა არ ვიფიქრე? ის კი იხსენებს საზღვარგარეთ მის მოგზაურობებს, გამოტენილ მაღაზიებს, ჩვენს უფულობას... ყვება ანეგდოტებს და მეც მაყოლებს... ერთ თათარს უთქვია — Капитализм гниет, но какой аромат-то... მოკლედ, ვჭორაობთ.

ეს კაცი სალაყბოდ არ დამიძახებდა — ვფიქრობ და უცებ ყურს მჭრის ფრაზა:

— გიზოჯან... არ გაბრიყვდე და უცხოური ვალუტა არ ნაიღო?!

აუჰ... დამარტყა თავში!

არც ვაპირებდი, მაგრამ უმტკიცე ახლა ამას... გამოდიოდა, რომ ამ გაფრთხილების გამო მოვიქეცი ასე. ავჯაჯღანდი და ნანყენი კაცის კილოთი რაღაცეებს მივედ-მოვედე. რამდენადაც მეტს ვლაპარაკობდი, იმდენი შევტოპე და შევტოპე, ერთხანს მაცალა და ბოლოს შემანყვეტინა:

---

*ახალგაზრდა წინასწარმეტყველები მთელი ძალით გაჰყვირიან, მსმენელი რომ მოიპოვონ, მოხუცებს კი ხმა აღარა აქვთ, მაგრამ მაინც უსმენენ!*

- გეყოფა... რომ არ გიცნობდე და შენი იმედი არ მქონდეს — არც დაგიძახებდი. საზღვარზე გაგსინჯავდნენ და... მოკლედ... ჩვენ გვაქვს სიგნალი, რომ შენ ფულის გატანას აპირებ... ღმერთი არ გაგინყრეს! — მითხრა მკაცრად, მერე ისევ ძველებურად გამიღიმა, ძმაკაცურად გადამკოცნა კიდეც, გზა დამილოცა და გამომიშვა.

მოვდიოდი და ვფიქრობდი — ვინ მიმტრო? ვინ მიჩათლახა? ვის რაში დაჭირდა ჩემი გამნარება? მთელი დღე დარეტიანებული დავდიოდი... მეორე დღეს, რედაქციაში, კი ისევ ის ახალტანდაბანილი, მაგრამ მაინც ბინძური კაცი არ დამადგა თავზე?.. დამადგა და ისევ „ჭკუის დარიგება" დამინყო! მაშინვე ყველაფერს მივხვდი.

ჩვენს ხალხს ერთი „სათადარიგო ტვინიც" აქვს, იტყვის — ტანმა მიგრძნო, ტანმა მიაზრაო.

დიახ, რაც თვალმა ვერ დაინახა და რასაც გული ვერ მიხვდა, ის — ტანმა მიაზრა, ვიცანი — ნინათ მსტოვარს რომ ეძახდნენ და ახლა დამსმენს და მეც როლში შევედი: მადლობთ რჩევისათვის, ბევრი, ბევრი ფული მიმაქვს, მაგრამ თუ ძმა ხარ, არავის უთხრა-მეთქი.

როგორ გეკადრებაო... იქეთ დამამუნათა — მაგის კაცი ვარო? არადა, იყო დრო, მართლა არავის ეპარებოდა ეჭვი მის კაცობაში (საკუთარი თავის გარდა).

და აი, დადგა გამგზავრების დღეც. მე თამამად შევდგი ფეხი აეროპორტის საბაჟოს „ტრიუმფალურ თაღში", რომელმაც ჩემს დანახვაზე ერთი ვაიუშველებელი ატეხა!

პირველად მე თვითონ შემეშინდა?! კარგად ვიცოდი, რისი პატრონიც ვიყავი, მაგრამ ეშმაკს არ ძინავს — იქნებ ვილაცამ რალაცა ჩამიდო პალტოს ჯიბეში?! მოვიქექე, დავმშვიდდი. ამოღება... კი ბატონო, მაგრამ ვინაა რამის ჩამდები!

ამოვიღე კალმისტარი, გადმოვიბრუნე ჯიბეები, ამოვყარე ხურდები, მოვიხსენი ხელიდან საათი... ზარი კი რეკდა და რეკდა?! ბიჭოს!..

რისი ამოღებაც შეიძლებოდა — ამოვიღე. რისი მოხსნაც შეიძლებოდა — მოვიხსენი. მეტი რაღა მექნა... თავიდან ჩემში შეიტანეს ეჭვი — მერე ხელსანყოებში... მერე ძველი მამაპაპური მეთოდი გაიხსენეს — დიდხანს მიფათურეს ხელები და როცა გული იჯერეს, მერე დამიჯერეს, რომ არც კონტრაბანდა და არც ვალუტა არ მიმქონდა. ჩემი მეუღლე კი ცალკე ოთახში გასინჯეს მესაზღვრე ქალებმა, რადგან მაშინ ქალები, ჯერ კიდევ ნაკლებად იყვნენ ეჭვმიტანილი... კაცობაში.

ცობით.

აშშ-ს ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს დირექტორის, ალან დალესის დოქტრინა!

„საბჭოთა კავშირში ჩვენ დავთესავთ ქაოსს. შეუმჩნევლად შევცვლით ზნეობრივ ფასეულობებს და ვაიძულებთ მოსახლეობას, ირწმუნოს ყალბი ფასეულობანი. თანამოაზრეებსა და თანაშემწეებს ვიპოვით ხელმძღვანელობაში. ეპიზოდურად და ერთმანეთის მოყოლებით, გვეითამაშებთ გრანდიოზული მასშტაბის ტრაგედიებს. რომელთაც ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხის დაღუპვა, მისი თვითშეგნების შექცევადობა და საბოლოოდ გაქრობა. მისი ეკონომიკის ხელყოფა და განადგურება მოჰყვება.

ლიტერატურიდან, ხელოვნებიდან ჩვენ ამოვძირკვავთ სოციალურ არსს. შემოქმედებით ინტელიგენციას დავეკარგავთ ხალხს. გამოიკვლიონ და სწორად ასახონ მასების სიღრმეში მიმდინარე ჭეშმარიტი პროცესები.

ლიტერატურა, თეატრი, კინო, პრესა ასახავენ და განა-

მინაზე ნანვალები კაცი მაღლა ცაში რომ აფრინდები და გადმოხედავ ქვეყანას (რავარც ერთ სიმღერაშია) „მაინც ვერსად ვერ იპოვნი შენს სამშობლოსთანას..." მარა, თუ გინდა თქვა: დედა რა ენახეო —უნდა ნახო პარიზი! ქალაქის უნახავს გაგხდის! სიზმარია, მარა — ცხადია... ცხადია, მარა — სიზმარია. ა, ესაა, ბატონო სიზმარ-ცხადი! აქ ომი როგორ შეიძლება.

რამდენჯერ მითქვამს, რომ ჩვენი ნინა თაობის ყოჩი კაცი — თემო კუხიანიძე ბიჭებს „გალავინსკზე" (ახლანდელ რუსთაველის პროსპექტზე) ჩხუბს გეიკრძალავედა — ამ ქუჩას ჩხუბი არ ეკადრებაო! აბა, რატომ უკვირს ისტორიას, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ფრანგებმა უომრად შემოუშვეს აქ ვერმახტის ჯარები, რომ ამ დამარცხებით... გაემარჯვათ — შეენარჩუნებინათ მარადიული ქალაქი! მაგრამ უფულო კაცი არც აქ ვარგა და არც იქ. ხომ გახსოვთ, მებორნემ რა უპასუხა იმ კაცს, რომელმაც თხოვა: თუ ძმა ხარ, ფული არ მაქვს და მეორე ნაპირზე გადამიყვანეო?.. თუ ფული არ გაქვს, ან ამ ნაპირზე რა გინდა, ან იმ ნაპირზეო?..

ასე ვართ ახლა ჩვენც. რაღაცა ორი კაპიკი გვეიჭყავის ჯიბეში და კრუხებივით ვაზივართ. ამ უფულობამ ერთი ტრაგიკომედია დაგვმართა — ხალხი მიანყდა ყველაზე იაფიან უბანს, რომლის სახელი მგონი დღესაც მახსოვს — „საკრეკიორი!" აქ ნაყიდი ტანსაცმელი, მართლაც, გამოირჩეოდა „შნო" და ლაზათითა და საოცარი სიიაფითაც, მაგრამ... რა მაგრამ? ეკითხულობდით ჩვენ და პასუხს აღარც ვუცდიდით, ისე თავქუდმოგლეჯილი გაერბოდით „საკრიკიორის", თუ რაღაც ჯანდაბისკენ, რომ როგორც ჩვენში იტყვიან, — „იაფი და იორღა" საქონლისათვის მიგვესწრო.

არადა, ჩვენი დელეგაციის ნევრების სულმოკლეობა იქვე გამოჩნდა: ზოგიერთებმა უცხოეთშივე მოინდომეს საუცხოო ტანსაცმელ-ფეხსაცმელის ჩაცმა-გამოფენა და აი, სწორედ მაშინ იყო, ერთი თვალი რომ იცინოდა და მეორე ტიროდა?! ამ ტანსაცმელ-ფეხსაცმლის ჩაცმა და დახევა ერთი იყო?!

რატომ? რატომ და იმიტომ, რომ „საკრეკიორზე" თურმე ყველაფერი მკვდრისთვის იყიდებოდა და ყველაფერი დაკრძალვის ატრიბუტიკასთან იყო დაკავშირებული?! აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე. აქ ფორმა და შინაარსი სააქაოს კი არა — საიქიოს ლოგიკას ექვემდებარებოდა — ლამაზი კი იყო, მაგრამ ხარისხისა რა მოგახსენოთ!

გამახსენდა ერთი ძველი შავი თბილისური ხუმრობა! გასაბჭოების შემდეგ (სხვათა შორის — არასოდეს ასე დანერის უფლებას არ გვაძლევდნენ... ძალადობის სუნი უდისო და ვნერდით — „საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ...") კუბოების ერთ-ერთ არტელს (თბილისში) „გზა კომუნიზმისაკენ!" ერქვა?!

აქ, ისევ ძველი თბილისური ტიპაჟების — კინტოს, ყარაჩოხელებისა და ქალაქური ამქარის ნარჩენი თუ შთამომავალი მუშაობდა. ვიღაც გაჭირვებულს უკითხავს — აქ ორი ერთი სიგრძის კუბოა და ერთი მეორეზე მეტი რატომ ღირსო?

უპასუხიათ:

ერთი განიერია, მეორე — ვიწრო და შიგ, გულით რომ გინდოდეს, ვერ გაინძრევიო?!

... ასეთი რამ გვჭირდა ახლა ჩვენც — ეს საქონელი საქელეხე იყო და

არა საქორწილო! როგორც იყო, მივხვდით ჩვენ ამას, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ჩვენი გიდი... ჰაი, გიდი!.. (რატომღაც მომინდა აქ ამ შორისდებულის შეძახება... ხანდახან უნდა შემოუძახო კაცმა თავს, აპა!) ძველი არისტოკრატი, რუსი ემიგრანტი ქალი აღმოჩნდა, 80-ს გადაშორებული, ყრუ და ბრუციანი... ოქტომბრის რევოლუციაზე ნაწყენი იყო და ჯავრს ჩვენზე იყრიდა. სწორედ ამის შედეგად კიდევ ერთ და ახლა უკვე არა ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ უხერხულობაში ჩავვარდით. მან ავტობუსის მიკროფონი აიღო და აშკარა პროვოკაციული შეკითხვა დასვა — დღეს, ჩვენ, პროგრამაში გვაქვს ორი მარშრუტი — აირჩიეთ! ან ვერსალი, ან ლენინის ოთახი!

ორში კი არა — სამშიც რომ გვქონოდა, ასარჩევი, ცხადია, ვერსალს ავირჩევდით!

- რისი ლენინი? — იყვირა ჩემი ბავშვობის დაქალის — ცუგრის დამ, ექიმმა ქეთო ბახტაძემ და ავტობუსში „მავზოლეუმის" ან ჩვეულებრივი სამარის სიჩუმე ჩამოვარდა. დავიღუპეთ. პროლეტარიატის ბელადის ასე ხსენებას ვინ გვაპატიებდა! ისიც უცხოეთში... ისიც 7 ნოემბერს — დიდი ოქტომბრის (მაშინ ასე ეძახდნენ) რევოლუციის 50-ე წლისთავზე!

აბა, ვისაც როგორ შეგვიძლია, ვუშველოთ თავს, თორემ ციმბირი უკან დაგვრჩება... სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, — თვალები დავხუჭე — ვითომ მძინავს და არაფერი გამიგია.

ყველამ თავისთავს მიხედოს!.. აგერ... ვერ ვხედავ, მაგრამ მესმის — სისხლის სამართლის კოდექსის კონტრრევოლუციური აგიტაცია-პროპაგანდის 58[10] მუხლით გათვალისწინებული და ჩვენს მიერ „ათვალისწინებული" რეპლიკის ავტორის ქალბატონი ქეთოს მეუღლის — აპოლონ ბელვედერელის კი არა... ბატონ აპოლონ შონიას ხმა:

- ეს რა თქვი, ქალო... ეს როგორ თქვი? შენ ისე გიყვარს ბელადი, რომ... რა ეთქვა, როგორ ეთქვა ან როგორ არ უნდა ეთქვა, აღარ იცოდა. რადგან სტომატოლოგმა კაცმა კარგად იცოდა, რომ ასეთი რამეებისთვის კბილებსაც აძრობდნენ და... ტყავსაც!

... საბედნიეროდ, ეს ამბავი დღემდე არ გახმაურებულა და როგორც იტყვიან, ხახვიეთ შეგვრჩა. ახლა კი, როცა იმ „სატირალზე" ვიცინით, ბატონი აპოლონი კვლავ არ იტეხს იხტიბარს და ცოლისადმი მის ასე ვთქვათ, პოლიტმასობრივ შენიშვნას ჩვეულებრივი „ნათესავური" (?!) ტრადიციებით ხსნის:

დიდებენ ადამიანთა ქვენა გრძნობებს, ჩვენ ყველანაირად ხელს შევუწყობთ იმ შემოქმედებით ინტელიგენციას, რომელიც ადამიანის შეგნებაში შეიტანს სექსის, ძალადობის, ღალატის, ბეზღობის კულტს.

სახელმწიფო მართვაში დავამყარებთ ქაოსსა და განუკითხაობას. ჩვენს მომხრეებს შევუქმნით ყალბ ავტორიტეტს. ფარულად, მაგრამ აქტიურად, გამუდმებით წავახალისებთ ჩინოვნიკებს. სათნოების რანგში ავიყვანთ მექრთამეობას, უპრინციპობას, ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურებას, პატიოსნებასა და წესიერებას ისე გავამასხარავებთ, რომ ისინი აღარავის დასჭირდება და წარსულის გადმონაშთად იქცევა. შეუმჩნევლად დავნერგავთ თავხედობას, მატყუარობას, ლოთობას, ნარკომანიას, ცხოველურ შიშს ერთმანეთის მიმართ, უპასუხისმგებლობას, ღალატს. ნაციონალიზმსა და მტრობას ადამიანებს შორის. უპირველეს ყოვლისა — მტრობასა და ზიზღს ხალხის

- უცხო ქალაქში რომ ჩახვალ, პირველ რიგში ნათესავი უნდა მოიკითხო... ასე არ არის?

ასეა, ფიქრობ შენც, მაგრამ გავიწყდება ჰკითხო:

— კი მარა, ლენინი თქვენი ნათესავია?

— აბა, როგორ?

— დედის მხრიდან, თუ მამის მხრიდან?

— დედიდან — დეიდაშვილია და მამიდან — მამიდაშვილი — ახლა უკვე უშიშრად ვეხუმრებით ერთმანეთს.

...იქ კი, პარიზში, შექმნილი იმ პოლიტიკური მდგომარეობიდან, საერთო გამოსავალის პოვნის მიზნით, ყველა მივდივართ... ემიგრაციაში ყოფნის დროს ლენინის ოთახის დასათვალიერებლად. მერე კი, ჩვენი ერთსულოვნების დამფასებელი, ყრუ და ბრუციანი დედაბერი გიდობას გვიწევს ზღაპრულ ვერსალში.

კაცის გული ხარბი და გაუმაძღარია... მით უფრო, ქალის.

— პატივცემულო გიდო... ბაზარში როდის წაგვიყვანთ? — ეკითხება ერთ-ერთი ხანშიშესული ტურისტი ქალი, რომელიც როგორც ჩანს, საბაზრო ეკონომიკით არის გატაცებული.

— სადაო, სადაო?

— ბაზარში! — კვლავ ჩუმად უყვირის ტურისტი ექსკურსიამძღოლს და ისიც ღიმილით უქნევს თავს.

— ბალზაკის ადგილებს ჩვენ მოვინახულებთ ხვალ?!

ვის — ბაზარი ელანდება, ვის — ბალზაკი. ვინ კი, ფონების გარდა, მათ შორის საერთოს ვერაფერს პოულობს!

...ვბრუნდებით სასტუმრო „ლონდონ-ნიუ-იორკში"... ძილისთვის დრო არ გვემეტება და თეთრად ვათენებთ ღამეებს „პარიზის სტომაქში" ხეტიალით.

მეორე დილით მახსენდება, რომ წვერი მაქვს გასაპარსი და საპარსი („ხარკოვი") კი არ წამომიღია, რადგან აქ ერთი პატივცემული კაცისთვის საჩუქრად ვაპირებ „ფილიპსის" (მაშინ ახალი ხილი იყო) ყიდვას და უკანვე გაბრუნებისას, ვიცი, საბაჟოზე ერთნაირს არაფერს გამატანდნენ — ხელ-ფეხის, თვალებისა და ყურების გარდა. არადა, პარიზში (საბჭოთა მოქალაქის შესაძლებლობებისათვის) გაპარსვა ისე ძვირი ღირდა, რომ ჯობდა, ჩვენი საერთაშორისო გაჭირვების გლოვის ნიშნად, წვერი მოგვეშვა, მაგრამ...

ევრიკა! გენიალური აზრი მომივიდა, ჯიბეში „ფილიპსისათვის" გადადებული ფული მოვსინჯე და თამამად შევალაჯე ულტრათანამედროვე ელექტროსაპარსების სუპერმარკეტში.

ნეტა საკუთარ ოჯახში უხაროდეთ ისე კაცის მოსვლა, როგორც მე შემხვდნენ. დამესივნენ, გადმომილაგეს საქონელი, სარკეებიან ჯიხურში შემიძღვნენ, ჩამირთეს და გამასინჯეს ნაირ-ნაირი საპარსები. ჰოდა, მეც ცალ ყბად და ცალ ყბაზე ხომ არ გავსინჯავდი, ორივე გავიპარსე და ცალ ყბად ვუთხარი, რომ დავფიქრდებოდი.

---

*საბჭოთა კავშირის დროს იყო დროის სადროშო ერთი ასეთი საბავშვო, ანუ ინფანტილური ლექს-ლექსი – ლოზუნგი: „სსრკ კაკა – ამერიკა ყაყა!", რომელიც დღეს შეიცვალა და ასე ჟღერს, „ამერიკა-კაკა, სსრკ... „პაკა!"*

*„შვილმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მამა", მამამ კი ის მაინც – საით გაუტია შვილმა?*

*„დედა ნახე, მამა ნახე და შვილის ნახვას არ გირჩევ".*

მეორე დღესაც ასე გავიპარსე წვერი და ელექტროსაპარსის ყიდვა მესამე დღისთვის გადავდე. გამოსვლისას გავუღიმე მასპინძლებს და მათაც გამიღიმეს, მაგრამ მე ეს ღიმილი, ცოტა არ იყოს, ნაძალადევად მომეჩვენა, თანაც ასეთი ქვეტექსტით — რა იყო, შე კაცო, თუ ყიდულობ — იყიდე! ეს ეჭვი კიდევ უფრო გამიძლიერა იმ საბოლოო სიტყვამ, რომელიც ზურგში მომაყოლეს:

- ორეევუარ, მუსიე!...

„მუსიე" ხომ აშკარად მე ვიყავი და „ორეევუარ" ამ შემთხვევაში ქართულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ფრანგულს... ზუსტად ორჯერ ვთქვი უარი ყიდვაზე...

დავიწვი სირცხვილით...

უფრო სწორად კი მსუბუქი კატეგორიის დამწერობა მივიღე. ასეთ შემთხვევაში იტყვიან — დაიწვას შენი დამწველიო... ან იმათ რას ვერჩი?.. მესამე დღეს, მივედი, კიდევ ერთხელ გავიპარსე წვერი და ვიყიდე... ოღონდ სხვა აპარატი... აბა, საჩუქრად ნახმარს ხომ არ ვიყიდდი!

დიდი მადლობა გადავუხადე. დიდი მადლობა გადამიხადეს და კვლავ „ორევუარო" — მითხრეს. ალბათ, იმის თქმა უნდოდათ — გახსოვთ, ორჯერ რომ თქვით უარიო?

...არა, კაცმა რომ თქვას, ერთი უცხო ენა საჭიროა იცოდე, მარა როცა მე ის უნდა მესწავლა, იმ დროში უცხო ენის ცოდნა საშიში იყო? შპიონი ეგონებოდი ხალხს.

პარიზზე მოგონებებს რა აათავებს, დროა დროებით მაინც დავსვათ აქ წერტილი.

ამბობენ: თბილისი პატარა პარიზია! სიტყვას არ შევუბრუნებ, უკუღმაც რომ ვთქვა — მაინც წალმა გამოდის:

პარიზი დიდი თბილისია!

## სიცილის მეფე!

ხალხმა სიცილის მეფედ აკურთხა გენიალური კომიკოსი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი არკადი ისაკის ძე რაიკინი, რომელიც არაერთხელ სწვევია საქართველოს დედაქალაქს.

მის ჩამოსვლაზე, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის, როგორც ამ შემთხვევაში გამოჩნდა, არცთუ ისე დიდ საკონცერტო დარბაზში, და საერთოდ, თბილისში, ყოველთვის იმართება დიდი სატირულ-იუმორისტული არკადია.

ჩვენს დედაქალაქში არკადი რაიკინის უკა-

მიმართ.

ყოველივე ამას ჩვენ დაუნერგავთ მოხერხებულად და ფარულად. ისე, რომ ცოცხალი თუ მიხვდებიან — რა ხდება. ვინც მიხვდება, ჩავაყენებთ უმწეო მდგომარეობაში. გაუხდით სასაცილოს, ცილს დავწამებთ...

მასონურ ორგანიზაციებს სურთ, გაანადგურონ მართლმადიდებლობის უკანასკნელი ბასტიონი — საქართველო, სადაც ბოლო 15 წლის განმავლობაში მძვინვარებს სრული ქაოსი, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. საქართველოს მართავს „300-ის კომიტეტი" — მსოფლიოს საიდუმლო მთავრობა, მალტის ორდენის კომანდორის, სსრკ-ში მასონობის პატრიარქის — ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის წინამძღოლობით. მან, პირველმა, გაუწოდა დახმარების ხელი ამერიკას ერაყელი ხალხის ხოცვა-ჟლეტაში.

1917 წლის ნიკოლოზ მეფის იმპერიის ემბლემა გახდა მასონების ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტეს ჯვარს.

ნასკნელი გასტროლების დროს „ნიანგის" რედკოლეგიამ დამავალა — შევხვედროდი სიცილის დიდოსტატს, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. მარტო მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენა რად ღირდა! საცხოვრებლად ასეთი რეზიდენციის არჩევა, ეს პირველი გონებამახვილობა იყო თბილისში სიცილის მეფისა. მთელი სასტუმროები ფეხით, თუ არანაკლებ მომქანცველი გზით — ტელეფონით შემოვიარე, მაგრამ მისი ჭაჭანება არ იყო. ბოლოს კვალმა პანსიონატ... „თბილისის ზღვაზე" ამიყვანა.

ლუქსი N 301 დაკეტილი დამხვდა. ცოლ-ქმარი ზღვის პირას სეირნობდა. აქ მოხდა ჩვენი გაცნობა და, რადგან ეს სიტუაცია არაფრით ჩამოჰგავდა ოფიციალურს, ბლოკნოტის ამოღება და დანომრილი კითხვების გადმოლაგება თითქმის შეუძლებელი იყო. თუმცა, ასეთი მაღალი რანგის კოლეგასთან უბრალო საუბარშიც ბევრი საყურადღებო რამ ითქვა და ვფიქრობ, საინტერესოა სწორედ ის, რაც ზეპირი დამახსოვრების ღირსი იყო.

- არკადი ისაკის ძევ, თუ შეიძლება თქვენთან, საერთოდ, იუმორის გარეშე ლაპარაკი?

— რატომაც არა, თუ გახსოვთ, ჩვენ მთელი პროგრამაც გვქონდა ასეთი: „ხუმრობის გარეშე"!..

— მაგრამ ეს პროგრამა სწორედ ხუმრობაზე იყო აგებული!

— რასაკვირველია. ხუმრობით შეიძლება ყველაზე სერიოზული ლაპარაკიც კი. ყველას თავისი ენა აქვს: მენტორი — ქადაგებს, პროპაგანდისტი — ლექციას კითხულობს, მღვდელი — წირავს... მოკლედ, ყველა თავისებურად წირავს... ჩვენთვის მთავარია, იგი მოსაწყენი, მოსაბეზრებელი არ იყოს. სატირიკოსის დევიზია: აღზრდა გართობით!

— ზოგი თქვენს სატირას ერთობ გაბედულად, წრეგადასულადაც კი თვლის.

— თუ სატირიკოსი სწორ პლატფორმაზე დგას, ჯანსაღი მორალიდან გამოდის, მას საყოველთაო მხარდაჭერა აქვს... თურმე მე, ისევე, როგორც ზოგიერთებს, წარმოდგენა არა მქონია უცხოეთის ცენზურაზე, რომელსაც პირისპირ შევეფეთე ლონდონში, სადაც ორი ფილმის გადაღებაში ვმონაწილეობდი. იქაურმა ცენზურამ წარმოუდგენელი სიფრთხილე და სისასტიკე გამოიჩინა: მიუხედავად იმისა, რომ სცენარის გმირები ინგლისურ სახელებს არ ატარებენ, სცენარში ტიპიური ინგლისური ყოფაა ნაჩვენებიო და მასალიდან ბევრი რამ შეიწირეს.

- საინტერესო ხალხი ჩანს თქვენი პროგრამის ავტორები.

- ჭეშმარიტად. ჩვენი თეატრის ირგვლივ შეიქმნა ავტორთა ორიგინალური ჯგუფი. ბევრ მათგანს თქვენ იცნობთ „ლიტერატურნაია გაზეტას" მეთექვსმეტე — სატირულ-იუმორისტული გვერდიდან, ზოგმა კი, ჩვენი „ხათრით", ძირითად პროფესიას უღალატა და ლიტერატორად იქცა... რიმა მარკოვნა... — მიუბრუნდა მასპინძელი მეუღლეს, — აი, მაგალითად, მიშა ჟვანეცკი... ოდესის ნავსადგურში ინჟინრად არ

---

*ნობელიანტთა 62 პროცენტს ეს ჯილდო 50-დან 90 წლამდე ასაკში აქვს მიღებული.*

*ჭკუა, არა მარტო თავშია – ხანშიც!*

*სიმწიფის ატესტატს თავისი ასაკი აქვს, უმწიფრობა – უასაკოა.*

მუშაობდა? ახლა კი, როგორც იტყვიან, პროფილი შეიცვალა — სულის ინჟინრად იქცა, მთლიანად ლიტერატურულ მოღვაწეობაზე გადავიდა.

— რას უსურვებდით სატირასა და იუმორს?

— დიდ ლიტერატურად მონათვლას! სიკეთეს ბოროტებაზე გრძელი ხელები უნდა ჰქონდეს. სატირა სიკეთის ხელებია. რაც შეეხება რანგს, ხარისხის ნიშანს — ეს ეპოსშიც და კომედიაშიც — ყველაფერი მუზაზე — უზენაეს შემოქმედზე... უბრალოდ, ტალანტზეა დამოკიდებული!

— მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნიშნით სხვადასხვა ერში იუმორის გრძნობა სხვადასხვა დოზითაა მოცემული. რამდენად სწორად გეჩვენებათ ეს და, ამ მხრივ, ამჟამად, თქვენს მასპინძლებზე რას იტყვით?

— იუმორის გრძნობის ეროვნული ნიშნით დაყოფა სახიფათოა და საეჭვოა. მე მგონია, ეს განსხვავება უფრო ინტელექტისაა. ამ მხრივ მე თბილისის მაყურებელს შევადარებდი მოსკოვისას, ლენინგრადისას...

— როგორ მიგაჩნიათ, ადამიანთან ერთად ბერდება მისი იუმორი?

— ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა: იუმორი არის ენამახვილობა პლუს სიბრძნე. რადგან ასეა, სიბრძნეს გამოცდილება უნდა, გამოცდილებას — დრო! როგორც ხედავთ, ხანდაზმულობა აუცილებელიც კი ყოფილა იუმორისტისათვის.

— რა გეხმარებათ სატირიკოსის რთულ და სარისკო საქმეში?

— იმის შეგნება, რომ ძალიან, ეჭირდებით ჩვენს ხალხს, რომელიც ებრძვის მომხვეჭელობას, მექრთამეობას, მუქთახორობასა და სხვა ანტიპოდებს. უამრავი წერილი მოგვდის. საბჭოთა ადამიანები გვწერენ ზოგიერთ მანკიერებებზე. მოითხოვენ მათ გამათრახებას, ზოგი პირდაპირ დოკუმენტებსა და ცნობებს მიგზავნის, როგორც ერთ-ერთ უმაღლეს ინსტანციას, ისე განდობთ, ჩაერიოთ ამ საქმეშიო და სხვა.

- რას მიაწერთ თქვენს შემოქმედებით ტრიუმფს?

— ვთქვათ პომპეზურობის გარეშე — ალბათ უფრო პოპულარობას: ნახევარს — ჩვენს ოსტატობას, ნახევარს — მაყურებლის გონებამახვილობას. გავიხსენოთ ასეთი რამ: ფოიერბახს უთქვამს: მწერლის ენამახვილობა — მკითხველის გონებამახვილობასაც გულისხმობსო!

ამასთან დაკავშირებით გამახსენდა ერთი ინ-

ხუთქიმიანი ვარსკვლავი კაბალაში ლუციფერის (ეშმაკი) და ანტიქრისტეს მთავარი ბეჭედია.

* * *

ჯანსუღ ჩარკვიანი:

ბარი მთაა, მთა ბარია,
მგელს ბატკანი აბარია.
იმნაირი ჰაერია,
ჩემს ძაღლს ვული აერია.

* * *

ირაკლი ჩარკვიანი:

ადრე ბუშიზმი ხომ იყო, ახლაც საქმე გვაქვს აბსოლუტურად ჩამოყალიბებულ სტილთან, რომელსაც შეგვიძლია „მიშიზმი" დავარქვათ. – –

ცნობილი კრიმინალური ექსპერტი და მოძრაობა „წინ, საქართველოსთვის" მთავარი კომიტეტის წევრი მაია ნიკოლეიშვილი იძლევა თვითონ ამ ზამბარასავით დაჭიმული რთული დროის „ექსპერტიზის" ანალიზს: „ერთი „უ"-ს დამახინჯება და ახალი რევოლუციის კარზეა!

ღმერთო, რა გვჭირს ამისთანა უ..მეცლებელი!

ტერმედია: მე, სოჭის ტელეეკრანზე ქართული ინტონაციით წარმოვადგინე პერსონაჟი. როგორც ჩანს, ზოგიერთმა ჩემმა ქართველმა მაყურებელმა სწორად ვერ გამიგო და ამის გამო ნაწყენიც კი დარჩა. ეს მაშინ, როცა, ღმერთი, რჯული, იქ ეს პერსონაჟი დამხმარე იყო და სიცილის ობიექტს სწორედ მისი ოპონენტი წარმოადგენდა.

— ქართველ კომიკოსებზე რას გვეტყვით?

— გულწრფელად მოგვწონს ქართული კომედიური ფილმები. — მიპასუხა ამ კითხვაზე დიდი მსახიობის მეუღლემ, — ზაქარიაძე, ჟორჟოლიანი... ახლები: არჩილ გომიაშვილი, გოგი ქავთარაძე, ვახტანგ კიკაბიძე...

— ქვევრზე ფილმი გახსოვს, რიმა მარკოვნა? — თანხმობის ნიშნად დაურთო არკადი ისაკის ძემ.

— განსაკუთრებულად რა დაგამახსოვრდათ, ამჯერად, თბილისში?

— აქ ერთი საოცარი რამ მოხდა, — გაეცინა მასპინძელს, — კონცერტიდან დავბრუნდით თბილისის ზღვაზე. პანსიონატის საერთოდ დაცარიელებულ ვესტიბიულში, ამჯერად, ათამდე სახენამოჭარხლებული კაცი იდგა... რაღაც საიდუმლო სიჩუმითა და ერთობ უჩვეულო პოზით. მათ დაძაბული მზერით მიგვაცილეს ლიფტამდე... როგორც კი ღილაკს ხელი დავაჭირეთ და ნახევარი სართული ავათავეთ, ვესტიბიულიდან ისეთი ხმაური შემოგვესმა, შიშით, მგონი, ლიფტიც აცახცახდა.

მეორე დღეს სართულის მორიგემ მითხრა, რომ ვესტიბიულში გახურებული ჩხუბი ყოფილა, ვერავის გაუშველებია. მე და ჩემი ცოლი რომ დავუნახივართ, არ ვიცი; მისი თუ ჩემი „შიშით" (უფრო კი, ალბათ, პატივისცემით), მაშინვე შემწყდარა ბატალია, ხოლო როცა ჩვენ გაგვისტუმრეს, დაკადაკა ისევ გაგრძელებულა.

მართალი გითხრათ, საერთოდ, არცთუ ისე სახარბიელო ეს ფაქტი, ჩვენთვის ერთობ სასიამოვნო მოსაგონარი იქნება.

— რაზე გაგეცინათ პირველად თბილისში?

— თქვენი მშვენიერი დედაქალაქის ცხოვრებაში დაახლოებით იგივე ზოგადსაკაცობრიო პრობლემები დგას, რაც სხვაგან, მაგრამ, რადგან კითხვა კონკრეტულია, გიპასუხებთ: პირველად გაგვეცინა თბილისურ ტელეფონზე, რომლითაც ძლივს დავუკავშირდით ჩვენთვის სასურველ აბონენტს და შემდეგ ერთდროულად ველაპარაკე, არც მეტი, არც ნაკლები — სამ კაცს.

— რას უსურვებდით სატირისა და იუმორის გულშემატკივრებს?

— ჯანსაღ სიცილს.

... და მეც, როგორც, ინტერვიუერი, იგივეს გისურვებთ, პატივცემულო მკითხველებო!

1973 წ.

---

*რეზო ართილაყვა:*
*ამ ქვეყნად ხეხილს სამოთხის — მე დავრგავ, მარა სხვა მოთხრის.*

*თენგიზ კუბლაშვილი: რაც ადამმა და ევამ სარცხვინელზე ლეღვის ფოთოლი აიფარეს, იმ დღიდან ადამიანები ფიქრობენ, თუ როგორ მოსპონ სოციალური უთანასწორობა.*

## ისევ ვლადიმერ კონსტანტინეს ძე მებურიშვილი
### (შინაურობაში ლადო კონიჩი!)

### (შტრიხები პორტრეტისათვის)

როცა მეკითხებიან, სად მივიღე პირველდაწყებითი განათლება, ვპასუხობ: მე იგი მივიღე თბილისის I, მე-18, მე-10, მე-7, მე-8, მე-15 და ხარაგოულისა და მათხოჯის დღისა თუ ღამის სკოლებში... (როგორც ჩანს, თითით საჩვენებელი ბავშვი ვიყავი და დამასეირნებდნენ)... გულში კი ვფიქრობ და დღემდე არ გამიმხელია, რომ, ლეგენდარულ პარმენ ქაჯაიას სკოლასთან ერთად, მე გავიარე ვალოდია მებურიშვილის ცხოვრებისეული სკოლა!

დიახ, რომ არა ეს სკოლა, მე გავაცდენდი დიდ ნუთისოფლურ-ქალაქურ გაკვეთილებს და ვერ ვისწავლიდი იმას, რასაც ქუჩის გარდა, არსად არ ასწავლიან. სწორედ ამ სკოლაში სწავლის გამო (მე ამ სიტყვებს ბრჭყალებშიც არ ვსვამ) მივიღეთ ჩვენ ქალაქელი ბიჭების დიპლომები. ეს ის დრო იყო, როცა მავანნი მენტორულად აცხადებდნენ — ქუჩის დონემდე არ უნდა დავეშვათო, მერე კი (სწორედ მათ და მათთა ნაშიერთა) ზნეობრივი დაცემის ისეთი მაგალითი გვაჩვენეს, რომ ლამისაა შეურაცხყოფილი თბილისისა და ამ დალეწილი ქუჩების პანაშვიდი გადავიხადოთ!

ახლა, ვინ იყო ვალოდია მებურიშვილი?

სხვისთვის — არაფერი, ჩვენთვის — ყველაფერი!

მუსიკოსი, კომპოზიტორი, პიანისტი, გიტარისტი, კლარნეტისტი, ვოკალისტი, იუმორისტი და ვინ მოთვლის, კიდევ რისი ალარისტი!

ეს იყო უტირაჟო კაცი — ერთადერთი ეგზემპლარი. კაცი — ორკესტრი, კაცი — ცირკი, ოთხი იმხნელი დის მეხუთე ძმა — დონ კიხოტი, ნაცარქექია, ყვარყვარე... ბენია-ბეშტია... ოთარიკასავით ხუმარსწავლაში მეკალმასე, სიკეთის გამცემი და მბოჭველი, მარგალიტების მაძიებელი და მფანტავი კაცი... სიტყვას ველარ ვზომავ და სიტყვა ალარ მყოფნის!.. ვზივარ ახლა, ვიგონებ, ვწერ და ვკაიფობ! ჩემზე 13 წლით უფროსი იყო. ანუ, როგორც მაშინ სიამაყით იტყოდნენ — დიადი ოქტომბრის ტოლი!.. „ტოლი" კი, მაგრამ „სწორს" ვერ იტყოდნენ — არაფერი საერთო არ ჰქონდა რევოლუციასთან. „შერეკილების" ტიპური ნაშიერი გახლდათ — თვითონ წერდა სიმღერებს, თვითონ უკრავდა და თვითონ მღეროდა. გაიხსენეთ:

„ახ-ტან." 11-177.05.

„ამბობენ, რაც უფრო შორსაა თეორია საღი აზრისგან, მით უფრო ახლოა — ნობელის პრემიასთანო."

...ადამიანთა მეხსიერება არც ისე მოკლეა, როგორც ზოგიერთ ცინიკოსს წარმოუდგენია. სიკეთეს იგი არც ისე ადვილად ივიწყებს („საქართველოს რესპუბლიკა". № 69. 1999 წლის 16 მარტი. გვ. 2).

დავით უსუფაშვილი (რესპუბლიკური პარტიის ლიდერი): „შევარდნაძის უთავო ხელისუფლება მიყვება სააკაშვილის თავზეხელაღებულმა ხელისუფლებამ"

ანზორ თოთაძე „ვინაა საქართველო?"

ს. ჯავახიანის ეს „ნაარკვევი" გვაგონებს აფხაზი ს. ლაკობას ნაბოდვარს აფხაზური ენის შესახებ. ს. ლაკობაც ისეა დაბრმავებული ქართველების სიძულვილით, რომ

„ვარდების კოშკი აგიგე, ვარდის სურნელი გაპკურე,
მთვარე დაირად მოგართვი და მზე დაგკიდე საყურედ...
გამომელევიძა საბრალოს და სინანულით ავივსე —
ამდენი რამე მოგართვი, ღიმილიც კი არ მაღირსე".

(სიტყვები ქართლოსისაა... კასრაძის, ნუ დავუკარგავთ)
ეს „ვარდების კოშკი"... ახლა „ალავერდიც!"..

„რა ექნა, ცაში თვალები რომ მრჩება ქვემოთ?
შავთვალებავ, გული რისთვის დამილიე...
ალავერდში ყანწით მოველ დღეობაზე,
ალავერდი შენთანა ვარ, დამილიე!"

ახლა „საქორწილო"!

„დუმილია?.. თუ სიმღერა მოგვიწდა!
შენზე ცუდი არაფერი მეთქვა მე,
ჩვენ ზეცაში გადვიხადოთ ქორწილი
სადაც წმინდა ვარსკვლავები ფეთქავენ".

ახლა
...„დედამთილო...
სულ ყვირილი არ შეიძლება,
რძალი მოჰკალ შენი ენით...
ვინ მოგცა ნება!
რძალ-მულო-დედამთილო... მალჩать!
ჩაფსკვნილ-ჩამარყუჟებული,
გადა-გადაკვარახჭინებული...
ასე უნდა სიმღერა!"
ახლა „ბულბულივით"...
ახლა „მანანა"...

ამ კაცს ასე ხელუხლებლად იმიტომ ვინახავ, რომ ერთი სევდიანი ქალაქური სიმღერისა არ იყოს:

„შემოინახა ძველმა თბილისმა, დასავიწყებლად არ ემეტება"...

იქნებ, კიდევ გამოადგეს ჩემს ქალაქს ეს სიმღერები.

ეს ნაკვნეს-ნაკვესები!

მისი ნათქვამ-ნაქნარი დღესაც პირიდან-პირზე გადადის... სიცილ-სიცილად!

წარმოშობით ბაღდადელი იყო. შემოდგომის ძალიან დაგვიანებული აზნაური — ჯიბეებგამოფხეკილი და კუდი ყავარზე გადებული.

პაპანინის ქუჩაზე, ძმის გვერდით, ერთ 6 მეტრიან ოთახში სახლობ-და დედამისთან — ვერიჩკა ნიჟარაძის ქალთან ერთად. აბა, ერთი ვერ-იჩკა დეიდა იყო თუ იყო — იმის უთქმელი და უქმნელი არ არსებობდა.

გივი ნიჟარაძემ უთხრა ერთხელ (ბიცოლად ეკუთვნოდა): ვერიჩკა ბიცოლა... დედის გულს რა ვუთხრა, თორემ ვალოდია რა გასაზრდელი იყოო!

— აბა, აბაო, — დაუკრა კვერი და მერე ხაჭაპურიც...

ფხიზელმა, ჩემმა მტერმა უყურა ამ ქვეყანასო და ხშირად სვამდა

---

*ეთერ კობაიძე: სულმნათი შოთა რუსთაველი ბრძანებს, რომ ყველა ერს აქვს თავისი „ფერი", უფალმა შექმნა სამყარო, არს „უთვალავი ფერ-ითა".*

*ერთი სიცოცხლე ცოტაა, ...ორის იცოდეს კაცმა.*

ვლადიმერ კონიჩი, რომ ერთი ორად მოჩვენებოდა, თუმცა, ზოგჯერ ზომას ვერ იცავდა და ზოგჯერ ერთი ათადაც ეჩვენებოდა.

ერთხელ, სისხამ დილით, დავადექით თავზე, სახაშედ ატეხილები. რას ვხედავთ — ვლადიმერ კონსტანტინოვიჩს სახე ბალიშში აქვს ჩარგული და ხვრინავს, რკინის ლოგინის წინ კი, ყოველ შემთხვევისათვის, ტაშტი დგას...

უფროსმა ძმამ ბევრი აჯანჯღარა, მარა... ძვრა ვერ უყო — მკვდარივით ეძინა.

— ასე უნდა ამას შევიდეს კომუნიზმში? — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ბატონმა შალვამ და ჰოი, საოცრებავ — „მიცვალებულმა" ხმა ამოიღო:

— შედი შენ და გამეიხურე კარები! — ნამობოდა თუ ნამოაზმორა „ვალოდიეს" და ამ დილაუთენია ჩვენც რომ დაგვინახა, ცოტა მობურბუსალდა. თვალები ნამოქაჩა, არნივის თუ „არნყივის" მზერა მოავლო ოთახს და ტაშტი რომ დაინახა, იყვირა, მარა რა იყვირა!

— ამას რა უნდა აქ? (ვითომ, როგორ მაკადრეთო?)

დაბნეულობის მიუხედავად, ვერიჩკა დეიდა არ დაიბნა და გაუნიორნყალა:

— არაფერი, შვილო, ისე დგას... თავისთვის... მერე ჩვენ მოგვეიტრიალდა და ყბის მოქცეევით გეითხრა ეს ყბისსაქცევი:

— სამი მაგისთანა გევიტანე ნუხელ...

როგორც იყო, ჩავაცვით, დავახურეთ, გავპარსეთ და გავუყენეთ გზას ჩვენი ვალოდია, მარა, მაინცდამაინც იმ დღეს, ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში (სადაც ვალოდია მუშაობდა), პოლიტქსელის შესამონმებლად, რაიკომიდან კომისიას ელოდნენ და იმ დილით (ჩვენი ცოდვა მათ კისერზე იყოს) ხაში ჩაიშალა. თუმცა, ისე ვიყავით ამ იდეით მონამლული, რომ როცა შესვენებისას (კომისიის მოსვლამდე) ბუღალტერმა ვალოდიას ერთი პარტია ჭადრაკი შესთავაზა და შახიც გამოუცხადა, ჩვენმა უფროსმა ძმაკაცმა ვაჟკაცურად მოიგერია შეტევა, თვითონ გადავიდა კონტრშეტევაზე და „შახის" მაგივრად მონინააღმდეგეს იქეთ გამოუცხადა — ხაში! (ნამოცდა).

ბუღალტერი დანებდა, რადგან ამჯერად ფული არ ჰქონდა... უფრო სნორად კი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მერე რაც მოხდა, ეს, მე, მხოლოდ გადმოცემით ვიცი.

მოსულა კომისია და დატრიალებულა ერთი ვაიუშველებელი.

ვლადიმერ კონსტანტინოვიჩის ჯერიც დამდგარა. არადა, მას რომ არ იცნობდა, ისეთი რაიკომიც შევარცხვინე და აღმასკომიც!

იგი საერთოდ უარყოფს აფხაზური ენის რაიმე კავშირს ქართულ ენასთან და ისეთ აზრებს გვთავაზობს, რომელიც არათუ მეცნიერის, არამედ ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის მიუღებელია. აღსანიშნავია, რომ ს. ლაკობას წიგნი მომზადდა დ. გულიას სახელობის ენის, აფხაზეთის ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში, რომლის დირექტორი, იმ პერიოდში, აფხაზი სეპარატისტების ლიდერი ვ. არძინბა იყო. ს. ლაკობას მტკიცებით, კავკასიის წარსულში აფხაზურ ენაზე ლაპარაკობდა და მომავალშიც აფხაზურ ენაზე ილაპარაკებს. ამ აკვიატებული აზრის დასამტკიცებლად იგი „ასაბუთებს" აფხაზური ენის ნათესაობას ჩინურ, ტიბეტურ, ხეთურ, ბასკურ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წყნარი ოკეანის სანაპიროზე გავრცელებულ ციმშიან-ჩინუკის და სხვა ენებთან. „მანია გრანდიოზათი" შეპყრობილი ს. ლაკობა, თავისი აზრი რომ მეცნიერულ ჭეშმარიტებად გაასაღოს, ცნობილ

არ დაგავიწყდეთ, რომ, როგორც თავში შევთანხმდით, ყოველივე ზემოთქმული... შტრიხებია ვალოდია მებურიშვილის პორტრეტისთვის. გრაფიკულად კი, თუ გსურთ მისი წარმოდგენა — გადაადნეთ ერთად ის სამი კომიკოსი, ერთს მარგუნოვი რომ ერქვა, მეორეს — ნიკულინი, მესამეს — ვიცინი და იცინეთ, რამდენიც გინდათ... მარგუნოვი ხომ მაინც მისი პიპალო და ტყუპისცალი იყო.

მოკლედ, მიადგნენ ვალოდიას:

— რომელ პოლიტწრეში ხართო?

37-წელ გამოვლილი კაცისათვის როგორი შეკითხვაა?

— როგორ გეკადრებათ, ბატონო?.. რა მინდა მე პოლიტიკურ წრეში!.. მე, ბატონო, ჩემი წრე მყავს, ჩემი ნათესავების, მეგობრების წრე... (მერე, თავს იწონებდა, თქვენი გვარები არ დამისახელებიაო)?!

ისინიც გადარეულან და ესეც გაგიჟებულა:

— რას მერჩით, კაცო, რის წრე, რა წრეო?..

დირექტორს (ერთი ალალი რაჭველი კაცი იყო, გვარად ჯაფარიძე) თვალი ჩაუკრავს თანამშრომლისთვის — რას ბუტბუტობ, გაჩუმდიო.

სამეურნეო დარგში მოადგილე ვალოდია მებურიშვილი მაინც არ „გატყდა" და დირექტორისთვისაც შეუბრუნებია ენა:

— რას მერჩი, ძმაო, შენი გულისთვის ვერ დავიღუპავ თავსო.

ბოლოს კომისიასაც უფრო მარტივად დაუსვამს კითხვა:

— როგორ, წიგნი არ წაგიკითხავთ?

წუხანდელი ნაბახუსევი ვალოდია ცოტა აზრზე მოსულა და დიდი ნაკითხი კაცივით, შეფერებულად უთქვამს:

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, წიგნი და გაზეთი თუ არ წავიკითხე ყოველ დღე, ისე რა დამაძინებს!

— ეს ამხანაგი დამოუკიდებლად სწავლობს პოლიტეკონომიას — წააშველა სიტყვა დირექტორმა.

— რომელ თავზე ხართ? — გამომცდელად ჩაეძია გამომცდელი.

— ყდაზე გახლავართ, ბატონო!.. ტექნიკურად მოუჭრა ვალოდიამ, ღმერთი არ გაუწყრეთ და უფრო შორს არ წავიდნენო.

ასე გადარჩა პოლიტეკონომია ვალოდიასაგან და ვალოდია პოლიტეკონომიისაგან. გადაჭარბებაში ნუ ჩაგვითვლით და მაშინდელ პოლიტ-აღმზრდელობით მუშაობაში იყო, როგორც მაშინ იტყოდნენ, არანაკლებ სავალალო ფაქტები და, მათ შორის, ერთი ასეთიც! მგონი მოყოლილიც მაქვს.

ვლადიმერ კონსტანტინოვიჩს ფრონტიდან ერთი უშველებელი ნათესავი ჩამოუვიდა — სახელად ლუტუნა, რომელმაც რუსი ქალი ჩამოუყვანა ნათესავებს:

— რაა, ბიჭო, ეს, ამაზე უკეთესი ქალი ვერ იშოვნე? — დაუწუნა ვერიჩკამ.

ლუტუნა შეწუხდა.

— ვერიჩკა ტიოტია, ნე გოვორი პო გრუზინსკი, ატო ჟენშინა პოდუმაეტ ჩტოტო...

კალამი გამექცა...

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ლადი კონიჩს!

არ ვიცი, წიგნებისათვის თუ ეცალა, საერთოდ თუ კითხულობდა,

---

*პროფესორი გრიგერ ფარულავა: ჩვენ ისეთ პირობებში ვცხოვრობთ, როცა კანონი კი არაა ძალა — ძალაა კანონი!*

მაგრამ ფაქტია, რომ თვითონ იყო დაუნურელი ნიგნი.

ერთხელ მის მოყვარესთან, (ჩვენ ასე გაგვაცნო) ცნობილ ექიმ, პროფესორ მიხეილ კოკოჩაშვილთან, სულ აკადემიკოს-პროფესორები და მათი კეკლუცი ცოლები შეიკრიბნენ. ვალოდიას გიტარამ და ჩვენმა სიმღერებმა ცოლებს სულ დაავინყათ ქმრები და მზე და მთვარე ვალოდიაზე ამოსდიოდათ. ერთ-ერთმა საპატიო სტუმართაგანმა იუკადრისა ვალოდიას სიმღერასთან მისი ტურფა ცოლის შეხმატკბილება და აღარ იცოდა, რით დაემცირებინა ეს უჩინ-უმედალ-უხარისხო თანამესუფრე... მარა, ვალოდია რის ვალოდია იქნებოდა, იმის საკბილო გამხდარიყო. პირიქით!

— მე თქვენი ქმრის ნიგნი შევიძინე.

— მართლა?! — სიამაყით შეიცხადა ცოლმა.

— რომელი ნიგნი? — იკითხა ავტორმაც — „ტიფი"?

— არა, ბატონო, „გრიპი".

— სად შეიძინეთ? — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა ავტორმა.

— ხურდაში მომცეს, ბატონო!

... ძლივს გამოვასხნარით გარეთ!..

მისი ნიგნიერების სხვა და არანაკლებ ცნობილი საბუთიც არსებობს. შუადღეა. ამ დროს, თუ კაცი მთლად უპატრონო არაა, უკვე ნასადილევი უნდა იყოს. თარსი დღეა. ერთი რაა, მთელი დღე ერთი დამპატიჟებელი არ გამოჩენილა!.. არა, ერთი კი იყო, თუ ამასაც დაპატიჟება ჰქვია, მარა აქ თვითონ გაიდო თავეპატიჟი.

ზემელზე ვალოდიას ვიღაცა გამოუჩნდა.

— კონსტანტინოვიჩ, რაც იქნება — იქნება, შევიდეთ აგერ, ლუდის კიოსკში და, თითო ას-ასი დავკრათ!.

ასი ეყოფა შენს კონსტანტინოვიჩს!... ისიც უპუროდ და უმარილოდ?.. შემოდგომის აზნაურს ავინყდება, რომ დილის სიფთა კი არა, უკვე საღამოჟამია და ზრდილობიანი უარის სრულიად უდროო, უადგილო და უაზრო არგუმენტი მოჰყავს:

— უზმოზე არ ვსვამ!

...არადა, არ იქნა ეს დღე არ აენყო. ახლა აგერ კიდევ, ერთი ნაცნობი ხელოსანი რუსი გადაეყარა და ვითომ მისი გაჭირვება არ ეყოფოდა — თავისიც ზედ აჰკიდა!

— ზდრასტი ვიტია... კაკ ხარაშო? (ე.ი. ხომ კარგადო — ქართული კალკა)

— ნა შჩოტ ჩევო ტი სპრაშივაეშ?.. ჩაეძია ვიტია.

— ნა შოტ, ხარაშო... გადაგყობი ახლა თან...

— ეჰ, ვალოდია, მენია ჟენა ვიგნალა.

რუს პოეტებს ანდრეი ბელის და ოსიპ მანდელშტამს მოუხმობს — თითქოს ისინიც მისი თანამოაზრეები იყვნენ. „ბელის ჰაეროვანი აზრი „მომავალი სალაპარაკო ენის" შესახებ უფრო გარკვევით განსაზღვრის მანდელშტამმა. რა თქმა უნდა, ბელისაგან დამოუკიდებლად. ოსიპ მანდელშტამი კაცობრიობის „მომავალ სალაპარაკო ენად" აფხაზურ ენას მიიჩნევდა" ისტორიის გამყალბებლებს — ისტორია გასცემს პასუხს.

...**1994** წელს. სანკტ-პეტერბურგში გამოვიდა საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნი „ოსეთი და ოსები", რომელშიც, მეცნიერული სინდისის უგულებელყოფით, ხშირად აღნიშნული ნაშრომის გადმოცემული და რომელიც, ფაქტობრივად, კურიოზების კრებულს წარმოადგენს. ამ წიგნში სიტყვასიტყვით ასე წერია: „მემკვიდრეობით მიიღო რა თავისი ალანი წინაპრებისაგან ცოდნისადმი მისწრაფება... დავით სოსლანმა, რომელიც ღვთის განგებით მ ო ხ ვ დ ა

— ერთი ტეოი ჟენაც... პადაჟდი. პასმოტრიშ კაკ ონა ბუდეტ, ჟალკო... ტაკოვო დურაკა გდე ეშო ნაიდიოტ... ეტოტ იდიოტ, — დაამშვიდა ვალოდიამ. ეტყობა, საკუთარმა რუსულმა კუჭი აუშალა და მანამ არ მოვიდა ხასიათზე, სანამ არ დაგვითანხმა ჩვენს საყვარელ კაცთან — ბატონ შალიკო ანდღულაძესთან წასვლაზე — ახალი წიგნების კარადა უყიდიათ და მივულოცოთო.

და აი, მივადექით ვალოდიას ბავშვობის, ყრმობისა და მონიფულ-გადამნიფებულობის პერიოდს, მისი ბიოგრაფიის ერთ ცნობილ ამბავს, რომელმაც ზეპირ მოთხრობად მოიარა მთელი საქართველოს სასუფრეთი.

ამ ოჯახში ვალოდია და მისი დასტა — გივი ნიჟარაძე, ომან ომანიძე, ფუსო კაკაბაძე და გიზო ნიშნიანიძე — ანუ პირველ-მეორე-მესამე ხმა მიღებული ვიყავით და პატივისცემა არ გვაკლდა... მაგრამ ყველაფერს თავის საზღვარი აქვს, ამოუვიდათ ყელში ჩვენი ამდენი სტუმრობა და, შესაბამისად, პურ-მარილიც შეთხელდა... ამიტომ, თავიდან კი გავაფიჩინეთ ფეხი — მოვასვენოთ ის ხალხი-თქო, მაგრამ არც ვალოდიამ მოუცვალა ფეხი თავის სიტყვას.

ავდექით და დავადექით. თავზე ჩვენი ხშირი სტუმრობით, ასე ვთქვათ, ყელში ამოსულ ოჯახს!

რა სწორი უთქვამთ: დილით ოქრო ხარ, სტუმარო, შუადღეს ვერცხლად იქცევი, თუ ცოტა დაგიგვიანდაო და...

ზუსტად ასე ვართ ახლა ჩვენც, მაგრამ მებურიშვილის მაძიებლური ბუნება და გამჭრიახობა არ იცით თქვენ!

და აი, სიტყვა ისევ მის წიგნიერებაზე ჩამოვარდება! იგი მიდის მასპინძლის მიერ ახალშეძენილი წიგნის კარადასთან, ალებს თაროებს, ათვალიერებს და კაი ფილობიბლონივით თუ ბიბლიოფილივით ამბობს:

— პირველ თაროზე — მარქსიზმის კლასიკოსები!.. მეორე თაროზე — კი, ბატონო — მხატვრული ლიტერატურა... ჟიულ ვერნზე რას იტყვი, ჩემო შალიკო, მაგი ბოეშვებისთვის ყველაზე ვერნია... ა, ასე არ არის!

— მოგცლია ერთი — ცოტა აგდებულადაც კი მეჩვენა ბატონი შალიკოს პასუხი.

პურ-მარილს კი არა და არ უჩანს პირი.

არადა, ვალოდიამ, სამზარეულოს კარები რომ უცბად გაიღო და უცბად დაიკეტა, მაშინვე თვალი ჰკიდა და იყნოსა ვიჩინა — ბურვაკის ბარკალი... ქარვასავით რომ იყო და სამზარეულოს კუთხეში მონყენილი ეკიდა!

თვალის მოკვრა და ვარიანტის მოფიქრება ერთი იყო — ოსტაპ ბენდერის ქართველმა კოლეგამ ბადე ისროლა, რომელსაც აუცილებლად უნდა ამოჰყოლოდა „ოქროს თევზი".

— ჩემო შალიკო, ნადირობა თუ გიყვარს?

— მე, ჩემო ვალოდია, მოგეხსენება, იურისტი კაცი ვარ და სულ სხვანაირ ნადირს დავდევ...

— ჰო, აპა!.. მე კი ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან — სწორედ ისა ვარ...

ბიჭებმა ერთმანეთს გადავხედეთ (სეროვის ცნობილი სურათივით — "Охотники на привале"...) და ქეჩოები მოვიფხანეთ...

_ ამასწინათ ბოეშებმა კურდღელი მოინატრეს. ჰოდა, მეც ერთ მეზობელს — ძაღლი ვთხოვე, მეორეს — თოფი... (ჩვენი ხათრით თუ შიშით — პირში არ მეცნენო, შეეცადა, ცოტა სიმართლისათვის დაემსგავსებია მონაყოლი), — ჰოდა, გავედი ტყეში (არ დაუკონკრეტებია რომელ ტყეში, რადგან ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არ ეძ-

ლეოდა, მას ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება დროულად მიეღწია სანადელამდე)... ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, იმ სიშორეზე, აგერ მე და აგერ ვიჩინა (!) რომ ვართ... მე და ვიჩინა... ვიჩინა და მე!..

მოკლედ, იმდენი იძახა „მე და ვიჩინა" — „ვიჩინა და მეო", რომ ბატონი შალვა მიხვდა ქარაგმას და ცოლს ცალყბად გადაულაპარაკა:

— შემოიტანე, ქალო, მაგ ვიჩინა, ხომ იცი, რომ არ მოუსვენებსო...

ასე მოეიდა სუფრაზე დიდებული შაშხი და ჩვენც ვჭექეთ სიმღერა — „შაშემა აჯობა კაკაბსა!" ქალბატონი თამარი შეუდგა შებოლილი ბარკლის ჭრას, მაგრამ, ამ, უკვე გაშინაურებულ სტუმარს მოეჩვენა, რომ ნაჭრები ერთობ თხელი იყო და ეცა ხელში:

— ნუ ნუხდებით, ქალბატონო, ჩვენ თვითონ მოვუვლით ამ საქმეს — უთხრა ვალოდიამ დიასახლისს და ორას გრამიან ნაჭრებად შეუდგა შაშხის დამუშავებას... თანაც, შიგადაშიგ, ნაჭრებს ღრანჭში მიაქანებდა, გემოს უსინჯავდა, გულზე მჯიღს იცემდა და სიამოვნების ნიშნად კრუსუნებდა, — უჰ, უჰ, უჰ... რა ვიჩინაა, კაცო!.. ვიჩინის უნახავს გაგხდის!.. მაინც, რას ემდუროდით, რატომ არ გამოგქონდათ სუფრაზე?! — „ყვითელი ბარათი" დაუძრო მასპინძლებს.

... დიახ, როგორც მგელზე ამბობენ, ტყის სანიტარია და, რასაც სასიცოცხლო პირი არა აქვს, ყველაფერს მუსრს ავლებსო. იგივე შეიძლება ითქვას ვლადიმერ კონსტანტინოვიჩზე, რომელიც არავის შეარჩენდა ქართული სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციისა და მხარჯველობითი უნარის დაქვეითებას, რაც ასე სავალალო მდგომარეობაშია ახლა — ახალი პოლიტიკური ეკონომიკისა თუ ეკონომიკური პოლიტიკის, ანუ ბიზნესის დროში, როცა რაც არა აქვს, რას გააგდებინებ ჯიბეგაფხეკილ კაცს ჯიბიდან!

თვითონ?

თვითონ თუ რამე ჰქონდა ჯიბეში, არ უჩერდებოდა, მარა არც სხვისი ჯიბის დანდობა იცოდა.

სახლში, ნასვამ მდგომარეობაში არაერთგზის მისვლის გამო, ერთხელ ასეთი ხერხი უხმარია:

— დედაჩემო, არ დამინყო ახლა, შენ რომ იცი ლათაიები და კაი ჩლუქი ჩემზე იყოს!

ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, ნათქვამია და ვერიჩკაზეც გაჭრა.

გაეიდა ერთი დღე, ორი, სამი...

მართალია, დაპირებულს ცხრა თვეს თუ სამ წელს ელოდებიან, მაგრამ ცხრა დღეც არ გასულა, ნიჟარაძის ქალს აევსო მოთმინების ფიალა და სახლ-

საქართველოში. გააგრძელა იქ თავისი ქვეყნის კულტურული ტრადიციები... დავით სოსლანის კალამს ეკუთვნის საგმირო პოემა „ვეფხისტყაოსანი", რომელიც ავტოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები"(?!)

„ლიტ. საქ.", 1.07.05.

გაზეთები წერენ: „მოპარულია დროშა, მოპარულია გერბი, მოპარულია ჰიმნი" ლამისაა, პასუხისგებაში მისცენ მთელი ეპოქა!

პარლამენტარი პროფესორი ელიზბარ ჯაველიძე გაზეთ „ახალდახალში" (25-31.07.05) წერს, რომ: „შევარდნაძე... უწიგნური კაცია", რამეც „ძნელია" არ დაეთანხმო ან დაეთანხმო. რადგან ეს კაცი თვითონ წერს წიგნებს და რასაც წერს, იმას მაინც ხომ კითხულობს?

პოლიტოლოგი არნო ხიდირბეგიშვილი ამბობს, რომ „საქართველოს მომავალი პრეზიდენტი დღეს, მინიმუმ... ციხეში უნდა

იდან ყოველ გასვლაზე, მთელი ქუჩის გასაგონად, ასე სახალხოდ ადევნებდა ხმას ცხრა მთასა თუ ცხრა ბარში მიმავალ „დებიტორს" (აბა, სხვა რა დავარქვა).

— ვალოდიააა, ვალოდია... ჩლუქი არ დაგავიწყდეს, ჩლუქიიიი!..

მთელმა პაპანინის ქუჩამ გაიგო ეს ამბავი და ჩქარა ქუჩიდან ქალაქსაც მოედო.

სავსებით მოსალოდნელი იყო, ვლადიმერ კონსტანტინოვიჩის ავტორიტეტს ნყალი შედგომოდა. დიდი ფულიანი კაცი არასოდეს ყოფილა, მაგრამ იყო პერიოდები, როცა ჯიბეში კაპიკი არ უჭყაოდა, ეს სწორედ ის დრო იყო.

რა ექნა?.. სახლიდან გამოსული ვალოდია ისევ სახლში აბრუნდა და მკაცრად გააფრთხილა ვერიჩკა — შენი ხმა არ გავიგონოო!.. (უფრო სწორედ, „ჩლუქი" აღარ დაიძახოო). სხვა რა გზა ჰქონდა და დეიდა ვერიჩკამაც პირობა დადო. არადა, ნიჟარაძის ქალი იმის ჩიტი იყო, სხვის ჭკუაზე ევლო?.. ისეთი რამე მოიფიქრა, რომ დედასაც შეესრულებინა შვილისათვის მიცემული სიტყვა და შვილსაც — დედისთვის... მოკლედ, როგორც იტყვიან, არც მწვადი დაეწვა და არც შამფური!

როგორ?

როგორ და...

როგორც კი ხელმეორედ გადმოდგა ფეხი ქუჩაში და ფანჯრებს სეირის საყურებლად ისევ რომ მოაწყდნენ მეზობლები, ვალოდიას ისევ მოესმა ვერიჩკას ხმა: ვალოდიააა... ვალოდიააა...

— რა იყო? — ქვევიდან ამოუღრინა კონსტანტინოვიჩმა.

— „ჩ"...

არც მეტი — არც ნაკლები!

ვალოდიაც, ჩვენცა და მეზობლებიც მაშინვე მშვენივრად მიხვდნენ ამ „კუდიანი" ქალის მოგონილ ე.წ. კრიპტოგრამას, ანუ საიდუმლო ნიშანს.

... გავიდა ცოტა დრო, ვალოდიამ დედამისს „ჩლუქი" უყიდა, დედამისმა კი შეწყვიტა ქუჩაში ყვირილი... ქატო იქა — ფქვილი აქა. დამთავრდა ეს „ზღაპარი", მაგრამ ცხადი არ დამთავრებულა — დეიდა ვერიჩკა რაცხა შეუძლოდ შეიქნა და ახლა კაი ექიმი მოითხოვა:

-რა გაგიხდა ბიჭო, ერთი პროფესორის მოყვანა?..

პროფესორისო! რავარიი?..

გამოვიდა ვალოდია ქუჩაში, და სტაცა გივი ნიჟარაძეს ხელი (ის მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტი იყო.). ჩავაცვით თეთრი ხალათი, გავუკეთეთ სათვალე და თუ პროფესორს არა, ექიმ აიბოლიტს ხომ დავამსგავსეთ!

ჯერ დეიდა ვერიჩკამ გასინჯა პროფესორად მიყვანილი სტუდენტი, ახედ-დახედა, თვალში არ მოუვიდა და თქვა:

— მაგის გამოწერილ წამალს, შვილო, კუჭში არ ჩოვუშობ და გარედან მისვით რამდენიც გინდათო.

შემდგომში ამ ფრაზამ კინაღამ დამღუპველად იმოქმედა ჩვენი ძმაკაცის სამედიცინო კარიერაზე, თუმცა, იყო მეორე შემთხვევაც (ეს უკვე სტაჟიანი ექიმ-ლარინგოლოგობის პერიოდში).

---

*ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი: – დღეს, როდესაც საქართველო არის დამოუკიდებელი ქვეყანა, ჩვენი მეცნიერების პოტენციალისა და ავტორიტეტის უგულებელყოფა დიდი შეცდომაა („ახალი თაობა", 2006.).*

გივი ვლადიმეროვიჩს (შინაურობაში, ჩვენს „პიტუს") ერთი შებერტყილი ებრაელი ბიჭისთვის გლანდების ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. ბავშვმა, ექიმის ხელში ვეებერთელა შპრიცს რომ მოჰკრა თვალი, იყვირა:

— ექიმო, პაპამ გნახათ, პაპაამ?

გივიმ თავი დაუქნია.

— კი, მნახა.

— პატივი გცათ?

— კი, მცა — ცოტა არ იყოს, შეცბა ექიმი.

— აბა, რაა ამხელა ნემსი, ექიმო?! — აბღავლდა ბავშვი, რომელიც შპრიცის სიგრძეს... პატივისცემის სიგრძე-სიგანით ზომავდა.

... დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ამბავს!

მართალია, პირველმა პაციენტმა — ანუ დეიდა ვერიჩკამ არ ისარგებლა ამ პირველი სამედიცინო დახმარებით, რომლის აღმოჩენასაც თავის სიცოცხლეში ასევე პირველად აპირებდა ნახევრადგამომცხვარი ექიმი... მაგრამ, რაც არ უნდა იყოს — ექიმი მაინც ექიმია — დამნყებიცა და დამამთავრებელიც და მას პატივისცემა სჭირდება. ასე რომ, იმ შემთხვევაში ამ უპატრონო ავადმყოფის პატრონი იძულებული შეიქმნა გოგოლის ქუჩელ მევახშე ძია სუმბათასაგან ესესხა ფული სავახშმოდ, რომელიც, ლამის, მეორე დღის საუზმემდე გაგრძელდა!

ასეთი აულაგებელი სუფრები და შინნაუსელელთა სადღეგრძელოები ბევრი გამართულა და ბევრიც დალეულა, მაგრამ აქ მოხდა ერთი ისეთი ფაქტი, რომელსაც, კრიმინალურის გარდა, სხვას ვერაფერს დაარქმევ. ვითვალისწინებ რა იმას, რომ ყველაფერს თავისი ხანდაზმულობა აქვს — დღეს პირველად გავხსნი ერთ სისხლის სამართლის საქმეს, რომელსაც სიამოვნებით გამოაჭენებდა ცისფერ ეკრანზე ვიდეოპატრული „აუდიენცია", მაშინ რომ ტელევიზია ყოფილიყო.

ის, რასაც ახლა მოგიყვებით, ერთადერთი ცოდვაა, რაც ჩვენს ნინაშე მილიციას კი არა — პირიქით — ჩვენ მიგვიძღვის ცოდვილი მილიციის ნინაშე!

ასე, შუაღამე იქნებოდა, როცა დუქანში სუფრას შემორჩენილმა გივიმ და ვალოდიამ დატოვეს იონა მეხაშის „რეზიდენცია" და სადგურის ქუჩაზე მდებარე თამბაქოს ფაბრიკიდან... კიდეც გაისმა ღამის ცვლის დამთავრების მაუნყებელი პროლეტარული საყვირის ხმა.

ცარიელ ქუჩაზე ისევ აბორიალდნენ ლანდები. ასეთ დროს, ასეთ სიბნელეში და ასეთ ამინდში ქალი კი არა, ძაღლი არ გაიგდება გარეთ... უეცრად, გივის ფაბრიკიდან გამოსული უშველებელმკერდიანი ქალი ნამოენია ქუჩაში. ამათ გარდა, კაცის ჭაჭანება არ იყო და ნიჟარაძემაც დრო იხელთა —

*იჯდეს"?!.. მაქსიმუმი კი, ალბათ, ის არის, რომ ის, ეეეე, კარგა ხანია, ზის... პრეზიდენტის სავარძელში!..*

*დავით ზურაბიშვილი (პარლამენტარი):*

*ჩვენი პრეზიდენტი ძალზე ენერგიული და სწრაფად იცის გადაწყვეტილების მიღება.*

*— თქვენთვის იოლია მასთან ერთიერთობა?*

*— ერთადერთი, რაც მიჭირს მასთან ურთიერთობისას, ალბათ ის არის, რომ სწრაფად დადის და ვერ ვეწევი.*

*იგი არის კაცი, რომელსაც ჰყავს მეგობრები, ნათესავი და დედამამიშვილი, მათი ერთგულია, უნდა, ისინი კარგად იყვნენ და ეხმარება კიდეც. მაგრამ ტალეირანს აქვს ნათქვამი — ზოგჯერ მთავრობის ღალატი პატრიოტის უმაღლესი მოვალეობაა. ასეთი რამ თვითონ სააკაშვილმაც გააკეთა, როდესაც შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნისას საკუთარ მთავრობას*

ძუძუზე ნაავლო ხელი?!.. ნაავლო და ამ ოთხკუთხედი ძუძუების პატრონმა ქალმა განწირული ხმით იყვირა:

— მაპატიეთ, უფროსო!

— ?!

გივი რო გივია — თავიდან ისიც კი დაიბნა, მაგრამ მაშინვე აულო ალღო სიტუაციას — მიხვდა, რომ ეს ოთხკუთხედი — „მკერდი" კი არა — გადამალული საქონელი — სახელმწიფოსაგან მოპარული სიგარეტია!!! მაშინვე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება და შესაბამისი იერი.

— ააა, ვოტ ანო ჩტო — ჩაურუსულა და წინწასულ ვალოდიას, რომელიც ამ ამბის ბაიბურშიც არ იყო, წარუდგინა სახელმწიფო ქონების ხელყოფაში შემჩნეული ქალი.

— ტავარიშ, პოლკოვნიკ, სიგარეტების ქურდი დავიჭირე.

— ე, ბიჭო, თუ ძმა ხარ, მომაწევინე ერთი — თხოვა ვალოდიამ გივის და უცბად ისიც მოეიდა აზრზე, რომ ამ საქმიდან მეტი სარგებლობის მიღება შეიძლებოდა. — რაო, რაო!.. იღრიალა ვალოდიამ პოლკოვნიკურად.

— უფროსო, ქურდი დავიჭირე... სიგარეტები მოიპარა — გაუმეორა პატაკი გაურკვეველი ჩინის „მოხალისე" მილიციელმა.

ვალოდია როლში შევიდა, დაჭერილსაც და დამჭერსაც გვერდიდან გამოხედა და რუსულად ბრძანა:

— ვზიატ ემუ მილიცია!

მე არ ვიცი, რა ეროვნების იყო ის უბედური, მაგრამ ამ ბუტბურიდან სიტყვა „მილიციას" მაინც ხომ მიხვდებოდა! ჰოდა, მიხვდა კიდეც და მუხლებში ჩაუვარდა „პოლკოვნიკს", მაგრამ „საზოგადოებრივი წესრიგის დამცველების" გული მანამ ვერ მოალბო, სანამ მეზობლებში ამათთვის მისაცემი ქრთამის ფული არ ისესხა (იქვე ცხოვრობდა). ეს ორი ძალად „მილიციელი" კი, კონფისკაციაქმნილი სიგარეტების ფუთით ხელში, უტიფრად იდგა ეზოსთან და ნამდვილი მილიციელის წილ ქრთამს ელოდებოდა!

თენდებოდა. ეს ბნელი საქმე თანდათან გამოდიოდა დღის სინათლეზე. ესენი კი იდგნენ და ელოდებოდნენ. ეზოში თანდათან ილებოდა ფანჯრები, ფანჯარასთან საცვლებისამარა მოდიოდნენ მობინადრეები და უშვერი სიტყვებით ილანძღებოდნენ:

— თქვე მექრთამეებო!

— თქვე გათახსირებულებო!

— თქვე ნამუსიდან გარეცხილებო!

ესინი კი იდგნენ და იდგნენ. ელოდებოდნენ... თითქოს მილიციას თავის სირცხვილი არ ეყოფოდა! (დღემდე „მრცხვენია" მათ მაგივრად). ფეხი არ მოიცვალეს მანამ, სანამ პახმელიაზე გამოსასვლელი და მევახშე ძია სუმბათასაგან გამოსახსნელი პასპორტის ფული არ იშოვნეს... თუ ამასაც შოვნა ჰქვია.

გახსოვთ, ოსტაპ ბენდერი ამბობდა ფულის შოვნის, მგონი, 400 გზა ვიციო. არც ვალოდიამ იცოდა ნაკლები... კიდევ უფრო ჰეროიკული, მაგრამ არანაკლებ სარისკო.

პახმელიაზე „ნადკუროიში", თევზის რესტორანში გამოსულან. გაზაფხულის პირი იყო და მტკვარს მიჰქონდა ყველაფერი. სუფრას ვალოდია, გივი, ფუსო, ომანი და მისი ბიძაშვილი — ცნობილი „პარტნოი" ბუჭი ომანიძე უსხდნენ.

*ძალაუფლება (ხელისუფლება) უძლიერესი ნარკოტიკია..*

ვალოდიას ტრაბახშიც არ ჰყავდა ბადალი.

— თქვენ მე ასე ნუ მიყურებთ, რიონის პირას ვარ გაზრდილი და ცარიელი კუნთი ვარ, ძმაო... ამ ადიდებულ მტკვარს, თუ გინდათ, ახლა — სახალხოდ, ყველას გასაგონად უთქვამს ვალოდიას, — გავცურავ-გამოვცურავ, გავცურავ-გამოვცურავ, გავცურავ-გამოვცურავ!..

დაუთვლიათ და სამჯერ „გაცურვა-გამოცურვა", გამოსულა. ბუჭის ნიძლავი დაუდია — თუ ვაჟკაცი ხარ, ერთხელ მაინც გადაცურეო!..

მთელი რესტორანი გამოსულა გარეთ სეირის საყურებლად... მაგრამ მე ამ ამბის მოყოლას თავს ვანებებ.

იმაზეც მადლობა თქვით, რომ შემიძლია, გახაროთ — ვალოდია ცოცხალია, მაგრამ ძმაკაცების სახელის გაგონებაც არ უნდა. ერთადერთი ვისაც აქვს პირი მასთან გამოჩენის, ეს ისევ მე გახლავართ და კიდეც ვეახლე.

ისიც ჩუმადაა და მეც!

ისიც დუმს — მეც!

მარა, როდემდე!

— წუხელ სად იყავი? — ვეკითხები.

— ძალიან კარგადაც იცი, სადაც ვიყავი!

— მართლა წააგე ნაძლევი?

— წავაგე კი არა — მოვიგე!

— როგორ?.. მართლა ჩახვედი წაპირზე?

— კი.

— გაიხადე?

— კი.

— მერე?

— მერე... ჩავიცვი!.. აბა, რა მექნა... ისეთი ცივი იყო წყალი და ისეთი ადიდებული — მტკვარი, იმას რა ეშმაკი გადაცურავდა?

ამას ჰქვია, ბიჭო, ძმაკაცი?.. მე რომ წყალში ვაპირებდე გადავარდნას, შენ უნდა გამიშვა?

მოკლედ, ძლივს შევირიგეთ და მალარიჩიც იქეთ გვაკისრებინა. სწორედ იმ საღამოს მეორედ მოგვეინია მისი გამბედაობის შემოწმებამ... ასე ეთქვათ „სახელმწიფო გამოცდა", რომელიც, მან ჩვენდა სასახელოდაც და ჩვენდა სამწუხაროდაც უნდა ვთქვა, — ამჯერად, მაინც წარმატებით ჩააბარა.

იმ ღამესაც საშინელი ქარი ქროდა და მთვარის მკრთალ შუქზე, კუკიის სასაფლაოს ხეთა ჩრდილები, ათას ეშმაკებსა და ჭინკებს ხატავდნენ.

ვალოდიამ თქვა: თუ გინდათ, ახლა, ამ სასაფლაოზე ამ წკვარამში შევალ და ღამეს გავათევო...

შენ კიდევ არ ეშვები ამ ტრაბახს-მეთქი — ვუთხარი და ახლა მე დავუდე ნაძლევი — თუ ამ შამპანურის ბოთლს ომანის მამის საფლავზე

გადაუდგა. როდესაც პოლიციელ თანამდებობაზე ხარ, ხანდო თანამებრძოლი უნდა მეარჩიო. მაგრამ თუ უფსკრულში გადაიჩეხები, არავის უნდა მისთხოვო, უკან გამომყევიო. ბრმად ერთგულები, ძირითადად, ის ადამიანები გახლავან, რ ო მ ე ლ თ ა ც დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლიათ. უწინ რომაელი პატრიციები რომ კვდებოდნენ, მათი მონებიც იკლავდნენ თავს. ასეთი ადამიანები დღეს ვერავის ვერაფერში ვეღარ გამოადგებიან. რადგან მათ დამოუკიდებლად მუშაობა არ შეუძლიათ, სახელმწიფოს მართვაში ასეთი ხალხის ადგილი არ არის.

**P.S.** ერთგულების ხაზიმი ხამმობლოა!

გია მაისაშვილი (ეკონომისტი. ნაციონალური მოძრაობის ეკონომიკური პროგრამის ავტორი):

„მიშა კი სჯობია შევარდნაძეს. მაგრამ..."

„აუცილებელია ქართველი ერის თავისუფ ძლიერ და ძველ ფეხზე გათან-

აიტან, მადლადაც ჩაგითვლი და მოგებულადაც ჩაგთვლი-მეთქი! და, იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა, საპალტოვედ ნაგროვები სტიპენდიის ფული ფსონში ჩავედი.

დაავლო ბოთლს ხელი, ყუმბარასავით შემართა და გიჟივით ნავიდა... ახლა იმას მკვდარი კი არა, ცოცხალი რომ შეხვედროდა გზაზე, იმ ბოთლს თავზე დაამშვენიდა.

მოკლედ, მე — წავაგე, ვალოდიამ — მოიგო!.. მე მხოლოდ ის მოვიგე, რომ დავრწმუნდი, ჩემი ძმაკაცი იყო გორგასალივით უშიშარი — ვითარცა უხორცო.

— ახია ჩემზე... ვთქვი და საკუთარ თავს ხმამაღლა ვკითხე: რა ვქნა ახლა მე, ზამთარი კარზეა მომდგარი!..

— გაფრინდი თბილ ქვეყნებში!.. გამახსენდა გიგლა ფირცხალავასთვის ნათქვამი და თითზე ვიკბინე.

იმ საღამოს ჩემი პალტოს ფულიც დავამღერეთ.

„დესერტად" კონსტანტინოვიჩს ქალი მოუნდა. მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდოაო, ნათქვამია და მართლაც შეეზარა, თათარიახნად გადაგვთვალა და რამდენი კაციც კაცად ჩაგვთვალა, ზუსტად იმდენი ქალი გველოდება, აგერ, ბაგებშიო! ვიწონიალეთ, ვიღლაბუცეთ და სიცილ-სიცილსა და სიმღერა-სიმღერაში (მაშინ სიმღერასაც და ხმამაღლა სიცილსაც უშლიდნენ, აპა), როგორც იყო, მივადექით ჩვენი ტურფების „ბარაკის" ტიპის საცხოვრებელს).

ვალოდია შევიდა და აღარ გამოსულა... ვითმინეთ, ვითმინეთ და ავუტეხეთ კარებს ბრახაბრუხი.

ვალოდია ნიფხავ-პერანგისამარა გამოგვეცხადა და გვითხრა:

— რა ვქნა, ძმაო, ჩემი არის, თქვენი არ არის!

მხედველობაში ჰყავდა გოგოები, რომელიც წელან სატყუარასავით გადმოგვიგდო ანკესზე.

რაღას ვიზამდით, მისი საყვარლიანად მაგრად შევუკურთხეთ და კუდამოძუებულები წამოვედით სახლებში. ის კი ვიცოდი, რომ აქ მხოლოდ ერთი ხანშიშესული ქალი ჰყავდა, რომელსაც ლატუშა ერქვა, მაგრამ ძალით მოვიტყუე თავი... ამ ქალს ვიცნობდი კიდეც და მისი გამომცხვარი ხაჭაპურიც ნაჭამი მქონდა... თუმცა, ერთხელ, კინაღამ წამწნარდა მისი პურ-მარილი. დედაჩემს, მკერავ ქალს, რომელიც ნემსის წვერით მზრდიდა, თურმე, ერთხელ, კაბის შესაკერად, სწორედ, ვალოდიას ლატუშა მოუყვანეს, მაშინ ტელევიზორი არ იყო და სტუმრის თავშესაქცევად საოჯახო ალბომის გამოტანა იცოდნენ. ჰოდა, ზის ეს ქალბატონი ლატუშა და ათვალიერებს ჩვენი ოჯახის სურათებს და... აგერ არ ვარ მეც!

— უი, გიზო!.. იყვირა ნახევარ საუკუნეს მიტანებულმა მანდილოსანმა და დედაჩემმა ყურებს არ დაუჯერა.

— გიზოო?.. თქვენ საიდან იცნობთ ამ 17 წლის ბიჭს?

— როგორ თუ საიდან, ჩემი ამხანაგია... ვალოდია მებურიშვილის მხრიდან! — უპასუხა ქალბატონმა ლატუშამ, ახალი კაბის მოსაზომად სარკეში ჩაიხედა, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა, რომ მიუხედავად „გაპრანჭულობისა", ჩემს ამხანაგს არაფრით არ ჰგავდა!

...იმ საღამოს სახლებში წავედ-წამოვედით, ვალოდია კი, როგორც

*ნიკო ლეკიშვილი: „კა-გე-ბეს სისტემაში იყო ქორის გაერცელების სპეციალური განყოფილება, რომელიც თანამდებობის ამა თუ იმ პირის „გასუფთავებლად" მუშაობდა.*

მშვიდობის მაძიებელი, მის „მტრედთან" (ასე ეძახდა იგი მის საცოლეებს) დავტოვეთ. მეორე დღეს ისევ მივაკითხეთ, სადღაც კვლავ პურ-მარილზე გვინდოდა წაგვეყვანა. ეტყობა ახალი ნატრაპეზები იყო და, ჩვენგან თავის დასაძვრენად, ახალი შარი მოიგონა — ჩემი გიტარის გარეშე ვერ წამოვალო, გიტარისთვის კი სახლში ვერ მივალ, ვერიჩკას ჩხუბის და ჭიჭყინის თავი არ მაქვსო. თანაც იცოდა, რომ მისი ამხანაგებიდან ბევრი ვერ გარისკავდა ამ „ტყეში გავარდნილი" (როგორც დედამისი ეძახდა) კაცის ოჯახში გამოჩენას და ისიც რისთვის — რაიმე ახალი ამბის მისატანად კი არა — ძველი გიტარის წამოსაღებად!

...ეეე, ამათ რამეს გააგებინებ?!

არჩევანი ისევ ჩემზე და გივიზე შეჩერდა. სულდი და ბულდიეით გავუდექით გზას და დავადექით თავზე ვერიჩკა ნიჟარაძეს.

— ვალოდიამ გიტარაო! — მოკლედ მოვუჭერით.

— რაო-რაო... ყურთან ახლოს მიიტანა ხელი დეიდა ვერიჩკამ.

— ვალოდიამ, გიტარაო!.. — გავუმეორეთ ჩვენ.

— ვალოდია ცოცხალია?.. — იკითხა.

— ცოცხალი კი არა, ნამეტანი ცოცხალია — მივახარეთ.

— ვაი, მაგი მოუკვდა მის პატრონს — ჩაილაპარაკა და ისევ ირონიულად განაგრძო — მკვდარი იქნება, თორემ აქამდე სახლში არ მოვიდოდა? ნუ დამიმალავთ, მაგის სიცოცხლემ გაგვამწარა და იქნება სიკვდილმა დაგვანყნაროს... სადაა დასვენებული?.. ოფიცერთა სახლში, ხომ კი!.. შინაურებს გვატირებენ თუ იცი?..

მოკლედ გვალადავა, მარა რა გვალადავა.

... გიტარა დაგაბარათ?.. კლარნეტიც ნოუღეთ, ღვინოც მიუტანეთ, დუდუკიც და ქალს თეითონ იშოვნის — გვითხრა იმ კუდიანმა, ჩამოგლიჯა გიტარა კედლიდან და ტყვიასავით გვესროლა.

რა გვექნა, უგიტაროდ ჩვენ არ ვვარგოდით და მით უმეტეს, ვალოდია, რომელიც გიტარასთან ერთად მართლა ერთ რამედ ღირდა!

...ერთხელ კიკეთში ავაკითხეთ „სახელმწიფო დაჩაზე". მაშინ, როგორც გითხარით, ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში დირექტორის მოადგილედ მუშაობდა სამეურნეო დარგში და თან მომღერალთა გუნდებს ხელმძღვანელობდა ტექნიკუმსა თუ შინსახკომში. მოკლედ, იმაზე დიდი კაცი, იყო ჩვენ რომ გვეგონა და იმაზე ნაკლები — თეითონ რომ ეგონა!

მძღოლად ჰყავედა მისი კუთხის ბიჭი — ვანიდან... ანუ „ვანიდგინ" სახელად ემზარი... შეძლებული ოჯახიდან იყო, გასისინებულ უცხოურ ავტო-

ამედროვებს..."

„ქრონიკა" 30.
05.4.06.2005.

„შტალი" ახალი ინტერპრეტაციით

14 წლის გოგოცა მიქაძე „სატელევიზიო ხელოვნების" ბ რ ა ლ დ ე ბ ი თ დააკავეს. მიქაძემ დანაშაული აღიარა. მისი თქმით, იგი 23-ე, 36-ე და 37-ე სკოლებში რეკავდა, რადგან გაკვეთილებზე ჯდომა ეზარება და სასწავლო პროცესის ჩაშლა სურდა. სხვა სკოლაში კი მხოლოდ იმიტომ დარეკა, რომ მის მეგობარს საკონტროლო წერა ჰქონდა, რისთვისაც არ იყო მომზადებული და ასეთი ხერხით მიეშველა.

**P.S.** დროც შეიცვალა, ადამიანებიც და ანდაზებიც: „ძმა-ძმისთვის და შავი დღისთვის" კი არა... „საკონტროლო წერისთვისო"!

თუ გაკვეთილებზე ჯდომა და საკონტროლო წერა „შავ დღედ" მიგვაჩნია, მაშინ რა „შავი დღისთვის" გვინდა დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ი დღე?..

მანქანას დააგრიალებდა და ვალოდიასთან ჯამაგირისთვის კი არ უხაროდა სამსახური, უბრალოდ მასთან და ჩვენთან ყოფნა ევასებოდა.

ამაში ჩვენც დარწმუნებული ვიყავით და თქვენც ახლავე დარწმუნდებით.

ერთხელ, მაშინ უკვე „ნომენკლატურულ" ვალოდიას, კიკეთში სახელმწიფო აგარაკზე ავაკითხეთ. ჰამაკში ნებივრობდა და ბავშვები, იქეთ-აქეთ არწევდნენ (საერთოდ, ალბათ, პირიქით უნდა ყოფილიყო!). თუმცა, ვალოდიას მძიმე ბავშვობა ჰქონდა გადატანილი, ახლა კი, საკუთარ თუ სხვის ბატონებზე იყო გადაყოლილი და იმათაც, არაფერი უჭირდათ, ცოტა შეენუხებიათ თავი.

დაგვინახა — გაეხარდა, დავინახეთ — გავიხარეთ.

მივიკითხეთ-მოვიკითხეთ და დაფაცურდნენ.

— ემზარი! — გასძახა მძღოლს.

— გისმენთ, კონსტანტინოვიჩ — გადმოყარა 32 სალი კბილი ემზარიემ.

— ჯერ ნათქვამი არ უნდა მქონდეს, რომ შენ უკვე გაქცეული იყო! აბა, დაგაზე ახლა და მაღაზიიდან ბორჯომი, ლიმონათი, ღვინო ამეიტანე, სასწრაფოდ!

პაუზა!..

— რაღას უდგეხარ, ბიჭო?

— დოუკარი გიტარა და ნავალ!..

— ემზარი, ბიჭო, რასაა, რო ბედავ, შენ!.. იხტიბარი არ გაიტეხა „ხაზეინმა", — ახლავე გაიქეცი და რაც გითხარი, ის გააკეთე!

— დოუკარი გიტარა და კი ბატონო, თვარა არსად არ ვარ წამსვლელი — პირობას ფეხი არ მოუცვალა ემზარიემ.

კუდი ყავარზე გადებულმა ძალიან დაგვიანებულმა აზნაურმა სხვა გამოსავალი რომ ველარ ნახა, ადგა და ცოლს გასძახა:

— ციალა, გამეიტანე, ქალო, გიტარა — მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და დააყოლა — გიჟდება მუსიკაზე ეს შობელძაღლი!

— მართალს ამბობს, — მონმინდა ნამუსი „ხაზეინს" „შოფერმა", სახელო ნამოიწია და მარცხენა ხელზე სოფელში გაკეთებული რუსული „ტატუიროვკა" გვიჩვენა, ოღონდ მცირე გრამატიკული შეცდომით — „Обижаю музику!"...

ამასობაში კი ვლადიმერ კონსტანტინოვიჩი ვირტუოზული ტექნიკით აბიბინებდა გიტარაზე და ცოტა უხალისოდ, მაგრამ მაინც გრიგალისებულ ტემპში მღეროდა ძაგნიძე-ჩხიკვაძის მაშინდელ ულტრამოდურ სიმღერას — „ჩემო ჩიტუნია"!...

... არადა, „შოფერსა" და „ხაზეინს" შორის ერთ ასეთ ინცინდენტსაც ჰქონია ადგილი. ოდესღაც, სადღაც, რომელიღაც გზაზე მსუბუქი ყოფაქცევის დედა-შვილი დაუჭერიათ და 60 წლის ვალოდიეს 20 წლის ემზარიესთვის უთქვამს — შვილი მე და დედა — შენო?!

ახლა, რა ლოგიკით, არ იკითხავთ?

— რატომ, ბატონო? — უკითხავს ზრდილობიანად ემზარიეს.

— რატომ და საშუალო ასაკი გამოვაო — ლოგიკურად დაუსაბუთებია ვალოდიას.

... ხომ არ შეგაწყინე თავი, „მკითხველო"?

ასეა ყოველთვის, ერთი თუ შევყავი თავი ვალოდია მებურიშვილის სამყაროში, ...მერე უკან გზას ველარ ვიგნებ.

ერთ-ორ ეპიზოდს კიდევ მოგიყვებით და მერე, ჰაიდა, მივხედოთ ჩვენს საქმეს!

ვალოდია მებურიშვილს თბილისში, (გადაჭარბებული არ გეგონოთ) ლამის ყველა ქუჩაზე, თავის „მტრედი" (საყვარელი) ჰყავდა (მნყერებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომლებსაც სულ ნყვილ-ნყვილად აფრენდა!).

ერთხელ ერთმა მეზობელმა... აქ მისი სახელის ხსენებაც არ მინდოდა, მაგრამ სიმართლისათვის უნდა ვთქვა — ყველასათვის ცნობილმა კაცმა, გეარად შაშურკინმა (ციხის შტატიანმა ჯალათმა, რომელსაც, თბილისში „სიკვდილის კომენდანტს ეძახდნენ და რომლის გამოჩენა შიშის ზარს სცემდა ქალაქს), ვალოდიას სიცილით უთხრა: სულ სხვადასხვა ქალებში გხედავ და რას უშვები ამდენ ქალსო?

ყოველ შემთხვევაში... არ ვკლავო — უპასუხა!

...გურგუმალი ზამთარია, სამაიას ბალთან ვდგევართ და სხვა ჯიბეგაფხეკილ ტიპებთან ერთად ველოდებით... რას? „სამ ზნაეშ" — კაი ვარიანტს! ახლა შემადგენლობაც იკითხეთ: დოდო აბაშიძე, ვახტანგ ჭყოიძე, კუკურა ყლენტი, ვოვა მარტინოვი, ვალოდია, მე, ომანი, ოთარა, ბოცო, ბადრი... ვაგლახად ვინ გაგვცემს ხმას! ჰოდა, არც ხმის გამცემიც ჩანს და არც დამპატიჟებელი... და სნორედ მაშინდელია, რეზო ლაღიძის ის რიტორიკული რეპლიკაც, მერე მთელი საქართველო რომ მოიარა:

— ჰო-ჰო... რა „სასტავია" — ხელებს იფშვნეტს გენიალური ბიჭი, კაცი და მერე კომპოზიტორი, ბატონი რეზო და მაინც გარბის, სადღაც მიეჩქარება.

ამ ისტორიულ რეპლიკას აგვირგვინებს ჭყოიძის პასუხი:

— სასტავი კაია, ბოშო, მარა „პარავოზი" გვაკლია!

... ციება. ასე უსაქმოდ და უპერსპექტივოდ ქუჩაში დგომა აუტანელია. როდემდე?.. ხან ერთ ფეხზე გადაგვაქვს სიმძიმე, ხან მეორეზე... ჩამოვნყდით, მაგრამ არ ვიშლებით, კაცი იმედით ცოცხლობს.

და ისევ ვალოდია მებურიშვილი იღებს სიტყვას. იგი ამბობს, რომ აგერ, პეროვსკაიას ქუჩაზე, მისი ცოტა იმნაირი ქალის ნათესავის ქორნილია და იქ 100 იმნაირი ქალი გველოდება?!

საერთო გამოცოცხლება.

ვიღებ სიტყვას მე და ვამბობ, რომ კონსტანტინოვიჩი ტყუის. იმ სახლში ცხოვრობს მისი ერთ-ერთი საყვარელი, რომლის ქმარმა — ვანიჩკამ სპეციალურად შეიძინა ხუთი ნომერი რევოლვერი ვალოდიას მოსაკლავად.

ვალოდია სიცილით კვდება.

— ჯერ ერთი, ვანიჩკა მე თვითონ გავაცილე კისლავოდსკში დასასვენებლად... და მეორეც —

ბონდო გულიაშვილი: სამაჯურიანი მეომრიდან — „ნაკოლკიან" საპატარძლომდე.

ტატუირების ისტორია ითვლის 50-60 ათას წელიწადს. მისი ნიშნები აღმოჩენილია მუმიების გამომშრალ სხეულებზეც და პირამიდების ეგვიპტურ ბინადრებშიც... ლამის ლეგენდები დადის ახალზელანდიელი მეომრების, იაპონელი ქალების სვირინგებზე. ჩვენც იმით გვამშვიდებენ, — ტ ა ტ უ ი რ ე ბ ა საქართველოში დავით აღმაშენებლის დროსაც კეთდებოდა და თუ უზნეობა იყო, ამას მეფეთ მეფე როგორ მოითმენდაო. ხალხო, მაშინ დავითის დაცვის წევრებს, რომელთაც მენარულებს ეძახდნენ, ხელზე უკეთებდნენ ტყავის სამაჯურებს. მათ ქუმ კი — ასეთივე სახის სვირინგებს. თუ მცველი დაიღუპებოდა და სამაჯური მოწყდებოდა, მას ამოიცნობდნენ სვირინგით. ე. ი. სულ ეს იყო სვირინგის დანიშნულება მაშინ. ახლა? ნეტა რომელ ბრძოლებში არიან ჩართულნი ჩვენი თინეიჯერი გოგონე-

ხუთი ნომერი რევოლვერით მოკლული კაცის დედა ვატირე მე — იბრაგუნებს გულზე ხელს.

— მე არ ნამოვალ და თქვენ, თუ ჩემი არ გჯერათ — ნაყევით! — ვაცხადებ მთელი პასუხისმგებლობით. არადა, შეორთქლილი ფანჯრებიდან სინათლე იღვრება, სითბო მოდის და ანდამატივით გვიზიდავს.

ბიჭებმა გადანყვიტეს სიტუაციის დასაზვერად თვითონ ვლადიმერ კონიჩი გაეშვათ, ჩვენ კი ყველაფრისათვის შორიახლოდან გვედევნებინა თვალი. გადანყვეტილება კასაციას არ ექვემდებარებოდა. ვალოდია იძულებული შეიქნა, მარტო მიდგომოდა საოცნებო სახლის კარებს და ცოტა ფრთხილად დაეჭირა საჩვენებელი თითი ღილაკისათვის.

იზრიალა, მარა რა იზრიალა... ას მეტრში გავიგეთ ზარის ხმა. არ გასულა ორი ნუთი, რომ კარის ზღურბლზე გადმოდგა... თვითონ ბატონი ვანო!

დამეთანხმებით, რომ ერთობ მძიმე სურათის მომსნრე გავხდით და დავიძაბეთ. ახლა, ნარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებოდა თავად ვალოდია, რომლის სიცოცხლე ბენზე ეკიდა.

ვანიჩკამ ერთი კი დახედა ზემოდან სამსხვერპლოს და ის-ის იყო, უნდა გაეგლიჯა, მაგრამ მან — ნინდახედულობასთან ერთად გვერდგახედულობაც გამოიჩინა და რომ დაგვინახა, მიხედა, რომ ამ „სასტავთან" არ ღირს შეტაკებაო და... ისევ ვალოდიას ეტაკა:

— რა გინდა? — იღრიალა მან.

— არ მოდიან... ვითომც არაფერი, მშვიდად უთხრა ვალოდიამ და ჩვენსკენ გამოიხედა.

— სად უნდა მოვიდნენ და ვინ უნდა მოვიდეს? — ისევ შეუღრინა ვანომ.

— ჩვენ, ბატონო, დაპატიჟებული ვართ, — უცოდველი კრავის სახე მიიღო კომპოზიტორმა მებურიშვილმა.

— ნადი, შენიო... იძულებული ვარ, ამ სამი ნერტილით სამში ერთი მაინც დავმალო... და დაუპატიჟებელ სტუმარს ცხვირნინ მიუჯახუნა ეს კარი.

ვალოდია... როგორც გაიძურნა, ისე მოიძურნა და იქ გაბრაზებულმა აქ დაირტყა გულზე მჯიღი:

— კაცი არ ვიყო, თუ მე მაგას თქვენი გინება შევარჩინო!

მერე თოვლის გუნდა შეკრა და ზრიალით ჩამოიღო ფანჯარა.

...ერთს კიდევ გეტყვით ქალების ამბავს... ცანგალასავით ამიმღერდა კიდევ ერთი ამბავი, თუმცა, მის გახსენებაზე, კიდეც მეტირება და კიდეც მეცინება.

ავტოავარიაში დაიღუპა ჩვენი ერთი უსაყვარლესი და გაუხარელი ვერისუბნელი ბიჭის — ბოცო ჟორჟოლაძის მამა — ბიძია ჭაკუნა. მამაჩემის ძმაკაცი და ჩემი ძმაკაცის მამა! სახლში მისვენებული კაცი, კლინიკური სიკვდილის მიზეზის დასადგენად, პროზექტურაში ნავასვენეთ ცნობილ პათანატომ და სასამართლო ექსპერტ — რამაზ გვეტაძესთან.

ყველა დანესებულებას თავისი იერი აქვს და, მით უფრო, პროზექტურას. აქ, უკვე, საიქიოს მისაღებში ხარ... თუმცა, ახლა, მისაღებში, ერთ სომხის ბიჭთან ერთად ისეთი სომხის გოგო დგას, რომ ეშმაკს კი არა, თვით მიქელ-გაბრიელსაც შეაცდენს.

*სერგეი ლაზარევი „კარმის დიაგნოსტიკა": ჩვენი პლანეტის გარდა ადამიანთა სულები ჩვენი გალაქტიკის კიდევ ორ პლანეტაზე იბადებიან.*

რამაზ გევეტაძე პირზე კოცნით გვხვდება და სუყველას გვეუბნება:

— ბიჭებო, აგერ ერთი გოგო დგას, იმას გავსინჯავ, ქალიშვილობის ცნობას მივცემ, საქმრო ელოდება, ჩვენი მინისტრის მძღოლია, სეროჟა... და თქვენც ახლავე გაგისტუმრებთ.

— გვაყურებინე, რა — ყელგამოწვდილი ვეხვეწებით, რადგან ეს ის დროა, როცა ქალები ფეხებს კოჭებამდე თუ აჩენენ და ტიტველა ქალის ნახვა ერთ რამედ ღირს!

— აჰ, აჰ... თქვენი შემოშვება როგორ შეიძლება, რამე შარს არ გადამკიდოთ. აი, ვალოდია სულ სხვაა. ის ხანშიშესული კაცია, პროფესორს ჰგავს.

მოკლედ, ვალოდიას ვეღარ გაუტეხა ხათრი, ვეღარ უთხრა უარი, ჩააცვა თეთრი ხალათი, დაახურა თეთრი ჩაჩი, ჩამოადო ცხვირზე სათვალე და შეიყვანა... შეიყვანა და მნარედაც ინანა!

სომხის გახვითქინებულმა გოგომ, რომელიც რამაზის იცნობდა, ერთი კი გახედა უნდობლად უცნობ „პროფესორს", მაგრამ, როცა იმან უცერემონიოდ უბრძანა — სადაა ამდენი დრო — გაიხადეთო, ამანაც ნელ-ნელა დაიწყო გახდა და არ იყო საჭირო, გეყურებინათ თვითონ იმ გოგოსთვის, რომ მიმხვდარიყავით, ახლა რას იხდიდა და ახლა რას — რადგან თვითმარქვია პროფესორის მოყვითალ-მონითალ-მოთეთრო-მოშავო სახეზე ყველაფერი თვალნათლივ იწერებოდა. ვალოდიას გული ამოვარდნაზე, ენა ჩავარდნაზე, თვალები გადმოცვენაზე და თმები ყალყზე ჰქონდა (და არა მარტო თმები!). ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია, როგორც პაციენტს — ისე ექსპერტს... საჭირო იყო სიტუაციის განმუხტვა და ბატონმა რამაზმა, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, იფიქრა, „კოლეგას" კოლეგიალურად მაინც დაველაპარაკებიო... და მნარედაც ინანა!

— ვლადიმერ კონსტანტინოვიჩ... თქვენი აზრი!

ვალოდიას საერთოდ ქალებზე არ ჰქონდა დადებითი აზრი, მით უფრო, ისეთ ქალებზე, რომლებსაც ქალიშვილობის დასამტკიცებლად საბუთებს თხოვდნენ, ამიტომ მან „პროფესორისთვის" შესაფერისი ამპლიტუდით გადააქნია თავი და წარმოსთქვა იმ დროისათვისაც კი მეტად შაბლონურ-ბიუროკრატიული სიტყვა:

— ჩემი აზრი?.. უარყოფითი!

... და საოპერაციო სარეცელზე გაშოტილი გახვითქინებული ქალი გიჟივით წამოხტა!

— ბატონო პროფესორო, თქვენ თეორიაში მოღვაწეობთ და პრაქტიკას ზურგი შეაქციეთ, თორემ ასეთ დიაგნოზს არ დასვამდით...

ბი, რომლებიც თურმე ბეჭებზე ჰკიდებს, ღუნდულებზე კი ვარდებს იტვიფრავენ.

დ ღ ე ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი სვირინგის ბუმია. ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა თავპირისმტვრევით მიდის „სილამაზის სალონებში" და იქ ათასგვარ ჯანდაბას იხატავს მკლავზე, თუ ბეჭზე, ფეხზე, მკერდზე, დუნდულზე... ზოგი თავად მშობელს მიჰყავს, ყელს უწევს „ოსტატს" — შენი ჭირიმე, ოღონდ ეს გოგონა გამიმშვენიერე და მაღარიჩი ჩემზე იყოსო. არც სასიძოები ითრევენ ფეხს. საცოლეებს, ხშირად, ისინიც სიხარულით მ ი ა რ ბ ე ნ ი ნ ე ბ ე ნ მჩხვლეტყავებთან მომავალი მეუღლის „სვეტუობის" დასამტკიცებლად და თინეიჯერული „დილისორის" გასახანორჩებლად...

ერთ კაცს, რომელსაც მკერდზე ოთხი ადრინდელი მეუღლის სახელი ამოეტვიფრა, აღარავინ გაჰყვა... და, საერთოდ, უცოლო დარჩა; მეორე კი, რომელსაც ფეხზე ემბაკი ეხატა, ბიზნესში ისე გაკოტრდა, რომ სახლ-კარიც გაყი-

შეეცადა დაძაბულობის განმუხტვას ექსპერტი.

ვალოდია მიხვდა, რომ დედიმისის მიირთვა და შეეცადა, ასე ვთქვათ: Status quo-ს შენარჩუნებას!

— დანყნარდი, ქალო, გვაცალე ექსპერტიზის ჩატარება, იქნებ ეცდები კიდეც — დაუნია „პრიმუსს"... და თვითმარქვია „პროფესორს" მისი ნამდვილი პროფესიის სახელიც ნამოცდა, — ეს, ჩემო ძმაო, გიტარა კი არაა... საკუთარ თავთან იმართლა თავი.

— ბატონო პროფესორო, — ისევ შეაშველა სიტყვა რამაზმა, რომელიც არანაკლებ შარში ჩავარდა ამ გაუთვალისნინებელი ამბის გამო, რომელსაც, ეშმაკმა იცის, ჯერ კიდევ რა გაგრძელება ექნებოდა, — თქვენ იქ არ იყურებით, სადაც ჯერ არს... ეს ხომ საშარდე მილია...

„პროფესორ" ვალოდია მებურიშვილს თავისი პოზიციიდან მაინც ვერ უყვეს ძვრა. მან კატეგორიულად განაცხადა:

— საშარდე მილია თუ რაცხა ოხრობა, ერთობ დიდია!..

ექსპერტი იძულებული შეიქნა, მეორე ოთახში გაეხმო „პროფესორი", ძმური საყვედური ეთქვა: რას მიშობი, ბიჭოო... ძალად ექიმი ოთახიდან ჩუმად გამოეპარებინა, უკან შებრუნებულიყო და პაციენტისთვის მიეხარებინა, რომ „პროფესორმა" აზრი შეიცვალა და შენი ქალიშვილობის ცნობას ნინ ვეღარაფერი დაუდგებაო!

... სისხლ-ხორცეულად აი, ასე — შეეტოპე და უკან ვეღარ გამოგიტოპავს ვალოდია მებურიშვილის სამყაროდან — ჩვენი მაშინდელი „კვნ"-დან, მხიარულთა და საზრიანთა კლუბიდან, ჩვენი ცხოვრებისეული სკოლიდან, სადაც შევისნავლეთ სიცილით ძლომა, ბოროტების შიმშილი, სიკეთის ნყურვილი, მეგობრობით განცხრომა, უფულობით სიმდიდრე, უარაფრო ყველაფერი, სხვისი სიხარულით სიხარული და, თუ გნებავთ — „მუცლით მეზღაპრეობა" და ეშმაკის „ფეხის კვნეტა"; დიახ, დღემდე ვერ შეველიე იმ ჩვენი დროის სიხარულის სახლს — თბილისს, საიდანაც ჩვენი ჭირი ნაიღო და თავის ლხინი დაგვიტოვა კაცმა, რომელიც იცინოდა, კაცმა, რომელიც მღეროდა! ...კაცმა, რომელსაც, შეიძლება არც ეცინებოდა და არც ემღერებოდა!

„ერთს კიდევ გეტყვით"... ელექტრომრიცხველის ბანზე ამიღიღინდა ცანგალას კუპლეტები...

აქვე უნდა მივუჩინო ბინა ერთ ამბავს, რომელსაც ლექსად რომ ვნერდე, იოსებ ნონეშვილივით — „შებრუნებულ სონეტს" დავარქმევდი (შაშაბასს რომ უძღვნა), რადგან ის, რის მოყოლასაც ახლა ვაპირებ, თავდაყირა აყენებს ნარმოდგენას ჩვენს მუშურ-გლეხურ მილიციაზე!.. თანაც, ამ მოთხრობაში ფიგურირებს კაცი, რომელიც... იცინის-თქო ვერ ვიტყვი, კაცი, რომელიც... მღერის (ჩვენი უფროსი ძმაკაცის — ვალოდია მებურიშვილის შინსახკომთან არსებულ გუნდში) — ძველ ოლგინსკაიას, მერე კი ლენინის ქუჩაზე მდებარე მილიციის რაიგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი დომენტი ფაცაცია (აცხონოს ღმერთმა!.. კაი კაცი იყო). დიახ, ეს ალბათ ერთადერთი შემთხვევაა ადამიანის უფლებათა არა მარტო დაცვის, არამედ გადამლაშების პრაქტიკაში!

*ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (საშობაო ეპისტოლე): „მადლობას ვწირავთ უფალს იმისათვის, რომ მოგვანიჭა გონება და შინაგანი ხედვა, რათა სული ჩვენი ვყოთ ფაქიზად, გული კი — სანთლად წინაშე ღვთისა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დავინახოთ „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე".*

ჯერ დრო აღვნიშნოთ.

ეს არის დიდი სამამულო ომის დაწყებიდან 1458-ე დღე, ანუ, ასე ვთქვათ, ომის დამთავრების ორმოცი! ხალხს შია, ნყურია, ნესიერად არ აცვია, არ ახურავს. ქვეყანა, ეს არის, იწყებს სულის მობრუნებას.

21 წლის ბიჭი ვარ, ადრე დაკაცებული, მაცვია და მახურავს დედაჩემის სასნაული ხელით გადაკეთებული მამაჩემის გაახლებული ძველმანები და ფეხსაცმელების ჭრაჭა-ჭრუჭით დაეჭრიჭინობ... თან ჯიბეში „ახკომის" ჩიტ-კორესპონდენტის ნიგნაკი მიდევს (ქვას გახეთქავს).

...დღეს პაემანი მაქვს ვერაზე... (მერე ნიგნად რომ იქცევა). ახლა კი, ერთ მარნყვივით გოგოს უნდა შევხვდე.

მაშინ, ვერაზე ტრამვაი დადიოდა. ვდგევარ ტამბურზე და „სოვეტსკაია გრუზიას" — ანუ მაშინდელ „ფილიპ მორისს" ვეძაჩები. რა მაგის პასუხია და სნორედ ამ ფაქტმა აქცია ჩემი უპირველესი და უნიჭიერესი ძმაკაცი — გიჟი და გადარეული ოთარ მგელაძე პოეტად.

„გიზომ „სოვეტსკაია გრუზიაზე" ძლივს ჩაიგდო მომენტი...

გაიხედა, მოდიოდა მამამისი დომენტი."

აქვე დაიბადა ჩემი პირველი პოეტური სტროფებიც: ოთარა ტრამვაიდან ფიგურული ხტომისათვის მილიციაში მიაბრძანეს. ჩვენი ამხანაგის დედამ — დეიდა კატომ ეს ამბავი, მაშინვე, ტელეფონით აცნობა დედამისს. დეიდა ქეთო, რომელმაც შესაშური ოპერატიულობა გამოიჩინა, მათზე ადრე მივიდა მილიციაში და „პატიმრობის სანქციით" სახლში გამოაშვებინა ეს ძნელადაღსაზრდელი ბიჭი, რასაც მე ასეთი საპასუხო ლექსი მივაყოლე:

მილიციონ, მილიციონ... მეიხედე, ელანძე...
შენ დეიჭირე ჩემი შვილი, ოთარია მგელაძე?..
დეიჭირე, ქეც უთაქე,
რათა, ვითომ რატომ?
რომ უთაქე, ვარს ნუ ამბობ —
მითხრა აგერ, კატომ!..
... ეჰ, ისევ გაეუტიე და შევტოპე!

დავუბრუნდეთ ამბავს.

მოკლედ, ვდგევარ ტრამვაიში და პაპიროს ვაბოლებ.

ვარ ამ კეთილშობილ ფიქრებში, მარნყვივით გოგოს ყრუანტელისმომგვრელ მოლოდინში და ამ დროს... არ დამადგა თავზე უზომო, უსახო და უფორმო ფორმიანი — ძლივს აწყობილ-გამონყობილი მილიციონერი!

ამათვალ-ჩამათვალიერა, ამნონ-დამნონა, ეტყ-

და...

„საქართველოს რესპუბლიკა". 28.05.05.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი: ჩვენი ფილოსოფოსი, მოაზროვნე და სასულიერო მოღვაწე გრიგოლ ფერაძე, რომელიც გაექცა ბოლშევიკებს პოლონეთში და რომელიც ჩასვეს ოსვენციმში იმის გამო, რომ იცავდა ებრაელ ბავშვებს დაპატიმრებისგან, ტყვე ებრაელი ბავშვის ნაცვლად შევიდა გაზის კამერაში და დაიღუპა გმირულად ამ ბავშვის და მთელი ევროპის თავისუფლებისთვის. და ბოლოს, შეიძლება ამ დღეებში ამაზე უფრო მეტი არ გახსენებიათ სხვაგან, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, ჰიტლერის რაიხსტაგზე დროშა აღმართა მელიტონ ქანთარიამ, ქართველმა, ჩვენმა თანამემამულემ და ჩვენ ამით ყველანი ძალიან ვამაყობთ. ქართველები სად აღარ ვიბრძოდით თავისუფლებისთვის, მაგრამ საქართველოს ამ ბრძოლებში მეტად

ობა აშკარად რომ მოუვედი... იმიტომ არ მოუვედი თვალში! მერე... ხელის მისადები თავი იპოვნა, „ჩესტი" ამიღო და კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო:

— შენა, ამხანაგო, ეგ პაპიროსი რომ გაგირჭვია პირში და აბოლებ... აღარ უშლიან?.. რატომ ენევი?

— რა ვიცი, ვერ გადავეჩვიე... გამახსენდა მსგავს სიტუაციაში ნიაზის პასუხი.

— გადაიხადე ჯარიმა!

— პაპიროსი ჩამქრალია.

— მე შენს მაგიერად ნაფაზს ვერ დავარტყამ... მა, ბოლი რატომ ამოდის?

— ვა, ბოლი მე ხომ არ ამდის — გიჟია ოხერი — ვფიქრობ გუნებაში.

მოკლედ, არის ერთი განევ-გამონევა, გამიშვი და გაგიშვებ. ტრამვაი კი დგას. ხალხიც აჩოჩქოლდა. პაემანიც იშლება.

— თუ ჩადიხართ — ჩადით, ბატონო, თუ მოდიხართ — ნამოდით... თუ არადა, ჩვენ დაგვაყენეთ საშველი — ყაყანებენ მგზავრები და იძულებული გავხდი ეს ნახევრადმონეული პაპიროსი ქუჩაში მომესროლა... და ჰოი, საოცრებავ! (ამას სხვა დროს, გულითაც რომ გინდოდეს, ვერ გააკეთებ). ნამწვავი ზედ დაჯღანულ ბათინკის ჭვინტზე დაენება!!! (ეს, ასე ვთქვათ, რეციდივისტულ-კრიმინალური ტექნიკის უმაღლესი ნიმუში იყო — კამერებში, ჭერზე, სადაც უნდათ — იქ რომ ანებებდნენ ნამწვავებს!).

რიგითმა მილიციელმა (თბილისელს არ ჰგავდა) ეჭვით ამხედ-დამხედა მეც, მის ფეხსაცმელსაც და დანანებით გააქნია თავი:

— ეხლა ეს პაპიროსი, ბათინკზე რომ დამანებე, ასე არ მიმყვება „ადელენიაში", თორემ რა ნივთმტკიცებაა! აბა, ჩამოეთრიე ახლავე და ნინ იარე! — ახლა უკვე ყოველგვარი ცერემონიის გარეშე გამიგდო ნინ და ეს საპაემნოდ გამოპრანჭული კაცი სულ კინწისკვრით მატარა მილიციამდე.

ახლა, ამის ოხტში მომიყვანა და მერე მომკლა, აღარ დავეძებ — ვფიქრობ გუნებაში, თუმცა, ნინ რა მელის, ეშმაკმა იცის, როდის ყოფილა, მილიციაში მილიციელი გაემტყუნებინოთ?

როდის და... ნუ ჩქარობ, მკითხველო, რა დროს გულის მოფხანაზე ოცნებაა... მილიციის უფროსის ნაცნობობის იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა, მაგრამ ნინ, კიდევ ვინ იცის, რა ბატალიები გველის!

პაპანაქება სიცხეა. მილიციის მორიგეს ბანჯგვლიანი მკერდიდან ბული ასდის, თან ნუხანდელი ნაბახუსევი ჩანს და მილიციაში „პახმელიაზე" გამოსვლა როგორია!

ახლა ინყება სამორიგეოში ჩემი ნარდგენის სცენა.

— ამხანაგო უფროსო! — დროებით მათავისუფლებს, ჩემგან იღებს — თავთან მიაქვს ხელი რიგით მილიციელსა და თან კაჭკაჭივით იმეორებს ერთხელ და სამუდამოდ დაზუთხულ სიტყვებს, — ეს ამხანაგი (როდის დამიამხანაგდა, არ ვიცი) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე...

თავგადახოტრილი მორიგე, მომხსენებლის ტექსტის მიხედვით, იძლევა სათანადო რეაქციებს — აქნევს თავს და ზოგჯერ ცერად გამომხედავს.

აი, ახლაც, არც კი დაამთავრებინა კაცს სიტყვა და ვეებერთელა

*ჩვენს ხალხს არ შეუძლია არანაირი უმსგავსობის დიდხანს აჯანა და ამიტომაც... სწრაფად ეჩვევა მას.*

გოგრასავით თავი გადააქნ-გადმოაქნია:

— ვა, აფსუს, შეხედავ, კაცსა ჰგავს...

— საზოგადოების თავშეყრის მოძრავ ადგილზე, უფროსო!..

მორიგე, ცოტა არ იყოს, გაბრაზდა... არ ვიცი, მომხსენებელზე თუ საკუთარ თავზე:

— სადაო, სადაო?

— ტრამვაიში, უფროსო!

— ეგრე თქვი, რა, შე კაი კაცო.

— პაპიროსს ენეოდა...

— ვა!.. — მამანეინე, ერთი, თუ ძმა ხარ — მომიბრუნდა.

ამოვიღე ჯიბიდან „სოვეტსკაია გრუზია" და მივეცი. გახსნა, ჩაყო ხელი შიგ, ნახევარზე მეტი ამოიღო, კოლოფი დამიბრუნა და მითხრა:

— ქრთამს არ ვიღებთ!.. მერე, მერე?

— მერე, რა მერე, უნმანურად აბოლებდა ხალხს და ხულიგნურად იქცეოდა...

— ვა... ნაპასს ნაპასზე ურტყამდა მორიგე და გაკვირვებით შემომცქეროდა — შეხედამ, კაცსა ჰგამს!

ვიფიქრე, როდემდე უნდა ვუსმინო ამათ ბჟუტურს, სანამ ჩემს ნაცნობ უფროსს არ მიავნედენ ხმას, ესენი კამერიდან ცხეირს არ გამომაყოფინებენ-მეთქი და გაბედული გადაწყვეტილება მივიღე: დავკარი ფეხი და გავიქეცი... ოღონდ ქუჩაში კი არა — მეორე სართულზე, სადაც ჩემი ჟურნალისტური ნაცნობობის ობიექტი — ბატონი დომენტი ფაცაცია მეგულებოდა.

ჩემი გაქცევა აღიქვეს „ჩპ"-დ და ცარიელ „კაბურებზეც" კი გაიკრეს ხელი — არ გაინძრე, გესვრითო!.. მაგრამ (რაც არ ჰქონდათ... რას მესროდნენ) მე უკვე სამშვიდობოს ვიყავი გასული — მილიციის უფროსის კაბინეტში, სადაც, ვიღაც, ხელში ჩვილბავშვეატატებული „ტელეგრეიკიანი" ქალი ქმარს უჩიოდა — ლოთობს, სახლში უპატრონოდ ვყავართ დაყრილი და გეიშველეთ რამეო.

მე რომ დამინახა, მილიციის უფროსი შუა კაბინეტში გამომეგება, სავარძელზე მიმითითა, „ახლავეო" — მანიშნა, ახალ პაპიროზს ძველ პაპიროსზე მოუკიდა და ისევ საუფროსო პოზა მიიღო (ალბათ იფიქრა, რომ ახლა, აქ, კრიმინალური ქრონიკის ან რეპორტაჟის დასაწერად ვიყავი მისული).

— მდააა... გარმონიევით გაწელა... ესე იგი თხოულობთ, რომ თქვენი ქმარი მოვძებნოთ და დაგიბრუნოთ. კეთილი და პატიოსანი, — ხაზგასმული არტისტიზმით ბრძანა ბატონმა დომენტი ფაცაციამ — ორჯონიკიძის რაიმილიციის უფროსმა და

*თავისუფლებას, არ მოუკლავებია.*

*ჰოდა, აბა, ვისი თავისუფლებისათვის ვიკლავთ თავს?*

*„ილუმინატების თეორიის" ერთ-ერთი ფუძემდებელი და ნაცის პოლიტიკური იდეოლოგიის ტრაქტატის შემქმნელი ვეისჰაუპტი აცხადებს: უნდა გადაწყდეს და გამოიდევნოს ყველა ღირსეული, ვინც ე რ ო ვ ნ უ ლ ა დ აზროვნებს; უნივერსიტეტები უნდა გაივსოს ჩვენი აგენტებით!.. ამით ჩვენ ვახდენთ ახალგაზრდების დემორალიზაციას; ახალგაზრდების გარყვნას და ასეთი ახალგაზრდები იქნებიან მერე ჩვენი დასაყრდენი"*

***P.S.*** *ილუმინატები — წევრები საიდუმლო რელიგიურ-პოლიტიკური საზოგადოებისა. მე-18 საუკუნის ბავარია! რავარია? აბა ჩვენს თერამეცინებმა, რით ვერ გაიგეს, რომ, ბავარიული „პივა" კარგი და არა იდეოლოგია!*

*ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქ-*

სოლისტმა — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლისა (ვალოდია მებურიშვილის ხელმძღვანელობით). ...ნაბრძანდით, ახლა, თქვენ სახლში და ჩვენ თქვენს ქმარს... საღამომდე... (აქ, ჩემი აზრით, იმ დროისათვის ერთობ გავრცელებული, მაგრამ ამ სიტუაციისათვის სრულიად შეუფერებელი ბიუროკრატიული სიტყვა იხმარა) — უზრუნველვყოფთ!

ეს სიტყვა (როგორც ჩანს) ვერც ადრესატმა ვერ გაიგო და სიტყვის შებრუნებას როგორ გაუბედავდა, მაგრამ კითხვა შეუბრუნა:

— რა ბრძანეთ?

— თქვენ ქმარს საღამომდე უ-ზრუნ-ველ-ვყოფთ!

დაუმარცვლა უფროსმა და ხუმრობაც მოიშველია — ქმარი ცოლს ღამე ჭირდება თუ ჭირდება!... ხა-ხა-ხა — ჩაიცინა და ჩემკენაც გამოაპარა თვალი, მაგრამ მე რა გამაცინებდა — დანა არ მიხსნიდა პირს.

ამასობაში ჩემი კინწისკერით მიმთრევი მილიციელიც შემოიძურწა კაბინეტში და კარებთან დაეყუდა, მაგრამ ვისაც გინდათ, ნაძლევს დავუდებ, რომ არც იმან იცოდა, რისი იმედი მქონდა მისი უფროსისაგან და არც ამ უფროსმა იცოდა, რა საქმე შეიძლება ჰქონოდა მის ხელქვეითს პრესის წარმომადგენელთან. მოკლედ, ვერაფრით ვერ დაგვაკავშირა ერთმანეთს.

როგორც იყო, ფაცაცი განთავისუფლდა მორიგი მთხოვნელისაგან და არც აცხელა, არც აცია — მთლიანად გადმოერთო ჩემზე. შემხედა — შევხედე, გამიღიმა — არ გავუღიმე, მოიღუშა — მოვიღუშე...

ის მილიციელი კი დგას და ელოდება.

ისევ შემხედა — შევხედე, გამიღიმა — არ გავუღიმე, მოიღუშა — მოვიღუშე...

ისევ მოუკიდა პაპიროსი პაპიროსზე და კოლოფი მეც გამომიწოდა. ვიუარე. ვფიქრობ, დადგა დრო კვანძის გახსნისა!

— აი, ჭკვიანი კაცი — არ ეწევით, ხომ კი!.. მე კი მომკლა ამ ოხერმა.

— მერე მაგის თავის დანებებას რა უნდა... მარკ ტვენმა ოცჯერ დაანება თავი პაპიროსის წევას...

— ჰოდა, ოცდამეერთეჯერ რატომ დაიწყო?.. უსაყვედურა მარკ ტვენს... თქვენ, საერთოდ არ მოგიწევიათ?.. დაინტერესდა.

— მე ახლაც ვეწევი, მაგრამ... სწორედ პაპიროსის მოწევისთვის ვარ აქ მოყვანილი — როგორც იყო, ბოლოს და ბოლოს, ვთქვი, თან კარებისაკენ გავაპარე მზერა.

მაშინვე გამომაყოლა თვალი, მაშინვე მიხვდა ყველაფერს და მაშინვე შეცვალა ტონი:

— რაშია საქმე?

რიგითი მილიციელი... სანამ თავ-ფეხი განედებოდა — გაიჭიმა და დაიწყო რაპორტი!

— უფროსო! ეს კაცი, საზოგადოების თავშეყრის ადგილზე... პო — რა — ტრამვაიში... პაპიროსს ეწეოდა!

მილიციის უფროსმა ჩემკენ გამოაპარა მზერა და ნათქვამის უარყოფის ვერავითარი სურვილი რომ ვერ შემამჩნია, თვითონ აიღო ინიციატივა და შეაწყვეტინა!

— პაპიროსს მოწევდა კაცი, თუ მწეველია, რა მოხდა მერე? — ეცადა, შეერბილებინა რაპორტის რიხი.

ის კი ისე მიერეკებოდა თავის დაზუთხულს, რომ ვერც კი ხვდებოდა, საით უბერავდა ზურგის ქარი!

— ჰოდა, უფროსო, უნმანურად აბოლებდა და რომ ვუთხარი, გადააგდე პაპიროსი-მეთქი... არ დამემორჩილა მე, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს და არ გადააგდო პაპიროსი...

მილიციის უფროსმა ისევ გამომხედა და იძულებული გახდა, ისევ თვითონ, უჩემოდ ეძება სათანადო პასუხი.

— გადააგდეო და არ გადააგდო, არა?.. ღრმად ჩაფიქრდა, ანონ-დანონა და პასუხიც იპოვა, — ესე იგი შენ მოქალაქეს უბიძგე დანაშაულზე!

?!

აქ კითხვის და ძახილის ნიშანი იმიტომ დავსვი, რომ ამ ბრალდებაზე, ეს ძახილის ნიშანივით გაჭიმული კაცი, კითხვის ნიშანს დაემსგავსა და ლამის ტირილი დაიწყო:

— რა დანაშაულზე ვუბიძგე, უფროსო? — სლუკუნით იკითხა ჩემმა გამმწარებელმა და ფაცაფიაც იძულებული იყო, ბოლოს და ბოლოს განემარტა:

— რომელი საფერფლე შენ იქ მიანოდე, რომ პაპიროსი გადაეგდო?.. აბა, როგორ, ქუჩაში გადაეგდო?.. წარბები შეყარა მან.

ვატყობდი, რომ უფროსი აშკარად ჩემს მხარეზე იყო და ანი ფეხებს ვერავინ მომჭამდა, მაგრამ გული მწყდებოდა, რომ ამ ოქროს კაცს ჩემს დაცვაში მე ვერაფერს ვშველოდი, თუმცა ის არც არავის დახმარებას არ საჭიროებდა — უჩემოდაც კარგად ართმევდა თავს ამ საქმეს. როგორ დავუვიწყებ — ჩემს სიცოცხლეში არ მიმიღია ასეთი სიამოვნება და ისიც... მილიციაში!

ის რიგითი მილიციონერი კი ისევ თავისას ახურებდა.

ისე, ისიც კარგი ოხერი იყო და თქვენ წარმოიდგინეთ, ცუდადაც როდი ფლობდა ზეპირი მოხსენების ხელოვნებას — თანდათან ამძაფრებდა თხრობას და სულ უფრო აძნელებდა საპასუხო არგუმენტის მოძებნას, მაგრამ უფროსი რისი უფროსია, თუ ხელქვეითმა აჯობა!

... ისე გამოვიდა, რომ მე აქ სეირის საყურებლად მოვედი და არავინ არაფერს მეკითხებოდა.

და აი, მილიციაში ჩემი მომთრევის ბოლო კოზირიც!

— უფროსო, ბოლოს, რომ ვუთხარი, ტრამვაიდან გადაეგდო პაპიროსი, მოქალაქემ... როგორც კამერებში ქურდებმა იციან, ეს პაპიროსი ზედ ბათინკის ცხვირზე დამაწეპა!

ამაზე რაღას იტყვის? — ალბათ გაიფიქრა და აშკარად გამარჯვებულის იერი მიიღო მან.

ამაზე რაღა უნდა მეთქვა, მართლაც არ ვიცოდი, მით უმეტეს, არ იცოდა ბატონმა დომენტიმ და სანყლად გადმომხედა — მომეხმარეო...

ცირი რჩევაზ ბალანჩივაძე: სარტრმა ადამიანის სრული თავისუფლების მისანიჭებლად მოინდომა ოთხი დეტერმინანტის: ბედისწერის, ღმერთის, არაცნობიერი და სიცოცხლის სამყაროს მოხსნა და თეორიულად მგონი შეძლო კიდეც. მაგრამ შედეგი სავალალო აღმოჩნდა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ შეუძლებლია ადამიანის ბოლომდე თავისუფლება — თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე!

**P.S.** ერთსაც დავამატებდი:

ჩვენ ვერ გავართვით თავისუფლებას თავი.

თავისუფლების უფლება აქვს მას — ვისაც აქვს უფლების თავი!

მე არ განმიცდია, რას ნიშნავს, როცა მორეულ ზღვაში შენი სახელობის ვარსკვლავი კიაფობს, მაგრამ რადგანაც ასეა, მე, ჩემს ხალხთან ერთად, ყველაფერს ვიღონებ იმისათვის, რომ ზღვა ყოველთვის სუფთა და უღრუბლო იყოს (ეს სიტყვები

მე მხრები ავიჩეჩე, სრული უმოქმედობა გამოვიჩინე და ჩემსავე საქმეში ასე უნამუსოდ მივატოვე კაცი.

მილიციის უფროსი კვლავ მარტო — თავის თავის იმედადღა დარჩა, მთელი კრიმინალური გამოცდილება მოიშველია და აშკარად შეეცადა, ზემოქმედება მოეხდინა თანამშრომელზე (მისი ჩვენების შეცვლის მიზნით).

— ესე იგი, ზედ ბათინკის წვერზე, არა?.., ასე პირდაპირ წვერზე, ხომ?..

ჩვენების შეცვლის იმედით „სკრუპულზე", ანუ სასწორზე შეაგდო სიტყვა ბატონმა დომენტიმ, მაგრამ შენც არ მომიკვდე!.. რიგით მილიციელს ჭკუა ვერ მოთხოვა უფროსმა.

— დიახ, უფროსო, ზედ ბათინკის წვერზე, მააშ... მიიმწყვდია რიგითმა მილიციელმა მილიციის უფროსი კუთხეში და ის იყო, ეგონა, გავტეხე ნელშიო, რომ ფაცაციამ თვალები გადაუბრიალა და უყვირა:

— მერე, ვერ განიე გვერდზე შენი ტურტლიანი ფეხი, რომ დაუმიზნე ამ კაცის პაპიროსს??? — ისევ იპოვა გამოსავალი და ამ ინციდენტის მიმართაც მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, — რა გვარი ხარ, ბიჭო, შენ? — ჰკითხა მილიციელს.

— თხსაპსაევი, უფროსო!

— ჰოდა, რიგითო თხაპსაევ, ჩადი ახლა სამორიგეოში და გაიფორმე კარცერი!.. სამი დღე... შენი დუხი არ ვნახო გარეთ.

თხაპსაევი გავიდა.

— ეს მამაძაღლები, ეს... თხაპსაევი, კაცო, სულ ზემდგომ ამხანაგებს იჭერს!.. აი, ასეთ, გაუნათლებელ, ტლუ ხალხში მიხდება მუშაობა — გაასავსავა ხელი ბატონმა დომენტიმ.

ააშენა ღმერთმა... მე კი მომფხანა გული და ამ ორიოდე თბილ სიტყვას ვინ მამაძაღლი დაამადლის!

* * *

...ვერა და ვერა! თავი ვერ დამიღწევია იმ ჯოჯოხეთის სამოთხიდან და ჩემი სული ახლაც იქ ტრიალებს!

...ვალოდია მებურიშვილი — თვითნასწავლი კომპოზიტორი, თვითნასწავლი მომღერალი, თამადა, მომლხენი და ბარონ მიუნჰაუზენი (ვანიდან) ერთი ათი წლით უფროსი იყო ჩვენზე!

— ცხრა, ცხრა! — ერთი წელიც არ შეგვარჩინა და სუფრის ბოლოდან გაგვისწორა... თუმცა, ბოლოდან კი არა, თავიდან — სუფრის თავი — ტოლუმბაში იყო, თავის ქებით თავს გასული თამადა, მისი ხნის რომ არავინ ეგულებოდა აქ და ყოველგვარი მოწმის გარეშე, ნაცარქექიასავით აყენებდა ბუღს!

მაგრამ მოხდა ერთი იალღიში. შუა სუფრაზე შემოგვესწრო დრამატურგი (ზოგჯერ „ტ"-ს — „თ"-დ გადავაკეთებდით და „დრამათურგი" გამოდიოდა"), ჩვენი ძმა და პირის ზიარება (თანაც ვლადიმერ კონიჩის კლასის ამხანაგი) კაკი ჭავჭანიძე!

სიკვდილსაც დავიწყებია, აქვე სუფრას ამშვენებდა ჩვენი თაობისა თუ

*თითოეულ ადამიანს დედამიწაზე თავისი დადებითი, უარყოფითი და ნულოვანი წერტილები აქვს. ეს წერტილები, თურმე, იმისთვის გვჭირდება. რომ სამყაროში ჩვენი ადგილი ვიპოვოთ და დავიმკვიდროთ („ქრონიკა" 26.06.-2.07).*

უთაობის, ჩვენსავით დამწყები ბარონ მიუნჰაუზენი — გივი ბაქრაძე (ბლაყუჩა), რომელმაც რითმით რომ ვთქვათ — ასევე უამრავი ცხელ-ცხელი ამბები აყუჩა და გვაბოლა. ისეთი შავი იყო, პელე შავი რომ არ ყოფილიყო, ბიძად გაასაღებდა. ნამდვილი ბიძა კი, თურმე, ისეთი ფეხბურთელი ყოფილა... ის „ტოპკას" რომ დაარტყამდა"!... მაგრამ მესამე სართულიდან გადმოვარდნილა და მომკვდარა.

— სად ფეხბურთელი, სად ფრენბურთელი, შენ ხომ არ აფრენო? — გამოიჭირეს ბიჭებმა, მაგრამ არ დაიბნა და ისეთი კონტრარგუმენტი გვგლიჯა, რომ დღემდე ჩვენ თვითონ ვაფრენთ:

— აბა, თქვენ გადმოვარდით მესამე სართულიდანო?!...

იმდენი ვიცინეთ, რომ მესამე სართულიდან არა მაგრამ, სკამებიდან კი გადმოვარდით.

სამაგიეროდ, ფრენბურთის თემაზე კიდევ უფრო გააფრინა თავად თავადმა ვალოდია მებურიშვილმა. სულ დაავიწყდა თავისი კლასელი, ბატონი კაკი რომ ესწრებოდა მის ბაქი-ბუქს, ნამოიჯგიმა ფეხზე, გაისვა ხელი ქამარზე და ყოველგვარი ხუმრობის გარეშე თქვა:

— ბადესთან ა!.. ამ სიმაღლეზე ქე რომ ეეინევოდი, ჩემო ბატონო, და მე რომ... ქე რომ მოვიქნევდი ხელს და ვრეკავდი ტყვიასავით ბურთს, იმას ვინ ეშმაკი აიღებდაო?.. თქმა და... ეს მოქნეული ხელი ჰაერში გაუშეშდა, რადგან, რაცხა ეშმაკად, სუფრაზე ჩუმად შემოსულ მის კლასელს ბატონ კაკის მოჰკრა თვალი, მისი ავანიც რო იცოდა და ჩავანიც.

მაგრამ ვალოდიე რისი ვალოდიე იქნებოდა, რომ ბრინჯივით დაბნეულიყო: თვალი გაუსნორა „სინამდვილეს", ანუ ეშმაკურად თვალმოჭუტულ და ენაზე კბილდაჭერილ ბავშვობის ამხანაგს და ისიც იქვე გაიყვანა საქმეში:

— ჰო, აბა, დიახ... ჩემ „ტოპკას" ვინ ეშმაკი აიღებდა... ამ ეშმაკის გარდაო, — და ხელი იმ კაკისკენ გაიშვირა, რომელსაც ხელი უკვე აწეული ჰქონდა სიტყვაში გამოსასვლელად და ახლა (მეტი რა გზა ჰქონდა) მეორე ხელიც ანია — დანებების ნიშნად!

ასე იყო ეს, ჩემო ბატონო.

მაშინ ისეთ ტყუილს ამბობდნენ, მართალს, რომ ჰგავდა და ახლა ისეთ მართალს ამბობენ, ტყუილი როა!

არ ვიცი, მეჩვენება თუ მეთქვენება?

* * *

გივი ნიჟარაძის მამა კაგებეს პოლკოვნიკი იყო, მაგრამ ყოველგვარ წარმოდგენას გვეიკარგავდა

*ედუარდ შევარდნაძემ წარმოთქვა მას შემდეგ, რაც რუსეთის კოსმონავტიკის აკადემიის აკადემიკოსმა სიმონ ლულუამ მას გადასცა „დიდი დათვის თანავარსკვლავედის ერთ-ერთი ვარსკვლავის სახელის სრულუფლებიანი მფლობელის სერთიფიკატი) („საქართველოს რესპუბლიკა". 163, 1998 წლის 1 ივლისი, გვ. 1).*

*ბერლინის ზესაიდუმლო ოპერაციის „განხილვის შემდეგ, გენერალისმუსმა ჟუკოვსა და ტიმოშენკოს უთხრა:*

*— თუ ეს საიდუმლო მკაცრად არ იქნა დაცული... მე არ დავინდობ იმის გამოძიებას, ამ ორი კაციდან რომელი თქვენგანის ბრალი იქნება ეს! ორივე დაისჯებით კანონის მთელი სიმკაცრით!*

*ფიცი მწამს — ბოლო მაკვირვებსო!*

*სტალინის სიმკაცრე მწამს და არც მისი სიბრძნე მაკვირვებს!*

*ეს კი არის დაცნობილმა ფეხბურთელმა დ მერე პოლიტიკოსმაც ფეხმედგმულმა კაცმა*

კაგებეზე, რადგან მასზე კეთილი, ხელგაშლილი და მოსიყვარულე კაცი (ყოველ შემთხვევაში, მისი შვილების ძმაკაცებისათვის) იშვიათად მეგულებოდა... თუმცა, გარეგნულად მკაცრ კაცს ჰგავდა, არაბუნებრივად ბოხი ხმა ჰქონდა და მის ხმაზე, ზოგჯერ, მაშინაც კი, ჟრუანტელი გვივლიდა ტანში, როცა ის ძალიან დიდი მონდომებით ხმადაბლა ლაპარაკობდა ან სულაც „ჩურჩულებდა".

ერთხელ (მაშინ უკვე კაცობაში ფეხშედგმულები ვიყავით, თანამდებობები გვეკავა და ჭკუა გვეკითხებოდა), რომ იტყვიან, ტექნიკურად, ჩამოგვიგდო საუბარი მის საჭიროებებზე — მცხეთაში სახლს ვაშენებ და ვის რა შეგიძლიათო?.. შლაკი (ანუ ნიდა) ხომ არ გეგულებათ სადმეო? უცბად დააკონკრეტა და მე სიხარულით კინაღამ წამოვხტი სკამიდან... მაგრამ ომანი (მიუხედავად მისი რაჭველობისა) მეცა და გამაჩერა. მაინც, რა მინდოდა მეთქვა და რატომ გამაჩერა?

ომანი მაშინ პურის მე-6 ქარხანაში მუშაობდა, რომელსაც სანეპიდსადგური ლამის ყოველთვიურად აჯარიმებდა ეზოში ნიდის დაგროვების გამო; ჰოდა, მე ვიცოდი, რომ აქ ახლაც „შლაკის" მთები იდგა და არ იცოდნენ, როგორ მოეშორებინათ იგი თავიდან.

აი, გამოსავალიც! ვიფიქრე, ჩემს გუნებაში და იმიტომაც იყო, რომ „ენის ნაგრძელება" მინდოდა, მაგრამ ომანმა (მიუხედავად იმისა, რომ რაჭველია, რამდენჯერმე უნდა გაგახსენოთ...) ჭკვიანურად გამოიყენა მომენტი და, მისთვის ჩვეული სიდინჯით, თანხმობის ნიშნად, თავი მძიმედ დააქნია:

— ბატონო ვალოდია ბიძია... „შლაკი" ჩემზე იყოს!

მეორე დღეს ბატონი ვალოდია ბიძია 25 ტონიანი სატვირთო მანქანითა და ერთი „ზვოდი" ნიჩბიანი სალდათებით პურის მე-6 ქარხანას მიადგა, მარა...

— სადაა შლაკი?.. გული მოუვიდა გივის მამას.

— მმმ... — ფერი წაუვიდა ომანს და ენა დაება.

ბედი უნდა ყველაფერს: სწორედ, წინა ღამით გაუსუფთავებიათ ეზო სანეპიდსადგურის კატეგორიული მოთხოვნით... გვარიანი ფულიც დაჯდომიათ და ჯარიმაც გადაუხდიათ!

მაგრამ, ახლა, ამის ახსნა-განმარტების დრო იყო? იდგა ივანე მრისხანესავით ვალოდია ბიძია, თავის, ასე ვთქვათ, 25 ცხენოსნით და მის წინ მამა აბრამის ბატკანივით იდგა ჩვენი გამო...თაყვანებული ძმაკაცი, რომელმაც, აღარ იცოდა ან ხელი სად წაეღო, ან ფეხი.

— სადაა შლაკი?.. გამეორებით და კიდევ უფრო მრისხანედ გაისმა ვალოდია ნიჟარაძის ხმა.

ომანს, თითქოს ცა გაეხსნა (ეტყობა, პასუხი იპოვა), შუბლი გაეხსნა და მთელი „სერიოზულობით" უპასუხა:

— ცეკამ წაიღო?! (მაშინ ყველაფერს ცეკას აბრალებდნენ)

— ცეკას რად უნდოდა შლაკი?! — იღრიალა ბატონმა ვალოდიამ და იმ დღიდან ამ დღემდე მისი კითხვისთვის დღესაც ვერ გაგვიცია პასუხი.

— სადაც ჩემი თქვა, იქ შენიც არ დაგავიწყდესო!.. მესმის ჩემი სიყრმის ძმაკაცის — ომან ომანიძის რეპლიკა და აქვე ჩემს ამბავსაც ვიხსენებ!

პოლკოვნიკ — ვალოდია ნიჟარაძესთან მეც მქონდა ერთი ასეთი ინციდენტი! მცხეთის სახლის აშენებას ხომ ვერ დაელოდებოდნენ და ნიჟარაძეებთან სუფრა სულ იყო გაშლილი (ხალხმრავალი სუფრის გაშლას საკუთარი მრავალრიცხოვანი ოჯახის ნევრებიც ყოფნიდა). ჰოდა, ერთ-

ორ სტუმარსაც თუ შეიმატებდნენ, მაშინ ხომ სულ ნადიმს ჰგავდა აქაური კუჭის მოტყუებაც კი.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, რომელ შემთხვევაზეც ახლა მოგახსენებთ, სუფრა სრულიად საგანგებო მიზეზს — ვალოდია ბიძიას დაბადების დღეს, ანუ საიუბილეო თარიღს ეძღვნებოდა და ამიტომ, გაძლიერებულ პურ-მარილთან ერთად — გაძლიერებული შემადგენლობა ესწრებოდა.

აი, ასეთ პომპეზურ ვითარებაში, ლაპარაკი ჩამოვარდა მცხეთის საზაფხულო რეზიდენციაზე, რომლის აშენებას ჩვენც დიდი სიამოვნებით მოველოდით, რადგან ამ ოჯახთან (როგორც არაერთხელ ითქვა სადღეგრძელოში) გასაყოფი არაფერი გვქონდა.

სხვათა შორის, შემდგომში, სწორედ ასეთი განწყობილებით მოვიდა „პაემანში" პოსტულატი: „ღმერთმა შენ მოგცეს, რომ... მე მქონდეს!".

მართლა ასე იყო ეს — ჭირიც ერთი გვქონდა და ლხინიც!. თუმცა, ლხინამდე ჯერ ასეთი „ჭირიც" უნდა გაგვეელო.

— აგურია საჭირო... იჭექა ვალოდია ბიძიამ.

— მერე, მე რისთვის ვარ აქ! — ვთქვი მეც, იმის გათვალისწინებით, რომ მეტეხის აგურის ქარხნის დირექტორი ჩემი ძმაკაცის ვალნინ ცხოვრებაშვილის ბიძა იყო. სუფრის წევრებმა შვებით ამოისუნთქეს და რაღაცნაირი მონიწებით შემომხედეს.

— აგაშენა ღმერთმა, — მომიჯახუნა ჭიქა ვალოდია ბიძიამ, — როგორ მაშოვნინებ?

— როგორ და იაფად! — ვუთხარი მე და კაცი სიცილით გადაფიჩინდა.

— ვაი, შენს პატრონს, ფულით რომ მინდოდეს, შენზე იაფად ვიშოვნიდი... — მითხრა ამდენ ხალხში, — რამე უფულო ვარიანტი ხომ არ გაქვს?..

— უფულო?..

— ჰო, უფულო, აბა რა!

უცბად პასუხი ვიპოვე და სახე გამინათდა.

— უფულო, ხომ!.. კი ბატონო?! თქვენ მეტეხში ჩამოიყვანეთ მანქანა, მე მივალ ქარხანაში, ვიტყვი, აგური გვინდა-თქო; ისინი მეტყვიან: როგორო? მე ვეტყვი — მუქთად-თქო?! გიჟები ვეგონებით, ისინიც გაგიჟდებიან და დაგვიწყებენ აგურების სროლას... ჩვენც ავიღოთ, დავაწყოთ ძარაში, გავავსოთ, დავქოქოთ მანქანა და წამოვიდეთ.

პოლკოვნიკი ნიჟარაძე მთელი მისი საიუბილეო სუფრის თანხლებით სულგანაბული მისმენდა და ჩემი ტექსტის მიხედვით აწყობდა ფიზიონომიას, რომელზეც კმაყოფილების, მომღიმარი, მზიური

მანუჩარ მაჩაიძემ მითხრა, როგორ გაყოფილან მისი ბა-ბუები-ძმები!

ქონება ერთმა გაყოს და მეორემ აირჩიოსო!

დედიმენის შვილი ხარ და ნუ გაყოფ სწორად!

არჩევანი შენი — არადანი მისი!

არ ვიცი, იცნობს თუ არა ანტიკური სამართლის ისტორია ან თვით ჰა-მურაბის კანონებიც კი მსგავს უტყუარ სამართლებრივ ნორმას.

ერთმა ისიც მითხრა, ეს ზღაპა-რიაო.

იყოს ბატონო, ზღაპარი...

ზღაპრულ სი-ნამდვილეს კი ჰგავს!

თამაზ წივწივაძ-ეს გაზეთში კორექ-ტურა გაეპარა... უფრო სწორად — გააპარა და ერთი ასო „თ"-ს გამო-ლებით „თავისუ-ფლების ინსტი-ტუტიდან" — „ავისუ-ფლების ინსტიტუტი" დარჩა.

ერთხელ „ახკომ-ში" „სოციალიზმის განვითარების გზა-ზე" ორი ასო „თა" ამოგვივარდა და „განვითარების" მა-გიერად" განვირება"

ტონები თანდათან შეცვალა ივანე მრისხანეს მიერ შვილის მოკვლის ტრაგიკულმა სცენამ.

— უფულოდ სხვა შანსი არ არსებობს, — უმნეოდ გავიღიმე მე.

* * *

გივი ნიჟარაძე ნაღვერში სანატორიუმ „კეჩხობის" დირექტორად მუშაობდა და ჩვენც, ჩვენი ჯალაბიანად, სულ მასთან „ვისვენებდით", როცა ყეიბისის დუქნიდან გამოგვასვენებდნენ, სანატორიუმში მიგვასვენებდნენ და ლოგინებში მოგვასვენებდნენ.

ერთხელ, სამინისტროდან შტატების შემცირება— გამსხვილების ბრძანება მოვიდა!.. სწორედ, ამ პერიოდს ეკუთვნის ნიჟარაძე — დირექტორის მოღვაწეობის ამსახველი ერთი უნიკალური დოკუმენტი, რომელიც თამამად შეიძლება კანცელარული შემოქმედების მწვერვალად ჩაითვალოს!

გივი ნიჟარაძემ ზემდგომი ბრძანების საფუძველზე გამოაცხო ქვემდგომი განკარგულება:

1. სამინისტროს ბრძანების შუქზე გადაისინჯოს „კეჩხობის" საშტატო ერთეულების ნუსხა.

სანატორიუმ „კეჩხობის" კულტმუშაკად დაინიშნოს ტიგრან არუნოვი.

2. შტატებს შემცირება-გამსხვილების მიზნით — კულტმუშაკ ტიგრან არუნოვს, აგრეთვე დაევალოს... აკორდეონის დაკვრაც.

3. კულტმუშაკ ტიგრან არუნოვს, რომელსაც ევალება აკორდეონის დაკვრაც, ასევე შეუთავსდეს — დოლი!

?!.

* * *

ვინც ცნობილ მოცეკვავეს, მსახიობსა და მწერალს გივი სიხარულიძეს იცნობს, დამეთანხმება, რომ ეს კაცი გამოცანაა — დიდებული აღნაგობითა და საოცარი იუმორით!..

ამბობენ: სიცილის ეშინია იმასაც კი, ვისაც ამქვეყანაზე არაფრის ეშინიაო... ბრძენის ნათქვამია! ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც სიცილისაც კი არ ეშინია და თავის თავს თვითონ უგონებს ათას სასაცილო ამბებს.

თავის იშვიათ სპორტულ აღნაგობაზე ერთხელ თვითონ მოიგონა ასეთი „ლეგენდა"!

— წარმოგიდგენიათ ხალხნო, უთენია, კუს ტბაზე დავდიოდი სავარჯიშოდ... ერთხელაც... დილის ბინდ— ბუნდში ქორბუდა ირემივით დავრბივარ ტყეში და ქარი ვერ მეწევა... ირგვლივ ჩემსავით საწვრთნელ— სავარჯიშოდ დაბორიალობენ ლანდები. უცბად ვიღაცის ხმა მესმის:

— არ ესროლოთ! ცოცხალი უნდა დავიჭიროთ...

ვაი, შენს გივის! ე, რას მერჩიან, ტო! ვფიქრობ და კამარას ვკრავ — უკანმოუხედავად გავრბივარ.

— მილიცია იყო? — ველარ ითმენს ერთ ერთი არიფი მსმენელი და გულუბრყვილოდ კითხულობს.

— რის მილიცია; რა მილიცია, — უხსნის მსმენელებს გივი, — მილიცია კი არა, ვიღაც მონადირეები ყოფილან და რომ დაუნახივართ, თურმე... შველი ვგონებივართ?!. მაშ!

გინდ დაიჯერეთ — გინდ არა, გვაძლევს არჩევანს ბატონი გივი,

თუმცა არჩევანიც მისია და არადანიც!

მოფიქრება არ გინდა! ერთხელ. ერთ ქეიფში, ბლუჯა-ბლუჯა რომ უყრიდნენ მაყუთს დოლ-გარმონს და იყო ტაშფანდური, გივი სადღაც გავიდა (სადღაც კი არა, მეორე ოთახში) ფეხსაცმლის ძირებზე თაფლი წაისვა, უკან ცეკვით შემოვარდა, იატაკზე დახვავებულ მაყუთში გაიშრიალა და ისე პირწმინდად აკრიფა 100 მანეთიანები, რომ ლოყებამობერილ მედუდუკეებს ლოყები ჩაეჩუტათ და პირდაღებულები დარჩნენ.

* * *

დილის გამამხნევებელი ვარჯიშების ჩასატარებლად... ვის აღარ ნახავთ კუს ტბაზე! გარბის ქურდი — უკან მოსდევს პროკურორი... ერთად გარბიან, ერთად გამორბიან და არავინ ერთმანეთს არ იჭერს...

საქვეყნოდ ცნობილ ტელეკომენტატორ თენგიზ სულხანიშვილს თავისი თვალით უნახავს, როგორ მორბოდნენ ერთად პურის ქარხნის დირექტორი და საძეხვე საამქროს უფროსი... და უთქვამს: შეხედეთ, ხალხო, ბუტერბროდი მორბისო!

* * *

ვანის რ. ს. მთის ძირის კოლმეურნეობის მექანიზატორი *შოთა ნუცუბიძე:*

მეზობელი გარდაგვეცვალა, როგორც იტყვიან, მიაყუდა ყალიონი, ატყდა კივილი და შეიძრა ალიონი! მთელი სოფელი მოვიდა საჭირისუფლოდ. ზოგი ღვინოს იღებდა ჭურიდან, ზოგი საკლავს კლავდა, ზოგი რას აკეთებდა და ზოგი რას. ჩემს ახლადმოყვანილ პატარძალს საინების რეცხვა შეხვდა. იუკადრისა და კუდი ყავარზე გადო — არ მეკადრება ეს საქმეო. მომადგნენ მეზობლის დედაკაცები და მითხრეს — ეს რა ავი ქალი მოგიყვანიაო.

— ეს ერთი მაპატიეთ, მეზობლებო და მეორედ აღარ ვიზამ-მეთქი.

სულ ტირილი ხომ არ იქნებოდა — სოფელში სიმღერისა და ცეკვის გუნდი შევკარით და, როცა გვემღერ-გვეცეკვებოდა... ვმღეროდით და ვცეკვავედით. ანსამბლში, ზოგი ოჯახიდან, ცოლიც გამოდიოდა და ქმარიც. შენ რატომ არ მოგყავს შენი კნეინაო — ახლა ეს მისაყვედურეს მეზობლებმა. მე ვუთხარი:

— ჩემმა ცოლმა არც სიმღერა იცის და არც ცეკვა და წყევლა-კრულვის წრე თუ გაქვთ, მაშინ კი, ბატონო — უკეთესს ვის იშოვნით-მეთქი.

გამოვყვავილდა.

ჰოდა, იმ ვირი-ით, ჩვენც ბევრი სახრე მოგვხვდა!

თბილისს — თბილისელი!

გამოკითხულთა 89.4%-მა (447 კაცმა) სავსებით არ იცის ვის აირჩევდა მერად, ახლა რომ მერის არჩევნები ქონდეს. არც იმ 53 რესპონდენტის მიერ ჩამოთვლილი კანდიდატურებიდან გამოკვეთილა ლიდერი. 6 კაცს ლევან გაჩეჩილაძე უნდა მერად. 5.5 კაცს — ზოდელავა და ქურხული, 4 კაცს — ნიკო ლეკიშვილი... გიორგი არველაძე, რომელსაც ქობულაშვილის შემცვლელად კარგა ხანია მოიაზრებენ, მხოლოდ 3 კაცს გაახსენდა. 2.2 მომხრე აღმოაჩნდათ ზაზა აბაშიძეს, კობა დავითაშვილს, გია ბარამიძეს, დათო გამყრელიძეს, გოგი თოფაძეს. თითო-თითო კაცს კი, თბილისის მერად... კოტე ყუბანეიშვილი, დათო მაღრაძე, დათო ოქრუაშვილი, გოგი წერეთელი, ზვიად ძიძიგური, ლევან ბერძენიშვილი, დავით ონოფრიშ-

* * *

გალაქტიონ ბუბუტეიშვილი, დაბადებული 1913 წ., სოფელ ზემოხეთში (გურია).

ექიმმა ავადმყოფს უთხრა: მე რა გიშველო, მოსალოდნელია, მარცხენა მხარეს დამბლა დაგეცეს და ფრთხილად იყავიო!

მე თვითონ ვუშველი ჩემს თავსო, — იფიქრა ავადმყოფმა და მარცხენა მხარის დამბლის მოლოდინში, სხეულის ყველაზე საფრთხილო ნაწილები მარჯვენივ გადაალაგა?!

* * *

...დაადგა ერთხელ ტახტზე გაშოტილ ნამთვრალევ მუტრუკს მამამისი და თავის ქნევით უთხრა:

— ბიჭო, სანამდე მე გყავარ, კიდო არაფერი გიჭირს, მე რომ აღარ გეყოლები, მერე რა გეშველება, შე უბედურო, ვინ გაჭმევს საჭმელს?

— მაგის დარდი ნუ გაქვს, მამაჩემო! ერთ თხუთმეტ წელინადს შენ კიდო იცოცხლებ... მერე, ჩემი შვილებიც ქე წამომენევიან და უპატრონოდ ხომ არ დამტოვებენ!

* * *

ახალგაზრდები ვართ. ტრამვაიში პირში პაპიროსგაჩრილები აევედით. კონტროლიორმა ჩამოიარა და ნიაზს უთხრა:

— რატომ ენევი პაპიროსს?

— რა ვიცი, ვერ გადავეჩვიე, — უპასუხა ნიაზმა.

* * *

ჩვენი თამაზ მელიავა და ტიტო კალატოზიშვილი მოსკოვში კარგა მაგრა დამბალან და ხალხით გაჭედილ დიდ თეატრში შესულან, ადგილობრივი რადიოკვანძის მესვეურებისთვის თავიანთი გვარები მიუციათ და მთელი სერიოზულობით უთქვამთ, რომ კონცერტს ესწრება ხელოვნების ორი დიდი კორიფე და გთხოვთ ეს საზოგადოებას აცნობოთო.

მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ტაშს უკრავდა ხელოვნების ორ დიდ კორიფეს, რომლებიც ფეხზე ძლივს იდგა, სიცილით კვდებოდა და თავს უკრავდა უმაღლეს ელიტარულ საზოგადოებას.

ჩაბნელებულ პირველ მოქმედებას ჯერ ფოიეს ნათელიც არ მოჰფენოდა, ისე გაიპარნენ ბიჭები დიდი თეატრიდან, რომ დიდი შარი არ ატეხოდათ... ღმერთი არ განწყრომოდა ვიღაცას და არ ეკითხა: ბოლოსბოლო ვინა ხართო?

კინორეჟისორი ტიტო კალატოზიშვილი რუსეთში ნაცხოვრები იყო და ბევრი ქართული სიტყვა აღარ ახსოვდა... ერთხელ ტიტომ სუფრაზე რაღაცას დაუწყო ძებნა. მასპინძელი შეწუხდა — რას ეძებთ, ბატონო ტიტო, რა გნებავთო?..

— ღორის ბატკანიო?! — უპასუხა ტიტომ.

მერე მისი ამხანაგებიც ჩაერივნენ საქმეში და აღმოჩნდა, რომ ბატონი ტიტო შემწვარ გოჭს ეძებდა.

* * *

სატირული გრაფიკის ცნობილი ქართველი დიდოსტატის გიგლა

ფირცხალავას მეგობრულ შარჟზე (თუ ამასაც „მეგობრული" ჰქვია), რომელიც ჟურნალ „ნიანგის" ყბაში ჩავარდა — ასე, სამოციან წლებში (ვახტანგ ჭელიძის რედაქტორობის დროს), ჩემთვის ძნელი გასარჩევი არაა, რომ კარიკატურის მთავარი „გმირი" — მე გახლავართ!..

მთელი ჩემი ცხოვრება ვცხოვრობდი და ვცხოვრობ დელფოს ორაკულის პრინციპით, რომელიც უძველესი სიბრძნის ბერძნულ ტაძარზე მავით თეთრზე წერია: „შეიცან თავი შენიო" და... აქ ჩემი თავის ცნობა გამიჭირდებოდა?

მაგრამ ეს მეორე პერსონაჟი ვიღაა, იგი არც ერთ ჩემს მკერავს არა ჰგავს — არც ძველს და არც ახალს: ბაბკენას, საიათას, რომან კინმარაშვილსა თუ ვალიკო მანჯავაძეს?.. თუმცა, ამას, ახლა, არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. მთავარია, რომ ჩემმა ბავშვობის მეგობარმა მხატვარმა „ჩემზე დიდი თავი აიგდო, ჩემი თავი შეუშვირა და თანაც მეზობლებს იფიცებდა, ეს შარჟი შენ არ გეკუთვნისო?!

„მადლობა" ვუთხარი: ჩემს თავზე ძალიან „დიდი" წარმოდგენისა ყოფილხარ-მეთქი და „ჩემი შენ გითხარის" რუბრიკით გამახსენდა, რომ თვითონ გიგლას გოგრაზე თბილისში ლეგენდები დადიოდა.

ასეთი მოსწრებული სიტყვის ისეთი მისწრებული პასუხიც მახსოვს!

გიგლას, ნიაზისთვის, საკუთარი ხელით შეკერილი „ბუტილკა" შარვალი მიულოცნია.

— ნიაზ, ნიაზ... მაგ ვიწრო შარვალს ტალკით იცვამ?

— ხვალ დილით ჩემთან მოდი, იუზგარ და გაყურებინებ... მაგრამ შენ როგორღა უყრი თავს „მაიკაში"? — უპასუხა ნიაზმა.

* * *

ადამიანმა ის პასუხისმგებლობა უნდა აიღოს, რომლის განხორციელებაც მას შეუძლია („საქართველოს რესპუბლიკა", 345, 1999 წლის 21 დეკემბერი, გვ. 3).

*„ზეცას – კიბე,*
*ზღვას – ხიდი,*
*ადამიანს – სამართალი!..“*

**„კვ. პალიტრა", 10-16.07.06.**

*ვილი, ირაკლი იაშვილი უნდათ. წინამდებარე გამოკითხვით. ამ ფუაჩზე. გალაკტიონივით. მერის გარეშე ერჩებით. არადა, ხალხი არასოდეს ტყუის. როგორც ჩანს, მართლაც საგანგაშოდ არის საქმე. მილიონიან ქალაქში რომ ერთი ლიდერი ვერ გამოიკვეთება!*

***P.S.*** *ერთმა ძველმა თბილისელმა მითხრა: თუ გინდა თბილისელი იყო, მაჯაზე მოკიდე ხელი. თუ თბილისის ხსენებაზე მაჯა აუჩქარდა... ესე იგი, თბილისელიაო! თბილისის მერი თბილისივით ნაღდი, უტყუარი, კეთილი და პატიოსანი უნდა იყოს. ახლა, სამწუხაროდ, ასეთი, ქალაქიც საძებარია და მოქალაქეც!*

*პროფესორი გერონტი გასვიანი (ისტორიკოსი):*

*თუ საქართველოს სამიათასწლოვან სახელმწიფოებრივ არსებობის ისტორიას გადავხედავთ თვალის ერთი გადავლებით, ვნახავთ, რომ ამ ხანგრძლივ პროცესში*

* * *

დღეს 2006 წლის ქრისტეშობაა — 7 იანვარი. ერთი კეთილი და პატიოსანი კაცის, ფოტოხელოვან დემიკო ლოლაძის ნამუშევრების კრებულის წინასიტყვაობად ორიოდე თბილი სიტყვა მთხოვეს და აი, ისიც — ფხიზელი ობიექტიეის თვალით დანახული ჩვენი თაობის ავ-კარგი!

ნამო, შეჩერდი!

...არც მწერლის კალამს, არც მხატვრის ფუნჯს არ შეუძლია, გააჩეროს დრო ისე, როგორც ფოტოობიექტივს, რომლის თვალისა ავი თვალივით „ეშინია" ობიექტს, რომელსაც... მარადიულ სიცოცხლეს უსჯიან!

დრო, დრო აღნიშნეო! — გალაკტიონმა.

დიახ, ამან დამაწერინა მე „პაემანი ვერაზე" და ამან ჩაუსაფრა ჩვენ დროს, ჩვენი დროის დიმიტრი თავდადებული — დიმიტრი ლოლაძე, რომელსაც, ბავშვობიდან დღემდე, ბიჭური მოფერებით, „დემიკოს" ვეძახით.

დიახ, სწორედ თავდადება უნდოდა იმ „წუთშესვენებების" წუთშეუსვენებლობებს, „სტოპკადრებს", წვეთ-წვეთად ავსებულ ზღვას, ზღვა მასალას, ჯადოსნური სარკის მოზაიკას, რომ სიცოცხლე — ყველაზე დიდი სიკვდილისაგან — დავიწყებისაგან ეხსნა; რომ რაც გვინახავს — ისევ გვენახა; რომ კიდევ ერთი პაემანი გადაგვერჩინა ჩვენი დროის საქართველოსთან!

და აი, ეს მოხდა!

დემიკო ლოლაძის თავდადებითა და ვიღაც ღვთისნიერი ქალბატონის შემწეობით, რომელმაც დავით სარაჯიშვილივით „არალეგალურ ქველმოქმედად" დარჩენა ინება (ალბათ, ასე უფრო მართალი იქნება კაცთანაც და ღმერთთანაც!)

ძნელია დაიჯერო, რომ იგავმიუწვდომელი „ვეფხისა და მოყმის" ავტორმა — ხელის მოწერა არ იცოდა... მინდა მჯეროდეს, რომ ამით მან ამ ბალადის ავტორად ყველა ქართველი აღიარა!

სიკეთის დამნახველნო!

იქნებ ქვეშეცნეულად ეს აზრიც ამოძრავებდა სიკეთისმკეთებელ ქალბატონს! ყოველ შემთხვევაში, ამ კაცური საქმით, მან ია სულაბერიძის ლექსი და ევას ბიბლიური ვალი გამახსენა ადამისა, საერთოდ, ადამიანის მიმართ და ლამის მთელი საქალეთის ვალი გადაიხადა კაცობისა თუ კაცობრიობის ნიაშე!

„მე არ ვარ ევა,
თუმცა ვარ ქალი...
შენს თვალში ალბათ ესეც ნაკლია,
გაჩენის დღიდან მაქვს შენი ვალი —
შენ ხომ ჩემ გამო ნეკნი გაკლია!"

ამ ალბომის ავტორთან ერთად, მინამდე თავს გიხრით, უსახელოდ სახელიანო ქალბატონო!

...ხე ნაყოფით იცნობაო!

ისე უნდა იცხოვრო, მიქელ-გაბრიელი კეთილ საქმეზე შეგესწროს და დიდი თავსატეხი არ გაუჩნდეს, საით გაგიყვანოს გზას — ჯოჯოხეთის თუ სამოთხისაკენ???

---

*იმის განსაზღვრას, თუ რამდენ წელს იცხოვრებს კონკრეტული ადამიანი, მალე ამერიკელი მეცნიერები სისხლის მარტივი ანალიზით მოახერხებენ.*

... აქ კი — ვისი სული გსურთ, ბატონებო? ვის არ ნახავთ ამ ფოტოალბომ-მატიანეში!

„შენი ნახვა მეამება, როგორც კოცნით ზიარება" — მღერის ძველი „ბანტიანი" გიტარა.

„როგორც კოცნით ზიარება" — მიიღეთ ეს ზიარება; ეზიარეთ ამ ღვთივბოძებულ ნაშრომს; გაიზიარეთ მისი სიხარულიც და მწუხარებაც; ორთავ სოფელში დალოცეთ ნამსვლელ-დამრჩენი და მადლობა უთხარით მის ავტორს, რადგან კარგი ადამიანის გახსენება პატივს მიაგებს, არა მარტო მას, ვისაც იხსენებენ, არამედ მასაც — ვინც იხსენებს.

გაგიმარჯოს, ნიგნო კეთილო!

გაგიმარჯოს, დემიკო ბატონო!

7 იანვარი, 2006.
ქრისტეშობა.

* * *

დღეს 6 ივლისია!

14 ივლისი ბასტილიის აღების დღეა! იქ, სადაც ოდესღაც ტყვიები სიკვდილს თესდნენ და იმკიდნენ, ახლა აღმართულია თავისუფლების ობელისკი, წარწერით: „აქ ცეკვავენ"!

აქ კი... ცეკვამდე ჯერ შორსაა!

თუმცა!...

ჩვენს ქალაქსაც უდგას „ცხელი" ივლისი — „სირცხვილისა და სიცივისგან" ინვის მთელი თბილისი!.

იქეთ გირგვლიანის მკვლელობის პროცესი — აქეთ უნივერსიტეტის „რეფორმის" ბატალიები; აქეთ სეპარატისტული ოსეთი — იქეთ აფხაზეთი? აქეთ მსოფლიო ფეხბურთის ციებ-ცხელება (რა გვეფეხბურთება)... — იქეთ... მოკლედ, აირია მონასტერი — სად ჭირია — სად ლხინი, ეშმაკმა იცის!

მზე კი, მგონი, მართლა ჩრდილოეთიდან ამოდის — არც სინათლე აქვს, არც სითბო: ივლისის პაპანაქებაა... თბილისის გაცეცხლებულ ქუჩებს მაინც ასდით სიძულვილის ბუღი: ყალყზე შემდგარ ხალხის ზღვას მოსდევს ცისფერპერანგიანი პატრულის ტალღა, და ეს სტრიქონიც:

ვინ გაგვხადა ერთმანეთზე დანის მლესავი?...

გვეჯავრება ერთმანეთი ჭირის დღესავით!

...„ერთი მათგანიც რომ განყდესო" — მისტიროდა ჩონგურივით ასაწყობი საქართველოს ნატვრის სიმებს, — საქართველოს ბულბული აკაკი...

ერთი კი არა, ყველა სიმი დაწყვეტაზეა... ყველა თავისას უსტვენს — „ზოგი აქეთ უბერავს, ზოგი იქეთ უბერავს", როგორც ერთი ალალ-მართალი თბილისელი ბარდი უბერავს.

*ქართველმა ხალხმა მრავალი ჭირ-ვარამი გამოიარა და მძიმე გამოცდას გაუძლო. საქართველომ გადაიტანა კიმერიელების, სარმატების, ხაზარების, არაბების, რომაელების, სპარსელების, ბიზანტიელების, თურქ-სელჩუკების, მონღოლების, თურქ-ოსმალების და სხვა მრავალრიცხოვანი მტრების შემოსევები და ბატონობა, როცა, ასეთ ჭიდილში, საქართველოზე გაცილებით მრავალრიცხოვანი ხალხები გადაშენდნენ და გაქრნენ ბედუკუღმართ წრიალში. ქართველებმა გაუძლეს ყოველგვარ განსაცდელს.*

*...ზოგიერთ რუს მოძალადეს კი, რომ ჰკითხო საქართველო მადლიერების ნაცვლად ღალატობს რუსეთს — დასავლეთ ევროპასა და ამერიკას ემხრობა. ამის გამო რუსი იანოვსკები, ვოსტორგოვები, პურიშკევიჩები, ხრუშჩოვები, სუსლოვები, რუცკოები, ბაბურინები, ზატულინები, როგოზინები, პასტუხოვები, ჟირინოვსკები, კონდრატიევები, მიტროფანოვები და მათთანები ანათემა-*

მე კი, ვზივარ ამ შიდაპატიმრობაში, რომელიც სიბერემ, შიდასაოჯახო ცენზურამ, ნაინფარქტალ-ნაშინფარქტალ-ოთხნაშუნტარმა გულმა მომისაჯა, გაკერილ გულზე ესკდები და ყველა უდანაშაულო დამნაშავესთან ერთად — „ბრალდებულისა" და „ბრალმდებლის" სასჯელს — ორივეს ვიხდი:

*მე სხვა დარდი მაწუხებს და*
*დარდი არ მაქვს ჩემოდნის...*
*ბრალმდებელის კარებიდან...*
*ბრალდებული შემოდის!*

...2006 წლის 6 ივლისს, საქართველოს ხვალინდელი დღის — სანდრო გირგვლიანის მკვლელების თუ მათ ნაცვალსახელ — ნაცვალგარდების მიმართ, მოსამართლე ჩემიამ (გვარშივე მიკერძოებულ-მესაკუთრებულმა კაცმა) აშკარა ნაცილის მიუხედავად, აშკარა არა ნაცვალგების სასჯელი გამოიტანა, რამაც მოსამართლეც, სამართალიც და გამსამართლებელი ხალხიც ყირაზე დააყენა!..

...პატიმრები ციხეში შეიჭრნენო, სადმე გაგონილა???

მაშ, უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლები „შეიჭრნენო", სად გაგონილა?! ამ ბრჭყალებივით ჩასვეს სიმართლე... ციხეში! თვით უნივერსიტეტი აქციეს ციხედ!

ამასაც მოესწრო ოდითგან ეკლესიასთან გათანაბრებული ეს ტაძარი, რომლის ახალმა მესვეურებმა ძველ უნივერსიტეტელებს გადაუკეტეს ტუალეტი, სიცოცხლის წყარო — წყალი!.. შესასვლელი და გასასვლელი კარებები...

საღამოს, 202-ზე, პარლამენტარმა მამუკა კაციტაძემ თქვა: ბლოკირებული მეცნიერები მესამე სართულზე წყალს ბანარზე მობმული ბოთლებით ექაჩებოდნენ. მეორე სართულზე კი იდგა ვიღაც „წესრიგის დამცველი" და ბაწარს ანუ წყურვილის მოსაკლავად ფანჯარასთან მომდგარ ხალხს... ყელს (ანუ ბაწარს) ჭრიდა?!

...ელდა მეცა და ხსოვნამაც არ დააყოვნა — ამ ამაზრზენი სურათის ანალოგი გამახსენა: ერთხელ, ხორცკომბინატში, სასაკლაო საამქროს ჩიხში ჩამდგარი ცხვრები ვნახე, რომლებსაც სასაკლაოზე წინ ყოჩი მიუძღოდათ!.. დარდიანად გავაყოლე თვალი ამ პირუტყვულ ტრაგედიას და გუნებაში იმ ყოჩსაც მივაგე ცხოველი პატივი იმის გამო, რომ ასე ყოჩაღად მიუძღოდა ფარას უკანასკნელ გზაზე.

თურმე, საქმეში ხარ?!...

...იმ ყოჩმა, აგერ ისევ ცხვირწინ ჩამიარა! ცხვრების ახალ ნაკადს მოექცა თავში, ერთი მეეეეეო — იყვირა, ქვეყნის სტაროსტა კალინინივით აცანცარა წვერი და თანამოძმეები ისევ სიკვდილისკენ გაუყენა გზას.

შავ-თეთრი შუბლით ვიცანი!

— ეს ის თხა არაა, წელან ფარას სასაკლაო ჩიხში რომ შეუძღვა-მეთქი? — ვკითხე სალახებს.

— კიო — მითხრეს.

— მერე... სიკვდილს როგორ გადაურჩა-მეთქი, — ისევ ვიკითხე.

---

*ალექსანდრე მაკედონელის საფლავის ქვის წარწერა: „ეს საფლავი საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, ვისაც მთელი მსოფლიო არ ყოფნიდა!"*

*ყველა გენიოსი ცოტა გიჟია, მაგრამ ყველა გიჟი როდია გენიოსი!*

— მაგ ყორს უბატონოდ ხმას ვინ გაცემს, ბატონო, ეგ თხა-ჯალათია და სახელმწიფოსთან თანამშრომლობს, — სასაკლაოზე მიუძღვება ცხერებსო?! ამიტომ, საჩეხის ბოლოს, სადაც დანა ტრიალებს, მაგას თავისი გამოსაძვრომი პატარა კარები აქვს და იქედან ძვრებაო?!

ფუი, ეშმაკს! რას არ მოიფიქრებს კაცი! ჩვენ კი ყორი, ყორაღი და ყაჩაღი ველარ გაგვირჩევია ერთმანეთისგან!

...აი, შენი ერთი დღე და ამდენი ამბავი!

ერთი დღე, რომელმაც შემძრა...

ენახოთ. ისე, ამ დღეებში, მგონი, მინის ძვრასაც ელოდებიან.

მაინც, რას უძლებს ეს ცოდვილი, მაგრამ დასანყევლად მაინც არ გასამეტებელი და დალოცვილი დედამიწა!

ისევ 6 ივლისი!

თვალსა და ხელშუა გარბის დრო... მგონი, ასტრონომიულადაც! თვალის დახუჭვას ვერ ვასწრებ, რომ „თვალს ავახელ — ზედ ნამნამზე მიზიხარ!..“ ცისფერი ეკრანით მოდის და მოდის ცისფერი და შავ-თეთრი ამბები!

ნინათ ჩიტებს ვეხვეწებოდით კარგი ამბების მოტანას, ახლა კი ჩიტი-გვრიტი — საკუთარი თუ სპეცკორესპონდენტები, ზოგი გულს ეძებს, ზოგი ყურს, ზოგი ფულს... ვართ ერთ „გამიშვი და გაგიშობში"!..

...ისევ ერთი ძველი სიმღერის გახსენება — ზესტაფონური ბანტიანი გიტარის თანხლებით!

*„ეი... ეირია მონასტერი.*
*ყველგან... ყველაგან გაქრა ყველი. პური...*
*ძაღლი...ძაღლი პატრონს ველარა ცნობს –*
*იაპო... იაპონიას პორტარტური!“*

...ბატონებო! ძვირფასო მკითხველო! ხომ არ დაგავიწყდათ, რომ, რასაც მე ახლა ვწერ და შენ ახლა კითხულობ, ეს არის რეპორტაჟი ჩემი არეულდარეული ფიქრებიდან, ჰოდა —

*კაცია და გუნება!*
*იმის რაც მეყურება!*
*რამეპორტარტურება?*
*ერთ რამედ ღირს ყურება!*
*რა ხდება, ახლა, არ იკითხავთ?*

6 ივლისს, ღია ეთერში „ხელისუფლების სატელიტ არხზე" (რ. შატაკიშვილი) რუსთავი 2-ზე მილიონი მაყურებლის თვალწინ, ტრადიციული პოლიტიკური შოუს ტრადიციულმა წამყვანმა, საინფორმაციო

*თა და მოსპობით გვემუქრებიან. საქართველოს ეროვნული ხელყოფის ანუ ასიმილაციის გეგმა ჯერ კიდევ* **XIX** *საუკუნის დასაწყისიდანვე ჰქონდა რუსეთს შემუშავებული — ერთიანი ქართული ენის დასამარებით და ქართველების დაყოფით — ქართბად, მეგრელებად, სვანებად, აჭარლებად, ლაზებად და ა. შ.*

**P.S.** *ეს უნდა გვახსოვდეს და ისიც, რომ მეზობლებს, სამწუხაროდ არ ირჩევენ.*

*გაზეთი „მთელი კვირა" (25.07.2005) გვაუწყებს, რომ პრეზიდენტის* **N 388** *განკარგულებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის — 26 მაისის აღნიშვნაზე ღონისძიებებში გათვალისწინებულ (და არა ათვალისწინებულ) იქნას თავისუფლების სახ. მოედანზე უკრაინის [illegible] რადას ესტრადის ვარსკვლავის რუსლანას „ისორადა სი ვარადამი" 123000 მანეთის გადახდა. რაც ერთობ ძვირად*

სამსახურის უფროსმა, სახელმწიფოს „ოქროს თევზად“ აღიარებულმა მშვენიერმა ეკა ხოფერიამ „უღალატა“ ტრადიციას, არ უღალატა სიმართლეს, და „ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი" პროტესტი გამოთქვა ძლიერთა ამაქვეყნისათა მიმართ — შენყვიტა გადაცემა „თავისუფალი თემა“ და საქვეყნოდ გააშიშვლა სიმართლე!

ეს „თოქ-შოუ“ არ ჰგავს ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობას „ტრაგედია უგმიროდ“. ესაა ტრაგედია... გმირით! ამ წუთში, ქვეყნის თვალწინ, დაიბადა გმირი და იმედი ქვეყნის გადარჩენისა.

*ქალმა –კაცებს... დროში ამ უკაცობის...*
*ერთმანეთის არცნობის და ბაცნობის...*
*არ იკადრა როლი ბოთლის საცობის –*
*ქალმა მოგვცა მაგალითი კაცობის!*

## *ფილოსოფიური მედიტაციები*

### ბუზებისა და ბოზების თემაზე

ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერია –
ვინ, როდის და რატომ გაჩნდა – ერია თუ ბერია?
„ბუზს რა პქონდა – ყვავს გაპქონდა" – ესეც ლოგიკურია,
მე – რატომ ვარ ქრისტიანი, ის – რატოა ურია?
ამას – ყველი რატომ პქვია, ის რატოა პურია?
„მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ – ისიც შინაურია“!
ჩასძახებ და ამოგძახებს – იმიტომ რომ ჭურია...
რას არ იტყვის პირი, რას არ – გაიგონებს ყურია!
ზოგი არის – ზოგადი და ზოგი – კონკრეტულია –
ზოგისათვის – მარტივია, ზოგისათვის – რთულია!
დეტერმინირებულია ერთმანეთში ყოველი,
ვიცი ვისი – ვისშია და კაზუსებს არ მოველი...
მაგრამ გამჩენს ვეკითხები: ბუზი რაში დაჭირდა?
შეგვაწუხეს ბუზებმა და ბუზსაკლავიც არ ჭრიდა!
დღემდე პასუხს ვერ ვეღირსე, – თურმე ბუზსაც უჭირდა
და ვინ იცის, დაჭერილი რას ბზუოდა მუჭიდან:
ღმერთო, კაცი – ეს ჯალათი რამ გაგაჩენიაო,
გულზე მჯიღებს რომ იცემს და ქვეყანა ჩემიაო!
...პოდა, კაცი რომ დაფიქრდე – საქმეა სახითხითო –
ადამიანს როცა უსმენთ – ერთი ბუზსაც პკითხეთო!

*ლაო - ძი:*

*ოდეს დგება ჟამი მძლავრობისა, ხალხი ძრწის ძლიერთა წინაშე.*
*ნუ ანგრევთ მათ საცხოვრებლებს, ნუ დასცინით მათ ცხოვრებას!*
*ნუ დაამწუხრებთ სხვის ცხოვრებას და თქვენიც აღარ დამწუხრდება.*

* * *

„ალბათ, ჩქარა კიდევ ერთი სიმღერაც გაგვიხდება სადაო პრივატ-პრიხვატიზაციის, იმ უდაოდ საეჭვო პოლიტიკის გამო, რამაც სომეხი და ყაზახი „ინვესტორებით“ აავსო ბათუმი, ქობულეთი და ბორჯომი:

*„ქობულეთში იისფერი მზის სხივები რამდენია...*
*ბორჯომს წავა სუსტი კაცი — დაბრუნდება... ჯანმრთელია!..*
*ბახმაროს და ბაკურიანს ფიჭვის სუნი ასდენია.*
*წყალტუბოში წყალი მოდის — სასწაულის ჩამდენია.*

მდაა... პირზე რომ არაფერი არ გვადგება და საქვეყნოდ ვღრიალებთ სახელმწიფო საიდუმლოებებს!

ახლა ბახმაროს და ბაკურიანს მისდგებიან ჩვენი ძმები და წყალტუბოს აბაზანებიდანაც დედაშობილა გვიფრენენ.

მახლას, იძულებული ვარ ერთი ცნობილი სიმღერის ერთი ფრაზის გადაკეთება მაინც მოვასწრო (გარკვეული პერიფრაზით).

*„მეზობელო კარისაო,*
*წვიმს თუ „ანძრევ“ გალისაო?“*

* * *

ბუზი ერთ ზაფხულს ცოცხლობს, მაგრამ ამ დროის განმავლობაში შეიძლება იყოლიოს 9 თაობა 190 კვინტილიონის (ერთიანი 18 ნულით) საერთო რაოდენობით.

P.S. ადრე ადამიანები ასე ლოცავდნენ ერთმანეთს: გამრავლდით, ვითარცა წყალში თევზნი და ცაში ფრინველნიო... ამ მხრივ, ხომ არ აჯობებს, ბუზების ბედი ვინატროთ... პირდაპირ ჩვენ ცხვირწინ (ზედ ცხვირზეც) ბოზობენ და მრავლდებიან ეს ჩვენის თვრამეტიანები!

* * *

ადრე, ადამიანები, პატიოსან სიტყვას აძლევდნენ ერთმანეთს და ეს, ნებისმიერ თამასუქზე უფრო მტკიცე გარანტია იყო... ერთი ღერი ულვაში კი, ლამის მთელ ქონებად ღირდა. რაღა ულვაშზე ხელის გასმა და გულზე ხელის დადება და რაღა ხანჯალზე ხელის გასმა და თავზე ხელის აღება!

კაცი — სიტყვით ფასობდა, სიტყვა კაცით!

ახლა... ან კაცი სადაა ან სიტყვა?

უცხო სიტყვებმა ხომ სულ წაგვლეკა.

ზოგზე მაინც ელეთმელეთი მომდის.

განსაკუთრებით ვერ შევეგუე ერთ ბარბარიზმს — ინგლისურ „თოქ-შოუს“, რომელიც წყნეთურ „თოქში-ვიროს“ მაგონებს.

*ეჩვენება გაზეთს, მაშინ, როცა ერთი ამდენი და ერთ რამედ მარტო, რუსულანას მეხედ-ვა ღირს!*

*გურამ მარაძე:*

*მე შემიძლია თქვენ გაჩვენოთ თურქი-მესხების ბიშკეკის, მოსკო-ვის, ბაქოს ყრი-ლობების რეზოლუ-ციები, სადაც ისი-ნი ამბობენ, რომ ერთი წვეთი სისხ-ლიც არ აქვთ ქართული, არიან ეთნიკური თურქები და მოითხოვენ ახ-ალციხის საფაშოში — თურქეთის შე-მადგენლობაში ცხ-ოვრებას. ერთ-ერთ-მა თურქმა მესხმა, რუსეთის ტელევიზი-ით, ცნობილი ტელეჟურნალისტის მოლჩანოვის პრო-გრამაში გამოსვლი-სას განაცხადა: მე ვარ თურქი და თუ ვინმე, მეტყვის, რომ ერთი წვეთი სისხლი კი მაინც მირევია ქართული, მაშინ ჩემს სისხ-ლს შპრიცით გამ-ოვიღებ და იმ ერთ წვეთ სისხლსაც კი გადავაქცევო!..*

*გია მიხაშვილი*

* * *

...13 ივლისია!

გინდა ივლისი იყოს, გინდა ივნისი, ცამეტი მაინც ცამეტია (თუმცა, მე ამ რიცხვზე საყვედური არ მეთქმის, სხვა თუ არაფერი, ჩემი დაბადების დღეა).

ე. ნ. „დომოფონმა" ნამოიკნავლა, რასაც რიხიანი ხმაც მოჰყვა: „თბილ-გაზიდან" ვართ!..

როგორ „თბილადაც" არ უნდა თქვა ეს, მაინც სიციევე აგიტანს კაცს, რადგან „თბილგაზიდან" გამოგზავნილები კარგ საქმეზე მოსულებს არ ჰგავანან — ან გაზს გადამიჭრიან ან გადასახადის დროზე გადაუხდელო-ბის ყველა გზას!.. მორჩა „კაძახო" შენი ბაირამი... ყაზახები რამეს შეგ-არჩენენ?!.. ვფიქრობ გუნებაში და უგუნებოდ ვულებ ჯერ სადარბაზოს და მერე სახლის კარს.

ვითომ ერთი არ მეყოფოდა, „ვეფხისტყაოსნის" 3 გმირივით სამი სანა-მყენე ვაჟკაცი — ავთანდილ-ფრიდონ-ტარიელივით დამადგნენ თავზე.

— რისთვის მოსულხართ, მოყვრად თუ მტრადა? — კაკო ყაჩაღივით ვიკითხე.

— მოყვრად ბატონო, მოყვრად, — ჩამიტკბილიმერულა ჩემი მინა-ნყ-ლის კაცმა, რომელსაც გულისჯიბეზე ეკიდა პატარა, ოთხკუთხედი საც-ნობი ბარათი, მისი მფლობელის გვარით — „სეფისკვერაძე"!

მე — გვარით, იმან — სახით, ვიცანით ერთმანეთი და მერე, რამდენი მანეთი იყო გადასახდელი, აღარც გვეიკითხავს:

— ამ კაცს გაზი როგორ შევუწყვიტო? — ჩაილაპარაკა იმ კაცმა და უკან გაბრუნებას აპირებდა. ნინ გადავუდექი და ბიზნესმენ ბუბუტეიშ-ვილის ერთი ძველი პოსტულატი გავიხსენე (რომელიც ე. ნ. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის თავში თქვა და ბოლომდე ვერ გაატანა): ეს ოხერი კაპიტალიზმი, ცოტა ქართულად თუ არ შევათბეთ, ერთობ ციეი ყოფილაო!

მერე, კომუნისტებისდროინდელი, იმპერიულ ბიუროკრატიასთან შეზა-ვებული კიდევ ერთი იმერულ-ადმინისტრაციული ზრდილობის ნიმუში გამახსენდა და ისიც ხმამაღლა გავიხსენე.

ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტურ საბჭოთა ეპო-ქაში, ერთი ახალი ნელი ასეთიც გამითენდა!

31 დეკემბერია. შესვენებაზე საახალნლო ინდაური შევასვენე სახლში და მეც ნუთშესვენების აღება დავაპირე რომ, უცბად, სადარბაზოში, ჩვე-ნი საფოსტო ყუთის დაღებულ პირში გაჩხერილი რაღაც „კვიტანცია" დავ-ინახე... გულმა რეჩხი მიყო! მაგრამ... გველნაკბენივით ავიღე ხელში თუ არა ქეითარი, გულშემოყრილს უცებ გულზე ვარდი მომეფინა!

ჯერ არსად თქმულა, ჯერ არსად გაგონილა და არც ნახულა ასეთი გულისამაჩუყებელი... ბინის ქირის ქვითარი!

შვილებო! რაც დრო გადის, უფრო ვცივდებით და სანამ სულ არ გავყ-ინულვართ, იქნებ რამეში გამოგადგეთ, კანცელარული ხელოვნების ეს სნორუპოვარი ნიმუში!

აი, რა რევერანსით ინყებოდა და რით მთავრდებოდა ეს „ტკბილად

---

*თამაზ ჩაჩავა: დასავლეთის ფულად ქცეულ, მაკლერულ, პოლიტიმირე-ბულ სამყაროს, ხელოვნებაში გლობალური მისწრაფებები უფრო აინტერ-ესებს — ვიდრე ჭეშმარიტება.*

მოუბარი", ესეევითარი ქვითარი, რომელიც მართლაც, ნებისმიერ გველს — ნებისმიერი ხვრელიდან ამოაძვრენდა!

„ბატონო გიზო!

მოგილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ მას შეხვდეთ... ბინის, წყლის, ელექტროენერგიის, გათბობისა და გაზის ქირის დავალიანების გარეშე!"...

მაშინვე გავიქეცი და ამ „საახალწლო სადღეგრძელოს" სამადლობელი „გადავიხადე"!

სულ ეს იყო. ახლა კი, ჩემო გიზო, მოიქექე ჯიბეები და გამპი გაზის ქირის დავალიანების დასაფარად, თორემ ყაზახებთან ასეთი ხუმრობა არ გაგივა, კაძახო!

* * *

„ლ.ს." 7.07.06.

მჯერა — ვერა, ვერ ჩაკლავენ ქართველი კაცის თავისუფლებისმოყვარე სულს, რადგან, პოეტის თქმისა არ იყოს:

*„მთებო, ვერ ჰკლავენ ამ სულს ომები,*
*და თუ მოსთხრიან, ამობზარდებიან.*
*თქვენ დაიბღავლებთ,*
*როგორც ლომები,*
*როდესაც ძუ ლომს ლეკვს მოჰპარავენ".*

...ირანის შაჰმა ქართველ მოჭიდავეებს საზეიმო მიღება მოუწყო. როცა ჩვენს სახელოვან ფალავანს, ლევან თედიაშვილს მიმართა, რას მთხოვ, რა შეგისრულოო, — ლევანმა დაუფიქრებლად უპასუხა, პატიმრობაში მყოფი ჩემი მეტოქე, თქვენი მოჭიდავე გაათავისუფლეთ, რაღაც დანაშაული ჩაუდენია და სიკვდილი მიუსჯიათო. შაჰმა თხოვნა შეუსრულა, უფრო მეტიც, იქვე, კაბინეტში მოაყვანინა და შეახვედრა... კაცები!

* * *

არასერიოზული გამოხმაურება არასერიოზულად გახმაურებულ თემაზე:

„სურენ" — წაღმა სომეხი ხარ,
უკუღმაც კი „ნერუს"-ს ჰგავხარ,
„გიჟერაცუას" მე მეძახი,
„გიჟერაცუა" შენ ხომ არ ხარ?!

ახპერ, რაებს ბუტბუტებ და
რას აჩმახებ, რაებს ჩმახავ,
წყვილ-წყვილად რომ აფრენ ახარ,
„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!"

*(პოლიტიკური მოძრაობა „მომავალი მთავრობის" ლიდერი):*

*„ამ ქვეყნის ამინდებს დიდი კაცი სჭირდება და არა პოლიტიკურ ამინდს გამოკიდებული ლიდერი, ყოველდღე თერმომეტრით რომ ზომავს საკუთარ რეიტინგს.*

*ინკოგნიტო ქალბატონი:*

*უმუშევრებმა რა ვქნათ, პრეზიდენტი შევჭამოთ?.. მარტოხელა დედას ერთ ბავშვზე 5 ლარს უხდიან, მაშინ, როცა საზღვარგარეთ 400 ევროს იძლევიან თვეში, თუ მაწანწალა ძაღლს შინ წაიყვან და მოუვლი. ეს ქვეყანაა?.. ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას თავისი ხალხის ბედი საერთოდ არ აწუხებს. ჩვენ შორის ხიდია ჩატეხილი...*

*„ახალ-დახალი" 20-26.06.05.*

*თავის ტვინში არის სენსორები, რომლებიც წინასწარ იღებენ ფატალურ ინფორმაციას. ადამიანი გრძნობს თავის*

* * *

**შოთა ჭელიძე:**

...მილიონერმა ბრინცალოვმა პოსტსაბჭოურ რუსეთში ფარმაცევტული იმპერია შექმნა და პრეზიდენტობა მოისურვა. ტელეეკრანებიდან იგი მაყურებლებს სთხოვდა, ყურადღება მიექციათ მისი ლამაზი თვალებისთვის, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე კი განაცხადა, „ჩემი პირველი სიყვარული ონანიზმი იყოო".

P.S. ამ მილიონერზე მილიონჯერ უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა დეპუტატობის ერთი ჩვენი რიგითი კანდიდატი (იმერეთის რეგიონიდან), რომელმაც წინასაარჩევნო კომპანიის დროს მთელი გულწრფელობით მიმართა ამომრჩევლებს: დედას გაფიცებთ — მე მომეცით ხმა... ვერ დაგპირდებით, რომ ამით თქვენი ცხოვრება გაუმჯობესდება, მარა იქნება მე მეშველოს რამეო!..

ა, რაჲარია?

დეპუტატობის ამისთანა ალალ-მართალ კანდიდატს ხმას დაამადლის კაცი?

ახლა რუდოლფ ჰესის ამბავიც!.. ჰიტლერის მარჯვენა ხელი იყო! სწორედ ამ ხელით ენეოდა ონანიზმს. გაუკუღმართებული „სექსით" განრისხებულ ფიურერს მთელი რასისტული მჭერმეტყველებით დაუსხლტა ხელიდან: ჩემო ფიურერო! — უთხრა ჰესმა ჰიტლერს, — მე ჩემი პარტიის სიყვარულს ქალებს ვერ გავუყოფო!

* * *

ყოფილ მინისტრ, ეკონომისტ ლადო პაპავას აკადემიკოს მამას ჰკითხეს: როგორ ფიქრობთ — თქვენ ჯობიხართ თუ თქვენი შვილიო?..

უკადრის კითხვას საკადრისი პასუხი გაეცა:

— ჩემი შვილი მაშინ მაჯობებს, როცა ჩემზე უკეთეს შვილს გაზრდისო!

აქვე გავიხსენოთ! თვითონ ნიუტონმა ბრძანა: მე ჩემს მშობლებზე უფრო შორს ვიყურები, რადგან... მათ მხრებზე ვდგავარო!

ასეთი სიბრძნე არასოდეს იძირება.

* * *

მეც ვიცი, რომ მამალი ბიბლიური ფრინველია და თვით იესო მამლის ყივილით ითვლიდა დროს, მაგრამ, როცა ერთ მშვენიერ დღეს, მესამე იმპერიის ყოფილ დედაქალაქში — ბერლინში, ქალაქის ცენტრში წამოჭიმულ ერთ-ერთ პრესტიჟულ სასტუმროში, დილით მისმა ყივილმა გამაღვიძა... გადავირიე — საიდან სადაო-მეთქი?

გაგანია ურბანიზაციის ეპოქაში, ევროპის ცენტრში, ფეშენებელური ოტელის ეზოში, „მერსედესების", „ფოლკსვაგენების", „ოპელების", „აუდების" ბრწყინვალება-ბზვინვარებაში, რა უნდა ამ ოქროსდეზებიან „სოფელს", ყიყლიყოს ძახილით ინფანტერიის გენერალივით რომ დაიჯგიმება ამ ულტრათანამედროვე „პარკინგში"? — ვიკითხე.

ადამიანმა სამყაროს პირველყოფილების ხიბლი რომ არ დაკარგოსო, — მოკლედ მიპასუხა პორტიემ.

---

*აირია ყველაფერი, თუმცა, ჯერ იქამდე არ მისულა საქმე, რომ ვამლს... მხალი გამოესხას...*

*ვინ რას კი არა — რას ვინ ლაპარაკობს? — დღეს ესაა მთავარი.*

* * *

## რა დრო?

„დრო, დრო აღნიშნე, – ამბობდა გალა და...
ეს წუთისოფელი „გაჯეჯილ-გალაღდა!"
უჟამო ჟამია – წამების წამია,
ამ წუთისოფელის –ეს ხათა-ბალადა...
...წელი – თვედ, თვე – კვირად, კვირა – დღედ, დღე წუთად... გარბის დრო – საწუთრო და მწუხრიც მეწუხ-და...
ამ წამდაუწუმში, ამ თვალის ხამხამში – დღესა თუ ღამეში, ძველში თუ ახალში...
დრო გვისწრებს – დროს ვუსწრებთ, გვაქვს გაწამაწია – ვერ გაგვირკვევია: იყო თუ აწია?
საათ-კალენდრისკენ გვიჭირავს თვალია:
ხვალე დღეს არის თუ – დღეს უკვე ხვალეა?
ესო პროფკომშიო,
ეს ალმასკომშიო,
ეს რაიკომშია,
ეს იპოდრომშიო,
ეს გასტრონომშია,
ეს ასტრონომშია,
თუ რამე გელომია,
სად ხელი გეწდომია,
სადაც გეიშრომია –
სუყველგან „ომია"!
ღმერთო, დიდებულო, გული არ ამყარო –
მეშლილა,
მეშლილა,
მეშლილა სამყარო!

* * *

ოკრიბაში, ეშმაკის ფეხის მკვნეტელი ერთი ბიძაშვილი მყავდა — ზალიკო ნიშნიანიძე — „სოფლის ამიკი" და ქალების დიდი მუსუსი. ეჭვი არ იყო, რომ ის არც ერთ ლამაზ გოგოს გულგრილად არ ჩაუვლიდა.

ამიტომ, ცოლი არც ეჭვიანობდა და პირდაპირ ამხელდა მას საეჭვო საქმეებში. ის კი, ანგელოზის სახეს მიიღებდა და მთლად ხატზე ვერა, მარა ცოლოურის წინაშე ხმამაღლა იფიცებდა მის უცოდველობას:

— ცოლის მოღალატე კაცს მინა უნდა გაუსკდეს... მარა შიგ არ უნდა ჩავარდესო, — ჩუმად დააყოლებდა!

წავა ზამთარი და აჭირდება,
ცრემლად იღვრება, ვით მეფე ლირი..
და გაზაფხული სკდება კვირტებად,
როგორაც ზამთრის ღია წერილი!

მომავალს...

ა ლ ე ს ტ ე რ კროულმა, გიორგი გურჯიევმა, ვან გოგმა, ნოსტრადამუსმა და ნოვალისმა თავიანთი აღსასრულის თარიღი ზუსტად იწინასწარმეტყველეს.

დიდო ჩუბინიძე: თუ ვინმე დედას შვილი დაუწყევლია, ყველას „თავისუფლების ინსტიტუტმა".

ს ო ლ ო მ ო ნ ი (ბრძენი), ისრაელის მეფე, გადმოცემის მიხედვით, უყურებდა ბეჭედს, რომელზეც ეწერა შემდეგი სიტყვები: „ყველაფერი გაივლის". ერთ-ერთი აღელვების ჟამს ნერვებმა უმტყუნა, ბეჭედი მოიძრო და მოისროლა. ბეჭედმა იგორა და ისევ მასთან მიგორდა... პატრონმა შიდა მხრიდან შეამჩნია სხვა წარწერაც! სოლომონმა ბეჭედი აიღო და წაიკითხა შემდეგი სიტყვები: „ესეც გაივლის".

ლატვიის პრეზიდენტმა ვაირა ვიკე

## ლიტერატურული პროფესიონალიზმის შესახებ!

პირველად პროფესიული ლიტერატურისკენ ილიამ და აკაკიმ მიახედეს ქართველი მკითხველი. დიდხანს (თუ ახლაც არა) სიტყვა „მწერალთან" ილია და აკაკის სახელი ასოცირდებოდა.

ჭეშმარიტი პროფესიონალი პოეტი ვაჟა-ფშაველაც კი თავის თავს ხალხური მოლექსის დონეზე განიხილავდა და, თუ გულში არა, სხვის გასაგონად მაინც ამბობდა — „ჩემისთანები ბაგაზე ასი, ათასი აბიაო". აკაკი წერეთელი თავს ლიტერატურის დღიურ მუშად თვლიდა და მომავლის მკითხველს სთხოვდა, მისი ლექსებისთვის ისე არ შეეხედა, როგორც „სახელოვნო და საპოეზიო ნიმუშებისთვის". ალექსანდრე ყაზბეგს ვერ წამოაცდენინებდი, რომ მწერალი გახლდათ. იგი თავს მოლეკურედ და მოხეტიალე დასის ნევრად ასაღებდა, ხოლო შიო არაგვისპირელს, მთელი სიცოცხლის მანძილზე, თავის მთავარ საქმედ საქონლის ექიმობა, ბეითლობა მიაჩნდა...

P.S. დღეს კი ყველა, ვისაც არ ეზარება, თავის თავს მწერალს ეძახის, თუმცა — არც მკითხველი ჰყავს, არც განმკითხველი, არც გადამკითხველი და არც მომკითხველი!

**თამარ ბლიაძე**

* * *

პოეტებს ერთი თვალი მთისკენ უჭირავთ, მაგრამ მე დღემდე ვერ შევაჩვიე თვალი მახათას და ერთხელ ისიც ვთქვი — პროლეტარიატის ბელადებს და, საერთოდ, ისტორიის, ხალხის ჯალათებს (დღეს პოსტამენტებიდან რომ ვყრით), არ იქნება ურიგო, სწორედ, მახათას მთის ხრიოკებში, ღია ცის ქვეშ მოვუწყოთ გამოფენა და დავარქვათ მას: „ქვაში დასჯილი ბოროტების მუზეუმი!"

„ქრონიკა" 19-26.06.06.

## კაცობრიობას დედამიწის დატოვება მოუწევს...

მთვარეზე შუალედური სადგურის მოწყობა იგეგმება მარსზე გასაფრენად. მოკლედ, ვინც პირველი აითვისებს თანამგზავრს, მასზე პირველი ის დააბიჯებს. ამერიკელები მთვარეზე დაფუძნებას 2015 წლისთვის გეგმავენ, 2020 წლისთვის კი სურთ, „წითელ პლანეტამდეც" ჩააღწიონ. რუსები კი ამ ყველაფერს უფრო ადრე გეგმავენ.

P.S. მოკლედ, მართლაც ისეა, როგორც ამბობენ: **Для веселья наша планета плохо оборудовано!**

* * *

**ნუგზარ ჯუღელი, სპორტული კომენტატორი (პარლამენტარ ბესო ჯუღელის ძმა):**

— ამასწინათ ჩემმა ძმამ განაცხადა: კუს ტბაზე დადიან უსაქმურები და თამაშობენ, ერთ-ერთი ასეთი ყველაზე დიდი უსაქმური ჩემი ძმააო. ახლა მინდა დავუპირისპირდე ჩემს ძმას და ვუთხრა: უსაქმურები პარლამენტში მოიკითხოს.

**„თბილისელები", 2000.**

როგორც ერთ-ერთ „თბილისელს" — ჩემის მხრივ, ჩვენი კუსტბელი ძმის პარლამენტარი ძმისთვის მეც მითქვამს ეს:

ბატონო ბესო!
ძველი კუსტბელები ეართ,
ვინ და საით აგორებთ:
ბაყაყების ყიყინი
პარლამენტს არ გაგონებთ?

* * *

**რუსუდან გიგინაშვილი:** „1943 წელს დავიბადე, 9 თვის ასაკში დედა გარდამეცვალა. სულ მალე მამაც მიჰყვა... ისე, რომ ნუთისოფელმა არ ინება ჩემი განებივრება.

აი, როგორ ხატავს ღვთისაგან ადამიანის შექმნის სურათს პოეტი.

*„ხელებში თიხა აიღო, წმინდა და თბილი თიხა. ზილა. ასწორა უფალმა. კოცნა. ლოცა და გრიხა. ყოველ ნერვსა თუ კაპილარს სინათლისაგან ქმნიდა. ქმნიდა და ადამიანმა გამოიბრწყინა ქვიდან. ეს ჩვენ არ ვიცით. თვით ღმერთი. როგორ ჭიმავდა ძარღვებს. ანდა ძვალს დასამაგრებლად როგორ აბამდა ძვალზე. რამდენი შრომა დახარჯა. როგორ ზომა და ხაზა, რა ოფლი ღვარა, აქ არ ჩანს, შექმნა და გაუხარდა. ააშრიალა წალკოტი, გაბრწყინდა ირგვლივ არე. და ჰკიდა გასანათებლად დღისით — მზე, ღამით — მთვარე. მას შემდეგ ბრუნავს სამყარო და დედამიწა ჰყვავის. ღმერთის წინ თავი დავხაროთ და თაყვანი ვცეთ. ამინ!"*

*მკითხველის ექსპრომტი ქალბატონ რუსუდანს!*

ბარაქალა ლექსის ქალო —
მუზაგეტის მეგობარო!
რომ იდინოს ლექსის წყარომ —
იხაროს და გაგვახაროს!

* * *

**ფრიდრიხ ჰოლდერლინი**
**(1770-1843)**

ბიჭი რომ ვიყავი,
უფალი ღმერთი მიცავდა ხოლმე
ადამიანთა ყვირილისგან, ძალადობისგან;
და ტყე-ჭალებში უდარდელად
ყვავილებთან მე ვთამაშობდი,
და სიოც, ზეცით მონაბერი,
თავს იქცევდა ჩემთან თამაშით.

*ფრაიბერგამ ლატვიელი ხალხის სახელით საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა: საქართველო არის გამარჯვების, სიამაყის და სიხარულის ქვეყანა! — განაცხადა ლატვიის პრეზიდენტმა, ვაირა ვიკე ფრაიბერგამ საქართველოს პარლამენტის შენობის წინ გამართულ საზეიმო აღლუმზე.*

***P.S.*** *დიახ, ისტორიულად თბილისს კი „სახლი სიხარულისა" ერქვა (როგორც ორიენტალისტურ ქვეყნებში ეძახდნენ მას).*

*იაპონიაში გამოიგონეს აპარატი, რომელიც გამოიცნობს... ჩვილის ტირილს. სპეციალურ ჩიპში მოთავსებული ახელი ფირფიტა გადასცემს ტალღოვან სიგნალებს პეიჯერის მსგავს ხელსაწყოს, რომელიც შემდგომ მშობლებს „უთარგმნის" ჩვილის ტირილს. სპეციალისტებმა გაზომეს მანძილი ბავშვის წარბების ცენტრიდან ცხვირის წვერამდე. ჩვილის სხვადასხვა მდგომარეობის დროს. გამოკვლევებით დადგინდა.*

* * *

ერთხელ ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, მშობლები რატომ გენატრებათ, ხომ გარდაიცვალნენო?!

P.S. დღეს, სამწუხაროდ, ასეთი ჟურნალისტები ერთეულები აღარ არიან. დღეს, უკვე, მკვდრები კი არა, ცოცხლებიც აღარ ენატრებათ.

სანატრელი დრო დაგვიდგა!

* * *

ცოტა ხნის წინ საოცარი გადაცემა ვნახე მთვარეზე ამერიკელთა გაფრენის შესახებ. ის, რომ იქ მათ ურიცხვი რაოდენობის მფრინავი ობიექტი შენიშნეს, სიახლეს არავისთვის წარმოადგენს. ახალი ის იყო, რომ დედამიწელებისთვის მთვარეზე ყოფნა აუკრძალავთ.

P.S. ერთი ძველი თბილისური „დამწვრის" სიმღერის არ იყოს:

„ახ, მთვარევ-მთვარევ...

დამწვართ იმედოო"...

ეს იმედიც დავკარგეთ?...

„დაიწოს ჩვენი დამწველი"!

* * *

სულმნათმა შოთა რუსთაველმა ბრძანა:

„ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობაო"... რაც სომეხმა ეგრევე იანგარიშა და თქვა „ზნატჩიუტ — ადინადცად ტისიაჩო!"

...მაგრამ კაცის გვარი და სახელი მარტო ბუღალტრულად ხომ არ იანგარიშება.

გვარს ვაფასებთ, სახელს ვადიდებთ. ამიტომაა, რომ სახელი გვარის წინ იწერება. ადამიანი მიდის — სახელი რჩება! აღმოსავლეთში ხომ მთლად ორიენტალისტურ ფანატიზმამდე — ანუ პატივისცემიდან — თაყვანისცემამდეა აყვანილი წინაპრის კულტი! კაცის სახელს, მისი მამა-პაპის სულის ხსენება და სახელი, იმდენ სახელად, დიდებად და „იბნ"-ებად მიჰყვება, რომ დაიბნევი ამ გენეტიკურ ლაბირინთებში... ჩვენ კი, პასპორტებიდან ღვიძლი მამის სახელიც ამოგვიღეს და ალბათ, არც ისე შორსაა დრო, როცა... დაგვნომრავენ?!

მე კი, სულო ცოდვილო, ამ დროს, ფეხი კი ავუწყვე, მაგრამ გული — ვერა! ქართველები ბუნებით გულივერები, კონსერვატორები ვართ და ჩვეულებას რჯულზე უმტკიცესადაც კი ვთვლით!

„რაც არ ექნას მამაშენსა — ნურც შენ დახევ მარმაშებსაო!"

მეც ამ ჭკუაზე ვარ, სწორედ და უფრო მეტიც! როცა ჩემს სახელს მამაჩემის სახელსა და გვარს ვუწერ... რაღაც უკმარისობის გრძნობაც კი მაქვს?! დედამ რა დააშავა?.. კახელისა არ იყოს: მამა შამქმნელია — დედა მშობელი!.. ჩვენ კი ამ ორივეს გენის მატარებელი! ამიტომ, სიამოვნებით ვატარებდი ორივეს გვარსა და ჩემი რაგვარობის ამქვეყნიური მისამართი იქნებოდა: გიზო ნიშნიანიძე-ვარდოსანიძე!

ყოველივე ზემონაფიქრალი გამოიწვია მართლმადიდებლურ ჟურნალ

---

*დღეს კაცის დაფასება დაფინანსებაა.*

*ძნელია, როცა კაცს საქმე გაქვს და კიდევ უფრო ძნელი, როცა არა გაქვს.*

„კარიბჭის" ღვთივნაკარნახებმა წერილმა („ნამდ-ვილი მეცნიერება... ასკეტიზმს მოითხოვს", რომლის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მარ-იამ ჩხარტიშვილი (დედით ნიშნიანიძე).

თუ ჩვენი გლობალიზებული ტექნოლოგიური საუკუნე, როდესმე მოუტრიალდა ადამიანს, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი, ასე ეთქვათ, რაციონალიზატორული წინადადება, თორემ ნაგვ-ლეკა ამ დრომ: ტექნიკა წინ მიდის — ადამიანი უკან!

ახლა კი რამდენიმე პასაჟი ჩემი სიძის — პროფე-სორ სანდრო ჩხარტიშვილისა და ჩემი ბიძაშვილის — პროფესორ ლეილა ნიშნიანიძის უმრწემესი ქალ-იშვილის — მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის კაცისტვინა ასულის, ანუ საქართველოს წილხვდომილი მარიამის წერილიდან ("კარიბჭე" 4-17.XI.2005).

2001 წელს საქართველოს სამოციქულო ეკლესი-ასთან დაარსებული ქრისტიანული კვლევის საერ-თაშორისო ცენტრის პრიორიტეტია — საბჭოთა ათეისტური პროპაგანდის შედეგად ეკლესიასა და მეცნიერებას შორის გაწყვეტილი კავშირის აღდგე-ნა.

„ჭეშმარიტება ერთია. რელიგია და მეცნიერებანი მისი წვდომის სხვადასხვა გზა".

ილია მართალი: „ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტე-სათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღელეთ მკერდი და ამ მკერდზე, როგორც კლდეზე, დავადგ-ით ქრისტიანობას საყდარი, ქვად — ძეგლები ვიხმ-არეთ და კირად — ჩვენი სისხლი".

„ბაგრატიონთა გვარის ქართველი მონარქები თავს ბიბლიურ დავითის შთამომავლებად მიიჩ-ნევდნენ".

„გლობალიზაციის პროცესებით გამოწვეულ მოვლენებს, ჩვენ, კიდევაც რომ მოვინდომოთ, ვერ შევაჩერებთ... მთავარია, ეს ყველაფერი მექანი-კურად არ მივიღოთ, არამედ გადავახარშოთ ჩვენს კულტურაში და ქართული იდენტობის სამსახურში ჩავაყენოთ!

P.S. ღმერთმა გისმინოს, მარიამ!

კეთილი იყოს შენი ფაჩუნი, ჩვენო გენიალურო გენო!

* * *

საუკუნის ფინიშზე!
ცხოვრებამ ცხრაბალიან ღელეაში გაიარა:
ოქტომბრის რევოლუცია...

*რომ სწორედ მიმ-იკას იყენებენ ჩვილები სიტყვებ-ის მაგივრად, ხოლო ტრადიციული ტირ-ილი, რომელიც ახ-ა ლ შ ო ბ ი ლ ს უმთავრეს "ენად" მიიჩნევა, თუმცა ჩვილის "ლექსიკო-ნის" ყველაზე მარ-ტივი სიტყვა ყოფი-ლა.*

*"სობესედნიკი"*

*2007 წლის 22-28.04. "კვირის პალიტრაში", ჩემი უასაკო მეგობრის და კოლეგის, მეც-ნიერი ეკა ლო-მიძის შეკითხვაზე — ვინ იქნება რუსე-თის ახალი პრეზი-დ ე ნ ტ ი ? წინასწარმეტყველმა ლელა კაკულიამ პა-სუხი ნახევრად გამ-ოიცნო — სახელი დაემთხვა, გვარი — არა: "ვლადიმერ... შუმეიკო!"*

*რას იზამ, ზოგ-მა წინასწარ კი არა, ახლაც არ იცის ეს!*

*სოსო სიგუა (პროფესორი):*

*ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ი ფრიდრიხ ნიცშე!*

*იგი ბეცი იყო, წერა უჭირდა და ბოლოს, თითქმის, დაბრმავდა.*

37 წელი...

მეორე მსოფლიო ომი...

„მშვიდობისათვის" ბრძოლა?!..

თბილისის ომი...

ბრმა ტყვია, რომლის გულაც ახლაც ტანში მაქვს (ოპერაციის დროს ვერ იპოვეს)...

ოთხი ნაკერი (ანუ „შუნტი") გულზე (ოპერაცია ჰიტლერის მშობლიურ ქალაქ ლინცში — ავსტრია)...

ამბობენ: დედამიწა რომ გასკდეს, ბზარი მწერლის გულზე გადაივლისო.

მწერალთა კავშირის წევრი არ ვარ, მაგრამ მწერლობის ამ ერთ საბუთს — გაბზარულ გულს, გულის პერანგში, გულით და გულში ვატარებ!

და მაინც, ამ გატეხილ გულზე შემიძლია დავიდო ხელი და ვთქვა: ჩვენი პატარობის დიდი მეგობრის — გალაკტიონისა არ იყოს:

*ამ ცხოვრებას არ ვემდური,*
*არ ყოფილა თითქმის...*
*არ ყოფილზე საყვედური.*
*არასოდეს ითქმის!*

...ჰოდა, თუ იმ განამანიაზე — თვალსა და ხელშუა გაფრენილ დროზე, არ ითქმის საყვედური, ამ სიბერეს რას ვერჩი? პირში სული მიდგას და გულში იმედის კარავი!

თანაც, ხუთვარსკვლავიანი ბაბუა ვარ.

...არა, ჩემო!... ძვირფასო მკითხველო თუ განმკითხველო.

ცხოვრებით გალაღებული კაცი არ გეგონო. მეც იმედით ეცოცხლობ. ღმერთმა დამიფაროს, ბედნიერ კაცად ჩავთვალო თავი... საქართველოს ბედნიერების გარეშე! ჩემი ცხოვრების გასაღები, ანუ სუბსტანცია — იპოსტასია ის ურყევი ნება, რომ საქართველოში ყველას აქვს უფლება იცხოვროს კარგად, მაგრამ არავის აქვს უფლება, იცხოვროს... საქართველოზე კარგად!

სწორედ ამ ჭკუაზე ვარ და იმის ჭკუაც მყოფნის, მივხვდე იმას, რასაც აქამდე ვერც ვხედავდი და ვერც ვხვდებოდი.

თავზე ხელაუღებლად შემიძლია ამ გაბზარულ გულზე დავიდო ხელი და ვთქვა: ამ სიბერეში, ჩემს ირგვლივ, რაღაც საოცრებები ხდება — ერთ ხელის განვდენაზე მანვდის განგება იმას, რაც მინდა, რაც მჭირდება. ნატვრა და შესრულება — ერთია!

ფაქტზე შესწრებულივით,ხანდახან, შემშინებია კიდეც!

ხანდახან მიმიხედ-მომიხედია — ჩემს გულში ვინ იხედება-მეთქი?..

გულთამხილავი კი, მოგეხსენებათ, ვინცაა!

დიდი მეცნიერი ნილს ბორი წერდა: ბუნებაში იმდენ კანონზომიერებებს ვაწყდები, რომ ძალაუნებურად ვფიქრობ — შეუძლებელია აქ „ვიღაცის" ხელი არ ერიოსო!

ჰოდა, ჩვენი ხელისუფალი და უფალიც ის „ვიღაც" უნდა იყოს და ისევ მას უნდა შევევედროთ:

ხმა ვედრების — ხავერდების,
არა ყალბი, რიოში...
მოწვდეს სააქაოსა და
მიწვდეს საიქიოში!..

ჩვენს ნასულებსა და ჩვენს მოსულებს... ორთავ სოფელში!..

* * *

2006 წ. 17 ივნისი. აბანოთუბანი. „არყისფერი" დილის სიფთა.

პრესის ჯიხურში ცხელ-ცხელ გაზეთებს ვათვალიერებ და „ალიას" ვყიდულობ.

ვიღაც, ჩემი ხნის, ავლაბრელი ჯიგარი ფეხზე ძლივს დგას... ეტყობა „პახმელიაზეა" და ალბათ, ხაშის ხოშზე, მაგრამ ჯიბეში გაზეთის ფულიც არ უჭყავის და ცალი თვალი ჩემ ნაყიდ „ალია"-ბალიაზე უჭირავს — რა ხდება ქვეყანაზეო?

„თბილისში ძლიერ მინისძვრას ელიან?!" ვკითხულობ გაზეთის ქუდს.

— ვა, მინასაც ენძრევა, ტო? — შეიცხადა უცნობმა ნაცნობმა და ძველმა თბილისელმა ძველ თბილისელს ერთი თლაშო არაყის ფული მთხოვა.

* * *

...„სამწუხაროდ... ხშირად აქვს ადგილი იდეოლოგიური დატვირთვის მქონე გადაცემებით არატრადიციული ცხოვრების წესის დამკვიდრების მცდელობას".

...„განსაცდელს უფალი უშვებს, რათა როგორც ცალკეული ადამიანი... ერიც გამოცადოს, ვითარცა ცეცხლში გამოწრთობილი ოქრო".

„პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ ჟამი როგორც შრომისა, ისე ლოცვისა, აღსარებისა და ზიარებისა".

...„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება".

...თქვენთვის მლოცველი

ილია II, სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

ქრისტეშობა.

* * *

2006 წლის 12-17.06 „ასავალ-დასავალი" იტყობინება, რომ აშშ-ში „16 მილიონი „დასაბმელი გიჟი" ცხოვრობს".

ჩვენში კი არც „დასაბმელ" და არც „აწყვეტილ" გიჟს თვლა არა აქვს და, ალბათ, მიტომ დუმს სტატისტიკა!

* * *

სისხლის დიდი დეფიციტია.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: საცა გაჭირვებაა — იქაა სიცილიც!.

ღამე ცუდად ეძინა.

„ზარატუსტრას" რომ წერდა, სტკიოდა მუცელი, კბილები, თვალები.

სტანჯავდა თავის ტკივილი, ციებ-ცხელება, ბუასილი, ოფლიანობა და სისხლს ახველებდა.

ტკივილები აწამებდა, მაგრამ მათ დაძლევას ცდილობდა თხზვით, დიონისეს კულტით და ზეკაცის მოლოდინით — იმ ძალის, რაც არ ჰქონდა და ენატრებოდა.

საავადმყოფოში თხის მსგავსად დახტოდა, იატაკზე იძინებდა, თავი ფრიდრიხ-ვილჰელმ IV ეგონა.

„ფეხსაცმელში შარდავს და შარდს სვამს", — წერდა ფსიქიატრი ნიცშეს ავადმყოფობის ისტორიაში.

...გი დე მოპასანი, დარდიმანდი, ქალების გულთამპყრობელი, რომელსაც სიფილისი სჭირდა, რაც გადავიდა პროგრესულ დამბლაში. 43 წლისა საშინელი ტანჯვით მოკვდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (მშობლებისგან მიტოვებული).

ამჯერად სნეულებამ გამოიწვია, როგორც ტა-

ისედაც სისხლგამშრალ თანამშრომლებს მთავარმა მენეჯერმა მოუნოდა, რომ ვისაც რამდენი შეუძლია, იმდენი სისხლი უნდა ჩააბაროს სახელმწიფოს.

— სად მაქვს ჩასაბარებელი სისხლი, — უარი თქვა ერთმა თანამშრომელმა და დააყოლა, — ნეტა, სახლში მისასვლელად მეყოსო.

* * *

„ას-დას." 19-25.06.06.

რუსეთის გონებასუსტ იმპერატორ პავლე პირველს ეკუთვნის ცნობილი „იდეა": რატომ ვღვრით მეფენი ამდენ სისხლს, რატომ ვაუბედურებთ ხალხებს, ამ გაუთავებელ ომსა და დავიდარაბას, არ სჯობს, ხელმწიფენი დავეჭიდოთ ერთმანეთს და ვინც გაიმარჯვებს, სადავო მინებიც იმას დარჩესო?...

P.S. „გონებასუსტი" ეძახე შენ! ზოგიერთ „პეტრეს" ასეთი „პავლე" ურჩევნია ხალხს!

* * *

ელიზბარ ჯაველიძე:
„ას-დას." 19-25.06.06.

ამერიკაში 16 ინსტიტუტი მუშაობს ეროვნულ სახელმწიფოებში მცხოვრები ხალხებისათვის ტვინის გამორეცხვაზე. დღეს კადრების შერჩევა დეგენერაციის პრინციპით ხდება, რადგან დეგენერატი უფრო მალე დაანგრევს ქვეყანას!

* * *

ბავშეობაში ვინ არ წერს ლექსებს?..

სიყვარულის წერას ვინ არ აუტანია?.. სწორედ, მაშინდელია ეს თავზეხელაღებული და გულგაღეღილი „მისტიურ-ფილოსოფიური" სტრიქონები:

„შენ მოდიოდი გზაში, ვით ემანუილ კანტი,

გულმკერდი გასკდებოდა, თავზე გეკეთა ბანტი."

...სიყვარული როცა გთხოვე, შენ პასუხი გეძნელა...

ჩემი ცოდვით „სტოლბა" მოლბაო და... ასე შემდეგ — ზურიკელასი არ იყოს — ათასი ბრტყელ-ბრტყელი, სიყვარულით გამოთაყვანებული, ჭკუაზე შეშლილი გარითმული ბოდვები (ლექსები რომ გვეგონა).

ასე ვაპირებდით ჩვენ პირველი (რომელიც, რატომღაც, იშვიათად იყო ბოლო) სიყვარულის 2 უცნობიანი განტოლების ამოხსნას, მაშინ, როცა ჭეშმარიტი ლექსი ამბობს: „რად მიყვარხარ!.. ბემურაზი ვიყო თუ ვიცოდეო!"... ჩვენ კი (ვისთან რა გვქონდა „საპირფარეშო?) სადარბაზოებში, საზოგადოებრივი საპირფარეშოების კედლებზე, სიყვარულის „საიდუმლოებებს" უმაღლესი მათემატიკის ფორმულებივით ვხსნიდით: ვისვინ უყვარს, ვინ-ვის უდრის, ვის-ვინ მივუმატოთ... რაც, საბოლოოდ, ლურსმული დამწერლობის სრულიად ახალ ჟანრს — თბილისურ საკედლე პოეზიას წარმოადგენდა!

---

*შენი თავი შენ თუ არ მოძებნე – სხვა ვერ გიპოვის.*

*„შიშს დიდი თვალები აქვს", მაგრამ ვერ ხედავს!*

...აგერ, სიბერეში, სწორედ ამ სიყვარულიდან ვერ დავიხსენი თავი, როცა (გალაკტიონის ქვეყანაში) ლექსის წერა გავბედე, რაც საკუთარმა ოჯახმაც შეიცხადა და მაშინდელმა ქართულმა მწერლობამაც, რომლის ზოგიერთმა მესვეურმა, როგორც იტყვიან — სულ უკულმა ჰყარა ქოში: ამ ასაკში, რაღა დროს ლექსის წერააო.

ფელეტონისტია და წეროს ფელეტონები, ვინ უშლისო?

ასე შემხვდნენ ზოგიერთნი „ლექსის მეხანძარენი", რომლებიც, უცბად, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ანუ ე.წ. „პაჟარნი კამანდის" „ბრანდსპოიტებით" მომევლინენ და ცხელ გულზე ცივი წყალი დამასხეს!

* * *

ამასწინათ (2006 წლის შუა მაისში) „კავკასიის" არხზე, ტელეობიექტივმა დღევანდელი გაბოროტებული თბილისის ქუჩების კრიმინოგენულ სიტუაციაზე პრესრინგი მოაწყო, სადაც გადაცემის წამყვანმა, ჩემი კარის მეზობლის — ცინცაძეების უმრწემესმა ქალიშვილმა — მშვენიერმა ელენემ, დიდის ამბით მიმიწვია და ამ „არაქურდულ" გარჩევაში, როგორც ძველი თბილისის „ძველ ბიჭს", ჩემი თაობის აზრის გამოსახატავად სეფე სიტყვაც მომცა.

დღეს ყველაფერი დღევანდელ ქუჩას ბრალდება. ყველა ნაგავს ქუჩაში „ვყრით" და „სამოთხე" სახლებში გვინდა გამოვკეტოთ.

ავდექი და პირდაპირ ვთქვი, რომ ახლა, ხშირად უყვართ თქმა: „ქუჩის დონემდე არ უნდა დაეეშვათო"!

ახლანდელი ქუჩები, მართლაც, ღმერთმა მშვიდობაში მოგვეახმაროს და ჩვენი დროის თბილისის ქუჩამდე კი... კი არ უნდა დავეშვათ — უნდა ავმაღლდეთ-მეთქი!

სახლი — სახლია, სკოლა — სკოლაა... ცხოვრება კი ქუჩაში დადის და მაშინდელი ქუჩაც ჭკუის სასწავლებელი იყო — დამრიგებელი, მომრიგებელი გამშველებელი, შემრიგებელი... და ეს ყველაფერი ერთი ურყევი დაუწერელი კანონის სახით გვმოძღვრავდა, რომ „არავის —არაფერი შეეშალოსო!"

და არა ახლანდელი სლოგანი: „ჩავწვდეთ ამერიკის სულს"! — რომელშიც ვერც სულს ვხედავთ და ვერც გულს. მახლას, ყველამ თავის მამიდას უნდა მოუაროს!..

„რასაცა გასცემ, შენია!".. ვის, როდის და სად გაუგონია დღეს ასეთი ბიზნესი?

„— ღმერთმა შენ მოგცეს, რომ მე მქონდეს!" რა მათქმევინებდა დღეს ამას!.. მაშინ, ის თბილისი რომ არ მენახა!

ლაწყის აღზევება. ისე დაყვება და პიროვნება გაანადგურა. ...აქვე უნდა ვახსენოთ ჩვენი ალექსანდრე ყაზბეგი, რომლის ცხოვრებამაც დამღუპველი აღმოჩნდა „ლექსი — ავი სახნისი".

იგი გვიან, 37 წლის ასაკში, ჩამოყალიბდა მწერლად.

იყო ბეცი და სიფილისით სნეული, ფიცხი და პატივმოყვარე, კლეპტომანი, სიყვარულში ხელმოცარული.

გრიგოლ რობაქიძე შენიშნავს, რომ სიფილისმა, რომელმაც დაიპყრო ტვინის უჯრედები, შესძლებინა „ძალების უმძაფრესი კონცენტრაცია".

ყაზბეგის წიგნები უფრო მეტია, ვიდრე ყაზბეგის პიროვნება: შექმნილი აღმატება შემქმნელს.

მ წ ე რ ლ ი ს ნაწარმოებში ჩასახლდა დემონი და ავტორი დაღუპვის გზით წაიყვანა... გამარჯვებისაკენ, ანუ გმირად აქცია.

ქართველი ყაზბეგი და ფრანგი მოპასანი თანატოლები იყვნენ. მოკვდნენ ერთნაირად — სიფილისით და პროგრესული დამბლით. ერთსა და იმავე 1893 წელს.

თუ ასე არ ფიქრობ... ძალიანაც ცდები,
ტყუილად გამსარჯე და ტყუილად გაისარჯე –
შენი გამარჯვებით მე – არ დავმარცხდები,
ჩემი დამარცხებით შენ – ვერ გაიმარჯვებ!

...ჰოდა, დავბრუნდეთ მინაზე!

იმ მშვენიერ დღეს, იმ მშვენიერმა ელენემ — მშვენიერი საჩუქრით გამომისტუმრა... მის მეგობარს, მხატვარ დოდო თაყაიშვილს, მისთვის გადაუცია ბიძამისის — ქართველ გეოლოგთა ცნობილი ოჯახის შვილის, მე-7 ვაჟთა (ანუ ჩვენი სკოლელი), ვერელი, ვაჟა ნადირაძის წიგნი „ვერის უბნის ქრონიკები" ასეთი სასაჩუქრო წარწერით: „ბ-ნ გიზოს — ფაიზალ ვერელსა და საყვარელ კაცს, დიდი პატივისცემით, 14.05.06".

ასეთ საჩუქარს ჩემთვის, თუ რამე გაესინჯება — კბილი კი არა... გულია!

ჰოდა:

*„თქვენს გულში" ვზივარ და სულ ვწუხდი, ამ ოქროს ხელიდან გაშვებას... ხარკს ვუხდი ყველაზე დიდ მეფეს – მის უდიდესობას, მის უკბილესობას, მის უმიამიტესობას – ბავშვობას!"..*

ეს, „პაემანის" ბოლო სტრიქონებია.

სწორედ, ასეთ დღეში არიან ჩემი დროის სხვა თბილისელებიც, რომლებიც ამ ოქროს წლებს დღემდე ვერ შელევიან და ჩემსავით „ჭკუიდან შეშლილები" წერას აუტანია!

*სხვა ხალხის ისმის დღეს თბილისში*
*„სხვა ჟრიამული",*
*ღმერთმა არა ქნას ძველი ვერის*
*ხმა რომ მიწყდესო,*
*დღეს სურთ მამული ახრამუნონ*
*როგორც ხრამული...*
*სადაც მათი თქვან – იქ ჩვენიც*
*არ დაავიწყდეთო!"*

როგორც ჩანს, იმ დაუვიწყარს დავიწყება არ უწერია. სულმოუთქმელად ვკითხულობ ჩემთვის ამ სულისმოსათქმელ წიგნს, რომლის ავტორს პირადად არც ვიცნობ, მაგრამ, ეს 6 წლით უმცროსი კაცი რომ სადღაც ჩვენს ახლომახლოში ტრიალებდა, ფაქტია და დედამიწის ტრიალში, აფსუს, დღემდე ვერ გადავაწყდი. ახლა კი, სად წამივა — მთელი მისი ბიჭობა — წიგნი, ჩემს ხელთაა! კაი ძველი ძმაკაცივით, აგერ, თეთრი მტრედივით ფრთაფარფატა ფურცელზე შევხვდით ერთმანეთს და ლამის მეორედ დავიბადეთ...

თუ დღისა და ღამის გაბაასება გაგიგიათ, წიგნების გაბაასებას რაღა უდგას წინ!

რა გულით და რა გონებით?..
სიყრმის მზით და ამ ქონებით!..
სახსენებლის გახსენებით –
გოგონების მოგონებით!..

* * *

...ჩემს ხელთაა „ვერის უბნის ქრონიკები" –
ვერის უბნის ჭორები და ჭორიკნები –
„პაემანით" ვერეს ვემასლაათები –
ნეტარების წუთებით და საათებით!

და იშლება ფიქრები, სალერღელი... ხან აქედან დაუბერავს — ხან იქიდან და ვუბერავთ და ვუბერავთ!

პაპამისს კაი ტენორი ჰქონდა და ახლაც ყურში მაქვს მისი „Хризантема" გიტარით რომ აჟრჟოლებდა ტანში მთაწმინდას...

ჩვენი სახლის წინ, ერისტოვების სახლში, გერმანელი კლარების ოჯახი ცხოვრობდა... გოლოვინის პროსპექტზე ცნობილი ფოტოატელიე ჰქონდათო.

თბილისის გერმანელი აფთიაქარებიც გავიხსენოთ — ზემელი, გლეზერი, ეგელი... სელტერის წყალი ვისაც დაულევია... უკვდავების წყალივით ახსოვს.

ჩვენი ფანტაზია ახლა ფანტვაზეა —
სიყრმით მოგატარე მთელი ევრაზია —
თუ არც ჭურში ზიხარ და არც პანტაზეა —
მთელი ევრაზია — აგერ, ვერაზეა!

ევგენი ზემელის აფთიაქს რა დამავიწყებს, „თავისი ხილეულის წყლებით და ტრამვაის გაჩერებაზე კაპიკიანით ნახალისებული ვატმანის ხმის ჩახლეჩამდე ნამოძახილით: Остановка Земель!

— გუშინდელი ამბები აღარ მახსოვს და მაშინდელი, დღევანდელივით, თვალწინ მიდგას! 1941 წელში ბიძამისის — გოგი კვირიკაძის ფრონტზე გაცილებას იხსენებს ვერის ქრონიკების თანაავტორი: მხარზე ნაგანიანი პორტუპეი გადაიკიდა, ჩაგვკოცნა, წავიდა და თან წაიღო ცრემლიო...

მაშინ შენ 7 წლისა იყავი, ჩემო ვაჟა, მე კი 13-ის...

ეზოში ომობანას თამაში სამხედრო წვრთნაში აღარ გვეთვლებოდა და სკოლები „გვაომეს" — ხის თოფებით და სასწავლო ავტომატებით...

ზემელზე თავგადახოტრილი ბიჭების, ნვევამდელების ბატალიონმა ჩამოიარა... არც ფეხსაცმელი ეცვა მისი ზომის, არც ტანსაცმელი, არც ომახიანი სიმღერა გამოსდიოდათ და ჯერ ფეხსაც ვერ უწყობდნენ ერთმანეთს.

მაღალყელიანი დაჯღანული ფეხსაცმელების ამ ბრახაბრუხში უცებ ჩემი ოკრიბელი ბიძაშვილი, სოფლის ყველაზე მაგარი ბიჭი, ვახტანგ ნიშნიანიძე გამეჩითა — ერთი პური მიყიდე და დამანიეო... გავიქეცი — გამოვიქეცი და პურთან ერთად უკანასკნელ სახსოვრად, ბავშვობისდროინდელი ჩემი ყველაზე დიდი ქონება — თევზის ფორმის ალუმინის დასაკეცი ჯაყვა-დანა, სულთან ერთად გავატანე, მაგრამ არა როგორც სუვენირი, არამედ როგორც „მრისხანე" საბრძოლო იარაღი, კბილებამდე შეიარაღებულ „პირსისხლიან ფაშისტებთან" ანგარიშის გასასწორებლად!

აბა, როგორ! დასაბამიდან დედამიწის ზურგზე გამართული 14500 ომიდან ეს ყველაზე საშინელი ომი იყო, რომელმაც, აქედანაც და იქიდანაც, 50 მილიონი ოჯახი დააობლა.

ს ნ ე უ ლ ე ბ ა სიკვდილზე ფიქრით ა ღ ძ რ ა ვ ს შთაგონებას. მაგრამ ფიქრის გარეშეც არღვევს სულს და სხეულს და ესეც იწვევს გრძნობისა და აზრის საბედისწერო განათებას.

40 წლისაც კი ვერ გადასცილდნენ: დანიელ ჭონქაძე, ეგნატე ნინოშვილი, იროდიონ ევდოშვილი, მამია გურიელი, ჭოლა ლომთათიძე, სანდრო ცირეკიძე, მალვა კარმელი, ბასილ მელიქიშვილი, ლადო ასათიანი...

ჭლექი იყო XIX საუკუნის საშინელი, განუკურნელი სენი, რომელიც XX საუკუნემდეც გადმოვიდა.

ტუბერკულოზის ნიშნები გამოაჩნდათ ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძესა და კონსტანტინე გამსახურდიას. პეტერბურგის სუსხსა და ნესტს ვერ გაუძლო მათმა ფილტვებმა.

მწერალი ისე უყურებდა კოხის ჩხირებს, როგორც შთაგონებას.

ეგნატე ნინოშვილი და ჭოლა ლომთათიძე თითქმის ერთ ასაკში დაიღუპნენ. მათ თავისუფლების რწმენა და სნეულების მოძალებამ, ერთი

სიზმარივით მახსოვს!

ახლანდელ გმირთა მოედანზე, ნყნეთიდან თუ კუმისიდან ხურჯინებით, ჩვენთვის რძისა და მაწვნის ჩამომტანი 3000 სახედარი (სამხედრო მობილიზაციით) კავკასიის მთებში, ზარბაზნებისა თუ ქვემეხების სათრევად რომ გაიწვიეს... იდგნენ ვირულ ბედთან შეგუებულები, თავჩაქინდრულები, თითქოს გული უგრძნობდათ რა დღეც ელოდათ.

...კიდევ ერთი ნერტილი, იმ სისხლიანი მრავალნერტილიდან, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის ერთი რუსული საომარი სიმღერა აკაკანებდა: так... так... так... говорит пулеметчик... так...так... так... говорит пулемет!

...თითქოს, მეტის ღირსი არც ვიყავით — გერმანელმა ასებმა ერთადერთი ყუმბარა ჩამოაგდეს თბილისში!

ამას მაშინვე მოჰყვა... სიცილის ბომბის აფეთქება: ვიღაცას უთქვია — ერთი ბომბი ათიათასობით მანეთი ღირსო... ვიღაცას თავი გადაუქნევია — მე ვინ მომცა მაგის იღბალი, ერთი ბომბი ჩემს ეზოშიც ჩამოგდებულიყოო?!

ეს — მოგონილი, ახლა — ნაღდი ამბავი!

თბილისში, სახლმმართველობებთან, შეიქმნა მოსახლეობის ე. ნ. „პ.ჰ.ო"-ს, ანუ „პაერსაწინააღმდეგო" თავდაცვის მოხალისეთა ჯგუფები, რომლებსაც 24 საათის განმავლობაში თვალი ეჭირათ ცისკენ, რომ მტერი არ შემოგვეპარვოდა. ერთხელ მამაჩემი გალეწილი მთვრალი მოვიდა სახლში და ისეთი ძილისპირული ხვრინვა ამოუშვა, რომ ჩვენი ეზოს „ფხიზელმა" დარაჯმა, „მონპასიევით" გალეულმა მკერავმა, დეიდა გოგუცამ ეზოს რწმუნებული კატუშა ბიცოლა (ტუღუში) გააღვიძა — საჰაერო თავდასხმააო!

მაშინ ის „განგაში" სწორი არ გამოდგა, მარა კატუშა ბიცოლას დეიდა გოგუცასთვის (ზედმეტი სიფხიზლისათვის) საყვედური არ უთქვამს, თუმცა, მკაცრად გაუფრთხილებია: თქვენ ცას შეეშვით და ქუჩას მიხედეთო! მოგეხსენებათ — შიშს დიდი თვალები აქვს. „მომპასიევით" გალეულ და ცარიელ ძვალ და ტყავ გოგუცა დეიდას, რომელსაც თვალები დაპრანული და ყურები დაცქვეტილი ჰქონდა, მეორე მსოფლიო ომში, დამატებით, ასი თვალი და ასი ყური ჰქონდა გამოსხმული... ერთხელ, კომენდანტის საათის დამრღვევი ერთი მთვრალი გაუჩერებია ჩვენს ქუჩაზე და... თქვენი საბუთიო!.. კაცს, თურმე, თვალში ეპატარავა ეს კაფანდარა ქალი, გვერდზე, სინათლისკენ გაუხმია — მნახე ერთი აქეთო, შარვალი ჩაუხდია და... ა, ჩემი საბუთიც და საბუთქიცო.

ამის უნახავის მნახველ გოგუცა დეიდას გული ნასვლია და მისთვის მეორე მსოფლიო ომიც ამით „დამთავრებულა" — მორიგეობიდან მოუხსნიათ.

ახლა, ჩემი ამბავიც!

...1941 წლის ზაფხულში ჩვენს სოფლებში: ნაძვა-ციხია-ბობოთმანდიკორში გერმანელებმა პირველი დესანტი გადმოსხეს აბრეშუმის პარაშუტებით, რომლებიდანაც მშვენიერი „ჩერდაკებიანი" ბლუზები იკერებოდა და მის ძებნა-ძებნაში ჩვენც, მთელი დღე, ტყე-ღრეში დავეხეტებოდით. ამ ძებნა-ძებნაში მე პარაშუტის მაგივრად... თვითონ პარა-

---

*პემინგუეი ომის თაობას დაღუპულ თაობას ეძახდა.*
*მე ჩემს თაობას „გენიალურ უთაობას" ვარქმევ.*

*სიმართლის სიტკბო მისი სიმწარეა.*

შუტისტს გადავეყარე და ცაგერის გზა რომ მკითხა, სოფლის ცენტრის — ფრიალოულის გზა მივასწავლე, სადაც ტყიბულის „გამანადგურებელი ბატალიონი" მეგულებოდა.

სტუმართმოყვარე იმერლებმა ასე გასკვანჩეს დაუპატიჟებელი-სტუმარი. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — ბენია ხუციბერიძეს... წითელი დროშის ორდენი, შპიონის — შპიონს — ანუ მე — 13 წლის ბიჭს მედალი „კავკასიის დაცვისათვის", რომელიც „სჯობს გვიან — ვიდრე არასდროს" პრინციპით — ნახევარი საუკუნის შემდეგ გადმომცეს, რასაც ჟურნალისტური 120 თუ 220-აციით ჰქვია — „ჯილდომ მოძებნა გმირი"!!!

ერთ დროს სრულიად მოღლეტილ, შიშველ მკერდზე და გულზეც შემიძლია დავიდო ხელი და ვთქვა, რომ სწორედ ურინმედლობით მომწონდა თავი. მერე კი, კაი „მონიფულობაში" ენერდი:

*ჯილდოების ღეზიციტზე*
*მიმიბრუნდეს როგორ ენა —*
*ყოთოლცეენა დაიწყო და*
*ჩინ-მედლებმაც იწყეს ცვენა!*

...გორგასლის, ღირსების ორდენები, „თბილისის საპატიო მოქალაქის მედალი", ივანე ჯავახიშვილის, დავით სარაჯიშვილის სახელობის ლაურეატის ოქროს მედლები... და მაინც, მათ შორის, მედალს „კავკასიის დაცვისათვის" სხვა ეშხი აქვს, რადგან იგი საქართველოში 13 წლის ბიჭებში, ალბათ, თითზე ჩამოსათვლელად თუ აქვს ვინმეს!

თუმცა, ჩემი სახლიკაცის, შოთა ნიშნიანიძისა არ იყოს: „როცა მედალი დამკიდეს ყელზე... ვიგრძენი როგორ მიჭერდა ყულფი!"

მოკლედ, დღეს ჩინ-მედლებით გატაცებას ლეონიდ ილიჩის სინდრომი ჰქვია... მაშინ კი (მეორე მსოფლიო ომის დროს) თბილისში, ვილაც კაი ტიპი ხელმოუწერლად აცხობდა ასეთ სტრიქონებს:

*„განა არა აქვს ურალს მეტალი, რომ გამოჭედოს შენთვის მედალი,*

*მაგრამ, რადგანაც შენ ხარ დედალი,* ***потому тебе медаль не дали!"***

მერე, მეორე მსოფლიო ომის თემაზე სადოქტორო ნაშრომის დაწერამაც მომინია: „საქართველოს პრესა და რადიომაუწყებლობა 1941-45 წწ.", ფრონტული სატირა, ანუ "Война бумажный генерал и бравый солдат... смех!". რომლებზეც მუშაობის დროს ათას სისხლიან და კურიოზულ ფაქტსაც წავაწყდი.

თურმე, გერმანელებს კავკასიონის მწვერვალებზე სატვირთო მანქანის კვალი უპოვიათ და საგონებელში ჩავარდნილან — ეს რა ტექნიკა ჰქონიათ!!! არადა „გესტაპოსათვის" უცნობი ეს ფაქტი, არაერ-

*მხრივ — ძალებს უორკეცებდა, მეორე მხრივ — სიკვდილს უმზადებდა.*

*ლადო ასათიანის მოვლინებასაც ნაადრევი ქლექი დაეცყდა, რომელმაც პოეტს, ერთი მხრივ სანატრელი სიცოცხლის წყურვილი გაუმძაფრა და სიკვდილის სიახლოვე — სიცოცხლის ჰიმნად უქცია ("დაუკარით", "სახაფლაო"), მეორე მხრივ, ნაადრევად გადაბუგა იგი.*

*ქლექმა იმსხვერპლა ლადო ასათიანი, მაგრამ ამავე ქლექმა, სიცოცხლის ფასად, შეაძლებინა შეუძლებელი.*

*ნევროზები, ქლექი თუ ეპილეფსია, ნარკოტიკები, ტრანკვილიზატორები თუ ალკოჰოლი — გრძნობათა სტიმულატორია, დროებით აატოკებენ აღქმას, ფანტაზიას, ფიქრთა მდინარებას.*

*ძლიერი სულიერი ღელვები და თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება ჰქონდათ რუსოს, გოეთეს, ბაირონს, მოპასანს, ჟორჟ სანდს, ბალზაკს, ბლოკს, ანდრეევს, კაფკას, ჰესეს, თომას მანს, კონსტანტინე გამსახურ-*

თი იმერელი კაცისათვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა — აქაური გლეხობა „გრუზავიკების" გაცვეთილ საბურავებს ძირგავარდნილი წუღამესტების საძირეებად ხმარობდა?!

ერთიც! გერმანიის სადესანტო ძალებს კავკასიაში ასეთი იაღლიშიც მოსვლიათ: ერთი, ზომაზე მეტად მსუქანი ქართველი ტყვესათვის, სპეციალურად დიდი პარაშუტი დაუმზადებიათ, ხოლო — ტარანივით გამხმარი სომხისათვის — მცირე ზომის პარაშუტი, რომლებიც იმ საწყლებს, ამ ვაი-უშველებელსა და წერეიულობაში, არევიათ. მსუქანი ქართველი... სომხის პატარა პარაშუტით შურდულივით გამოქანებულა და ძნეყვა გაუდენია მიწაზე — დიდი პარაშუტით ჰაერში გამოკიდებული პატარა სომეხი კი თურმე „იმერეთის წიავივით" წარწარად უშვებდა დაბლა, სადაც დაუპატიჟებელ სტუმრებს, ანუ დივერსანტებს სათანადო „დივერტისმენტებით", ელოდებოდნენ შინსახკომის თანამშრომლები...

ეს ისე!

ასე კი, ყველა... ქალაქი თუ სოფელი იყო სამკუთხა ჯარისკაცული ბარათების მოლოდინში და შავი მერცხლებისადმი ყელგამოწვდილ ვედრებაში: კარგი ამბავი, ჩიტო, ოქროს ნისკარტიო...

*...„პირველი დაჭრილი თბილისში რომ ჩამოვიდა...*

*მთელი თბილისი ქუჩაში გამოვიდა..."*

*ძლევწივით მოჰქონდა თაბაშირში გაქვავებული ხელი... მერე მომრავლდნენ უთვალოები, უხელოები, უფეხოები, თავგაგლეჯილები... სულიანები, გულიანები, ჯილები!..*

ეჰ, ჩემო ვაჟა, შენი არ იყოს, ის მაშინდელი ჯოჯოხეთი, მერე სამოთხედ გვექცა... ახლა კი...

*რა პქვია ამ უღმერთობას,*
*ღვთისწყრომას და შეჩვევნებას?*
*მაშინდელი გაჭირვებაც —*
*დალხინებად შეჩვევნება!*

...მისდევს და მოსდევს ამბავს-ამბავი, როგორც ოღროს-ჩოღრო, აღმართს —დაღმართი, მიხვეულს-მოხვეული.

„...ერისთავების" სახლში მცხოვრები ფოტოგრაფ ედუარდ კლარის მეუღლე — ქალბატონი კლარი მუსიკის მასწავლებელი ყოფილა, რომელიც, „ვერის უბნის მელოდიების" მედროგე პაელეს ანგელოზივით გოგოებისა არ იყოს, ჩვენი ეზოს ზოგიერთ ნიჭიერ ბავშვებს (ერთი ყური რომ მის კარებზე ჰქონდათ გამობმული) უფასოდ აზიარებდა მუსიკალურ სამყაროს...

უპიანინო ოჯახის ნემსის წვერზე შემნახველი დედაჩემი კი პიანინოიან მეზობლებს ხან რას უკერავდა — ხან რას, რომ მუსიკის გაკვეთილების მათთან მომზადების უფლება მოეცათ. და იყო ერთი „დო-რე-მი-ფა-სოლ-ლა-სი — ხვალ მივდივარ სკოლაში!".. რომლის ჯოჯოხეთური მოთმინება-გამოკოპწიავება არანაირ ჩაცმა-დახურვად არ ღირდა. ჩემი და ჩვენი მეზობლების მუსიკალური ჯვარცმა მანამ გაგრძელდა, სანამ ერთ, მართლაც მშვენიერ დღეს, ქუჩის ბიჭებმა ჩემი ნოტები წყალში (მტკვარში) არ გადაყარეს და მეც „ქუჩის ბიჭად" არ მაქციეს... არადა, მგალობელი მამაჩემისა და მოგიტარე დედაჩემის წყალობით ისეთი მუსიკალური სმენა მქონდა, ნიჭიერთა ათწლედში მისაღებ გამოცდაზე, მაგიდაზე რამდენიც დამიკაკუნეს — იმდენი დავუკაკუნე და ისიც წავიტრაბახე, რომ 37-

---

*შენი თავი სარკეში კი არა – სხვის თვალში უნდა მოგწონდეს.*

იან წლებში კარებზე შინსახკომის კაკუნის რიტმიც მახსოვდა!.. სიყმაწვილის წლებში კი ბიჭები იმაზე ენიძლავდებოდით, მუსიკალური ფილმებიდან ვინ — რამდენ მელოდიას გამოიტანდა... აბა, როგორ!

ახლა კი, ზოგიერთს ჰგონია, გრძელი ვირისა და „პანკიპოის" (კინოს ლენტებით თამაში მოვიგონეთ) გარდა, არაფერი გაგვეგებოდა... ეეე, მაშინ სად იყო ამდენი სათამაშოები, ახლა როა. ჰოდა, ჩვენც რა გვექნა — ვარსკვლავებს ვეთამაშებოდით!.. ამიტომ არის, რომ მაშინდელ ვარსკვლავბიჭუნებს დღეს ვარსკვლავებს უწყვეტენ ციდან და მიწაზე უხსნიან!

...ჩვენი ქუჩის გაფართოება რომ დაიწყეს, პაპაჩემის სახლი ნგრევაში მოჰყვა. ჩვენი ბინის ძველი განჯინიდან კედელში ჩატანებული ძეირფასეულობით სავსე სკივრი გადმოვარდნილა... იხსენებს ვაჟა ნადირაძე და მეც მახსენდება, დეიდაჩემის მეუნაგირე ქმრის, ქუთაისელი ალექსი ყალიჩავას ქონება. ერთხელ, მათ ტახტზე რომ ნამოენექი და თავი დავდე ძველ მუთაქაზე... საიდანაც ნიკოლოზის ასმანეთიანების ხრაშა-ხრუში შემომესმა...

ეჰ, ეშმაკმა იცის, იმ ოქტომბრის რევოლუციით ვინ რა დაკარგა და ვინ რა იპოვა. ამიტომაც იყო ბიძაჩემი, იმ დროს, თურმე, „ჩვენი მინა-წყლის" სადღეგრძელოს კატეგორიულად არ სვამდა: მიწა ჩამოგვართვეს და წყალი შეისხან უკანო!

...ტუპანოზას ბაღი!

ტუპანოზა ვიღა ოხერია?

შენ თვითონა ხარ ოხერი!.. ტუპანოზა იმ ბაღის მებაღეა, რომელიც ჩვენი, ანუ პარმენ ქაჯაიას სკოლის გვერდითაა.

„შენ ხილი იხილე — მებაღეს რას კითხულობო"!

არ იკითხავ და... ტუპანოზას ჯოხი ვისაც არ მოხვედრია, იმან არ იცის სიმწარის გემო!

ლეგენდარული პარმენას ამბებს კი რა მოთვლის!

სკოლა საათივით ჰქონდა აწყობილი, მაგრამ თვითონ საათი კი ვერ ჰქონდა სკოლასავით გამართული — ხან წინ გარბოდა — ხან უკან და სულ იმის ქოქვაში იყო.

არადა, გიჟდებოდა წესრიგზე.

მახსოვს, არდადეგების შემდეგ სკოლა ახალგარემონტებული დაგვახვედრა და გულივერივით დადიოდა კლასიდან კლასში.

ერთ კლასში, ერთი ასეთი კლასიკური სურათი დახვდა: ახალნანვიმარზე „კალოშებით" მოსულმა, ეშმაკის ფეხის მკვნეტელმა ფიფომ (სახელგანთქმული ქირურგის — ეგნატე ფიფიას შვილმა და შემდგომში, თავადაც, არანაკლებ სახელგასულმა პროფესორმა ვახტანგ ფიფიამ), მერხი-მერხზე დაადგა, ზედ აძვრა და ეს ტალახიანი „კალოშები"

დიას...

თავი მოიკლეს ჟერარ დე ნერვალმა, ჯეკ ლონდონმა, სტეფან ცვაიგმა, ვირჯინია ვულფმა, ტოლერმა, ჰაზენკლევერმა, ესენინმა, მაიაკოვსკიმ, ცვეტაევამ, ფადეევმა, ჰემინგუეიმ, გალაკტიონ ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა...

თვითმკვლელობა სდევდათ ჰაინრიხ და თომას მანებს.

შიზოფრენიკები იყვნენ ტორკვატო ტასო, ჯონათან სვიფტი, ჰოლდერლინი, ლენაუ, ბოდლერი, მოპასანი, თრაქლი, ალექსანდრე ყაზბეგი, ტერენტი გრანელი...

ეპილეპტიკები იყვნენ პეტრარკა, მოლიერი, მილერი, ფლობერი, დოსტოევსკი...

განდიდების მანია ჰქონდათ დანტეს, ბალზაკს, გოგოლს, უიტმენს...

ფიზიკურად თუ ფსიქო-ნერვულად ხნეული ადამიანი განსხვავებულად რეაგირებს ხმაზე, ფერზე, შუქზე, სითბოს და სიცივეზე: ეცვლება მოძრაობა, ფიქრი, აზრი, განწყობილება, მეტყველების ტონი, ასოციაციური კავშირები, რაც უცნაურად ეჩვენებათ

თეთრად გაქათქათებულ კედელზე გადაატარა... ქაჯების ამ ნახელავის თუ ნაფეხურის დამნახველ ქაჯაიას, როგორც იტყვიან, პირკატა ეცა და დღემდე დაუეინყარი ფრაზა იღრიალა: ვინ იარა ჭერზე... ფეხებით?!...

ტუპანოზას ჯოხის სიმნარის სიტკბო კი მის ბაღში „ნაკულაკების მოსაპარად გადაპარულებს (ნაკულაკები აკაციის ნაყოფია, ხილის მაგივრობას რომ გვინევდა), დღესაც კარგად გვახსოვს.

ამ სიმნრის სიტკბოებაა ეს სტრიქონებიც!

*ვერაზე – ვერელი... ერთი ხეღვის არის!*
*ვერაზე ქაღრებიც ჩვენი ბედის არის...*
*ყველა აკაცია – ჩვენი ძმაკაცია,*
*ვინ და რა კაცია... ერთი ღედის არის!*

...პინკ-პონკივით ვეთამაშები ამ წიგნს. ამბავი-ამბავს მოსდევს და ვართ ერთი „გამიშვი და გაგიშვებში" — ხან ის მიგდებს „სატოპკეს", ხან ვილაც „სხვა" ჩემიან-შენიანი...

„ომის დროს, იმ გაგანია შიმშილობაში, ერთ დროს პასკევიჩის, მერე ერევნის, მერე ბერიას, მერე თავისუფლების მოედანთან ე. ნ. „ასობტორგის" ერთი მაღაზია გახსნეს, ჩიტის რძეც კი იყიდებოდა, თუმც, შენც კაი ჩიტი და მაყუთიანი უნდა ყოფილიყავი, რომ იქ შეეშვით... ამიტომაც იყო — „ასობტორგს" — „უსუნტორგი", რომ დაარქვეს (როგორც შენ ნერ, ჩემო ვაჟა). მე კი ამ მაღაზიამ პირველი რითმა მაჩუქა: „მაღაზია რაღაზეა" თუ შიგ ცხვირს ვერ შეყოფ-მეთქი"!

ამ მაღაზიასთან ერთად ერთი ტკბილ-მნარე მოგონებაც მაქვს. ლანირაკ ბიჭს, დირექტორის მოადგილემ, ჩემზე ცოტა უფროსმა კაცმა — ოთარ გოგიბერიძემ ერთი ბუხანკა თეთრი პური მაჩუქა და მე ის ფუმფულა „პური, ჩვენი არსობისა" კი არა, თარსობისა... მშიერი თბილისის ნერნყვით ღრჩობის ვითარებაში, ზემელამდე, საკუთარ სახლამდე მივიტანე?! მაშინ, ეს, „გოლოვინსკზე" შიშველ ვენერა მილოსელთან გავლის რისკის ტოლფასი იყო და დედაჩემმა კიდეც შეიცხადა — საიდან ესო? ვინ მოგცა და რატომ მოგცაო?

ახლა ტანკი რომ შეაგრიალო სახლში, არავინ იკითხავს — საიდანო?

...„ახალგაზრდობაში პურის მცხობელის, შემდეგ კი მძვინვარე ესპანელი რევოლუციონერის" — ხოსე დიასის მზეზე მოლაპლაპე სასულე ორკესტრიანი, ექვსცხენიანი ლაფეტით დასაფლავება რაღამ გაგახსენა, ჩემო ვაჟა, — ლენინის პორტრეტით, სპილენძის ნვეტიანი ბუნიკითა და ოქროსფოჩებიანი ნითელი დროშით რომ მოასვენებდნენ სასტუმრო „თბილისიდან", საიდანაც თვითონ გადმოხტა თუ სხვებიც ნაეხმარენ, ეშმაკმა იცის.

„გვირგვინებს სკრუპულოზურად ვითვლიდით და ამით ვანგარიშობდით მიცვალებულის ამქვეყნიურ ღირებულებას... უკვე არაამქვეყნიურ სიმშვიდეს, რომელშიაც გვსურდა, ამოგვეკითხა სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოო" — ნერ შენ.

---

*იცით თუ არა, რომ...*

*2000 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-ჯერსის შტატში, პოვარდ სპოდექის ავტორობით გამოცემულ მსოფლიო ისტორიის, თავში: „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიები", 326-ე გვერდზე მოთავსებულ რუკაზე საქართველო საერთოდ არ არის აღნიშნული და მის მაგივრად მითითებულია სომხეთი?!*

***გაზ. „ვერსია" 24-30 მარტი, 2003.***

*„და ჯვარი აქაურობას“, — ვწერ მე, — „როცა კვდებოდა კაცი... რჯულ-ჯილაგ-სადაურობას ვატყობდით არა ჩაცმით... არამედ იმით — საით გაუხვევდა სამგლოვიარო პროცესია: ვერის, კუკიის, პეტრე-პავლეს, ხოჯევანქის თუ სხვა სასაფლაო-საგოდებელზე.*

*ქალაქი იხდიდა ქუდს;*
*ქალაქი ისრიდა ქედს;*
*წუთიერ პატივის წუთს...*
*ღიმილით უხდიდა ბედს!*

...სიყვარულს, ალბათ, ხსოვნაზე უკეთესი საზომი არ აქვს. მაშინდელი მერცხლებიც კი არ დაგვივიწყნია „ბიჭო სესე“ — ვაჟა, ბატონო! „წელს რაღაც ძალიან ადრე წავიდნენ მერცხლებიო“, წერ.

შენი არ იყოს, მეც ჩემი შაშვების დარდი მაქვს, ჩვენს ეზოში გაბარჯღული ჩემი (მგონი დრუიდული) ჰოროსკოპის ხეზე — აკაკის ხეზე ტაისა სავასავით — მხატვრული სტვენით რომ იცოდნენ საგაზაფხულო „ფუგების“ შესრულება...

მეც კაი ჩიტი ვარ! ისე შევეჩვიე ამ „შავ სმოკინგებში“ გამოწყობილ ფრთოსნებს, რომ ლამის მათი ფრთისა და ჩემი ფართის უფლებით მყავდა ისინი ჩემს პრივატიზირებულ ბინაში ჩაწერილი და ერთი სული მქონდა, სანამ ისინი გამოჩნდებოდნენ. „გამიგია, მერცხლები ყველგან და ყველასთან არ იკეთებენ ბუდეს. კაცი კაცს გააჩნიაო“ — წერ შენ.

შენ ძველს იხსენებ — მე ახალი მაფიქრებს — საერთოდ, სად არიან მერცხლები? რატომ აღარ მოფრინავენ? ნუთუ, მათი საყოფი სითბოც აღარ დაგვრჩა...

ან ორნითოლოგები რას იტყვიან ამაზე?

მერცხლებზე მარტო სიმღერაღა დაგვრჩა — „გაფრინდი, შავო მერცხალო!“... მარტო სიმღერა თუ ეყოფა — „მოფრინდი, შავო მერცხალოსაც“ დავაგუგუნებთ.

გოგებაშვილის „საგანძურშიც“ ჩავიხედე.

ლამის ჩიტუნების გულშიც ჩაუხედია!

„ფრინველები, ნასვლის წინ, მოგროვებას გუნდ-გუნდად იწყებენ... მერცხლები ერთად იკრიბებიან. ნასვლის წინა ღამეს კი... დედალ-მამალი თავის ბუდესთან მიდის... და კარგა ხანს ჭიკჭიკებს, თითქოს თავის ბუდეს ესალმებაო. საღამოს ისევ ერთად გროვდებიან, საყდრებსა და კოშკებს გუნდ-გუნდად გარს უვლიან, მერე სოფლის გარშემო ტრიალებენ, თითქოს სამშობლოს ეთხოვებიანო. ...უკანასკნელ ღამეს ჭაობის ჩალებსა და ლერწმებში ათევენ და ინათებს თუ არა, გუნდი შორ გზას გაუდგება. არნივთან, ალალთან, ბუსთან, ჭოტთან, ყვავ-კაჭკაჭ-კირკიტასთან ერთად კი რჩება უმნეო ბეღურაც და მას ახლა უკვე ჩემი ლამაზი ძმა და ყვავი-ჩხიკვისა

*გარშემო მყოფთ.*

*შეცვლილი ან არასწორი შეგრძნებები გადადის აღქმასა და წარმოსახვაში, რაც ხდება ორიგინალური ხედვისა და ხატვის საფუძველი.*

*...რაც მორეულ თუ ახლო წარსულში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ახლა იგი მხოლოდ დარღვეული და გახლეჩილი ფსიქიკის თვისებაა.*

*მაგ., ინდიელები, ქარიშხალი რომ შეეშინებინათ, მუშტებით, ხმლითა და მშვილდ-ისრით ებრძოდნენ: ავსტრალიური ტომები, წვიმა რომ მოეყვანათ, სხეულს იხჭრავდნენ და სისხლს — იღვრიდნენ.*

*ზოგჯერ, შუა საუკუნეების ევროპაში, თუ კაცი დაიჭრებოდა, ან მისი ცხენი დამავდებოდა, მკურნალობდნენ არა ჭრილობას, არამედ იმ იარაღს ან საგანს, რომელიც იყო ზიანის მომყენი!.. მექსიკური ტომები, მზე რომ არ გაჩერებულიყო, ზუსტად მზათობს ადამიანის გულს სწირავდნენ!*

*სიტყვა — ეს იგივე ფსიქიკის კოდური ნიშანია, — აზრი — ამ მისცოდის გაცნობიერე-*

თუ ჩიტი-გვრიტის მეგობარი მამფი, ანუ ოთარ მამფორია უჭირისუფლებს:

„რად ურჩევნია ამ პატარა ჩიტს —
სხვაგან — გაზაფხულს, ჩვენთან — სიკვდილი!"

...ბატონი ვაჟა, ახლა, „ფიქრის გორაზე" სიცოცხლით სავსე ერთ პატარა თბილისურ ეზოში გვეპატიჟება, ჩემი არ იყოს, ისიც ვერ ეგუება ლამის ფიგურალურად ქცეულ გამოთქმას „იტალიური ეზო" და მისი აზრით (ჩემი აზრითაც), თბილისურ ეზოს ანალოგი არ აქვს — არც გარეგნობით და არც ხასიათით.

„ის ეზო ფიქრის გორაზე, თბილისის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ეზო იყო, ისეთი — ყველამ ყველაზე ყველაფერი რომ იცის. ვის უჭირს, ვის ულხინს, ვის რა სადილი აქვს, ვის მიეწვა კატლეტი ტაფაზე, ვის გადმოუვიდა ლობიო ქოთნიდან..."

რიყის ქვით მოკირწყლულ პატარა ეზოში, რომლის ცენტრში წყლის ონკანი მოშხუოდა, ქორწილებისა და ლხინის ცეცხლის გამჩაღებელი ბაიანისტ-აკორდეონისტი სერგუა ცხოვრობდა, რომელსაც, როცა „უქეიფოდ" რჩებოდა, ეზოში გამოჰქონდა თავის პერლამუტრისღილებიანი გარმონი და მკლავის სიგრძეზე ჭიმავდა ძველ თბილისურ სიმღერებს.

...ახლა, ტექნიკურმა პროგრესმა... რა რეგრესი მოიტანა! ტყუილად კი არ ამბობდა ერთ დროს ბაქოს ნავთობის კონცესიონერი დეეისი, რომ კაპიტალიზმის ხელში ტექნიკა — იგივეა, რაც გიჟის ხელში... დანაო!

ერთ დღეს, როცა სერგუა თავის ძველ სიმღერებს თავისთვის ეშხიანად მღეროდა და აბიბინებდა, ეზოს ბიჭებმა ახალშეძენილი მაგნიტოფონის მიკროფონი მეორე სართულიდან ჩაუშვეს და სერგუაც თავისი რეპერტუარით ტექნიკურად „ჩაუშვეს" — მთელი ქუჩის გასაგონად გაისმა მისი შულავერული თუ ავლაბრული შალახოები, სიმღერა „ფანჯარაში მტრედია — ნეტა ვისი ბედია" და... იმ მტრედის ბედთან ერთად თავისი ბედიც ანყეელინეს კაცს...

— ეს ოვა, ტო? — თვალები შუბლზე აუვიდათ უბნის ბიჭებს.

...ყველა შედარება მოიკოჭლებსო, ნათქვამია, მაგრამ, რა ეტყობა ამ ამბავს კოჭლობის, რომელიც ახლა შენმა მონაყოლმა გამახსენა!

სამი ძმა ნიშნიანიძე ცხოვრობდა თბილისის ერთ ცენტრალურ სამკუთხედში: გაბაშვილზე — აკაკი, ზემელზე — მოსკოვის 2 ნომერში — დომენტი, 6-ში მარტიონი... ეს უკანასკნელი ყველაზე უმცროსი იყო. 8 ცოლი ჰყავდა გამოცვლილი და 3 უმაღლესი. განსაკუთრებული რიდი მაინც უფროსი ძმის — აკაკისადმი იგრძნობოდა და უბატონოდ სიტყვას როგორ აკადრებდნენ. მაგრამ აი, ერთ, არც ისე მშვენიერ დღეს, მექალთანე მარტიონ ბიძიამ მისი უფროსი ძმა (ჩვენში დარჩეს პრინციპით) ქალების ამბავში იქეთ ამხილა და ჩვენ (ჩუმად) ახალშეძენილ მაგნიტოფონზე ჩავიწერეთ ყველაფერი, მერე კი „ქრთამი" მოვთხოვეთ ამ კონფიდენციალური საუბრის „ჩვენში დარჩენისათვის", რაზედაც მარტიონ ბიძიამ უდარდელად ჩაიქნია ხელი — თქვენ აბდალებს, ვინ რას დაგიჯერებთ, მოწმე არ გყავთო!

რაიო, რაიო? მოწმე არ გყავთო? ა, ბატონო მოწმეო და მაგნიტოფონი ჩავრთეთ?!... ჩავრთეთ, მარა რა ჩავრთეთ! „ჩვენში დარჩესო" კი არა,

---

*ბლიც-ინტერვიუ გიზო ნიშნიანიძესთან:*
*– რა გჭირს ქართველებს?*
*– ერთმანეთის ჯინაზე კარგად ყოფნის უბედურება!*

***„თბილისელები", 6-12.IX.04.***

მთელი ქუჩის გასაგონად უმცროსი ძმა უფროს ძმაზე ისეთ ამბებს ჰყვებოდა, რომ ყურში არ იყო შესაშვები!

მარტიონ ბიძიას სახეზე ყველანაირი ფერი მოუვიდ-წაუვიდა: წითელი-ყვითელი-ნაცრისფერი-მწვანე... შპიონები თუ იყავით, ვერ მითხარითო, მისი ჭკუით, ყველაზე დიდი შეურაცხყოფა მოგვაყენა და ამ ჩანაწერის განადგურებისათვის, ქრთამად, საკმაოდ სოლიდური თანხა დააძრო ჯიბიდან — „გემოში" გემოზე სამაღარიჩოდ, რადგან შინსახკომის „გემო" კარგად იცოდა ამ ოჯახმა. მისმა შვილმა, ირაკლი ნიშნიანიძემ, თავის მეგობრებთან — 3 ერელ ირაკლისთან (მათ შორის, დღეს უკვე გამოჩენილ პედიატრ ირაკლი ციციშვილთან ერთად) „4 ირაკლის პარტია" შექმნა უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად და კარგა ხანს ახეხინეს ციხის კედლები, ბოლოს კი „შტრაფნოი" ბატალიონში გაუშვეს მესამე რაიხის ურდოებთან საბრძოლველად და იქიდან არც დაბრუნებულა.

...მოკლედ: მიდი-მოედივარ, საითაც მომიქნევს ფიქრის ტალღა — გზაც იქეთ მქონია.

...„საპარიკმახეროში კლიენტების ჭაჭანება არ იყო. პარიკმახერები გრიშა და არტუშა დროის მოსაკლავად ერთმანეთს პარსავდნენ"... სუფთა „საპირფარეშო" თბილისური დილა-იდილიაა.

რადიოში კომუნიზმის სამოთხეზეა ლაპარაკი, რაც კლასიკური მუსიკისა და კონცერტის დასასრულ დიქტორის სიტყვებით მთავრდება: „თქვენ მოისმინეთ ამადეუს მოცარტის „ღამის სერენადა"...

„ბარეე მოცარტჯან! — წამოიძახა არტუშამ... ჯიგარი ხარ, ამადეუს, — დააყოლა გრიშამ... ხამლამა ხარ, მარილმოყრილი"...

ჩვენც გვყავდა ჩვენი არტუშა, მეეზოვე ტონო, სევილიელი კი არა, თბილისელი დალაქი ფიჩხულა...

...დიდი არტუშა პატარა არტუშას თავისი ჭკუით ჭკუას ასწავლის:

— არტუშჯან, ძია რო კამფეტი მოგცემს, რა უნდა უთხრა?

— კიდე მაიტა, რა! — უპასუხებს პატარა არტუშა და მიიღებს კიდეც... ყბაში!

— პაპაჯან, ქართულის მასწავლებელმა „დედა ენის" ფული!

— დედა ენა დედაშენის პირშია... რასაც გეტყვის... დაუჯერე, — ფულს არა... მარა ჭკუას არიგებს არტუშა.

...ასე და ამრიგად, იმ თანრიგ-განრიგად... საცა შენი თქვა — იქაც ჩემი!

„თბილისური ზაფხულის ერთი ჩვეულებრივი დღე იყო..." წერ შენ, ჩემო ვაჟა... მე კი მგონია: ჩვენ დროში, ერთი ჩვეულებრივი დღე თბილისში არ არსებობ-

ბა.

ადამიანის ბუნებაში არსებობენ ფარული — ხარებ·ვრივ ფიზიკური და ფსიქიკური ძალები, რომლებიც ამოქმედდებიან უკიდურესი განსაცდელის დადგომის ჟამს, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ან ძლიერი გამღიზიანებლების ფაქტორით.

ადამიანი იყენებს ტვინის უჯრედების მხოლოდ ერთ პროცენტს (მერე — მთვარეული სომნამბულურ ძილში კედლებზე გადის, მაგრამ რომ გაეღვიძოს — ჩამოვარდება).

ხელის არქაიკა გარდაიქმნება ხელოვნებად.

„მწერლის გაზეთი", 2005. N 14.

ვახტანგ ხარჩილავა:

კოცნა იზოლაციის თვალში ცოტა მერკანტილი, ცოტა ექსცენტრული (ანუ ცოტა დაცენტრილი), ცოტა დამთხვეული, ცოტა ლოთიბერის და დემონიურის. მოკლედ რომ ვთქვათ, ერიად არასერიოზული არსების პროდუქტი იყო.

კოცნები იყენებ

და. ყველა დღე დღესასწაული იყო!

ჩემმა მზემ, შენმა მზემ! მაინც, სად იყო ამდენი მზე და მზეთუნახავი!

და ბოლოს, ჩემი არ იყოს, შენც აუტანიხარ წერას, ჩემო ვაჟა ნადირაძე და ლექსითაც მოგინადირებია ვერელების გული.

ნაცრისფერი წვიმა ცრის, გაილუმპა ქალაქი,
აქ-მენაღე ღიღინებს, იქ — ბიჭს კრიჭავს დალაქი,
და იმ ერთი ქოლგის ქვეშ ბიჭი გოგონას კოცნის,
გოგო თექვსმეტის არის, ბიჭი, იქნება ოცის!

„ჯიმიკიას ჯინაზე" კი, ვახო ცხადაძისადმი მიძღვნილ ლექსში, ამ ცხოვრების უთავბოლობით სახტად დარჩენილი ვერელი კაცი (გაკვირვების ნიშნად — დანიელი პრინცის „ყოფნა-არყოფნასავით") ამბობს:

„ვერ მივმხვდარვარ, რასა ჰგავს — ქვეყანაზე სასწაული:
სწავლით ვინც იკლავდა თავს — ძლივს უდგია პირში სული"...
თვალ-ხელ შუა, მონამეა,
აქ-მინა და იქ-ცა...
ფულს — ხელის ჭუჭს ვეძახდით და
სულის ჭუჭყად იქცა!

ლექსს-ლექსითაც ავუბი მხარი და დაუსწრებლადაც ამდენი ვუჭუკჭუკეთ.

არადა, არც ვიცნობთ ერთმანეთს?!

დამიჯერებთ?

ვერელები გაცნობის გარეშეც ვიცნობთ ერთმანეთს არა, რო?..

* * *

**დალილა ბედიანიძე:**

გიზო ჭელიძე „მითოსურ პარალელებშიც" იმეორებს სენსაციურ ცნობას, რომ ბერძნულ მითოსზე დაყრდნობით, პრომეთეც კოლხია და მისი ბიძაშვილი ზევსიც. ისევე, როგორც აიეტი და ამირანი.

**„ლ.ს." 2006. 16.06.**

* * *

ვის რა ემეტება სიყვარულისთვის:
ვან გოგმა ყური მოიჭრა და სატრფოს გაუგზავნა.

* * *

მერნყული — თუ მერნყული ოდესმე გამდიდრდება, ეს მისი გენიალური იდეის გამო მოხდება და არა მისი შრომისმოყვარეობის. კიდევ, შეიძლება, მეგობრებმა წილი დაუთმონ მომგებიანი ბიზნესიდან. კარგი იქნება, თუ მერნყული შრომისმოყვარეობას, მიზანსწრაფვას, ორგანიზებულობასა და მოთმინებას ისწავლის, ეს შტრიხები მას ნამდვილ გამარჯვებებს მოუტანს. საერთოდ, მერნყული ფიზიკურ შრომას, გონებრივს ამჯობინებს და მართალიც არის, რადგან მისი აზრები და იდეები, საერთო კაცობრიობის აზროვნებას, დაახლოებით ორმოცდაათი წლით წინ უსწრებს.

---

*მიმა მესხის საფლავიდან მოპარული ბრინჯაოს ბიუსტი ჯართში ჩააბარეს („ქრონიკა" 2003, 14-20.04.).*

*„წრფელი გულის, ღმერთის და ადამიანის შეხვედრის ადგილი — ტაძარია".*

* * *

**მანანა დანგაძე:**

გულს მაწვება დარდებად და იარად,
ისევ ისე იმ ძველ თბილისს ენატრობ,
როცა მთლიან საქართველოს კი არა,
ყვავილების მიწას პყიდდნენ მარგო.

„ლიტ.საქ." 14.07.06.

P.S.

იყიდება საქართველო, დაია...
და ქარს მიაქეს ნამუსის დარაია –
მზე, მთვარე და მიწა... ეის რას უკეთებს –
რას ვყიდით და რას ვყიდულობთ უკეთესს?

* * *

არიან ადამიანები, ვისთვისაც ღირს ამ ქვეყანაზე მოსვლა. არიან ადამიანები, ვისთვისაც ღირს ამ ქვეყნიდან ნასვლა. სად უფრო მეტია — სააქაოში თუ საიქიოში, საკითხავიც არაა.

...არიან ადამიანები, რომლებიც სულ გენატრებიან, მაშინაც კი, როცა მათთანა ხარ. როგორც ერთმა ბავშემა ბავშეური გენიალურობით უთხრა დედას: როცა შენთან ვარ... მაშინაც მენატრებიო!!!

სიყვარულის ახსნაც ამას ჰქვია.

თუმცა, სიყვარულის ბოლომდე ახსნისაც მეშინია. ასე მგონია — სიყვარული აუხსნელია და ახსნის შემდეგ... შარშანდელი თოვლივით დნება.

ბავშეობიდან თამაშითაც ვსნავლობთ სიყვარულს: ვისი სული გსურს?

ამჯერად, მხოლოდ ერთს გაგიმხელთ!

ლალი კობახიძე!

...არა, აქ სულ სხვა სიყვარულზეა ლაპარაკი.

ერთი სავსე, მთვარესავით სავსე, კალმახივით გოგო იყო, ისეთი, რომლის ეშხს ჩემი კალამი აღარ სჭირდება — აპრილივით ასკდებოდა კვირტები! ხან თვალით მომენონა, ხან გულით და ბოლო-ბოლო ამ უკანასკნელმა გადანონა... თუმცა, მანამ, ათას ფათერაკებს გადავურჩით. ერთხანს დაქალობას და ძმაკაცურად გადაკოცნასაც ვერ მიბედავდა (ჩემს ამღვრეულ თვალებს უფრთხოდა)...

ერთ ზაფხულს სახლში ვენვიე. სიხარულით ცას ენია, მაგრამ... კარები მომიჯახუნა — მარტო ვარო. მეც ეს მინდოდა... შეიძლება იმასაც... მაგრამ მეგობრობა ვარჩიეთ.

მამამისი სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იყო მეცხოველეობის დარგში... ზაფხულში ყიზლარში ცხვრის გადასარეკად რომ ნავიდოდა — ლალი ამხანაგებს მიგვერეკებოდა სახლში და მის, ბეკერის საკონცერტო როიალზე იყო ერთი მუსი-

*იმპერატორები, მეფეები, მხედართმთავრები, პოლიტიკოსები და ა. შ.*

*ქართულ სინამდვილეში: დავით აღმაშენებელი პოეტი იყო; თქვენ წარმოიდგინეთ, მეჭურჭლეთუხუცესი მისი რუსთაველიც პოეტი იყო; არჩილი, თეიმურაზი, ვახტანგ მეექვსე — ჯერ პოეტები იყვნენ და, მეთავსეობით, მეფეებადაც მუშაობდნენ, რომ არაფერი ვთქვათ. მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე გენერლების მთელ პლეადაზე, ალექსანდრე ჭავჭავაძით და გრიგოლ ორბელიანით დაწყებული...*

*საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძეც პოეტი იყო...*

*ახლა აქეთ რომ გადმოვიდეთ, მეოცე საუკუნეში, პოეტი გახლდათ, ბატონო, დიდი სტალინი და, სხვათა შორის, ძალიან ნიჭიერი პოეტი.*

*საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია პოეტი იყო...*

*მერაბ კოსტავაც პოეტი იყო, საინტერესო პოეტი.*

*მთლად პოეტობამდე ვერ გაქაჩა, მაგრამ ედუარდ შე-*

კალური დოღი — „ჩემო ჩიტუნიადან" დანყებული — რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტამდე!.. ასე იყო, თუ მეხსიერებას ვენდობი... ან კი უკეთესს რას ვენდო! ეჰ, ლალი, ლალი. ვოროშილოვის ცხენიეით — ნეიეი დოლბანდით ჰქონდა შეხვეული და ლამაზი თავი ლამაზად ეჭირა ბისკვიტივით სხეულზე.

მოკლედ, აშკარად გადარჩა ბევრის ავხორც მზერას და ბევრთან გადაარჩინა მეგობრობა.

...ისე კი, თავისი სიკეთე არც თვითონ დაუთელია და არც მე დავუთელი.

ასეთი კეთილი ადამიანები ხელიდან გასაშვები არ არიან. მათ გვერდს ვერ აუვლი.

თავის დროზე, მე მივიყვანე ის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში, რომლის სული და გული დღემდე ლალი კობახიძეა!

ჩვენ დროს ადამიანების დაპირისპირების ყველაზე საშინელი ფინალი იყო, ერთი შეხედვით, თითქოს უწყინარი ფრაზა: შენ — შენთვის და მე — ჩემთვისო! (თუმცა, ახლა კიდევ უფრო უარესადაა საქმე: შენც ჩემთვის და მეც ჩემთვისო!) ვაი, ჩვენს ტვინს!

დროს თავისი მოაქვს — დროს თავისი მიაქვს. ჩვენი გზებიც გაიყარა და ძველმა ამბებმა — აბებივით, ჩვენი ჭირიც ნაილო, — ჩვენი ლხინიც.

საუკუნეა, არ მინახია.

ამ ფიქრში ვარ და... გინდ დაიჯერეთ, გინდა არა... ტელეფონის ზარმა შემზარავად გაიზრიალა.

ატირებული ქალის ხმა შემომესმა და ხმაზევე ვიცანი.

— რა იყო, ლალი?

— როგორ მიცანი?

— შენ ხმას რა დამავიწყებს... ხომ მშვიდობაა!

— თუ ამას მშვიდობა ჰქვია?.. მენატრები...

— მეც...

— კარგად იყავი, — თქვა და დამიკიდა ყურმილი?!..

სახტად დავრჩი: როგორ ვიყო კარგად?..

დღეს კარგად ვარო, კაცი რომ იტყვის, ის კაცი ვერ უნდა იყოს მთლად კარგად.

დღეს 17 ივლისია (2006 წ.)

„მზე იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში".

სხვა არაფერი.

სულ ეს იყო.

* * *

ტოლაანთ სოფლის მასწავლებელო —
წუთსოფლის ჭკუის სასწავლებელო —
ტოლ-სწორ, სწორ-ფერო ვაჟა ფშაველავ —
შენ — ბედისწერავ, შენ — ჩვენო ყველავ! —
...ვითარცა ფარავანს — მტკვარსა და ხერთვისს
ერთობ — ღმერთობა ცოდნიათ შერთვის,
ვითარც არაგვი, მცხეთას, მტკვარს ერთვის,
ხელმწიფებაა მთა-ბარის ხელრთვის,
ხმა მოგვაწვდინე შენი სულეთის,
ხატებად ხატე ღვთის სიტყვა-ღმერთი!

---

*მეტაფიზიკოსი მალხაზ გველუკაშვილი: ყველაზე საშიში შეშინებული საზოგადოებაა!*

ეთერ თარიმანი:
„კვ.პალ." 17-23.07.06.

## „რამ შემქმნა ადამიანად"...

ფშავში დღესაც ცოცხლობს ზღაპრადქცეული სახელი ლეკვა მდევარის — იმედა რაზიკაშვილისა. სწორედ, მას უთქვამს ერეკლესათვის: — დიდო მეფეო, ორი შენ მიბრძანე, მაგრამ ერთი ჩემიც გაიგონეო...

ვაჟას მოდგმას ერთიანად და ერთნაირად უჭრიდა სიტყვა და ხმალი.

...კლდეთა ვიწროებში მათ ფერხთით იმტვრევდა ხერხემალს არაგვი, ისევ დუღდა მათში ორნახადი მთიური სული.

აქ იწყება ვაჟას ბიოგრაფიაც:
„ადგილო კურუმ-კურუმო,
ველიან-ჭალიანაო,
სამოთხესავით ლამაზო,
მიყვარხარ ძალიანაო"...
P.S. საცა თარიმანისა ვთქვი
იქ ჩემიც მივაყოლე... სიტყვა სიტყვას
გამოეკიდა
და ვაჟას სულით ... სული მოვითქვი!

ვინც ალმა ხნულს — დაღმა ფარცხავს,
ნათელს არქმევს უკუნეთს,
საქართველოს ისტორიას —
სეირივით უყურებს!

* * *

ყველამ ჩვენი საქართველო მოვიღლობეთ,
ვიბუდეთ და ჩვენს ბუდეში დავიბუდეთ.
თუ გვინდა, რომ „საქართველო დავიბრუნოთ",
საქართველოს ჯერ ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ!

* * *

ყოფნა-არყოფნა ამ ქვეყანაზე
არის ძნელი თუ არის ადვილი?
დღემდე, პასუხი არ მაქვს ამაზე,
სიზმარი არი თუ სინამდვილე?

ვარდნაძეც წერდა ლექსებს...

ლექსებს წერდა მიხეილ სააკაშვილიც, ამბობენ, კარგ ლექსებს.

ყოფილი ფინანსთა მინისტრის, დავით იაკობიძის ლექსების წიგნი წავიკითხე ამასწინათ — მშვენიერი პოეზია. მასზე უკეთესი ფინანსთა მინისტრი კი საქართველოს არ ჰყოლია.

ხომ დამავიწყდა: ასლან აბაშიძეც პოეტი იყო.

...რუსთაველზე ევროპულად გამოწყობილი გრიგოლ რობაქიძე მოსეირნობს, განუყრელი ხელჯოხითა და ცილინდრით.

ოპერის თეატრს გაუსწორდა თუ არა, კედრის ხიდან ვიღაცამ ისკუპა და თავზე დაახტა — ტერენტი გრანელი ჩასაფრებოდა, თურმე კედრის ხეზე და ის დააცხრა აფთარივით.

შექმნა ერთი ამბავი.

დაზარალებულიც და ხულიგანიც მილიციაში მიაბრძანეს.

მილიციელი ანკეტას ავსებს...

ჯერ ჩამოყონყილ-ჩამოძონძილ გრანელს ეკითხება:

— ვინ ბრძანდებ-

ეკა ლომიძე:

გული მტკიეა, რომ აბასთუმანს ყურადღებას აღარავინ აქცევს. არადა, რამდენი ავადმყოფის გადარჩენა შეუძლია ამ ღვთისგან დალოცვილ ადგილს. აქ ჰაერია ისეთი, რომ ვერც ერთი ბაცილა ვერ ცოცხლობს, საოცარი ძალა აქვს აქაურ მზეს.

„კვ. პალ." 17-23.07.06.

* * *

რა განსხვავებაა ქალსა და კაცს შორის?

გენები აბსოლუტურად იდენტურია. განსხვავება მხოლოდ სქესობრივ ქრომოსომებშია... ანდროგენები მამაკაცებში და ესტროგენები ქალებში. ქალის გული მამაკაცზე უფრო პატარაა, ამიტომაც ის უფრო ჩქარა ძგერს.... ქალის ტვინის წონა 12 პროცენტით უფრო მცირეა, ვიდრე მამაკაცის ტვინისა, სამაგიეროდ, მისი სისხლის მიმოქცევა 1,3-ჯერ უფრო აქტიურია... ტომოგრაფიამ დაადგინა, რომ მამაკაცის ტვინი ქალისაზე ადრე ცვდება... ჭკუიდან ერთნაირად იშლებიან. მამაკაცების სხეულის ტემპერატურა ქალისაზე 0,2 გრადუსით მაღალია... ქალებს მამაკაცებზე უკეთ ესმით, მაგრამ მამაკაცებზე ცუდად ხედავენ.

* * *

აიოვას შტატში, თურმე, აკრძალულია ქალისათვის თვალის ჩაპაჭუნება!...

* * *

*ნიკო ლორთქიფანიძის ხსოვნას*

ნიკოფსიიდან — დარდუბალამდე!.. ( ანუ მთლიანად),
საბითუმოდ და საბითუროდ (არაჭკევიანად) —
მიწა-წყლიან, მთა-გორიან, ბაღახიანად...
იყიდება საქართველო ხმელეთ-ციანად;
იყიდება საქართველო მზე-მთვარიანად,
ღრუბლებიან-თავის ქვეპ-ქუხილიანად;
იყიდება წარსულიან-მომავლიანად;
იყიდება უსამართლო სამართლიანად;
იყიდება უნამუსოდ ნამუსიანად;
იყიდება დღე და ღამე — დღეღამიანად!
იყიდება ტყიან-ღრიან-მდინარიანად,
იყიდება საქართველო მტერ-მოყვრიანად!
იყიდება ლორთქიფანიძ... ნიკოიანად!

* * *

პე, თბილისო, შენ თბილისი აღარ ხარ და აღარც ჰგავხარ,
ძველ ეერიდან, ძველ თბილისში „პაემანზე" გიხმობ რახან...
ნარიყალამ, ამ ჩემს კალამს, ერთი ლექსი უკარნახა:
დღეს, ძველ შარდენ-მანთაშევზე... „რაც გინახავს — ისევ ნახავ!

*მსოფლიოში ყველაზე ძვირი წიგნია — ლეონარდო და ვინჩის „ტრაქტატი წყლის, მიწისა და ზეციური საქმეების შესახებ", რომელიც სარკისებური შრიფტით არის შესრულებული ტილოთი გაწყობილ ძვირფას ქაღალდზე. ბილ გეიტსმა ის 24 მილიონ დოლარად შეიძინა.*

* * *

ყველას თავისი გოლგოთა ელის,
გედი თუ წერო... საბედისწეროს!
ჩემი სიმღერა მე მაქვს სამღერი,
გედის სიმღერა — გედმა იმღეროს!

* * *

დროც იცვლება და ადამიანიც...

თანაც, ზოგჯერ, ერთობ პარადოქსულადაც!

ჩვენ დროს ე. წ. „ნაკოლკები" ჯიბგირების, კრიმინალებისა და ყველა ჯურის ნაძირალების ხელობა, ფეხობა, მხარ-მკლავობა, ზურგობა, გულობა და „გულაობა" იყო.

ახლა ეს „ხელობა", „ფეხობა", „ზურგობა" და „გულობა" ვერნისაჟივითაა აჭრელებული და ამას ე. წ. „რესპექტაბელური" ოჯახების გოგო-ბიჭების „სვეტობა" ანუ „ტატუ" — ჰქვია.

ესეც შენი ძველი და ახალი ცხოვრების პალიტრა!

P.S. თუ ამ გაგანიაში თავდასავიწყებლად „პალიტრა" გეყოფა კაცს!

* * *

აინშტაინმა, დროის ფარდობითობის ამოხსნისას, ასეთი შედარება გააკეთა: როცა ლამაზი ქალის მკერდზე გიდევს ხელი, მაშინ ერთი საათი მალე გავა, მაგრამ როცა ხელში ცხელი ქურა გიჭირავს, მაშინ ერთი წუთიც საუკუნედ მოგეჩვენებაო.

პარაფსიქოლოგები კი ამბობენ, რომ ათასწლეულების ბოლოს სამოთხის კარიც ილებაო.

* * *

ამერიკელმა გამომგონებელმა კრეიგ ბარმა, რომელსაც მსოფლიო, როგორც „კინგ-კონგის" შემქმნელს, ისე იცნობს, ახლა... მოლაპარაკე სარკე შექმნა. გარდა ესთეტიკური ღირებულებისა, საოცარი სარკე სარკეში ჩამხედავს... დაიცავს კიდეც. მაგალითად, მას შეეძლება, მოგიყევეთ ის ამბები, რაც თქვენი არყოფნის დროს თქვენს სახლში მოხდა. მოლაპარაკე სარკესთან რამდენიმე ვიდეოკამერაა დამონტაჟებული. ისინი მთელ სახლს აკონტროლებენ და საშიშროების შემთხვევაში, თავის პატრონს სიგნალს სპეციალური მონყობილობის საშუალებით გადასცემენ. უნიკალური სარკე 2006 წლის ბოლოდან გაიყიდება.

P.S. მასში ჩამხედავი კი — მისი გამოსვლის შემდეგ! გეშინოდეთ, ქურდებო... ასეთი სარკის ჯერ ყიდვის და მერე... გაყიდვის!

ით თქვენ?

— მე პოეტი ვარ, — ამაყად უპასუხა გრაფინიამ.

— პოეტი ვარ, — ამბობს რობაქიძეც.

მილიციელი წამოხტა:

— თქვენ მაინც რატომ მატყუებთ: ეს მათხოვარი ნამდვილად პოეტია, მაგრამ თქვენ რა გიგავთ პოეტს?

ის პერიოდია, როცა პოეტები ხეებზე ძვრებოდნენ და გამვლელ-გამომვლელებს იქიდან უკითხავდნენ ლექსებს.

ნიკოლოზ მენგველაის რუსთაველზე ერთი ქვადარი ჰქონდა ამოჩემებული და იქიდანვე კითხულობდა ხოლმე ახალ ნაწარმოებებს — დიახ, (შემდგომში ცნობილმა კინორეჟისორმა ნიკოლოზ მენგველაშვილმა თავიდან მოღვაწეობა ხომ ლექსებით დაიწყო).

ხეებზე ხნევებიც ძვრებოდნენ. ვისაც ამის თავი და ჯანი ჰქონდა. ნიკოლოზ ჩაჩავა ჰალსტუხის ნაცვლად სტაფილოს ჩამოკიდებდა და ისე დასეირნობდა ქალაქში!

ეჰ, რა დრო იყო!

...გალაკტიონი

* * *

ბატონ-ყმობისა და შემდგომ — ფაშისტ-ფაშეისტ-კომუნისტობის დრო-
ში „ბატონი გულში მღეროდა და ყმებო, ბანი მითხარითო"!.. ახლა — „თავისუფლების" დიქტატურის დროს — ბატონებიც, პატრონებიც და ყმებიც გულში მღერიან, რადგან, გული, მიუხედავად ბოროტების ულტრათანამედროვე ტექნიკისა, ჯერ არ ისმინება და გულში ვის რა უდევს, უკვე ეშმაკმაც არ იცის!

* * *

არც მთლად მეგობრული შარჟი
ერთ – არც მთლად მტერსა და
არც მთლად მოყვარეს!
უმეცრება – „მეცრებას" რომ აჭრის კუდებს –
ლომაიას, ლამის ლომის წილი უდევს...
აბდა-უბდა ბადეს ქსოეს და გეინგრეეს ბუდეს.
მოგს ჯანდაბას გეაგზაენის, ზოგს – ულან-უდეს.

* * *

**ვან ბაიბურთი, პარლამენტარი:**

რონალდინიოს ბიძის ცოლი არგენტინელი სომეხია. ის ერევანშიც არის ნამყოფი. როგორც ფეხბურთელის ბიცოლა ამბობს, რონალდინიოს ძალიან უყვარს სომხური ტოლმა.

**„ახალი თაობა", 2006.**

P.S. ძმაო, ვან? ახლა არა თქვა: ფეხბურთიც ჩემი მოგონილია, ბაიბურთიც მიტომ ვარო. მასე, ერთი გურული ახირებაც მახსოვს — პეტერბურგში ქართველებს ერთი დუქანი ჰქონდათ, სახელად „გურია", სადაც თვითონ ლენინს უყვარდა თოხლაობაო?! რითაც ის, თურმე, გურული ლობიოს კი არა, გურულების მიმართ სიმპატიას გამოხატავდაო?! (ეს ამბავი, მგონი, ოზურგეთის რაიგაზეთში წავიკითხე).

* * *

**ეკა ლომიძე:**

**„კვ. პალ." 24-30.07.06.**

ერთ-ერთი სასკოლო საგამოცდო ტესტი შეიცავდა კითხვას: „ზიხართ ავტობუსში, სადაც თავისუფალი ადგილი არ არის. მოდის მოხუცი ქალი. როგორ მოიქცევით?" სამი სავარაუდო პასუხი, დაახლოებით, ასეთი შინაარსის ყოფილა: 1. რატომ ავდგე, მე ხომ ბილეთის საფასური მაქვს გადახდილი; 2. დავფიქრდები; 3. ავდგები, რადგან მოხუცებს პატივი უნდა ვცეთ. ამ პასუხებიდან ყველაზე მაღალი შეფასება პირველს ჰქონია, რადგან, თურმე, ასე აზროვნებენ ცივილიზებულ ქვეყნებში.

P.S. ესეც შენი გლობალიზაცია!

იყო დრო — ასეთი კითხვის დასმასაც ვერავინ გაბედავდა საქართველოში. ასეთ „უკაცრავად პასუხია" კითხვას — ასეთი „უკაცრავად პასუხია" პასუხი შეეფერება: ასეთი ჯდომა... თავზე ჯდომას ჰგავს. ბებიათქვენის კალთაში

---

*მედიუმი მარგარიტა, როგორც „ქრონიკაში" (9-15-10.06) გიგა ცეცხლაძე აცხადებს, გვაფრთხილებს, რომ „პალსტუხს მამაკაცის დაიმპოტენტება შეუძლიაო"?!*

*P.S. მაშ, „ბაბოჩკიდან" რაღას უნდა ველოდეთ!*

ჯდომის ვალი მაინც უნდა გახსოვდეთ! აზრზე მოდით და ხიდზე გადით, ხალხნო!

* * *

სამხედრო ექსპერტის ულტერ ბოურდის მრავალმნიშვნელოვანი აღიარება: „35 წელზე მეტია, რაც გფბ ატარებს საიდუმლო სამუშაოებს, რათა მიაღწიოს ადამიანის ტვინზე ზემოქმედებას. ათასობით ამერიკელი მოქალაქე, ისე, რომ წარმოდგენაც კი არა აქვს ამის შესახებ, გამოყენებულია ცდისპირად, როგორც ბოცვერი"...

ნლო N 20.

P.S. კაი ხანია ჩვენც „პადოპიტნი კროლიკები" ვართ და „მგელი და კრავი" ისევ ზღაპარი გვგონია.

* * *

...ვნევარ-ვფიქრობ, ვდგევარ — ვფიქრობ! ვზივარ — აღარ ვფიქრობ და მივაჭენებ... ვნერ, ეს სამი ნერტილიც ჩემი „მერნის" ნაფლოქვარია... „მირბის-მიმაფრენს"... ჩემი კალამი, შუა ღამეც „ინვის, დნება"... და ეს ჩემი „რეკვიემიც"... სიკვდილ-სიცოცხლეა ჩემი! შენ — შენთვის — მე ჩემთვისო — ასე იცოდნენ ნაჩხუბარმა ბიჭებმა. ჩვენ კი, ასე არ გამოგვივა, მკითხველო! ჩვენ — თქვენთვის და თქვენ — ჩვენთვის... „ერთად ვიყოთ, ერთმანეთის ჭირილხენა-გავიყოთ", როგორც გუგული (თორაძე) გვაფიცებდა ჩვენს სახარება-„თორაზე"! ესეც შენი ხეპენინგი თუ ეკშენი! — მთქმელისა და გამგონის ერთგულოენებ-ერთსულოენებით — ზღვა სიყვარულით, ხელთუქმნელი სხვა ხელოვნებით!.. ანმყო არ მანყობს, მომავალშიც ვერაფერს ვხედავ, იგავ-ნაგავში ვიქექები და ქებას ვბედავ — ნარსულისა და მარტოსულის — ჩვენი სულეთის... ყოფნა-არყოფნას", რაც არ იყო ჩვენთვის სულერთი! საბედნიეროდ, თავზე გვადგა ცა და ხმელეთი — საუბედუროდ, დაგვრჩა მათი ელეთ-მელეთი!

დღემდე ვერ დამირქმევია სახელი იმისათვის რასაც ახლა ვნერ და არ ვკითხულობ— ხან „მე და ჩემი ღმერთი", „ნუთისოფელი ასეა", „კრიალოსანი" ხან „ვახ, სოფელო!", ხან „ჰარალე", ხან „ჩემი შენ მითხარი", ხან „საჩივრის ნიგნი" და ხან... რა სათაური თუ უთაური... მეთაური სიტყვა მიტივტივებს თავში თუ გულში!

როგორც ვატყობ... იქ ნასაღებ კი არა — აქ დასატოვებელ ნერილს ვნერ. თუმცა, იმაზეც ვფიქრობ, აქედან რა ამბავი ნავიღო. ხან — აქაურობის თვალით ვუყურებ იქაურობას, ხან — იქაურობის თვალით — აქაურობას!.. ნერილის იქ ნაღება გამიგია და იქედან მიღება, არა! ეტყობა იქ — კავშირგაბმულობის სხვა საშუალებებია — არა საფოსტო-სატელეგრაფო.

ოცდაათიან წლებში დაწერილი ლექსების ერთ ნაწილს 1915, 1916 წლებით ათარიღებდა — აქაო-და, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ აბა ახლა ლექსებს მე როგორ დავწერდიო. ლექსი, რომელსაც ახლა ჩვენ შემოგთავაზებთ, ნამდვილად „ვარდების რევოლუციამდე" დიდი ხნით ადრე დაწერილი, 17 წლის წინათ:

მე გაგაღვიძე! — ბრიყვი მაყვედრის — შენ ჩუმად. მამულს თავს მე შევწირავ.

როგორ ავეხსნა მე ამ სახედარს — მე რომ მეღვიძა, ამას ეძინა!

„ლ ს"

30.09.05.

ჟურნალ „კალეიდოსკოპში" ლაპარაკია რაღაც ახალ ფსიქოტრონულ იარაღზე, რომლითაც, სავსებით, შესაძლებელია ხალხის „ტ ვ ი ნ ე ბ ი ს გამორეცხვა" ჯერ კიდევ კარგად არ გასული XX ს. იმ 30-იან წლებში (რომელიც რაღაც ეშმაკად — საჩუქარივით ემთხვევა ჩემი დაბადების

უფრო ფიზიოლოგიურ-სენსორული! თუმცა ახლა ბევრი ჭირისუფალი, თავის მიცვალებულს მობილურ ტელეფონსაც ატანს საფლავში, მაგრამ ეს ჯერჯერობით, მაინც, ცალმხრივი კავშირია — ჯერ იქედან მკვიდრის ხმა ცოცხალს არ გაუგია. (ვითომ ცოცხალს ცოცხლისა ესმოდეს რამე!)

საიქ-აქაოს კავშირგაბმულობასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა, რასაც, შემიძლია ხატზე დავიფიცო, ნამდვილად ჰქონდა ადგილი!

ღვთისპირიდან გავარდნილი სევა ელიავა და ჩემი გარეშე ბიძაშვილი ოლეგ ნიშნიანიძე ერთ დასაფლავებაზე ყოფნისას კუკიაზე, ერთ ახალგათხრილ საფლავს ნაწყდომიან და ოლეგს თავში შემოურტყამს ხელი: „ჩვენი მონტიორი" მომკვდარა, ბიჭო, ქრთამი მაქვს მიცემული, ტელეფონის დადგმას დამპირდაო.

ამას რა უნდა აქო? — შეუცხადებია.

სევას დაუმშვიდებია: ალბათ შენ საქმეზეა ნასული, კაბელს ეძებსო!

...ეჰ... „ფიქრი ნისლია მთებისაო" — მთის არწივს უთქვამს. ფიქრს სად გაექცევი. ანდა, სადლა მაქვს სირბილის თავი. თავში რაც მიტრიალებს — მეც იმას ვტრიალებ!

...ტვინის ხუჭუჭებს რომ გავყვე... სად, როდის და სად მიგვიყვანს ეს სლალომ-სალამ-ქალამ-კალამი!

...სალამი ბატონ ალექსანდრე ნიქარიშვილის ხსოვნას. ერთ ჩაფ ღვინოს სვამდა ერთ მოყუდებაზე!

დღესაც ყურში მინივის მისი ანყურის ამბავი. სახლში შექეიფიანებული დაბრუნებულა და სულ ჟივილ-ხივილით და კაკან-კაკანით შეგებებიან ქათმები და ინდაურები!

გაგიჟებულა კაცი.

თქვენ საიდან გაიგეთ რომ რაიკომის ბიუროზე „ზაგოტზერნოს" მმართველად დამნიშნესო?!

...ერთი სიტყვით, იყო დრო, როცა დროს დრო ერქვა. რაც გქონდა თავი მით გაგქონდა!

ახლა, რაც გვაქეს, იმითაც და რაც არ გვაქვს, იმითაც უკმაყოფილო ვართ და ცხოვრებას გემო, ვერა და ვერ გავუფცქვენით.

„დროს" თუ როდისმე რქმევია „ჟამი" — ესაა!

ღმერთმა ნუ ჰქნას, „მრავალჟამიერიც" გახდეს ნამიერი და ვერ შეინახოს, ის ხმა, ის იერი!

* * *

*მატარებელი „სიჭაბუკე-სიბერე" 5 წუთის შემდეგ ჩამოდგება მეორე ლიანდაგზე!*

მატარებელი წიოდა (ვითელიდი ერთ ინდიქტიონს)...
გამცილებელი კიოდა: „ვუახლოედებით რიონს!"
„ჟიგნებით" ქუხდა როსტოვის – რკინიგზა „თბილის-მოსკოვი" –
ვკეტავდით ფანჯრებს, კარებს და – „ციე სიოს" არ გვაკარებდნენ!
...სულ ფანჯარასთან ვიჯექი და თვალს წყალს ვალევინებდი,
სანამ ბიჭობის მაჭრიდან – კაცობით დავიღვინებდი.
შიშს ჰქონდა დიდი თვალები... მიჰქროდა მატარებელი,
მოგვედევდა სიყრმის ვალები – სიყრმის მზის სატარებელი!

*გოგი თოფაძის გვარიც კი ისვრის! მაგარი კაცია!*

*ტარიელ ჭანტურია: ზოგჯერ 20 მწერალი რომ შეატოლო – ერთი მკითხველი გამოდისო.*

## დანაშაულის სასჯელად... დანაშაული?

მარტო თეთრით კი არა — ყველა ფერის შურითა და ყველაფრამდე მშურს ამ ვარსკვლავებიჭებისა და ვარსკვლავგოგონების, ვისაც ამ წუთისოფელშიც... აქაც მარადისობა ელით! და ისიც, სად? ვერაზე! ეს შური კი არა, ძველი ვერელობის სულის შარიშურია!

გუშინ, 2006 წლის 1 აგვისტოს, ფილარმონიის წინ, მუზასთან, თბილისური სულივით ამოასხეს მოცეკვავე, მომღერალმა, მომლხენმა და მოსიყვარულე შადრევანებმა და ეს იყო ჩვენი დედაქალაქის ახალი თუ ძველი იერის, თბილისის ფერუმარილის, ჩვენი მინა-წყლის ენანყლიანი „პაემანი ვერაზე!"

რომელი საფლავის ქვა შეინახავს ისე კაცის ხსოვნას, როგორც ვერაზე, მუზის წინ, გაქვავებული ვარსკვლავები!

ის-სამარის ქვაა, ეს — ქვათა ლალადის; ის — წუთისოფლისაა, ეს — მარადისობის! — ის — სიკვდილია, ეს — უკვდავება!

ამ შადრევნებს, მე ჩვენი ბიჭებისა და გოგოების სახელები დავარქვი, ნასულებისაც და მოსულებისაც. თითქოს უკვდავების წყლის სვეტებად მათ სულებს ამოეხეთქოს!

* * *

ქართულის გარდა, ალბათ ვერცერთ ენაში ვერ ნახავს კაცი ასეთ იდიომას — „კუჭი მოვატყუოთო"! აბა, ჩვენს წინაპარს სად ეცალა კუჭისთვის? — ერთ ხელში თოხი ეჭირა — მეორეში ხმალი!.. კიდეც, იმიტომ მოიტანა აქამდე ეს ქვეყანა!.. რადგან მისთვის სამშობლო — ვაზი და ყანა იყო! აქედანაა მისი სიბრძნეც: მუცელს აქორებ — ქორია, ალორებ — ღორიო!

ვის ეცალა მუცლისთვის?

მუცელს გადაყოლილი ქალია საცოდავი — ერი, არა!

ახლა, მუცლის მოტყუებას — თავის მოტყუება ურჩევნიათ!

კიდეც ამიტომ — ძლივს მიეათრევთ მუცლებს და მუცელს გადაყოლილ სამუცლეთს — ქვეყანას!

### *საპარლამენტო მჭევრმეტყველება*

ორატორის სიტყვა, როგორც...
აეტომატის ჯერი! —
დაბოღმილი კაცები და
დანაღმული ველი!
სიტყვები — სულ ახალი და
აზრები — სულ ძველი.
დაქცეული ქვეყანა და
წაქცეული ჯერი!

*დღეს) რუს მეცნიერ ი. მიხაილოვსკის სამკურნალ-სანამლოდ აღმოუჩენია ელექტრომაგნიტური იმპულსების კომბინაცია, რომელიც, გარკვეულ შემთხვევებში, ზეგავლენას ახდენს ადამიანის ტვინის ემოციური განწყობის ზონებზე. რაც 50-იან წლებში გამოიყენეს ადამიანის ნებელობის დამთრგუნველი ხელსაწყოების შესაქმნელად (ჯანმრთელობას კი, აქედან სამი თითის კომბინაცია და დარჩა!). მერე, ასევე კანონსაწინააღმდეგო და ზოგადსაკაცობრიო ნების საპირისპიროდ (70-იან წლებში) დაიწყო ცდების ჩატარება „მოწინააღმდეგეთა" ტვინებზე დისტანციური ზემოქმედების მისაღწევად. რაც ადამიანის ფსიქიკის მოსამლელად. თურმე, კიდევ უფრო ქმედითი იარაღია (სდექ! მაოცებს ქართული ენის სემანტიკა! „იარაღია"! სადაც იარაღია — „იარაც" იქაა „ღია"!).*

*ტელევიზია და გლობალური კომპიუტერული ქსელი. რ ო მ ე ლ ი ც ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ*

# ტაბუდადებულ თემაზე!

## (გამგები გაიგებს)

ტყუილად კი არ აქებს ქართულს იოანე-ზოსიმე — ამ ენაში უამრავი საიდუმლოა დამარხული! ვინ იცის, რა საიდუმლოზეა ლაპარაკი?

მე კი, მრავალ ფონეტიკურ, ფონემურ მინიშნებებთან ერთად, იმასაც მივაქციე ყურადღება, რომ უბრალო სასაუბრო ენაში, როგორი კითხვა-ცაა— ისეთი პასუხია (კითხვაშივე „იკითხება" პასუხი!).

თავიდან არ ამომდის ნიკო ლორთქიფანიძის ერთი ფრთიანი ფრაზა: „იმერეთში, რამდენი კორტოხია — იმდენი ბატონიო!.." ჰოდა, აქ, ცალ-ცალი კალოშიც რომ ეცვას კაცს, მასაც ბატონობით მიმართავენ?

„რა ბრძანეთ, ბატონოო?"

თუმცა, ყბედისთვის, არის მისი ყბისსაქცევი კითხვაც: რას ყბედობ, რას მიედ-მოედები, რას ბჟუტურობ ბიჭო, შენო?... ისე, იმერული ზრდი-ლობის ფარგლებშია სოციალურად დაბალი ფენისათვის ფართო მოხმარე-ბის კითხვაც: „რას უნობ?" — ანუ „რას ლაპარაკობო?"

*„მანდაც არის აღერილი სიმინდები, ჩვეულებრივ —*
*ნაჩხუბარი მაყრებივით ჩოხებჩამოხეულები"* (შოთა ნიშნიანიძე).
*იმე...რეთი ჩამოეთვალო იმერეთის ციცხალი...*
*— უკან ავი მეწყერი და უკვდავების „წინ წყალი".*
*იმერეთში მაინძელი სამაინძლოდ ირჯება —*
*იმერეთში, შემოდგომა... ღობიანად იჭმება!* (გამექცა სტროფი!)

...ქალაქში კი სხვა ქარი უბერავს („ზოგი აქეთ უბერავს — ზოგი იქეთ უბერავს", როგორც ნაცნობი უცნობი უბერავს). აქ, ქარს გატანებული სიტყვა — ქარს მიაქვს, ქარს მოაქვს და ასეთი შეკითხვაც მოსდევს: „რას მიჰქარავო?".. მიდებულ-მოდებულ ლაპარაკს კი შესაბამისი კითხვა ჰყავს ჩასაფრებული: „რაებს მიედ-მოედები", ან „რას მიაც-მოაცობო"?

ქალაქმა იცის, თუ იცის, მარილიანი სიტყვის ფასი, მაგრამ ზედმეტ გამლაშებას იქვე გადაეღობება: „რას ამლაშებო?"

მთლად იგავმიუწვდომელი და კრიმანჭულია გურული ორლობული — ორაზროვანი კითხვა, რომელიც კითხვაშივე, პასუხამდეც ფილოსოფი-ურია:

„რას ჩივა აი „კაციო?"

აქ „ამბავ-ხაბარ-ჩივილს" სოფლის სამდურავის იერი დაჰკრავს!

...გურული კაცი გაზეთს კიდეს რომ მოახევს, ქისიდან თუთუნს გად-მოყრის, გააბოლებს და იკითხავს: რას ჩივა ამერიკაო?.. ამ კითხვაში იმ-დენი გლეხური სიბრძნეა, რომ პასუხსაც ეყოფა!

ამ წიგნს თავიცა აქვს და ბოლოც, მაგრამ მაინც უთავბოლოა, როგორც ცხოვრება!.. იგი ჩემი ცხოვრების წიგნია: სად მივლია, როგორ მივლია? რას ვენდომივარ? რას მივმხვდარვარ? რისთვის მიმიგნია? რისთვის მიცხ-ოვრია?

* * *

ახლები ძველებს ხშირად გვეკითხებიან: რა განსხვავებაა ძველ და ახალ თაობებს, ძველ და ახალ თბილისს შორის?

---

*იაკობ ხუცესი (V ს.): მხნე იყავ, მოთმინე და სულგრძელი.*

*ხოსე მარტი პერესი: ყველაზე რთული პროფესია — კაცობაა!*

ერთი შეხედვით — არაფერი!

მეორე შეხედვით — ყველაფერი!

ჩვენ, ყველას, ჩვენი თბილისი გვიყვარდა — დედაქალაქი!

თქვენ, ყველას, თქვენ-თქვენი თბილისი გიყვართ — დედინაცვალი!

* * *

ჩვენი თაობის ეშხი იყო თავადის ქალი ცინუკი დადიანი და მისი დადიანური სიმღერა „სიონში შეეალ"!

ახლა კი „ინტერნეტში" შესვლაა მოდაში! დღემდე არ ვიცი, რა ეშმაკია, რა ჯანდაბა და დოზანაა ეს „ინტერნეტი": ჭკვიანები შედიან — გიჟები გამოდიან — ზეზეურად შტერდებიან!

რომ მკითხო, რაა ეს „ჭკუის კოლოფებიო"? — ვერაფერს გეტყვით. ისე კი, ყოველ შემთხვევისათვის, გირჩევთ, რომ ამ ოხრებთან სახლში ცოლი მარტო არ დატოვოთ. რა იცი, რა ხდება, კაცნი ვართ (თუ ახლაც კაცები გვქვია!).

* * *

*ღმერთი გფარავდეთ და საუნჯეში დაგვცა!*

სმენა იყოს და გაგონება!
სასწაული არის შთაგონება —
რიგები ურიგოდ არ გაითეალოთ,
რომ აეი თეალისგან არ გაითეალოთ!
ეის იცაეთ, ბიჭებო, ეისგან იცაეთ?
ეისი მზის ჩრდილში ხართ-ეის მზეს ფიცაეთ?
კარისკაცები არ ჰირდება საქართველოს —
ჯარისკაცები კი ჰირდება ქართულ მიწას!
რამდენი ჯარისკაცი — იმდენი კარისკაცი,
რამდენი უსმელ-უჭმელ-ჩაუცმელი..
იმდენი პირადი დაცვა გეყავს, რომ —
სამშობლო დაგერჩა დაუცველი!

* * *

თბილისში ჩამობრძანებულმა მსოფლიო პატრიარქმა, კონსტანტინოპოლის ეკლესიის წინამძღვარმა ბართოლომეოსმა თქვა:

— როდესაც ადამიანი წარსდგება ღვთის სამსჯავროს წინაშე, მას, უპირველესად, იმას კი არ მოჰკითხავენ — თუ რამდენჯერ ილოცა, რამდენჯერ მოიყარა მუხლი, იმარხულა ან რამდენი სანთელი აუნთო უფალს, არამედ იმას, თუ რამდენ ადამიანს

*ნარკოტიკად და ღამის ყველაზე უფრო საშიშ ფსიქოტროპულ იარაღად იქცა. თავის თოქ-შოუებით თუ თოქშო-ვიროზით, რომლებიც სახე-დრებავით ურცხ-ავენ ცენებს ფირებ-სა თუ ვირიშ-ვილებს.*

*სანამ „ჩავჭი-რეცხავდნენ" ცენ-ნებს... ცენი გა-ვანძრიოთ, ხალხო!*

*დავფიქრდეთ რა გვქირს? რისგან გვქირს? ვისგან გვქირს? და, მარ-თალია, ქართული ხალხური სიბრძნე ამბობს, რომ „ქირი ქირს აროობს", გა-რიობის მიზნით-ცეცხლს ნუ ვეთა-მაშებით!*

*ცეცხლი ცეცხ-ლის, ზოგჯერ მცი-რე-ზოგჯერ დიდ-ის...*

*მთავარი არის, რა იწვის და ვის უკიდია? — ჩემმა ხახლიკაცმა.*

*ჰოდა, გავარჩი-ოთ მთავარი:*

*რა იწვის და ვის უკიდია?*

*...როცა ღრის ვერ ვერევით!*

*რას·რის ფასად ველევით?*

*ავხა კაცხა აფი ხიცყვა... მეორე მხიფლიო ომის*

შეუმსუბუქა ამ ქვეყნიური ნილხვედრი, მოუტანა სიკეთე და გაიზიარა სხვისი სატანჯველი. როგორ დაიცვა მან ღვთის ის მცნება, რომ გიყვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი შენიო!

* * *

ბავშვობაში მარტო — ლავრენტი ბერიას, ბიჭობაში — კანდიდ ჩარკვიანის, ყმანვილკაცობაში — აკაკი მგელაძის, კაცობაში — ედუარდ შევარდნაძის, სიბერეში — მიშა სააკაშვილის ჭკუაზე რომ მეარა, ჩემი დრო არასოდეს დადგებოდა! სახლში — ცოლის ჭკუაზე ვიველიდი, სამსახურში — უფროსის და სამსახურიდან-სახლამდე მისასვლელად, ერთი ანეკდოტისა არ იყოს, საკუთარი ჭკუა როგორ არ მეყოფოდა!

მადლობა ღმერთს მეყო ჭკუა თუ უჭკუობა და ბავშვობაში დრო — ბავშვურად გავატარე, ბიჭობაში — ბიჭურად, ყმანვილკაცობაში — ყმანვილკაცურად... აი, კაცობაში კი გაჭირდა კაცობა და, მით უფრო, ბერიკაცობა, მაგრამ, როგორც არაერთხელ მითქვამს:

*ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი!*
*და ვრჩები ასე: ბებერი ბიჭი!*

P.S. ამაზე ერთი ძველისძველ თბილისურ ანეკდოტსაც გეტყვით:

ერთი ხანშიშესული ავლაბრელი კინტო თავის დაბადების ნლად ყოველ ნელინადს ერთი და იგივე რიცხვს ასახელებდა:

— ვა, ხომ გითხარით, 50 ნლისა ვარ-მეთქი?

— კიდევ უფრო ვა!.. ეს, როგორ, — აუხირდნენ ერთხელ, — შარშანაც 50 ნლის არ იყავიო?

— ვაჟკაცის სიტყვა-სიტყვააო, — უპასუხა 50-ზე გაჯიქებულმა ჯიგარმა!

* * *

მსოფლიოში 3000 ენაა და მაინც ვერ ვაგებინებთ სიტყვას ერთმანეთს. ერთი ენა რომ იყოს — მთელ მსოფლიოს ეყოფოდა! მა ესპერან—ტო?.. რის „ტო" და რა „ტო"?.. დღემდე თბილისური „ტო" ვერ ამოუხსნიათ. არადა, სნორობის... ტოლობის ნიშანი იყო, ტო!

### *პარლამენტის სხდომის ტელეტრანსლაციის დროს ნამთქნარევი ფიქრები!*

ორად ორი ორატორი, თუ გამოჩნდა ღმერთთან სწორი,
იტყვის სიტყვას აწონილს და არსაით არ გადაწონის!
ზოგი სიტყვა – კბენაზეა, ზოგი – სისხლის დენაზეა,
ზოგი – გულზე გამობმული, ჩვენი სულის ლხენაზეა!..
ზოგი სიტყვა... სეტყვა არის – იპირფერებს – იპირქუშებს:
ვინაც ამბობს სიტყვას უშვერს – იმას ცეცხლთან ნუ მიუშვებთ!
ვინაც იცის ძალა სიტყვის – „ჭკუა ურჩევს – ენა იტყვის"! (ილია).

---

*რუსო: ჩემი საქმეა, სიმართლე ვთქვა და არა ის, რომ გაიძულო მისი დაჯერება.*

*ილია ჭავჭავაძე: ბავშვი სათავეა დიდი ადამიანისა!*

* * *

შოთა ნიშნიანიძე: „ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოუმის გამზრდელო,

ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი, უსაქართველოდ!

...აფხაზეთიდან ლტოლვილებს, დიდი საღამოს მონყობაში მიეეხმარე. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. საღამოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, პალერმოს მერი და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ნინამძღვარი მეუფე დანიელიც ესწრებოდნენ. ამ უკანასკნელმა, შეკრების გახსნისას ბრძანა, რომ საღამო ეძღვნებოდა „აფხაზეთის უსახელო ომში დაღუპულ გმირებს, რომლებიც მოკვდნენ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში და სამშობლოსათვის თავგანწირვის ნიჭი გადაარჩინეს!“

მეუფე დანიელის პირით ნათქვამი ჩემი სიტყვები, ნათელივით ადგა ამ სევდიან და იმედიან საღამოს, რომლის გათენებისთვის ვილოცეთ.

მეუფე დანიელმა კი ბრძანა: მარტო ამ სიტყვებისთვისაც ღირდა ეს საღამოო!

* * *

„ფიცი" მეც მწამს და „ბოლო" მეც მაკვირვებს, მაგრამ ასეთი ფიცი და მტკიცი არც მსმენია, არც გამიგონია.

ერთმა ბებერმა კაცმა... მისი ბოლო კბილი დაიფიცა!

P.S. უკბილო ეძახე, ახლა, შენ, ასეთ ჩახმახ კაცს!

* * *

შეილიშვილური ძილისპირული!
ყოველდღიური — კვირისპირული:
...გაიღვიძე, ბიჭო, რა დროს ძილია,
მზე ჩადის და უკვე დღეც მიილია!

* * *

„მიეცი კეისარს კეისრისაო"!..

მე თუ კიდე მაგის ვალი მაქვს, კარგად ყოფილა ჩემი საქმე!

პირიქით, კეისარს აქეთ აქვს ვალი მათი, ვინც თებერვალში, ანუ მერწყულის ნიშნით, ვართ დაბადებულები!

ამ ჩვენი ცოდვით სავსემ, იულიუს კეისარმა, კალენდარში ჩვენს დაბადების თვეს რომ მოაკლო კალენდარული დღეები — რა გვეშველებოდა რომ 30 ან 31 თებერვალს დავიბადებულიყავით!.. სადღაც, მარტ-

მიხსნილე ზოგიერთი „სამოციანელი“, — როგორც ვიქტორ მიხეილოვი „ლიტერატურნაია გაზეტაში“ (2005, N 25) წერს, — თურმე კი ასეც აფასებს 1941-45 წლების ისტორიას: „მტერი ქვეშ მოვიყოლიეთ... ჩვენი გვამებითო“! (ანუ ჩვენი სიმრავლით და დიდი მსხვერპლით).

თუ ხელოვნება მოითხოვს მსხვერპლს, რა გასაკვირია, რომ იგი ომმა მოითხოვოს და თანაც ისეთმა ომმა, როგორიც კაცობრიობის ისტორიაში გამართული 14500-დან ყველაზე სისხლიანი იყო!

მართლაც ძვალი არ აქვს, მაგრამ რამ უნდა მოგიბრუნოს ენა, რომ ასეთი რამ თქვა?

როდის იყო, გვამები ომს იგებდნენ?

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს (ამერიკის ლინგვისტური საზოგადოებისა და მსოფლიოს მრავალი აკადემიების საპატიო წევრს; „ხეთური ენისა და ლარინგალური თეორიის ცნობილ ავტორს); ინდოევროპული, სემიტური და

ში ამოვყოფდით თავს, ხომ! არადა, მარტს ავად სახსენებლად, მარტო თავისი სამარტო ავდარც ეყოფა!

კიდევ კარგი, 28 დღე რომ მაინც გაიმეტა თებერვლისთვის.

13-ში ვარ დაბადებული და 12-ში რომ შეენყვიტა თვე, რა მეშველებოდა! სხვა მხრივ კი თებერვალს — ვისი რა დასანუნი სჭირს?.. რომაული მითოლოგიით იგი Februarius — „განწმენდის" სიტყვიდან მომდინარეობს და გაზაფხულის მაცნეა: *„თებერვალი დადგაო – ხეში წყალი ჩადგაო!"*... წყალ-წყალა სიტყვა არ ვარგა, თორემ რა სჯობს ენანყლიან კაცს!

* * *

რა გზას ვადგავართ?

ძველ რომში ადამიანებს კანონგარეშე აცხადებდნენ, პროსკრიფციულ სიებს ადგენდნენ და ქონებას ართმევდნენ. მათ დამბეზღებლებს და გამცემებს კი აჯილდოებდნენ.

როგორც ჩანს, აქაც დაიწყო ეს, ასე ვთქვათ, „რომაული არდადეგები".

ამას ჰქვია „ყველა გზა რომში მიდისო!"

გააჩერეთ, ჩავდივართ — მომესმის უკანიდან ხმა! — არ დაგვიწყოთ, ახლა, იტალიური!

* * *

იმპერატორი ნერონი თვლიდა, რომ მუზებიც ემორჩილებოდნენ, ანუ პოეტი იყო. ხშირად უკითხავდა რომაელებს თავის ლექსებს და არა მოქნეული სიტყვით — მათრახებით აიძულებდა ტაში დაეკრათ. ჩ.წ.ა. 64 წლის ზაფხულში, იმპერიის დედაქალაქში იფეთქა დიდმა ხანძარმა. იმპერატორი კი იდგა კოშკზე და გულზე ცეცხლმოკიდებული — ცეცხლმოკიდებულ რომში, ცეცხლში დაფერფლილ ტროაზე (ლირის თანხლებით) თავის პოემას კითხულობდა!!!

რომში კი ხმა გავარდა, რომ პოეზიის ცეცხლის რომაელი „მეხანძარე"... თვითონ იყო ამ ცეცხლის გამჩაღებელი, რათა „ცეცხლთან შენობით მოლაპარაკე", ლექსის ცეცხლით დამწვარ იმპერატორს, ნამდვილი ცეცხლით გადაებუგა იმპერია!

მედლის ორივე მხარეს (საყვარელიც და საზიზღარიც)...

არც თეთრ და არც შავ ფანტაზიას არ აქვს საზღვარი!

* * *

არც რომეო მახსოვს, ვინ იყო, არც ჯულიეტა, მაგრამ ერთ, არც ისე მშვენიერ დღეს, ვერელი და „პლეხანოველი" ბიჭები მონტეგებივითა და კაპულეტებივით გადაეკიდნენ ერთმანეთს! მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ბიჭებმა აყარეს N 3 ტროლეიბუსის მგზავრები სკამებიდან, ყელამდე გაავსეს იგი და საჩხუბრად მიუხტნენ მტკვარგაღმელებს...

გაღმა შეედაეე-გამოღმა შეგრჩებაო! — მგონი, სულაც, აქ აიდგა ფეხი ამ ანდაზამ, თორემ არც გაღმელები იყვნენ გამოღმელებზე ჭკუადამჯ-

---

*ცოლი, თვალით კი არა ჭკუით უნდა ითხოვო. ცოლზე გული უნდა მივიჟიდეს და გული არ უნდა მოგივიდეს. ცოლს ყური არ ათხოვო, მაგრამ ყური უგდე: ცოლი – მანამდეა მეორე ნახევარი – სანამ ქმარია – პირველი. ჩემმა მეგრმა იარა ცოლის ჭკუაზე (შეიძლება სამსახურიდან სახლში მისვლამდეც არ ეყოს!).*

დარები და ვინ იცის რა ცოდვა-მადლი დატრიალდებოდა, რომ... თასში ერთ — იმ „პლეხანოველს" — ათასში ერთი — ის ვერელი არ ეცნო და „აიდოსტივით" არ დაეძახა: ხელი არ ახლოთ — ეს კაცი ჩემი ძმაკაციაო!

ერთის ძმაკაცობა ათასის კაიკაცობად იქცა!..

ახლა კი, ზოგჯერ ათასის კაცობა — ერთი კაიკაცობა აღარ ყოფნის! ძმებს — მტრებს ვეძახით, მტრებს — ძმებს. „ტერმინალურ" ჟამს რა „ტერმინებს" აღარ ვპოულობთ, რომ „მინები" ნაღმებივით იქ ავაფეთქოთ, სადაც ყველაზე უფრო ფეთქებადსაშიში ზონებია!

ამიტომ კალამს — პელენგატორივით ფრთხილად ვატარებ ქაღალდის დანაღმულ ველზე, რომ როდესმე, ჩემი მკითხველიანად, სადმე შარს არ გადავეყარო!

ტყვია — სიტყვაზე უტყვი და მეტყველია;
სიტყვა — ტყვიაზე უფრო ცეცხლსაშიშია!
როცა — სიტყვისგან ხსნას ელიან,
ტყვიას — სიცოცხლე მაშინ შია!

* * *

25 წლის წინანდელ ამბავს გეუბნები!

შეხედეთ! პირველი სტრიქონის ბოლოს, სად ჩამისაფრდა სიტყვა „უბანი"!

დიახ, „გე-უბნებით"!

და ისევ მძივებივით გაებნენ და ამედევნენ რითმები:

სიყრმის მზის წყალობით —
მამალმერთის ნებით —
ქუჩებს ეაქუჩებ და
უბნებს ეეუბნები.
პირველი სიყვარულის —
ნებითა და გზნებით —
სალმითა და კალმით —
„ყარაულში" ედგები —
მე ჩემი თაობის —
თბილისური წრთობის —
თბილისური გრძნობის —
თბილისური ძმობის!

...25 წლის წინ, ფილარმონიის მაშინდელ დირექტორს, ჩვენი თაობის კაცს, ჯაზმენს და ჭკუის საკითხავ დორიან კიტიას მივუტანე „პაემანი ვერაზე" და, რომ ვუთხარი, ჩვენი ბიჭებისა და გოგონების მოგონების საღამო მინდა გავმართო-მეთქი... დიდი ვერაფერი აღფრთოვანება შევნიშნე. ზამთარი იყო, გენერალური დირექტორის გაყინულ კაბინეტში რემონტს აკეთებდნენ და გაჯის სუნით ყარდა იქაურობა.

ქართველური ენების სტრუქტურისა და ენათმეცნიერების საკითხების მკვლევარს და ვინ მოთვლის კიდევ, მსოფლიოს წინაშე რა დამსახურების კაცს, რომელსაც (ბავშვობიდან ვიცნობ), თავის სიცოცხლეში არ დაუკარგავს წონასწორობა და იმის მოთმინებით ცხოვრობს (ხომ გახსოვთ 9 აპრილთან დაკავშირებით მისი ბრწყინვალე გამოსვლა საკავშირო ყრილობათა სასახლეში!) დღეს თავისთავისაც ვერ უპატიებია ის, რაც უნივერსიტეტსა და აკადემიაში ხდება!

პირველად ივანე ჯავახიშვილი 1931 წლის 28 მაისს მოკლეს, რაც ის სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით უნივერსიტეტიდან გააძევეს. ამ მორალურმა სიკვდილმა გამოიწვია მისი ფიზიკური სიკვდილიც. ივანე ჯავახიშვილმა ამ ამბიდან მალე, 1940 წლის 18 ნოემბერს დალია სული კათედრაზე. ხოლო უნივერსიტეტში ჩატარებული ნაჩქარევი და გაუაზრებელი რეფორმებით კი იგი მესამედ მოკლეს.

რა ხდება? რა-

მაინც ნავიკითხე რამდენიმე სტროფი და ისე შევტოპე, რომ ვერც კი შევამჩნიე მის თვალზე აგორებული ცრემლი!

ბიჭოს! — ვთქვი გუნებაში, მეორედაც ავხედე და თვალი-თვალში გავუყარე!

აშკარად ტიროდა?!..

ვიფიქრე, ალბათ, გაჯის ნამცეცი ჩაუვარდა თვალში და ის აცრემლებდა.

— რა იყო-მეთქი? — ყოველ შემთხვევისათვის ვკითხე.

— რაღა რა იყო, შე კაი კაცო, ჩვენი თაობის „მარტიროლოგი" დაგინერიაო. გადამკოცნა და ჩვენი ვერისუბანიც „გადამაკოცნია" — ერთ-ერთ კოლექტიურ ნაშრომში კი დააფიქსირა, რომ (ფილარმონიის სცენაზე) ასეთი იმპროვიზირებული საღამოების ტრადიციას — გიზო ნიშნიანიძის საღამომ — „პაემანმა ვერაზე" დაუდო სათავეო!

ასე, ტირილისა თუ სიხარულის ცრემლით დაიწყო ჩემი „პაემანის" ისტორია.

დღეს კი კაცს, როგორც იტყვიან, სარი რომ ჰკრა თვალში, ცრემლი არ წამოუვა. გაგვიშრა სისხლიც და ცრემლიც...

თუმცა!

თავზეც შემიძლია ავიღო, გულზეც შემიძლია დავიდო ხელი და გითხრათ რომ ამ სისხლ და ცრემლგამშრალ დროშიც ყოფილა დრო, როცა ჩემი ხნის კაციც კი მეფე ლირივით ატირებულა ამ წუთისოფლის სიცრუით. და ეს იყო, ალბათ, ის, რასაც საბა „სიბრძნე-სიცრუისას" ეძახის!

არც კი ვიცი, რა დავარქვა ამ ცრემლს და ოთარ რამიშვილივით „ლობეყორეს ვედები"...

...31 ივლისს (2006) „ასავალ-დასავალი" გადავშალე და ჩემი კალმითა და უკალმოდაც ამხანაგის — უბედური ჯიმშერ ენუქიძის კალმით ნახატი შთამომავლობის — გირგელიანების ბედნიერი ოჯახის სურათი შემომეფეთა: დედა-მამა-შვილი!

რა ძნელია, იყო, თურმე, ბედნიერი და

რა ადვილია, თურმე, იყო უბედური!

სურათიდან შემოგცქერით (აქ სანდრო 8-9 წლის თუ იქნება!) სამი ბედნიერი სახე.

მე იშვიათად მინახია ასეთი ღიმილი... სიცოცხლითა და... სიკვდილით სავსე!

შენ რაღა გეცინება, ბიჭო, გადავუსვი ხელი სანდრიკას... მთელი საქართველო მოგტირის!

მე ჯერ არ მინახავს ასეთი უდარდელი და დარდიანი ბიჭის სახე...

გახარებული მწუხარება თუ დამწუხრებული სიხარული?

გინდ დაიჯერეთ — გინდა არა — ღაპაღუპით მომდიოდა ცრემლები. ის ლამაზი ბიჭი კი გაკვირვებით შემომცქეროდა სურათიდან და მეკითხებოდა: რა გატირებსო???

---

*ასეა გულით.*

*ახლა სულსაც ვკითხოთ!*

*„ცოლი შენი ვითარცა ვენახი მსხმო...*

*შვილნი შენნი ვითარცა ახალნერგნი ზეთისხილისანი..."*

*(ფსალმუნი 127.1-4).*

## ნეკროლოგის მაგიერ

სიკვდილსაც არ უყვარს ასეთ-ისეთები,
მიწაც არ იღებთ და ცაზე აკერებენ...
იგავ-ნაგავებს კი წერენ გაზეთები,
იცილ-აცილებენ ტაშით კლაკერები.
მას მიასვენებდნენ, მას მოასვენებდნენ...
შავი „კატაფალკა", და დაცვა ახლდა მას.
ფუფუ... ფურთხითა და ფუფუ... ფუფუნებით...
არარა აკლდა მას —
ის აკლდა აკლდამას!

* * *

ნუ უყურებ ღარიბსა და ღატაკს,
ალმაცერად, უდარდელად, კუშტად...
მოვა დრო და გაშვერილი ხელი —
შეიკვრება ერთ მრისხანე მუშტად!

* * *

რაკი წაღმა „კი არა" —
უკუღმაა „არა-კი" —
საარაკო რამაა
ქართული ლაპარაკი!
დაუკვირდით!
ერთ სიტყვას,
ახლავს სიტყვა რამდენი!
ეს ქართული ენაა —
სასწაულის ჩამდენი!

P.S. თვითონ სიტყვა „ქა-რთული" — ღმერთე-ბისგან მართული, როგორც მრავალსართული — „მარტივია" და „რთული"!

## საათი

მზის, ქვიშის, თუ
კედელ — მაჯის —
არა იყოს რო...
ვერც გაიგებ,
როგორ გადის —
ეს უდროო
დრო!

* * *

შვილიშვილი ისეთი „ნუგბარი" ყოფილა, რომ ერთი „შვილის" სიყვარული არ ეყო და „ორჯერ შვილის" — შვილიშვილის სახელი დავარქვით!

*ტომ ხდება?*

*ლამისაა, დანიის პრინცის პოზა მ ი ვ ი ღ ო, დავეფიქრდე ყოფნა-არყოფნაზე და ვთქვა, რომ დღეს „ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ამ ქვეყანაზე", რომელსაც ჯერ ახსნა არა აქვს.*

*ხვალე ხვალისას იტყვის.*

*რეიგანის მოსკოვში ყოფნისას წარმოთქმულ სიტყვებს შეგახსენებთ, — მე არ ვიცი ბევრი საზიზღარი და ბევრი საშინელი მმართველობის სისტემა, ვიდრე დემოკრატიაა, მაგრამ არც ამაზე უკეთესი ვიცი!*

*მიცვალებული ჩვენებას იძლევა!*

*მორგში ახალგაზრდა ქალი მიიყვანეს. იგი ვიღაცამ საკუთარ სახლში დაახრჩო (მეგობრის თანდასწრებით). პათოლოგანატომმა მოკლულს თავზე ელექტროდები დაამაგრა და მას სადენი მიუერთა. ამის შემდეგ ბრაუნმა ელექტროდები ოსცილოგრაფს მიუერთა და დაიწ-*

* * *

ერთმა იუდეველმა ებრაული ჭკუით ახსნა ეს სიყვარული:
შეილიშეილი ასე იმიტომ მიყვარს, რომ ჩემი მტრის მტერიაო!
— შენი მტერი ვიღააო?
— ჩემი შვილიო, — უპასუხა!

* * *

ხარფუხელი სოსო გრიშაშვილიევით, თბილისის მეტრფე, ფერმკრთალი ფერთა დედოფალი ელენე ახვლედიანი, დილის სიფთაზე, აივანზე გამოსულა ავადმყოფი და უთქვამს:
„რა მშვენიერია თბილისი...
მე კი, მგონი, მივდივარ!.."
სად, ქალბატონო ელიჩკა?
საით გაგინევიათ?..
ან ვინ გაგიშვებთ?
არც მოსვლა იყო თქვენი ნება და არც წასვლაა.
თბილისია თქვენი მარადისობა!

* * *

ჩვენი ეზოს აკაკის ხე და ჩემი შევერცხლილი ჭაღარა კაი ხანია, ელის იმ მერცხლებს, რომელსაც გაზაფხული მოჰყავთ ან გაზაფხულს მოჰყვებიან. ასევე, ამ ფრთისა და ფართის უფლებით, გულში მყავს ჩაწერილი „შავ სმოკინგებში" გამოწყობილი შაშვები, რომლებიც გაფრინდნენ და აღარ მოფრინდნენ! ან კი ასეთ სროლასა და ბათქაბუთქში რა გააჩერებდათ?

აღარც შაშვების გალობა ისმის — ჩიტთა ორკესტრის უკვდავი ფუგა...
ჩემი თბილისი (მისი თილისმით), ეს გაზაფხული — რამ გადაბუგა?..
აღარ მოფრინდნენ წლეულს მერცხლები და გაზაფხული აღარ გვახარეს,
ნამცეცებით და თვალის ცეცებით სხვა გაზაფხული ნახეს სხვა მხარეს.
გაფრინდი, ჩემო შავო მერცხალო და თავს უშველე, მთებში ნისლია....
წადი, ეძებე სხვაგან ცხრაწყარო, აქ, ქვებს კი არა — ტყვიებს ისვრიან!
და მოციქულობს შავი მიქელი, მისი უკვდავი სიკვდილის ცელით,
არ ჭირდებაო ქართველს სხვა მტერი — საკუთარ თავსა, საკუთარ
ხელით...
ვიკლავთ, ვახარებთ სამარის ჭიას — ძმობისას ვჭამთ და მტრობისა
გვშია...
...კაი ამბავი, ოქროს ნისკარტი, ჩიტო — ჩიტური დისკანტით გვამცნე —
უსიხარულოდ, უგაზაფხულოდ — სანამდე გაძლებთ — მანამდე გაძლეთ!

## ანდერძი

ვინც მოყვარეს მოუკეტავს სახლისა და გულის კარებს,
ვინც დაიდგამს თავზე რქებს და რქანითელს კი დააძმარებს,
ქვეყნის ავ-კარგს ზურგს შეაქცევს და დახუჭავს მასზე თვალებს —
ვერ მოიხდის კაცურ ვალს და არც ღმერთი არ გაახარებს!

* * *

სად თვალთა არე და სად გულის თვალსაწიერი? –
თვალის მიერი – იქეთ, აქეთ – გულისმიერი.
თვალის იერი – იქა და აქ – გულისხმიერი,
აქ – წამიერი, იქ – მრავალ... მრავალჟამიერი!
როს გული მღერის, ყელყელაობს როცა ხმოსანი,
როს სიტყვას იტყვის პოეზიის გვირგვინოსანი...
უზენაესი არის მაშინ თვით ის „ფრთოსანი“, –
ღმერთთან შენობით ლაპარაკობს მხოლოდ მგოსანი!

* * *

კუს ტბის რკალი –
კუს ტბის წყალი –
წრეგასული ფიქრის ზღვარი –
წრე შინა და გარეწარი –
ქალი-კაცი, კაცი-ქალი...
აქ – სიბერეს გავურბივართ,
წლები მოგვდევს ძუ მგელივით –
ტბაში – ტბურად, ოყლში ვცურავთ –
ვიწურებით ღრუბელივით.
კუს ტბაზე ვარ – ცხადში ვარ და
თავი სიზმარს მივანებე...
ტბის სარკეზე – მზის სხივები
ჩიტებივით ფრთხიალებენ...
კუს ნაბიჯით იპარება
ბაჯაღლო მზე ცხრა მთას იქეთ...
მგლის ნაბიჯით მიაბიჯებს...
ნურც მიქებთ და ნურც მიგინებთ –
ზამთარს!
კარს რომ მოგვადგომია –
ღმერთმა იცის, რას გვიპირებს,
კარგ ახალ წელს გაგვითენებს
თუ კელავ თავბედს გვაწყევლინებს?
ჯერ კი...
ცხრა პირსა ტყავს გვაძრობს,
ცხრათვალა მზე სხივებს გვაჩენს...
შავსა და თეთრს გააშავებს და
თეთრსა და შავს ველარ არჩევს!

* * *

2006 წლის 3 ივნისს ჩემს უმრწემეს შვილიშვილს, — ანას 2 წელი შეუსრულდა... იგი ბოლოდან პირველია ჩემს ხუთვარსკვლავიან სათოვლისბაბუეთში და ჯერჯერობით, სწორედ, ანასთან თავდება ჩემი შთამომავლობის „ანა-ბანა“.

4 დღის შემდეგ, 7 ივნისს, 4 წელი შეუსრულდა

*ყო უჩვეულო დაკითხვა. პათოლოგანატომი ხმამაღლა და გარკვევით ასახელებდა მოკლულის ნაცნობი მამაკაცების სახელებს და გვარებს... ოსცილოგრაფმა კი იმპულსური რეაგირება მაშინ მოახდინა, როცა ბრაუნმა ქალის ქმრის სახელი წარმოთქვა.*

***P.S.*** *მკვლელები თუ ალაპარაკდნენ – ცოცხლებს რაღა ექნებათ სალაპარაკო!*

*...გოგოლა ფირცხალავას იმპროვიზებული მთიულური (პირში ხანჯლით) ერთ რამედ ღირდა!*

*ვინ იფიქრებდა, რომ ეს სიცოცხლითა და ნიჭით სავსე კაცი სიცოცხლეზე ხელს აიღებდა და საკუთარ სახლზე ჩამოიხრჩობდა თავს?!*

*სილუეტები ათასწლეულების!*

*(პირმშვენიერი ასულის გამეფება)*

*ქვეყანა რწმენით და იმედით შეხვდა სამეფო ტახტზე ქალის ასვლას. დარბაზის გადაწყვეტილებით, ხელახლა უნდა ჩატარებულიყო მეფედ კურთხევის*

მეორე ქალბატონს — ჩემს „წმინდა ელენეს", რომელიც, რუსქართველა დედ-მამის გამო, „არაჩვეულებრივი გამოჟენის" გლაშასი არ იყოს, თოვლივით „ტეტრი, ტეტრი" დაიბადა, ფეხები სულ უცეკვავს და ახლავე ჰგავს პლისეცკაიას, „ასეც კაია— ისეც კაიაო" — ქართველებმა რომ მიარითმეს.

ჰოდა, ამ ჩემს მეორედ მოსვლისა და შვილიშვილებში (ისიც ქალად) „რეინკარნაციის" დღეებში, თუ სხვა რამ, და ისიც, ისეთი არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი სატელევიზიო განცხადება თუ მიიპყრობდა ჩემს ყურადღებას, რავა მეგონა???

იცვლება დრო, იცვლება ღირებულებები და ვიცვლებით ჩვენც!

7 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტელევიზიით გამოგვიცხადა, რომ თბილისში ბულტერიერის ჯიშის უჯიშო ძაღლის მიერ 8 დაკბენილის მიუხედავად, თუ ვინმე შემთხვევით ქუჩაში გადააწყდება ამ კავშა, ანუ თეთრგულა რუხი ფერის ცოფიან ძაღლს (ცისფერი ეკრანით გვიჩვენეს), უკიდურესი ზომების მაგივრად, მიმართოს ქალაქის მერიის შესაბამის სამსახურებს, რათა მათ (თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში) იმოქმედონ და შესაბამის სამსახურებს დაავალონ — მიიღონ შესაბამისი ღონისძიებები!

ცოფიანი ძაღლებისადმი ასეთმა ადმინისტრაციულმა „კდემამოსილებამ" გამაცოფა. ძაღლებისადმი ასე ადამიანური და ადამიანებისადმი ასე ძაღლური დამოკიდებულება ჯერ არც გამიგონია!

* * *

„ლ.ს." 28.07.06.

ამასწინათ სახელგანთქმულმა ფრანგმა მსახიობმა ალენ დელონმა თქვა: დეპრესიაში ვიყავი, არაფერი მშველოდა, ამ დროს ვაჟა-ფშაველას ტომი ჩამივარდა ხელთ, წავიკითხე და გუნება გამომიკეთდაო.

P.S. მთის არწივის — ვაჟას ლექსს — მთის ძალა აქვს და მთებს გადაგადგმევინებს!

9X9 მთას გადასწვდა მისი სიტყვა! საიდან სადაო?

ხომ ხედავთ, საიდანაც?!

„ალენ" პალინდრომია და უკუღმა „ნელა"-დ იკითხება.

ჰოდა, ასე ნელ-ნელა იპყრობს მსოფლიოს მარადიული ვაჟი - ვაჟა!

* * *

პაელე რაზიკაშვილო, მამაღმერთის მსახურს... მამა შენ გრქმევია და მამობა შენ გცოდნია!

ქალო, გულქანო! დედა შენ ყოფილხარ და შვილი შენ გაგიზრდია!

როგორ გინდა, ფაქტს თვალი გაუსწორო. ვაჟა, ფაქტობრივად, შიმშილით მომკვდარა. ბედისწერამ არც მისი შვილი დაინდო. პოეტის ვაჟი, ლევან რაზიკაშვილი — ჭკვიანი და მოხდენილი ვაჟკაცი — ეროვნულ გმირთან — ქაქუცა ჩოლოყაშვილთან თანამშრომლობისა და „კონტრრევოლუციური საქმიანობის" ბრალდებით დაიჭირეს და 1923 წლის 16 თებერვალს დახვრიტეს. დახვრეტამდე რამდენიმე დღით ადრე, ქართველი მწერლები მისულან ამიერკავკასიის კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივანთან — სერგო ორჯონიკიძესთან და უთხოვიათ,

---

*ჯერ კენჭისყრებია, მერე გულყრები!*

*ერლომ ახვლედიანი: გურამ რჩეულიშვილს აქვს ნათქვამი: „დამალეთ ეს ქვეყანა, როგორც ექთიმემ გადამალა საქართველო საფრანგეთშიო".*

ვაჟას შვილია, ნუ დახვრეტთო. ორჯონიკიძეს უთქვამს: „შვილს კი არა, თვით ვაჟა-ფშაველაც რომ ცოცხალი იყოს, იმასაც დავხვრეტდიო". მარტო ეს ცოდვა ეყოფოდა, ღმერთის გასანწყრომად!

და კიდეც გაუნწყრათ!

* * *

რატი ამაღლობელი:

აღარ წნდებიან სიტყვები — ნაცელად,
საჰყარო ისმის ყმუილით მუნჯის,
რას იტყვის კაცი და რა თქვას კაცმა,
როდესაც თვითონ სიტყვასაც უჭირს.
P.S. კალამიც უჭირს... კალამსაც უჭირს,
როცა დრო არის თვალების ხუჭვის.
თუ სამართალმა პური ვერ ჭამა —
ბუყბუყი მუცლის — სიტყვა კუჭის!
ანუ მუცლის გვრემაც ხმის ამოღების, სიტყვის თავისუფლებაა!

* * *

თამარ ნანუაშვილი: „ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი საზომი — დალმავალი მრუდია", — გულისტკივილით აღნიშნავს მწერალი აკაკი ჯორჯაძე (რომ არ თქვან, „ცემა გემართებს გამზრდელისაო"). „დალმავალი მრუდი" კი საქართველოს ხვალინდელი დღის არ-გათენების მაცნეა.

* * *

250 ათასი ღატაკი ოჯახია, თურმე, საქართველოში (თუ ტელევიზორი ან მაცივარი უდგას სახლში, ოჯახი ღარიბად არ ითვლება).

P.S. ჩვენში ისიცაა ნათქვამი, რომ „თუ შენი თავი თან გახლავს ღარიბად არ იხსენები", მაგრამ ეს ალბათ ეკონომიკის სფეროს არ განეკუთვნება.

* * *

უდარდელო სადარდელო!
ეღგევარ, ზურგის ქართ ველი —
უბედური საქართველო! —
ბედნიერი ქართველი?

* * *

საქაოშიც საიქიოს თვალით ვუყურებ საქაოს!

* * *

ოჯახური ეპიზოდი.
ჩემმა შვილიშვილმა დათუნამ დაუსტვინა...

ცერემონია. წესი-სამებრ, დასავლეთ საქართველოს დიდებულებს ევალებოდათ მოეკაზმათ სამეფო ინსიგნიებით (სკიპტრა, გვირგვინი, ხმალი) დიდებული მეფექალი. ეს რიტუალი დიდებულმა ვარდანისძეებმა, სლორისძეებმა და ამანელისძეებმა აღასრულეს მშვიდობიანად... თუმცა კი საფრთხემ თავიდანვე იჩინა თავი — სახელოვანი და სახელგანთქმული გვარების დიდებულებმა თამარის მამის ალზევებულ „ჭვარ-ჯილავო" და „უჯიმო" უმაღლეს მოხელეებზე მიიტანეს იერიში — ყუღ-არ ჭგურობდნენ ნაყივჩაღარი ყუბასარის მანდატურთუხუცესობას და ამირსპასალარობას; ვერც „აზნაურის ნაყმევი" აფრიდონის მსახურთუხუცესობას. ჰოდა, დაჰყვა თამარი დიდებულთა ნებას. და ატყდა ერთი ჩოჩქოლი მათ ადგილთა დასაკავებლად.

ყუთლუ-არსლანი მოთავეობდა „რეფორმებს". იგი მოლნეულს აღარ დასჯერდა და იმ დროისთვის არგაგონილი მოთხოვნით გამოვიდა თავის მომხრეთა დასთან

არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით.

— ნუ უსტვენ, უფულობა იცის, — ახლა მე „დავუსტვინე" ჩემი ცრუმორწმუნეობით.

— საიდან იცი? — მომთხოვა პასუხი და თვითონვე მომაშველა ცნობა:

— მართალი ხარ, ბაბუ... ვის უნახავს ფულიანი ჩიტი.

როგორია?

* * *

დოდო გუგეშაშვილი ჩემთვის ძვირფასი ადამიანია. ხშირად იგი დიდი კამათის საგანიც გამხდარა, მაგრამ მასზე ცუდს ვერავინ იტყვის, არც იმის მეშინია, ქებით გავაფუჭო! საერთოდ, ნაგებულ ომში მებრძოლ ჯარისკაცს არ აქებენ, დოდო გუგეშაშვილი, ამ შემთხვევაში, გამონაკლისს წარმოადგენს. ქართველებს გმირი, გამორჩეული ქალები ოდითგან გვყავდა: თინა ნავკისელი, მაია წყნეთელი, თინა ვაშლოვნელი... იმ დიდებულ ქალთა აკორდი — დო, რე, მი... დო-დან იწყება და მეც დოდოთი დავიწყებ!.

დღეს, კაცებს ქალს ადარებენ, ქალი — ქალს თხოულობს, კაცი — კაცს.. როცა იტყვი, რომ დოდო ვაჟკაცური ქალია. ეს ნაღდი ეპითეტია, რადგან კაცს არაფრის გეშინია, იცი, რომ გვერდით დედაკაცი გიდგას. ილია ჭავჭავაძემ, ქალს, პატივისცემის ნიშნად, დედაქალი კი არა, დედაკაცი უწოდა! დოდო გუგეშაშვილი ერთგულების, პატიოსნების, სამშობლოს სიყვარულის ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონია. ომის დროს, წინა ხაზზე, მუდმივად ტყვიაზე იყო მიშვერილი. მახსოვს. აფხაზებს, მის მოსაშორებლად, სნაიპერებისათვის დიდი თანხები ჰქონდათ დანესებული.

ღმერთმა გადაარჩინა!

ციხეც გამოცდა იყო მისი. ვაჟკაცურად გადაიტანა.

ჩვენი წინაპრები ვინმეს სადიდებელს როცა ამბობდნენ, ჯარშიც ნამყოფია, ციხეშიცო — ნათქვამს განამტკიცებდნენ. ადრე, პიატიგორსკის ერთ-ერთ გაზეთში, აფხაზეთის ომში მებრძოლი ჩეჩენი ჯარისკაცის აღსარება ნავიკითხე: ქართველები ძლიერი მეომრები, გმირები არიანო — სულ მათ ქება-დიდებას ვისმენდი, მაგრამ ამ ომში რაც ვნახე... ეს ასე არ იყოო...

მადლობა ღმერთს, დოდო გუგეშაშვილი და კიდევ რამდენიმე მებრძოლი მაინც საამაყო სახსენებლად გვყავს. ხშირად, ჩვენი ქალები დღედაღამ სარკის წინ ტრიალებენ, ქალბატონი დოდოს... სარკე მტრის თვალებია.

სანამ საქართველო არ დანყნარდება, დოდო გუგეშაშვილს წყნარი ცხოვრება არ უნერია.

გალაკტიონს კარგად აქვს ნათქვამი: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია..." დოდოც სწორედ ის ქალია, რომელიც დგას იქ, სადაც ქარიშხალია.

**მემორიალური ჟურნალი „რაჭა" N 2.**

* * *

მეფის საზანდარს, ტფილისელ ხელოსანსა და აშუღს, არუთინ საიათნოვას, რომელიც სარწმუნოებისათვის ენამა — სპარსელებისაგან ღვთისმშობლის ხატთან აკუწვა ელოდა.

ფეიქარო, სიტყვის ქარი იყავ...
ლექსიც მტკვარის კალაპოტით მიგყავს,
ღმერთმა იცის, აპირებდი რის თქმას —
ხალიჩაზე უკეთ ქსოვდი რითმას.

* * *

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II 2005 წლის სააღდგომო ეპისტოლედან:

„თავისთავად სიმდიდრე ცოდვა არ არის, თუ იგი გამოყენებული იქნება გონიერული და არა მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის...

...მამულის მსახურება ჭეშმარიტი რწმენის ერთ-ერთი უმთავრესი ღვაწლია. ეკლესიისაგან სწორედ ამ ნიშნით არიან წმინდანებად შერაცხილნი: ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული, ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვანი... „პოსტიმპერიულ საზოგადოებებს, ხშირ შემთხვევებში, უჩნდებათ არასრულფასოვნების განცდა, რაც მათ, დამოუკიდებლობის მოპოვების ნაცვლად, ხშირად, ახალი „კეთილი" ბატონის ძიებისაკენ უბიძგებს...

უნდა შეიკრას ჯაჭვი — მე, შენ, ჩვენ — ერთმანეთისათვის და საქართველოსათვის...

ერთმანეთის სიმძიმე უნდა ვიტვირთოთ და ისე აღვასრულოთ სჯული იგი ქრისტესი".

ლოცვა: „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრო, მამულო ჩვენო, უფლის კვართის მადლით სვეტად ცხოველად გამოჩინებულო, ჰე, ერო ჩემო, ანდრია პირველწოდებულის და სხვა მოციქულთა მიერ კურთხეულო და წმინდა ნინოს ქადაგებითა და ვაზის ჯვრის ძალით მადლმოსილო.

მრავალტანჯულო საქართველოვ, ურიცხვ მონამეთა ცრემლით და სისხლით განბანილო.

გმირთა სამკვიდროვ, არ იყო შენთვის უცხო ღალატიც, ვიყავით და ვართ ბრძენნიც და უგუნურნიც, შეურაცხყოფილნიც და განლაღებულნიც, ცოდვით დამძიმებულნიც და სინანულით დამდაბლებულნიც...

ჰე, უფალო, გევედრებით, კვლავაც აღხოცე ცოდვები ჩვენი მენამული და განგვესპეტაკე, ვითარცა თოვლი; შენია ცანი და ქვეყანა, შენა ხარ ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული ყოვლისა, შეგივრდებით და გთხოვთ, გაგვხადე ღირსი შენი მეუფებისა.. შენი ვართ, გვაცხოვნე ჩვენ, ამინ! ქრისტე აღსდგა!"

* * *

უძაღლო ქვეყნის
ძაღლობის გამო...
კატის კნუტიც კი
ლომობას ლამობს!

❖❖❖

ერთად — მეფის სასახლის გვერდით ისანში საგანგებო სასახლე, „ისნის კარავი" შეიქმნას და. სწორედ ამ კარავმა გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი — მიიღოს კანონები, გასცეს წყალობა და გადაუწყვიტოს შერისხვა... ეს გაუგონარი კადნიერება გახლდათ, რითაც იზღუდებოდა მეფის უფლებანი. თანაც, ამ მოთხოვნას „ისრაილის ჯვარუნიც" ამაგრებდა.

პირველად აქ გამოჩნდა „სამზის სანუკრელი თამარის" გონიერება. საომრად გამზადებულ მოქიშპეთ მათთვის სრულიად მოულოდნელი „სვლა" შესთავაზა: მოსალაპარაკებლად გაგზავნა კეთილშობილი და უხუცესები მანდილოსნები — ქართლის ერისთავთ-ერისთავის, რატის დედა ხუაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი. სწორედ მათ მოახერხეს ამბოხებულთა დამშვიდება. თამარმა კი აღუთქვა სამეფო დარბაზის უფლებათა გაფართოება — უმნიშვნელოვანეს საკითხებს „დარბაზის თანადგომით და ერთნებობით" გადაწყვეტდა...

...მამქრის იმი!

* * *

გალაკტიონს დაუბარებია: „მე რომ მოვკვდები, სამტრედიას „საგალაკტიონო" დაერქვასო, რაზედაც ერთი, ჩემი აზრით, ჭკვიანი კაცი, ბრძანებს (გვარს არ ვასახელებ, დღეს ის ისედაც ყველას პირზე აკერია): „სისულელე გალაკტიონსაც უთქვამსო"... თუმცა, იქვე აღიარებს: „მეც „ბევრი შეცდომა მაქვს დაშვებული და სისულელეც მითქვამს, მაგრამ ამაშიც არის კანონზომიერებაო"!

აგაშენა ღმერთმა! უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონზომიერება გალაკტიონის „სისულელეშიც" არაა ძნელი აღმოსაჩენი, რადგან: *„მთელ გალაკტიკას ზიდავდა გალა, მარა... საკუთარ თავის ზიდვისათვის... — არ ეყო ძალა!"* თუმცა, ამ ბანცალ-ბანცალში ფეხი უფრო ერეოდა, ვიდრე ჭკუა.

„სამტრედია, სამტრედია, მუდამ მზიანო...

ქუთაის-სამტრედიის შოსეზე, გოგისვანიძეების რესტორანში, გვეგებება ერთი ჯიგრის ყაურმა სიმღერა, და იმერეთის „ვენეციისაკენ" მნვანეს გვინთებს!

...ტოპონიმი ტოპონიმად, მაგრამ ღმერთმანი, არც კი ვიცი — იმ სამტრედიისთვის უფრო დიდი პატივია ამ ჭყვიშელი კაცის სახელი თუ, ამ პირველისთვის — ის უკანასკნელი... „შერეკილებისა" არ იყოს, ერთ ჩიტოგერიტო — სამტრედიას კი არა, ლამის მთელ სამყაროს უხდება სახელი — გალაქტიკა, რომელსაც დიდი არაფერი უკლია გალაკტიონამდე!

* * *

ფრანგმა არქეოლოგებმა ისრაელში იესო ქრისტეს ძმის საფლავი აღმოაჩინეს.

მეცნიერები, ამ დასკვნამდე, განსასვენებელზე ნაპოვნმა ძველ არამეულ ენაზე გაკეთებულმა წარწერამ მიიყვანა, რომელიც მასში მოთავსებულ მიცვალებულის ვინაობაზე მიუთითებს: „იაკობი — შვილი იოსების, ძმა იესოსი".

არქეოლოგ ლემერის აზრით, ნაპოვნი სამარხი დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის 63 წელს განეკუთვნება, რაც სრულიად ემთხვევა ბიბლიაში მოყვანილ ფაქტებს.

გაზ. „ვერსია" 3.XI.2002.

## გურამ ასათიანი ლადო ასათიანზე!

პოეტის სული — თაობის სარკეა. ყურს უგდებ მის ხმას. ისევ გესმის ეს გულითადი ძახილი: „ჰეი, ძმობილო, შეხედე. რამდენი ყაყაჩო გაშლილა", კიდევ უფრო მწვავედ და აშკარად გრძნობ. რა კარგი ბიჭები დადიოდნენ შენამდე ქართლის გზებზე. რა ცოტა ყოფნიდათ ბედნიერებისთვის.

თუ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა მის მიერ განცდილი ჭეშმარიტი სიყვარულის დღეებით განიზომება, როგორც ამას უაილდის მიერ უკვდავყოფილი ერთი აღმოსავლური თქმულება გვაუწყებს, მაშინ პოეტის ცხოვრება არც ისე ხანმოკლე ყოფილა.

„...რა ვაჟკაცი ხარ და რა ქართველი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე —
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს.
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს!"

P.S. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ სტრიქონებზე დღევანდელი ოცდაექვსი წლის ქართველი ბიჭები?

* * *

ალექსანდრე მაკედონელმა სიკვდილის წინ ანდერძი დატოვა: აკლდამაში ისე ჩაესვენებინათ, რომ ადამიანებს მისი გაშლილი მარჯვენა დაენახათ. ამ ხელით მას ნახევარი მსოფლიო ეპყრა. სიკვდილის შემდეგ კი ვერაფრის ნაღება შეძლო:

არაფრიდან მოვედით...

ყველაფრიდან მივდივართ...
ყოფნა-არყოფნისაკენ –
გადებული ხიდი ვართ!
ერთადერთი ქონება –
თეალის დახუჭე-ახელით...
რაც არ აიწონება –
სახელია, სახელი!

ლია როსიშვილი

## პეიზაჟი

რა შეუწნდათ მაინც ღრუბელ-მხატვრებს,
მიწა ლამის გაახეიონ შარში!
ქრება, ისევ იხატება ცაზე –
წუთისოფლის მეგობრული შარჟი.

## ვერნისაჟი

დღე მიდის და ღამე მოდის ცელაზე –
მზე ჩადის და მთვარეს უთმობს ადგილს –
ვარსკვლავები ინთებიან ცაზე –
და შავ-თეთრი ეს ცხოვრება გადის...

* * *

ჩემო საყვარელო მამა — გიზო!

გილოცავ 75 წლის იუბილეს, იცოცხლე მხნედ, დიდხანს, რადგან დიდხანს ენდომები ოჯახსაც და ქვეყანასაც. თუ იუბილეზე ვერ ჩამოვედი, მომდევნო იუბილეს შენთან ერთად გავატარებ, გპირდები.

მე ყოველთვის ვცდილობდი, მომებაძა შენთვის, ახლა კი ქრისტეს მინდა მივბაძო და ეს არის ბიბლიური, რადგან მამაღმერთი არის ჩვენი უპირველესი მეგობარი. მე ვფიქრობ ჩვენს სიახლოვეზე და იმ კარგ დროებზე, რაც ერთად გადაგვხდა და მადლობას ვწირავ ღმერთს იმისათვის, რომ შენ ასეთი ხარ, როგორიც გამჩენმა გაგაჩინა.

აბა, შენ იცი, ჯანმრთელობას როგორ გაუფრთხილდები და არ ინერვიულებ არაფერზე.

*„ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლითა მათისათვის და სიმცირისა თქუენისა"... ასეთი იყო ისტორიულად ჩვენი სვებედი – თვით საქართველოს ზეობისა და სიმრავლის დროსაც კი. მცირის მუდამ რიცხემრავალ ლაშქართან გვიწევდა შერკინება...*

*ხალიფას უძლეველობის დროშა მიართვეს თამარ მეფეს. – ფერხთით დაუდეს. თამარმა კი „დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოიღო მალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთისმშობლისასა". – გვაუწყებს უცნობი ავტორი თამარისადმი მიძღვნილ თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი".*

*სახელიანი ბრძოლები და ლაშქრობანი დაუსრულებლივ გრძელდებოდა. განძას გელაქუნი მოჰყვა, მერე ამბერდი, ბიჯნისი, დვინი შემოიერთეს. მოარბიეს ხლათის მაჰარმენთა სახელთნო, არეში, მანასკერტი...*

*„ეკ. პალიერა".*
*16-22.05.2005.*

გკოცნი შენი შვილი, გია ნიშნიანიძე.

პენსილვანია, აშშ,
თებერვალი 13, 2003.

## *ანტონ კილაძეს*

(მადლიერების ლექსი ოსტატს შეგირდისგან, წაკითხული 2004 წლის 31.I. მის საუკუნოვან — ანუ 100 წლისთავზე).

კაცი იყო მშვიდი, სულით, ხორცით დიდი,
ჭიანჭველასავით დიდი ტვირთის მზიდი.
მისი მეტრ-არშინით ვზომავდი და ვჭრიდი,
ვერ ვკარებოდა ეშმაკი და ფლიდი.
მე სხვის უფროსობას რა თავში ვიხლიდი,
ფერებ-ფერებაში შიშის ზარსაც გვერიდი,
დაუსჯელობითაც კიდევ უფრო გესჯიდი,
შენი საცრით გეცრიდი, შენ ჭკუაზე გეზრდიდი,
მუდამ მქონდა და მაქეს შენი ჩრდილის რიდი,
მე შენს სალამ-ქალამს დიდ პატივად ვთლიდი,
მე შენს საწერ-კალამს მუდამ ქედს ვუხრიდი,
მე შენს სადღეგრძელოს სულ ფსკერამდე ვცლიდი
შენთან რასაც ვთვსდით – ორი იმდენს ვმკიდით...
„კაცი-კაცითაო – ღობე სარითაო"...
ვით „ერი და ბერი" – არის სარითმაო.
...რა სიტყვა-პასუხი, ან კილო ან ტონი –
კალმის პატრიარქი, ბატონი ანტონი!"
ღმერთს ებარებოდეს!

## 10 პატიოსანი კაცი ცნობილ იუმორისტ, მსახიობ მზია კვირიკაშვილის მიხედვით!

ქალბატონი მზია თვლის, რომ საქართველოში პატიოსნებას ფასი არ დაუკარგავს და ნაცვლად ათეულისა, გაცილებით მეტი პატიოსანი კაცის დასახელება შეეძლო.

1. გურამ (გაიოზ) ჯავახიშვილი — პატიოსანი კაცის სიმბოლო. იშვიათია, შეხვდეთ ასეთ სუფთა პიროვნებას.

2. უნესიერესი ქართველია გივი ბერიკაშვილი. მასში უარყოფითი, ჯერჯერობით, ვერაფერი ვიპოვე.

3. გულწრფელი პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

4. კახი კავსაძის პატიოსნება საქვეყნოდ ცნობილია.

5. რამაზ ჩხიკვაძისაგან არაერთხელ მომისმენია გულისწუხილი ჩვენი ქვეყნის ბედზე. მას სამართლიან და წესიერ კაცად ვიცნობ.

6. გიზო ნიშნიანიძე — ამ პიროვნებაში სისუფთავესა და ნიჭიერებას ვეთაყვანები.

7. ჯემალ ბაღაშვილი ჩვენს ლუკმაზეც ფიქრობს. ამაზე მეტი პატიოსნება რაღა გინდათ?!

---

*კონსტანტინე გამსახურდია: მთავარი ის კი არ არის, რას სვამ, მთავარია, ვისთან სვამ.*

*აკაკი წერეთელი: სიყმაწვილეშ რომ იცოდეს და სიბერეს რომ შეეძლოს...*

8. პატიოსან კაცთა შორის დიდი სიამოვნებით დავასახელებ ალექსანდრე ბასილაიას.

9. თამრიკო ჭოხონელიძე ისეთ ოჯახშია გაზრდილი, შეუძლებელია, ნესიერი ქართველი ქალბატონი არ გამოსულიყო.

10. ნესიერ ახალგაზრდა ქართველად ვთვლი გიორგი კანდელაკს.

რუბრიკას უძღვება ნატო ფოცხიშვილი

P.S. მიუხედავად იმისა, რომ მზია კვირიკაშვილი ცნობილი იუმორისტია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი ამ შემთხვევაში... არ ხუმრობს— თუმცა, ნათქვამია: იმერელის ხუმრობა... ნახევარი მართალიაო! ისე, ამ უპატიოსნო დროში, მართალი გითხრათ, პატიოსნებაზე რომ თავი დადო... ათი თავი უნდა გქონდეს კაცს (მით უფრო, ქალს)!

* * *

პოეტი ომარ ხაიამი, რომელიც, ამავე დროს, მათემატიკოსი, ასტროლოგი, ფილოსოფოსი და ექიმიც გახლდათ, ასტრონატუროპათიული მიდგომით ფიქრობდა, რომ ყოველგვარი სენის განკურნება სულის განკურნებით უნდა იწყებოდეს.

* * *

ამას წინათ, შვილიშვილობიდან შვილად ქცეული დათუნა ნიშნიანიძის დღიური ვიპოვე და მიუხედავად იმისა, რომ სხვისი წერილების კითხვა არც ისე პატიოსან საქმედ ითვლება, ერთი „თვალი პატიოსანი" მაინც გადავავლე მის გულში ჩასახედად.

6 წლის დათუნა ნიშნიანიძის აღსარება!

1. ხანდახან ცუდ სიტყვებს ვამბობ.

2. უფროსებს არ ვუჯერებ.

3. ერთხელ ნათქვამი არ მესმის.

4. რაღაც უზრდელობა ჩავიდინე ბებიასთან და ბაბუასთან.

5. ცუდი აზრები მომდის თავში.

6. მე კარგ რაღაცეებსაც ვაკეთებ.

1999.

P.S. ღმერთო, აპატიე! ჩვენგან კი ნაპატიებია და ეს არის... 20 კილოს ინონის!

ეს ალალი აღსარების კილოც ხომ რაღაცად ღირს!

* * *

***ციკლიდან: პირველი სტრიქონი! „პოეზია, უპირველეს ყოვლისა!“***

**დათო ნიშნიანიძე:**

მე გავაღე პირი,
ამომიღეს კბილი,

*შემდგომ იყო ბასიანი...*

*XIII საუკუნის პირველი წლებია. თამარის ბრძნული პოლიტიკით, რომელიც ნაზავი გახლდათ სიძლიერის, სიმტკიცის, სათნოებისა და შემწყნარებლობისა, კიდევ უფრო შორს განიტყორცნა საქართველოს სახელი და დიდება.*

*შამქორის ბრძოლიდან შვიდი წელი გასულიყო. ამ ხნის მანძილზე, ქართველებმა სამხრეთით თურქებს მრავალი ქალაქი და ციხე წაართვეს. ზოგი შემოიერთეს, ზოგის ყმადნაფიცობას დასჯერდნენ.*

*თურქების სასულთნო-საამიროები და სრულიად მუსლიმანური სამყარო კვლავ განემზადა საქართველოს წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობისთვის. მოთავე რუმის სასულთნო გახლდათ (სულთანი რუქნადინი). ისტორიულ წყაროებსა თუ ლიტერატურულ თხზულებებში მრავალჯერ აღწერილა ყველა ქართველისთვის საამაყო ბასიანის ბრძოლა. 400-ათასიანი ლაშქარი*

პოდა, აღარ ვყვირი,
პოდა, აღარც ვტირი.

13.10.2003.

**ვახუშტი კოტეტიშვილი**

ჩემს თავს ვუთხარ: გამაგრდი,
ნურაფერზე ნაღელობ,
კოჭლობით არ მოკვდები,
ქალაქელო ძაღლო!
P.S. კოჭლობით კაცს რა მოკლავს,
მთაწმინდაზე სახლობ...
მტერო, შენ ვილას უყევ –
ძაღლო-მამაძაღლო!
მე შენი ვახუშტური,
მირჩევნია სხვის ხუშტურს
და უგულო გულებში
მე გიგულებ, ვით უშგულს!

* * *

**ჯუმბერ თითმერია: (აფსუს, ამ კაცთან მეგობრობა ვერ მოვასწარი! — გ.ნ.)**

ირაკლი აბაშიძე მკითხველებს შეახსენებს 1990 წლის სააღდგომო ეპისტოლეში, სულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მიერ თქმულ სიტყვებს: „დადგა დრო უფროსი თაობის ჯერ არნახული, დაუნდობელი ლანძღვისა იმ საბაბით, თითქოს მათ დაღუპეს საქართველო... საკითხავი ისიცაა — მათ ადგილას, განა, ჩვენ უკეთესნი ვიქნებოდით? გავუძლებდით იმ წლების სიმძიმეს?"

„ლ.ს." 30.01.04.

* * *

იაპონელ ექიმთა ჯგუფმა უჩვეულო ექსპერიმენტი ჩაატარა: მათ საშუალო და ხანდაზმული ასაკის 20 დიაბეტიანი კომიკურ სპექტაკლზე მიიწვიეს, რომელშიც ცნობილი მსახიობები მონაწილეობდნენ.

სპექტაკლის შემდეგ: ავადმყოფებს მაშინვე გაუზომეს სისხლში შაქრის შემცველობა. წინა დღეს, როდესაც მათ დიაბეტის შესახებ საკმაო ნაღვლიანი ლექცია წაუკითხეს, შაქრის დონე 0,1 ლიტრზე 77 მილიგრამიდან 123 მილიგრამამდე გაიზარდა. სპექტაკლის შემდეგ კი მაჩვენებელი საგრძნობლად დაქვეითდა.

P.S. ტყუილად კი არ ვუძღვენით მე და კომპოზიტორმა ნუნუ დულაშვილმა ჰიმნი სიცილს!

„სიცილით ვინც კვდება... ის დიდხანს ცოცხლობს!
სიცილი უხდება ოსტეოქონდროზს,
ნაღელის ბუშტს და დიაბეტს, ენცეფალო სინდრომს...
სიცილი არც ბაცილა – „ბიცოლებს" ინდობს.
აბა!

*შოთა რუსთაველი: „აწლა ვცან, საქმე სოფლისა, ზღაპარია და ჩმახია..." რუსთაველისგან არ გვიკვირს და სააკაშვილს გამოვეკითხოთ სიტყვაზე: „გააჩმახა" რამ გათქმევინაო?..*

* * *

აფრიკის კონტინენტზე 1000-ზე მეტი სასაუბრო ენა არსებობს.

და, მაინც, შეძლეს საერთო ენის გამონახვა. ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება — ერთ ენაზე ვლაპარაკობთ და საერთო ენა ვერ გვიპოვია!

* * *

სულ ვფიქრობდი, რატომ დაიშალა პრეზიდენტთან არსებული მრჩეველთა საბჭო და მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა წიგნის ბაზარზე გამოჩნდა, ჩემი დროის მე-18 და ახლანდელი 53-ე სკოლის ჰოლანდიელ-ფლანდრიელი რძლის, ვარდების რევოლუციის დედოფლის — სანდრა რულოვსის წიგნი „იდეალისტის ნაამბობი", რომელიც გამოსცა ამსტერდამის გამომცემლობა „არხიპელაგმა", გადმოაქართულა თბილისის გამომცემლობა LINK-მა, ხოლო დასტამბა და აკინძა შპს „სეზანმა"!

შპს — ანუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და პრეზიდენტი ქალბატონ სანდრაზე უკეთეს მრჩეველს ვერც იპოვნის!

### *ლექსპრომტი ქალბატონ სანდრა რულოფსს!*

ცოლობა არის ტოლობა,
ტოლობა არის სწორობა,
ორისა არის ერთობა,
ერთისა არის ორობა!
ცოლ-ქმრობას სხვა აქვს საზომი,
არ იზომება ღონითა:
ცოლი — აწონეთ ქმრითა და
ქმარი აეწონეთ ცოლითა...
თუ გინდა, კაცი იცნო და
მისი ალია ბალია...
ერთი რამ უნდა იცოდე:
კაცის სასწორი — ქალია!

2005.

* * *

სიტყვა-ღმერთის გაღმერთებით სული-გულში
ფეთქავს...
აბა, ისეთს მე რას ვიტყვი — სხვას არავის ეთქვას?
მე თუ ჩემი მაქვს სათქმელი, თეთრია თუ შავი?..
ეძიებდე, ჰპოვებდე და შეიცანი თავი!

შეკრიბა და თამარს თავისი მოციქული აახლა კადნიერი წერილით, რომელშიც სიტყვიერადაც გადასცა სულთნის დანაბარები: „უკეთუ მეფემან თქვენმა დაუტევის სჯული, იპყრას სულთანმან ცოლად და უკეთუ არა დაუტევის სჯული, იყოს ხარჭად სულთნისა".

ითქვა და ამ სიტყვების ბაგეთაგან ამოსვლისთანავე, ზაქარია მხარგრძელმა „უხეთქა ხელით პირს" და ელჩი მკვდარივით დაეცა. მოსულიერების შემდეგ კი მიმართა: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი".

კიდევ უფრო გაძლიერდა სახელი და დიდება იმდროინდელი საქართველოსი. დავით აღმაშენებლის დროს დაწყებული აღმასვლა ქვეყნისა თამარმა დაასრულა. სამწუხაროდ, უდროოდ აღესრულა მისი ლამაზი სიცოცხლეც. ტრადიციული თარიღი თამარის გარდაცვალებისა 1213 წელია. ასახელებენ 1207 და 1210 წლებსაც.

მემატიანემ მზექალის ამა ქვეყ-

* * *

**ვაჟა ყუბუსიძე:**

„სიბერეს რომ არ დაუგეიანდა
არ შეკვეცია ფრთა სულს და სურეილს,
ბედზე წუწუნი აუგია და
გაჩეხილ ტყეში ქნევაა ცულის;
ათმენით ჭირთა და თმენით ტკივილთა,
გემართებს, იმედის ღივი ეახაროთ,
მზეც ჭაბუკია — ყოველ დილით
მოხუცებული — ყოველ საღამოს.
P.S. მზეჭაბუკიდან ბნელ სიბერემდე...
ყოველ დილით და ყოველ საღამოს
წარსული აწმყოს ადღეგრძელებდეს:
დილა ათენოს — ღამე აღამოს!

* * *

*13 თებერვალს ჟურნალისტი და მწერალი გიზო ნიშნიანიძე 77 წლის გახდა, თუმცა იუბილე „შინაურულ წრეშიც" არ აღუნიშნავს, ამის სიტუაცია არ იყო. ისე, იმ „ავადსახსენებელ წლებში", ანუ კომუნისტების დროს, ბატონი გიზო ხელისუფლებას ქარაგმებით მაინც ამათრახებდა და აღიარებს: „შინაგანი ცენზორი" დღესაც მყავსო — ოჯახი! მიუხედავად ამისა, ყველაფერს, რაც ხდება, კარგად ხედავს და, თუ აქამდე მოფერების წიგნებს ვწერდი, ახლა „საჩივრის წიგნი" უნდა დავწეროო, ამბობს.*

*ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, როგორც ისტორია უვიმოწმებს, „მრჩევლები" დღეში სამჯერ შედიოდნენ ფარაონთან და ეუბნებოდნენ, შენ ღმერთი არა ხარ! ახლა კი, ახლანდელ „ფარაონებს"... უნიტაზის გარდა, არავინ ჰყავთ შემხსენებელი, რომ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან!..*

## *გიზო ნიშნიანიძე „საჩივრის წიგნის" წერას იწყებს!*
### *(ინტერვიუ ვანო პაპლიაშვილთან)*

**— ბატონო გიზო, ინტელიგენტი ხართ?**

— (ფიქრობს) ეს სიტყვა არ მიყვარს... ჩვენი დროის ერთი ანეკდოტი გამახსენდა: სოფელში ჩასულ კაცს შემოაღამდა, ქერივს მიადგა და სთხოვა, ღამე გამათევინეო. შინ არავინ მყავს და უხერხულიაო, — უპასუხა ქერივმა. როგორ გეკადრებათ, მე ინტელიგენტი ვარო, — დააიმედა უცნობმა. მოკლედ, ქერივმა კაცი შინ შეუშვა და მთელ ღამეს ელოდა, ან ახლა მოვა ან ახლაო... დილით, უცნობი, ეზოში ჰალტუხის სწორებ-სწორებით გამოვიდა, როცა ქერივი ქათმებს „აპურებდა". რამდენი მამლები გყოლიათო, — გაუკვირდა უცნობს. აქ მამალი მხოლოდ ერთია, დანარჩენები „ინტელიგენტები" არიანო, — მიუგო განაწყენებულმა ქერივმა...

მოკლედ, არ ვიცი, ინტელიგენტობა წოდებაა თუ არა. ისე, ქალაქელზე ამბობენ ხოლმე, ინტელიგენტიაო, მაგრამ ზოგი ქალაქელიც სოფლელადაა დაბადებული... დღეს თბილისს ბევრი მაგინებელი გამოუჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ვერ წარმოვიდგენდი, ბატონი გელა ჩარკვიანი თუ იტყ-

*ანატოლ ფრანსი: კარგია ბევრი ფული. კაცს ბევრი ფული — ბევრი სიკეთის კეთების შანსს აძლევს.*

ოდა, თბილისელი არა ვარო?!

**— მაშასადამე, თქვენი ლოზუნგი — „თბილისელობა პროფესიააო", „გაცვდა"?**

— ეს მე კი არა, გოგლა ლეონიძემ თქვა, მაგრამ ამ ხალხს, ალბათ, ჩემი ნათქვამი ჰგონია და ასე იოლადაც ამიტომ ეკინკლავებიან!.. ისე, თბილისელობა თბილისში დაბადებას სრულიადაც არ ნიშნავს, მთავარია, თბილისს უხდებოდე და თბილისი გიხდებოდეს...

**— სიტყვამ მოიტანა და, თბილისს, თავის დროზე, ქართული სუფრაც ამშვენებდა, თუმცა, ახლა, ვიღაცეები ირწმუნებიან, ქართული სუფრა ჰომოსექსუალისტური აქტიაო..**

— ასეთი რაღაცეების ჩმახვას, ჩვენ დროს თავგასულობას — „ვირი ხეზე ავიდა"-ს ეძახდნენ! თანაც, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნაკითხი და განათლებული კაცი — სულ სხვადასხვაა. ცა და დედამიწაა!..

**მერე, რატომ დუმს გიზო ნიშნიანიძე? ბრძოლა აღარ შეგიძლიათ თუ, უბრალოდ, „მამათა და შვილთა დაპირისპირებას" ერიდებით?**

— „მამათა და შვილთა დაპირისპირება" საქართველოში ყოველთვის იყო, მაგრამ — ანუ შევარდნაძის წინა მთავრობამ ისე გააკეთა, რომ მამები საერთოდ გამოგვეტოვა და ეს დაპირისპირება შვილებისა და ბაბუების პრობლემად აქცია... ბრძოლის ასაკი არასოდეს მთავრდება და ჩემებურად, ახლაც ვიბრძვი, მაგრამ ეს საკმარისი არაა... საბჭოთა კავშირის ხნის ვარ და ჩემში ცენზურა საკმაოდაა გამჯდარი, თუმცა, რაღაცეების თქმას, მაშინაც ვახერხებდით. ახლა, თითქოს, არავინ არაფერს გიშლის, მაგრამ ოჯახი გამუხრუჭებს — ხომ ხედავ, რა დროა და, თავი დაგვანებეო...

**— რა, კომუნისტებზე საშიში დროა? რატომ დუმხართ?**

— ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ „იგავმიუწვდომელი" დროა... მაშინ ზომებს „მთავლიტი" იღებდა, ახლა კი, გაუგებარია, ვინ-ვის და რითი უხდის სამაგიეროს... ვანო, გითხარი, რაღაცას ნამომაცდენინებ და შემეშვი-მეთქი. მართალია, „რაღაც" უკვე ვთქვი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გავიხსნები. მირჩევნია, ყველაფერს დავაკვირდე... „ვაი" გვჭირდა და სანამ „ვუი" დაგვემართება, მაინც იმედით ვარ და ყველაფერს ძველ დროს ვაბრალებ... ერთხელ, ტელევიზიაში, მე და დათო ტურაშვილი ერთმანეთს ისე დაგვატაკეს, როგორც ახალგაზრდა და „ბებერი მგლები". ჰოდა, მაშინ დათომ თქვა, ყველაფერი ჩვენი წინაპრების ბრალიაო. ამას არც მე უარვყოფ, მაგრამ ნიუტონმა თქვა, მამაჩემზე ჭკვიანი იმიტომ ვარ და მასზე შორს იმიტომ ვიხედები, რომ მამაჩემის მხრებზე ვდგავარო! მოკლედ, იცოდეთ, თქვენ მაინც ჩვენს მხრებზე დგახართ!

*ნიდან გარდასვლის განსაცვიფრებელი ამბავი შემოგვინახა. ჯერ ისევ პირმშვენიერსა და ახალგაზრდას მოეძალა ჟუხო სენი. არავის ემხელდა, მარტო ებრძოდა და ერთხანს სძლია კიდეც. ბოლოს კი, როცა იგრძნო აღსასრულის მოახლოება, თამარ მეფემ „არ ინება სიკვდილი სარეცელზე". აგარის სახელმწიფო ციხედარბაზში მყოფი სამეფო ალიკაზმა, ტახტზე დაბრძანდა და შვილნი და დიდებულნი მოიხმო. მერე კი ახე მიმართა მისი ერდაკარგული სახის ხილვით გაოგნებულთ: — მოწამე ხართ, თქვენთვის არაფერი დამიკლია. „ვიდრე განგებისა, ღმერთისათა ვიყავ თქვენ ზედა მეფედ. აწ მეცა წავალ მამათა ჩვენთა თანა გზასა უცხოისა. გევედრები ყოველთა, რათა მარტოს კეთილსა მისა იყვნენ მახსენებელნი ჩემდა. აჰა, ესერა მკვიდრად სახლისა ჩემისა დ ა ვ ი ტ ე ვ ე ნ. შვილნი ჩემნი, გიორგი და რუსუდან... მაგათ აღმოგიკვეთონ დაკლებული ჩემი...*

*შემდგომ ამისა, უფალს შეავედრა*

**— ჰოდა, რაკიღა თქვენს მხრებზე ვდგავართ, რა მაგალითს გვაძლევთ? ჰაგიოგრაფიას „ნაგავზე აგდებენ", სკოლებში „სექსის გაკვეთილების" ჩატარებას აპირებენ და თქვენ, გიზო ნიშნიანიძე, დუმხართ... რას ნიშნავს ეს?**

— (დუმს) ეს იმას ნიშნავს, რომ ამ თაობას, მაპატიეთ და, სწორედ სექსში უჭირს, თორემ ჩვენთვის გოგოების წვივების დანახვაც საკმარისი იყო და უკვე ალმური აგვდიოდა... რა გაქვთ, ბიჭო, ჩვენს თაობასთან სასაყვედურო? ჩვენს დროს კაცებს ვაჟკაცობით ცნობდნენ, ახლა კი, ვინ უნდა დავასახელო, რომ რაღაც უბედურება არ სჭირდეს? მაშინ თბილისში სულ ოთხი ჰომოსექსუალისტი იყო: „პედერასტებს" რომ ეძახიან და ისინიც თავს ვაჟკაცობაზე დებდნენ. რუსთაველმა გვითხრა — „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო" და ახლა, მგონი, სწორედ ეს დროა... წინა ხელისუფლება აუტანელი იყო, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით ასატანია!

**— შეიძლება, მაგრამ ფაქტია, რაღაცეები არ მოგწონთ. ჰოდა, განათლების ან კულტურის მინისტრთან თუ მისულხართ და გითქვამთ, რასაც აკეთებთ, არ ვარგა და სხვანაირად მოიქეცითო?**

— ვანო, პროვოკაციაზე „მაგდებ"... გვარსა და სახელს არ გეტყვი, მაგრამ ერთ-ერთ მინისტრთან სწორედაც რომ მივედი და ვუთხარი, საქართველოს გარეთ უამრავი ქართველი ბავშვია, მათ ვეფხისა და მოყმის ამბავი არ იციან. კომპაქტდისკი გავაკეთოთ — „იავნანამ რა ჰქმნათი", „ჩაკრულოთი", „ვეფხისა და მოყმის ბალადით", სხვა შედევრებითა და „მე პატარა ქართველი ვარ" დავარქვათ-მეთქი, გაეცინა... სხვათა შორის, კაბინეტში ქალი დამახვედრა.

**— რატომ?**

— ვკითხე, რა, მონმედ გყავთ-მეთქი? არა, ნესიაო... გულწრფელად რომ გითხრა, ეს კაცი არც ისე შორებელია, მაგრამ ვანო, რახან შენ ორი სამინისტრო დაასახელე, ზუსტად მაინც არ გეტყვი, სად ვიყავი...

**— არც იმას მეტყვით, უს ვოიაჟი როგორ დამთავრდა?**

— ახლა ამის დრო არ არისო... კუდი ყავარზე გადო... ასე რომ, უმოქმედობას ვერ დამწამებს. ჩემი ასაკისთვის შეუფერებლად აქტიური ვარ, მაგრამ, როცა წყალი იმღვრევა, მერე იწმინდება ხოლმე... რაც ამის წინ ხდებოდა, აშკარად ეშმაკთან თანაზიარობა იყო, ახლა კი, შეიძლება, გამოუცდელობაა... ერთმა ბრძენმა თქვა, სასაცილოა ის ქვეყანა, რომელსაც ბებრები მართავენ და სატირალია ის ქვეყანა, რომელსაც ახალგაზრდები მართავენო. ის ქვეყანა, მართლა სატირალი იყო...

**— სხვათა შორის, ის უფრო საშიშია, როცა ხალხი იცინის...**

— ჰო... ეს ამბავი კი ნამდვილად ჩვენი მოგონილია.

**— რა ამბავი, გიზო ბატონო?**

— ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, მამები ხელს გვიშლიან და მოვიშოროთო. მოიშორეს და, ერთის გარდა, საქმე ყველას ცუდად წაუვიდა. ეს კაცი მერე გამოტყდა, მამაჩემი სარდაფში დავმალე და, როცა მიჭირს... რჩევას ვეკითხებიო?!.. ვანო, ათას რამეს ვფიქრობ, მაგრამ ქარაგმებითაც ვერ ვლაპარაკობ და ალალად გეუბნები, ჩვენი საუბარი არ გამოდის...

**— საქმეც ეგაა, რომ ინტელიგენცია დუმს! არადა, არსებობს მოსაზრება, რომ ერის „მამოძრავებელი ღერძი" სწორედ ინტელიგენ-**

---

*საქმეში ვირი უნდა იყო და არა ვირისშვილი!..*

*იაპონიის პრემიერ-მინისტრმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში ისტორიის წინაშე, მეორე მსოფლიო ომში ამომავალი მზის ქვეყნის — იაპონიის მონაწილეობისა და მის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამო.*

*აი, ამას ჰქვია მსოფლიო ზრდილობა!*

**ციაა... ისე, ამ ფენას ხმა თავიდანვე რომ აემაღლებინა, ალბათ, არც თბილისის ომი მოხდებოდა და ბევრ სხვა უბედურებასაც გადავრჩებოდით, არა?**

— იმაში, რაც მოხდა, დამნაშავე ყველაა და არა მგონია, აქცენტი მარტო ინტელიგენციაზე უნდა გაკეთდეს. თუმცა ჭკუა, ალბათ, კიდევ ვერ ვისნავლეთ. ჩვენ კანონმორჩილი კი არა, უფროსმორჩილი ხალხი ვართ... ერთი ბიზნესმენი ამბობს ხოლმე, ყველა კალთაში ნაჯდომი ქალი კიდევ მისაღებია, მაგრამ ყველა კალთაში ნაჯდომი კაცი ძნელი საგუებელიაო!.. პრინციპში, ინტელიგენცია ერის გონება და სინდისი უნდა იყოს, მაგრამ, ჩემი აზრით, ერის სინდისი უფრო ქართველი გლეხია... ინტელიგენციის უმეტესობა კი, რომ იცოდეთ, თავისი მუცელქორობისთვის, კომპოტსაც არ მოიკლებს!.. საბჭოთა კავშირის დროს პირველ-მეორე კერძს კი არა, მაღაზიებში „საჩივრის ნიგნი" არსებობდა. ჰოდა, აქამდე სიყვარულის ნიგნებს ვნერდი, ახლა კი „საჩივრის ნიგნის" ნერას ვინყებ!

**— ვის „უჩივით"?**

— ჩემგან დანყებული — ყველას... ბოლოს და ბოლოს, ტერენტი გრანელს დაევესესხები: *„შენ დედამინავ, უური მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ. წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?!"* ქართველი კაცი ასეთ ვითარებაში კიდევ რომ არსებობს, ეს მის დიდ გამძლეობასა და ნიჭიერებაზე მეტყველებს, თორემ ამდენ ბოროტებას ვერც ერთი ერი ვერ გაუძლებდა! ვახუშტი ბატონიშვილმაც აღიარა, რომ ქართველები, სამნუხაროდ, ორბუნებოვანი ხალხი ვართ!

**— ტერენტი ახსენეთ და, რა, სიცოცხლე თქვენც მოგბეზრდათ? ისე, რა მაგის პასუხია და — პენსია რამდენი გაქვთ?**

— მე ჯარისკაცულ პენსიას ვიღებ... არც მნერალთა კავშირის ნევრი ვიყავი და არც დამსახურებული ჟურნალისტი, მაგრამ 75 ნლის რომ გავხდი, ორდენებმაც „ინყეს ცვენა"...

**— შეიძლება, მაგრამ „ჯარისკაცული პენსია" რა შუაშია?**

— აფხაზეთის ომის დროს ყარყარაშვილის უფროსი მრჩეველი ვიყავი, თბილისის ომის დროს კი ტყვიაც მომხვდა და მერე ვახტანგ გორგასლის ორდენი მომცეს... პენსიაც საკმაოდ სოლიდური მაქვს.

**— რევოლუციამდე შემოსავალი რამდენი გქონდათ?**

— ჩემს სიბერეზე, ასე თუ ისე, თავიდანვე ვიზრუნე, რომ მათხოვრის მდგომარეობაში არ აღმოვჩენილიყავი.

**— როგორ იზრუნეთ?**

— ბევრი ნიგნი მქონდა გამოცემული... ჰონორარ-

*საქართველო, მერე მოდგმა ადამის, მეფენი და სულ ბოლოს — სული თვისი... მშვიდად დაითხოვა სასახლეში მყოფნი, მარტო დარჩენა ისურვა და ტახტზე მჯდომარემ „დაიძინა ძილით მართალთა"...*

*ი ს ტ ო რ ი უ ლ წყაროებში მრავალგზის აღუწერიათ, გელათის ტაძარში დაკრძალეს თამარიო... თავდაპირველად, მცირე ხნით, მცხეთას დაუსვენებიათ, შემდგომ კი გელათში, სადაც ახლაც არსებობს მისი სახელობის ეკვდერი (ექვთიმე თაყაიშვილს ეს ეკვდერი გაუთხრია, საფლავი კი ცარიელი აღმოჩენილა...). ...ლამის, თამარის დროიდან, მისი გარდაცვალებიდანვე მოდის ლეგენდათა მთელი რიგი და წყება მზეთამზის საიდუმლო დამარხვის შესახებ. ყველაზე ახლოს სინამდვილესთან ფრანგი დებუას წერილი უნდა იყოს, რომელშიც ვკითხულობთ: „მიემართება ძლევამოსილი საქართველოს ქაბუკი მეფე და დედის ცხედარს მიასვენებს. თამარს ანდერძად, იერუსალიმს დამეკრძალე-*

იც აღებული... ბიზნესშიც ეტრიალებდი. ვილაცამ მთხოვა, ლვინის სახელი მომიგონეო და „ალალი" დავარქვათ-მეთქი... ადრე ასეთ რაღაცეებს ამხანაგურად ვაკეთებდი, ახლა კი ამას ბიზნესი ჰქვია...

**— ბატონო გიზო, ამ ქვეყანაში თქვენი უფლებები დაცულია?**

— ჩემი უფლებების დაცვას ჯერჯერობით მე თვითონ ვახერხებ!.. ჩვენ დიდი შეცდომების გამოსწორების დროში ვცხოვრობთ და მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო დიდი შეცდომები დავუშვათ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ცოდნა — უცოდინრობას და განათლება-გაუნათლებლობას აჯობებს! სხვათა შორის, იმ კაცს ჭკუის ნიჭი აშკარად ჰქონდა, მაგრამ ეს იმისთვის არ გამოიყენა, რომ ჩვენ კარგად ვყოფილიყავით.

**— ეს კაცი შევარდნაძეა?**

— არ მინდა, სახელი დავარქვა... ანუ დავაკონკრეტო!

**— ბატონო გიზო, აღიარებთ, რომ რაღაცეების თქმას შინაგანი ცენზორი გიკრძალავთ, მაგრამ ასეთი სიფრთხილე რა საჭიროა?**

— სიბერე, მართლაც, უფრო თამამი უნდა იყოს, მაგრამ, ალბათ, თავი ასეთ სიფრთხილესაც ტკივა... მაგრამ...

**— მდაა... გიზო ბატონო, თქვენი თაობისთვის, მართალია, სამოქალაქო საზოგადოება „უცხო ხილია", მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორ ფიქრობთ, სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლების რეცეპტით უნდა შეიქმნას?**

— (ფიქრობს) რთული კითხვაა... ხელისუფლებამ ბუნებრივ განვითარებას ხელი არ უნდა შეუშალოს... სულ ვამბობ, კარგი იქნება, „თბილისური სახლი" აშენდეს და თბილისური ხასიათები შევინარჩუნოთ-მეთქი. რა, ცუდი იდეაა?

**— ცხადია, არა, მაგრამ რომელ „თბილისურ სახლზე" ლაპარაკობთ, როცა „მშრალ ხიდზე" ანტიკვარებით ვაჭრობა აკრძალეს, არადა, ეს ხომ თბილისის კოლორიტი იყო...**

— ადრე ქალაქი თავის ხატს თვითონ ქმნიდა და მთავრობა არაფერ შუაში იყო... ბევრი რამე გაკეთდა და, ალბათ, კიდევ ბევრი გაკეთდება, მაგრამ აბა, სწორია, მილიარდების მქონე კაცი რომ იძახის, პენსიას ველოდებიო?.. ვანო, ისეთ რაღაცეებს გეტყვი, შეიძლება, გათენება აღარ მოგინდეს!.. დილაობით, ხანდახან, ვფიქრობ ხოლმე, ღირს თუ არა ადგომა... მეც ჟურნალისტი ვარ და მხოლოდ კითხვებით არ ვარ განებივრებული, მაგრამ დღეს იმდენი პასუხი არ არის, რამდენიც კითხვაა და მთელი უბედურებაც ესაა! თუმცა, ამაში ჩვენს შვილებს ვერ დავადანაშაულებ! ისე, ჩემს ჭკუას ასაკი არ აქვს და მთავარი, მაინც სიყვარულია, ზოგჯერ კი ისეთი სპექტაკლები იდგმება, ძალიან უნიჭო უნდა იყო, რომ ვერ მიხვდე, ფინალი როგორი იქნება...

**— ერთი სიტყვით, ბატონო გიზო, გლობალიზაცია და ამერიკანიზაცია მართლა „შეგვჭამს"?**

— საქართველო, ალბათ, ერთ-ერთი კლასიკური ქვეყანაა, რომელსაც გლობალიზაცია „მაგრა" ემუქრება! ორივემ კარგად ვიცით, ამერიკა რა ქვეყანაცაა. 1983 წელს ამერიკის ჯორჯიაში ვიყავი, თავზე „სი-ენ-ენ"-ის სატელევიზიო ჯგუფი დამადგა და მითხრა, თქვენი და ჩვენი ჯორჯია შეადარეთო. ვუთხარი: თქვენს ჯორჯიაში ღმერთი ისვენებს და კაცი მუშაობს, ჩემს ჯორჯიაში კი ღმერთი მუშაობს და კაცი ისვენებს-მეთქი!

---

*ატილას, ბუღა თურქის, ჩინგიზ-ყაენის, შაჰ-აბასის, აღა მაჰმად-ხანის ურდოებზე უფრო ავად გადაგვიარა ქართველებს... ქართველების „გიჟერაცუობამ" და ძმათა შორის მტრობამ.*

*ტყუილად არ თქვა შაჰ-აბასმა: ქართველს — ქართველიც ეყოფა მტრადო!*

ერთმა ებრაელმა თქვა, მე ისეთი პატარა ერის შვილი ვარ, რომ დიდი შეცდომების დაშვების უფლება არ მაქვსო... ჩვენ, რა, ძალიან დიდი ერის შვილები ვართ, ამდენი შეცდომების დაშვების უფლება გვქონდეს?

**— ბატონო გიზო, ამ შეცდომებისა და ზემოხსენებული სხვა „ჭირის" მიუხედავად, მაინც გეამაყებათ, რომ ქართველი ხართ?**

— ვანო, შენ შეიძლება, არ გახსოვს, მაგრამ იყო დრო, როცა მოსკოვში ჩასული ყველა კავკასიელი ამბობდა, ქართველი ვარო. ახლა კი ყველა მალავს, რომ ქართველია, რადგან ზოგჯერ უზნეო ბავშვებივით ვიქცევით და სახელი გაგვიტყდა.

**— სხვათა შორის, ამ უზნეობაში ყველას ვერ დავადანაშაულებთ...**

— — ამას ვინ ამბობს?.. იმედი მაქვს, ყველაფერს ისე დანერ, რომ არც მნვადს დანვავ და არც — შამფურს. აი, ხომ ხედავ, ეპითეტებიც ჭამა-სმასთან დაკავშირებული გვაქვს... ამაზე ლაპარაკი სირცხვილია, თუმცა თვალს არაფერს ვარიდებ და ერთი სული მაქვს, რომ კარგი დავინახო.

**— მერე, ეს „კარგი" უკვე დაინახეთ?**

— (ფიქრობს) „ვაის" რომ გავეყარეთ... ეს ცოტაა?

**— არ ვიცი... ასეა თუ ისე, რატომ არ მეუბნებით, ქართველობა ისევ გეამაყებათ?**

— როგორ გეკადრება! მხოლოდ იმის გამოც, რომ ქართველი ვარ, ჩემს თავზე, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საკმაოდ დიდი წარმოდგენა მაქვს! ქართველი კაცი თავის პირადობას არსად კარგავს! ჩემს თაობაში ერთი ქუთაისელი ბიჭი იყო, ოთარ სულაბერიძე და მეტსახელად „მეობა" ერქვა. ახლა „მეობას" ვის დაარქმევენ და, საერთოდ, ჯერ გაარკვიოთ, თქვენს თაობას მეობა აქვს თუ არა?

**— „მეობა", ჩემი აზრით, „მამებმა" და „ბაბუებმა" უნდა „გვასწავლოთ"! და ბოლოს, გიზო ბატონო, თანამედროვე ქართული მოგწონთ?**

— სანყენად არ ვამბობ, მაგრამ ჩვენი დროის ქართული უფრო ძარღვიანი იყო... „ყარგონიც!" ისე, „გააჩმახა" ნამდვილი თბილისური გამოთქმაა...

**— შეიძლება, მაგრამ თქვენს ახალგაზრდობაში თანამდებობის პირები საჯაროდ იგინებოდნენ?**

— (ფიქრობს) საშინელებაა, როცა კაცი საქართველოს ისტორიას სეირივით უყურებს...

— გიზო ნიშნიანიძემ დიქტოფონი გამომართვევინა... ცოტა ხანს იფიქრა, მერე მითხრა, ამდენი მალაპარაკე, მაგრამ რასაც ვფიქრობდი, იმის დიდიდიდი ხუთი პროცენტი ნამომაცდენინეო... ისე, ბატონ გიზოს ერთხელ, კომუნისტების დროსაც, „ნამოსცდა", თურმე, — ჩემს სოფელში კლუბი ააშენეს, მერე ამ კლუბს კულტურის სახლი დაარქვეს, მერე

*თო, დაუბარებია. ლაშა-გიორგიასაც თავისუფლად შეეძლო, ლაშქრის თანხლებით წაესვენებინა დედის ნეშტი. მით უმეტეს, იგი დიდხანს ემზადებოდა პალესტინაში სალაშქროდ. ვინ იცის, იქნებ ბიზანტიის იმპერატორის ან ევროპელი მამლუქების დახმარებითაც შეძლო ლაშა-გიორგიმ საიდუმლოდ აღესრულებინა დედის ანდერძი. ვინ იცის, იქნებ პალესტინის რომელიმე ქართულ სავანეში განისვენებს მეფე თამარი...*

*__P.S.__ თამარი — სრულიად საქართველოს დედაა. და მისი გინება დედის გინებაა ყოველი ქართველისათვის. გარეშე მტრებს უკ-ოფნიც ვეყოფით — შინაურს რა ვუყოთ? რუქნადინები ისტორიას ჩაბარდნენ. შაჰ-აბასის თქმით: ქართველებს გარეშე მტერი არ სჭირდებათ — შინაურიც ეყოფათ!'*

*ვის წისქვილზე ვასხამთ წყალს?*

*ფრენსის ბეკონი: ისტორია სიბრძნეს ანიჭებს ადამიანს, პოეზია —*

— სასახლე და გახსნის დროს ტაშით დაინგრაო. ამ მოთხრობას „ტაში" ერქვა და კრებულის დაბეჭდვაც ცენზურამ ამ „ტაშ-ფანდურით" „გააჩ-ერა"... კომუნისტების დროსვე, გიზო ნიშნიანიძეს, დაახლოებით, ასეთი ფრაზაც „ნამოსცდენია", პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, დაიშალეთ... არაფერი გამოდისო...

ნეტავ, ახლა მაინც თუ გამოვა რამე?!

**გაზ. „ქრონიკა", N 8 (172), 2005 წ.**

## „საქართველოს მზე ქრისტიანობიდან, სიყვარულიდან და ჭეშმარიტებიდან ამოდის!"

...თავის დროზე, როცა გიზო ნიშნიანიძეს (ძველმა თბილისელებმა) გაკვირვებით ჰკითხეს, როგორ თუ ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარ-ეს, ცნობილ მოცეკვავეს და გინეკოლოგს — ლადო კახაძეს არ იცნობო, არანაკლებ ცნობილ პოეტს, ჟურნალისტს და მეცნიერს უთქვამს: „თავმჯ-დომარედ გინეკოლოგი კახაძე კი არა, პროქტოლოგი გელა მუხაშავრია უნდა დაენიშნათო!

რატომ მაინცდამაინც პროქტოლოგიო? — ჩაეძიენ, თურმე!..

საქმე „იქითკენ" მიდის და იმიტომო!..

როგორც გიზო ნიშნიანიძე ამბობს, იგი ორჯერ დაიბადა და ორივე-ჯერ ერთსა და იმავე ადგილზე — ვერაზე!.. ფილარმონიის გვერდით — სამშობიაროში და სამშობიაროს გვერდით — ფილარმონიაში!.. გახმაურე-ბული ფელეტონების, რეპორტაჟებისა და და ნარკვევების ავტორს, ბოლო ხანს ერთი უცნაური წიგნის დაწერა განუზრახავს, თურმე...

„ასავალ-დასავალი" გიზო ნიშნიანიძეს ესტუმრა!..

**— ბატონო გიზო, გავიგე", საჩივრის წიგნის" წერა დაგიწყიათ; რაზე ჩივით, ვის უჩივით?**

– „...რაა სიბერე,
გამორთვაა, ალბათ, შუქისა?
სიბერე არის
დიდი ჯილდო სიჭაბუკისა!..
მძიმეა შენი ჯილდო,
რახან მიწას გიწვია!
მძიმეა, როგორც
ყველა ჯილდო, ჩემო ბიძია!.."

რა თქმა უნდა, სიბერე სასიხარულო რამ არ არის, მაგრამ სიბერეზე უარესიც და უკეთესიც ღმერთმა ვერაფერი მოიგონა!.. თუმცა, მოხუცად ჯერ კიდევ არ ვთვლი თავს...

**— ერთი სიტყვით, სიბერეს არ უჩივით?**

— სიბერეს ვერ ვუჩივლებ!.. ვახტანგ VI „კანონთა წიგნში" ამბობს: სამშობლოს მოღალატეს არავითარ სასჯელს არ ვუნიშნავ, იგი ყველაფ-რის ღირსიაო; მეფე ერთგან იმასაც ბრძანებს, რომ „წიგნი დაწერილია თანადგომითა ბრძენთა, ჭკუათმყოფელთა და მოხუცთა კაცთაო". ხალხუ-რი სიბრძნე ღაღადებს: „ჭკუა ხანში კი არა, თავშიაო", მაგრამ გამოცდილე-ბა მაინც ხანშია და ასაკოვან ხალხს ზემოდან ნუ შეხედავთ!.. „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ, ყველა დაგინყებს გმობასაო"... ხომ გიმღერიათ ან გა-გიგონიათ!..

---

*საქართველოს ჰყავს ძალაუფლების მოყვარული ხელისუფლება და ხე-ლისუფლებას აქვს ძალაუფლებასმოკლებული საქართველო! 1990.*

**— ბატონო გიზო, მოდით, გავხსნათ კარტები!.. საქართველოს დღევანდელი რევოლუციური ხელისუფლება განიცდის თუ არა ამ „ბრძენთა, ჭკუათმყოფელთა და მოხუცთა კაცთა" სიმრავლეს?**

— კაცმა რომ თქვას, ამდენ ნებით თუ უნებლიე შეცდომას ჩემი ხნის ხალხი არ დაუშვებდა! მეჩვენება, რომ ეს მთლად „болезни роста" არ უნდა იყოს; თუ კეთილშობილური მიზნები გაქვთ და მხოლოდ იმაზე ფიქრობთ, ჩვენ დაგვასვენოთ, რათა ნყნარად დავლიოთ სული, გეტყვით, რომ დღეს, საქართველოში, ხელების გულზე დაკრეფის უფლება მკვდრებსაც კი არა აქეთ!..

**— როგორ შეხვდა პოეტი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი გიზო ნიშნიანიძე „ვარდების რევოლუციას"?**

— პოლიტიკურ საუბარში მითრევთ, ბატონო დიმიტრი, არადა, პოლიტიკას ვერიდები!

**მოდით, დავდგეთ პოლიტიკაზე მაღლა!..**

— რაც იყო, იმდენად აუტანელი იყო, რაც დღეს ხდება, ჯერ კიდევ ასატანია და იმედის მომცემია! ტრაფარეტად არ მიიღოთ და — ახალგაზრდებს ფრთების გაშლის საშუალება უნდა მიეცეთ, მაგრამ ჩვენ, დიდიან-პატარიანად იმდენ შეცდომას ვუშვებთ, თანაც იმდენად ადვილად შესამჩნევს, რომ ძალიან მნყდება გული!.. ჯერ ერთი, კავკასიაში რაც ფასობდა... უმცროს-უფროსობა იყო და ამას ეკარგაეთ!.. ერთ ძველ თბილისურ ამბავსაც გავიხსენებ, რომელიც არაერთხელ მითქვამს: ახალგაზრდებს თავის ჭკუაზე გადაუნყვეტიათ — მამები თავიდან მოეშორებიათ (ხელს გვიშლიანო). მთლად ხელიდან ნასვლიათ საქმე, მხოლოდ ერთი ახალგაზრდა არ უჩიოდა ბედს. დაესივნენ მეგობრები, — შენ რატომ მიგდის საქმე ჩვენზე უკეთო? — რაღა დაგიმალოთ, ძმებო, ისევ მამაჩემის ნყალობაა — სარდაფში დავმალე და ყოველდღე რჩევას ვეკითხებიო! — გამოუტყდა, თურმე, მეგობრებს!.. ნინა კაცი უკანას ხიდია და ასაკობრივი ნიშნის მიხედვით ადამიანების არჩევა ღვთის გმობაა.

**— ბატონო გიზო, საგანგებოდ არ ვაპირებ დაკონკრეტებას, მაგრამ შეიძლება თუ არა, ნორმალურ ადამიანს თავში აზრად მოუვიდეს ის, რაც მავანმა „ქართვლის დედისა" და ქართული სუფრის მისამართით ბრძანა?**

— ზოგადად მეკითხებით და მეც ზოგადად გიპასუხებთ, თუმცა, საკმაოდ კონკრეტული მისამართით! ერთხელ, სტალინზე აზრი მკითხეს და ვუპასუხე: სტალინზე რომ აზრი გამოთქვა, სულ ცოტა, ლენინი უნდა იყო-მეთქი!.. სერიოზულად ვთქვი და ცოტაც ვიხუმრე, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ჩემი ხნის კაცს

*გონებამახვილობას, მათემატიკა — სიზუსტეს, ბუნების ფილოსოფია — ზნეობრივ ღირსებას, ლოგიკა და რიტორიკა — აზრის დასაბუთების ძალას!*

*...ბურთაობა — თირკმელს უხდება, ნადირობა — ფილტვებს და მკერდს, ნელი სიარული — კუჭს, ცხენზე ჯდომა — თავს!*

*ეს სერიოზულად ახლა ხუმრობით!*

*ვირზე ჯდომა — თავმდაბლობას, თავმდაბლობა — ვირზე ჯდომას; ღვინის სმა — ლუსტრაციას, ლუსტრაცია — ლოთობას, ჭკუამოკლეობა — კარიერას, კარიერა — მუცელს; მუცელი — სკამს; სკამს — თავი, თავს — საჯდომი, საჯდომს — თავი და... ასე შემდეგ კიდ.*

*კაია ეს თუ ყაია · თავი და თავი... თავის!*

*ისევ ბეკონი (არა როჯერი!)*

*„როცა ვამბობთ, ადამიანი ცრუობსო, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გაბედულია ღმერთის და არამზადა — ადამიანის წინაშე!"*

*პერსი ბიშ შელი (ინგლისური რომან-*

იმ საზოგადოებაზე არაფერი ეკითხებოდეს, რომელშიც ამდენი ხანია ცხოვრობს. ისეთი ვილაცეებისგან ისეთი რაღაცები მესმის, გაოგნებული ვარ. არ ასვენებენ თამარ მეფეს, ივანე ჯავახიშვილს, „ქართვლის დედას", ქართულ სუფრას!.. ჯგერენაია, ეტყობა, ნაკითხი კაცია, საგანგებოდ მოვიძიე მისი წერილი... მაგრამ ნაკითხსა და განათლებულს შორის ისეთივე სხვაობაა, როგორც ცა და დედამიწა განსხვავდება ერთმანეთისაგან. ესაა ნათელი?.. კაცი, რომელც ქართული წიგნის საგანძურს უდგას სათავეში და რომელმაც განათლება უნდა შეიტანოს ხალხში, მსგავს რამეს როგორ უნდა ამბობდეს? მადლობა ღმერთს, ერთი ღმერთი დარჩათ მარტო ხელშეუხებელი, თორემ ყველას და ყველაფერს მისწვდნენ!..

**— ბატონო გიზო, ხომ არ ფიქრობთ, რომ საქართველოში, შევარდნაძის წასვლასთან ერთად, ეგრეთწოდებული ინტელიგენციის ეპოქაც დასრულდა?**

— შევარდნაძეს, სხვებზე ადრე, პირადად ვიცნობდი!.. 1953 წელს ნარკვევიც კი დავწერე მასზე, სადაც ვამბობდი, რომ ამ კაცს წინ დიდი გზა უდევს-მეთქი. გზა მართლაც დიდი აღმოჩნდა, მაგრამ ამ გზაზე როგორ იარა, ამას ისტორია ხედავს და მომავალი კიდევ მეტს იტყვის... ხომ ხედავთ, მე მაინც რაღაც მაჩერებს! სიტყვა „ინტელიგენტი" კი ცოტა მალიზიანებს კიდეც! ინტელიგენტი მიყრუებულ სოფელში შეიძლება ცხოვრობდეს! ინტელიგენტები და სულ განათლებულები იყვნენ ბაბუაჩემი, ბაბუაშენი, რომლებმაც სამშობლოს სიყვარული და უმცროს-უფროსობა გვასწავლეს. ისიც საკითხავია, საქართველოში იარსებებს თუ არა ანი ინტელიგენცია!.. ყველაფრის ხელის ერთი მოსმით გადაყრა არ შეიძლება!.. ეხედავ, საიდანაც ქრის ეს ქარი, არ უნდათ ჩვენი არც წესი, არც ადათი და გლობალიზაციისკენ გვიბიძგებენ!.. ქართველი კაცი ამერიკული ცხოვრების წესს ვერ მოერგება; ჩვენ თუ საკუთარი ყველაფერი დავკარგეთ და უმსგავსონი გავხდით, მაშინ რად გვინდა ასეთი ყოფა?.. ეგვიპტეში ვიყავი... იქ საერთოდ ვერ დაელაპარაკები კაცს, ჭკუას ვერ მოსთხოვ, ქუჩასაც კი არავინ გასწავლის!.. ასე ჩვენში არ იქცევიან! ქართველი კაცი რომ ბუნების ნათავხედარია და ნიჭიერია, ამას ლაპარაკი არ უნდა! გლობალიზაცია ჩვენ კარგს არაფერს გვიქადის და, საერთოდ, მეორედ მოსვლას ჰგავს ყველაფერი ეს.

**— გლობალიზაციას ხშირად ადარებენ მზეს, რომელიც ამოდის და მის ამოსვლას ხელს ვერაფერი შეუშლის. რა ვქნათ, როგორ გადავირჩინოთ თავი, რომ გლობალიზაციის მზემ მთლად არ დაგვწვას და გადაგვბუგოს?**

— მზის ამოსვლასა და ჩასვლაზე ტრაფარეტული თითქოს ამქვეყნად არაფერია, მაგრამ არც ამაზე ორიგინალურია რამე. ჩვენში მზე სხვანაირად ამოდის და სხვანაირად ჩადის!.. ჩვენი მზის, საქართველოს მზის, ამოსვლა-ჩასვლას ავუწყოთ ფეხი; რა საჭიროა, დავემსგავსოთ ჩინელებს, რუსებს და, მით უმეტეს, ამერიკელებს, რომლებსაც არანაირი ტრადიცია არ გააჩნიათ?

**— ბატონო გიზო, შევარდნაძემ მზე ჩრდილოეთიდან ამოიყვანა, ახლა დასავლეთიდან ამოჰყავთ და, გამაგებინეთ, თქვენი აზრით, საიდან ამოდის საქართველოსთვის მზე?**

— საქართველოსთვის მზე საქრისტიანოდან, სიყვარულიდან, ჭეშმარიტებიდან ამოდის!.. ჩემი სახლიდან ერთი ხელის განვდენაზეა სამების დიდებული ტაძარი ყოველდღე პირჯვარს ვიწერ, ვლოცულობ... მამაზეციერის არსებობისა რომ არ მწამდეს, ამას ხომ არ ვიზამ? ჩვენ არ დავკარგავთ სათნოებას, არ დავკარგავთ ქართველი კაცის სახეს, რომელიც ისევ

ქართველმა კაცმა შექმნა და უმსგავსოებს არ დაეემს-გავსებით!.. საკითხავია, რას ჰგავს თვითონ ის, მე რომ დაეემსგავსო?.. არ ჯობია, ის დამემსგავსოს? ჯერ რუსულის სნავლას გადავყევით და ახლა ინგლი-სურისთვის იკლავენ თავს. თუმცა, ამერიკა ძალიან შორს არის. ჯობია, ამერიკას ჩვენ შრომის ორგანიზა-ციაში მივბაძოთ, ხოლო ამერიკელებმა ჩვენგან ის-ნავლონ, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა!.. მექსიკელები ამბობენ: ჩემო სამშობლოვ, რა შორსა ხარ ღმერთისაგან და რა ახლოს — ამერიკასთანო! მეზობელმა უკეთ იცის მეზობლისა. მე მირჩევნია, შალვა ნუცუბიძეს დაეუჯერო, რომელმაც თქვა, აკა-დემიაა ქართული სუფრაო, ვიდრე ჯგერენაიას, რომელიც, ეტყობა, ცუდ ხალხში იჯდა სუფრასთან, ან თვითონ ვერაა კარგი თანამესუფრე, თანამეინახე! ადრე, ბადრი პატარკაციშვილის სახლს რომ ცეცხლი გაუჩნდა, ზოგს გაუხარდა კიდეც.. მე კი ავდექი და ლექსი დავუნერე: „თბილისელ კაცს თბილისის ხსე-ნებაზე ურდა აუჩქარდეს მაჯა... შენ — ფულს ებრაულად მოულობ და მერე — ქართულად ხარჯავ“-მეთქი!..

ასეა, ყველას თავისი ჭია ჰყავს და თავის ჭიას ახარებს. მამაჩემს აქვს ცხონება, ჯობია, ამ ჭიაყე-ლაობას თავი გავანებოთ და ერთმანეთი ვახაროთ. ასეთია ქართველი კაცის ფილოსოფია და ქართული „მენიუ“: ყველი, პური და კეთილი გული!

P.S. სიბერეს უთქვამს, რა დროს სიყვარუ-ლიაო, სიყვარულს უთქვამს, რა დროს სიბე-რეაო...

თბილისქალაქზე, ვაჟკაცობაზე და ყარაჩოხელ ქართველებზე უზომოდ შეყვარებულ გიზო ნიშნია-ნიძეს სიბერე თავქუდმოგლეჯილი გაურბის...

**ესაუბრა დიტო ჩუბინიძე**

**ბადრი ნამიჭეიშვილი:**

## „თბილისში ვცხოვრობ და თბილისში დავეძებ თბილისს!“

ჯერ ტელეფონით შევეხმიანე, დიდხანს ვი-საუბრეთ. ჭონქაძეზე ცხოვრობს, ძველი თბილისის ძველ უბანში.

— დიქტოფონი არ გინდა... სიტყვა არ ნამექცეს... სიტყვა არ გამექცეს, ეშმაკს არ სძინავს, ვინ იცის, ვის ჩაუვარდება ხელში... — ხუმრობს, რა თქმა უნდა, თორემ გიზო ნიშნიანიძეს რაც სიტყვები უთქვამს და „გაქცევია“ კიდეც, ბარე ორ მის თანამედროვეს შეშურდება... ამის დასტურად კი კიდევ ერთხელ უნდა გადაიკითხოთ მისი ქალაქური მხატვრულ-დოკუმენ-ტური პოემა „პაემანი ვერაზე“.

ტიზმის უდიდესი ნარმომადგენელი. XVIII ს. მოამზადე ხელის პოეტი. დაიღუპა ზღვაში ქარიშხლის დროს).

სიცრუე მორიგ-ლია, თავს იგ-ენლავს.

არავის არ აქვს უფლება, სიკეთის სახელით ბოროტება ჩაიდინოს.

არავის აქვს უფლება, მოიხვეჭოს იმაზე მეტი, რაც ჭირდება.

არც ერთ ადამი-ანს არა აქვს უფლე-ბა, რომ სარგე-ბლობდეს პატივის-ცემით, რაიმე ქონების გამო, გარდა ღირსებისა და ნიჭისა.

ტიტულები — ზიზ-ილ-პიპილებია, ძა-ლაუფლება — გამ-რყვნელი; დიდება — საპნის ბუშტი, სიმ-დიდრე მის პა-ტრონს ამხელს!

გაიღვიძე! ადგე-ქ! — თორემ უფრო დაეცემი.

„კვირის პალიტრა“ (30.05-5.06.2005)

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი: — ყო-ფილი სსრკ-ის ტერ-იტორიაზე დრამატ-ული ცვლილებები ხდება: თბილისის, კიევის და ბიშკეკის რევოლუციების შემ-

როგორც ერთმა გულალალმა თბილისელმა, გული ვერ გაიძლო იმ ადამიანებთან ურთიერთობით, რომლებმაც თბილისური ხასიათის მთელი გალერეა შექმნეს. სწორედ ამ გალერეაში შეგვიყვანა მონიწებით და გაგვახსენა ის თბილისი, რომლის ნოსტალგია დღეს ყველას მოგვერევია, ყველა იმას ენატრობთ, ისევ ის დარდიმანდი თბილისელები, ის ეშხით სავსე ქალაქი დაგვიბრუნდეს. ამ ცამეტიოდე წლის წინ თავად გიზო ნიშნიანიძე ასე წერდა: „ბედნიერია ეს წიგნი თუნდაც იმით, რომ საქართველოს განთავისუფლებაზე ლაპარაკს მოესწრო. ბედნიერი იქნება მისი ავტორი, თუ საქართველოს განთავისუფლებასაც მოესწრება. ერთი რევოლუცია კი, თავისუფლებასთან ერთად, თბილისში თბილისური ეშხის დაბრუნებასაც დასჭირდება. ღმერთმა ხელი მოგვიმართოს".

მას შემდეგ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, თბილისმაც იცვალა სახე და თბილისელებმაც. ამ ცამეტი წლის განმავლობაში დრომ რისი ნაღებაც შეძლო, წაიღო, მოტანით კი სისხლისღვრა, დაპირისპირება, ნაგებული ომი, დაკარგული აფხაზეთი, სამაჩაბლო, სიღატაკე და ბოლოს „ვარდების რევოლუცია"მოგვიტანა.

ეს უკვე ჩავლილი ისტორიაა, ბობოქარი, დაუნდობელი დროის მწარე სინამდვილე.

**— რას ფიქრობს უკვე წლებისაგან მხრებდამძიმებული, მაგრამ ისევ მხნედ მყოფი თბილისელი ტრუბადური დღევანდელ თბილისზე?**

— „არავინ იცის, დღეს ჩემს გულში რა ცეცხლი ბრუნავს... უმორჩილესად გთხოვთ, დაივიწყოთ, ცოტა ხნით მაინც, რომ თქვენს წინაშე დგას საწყალი კომედიანტი". — ამბობს გიზო ნიშნიანიძე, მაგრამ ბატონი გიზოს დავიწყება ისედაც შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია ამ სიტყვების დავიწყება:

„თბილისი ლოცვაა არყისფერი დილის სიფთაზე".

უცებ მეკითხება: — რატომ დაერქვა თქვენს ჟურნალს „ვარდი"?

**— ვარდი, ბატონო გიზო, ყვავილების მეფეა, სილამაზის განუმეორებელი სიმბოლო, მაგრამ ჩვენი გზები, ალბათ, მთლად ია-ვარდით არ იქნება მოფენილი, ხანდახან ეკლების გამოჩენაც მოგვიხდება ხოლმე, რადგან ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია...**

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, რა სჯობს სიტყვას აწონილს, დაწონილს... მეყოლეთ ვარდივით!

ვიცი, რომ ეს სიტყვები მისი საკუთარი ლექსიდანაა, ამიტომ მეც ვაგრძელებ ამ ლექსს:

„შევარცხვინე ის სადღეგრძელო, რომელიც
ჭიქის ხელში აწევამდეა მოფიქრებული,
ვენაცვალე იმ სადღეგრძელოს,
ჭიქის ხელში აღებისას რომაა ჩამოსხმული"...

...სიამოვნებს, აშკარად სიამოვნებს!

— კარგია, რომ ზეპირად გახსოვთ, — ამბობს და რაც გასახსენებელია, იხსენებს — ხან სინანულით, ხან სიყვარულით, ხან კვნესა ამოყვება მის ხმას, ხან — ლოცვა!

— შენ იცი, ვინ იყვნენ ნაღდი თბილისელები? — მეკითხება და იცის, რომ ამ კითხვას მე კი არა, თავადვე უნდა უპასუხოს. ასეც იქცევა:

— ნაღდი თბილისელები იყვნენ ოთარ მგელაძე, ნიაზ დიასამიძე,

---

*„პურადი კაცი-გულადზე... სამი გაფრენით დიდია! (ხალხური)*

*ბორხესი: ცხოვრება, რომელსაც ლიტერატურა ასახავს, გაცილებით რეალურია, ვიდრე სამყარო, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ!*

დოდო აბაშიძე, ეროსი მანჯგალაძე, ილიკო ქურხული, ისაკა მექუდე...

ერთი შტრიხი! გიზო ნიშნიანიძის იდეაა — მეტრო „რუსთაველის" გვერდით, რწმენის კედელთან, დაიდგას ჯგუფური კომპოზიცია „თბილისელი ბიჭები". მწერალმა ერთგვარი ანდერძიც კი შეადგინა: „ბარემ, აქვე ისიც ვთქვათ — ვინ და სად? პასუხი კითხვაშია — პალინდრომი „ბარემ", უკუღმა ნაკითხვით — „მერაბია". რახან სახელი ვიცით, გვარის მიხვედრა, არ გაგვიჭირდება. ქანდაკება გამოძერწოს ერთმა მერაბმა (ბერძენიშვილმა) და დადგას მეორე მერაბის (კოსტავას) სახელობის ქუჩაზე".

— **რა ბედი ეწია ამ თქვენს იდეას?**

— ეჰ, მერე ატყდა თუ ატყდა ომი და უბედურება! ვის ახსოვდა, ძმაო, ძეგლი, ხელოვნება. მხარში მედგა ვახო რურუა, არჩილ გოგელია და სხვებიც. მაგრამ არაფერი გამოვიდა. დღეს იქ შუშაბანდიანი სავაჭრო ობიექტი გახსნეს... თუმცა, ეს იდეა არ მომკვდარა, იქნებ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მაინც ვიფიქროთ ამაზე — თბილისელმა ბიჭებმა თავიანთი გმირული სული აფხაზეთის ომშიც გამოავლინეს და თუ ეს საქმე გაკეთდება, ამით მარტო ჩემს ბებერ გულს კი არა, მთელ თბილისს გავახარებთ!

— **და მაინც, ბატონო გიზო, დღევანდელ თბილისსა და თბილისელებზე თუ აპირებთ რამის დაწერას?**

— შენ როგორ ფიქრობ? — აქეთ მეკითხება.

ვიცი, რომ ამ კითხვას მე არ უნდა ვუპასუხო.

ცოტა ხნის შემდეგ თავად მეუბნება:

— დღევანდელ თბილისელზე და თბილისელებზე, შენ რომ იცნობ, ის გიზო ნიშნიანიძე ვერაფერს დაწერს... ახლა სხვა გიზო ნიშნიანიძე უნდა გამოჩნდეს!

— ყელამდე ვალში ვრჩები წარსულთან... რაც შეეხება დღევანდელ თბილისს, თქვენი ჟურნალი პირველი იქნება, რომელსაც ახლახან დაწერილი ლექსის ერთ სტროფს შევთავაზებ:

„რა ჰქვია ამას?
— მონატრება დედის და შვილის...
თბილისში ვცხოვრობ
და თბილისში დავეძებ თბილისს!"

ვფიქრობ, ამ ლექსით ყველაფერია ნათქვამი, ამიტომაც, გიზო ნიშნიანიძის სიტყვებითვე თუ ვიტყვით, „თბილისზე დავსვათ ბოლო წერტილი" და ყოველივე სიკეთე ვუსურვოთ „წარსულთან ყელამდე ვალში ჩაფლულ" მწერალსა და შესანიშნავ პიროვნებას, რომელიც უსაზღვროდ არის შეყვარებული თბილისსა და თბილისელებზე.

აქვე გთავაზობთ გიზო ნიშნიანიძის „კარუსელს" წიგნიდან „პაემანი ვერაზე"!

...კონიაკის ქარხანაში ერთი ჩვენი ძმაკაცი ოთარ

*დებ ძველი სტატუს-კვო სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა. მართვის კლეპტოკრატიული ხერხები დაძველდა, ავტოკრატიული მმართველები ვერ უწყებენ ფენორიერებას ხალხის განწყობილებას, ისინი კი ერთიანდებიან და თავისუფლებას ითხოვენ.*

*ჩემმა თანამებრძოლმა რეფორმატორებმა საკუთარი შეცდომებიდან მეტად კარგი გაკვეთილი მიიღეს მაშინ, როცა შიგნიდან ვცდილობდით შევარდნაძის უუნარო ხელისუფლების რეფორმირებას. ჩვენ აღმოსავლეთ ევროპის რეფორმატორების — პოლონეთის, ესტონეთის და სერბეთის შეცდომებზე ვისწავლეთ.*

**P.S.** *მთელი უბედურება ისაა, რომ მავანნი თავის შეცდომების გასწორებას... სხვისი მინასთან გასწორებით იწყებს! არადა, ათასი დამნაშავის დაუსჯელობა ჯობია, ერთი უდანაშაულის დასჯას!*

*ჰოლივუდის უბერებელი ლეგენდა კვლავ შეყვარებულია. ამჯერად მიხი*

გელაშვილი მუშაობდა (იმ თვითმფრინავში დაიღუპა, ჩვენი ამხანაგის ლამაზი დედა და ყველაზე ლამაზი ქართველი ქალი ნატო ვაჩნაძე რომ აიყვანა ცაში და უკან აღარ დააბრუნა).

მაგარი ბიჭი იყო ოთარ გელაშვილი და მაგარ კონიაკსაც ასხამდა. თვითონ არ დაუთვლია და ჩვენ რაზე დავუთვალოთ, რამდენჯერ შევუყვანივართ „პახმელიაზე" გამოსაყვანად. თუმცა ქარხანაში შესვლაც ძნელი იყო და გამოსვლაც — შესვლაში დარაჯი გვიშლიდა ხელს, გამოსვლაზე კი ჩვენ თვითონ გვეშლებოდა ფეხი...

როდესაც კარისკაცს ჩვენ ამოუვედით ყელში, ჩვენ კი კარისკაცი... ერთხელ შეჭიკჭიკებულმა კუკურა ჟღენტმა (შესვლისას ხომ არ აკადრებდა), უკან გამოსვლისას, კარგად დამბალმა უთხრა:

— ბიძაჩემო, უკაცრავად პასუხია და თქვენ რა ჩინი გაქვთ საუნჯებო დაცვაში?

— ვითომ რატომ კითხულობ, რიგოსანი ვარ, — რიგიანად უპასუხა ბაბუამისის ხნის კაცმა, რომელიც პენსიაზე, ალბათ, იმიტომ ვერ გაჰყავდათ, რომ სულ ეძინა და გამოღვიძებას ერიდებოდნენ. ის მამაცხონებული მაინცდამაინც მაშინ ფხიზლობდა, როცა ჩვენ, უფრო გასართობად (ვიდრე დასათრობად) შევდიოდით... — ჩინი არ მაქვს, მარა თვალისჩინი არ მაკლია...

— რატომ მეკითხები მაგას, ბიძია?

— რატომ ბიძია და ამ ქარხანაში ხანდაზმულობით კონიაკსაც კი ემატება ვარსკვლავი და შენ რა ღმერთი გიწყრება?!

ერთი კვირა სათოფეზე აღარ გვეკარებოდა. ბოლოს იმას კი დავიწყდა, მაგრამ თბილისს დღემდე ახსოვს ეს ხუმრობა.

* * *

...რესტორან „საქართველოში" ჩინეთიდან რეპატრირებულ ემიგრანტ ცნობილ ჯაზმენ გაბესკირიას დიქსილენდი უკრავდა...

ღვინომორეული და ფეხარეული რაინდი-რინდები — ანუ მემთვრალენი... მთვარეულივით დალასლასებდნენ მოქეიფეთა შორის, ხარკი მიჰქონდათ მემუსიკეებთან და ოფიციანტებს, ჯონჯოლთან ერთად, სულის ულუფას — მუსიკაც უკვეთავდნენ. გადაეცით მომღერლებს ეს და ეს ჰანგი გვაჩუქონო. ეს უკანასკნელნი კი იმათთვის, ვინც ასე ვთქვათ, ყურში არ იდებდა ლუკმას და სიმღერის ფასი იცოდა, სულის საგზალს არ იშურებდნენ. თუმცა, ერთიც არის, თუ კაცი მარტო თვალში, ფულში კი არა, გულშიც არ მოუვიდოდათ, არც მისი ფული უნდოდათ და არც მის ქეიფზე გაივლიდნენ.

იმ საბედისწერო დღესაც სწორედ ასე მოხდა!

ინტურისტითა თუ შინტურისტით გაჭედილი დარბაზის კუთხეში ვიღაც ყარყუმმა, ბანჯგვლიანმა და კუნთებდაბერილმა მუტრუკმა, ტატუირებული ხელით, ღვინით სავსე კვარტიანი ბოთლი ყუმბარასავით მოიღერა და მისი ჩიქორთულით, უკვე მერამდენედ, მუსიკოსებს იმ დროს გავრცელებული ერთი პოპულარული სიმღერის შესრულება უბრძანა.

...და ბოთლი შხუილითა და წუწაობით დაბზრიალდა ჰაერში... უეცრად,

---

*გალაკტიონი: ჩემი სიცოცხლე უანკარეს ღვინის ფერია.*

*„ყოვლი სიტყვისათვის, რომელსაც ადამიანები იტყვიან, პასუხს გასცემენ დღესა მას განკითხვისასა" (მათე – XII,36).*

ის ბოთლი ჰაერშივე დარჩა — ჰაერშივე დაიჭირა ერთმა ვერელმა ბიჭმა! დარბაზი გაფითრდა და სული შეეკრა.

მეორე ბოთლიც... ჰაერშივე გატყდა. ზუსტად ნასროლმა ტყვიამ უმისამართოდ დაინყო ნივილი გაქვავებულ ხალხსა და მარმარილოს სვეტებს შორის.

სულ ერთი ნამით გაქრა ღიმილი დარბაზში და მეორე სოდომ-გომორი დატრიალდა. სულ ერთ ნამშივე ჩაქრა ეს ცეცხლი და ყველაფერი თავის ადგილზე დარჩა... იმ, კუთხეში მიკუჭული სუფრის გარდა, რომელიც ხალხიან-მაგიდიანად აართქლეს და... იქვე გაჩნდა მილიციაც, რომელმაც მაშინვე იყნოსა და იგრძნო დაჭიმული დარბაზი.

— რა მოხდა აქ? — ჰკითხეს მეტრდოტელს.

— არაფერი, ბატონო, ისეთი არაფერი, ხალხი ელოდება მუსიკას, ახლა ორკესტრი დაუკრავს „ალუბლის ბაღს", გთხოვთ. მაესტრო!.. და მუსიკის სამოთხემ ისევ დაუბრუნა სიცოცხლე შიშით გაყინულ რესტორანს.

— ჩემო ძმაო, მე რომ მკითხო, არიან ამ ქვეყანაზე ვიგინდარები, ბრმა ტყვია რომ დაენიოთ სადმე, ვერ იკითხავენ — საიდანო?.. ვინ გვესროლა და რატომო?.. ამ სალ-სალამათ ჯამაათში კი ბრმა ტყვიისათვის გასამეტებელი კაცი ნამდვილად არ იყო და ვინც იყოს, ის გვამი კიდეც გარიყა ამ ალალი ლხინის ტალღამ... ღირდა კი შფოთად? — იხსენებს შოთა დანელია (რესტორნის მეტრდოტელი): „ეს რომ მოხდა, ფრთხილად გავაპარე თვალი დარბაზისაკენ. ყველა სახეზე ალმოჩნდა, ან იდგა, ან იჯდა. ნაქცეული არავინ ჩანდა. მადლობა ღმერთს, მგონი გადავრჩით.."

უეცრად, მილიციელებისა და ზამბარასავით დაჭიმული ვერელი ბიჭების გარემოცვაში ვილაცა უცხოელი კაცის თვალებს ნავანყდი, დინჯად მანიშნებდა, სუფრასთან მოდიო. მივედი.

— ერთი ნუთით, გთხოვთ, დაბრძანდეთ, სერ... — მითხრა რუსული ენის ბორძიკით ინგლისელმა ჯენტლმენმა და ჭიქა მომანოდა, — გთხოვთ შესვათ, სიცოცხლის სადღეგრძელო!

დალახვროს ეშმაკმა, რა ფეხზე ავდექი ამ დღეს. ეს უცხოელიღა მაკლდა-მეთქი, — გავიფიქრე ჩემთვის.

— სამსახურში არ ესვამ, ბატონო.

— გთხოვთ, შესვათ, — დაჟინებით გამიმეორა, — ამაზე უკეთეს სამსახურს დღეს ვერც თქვენ თავს გაუწევთ და ვერც ამ ხალხს, — ორაზროვანი ღიმილით თქვა მან.

— ?!

— მე კინორეჟისორი გახლავართ. ნახევარი

რჩეული გახლავთ მასზე რვა წლით უმცროსი მულტი-მილიონერი, ტეხასელი ნავთობმაგნატი მაქსიმილიან ფიშერი.

10 მაისს, კანის ფესტივალის გალაკონცერტზე ლიზ ტეილორმა საზოგადოებას წარუდგინა ფიშერი. მალე ისინი ჯვარს დაიწერენ. ამ ქორწინების ცერემონია მოკრძალებული იქნება. 83 წლის პატარძალმა უარი თქვა საზეიმო სამოსზე. სამაგიეროდ, ლიზი სტუმრებს ორიგინალურ სიურპრიზს ჰპირდება: მისი საქორწინო ტორტი 0 სართულიანი იქნება და ამ კულინარიული ტორტ-შედევრის თითოეულ ფენას დაამშვენებს მსახიობის ყოფილი ქმრების შოკოლადის ფიგურები. ტორტის კენწეროზე კი, რა თქმა უნდა, მაქსიმილიან ფიშერი შემოსკუპდება.და მრავალსართულიან ტორტს „შეატორტმანებს"!

**P.S.** ფიშერებმა იციან დედოფლის ფასი, მაგრამ ამ საყვარელს მაინც ნავთის სუნი ასდის.

10 წლის ვუნდერ

საუკუნეა, ობიექტივის თვალით ვუყურებ სამყაროს, მაგრამ მსგავსი ბატალური სცენა ჯერ არ მინახავს... ჰოდა, გთხოვთ შესვათ ჩვენი გადარჩენისა და სიცოცხლის გაგრძელების სადღეგრძელო... თქვენ აუცილებლად შესვამთ ამ სადღეგრძელოს, — თითქმის ჩურჩულით, მაგრამ საკმაოდ ჯიუტად მითხრა უცხოელმა და სასმისი გამივსო, — როგორც კი დახედავთ ჭიქას, მაშინვე შესვამთ.

ძალაუნებურად გამექცა თვალი ჭიქისაკენ და ელდა მეცა — გაბზარული ტანნერნეტა ბროლის ჭიქის ძირში, შამპანურის ჭავლი ბურღვით ასდიოდა ნელან გასროლილ ტყვიას, რომელიც ფსკერზე ეგდო.

— გაგიმარჯოთ თქვენ, სერ, გაგვიმარჯოს ჩვენ, ქართველებს თავის — სტუმარ-მასპინძლიანა... გაუმარჯოს სიცოცხლეს! — სულმოუთქმელად ვრეკე ეს, მართლაც, „სამკვიდრო-სასიცოცხლო" სადღეგრძელო და პირველი ნყენა თუ გაოცება იმ ტყვიასთან ერთად გადავუძახე გამშრალ ხახაში.

* * *

...ჩვენმა ქიმიის მასწავლებელმა, ქალბატონმა „ნინაკამ" ნიაზს ჯანმრთელობის ცნობა უჩვენა: შენი გაძლება ფიზიკურად აღარ შემიძლია, დამანყდა სიმპათიკური ნერვები, შედი ჩემს მდგომარეობაში და ნადი სხვა სკოლაშიო. ნიაზიც შეეიდა მის მდგომარეობაში, მაგრამ აღარ გამოსულა: ამ ნიშნებით სკოლაში კი არა, კიროვის ბაღში არ შემიშვებენო.

ნიშნები ჩემზე იყოსო — შეპირდა დამრიგებელი.

— მაშინ, ჩემი თავი თქვენი ფეშქაში იყოსო, — ნიაზმა.

იმ დროში, ქიმიის მასწავლებელი და, საერთოდ, სხვა მასწავლებლებიც არ იყვნენ შემჩნეული ე. ნ. „მეფეშქაშეობაში" და „ნინაკამ" ალალად უთხრა: შენი თავი შენვე მოგახმაროს ღმერთმა, მე თავი დამანებე, შენ, ხომ იცი, ქრთამს არ ვიღებ და, მით უმეტეს, მასეთსო. ოღონდ ნადი და სულ ხუთიანებით გაგივსებ დღიურსო...

ვინც არა — ქინცარა, დაკა ხელიო — იმან. „ნინაკა" განინმატდა, ბოლოს და ბოლოს, როგორ მიბედავ მასეთ ლაპარაკს, ჯერ ხომ ისევ შენი დამრიგებელი ვარო და ხელზე ხელის დაკვრის მაგიერად, ლოყაში სტკიცა ფაფუკი ხელი. ნიაზს არც სტკენია და არც სწყენია. მოეხვია და მაგრად აკოცა ჩვენს სათაყვანებელ დეიდა კატოს. და რადგან ნიაზი ვერც როიალს იტანდა აშლილს და ვერც ადამიანის ნერვებს, ადგა, აკადემიური მოსწრების ფურცელი აკადემიური სიდინჯით ჩაიდო ჯიბეში, ძმაკაცურად დაუქნია ხელი სკოლას და ბევრი იარა თუ ცოტა იარა (ყოველ შემთხვევაში, ცხრა მთა არ გადაუვლია), იქვე, ჩვენს უბანში, იყო მეორე სკოლა და იმას მიადგა... იმ სკოლის დირექტორი გახლდათ... ღმერთო, გამახსენე, თუმცა მისი ნამდვილი სახელი არც მაშინ ვიცოდი, ზედმეტსახელად კი ყველა „დობრი მიშკას" ეძახდა.

ასე და ამრიგად, ძველი სკოლის დირექტორმა ამოისუნთქა, ახალი სკოლის დირექტორს კი სუნთქვა შეეკრა, როცა ნიაზა ჭოკივით დაადგა თავზე! დირექტორი მიხვედრილი კაცი იყო და მაშინვე მიხვდა, რომ ბა-

---

*კენედი: კითხვა ასე უნდა დავსვათ: რა მიეეცი მე ჩემს ქვეყანას და არა – რა მომცა მე ჩემმა ქვეყანამ.*

*ეს ილიასეული შეგონებასავითაა:*

*„– აბა, დღეს მე ვის რა ვარგეო"?*

ტონი პარმენი არც იმის ჩიტი იყო, ფრიადოსანს ადვილად შელეოდა. ესეც არ იყოს, ნიაზას, როგორმე, სხვა სკოლაშიაც კარგად იცნობდნენ. „დობრი მიშკა" ამ საეჭვო ფრიადებს ვერ უსწორებდა თვალს, სულ ეს ფრიადები უტრიალებდა თავშიც, ენაზეც, ფრიად დაიბნა და ფრიად აეკვიატა ეს სიტყვა:

— ფრიადოსნის მიღება, ფრიად სასიამოვნო ამბავია, თქვენ ნუ მომიკვდებით, მაგრამ, ფრიად ვწუხვარ, რომ მაინც ვერ მიგიღებთ, რადგან არცერთი ადგილი არ მაქვს სკოლაში. თუ არ გჯერათ, სადაც გინდათ, იქ იჩივლეთო...

მე და ჩივილიო, — ნიაზმა, — სად ვიჩივლოო?

დირექტორმა, როგორც იყო, მოახერხა გაღიმება და იმ დროს გავრცელებული ერთი ფრთიანი ფრაზით შესაბამისი ინსტანცია მიუთითა: „ზემელის" დამნვარ აფთიაქში გვიჩივლეთო. რა გაენყობაო, — უთხრა ნიაზმა და მართლაც (ან სხვაგან სად უნდა ნასულიყო — საჩივლელად თუ საღადაოდ) „ზემელზე" ჩამოვიდა. აქ, კი როგორც ყოველთვის, ჩვენი უბნის „უხუცესთა საბჭოს კოლეგიის მსაჯულები" — ძველი თუ ახალი მეკურტნე ქურთები ადგილზე იყვნენ, ახლაც რაღაც საშინაო საქმეს საგარეოდ არჩევდნენ და საკმაოდ ხმამაღლადაც.

— ჯიგრებო, თავისუფლები ხართ. — მძიმე ტვირთიანივით შეეკითხა ნიაზი.

— ჰო, ნიაზჯან, თავისუფლები ვართ, რა იყო რო?..

— გაუმარჯოს თავისუფლებას!.. ნიაზამ ადო გაიხმო განზე, თავისი გაჭირვება მოუყვა, განზრახვა გაანდო და თავისი დარდი... ტვირთიანად აკიდა. ადომ იმდენი იცინა, იმდენი იცინა, სიცილით ულვაშები დაუგრძელდა. მაშინვე ადგა, ნაჰყვა სკოლაში, მისი მერხი დაითრია და ზურგზე მოკიდებული მეორე სკოლაში მიათრია. დამეთანხმებით, ცოტა უჩვეულო სურათი გახლდათ, რომლის დანახვაზე, მეორე სკოლას ელეთ-მელეთი მოუვიდა და დირექტორის კაბინეტის ფანჯრიდან კინალამ მთელი პედსაბჭო გადმოცვივდა.

— რა არის ეს?.. — იკითხა „დობრი მიშკამ".

— თქვენ ხომ თქვით, ადგილი არა მაქვსო, ჰოდა, მეც ჩემი ადგილი მოვიტანე, — უთხრა ნიაზამ.

**ჟურნ. „ვარდი", N 2, 8 ივნისი, 2004.**

---

*ეს ცხოვრება —*
*ჭირი-ლხინს და ლხინი-ჭირს...*
*ვერაგი და ფათერაკით სავსეა.*
*ორგულობა — 30 ვერცხლი ღირს,*
*ერთგულება კი კაპიკის ფასია!*

---

*კინდი ნიკა ჩარკვიანი:*

*რა არის ერთგულება?*

*თურმე გიორგი ბრწყინვალის ქვეშევრდომმა გაიგო, რომ მეფის მოკვლას უნდოდათ და ღამით შეთქმულების მოწყობას აპირებდნენ. მეფემ ეს არ დაიჯერა. მაშინ მისმა ქვეშევრდომმა სთხოვა, საწოლები გაეცვალათ. ქვეშევრდომი მეფის ლოგინში ჩაწვა და ღამით იგი... მოკლეს! ქვეშევრდომმა თავი შესწირა მეფეს. აი, ეს არის ერთგულება!*

---

*კოსმოსში გასაფრენი ბილეთები გაიაფდა. აბა, ჰე!*

*აშშ-ში კოსმოსის ბილეთების გაყიდვა უკვე დაიწყო. დედამიწის გარეთ რაღაც დროის გატარება შესაძლებელი გახდება 150 ათას დოლარად. ოთხი წლის წინათ კი, კოსმოსში გასაფრენად 20 მილიონზე მეტი უნდა დაგეხარჯა!*

*რაკეტის საცდელი გაშვება, იმავე კონცხზე განთავსებული ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების კოსმოდრომიდან, დაგეგ-*

თეა კერვალიშვილი:

## პაემანი გიზო ნიშნიანიძესთან

*განა, რა უნდა დავწერო ახალი და განსხვავებული გიზო ნიშნიანიძეზე, რაც არ თქმულა და არ დაწერილა. სიმართლე გითხრათ, ისიც მაფიქრებს, რამე არ დავაკლო.*

*ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ გამიჩნდებოდა სურვილი, დავბადებულიყავი ათეულობით წლის წინ, რათა მეცხოვრა იმ საოცრებათა ქალაქში, რომელსაც ბატონი გიზო თავის დოკუმენტურ პოემაში ეფერება და უმღერის...*

*ესაა ნოსტალგია სიყვარულისა, ადამიანობისა, კულტურისა და თბილისელობისა — ნაღდი თბილისელობისა!*

*ჩემი თაობის მატარებელმა ჩვენი ბაბუების პაემანზე ძალიან დაიგვიანა. ბატონმა გიზომ კი ჯადოსნური პოემით („პაემანი ვერაზე") პოეტური ექსტაზით გვამოგზაურა წარსულში და უკან ბედნიერებით სავსე დაგვაბრუნა — ღიმილით, სიკეთით, სითბოთი და თბილისური სიყვარულით სავსე!..*

*დღეს, როცა, რიგი მიზეზების გამო, საძებარი გახდა ჭეშმარიტი იუმორიც, ადამიანური ურთიერთობის ფუფუნებაც და სიყვარულიც, დიდი სურვილი გამიჩნდა, პირადად, უშუალოდ გავსაუბრებოდი გიზო ნიშნიანიძეს, არა მხოლოდ თბილისურ ტრადიციებზე, არამედ იმ ცხოვრებისეულ დეტალებზე, რამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ მწერალ, პროფესორ, ჟურნალისტ და, პირველ რიგში, ნაღდ თბილისელ კაცს დაგვიანებულმა მუზამ 53 წლის ასაკში პირველი ლექსი დააწერინა და მას შემდეგ კალამი ხელიდან არ გააშვებინა.*

— ლექსის წერა, მე, ახალგაზრდული საქმე მეგონა. ამ დროს ადამიანი ალმაფრენაშია... და როგორც არისტოტელე ამბობდა, სიჭაბუკე თვითონ არის სიგიჟის ნაირსახეობა. სიგიჟე გაფრენაა, გაფრენა კი პოეზია!

„მე არც ვიცოდი, რომ ლექსის წერა თუ კი ვიცოდი, მაგრამ ვინვოდი!.."

ისე, სიმართლე გითხრათ, მუზამაც გვარიანად დაიგვიანა და პირველი სერიოზული ლექსი 53 წლის ასაკში დავწერე, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით ისეთ ბავშვურ, სტუდენტურ ფუნაგორიებსა და გაფრენებს, როგორიც იყო, მაგალითად:

სიყვარული როცა გთხოვე,
შენ პასუხი გეძნელა,
ნეტავ, გამაგებინა —
ფხალად ეარგა ენძელა?!

ან კიდევ:

შენ მოდიოდი გზაში, ვით ემანუილ კანტი,
გულ-მკერდი გაგეშალა, თავზე გექეთა ბანტი...

აი, ასეთ სისულელეებს ვწერდით სტუდენტობაში და არც ვკითხულობდით... იქეთ ქართლოსა, აქეთ ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური... და იყო ერთი ხელჩართული ლირიული დუელები.

---

*გერმანე ფაცაცია: შეკითხვა ხელისუფლებას!*

*„როდის შეიცვლება დევიზი – „ძალა გართობაშია"! – დევიზით: „ძალა ერთობაშია!"*

მე რომ ზუსტ მეცნიერებაში ვმუშაობდე ან ვიყო რომელიმე კონკრეტული ხელობის კაცი, ძალიან ბევრი დრო მექნებოდა დაკარგული. ვიცხოვრე ყოველი დღით, ყოველი საათით, ყოველი წამით, ისე, როგორც ბიბლიაშია: არა იზრუნო ხვალინდელ დღეზე, ხვალემ იზრუნოს ხვალეზეო!"

მაგალითად, ახლა წიგნს ვწერ და ჯერ არ ვიცი, სათაურად რა დავარქვა. უკან ვიხედები, მეორედ მინდა ვნახო — რაც მინახავს... ერთი პირობა, მინდოდა, დამერქმია — „რეპორტაჟი ჯანდაბიდან". რატომ, იცით? დედაჩემს სულ ეშინოდა ჩემი სახლიდან გასვლის და როცა მეკითხებოდა: — სად მიდიხარ, ბიჭოო?.. ამ დროს მე თვითონაც არ ვიცოდი, სად მიედიოდი და არ ვიცი-მეთქი — ალალად ვპასუხობდი.

— ჯანდაბამდე გზა გქონიაო! — დამლოცავდა თუ დამწყევლიდა... ახლა, უკან რომ მოვიხედე, დავინახე — მართლა ჯანდაბა იყო და თანაც, არც თუ ისე უინტერესო „ჯანდაბა"!

— ერთმა ბრძენმა თქვა, იმის არ იყოს, — მე ვიცი, რომ სამოთხე კარგია: ჩიტები ჭიკჭიკებენ, ბულბულები გალობენ, მაგრამ მგონი უფრო საინტერესო ხალხი ჯოჯოხეთშიაო... საინტერესო, ალბათ, იმ გაგებით, რომ იცხოვრეს მის ჭკუაზე, ყველაფერი ნახეს, ყველაფერს გაუფცქვნეს გემო. პრინციპში, ჯოჯოხეთი, ჩვენ, უკვე ჩვენს „სამოთხეში" — ცხოვრებაში ვნახეთ. ჯოჯო უძახე შენ და ძალიან საინტერესო ჯოჯოხეთი აღმოჩნდა. ცხოვრება სავსეა სიკეთითა და ბოროტებით, თეთრითა და შავით... და ანგელოზებიც... ეშმაკების გარეშე წარმოუდგენელია! თუმცა, მაინც — ფუი, ეშმაკს!

## გამჭრიახობით მოპოვებული სტუდენტობა

— პროფესია, მგონი, მთლად სწორად ვერ ავირჩიე, იურისტობა მოვინდომე! უნივერსიტეტში მისაღებ უცხო ენის გამოცდაზე 17 გამომცდელში ერთი კინკილა პროტექტორი მყავდა, რომელიც მარტო სახელითა და გვარით მიცნობდა, მე კი უნდა მეცნო შარვალში ჩატანებული ჯიბეებიანი, ე. წ. „ჩერდაკებიანი" ხალათით. მე კი ვიცანი, მაგრამ მასთან მოხვედრა არ გინდოდა? მახსოვს ოთხ-ოთხი კაცი შეჰყავდათ გამოცდაზე და მე მეხუთე კაცად შევეტენე... გამომცდელმა, ოთხი რომ გაუშვა, მერე მითხრა — ხუთიანს ვერ დაგიწერ, იმიტომ რომ ხუთიანს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარე ტატიშვილი წერსო...

მილოა უკვე წლევანდელ ივნისში. 2006-ის დეკემბერში განზრახული პირველი კომერციული გაფრენა (მთვარეზე ტურისტებით). რეგულარული რეისში 2007-დან დაიწყება.

„საქართველოს რესპუბლიკა", 29.05.05.

ტექნიკამ გაუხსნა ადამიანს ფანტაზიას და ადამიანმა დაკარგა აღტაცების გრძნობა. ნეტა იმ დროს, როცა გვიკვირდა, როგორ შეყავდათ ხაწუნნ „ბალიშ" კანფეტებში"... ჰავიდლის ე.წ. ხილფაფა. ეს კამფეტი, სხვათა შორის, ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება!

ახალი ზელანდიის 22 წლის „მოქალაქეს სასამართლომ ორიგინალური სასჯელი მიუსაჯა. მან ერთ პოლიციელს ღორი უწოდა. სასჯელის თანახმად, ამ ახალგაზრდამ ერთი დღე-ღამე ფერმაში მეღორედ უნდა იმუშაოს. გარდა ამისა, მოსა-

როგორი თავხედი უნდა ვყოფილიყავი, რომ გამომცდელი ტყუილში გამომეცადა — ტატიშვილმა იცის-მეთქი.

დაუძახა და დაიწყეს ინგლისურ, გერმანულ თუ ფრანგულ ენაზე ლაპარაკი. ტატიშვილი შეუვალი და ობიექტური კაცი იყო. რა იყო პროტექცია, არც იცოდა! ისიც ვერ იფიქრა, რომ, საერთოდ, ვიტყუებოდი. ეგონა, ალბათ ვილაცამ კი მთხოვა, მაგრამ ეს ახალგაზრდა როგორ მიბედავს, შემახსენოსო! უცბად მომიბრუნდა და მკითხა — რომელი ენა გკითხოთო?

— რომელიც გინდათ, არც ერთი არ ვიცი-მეთქი — ვუპასუხე!!

— აბა, ის მაინც თუ გაიგე, რა ვილაპარაკეთო?

— მე, ბატონო, შეიძლება უცხო ენა არ ვიცოდე, მაგრამ იმდენი კი მესმის, რომ კერძო საუბარს, თუნდაც უცხო ენაზე, ყური არ დავუგდო-მეთქი.

ძლივს შეიკავა სიცილი...

— სად აბარებს ეს ბიჭიო? — იკითხა.

— იურიდიულზეო — უპასუხეს.

— ეს უკვე იურისტია, თანაც ნიშნიანიძეა გვარად და უნიშნოდ ხომ არ გავუშვებთო...

ჩემი მოხერხებულობა მოეწონა, რასაც, სხვა დროსაც, არაერთხელ უშველია.

თუნდაც!..

ომის დრო იყო და მახსოვს, გაჭირვებული მეზობლები რომ მთხოვდნენ, ხოლმე, კარაქი ამიღე ან შაქარიო... სამსაათიან რიგში მარტო კარაქისთვის უნდა ვმდგარიყავი, სამსაათიან რიგში — მარტო შაქრისთვის, მე კიდევ ორ სხვადასხვა ხელთათმანს მოვირგებდი ხელებზე და ზემელის გასტრონომის „ფორთოჩკაში" ისე შევყოფდი ორივე ხელს, ორი კაცი ვეგონე და ორ ჩეკს მაძლევდნენ!

წინათ, რასაც ეშმაკობას ეძახდნენ, იმას, ახლა, ჭკუა ჰქვია და ეს, ჩემო ბატონო, მაშინდელ თაობას ნამდვილად არ აკლდა.

„თუ გსურს სამოთხეში იოცნებო,
თავი თბილისელად მოგქონდეს,
თბილისელი ასე ილოცება:
ღმერთმა – შენ მოგცეს, რომ მე – მქონდეს!"

# „პაემანი ვერაზე"

— ჩვენ თაობას არქონების ფუფუნება ჭირდა!.. არაფერი დასაკარგავი არ გვქონდა... მათ შორის, არც დრო! ჯიბეს არ ვუფრთხილდებოდით და ჯიბეში ხელის ჩაყოფის არ გვეშინოდა. რაც გვქონდა — ერთმანეთისთვის გვქონდა, გაგვქონდა და გამოგვქონდა... და ეს, უკვე, დიდი ფუფუნება იყო!

არ მახსოვს, ჩვენს სახლში ქათამი დაკლულიყოს და ის მარტო ჩვენ შეგვეჭამოს. აუცილებლად ვეძახდით მეზობელს ან ნათესავს.

და დღეს, მართალი გითხრათ, არ მეგონა თუ ვიფიქრებდი, რომ სახლიც მექნებოდა, კარიც მექნებოდა, მანქანაც მეყოლებოდა და ბედნიერების ზენიტში არ ვიქნებოდი, კიდევ რაღაცის პრეტენზია მექნებოდა!

რა შეედრება იმ ბედნიერებას — მიყვარდეს და ვუყვარდე ხალხს! არადა, როგორ გინდა, ადამიანებს მოთხოვო სიყვარული, როცა ყველას თავის თავი უჭირს: შიათ, სწყურიათ, სცივათ...

ჩვენ, დროს, ათმაგად და ასმაგად იყო ეს სიძნელეები, მაგრამ ერთი დიდი ნათელი გვადგა, რომელსაც სიყვარული ერქვა! დღეს, სამწუხაროდ, ზოგჯერ, ამ სიყვარულს ღლაბუცი ჰქვია. გაეთითოკაცდით! ყველა გადარჩენაზეა, თუმცა ცალცალკე ვერ გადავრჩებით.

ერთხელ მკითხეს: რა გვჭირსო ქართველებს?

ვუთხარი: ერთმანეთის ჯინაზე კარგად ყოფნის უბედურება-მეთქი! გვინდა, რომ ერთმანეთის ჯინაზე ვიყოთ კარგად, მაგრამ ჯინაობით კარგად ვერ ვიქნებით. ამაზე ერთი ასეთი სტროფიც მაქვს:

„თუ ასე არ ფიქრობ, ძალიანაც ცდები —
ტყუილად გამსარჯე და ტყუილად გაისარჯე —
შენი გამარჯვებით — მე არ დავიმარცხდები!
ჩემი დამარცხებით — შენ ვერ გაიმარჯვებ!"

## ჩვენ ხასიათიანი ხალხი ვართ!

ადრე რუსებისა მიკვირდა! მიუხედავად იმისა, რომ კულტურით ისინი ოკეანის ზოგიერთ გადაღმელებზე გაცილებით მაღლა დგანან და უფრო ტრადიციულ ხალხად ითვლებიან, მეზობელი მეზობელს უტოვებდა გასაღებს: კატაფალკა ჩამოივლის და ჩემი მიცვალებული გაატანე, დღეს პროფკავშირული კრება მაქვს და არ მცალიაო!.. სადღაც, ეს, შეიძლება ანეკდოტიეთ გაზვიადებულია, მაგრამ ზუსტად ასეთი ჭირისუფლობა მოაქვს გლობალიზაციას. მე ვფიქრობ, რომ ქართულ ხასიათში უფრო ნაცარქექიაა — მეოცნებე, ფანტაზიორი... ლუარსაბიც, ყვარყვარეც ჩვენი სისხლი და ხორცია!

ჩვენ ხასიათიანი ხალხი ვართ. დიდი ილია ამბობდა — „უხასიათო კაცი რა არის" — ქალაქი რა უნდა იყოსო!

დიახ, ხასიათიანი ქალაქი იყო თბილისი და ღმერთმა ქნას, დაიბრუნოს მისი კოლორიტი, მისი ზნეთვისება!

მე თუ მკითხავთ, ამერიკა მაშინ უფრო საინტერესო ქვეყანა იყო, როცა იქმნებოდა! იქ ხალხმა ფულის შოვნა იცის. აქ — ხარჯვა! ჩვენ, ხარჯვა ვიცით — ფულის კეთება არა. ალბათ, ამიტომ არის, რომ ქართველი ამბობს — ფული ვიშოვნეო! ფულს შოვნა კი არა — კეთება უნდა!

დავით სარაჯიშვილს უყვარდა თქმა: „ფული ცუდი ბატონია და კარგი მოსამსახურეო".

...ამერიკაში, ჯორჯიის შტატში ყოფნის დროს (1983 წ.), „CNN"-ის კორესპონდენტმა იმ დროისთვის ჩვეული კითხვა დამისვა: რა განსხვავებაა ჩვენსა და თქვენს ჯორჯიას შორისო?

*მართლის გადაწყვეტილებით. მას შემდეგ, რაც ხანჯალი შეიძენს გამოყენებლობას მეღორეობის დარგში, ვალდებული იქნება, დაწეროს და სასამართლოს წარუდგინოს ესეი თემაზე – „განსხვავება პოლიციელებსა და ღორებს შორის"*

***P.S.*** *მართლაც, ორიგინალური სასჯელია. ასეთი ლოგიკით და სამართალწარმოებით ჩვენშიც არის მოსაძლებელი მსგავსი სასჯელების დანიშვნა: ქურის შვილობა, მამა-ძაღლობა, საგიჟეთში მოხვედრა, საკუთარი ცოლის ქმრობა, ყაყაჩობა, მილიციონობა (პოლიციელის მეტსახელ-თიკუნებით)...*

*ერთი ჩემი, ლამის ბავშვობისდროინდელი ანეკდოტია. როგორ უჩივლა ერთმა – მეორეს: ამან მე 20 წლის წინ – ბეჰემოთი მიწოდა.*

*– ახლა უჩივით? – გაუკვირდათ პოლიციაში.*

*– დღეს ვიყავი მე ზოოპარკში და ვნახე, რაც ყოფილა ბეჰემოთი, – ხანდაზმულობის მიუხედავად დაუსაბუთებია მომჩივანს ხაჩავარი.*

ვუპასუხე: თქვენს ჯორჯიაში ღმერთი ისვენებს და კაცი მუშაობს, ჩვენს ჯორჯიაში კი პირიქით — ღმერთი მუშაობს და კაცი ისვენებს-მეთქი!

.....არც ანგელოზი არა ვარ,
არც თავი მომაქეს ნარცისად,
რაცა მაქეს, ის არ მაწუხებს,
და რაც არა მაქეს – არც ისა!"

— 1981 წელს, როცა „პაემანი ვერაზე" დაიდგა, რუსთავში მიმიწვიეს ახალგაზრდობის შეკრებაზე და იქ ასეთი რამ მითხრეს: თქვენ ისე გაქვთ აღწერილი ნავთის რიგი, რომ ჩვენც ვინატრებთ იმ რიგში დგომასო... მაგრამ შთაბეჭდილება რჩება, რომ თქვენ ომისდროინდელი შიმშილობითა და გაჭირვებით თავი მოგწონთ, დღევანდელი თაობის სწრაფვას ფუფუნებისკენ კი — ცერად უყურებთო!

— დიახ, — ვთქვი მე, — ჩვენ ჩვენი მშიერი ბავშვობით თავი მოგვწონს, რადგან სულით ვიყავით მაძღრები და, ამის გამო, ყელამდე ბედნიერებიც!

რაც შეეხება „ფუფუნებას", დაუკვირდით ამ სიტყვას — ორჯერ იფურთხება-მეთქი!

## ასე დაიწერა პაემანი ვერაზე

— მეგონა, ვერასდროს გავბედავდი ლექსის წერას... გალაკტიონის შემდეგ ლექსის წერა, მე თუ მკითხავთ, ცოტა თავხედობაცაა, მაგრამ ყველას თავისი სათქმელი აქვს. ქართულ რითმას საოცარი ძალა გააჩნია. სიმონ ჩიქოვანსა აქვს ნათქვამი:

„მე სულ სხვა რამე მინდოდა მეთქვა,
მაგრამ სხვას ამბობს ნყეული რითმა!"

... იყო მომენტი ჩემს ცხოვრებაში, როცა ავადმყოფობის გამო ათი დღე ლოგინში წოლა მიწევდა. ათი დღე ჩემისთანა დაუდეგარი კაცის ლოგინში გაჩერება ეს იგივე იყო, რაც გულზე ხელების დაკრეფის რეპეტიცია! (ღმერთმა დამიფაროს, სულაც არ ვჩქარობ). ჰოდა, დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ რაც მინახავს, კიდევ ერთხელ მენახა!.. მხოლოდ პოეზიას შეეძლო, ეთქვა ის, რისი თქმაც მინდოდა.

— ერთსაც გეტყვით: პროფესორ გივი ლამბაშიძის თაოსნობით ვერელმა ბიჭებმა ერთხელ დამიჭირეს, მთელი ღამე ქეიფში თეთრად გამათენებინეს და მითხრეს: რადგან შეეჭიდე ვერის უბნის თემას, ანი გაჩერება არ შეიძლებაო.

— მე, ჩემთვის, ავადმყოფობის გამო, დრო მოვკალი — დავწერე ნიაზ დიასამიძეზე, ოთარა მგელაძეზე...

ისინი კი მოითხოვდნენ, გამეგრძელებინა თემა, ვთქვათ, ავთო ვარაზზე, რომელიც ნაღდი მწუხარე სახის რაინდი იყო, დონ კიხოტ — ვერელ — ლამანჩელი, საოცარი ნიჭის, იუმორის პატრონი. უცბად, აქვე დამებადა ერთი ფრაზა და მივხვდი, რომ შევძლებდი იმას, რასაც ჩემგან მოითხოვდნენ:

„ვერა, ვერასგზით, ვერასდიდებით,
ვერაზე ვარაზს ვერ ავცილდებით!"

მოკლედ, მერე ავდექი და ვისაც, როგორც და რამდენადაც შევძელი — მივწვდი და მოვეფერე!

---

*ყველა დროის პოეზიის ნათელი – უსინათლო პოეტი ჰომეროსია!*

*არსებობს მრავალწერტილების პოეზია და ძახილ-კითხვის ნიშნების პროზა!..*

## ...არც მწვადი, არც შამფური!

ბევრ ლამაზ, საინტერესო და ზოგჯერ გამოუვალ სიტუაციაში მოვხვედრილვარ. აი, ის ერთიც!

ვასო გოძიაშვილი იმდენად უყვარდა სესილიას, რომ ქმარს განშორება სიცოცხლის ბოლომდე ვერ აპატია, ვასოს ხსენებაც არ უნდოდა. ერთხელ თქვა: ვინც მაგას ახსენებს, რომ მოვკვდები, უკან მომენიოსო. როცა ის გარდაიცვალა, რესტორან „არაგვში" ორი დიდი სუფრა გაიშალა. ერთის თამადად ჩემი მერხის ამხანაგი, საყოველთაოდ ცნობილი გიგა ლორთქიფანიძე აირჩიეს, მეორე სუფრის ტოლუმბაშობა კი წილად მხვდა მე.

დათო გოძიაშვილი ხან ერთ დარბაზში გარბოდა, ხან მეორეში და ელოდა ჩვენს თამადურ საზრიანობას. ვასოს სახელის არხსენებაც არ შეიძლებოდა და ხსენებასაც ვერავინ ბედავდა. რაღაც გამოსავალი ვიპოვე: 200 კაციან სუფრას ყურადღება ვთხოვე, ავდექი და სამარისებურ სიჩუმეში ვთქვი:

— ამ სასმისით შევსვათ იმ ადამიანის სადღეგრძელო, ვისი აქ... არც ხსენება შეიძლება და არც არხსენება-თქო.

200 კაცი ერთად წამოიჭრა ფეხზე და ასე უთქმელ-სულმოუთქმელად შესვა ეს უთქმელად სათქმელი სადღეგრძელო!

ასე შესრულდა მკვდრის ნებაც და ცოცხლის სურვილიც!

## თბილისური ახალი წელი!

ჩვენს დროს სიყვარულს დიდი გული ჰქონდა. მოდაში იყო „ნემეცკი შჩოტით" ქეიფები. მასპინძელს, ოღონდ ტელეფონი და პიანინო ჰქონოდა, და მეტი რაღა გვინდოდა. მახსოვს, როგორ მოგვექონდა საზეიმოდ გამოწკეპილებს ქაღალდში გახვეული და მხარზე გადებული... ღუმელში შესაკეთებელი ჩვენი წილი შეშა. ერთადერთი ოქრო, რაც მაშინ იყო — მაშინ გული ხარობდა, ახლა თვალი ხარობს!

ალალად გვიყვარდა ერთმანეთი.

ისე, ახალი წელი კარგია 60 წლამდე, მერე უკვე ხვდები, რომ წლები კი არ გემატება — გაკლდება. ახლა, ახალი წელი თქვენთვის უფრო მიხარია. თუმცა, ამ დღეს ყველა ერთად ვართ. საერთო სიხარულით ვხარობთ.

როცა ადამიანები რაღაცის მიმართ გამოხატავენ იმედს, შენც მათთან ერთად უნდა იყო! ხომ ხედავ,

ეკა მამულაშვილი

ედუარდ შევარდნაძე: არასოდეს მიოთქვამს ალსარება და არც ზიარება მიმიღია.

სოროსი უცნაური და უკუღმართი კაცია. ცუდადაა განწყობილი დემოკრატიის მიმართ. მან, არამარტო ჩემ წინააღმდეგ. ბუშის წინააღმდეგაც ჩადო 15 მილიონი დოლარი, რომ იგი პრეზიდენტად აღარ აერჩიათ.

საზოგადოების არაერთი ჯგუფი მოითხოვს თქვენს გასამართლებას იყო ზვიადისტთა აქციები თქვენს რეზიდენციასთანაც ვა-ე ნ ვარდების რევოლუციის „მე-ლოდებიც" (აქციების მხედრობისას) სახელმწიფო დამნაშავე მოვიხსენიებოდნენ. თქვენ მაინც სარგებლობთ ხელშეუხებლობით. დღევანდელ ხელისუფლებას თქვენ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთვის სამხილები არა აქვს თუ სურვილი?

— ამა სამხილები რომ ჰქონდეთ, სისხლის სამართლის საქმე ჩემს

ჩვენმა წინაპრებმა რა სილამაზე შექმნეს: ალილო, კარდაკარ ჩამოვლა, სიკეთის ტარება, დალოცვა, მაგრამ ახლა რომ მომავალი გვეზმანება, ასე მგონია, ცერად გვიყურებს ხანშიშესულებს — თავი დაანებეთ, ბებიების და ბაბუების მუთაქების ქექვასო.

ჩემო ბიძია-ბაბუებო, გახსოვდეთ! რომ „წინა კაცი უკანას ხიდია" და ნუ ჩატეხავთ ხიდებს თაობებს შორის.

— გვიყვარდეს ერთმანეთი! ღმერთი სიყვარულია!

P.S. როცა ბატონი გიზო ნიშნიანიძის „პაემანი ვერაზე" წავიკითხე, ერთი საოცარი წერილი დამამახსოვრდა, რომელიც ათ მცნებასავით გონებაში მიტრიალებს და სწორ ცხოვრებასაც მასწავლის. ჩემი ინტერვიუც სწორედ ამ წერილით მინდა დავასრულო.

## ღია წერილი XXI საუკუნის ვერელებს!

„ქალაქ ანკარას მუზეუმში ინახება სიგრძე-სიგანით მსოფლიოში ყველაზე დიდი 9 მეტრი სიგრძისა და 7 მეტრი სიგანის უნიკალური წერილი.

ამ წერილის სიგრძე-სიგანის გაზომვა კი თქვენთვის მომინდვია შვილთაშვილებო — 21-ე საუკუნის კაცებო, რომელნიც, ჩვენი სახელითა და გვარით, უჩვენოდ ივლით ამ დუნიაზე:

რა გითხრა — სიფთად? იცხოვრე — სუფთად,

შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო...

აიღე და ქვაზე დადე, რაც მადლი პქენიო!..

...კაცს, რომელსაც თავისი თავი მოსწონს — იმას უკეე ერთი ცოლი პყავს?! კაცი, მის თავს, სხვის თვალებში როს სცნობს — აი, ეს კი სხვა გაცნობას პგავს!.. პგავს კი არა, მე თუ მკითხავთ, ასე — შეიყვარე შენი თავი სხვისგან! ყველაფერი, რასაც შენთვის ავსებ, უნდა გასცე, წვეთ-წვეთ, მისხალ-მისხალ! შენი მარგო ის იქნება, რასაც შენისთანა დაგიბრუნებს უკან... ასე, კოვზით — შენ აავსებ ზღვასაც... ან რაცა გაქვს, მასაც გადაბუგავ.

თუ უკან არ დაგიბრუნდა ვალი,
ვერ გაიგე კაი კაცის ფასი,
არ დარჩები მაინც ხახამშრალი,
იტყვის ერთი, თუ არ იტყვის ასი,
რომ კაცობა ყველაფერზე მაღლა
იყო, არის და იქნება მუდამ,
სიკეთისთვის არ არსებობს დაღლა.
სიკეთისთვის არ არსებობს ხურდა!..
...სულ ეს არის, ჩემო სისხლო-ხორცო,
რისი თქმაც მე სიტყვა — ღმერთით მსურდა!"

**„ქართული ჟურნალი"**
**8-15.08.06.**

---

*ყველა ხიდი დამწვარია ჩემ უკან... ის ძალა კი რაც შემომრჩა... საკმარისია მაცხოვრისაკენ წასაბარბაცებლად. — წერს შვიდი შვილის დედა, მამამეციერისკენ ხელაპყრობილი პოეტი ლია რუსიშვილი .*

*(„ლ.ს." 13.05.05).*

**ქეთევან ხამიცაშვილი:**

*ვნანობ, რომ ჩემი შვილიშვილების ბაბუა ვარ და არა — მეგობარი...*

**გიზო ნიშნიანიძე**

რუბრიკის სტუმარია მწერალი, ჟურნალისტი, თბილისის კოლორიტი, ბატონი გიზო ნიშნიანიძე!

— რას ვნანობ? სინანული ღმერთთან მიახლოება: ამპარტავნება არაეკლესიურია. ყველა ჩვენგანს რაღაც აქვს მოსანანიებელი. „დაბადებაში" შავით თეთრზე წერია, რომ თვითონ უფალმა ინანა ადამიანის შექმნა!..

ცნობილი პოეტი ია სულაბერიძე, თავის ერთ ლექსში, მამაკაცებს ბოდიშს უხდის, — ერთი ნეკნი რომ მოგპარე, როგორც ქალი, ევას სახელით ბოდიშს ვიხდიო... ღმერთი მოწყალეა, მაგრამ მაკრთობს ერთი აზრი — შეიძლება, ყველაფერი მოიწანიო? არსებობს ისეთი დანაშაულიც, რისი პატიებაც არ შეიძლება. მაგალითად, ვახტანგ მეექვსეს კანონთა კრებულში უწერია, — სამშობლოს მოღალატეს არავითარ სასჯელს არ ვუნიშნავ, იგი ყველაფრის ღირსიაო! ამაზე დიდი სასჯელი რა უნდა იყოს.

ვნანობ, რომ გავჩნდი მეოცე საუკუნეში. აჯობებდა, XIX საუკუნეში მეცხოვრა, უფრო მეტი ხიბლი იყო. იმას რა სჯობდა, ვყოფილიყავი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დავით სარაჯიშვილის თანამედროვე?! ვნანობ, რომ გალაკტიონად არ დავიბადე. ერთმა პოეტმა თქვა: — გალაკტიონი ბრწყინვალე ლექსებს წერდა, მაგრამ ცუდად კითხულობდაო?! გალაკტიონის ლექსების გალაკტიონზე კარგი მკითხველი ვერც კი წარმომიდგენია. ის რომ კითხულობდა „ქარი ქრის", ქარი მართლაც ქროდა და თანაც ისე, როგორც ამას გალაკტიონი ბრძანებდა და უბრძანებდა!

დასანანია, ერთხელ რომ იბადები კაცი და ისიც — საბჭოთა კავშირში! მგონი, ჯერ ისევ იმ დროში ვცხოვრობთ, როდის „გავთავისუფლდებით", არ ვიცი.

მადლობელი ვარ ღმერთის, რომ „წერამ ამიტანა". 53 წლის კაცმა ლექსი პირველად დავწერე. ერთ პოეტს ჩემზე უთქვამს (ვიცი, ვინც თქვა), — რა უნდა, ჟურნალისტია, წეროს ფელეტონები, ლექსებთან რა ესაქმებაო... თითქოს მის საკარმიდამო ნაკვეთში შევიჭერი. ჩემს სახლიკაცს, შოთა ნიშნიანიძეს ვუთხარი, — თქვენი (პოეტების) კარ-მიდამო ცაშია, ხომ შეიძლება, იქ ყველამ თავისი ადგილი იპოვოს-მეთქი.

„...ბავშვობისკენ გამიტაცა ბერამ, ღეიძლი შეილიეთ შემიხორცა ვერამ და შემლილიევით ამიტანა

*წინააღმდეგ აქამდე ათჯერ აღიძვრებოდა. ასე რომ, რაც თქვეს, ეს მათ სინდისზე იყოს!*

*— თქვენ ხშირად გხედავენ ეკლესიაში. ცხოვრობთ თუ არა ეკლესიური ცხოვრებით. ამბობთ თუ არა აღსარებას. გყავთ თუ არა სულიერი მოძღვარი?*

*— ჯერ ერთი, ხშირად არ მხედავენ ეკლესიაში, იმიტომ, რომ ხშირად არ დავდივარ. დავდივარ, როცა დიდი მოვლენაა... ვთქვათ, აღდგომა, ახალი წელი... ბატონი ილია II ან დამარიგებს, ანდა მოსაწვევს გამომიგზავნის...*

*აი, ახლაც ვიყავი აღდგომას, სიმართლე გითხრათ, გავოცდი ხალხის განწყობით... ძველი დრო გამახსენდა. ხალხი მიდიოდა, ზოგს ხელის ჩამორთმევა უნდოდა, მოეფერება... გარეთ რომ გამოვედი, 300-400 ადამიანი, ძირითადად, ქალები ყვიროდნენ ძალიან — „მოგვენატრეო!" ასე ბინძური თუ ვიყავი, დამნაშავე, ხალხს თუ ვხვრეტდი და რაღაც, რა შეიცვალა? მე მგონი, ასეთი შეხვედრა იმედგაცრუების*

წერამ"... დიახ, ცოტა გიჟიც უნდა იყო... გალაკტიონი არ იყო ღვთაებრივი სიგიჟით შეპყრობილი?..

ამასწინათ უნივერსიტეტიდან მეწვივნენ. მომიტანეს ჩემი 55 წლის წინანდელი სტუდენტური საქმე — ნიშნები, აკადემიური მოსწრება. გადავათვალიერე ყველაფერი ეს, მეორეჯერ გავიარე ის ცხოვრება... რომ მცოდნოდა, ამ „ნაგავს" შეინახავდნენ, რა თქმა უნდა, ცოტა უკეთესად ვისწავლიდი.

მენატრება წარსული, ჩემი მეგობრები. უკვე ასაკში შესული კაცი ვარ, მაგრამ „ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი და ვრჩები ასე ბებერი ბიჭი"... დღემდე ბებერი ბიჭი ვარ, შეიძლება გული და ფეხი არ მომყვება, მაგრამ... ერთხელ ერთი გოგო ისე მომეფერა, მომესიყვარულა, გამიცეკვა, ჩამეხუტა, მაკოცა კიდეც, რომ ამხელა კაცი უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი და ლექსით ძლივს დავიძვრინე თავი:

არც შეხვედრის კოცნა იყო
და არც დამშვიდობების,
არც მილოცვის,
არც მოლოცვის,
რაღაც-რუღაც გრძნობების.
მე არ ვიცი, რა დავარქვა
ამ სიყვარულს გაცდენილს,
ეს... სამძიმრის კოცნა იყო —
ჩვენი დროში აცდენის!..

იყო შემთხვევა, რუსეთში ერთი ულამაზესი გოგო გავიცანი, საცეკვაოდ გამომიძახა, მაგრამ ჩემზე მთელი თავით მაღალი იყო. მეუბნებოდა, — ღმერთმა ამდენი წყალობა მოგცათ — ნიჭი, მწერლობის უნარი (თურმე, ჩემმა ძმაკაცებმა მაქეს)... ყველაფერი კარგია, — ვუპასუხე, — მაგრამ ღმერთმა რატომ ის არ გაითვალისწინა, რომ თქვენთან უნდა მეცეკვა, ერთი 10 სანტიმეტრით მეტი სიმაღლე მოეცა-მეთქი!

...ეჰ, დრო წავიდა, აღარ არიან ჩემი უახლოესი მეგობრები. ოთარა მგელაძე რომ დაიღუპა, ისიც კი ვიფიქრე, მის გვერდით საფლავს დავიკავებ, რათა იმ ქვეყანაშიც ერთად ვიყოთ-მეთქი. ჩემთვის ნამდვილი კაცობისა და ზნეობის მაგალითი იყო კოლია სტურუა — ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. ასაკით ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ ჩემს მეგობრად ვთვლიდი...

...ვნანობ, რომ ჩემი შვილიშვილების ბაბუა ვარ და არა — მეგობარი... იმიტომ, რომ მინდა, დიდხანს ვიყო მათთან. მაგრამ თავს ამით ვიმშვიდებ: — „სიბერემ თქვა: — რა დროს ჩემი სიყვარულიაო, სიყვარულმა თქვა, — რა დროს ჩემი სიბერეაო"!.. სიყვარული არ ბერდება.

ჩემი ქალაქის სიყვარულში თუ ვინმე შემეჯიბრება, ბედნიერი ვიქნები. იყო დრო, როცა თბილისელი მეთევზე მტკვარზე სათევზაოდ რომ მიდიოდა, ფეხს იბანდა, — მტკვარი არ დავაბინძუროო... დღეს თბილისის ქუჩებს ულევთოდ აბინძურებენ... ამას კიდევ რა უშავს, დავგვით, მაგრამ სულის სიბინძურეს რა მტკვარი გარეცხავს?!

ახალგაზრდობაში დიდ ყურადღებას ვაქცევდი გარეგნობას. ახლა ცოტა სხვანაირად ვფიქრობ. ცოლქმრობა გაცილებით მეტი რამ ყოფილა, ვიდრე ლამაზი გოგოსა და ბიჭის ქორწინება. „თვითონ პოეტი უნდა იყო, რომ პოეტის ბედი გაიზიარო". თბილისელი გოგოები თავისუფალი, ლაღე-

ბი იყვნენ, მაგრამ ახლა ისეთი თამამები, გულახდილები, გულჩახდილები და ნამუსახდილები არიან, გაგაოცებთ. ტანისამოსს ისეთ ადგილზე ამოჭრიან, სადაც ყველაზე დიდი ეროტიკაა... მოელა უნდა ყველაფერ ამას. ერთხელ, ტელევიზიაში („ალიონში"), ერთმა ახალგაზრდა პოეტმა მითხრა, — ბატონო გიზო, თქვენი თაობის ბრალია, თუ რამე ცუდი გვჭირსო... ვერ გავიგე, რა ხდება. ჩვენს დროს 2-3 ჰომოსექსუალისტი თუ იყო, ისინიც იმალებოდნენ. ახლა არ ვიცი, ვერ ვარჩევ, ვინ ჰომოსექსუალისტია, ვინ კიდევ რისისტი?.. ნინა თაობას კი ნუ დავადანაშაულებთ — საკუთარ თავს მივხედოთ...

მენანება ის ხალხი, სიმდიდრემ რომ გადააგვარა. რამდენჯერ მითქვამს: ერთმანეთის ჯინაზე კარგად ყოფნის უბედურება გვჭირს. ზოგჯერ ქონების უფრო მეშინია, ვიდრე არქონების. სიღარიბე ჩვენ ვერ მოგვერევა.

ჩემი თავი მობილიზებული, მძიმე და ყოჩაღი კაცი მეგონა. მაგრამ ასე არ ყოფილა. სუსტი ვყოფილვარ. როგორ ვიფიქრებდი, რომ გულის ოპერაციას გავიკეთებდი ან შემთხვევით გასროლილი ტყვია მომხვდებოდა. ოპერაცია გავიკეთე, ტყვიას კი ახლაც სხეულით ვატარებ.

ვაფასებ სიკეთეს. დიდ ჯილდოდ მიმაჩნია. მადლობას ვუხდი გუჯა ბუბუტეიშვილს, რომელიც ბევრ ადამიანს დაეხმარა. ამ კაცმა, თორნიკე გოგლიძის ოჯახს, რომელიც მთელი ცხოვრება კონიაკის ნარმოებაში მუშაობდა (გარდაიცვალა), თორნიკეს ჯამაგირი არ გაუუქმა და იმქვეყნად ნასული კაცი, ამქვეყნად, დღესაც საჯამაგირო უწყისში დატოვა! აი, ეს არის სიკეთე და მადლი...

1967 ნელს საფრანგეთში მივემგზავრებოდი. ერთი ტიპი შემომიჩნდა — საზღვარგარეთ ფული მაქვს გასაგზავნი და შენ ნაიღეო. ვიყოყმანე, მარა დახმარებას დავპირდი... შემდეგ კგბ-ში დამიბარეს — საფრანგეთში ფულის ნაღებას აპირებო?.. მეცოდებიან ასეთი ადამიანები... ბოროტება არავის შერჩება!

ენანობ, რომ რამდენიმე კაცი ამ ქვეყნიდან ისე ნავიდა, ვერ გაიგო, რომ მე მათთვის მხოლოდ სიკეთე მინდოდა. იყო პერიოდი, როცა თავის მოკვლაც გადავწყვიტე, მაგრამ ისევ სიყვარულმა გადამარჩინა. ლექსიც დავწერე, სადაც ჩემს თავს ვესაუბრები: ცოლი ამბობს — რა უფლება გაქვს, მომიკლა ქმარი. შვილი ამბობს — რა უფლება გაქვს, მომიკლა მამა და ა. შ. ისევ სიყვარულმა მიშველა.

სამსახურში დევნილი, ტელევიზიამ შემიფარა. ჩემ გამო, მგონი, ნუგზარ ფოფხაძეს სამსახურიდან

მელევიც იყო.

— *თქვენ არ მიპასუხეთ კითხვაზე: გყავთ თუ არა სულიერი მოძღვარი? ოდესმე აღსარებას ამბობთ? ზიარება მიგიღიათ?*

— არა, არა!

— *არც გაქვთ ამის სურვილი?*

— არა, მე ჩემს გულში და მეგობრებში ვიპოვე ღმერთი და არა სულიერი მოძღვარი!..

— *მთელი ამ განვლილი მოღვაწეობის მანძილზე არ არის რამე ისეთი, რაც გაწუხებთ და სინდისზე გაწევთ?*

— ჩემი რჩევა ასეთი იქნება, დაელოდეთ ჩემს წიგნს, იქ მკითხველს მე სრულიად გულწრფელად მოვუთხრობ იმაზე, რაც გავიარე, საერთოდ, რა გავაკეთე და სად იყო შეცდომები.

— *რას ნანობთ ისეთს, რისი თქმაც ახლა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ხალხისთვის?*

— ვნანობ რას? (ჩაფიქრდა) მე რომ ხელისუფლების მოყვარული კაცი ვყოფილიყავი, არ გადავდგებოდი, არ ვნანობ იმას, რომ გადავდექი.

ბინდი არჩე-

ხსნიდნენ... მახსოვს, 13 თებერვალია — ჩემი დაბადების დღე. არავის ველოდები, არავის ნახვა არ მინდა. ნუგზარ ფოფხაძე მირეკავს და მეუბნება, — შეიძლება, მომხსნან სამსახურიდან, მაგრამ დღეს უნდა გაგახარო — ჩართე ტელევიზორი და შენი „პაემანი ვერაზე" ნახეო! ბედნიერი ვარ, რომ იმ ღამეს მთელი ვერის უბანი გარეთ გამოვიდა, თაობების „პაემანზე"! ახლა სადღა არიან პიროვნებები.. გაუგებარია ისიც, რომ დღეს მწერლობაში იმართება რაღაც ტურნირები, შეჯიბრებები... Pen-მარათონი. „პენ"-კალამს ნიშნავს, მაგრამ „გაქცეული" წერა რას ნიშნავს, არ ვიცი... თუმცა აი, ახლა ჩემს გაქცეულ კალამს მივდევ და ძლივს ვეწევი!

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში გვყავს უმცროსი გიზო ნიშნიანიძე, ჩემს გაგრძელებას მაინც პატარა შვილიშვილში — დათო ნიშნიანიძეში ვხედავ. ვჩხუბობთ, მაბრაზებს. გუშინაც გამაბრაზა, ვიფიქრე, ამას ახლა გავბეთქავ-მეთქი. ოთახიდან გასული ისევ მობრუნდა. გავბრაზდი, კიდევ რა უნდა-მეთქი და უცებ მეუბნება, — ხელის ჩამორთმევა მინდოდა, რომ დამეწყნარებინეო (იცინის)... ფულს მთხოვდა, ვუსაყვედურე, — ფულზე მეტ საურთიერთოს, ჩემთან, ვერაფერს ხედავ-მეთქი? — არ მივეცი. მეორე დილით, გულმა არ მომითმინა და ვაჩუქე მანეთი. მეუბნება, — კაცო, შენ, დილით, სანამ გამოფხიზლდები, რა კარგი კაცი ხარო (იცინის).

ერთიც!

6 წლის დათუნას ვეუბნები: სახლში ნუ უსტვენ, სიღარიბე, უფულობა იცის-მეთქი.

— სწორი ხარო! — დამიკრა თავი დაარგუმენტიც ზედ მოაყოლა, —ვის უნახავს ფულიანი ჩიტიო.

...ყოველდღე ვლოცულობ საქართველოსთვის, ოჯახისთვის. ყველას აქვს უფლება, საქართველოში კარგად ცხოვრობდეს, მაგრამ არავის — იცხოვროს საქართველოზე კარგად!

ღმერთს კი, პირადად, რას ვთხოვ, ეს მე და ჩემმა ღმერთმა ვიცით.

**გაზ. „ასავალ-დასავალი" N 26,**
**28.06 - 4.07.04.**

**თამარ თაბაგარი**

## უნივერსიტეტი არასოდეს მთავრდება

„მე არ ვიცოდი, ლექსის წერა თუკი ვიცოდი, მაგრამ ვიწვოდი"...

**გიზო ნიშნიანიძე**

„ავაშენოთ ერთი თბილისური სახლი, თავისი ქალაქური სასამართლოთი, ბერიკებით, ყორჩებით, ხანუმებით და წარსული თუ თანამედროვე წეს-ჩვეულებებით, რომ ახლანდელი ქუჩის დონეზე კი არ დავეშვათ, მაშინდელი ქუჩის დონემდე ავმაღლდეთ", — ეს სიტყვები თბილისის მეტრფეს — გიზო ნიშნიანიძეს ეკუთვნის.

ჩვენ, ბატონ გიზოს, მაჯაზე მოვკიდეთ ხელი და უნივერსიტეტის ხსენებაზე... აუჩქარდა! ამით მისი უნივერსიტეტელობა გამოვარკვიეთ.

სტუდენტურ არქივთან „პაემანმა" კი გიზო ნიშნიანიძეს მარადიული დრო და წუთსაათები გაახსენა.

„როგორ გამახარეთ, მე ხომ ჩემს თავს ვხვდები, 17-18 წლის გიზო ნიშნიანიძის სუნთქვას ვგრძნობ, ამ არქივის ნახვა საოცარი განცდაა, რომელსაც, არც კი ვიცი, რა დავარქვა". სიტყვის ოსტატს სიტყვები ელევა და გაოგნებული ათვალიერებს არქივს, რომელიც 1945 წლით დათარიღებული სიმწიფის ატესტატით იწყება და 1950 წელს გაცემული იურისტის დიპლომის ასლით მთავრდება.

...„ჯერ მინას არ აცილებია, უკვე ხელიდან წასულიაო!"

როგორც ჩანს, გიზო ნიშნიანიძე, არც თუ ისე სახარბიელო ყოფაქცევის გამო, ბევრ სკოლაში სწავლობდა. როდესაც თბილისში დღისა და საღამოს სკოლები დალაშქრა, თბილისის ფარგლებსაც გასცდა — ხარაგაულის, ზესტაფონის, ხონის რაიონის სკოლებშიც კი „ნათლდებოდა" და ბოლოს, უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩასაბარებლად, თბილისის მუშა-ახალგაზრდობის X სკოლაში მიღებული სიმწიფის ატესტატით წარსდგა.

უნივერსიტეტის არქივში შენახული ავტობიოგრაფია, განცხადება რექტორის სახელზე (როგორც თვითონ აღიარა) მამას დააწერინა. ჩააბარა შვიდი გამოცდა და იმავე წელს უნივერსიტეტელის ბილეთის მესაკუთრე გახდა. როგორც ჩანს, III კურსზე ისიც დაკარგა. მაგრამ მადლობა ღმერთს, არქივში 1948 წელს გაცემული დუბლიკატი ინახება.

## „თეთრით შავზე ვკითხულობ და შავით თეთრზე ვპასუხობ"!

დღემდე ღიმილით იხსენებს გამოცდას გერმანულ ენაში, თუმცა აღიარებს, რომ არც ერთი ევროპული ენა არ იცოდა და რა მნიშვნელობა ჰქონდა, რომელს ჩააბარებდა?!

„უცხო ენაში მცირედი პროტექცია გამიწიეს. გამომცდელი მოვატყუე, რომ თავმჯდომარე ტატიშვილმა ჩემ შესახებ იცოდა. გამომცდელმა არც აცივა, არც აცხელა, ტატიშვილს რომელიღაც ენაზე, რაღაც გადაულაპარაკა. მან გაკვირვებისაგან მხრები აიჩეჩა და ახლა უკვე მე მომიბრუნდა — თუ გადათარგმნი, რაზე ვისაუბრეთ, 5-იანს დაგიწერთო. მე კი ვუპასუხე: „შეიძლება გერმანული ენა არ ვიცი, მაგრამ იმდენი კი ვიცი, რომ კერძო საუბარს, თუნდაც უცხო ენაზე, ყური არ დავუგდო-მეთქი".

რა გვარია ეს ყმაწვილიო?

ნიშნიანიძეო.

„ნიშნიანიძეს უნიშნოდ ხომ არ გავუშვებთო...

ლაძე:

1919 წელს დაშნაკებმა გამოსცეს რუკები, რომლებზეც აღმოსავლეთ საქართველო, თბილისის ჩათვლითაც კი, სომხეთის საზღვრებში იყო მოქცეული. მართალია, სტამბოლის კონფერენციაზე ამ ცრუ რუკების ფანტასტიურობა იოლად დაამტკიცა თურქეთის წარმომადგენელმა, მაგრამ სამარცხვინო ფაქტად ხომ დარჩა ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობის ისტორიაში.

...ბაგრამიანის სომხურმა ბატალიონმა ლომის წილი დაიდო აფხაზეთში ქართველთა გენოციდში. ალბათ ამიტომ, ქართველთა მხრიდან, სამაგიეროს გადახდის შიში მოსვენებას არ აძლევს რაზდან მადოიანს და მის მსგავსთ.

...პოლიტოლოგი ლევონ მელიქ-შაჰნაზარიანი კი სომხეთის მთავრობას საქართველოსთან... ომისკენ მოუწოდებს.

„ლ ს

3.06.05.

„პრეზიდენტი"

23.05-5.06.2005

„თავისუფლების

კარგი ბიჭი ჩანს, ეს უკვე იურისტიაო", — უთქვამს ტატიშვილს.

საერთოდ, ზეპირ გამოცდებს უფრო ადვილად აბარებდა, ვიდრე წერითს, რადგან ლექტორებთან ცოცხალი კონტაქტის შედეგად უფრო ადვილად ახერხებდა ქულების დაწერას, თუმცა... არქივში დოცენტ ერემოვთან მიღებული ერთი ორიანიც აღმოვაჩინეთ!!!

რა არის ეს, ბატონო გიზო?

„მზად ვარ ნებისმიერი პასუხისმგებლობა ახლა ვიკისრო! მაშინ ჩემს ნიშნებზე არ ვნითლდებოდი, ახლა კი... რომ მცოდნოდა, ეს დოკუმენტები შეინახებოდა, უკეთ ვისწავლიდი", — ამბობს, ნახევარი საუკუნის შემდეგ, მაშინდელი უდარდელი სიყმაწვილით ახლა განითლებული მწერალი.

## რექტორი – ნიკო კეცხოველი

„ბ-ნი ნიკო უნივერსიტეტის ბაღში გავიცანით, მაშინ, როდესაც მე და ჩემი ორი მეგობარი — ფუსო კაკაბაძე და ომან ომანიძე ბაღში ვიდექით და ვმღეროდით. ბ-ნი ნიკო თავზე დაგვადგა და გვირჩია, ღიაცისქვეშეთიდან უნივერსიტეტის კლუბის სცენაზე გადაგვენაცვლა. ასეც მოვიქეცით და ასე მოვხვდით უნივერსიტეტის ჯაზ-ორკესტრში, რომლის სოლისტებიც კი ვიყავით და რომელსაც სოსო ტუღუში ხელმძღვანელობდა.

ერთ დღეს, ბიჭები ვერაზე აღმა-დაღმა დავლაყუნობდით, ამ დროს, წესით, ლექციებზე უნდა ვყოფილიყავით. ვხედავთ, მოდის ნიკო კეცხოველი საკუთარი მანქანა „ზის-101"-ით. მანქანა გაუფუჭდა და მძღოლი დამხმარეს ეძებს. ჩვენ კი შევამჩნიეთ, მაგრამ ლექციების გამცდენ სტუდენტებს საკუთარი თავის „ლუსტრაცია" არ გვაწყობდა. ბ-ნმა ნიკომ გამოსავალი თვითონვე იპოვა, ხმამაღლა დაიძახა — აქ უნივერსიტეტელი ვინცა ხართ, მანქანას მოაწექითო და მოგეცა ლხენა, სულ რიხინ-რიხინით ეატარეთ რექტორის „ზისი".

## „ყველა აკაკაცია ჩემი ძმაკაკაცია"

ბ-ნი გიზო უნივერსიტეტის ბაღში მეტ დროს ატარებდა, ვიდრე ლექციებზე, ხოლო ლექციებისათვის გამეტებული მცირე დროის დიდი ნაწილი სხვის ლექციებზე დასწრებას ეთმობოდა.

მისი საყვარელი აუდიტორია N93-ია, სადაც მოგვიანებით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები დაიცვა.

## -ქეიფმა დილამდე, ილხინ-ივიყმაყოს!"

სტიპენდია, რომელიც მაშინ დიდი ქონება იყო, ძირითადად, ქეიფსა

---

*ჰეგელი: „მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ დამოუკიდებლობას... თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით წინ მიჰყავს მთელი მსოფლიოს ისტორია. მსოფლიოს ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით ხდება.*

*ილია ჭავჭავაძე: არიან ხასიათიანი კაცნი, გულთასრულნი.*

და გოგონების დაპატიჟებას ხმარდებოდა. სტუდენტების საქეიფო ადგილი „ტანც გეორქას დუქანი" იყო, ვერაზე!

„ტანც გეორქას დუქანში საკურთხებლად,
არ იყო არც ფული, არც საბაბი,
იყო მგლის მადა, ხომი, „ნემეცკი სჩოტი" და
კატუშას ჭურვებივით ქაბაბი".

უნივერსიტეტი არასოდეს მთავრდება და დღემდე ჩემთან დარჩა. ახლა, როდესაც 76 წლის კაცი უნივერსიტეტის შენობაში შევდივარ, ყველანაირი ტკივილი მავიწყდება, თითქოს ჩემი გენი მხედება იქ, ჩემი ახალგაზრდობა... მხოლოდ ერთი განსხვავებით, კიბეზე ისე სწრაფად ველარ ავდივარ, როგორც მაშინ... გული კი გარბის".

## ვინ არიან გიზო ნიშნიანიძის მეგობრები?

— ერთხელ მითხრეს, — როგორ გაიმეტე თავი ამხელა ნამებისთვის, რომ რიგით თბილისელებს მიუძღვენი ამხელა ნიგნიო... სწორედ ეს რიგიანი ბიჭები, ჩემი არაჩვეულებრივი ძმაკაცები რომ ვერ გავიმეტე დასავიწყებლად და, ლექსის გარდა, სხვა ფორმა ვერ მოვძებნე — შიშველ ფურცელზე გადმოვიტანე მათი დრო, მათი ვაჟკაცობა და მათდამი პატივისცემა-მეთქი, — ვუპასუხე. სწორედ ამ გრძნობამ — ამ მეგობრობამ ამაღლებინა ხელში კალამი, პოეტი გამხადა. ახლაც, რომ არა ეს თემა, ალბათ, ინტერვიუზეც უარს ვიტყოდი. რაღაც არ არის ხალისი, მიმოიხედეთ, რა ხდება ირგვლივ! თანაც, ასეთ თემაზე საუბარი ბუხრის ნინ უფრო უპრიანი იქნებოდა, იქ ხომ თავისთავად იბადება სიტყვები, რას არ გაგახსენებს ცეცხლი, საით არ ნაგიყვანს ფიქრი...

**— ბატონო გიზო, მოდით, ინტერვიუ ბავშვობის მეგობრებზე საუბრით დავიწყოთ...**

— ფიზიკურად, ფილარმონიის გვერდით მდებარე სამშობიაროში დავიბადე, „მეტაფიზიკურად" სამშობიაროს გვერდით — ფილარმონიაში!.. სკოლაც იქვე დავამთავრე, ფილარმონიის ნინ (მაშინდელი მე-18 და ახლანდელი 51-ე საშუალო სკოლა). იმ სკოლას, სხვა თუ არაფერი, შეუძლია მარტო ჩემითა და პრეზიდენტით მოინონოს თავი! ჩემით უნდა მოინონოს თავი თუ მიხეილ სააკაშვილით, როგორც ვიცი, ისიც იქ სწავლობდა (იღიმება).

ბავშვობაში მეგონა, კარგი ბიჭი ვიყავი, მაგრამ უფროსები რატომღაც ასე არ ფიქრობდნენ... ჩვენი სკოლის ადგილას ძველად მე-8 საშუალო სკოლა იყო,

*მოედანი"!*

*ჯორჯ ბუში:*

*დიდი მადლობა დახვედრისათვის!*

*გადავწყვიტეთ იმ ხალხის გვერდით დგომა, რომელმაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში უდიდესი ხელისკვეთება და გამბედაობა გამოიჩინა.*

*თქვენ ლიდერები ხართ.*

*ლორა და მე ვამაყობთ იმით, რომ ქართველი ხალხის გვერდზე. სწორედ იმ ადგილას ვდგავართ, რომელმაც საამაყო სახელი — „თავისუფლების მოედანი" დაიმსახურა.*

*როდესაც 16 წლის წინათ, აქ ქართველი ხალხი შეიკრიბა, მაშინ ამ მოედანს სხვა სახელი ჰქონდა.*

*ლენინის ცივი გამოხედვის ქვეშ ათასობით ქართველი ლოცულობდა და დამოუკიდებლობას მოითხოვდა.*

*საბჭოთა არმიამ რამდენიმე ქართველი გაანადგურა, მაგრამ ქართული სულის განადგურება ვერ შეძლო.*

*ერთი წლის შემდეგ ქართველები ამ მოედანზე დაბრუნდნენ და ლენინის ძეგლი ჩამოაგდეს.*

*1991 წლის 9*

რომელსაც „შტრაფნიკების" სასნავლებელს ეძახდნენ. აქ — სხვა სკოლებიდან გამოგდებული ბავშვები იყრიდნენ თავს. ეტყობა, აქაური მასნავლებლები გამეტებული ჰყავდათ... აქ ვიყავით შეყრილები... ნარმოიდგინეთ, როგორი სიტუაცია უნდა ყოფილიყო... გიგა ლორთქიფანიძე მეჯდა გვერდით, გაკვეთილზე ვლაპარაკობდით. ამ დროს ჩვენი დამრიგებელი ლეონტი ლაპარტყავა გიგას ეუბნება: — კაცო, მე აქ გაკვეთილს ვატარებ... შენ კი, ლორთქიფანიძე, რას ელაპარაკები მაგას ამდენსო? მერე გეტყვი, მას-ნო, — მოუტრიალდა გიგა და განაგრძო ჩემთან საუბარი?! გაგიჟდა კაცი. — რომელი ძმაკაცი შენ ხარ ჩემი, მერე რომ მებაასოო...

არადა, რომ ვიხსენებ, ახლაც მრცხვენია (რამხელა შეურაცხყოფას გვაყენებდა)... ამ მასნავლებელს ბაჯაღლო ოქროს საათი ჰქონდა. ჩუმჩუმად ამოაცურებდა ხოლმე ჟილეტიდან და დახედავდა. მხოლოდ ერთადერთხელ მოვკარი თვალი (სკოლას მოხულიგნო ბიჭებით ჰქონდა სახელი გავარდნილი და, ცოტა არ იყოს, გვერიდებოდა)...

ომის დრო იყო. ხანდახან სკოლაში საპონსა და შედედებულ რძეს („სგუშონნაია მალაკოს") გვირიგებდნენ. ერთხელაც მე „ეს „მალაკო-მოლოკო" შემხვდა, ჩემს მეგობარ ოთარ მგელაძეს კი — საპონი. დამდევდა, — გამიცვალეო. ჩხუბიც კი მოგვივიდა. ვეუბნებოდი, საპონი რა ჩემ ფეხებად მინდა (უკაცრავად), ეს „სგუშონი" ერთ კვირას მეყოფა ჩაიზე „პრიკუსკად"-მეთქი.

ერთხელაც, სკოლაში თერთხალათიანები მოვიდნენ, ვენერიულ დაავადებებზე უნდა გაგსინჯოთო (მე-8 კლასის მოსნავლეები ვიყავით). შევიფერეთ, ვითომ ძალიან გვრცხვენოდა, ამ მიზეზით დრო გავნელეთ, გაკვეთილები გავაცდინეთ და ბოლო გაკვეთილზე ყველამ ერთად ჩავიხადეთ შარვლები (იცინის). გვარიანი სულელები ვიყავით ბავშვობაში, თუმცა, მერე ეს ჩვენი „სულელი ბიჭები" ისეთი ადამიანები დადგნენ, დღეს ყველას რომ ეამაყება...

...მახსოვს, ქუჩის საკედლე საფოსტო ყუთები რომ გამოვიდა, ნიაზ დიასამიძემ ერთი კახელი გლეხი გამოიჭირა: — ბიძაჩემო, ეს ყუთი დამიჭირეო (არადა, ისედაც კედელზე გახლდათ მიმაგრებული). ჰოდა, მიეხმარა ის პატიოსანი კაციც, მიეშველა. ნიაზი კი გაქრა სადღაც. დაიღალა კახელი, ნელ-ნელა ხელი უშვა და შერჩა დაკიდებული ყუთი... ხუმრობით კი ვხუმრობდით, თუმცა, უბოროტოდ, ჩხუბიც კი მოფერებასავით გვქონდა. ბავშვობაში არსებობდა დაუნერელი კანონები — თავში, კბილებში, თვალში დარტყმა არ იყოსო! ასეთ ჩხუბს დღეს მოფერება ჰქვია, ალბათ...

ქიპი „ზემელზე" გვქონდა მიჭრილი. ნამოვიზარდეთ თუ არა, ლალიძის ნყლებთანაც გამოვჩნდით... ყარამან-ყაფლანობით დიდად ვერ დავიტრაბახებდი, თუმცა, დიდგულა ვიყავი, არც გალახული მახსოვს თავი. ყველაზე სამარცხვინო ჩვენს დროს პანჩურის ამორტყმა იყო. ამას თავის გატეხვა სჯობდა... დღეს აქეთ რომ მოვდიოდი, ერთი სტროფი ამეკვიატა და ერთსტროფიანი ცინცხალი ლექსი მოგიტანეთ:

„გამარჯობა, გაგიმარჯოს, ძმაო,

---

*პითაგორა: არ დახუჭო თვალი დასაძინებლად, სანამ ყველა შენს გადადგმულ ნაბიჯს არ გააანალიზებ!*

*მაო: მარბაზნების ლულიდან ამოდის ძალაუფლების ბოლო.*

მადლობა ღმერთს, მესმის შენი ხმაო,
როგორა ხარ? ვარ რა... ედგავარ, ველი...
აღარა მყავს „გამარჯობის“ მთქმელი“.

ღმერთმა ნუ დამილიოს „გამარჯობის“ მთქმელი, მაგრამ გული მწყდება, ძალიან შეთხელდა ჩემი თაობა... იოსებ ნონეშვილი სულ თავს აქნევდა აქეთ-იქით, — მოგესალმებათ თქვენი მგოსანიო... ასე ვარ მეც, ქუჩაში მომღიმარ კაცს რომ დავინახავ, იმ წუთში თავს ვუქნევ, — უსალმოდ არ დამრჩეს-მეთქი...

ეჰ, ასაკი თავისას შვება, თუმცა, ჯერჯერობით, არ ვნებდები, ბავშვობის მეგობრებიც შემომრჩა: ომან ომანიძე, ირაკლი მირიანაშვილი, თამაზ კალანდაძე... ჩემი პროფესიის ხალხთანაც ვმეგობრობ.

ომან ომანიძეს, თავის დროზე, ძალიან ბევრი ფული ჰქონდა. არ ვიცი, სწორი გზით შოულობდა, თუ არა, მაგრამ სწორად კი ხარჯავდა. ამ კაცს საკუთარ თავზე მეტად ვენდობოდი, უმცროსია რამდენიმე თვით, მაგრამ ყოველთვის გაცილებით უფროსად აღვიქვამდი. დაბადების დღესაც კი ის მიხდიდა...

**— რა ხდება თქვენს დაბადების დღეს, ბევრი მეგობარი იყრის თავს?**

— გასულ წელს საიუბილეო თარიღი — 75 წელი შემისრულდა, მაგრამ ამ უდროობის დროში ლხინისთვის ერთი დღეც ვერ გამოვძებნე. ახლა ვფიქრობ, რომ 88 წელიც საიუბილეო თარიღია და იქნებ, ღმერთის წყალობით, აღვნიშნო-მეთქი... ეჰ, ჩვენ დროს რად უნდოდა მიზეზი ქეიფს, ჩავიდოდით სადმე, დავიწყებდით სიმღერას. მოდიოდა და მოდიოდა სიმღერის პირის მარილი და პურ-მარილი. უცხო ხალხი გვიგზავნიდა სასმელს, — კიდევ რამე ხომ არ გინდათ, ბიჭებოო, — გამოგვძახებდნენ. ერთხელ ოთარ მგელაძემ გასძახა, — დღეს კარგად ვართ, ხვალ რა გვეშველებაო და მეორე დღისთვის პურმარილისა და ხაშის ფულიც კი დაგვიტოვა კაი ბიძების ერთმა კაი კამპანიამ...

**— ცხოვრება ათასგვარი მოულოდნელობით არის სავსე, გზადაგზა მეგობრები გვაკლდებიან... თუ გახსოვთ, პირველად ვინ ჩაგწყვიტათ სამეგობროდან გული?**

— გვყავდა ერთი რუსული გვარის ბიჭი, მეგობარი, გვარად ვოლკოვი, რომელიც 16-17 წლის ასაკში გარდაიცვალა. მე, ომან ომანიძე და ფუსო კაკაბაძე კარგად ვიყავით შემღერებული, ჰოდა, მოვიდა მამამისი და გვთხოვა, — მგალობლების მოყვანა არ გამიჭირდება, მაგრამ თქვენი ძმაკაცი იყო და ერთხელაც უმღერეთ, ისე არ გაუშვათო... სასაფლაოზე ვიმღერეთ.

*აპრილს თქვენ მსოფლიოს გამოუცხადეთ, რომ საბჭოთა საქართველო აღარ არსებობს და მას თავისუფალი საქართველოს დაბადება ამცნეთ!*

*ჭეშმარიტი თავისუფლების მენებისას თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ქართულ მიწაზე დანთებული ცეცხლი, მთელს მსოფლიოში ღვივდება!*

*მე აქ ჩამოვედი, რათა თქვენი გამბედაობისთვის მადლობა გადაგიხადოთ! ამერიკელი ხალხი აფასებს თქვენს მეგობრობას და მოხიბლულია თქვენი სიმტკიცით!*

*მე ყველა ამერიკელის სახელით გიხდით მადლობას!*

*ღმერთმა დაგლოცოთ!*

*საქართველოს გაუმარჯოს!*

*მოსკოვის ნუდისტურ პლაჟზე მიმველ ქალთა მეჯიბრებს გამართულა მრავალქიდში, რომელსაც მიმველი მამაკაცებიც ესწრებოდნენ. არ ვიცი მრავალქიდში მედიოდა თუ არა. არც ისემ არც მოლაღ სპორტული ისეთი სახეობები*

...15 წლის მწვანეთვალება ცისანა მესხი რომ გარდაიცვალა — ჩვენი უბნის ღვთაება, თავზარი დაგვეცა. ლამის, ჩვენს გაზაფხულს ვასაფლავებდით...

*..პირველად გაიგეთ, რა იყო სიკვდილი...*
*და ახლაც ცრემლები მოგვდის,*
*თურმე, თავს ვტიროდით, რადგან მისი წილი*
*ყველანი ცალ-ცალკე მოვკვდით".*

ეჰ, რომელი ერთი გაიხსენო, წაიღეს ჩვენი ცხოვრების ნაწილი და წავიდნენ.

**— ბატონო გიზო, მეგობრებს ხშირად, განა, მარტო ამ მიზეზით ვკარგავთ...**

— ისეთ სიმებს შეახეთ ხელი, რომ ამ თემაზე საუბარი გამიჭირდება... ინფარქტიც მაქვს გადატანილი, გულის ოპერაციაც და შუბლზე ბევრი ღარიც... ცხოვრებაში იმდენი უმადურობა შემხვდა, სიმართლე გითხრათ, დღემდე ვერ გავერკვიე, მე ვიყავი დამნაშავე თუ სხვა... ბევრ რამეს დღესაც ვნანობ, მაგრამ შეგნებული ცოდვა არ ჩამიდენია. რასაც ჩემს თავს ვერ ვპატიობ, ის ვერც სხვისთვის მიპატიებია.

**— ბატონო გიზო, თუ გახსოვთ, ცხოვრებაში ვინ მოგიძღვნათ ყველაზე ორიგინალური საჩუქარი?**

— ჩემს პირად საჩუქარს ახლა ვერ ვიხსენებ, ერთ ამბავს კი გიამბობთ. უკრაინიდან „გადმორგულ" ვარდს — გალინა ნესტერენკოს, ტელერედაქტორს (შემდეგ ჯემალ ანჯაფარიძემ მოიყვანა ცოლად), ნიაზ დიასამიძე ვერის ბაზართან შეხვედრია (თავის ძაღლთან ერთად). მოხიბლულა ნიაზი. უყურა, უყურა, თურმე, და მერე, მოულოდნელად... ფული სთხოვა, თანაც, ძაღლი დაუტოვებია, ეს გიდარაჯებსო. ქალმა იფიქრა, ალბათ, სასმელი უნდა იყიდოსო, ნიაზი კი ყვავილებით ხელში დაბრუნებულა — ფული არ მქონდა, უყვავილოდ კი ვერ გაგიშვებდიო...

ყველაზე კარგად ის დრო მახსენდება, როდესაც ახალი წლის დღეებში ერთმანეთთან მიგვეიხაროდა. თითქოსდა „ვისი სული გსურს" თამაშის წესებზე იყო აწყობილი ჩვენი ცხოვრება... მხარზე გადებული ჩვენ-ჩვენი შეშით სულ სხვა ეშხით მიგვეიხაროდა „ნემეცკი შჩოტით" გაშლილ საახალწლო სუფრებზე...

**— ბატონო გიზო, თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, უამრავ ადამიანთან გიწევთ ურთიერთობა, პოლიტიკური მეგობრები თუ გყავთ?**

— თითქმის ყველას ვიცნობ. სიმართლე გითხრათ, პოლიტიკით რომ ვყოფილიყავი დაინტერესებული, ალბათ ჩვენც მოვაკვარახჭინებდით რაღაცას... ისე, თბილისელები თანამდებობას დახარბებული ხალხი არასოდეს ყოფილან. ძალიანაც ცუდი! სხვანი იკავებდნენ მათ ადგილებს და არა ისინი, ვინც ქალაქის თითოეული მტკაველიც კი იცოდა და სტკიოდა.

მახსოვს, „ზემელზე"ვიდექით. ტრამვაიდან გრიშა მჭედლიშვილი გადმოხტა. — ბიჭებო, კომკავშირის რაიკომის მდივნად მიშვებენ, წავიდეო? — იკითხა. „წადიო", — მისცეს „ვიზა" და ისიც წავიდა... შეახტა იმავე ტრამვაის და წავიდა (იცინის).

**— ბატონო გიზო, თითქმის მთელ ქალაქს იცნობთ, ყველა პა-**

---

*„მოვა სიკვდილი უჩინო, ერთ წუთში აგვყრის იარაღს" (ხალხური)*

*...ცეკვა სხეულის პოეზიაა!*

ტივს გცემთ. წიგნებს საჩუქრად როგორ ანაწილებთ?

— საინტერესო კითხვაა. „პაემანი ვერაზე" ახალი გამოსული იყო. ქუჩაში ჩხუბს წავაწყდი. შევაგდე აყალმაყალში მანქანა, გადმოვხტი და ოცი წიგნი დავარიგე. ჯერ გაშეშდნენ. მერე კი მიხვდნენ, რაც ხდებოდა... იმ პერიოდში ჩემი წიგნები ელგუჯა ბუბუტეიშვილმა შეისყიდა. თბილისის ომი იყო, სად ეცალა კაცს წასაკითხად. მითხრა, — გიზო, ეს წიგნები ვერელებს დაეურიგოთ, ახლა ბევრს არა აქვს წიგნის ყიდვის თავიო. 500 ცალი კი ორთაჭალის ციხეში, კამერებში დავარიგეთ... სასაჩუქროდ წიგნები დღემდე მაქვს შემონახული. ამაზე უკეთ როგორ უნდა გამოვხატო ადამიანისადმი ჩემი დამოკიდებულება?!

— **შედარებით ახალგაზრდა მეგობრები თუ გყავთ?**

— ამას სახელიც მოვუგონე — უასაკო მეგობრობა! ასაკი ჩემთვის შებრკოლების ლოდს არ წარმოადგენს... ახლა ერთი ისტორია გამახსენდა. ქორწილში თამადა გახლდით... იქ მყოფ ერთ-ერთ შექეიფიანებულ გოგონას, ეტყობა, თავში აუვარდა! მომვარდა ეს პატარა ლამაზი გოგო და მოურიდებლად... მაკოცა! უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა. პირველად შემრცხვა ჩემს ცხოვრებაში (ეს გრძნობა არც ისე დიდად მაწუხებს ხოლმე) და დავწერე ასეთი ლექსი:

„არც შეხვედრის კოცნა იყო
და არც დამშვიდობების.
არც მილოცვის, არც მოლოცვის.
რაღაც-რუღაც გრძნობების.
მე არ ვიცი, რა დავარქვა
ამ სიყვარულს... გაცდენილს.
ეს სამძიმრის კოცნა იყო —
ჩვენი დროში აცდენის"!

სწორედ, მეგობრობამ და სხვანაირად ენით გამოუთქმელმა სიყვარულმა გამხადა პოეტი... ნიაზისა არ იყოს, ქართლოსას რომ ღამის 3 საათზე ეძახდა ქუჩიდან... გადმოხედა ქართლოსის დედამ, — ნიაზ, იცი, რომელი საათია?

— ქალბატონო! მე, მეგობრობა „კრუგლოსუტოჩნი" მეგონაო, ნიაზმა. აი, ამ „კრუგლოსუტოჩნი" მეგობრობამ გამხადა პოეტი და ხელში ამაღებინა კალამი. კარგი მეგობრობა იცი, რაა? — როდესაც სხვისი გული სცემს შენს მკერდში. ამ სიტყვას პირველად ვამბობ და ამით, მგონი, ყველაფერია ნათქვამი.

ესაუბრა თეა ლილუაშვილი.
გაზ. „რაო-რაო", N 9 (113), 1-7.03.04.

როგორიცაა: „აჟიმ-ვა", „გაჟიმვა", „ამაზე მაღლა ახტო-მა", „წაკუზვა?"

თუ შედიოდა... კაი საყურებელი იქნებოდა და კაი მაყურებელიც ეყოლებოდა, მაგრამ მეორედ მოსვლა იქნებოდა! თუ არ შედიოდა (და გამოდიოდა) ან რა საყურებელი იქნებოდა, ან რა მაყურებელი ეყოლებოდა და რა მეორედ მოსვლა იქნებოდა?

ადამიანების ქაქანებაც რომ არ იყო ამ დედამიწის ზურგზე, პირველი „ნუდისტებიც". ჩვენი უუუ... უძველესი წინაპრები — ადამი და ევა მაშინაც კი ერიდებოდნენ მთლად სიტიტვლეს და ლეღვის ფოთოლს იფარებდნენ... ახლო სარცხვინელზე.

მაშინ ახოსაც სარცხვინელი ჰქვიოდა. ახლა არც ახოს რცხვენია და არც მის უსირცხვილო პატრონს.

თუ გინდა კაცის ხასიათი გაიგო — დაუკვირდი რაზე იცინის?

პირველად კახელ მიხუასს „ფოქსტროტი" რო უნახავს, უთქვამს: ხანამ არ დაწვებიან, არაფერი გამოუვათო!

# პაემანი ვერაზე

(ტროტუარული მემუარები)

დიდმა ლომმა,
ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოიმ ბრძანა:
თუ შეგიძლია — ნუ დაწერო.
არა!
არ შემიძლია, უნდა ვწერო,
კმარა!
ვერა, ვერ შევძლებ გაჩუმებას, მჯერა...
ვერა, არ მაძლევს მოსვენებას, ვერა...
სიყრმის მზისაკენ თვალი მომგრა მზერამ,
ბავშვობისაკენ გამიტაცა ძერამ.
ღვიძლი შვილივით შემიხორცა ვერამ და...
შემლილივით ამიტაცა წერამ!

ამ სიტყვებით დაიწყო ჩემი „პაემანი ვერაზე" 1981 წლის 28 დეკემბერს ვერაზე, ფილარმონიის დიდ დარბაზში და ამ სიტყვებით დამთავრდა:

მე, ბოდიშს მოვიხდი ბინდისფერ წარსულთან,
რაც არ გამახსენდა ამ წამს...
ზოგჯერო სათქმელი — უთქმელი ჯობია,
სათქმელი — უთქმელი არ მწამს.
ყველას გაუმარჯოს, ვინც ხსოვნის ბურუსში
ბუჟუტავს და სევდის რძეს წველავს,
ვინაც სიყმაწვილის ელვარე სანთლებში,
სულ სხვა ელვარებით ელავს.
ვინც — დაგვყვა აკვანში,
ვინც — აგვყვა აკვნიდან
და ვინაც ჩვენს სულში ღელავს,
ვინც...
კაცობა მოგვეცა და ზედ ტვირთი აგვეკიდა —
ყველას გაუმარჯოს, ყველას!!!

იმ საღამოს... იმ საღამოზე დასასწრებლად თბილისში თოვლიც მოვიდა, ფანტელების — თეთრი ლექსების კორიანტელში თეთრად გაგვათენებინა ღამე (?!) დიახ, დიახ... ღმერთიც წერს ლექსებს, მაგრამ მერე, ჩვენსავით, რედაქციებში კი არ დაარბენინებს, დამიბეჭდეთო...

ხევს და ნაკუწ-ნაკუწ ფანტელებად გვაყრის თავზე.
რა ვიცი, იმ დღეს მე ასე მომეჩვენა და მომეთქვენა!
ფიფქები-ფიქრები...
დროთა გარინდებით...
დაბორიალობენ ლანდები...
მდაბლად თავს მიკრავენ ჩვენი რაინდები —
თბილისის ნამდვილი გრანდები!

იმ საღამოს, იმ თბილისს, ჩვენ სულზე მოვუსწარით და, თბილისური

---

*რამდენიმე ოდესიზმი!*

*ბორის ხუპიდი: ღარიბი იმიტომაა ნათესავი, რომ... ნათესავი ჰყავს ღარიბი!*

*რაც უფრო იაფია კაცი — მით უფრო ძვირი ჯდება.*

სულგრძელობით, დაუსახელებლადაც დავასახელეთ, ვახსენეთ ყველა, ვინც ჩვენი ხელიდან შენდობას მოელის.

ო, ღმერთო!

ვინც დაგვერჩა ამ წიგნის გარეთა...

ვინაც დაგვავიწყდა — სიკვდილს დაავიწყდეს.

კამათი არ იყოს, ბიჭებო, მხარეთა,

არ გაწყრეთ, ბიჭებო, ღმერთი არ გაგიწყრეთ...

გიტოვებთ ცარიელ გვერდს და ვისაც ვისი სული გსურთ, ის გამოიძახეთ, ვისაც ვისი ხოში გაქვთ, — ის გაიხსენეთ, ის ახსენეთ, რომ ასლი — დედანთან, მე — თქვენთან, თქვენ — ვერასთან, ვერა კი — თბილისთან სწორი იყოს, თორემ...

ისევ და ისევ!..

— რა პქეია ამას?

— მონატრება დედის და შვილის.

თბილისში ვცხოვრობ და

თბილისში დავეძებ თბილისს!!!

...მახლას!

ასე და ამრიგად, „პაემანი ვერაზე" იმ დღეს დაიწყო, მაგრამ ამ დღემდე არ დამთავრებულა... „პაემანი თბილისთან" გრძელდება. ყველა თაობას თავისი პაემანი ელის დედაქალაქთან. თბილისს ყველამ სული უნდა უბეროს, რომ სული მოუბრუნოს... რომ ოდესღაც ორიენტალისტურ სამყაროში, „სიხარულის სახლად" წოდებული ეს მზეთუნახავი უბრალო მისამართად არ იქცეს!

თუმცა... დღეს სწორედ ის დროა, როცა „ზოგი აქეთ უბერავს, ზოგი — იქეთ უბერავს" და ამ „სკვაზნიაკში" სული გაცივდა, კაცი კაცს აღარ ჰგავს, ქალი — ქალს, ქალაქი — ქალაქს და, ჩემმა მზემ, თქვენმა მზემ... ასე მგონია: თბილისის მზეს, დღეს, ჩასვლა უფრო ეჩქარება — ვიდრე ამოსვლა...

მე ასე მეჩვენება და მეთქვენება!..

დრო მოდის, დრო მიდის.

დრო, დრო აღნიშნეო, — გალაკტიონმა!

დრო მიდის, გვითელის ნაბიჯებს

და უკან აღარ ბრუნდება...

ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს —

მეორედ მოსვლის უფლება!

...ეეე, ეგრე სად არის!

მეორედ მოსვლა ღმერთისა გაუგია კაცს და არა კაცისა! თუმცა აქ, დიახაც, სწორედ ღმერთივით ბიჭებზე და ღმერთივით კაცებზეა ლაპარაკი!

„მოვა დრო და მოვუყვებით შვილებს"... საფლავიდანაც მოგვესმის შენი ხმა, ბიჭო, გოგია... დოლის ძეობითა და დაფდაფებით სახსენებელო თბილისის

*მიხუა-მიხუადა, მაგრამა, ნეტა ამ ახალ მიხუეებს ეს ბაკქანალია რა ჰგონით, ან ამ მიმველ-ცოცველი ხალხის გიჟობის თავისუფლებას. ნეტა სადამდე მივა?*

*სპორტის რა სახეობები აღარ არსებობს!*

*არის სიგრძეზე, სიმაღლეზე... ჭოკით, უჭოკოდ ხტომები...*

*არის, არც ისე სპორტული, მაგრამ ფიზიკურ კულტურასთან ასე თუ ისე დაკავშირებული, ფიგურალური გამოთქმაც: ამაზე მაღლა ვერ ახტებით!.. და ასე შემდეგ.*

*ფილმიც კი გადაიღეთ ქვის სროლაში, სამწუხაროდ, არ შემდგარი მსოფლიო ჩემპიონატის აღურიცხავ რეკორდზე. ხუცა უფროსის ოლიმპიურ მისწრაფებებზე და აგერ ახლა, სანკტ-პეტერბურგში, ჩვენმა, ასე 37 წლის თანამემამულემ კიდევ ერთი, არნახული რეკორდი ისე მოხსნა მე-4 სართულიდან(!) ხტომაში და გაქცევაში, რომ სანკტ-პეტერბურგის პოლიცია ყალყზე*

სასაფლაო — საგოდებელზე გულხელდაკრეფილო ბიჭად-კაცებო, თუ აქა-იქ შემორჩენილო კაცად-ბიჭებო!

ცოცხლებმა ისიც არ იციან, რაა სიცოცხლე და სიკვდილი საიდან ეცოდინებათო! ეს სიბრძნე კონფუციუსით ძველია, მაგრამ არა ჩინურივით ძნელი.

ქართველები კი ასე ვფიქრობთ: სიკვდილი სიცოცხლის ბოლო საიდუმლოაო და ჰიმნებს ვუმღერით სულეთს:

„ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე ფასობს შენითაო!“ (ვაჟა)

ახლა, ხალხური ხმითნატირლები!..

„სარჩულად ტირილ დაუდევით, ღილებად ცრემლებ დაუკერეთ“...

საფლავშიაც... აქაც-იქაც... როგორ აღარ მივტირით თუ მივღიმით, მინაშიაც, როგორ არ მივყვებით და ვესიყვარულებით ჩვენს სისხლსა და ხორცს... იმის სისხლხორცეული რწმენით, რომ კარგი კაცის გახსენება პატივს მიაგებს არამარტო მას — ვისაც იხსენებენ, არამედ მასაც — ვინც იხსენებს!.. ანუ მკვდარსაც და ცოცხალსაც!

ასე რომ:

ხმა ვედრების ხვეწნების,
არა ყალბი, რითმში...
მოწვდეს სააქაოსა და
მიწვდეს საიქიოში!

...თბილისი ხასიათიანი ქალაქია და თბილისი სიყრმიდანვე გვზრდიდა თბილისური სულით.

„ვისი სული გსურსო?“.. ბავშვობიდანვე, ასე თამაშ-თამაშით, სულ სულის ძებნაში ვიყავით და ასე ყალიბდებოდა განუმეორებელი ქალაქური სულისკვეთება, თბილისური ხატი, თბილისური გზა და კვალი...

„პაემანი ვერაზე!“ ჩვენი თაობის პაროლად იქცა!

ალბათ, სწორედ ამ გზაკვალმა მოიყვანა ჩვენს ძველ პაემანზე დაგვიანებული ის, ათასში ერთი ქალბატონიც, რომელმაც ბევრი სხვა დამნვარი ვერელივით, მარტო თვალი კი არა, სულიც ზედ გააყოლა კარგა ხნის ჩავლილ იმ ჩვენს მატარებელს... 40-50-იანი წლების თბილისი რომ ჰქვია!

გუშინ, ძველ ვერელს, ძველი ნაცნობივით მომადგა კარზე ახალი ვერელი, მშვენიერი ქართველი მანდილოსანი, ჰამაც ტიტულოვანი, სავიზიტო ბარათის მიხედვით: „დაძმობილებული ქალაქების კოორდინატორი და საერთაშორისო ურთიერთობების“ მენეჯერი — ქალბატონი ნანა დვალი! მოვიდა, ასე ვთქვათ, ვერის უბნის ძმობის საიდუმლოს ამოსაცნობად და შინაური თბილისური ურთიერთობების, ანუ გრიგოლ ორბელიანის თქმისა არ იყოს — „თბილისური ჯადოობის“ ასახსნელ-ამოსახსნელად!

ვერელობით ვიცანით და დიდი ხნის უნახავი მამა-შვილივით გადავკოცნეთ ერთმანეთი.

ჩემი თვალის წინ კი იდგა... ვერელი კაცი — შალვა დვალი!... რას წარმოვიდგენდი, თუ ამ გოლიათ კაცს ოდესმე ქალის კაბაში ვნახავდი! ან თუ მის ქალიშვილს, ლამის ნახევარი საუკუნის შემდეგაც, ასე გაუცნობლად ვიცნობდი!

შალვა დვალი, ვაჟას „კაი ყმის“ თარგზე მოჭრილი კაი ყმა იყო. მარტო ვერის უბნის თვალი კი არა, დედაქალაქის, საქართველოს 8-გზის, საკავშირო... და, საერთოდ, რიგითს, თუ რიგიანს კაცობაშიც ჩემპიონი კაცი!

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

მას ჭილოფშიც ცნობდნენ და შინაურებშიც ჰქონდა შენდობა. მის წინ

ქედს იხრიდნენ არა მარტო რინგზე, ქუჩაშიც... რადგან შალვა დვალი თაყვანს სცემდა ქალაქს და ქალაქიც ეთაყვანებოდა მას!... გამოთაყვანებულებს კი, მის ფუთიან მუშტზე უფრო, რა მოიყვანდა ჭკუაზე!

სამშობლოს სიყვარული მან კი დედამიწაზე გამართული 14500-დან ყველაზე სისხლიან — დიდ სამამულო ომში დაამტკიცა, საიდანაც 7 ჭრილობა და ერთი ამდენი ჩინ-მენდალი ჩამოიტანა.

... დაეიწყების ღირსია ის, რაც გახსენების ღირსი არ არისო. შალვა დვალს ვერა, თბილისი ვერა და ვერ დაივიწყებს!

...ისევ ჩვენი სათქმელი ვთქვათ!..

...ჩემი სახლის ზღურბლთან იდგა მშვენიერი ქალი, რომელსაც მწერლური ფანტაზიითაც ვერ წარმოიდგენდი კაცად და ისიც რინგზე, ნახევრად მძიმე წონაში, მოკრივის ვეებერთელა ხელთათმანებით... მონინააღმდეგის კბილებს რომ კრებს სისხლიან ფიცარნაგზე!

ყველა დროის № 1 მოკრივე მოჰამედ ალის, ანუ ლეგენდარული კასიუს კლეის მოგონებებში ნამიკითხავს: მე ჩემი თვალით ვნახე ჯო ფორმანისა და მისი... ჩრდილის ჩხუბიო (?!).

მეც ჩემი თვალით მაქვს ნანახი — იყო დრო, როცა შალვა დვალის... ჩრდილისაც კი ეშინოდათ თბილისში მათ, ვისშიც შიში სულაც არ „შეიქმდა სიყვარულს“!..

არადა, ბოროტებას სიკეთეზე გრძელი ხელები აქვს!

არადა, სიკეთეს ბოროტებაზე დიდი მუშტები ჭირდება!

ზუსტად ისეთი, შალიკო დვალს რომ ჰქონდა!

და მიუხედავად მისი გოლიათური ძალისა, მანახეთ ქვეყანაზე მასზე ნანყენი კაცი...

გაგიგონიათ ან გინახავთ, ქუჩაში ან, საერთოდ, მისი უსამართლოდ, უაზროდ მოქნეული ხელი?

კაცმა თუ არ იცის, როგორ მოიქცეს... ნესიერად მაინც მოიქცესო — უყვარდა ეშმაკურად ნათქვამი ეს უეშმაკო სიტყვა.

ასეთი ალალმართლობით შეაყვარა თბილისს თავი.

თანაც, ნაღდი რაჭველი იყო... უწყინარი, კეთილი, მართალი!

ნონასწორობიდან რინგზეც ძნელად გამოიყვანდა კაცი.

...ერთხელ რაჭველების პირველ „პაემანზე“ მოვხვედი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ქაფიანიძეს მიჰყაედა. სცენიდან დარბაზში დამიძახა: თქვენც რაჭველი ხართო?

— დღის ბოლოს ყველა რაჭველები ვართ-მეთქი, — ვუპასუხე, თუმცა 1/4 მართლაც მიდგას ბებიაჩე-

*დამდგარი თმებით და პირმოჩალაგამო-ლებული დაყოვა. მაგრამ, სამწუხარ-ოდ, ეს სპორტული ხტომა და გაქცევა კი არა, ქართველი „რეკორდსმენის“ მესწრებს ყოფილა ქურდობის ფაქტზე და მანაც. ჩვენი ქართული ხალხური სიბრძნისა არ იყოს — გაჭირვება აჩევნეს და გაქცევა აჩევნა!*

*დამოუკიდებელი საქართველოს პირვ-ელ ოლიმპიურ გვი-რგვინოსანს ზურაბ ზვიადაურს, მსოფ-ლიო ტრიუმფის ერთი წლის თავზე, ოლიმპის ღმერთე-ბი ახალ გამოცდას უწყობენ თავის წონით კატეგორიაში მას ორთაბრძოლა მოუწევს... სხვა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს დროშით და ფერ-ით წარმოდგენილ ჩემპიონ ბიძთან, ქართველ ფალავან-თან, რომელიც მი-სი ალალი ბიძაშ-ვილი — ჯარჯი ზვი-ადაურია!*

*რა გაეწყობა, ეს, ადრე თუ გვი-ან, აუცილებლად უნდა მომხდარიყო, — ამბობს ოლიმპიე-ლი არაოლიმპიური სიმშვიდით.*

მის — ანა ნულუკიძის (აცხონა ღმერთმა) რაჭული სისხლი, რომელიც, ალბათ, ყოველთვის მშველის ამ გადარეულ დროში (განსაკუთრებით, ჰიპერტონიის დროს).

ეს ისე... რაჭული სოლიდარობის ხვანჭკარული დალოცვისათვის! (ეს ძახილის ნიშანიც, აქ, ყანწივით დამისვამს).

იმ დალოცვილი შალიკო დვალის სახელით კი მინდა, ჩემი „პაემანის", ის ცარიელი ფურცელი შევავსო, სარეზერვოდ, „მემორიალურ დაფად" რო მაქვს ნიგნში შემონახული — შავით თეთრზე... თეთრის და შავის გასარჩევად!

არადა, კიტსი ნერს: ნერას აპანილს, ნერის ნინ „არაფერი ისე არ მაშინებს, როგორც... ცარიელი ფურცელიო," როგორც ხარს კორიდაზე ნითელი ფერის ფრიალი!

სნორედ ამ ჭკუაზე ვარ ახლა მეც, მაგრამ აქვე, როგორც ყოველთვის, მხარში მიდგას დიდი ნინაპარი და რუსთველური სიბრძნით ჩამჩიჩინებს, რომ: „შიში შეიქმს სიყვარულსა!"

სნორედ ამ სიყვარულით ინერება ახლა ეს სტრიქონები და ცხონებული სიმონ ჩიქოვანის ლექსის პერიფრაზით რომ ვთქვა:

დიახ, ის, რაც ამ სტრიქონით ითქვა,
იმასვე ამბობს „ნყეული" რითმა!

...რადგან „სჯობს გვიან — ვიდრე არასდროს", ამიერიდან ჩემს ნიგნში — „პაემანი ვერაზე" დაუსნრებლადაც იარსებებს ეს დაგვიანებული სტროფიც:

იყო და არ იყო — ზღაპრული შალიკო,
კაცური ვალ...იყო, გვარადაც დვალ...იყო!

...ეს მშვენიერი ქალბატონი კი დგას ახლა ჩემი კარის ზღურბლთან, ხელში ლამაზი ბოთლი უჭირავს და შემომცინის.

— ეს სამოთხის სასმელია, ბატონო გიზო!.. მე პირველად ვარ თქვენს ოჯახში, როგორც ვერისუბნელი ვერისუბნის „სამოთხეში". კეთილი იყოს ჩემი ფეხი და ასე ტკბილად დამიბერდით.

ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი
და ერჩები ასე — ბებერი ბიჭი!

ფარიევით ვაგებებ სიტყვას „უცხო სტუმარს" და მამაშვილურად ვეფიცხებით ბუხარსა და ერთმანეთს.

გავთბით. ცეცხლი ავაგიზგიზეთ. ამ „გიზ-გიზში" თუ ფიჩხის ტკაცატკუცში გამხიარულდა ბუხარი და მან, ჩემი სახელი, მორის ფოცხიშვილის კალამბურით ახსენა:

„გამარჯობა, ჩემო გიზო... ასე უნდა იგიზგიზო!"

მერე მუხრანის მუხრანულიც გაიხსენა და სათქმელი ასე თქვა:

„ბუხართან ზიან ორნი:
ოთახს ანათებს ლამპა.
– პეტუშა გახსოვს?
– იმე!
– რა ბიჭი იყო.
– აპა!"

---

*უხასიათო კაცი რაა, ქალაქი რა უნდა იყოს!*

*შოპენჰაუერი: სიჭაბუკეში ჭერეტა, სიბერეში განსჯა. პირველი – პოეზიაა, მეორე – პროზა.*

მან თითქოს ბუხარს ნაუკითხა ეს იმერული სიამტკბილობის ლექსი, დიდხანს „შენობით“ ელაპარაკა ცეცხლს, მერე მე მომიბრუნდა და მკითხა:

— შალიკო დეალი გახსოვთ?

...ამ უდროობის დროში, როცა კაცს კაცი კი არა, თავი აღარ ახსოვს, ღმერთმა ნუ მოშალოს სიყვარულის ის მარადიული „აიდოსტი“, ბავშვობაში თამაშით რომ ინყება და სიბერეში ხსოვნით რომ იზომება...

მამაჩემის ხსოვნა მინდა, ნიგნით გადავარჩინო, ბატონო... ორიოდ სიტყვას ხომ არ შეანევდით ვერელი კაცი — ვერელ კაცს!

და მე, და ჩვენ, ორიოდე თბილი სიტყვა ვთქვეით თბილისელობაზე, ვერელობაზე, მოსკოვის (ახლა ლეონიძის) ქუჩელობაზე...

„ახლა თბილისში გამარონია და მერე მომკლა, აღარ დავეძებო“ — დაიროხროხა სიტყვაუღრანმა მუხრანმა. „ამ ვინრო ქუჩაზე კომუნიზმი ვერ შემოეტევაო“... ჯერ კიდევ როდის გაგვაფრთხილა თბილისის „ყანნებივით ქუჩებზე“ შეყვარებულმა პოეტმა და თან გულში, ალბათ, გაიფიქრა: ღმერთმა ნუ ქნასო!

კომუნიზმზე და კომუნიზმის საერთაშორისო ლოზუნგზეც საკუთარი აზრი ჰქონდათ ვერელებს და ენკავედეს გასაგონად, ხმამაღლა თუ არა, ერთმანეთში ჩურჩულით მაინც ამბოდნენ: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა... დაიშალეთ, არაფერი გამოდისო“?!

თბილისში კი სულ სხვა ტფილისს ეტრფოდა ძველი ტფილისის მეტრფე, ხარფუხელი და მერე ვერელი სოსო გრიშაშვილი:

„შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა,
ქორონიკონის კენტი და ლუწი,
მაგრამ არ ეიცი, ჩვენმა ქალაქმა
რა სურათები მოქარგა უწინ!“

აი, სნორედ ამ „სურათების ქარგვაში“ ვარ ახლა მე, ჩემო მკითხველო და განმკითხველო. კალამს ვანვალებ და კალამი მანვალებს, კალამს ვეფერები და ვიფერებ, მივყვები თუ მომყვება... ნერას ვყავარ ატანილი!... ჯანდაბას ჩემი თავი, თუ ამ სამოთხეს... ჯანდაბა ჰქვია.

ზემელიდან (ახლა რომ რუსთაველის მოედანს ვეძახით) ინყებოდა ჩვენი ერთი ციცქნა, მგონი, სულ რაღაც 30-ნომრიანი მოსკოვის ქუჩა, თავისი ნავთის, ღვინის სარდაფებით, მენალეებით, ფაეტონების რიგით, ფეხსაცმელების მნმენდავი ჯანოებით, მიხოებით, ვახოებით, ჯახოებითა თუ ტახოებით; კინტოობაში გარდამავალი ყარაჩოხელი ჩოლახათი თუ ყარაჩოხელობაში გარდამავალი კინტო ტრუბკათი;

1945 წლის 30 აპრილს, საღამოს 22 საათზე და 30 წუთზე, ჟუკოვმა, მესამე იმპერიის დედაქალაქიდან, დაურეკა გენერალისიმუსს და მოახსენა, რომ: „დღეს 21 საათზე და 50 წუთზე, ჩვენი 171-ე მსროლელი დივიზიის მებრძოლებმა – სერჟანტმა ეგოროვმა და უმცროსმა სერჟანტმა ქანთარიამ, სამხედრო საბჭოს მიერ მათთვის გადაცემული წითელი დროშა რაიხსტაგის მთავარ თაღზე აღმართეს!“

გენერალისიმუსის სტალინის პირადი დაცვის უფროსის ვლასიკის მოადგილე მიხეილ თევდორაძე იგონებს, როგორ მიულოცა ბელადმა შამპანურით ბერიას რაიხსტაგზე საბჭოთა დროშის აღმართვა.

– ლავრენტი, გილოცავ!.. ცოტა ხნის წინ რაიხსტაგზე წითელი დროშა აღიმართა, მაგრამ... საინტერესოა – რაღა მაინცდამაინც მეგრელმა ჰქნა ეს, ვერ გამორკვევის – გარკვევით უთხრა ბელადმა და ქიქა მიუჭახუნა, თითქოს ისტორიის კარი გაუჯახუნებინის!

ზღვის დონიდან მეტრნახევარი (ნახე, სომხურად რა გამოდის!) მეკურტნე ქურთი ადოთი, პიანინო მარტოს რომ მიჰქონდა აღმართში და ვიწრო ტროტუარზე, მანდილოსნის გასატარებლად, მორიდებით შეაბრუნებდა მძიმე ტვირთს...

ზრდილობის სკოლა იყო, ადო!
მის კურგანს გაუმარჯოს, თბილისელებო!
რამდენი სიკეთე ზიდა.
მთებს ძრაედა, მთებს ძრაედა ეს ღმერთძაღლი,
თვითონ იყო ერთი ციდა!

...სწორედ სიყვარულის ეს უზარმაზარი ტვირთი ზიდა „პაემანმა ვერაზე"!

„ასტანოვკა ზემელ!" — დაიძახებდა ტრამვაის ვატმანი „ზემელზე" (გერმანელი აფთიაქარი ევგენი ზემელი ამაში ვატმანს კაპიკს უხდიდა) და ტრამვაი სწორედ იქ ჩერდებოდა, სადაც ჩვენთვის დედამიწის ჭიპი იყო — რუსთაველის მოედანი!

...ვერის აღმართს მოუყვებოდა გალაკტიონი!
მთელ გალაქტიკას ზიდავდა გალა... მარა —
საკუთარ თავის ზიდვისათვის არ ეყო ძალა!

ჰოდა, იმ ნვერებიან კაცს გაუმარჯოს, ბარბაცით რომ ამოდიოდა „გემოდან". რუსთველის ძეგლის ადგილზე... ის იდგა მაშინ და... ღიმილით დაგვცქეროდა ზემოდან.

გალაკტიონი იყო საშინლად... ფხიზელი!

...მერე მოსკოვის ქუჩის ბოლოდან (30) მენყერივით ნამოვიდოდა ჩემი ოთარა მგელაძე.

იქვე, უტეხი კოკა მუჯირი!

აქვე კოკა იგნატოვი — ფიროსმანის ნატეხი. ორივე კოკა სიყვარულში დაილვარა; ორივე კოკა სიყვარულის ცხრანყაროზე გატყდა!

მერე მოსკოვის ქუჩა № 20.

აქ ფეხაკრეფით დავდიოდი. აქ სულით ხორცს ებრძოდა ლოგინს მიჯაჭვული კაცი — კაცი-მრავალსახეობა, კაცი-ლეგენდა... უშანგი ჩხეიძე!

მოსკოვის ქუჩა № 17-დან, ვებერთელა მუშტებითა და ჩასპანდური ნაბიჯით მოაგელვებდა ვაჟას „კაი ყმის" თარგზე მოჭრილ კაი ყმობას — შალიკო დვალი!

მოსკოვის ქუჩის 15 ნომერში უბანს გვირგვინად ადგა „ვერელების ვერნისაჟი" — სახალხო მხატვრის, დავით კაკაბაძის სახლი!

ამბობენ, სიკვდილსაც კარგები უყვარსო,
მას რაღა სიკვდილი არჩევინებს?..
ერთი კი ნაღდია – ადრე წასულები
რაღაცით ჯობია დარჩენილებს!

...მოსკოვის ქუჩა. 6 ნოემბერი!

პატარა ბიჭის ხსოვნაში ბჟუტავენ ჩემი ალალი უფროსი ბიძაშვილები: ოთარი, გივი, კაკლი ნიშნიანიძეები!

17 ნლის კაკლის, ანუ ირაკლის, ვერის უბნის სამ ირაკლისთან ერთად

---

*ქალების მოტაცებამ იკლო, რადგან საცოლეები... ცოლებივით იქცევიან!*

*ალექსანდრე შუროვი: ლამაზი ქალის ეპითეტი... ოხვრაა!*

*პლაგიატორები დავიწყებულ მწერლებს მეორე სიცოცხლეს აძლევენ.*
*იქ, სადაც ყველა თავის კვალს ტოვებს... დამლაგებლებს მეტი საქმე აქვთ.*

(არცერთი აღარაა ცოცხალი, ცნობილ პედიატრ ირაკლი ციციშვილის გარდა) საქართველოს ალალი, „ბავშვური" სიყვარულისათვის ციმბირი უკან დაატოვებინეს. მათ სიყრმის მზეს ამოსვლაც არ აცალეს... ისე ჩაასვენეს.

აქვე მითქვამს შენდობა კაცობიდან ადრე ნასული ამ ბიჭებისათვის... ლევან გოთუას ციმბირიდან გამოგზავნილი წერილის სტრიქონთაშორისო შეფარული საკითხავით:

„არ ვიცი, რატომ მიყვარს ასე ჩემი სამშობლო...
იმიტომ, რომ შორსა ვარ მისგან?..
თუ იმიტომ ვარ შორს, რომ... ასე მიყვარს
ჩემი სამშობლო!"

...ცოტა დაბლა, მოსკოვისა და ბარნოვის კუთხეში იდგა კაცი, რომელიც ერთ ქუჩას, უბანს, ქალაქს კი არა, მთელ საკაცეთს ეყოფოდა კაცობის გვირგვინად (თავისი „ბრალიანი" უბრალოებით).

ღმერთმანი, არ ვაჭარბებ...
მიწიერ ღმერთებს არ აქვთ შენდობა —
კაცი მიწაზე ღმერთს არ ენდობა,

თორემ... ახლა ბევრი ფიქრობს: ეროსი, რომელსაც სახელიც ღმერთისა ჰქონდა, ხმაც, აღნაგობაც, იმიტომ ვერ ვინამეთ ღმერთად, რომ ყოველ დილით პირზე კოცნით გვხვდებოდა!

ასე იყო ჩირგოც! — განათლებით ექიმი (ინსტიტუტის დირექტორი), გაუნათლებლად — ბუნების ნათავხედარი კაცი — მსახიობი, ფილოსოფოსი, პოლიგლოტი, მუსიკოსი, გენიალური იმპროვიზატორი, არლეკინი... ნიჭიერების ქაოსი!.. მხოლოდ ერთადერთი რამ არ იცოდა — რა იცოდა და რა არ იცოდა!

ღმერთია მოწმე, არა თბილისური ხელგაშლილობით და არა უძღები შვილის გაუმაძღრობით, ცხოვრებაგამოვლილი კაცის წინდახედულებითა თუ წინ გახედულობით, ასე ვთქვათ, იმ „თემურისა და მისი რაზმის" სახელით მითქვია, რომ თემიკო ჩირგაძე დააკლდა არა მარტო ქალაქს, არამედ... კაცობრიობას (მაპატიოს მისმა სულმა და მკითხველმაც: მგონი, პირველად ვხმარობ ჩემს სამწერლოში ამხელა სიტყვას!). ჩარლი ჩაპლინის დროს ვინ იყო მეფე ან პრეზიდენტი, ვის აინტერესებს? ის იყო თვითონ უგვირგვინო მეფე!

ასეა ეს! სახელმწიფო კაცობასთან... თუ გნებავთ, პირველკაცობასთან შედარებით, რიგითი კაცობის ეშხი იმაშია, რომ ჩირგოსთან ძმაკაცობის ფუფუნებას, ყველაზე ძვირფასში — ადამიანური ურთიერთობის საგანძურში, არარა სიმდიდრე არ შეედრება!..

თუმცა, ჩირგო ერთმა ისეთმა „შეურაცხადმა" შე-

*ასე. მამაპაპურის ქიქების წკარუნით დამთავრდა ეს. დასაბამიდან ყველაზე სისხლიანი მეორე მსოფლიო ომის ქვემეხების გრიალი!*

*2004 წლის მონაცემებით (გაეროს ექსპერტების მიერ შედგენილი რეიტინგით), ცხოვრების დონის მიხედვით, პირველ ადგილზეა ნორვეგია, მეორეზე შვედეთი... ბოლოდან პირველ ადგილზე და თავიდან 177-ე ადგილზე კი — სიერა-ლეონეა.*

*ასე რომ ჩვენ, არც თავიდან და არც ბოლოდან არაფერი სანერვიულო არ გვაქვს.*

*ესეც მოსალოცია!*

*აგერ, ფილიპინებზე, თურმე, კაციჭამიათ ბანდა აღმოუჩენიათ. ერთმანეთს ჩვენც ვჭამთ, თანაც ცოცხლად. მაგრამ არა საკვების, არა პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით... თუმცა, სანამდე გადავიყვანთ ამას, ესეც საკითხავია!*

*კოსმოდრომ ბაიკონურიდან ხუარეგი აიღო რაკეტა „დნეპ*

იცხადა, არც ისე ძნელი გასაგები იყო, ცოცხალი მკედარს ამშვენებდა თუ მკედარი ცოცხალს!

გამგები გაიგებს!

...როცა სიცოცხლით სავსე ამ კაცის სიკვდილი მითხრეს... ერთი სიკვდილი გავათავე. როცა ეს ამბავი გავიგე... წიგნს ვწერდი... იმავე ფურცელზე მივატოვე ის, რასაც ვწერდი და დავწერე ის, რასაც ახლა კითხულობ, მკითხველო:

„თუ სიკვდილმა იცის თეიმურაზ ჩირგაძის ფასი... ალალი იყოს-მეთქი!"

ვერისუბნის გულში და ხსოვნაში კი ამ კაც-სასწაულს რა სიკვდილი მოკლავს!

აქვე, ამავე სახლში ცხოვრობდა დიდი მეცნიერის, ბ-ნ პეტრე ბუაჩიძის ოჯახი, რომელმაც უბნის საძმაკაცოს, ცნობილი ექიმი, ყოვლად არაორდინალური გიგო ბუაჩიძე დაუტოვა — ენაკვიმატი, გულითადი, სუფთა კაცი, რომლის ხელს ხელის ჭუჭყი არ მიჰკარებია... თუმცა, ერთხელ, მისთვის ჩვეული სიცილით თქვა — ერთი სანყალი კაცისგან... ერთი მანეთი ავიღე ქრთამად, რომ სახელი არ „გამტეხოდა" — ქრთამს არ იღებსო!!!

...და აი, მგონი, მოვედით!

მოსკოვის ქ. N 2.

ახლა აქ კინოს სახლი თუ სასახლე დგას!

მაშინ კი ორსართულიანი სახლი იდგა, თავისი იტალიური... თუმცა, არ დამიწყოთ ახლა იტალიური, იტალიური კი არა, თბილისური დიდი ეზოთი, ნავთის სარდაფით, წინ „ტიფსელპრომით" (ასე ეძახდნენ ხილის წყლების პატარა კაფეს), სახინკლე-საქაბაბეთი და... არყისფერი დილით... ხოშით, ნემეცკი სჩოტით, ძმობის საბაბითა და „კატუშას" ჭურვებივით ქაბაბით!

გამარჯობა, გიზო!

გიზო, შე გიჟო!..

ხალხნო, ეს ჩემი სახლია... ეს ჩემი საჰაერო თვდასხმის შიშით შებინდული ფანჯარაა.. ეს ჩემს ფანჯარაზე, ჭრილობის შესახვევი „ბინტით" თუ „ბანტით" ჩამოკიდებული (დედაჩემის დამზადებული) სწორედ ისეთი „სამოთხის სასმელი", აგერ, ახლა, ქალბატონმა ნანი დვალმა რომ მომართვა და ვერელობის საღერღელი ამიშალა... „ვიშნოვკა", როგორც მაშინ ვეძახდით.

ჰოდა, სწორედ ამ სამიზნისათვის მოუხუჭია ცალი თვალი ვიღაც მაუზერისტს, კაი ნაყლაპს... მიზანში ამოუღია და ის იყო, ჩახმახისთვის უნდა გამოეკრა ხელი, რომ მე... მაშინ 17 წლის ბიჭს, იქ, ვიღაც ნაცნობი ალმომჩენია და მისთვის ხელი აუკრავს: ბიძაჩემო, ხელი აიღე, იქ ჩვენი მეგობარი ცხოვრობსო!!!

მაააშ!.. იქნებ, სულაც, აქედან იწყება გიზო ნიშნიანიძე!..

მახლას!.. ახლა ისევ იმ ვერაზე ვარ და მოსკოვის ქუჩას ფეხით თუ ფიქრით მოვუყვები..

ეს მრავალწერტილები ჩვენი ფეხის ნაკვალევს ჰგავს... ათას რამეს რომ გულისხმობენ, მიგვანიშნებენ და ზოგჯერ საიდუმლოდაც ინახავენ.

ეს ჩემი თაობის ნაფეხურებია! ოთარა მგელაძისა და მისი მზეთუნახავი იუნონასი; კოკა მუჯირისა და მისი „ლურჯი აპრილის" — ციალასი; კოკა იგნატოვისა და მისი მწვანეთვალება ნინკასი; განუმეორებელი მანუშკი მირიანაშვილისა; დორიან გრეის — უბერებელი კიკა ხინთიბიძის, მთლად იგავმიუწვდომელი „შავი ბრილიანტის" — ბუბუსია თვალავაძისა და მარადიული ბავშვის — დათკა გამრეკელის... ლეგენდარული სპარტაკა ბაღაშვილისა და ჩიტოლიასი... რომელი ერთის!!!

...მარადიული რძლები ხართ... დაუვიწყარი წლები ხართ... სიცოცხლის გზები, ფრთები ხართ... სიკვდილსაც დავიწყებიხართ!..

ბუბუსია თვალავაძე — შავი ბრილიანტი! თვალებს რომ გადაგვიბრიალებდა, კედელზე აგვაკრავდა მისი სილამაზით შემკრთალ ვერელ ბიჭებს; სარგადაყლაპულები ვუყურებდით ლია სარიშვილს! მის დანახვაზე ნერწყვი გვახრჩობდა... ჯერ კიდევ უმწიფარ ულაყებს.

„ამ ვიწრო ქუჩაში კომუნიზმი ვერ შემოეტევაო და ამხელა სიყვარული კი ეტეოდა!"

...არა, ამას დღეს ვერც გაიგებენ და ყურშიც არ შეუშვებენ თანამედროვე კალგოტკიანი, საყურეებიანი, გაურკვეველი სქესის ადამიანები!

ამას წინათ ლია სარიშვილის ქალიშვილმა მითხრა: დედაჩემს გაჩვენებო და სახლში მიპატიჟება დამიპირა... გულზე ხელი შემიძლია დავიდო და ვთქვა... ვერ გავბედე?!.

ვერ გავბედე, ამდენი ხნის მერე იმ სილამაზისათვის თვალი გამესწორებინა!

...ორივ სოფელში გაგიმარჯოთ, ჩემო ვერელებო, ჩემო თბილისელებო, ასე რომ აკლიხართ თბილისს!

ნეკროლოგს ვეძახით ხსენების ამ ნებას,
ცრემლის პოეზიას, პროზასა და ეპოსს...
თარიღი რად უნდა კაცის გახსენებას —
ახსენე იქ, საცა ღმერთმა ეს ინებოს!

...ვერის სასაფლაო!

მარადიული „პაემანი ვერაზე".

ყველაზე სევდიანი პაემანი!

აქ განისვენებს ჩემი თენგიზ კორინთელი (პირველი შეიდკაცადან), რომლის ბანი — რიკოთის უღელტეხილზე რომ დაგესვათ... აღმოსავლეთ საქართველოსაც ეყოფოდა და დასავლეთ საქართველოსაც!

მაინც რამდენი ლამაზი სული ეტევა ვერელობის ამ „ალგორითმში"!..

"მიწა ვარ, ცა ვარ, სივრცე ვარ, დრო ვარ!..
მომენატრება სიკვდილი — წავალ,
მომენატრება სიცოცხლე — მოვალ!

**(ზაურ ბოლქვაძე)**

ლომო!

სიტყვას იტყვი "ცამ ქუხილი დაიწყოს!"

სამარისებური სიჩუმით მისმენენ საფლავები და ხმამაღლა ჩავძახი:

„მესაფლავეევ, ახლა კი გაქვს ნება,
რაც გსურს, კვლავ ისა თქვა".

მაგრამ...

ჰოდა, აბა მე როგორ გავუბედო გალაკტიონს სიტყვის შებრუნება!

რმა". რომელიც თურქმენბაშის წიგნს კოსმოსში გაიტანს და 150 წლის განმავლობაში დედამიწის გარშემო ატრიალებს.

ღმერთო ჩემო — რა ხამინდელი ძმისა თუ დის პროპორციებია!

მე, პირადად, გადაწყვეტილი მაქვს, ჩემი წიგნი ნათესავებში და ახლობელ-მახლობლებში ვატრიალო, რადგან კოსმოსში არავის ვიცნობ, წერა-კითხვა იციან თუ არა, ისიც არ ვიცი და დღეს უცხოპლანეტელებში კი არა, ნაცნობ-მეგობრებშიც ძლივს ახალებენ წიგნებს!

თან, ამერიკულ ბიბლიოთეკებს, საიტების მეშვეობით აუდიოწიგნების გაქირავებაც დაუწყიათ!

ვინ გკითხულობს, ვინ დაგეძებს, ვის უნდიხარ შენ? ერთი პოეტისა არ იყოს!

წერე და... იკითხე!

ვინ გიმლიათუს? (უცხოური ტრანსკრიფციით რომ ვთქვათ!)

• •

ტომას კარლეილი (ინგლისელი ისტორიკოსი, პუბ.

და მაინც, თურმე, ყოველთვის როდი „ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა!..“

...ადრე წასულო ჩვენო სისხლო და ხორცო! თქვენ ჩვენთვის ყოველთვის ცოცხლები ხართ. თქვენ ხსოვნას სამარის ქვა ვერ მოერია, თუმცა სულს ლოდივით აწევს.

ისევ „ლომის“ უკვდავ სტრიქონს მოვიშველიებ:

„გადაუარა ბალახმა სიკვდილს — სიცოცხლის ნერტილს.

შენ ჩემთვის — როგორ არა ხარ, მე აღარა ვარ შენთვის!“

...სასაფლაოზე ყველაზე დიდი მუსიკა სიჩუმეა, რადგან დოსტოევსკისა არ იყოს: სასაფლაო სიჩუმისა და მონყენილობის საუფლოა და ვერის სასაფლაო ელისიონის კუნძულს ჰგავს, სადაც მართალნი განისვენებენ.

ერთ სიტყვას მურმანს (ლებანიძესაც) „შევუბრუნებ“ და მარადისობაში საგზლად გავატან მოუსვლელში წასულ ჩემს ძმაკაცს — გივი ნიჟარაძეს!

მშვიდობით!

„გაღმა სოფელი მოჩანს...

ანი, სიკვდილი

ფეხებს ვერ მოგჭამს“.

აგერ ახლა, კიდევ ერთი, ფენომენალური სპორტული და კიდევ უფრო არაჩვეულებრივი ადამიანური ბიოგრაფიის, სიკეთით სავსე კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან, თვალსა და ხელს შუა გაქრა და ის დღე ვერის სასაფლაოზე ამ სტროფით შემომაღამდა.

წუხელ, ვიქრებში წასული...

ამ ჩვენს გამჩენსაც ვედავე:

თუ წასასვლელი ვიყავით,

რას მოვდიოდით, ნეტავი?!

აფსუს!

სულ რამდენიმე დღეა, კიდევ ერთი ჩემპიონი ბიჭი (თანაც, მსოფლიო ჩემპიონი!) მივაბარეთ ვერის სასაფლაოს. მარტო თბილისმა კი არა, მთელმა საკაცეთმა გამოიტირა ეს ოლიმპიელი — „მფრინავი ბიჭი“!

ასე გაჩნდა კიდევ ერთი საფლავი, რომელიც გულზე ლოდად აწევს საქართველოს.

აქ განისვენებს 2 ზურაბ საკანდელიძე

ერთი მამა, მეორე შვილი!

...ბავშვობაში მე და ოთარა მგელაძე (თავის საფლავიდანაც ამ საფლავისა და ვერისუბნის პირველი ჭირისუფალი) ვერის სასაფლაოს სამარისებური სიჩუმის ეშხით, აქ გაკვეთილების სასწავლად ამოვდიოდით და სწორედ აქ წავაწყდით ერთი საფლავის ეპიტაფიას:

Вчера я по кладбищу ходил

И там все надписи изучил...

Двум-трем сказал: зачем ты умер?

А остальным – зачем ты жыл?

...ღმერთო, ძლიერო! ნუთუ, ისიც დავიჯერო, რომ ეს მოვლენებიც, ასე ვთქვათ, დეტერმინირებული, ანუ გარკვეულ მიზეზობრივ კავშირშია

---

*ფარმაკოლოგიური აწდაზა: „ექიმის შეცდომას – აფთიაქარი ასწორებს, აფთიაქარის შეცდომას კი... მიწა!“*

*არისტოტელე: სიჭაბუკე სიგიჟეა.*

ერთმანეთთან?.. მატერიალიზმს რომ ჰკითხო, ყველა მოვლენა ურთიერთგაპირობებულია!

...კაცმა — კაცისა იცის, ღმერთმა — ღმერთისა!

პოეზიის ენაზე კი: ახლაც მახსოვს, როგორ აქსოვს ტკბილი სიტყვა ცხოვრების აბლაბუდას! ჩემი ქუჩის ჩამი-ჩუმი... ის, რაც ენაზე ეკერათ და მომესმოდა ყურის ამ ერთ განვდენაზე...

ფიქრით, მე ახლაც, ისევ იმ „ვიშნოეკის" ბოთლჩამოკონნიალებულ, მოსკოვის ქუჩა N 2-ში მდგარი, ორსართულიანი ძველი სახლის ფანჯარაზე ვარ გადმოყუდებული, ყურს ვუგდებ ჩემს პატარა ქუჩას (რომლითაც დიდი ცხოვრების გზაზე გავედი), გავცქერი ჩემს ნარსულს — მომავალზე ვფიქრობ და ახლაც ჩამესმის გამვლელ-გამომვლელის ფეხის ხმა, დაუნყებელ-დაუმთავრებელი თბილისური ამბავ-ხაბარი... ვერაზე მდგარი ტეერელის თეთრი ეკლესიის ზარები კი ტკბილად რეკენ და ჩამესმის „რნყილისა და ჭიანჭველას" ავტორისა და ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლის შიო მღვიმელის შვილთაშვილის — უპატრონოთა თავშესაფრის — ზემელზე მდგარი, მოზარდ მაყურებელთა თეატრის გვერდზე აბოლებული — ღარიბული და მიტომაც — „ობლებად" ნოდებული ბარის „პრეზიდენტის", ნიაზასავით სმას გადაყოლილი შოთა დედაბრიშვილის დითირამბი:

> გამარჯობათ, ჩემო თბილისურო
> მემუარულო ტროტუარებო.
> წერეთ თქეენი თბილისური
> ტროტუარული მემუარები!

„ახ.-დახ", 16-22.02.04.

## სიყრმის მზე

ოთარ რამიშვილმა, ერთხელ, ჩემთან ინტერვიუში იხუმრა — ეს ქვეყანა მანამ არ გამოსნორდება სანამ თხა „მეეს" კი არ დაიძახებს, არამედ — „შეენო". მოხდება თუ არა ასე, ვერ გეტყვით, მაგრამ ძველ თბილისში, „მე"-ს ნაცვლად, „შენ" რომ დომინირებდა, ამას ნაღდი თბილისელები დაგვეიდასტურებენ. სულ რამდენიმე ნლის ნინ, ვერელების მემატიანე გიზო ნიშნიანიძისთვის რომ გეკითხათ, შეიცვალა თუ არა თბილისი, გეტყოდათ — დღეს დაჩაგრული ვარ თბილისელობის გამო, ახალმა დრომ ყველანი კედელთან მიგვაყენა და გაგვიმეტა, თბილისი კი უბრალო მისამართად აქციაო. ნოემბრის რევოლუციის დღეებში, თბილისის დოკუმენტური პოემის — „პაემანი ვერაზე" ავტორი ნამდვილად არ გამოიყურე-

ლიცისცი, ფილოსოფოსი XIX ს.)

დროის ნიშნები!

უბედურ ერს ძნელად თუ დაარწმუნებ, რომ მისი უბედურება დღევანდელი დღით თავდება.

გონიერი ადამიანები უფრთხებიან მღელვარებას, როგორც ალბიონის ქვეყანაში ლონდონელები... ნისლს.

დგება ჟამი განუკითხავი მორიგებისა.

...ბოლო აღარ უჩანს მანქანათმშენებლობას. ცხენს კი გამოხსნეს საკაზმავებიდან. მათ მაგივრად ცეცხლის ცხენი შეაბეს უღელში. ახლა ორთქლის ძალით ჩეკავენ ნინილებს.

წინ ვერაფერი დაგვიდგება, ვებრძვით ბუნებას.

...იზრდება მანძილი მდიდარს და ღარიბს შორის.

საიდუმლოებებით მოცულია საუბრები ფიცის — უცხომასთან. (გ.ნ.)

...უნიფორმიანები, უცილიფორმიანები, ანაბაპტისტები, ფრენოლოგები ქარის ნისქვილებზე „უექვავენ საქვავს" საზოგადოებას.

ჩვენს დროში ყველაზე მეტ გამომხატველობას იჩენს აზრი: „ოქროვერი ნიშნავს გვერდიანდე. რომელიმე

ბოდა დაჩაგრულად. ის, შეილიშვილებთან ერთად, იდგა თავის რუსთაველზე და ლადო ასათიანის სიტყვები ახსენდებოდა — „რუსთაველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმაო"... სწორედ იმ რუსთაველზე, სადაც გასეირნება, უკანასკნელ წლებში, არცთუ სასიამოვნო იყო. არაბულ სამყაროში, ორიენტალისტიკაში „მხიარულ სახლად" მიჩნეული თბილისი, ათწლიანი დრამის შემდეგ, ერთ ნაცრისფერ, უსახურ ქალაქს დაემსგავსა — დასევდიანებული, ჩაბნელებული, მშიერი თვალებით მოსიარულე ხალხით.

გიზო ნიშნიანიძე: პატარა ერი გამარჯვებულისა და დამარცხებულის სინდრომს ვერ ჰგუობს! რას ნიშნავს, ერთის გამარჯვება და მეორის დამარცხება? — შენი გამარჯვებით მე არ დავმარცხდები, ჩემი დამარცხებით შენ ვერ გაიმარჯვებ. ბუნების დიალექტიკას ვერ დავარღვევთ. მამათა და შვილთა პრობლემა ყოველთვის არსებობდა საქართველოში. მამები ეუბნებოდნენ შთამომავლებს — ჩვენ უფრო საჭირონი ვართო, შვილები კი საკუთარ პრიორიტეტს აღიარებდნენ. ახლა პაპებისა და შვილიშვილების პრობლემამ წამოიწია წინა პლანზე. მამები, საერთოდ, გამორიცხეს. ბედი რომ მქონოდა, ამ დროში არ დავიბადებოდი. ტერიტორიები დავკარგეთ, წინაპრებთან რა სინდისით უნდა წარვდგეთ. ჩვენს თაობას გაუსხლტა დრო ხელიდან, რაშიც თითოეული ჩვენგანიცაა დამნაშავე. ალბათ, ამიტომაც მოვაბეზრეთ თავი ახალგაზრდებს, ჩვენი ხსენებაც არ უნდათ. ზოგიერთს ტყუილად ჰგონია, რომ ნოემბრის მოვლენების სახით, ახალგაზრდობის რევოლუცია მოხდა. ეს არ იყო მხოლოდ მათი რევოლუცია. მართალია, მას ახალგაზრდები ედგნენ სათავეში, მაგრამ სრულიად ქართული სახალხო რევოლუცია გახლდათ. არ შეიძლება რევოლუცია ასაკობრივი იყოს. წინა კაცი უკანას ხიდიაო — ნათქვამია. მართალია, ჩვენმა თაობამ თავი დიდად ვერაფრით გამოიჩინა და ცხოვრება ერთ ადგილას გაეყინა, მაგრამ მაინც არ შეიძლება წინა თაობების იგნორირება. თუ დააკვირდით, რევოლუციის დღეებში, იმ აურაცხელ ხალხში, ნახევარზე მეტი ასაკოვანი გახლდათ. ისინი ტყვიაზეც იყვნენ წამსვლელები. არ მინდა დავაკნინო ლიდერთა ღვაწლი, მაგრამ აშკარაა, ხალხი იმდენად იყო გამწარებული, მეთაურს აღარ დაეძებდა, სტიქიურად გამოდიოდა. მაშინ არც მეგულებოდა ისეთი ლიდერი, რომელსაც ამდენი კაცის გამოყვანა შეეძლო, რომ არა ხალხის ნება!

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე, საქართველოში შეიძლება შურისძიებამ იმძლავროს?**

— კითხვაში პასუხიც იკითხება!.. ზოგიერთი მოვლენა წააგავს შურისძიებას. რასაკვირველია, შურისძიება მიუღებელია, მაგრამ პუშკინს, ალბათ, დაეჯერება. მისი თქმით, სამართლიანი შურისძიება ზოგჯერ უდიდესი კეთილშობილებაცაა! ყველაფრის პატიება შეუძლებელია. ქვეყნის შიგნით, აუცილებლად მოყვრულად უნდა ვამხილოთ ადამიანი, მაგრამ გარეთ, უცხოეთში ნუ გამოვაჭენებთ. რა საჭიროა, მსოფლიომ შეიტყოს, როგორ გაგვაბრიყვა პატარ-პატარა საცდურებმა, მუცელს გადავყევით და ის კი დავივიწყეთ, რომ მუცელს გადაყოლილი ქალია ცოდო, თორემ მუცელს გადაყოლილი კაცი — სამარცხვინო. ბადენ-ბადენში შევარდნაძის ვილის ქონა-არქონაზე საზოგადოების მსჯელობის დროს გამახსენდა, რომ ადრე, ბადენ-ბადენის კაზინოში რუს მწერალს თეოდორ დოსტო-

---

*თბილისელები სულ გამოწკეპილები დავდივართ, რადგან ვიცით, რომ წუთისოფლის სტუმრები ვართ!*

ევსკის ნაუგია დიდძალი თანხა, რომელიც ვერ გადაუხდია, რის გამოც იქაურებს ფირნიში გამოუკრავეთ: ამ კაზინოში ფული ნააგო დოსტოევსკიმო. ერთმა ახალმა რუსმა გადაიხადა ეს თანხა, ფირნიში ჩამოახსნევინა და რუსული სირცხვილის კვალი ჩამოარეცხინა... ფარაონებს შემთხვევით როდი ჰყავდათ ისეთი მრჩეველი, რომელიც დღეში რამდენჯერმე საგაგებოდ შედიოდა და ახსენებდა — ხელმწიფეო, შენ ღმერთი არა ხარ, ჩვეულებრივი ადამიანი ხარო. ამის შეხსენება ყველას სჭირდება. ამას ითვალისწინებდა, ძველად, მასხარას ინსტიტუტი. მართალია, ქართველ მეფეებს მასხარად დაბალი სოციალური ნრის ადამიანები ჰყავდათ, ხუმარად კი — თავად-აზნაურები, მაგრამ ისინი საუკეთესოდ ასრულებდნენ თავიანთ მისიას. ევგენი ევტუშენკოს გენიალური ნათქვამია:

„მეფე ხელმწიფე, იმპერატორი,
ვინ იცის, რამდენ „პარადს" სარდლობდნენ,
ქვეყნიერების იყვნენ პატრონნი.
იუმორისა კი — არასოდეს.
ციხე-დარბაზი ლხინით ტკბებოდა.
ოქროთ ჩიტის რძესაც კი არ ნატრობდნენ,
მაგრამ ეზოპე გამოჩნდებოდა
და დიდებულნი ჰგავდნენ მასხარებს".

რომელი დიდგვაროვანი შეეგუებოდა, როცა ეზოპე მას აუგად მოიხსენიებდა. ამიტომაც, ხან შანდლის ქურდობა დააბრალეს, ხან დევნიდნენ.

**— ამბობენ, ბადრი პატარკაციშვილისთვის ლექსი მიგიძღვნიათ...**

— პატარკაციშვილი „მონამლული", ნაღდი თბილისელია. დედამისი დღესაც გრიბოედოვზე ცხოვრობს.

მიუხედავად იმისა, რომ ფულიანი ხალხის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, მეც ვიტყვი, რომ ზოგჯერ ესა თუ ის ბიზნესმენი ზუსტად იმდენი ღირს, რამდენიც აქვს.

პირველად რომ ჩამოვიდა ბადრი და ვაკეში სახლი დაენვა, ვილაცეებს... გაეხარდათ, რამაც გამაგიჟა და დამაწერინა ლექსი, რომლის ერთი სტროფია —ასეთია:

„თბილისელ კაცს
თბილისის ხსენებაზე
უნდა აუჩქარდეს მაჯა...
შენ ფულს
ებრაულად აკეთებ და
მერე ქართულად ხარჯავ"!..

ჩვენ, ბ-ნ ბადრისთან ერთად ჩავიფიქრეთ ტელე-რადიოსცენარის — „პაემანი მცხეთაში" განხორციელება. 1901 წლიდან, ქართული რადიოს ოქროს

*პარიზში, ან თვითონ მექმნა პარიზი'!.. ფილოსოფიას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას, ყველაფერი მანქანებზეა დამოკიდებული. არ არსებობს არავითარი ნიუანსი. და მისი აღმოჩენება — ვაშლის ჩამოვარდნით... რეტორტების, სისტემატიზატორებისა და გალვანური ბატარეების ჟამს მდგომი მბრძანებლურად დაკითხავს ბუნებას, რომელიც... სრულიადაც არ ჩქარობს პასუხის გაცემას.*

*...არც მეფე ფრიდრიხი უხმობს თავისთან დიდ ვოლტერს და... ანგბივრებს პენსიებით და ქებ-დიდებით (დამთხვეულობის როგორი ისტორიული დამთხვევაა? · გ.ნ.).*

*რასაც მიაღწიეს მანქანების დახმარებით, მათი დიფერენციალური თუ ინტეგრალური გამოთვლები ცოტათი თუ სცილდება ეშმაკურად მოწყობილ არითმეტიკულ მანქანას.*

*ვიღაც-ვიღაცეები აპირებდნენ ხისა და ტყავისგან დაემზადებინათ ადამიანი!*

**P.S.** *მიუხედავად ამ ფანტასტიკისა XIX საუკუნე XX შედარებით ძუძუს*

ფონდში უამრავი საინტერესო მასალა ინახება. მარტო გრიგოლ რობაქიძის ანდერძი რად ღირს: არაფერს ვთხოვ სამშობლოს, უბრალოდ, რომელიმე ქართველი დედა მივიდეს ჩემს საფლავთან, მცხეთობა დღეს და დაანთოს სანთელი, ამითაც მადლიერი ვიქნებიო! ან ნოდარ დუმბაძის სიმღერა სიკვდილის წინ; გალაკტიონის სიმღერით ნათქვამი ლექსი! ივანე ჯავახიშვილი — დეპუტატობას ჭიანჭველას მიერ ტვირთის ზიდვას რომ ადარებდა და აფიქრებდა ეს სიმძიმე, მაგრამ სამშობლოსთვის მზად იყო, გაენია ჭაპანი. „პაემანი მცხეთაში" ჩაფიქრებულია პლატონის „ნადიმისებურად". მისტიკურ სუფრაზე ერთმანეთს შეხვდებიან ჩვენი წინაპრები და თანამედროვენი. დღევანდელთათვის ეს იქნება შოკური თერაპია. ბატონ ბადრის რომ გავაცანი ეს პროექტი, მასზე იმდენად იმოქმედა, მითხრა — ცოტა ხნით გავალ სუფთა ჰაერზე, ისეთი ხილვები მაქვს, სული შემეხუთაო.

**— თქვენი თქმით, თბილისური მატერიალიზმი მარტივი იყო — „ღმერთმა შენ მოგცეს, რომ მე მქონდესო!" ძველ თბილისში, სადაც ზოგან კარიც არ იკეტებოდა, ალბათ განსაკუთრებულად თენდებოდა ახალი წელი...**

— თუ ერთად ყოფნას ვახერხებდით, ჩვენთვის მუდამ ახალი წელი იყო. ერთი ბოთლი ღვინის ფული რომც გვქონოდა, დუქანში თამამად შევდიოდით, ვმღეროდით და მეზობელი სუფრებიდან ივსებოდა ჩვენი მაგიდა. ახალი წელი იმით იყო კარგი, რომ ღამისთევა შეგვეძლო. ახლა ხალისი დაიკარგა, ისე გაზარმაცდა ხალხი, ამ დატვირთვასაც ველარ უძლებს. ბავშვობაში კარგ მეკვლედ ვითვლებოდი. მართალია, გურამ პატარაიას ფილმის — „კუჩხი ბედინერის" პერსონაჟის მსგავსად, სიები არ მქონია, მაგრამ ჩემზეც ტაციაობა იყო.

ჩვენი თაობის თბილისში თვითონ ბაზარი ნააგავედა საახალწლო სუფრას! მთელი საქართველო ჩამოდიოდა, რომ თბილისს მოფერებოდა. ახლა ისეა გამნარებული ხალხი, გამყიდველი მხოლოდ მოტყუებაზე ფიქრობს.

განსაკუთრებული ახალი წელი ამ რამდენიმე წლის წინათ აღვნიშნეთ, როცა კოკა იგნატოვის პანო ჯერ კიდევ ამშვენებდა მთაწმინდას. ხუთასამდე კაცი ავედით. პურმარილის თავკაცმა გვითხრა: ერთი კარგი სადღეგრძელო მოვიფიქროთო. მაშინ ვუთხარი, ვინმეს თბილისთან ერთი-ერთზე დაგილევიათ-მეთქი? — აღმოჩნდა, რომ ეს უცნაური სადღეგრძელო არავის შეესვა. ნამოვუდექით დედა-თბილისს, გამოვედით აივანზე და მისი სადღეგრძელო ერთი-ერთზე შევსვით! ამის შემდეგ ვიღაცამ თქვა — ამ ჭიქით სხვა სადღეგრძელო აღარ უნდა დაილიოსო. ყველამ გაუშვა ჭიქას ხელი... ხუთასი სასმისი დაიმსხვრა.

ხანდახან ვცდილობ, კოკა იგნატოვის პანოს მომპარავეიც გავამართლო, იმდენად მოიხიბლა ნამუშევრით, ველარ გაუძლო ცდუნებას და თბილისის ნაგლეჯი წაიღო. ეს, იქნებ, იმის მსგავსი განცდაა, ჟამიდან ჟამამდე რომ მეუფლება ხოლმე და მაშინ თბილისის მზის მოპარვაზეც ვოცნებობ, იმდენად თბილია ეს მზე, რაღაც სხვანაირად, თბილისურად ანათებს.

**— მაშინდელ თბილისს სახალხო მსმელები, ქართველ „შარაფისტთა პრეზიდენტები" ამშვენებდნენ...**

---

*მამაზეციერი: „ნეტარ არიან მორწმუნენი, ვინც მიხილა და მაღიარა, ხოლო უნეტარესნი არიან, რომელმაც არ მიხილა და მაღიარა!"*

*ჩინური ანდაზა: გეშინოდეთ ცვლილებების!*

— ქართველისთვის ქეიფი ზეიმი იყო. უქეიფობას ავადმყოფობას ადარებდა ჩვენი წინაპარი და ამბობდა — უქეიფოდ ვარო. კომუნისტებმა დიდი სუფრები მაინც ტრადიციად ისე გამოაცხადეს, რომ არც დაფიქრებულან — ტრადიცია როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო მაინც? თუ წეს-ჩვეულება ტრადიციად იქცევა, ე. ი. დადებითია. ქართველი — შემოქმედია ბუნებით. „ვეფხისა და მოყმის ბალადის" შემქმნელი ერი როგორ შეიძლება არტახებში, პროკრუსტეს სარეცელზე მოაქციო და სუფრის ინსტიტუტი გაუუქმო? სუფრასთან რომ ორგანიზებულნი ვართ, ნეტა ისეთები ვიყოთ ცხოვრებაში. ერთხელ, მშვიდობის სადღეგრძელო დალია ჩემმა მეგობარმა (არამშვიდობიან ხალხში). წამოუხტნენ, თურმე, — შენ, ვის ემშვიდობებიო?! ისე... შეეარცხვინე ის სადღეგრძელო, რომელიც ჭიქის ხელში აღებამდეა მოფიქრებული. ნამდვილი სადღეგრძელო ექსპრომტად უნდა ითქვას. ახალი წლის სადღეგრძელო კი ლოცვას უნდა ჰგავდეს!

**— მსმენია, თქვენმა მეგობარმა ნიაზ დიასამიძემ გალაკტიონი რომ მიჰგვარა სატრფოს ოჯახში...**

— ილიას უთქვამს, ყოველივე, რაც კი ამ ქვეყანაზე შექმნილა, ხასიათიანი კაცების ნახელავიაო. მეც ასეთებთან ვმეგობრობდი. ისინი განუმეორებელნი, უტირაჟონი იყვნენ. ნიაზმა სატრფოს რომ ვერაფერი მიართვა, გალაკტიონი მიუყვანა. ამაზე დიდი საჩუქარი რა იქნებოდა? მეორედ, გალაკტიონი ველარ იპოვნა და მის კარებთად დაჭერილი თოვლის პირველი ფიფქი მიუძღვნა. სხვათა შორის, გალაკტიონი ცინიკოსი და ცოტა ეშმაკიც იყო. მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ მიამბო, ელბაქიძის დაღმართზე, მოაჯირზე გადაკიდებული გალაკტიონი შევნიშნე. ლამის ვარდებოდა, მთვრალი მეგონა, მხარზე მოვიგდე და სახლში მივიყვანეო. მისმა სიმძიმემ ლამის წელში გამწყვიტა, მეორე სართულზე რომ ავიყვანე, გალაკტიონმა მკითხა — ხომ არ დაიღალე, ყმაწვილო? ემირი, დღეს კი ამაყობს გალაკტიონთან ნაცნობობით, მაგრამ მაშინ კი გასკდა გულზე, როგორ გამიმეტა, თურმე ნასვლა ეზარებოდა და ზურგით მატარებინა თავიო?!.

...ახლანდელებმა ტყვიების ზუზუნით ავიკელით რუსთაველი, ნალდი დამრტყმელი არკადი აბაშმაძე კი, თავის დროზე, ამ ქუჩაზე ჩხუბის უფლებას არავის აძლევდა. ეს სიყვარულისა და ძმობის ქუჩააო. შფოთის ამტეხს მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში აჩხუბებდნენ. ეზოს ჭიშკარი კი არა, სახლის კარი არ იკეტებოდა, ხალხს აივანზე ეძინა. მახსოვს, როცა მხატვარ ავთო ვარაზის მეუღლემ კარზე „გლაზოკი"

*ბავშვი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ სად აღარ გაიგონებ: ამაზე მაღლა ვერ ახტებით, ადამიანი ადამიანზე მაღლა ახტა!*

*არ უნდა ამას კარლაილი და დიდი ლაილაი, თუნდაც „ლაილაის" მობილური ბარათით!*

*ჭკუა ჭკუის საკითხავ კაცს უნდა ჰკითხო. სწორედ ამიტომ, შემორჩა ჩემს მეხსიერებას და საგაზეთო პერიოდიკის დასავიწყებლად არ შემეცვება, თამარ სირბილაძის ინტერვიუ 65 წლის იუბილარ ჩვენს თამაზ კვაჭანტირაძესთან (ლ.ს. 24.06.05).*

*დაწყვილებული იდენტური ციფრებით გამოხატული სამად სამი ახალი მიმანიშნას მრავალ თარიღზად - 33, 55 და 77 წლები. ორმოცდათხუთმეტს კაი ხანია გამოვცდი. სამოცდაჩვიდმეტამდე შორია.*

*11-მა და 99-მა რაღა დაგიმავეს?*

*• ჯერჯერობით აქსელერაციას ისე შორს არ გაუვლია, რომ ვუნდერკინდების თერთმეტი წლისთავი აღინიშნოს. და, სამწუხაროდ,*

დააყენა, ვარაზს უთქვამს: რას მიქვია, ჩუმად გავიხედო და კარი ვინმეს არ გავუღო. ახლავე შეაბრუნე, სტუმარი თუ მოვა, იმან გაიგოს სახლში ვართ თუ არაო. უფულო ადამიანებს ისე ვეხმარებოდით, თავმოყვარეობას არ ვულახავდით. ქართულის მასწავლებელმა ვარო ვარდიაშვილმა, ერთხელ, ფეხსაცმელი უყიდა იოსებ ნონეშვილს, რომელსაც იმ დროს უჭირდა და, რომ არ დაერცხვინა, ან ეუკადრისებინა, სთხოვა — ძმისწულს ვუყიდე, არ მოერგო, ჩაიცვი, იქნებ გამიწიოო. მერე კი უთხრა, ისე გიხდება, რომ გამოგართვა, ღმერთი არ მაპატიებსო.

ასეთი იყო ჩვენი თბილისი გუშინ და ხვალ როგორი იქნება... ეს თქვენზე იყოს და თქვენს კაცობაზე!

**მანანა ნოზაძე**

**ჟურნ. „იმიჯი", იანვარი, 2004.**

* * *

**რომელ ლამაზ ქალს დაუდგამდა თბილისში ძეგლს გიზო ნიშნიანიძე?**

— ფრანგი მწერალი ფრანსუა რენე შატობრიანი ქართველ ქალს უმშვენიერეს არსებად მიიჩნევდა. „ქართველ ქალივით მშვენიერო" — სხვის მიმართ ნათქვამი ეს დითირამბი, დღემდე ისტორიულად ამშვენებს ჩვენს ქართველ ქალს. სამწუხაროდ, დღევანდელმა ცხოვრებამ ქართველი მანდილოსნის ღირსება დააკნინა. სად აღარ მიდის იგი... ოჯახი რომ აირჩინოს! ვაჭრობს, მოსამსახურე ხდება... სადაც ქართველი მამაკაცი ამას შეეგუება, იქ — საქართველოც დამთავრდება.

**— ბატონო გიზო, თქვენ, თბილისში დაბადებულსა და გაზრდილს, ბევრი შესანიშნავი პიროვნება გახსოვთ, მათ შორის, ის ულამაზესი ქალბატონები, რომლებიც თბილისს ამშვენებდნენ. ვინ იყვნენ ისინი?**

— პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ ქალზე კერძო საკუთრება არ არსებობს. ქუჩაში რომ გამოვა, უკვე ქალაქის საკუთრება ხდება. შეგიძლია შეხედო, მიმავალს თვალიც გააყოლო...გულიც!.. რა თქმა უნდა, სილამაზის სრული აღწერა შეუძლებელია, ნათქვამს ნანახი სჯობს. სიტყვები არ მეყოფა ბუბუსია თვალავაძის მშვენიერებაზე ვისაუბრო. ბუბუსია, ცნობილი მომღერლის დავით გამრეკელის მეუღლე გახლდათ. მოსკოვის ქუჩაზე ვცხოვრობდი (ახლანდელი ლეონიძის ქუჩა), კინოს სახლთან. ზუსტად ვიცოდი, ბუბუსიას როდის უნდა ჩამოევლო ჩემს ქუჩაზე. იმ დროს ყველაფერს თავს ვანებებდი, ფანჯარასთან მივდიოდი და მას ველოდებოდი... საკმაო დრო გავიდა, ბუბუსიაც იშვიათად გამოდის ქუჩაში — ამაშიც არის თავისებური ხიბლი... ლამაზი ქალი გაზაფხულივით ლამაზად ბერდება. ქუჩაში მიმავალი ბუბუსია ახლაც რომ დავინახო, უკან ავედევნები... უეშხიანესი გოგო გახლდათ ლია სარიშვილი. ჩაცმულიც კი... „გახდილი" იყო, ქუჩაში შიშველი სილამაზე მოდიოდა... ამასწინათ მისმა ქალიშვილმა დამირეკა. მოვიკითხე დედამისი, — ნახვა მინდა-მეთქი, ვთხოვე. — დიდი სიამოვნებითო, — მიპასუხა, მაგრამ თქვენ ისეთი გახსოვთ

*სიჭაბუკეში დამეებული შეცდომები – სიბერეს არ უნდა დაუტოვო მიწასთან გასასწორებლად.*

*ოპტიმისტისთვის – ნახევრადსავსე ჭიქა, პესიმისტისთვის – ნახევრად ცარიელიაო.*

ლია სარიშეილი, ჯობს, ახლა არ ნახოთო... მახსოვს, ჩვენმა ერთმა მეგობარმა, უკრაინიდან, ლურჯთვალება გოგო — გალინა ნესტერენკო ჩამოიყვანა. ის, ჩვენი მეგობარი შემდეგ ბამზე წავიდა და... დაიღუპა. დედამისმა შეგვკრიბა და გვითხრა, — ამ გოგოს უკან ნუ გაუშვებთ, ცოდოა, გზა-კვალი არ აერიოსო. ერთხელ, თავის ძაღლთან ერთად, ნიაზ დიასამიძე ამ გოგოს ვერის ბაზართან შეხვედრია, ფული უთხოვია, უთქვამს — ამ ძაღლთან ერთად დადექი და ხუთი წუთი დამელოდეო. ბაზარში შესულა, იქიდან ყვავილები გამოუტანია და მისთვის მიურთმევია... შემდეგ გალინა ტელევიზიაში მუშაობდა — მუსიკალური განყოფილების გამგე გახლდათ...

ნიაზს კი, ადრე, გულიკო კასაბაშვილი უყვარდა. მასთან მისატანი რომ არაფერი ჰქონდა, დაბადების დღეზე, თურმე პირველი თოვლი მიართვა — სახლიდან რომ გამოვიდა გულიკო, ნიაზმა ხელისგულზე პირველი ფიფქი დაახვედრა. მეორეჯერ კი ასეთი საჩუქარი გაუკეთა — გალაკტიონი მიუყვანა სახლში...

...ერთი გოგო მომწონდა — ფუნიკულიორზე ავიყვანე და ვუთხარი — თბილისს გიძღვნი-მეთქი საჩუქრად. იქიდან ბოტანიკურ ბაღში ჩამოვიყვანე — ბაღი ვაჩუქე. ახლა ყველაფერს პრივატიზება გაუკეთეს, თბილისელ ტურფებს უკეთესს ველარაფერს ეჩუქნი (იცინის)...

**— ვინ იყო თქვენი პირველი სიყვარული?**

— პირველი სიყვარულის ეშხი ბოლო სიყვარულამდე არ ქრება. სიყვარულს მალვა უნდაო, ნათქვამია, მაგრამ... რაღა მაქვს დასამალი!.. ეს გახლდათ მედიკო მგალობლიშვილი. მაშინ მეხუთე-მეექვსე კლასის მოსწავლე ვიყავი. შემდეგ „პრახადნოი დვორივით" მქონდა გული — ვინ შედიოდა და ვინ გამოდიოდა, არ ვიცი. თუმცა, ერთი მახსოვს კიდეც — დღეს საკმაოდ ცნობილი ქართველოლოგი... ბოლოს არჩევანი ჩემს მეუღლეზე შევაჩერე... სტალინის გარდაცვალების დღეს მის ბიუსტთან იდგა საპატიო ყარაულში. აეუხსენი სიყვარული... საერთოდ კი, საიდან მოდის სიყვარული, ვერ ახსნი. სადაც დაუკვირდები და ამოცნობას შეეცდები, იქ დამთავრდება! ძველ თბილისში ამბობდნენ, — „ბემურაზი ვიყო, თუ ვიცოდე, რად მიყვარხარო"?.. ირაკლი აბაშიძე სუფრას ლამაზ ქალს ადარებდა — აბა, ეს ნახე, აბა ახლა ის გასინჯეო, — სუფრას გადახედავდა და ხელებს იფშვნეტდა.

**— გოგონების გამო თუ გალახულხართ?**

— როგორ არა. მიჩხუბია, გავლახულვარ კიდეც. ჩემს ძმაკაცს მოსწონდა ლია გორდელაძე (ვალერიან ბაქრაძის სახლში არსებული საბავშვო ბაღის გამგეა). იმის გამო, რომ ის სხვისთვის არ გვეთმობო-

*არც გვერობცილობის განვითარებულა ისე, რომ თუნდაც ყოველმა მეახემ 100 წელი მოვითვლით...*

*მაინც რას ეყრდნობა მინაარსობრივად ეს თქვენი საკრალური 33, 55, 77?*

*თესვას, მკას და მოსავლის დაბინავებას... სულიერ ჭრილში, ცხადია. 33 წლის მაცხოვარს უკვე დათესილი ჰქონდა ის სიყვა, რომელიც ამოსდღემდე ნაყოფს იძლევა.*

*...რაც ადვილად წერს, ის, ჩვეულებრივ, ძნელად იკითხება.*

*ისე „მწერალ"-სიტყვის ძირი „წერ" — თავისი ამოსავალი მნიშვნელობით „ჩხვლეტას", „ხვრეტას", „ქარა-ვკეთას" უნდა უკავშირდებოდეს.*

*ივანე ჯავახიშვილის აზრით, სიტყვა „წერ"-ძირის ეს მნიშვნელობა დასტურდება სიტყვაში — „მ-წერ-ი", ესე იგი, მ-ჩხვლეტ-ი — ანუ, რაც ჩხვლეტს, წერცავს, ნესტრავს... სიტყვა „წერცილსაც" მეცნიერი „წერცვა"-სგან ნაწარმოებად მიიჩნევს, რაც „ჩხვლეტას" ნიშნავდა. რადგანაც თავდაპირველად აზრის სიმბოლური გამოხ-*

და, მაგრად გვჟეჟეს... ჩვენი გოგონები ჩვენზე ხუთი წლით უფროს ბიჭებს მოეწონათ. პატარები დაგვჩაგრეს და ვერის ხიდიდან წყალში გვყრიდნენ. მედიკო მუსერიძემ გვიშველა — ფიზიკურად ძლიერი გოგო იყო. დაერია ამ ბიჭებს და სულ ლაწალუწი აუტეხა... ჩვენს დროს ჩხუბი სირცხვილი არ იყო, ყველაზე დიდ დამცირებად პანჩურის ამორტყმა მიგვაჩნდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა... ქუჩაში, ტელეფონის ავტომატთან ატუზულები ვიყავით და გოგოებს იქიდან ვურეკავდით. ხმას ვიცვლიდით, რომ ოჯახში არ ვეცნეთ და ა. შ. ზემელზე ერთ-ერთ ტელეფონავტომატს ტელეფონის ნომერი ეწერა — „მუხურის შემთხვევაში დარეკეთ ჩემთან" — რეზო ფაღავასთანო... თბილისის „ტროტუარების ისტორიას" ათასი გიზო ნიშნიანიძე დასჭირდება. ერთხელ, შიო დედაბრიშვილის შვილიშვილს შოთა დედაბრიშვილს გზა აერია — პლეხანოვზე უნდოდა წასვლა და ბორჩალოში მიმავალ ავტობუსში ჩაჯდა. დედაქალაქში რომ დაბრუნდა, თბილისს მონატრებულმა ლექსი დაწერა —

„Здравствуйте мои тбилисские тротуары.

Пишите свои тротуарные мемуары"-ო!

— **სკოლის მასწავლებლებთან როგორი დამოკიდებულება გქონდათ. გყავდათ მომხიბვლელი მასწავლებლები?**

— როგორ არა. მახსენდება ინგლისურის მასწავლებელთან დაკავშირებული საჩოთირო შემთხვევა (სახელს და გვარს არ ვიტყვი), სკოლის დირექტორს უყვარდა... ერთხელ გაკვეთილზე კალამი ჩამივარდა, დავიხარე და უცებ მასწავლებლის შიშველი მუხლებისკენ გამექცა თვალი... მერე მთელი კლასის ბიჭებმა დაიწყეს კალმების ძირს ჩაყრა. ინგლისურის მასწავლებელმა ატეხა ერთი ამბავი — ამ სკოლაში ან მე ვიქნები, ან — ეგო. გამაგდეს სკოლიდან.

— **გაიხსენეთ მაშინდელი ტრაგიკული სიყვარულის ისტორიები!**

— თბილისში ცხოვრობდა ერთი ლამაზი გოგო — ცისანა მესხი. 14 წლისა გარდაიცვალა. როცა მოასვენებდნენ, ისეთი ლამაზი იყო, მასზე კუბოშიც კი ჯვარს დაიწერდი. რეპრესიების დროს — 1937 წელს, მშობლები დაუპატიმრეს, მარტო დარჩა, ჭლექით დაავადდა... ცისანა მესხი ჩემს წიგნში — „პაემანი ვერაზე" — ვახსენე. როდესაც დორიან კიტიას ხმამაღლა ვუკითხავდი ამ ეპიზოდებს, თვალზე ცრემლი მოადგა და მითხრა, — საიდან გაიხსენე ეს ყველაფერი, ცისანა ხომ ყველას გვიყვარდაო!.. ჩემს თაობას ახსოვს „რომეო და ჯულიეტას" თბილისური ისტორია — პლეხანოველი ვაჟა ბაქრაძე ცოლს სიდედრმა დააშორა. მივიდა უნივერსიტეტში, გოგო გარეთ გამოიყვანა და დაბრუნება სთხოვა. ვერ წამოვალ, დედაჩემს ვერ დავტოვებო — უთხრა ქალმა. ვაჟამ ცოლი იქვე მოკლა და თავიც მოიკლა. ვერავინ მიეკარა... ოჯახებს არ უნდოდათ, რომ ერთად დაეკრძალათ. მაგრამ გასვენების დროს პროცესიამ ისე მოახერხა, რომ ერთმანეთს შეახვედრეს მიცვალებულები და ისე გაატარეს თბილისის ქუჩებში. ასეთი ტრაგედიებიც ახსოვს თბილისს...

თვითნაბადი რაინდული სულით ცხოვრობდნენ. „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ", — ჩვენც ძველი ყარაჩოხლური დამოკიდებულება გვქონდა ქალის მიმართ და არა ისეთი, როგორიც დღეს არის — ფულს

*ცოლის მოყვანას, მოგჯერ... მიყვანა ჯობია.*
*ცოლს, თუ გინდა ყველაფერი გითხრას... არაფერი არ უნდა ჰკითხო,*
*ცოლს ეპითეტიც არ აქვს, ცოლი-ცოლია!*

გადაიხდი და მზეთუნახავს იყიდი... საშინელებაა თბილისში ბორდელები და მსგავსი დაწესებულებები... ქალს რომ მუხლი გამოუჩნდებოდა, ტყავში ვერ ვეტეოდით. აღარ ვიცოდით, ბიჭები სად წავსულიყავით. ახლა მუხლი კი არა, ყველაფერი უჩანს... ბიჭები მიეჩვივნენ ამ სიშიშვლეს და დაკარგეს ინტერესი. ქალი საიდუმლო კუნძულია, თუ ახსენი, იმას იქით არაფერი არის... ზოგიერთი ცოლი ვერ ახერხებს იმას, რომ ქმრისთვის ყოველთვის საინტერესო იყოს, ამიტომაც იქცევა შემდეგ ნათესავად, დად და ა. შ.

**— რომელ ქართველ ქალს დაუდგამდით ძეგლს?**

— ბუბუსია თვალავაძეს. ლიანა ასათიანს, დოდო ჭიჭინაძეს, მედეა ჯაფარიძეს (ახლანდელ „საძაგლებსა" და მაშინდელ საძეგლეებს რა დალევს!). უცხოელ ქალებს ისე ვუყურებ, როგორც ნახატს, არავითარი გრძნობა არ გებადება, გამომშრალი ფიტულებივით იყურებიან. ჩვენი ქალები კი გაუხედნავი კვიცებივით იყვნენ... ოპერაში სპეციალურად ვყიდულობდი ბილეთს, რათა ლამაზი ქალისთვის ადგილი დამეთმო... ჩემი თაობის ზოგიერთი ადამიანის დაკრძალვაზე ვერ მივდივარ. მირჩევნია, ისინი ცოცხლები დარჩნენ ჩემს მეხსიერებაში. ასეთი იყო ჩემთვის, თუნდაც, ინოლა გურგულია — ნიჭიერებისა და მშვენიერების ეტალონი.

**— ლიტერატურულ გმირთაგან ვინ არის თქვენთვის საინტერესო ლამაზი ქალბატონი?**

— შორენა! მასზე უკეთესი პერსონაჟი არ მახსენდება. მშვენივრად შეასრულა ეს როლი ულამაზესმა ლალი ბადურაშვილმა. როგორი შინაგანი ბუნების ქალი უნდა იყო, ვეფხვს თავზე ხელი გადაუსვა... თვითონაც ძუ ვეფხვია ლალი, მის ქმარს, ჩვენს თემოს, კინაღამ გული რომ გაუხეთქა!

**— თანამედროვე ახალგაზრდა მანდილოსანთაგან რომელ ქალბატონს გამოარჩევდით?**

— მომწონს მაკა ასათიანი!.. რომელი ერთი ჩამოვთვალო... მაგრამ ჩვენი დროის გოგოების ეშხი მაინც სხვა იყო!

დიდი ოჯახიშვილი იყო თინა ბაქრაძე, უკეთილშობილესი ქალბატონი — ვალერიან ბაქრაძის ქალიშვილი... გამოირჩეოდა უბრალოებით, სიკეთით. მანაც ასევე, დიდი სიამოვნებაც მიიღო თბილისთან მეგობრობით. თუმცა, ბედმა ადრე უმტყუნა და სიცოცხლემ მიატოვა!

**— თუ არსებობს ის ქალბატონი, რომელთან შეხვედრაც დღესაც გაღელვებთ, წარსულს გახსენებთ...**

— ამასწინათ შემხვდა ერთი... ვგიჟდებოდი იმ

*ატვა მაგარ საგანზე ხდებოდა (ქვაზე, ლითონზე, თიხაზე), ამიტომ ეს ასო-ნიშნები ამოიკვეთებოდა, ამოიკაწრებოდა ანუ „იწერებოდა" რაიმე მკვეთრი, მჭრელი, მაგარი საგნით, მაგალითად ანდამატით ან, თუნდაც „წერაქვით"... ერთი დააკვირდით ამ სიტყვასაც „წერაქვი", ესე იგი, იარაღი, რომელიც ქვის გამკვეთ-გამთლელი ანუ „დამწერი" დანიშნულებისა იყო. სწორედ ეს უძველესი, თავდაპირველი შინაარსი „წერ" ძირისა (ჩხვლეტა ან ხვრეტა) ჩვენს დრომდე მოულოდნელად ალორძინდა ჟარგონულ ევფემიზმად სქესობრივი აქტის მნიშვნელობით. თუ ეს ყველაფერი სარწმუნოა, მაშინ მ-წერ-ალ-ი, რომელიც ისევეა ნაწარმოები, როგორც მ-ცირ-ალ-ი, მ-კურნ-ალ-ი და სხვა მისთანანი, ეტიმოლოგიურადაც დაუკავშირდებოდა მწერლის სამისდღემში? და, აქედან გამომდინარე, სადღეისო ფუნქციას · ჩხვლიტოს, ან ნესტრის კაცის გული და სინდისი...*

*— თქვენი საყვარელი ხუთი მწერალი...*

ქალზე... თვალი მომარიდა. ძლივს შევეჩვიე ჩემს დაბერებას, მაგრამ ის რომ დაბერებული დავინახე, გავგიჟდი, თვალი ველარ გავაყოლე. საშინელი გრძნობაა — გულით მიყვარს, მაგრამ თვალით აღარ მომწონს...

ცნობილ მსახიობს, ქალბატონ მარინა კახიანს შევბედე და ლექსი გამოვუთქვი: „კახიანის ქალო, ქალთა ბატონო, გთხოვ, ეს სიტყვა გამიგო და აწონ-დაწონო..." ის ჰგავს უდაბურ ტყეს, სადაც შესვლით შეიძლება ნებისმიერი კაცი ცდუნდეს, მაგრამ არავინ იცის, რა შემოეფეთება — აფთარი, ლომი, ვეფხვი — თუ რა?!

არ ვიცნობ და არც მინდა გაცნობა. ცხოვრებაში არის ისეთი რამ, რასაც არ უნდა შეეხო... ქალისგან კერპიც შემიქმნია. ერთი, ჩვენი დროის გოგო ხელუხლებელი დავტოვე, იმდენად ლამაზი და მშვენიერი იყო... სილამაზეს, როგორც მზეს, თვალი ვერ გავუსწორე და „შორით ტრფობით" ვინვოდი.

სხვა რა გითხრათ?

**ქეთევან ხამიცაშვილი**

**გაზ. „რაო-რაო?" 24-30 ნოემბერი 2003 წ.**

**ვანო პაელიაშვილი**

## „ვარდისტყაოსანი"

### (რას ურჩევენ ძველი თბილისელები ახალ პრეზიდენტს!)

„ვარდისტყაოსნის" დღევანდელ „პერსონაჟს" განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება, რამეთუ გიზო ნიშნიანიძემ ვარდებს პაემანი, ჯერ კიდევ 25 წლის წინათ, ფილარმონიაში „დაუნიშნა" და იმ „უდროობის დროს" სულ „ტაშით დაანგრია". მაშ ასე, რა ლექსი დაუწერა „ბებერმა ბიჭმა" სანდრა რულოვსს და არის თუ არა მიხეილ სააკაშვილი ეზოპე?

**— ბატონო გიზო, „ვარდების საქართველო" მოგწონთ?**

— თბილისში ძალიან პოპულარული იყო გამოთქმა — „მეყოლე ვარდიეით". როგორც ჩანს, ეს „ამბავი ასრულდა" და ვარდივით ვიწყებთ გაფურჩქვნას! ყოველ შემთხვევაში, ამდენი ჯოჯოხეთის მერე ვარდის „პატარა" სუნი ხომ დაგვეკრავს!

**— აქამდე რისი სუნი აგვდიოდა?**

— ვანო, ხომ იცით, ვარდის საპირისპირო სუნი რასაც აქვს და ახლა, პირში „ვარდისწყალგამოვლებულს", ცუდ რამეს ნუ მათქმევინებ.

**— მაშასადამე, რუსთაველის სიბრძნე — „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან, მზე სწორად მოეფინების" — კვლავაც აქტუალურია?**

— აი, აგაშენა ღმერთმა! ნეხვის სუნიდან უცებ ვარდის სუნი დატრიალდა და ამას რა სჯობია?! ისე, არ გამოვრიცხავ, რომ საზოგადოება ჯერჯერობით ეიფორიაშია, რადგან ასეთი ვეებერთელა ცვლილებები უცებ არ ხდება ხოლმე. ის კაცი, ვისაც ახლა ვახსენებ, არაპოპულარულია, მაგრამ...

**— ედუარდ შევარდნაძეს გულისხმობთ?**

— არა, ის კაცი შევარდნაძეზე არაპოპულარულია, მაგრამ... „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის" შესავალში მარქსი სიტყვა-სიტყვით

---

*ნაპოლეონ ბონაპარტე: გადაფხიკეთ თავი რუსს და მონღოლი იქნებაო!*

*გოეთე: მეცდომები, ცოდვები სიბერემდე არ უნდა ვათრიოთ!*

ამბობს: „ისტორია საფუძლიანია და მრავალ ფაზას გაივლის, ვიდრე დრომოჭმულს სამარეში ნაილებს. მსოფლიოს ისტორიული განვითარების საბოლოო ფაზა კომედიაა. საბერძნეთის ღმერთები, რომლებიც ერთხელ უკვე სასიკვდილოდ იყვნენ დაჭრილნი ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეოსში", კიდევ ერთხელ სიცილით უნდა დახოცილიყვნენ ლუკიანეს საუბრებში. რატომ მიდის ასე ისტორია?" — სვამს კითხვას ბიძია კარლო... ანუ მარქსი. იმიტომ, რომ ადამიანები თავიანთ წარსულზე ამაღლდნენ და მხიარულად განშორდნენ მას.

**— სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, მარქსის ენით რატომ მელაპარაკებით. ბოლოს და ბოლოს, „შევარდნაძის რეჟიმს" „დარდუბალაც" ხომ დასცინოდა?**

— „ვარდების რევოლუციაში" „დარდუბალამ" საოცრად დიდი როლი ითამაშა. როცა ტრაგედია დგება, ცრემლი, ჯერ კიდევ შენდობა და ერთგვარად თანადგომა — კაცის მხარის დაჭერაა, მაგრამ როცა სიცილი გაისმის, შენდობა მთავრდება. ევგენი ევტუშენკოს სიტყვებია: „მეფე, ხელმწიფე, იმპერატორი ეინ იყის, რამდენ პარადს სარდლობდნენ. ქვეყნიერების იყვნენ პატრონნი, იუმორისა კი – არასოდეს! ციხე-დარბაზში ლხინით ტკბებოდა, ფეით ჩიგის რქესაც კი არ ნატრობდნენ. მაგრამ ეზოპე გამოჩნდებოდა და დიდებულნი პგაედნენ მათხოვრებს!"

**— ე. ი. მიხეილ სააკაშვილი ეზოპეა?**

— ასე გამოდის... ყოველ შემთხვევაში, თავის დროზე, ეზოპეს არც ციხე ასცდა და არც წამება...

**— კი ბატონო, მაგრამ სააკაშვილი ყასიდადაც არავის დაუპატიმრებია. მეტიც, ზოგიერთი ინტრიგანი „ვარდების პოლიტიკოსებს" შევარდნაძის „კურსდამთავრებულადაც" თვლის. თქვენი აზრით, ზემოხსენებულმა ადამიანებმა თავიანთი გამზრდელი რატომ გაწირეს?**

— სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილი, თურმე, 51-ე სკოლაში სწავლობდა. მეც ეს სკოლა დავამთავრე, თუმცა ჩემს დროს მე-18 სკოლა ერქვა და ყველანი ერთნი ვართ — „თვრამეტიანები" — ეს რევოლუცია ვინმე გარეშეს რომ გაეკეთებინა, უფრო მოულოდნელი იქნებოდა, რადგან ზოგჯერ, შორიდან რაღაც-რაღაცეები არ ჩანს. ამ ახალგაზრდებმა, კი ნახეს, რომ არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდათ... ალალად რომ გითხრათ, ცოტა გული მწყდება, რადგან წინა კაცი უკანას ხიდია და ასაკობრივად, ზუსტად, ჩვენი ყოფილი პრეზიდენტის მდგომარეობაში ვარ, მაგრამ არც ის მინდოდა, რომ მამებისა და შვილების ტრადიციული დაპირისპირება... ბაბუებისა და შვილიშვილების დაპირისპირებად ქცეულიყო!

ახლა მე შევეკითხებით: „რათა ხუთი?" მერე თქვენ კითხვას დამიბრუნებთ: „მამ, რამდენი?"... და გამოგვივა „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა"-ს თამაში. რაც ერთხელ უკვე „ითამაშა" გენიალურად ოთარ ჭილაძემ. ამ „ხუთეულებმა" თუ „შვიდეულებმა" ჩემი უსაყვარლესი მწერლის ისაკ ბაბელის ერთი პარადოქსი გამახსენა: ყოველი კაცისთვის, წერდა ბაბელი, სრულიად საკმარისია მხოლოდ ექვსი წიგნის წაკითხვა. მაგრამ ამ ექვს წიგნს რომ მიაგნო, ექვსი ათასი წიგნი მაინც უნდა წაიკითხო.

სვიმონ გამსახურდიას, მწერლის მამას, თურმე ამტკიცებდა: ადამიანმა ორასიოდე წიგნი უნდა წაიკითხოს ცხოვრებაში. მეტი არაა საჭირო: „სახარება" და „ვეფხისტყაოსანი".

ჟურნალისტებს ერთი ასეთი უცნაური კითხვის დასმა გიყვართ: „რა წიგნს წაიღებდი თან, უკაცრიელ კუნძულზე სამუდამოდ რომ გადაგასახლონ?"

— ამის შეკითხვას არ ვაპირებდი, ბატონო თამაზ, მაგრამ რაკი თვითონ

თუმცა, ეს მაინც მოხდა! ბატონმა შევარდნაძემ ჩვენი თაობა „გამოტოვა". რა, ჩვენს თაობაში კარგი ხალხი არ იყო?! ის თავის მეგობრებად, უმეტესად, მკვდრებს ასახელებდა?!. ასე, კაცი, თავს, ალბათ უფრო მოსვენებულად, კომფორტულად გრძნობს. არადა, თავის დროზე, მასზე ნარკვევიც კი დავწერე...

**— ბატონო გიზო, თუკი შევარდნაძე არ მოგწონდათ, ნარკვევი რატომღა დაწერეთ?**

— ბევრი რამის თქმა შემიძლია, თუმცა რაღაცეების გამო ბოლომდე არ ვიხსნები, მაგრამ დრო თავისას იტყვის. რაც ხდება, ცხადია, კარგია, მაგრამ ყველაფერმა თავი უნდა დაიმკვიდროს... ერთხელ მითქვამს და კვლავ ვიტყვი: ეგვიპტის ფარაონებს ჰყავდათ კაცი, რომელიც ფარაონთან დღეში სამჯერ შედიოდა და ეუბნებოდა — ხელმწიფევ, შენ ღმერთი კი არა, ჩვეულებრივი ადამიანი ხარ! ამის შეხსენება ყველას სჭირდება!

**— თქვენ, რა, გგონიათ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი თავს ღმერთს უტოლებს?**

— არა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ სხვები მიეხმარონ და თავი დაკარგოს.

**— „თავის დაკარგვაში" რას გულისხმობთ?**

— ათას რამეს. 35-36 წლის კაცისთვის, რაც იცის, ისიც უკვე ცოტა არ არის და მომავალიც რაღაცას ასნაველის... მის თეალში ჩვენმა თაობამ ვერ გაამართლა. ასეთი ფიქრისთვის, შეიძლება, საბაბიც აქვს, მაგრამ ჩვენი თაობა ოქროს თაობაა და რევოლუცია, რომ იცოდეთ, ჩვენს გარეშე არც მომხდარა!

**— მიტინგებში მონაწილეობდით?**

— ვცდილობდი, არ გამოვჩენილიყავი, მაგრამ დავდიოდი...

**— ვარდიც გეჭირათ?**

— (იღიმება) არა.

**— ვერ იშოვეთ?**

— ვარდის შოვნას რა უნდოდა, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში, ყვავილი ხელში არ მჭერია. მე ყვავილი მიწაზე მიყვარს! ერთხელ ასეთი ეპითეტიც მოვიგონე: ყვავილი — გაფრენილი პეპელაა, პეპელა — დაფრენილი ყვავილი.

ჩემი „პაემანი" გოგლას სიტყვებით მთავრდება — „ვარდის ფურცლობის ნიშანი არის და დრო ახალი პაემანისა!". ჩვენი ბებრული პაემანი დამთავრდა, ვარდის ფურცლობის დრო არის და ახალი პაემანი იწყება!

**— თუკი ასეა, აბა, ახალ მთავრობას რატომღა უკიჟინებთ, რომ თქვენი თაობა არ დაივიწყოს?**

— ჩვენ არავითარი ხსოვნა არ გვჭირდება! ჩვენ, ჯერ, კიდევ აქტიურად ვართ, ბევრი სიკეთის გაკეთება შეგვიძლია. კაცის დაფასება ასაკის მიხედვით არ შეიძლება, რადგან ჩვენმა თაობამ უასაკო მეგობრობის ფასიც იცის.

**— ისე, ბატონო გიზო, ინტელიგენციამ შევარდნაძეს ზურგი რატომ აქცია?**

— არ ვიცი, ინტელიგენციაში ვის გულისხმობთ — წიგნთან დაკავ-

---

*ფერეიდნელი ქართველების ლოცვა: „ღმერთს ებარებოდე"!*

*ფრანკლინ რუზველტი: ვინც დროებითი უსაფრთხოებისათვის უარს ამბობს თავისუფლებაზე, არ იმსახურებს არც თავისუფლებას და არც უსაფრთხოებას.*

შირებულ თუ ზრდილობიანად მოლაპარაკე ხალხს. თუმცა ამაში განსაკუთრებული არაფერია... ხალხი ხედება, რომ იმას, რასაც მომავალი არ აქვს, მხარი არ უნდა დაუჭიროს. არ მინდა, ფილოსოფიაში „შევიჭრა", მაგრამ ნიცშე ამბობს — თუ მე ხალხმა ამირჩია, ე. ი. ხალხი ჩემზე ჭკვიანია! ჩემს თავს — მე თვითონ ვირჩევ!.. ეს ზეკაცის ფორმულაა, თუმცა ხალხს მეთაური, წინამძღოლი, მართლაც, ყოველთვის სჭირდება....

ედუარდ შევარდნაძე უბრალო კაცი არ იყო. ყოველ შემთხვევაში, მან შეძლო, რომ თავისი მდგომარეობა ამდენი ხანი შეენარჩუნებინა, მაგრამ სხვა საკითხია, ეს საზოგადოებისთვის ცუდი იყო თუ კარგი???

სხვათა შორის, მინდოდა, რომ ედუარდ შევარდნაძეს შევხვედროდი, მაგრამ მერე გადავიფიქრე. გენიალური ამერიკელი მწერალი, იუჯინ ო ნილი ამბობს, რომ კაცი, რომელსაც საკუთარი მიზნის გარდა, სხვა მიზანი არ აქვს, ამ მიზნის შესრულებით უნდა დაისაჯოს. ეს სიტყვები ყველას შეეფერება, ვისაც ეგონა, რომ „დამკაში" გავიდა და უკან კვლის უფლებაც ჰქონდა, წინ კვლისაც და გვერდზე კვლისაც. ზოგს ყველა მიზანი შეუსრულდა...

**— გიზო ბატონო, ეს „ნამიოკი" პრეზიდენტ სააკაშვილსაც „ესადაგება"?**

— ჯერ შეფასებამდე შორსაა! ვფიქრობ პრეზიდენტობა სააკაშვილის თვითმიზანი არ ყოფილა.

**— აბა, შევარდნაძის გადასაყენებლად თავი რატომ „გაიგიჟა"?**

— შევარდნაძის გადაყენება იმის საშუალება გახდა, რომ პრეზიდენტი გამხდარიყო, თანაც ის, ლიდერად, ხალხმა აღიარა. მაგ ჭკუის ბიჭების ერთ-ერთი ნათქვამი მომეწონა: ჩვენ, ხალხს, თავში კი არ მოვექეცით, გვერდზე დავუდექით და ეს რევოლუციაც ხალხთან ერთად გავაკეთეთო.

**— შეიძლება, მაგრამ ხალხს „გვერდები" აქამდე რატომ არ „აუდგა"?**

— ვანო, ხალხი იმდენჯერ გაბრაზდა, გადაბრაზდა, დაძმარდა და გადაძმარდა, რომ ბოლოს ცხვარად იქცა, თუმცა ფეხზე მაინც წამოდგა...

მახსოვს ერთი ცნობილი ანდაზა ასე შევარემონტე: „ცხვარი-ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა... მნევადია-მეთქი!

**— მაპატიეთ და, გვერდები თქვენც „აგიდგათ"?**

— გვერდები ყველას აგვიდგა, თუმცა მე, ეს ყველაფერი ცოტა ავადმყოფურადაც განვიცადე.

**— შევარდნაძის გადადგომა გეწყინათ და ავად ამიტომ გახდით?**

*გაიხსენეთ, მართლაც, რომელ წიგნს წაიღებდით თან?*

*— არც ერთს... დიახ, არც ერთს. რადგან ადამიანის გარეშე ჩემთვის თვით ის „ვეფხისტყაოსანიც" კი დაკარგავდა აზრს. უკაცრიელ კუნძულზე, დიდი-დიდი, „რობინზონ კრუზო" გამოგადგებს კაცს! ისე, კანტის „პროლეგომენებს" მეთქი, რომ მეთქვა, დამეჯერებოდა?*

*ყოველ შემთხვევაში, ძალიანაც არ გავიკვირვებდი...*

*— გმადლობთ კომპლიმენტისთვის... არადა, სხვა შემთხვევებში ალბათ, ბევრს თავისი ერუდიციით კეკლუცობის სენი მოეძალება და უხერხად და ძნელად „მოსანელებელ" აფორიზმს ახსენებენ ხოლმე. უკაცრიელ კუნძულზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ხახ-თუმალთან ის აფორიზმი მიწყვია, გალაკტიონს რომ უყვარდნენ და ამხნევებდნენ.*

*— თქვენ ეს ქართველების ქვეყანა ერთხელ „ყვარყვარეთადაც" გადანათლეთ.*

*— არა, მთლიანად საქართველოსთვის მე ეს არ მიკადრე-*

— არა... იმ დღეებში, უბრალოდ, გულისრევის შეგრძნება მქონდა... შენდობა და დანდობა ძალიან მომწონს, მაგრამ რაც უნდა იყოს, არავინ არაფერს არ შეგვარჩენს და ყველამ ჩვენ-ჩვენი წილი ჯვარი უნდა ვზიდოთ. პუშკინის თქმისა არ იყოს, სამართლიან შურისძიებაზე დიდი კეთილშობილება არ არსებობს და ამას ვერ გავექცევითო. როგორც ჩანს, ამას ვერც ჩვენ გავექეცით... ურემი მილიონჯერ გადაბრუნდა და გზა ძლივს გამოჩნდა, თუმცა, ჯერ კიდევ საკითხავია, ამ გზაზე, ურემი გავლას შეძლებს თუ ვერა...

**— რა დროს ურემია, გიზო ბატონო, ვერ ხედავთ, არჩეულმა პრეზიდენტმა რამხელა „მატარებელი" „დაქოქა"? ისე, სააკაშვილის მატარებელზე ბილეთის შოვნა ხომ არ გაგიჭირდათ?**

— ეს ბილეთი მეც მეკუთვნოდა და უნვალებლადაც ავიღე.

**— კეთილი, მაგრამ სად მიგვყავართ სააკაშვილის ლიანდაგს?**

— (დაუფიქრებლად) კარგ და იმედიან საქართველოში! ამდენი ნვიმისა და ავდარის შემდეგ დარი ხომ უნდა დადგეს?! ვანო, ამ თემებზე ლაპარაკი ჯერ არ მინდა, რადგან ტარლემ თქვა, — როცა იალბუზთან დგახარ, მის სიდიდეს ვერ ხედავ, უნდა მოშორდე და მერე შეხედოო!

**— ჰოდა, თქვენც „პანა" უკან გაიწიეთ და ბატონი სააკაშვილის სიდიდე ისე დაინახეთ!**

— კაცო, სააკაშვილს არც სიდიდე აკლია, არც სიგრძე და არც სიგანე! ბოლოს და ბოლოს, არაჩვეულებრივ ოჯახშია გაზრდილი, პროფესორი მშობლები, აკადემიკოსი ბაბუა ჰყავს, წერეთლების, სააკაშვილ-სააკაძეების შთამომავალია, ათასი ენა იცის და არაჩვეულებრივი მეუღლე ამშვენებს. სხვათა შორის, „თათარიახნად" ერთი პატარა ლექსი „გამოცხვა" და ჩვენს ჰოლანდიელ რძალს მივუძღვენი:

*„სადა ხარ „ჩემო სულიკო", ვარინკას ძველო სიმღერავ. ეკალში ვარდი შეენიშნე, ვარდში ეკალი კი — ვერა. ჰოლანდიამდე გისრი თავს, ელოცავ შენს ქართველ-ქალობას, თამარ-ქალობას წაავავს და უფლის ნებაწყალობას. ცოლობა — არის ტოლობა, ტოლობა — არის სწორობა, ორისა — არის ერთობა, ერთისა — არის ორობა... ცოლ-ქმრობა სხვა საშიშია. არ იზომება ღონითა. ცოლი — აწონეთ ქმრითა და ქმარი — აწონეთ ცოლითა! თუ გინდა, კაცი იცნო და მისი ალია-ბალია, ერთი რამ უნდა იცოდე — კაცის სასწორი ქალია!"*

ამ ქალმა ამ კაცს პინაზე ოქროს გირი შემოუდო. სიყვარულიც სწორედ ამას ჰქვია და ეს დღეს სამაგალითო ქართველი ქალებისთვისაც სამაგალითოა!

**— ამ ლექსის შესახებ პირველმა ლედიმ უკვე იცის?**

— მე რა ვიცი. ოჯახის ტელეფონი მაქვს, ერთი-ორჯერ დედამისს დავურეკე. ჩვენ, ისტორიის ინსტიტუტში, ერთად ვმუშაობდით...

**— ლექსი შევარდნაძეზეც დაგიწერიათ?**

— ასეთი აღმაფრენა არ მქონია, თანაც შევარდნაძეს ბევრი „ინაური" და შინაური მწერალი ჰყავდა და იქ ჩემი ადგილი არ იყო. სხვათა შორის, თვითონაც არ მოინდომა, რომ მის ნავში ჩავმჯდარიყავი და ამისთვის თავი არც მე მომიკლავს, რადგან ვინც ჩაუჯდა, ყველა „შუა ზღვაში გადაყარა ნავიდან".

---

*ეკალი... ვარდის საუწყებო დაცვაა!*

*უშიშროების გენერალი ანზორ მაისურაძე: საქართველოს აგენტურაში 23000 კაცი ირიცხებოდა.*

**— ყოფილმა პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დაგაჯილდოვათ და ამაზე „დიდი ნავი“ რაღა გინდოდათ?**

— მხოლოდ ღირსების კი არა, გორგასლის სახელობის ორდენითაც დამაჯილდოვა და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებითაც... „თბილისობაზეც“ მნახა და, ალბათ, გაგიჟდა, ეს კაცი ლატარიაში მერგოო! ჩვენ ცოტა სხვა ურთიერთობა გვქონდა და ამ ურთიერთობას თავისი ისტორია აქვს. ერთმანეთს ბიჭობის დროიდან ვიცნობთ, მაგრამ ამაზე ახლა არ ვილაპარაკებ...

**— თქვენ „კარენოი“ ვერელი ხართ, ბატონმა შევარდნაძემ კი ყრმობა მამათში გაატარა და ერთმანეთს ბავშვობიდან როგორ იცნობთ?**

— ვერაზე ორჯონიკიძის კომკავშირის რაიკომი იყო, იქ მუშაობა რომ დაიწყო, შევარდნაძე 19 წლის იყო... ერთხელ სოფელშიც კი წამიყვანა, მაგრამ ამ ურთიერთობას გაგრძელება აღარ ეწერა და მის ნავში ჩაჯდომას ამიტომაც გადავრჩი...

**— ბატონო გიზო, თუკი პრეზიდენტი შევარდნაძე არ „გევასებოდათ“, ორდენები უკან რატომ არ დაუბრუნეთ?**

— ღირსების ორდენს რომ მაძლევდნენ, თავი ცოტა უხერხულად ვიგრძენი და მიწმედ, შეიძლება, გიგი წერეთელი დავეიყენო (მაშინ, გიგი, ვიცე-მერი იყო). ვუთხარი, — მირჩევნია, მკითხონ, რატომ არ მაქვს ორდენი, ვიდრე მკითხონ, რატომ მაქვს და ძალიან გთხოვ, ამ ჯილდოს გადამარჩინე-მეთქი. გორგასლის ორდენით კი... რაღა დაგიმალოთ და ვამაყობ!

**— ისე, შევარდნაძე არ შეგეცოდათ?**

— რა ჭირს ჩვენი შესაცოდებელი. ნეტა საქართველო იყოს ისე კარგად... ის როა!

ვანო, ამ თემაზე ინტერვიუსთვის ჯერ მზად არ ვარ, თანაც ძალიან მძიმე კითხვებს მაძლევ და ცდილობ, რომ ძალიან გამქექო, მაგრამ ჩვენი ხალხი „ნახევარგამტარებით“ ცხოვრებას მიეჩვია და რაც უნდა ეცადოთ, კაცს ბოლომდე ვერც გახსნი და ვერც ამოხსნი!

**— შეიძლება, მაგრამ მოდით, თქვენც „ნახევარგამტარებით“ მიპასუხეთ — შევარდნაძე შეგეცოდათ თუ არა?**

— ...როცა აჩვენეს, რომ პარლამენტში ვიღაცას ფეხსაცმელი დარჩა...

სამამულო ომის ილუსტრაციებიდან ყველაზე მეტად... დამტვრეული თოჯინა დამამახსოვრდა, ამ „მენტურ“-პარლამენტური ვაკხანალიიდან კი — ეს ფეხსაცმელი. და მაშინვე თავი რაღაცნაირად უხერხულად ვიგრძენი, მაგრამ ისტორიისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. ირაკლი აბაშიძე ამბობდა, გაზაფ-

*ბია, თუმცაღა საქართველოს ერთი ნაწილი „ყვარყვარეთიც“ არის და „უმადურეთიც“ ვაი ჩვენდა, რომ ჩვენ (ისევ „საქართველო“-ს თარგზე ავაგებ!) „სამშობლო“-ს შვილებიც ხომ ვართ... საქართველოს დედაქალაქი თუ თბილისია, „ყვარყვარეთის“ „ლიკლიკისი“ იქნება: ვლიკლიკებით, აკაკის თქმისა არ იყოს, ენას „ვასაქსაქებთ“:*

*„გადაქცეულნი სიტყვად ვასაქსაქებთ ენასა და მით ვცდილობთ საქვეყნოდ თავის გამოჩენასა“.*

*„უმადურეთი“, „სამშობლო“, „ლიკლიკისი“*

*გმადლობთ, ბატონო თამაზ, რომ ამ ნეოლოგიზმის „ნათლობას“ დამასწარით...*

*უბედნიერესი კაცი ვარ. მოცალეობის დროს რასაც ვაკეთებ, სახელმწიფო იმამი ხელფასს მიხდის: ჩემი ჰობი და ჩემი საქმიანობა ერთმანეთს ემთხვევა სასატყვეთში დავეხეტიალობ... სიტყვებს ვხვდები, ვეცნობი, ვაყურადებ, ვუახლოვდები, ზოგჯერ - ვეჯახოვდები და ვცილდები კიდეც-*

ხულზე ნუ მომკლავ, ღმერთოო. მე კი ღმერთს პირიქით ვთხოვ — ნუ მომკლავ ამ თავსხმაში, მაჩვენე დალაგებული ქვეყანა და ისე გამიშვი „ვარდების გზაზე"! ბოლოს და ბოლოს, გალაკტიონმა თქვა: სიკვდილის გზა არრა არის ვარდების გზის გარდა?

**— გიზო ბატონო, თქვენ რომ შევარდნაძე ყოფილიყავით, გადადგებოდით?**

— შევარდნაძის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ვეცდებოდი, რომ ისეთ მდგომარეობაში არ აღმოვჩენილიყავი, როგორშიც ის აღმოჩნდა. ვერავინ იტყვის, რომ შევარდნაძეს რაღაც-რაღაცეებისთვის პოლიტიკური ალღო არ აღმოაჩნდა, მაგრამ მისი პოლიტიკით ყველამ გაიხარა... საქართველოს გარდა! არ შეიძლება, რომ სუფრასთან ხუთი მილიონი ადამიანი იჯდეს, აქედან მხოლოდ ხუთასი ჭამდეს... და დანარჩენი კი პირდაფჩენილი უყურებდეს. არც ის შეიძლება, რომ ხალხისგან ნაღებული დასამარხი ფულით... ქველმოქმედებას აკეთებდე!..

**— ახალ წელს ახალი პრეზიდენტის სადღეგრძელო დალიეთ?**

— ჩემი ოჯახის მეკვლე მე ვარ-ხოლმე. ბევრს არ ვსვამ, მაგრამ წელს ასე დავილოცე — საქართველოს ისტორიაში ახალი ერა იწყება და ხვალინდელ დღეს გაუმარჯოს-მეთქი. მოკლედ!

გამარჯობა, პრეზიდენტო შენი,
საქართველო ფეხზე დგას და გელის!

არმაზ სანებლიძეს დავურეკე და „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა გაზეთის ქუდად!

**— და ბოლოს, ბატონო გიზო, არჩეულმა პრეზიდენტმა რჩევაა რომ გკითხოთ, რას ურჩევთ?**

— (ფიქრობს) ერთ არაბულ თქმულებას მოვუყვები: ბაღდადის ხალიფას მრგვალ დარბაზს ორი კარი ჰქონდა, ერთი სიცოცხლის იყო, მეორე — სიკვდილის. დაიჭირეს ყაჩაღი, რომელიც ხალიფას მოკვლას უპირებდა. ყაჩაღს ჰკითხეს, რა თხოვნა გაქვსო? მან კითხვა შეუბრუნა — რომელი კარიდან გავიდეო? მცირე პაუზის შემდეგ, ხალიფამ, რომელიც მონყალებით არ გამოირჩეოდა, ხელი... სიცოცხლის კარისკენ გაიშვირა, გაოცებულ დივანს კი აუხსნა — მან პატიება კი არ მთხოვა, რჩევა მკითხა და რჩევის დროს მოტყუება ყველაზე დიდი ბოროტებააო! ამიტომაც, ერთ თბილისურ გამოთქმას გავიხსენებ — აზრზე მოდი, ხიდზე გადი და წინ იყურე! სააკაშვილი „აზრზე მოსულია", ახლა მთავარია, ხიდზე გავიდეს, წინ იყუროს და სწორი გზით იაროს!

**— ისე, „ვარდების სამეულს" ვერაზე პაემანს დაუნიშნავთ?**

— მე, პაემანი ვერაზე 2500 კაცს დავუნიშნე, მათ კი — 50 ათასს!

**— რა ამის პასუხია და, კედელზე გაჩერებული საათი რატომ გიკიდიათ? სხვათა შორის, ისრები ზუსტად იმ დროს უჩვენებენ, როცა პრეზიდენტი შევარდნაძე გადადგა...**

— (იღიმება) როგორც ჩანს, საათიც მიხვდა, რომ ახალი დრო იწყებოდა და ამიტომაც გაჩერებულა. ასე რომ, ესეც ახლებურად უნდა დაიქოქოს! სხვათა შორის, წინა საუკუნის რევოლუციაზე დავწერე —

„გაგვიწყრა ღმერთი ქართველებს
ეშმაკებს ველაქუცებით,

---

*სოკრატე: დროა წავიდე – მე მოვკვდე, თქვენ იცოცხლოთ. ხოლო, ვისი ხვედრია უკეთესი, ეს ღმერთმა იცის!*

*სიყვარული – ვარდს ეძებს, ეჭვი – ეკალს (ხალხური).*

მიდიან ქაქუცები და
მოდიან ქარაქუცები".

ახლა კი ისევ ალმაშენებლების დრო დგება და მეორე ათინად ნოდებულ გელათში დადებულ ფიცსაც სხვა გაჰქრა, სხვა ეშხი აქვს!

ღმერთო გვაღირსე: „მსაჯული — მართალ სჯიდეს!.. მსახურთა რისხვაი ჰქონდეს!.. ცოდვილთა ჰგუებდეს ცეცხლი!.." ეს სიტყვები გიზო ნიშნიანიძემ „ქარაქუცების ეპოქაში" დაწერა, თუმცაღა „ვარდების რევოლუციამ" „ვერის ბერს" იმედი დაუბრუნა და ფიქრობს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი საქართველოს ახალ სააკაძეობას გაუწევს და თბილისსაც დაუბრუნდება მაჯისცემა.

ოლონდაც!

„ალია",
15-16.01.04.

## გიზო ნიშნიანიძე — პაემანი ნარსულთან

### „დღეს, ყველაზე მეტად, კაცობას და ღირსების გრძნობას უჭირს"

„ჩემთვის ნათელია (ჟ. „კაცები" №13.2005), თქვენს ჟურნალს რატომ დაარქვით „კაცები". დღეს ყველაზე მეტად კაცობას და ღირსების გრძნობას უჭირს", — გულისტკივილით აღნიშნა ჩვენმა რესპოდენტმა, არაჩვეულებრივმა პიროვნებამ, გიზო ნიშნიანიძემ.

ბატონი გიზო იმ თაობის ნარმომადგენელია, რომელიც ლამაზად აგრძელებს ნინაპრების ტრადიციებს და კიდევ უფრო მიმზიდველს და ლაზათიანს ხდის მას. ამ კულტურას, საქართველოში, ნაღდი ქალაქელობა და კაცური კაცობა ერქვა. კარგი განათლება, გულწრფელი ურთიერთობები, ლაღი იუმორი და ლაზათიანი ქეიფი — ესაა მათი დამახასიათებელი ნიშანი. ამ თაობას საქართველოში 50-იანელები ერქვა და ის ქმნიდა საქართველოში არაჩვეულებრივი კულტურისა და ხელოვნების ხატს. გიზო ნიშნიანიძე სწორედ ამ მოელენის ერთ-ერთი გამორჩეული ნარმომადგენელია. და დღეს, როცა ღირებულებების მსხვრევაა, როცა თბილისში „კაცებისთვის" და არა მხოლოდ მათთვის, არატრადიციული კლუბები იხსნება, ყველაზე მეტად ასეთ კაცებს უჭირთ.

## „მაუზერისტების" თაობა

**გიზო ნიშნიანიძე:** „ჩვენს ნინა თაობას მაუზერისტების თაობას უწოდებდნენ. იცით, პირველად

მეორე მხრივ, ამავე მიზეზის გამო, ზოგს, მეხაძლოის, უბედურ კაკალაკ მოევლინენო. რადგან არდადეგები მე არ ვიცი და მეებულე-ბა: ვინც სიტყვაზე მუშაობს პროფესიად გაუხდია, მას სასი-ცყვეთში დასვენება არ უწერია!

ამერიკაში, სხვადასხვაგვარი მონაცემებით, ყოველი მეორე... ღარიბი ყოფილა, მაგრამ „ალია" (1-2.09.05) გვამცნობს, რომ „ღარიბი ამერიკე-ლის" ცნება ძალიან პირობითია რაც იმ ქვეყანაში სიღა-რიბედ ითვლება, ის, ამ ქვეყანაში, სიმდიდრედ უნდა ჩაითვალოს?!

რავა ყველაფერი „უკულმაა" იმ თუ ამ „უკულმართ" ქვეყა-ნაში!

ერთი, საბჭოთა პროპაგანდით დაქო-ქილი თათარი ჩასუ-ლა ამერიკაში და ყველაფერი დაუ-ნანებია.

ბილის ავტომაღა-ზიაში შეუყვანიათ. თვალები შუბლზე ამოსვლია, მაგრამ თავი შეუკავებია. სადაა რიგი, ავტო-მანქანების შესყიდ-ვის მსურველთა სიები? უკითხ-ავს.

კაცად როდის ვიგრძენი თავი? — როცა, ზემელზე, სადაც ჩემი ოჯახი ცხოვრობდა, კრაველის ქუდიანმა კაცმა, აივანზე გამოდგმულ დედაჩემის გაკეთებულ „ალუბლის წვენის ბოთლს" იარაღი დაუმიზნა და ჩემმა უბნელებმა შეაჩერეს: „ბიძაჯან, არ ისროლო! მანდ ჩვენი მეგობარი ცხოვრობსო". მაშინ ვიგრძენი, რომ უბანში ანგარიშს მიწევდნენ.

ასეთი რამეც ხდებოდა: უბანში ბიჭები ვმღეროდით ხოლმე „სალამი ჩიტუნებო". ერთხელაც, ვიღაც ისეთივე გალიბანდიანი (ფაფახიანი) კაცი მოვიდა. ისე ჰქონდა ლოყები აჭარხლებული, ალბათ 50 ხინკალი და ამდენივე ქაბაბი ექნებოდა გადასანსლული... გვითხრა: იმღერეთო!

გეეგონა, ჩვენი სიმღერა მოეწონა და „გულჭრელო ყვავილებო" რომ ვუმღერეთ, მოუტრიალდა ჩემს მეგობარს და ლოყაში გაულაწუნა, მერე მეც მომაყოლა — „ამ სიმღერას მენშევიკები მღეროდნენო". ჩემმა ძმაკაცმა დასტაცა მის ქუდს ხელი, ნიხლი ამოარტყა და გაიქცა. ამ კაცის თაობა „ნაგავი თაობა" იყო. მათ სისხლიანი რევოლუცია მოიტანეს... ეგონათ დიდ სიკეთეს აკეთებდნენ. მერე, მოგვიანებით კი მათი შვილები მემუარებს წერდნენ და მრავალტანჯულ ადამიანებად ასაღებდნენ თავს. ღმერთი მაღალია და მათაც უნია იმან, რასაც სხვისთვის ამზადებდნენ.

ჩვენს დროს იყო ასეთი სიმღერა: მიყვარს, როცა კაცი საფლავს გითხრის და თავად ვარდება ამ საფლავშიო! ამ სიმღერას ესტრადაზე ასრულებდნენ.

## როგორ ცხოვრობდა თაობა

იყო ერთი ასეთი ლეგენდარული თამადა — სიმონიკა სხირტლაძე! მახსოვს პერიოდი, როცა ეს კაცი ქართულში ბავშვებს ამზადებდა. ჩემი შვილი მოსამზადებლად სწორედ მასთან მივიყვანე. სიმონიკა მოქეიფე კაცი გახლდათ და ნამდვილად არ ეცალა, რომ ბავშვების მომზადებას გადაჰყოლოდა. ეს ნათელი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მივაბარე, ვინაიდან, ქართულთან ერთად, მისგან კაცობა მინდოდა ესწავლა!

ჩვენს დროს თბილისელობა საამაყო იყო, ახლა კი ზოგიერთი იძახის — არ ვარ თბილისელიო... ზოგი მეფე ვარო... მახლას — „მე ვარ და ჩემი ნაბადიო!.." ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავად გალაკტიონს ეცილებიან მეფობაში.

ეგვიპტეში ნამყოფიც ვარ და ისედაც ვიცი, რომ ფარაონებს მრჩევლები ჰყავდათ, რომელნიც დღეში სამჯერ ახსენებდნენ მათ, რომ ისინი ღმერთები არ იყვნენ. ამით, ადამიანსა და ღმერთს შორის წონასწორობას იცავდნენ. ახლა კი ერთადერთი შემხსენებელი იმისა, რომ ადამიანი ხარ, უნიტაზია. დანარჩენი ემსახურება ერთმანეთის „პათხალიმაჟს", მუცლის ამოყორვას და ა. შ.

ხომ გაგიგიათ „მუცელი, აქორებ — ქორია, აღორებ — ღორიაო". კონსტანტინეს აქვს ნათქვამი: „მთავარი ის კი არაა, რას სვამ, მთავარია ვისთან სვამ, კაცი!" ომარ ხაიამი, რომლის ქვეყანაშიც ღვინო დაგმობილი იყო, ამბობდა:

„ორი დღის თავშესანახი თუ გვაქს ერთი პური,
ყელმოჭრილ დოქში წყალი – ციეი, საამური,

---

*ბედა: ოქრო გამოიცნობა – ცეცხლით, ქალი – ოქროთი, კაცი – ქალით!*

*დემოკრატიის დროს – ყველაფერი შეიძლება!..*
*დიქტატურის დროს კი – არაფერია შეუძლებელი!*

რატომ უნდა ემსახურო სხვა კაცს, შენზე მცირეს, ან თვითონ შენ – რაღად გინდა სხვისი სამსახური"?

ასე ცხოვრობდა ჩვენი თაობა. ასეთი ცხოვრება მირჩევნია ნებისმიერ კომპიუტერს და ცივილიზაციას. ახლა, იცით, რა დრო დადგა? ტექნიკა გვექაჩება ერთმანეთისკენ და რაც უფრო გვექაჩება და ახლო ყოფნის საშუალებას გვაძლევს... მით უფრო ვშორდებით ერთმანეთს. აზრზე ხარ? მიცვალებულთან საფლავში დარეკვა შეგიძლია. ის რას გიპასუხებს, არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ ზარის მიცემის საშუალება გეძლევა.

## ღვინის გამფუჭებელმა კაცმა დროც გააფუჭა

ერთი ქუთაისელი მეგობარი მყავდა — სოსოია ხარაბაძე. ძალიან ენამოსნრებული ვინმე იყო და პირდაპირ იცოდა თქმა: „ეს ღვინო ვენახში ნამყოფი არააო". კულტურულად აღნიშნავდა ხოლმე, რომ გაკეთებულ ღვინოს ასმევდნენ. ღვინის გამფუჭებელი კაცი კი დროსაც გააფუჭებს. ასე მოხდა კიდეც.

ალალ ღვინოს, ალალი კაცის გარდა, ვერავინ აკეთებს. ჩვენს დროს კარგ ღვინოს სტუმრისთვის აკეთებდნენ. ახლა კი თავისთვის იკეთებენ. ჩვენს დროს სუფრას რომ აქებდნენ, ამაში პურ-მარილს კი არ გულისხმობდნენ, არამედ ღვინოს და თამადას. ეს ორი მცნება ერთმანეთთან იყო დაკავშირებული და გათანაბრებული.

ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობა ნამდვილი ფუფუნება გახლდათ, ყოველი წუთი ჭეშმარიტი ზეიმი იყო. ახლა კი, როგორ გადის დრო, საათი რომ არ იყოს, ვერც გაიგებდი. ქუთაისში, ერთხელ, ასეთ იუმორს გადავაწყდი: „ბიძია, რას უყურებ მაგ საათს, მაგას რომ ჭკუა ჰქონდეს, 24 საათი არ იმუშავებდაო".

„დრო მიდის, გეითელის ნაბიჯებს
და უკან აღარ ბრუნდება,
ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს —
მეორედ მოსვლის უფლება"!

ეს სიტყვები გამოვიყენე იმისთვის, რომ მკითხველისთვის შემახსენებინა, რატომ დავიწერა წიგნი „პაემანი ვერაზე"! ჩემი ნატვრაა, რომ მოვიდნენ ახალი ნიაზ დიასამიძეები, ოთარ მგელაძეები, ქართლოს კასრაძეები და ა. შ. ეს ის ხალხი იყო, რომელთაც ერთმანეთის ძმობა იცოდნენ. პირველად ქალაქში დანიანი ბიჭი რომ გამოჩნდა, ჩვენი ქალაქის ტრაგედია იყო. ყველა მას დაესია, კინაღამ ჩაქოლეს. ახლა კი რა ხდება? ქართულში 125 000 სიტყვაა და ამ მდგომარეობის შესაბამისი... თუმცა, არც ერთია!

*რის სია, რა სია, მიდი და იყიდე, გინდა ნაღდად, გინდა ნისიად, გინდა განვადებით... არავითარი რიგი, არავითარი სიები...*

*ზნაჩიც, ძმაო თქვენთან ბარდაგი ყოფილა! არ გამცუდარა, მაგრამ მშობლიურ ხაზქალთაში რომ დაბრუნებულს: აქ მაინც მათქმევინეთ სიმართლე და ხელები გაუხსავხავებია - ეს რა ენახე... ეს რა ენახეო! ვიღაცა, რუსს „დუქარნი" ფრაზით სიტყვა გაუწყვეტინებია: ვეზდე ხოროშო, გდე ნას ნეტო!..*

*...და, რა ცოჩნი ხარ". „მართლაც, გდე ვას ნეტ ვეზდე ხოროშო!*

*სვაზილენდის მეფე მსვატი III ცოლს ირთავსო...*

*რაო, რაო?*

*სვაზილენდის მეფე ცოლს ირთავსო! — იუწყებიან გაზეთები.*

*„ქეთო და კოტე" გამახსენდა.*

*50 000 ქალში არჩევს მე-14 ცოლს.*

*ჯერ ამდენი ცოლი რად უნდა და მერე ამდენი სიდედრი?*

*ეს აფრიკელი. ეტყობა, აფრიკად*

რალაც-რალაცებს კი მოვუძებნე შესატყვისი. ხომ არის სიტყვა „ქვენარმავალი", მე მოვიგონე სიტყვა „ზენარმავალი" — კაცზე, რომელსაც ზევით-ზევით ხოხვა უყვარს.

## 500 გატეხილი ჭიქა

გამოდის ჟურნალი — „ვაზი და ჭიგო" და იქ, ქართველ თამადებს შორის, მე-15 კაცად დამასახელეს. ეს დიდი პატივია. სიმონიკა სხირტლაძე უკვე ვახსენე. ვისი თამადობაც მე ძალიან მომწონებია, გახლდნენ: ტუპია იაშვილი, ოტოლი ანჯაფარიძე, პეტია ბოკერია, როსტომ ყენია"... ბევრნი იყვნენ, მაგრამ სუფრაზე ნამდვილ სპექტაკლს თემიკო ჩირგაძე დგამდა.

ერთ ისტორიას გავიხსენებ: ჩემი ექიმია ბრწყინვალე პიროვნება ირაკლი მეგრელაძე. მისი სიმამრი გახლდათ პროფესორი კუტუბიძე. ირაკლის გოგო გათხოვდა ვაშაძის ყმაწვილზე და ფუნიკულიორზე 500 კაციანი ქორწილი აქვთ. ვთქვი სადღეგრძელო: „როცა ორი ადამიანი ქორწინდება, ეს მხოლოდ მათი ბედნიერება რომ იყოს, ამდენ ხალხს თავს ვერ მოუყრიდა-მეთქი. ახლა ავდგეთ და თბილისთან, ერთი-ერთზე დავლიოთ ეს სადღეგრძელო-მეთქი".

ყველანი აივანზე გავიყვანე და ვაგრძელებ: „ქორწილი არის ორი ადამიანის და რვა გვარის შეერთება. აქ ვაშაძე, იქ მეგრელაძე, აქ კუტუბიძე... ვაშაძეც კარგი გვარია, „ვაშა" უნდა შევძახოთ და გავიხაროთ... მარა, კუტუბიძეს ყველაზე მეტი დატვირთვა მოუნევს ამ საღამოს და ამ გვარს განსაკუთრებით გამოვყოფ-მეთქი".

ატყდა ერთი ამბავი და სიცილ-ხითხითი! ასეთი რამ პირზე რომ მოგადგება კაცს... ვერ გააჩერებ!

## როცა ფული გაქვს და სხვისთვისაც გემეტება...

მეგობარი გვყავდა — კუკური მაღრაძე, რომელსაც გენიალური ხმა ჰქონდა. მისი გულისთვის, ერთხელ, არჩილ კერესელიძემ გვაგინა: „სუფრასთან რას აღრიალებთ, ამ იდიოტს, გენიალური ხმა აქვს და გაუფუჭდებაო".

არ გვწყენია, იმიტომ რომ სიყვარულით გვაგინა. ჩვენც ვუფრთხილდებოდით ერთმანეთს, მაგრამ სიყვარულისთვის კი ვიხარჯებოდით.

ერთხელ, ცნობილმა პიროვნებამ — ოთარ ლაზიშვილმა თბილისის ზღვაზე, დარბაზში, სხვადასხვა მოქეიფე ჯგუფი შეგვაერთა. ასმა კაცმა მოიყარა თავი. კარგად ვიქეიფეთ და როცა დავამთავრეთ, მოტრიალდა და მითხრა:

— ფული შენ გადაიხადეო.

— შენ გიჟი ხომ არ ხარ, ამდენ ფულს საიდან მოვიტან-მეთქი.

— არა, ვერ გამიგე, ფულს მე მოგცემ და გადახდით — შენ გადაიხადეო.

ბედნირებაა, როცა ფული გაქვს და საკუთარ თავზე უფრო სხვისთვის

*სოლომონ ბრძენი: ჯობია ბრძენმა გაგინოს, ვიდრე სულელმა გაქოს.*

*პეტკო კოლევი: ყველაზე მწარე სიმართლეა, რომ ყველას ტკბილი ცხოვრება სურს.*

გემეტება! ახლა კი არ იციან, ფული სად ნაიღონ და პენსიას ელოდებიან. მიხედებით, ალბათ ვიზეც ვამბობ.

მამაჩემმა იცოდა თქმა: „რძალი ყველა რძალია, მაგრამ ლამაზი მაინც იყოსო". მე ვიტყოდი: „უფროსი მაინც უფროსია და განათლებული და ახალგაზრდა მაინც იყოს". დავით აღმაშენებელიც ახალგაზრდა იყო, მაგრამ მას... ჭყონდიდელი ჰყავდა გვერდით, ალექსანდრე მაკედონელს კი — არისტოტელე... ეს ისე ჭკუის საკითხავ-მოსაკითხავად!

...ღვინო უყვარს და ქალებიო! — კაცზე რომ იტყოდნენ, დიდი პატივი იყო. პოდა, იყო შორით ნვა და შორის დაგვა... ქალის მუხლი რომ დაგენახა, ჭკუიდან გადადგებოდი. დღეს ყველაფერს ასე შიშველად ხედავენ, და აინუნშიც არ აგდებენ. პორნოფილმების ჩვენებას რაიმე გამართლება აქვს? მაშინ დახურული არხი უნდა იყოს მოხუცებულთათვის, რომ კიდევ რაღაცამ დააყრუანტელოს.

ამ ბოლო დროს არეულ მონასტერში ცხოვრება მოგვიწია. ჩინელებს აქვთ წყევლა: „იცხოვრე გარდაქმნების ჟამსო". არაჩვეულებრივი სიბრძნეები აქვთ ჩინელებს. კიდევ ერთი მაგალითი: „იმ ქვეყანაში, რომელსაც არაპატიოსნება მართავს — სირცხვილია, იყო მდიდარი. ხოლო, იმ ქვეყანაში, რომელსაც ჭკუა და სინდისი მართავს, სირცხვილია იყო ღარიბი!"

კონფუცის ნათქვამია ეს!

ქეთი ქართველიშვილი

* * *

**„კვირის პალიტრა", 9-15.10.06.**

„მრეწველთა" პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, „მრეწველთა" პრეტენზია, ძირითადად, საარჩევნო სიების უზუსტობას ეხება. სიებში ბევრი მიცვალებულიც იყო, ხოლო ერთ-ერთმა დამკვირვებელმა ძაღლიც კი აღმოაჩინა.

„სიაში ვიღაც ჯეკი ქართველიშვილი იყო შეტანილი. გადაამოწმეს და გაირკვა, რომ ძაღლი ყოფილა", — ამბობს ცაგარეიშვილი.

P.S. ძაღლებს ყეფას ვინ დაუშლის, მაგრამ ხმის უფლება თუ ჰქონდათ, პირველად გავიგე.

ამიტომაცაა: ძაღლი ყეფს... ქარავანი ვერ მიდის!

* * *

გასული საუკუნის 40-იან წლებში ანყურის მეურ-

*არის - გამყრა გენებაში.*

*ეთერში თქმა არ ნიშნავს ჰაერზე თქმას!*

*მაია ნადირაძე: „შენი ინტერესები უნდა დაიცვა სხვისი ინტერესების დაცვით!*

*რუსთავი-2*
*4.09.05.*

**P.S.** *თუ ასე ჭ კ ვ ი ა ნ უ რ ა დ ვიქცევით, როგორც ჭკვიანურადაც ვლაპარაკობთ, არც ისე ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე. ერთი რამე ვიცი მხოლოდ. ეს ქალბატონი... კარგი კაცის შვილია და კარგი კაცის ცოლი.*

*დღევანდელი თვალსაზრისებით თვალდავსებულები და უყურადღებობით ყურმოჭრილები „თვალების დათხრასა და დაყრუებას აპირებენ", რომ... ყურში არ შეუშვან აქამდე გაუგონარი და თვალი აარიდონ... აქამდე უნახავს! და ეს იმის მაგიერად, რომ თვალებში შეხედონ სინამდვილეს, ყური დაუგდონ დროს. ფეხისხმას კი არა... საქართველოს მაჯისცემას აყვნენ და ჩვენც აგვიყოლიონ!*

ნეობის დირექტორად მუშაობდა ერთი მთასავით კაცი — კაი ორგანიზატორი, კაი ღვინისმსმელი და კაი პურისმჭამელი კაცი — ალექსანდრე ნიქარიშვილი, რომელიც რაიკომში გამოიძახეს, იმ დროისათვის საკმაოდ მაყუთიანი საქმე — ე. ნ. „ზაგოტზერნოს" უფროსობა შესთავაზეს და თან მკაცრად გააფრთხილეს — ღმერთი არ გაგიწყრეს, ხვალამდე — რაიკომის ბიურომდე სადმე არ წამოგცდეს, თორემ ვილაცა გაიგებს და ზემოდან უცხოს შემოგვტენისო.

როგორც იყო, გაუძლო კაცმა ცდუნებას და დღის ბოლომდე ენა და სული კბილით ეჭირა... სამსახურის შემდეგ კი, მიუხედავად იმისა, რომ მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდვა და ცოდვაც გამხელილი სჯობს, სამალარიჩოდ (სიცოცხლეში პირველად) მარტო კაცი შევიდა დუქანში, ლამის ერთი ცხვარი შეჭამა, ლამის ერთი ჩაფი ღვინოც დააყოლა ზედ და შეზარხოშებული რომ მოადგა თავის სახლს... შინაურმა ფრინველებმა: ბატებმა-კვატებმა-ინდაურებმა და ქათმებმა, პატრონის დანახვაზე, ერთი გნიასი ატეხეს, თითქოს ყველაფერი იცოდნენ... (ან, კაცმა რომ თქვას, მათზე უფრო ვის უნდა გახარებოდა „ხაზეინის" დაწინაურება და ისიც მარცვლეულ-ხორბლეულის დარგში!).

ალექსანდრე ნიქარიშვილი უცბად „გამოფხიზლდა", მარჯვენა წარბი აუთამაშდა, გამოალო ჭიშკარი, დადგა ეზოს კარებში, დოინჯი შემოიყარა და ბარონ მიუნჰაუზენივით გამოჯგიმულმა შინაურ ფრინველებს შინაურულად უთხრა:

თქვენ საიდან გაიგეთ, თქვე ოხრებო, რომ ხვალ, რაიკომის ბიუროზე, ახალციხის რაიონის „ზაგოტზერნოს" უფროსად მნიშნავენო???..

...ახლა დედა ნახე-მამა ნახეო... აი, ასეთი კაცის შვილი გახლავთ ნათელა (ლამარა) ნიქარიშვილი, რომელსაც, მისი ვაჟკაცური ბუნების გამო, თანამშრომლები „ნათელა ალექსანდროვიჩს" ეძახიან!

ამ ქალზე დღესაც „ლეგენდები" დადის... ამ ქალს, უკვე ამომავალი მზის ქვეყანაშიც კი იცნობენ, მისი ტრაგიკული ბედის გამო, გიორგი ბეზირგანის, მოსკოველი კორჩაგინის, ევანო პავლიაშვილისა და ვინ იცის ვისი აღარ (მათ შორის, ჩემიც) წერილებით, წიგნებით, ჟურნალისტური ნარკვევებითა და კვლევა-ძიებებით... ამ ქალის თავზე წისქვილის ქვაც კი... დატრიალებულა! განგებამ გამოცდა მოუწყო... გამძლეობაში! და მაინც გაუძლო!.. თუ ამასაც გაძლება ჰქვია!

მე, ქვეყნის სატკივარზე, კაცთან კი არა... ღმერთთანაც მიმესვლებაო — მიწერა ერთხელ შევარდნაძეს.

ათი კაცი ვერ მოერევა იმდენ საქმეს, რა უღელშიაც აქვს თავი გაყოფილი!

არნახული დიასახლისია — სახლში და მამასახლისი — სამსახურში!

ხანდახან, თაბორის მთაზე მდგარ ქართველის დედას თვალს ვერ ვუსწორებ — ისიც სულ ჩემს დღეში და მტერ-მოყვარის გარჩევაშიაო! — იცის ხოლმე თქმა...

— სანყალი დედაჩემი, ერთი ხელით, აკვანზე გამობმული თოკით მე მირწევდა აკვანს და მეორე ხელი... სახლ-კარისკენ ჰქონდა!.. ხან, ორივე რომ დაჭირდებოდა, იმ თოკით მე თვითონ ვისწავლე ჩემი აკვნის რწევა და „ნანინასაც" თვითონ ვუმღეროდი საკუთარ თავს?!.. მას შემდეგ, მოვდივარ ასე, საახალწლო ნაძვის ხესავით — შინაურ-გარეშეებით დახუნძლუ-

---

*სანიმუშო ადამიანების ნაკლი ის არის, რომ ისინი სხვებს... ჩრდილს აყენებენ!*

ლი... არავის ვანუხებ! მომყავს ჩემი თავი და მომაქვს ჩემი ნუთისოფელი, რომელიც... ნაღმა ვაბრუნებ და უკულმა ტრიალებს — ამბობს ნიქარიშვილის ქალი.

„მე ვარ მისანი ხარი წიქარა,
შენი დერიტა ვარ მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მიტომ გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო!"

ნათელა ნიქარიშვილის სამუშაო ოთახის კედლიდან მაცილებს ჩემი სახლიკაცის, შოთა ნიშნიანიძის სიტყვები... გულის ფიცარზე კი, მორბენალი სტრიქონივით, მენერება ცხრა ღვთიური ნეტარების მე-8 პოსტულატი: „ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა"!

P.S. და მაინც, მსგავსი არც მსმენია და არც მინახავს: ცხოვრებისაგან გამნარებულმა ქალმა, მის ერთ-ერთ გამამნარებელ კაცს, ქუჩაში „გამარჯობაზე!"... „არ გაგიმარჯოსო" უთხრა, რადგან, ყველა სალამი... ღვთის როდია!

...ესეც სასჯელია და მერე როგორი!

* * *

ხალხური ხმით ნატირალია:

„მოეა სიკედილი უეცრად,
ერთ წამში აგეყრის იარაღს,
ჩვენ რას წავიღებთ იმ ქვეყნად —
სხვას არც რა წაუღია რა..."

P.S. „ქვეყნად რაც არა ყრია რა"... ასეც შეიძლება!

* * *

დავით გურამიშვილი:

„ყრმა სწავლაში მომშვილდდების,
რკინა ცეცხლში მორბილდების,
უსწავლელი ვაჟიკაცი —
სიბერეში გაწბილდების".

P.S. ახალგაზრდობაში გასაკეთებელ საქმეს სიბერეს ნუ ავკიდებთ. მას თავისი გაჭირვებაც ეყოფა!

## ნეკროლოგის მაგიერ

გულზე ხელი დაიდეო — მართალ სიტყვის
სათქმელად...
თუ გინახავთ ტრაგედიის ასე გასვირება?
· გულზე ხელებს რომ დაეიკრებ, სულეთს
სულმოსათქმელად —
ეს იქნება, ამ ქალაქში, ბოლო გასვირნება!

ჩვენი „უნივერსიტეტის დანგრევა, აკადემიის გაუქმება, „ბიბლიის" სვანურად და მეგრულად თარგმნა, საქართველოს და ქართული მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა, განათლების სისტემის რღვევა და ა. შ." (აშშ-მდე რაღა გვაკლია!)

გიორგი ყორღანაშვილი (მოძრაობა „სიყვარულისათვის" თავმჯდომარე): „...არანაკლები და კიდევ უფრო დახვეწილი უბედურებაა ის ძალა, რომელიც შეიძლება, ქვეყნის სათავეში, სააკაშვილის შემდეგ მოვიდეს".

კაცი იმედით ცოცხლობს. იმედი ბოლოს კვდება და აღარ ვიცით, რომელ ყორღანზე ვეძებოთ.

„სად ხარ ჩემო სულიკო???"

ვახტანგ გოგუაძე: კაგებე შეცვალა ცერეუმ! აგენტები დარჩნენ აგენტებად! - 1972 წელს ხომ შევარდნაძე ამერიკელებმა მოიყვანეს ცეკას მდივნად (ხრუშჩოვის

ხელისგულზე გაგვარებდით – ხელისგულზე მატარეთ –
ჩემი ლხინი დაიგოეეთ და ცრემლი გამატანეთ!
არც ის ვიცი, სიდან მოველ, არც ის ვიცი, სად წავალ?
მარტო ერთმა, ღმერთმა იცის, ვინცა ვარ და რაცა ვარ!

## „როგორი იქნება ხალხისა და ისტორიის მსჯავრი?..

**შეცდომებს, ბუნებრივია, მე მომაწერენ. ჩემს სამარეს ნაგავს მიაყრიან. მაგრამ არა უშავს, მოვა დღე და ამ ნაგავს ისტორიის ქარი გაფანტავს...**

***იოსებ სტალინი...***

გაზეთ „გენერალისიმუსის" შპიგელში ატანილი ეს სიტყვები შიშით აგიტანს, გაღმერთებული ერთი გორელი ბიჭის სასწაულებრივი წინასწარმეტყველების გამო, რომლის სიცხადესაც ცხადად ვესწრებით!

მე იგი 1946 წელს, პირისპირ, ერთადერთხელ ვნახე, მოსკოვში, საკავშირო ფიზკულტურელების პარადზე, რომლის ტრიბუნაზე მზესავით ამოვიდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ჩია ტანის მსოფლიო დიქტატორი და ქართველების ჭიდაობის დანახვასა და ქართული საჭიდაო დოლგარმონის ხმაზე, ხელის ნაცნობი მოძრაობით, გორულად ნაიგდო თავზე... გენერალისიმუსის ქუდი...

კაცი იყო და ქუდი ეხურა!

ნატრობდა, რომ „ვარდს გაფურჩქვნოდა კოკორი", მაგრამ, მგლებში იცხოვრა და მგლობამაც მოუწია.

აღმერთებდნენ, მაგრამ ჩვეულებრივი (თუ არაჩვეულებრივი) ადამიანი იყო, ცოდვის შვილი...

როგორი იქნებოდა ისტორიის მსჯავრი? ეს, მასზე უკეთ, არავინ იცოდა.

...2005 წლის 9 მაისია!

თბილისელები კუს ტბაზე მზეს ეფიცხებიან. ვის არ ნახავ აქ?.. და მაინც... მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის შვილთაშვილების გამოჩენა (სტალინის ამდენი ქება-გინების შემდეგ), ამდენი დროის გასვლის შემდეგაც, ამდენ ხალხშიაც კი და ისიც კუს ტბაზე... რაღაცნაირ კონფუზს იწვევს... თუმც, ყოველგვარი პოლიტიკისა და იმწუთიერი ანგარიშების გარეშეც, აშკარად იგრძნობა ხალხის მოკრძალებაც... „ღმერთკაცის" ოჯახის წევრების მიმართ (მიუხედავად აქაური სატრენინგო რეჟიმისა).

ყოველგვარი შუამავლის, გაცნობისა და წარდგენის გარეშე გამოვეცხადე სტალინის შვილიშვილს — პოლკოვნიკ ევგენი ჯუღაშვილს... მის შვილიშვილებს — იოსებ, ვასილ ჯუღაშვილებს და ვუთხარი, რომ დროა ქართული ისწავლონ!

— ჩემმა შვილიშვილებმა ქართულად აიდგეს ენაო, — „ჩამაგდებინა" ენა ევგენი ჯუღაშვილმა, თავის შვილიშვილებთან ერთად უცბად გამეცალა და ისეთ საცალფეხო ბილიკს დაადგა, საცა ნაკლები ხალხი იყო და ნაკლებად მოუწევდა ცნობისმოყვარეების დაკმაყოფილება და ზედმეტი ლაპარაკი...

P.S. 9 მაისს, ტრანსპორტი, რომელსაც მე-2 მსოფლიო ომში გამარ-

---

*ალიკო გაბელაია: „გახსოვთ თებელი ძმები... დიოსკურები? ჩვენ მათი ნაშიერები ვართ, მათი ბადიშები" ("ლ.ს." 21-27.05.04).*

ჯვების ზეიმზე ნასასვლელად ელოდნენ ომის ვეტერანები, ანუ გამარჯვებულები, ამერიკის პრეზიდენტის უსაფრთხო დასახვედრად, ანუ გზების გადასაკეტად იქნა გამოყენებული!

„ვერსია" 11-12.05.05.

## *ვაჰ, სოფელო!*

წვეთი ხარ, წუთისოფელო,
თუმც, წვეთიც, ზღვაში — ზღვა არის,
საწყაულ აღუვსებელი,
როგორაც თასი გრაალის!
წუთი ხარ, წუთისოფელო —
წუთი ხარ, მაგრამ ტკბილი ხარ —
ტკბილი ხარ, მაგრამ ჭირი ხარ —
ჭირი ხარ, მაგრამ ლხინი ხარ —
ლხინი ხარ, მაგრამ ცივი ხარ —
ცივი ხარ, მაგრამ თბილი ხარ —
თბილი ხარ, მაგრამ ტირიხარ —
ტირიხარ — ხან იცინიხარ —
ხან მოტივტივე ტივი ხარ —
ხან კრიალოსნის მძივი ხარ —
სულ მტკიოდი და მტკივიხარ —
მკვდარ-ცოცხალ — ძილ-ღვიძილი ხარ —
საწუთროს — მეწუთისოფლე,
მაინც ზღაპრული ჯინი ხარ —
მარადისობის მწირი ხარ —
არარისობის შვილი ხარ!

* * *

გმირის სიკვდილმა თუ იცის —
რა სიამეა ტკივილში!..
რამდენი გედის სიმღერა —
არ ისმის ყივილ-ხივილში!..

* * *

ჩვენს დროს რესპუბლიკის მილიციის უფროსი იყო ერთი ულამაზესი კაცი — გენერალი კაპიტო ნაჭყებია, რომელიც ერთი თავით მაღალი გახლდათ დიდი სამეულის თეირანის კონფერენციის დამცველთა შორის, რასაც ჩერჩილის ალტაცებაც გამოუწვევია. დღეს მისი საფლავის ქვას (საბურთალოს პანთეონში) ამშვენებს ძველი ეგვიპტური სიბრძნე: „ჩემ დროში უძლურ დედაკაცსაც შეეძლო, უშიშრად ევლო დიდ გზაზე"!

P.S. მკვდარი კი არა — ბევრი ცოცხალი ვერ დაიტრაბახებს ამას.

*დროიდან მათ უკვე საკმაოდ დიდი ძალა ჰქონდათ საბჭოთა კავშირში). საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიც ცერეუს ხელშეწყობით ჩაიგდო ხელში ედუარდ შევარდნაძემ.*

*შევარდნაძე, თურმე, თავად მუშაობდა დასავლეთზე და აწყობდა დისიდენტური მოძრაობას. დისიდენტები შიგნიდან ანგრევდნენ საბჭოთა კავშირს, შევარდნაძე და გორბაჩოვი კი — გარედან. შევარდნაძის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს, სწორედ მისი ინიციატივით, მოხდა დისიდენტების შეხვედრა ვაცლავ ჰაველთან. ამავ ვინ შეახვედრა რონალდ რეიგანს ზვიად გამსახურდია და კოსტავა? - შევარდნაძემ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იგი დისიდენტების პატრიოტულ სულისკვეთებას თანაუგრძნობდა. ის ასრულებდა ცერეუს გეგმას, დასავლეთის დოქტრინას.*

*1980 წლის ჟურნალ „ამერიკაში" გამოქვეყნდა 1987 წლის გადაღებული ფოტო. ბრეჟნევის კუბოსთან დგანან ჯორჯ ბუში (უფრო-*

* * *

როცა ადამიანს თვითმკვლელობამდე მიიყვან... მკვლელობაა ის თუ თვითმკვლელობა?

* * *

...გამოუვალ მდგომარეობაში — ვინც მტრის ხელით განადგურებას საკუთარი ხელით სიკვდილს არჩევს — ის მტერზე იმარჯვებს!

გამარჯვებულს კი არ ასამართლებენ.

ღმერთია მონყალე — ის უნდა ცხონდეს!

* * *

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უნმინდესი და უნეტარესი ილია II ასე მიმართავს საეკლესიო იერარქიას: „ყოვლად სამღდელონო, მღდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო და ყოველნო ერთგულნო და თავდადებულნო შვილნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა"...

დიდებულია!

„შეუძლებელია, საზოგადოებას არ ჰქონდეს პასუხისმგებლობა ნინაპრებისა და მომავალი თაობების ნინაშე და მან შექმნას რაიმე ღირებული... უნდა შეიკრას ჯაჭვი: მე, შენ, ჩვენ — ერთმანეთისა და საქართველოსათვის!"

* * *

უოლტ უიტმენი: „ამერიკელები იდიოტების ერია".

P.S. გინდა უიტმენი იყავი და გინდა „ბიტმენი"... ნამეტანია! თუმცა ეს, რაღაც, აკაკის რისხვას ჰგავს: ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოო!

* * *

X ს. ქართველმა სასულიერო მნერალმა და ჰიმნოგრაფმა იოანე ზოსიმემ ბრძანა, რომ ქართულ ენაში უამრავი საიდუმლოა დამარხული. დაუკვირდით, მართლაც რამდენი აზრია ჩასაფრებული ქართულ სიტყვიერებაში!

ენა ჩვენი — ნიჭიერი — ძლიერი და ბედნიერი; ხნიერი და მიწიერი, კადნიერიც, წესიერი; მშვერი — მღერი; ჯერი, ყერი; მშვენიერი — ერი-ბერი; ღვთის იერი — ღვთისნიერი; სიტყვა-ღმერთი — ერთადერთი... სადაც ბერი — იქაც ერი!

...ღმერთების ენით — ქართულით... თითქმის —

სათქმელიცა და უთქმელიც ითქმის!

* * *

**ხალხური:**

ახალსა ნამუდრეგალსა ძველის სჯობია ჩანჩალი!

* * *

სასაცილოა ბერიკაცი, რომ ყმაწვილობდეს

და საბრალოა, რომ ჭაბუკი ბერიკაცობდეს!

---

*შოთა რუსთაველი : მას მკურნალმან როგორ პკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირსა!*

## ფუი, ეშმაკს!

იმ დიდი ეშმაკის — პაგარა ეშმაკებს,
ეწუწუნებთ — ეუწუნებთ სიშმაგ-სიეშმაკეს!
თავზე ხელს იღებენ — გულზე ხელს იდებენ,
ეის როდის, ეის და რა ცოდვას აგეკიდებენ!
ეშმაკმა თუ იცის — ეშმა სად ეეძებოთ?
ეშმაკმა დალახვროს — ეშმაკის კერძები!
რა ბიჭნიც არიან ეტყობათ კანჭებში —
როდემდე ეიქნებით კლანების კლანჭებში?

* * *

„ძმასა ისეთი ძმა უნდა
უსუპს რომ ბადრი ჰყოლია.
უსუპ კლდით გადაეარდნილა —
ბადრი ზედ გადაჰყოლია.
ნეტაეი იმათ დედასა —
რა კარგი ძმობა ჰქონიათ!"
P.S. ეს დღეეანდელი ძმობა კი...
მე, უფრო, მგრობა მგონია!

* * *

ეერ გაგეირჩეეია — თეთრი და შავია,
კატები — ყეფენ და ძაღლები — კნავიან,
რაც, ჭკუით კი არა — არჩეეენ ასაკით...
უკუღმა წაეიდა საქმენი... მას აქეთ!

* * *

სიბერეზე არ იფიქრო —
თორემ დაბერდები!
სიცოცხლეზეც... თუ ბეერს ფიქრობ —
ესე იგი — კედები!..
ყეელაფერზე არ იფიქრო —
ეერაფერს გახდები,
დღეისაზე — დღეს თუ ფიქრობ —
ცხოერების აზრს წვდები!

* * *

სიკვდილი მაშინაა უბედურება, როცა სიცოცხლეა ბედნიერება!

## უკაცრავად ჰასუხია!

ეინც მიურთმევს მიირთმევს,
ეინც სხეის ჭამი აფურთხებს,
თმებით ეითრეე — მიერითმე,
ეაფურთხე და ეუკურთხე!
ასეც ხდება, ხანდახან —

ხი), რომელიც მაშინ ცეერეუს დირექტორი იყო, ჯორჯ ბუში და ედუარდ შევარდნაძე.

შევარდნაძეს ახლა ცეერეუ რომ არ იცავდეს, ფეხით ჩამოკიდებდნენ თავისუფლების მოედანზე, იმდენი ცოდვა აქვს ქართველი ხალხის წინაშე.

ყველაფერი მისხალ-მისხალ ჰქონდათ გათვლილი. ანეკდოტებიც კი ლაბორატორიული წესით იქმნებოდა...

1988 წელს, როცა გივი გუმბარიძე უშიშროების მინისტრი გახლდათ, ერთმა ახალგაზრდამ უთხრა ხუკის აგენტი ხარო. გაეცინა - აგენტები თქვენა ხართ, მე გენერალი ვარო. ასეა ამათი საქმეც. დღეს საქართველოს ხელისუფლებაში ცეერეუს აგენტები კი არა, ცეერეუს ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელები არიან.

საქართველოსთვის კი მალე მზე ამოვა იქიდან, საიდანაც ღმერთმა დაანთო — აღმოსავლეთიდან!

პარლამენტარმა თენგიზ გონგაძემ, რომელსაც აგერ, წერთის გარეშეც, იხედაც გულში უდ-

უნახავმა რა ნახა!
სადაც ღორმა ისაქმა...
იქვე წაიბალახა!

* * *

არ ვიცი, რომელ კლასში, მასწავლებელმა მკითხა:
7X9... რამდენიაო?
— თქვენ არ იცით-მეთქი — იქეთ შევეკითხე.
ნინაკას ვეძახდით და განინმატდა!
— როგორ მიბედავო! ახლავე თქვი რამდენია 7X9!
— რამდენიც თქვენ გაგიხარდებათ-მეთქი!
როგორი გასაძლები ვყოფილვარ?

ამით, რასაკვირველია, თავი არ მომწონს, მაგრამ, როგორც იტყვიან, — ზოგი ჭირი მარგებელიაო — მთელი საქართველოს სკოლები მაქვს მოვლილი!

ცოდვა (ესეც თუ ცოდვად ჩამეთვლება!) გამხელილი ჯობიაო. თბილისში გავიარე მე-15, მე-18, 25-ე, მე-7, მე-8 ვაჟთა, პირველი სკოლები, საღამოს მე-10 სკოლა; ხარაგაულის, სოფელ მათხოჯის სკოლები და სულ ცოტა, იმითი მაინც ვარ ბედნიერი, რომ სკოლების დამთავრების ზეიმებზე... ხან სად მიწვევენ, ხან — სად! ისე რომ — უქეიფობა (რომელიც ქართველ კაცსა ვადმყოფობასთან აქვს გაიგივებული) არ მაწუხებს — ხან სად მეძახიან ქეიფში — ხან სად!

ასეთია ჩემი სასკოლო ავტო-ბიო-გეოგრაფია!

* * *

გურამ დოჩანაშვილი („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა"):

თუ მწერლის ჩემეული იდეალიც გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ესაა მგელზე ამხედრებული ამაყი გლახა, არნივით მხარზე — ისიც არ ინერთნებაო, ამბობენ! და ბოლოს, მარტივად და გასაგებად გეტყვით, რომ დიდი მწერალი ისაა, ვინც დიდ ნაწარმოებებს წერს.

...როცა ნამდვილად ღირებულ რაიმეს წავიკითხავ, იქნება ეს ნაწარმოები მთლიანად თუ ერთი პატარა ეპითეტი ან შედარება, ვიმეორებ, თუ მართლა კარგი და ღირებულია, მაშინ მარცხენა ხელზე, მაჯიდან იდაყვამდე, აუცილებლად დამბურძგლავს...

* * *

მარიამ ნიკლაური: „ვარიაციები თემაზე „სამშობლო"!

სიამაყე სიღატაკის მეფური განძი კი არა — ფუფუნების მათხოვრული ბუნება ყოფილა...

...ეჰ, რა პოეტურია ეს სიტყვები, როცა სამშობლო ავად გყავს... როცა სოფლისა და ქალაქის ხმა ერთმანეთში აირია: თიხა-პლასტმასით შეიცვალა, სელი-ცელოფანით, სანთელი — პარაფინით, მარილი — ემულგატორით, ამბიონი — ეკრანით, ქალი — კაცით, კაცი — ქალით, ხელოვნება — ხელოვნურობით, წერილი — მესიჯით, სხივი — გამოსხივებით, მეგობარი — პარტნიორით, მწერალი — შოუმენით, მოძღვარი — ფსიქოთ-

---

*„ვოი! ვოი!... ბაბილონ!"*

*ღმერთმა დაგვიფაროს „...ქალაქი მეძავთა, ავაზაკთა, კაცისმკვლელთა და კომპრაჩიკოსთა!"..*

ერაპევტით, მასნავლებელი — რეპეტიტორით, გლეხი — ვაჭრით, დამარცხებული — ლტოლვილით, მეფე — პრეზიდენტით, მდაბიო — მოქალაქით, ხმა — ჩანაწერით, ლოცვა — შელოცვით, ნიგნი — სარკით, ტყე — ღრით, ფიქრი — კაეფით, საქმე — საქმოსნობით, მრევლი — ნევრობით, განათლება — პრეტენზია-სერტიფიკატითა და ასე დაუსრულებლად!..

„ლ.ს". 4-10.06.04.

* * *

ყველაზე კაი კაცი — ჯარისკაცია. მხოლოდ ჯარისკაცმა იცის სამშობლოს ფასი. ამ განწყობილებამ მათქმევინა ქუჩაში დაყუდებული საუნჯებო დაცვის ერთი გოლიათისათვის ეს „ლექსპრომტი"...

...რამდენი ჯარისკაცი — იმდენი კარისკაცი!
რამდენი უსმელ-უჭმელ-ჩაუცმელი...
იმდენი პირადი დაცვა გვყავს, რომ —
სამშობლო დაგვრჩა დაუცველი!

*ლოცვა!*

სიტყვა ციური,
სიტყვა ღვთიური,
ზეციურიც და
ამქვეყნიურიც!..
ჩამოგითვალოთ ახლა რომელი?..
დამილოცნია თქვენთვის ყოველი!
ზენა — სიკეთის ზეცით მთოველი!..
ქვენა — სიკეთეს, რასაც მოელი!

* * *

ფიქრები, ფიქრები, ფიქრები, ფიქრები...
ზურგს უკან გინებით და პირში ლიქნებით,
ამ შაეი ფიქრებით, როდემდე ეიქნებით.
ფიქრებით, ფიქრებით, ფიქრებით, ფიქრებით!
ბანდები ნაბანდებს სხვაგან აბანდებენ,
ხალხს რაც აბადია — გუდა-ნაბადია!
ნათელში გვამყოფოს ამ ცოცხალ უკუნეთს —
10 ჭამს — 1000 კი პირში უყურებს!

* * *

ხომ მოგიყევით, როგორ გაყოფილან სახელგანთქმული მანუჩარ მაჩაიძის ბაბუები? ხამურაბის კანონებზე უფრო ჭკვიანური გამოსავალი უპოვიათ ამ რაჭველ ბერიკაცებს: ერთმა გაყოს ქონება და მეორემ .... აირჩიოსო!

ხომ უნდა მოფიქრება!

ახლა, ერთ რუსსა და უზბეკს როგორ გაუყვიათ საზამთრო!

*ეს მოურიგეობა, „გორზე" დაჭერა და ნაღდი თბილისური სიტყვა გამახსენა, როცა პარლამენტის სექციებში ნასწავლი ჩხუბის თავებს თუ ვარისთავებს უთხრა: აბა, აბა, ჩემთან არავის არაფერი მეგ-მალის „თორემ პირველი მე დაუპუ-აეებ ყბაში!*

*ხალალ თენგიზ! ჯიბეც „დაუპყრავებ" — ლალი იყოს იმაზე.*

*პროფესორზე 65-ჯერ მეტი ხელფასი და მოქალაქეზე 25-ჯერ მეტი პენსია.*

*მეტი რა გინდა!*

*გინდა დისპროპორციას დაარქვი და გინდა ძმისპროპორციას... არავითარი პორცია და პროპორცია „მე ვარ და ჩემი ნაბადი!" აი, ძლიერთა ამა ქვეყნისათა არგუმენტი, ხაზუთი და ხაზუთქი!*

*ვინ ხელფასს იღებს ვინ რის ფასს.*

*ერთიც — უსამველოდ დიდია, მეორეც — უსამველოდ პატარა.*

*პენსიაა თუ პენისია - ვერ გაიგებ!*

*ერთი ამბავი მეორეს გახსენებს.*

*ჯაბა იოსელიანმა (ირაკლი წერეთ-*

რუსს უთქვამს: „—დავაი პო ბრატსკიო".
უზბეკს უპასუხია: — ვიცი მე შენი „პობრატსკი"... დავაი „პოპალამო"!
გამრავლებას ჭკუა უნდა და გაყოფას — გული!

* * *

**პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი:**
ერთი ცნობილი ქართველი მეცნიერი, ლუკმა-პურის საშოვნელად, იძულებულია, გაყიდოს უნიკალური წიგნები, რომლის ბუკინისტურ მაღაზიაში მიტანამდე კიდევ ერთხელ კითხულობს მას. ესეც ჩვენი ეპოქის ტრაგედიაა... უგმიროდ!

„ლ.ხ." 16.05.05.

* * *

**კლარა აბრამია: „როგორ ჩაჭრა ბასმაჩამ კაცობაში... ერთი კაცი"!**
„დასანანი ისაა, რომ ბასმაჩას (მსოფლიო ორგზის ჩემპიონ კავკასიურ ნაგაზს) ძაღლი ჰქვია და იმ კაცს... კი — ადამიანი"! ("ას-დას" — 17-23.05.04).
P.S. ველარ გაიგებ: ვინ ძაღლია — ვინ მამაძაღლი; ვინ კაცია — ვინ ქალია; ვისი მამლობა — ვისი დედლობის ბრალია... ესაა ქვეყნის ჭირი და მთელი ალია-ბალია!..

* * *

ვიღაცა კაცი, ცეკას შენობის წინ, წყლის სვეტიდან გრაფინს ავსებდა.
ვიღაცამ თქვა — ეს კაცი „ნახალოვკიდანაა" მოსული წყლის ნასაღებად — აქ სხვანაირი „პრავიტელსტვენი" წყალი მოდისო?!
ნუთუ, მართლა?
P.S. „შენი წყალი გადმოგვესხმოდესო" — ბედნიერ კაცზე იციან თქმა. ნუთუ წყლისა და ჰაერის „პრივატიზაციაც" შეიძლება!

* * *

თბილისში ახალ, მოჭრიჭინე ფეხსაცმელზე „ასეთი „მილოცვა" იცოდნენ — ტალახიან ფეხს დააბიჯებდნენ და გააფრთხილებენ — ფეხი თავში არ აგივარდესო! ხან, ამ გამაფრთხილებელი ნითლის ანთებას, წაღიღინებაც მოსდევდა: „ჭრიჭინ-ჭრიჭინ... საქმეს უჭირს — შეუჭრიჭინეო... შენ რაც გიჭირს — მეც ის მიჭირს, შენი ჭირი მეო!"
ერთხელ, ერთმა ჩემმა სანყალმა მეზობელმა (მიუხედავად იმისა, რომ საშინლად უჭერდა ფეხსაცმელი), მთელი დღე იარა ქალაქში ახალი „მოკასინების ეშხით" (მაშინ ის იყო მოდაში). საღამოს, სახლში რომ დაბრუნდა, მოცელილივით დაეცა ტახტზე, უპირველეს ყოვლისა, ფეხსაცმელები გაიხადა და... იმ დროისათვის ყველაზე საშიში — სისხლის სამართლის 58-ე მუხლით (კონტრევოლუციური აგიტაცია-პროპაგანდა) გათვალისწინებული ფრაზა წარმოთქვა: ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი შვებაო!.. არადა, ეს ის დრო იდგა, როცა იდგა, იჯდა, ინვა, თუ სულს ღაფავდა 1937 წელი!

---

*მალვა მჭედლიშვილი: თურმე კახელები, ქიზიყში, მარქსის ძეგლზე... ვირებს აბამდნენ!*

*დეკაბრისტი ბესტუჟევ-მარლინსკი: Дайте Кавказу мир и не ищите земного рая на Евфрате. Он здесь, он здесь!*

* * *

ზღვა ნატერებით მენატრები,
მინდოდი და მინდიხარ!
ვერ გავიგე, გაზაფხულო:
მოდიხარ თუ მიდიხარ?

* * *

ზამთრის ცრემლებით ტირის აპრილი,
მაისის ეშხით იღვიძებს ია...
და ცის და მიწის ბატონ-პატრონი...
ცხრა მთის, ცხრა ბარის, ცხრათვალა მზეა!

*ძველი თბილისური დამწერლობა*

ვინ-ეის უყვარდა, ეინ-ეის უდრიდა
და „უკედაევების" ჰქონდა მცდელობა –
წვრილად აღწერდა ლურსმნით... „ლურსმული"
სადარბაზოთა კედლის მწერლობა!

P.S. ერთხელ (უკვე კაცობაში) ძალიან რომ დამჭირდა (სამსახურიდან გუდანაბადი ამიკრეს), დევი სტურუას (პარტიის ცეკას მდივანი იყო) სადარბაზოში, კედელზე, დავუწერე ჩემი სახელი, რომ სულ თვალნინ ჰქონოდა — ეფიქრა ჩემზე და გული არ გადასხვაფერებოდა. ხომ გაგიგონიათ: თვალი — თვალს, რომ მოშორდებაო!..

*სანთლის საცრემლე...*

კეთილს ნუ აქცევ ბოროტად,
გზაზე აწიე საგზალი,
სიკეთეს არ აქეს ბოლო და
სიავეს კი აქეს საზღვარი

* * *

მაეანი
ხატთან ბოდვებით...
კაცსაც და ღმერთსაც აცდენს.
ღმერთმა ქნას – ჩვენი ცოდვები...
ღვთის წყალობას არ გაცდეს!

ძეგლთა სამშვიდობოს გასულებს

სვენებ-სვენებით და ღოღვა-ღოღვით,
გრძელდება ჩვენი ძეგლების დოღი!
მიაჭენებენ ჭენებ-ჭენებით –
ქვის მხედრები და მათი ცხენები!

ლის ნათლია იყო) იმ გაგანია ზამთარში თქვა:

ვინც ამ ზამთარს გადაურჩება, გაზაფხულზე „სამადარიჩო" სურათი გადავიღოთ.

გივი კარტოზია ყოველთვის დიდი სიყვარულით იყო გარემოსილი. იმ დროს ხომ მსოფლიო ჩვენი სპორტსმენების თუ ხელოვნების მოღვაწეთა შემწეობით იცნობდა საქართველოს. გივი კარტოზიას კი მათ შორის გამორჩეული ადგილი ეკავა, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს. ხშირად ამიტომაც უწოდებდნენ ლეგენდარულ ფალავანს („საქართველოს რესპუბლიკა", N 83, 1998 წლის 7 აპრილი, გვ. 1).

დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევში შეშის მესაგროვებლად წასულ აქაურ ბავშვებს - იმედა ძაგნიძეს და გიორგი გადაბაძეს, ტყიდან მგელი გამოუვარდათ. გადაბაძე, რომელიც ნადირმა სახეზე დაკბინა და ხეზე ასვლით უშველა თავს, მისი მეგობრის სიმამაცემ და მოხერხ-

* * *

თუმც მზე და მთვარე კვლავ მუქთად გვინათებს —
გაძვირდა ცხოვრება, გაძვირდა სინათლე!
ოთახში შევდივარ და ვანთებ ნათურას...
გამოვალ და ვაქრობ — არ ვტოვებ ჩართულად!
ამ თვალის პაჭუნში...
აფსუს, ქართველები!
დავდივართ, როგორც ციცინათელები!

* * *

„პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

ეს იყო პროლეტარული ლოზუნგი, რომელიც პროლეტარიატს ეკუთვნის და ოქტომბრის რევოლუციის ხნისაა.

„პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, დაიმალეთ, არაფერი გამოდის!" ცოდვა გამჟღავნებული სჯობს, ეს ჩემი ანტილოზუნგია, რომელიც სსრკ-ს, არც ისე „მარტივ მამრავლებად" დაშლის დროს დაიბადა.

P.S. კონსპირაციის უნიკალური შემთხვევაა!

მეგრელი პროკლამაციის გაკვრის დროს ფაქტზე დაიჭირეს.

— ეს უსიტყვო პროკლამაცია და ცარიელი ქაღალდი რააო? — ჰკითხეს პროკლამაციის დამწერს.

— ხომ იცით, რაც უნდა ეწეროს ზედო! — უპასუხა პროკლამაციის გამკვრელმა.

* * *

შვილივით შვილიშვილს,
ვირივით ვირიშვილს,
იმედის ნათურას —
ვაჟბატონ დათუნას!
ზაზუის დარიგება!
შენით მინდა ჩემი თავი მომავალში გავაცილო —
სატირალზე — გატირო და საცინარზე — გაგაცინო,
რომ ავ-კარგის გარკვევაში არაფერი შეგეშალოს —
წინაპარის ნაკვალევი — უკვალოდ არ წაგეშალოს.
„რაც არ ექნას პაპაშენსა, ნურც შენ დახვევ მარმაშებსა".
კაცობაში ფეხი შედგი და უკელი თამაშებსა!
და იცხოვრე ისე, როგორც ეკადრება შენს წარსულსა...
დანარჩენი ჭკუას ჰკითხე — ხან გულსა და ხანაც სულსა!

* * *

დიდი იყო „პაემანის" გამოხმაურება და რაც უფრო საკვირველია... სოფლიდანაც. მარტო ის რად ღირს, რომ ერთმა სვანმა... უგშულში საგვარეულო კოშკი მაჩუქა!

ნაჩუქარს კბილი არ გაესინჯებაო, მით უფრო ასეთს!

---

*სუხომლინსკი: სამი უბედურება ჭირს კაცობრიობას: სიკვდილი, სიბერე და ცუდი შვილები.*

## ლოცვა!

სულის „ენდემი" –
ღეთიურ ედემით –
რწმენის კედლებით –
სულისკეეთებით –
გულის ფეთებით –
დაეეხეტებით –
და ამ ხატებთან –
ჩვენც ვიხატებით!
მადლის კესაებით –
სანთლად ვენთებით –
მირონ-ზეთებით –
ლოცვად ეეცემით –
ფიქრის ფიფქებით
და ნამცეცებით –
ხელის ფათურით –
თვალის ცეცებით –
გულში ჩართული –
სულის ნათურით –
სიტყვა-ღმერთით და
სიტყვა ქართულით...
დაეეძებ ჩემს ღმერთს!

* * *

პირველი ფალავანი, ვისაც ცხოვრებაში პირველად ვეჭიდავე... ძილი იყო!

ვინც ძილს ვერ მოერევა, იმას ცხოვრება წააქცევს.

ახლა, 24 საათში 7 საათიც არ მემეტება ღამისათვის.

დრო ნუთებს გვითვლის, რა დროს ძილია — აქ სიკვდილია — იქ ქორწილია!

აქ სიცოცხლეა — იქ გასვენება!.. მამაზეციერს ასე ენება!..

ცხოვრება ძილში ვინც გაატარა — იმან სიცოცხლე ძილს გაატანა!

მან, სიცოცხლეში, არ დარგო ხე და ახლა ცხოვრებას სიზმარში ხედავს!

* * *

„ღმერთმა გიშველოს სიკვდილო,
სიცოცხლე ფასობს შენითა"
როგორაც ენა – სიმართლით,
როგორც სიმართლე – ენითა!

* * *

როგორი ასატანია ქართული სუფრის გამოლანჩება.

*ებულობამ გადაარჩინა, იმედა ძაგნიძე მგელს კუდში სწვდა, ხისგან დამზადებულ ურიკას ფიცარი ააგლიჯა და კბილებდაკრეჭილი მხეცი გააქცია...*

*წერს „ასავალ-დასავალი" (მ.14.08-05).*

*კიდევაც დაიზრდებიანო! ასეთ „ლეკვებზე" სწორედ ხალხის გულის „ამონათქვამში" ლაპარაკი.*

*ღმერთმა იმედასთანა ბიჭების იმედი ნუ მოუშალის საქართველოს!*

*... მარია-ანტუანეტას მოკვეთილი თავი ჯალათს უკვე ხელში ეჭირა, მისი მავლები ჯერ კიდევ ლოცვის სიტყვებს რომ ჩურჩულებდნენო...*

*რა აღარ იყო... იყო მანთიით ნამება (ორდალის ერქვა). გილიოტინა, ელექტროსკამში... მერე სასჯელის სხვა ფორმებიც მოემატა. მაგალითად თანამდებობის სკამი, რომლებზეც ცოცხლებს ცოცხლად აწამებენ მისი და სხვისი ნამებისათვის.*

*დუმილის უფლება გამიგია, სიტყვის*

* * *

ხატს მიესალმე სანთლით,
უფალს გაენდე პირჯვრით.
და სულიწმიდის მადლით —
ეშმაკისაგან იჯმნით!

* * *

როცა მარტო გახლავართ — „კამპანიას" ენატრობ!
ხორიალ-ბორიალიც მობეზრდა და რატომ?
თავთან გაბაასება მომინდა და „მიტომ"!
ჩემს მეორე „მეს"-თანა, რომ ხიდები გავდო!
ამ ჩემს „მარტოობასა" არც თუ ისე ვდარდობ —
მარტო სული ვარ, მაგრამ... სულ არა ვარ მარტო!

* * *

ოჯახური ჯახაჯუხი — ჭანდრაკული რახარუხი:
დედოფალსა — პაიკობა, პაიკს — მეფის ახალუხი!

* * *

გ..ს

მე შენ სახელი მოგეცი... მე შენ მოგეცი გვარი...
სახელზე უარი არ გითქვამს, არც გვარზე გითქვამს უარი...
ზოგჯერ ჩემს სისხლ-ხორცს ვერა გცნობ, კეიცი გეარზე არ ხტიხარ —
ვიცი — საიდან მოხვედი, მაგრამ არ ვიცი — ვინ ხარ?

* * *

სამწუხაროდ...
ბაბუებიდან ბაბუინობამდე,
ანუ
ბაბუიდან — შეილიშვილებში
დრო ისე წახდა —
საუბედუროდ ლოცვა — არა,
წყევლა კი — ახდა!
დადიან მათი სახეებით ვიგინდარები —
უსახელონი — მათი გვართა გადაგვარებით!
ათასად — აღარც გვარი ფასობს, აღარც სახელი,
თვალებს ვხუჭავთ და გვეშინია თვალის ახელის.
დრო იწურება, მსახვრალ ხელით და ყველას მოსრავს —
აპოკალიფსი?
რა აზრი აქვს, მეორედ მოსვლას?

---

*მავანნი — შინაურთა ცრემლებით პირს იბანენ და გარეულთა წინაშე — თავი მოსწონთ!*

*სულის შემძვრელია მოხუცი პრიამოსის გოდება აქილევსის წინაშე:*
*„...ხედავ, რას მოვესწარი! ხედავ, ჩემი შვილის მკვლელს, გიკოცნი საძულველ ხელებს! მომირთმევია დიდძალი განძი, გთხოვ, დამიბრუნე ცხედარი მაინც!"*

* * *

ცოლო, შეილო, შეილიშეილო —
შეილიშეილი შეილებო —
ჩემი ჭირის ლხინებო და
ჩემი ლხინის ჭირებო...
ჩემი თავი გენაცვალოთ,
მზად ვარ მსხვერპლი გავიდო —
ჩემი ლხინი დაგიტოვოთ —
თქვენი ჭირი წავიღო!

## ხუთვარსკვლავიანი ბაბუს ანდერძი!

„შეილმა — გული გაიარა,
შეილიშეილმა — გულის-გული,
შეილიშეილიშეილის შეილმა —
გულის-გულის-გულის გული!“
აი, ჩემი თაიგული —
გულში ფეთქავს ხუთი გული —
ჩემი ყანა ბიბინებს და
მოდგმით მიდგას დღემდე სული.

* * *

კაცი ვიქეც ნაძვის ხედა...
ნატვრის ხესაც აქვე ეხედავ
„თავის ქება კიტრადა ღირს“...
ბედი მაქვს და მეცა ვბედავ!

* * *

ბაბუ — ხუთვარსკვლავიანი,
ხუთ მხარ-მკლავ-თვალ-ყურიანი;
ხუთ სულ-გულ-მეცხრე ციანი,
ვარ მე „ღვთისაგან სვიანი“!
ბავშვთან — ბავშვი — ღაბუა ვარ,
ნაღდი თოვლის ბაბუა ვარ!
ვარიგებ და ვიღებ სიტკბოს —
ვინ გულსა და ვინ ფულს ითხოვს —
ერთი კოცნის სანაცვალოდ,
ჩემი თავი ენაცვალოთ!
ყოველი, რაც მაბადია —
ჩემი პქეია და მათია.
ავდარიან — დარიანად —
სახელიან-გვარიანად!
გიზოს,
დათოს
და დიმიტრის,
ელენეს და,
ქ-ნ ანას!..
სათეს-სამკალ-სამოსავლოდ,

*თავისუფლება გამი-გია, პიროვნების ხელშეუხებლობა გამიგია, მაგრამ ხე-ლფეხშეკრულობის თავისუფლების უფლების ხელყოფა ჯერ მსოფლიომ არ იცის. ჰოდა, რაც არ იცის!.. ახლა გაიგებს და დაინახ-ავს კიდეც.*

*. ა დ ა მ ი ა ნ დელფინად აღიარე-ბული ჰენრი კუკრაშ-ვილი თურქეთიდან საქართველოში რე-კორდის დაუმყარე-ბლად დაბრუნდა.*

*17 ივლისს, ბოს-ფორის სრუტის გა-დასაცურად, მე-17 საერთაშორისო მა-რათონზე ჩასულ ჰენრი კუკრაშვილს თურქეთის ოლიმპი-ური კომიტეტმა წყ-ალში ჩასვლის უფლება სტარტის დროს ჩამოართვა.*

*ქ ა რ თ ვ ე ლ ი სპორტსმენის გან-მარტებით, მას ბოს-ფორის სრუტე კოლხური ნებით, ანუ ხელფეხშეკ-რულს უნდა გადაე-ცურა. მარათონის ორგანიზატორებმა ჰენრი კუკრაშვილს მონაწილეობაზე უარი, სწორედ, იმ მიზეზით უთხრა ეს. რომ ცურვის ეს სახეობა მისი სიც-ოცხლისთვის სა-ფრთხეს წარმოად-გენდა. ჰენრი კუ-კრაშვილი წყალში*

მე ვუტოვებ...
მთელ ქვეყანას!

რაზედაც ხელს ვაწერ:
გ. ნიშნიანიძე

## ანდაზის დაბადება!

ეს ის დროა, როცა ჩემი ბიჭები ჯერ კიდევ კაცობაში ფეხშედგმულები არ არიან და სახლში ერთადერთი შემომტანი მე ვარ! (გამტანი, რამდენიც გინდა).

ეს ის დროა, როცა უკვე მამალი მწერალი რეზო მიშველაძე ჩემი იუმორისტული მოთხრობების კრებულში, რომელსაც „სიცილ-სიცილში" (1976) დავარქვი, წერს: „ახალი ანეკდოტი ცის ნათელივით სწრაფად ვრცელდება... და ყველგან სიცილისგან პირგახეული, აცრემლებული მოქალაქეების კვალს ტოვებს. ხშირად მიფიქრია — ვინ არის ის კაცი, რომელიც თავისი „შემანუხებელი გრანდიოზულობით" სასაცილო მოვლენას იმწუთშივე ანეკდოტს დაადევნებს. დადის მერე ჯანსაღი სიცილი და ადამიანებს ცხოვრებას უმსუბუქებს. ავტორი?.. ავტორს ვინღა კითხულობს. ანეკდოტების მთხზველი — ერთი ქართველი მწერალი... გიზო ნიშნიანიძეა — პროფესიით იურისტი, მოწოდებით — ჟურნალისტი, სამეცნიერო ტიტულით — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, გატაცებით — იუმორისტი, დატაცებით — კაი პურის მჭამელი და ტოლუმბაში"...

მართლაც, საინტერესო დაკვირვებაა, როგორ იქნება ანეკდოტი, ანდაზა, ქარაგმული ნაკვესი, კაფია... როგორ ივსება საგანძური, რომელსაც ფოლკლორი ჰქვია. მე კი არა, მსოფლიოს სიტყვიერების ბერმუხა — ფშაველი ვაჟა, 9 მთას გადაივლიდა ერთი კარგი ხალხური კაფიის ჩასაწერგადასარჩენად არადა, რა სჭირდა სხვაგან საძებარი — თავისიც ჰყოფნიდა!

ერთხელ, ხმელთაშუა ზღვის კრუიზით ტურისტულ ჯგუფს ვთავკაცობდი და სადღაც, ოკეანეში, იუმორისტულ ფესტივალზე, ვიღაც ოდესელ „ვაკხთან" მომიწია სიცილის დუელმა. ანეკდოტს ის იწყებდა — მე ვამთავრებდი, მე ვიწყებდი — ის ამთავრებდა. იყო ერთი სიცილი და ხორხოცი... ამ სიცილ-სიცილში, ერთი გამოსავალი ვიპოვე და ჟვანეცკისა და ილფი და პეტროვის მარაქის კაცს სიცილის ტურნირში ვაჯობე: ანეკდოტი კი არა, ანეკდოტზე უარესი, ოღონდ, კონკრეტული ამბავი მოვყევი, ჩემი უფროსი ბიძაშვილის, საქართველოს მაშინდელი სააფთიაქო სამმართველოს უფროსის, ოთარ ნიშნიანიძის შესახებ, რომელმაც თავის ქუთაისელ ძმაკაცებს იმის გამო უსაყვედურა, რომ მოსკოვის რევიზიამ აქტი შეუდგინა წამლების დანაკლისის გამო?!

— რა მექნა ოთარ აკაკიევიჩ, — საწყობში წვიმა ჩამოგვდის და იმან გაგვიოხრა მედიკამენტებიო.

— მერე, ვერ შეადგინეთ სათანადო აქტი? — შეყარა თურმე წარბები აკაკიევიჩმა.

— არ ვიცოდით, რუსულად „დოჟდი" როგორ იწერებოდა, მიახკი ზნაკით თუ, უმიახკიზნაკოთო" და, ალბათ, არც თქვენ იცითო.

ოთარ აკაკიევიჩი ჩაფიქრებულა და აქაც უპოვია გამოსავალი:

— თუ თავსხმა წვიმაა... მაშინ არ უნდა და თუ პატარას ჟინჟლავს... მაშინ სჭირდება „მიახკი ზნაკიო"!

---

*ხილული ღმერთი სიყვარულია.*

*ლაპარაკს სხვები გვასწავლიან, გაჩუმებას ჩვენ თვითონ ვსწავლობთ.*

ასე იქცა ეს ამბავი ანეკდოტად და გადადის, ახლა, პირიდან პირზე და ყურიდან — ყურში!

ჰოდა, ეს ყველაფერი იმან გამახსენა, რომ ეს ის დროა, როცა ეს-ეს არის იბადება... რაც გინდათ, დაარქვით: ქარაგმული ნაკვესი, ანდაზა...

ვზივარ, ვნევარ, შესული ვარ ქაღალდზე ახლდაბადებული ჩემი პერსონაჟების მდგომარეობაში და პაპიროსს-პაპიროსზე ვექაჩები.

ხომ გახსოვთ ონორე ბალზაკი, „მამა გორიოს“ წერის დროს, გაფითრებული ადგა საწერი მაგიდიდან და შინაურებმა ჰკითხეს — რა მოგივიდაო? თვალცრემლიანმა უპასუხა: 5 წუთის წინ მოკვდა მამა გორიოო... ვითომ, მის ხელში არ იყო მისი გმირების ბედ-იღბალი... მარა, არც ასეა, საქმე, მკითხველო. არ მაქვს ჰონორი, ჰონორეს ვეკამათო ან მხარი ავუბა, მაგრამ მაინც ვიტყვი: მწერლის ნებაზე რომ იყოს მისი ადრესატის ცხოვრება... ადამ და ევას სამოთხიდან ვინ გამოყრიდა? მწერლისთვის არსებობს მხოლოდ ერთი კერპი — სიმართლე! უღალატებ — გიღალატებს... ავტორისთვის კი ყველაზე დიდი სასჯელია... მკითხველის გულგრილობა — გახსნისთანავე რომ დახურავს წიგნს!

...მოკლედ, ვზივარ, ვწერ და ვექაჩები პაპიროსს — პაპიროსზე!

და აი, ვუახლოვდებით ანდაზის დაბადებას — ანუ მიახლოვდება ცოლი და მკვახედ მეუბნება:

— პაპიროსს.... ოთახში მაინც ნუ ეწევი!

— მეწეველ ძროხას ბღავილს არ უშლიან! — ვპასუხობ მე და ჩემი თანამეცხედრე კითხვის ნიშანს ემსგავსება.

— ეს ანდაზა, მე პირველად მესმის, — ამობს ის.

— მეც!

* * *

ცა ქუდად თუ დედამიწა...
ფიანდაზად მეფინა
და შემეძლო, ცხრა მთას იქეთ —
უურთებოდაც მეფრინა!

* * *

ჩემმა მზემ...
შენმა მზემ!
რა ხდება და რა მოგედის?
ერთ მზეზე და მთვარეზე —
მზე და მთვარე ამოგედის!

### უგონობის მეგონება!

კარგად დაიმახსოვრე შენ ეს სულისკვეთება:
არაფრისა ჭკობია — სუყველაფრის კეთებას.

მაინც თავისი ნებით ჩავიდა, საიდანაც ის... პოლიციამ ამოიყვანა.

ჰენრი კუპრაშვილი, თურქეთის ოლიმპიური კომიტეტისაგან ოფიციალურ ახსნა-განმარტებას მოითხოვს.

აი, რა ამბავი გვახარა 2005 წლის 22 ივლისს გაზეთმა „ახალმა თაობამ“.

დღემდე, საქორწინო კაბის შლეიფის სიგრძეში, რეკორდი ვიღაც ჰოლანდიელ ქალს ეკუთვნის, რომელსაც ქორწილში 775 მეტრი სიგრძის კაბა ეცვა. ჩვენ კი, დღესაც, ჩვენი საწყალი არშინით ვზომავთ ცხოვრების სიგრძე-სიგანეს და ჩვენ ჩვენი „დარისპანის გასაჭირი“ გვჭირს... რამდენი ქართველი საპატარძლო ჩაეტეოდა 775 მეტრ საკაბეში?

მე მაგის დათვლის თავი არა მაქვს და ანგარიში თქვენთვის მომინდვია, ჩემო, ისედაც დახუჭულო სადედოფლოებო, ანუ დანებით სანყრელო მანანებო!

* * *

არ მინდა მივილო მავრის პოზა და „ოტელოს" ფინალური სცენასავით წავიკითხო მონოლოგი, მაგრამ გულზე კი შემიძლია დავიდო ხელი და ვთქვა, რომ „მე, სახელგანთქმული ქართული კონიაკის წარმოებისათვის გამიწევია სამსახური და ეს მშვენივრად მოეხსენება დიდი ქართველი მეწარმისა და ქართული კონიაკის სამრეწველო წარმოების ფუძემდებლის, სულგანათლებული დავით სარაჯიშვილის საზოგადოებასაც და მის დღევანდელ მესვეურს, ჩვენს ძმასა და პირის ზიარებას, ბატონ ელგუჯა ბუბუტეიშვილს, რომელთანაც წლების განმავლობაში მაკავშირებდა მამაშვილური და მეგობრულ-ძმაკაცურ-კაცურ-უფროს-უმცროსული ურთიერთობა... მით უფრო მანამ, სანამ ყველაფერი დალაგდებოდა, „მავრი... მავრის საქმეს გააკეთებდა" და უკვე ფონს გასულ მასპინძელს, ჭამაში, წუთისოფლის სხვა სტუმარიც ბევრი გამოუჩნდებოდა!

მარტო ის რად ღირს, იმ საყოველთაო არეულობის ჟამს (თბილისში ძაღლი პატრონს რომ ვერ ცნობდა) — ერთ, არც ისე მშვენიერ დღეს, „ბემს" (მაშინ ასეთი აბრევიატურა ჰქონდა ფირმას — ბუბუტეიშვილი, ელგუჯა მირიანის ძე) პროკურატურის, მილიციის, საგადასახადო ინსპექციის 8 კაციან კომპლექსურ ჯგუფს (რომელიც აგრესიას ვერ ფარავდა) მე დავხვდი ძველ ოფისში და მდგომარეობა განვემუხტე! მეორედ კი, პარლამენტის კომისიის სხდომაზე, კბილებით ვიცავდი ფირმის ინტერესებს.

მახლას! ფირმაში ჩემი ყოფნა არ ჰგავდა მარტო ლიტერატურულ-სარეკლამო საქმიანობას... თუმცა, სხვა, წერა-კითხვასთან დაკავშირებულ საქმიანობასთან ერთად, დავით სარაჯიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ერთი სქელტანიანი კრებულიც გამოვეცი.

მოკლედ, ხატზე შემიძლია დავიფიცო, რომ იქაურობაზე... საკუთარ შვილებზე მეტი თუ არა — არანაკლები ამაგი მაქვს!

ალალი იყოს და უსაყვედუროდ.

გუჯასგანაც მახსოვს სიკეთე.

სიკეთის მკეთებელ და სიკეთის დამნახველ კაცს გაუმარჯოს!

იცოდა ხოლმე თქმა: კაცო, რა ცივი ყოფილა ეს კაპიტალიზმი, ცოტა ქართულად თუ არ შევათბეთო!..

ეტყობა, დიდ ფულს დიდი სულის ბერვა უნდა და ისევ სიცივე მოსდევს. ტყუილად ხომ არ უყვარდა თქმა მის წინამორბედს — დავით სარაჯიშვილს: ფული ცუდი ბატონია და კარგი მოსამსახურეო!.. ისიც გავიხსენოთ, რა უთხრა „ჩოთქზე" სომხურად მოანგარიშე მრეწველმა, ამით განცვიფრებულ დიდ ილიას: რა ვქნა, არ ესმის ამ ოხერს ქართულიო!

...2003 წლის 28 აპრილ—4 მაისის „კვირის პალიტრა" იუწყებოდა, რომ ვნების კვირაში დანაშაულთა რიცხვმა პიკს მიაღწია! სხვა ტერორისტულ აქტებს შორის დასახელდა ბუბუტეიშვილების მცხეთის დარბაზი და თბილისური ბინა, სადაც ნაღმი აფეთქდა!

დალახვროს ეშმაკმა! სადაც ფულია — იქვეა ჩასაფრებული ბოროტებაც! ფული ხელის ჭუჭყიაო, — ხალხი ამბობს. მე უფრო სულის ჭუჭყი მგონია. ჩვენს ხალხს ფული უყვარს, მაგრამ ფულზე ცუდი წარმოდგენისაა.

---

*იუგოსლაველი ჟარკო პეტანის განცხადება:*
*იყიდება ძველი ლოზუნგები, ფასდაკლებით!*

*ისტორია გვასწავლის, რომ... არ ვენდოთ ისტორიკოსებს!*

არადა, ფული თავისუფლებაა (თუმცა, არა ყველაფრისაგან!). ფულის ხარჯვა ვიცით — კეთება არა! ჩემი დამოკიდებულება კი ფულიანი კაცის მიმართ ერთ სტროფში მაქვს გამოხატული და ეს, ტიპიური თბილისური ხედვაა:

თუ გინდა თბილისელი გერქვას და
თავი თბილისელად მოგქონდეს...
თბილისელი ასე ილოცება:
ღმერთმა შენ მოგცეს, რომ მე მქონდეს!

* * *

მოკლედ და ბუნდოვნად!

საიათნოვას ნათქვამია: ისე ვიტყვი — მიხვდეს და ვერ გაიგოსო?

მეფე ერეკლეს საზანდარის — არუთინასავით, იკლიკანტურად სათქმელი ან ვის უთქვია ან ვინ იტყვის?

იქნებ ასე სათქმელი — ისე ვთქვათ, რომ კაცმა გაიგოს და ვერ მიხვდეს!..

მახლას, გამგებმა გაიგოს!

...რითმით მთქმელები მით რის მქმნელები არიან —
შენ ეს მითხარ!
სად, როდის, რამ და როგორ შეგაწუხა,
აი, ეს არის კითხვა!
იქნება აქ — არც დაქტილ — პეგმაიეტრი,
არც რითმი, არც რიტმია...
შემინდოს უფალმა ასე გულის ძგერა —
ამ რითმის არითმია!...

* * *

ყაყაჩო — ყოყოჩო — ყეყეჩო!!!

სამი სიტყვა — სამი ძახილის ნიშანი.

სამში ერთი კი... ამ სამი სიტყვის განმასხვავებელი სამი ასო: ა..ო..ე..!

აოე!

შენ დაუკარ...

მიდი-მოედიეარ!

რის 120 და 220-აციებს ინევეს მსგავსი არსულ-წარსულ-კრნანისული ტრიადები — თავისი „ინსიგნიებითა" და ხელმწიფის გადამწიფებული დიადემით?

ახლა ყველა მიხვდა, ვის და რა უნდოდა!

ასეა, ჩემო ბატონო, მოკლედ და ბუნდოვნად!

გამგები გაიგებს ამ ილუზ-ალუზიას,

სამარეც ვერ ასწორებს ზოგიერთ კუზიანს!

ყურძნის ჭყლეტისგან ღვინო იწურება...

*რალფ ემერსონი (ამერიკელი პოეტი, ესეისტი, ფილოსოფოსი. ფილოსოფიური პოეზიის ფუძემდებელი XIX ს.):*

*ენა არის მესამე მადლი, რასაც ბუნება უწყალობებს ადამიანს. ხატოვანი ენა საბუთია იმისა, რომ მისი პატრონი ღმერთთანაა განდობილი.*

*ვაი-ლიტერატორი გიზო (ვაი!) ლუი ფილიპეს ტიკინა იყო...*

**P.S.** *ისტორია არავის არაფერს დაუკარგავს.*

*და, ჩემი ისტორიული სეხნიაც, რომელიც ისტორიამ არ დაინდო. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ასეთი კითხვა მეც დამისვა ერთხელ ინტერვიუერმა:*

*- მეფის ნავში მჯდარხართ?*

*- საუბედუროდ, ალბათ მეც მინდოდა მეფის ნავში ჯდომა, მაგრამ საბედნიეროდ, მეფეს არ უნდოდა და ასე გადავრჩი.*

*- რას გადარჩით?*

*ნავიდან გადაგდებას!...*

*ხომ გაგიგონიათ ერთი ძველი თბილისური სიმღერა: კარგი იყო, არ გამეყან თავიდან.*

ტვინის ჭყლეტისაგან... მთხლე.
ხმება ჩვენი ნატერის ხე!
პოდა, ეს ალუზ-ილუზია —
გნებავს, სადღეგრძელოდ, გნებავს შესანდობრად ჩათვალე!
მთხლეთი ვსვამთ ამ მთხლე .........
სიტკბოს არ დავეძებთ...
სიმნარე გვაშოროს!
არ მოგვენატრებოდეს
სსრ კავშირი!
რასაც ჩვენ (ჩუმ-ჩუმად)
უსუსურს ვეძახდით.
...ჩვენ თავისუფლება — სიგიჟე გვეგონა!
ავხტით თუ დავხტით თუ ვიფორთხეთ ამ ლახტით...
თუნდ ოქროს კვერცხები, ეშმაკთან გვეგორა...
გავგიჟდით, თუმც თავის უფალი ვერ გავხდით.

## *მე და დათუნა!*

**(ანუ ბაბუა და შვილიშვილი)**

არ უნდა რომ!..
ჩვენ აეცდით დროში —
ის — იცინოდა, მე კი — ვტიროდი!
ის — სულელი და მე — იდიოტი —
ის — მოდიოდა, მე — მივდიოდი!
მას — უნდოდა და მე — არ შემეძლო,
ის — გარბოდა და მე — ვერ მივდევდი,
მადლობა ღმერთს, რომ ხანში შემესწრო,
მზადა ვარ, ედიო სოფლის კიდემდე!
მე — რაც ვიცოდი, მან — არ იცოდა,
რაც მან — იცოდა, მე — არ ვიცოდი...
ის — ჩემი ცოდვით სულ არ იწვოდა —
მე — არ მახსოვდა ბავშვობის კოდი!..
მეკითხებოდა — ვერ ვპასუხობდი,
ყველა კითხვას ხომ არ აქვს პასუხი...
ყველაფერს თავის დრო აქვს და წესი,
და არ იჭმება ყველა ნაზუქი!
მე — როცა მძინავს, მას — ეღვიძება,
მე — საქმე მაქვს და მას — სურს თამაში...
არი ყაყანი, აღებ-მიცემა...
ვერ გაგვამტყუნებთ ვერცერთს ამაში!
მე — ჩემს მეორედ მოსვლას ვესწრები,
და ჩემს ორეულს სულ ვეომები,
რასი რიგი და რისი წესები —
ვბრდღვინავთ, ვღრიალებთ როგორც ლომები!
და არის ერთი გაწამაწია —
ის — რაშით, მე კი — კუს ნაბიჯებით...
ერთმანეთისკენ გულმა გაგვწია...
ის — კაცდება და მე კი — ვბიჭდები!

### ახალ ფასეულობათა „ნუმ"-„იზმ"-ატიკა"!

**(რეპი — ანუ ზანგური შაირი და დართულ-ქართული შარი-შური და „იზმების კორიანტელი!)**

ძველი „იზმების" — ქრება სიზმრები,
გვჭირს ახალ „იზმთა" — „რიგორიზმები"! —
ეს შოპინგები და ეს შოპ-ტურები —
ნერწყვის ყლაპვიზმით — ძღები ყურებით —
...თავის ტეხიზმი, კისრისტეხიზმი,
გულისტეხიზმის და „კატეხიზმო"!..
ჭკუა თხელიზმი — მუცელ სქელიზმი —
მიზეზ-მიზეზთა და ზმათა იზმი!
დღე-ღამიზმების, ჭამა-სმიზმები —
უქეიფობის — ქეიფიზმები —
ტყემალ-გოჭიზმი, ხაჭაპურიზმი —
დილით ხაშიზმი — ზედ ლავაშიზმი —
პურმარილიზმი, ჭამა-ყლაპიზმი
დოლ-გარმონიზმი, ტაშ-ფანდურიზმი —
ლუარსაბიზმი და ყვარყვარიზმი,
თათქარიზმი და თუთაბერიზმი...
რის კომუნიზმი, რა კომუნიზმი,
დემოკრატიზმი და კრეტინიზმი,
ჭკუამოკლიზმი, ენაგრძელიზმი,
ბებიაშენიზმ-დედიშენიზმი...
თავში ფეხიზმი — პრანჭვა-გრეხიზმი —
მიხლა-მოხლიზმი — თოხლა-თოხლიზმი —
თვალში ნაცრიზმი — არაკაციზმი —
კმარ-უკმარიზმი — ქვათა კოდიზმი —
მიდი-მოდიზმი, ბოდვა-ცოდვიზმი —
თავში ქროლიზმი — ქვათა სროლიზმი —
ტვინში ფეხიზმი — ლანირაკიზმი —
მე და ჩემიზმი და შე-ჩემიზმი —
პირშაობიზმი, პირფერობიზმი —
ზურგსუკანიზმიც — და პირში ხლიზმიც —
კბილთა ღრჭენიზმი — ამაზრზენიზმი —
ხელალებიზმი — ხელჩაქნევიზმი —
გულმოსულიზმი — სულწასულიზმი —
სულაშვებიზმი და ჩაშვებიზმი —
რაღაც ქარიზმა-ჯეობარიზმი —
ვაშა-ვაშიზმი — ჩქარი ტაშიზმი —
ვისი — ვისშიზმი — ნაშიზმი-ქაჯიზმი—
თვალში ჩხირიზმი — თავში ქარიზმი —
სულში ჭირიზმი — გულში ლხინიზმი —
ძველი თბილისის — ახალ თილისმის —
შაშუ-ბეშიზმი, ძერომა-ქვეშიზმი —
ტაში-ტუშიზმი, მაყუთ-ქეშიზმი —
ბუშად-ბუშიზმი — ბაიყუშიზმი —
თითი ყურშიზმი — ბაიბურშიზმი —
ფახი-ფუხიზმი — ბაქი-ბუქიზმი —
არა ფაშიზმი — მარა ფაშვიზმი!

*მეა ზღვაში გადამავლე ნავიდან...*

*ვინც ჩაუჯდა, ყველას ძვირად დაუჯდა.*

*მოლო-მოლო, ყველა პარიკაპერიკით გადმოყარა ნავიდან.*

---

*მე-19 საუკუნეში თბილისში გამომავალი სომხური გაზეთის „მშაკის" რედაქტორმა გრ. არწრუნმა, რომელიც კეზიანი იყო, ერთხელ აკაკი წერეთელს უთხრა: „შენ რა გესმის, მთელი სომხეთის სვე-ბედი ამ კისერზე მაწევსო". აკაკიმ მისთვის ჩვეული ენამახვილობით უპასუხა: „მჯერა, ბატონო — „სომხეთი კისერზე და არარატი ზურგზე გადგიათ". (ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ. 1936, გვ. 17).*

---

*გიზო ქელიძე. ამირან არაბული:*

*ჯერ კიდევ როდის! წინაანტიკურ ეპოქაში, თავად ანტიკურ (ანუ ბერძნული ცივილიზაციის დროს) და შემდეგ პერიოდებში, სრულიად არანახული მსოფლიო განფენილობა ჰქონდა ქართულ სიტყვას. ქართული მი-*

* * *

ტარიელ ჭანტურია (რუსთაველის პრემიის კომიტეტის თავმჯდომარე): რუსთაველის პრემია მიიღეს მათაც — ვისაც არ ეკუთვნოდა და ვერ მიიღეს მათაც — ვისაც ეკუთვნის!

P.S.

შენაც მანდა ხარ და მეც მანდა ვარ!
უჯილდოოდაც იოლას გავალთ.
საჯილდაოდ კი მე გეტყვი მთავარს —
სათქმელადა და საქმნელად რავარს!
„ყველანი აქ ვართ!
აქ არის ყველა!
შეხედე: ცოტნეც
მოვარდა ჩორთით!
— საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის
ბიჭებო, სწორდით!"..

სწორედ ეს სახელი დავარქვი მე ბუბუტეიშვილის აშენებულ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსს მცხეთაში.

* * *

სარტრიმ უარი თქვა ნობელის პრემიაზე...

ავთო ვარაზის მამამ, გამოჩენილმა ქართველმა ფიზიოლოგმა ვასილ ვარაზმა კი ნობელის კომიტეტის შეტყობინება (ნობელის პრემიაზე წარდგენის შესახებ), უსაფრთხოების მიზნით, საქართველოს მაშინდელ მთავრობას დაუმალა, რაც მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა ცნობილი.

* * *

ლევ ტოლსტოი ამბობდა, რომ ადამიანი არის წილადი, რომლის მრიცხველში ზის — სინამდვილეში რა ღირს ადამიანი, ხოლო მნიშვნელში — რას ფიქრობს ის თავის თავზე...

P.S. ეს, გურულებზე, ერთ არაგურულ ხუმრობას ჰგავს, რომელსაც „სპეკულაციის" სუნი დაჰკრავს: გურული უნდა იყიდო თავის ფასში და გაყიდო იმ ფასად, რამდენი წარმოდგენისაცაა საკუთარ თავზე (ანუ რამდენადაც თავს იფასებს!).

* * *

„რომელმა დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს".

მორწმუნის რწმენის კედელი მტკიცდება აღსარებით, ზიარებით, ნაკურთხი წყლით, სეფისკვერით, ზეთისცხებით, სახარებითა და ფსალმუნთა კითხვით!

* * *

გაღმა სოფელი სხვა საუფლოა —
მარადისობა მასში უფროა!

---

*პეტრე პირველი: კაცობრიობას ამახინჯებენ მლიქვნელები.*

*გალაკტიონი: ჩემი სიცოცხლე უნაკარეს ღვინის ფერია!*

სიცოცხლე დიდი გამოცანაა —
„სიკვდილი ბოლო საიდუმლოა"!

* * *

მზე წურწურით მოგედის შუბლზე.
შუბლის ღარებით...
მოღეარღეარობს... მოაქვს ოფლის ჩიაღეარები.
საკუთარ ჩრდილს ვეძებთ...
სიცხის გაგანიაში —
არც ცოცხლებში ვწერივართ —
და არც მკვდრების სიაში.
ძალა აღარ გვეგულება...
ხვატში — თავს ზევით!..
და სულს ვლაფავთ ამოყრილი
რიყის თევზივით!
აპოკალიფსის ელოდეთო!
ასეც დაწერეს —
გლობალური თბობის შიშით
გვაციე-გვაცხელებს!

## „რევოლუციურს, ჯერ არ ნახულს..."

გუშინ სხვა ქარი უბერავდა და
დღეს სხვა ქარები ქრიან...
რევოლუციას —
ამ წყობილების...
განწყობილება პქვია!
მანამდე, სანამ
თვით იქცევიან
რევოლუციის კერპად...
მანამდე, სანამ თვით იქცევიან —
თავისი მსხვერპლის მსხვერპლად!

### ხინოპლაიკური ცნობა
(10.08.06)

მზემ დააშრო მტკვარი
და აქცია წყაროდ...
ამან უნდა თქვას რო:
მეც მდინარე ვარო?

* * *

ლათინური სენტენცია!
(რა აჯობებს თქმაში?)
ჭეშმარიტი — ღვინოშია,
ჯანმრთელობა — წყალში!

თოლოგიურ შემო-
ქმედებას (ამირან-
პრომეთე, [illegible],
მედეა), ამასთან —
ქართულ ლექსს
(მიჩნეულია, რომ
ბერძნული ჰეგზამე-
ტრი ქართული წა-
რმომავლობისაა)...
რომ ქართული
(სვანური) „მამამ
რერა" და „მელია-
ტელეფია" შუმერულ-
ხეთურ-ეტრუსკულ
წარწერებში მოხ-
სენიებული. ზევ-
რისმთქმელის ის
გარემოებაც, რომ
ჰოლანდიელმა მეც-
ნიერმა ე. ფურნიემ
5000 ქართული სი-
ტყვა აღმოაჩინა
ბერძნულ ენაში,
ზანებს კი ათვით 9
ბრუნვა, მსგავსად
ქართულისა და
მოთხრობითი ბრუნ-
ვა ქართული (მეგრუ-
ლი) ბრუნვის ნიმ-
ნით (ყოველივე ეს
შეხსენებილი ათვით
ქართველ მეცნი-
ერებს და ოცამდე
უცხოელ ქართვე-
ლოლოგს!).

დიტო ჩუბინიძე:
პაციენტებს.
კ ა ც ე ბ ი ე ბ ს.
ვორონოვებს, ვერ-
მიშევებს თუ მიგ-
რანიანებს. მეგრელ-
თა არაქართველო-
ბა რომ ამტკიცებთ და
საქართველოს XIX-ა
საუკუნისეული
დამპყრობის? ოცნებო-
ბენ. უახლოეს მო-

* * *

ღმერთმა ადამიანის სიკვდილით სიცოცხლესთან მისი კავშირი გან-
ყვიტა, მაგრამ ყოველგვარი?

სიკვდილმა ყველაფერი იცის სიცოცხლის შესახებ, სიცოცხლემ არაფერი იცის სიკვდილზე?!

დღე-ღამეზე ბრძენიაო!

იქნებ პირიქით?

დღესავით ნათელიაო, — ვამბობთ.

თვალი აგვეხილაო!

თვალდახუჭული რომ უფრო მეტს ხედავ?..

ადამიანის ცოდნა სამყაროზე... დანყებით განათლებას ჰგავს.

ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამო დავკარგეთ სამოთხე?

მოისვენე, ადამიანო და მოგვასვენე!

სიცოცხლეში, თორემ სიკვდილის ამბავს შენ ვინ გკითხავს???

* * *

ვან...ბაიბურთმა კი არა — ვან გოგმა უთხრა გოგენს:

— მოდი, ერთად ვხატოთო!

მთავარია, კარგად დავხატოთ!

რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება ავტორიო?..

P.S. უნიკალურმა ნიკალამ, ფუნჯით, ძმებს ასეთი ძმობა შესთავაზა!

— მოდით ვიყიდოთ ერთი ჩაიდანი. მოვადუღოთ. ვსვათ ჩაი და ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე!

ბუნებით მორცხვმა და ბუნების ნებიერა ავთო ვარაზმა ფიროსმანი გააცოცხლა.

— შენს როლში ვერ შედიხარ, ფიროსმანის როლში როგორ შეხვალო? — უთხრა ცოლმა.

— მე ფიროსმანის როლს კი არ ვითამაშებ... შევასრულებო! — უპასუხა ვარაზმა!

* * *

სიბრძნის სიცრუე — სიცრუის სიბრძნე —
სიბრძნით იცრუე — სიცრუით იბრძნე!
ყოფნა-არყოფნას უფალი არჩევს...
არ ყოფნის ყოფას... დღე-ღამეს გვაჩვევს!
თვით ჰომეროსიც სადღაც აქვეა —
„ილიადაში“ სიკვდილს „ძმა“ ჰქვია!
ძილი — ღვიძილის ბრმა პეტიცია —
გარდაცვალების რეპეტიცია!
შეხედე, ღმერთი რა კეთილია —
დაიე — სიკვდილის გაკვეთილია!

---

*მწერლების სურათებს ოჯახის წევრებივით ინახავენ სახლებში, პოლიტიკოსების პორტრეტებს კი კაბინეტებში და სად არ იკიდებენ!..*

*ამ მორიახლო ურთიერთობებშიც ჩანს ურთიერთდამოკიდებულება!*

*სამათხოვროდ გამლილი ხელი მეიძლება... მუშტადაც იქცეს.*

* * *

ღმერთია ყოელის თავი და ბოლო —
სულის ნათება და გულის ფეთქვა,
ღმერთთან იმიტომ ვსაუბრობ, მხოლოდ,
რომ მისი პირით — მე ჩემი მეთქვა!
ღმერთია ყველა სიტყვის პატრონი,
პოეტი — ღმერთის თანაავტორი!
და მუზა... ლხენით თუ ჭირთა თმენით —
გვესაუბრება ღმერთების ენით!

* * *

ხალხის სიბრძნე — ანდაზები —
ფიანდაზად გავიშალე —
კაფიების ეკაფე ზმები —
საღერღელი აგიშალე!

* * *

ლექსს, რომ მთის პაეა უხდება —
არ უნდა მიეთ-მოეთი...
და ამიტომაც თუ ხდება —
მთაში ბევრია პოეტი!

პოდა, მეც სულ ცას შევყურებ,
მეც მეცხრე ცაზე ავეარდი...
მუზებს მეც აქ ეუთვალყურებ...
ლექსს ცაში უყვარს ნავარდი!

* * *

ზაურ ბოლქვაძე:

მე პოეტი ვარ — მიწა ვარ, ცა ვარ!
მე პოეტი ვარ — სივრცე ვარ, დრო ვარ!
მომენატრება სიკვდილი — წავალ,
მომენატრება სიცოცხლე — მოვალ!

P.S. ლომო!
შენს სიტყვას პქონია ფასი,
თქვი-შეასრულე და მკვდარიც ცოცხლობ!
შესანდობარად ავწიოთ თასი
და წასვლა-მოსვლაც შენი დავლოცოთ?
პოეტის წასვლა, პოეტის მოსვლა,
მთქმელის — გამგონის — და ღვთის ნებაა? —
ორივ სოფელი რომ გტოვებს მგოსნად —
უკვდავე — მოკვდავეთა ფუფუნებაა!

❖❖❖

მავალში საქართველოში, ალბათ, არცერთი მაღალკვალიფიციური მეცნიერი არ დახვდებათ, ვინც ნიჭიერ პროფესიონალებს ილიასეული ქვათა ღაღადით უპასუხებს და გადამთიელ მოვინისცებს ცხვირიდან ძმარს ადენს!..

საყველპურო ინგლისური ჩიქჩიქი და კომპიუტერის ნაკაპანკუკი არც ქართველოლოგიაა, არც კავკასიოლოგია და არც იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის ცოდნა!

თავისუფლების ინსტიტუტელმა ლევან რამიშვილმა ამასწინათ გამოაცხადა დასკვნა: კავკასიური ცივილიზაცია და კულტურა არ არსებობს, ეს ყველაფერი ყურით მოთრეული ცნებებია!..

დიდი ილიასეული საქვეყნოდ ცნობილი მაქსიმის — ენა, მამული, სარწმუნოება — უპირველეს იპოსტასს — ენას, გვგლეჯენ, გვიუქმებენ, გვიკვეცავენ და შეურაცხყოფენ!..

ტერიტორიები გაყიდულია და მამულიც იავარქმნილ-

* * *

საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის ექვთიმე თაყაიშვილის საფლავს აწერია:

გვირგვინი ხარ „მხცოვანთა და მაგალითი ყრმათა!"
ეს არს ქვათა ქვითინი და არს ღაღადი ქვათა!

* * *

შექსპირის
მაკბეტი:
„ბედო, გიწვევ უკანასკნელ ბრძოლაში!"
იყო ...ასე ბედის ბადის სროლაში,
ყველა გმირი შექსპირისა აქ არი!
თქვენს პირსაცა და „შექსპირსაც შაქარი"!

* * *

ჩემი სეხნიის, წიგნებში თავჩარგული კაცის — გიზო ზარნაძის წერილში, სათაურით „ალბათ, ამანაც უბიძგა" („ლიტ. საქართველო" 2003. 4-10.04) ვკითხულობთ:

გასული საუკუნის 20-იან წლებში „საქართველოს ცას კაენის სულმა გადაუსრიალა"!

ლიტერატურის მუზეუმში დაცულია გალაკტიონის მეუღლის ოლია ოკუჯავას წერილები გადასახლებიდან.

ნაწყვეტები მისი სულის ნაფლეთებიდან!

"ძვირფასო გალ, ჩემი მხურვალე სალამი!... ვუახლოვდები სამარყანდს... შეხე, რამდენი აქლემია! როგორ გულგრილად, უშფოთველად მიაბიჯებენ!

სევდას დაუსადგურებია ირგვლივ...
ძვირფასო გალ, გკოცნი, გკოცნი, გკოცნი!
გამოვიდა შენი წიგნი? თავს როგორ გრძნობ?..
მეშინია, გალ, ვაითუ სვამ?"
P.S. წერილები, წერილები —
ბედისწერის შეერილები,
ძეგლებად და ქვასვეტებად
ხელებგამოშვერილები,
ის გადის და ეს დრო დგება —
კაცი კვდება — ხსოვნა რჩება!

* * *

ელვა — წყვდიადის ბლიცით გადაღებული
სურათია!

არ არსებობს ორი სიმართლე!
ეს უტყუარი სიმართლეა!..
თუმცა...

---

*როცა კაცი თავის ჯიბეში ვერაფერს პოულობს, იძულებულია, სხვის ჯიბეში ეძებოს იგი.*

გინდ დაიჯერეთ — გინდა არა?..

ამბობენ, რომ, დღეს საქართველოში რამდენი კაციც ცხოვრობს, იმდენი სიმართლეა!

P.S. რა სჯობია ამდენ სიმართლეს, სამწუხაროდ, იგი ერთადერთი რომ არ იყოს!

* * *

„დამისხი,
დამალევინე,
ეს ღვინო —
ოხერ ტიალი!"
შენს სადღეგრძელოდ
სულს დაელევე —
მე — მოთმინების ფიალით!

* * *

დრო — უჟამო ჟამი არის —
მართალის და ჭორისა —
ჟამი — ქეათა შეგროვების —
ჟამი — ქეათა სროლისა!

* * *

?!
მე თუ მკითხავთ — რაა ესა?
გიპასუხებთ: ჩემი კენესა!
რა პქეია და რეკეიემი! —
მიეუძლევენი „მე"-სა — მესა!

* * *

შორეული ცურვის კაპიტანმა გია კოსტავამ გიბრალტარიდან მომილოცა დაბადების დღე.

გიბრალტარის სალამი!
გიბრალტარის სრუტე!.
ვით კალამმა — მელანი —
ისე შევისრუტე!

* * *

ვაკის საცურაო აუზის აშენების „საპატიო ყარაულში" იდგა ჩემი გაზეთის საინფორმაციო განყოფილება, რომლის გამგეცა და გამგებელიც მე ვიყავი. და როცა ის აშენდა — აშენდა მისი დირექტორიც, მსოფლიო ჩოგბურთელის — ალიკა მეტრეველის მამა — „საპატიო ნევრის" სტატუსი მომცა და ეს სამოთხის კარი, ნებისმიერ დროს, ღია იყო ჩემთვის (ახლა ვინ შეგასუნინებს შიგ? ერთადერთი

ია!..

*სარწმუნოებაც დამცირებულია!.. 40 ათასი ქართველი რასხელისც იეღოველებს გაუწევრებია... გოლის ციხიდან ხტებიან ცაში ასაფრენად. ჯარში არ მიდიან. სასარგებლო უნიტაზზე ჩაუცუქლნი ლექავენ და ეკლესიებს „სულდამბეკურებით" აზანზარებენ.*

*მეტი რაღა დარჩა?..*

*ამის მერმეგ ევენეთ-სიკვდილეთი იწყებს!*

*თემურ მამიაშვილი:*

*წარღვნაა, ქვეყანაში პავლიკ მოროზოვების დრო დადგა!.. ერთ-ერთი რეგიონის გუბერნატორი, თურმე, საამაყოთ აცხადებს, რომ მამამისი დაიჭირეს მაშინ, როცა იგი გამგებლის მოადგილე იყო(?!).*

*რატომ დაიწყო ივანიშვილმა საკუთარი ბიზნესის გაყიდვა?*

*ამის მიზეზი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა გახდა, არაკონკურენტუნარიანი ბიზნეს-გარემო თუ მისივე თანამშრომ-*

მწვანე გზა — მწვანე დოლარებს აქვს და ლარები დიდ ვერაფერ პატივშია!

აქ დამყავდა ჩემი ფირმა „ორი ბიჭი", ჩემი ჭკუით, სპარტანული აღზრდისა და კაცობის გაკვეთილებზე.

ერთი ასეთი გაკვეთილიც მახსოვს: აუზში მოდგაფუნე თბილისელმა ბიჭებმა, გადაწყვიტეს ტრამპლინიდან ხტომაში გაჯიბრებოდნენ ერთმანეთს. იყო ერთი კისრის ტეხა და ვაი უშველებელი... ჩემმა ფირმა „ორმა ბიჭმა", როგორც იტყვიან „ზადნი" მისცა და როგორც ავიდა ტრამპლინზე — ისე ჩამოვიდა — აუტკივარი თავი რაზე ავიტკივოთო!.. მე კი, მე... კიდეც მეტკინა ეს და კიდეც მეწყინა, ჩავიქნიე ხელი და თვითონ ავედი კოშკურაზე, თვითონ გავედი ფიცარზე, გადავხედე წყლამდე სახტომ მანძილს და... სახტად დავრჩი — უფსკრულად მომეჩვენა თუ მომეთქვენა!!!

არადა, არასოდეს დამავიწყდება ჩემი ბიჭების ის 4 თვალი, 220-ვოლტიანი ძაბვით რომ მიყურებდა!

მათი მოლოდინის განბილება სიკვდილის ტოლფასი იყო! ავდექი, გავაფრინე და გავფრინდი!

ლოდივით მოვწყდი ტრამპლინს, მოვადინე ზღართანი წყალში და შხეფები ჭერს ვანედინე.

ასე და ამრიგად, ჩავუტარე ჩემს შვილებს და თვალებდაჭყეტილ თბილისელებს მამაშვილობის მაგალითი, რისი მოწმეც ეს სტროფია და ამ სტროფების დისტროფია!

ა, ბატონო!

მხარგაშლილობა-ხელგაშლილობის —
სისხლხორცეული ზმა და რითმები —
სამაგალითო მამაშვილობის —
„მეგალითების" მაგალითები!
ასე დავიდგი მამის ძეგლი შვილებში.

* * *

**ხალხური საუნჯიდან:**

ქართველებს ცრემლი სასესხებელი არ გვაქვს! ამ ხალხურ „ხმით სატირლებსა" და „დაუჯდომელს" რა ცრემლი შეედრება?!

„სარჩულად — ტირილ დაუდევით,
ლილებად — ცრემლებ დაუკერეთ..."
და კიდევ!
„სიკვდილო, თუ კი ადვილი ხარ, ერთხელ
შენ თავად რად არ მოჰკვდი"?

* * *

რეპორტაჟი წუთიდან!..

11.08.06. 15 საათი! „რუსთავი 2" გადმოსცემს, რომ ავსტრიაში ქურდობისათვის დააკავეს... 52 ქართველი!

ვიღებ თავს თეთრი ქაღალდიდან, ვისმენ ამ შავ ამბებს, მერე კი იმავე ქაღალდზე გადამაქვს ეს ცუდი ამბავი. რას იზამ, ასეთია სინამდვილე... სად გაექცევი?

გამიგია, რომ ოდესღაც, ჩრდილოეთ კავკასიაში მომხდარ ყაჩაღობაში ქართველების მონაწილეობის გამო, ქართველმა დედებმა შავები ჩაიცვესო.

შავად გვაქვს საქმე, მაგრამ მაინც თავბრუ გვეხვევა „წარმატებებისაგან".

## მამაშვილური!

თუ გინდა, მოგკითხონ ჭკუა...
უთხარი — სათქმელი თუა!
თუ გინდა, იმეფო ხალხში —
მეფეს არ ჩაუჯდე ნავში!
ტვინი — გაანძრიე თავში!
თუ ბიხარ — ნუ ბიხარ ჭურში!
სიმართლე — შეუშვი ყურში!
თვალი — გაახილე გულში!

* * *

მამა-შვილში — ვინა თქვა:
რა აგებს და რა იგებს?..
შვილი — მამის სიყვარულს...
თავის შვილში გაიგებს!

* * *

ცხოვრება თეთრი და შავი დღეა —
ესაა ყოფნა-არყოფნის იდილია:
ვერტიკალური ყოფა-სიცოცხლეა,
ჰორიზონტალური ყოფა — სიკვდილია!

* * *

პურადის პირადობაში —
კაცს ასე ჩაუხედია! —
„პურადი კაცი გულადზე,
სამი გაფრენით მეტია!
ჩვენი საზომი „კმარაა“.
რისი თქმა მინდა ამითი?
საქართველოში არაა
დღეს, საფრენოსნო ამინდი!

* * *

ეს ცხოვრება ჭიდილია:
ხან წააქცევ — ხან წაგაქცევს!
აი, მისი იდილია:
ხან მონად — ხან გმირად გაქცევს!

* * *

და რქვა რუქამა!
და თქვა გიზომა!
კაცის საზომი
ვინ რით გაზომა?
ბუმბერაზობა სხვისი საქმეა!
ვისი საქმეა „ბემურაზობა“?

*ლების არაკეთილსინდისიერი საქციელი?*

*რომელი ობიექტი იქნება შემდეგი? (გაზ. „მეოთხე“ 13-20.05.05).*

*საზოგადოება „სხივის“ თავმჯდომარე დავით მგელაძე:*

*„იმპერატორი ავრელიუსი იმპერიის გაფართოებული ტერიტორიის ახალ საზღვრებში შეუვალი სახით იღებს თავისი ლეგიონების აღლუმს, რომლებიც, ძირითადად, გერმანელების, სკვითების, იბერიელების, ნუმიდიელების, პართიელებისა და სხვებისგან შედგება. ყველას თავისი ეროვნული სამოსი აცვია და მშობლიურ ენაზე ესალმება იმპერატორს. ავრელიუსი მაინც ხვდება, რომ იმპერიის ლათინიზება და უნიფიცირება აუხდენელ ოცნებად დარჩება, ყველა ეს ხალხები კი რომის იმპერიის ნამსხვრევებს გადაინაწილებენ“.*

*„განსაკუთრებული სიმწვავით შეიგრძნობა ისეთ პოლიტიკოსთა დევ-*

* * *

კოკი დადიანის საფლავის ეპიტაფია ლევილში („ფრანგოეთს“).

„მითხარ შენდობა და ჩემს მხარესა,
როცა უამბობ ამბავს მწარესა,
სთქვი, რომ იხილე წარწერა ლოდზე:
„ძვლებიც კი ჰფიქრობს საქართველოზე“.

P.S. გითხარ შენდობა – სისხლო და ხორცო!
შენ, სიკვდილშიაც შეება ვერ პპოვე.
სხვის, ჯოჯოხეთში, სხვაგან ილოცე,
შენი სამოთხე – სხვას დაუტოვე.

აქვე, დედამიწის ზურგზე გაბნეულ ქართულ საფლავებს, ყველა უსაქართველო ქართველს, ვისაც არ ეღირსა მშობლიურ მიწაში განსვენება და ერთი მუჭა ქართული მიწაც, ჩემი „პაემანის" რედაქტორისა და კაი ყმის, პოეტ ნოდარ გურეშიძის ეთხი სტრიქონით შევუკრავ კუბოს ოთხ ფიცარს. და ეს იყოს მათი, კიდევ ერთი, შესანდობარი!

„მზემ ღრუბლის მძიმე ფარდა გახია...
აქაც ლამაზი მთა და მდელოა...
სადაც ქართველი კაცი მარხია –
ყველგან პატარა საქართველოა!“

* * *

**ვალოდია მებურიშვილის**
**საფლავის ეპიტაფიად:**
*ცხოვრების ყაყანი მიაჩნდა ტიტინად:*
*გიტარა — ატარა, გიტარამ — იტირა!*

* * *

დიდმა ილიამ დიდი პატივი დასდო ქართველ ქალს, როცა მას „დედაკაცი" უწოდა! ახლა კი, იმ დროსაც მოვესწარით, როცა კაცები — ქალკაცობენ და ქალები — ვაჟკაცობენ! მამლები — დედლობენ და დედლები – მამლობენ!

უკაცრავად პასუხია — მამლები აზიან თავიანთ კვერცხებს, დედლები კი მათ, თავიანთი კვერცხებიანად... ჩეკავენ!

* * *

ნიორივით ხალხია კახელები: „მყრალები" და გემრიელები!

...რა გული და რა ხელები!
რა სახე და სახელები!..
სიგიჟემდე გახელებით,
მიტომ მიყვარს კახელები,
რომ უკეთესს რას ნახავენ –
ნახვის ნატვრით მნახველები.
სიუეთისა მკეთებლები –

---

*ჩერჩილს უბრძანებია, რომ სახელმწიფოს მართვისათვის დემოკრატია დიდი ვერაფერი შეილია, მაგრამ, ჯერჯერობით, კაცობრიობამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრაო!*

სიკეთის დამნახველები!
...რა პური და რა მარილი —
რა ცეკვა და რა სიმღერა —
რა ღვინო და რა ქეიფი —
უქეიფოდ ამამღერა!
პოდა, მე და ჩემი ღმერთი —
სამოთხეა ეს კახეთი!

* * *

„ჭირი და ლხინი რამ გაყო? —
ჭირი გეჭირს — ლხინით ევამაყობთ!
დიდი ჭირია ლხინხლართეა —
„დიდი ლხინია“ ჭირთა თქმა“. (რუსთაველი)

* * *

ფათერაკი — ფითრდება;
შიმშილობა — ყვითლდება;
შიშსაც — ფერი-ფური მისდის —
„ქაღალდი — არ წითლდება“!
ასე ამბობს ციცერონი,
ვის სიცრუე არ უყვარსო —
რა დრონი და რა ქაღალდი —
ის ყველაფერს აიტანსო!

* * *

და თუ!..
— თავის დადებამ!
— ხელის აღებამ!
— გულში ჩადებამ!
— ქუდის გადებამ!
სალამ-კალამი მიქცია „აკმედ“!
რა შუაში ვარ,
ბატონო, აქ მე?
მწერლობა — არა კარგადმყოფობა —
ავადმყოფობაც — არის მწერლობა.
როდესაც ტვინს ჭამს ფიქრის ობობა —
და თეითმკვლელობა არის ხელობა!

## *„ქვათა ღაღადი“*

„პეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?
და მომავლისაც — აბა რა ისმის?
წამსვლელ-დამრჩენის ამ შავი დღიდან —
გვკლავს მოლოდინი აპოკალიპსის —
ლოდი-ლოდინი ქვეყნის სასრულზე —
მომავალზე და უკვე წარსულზე! —
არსულ — წარსულზე, მი-მომავალზე,
გუშინ-გულქვაზე — ხვალ-ქვაშავაზე!

*ოცოცი. რომელთაც თანამედროვეობი-სათვის აუცილებელი სტრატეგიული ხედ-ვა, გლობალური აზროვნება და, საქართველოს შემთხ-ვევაში, ლოკალურ ამოცანათა გადაწყვე-ტის უნარი ექნებათ... მოქმედე-ბის ადგილისა და სოციალური დროის მიხედვით!..*

*ცნობილი „აზრი — ნუ გააკეთებ იმას სხვასა, რასაც საკუ-თარ თავს არ უსურ-ვებ ავტონომი-ურად არის გაცხად-ბული ყველა მსოფ-ლიო რელიგიაში. ამ რელიგიათა ფუძემ-დებლურ კანონებს კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის, ურთ-იერთშემწყნარე-ბლობის პრინციპე-ბი წარმოადგენენ. ამ პრინციპთა იდენტურობა კი კა-ცობრიობას საშუ-ალებას აძლევს, დამ-ყაროს კონსტრუ-ქციული ცივილი-ზაციათაშორისი დი-ალოგები. ამასთან, მოძებნილ იქნეს საერთაშორისო ურ-თიერთობათა უფრო სამართლიანი, მორ-ალურ-ზნეობრივი ფორმები. შენარ-ჩუნებულ იქნეს პლანეტის ეთნი-კური და ცივილი-ზაციურ-კულტურული მრავალფეროვნება... თუ ჩვენ შევძელით.*

* * *

— ნუთუ ისე ნახდა საქმე, რომ ადამიანში აღარაფერი აღარ დარჩა სნორი — სნორი ნანლაეის გარდა?

— ბოდვას, თუნდაც, იმიტომ უნდა უსმინო, რომ, იქნებ, რამე სიმართლე ნამოცდეს!

— კაცი, ზოგჯერ, უთქმელს იმიტომ ამბობს, რომ სათქმელი დამალოს.

**კარიერისტული „ტიკ“-ები!**

*რა და რისტიკა?..*

თეალზე ბისტიკა —
თეალში კერისტიკა —
სულ წასულობის —
გულჯავშნისტიკა;
ჯინჯილისტიკა —
ჩინ-მედლისტიკა —
ფალერისტიკის —
აი, მისტიკა!

* * *

სიტყვაა ღმერთი
თუ ღმერთობს —
ისეე ღმერთების ენითა
„ღმერთმა გიშველოს, სიკედილო —
სიცოცხლე შეენობს შენითა“ (ვაჟა).
ხმით ნატირლებიც გამშვენებს,
„მგოსანნი გლოეისანია“ —
გერინი, ვით გლოეის ზუზუნი —
უფალო შეგვიწყალეა!
საიქიოც და აქაოც —
სამზეოცა და შაეეთიც —
ცოტა უდანაშაულო —
და ბევრი დამნაშაეეთი...
აქ მოსელას ერქეა, წვალება —
იქ წასვლას — გარდაცვალება,
როცა სული ხორცს ამძიმებს,
და აღარ ძალუძს ტარება!
როცა სიცოცხლეს მივცინით,
როდესაც სიკვდილს მივტირით —
გლოეის ზეიმი არის და
სიცილ-ტირილი სიკედილის!

* * *

კაცმა მის ტყავში გაძლოს — ტყეილია!
ენის ბუნებას ასე ენება:
„სხეული სულის საპყრობილეა!“ —
ბატონ პლატონს კი დაუჯერება!

---

*ალექსანდრე მაკედონელი: არაფერია ფუფუნებაზე უფრო მონური და შრომაზე უფრო მეფური!*

### *გულის არა, მარა — ენის გასაღები!*

სიყვარულს, არ აქვს რა —
სხვა რამ წო-დებულება...
დაარქვი მას მისი
ზე — აღმატებულება!
სიყვარულს რადგანაც
არა აქვს შეებულება —
მე იგი ვიწამე
ბუნებრივ ზე-ბუნებად!

### *ცუდ ფეხზე ამდგარი ლექსი*

ცოლი (სანამ ცოლი ჰქვია),
ტრფობის ნიავ-ქარია!
ცოლს რომ ცოლი დაერქმევა —
მერე იგი... ქმარია!

* * *

ყველაფერი მინდოდა და
ვერაფერი ამითავდა —
ყველაფერი — გაარაფერდა —
სურვილებიც გამითავდა!

### *საპარლამენტო ფილიპიკა*

თანამოქალაქენო!
თანამოღლაქლაქენო!
თქვენო უმცირესობავ!
თქვენო უმრავლესობავ!
თქვენო უარესობავ!
თქვენო უაღრესობავ!
უწესიერობავ და
უწესიერესობავ!
მავანო მავანი სიტყვა
თვალსა და ყურს ესობა —
აკეთეთ რა სიკეთე —
თუ გსურთ უკეთესობა!

* * *

ზნე ვიცვალეთ, გავგიჟდით!
ტანსაცმლიან-საცვლებით —
ერთმანეთის ჭამაში.
ერთმანეთს ვენაცვლებით!
გულს არ ვაძლევთ გულისთვის —
მეგობარს და ამხანაგს
ახლა გული გვჭირდება.
მარტო გულის საფხანად!

*კვირტი გამოვალებინით ეროვნული აზროვნებისა და ტრადიციების ხალად დარჩენილ ფესვებს. მაშინ მხოლოდ ცივილიზაციათა სისტემაში წარუვლებით არა როგორც უცხო ცნობიერებათა ტვირთი, არა როგორც მისი ხამუალი ეპიგონი...*

*P.S. დავით მგელაძესთან ჩემი უახლო მეგობრობა მამისგან (გურამ მგელაძე) დაიწყო და შვილზე გადავიდა. ახლა კი, პირი აქეთ მიქნია პირიქითაა: შვილით იწყება და მამაზე გადადის!*

*სახელმწიფოს, რომელსაც დავით მგელაძისთანა კაცები უსაქმოდ ჰყავს, ან ძალიან უნდა ულხინდეს, ან ძალიან უნდა უჭირდეს.*

*თამაზ გოგოლაძე: ცუდი სულაც არაა ახალგაზრდა და განათლებული ხალხის მისვლა სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე. მაგრამ ამასთან, აუცილებელია, წლების განმავლობაში კომხრულებულ თუ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში გარკვეული გზის გავლა და იმ ცხოვრებისეული*

## *არამარცვივი მარცი!*

ქარი ქრის და ქარაშოტობს – მზე იცინის, წვიმს და თოვს...
მე ასეთი არც ზამთარი, არც ზაფხული არ მახსოვს!
თითქოს მიწა ცამ ჩაყლაპა, ცა კი ფეხით ჩამოდის...
ვერ გავიგე, გაზაფხულო, გაგიჟდი თუ რა მოგდის?
დარია თუ ავდარია – გრგვინავს – ხან სიწყნარეა..
არე... მარეს აღარა ჰგავს – მარტმა არიე-დარია...
მარტო მარტის სიგიჟეა?.. მარტო მარტის ბრალია?...
თუმცა, ღმერთი მოწყალეა – ღმერთიც კი გამწყრალია!
ზამთარ-ზაფხულ-შემოდგომა... შენ გნატრობ და მინდიხარ –
...ვერ გავიგე, გაზაფხულო – მოდიხარ თუ მიდიხარ?

## *ნახევრადირონიული პოეზია*

**(ყოფნა-არყოფნის თემაზე)**

დღეს პოეტობა გახდა ხელობა –
წერს ყველა, ვისაც არ ეზარება –
მე მიმაჩნია ეს მერეხელობად –
ლექსის ენა კი – გულის ზარებად!
„ფუყე თავთავი თავს მაღლა იწევს –
მწიფე თავთავი – თავდახრილია!“
პარალელური პარალელებით –
ის ჭირია და ეს კი ლხინია!
რუსთველზე თავი რუსთველად მოაქვთ –
რამდენ ბრექიას, რამდენ რქებიანს...
და ვეჭვობ, თავი საერთოდ რო აქვთ –
თავის „სიმძიმით“ – ფეხზე წყდებიან!
....ღმერთმა რა მოგცა? ღმერთს რა მიეცი?
ამით გაზომე სულის საგზალი!
„ყოფნა-არყოფნა!“ – ესაა ლექსის
დანიშნულების ბოლო ვაგზალი!
„ყოფნა-არყოფნა“ – აი, ეს არის
საკითხავი და ვიღა კითხულობს,
გამოგვიხურეს სამოთხის კარი –
სულმოკლეობის გამო... ედიდგულობთ!
ცოდოა კაცი თუ აჰყვა წერებს –
რას არ იკისრებს ის.... უფულობით?
წერე-იკითხე!
იკითხე-წერე!
დანიის პრინცის პრინციპულობით!

---

*ვახტანგ VI: „კაცმან უნდა თავის საქმე, ყველა ღვთითა მოივარგოს... სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა სადმე დარგოს“.*

*სოფოკლე: ადამიანი ყველაზე დიდი სასწაულია.*

*ადამიანები ღმერთს ყველგან ეძებენ... საკუთარი თავის გარდა.*

## ჭიდაობას რა უნდა?

თავსაც ვედიდგულებოდი –
ეშმაკი ვერ გამაქცევდა.
საკუთარი თავის გარდა –
სხვა ვერავინ წამაქცევდა!
ჭიდაობას რა უნდოდა?
ფეხის გამოკვრა უნდოდა!
ფეხის დამდებს რა დალევდა –
მტერზე მეტი – ძმა უნდოდა!
ჭიდაობას სხვა რა უნდა? –
ხერხი უნდა, ღონე უნდა,
ჭკუა უნდა, მკლავი უნდა...
კაი დოლ-გარმონიც უნდა!
ჭიდაობას, ეთქვათ, რად უნდა –
უქნარა და ძილის გუდა?
ვინაც სხვისი გაამრუდა –
ვერც თავისი ათავკუდა!
ჭიდაობას სხვა რა უნდა? –
მიყვარდა და კიდეც მძულდა!
და ცხოვრების აბდაუბდა –
ვქსოვე, როგორც აბლაბუდა!
ჩაიხედე ჩემს გულში და
შენს გულშიაც ჩამახედე –
„აწმყოს, შობილს წარსულისგან“...
ხიდს-კვრა და ვხედავ ხედებს!
მთქმელს – გამგონი სჭირდება და
კაი გამგონს – კაი მთქმელი,
მტერი – მოყვრად ვაქციოთ და
მოყვარისგან – არ ექმნათ მტერი!
...უტყუარი, ნატური,
ნაღდი, დელიკატური.
ჩემი აბდა-უბდები –
ეით „სემიჩკის“ კნატუნი!
მზესუმზირა ამბები,
მზის ტაფაზე მოეხალე,
რომ საამოდ გაამოთ.
ამ ცხოვრების დომხალი!

P.S. მთავარია, დოს მარილი არ აკლდეს, თორემ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეჭვმიტანილიც კი არ ვიყავი გიჟპოეტობაზე, ჩემი პირველი გაფრენა (პირველი ლექსისა თუ სექსის გამო) ასეთი სტროფით დაიწყო:

სიყვარული როცა გთხოვე,
შენ პასუხი გეძნელა.
ნეტავი გამაგებინა:
ეხალად ვარგა ენძელა?

ხედავთ! ამ სიტყვებს ყურით მოთრეულს ვერ დაარქმევთ, რადგან ამ სიყვარულში, გულიცა და კუჭიც ერთადაა ჩათრეული!

სიბრძნის გარკვეული ზღვრის მიღწევა, რომელიც აუცილებელია მაღალი თანამდებობის დასაკავებლად.

ხელისუფლება უნდა შეეგუოს აზრს, რომ სამართლიანობა, ზნეობრივი თვალსაზრისით, საკუთარ მოთხოვნილებათა გარკვეული თვითშეზღუდვაც გახლავთ... სხვათა უფლებების სასარგებლოდ და ისეთი ადამიანების ასპარეზზე გამოსვლა, ვისაც აქვს აკადემიური განათლება, არ არის ორიენტირებული იაფფასიან დემაგოგიურ ეფექტებზე და შეუძლია საკუთარ მოთხოვნილებათა შეზღუდვა სხვათა სასარგებლოდ... ასეთია დღევანდელი საზოგადოების შეკვეთა, საზოგადოებისა, რომელიც ხელისუფლებას, სამწუხაროდ, უფრო მეტად, მხოლოდ არჩევნების წინ, პოპულისტურ მხარდამჭერებზე ფიქრისას ახსენდება!

ნიკო ლეკიშვილი: მე ვფიქრობ დღეს მთავრობა იმ ადამიანს ჰგავს, რომელიც მეოცე სართულიდან გადმოვარდა და მეათე

* * *

მეორე მსოფლიო ომი — 14500 ომიდან ყველაზე სისხლიანი იყო, დაიღუპა 50 მილიონი ადამიანი!

„როცა ერთი კვდება — ეს ტრაგედიაა — ხოლო, როცა მილიონები იღუპებიან — ეს... სტატისტიკააო!.." მაშინ ითქვა ეს საშინელი სიმართლე.

მეორე მსოფლიო ომმა, რომელსაც, რატომღაც, სამამულოს ვეძახდით, შვა გმირები. ჩვეულებრივი მოკვდავები — უკვდავებაში გადავიდნენ.

მილიონში ერთი!

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთ ფრონტზე 53 მძიმედ დაჭრილი მეომარი დაატყვევეს. მათ შორის, ნიკოლოზ მაისაშვილი. რას არ შეპირდნენ, რა არ შესთავაზეს, როგორ არ ანამეს, რომ გაეცა თავისიანები, მაგრამ პასუხი იყო ურყევი და ლეგენდის ტოლფასი:

მე, სამშობლოთი, არ ვვაჭრობ!

ეს იყო ზვიადაურის გამოძახილი შვილთაშვილებში: „ძალლ იყოს თქვენი მკვდრისადა!"

საქართველოს ისტორია ქალის ცრემლითა და კაცის სისხლით იწერებოდა.

მას ღალატიც ახსოვს, მაგრამ ასეთი? — მოძმე ოსებს „ძმურად" რომ დავუჩოქეთ.

არაერთხელ მითქვამს და ვიტყვი:

საქართველოში უკან დახევა არ იცოდნენ, რადგან საქართველოში უკან დასახევი გზა და ადგილი აღარ არის!

## *კოსმოგონია*

ცხოვრებაში არის ჟამი... ცხოვრებაში წუთი დგება...
არაფერი არ იცი და... ყველაფერი გეკითხება!
ლოგოსი თუ ლოგოგრიფი... შარადა თუ გამოცანა?..
ანთროპოლოგ — პათოლოგი... თავესაფეხი სიტყვის ძალა!
ერწმუნდები, რაც დრო გადისა — დაგეღუპა ხემ-ცნობადისა!
ჩაცმულობა ძველის-ძველი?.. რის ტანსაცმელ-ფეხსაცმელი!
რის პალსტუხი — ფახაფუხი — ჩვენი ტყავის ახალუხი!
რაც გამჩენმა გვაცვ-გვახურა — არც თქმულა და არც ნახულა!
დედაშობილ-კაცნი „თითო", იფარებდნენ ლეღვის ფოთოლს,
ასე იყო, ადამ-ევა... იყო ერთი კოზლის ქნევა!
იმ ბიბლიურ სიტიტელესა — ეძახიან ახლა ნუდიზმს!
გადმოეყევით ახალ მოდას — გადავყევით ძილის გუდიზმს!
„გლობალურად დათბებაო!" თეალს ვადევნებ დროის ტიტრებს.
და მზე ისე დათერებაო — უსამოთხოდ გაგვატიტველებს!
და ამისთვის ვემზადებით — ეს გულახდილ-ჩახდილები,
რომ კოსმოსურ აღტყინებით — არ დაეუთმოთ ტახტი ნებით!

---

*„...ასპერგერის სინდრომი" — სპეციალისტთა აზრით, სულაც არ ნიშნავს სიგიჟეს. ამ სიტყვის გამარტივებული გაგებით — იგი ავადმყოფს ყოველდღიურად ურთულებს ცხოვრებას, მაგრამ, ხშირად, ხელსაც უწყობს შემოქმედებას".*

### ბუნების მეფეს — ადამიანს!

წუთისოფლის ბრუნავს ჯარა,
ჩვენც ვციბრუტობთ — წარა-მარა,
დარის-დარად, ბარის-ბარად —
დრო და სიერცის ბარი-ბარად!..
დღე და ღამეს გავასწორებთ,
რომ ღმერთთანაც სწორი ვიყოთ.
გასაყოფი არა გვქონდეს,
და უყოფი — არ გავიყოთ!
...გიჟი მარტის სიგიჟე და
თვალის-თვალში გასწორება —
გატრუნული ზამთარი და
გაზაფხულის გამორება!..
პაპანაქება ზაფხულის —
ოფლით რწყვა და დაპურება —
მოწეული ბროწეული...
შემოდგომის დაბრუნება.
წელიწადის ოთხი დრო და
დაოთხილი ჟამთა სრბოლა:
ეს — წუთი და ის — სოფელი —
წუთისოფლის თავი-ბოლო!
კაცს ბუნების მეფე ჰქვია!
და მეფეს ეთხოვე პირობასა!
შევეშვათ ამ მეფობასა
დავუჯერდეთ ამ შვილობასა!

* * *

სარჩევს ველარ ვარჩევთ და
კარგს ვეძახით — ავს, ავს — კარგს...
კომპლიმენტის მაგიერად —
ვეძებთ უფრო კომპრომატს!
უვეკარგო ავკარგით —
ერთმანეთი დავკარგეთ —
ეშმაკებსაც ეკლებულვართ —
გავეთითოკაცებულვართ!
ჰოდა, ღმერთო, მიხედე —
თავგასულთ და თავხედებს!
შენი ღირსი გაგვხადე —
გვიშვილე და გვიშველე!

* * *

რაც გამიჩნდა ცოლ-შვილი —
ნერვები მაქვს მოშლილი —
ვინც ცოლ-შვილი მოიგონა —
მე იმისი ცოლ-შვილი!..

სართულს რომ ჩაუქროლა, თავისთავს ჩაილაპარაკა: ჯერ საგანგაშო არაფერი ხდება?!

100 000 ვუხდი იმ ადამიანს, ვინც მომიყვანს, თუნდაც ერთ, ჯავახელს, რომელიც იტყვის, რომ ჯავახეთი სომხეთია.

ვან ბაიბურთი (პარლამენტარი). „ახალი თაობა“

ლევან ლეინჯილიას:

უნდა გვახსოვდეს, რომ არავითარი უნიკალური და გენიალური ერი ჩვენ არ ვართ, ზიმბაბველზე და მოზამბიკელზე უკეთესი. ყველა ადამიანი თანასწორია და უნდა მივეჩვიოთ იმ აზრს, რომ დღეს ცირკთან მდგარი მეძავი ხვალ შეიძლება, სენატორი გახდეს! ახლა მაგალითები ბევრი ვიცით და ჩვენს „გადამკეთებლებსაც“ ეს უნდათ, მაგრამ ყველაფერ ამას უნიჭოდ და ცინიკურად აკეთებენ, რასაც მოგვინდება, იმას ვიზამთ და რატომაც არა.

ამას წინათ ხობში ფოლკლორის საერთაშორისო

* * *

ვასო გოძიაშვილს, ასე ვთქვათ, „ვევასებოდი"! მის შვილზე — დათოზე უფრო ახლოს, მამამისთან ვიყავი და ვძმაკაცობდი!

დიახ! ჰქონდა ჩემს თაობას იმის ფუფუნება, რომ ასეთ თვითნაბად გიგანტებთან ტოლუმბაში — „ტოლობაში და სწორობაში" ყოფილიყო!

ახლა, ამის ახსნას არ დავიწყებ. დიდი ბავშვივით იყო. გენიალური იმპროვიზატორი, სცენაზეც და ცხოვრებაშიც, თეატრშიც და უთეატროდაც, სულ სპექტაკლს თამაშობდა!

მეც ჩემი სამყარო მქონდა. ჩემი წესი და რიგი... უწესოდ დაურიგოდ არ ვცხოვრობდი! საკუთარი თავის დამრიგებელიც გახლდით და მოსწავლეც... სხვათა შორის, ამ „მასწავლებელს" ყველაზე უფრო ვუჯერებდი, რადგან, ერთადერთი იყო, ვინც თავიდან ვერ მომიცილებდა და „სხვა სკოლაში" ვერ გამაგდებდა!..

მქონდა საკუთარ თავთან ურთიერთობის სხვა გაკვეთილებიც, რაც აგერ სიბერემდე მომყვა და სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად, საკმაოდ კარგი სამსახური გამიწია. ამოვიჩემებდი რაღაცას და როცა ცუდ ხასიათზე ვიყავი, იმის გახსენებით ამოვიყრიდი გულის ჯავრს, ანუ გულის ბუხარს! ერთი ასეთი აკვიატებული აზრი, სურათი, პერსევერაციას რომ ეძახიან, მარჯანიშვილელების „ძველი ვოდევილებიდან" მოდიოდა, სადაც „კნეინა" — ცუგრუმელა ლენა ყიფშიძის ლირიულ-პროვოკაციულ კითხვაზე: „თქვენ მზადა ხართ, საყვარელი ქალის გულისთვის თავი გასწიროთ? — ცოტა არ იყოს შეშინებული ტიგრან ოფოფიანც — ვასო გოძიაშვილი კითხვაზე კითხვით პასუხობს — ვა... მერე მე არაფერი მამივა?..

ამის გახსენებაზე, თქვენი არ ვიცი და მე, დღემდე, სიცილით ვკვდები...

თუმცა, როგორც ჩემს „სიცილის ჰიმნშია" (კომპოზიტორი ნუნუ დუღაშვილი) — „სიცილით ვინც კვდება — ის დიდხანს ცოცხლობს... სიცილი უხდება — ოსტეოხონდროზს, ნაღვლის ბუშტს და დიაბეტს — ენცეფალოსინდრომს. სიცილი არც ბიცოლა-ბაცილებს ინდობს და ა. შ.

გოძიაშვილ-ოფოფიანცის, თუ დარდიმანდიანცის ის ანტიკვარული სცენა („პაემანში") ასეთი „ნეკროლოგით" გავაცილე უკვდავებაში:

დაფარფატებდა სანთლით
და ცახცახებდნენ ორივე...
სიკვდილსაც ჰქონდა ხათრი —
თუმც, არც ის იყო შორი...
სცენა პანაშვიდს ჰგავდა:
ვასო ტიროდა — ვასოს...
ვიღაც სინათლეს რთავდა
და დასცქეროდა წამმზომს!..
მერე გავარდა ჭორი —
გოძიაშვილი მოკვდა!
იყო საშინლად სწორი:
უკვდავი გაჰყვა — მოკვდავს!

---

*„მიქელანჯელო ფსიქიკურად იყო შეშლილი?"*

*XIX საუკუნის ფსიქიატრები ამბობდნენ:*
*იმისათვის, რომ ჭკუიდან შეიშალო... იგი უნდა გქონდეს!*

*რაც მართალია... მურდალია!*

* * *

ჩემმა ქეისლმა, აკადემიკოსმა კოტე ბეთანელმა სადღაც, ოდესღაც, რომელიღაც „რეკრეაციულ" არდადეგებზე (ან მეტი რა საქმე გვქონდა) მიმტკიცა, რომ საქართველოს სანყლოსნო რესურსები, ჩვენი ბუნებრივი მაცივრის — კავკასიონის ნყალობით, გაცილებით მეტი სიმდიდრე იყო, ვიდრე, ვთქვათ, კუვეიტის ნავთობი! — რადგან ნყლის მარაგი, პირდაპირი და კიდევ უფრო შორეული პერსპექტივით, უნყალოდ ილევა!

მოკლედ, როგორც იტყვიან, ჩვენი პატარა პლანეტა, სამნუხაროდ, ვერაა მთლად სამხიარულოდ მონყობილი! ხალხს შია, ნყურია, ცივა, ცხელა!

ა, დღეს, მაგალითად — 2006 ნლის 9 აგვისტოა და 9 თვალა მზე ისე აჭერს... საკუთარ ჩრდილს ვეძებთ. ვინ სად შევძვრეთ, აღარ ვიცით?.. ალბათ, ამანაც ამიშალა — ნერვები, ნერვებმა — ფიქრები, ფიქრებმა — განცდები და განცდებმა კი ათას გლობალურ ცდებზე დამანყებინა ფიქრი... მტკვრის კი არა, აგერ ხახაგამშრალი ონკანის პირას — დანა რომ პირს არ უხსნის!

ხომ გაგიგონიათ: გაჭირვება მაჩვენეო და... გაქცევით კი, სად გაექცევი ამ პაპანაქებას?.. ახლა, ეს სიტყვაც პირკატასავით მეცა — ამ სიცხეში და თაკარაში, ეს „პა-პა" კიდე გამიგია, მაგრამ „ქებაზე" სიტყვა როგორ უნდა მოგიბრუნდეს კაცს. ამას „პაპანაქება" კი არა — „პაპანაჭირი" და ვაიუშველებელი უნდა ერქვას.

აი, ასეთ „მზედაკრულ" დღეში, ანუ შავ დღეში ვიყავი, მკითხველო, როცა ფიქრების გათეთრება დამენყო და, ამ ულტრათანამედროვე ტექნიკის ემხით ნაქეზებულმა, მეც გლობალური თვალით შემოვხედე სამყაროს, რომელიც, ბოლოში, არც ისე დიდი აღმოჩნდა, როგორც თავში მეგონა!

ევრიკა!

ვიყვირე გულში არქიმედესავით (ჰიდროსტატიკის ძირითადი კანონის აღმოჩენასავით) და, ყოველგვარი საავტორო უფლების მოთხოვნის გარეშე, ვთავაზობ ჩვენი პლანეტის თავებს — თავი იტეხონ ამ პრობლემაზე, რომელიც სრულიად შეცვლის ნელინადის თვეების მაკრო — და მიკრო კლიმატს, თუ?..

აბა, გამოიცან!

თუ... საჭირო დოზებში, საჭირო დროსა და საჭიროების მიხედვით, ზამთრის სიცივეს შევუნახავთ — ზაფხულის ხვატს, ხოლო ზაფხულის სიცხეს კი — ზამთრის სიცივეს!

ეს, ჯერ, ცოტა სიგიჟე რომ არ იყოს, ეკოლოგიურად ხომ, აშკარად, სუფთა იქნება!

ფესტივალზე ვიყავი, რომელსაც „სიმღერის სამეგრელოზე" ერქვა და რაც იქ ვნახე, ნიკანდრო ქილიას გამახსენდა: „დედა, რა იყო ეს?!"

ასეთი რა ნახეთ, ლევან ბაყირინი?

ხარისხიანით დავიწყე, რადგანაც ვნახე ხობის საპატიო მოქალაქე ლუკა იოსელიანი, პოეტი მერაბ ჯგუბურია, მხატვრები ემირ ბურჯანაძე და რეზო ადამია, ლევან ლენჯოლიასთან ერთად, საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილი ადგილიდან როგორ უმოწყალოდ გამოაძევეს: აქ პრეზიდენტი უნდა დაჯდესო და სტადიონის ბოლო რიგზე მიუჩინეს ადგილი. მერე „პაპარაცები" მოიყვანეს, აი, ის ბანაკელი ქალ-ვაჟები, ბუჩქნარებში რომ ისვენებენ და ქუდებზე „პაპარაცი" რომ აწერიათ. ცოტა ხანში პრეზიდენტიც მოვიდა და მათ შორის ჩაჯდა (მე კი მერჩივნა, იგი ლუკა იოსელიანის გვერდით მჯდარიყო).

„ქრონიკა", 11-17.07.05.

დიდი მიმზიდობის დროს რაინის ფელიქსს ვლადიმერ

ვიცი ახლა მავანსა და მავანს გაეცინება!
მაგრამ სიცილიც ხომ მარგებელია ჯანმრთელობისთვის.
ჰოდა, რაღას უდგეხართ, ბატონო მეცნიერებო? თან იცინეთ და თან მოდით, მიანექით!
გახსოვდეთ ნილს ბორის სიტყვები: ბუნებაში იმდენ კანონზომიერებებს ვანყდები... ეჭვი არ არის — იქ ვიღაცის ხელი ურევიაო!
მეც ვიცი და თქვენც იცით — ვინ არის ეს „ვიღაცა"! ჰოდა, ღმერთმა ხელი მოგვიმართოს!
ეს დროც დადგება.
ა-მე და ა-თქვენ!..

* * *

..."დელი-დელი-დელასა —
ჩვენმა ძროხამ მოუმატა ნველასა!"
„რა ყოფილან ეს რუსები –
გაგვეითავეს რესურსები –
ჩვენ აქ ჩამი ვიტრუსებით –
იგინს მიაქეს ციტრუსები".

ეს, რაღაც „თბილისი-ოზურგეთის" მატარებლის სიმღერის დამტარებლის მოარულ ხუმრობას ჰგავს. ისევე, როგორც ის ჭორი თუ მართალი: გურულები მაგარი ხალხია — თბილისში მაგარი ვაგონის ბილეთებით — მაგარ ვაგონებში ადიან და ოზურგეთში რბილი ვაგონიდან ჩამოდიანო!
რუსებს თავისი „ლხინიც" ეყოფათ და ჩვენ — ჩვენი ჭირი! ისიც არ უნდა დაგვავინყდეს, რაც ჩვენმა ნინაპარმა დაგვიბარა: „მეზობელო კარისაო – სინათლე ხარ თვალისაო!" დაგვავინყდება და კარგ ჩიტსაც დავიჭერთ — სულ რუსულ ენერგომატარებლებზე რომ გვეჭირა თვალი და ე. ნ. ალტერნატიულ გზებს არ დავეძებდით!
რუსი კაცი სულ მესამე კაცს დაეძებს ჭიქის მოსაჭახუნებლად. ჩვენ კი სულ მეორე კაცად ვყავდით! მათი არყისფერი დილის სიფთის ლოზუნგიც მახსოვს: Если водка мешает в работе – брасай... работу!
ა როგორია!
...ერთი რუსი ერთ კახელს ნვევია სახლში. მარანში უქეიფიათ. მერე ასულა მარნის თავზე — საძინებელში და... ვერ დაუძინია — ამდენი ღვინის შემხედვარეს, რა დამაძინებსო?!
ჰოდა, რა ღმერთი გაუნყრა! — ქართული ღვინის ასე მოყვარული რუსეთი ქართულ ღვინოს ასე რომ გაუნყრა!
ჩემი თვალით მინახავს ქართული ღვინო მოსკოვში! თუ გამოიცნობთ სად? გორკის ქუჩაზე, ცენტრალურ... აფთიაქში!
დიახ, აფთიაქში!
ვიტრინაზე!
ქინძმარაული და ხვანჭკარა... ნამლად იყიდებოდა!
ახლა კი ჩვენ ვიყიდებით... „იყიდება საქართველო" — რავარც ნიკო ლორთქიფანიძემ ბრძანა: ვიყიდებით, როგორც ფალსიფიკატორები.
ამისთვის მარტო სოსოია ხარაბაძე ეყოფათ მონმედ! „აგარიონის" (აგარის შაქრის ქარხნის და რიონის კომპოზიტია) იმ უპატრონო პატრონს, ერთ უნამუსო მაინძელს საერთაშორისო თამადის პრინციპულობით პირში რომ ნაჯახივით აჯახა: ეს ღვინო ვენახში არაა ნამყოფიო!

---

*ბერნარდ შოუ: – რას იტყვის ისტორია?*
*– ისტორია, სერ, როგორც ყოველთვის, იცრუებს!*

...კადრების არასწორი შერჩევის ფაქტს, ჯერ კიდევ მითოლოგიაში ჰქონია ადგილი: ზევსმა ბახუსი (ჩვენი ბახულია) რატომღაც არ ჩათვალა სერიოზულ ღმერთად და ოლიმპოს ღმერთების, ასე ვთქვათ — „პოლიტბიუროშიც" კი არ დასვა!

ისიც არ დაგვავიწყდეს, შაჰ-აბასმა ქართველების ამოსაძირკვად საქართველოში ვაზი რომ აჩეხა!

გიჟმა ლიკურგემაც, თურმე, ისე ულმობლად გადაუარა ვაზს, არც იცოდა, რომ... საკუთარი ხელით საკუთარ შვილს კლავდა!

ქართველმა კაცმა კი (თანაც მეფემ), სიცოცხლეს ასე უგალობა:

„შენ ხარ ვენახიო!"

...ბორჯომს რაღას ერჩოდნენ?

რა გამოიყვანს ახლა რუსეთს „პახმელიიდან"!

...ისე კი, მე თუ მკითხავთ...

P.S. ამ „სიახლით" ბევრს არაფერს ველია —
„მეგობარი, ისა სჯობს, რაც ძველია!"
ახლობელი გახდა შორებელია,
შორებელი გახდა — ახლობელია!
კაცი, თურმე, კაცისათვის მგელია!
ბიჭოს! — კაი ხვითოც დაგვეჯერია.
ერში — ერთი ჭკვიანიც თუ ერია —
ახლა კარგად დაფიქრების ჟერია!
გაიგონე — ყვარყვარე ხარ — თუ კვაჭი!
ამოყორე კუჭმაჭებით — კუჭმაჭი...
კაი სვე და კაი ჭამე, ბიძია —
რასაც, ჭკუამ მუცლამდე ძლივს გიწია!
...იქნებ კალმის ბრალიც არის — რაც არის —
სიხარულის ზღვაც კი ცრემლის ზღვაც არის —
გულის გახსნის — გაქარვება — მოქარვის!
პირში თქმისა — ზურგქარის თუ პირქარის!

* * *

დელფინს 260 კბილი ჰქონია და უკბილო ხუმრობაც არ ეკადრება. ჭკუის კოლოფია!

ერთ გემს, თურმე, 25 წელი ხვდებოდა ოკეანეში და კარგი გამცილებელივით — უფათერაკო გზებზე აცილებდა. იმასაც ამბობენ, ლესბოსელი მითიური მგოსანი არიონიც იხსნა დაღუპვისაგანო.

ელემენტარული კოლეგიალობა მიკარნახებს, უსახელოდაც დავასახელო მისი დამსახურება. თუნდაც, მუზების — ანუ პოეზიის წინაშე.

ვინ იცის, ვისი სული ვის გულშია?

გახსოვთ, ბავშვობაში იყო ასეთი თბილისური თამაში: „ვისი სული გსურს?".. სწორედ, იმისი მადლი გველაპარაკებს ახლა, როცა ერთმანეთში სულს ვეძებთ და არა... ფულს!

*ილიჩისათვის . ორი პური მიუტანია. ლენინი, ღმერთად კი მიჰქონდა თავი. მაგრამ რომელი ღმერთი ის იყო ერთი პურით ათასი რომ გამოეკვებებს! მაგრამ, რადგან თავი ღმერთად მიჰქონდა, ღმერთივითაც უნდოდა მოქცეულიყო და ორში ერთი უკან დაუბრუნა ხალხსო!*

*(ნეტავ „სამში ერთზე" რაღას მიუყოდით!)*

*...რაღა ილიჩი და რაღა მაკედონელი, უწყლო უდაბნოში ჭიქა წყალი რომ მიართვეს და გადაღვარა: ჩემი წყურვილი ხალხის წყურვილს ვერ მოკლავსო!*

*ისტორიამ იცის გარჩევა!*

*ვახტანგ ხარჩილავა:*

*„ნუ დავმალავთ — ჩვენს საზოგადოებაში, ყოველთვის ადრეც და ახლაც, პოეტებზე ცოტა უცნაური შეხედულება არსებობდა: პოეტი ობივატელის თვალში ცოტა შერეკილი, ცოტა ექსცენტრული (ანუ ცოტა დაცენტრილი), ცოტა დამთხვეული, ცოტა ლოთი-მეთოთის და დებოშირის, მოკლედ რომ ვთქვათ.*

* * *

სადღაც წავიკითხე: ქართული ზღაპრების ყველა დევი, რომელიც იახსარსა და კოპალას გადაურჩა, აბუდელაურის ტყეში იბადებაო.

...გულზე ხელს თუ დავიდებ, გულახდილად ვიტყვი, რომ დღემდე გამომყვა ბავშვური შიში ღამის, ტყისა და სასაფლაოსი. რა „ფობია" ჰქვია ამას, დღემდე არ ვიცი. საბედნიეროდ, ეს, ალბათ, გენეტიკური შიშის გრძნობა, განყდა პირველ შეილიშვილში, რომელიც ჩემს გვარსა და სახელს ატარებს. ჯარის შემდეგ, ზედაზენის მამათა მონასტერს შეხიზნული, ერთხელ, მამამისმა საგურამომდე მიიყვანა მანქანით და რადგან, უამინდობის გამო, სამანქანო გზა და, საერთოდ, სხვა გზა აღარ იყო... მარტო, ფეხით გაუშვა ამ, არც თუ ისე, უხიფათო გზაზე, კუნაპეტ ღამეში.

აღარ ვიცოდი, რა მექნა.

სანამ ის ამ გზას გაივლიდა — მე ჩემი გავიარე!

ჩამოვეკიდე მობილურ ტელეფონს და აქ, თბილ ოთახში, ფიქრში მასთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ გავიარე რაღა აბუდელაურის და რაღა ეს ტყეღრე — საგურამოდან — ზედაზნამდე. მამათა მონასტრის მორჩილი ლევანიც კარგა შეშფოთებული ჩანდა, მაგრამ ის იქედან მამშვიდებდა — მე აქედან, ვაფორიაქებდი...

ღამე კი სულ უფრო და უფრო შავად ღებავდა დღეს და მაჯლაჯუნასავით აწვებოდა მიწას.

დამაწყდა წერეები. გამიწყდა იმედის ძაფი... და უცებ... ზედაზნის ზარი ყურით კი არა — ტანით ვიგრძენი.

— მოვიდა!

მადლობა ღმერთს! — გავიფიქრე.

— რა იყო? — არხეინად იკითხა უმცროსმა გიზომ.

— ბიჭო, მარტო რამ წაგიყვანა ამ წკვარამში... ან მგლის ან დათვის არ შეგეშინდა?

კითხვაზე კითხვით უპასუხა უფროსმა გიზომ.

— მგელსაც, ტურასაც და დათვსაც იქეთ ეშინოდეთ! — გაისმა ჩემი „კოპოლას" სიცილი ზედაზნიდან.

მეც გამეცინა.

ღმერთს მადლობა შევწირე! ეს იმას ნიშნავდა, რომ ნიშნიანიძეების გენში უშიშარმა „ვითარცა უხორცოთა" — გენმა იმძლავრა!

ეს — ცოტა ხუმრობითაც და თანაც ხუმრობის გარეშე! უფრო სერიოზულად კი — გმირობის ფსიქოლოგიაში წერია, რომ გაბედული ის კი არაა, ვისაც არ ეშინია (ეს სიგიჟეს უფრო ჰგავს), არამედ ის — ვისაც ეშინია, მაგრამ შეუძლია შიშიც სძლიოს!

ეეე, ახლა გმირიც გავხადე!

გმირობამდე ბევრი უკლია.

უმართავი გახდა — ღმერთმა მართოს და ღმერთმა გამართოს!

გფარავდეს ზედაზენი, რომლის მადლმა იმ წყვდიადში მონასტრისაკენ გზა გაპოვნინა.

ავი თვალისაგან —

ღმერთო, დაიფარე!

ღმერთო, შეიფერე!

ღმერთო, შეიფარე!

---

*წიგნი თვალსა და ხელს შუა იწერება და ხელსა და თვალს შუა იკითხება.*

### ამოცანა-გამოცანა???

*შეკითხვები (წერილობით) და ზეპირი შეკითხვები!*

ამოცანა გეეკითხება?
ამოცანას ეეკითხებით?
რითმით ნეწლაე-კენწლაობა —
თვალის ხუჭუა-უსიტყვობა —
და სიტყვებით ბურთაობა!..
რითმით რის თქმას ვაპირებ, ან —
რა რითმი და რა რიტმია? —
ეინ-ეინ, ეისი-ეისში არის?
რა პირით და რას იტყვიან?
წინათ კაცი-კაცი იყო,
როგორც იყო ლობე-სარით —
მადლობა ღმერთს — მოვესწარით!
ფუი, ეშმაკს — შევესწარით!
მეზობლობა-მეგობრობამ
შეიძინა სხვა მისია —
ახლა — კარის მეზობელმა —
კომისია მომისია!
რას ჭამსო და რას სვამსო და,
რას იცვამს და იხურავსო?..
ანდა, ვისას მიირთმევს და
ხომ არაფერს გეილუნავსო?
მეზობელი კარისაო —
ახლა მტერი არისაო,
ძმას ვეძახით — გადამთიელს,
ფულით მდიდარ-ღარიბსაო!
აირია მონასტერი —
გაბატონდა მონა-მტერი!
ამოცანა გეეკითხება:
დრო, ეპოქა, თვე და წელი?

* * *

რა აზრი აქვს ჩემს აზრს, როცა
ეს ცხოვრება სპექტაკლია,
ცოტა-ტკბილი, ბევრი მწარე...
ცოდვა-მადლი არ აკლია.
სიტყვასაც ვერ ჩაუმატებ,
ვილაცა შენს როლში არი,
მსახიობის სახეს ასდის...
ჩემი დარდის ოხშივარი!
მაყურებლის როლში ვარ და
ჩემს სადარდელს სხვები დარდობს —
ჩემი ჭირი, ჩემი ლხინი,
ჩემს თვალის წინ დანავარდობს.
რა ექნა, მამაზეციერო,
შენ გეედრი და შენ მირჩიე:
ეს ცხოვრება სპექტაკლია —
ღმერთო, როლი შემირჩიე!

ფრიად არასერიოზული არსების პროტოტიპი იყო.

იყო დრო, როცა პოეტები ხეებზე ძვრებოდნენ და გამვლელ-გამომვლელებს იქიდან უკითხავდნენ ლექსებს.

ნიკოლოზ მენგელაიას რუსთაველზე ერთი ქადარი ჰქონდა ამოჩემებული და იქიდან კითხულობდა ხოლმე ახალ ნაწარმოებებს (შემდგომში ცნობილმა კინორეჟისორმა ნიკოლოზ მენგელაიამ მოღვაწეობა ხომ ლექსებით დაიწყო).

ნიკოლოზ ჩაჩავა პალსტუხის ნაცვლად... სტაფილოს იკიდებდა...

სტალინი რომ პოეტი იყო, გითხარით...

მაჰ-ამადიც პოეტი იყო, ის სულნაწყმედილი...

მაო-ძედუნიც პოეტი იყო...

სადამ ჰუსეინიც პოეტია...

საშიში ხალხი ვართ ჩვენ, პოეტები, იცის ეს ჩვენმა ხელისუფლებამ და იმიტომაც ამოგვშალეს ცოცხალთა სიიდან. თუმცა, მკვდარი პოეტიც არანაკლებ საშიშია, ვიდრე ცოცხალი.

ესეც იციან ამ ქრისტეს ფეხის მკვნეტელებმა და ახლა იმაზე იმტვრევენ თავს, ამ მკვდრებს რა უყონ. თორემ ცოცხლები-

* * *

ჩიტი რომ დაგასკინტლავს... ფული იცისო!
ჩემი მტერი იქნა მარტო ამ „ბიზნესის“ იმედზე!

### *მედიტაცია!*

თითი შუბლზე მიმიდია... შუბლი წლებით დამიღარავს...
ისევ ღმერთის იმედზე ვარ — ისევ ღმერთი დამიფარავს.
ფიქრი მოდის ფიფქივითა — ფანტელები ირევიან...
ძველ მადათოვს თეთრად ათოვს — წვერს ჭაღარა მირევია!
გავაგორე კამათელი, ჩემთვის... თავს ვეკამათები,
კითხვაცა მაქვს და პასუხიც, პოდა... ერთი ამათებიც!..
გამიხსნია სეიფები — ჩემს თავს ვემუსაიფები...
არც ივავი, არც არაკი... ჭკვიან კაცთან ლაპარაკი —
მიყვარს... ეს არ პყვარებია — ეს არ გაუტარებია —
დრო, ბუხრის წინ, ყვინთვა-ყვინთვით,
როცა წლებს და წუთებს ითვლი...
— მაინც, რაა პოეზია?
— პოეზია სიტყვის მზეა!
— ეს პროზა რამ გააპროზა?
— ერთი სიტყვა — ორი პოზა!
გრამატიკა — ლინგვისტიკა, სემანტიკა —რომანტიკა,
სიტყვის ეკვილიბრისტიკა... ჭირი აქა-ლხინი იქა!
სიტყვა — ზოგჯერ თრიაქია?
სიტყვას — ზოგჯერ ტყვია პქვია;
სიტყვა — ზოგჯერ პაშიშია;
სიტყვა — ცეცხლზე საშიშია!
ზოგჯერ სეტყვა სიტყვაშია — ერთი სიტყვა — ორი აზრით —
პირიქით და პირაქეთაც — ენის ფხანა-ფსორიაზით!
ფოტოგრაფიც „გრაფია“ და მინი-მანიც-ფული არი?
წერის წერას ატანილი — გრაფია თუ გრაფომანი?
ისიც ვერ გამირჩევია, ავდარია ეს თუ დარი?
სამწუხაროდ,
დღეს კითხვები,
პასუხებზე მეტი არი!

### *საოქროსქორწილო ლექსპრომტი*
### *მეუღლეს — ლიანა კეჭაყმაძეს!*

ის ალმური აღარ ასდის —
სიყვარულის კოცნის კოცონს,
სუყველაფერს ყაელი გასდის —
მიყვარს, მაგრამ... აღარ მომწონს!

### „რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს!“

მოგელანდებით — პეტრიაშეილად, დაგესიზმრებით — იუჯინ ო'ნილად*
რევოლუციის ვარდი გაშლილა — ვარდი, უეკლოდ, სად გაგონილა?**

* ამერიკელი ნობელიანტი დრამატურგი, რომელსაც ეკუთვნის გამოთქმა: კაცი, რომელსაც მხოლოდ თავისი სურვილი ამოძრავებს, უნდა დაისაჯოს... მიზნის შესრულებით?!..

** ეკალი ვარდის „საუწყებო დაცვაა“!

* * *

ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს!
ძალა აღმართს — დაღმართიეით ხნავს!
რაღაც წარღვნის დასაწყისსა ჰგავს!
რაღაც ქვეყნის დასასრულსა ჰგავს!

* * *

შენი — შენი არ მშურს არაფერი,
ჩემი — ჩემი კი გშურს ოცნებაც...
სიცოცხლე — მაპატიონ მკვდრებმა და
სიკვდილი — მაპატიონ ცოცხლებმა!

* * *

რამ ათქმევინა ღვიძლ შვილს დედისთვის
(მე ახლა მივხვდი — ერო და ბერო) —
„ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტ" ქვეყნისთვის:
„ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!"

ვახტანგ VI-ს სახელმწიფო სამართლის ნიგნში — „დასტურლამალში" სნერია: სამშობლოს მოღალატეს სასჯელს არ ვუნიშნავთ, იგი ყველაფრის ღირსია!

ვახუშტი ბატონიშვილი კი, ვაგლახ, ქართველების ორბუნებოვნებაზეც ლაპარაკობს.

ორი გული — ორ კაცს უნდა ჰქონდეს.

ერთი კაცი — ერთი გულით.

არც ერთგულება აკლდა საქართველოს და არც ორგულობა.

ერთმა — ააშენა, მეორემ — დააქცია!

* * *

თუ ამ შაიკას ჰქვია ელიტა —
წასულა ჩვენი საქმე ხელიდან!

* * *

არ გეგონოს, თავს ვაწონებ
ქალებს — გვერდში მომწოლებს!..
პირველ რიგში,
ჩემი თავი,
თვითონ უნდა მომწონდეს!

* * *

ოზურგეთიდან ბახმაროში ქალი მოიტაცეს. აფრინეს თოფიანი მდევარი. რავარც გაფრინდა — ისე ჩამოფრინდა.

— რა ქენი? — ჰკითხეს მეზობლებმა.

— დავაცილე!

— ცოლ-ქმარი?

— არა, თოფი!

...მაგიზა რეიზა მიდიოდი ბახმაროში. აქედან ვერ დააცილებდი?

სთვის უკვე ჰყავთ მიჩენილი გოკა მესაფლავე...

P.S. დადგა დრო — წინ გახედვის შეშინის. დადგება დრო უკან მიხედვის შეგვეშინდება. არადა შიში ვერ იხსნისო...

გვაფრთხილებს ჩვენი დიდი წინაპარი. — ნუ გეშინიათ შიშისო! 202-დან მოგვიწოდა ჩვენმა მომავალმაც (ირაკლი კაკაბაძემ და მეორე დღეს... თავპირი დაამტვრიეს!)

გულის გატეხას თავის გატეხა ჯობსო! - ისევ ხალხური სიბრძნე გვამხნევებს!

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 15 წელი გავიდა. 15 წელი ჩვენ ვიყავით და ვართ ღარიბები, ლაჩაკები და ნაკლებად ფუნქციური. ამ ხნის განმავლობაში ჩამოვყალიბდით ყაჩაღებად, აფერისტებად, მეძავებად. კომუნისტების დროს ვიყავით მაძღრები, მაგრამ უფუნქციონი. საერთოდ, მეთექვსმეტე საუკუნიდან 1900 წლამდე. საქართველოს როგორც სახელმწიფოს - ფუნქციები საერთაშორისო დონეზე ჰქონდა. კომუნისტების მოღვაწეობის ბოლო ჰე-

...გურულმა ქორს ესროლა და ისევ დააცილა, მარა იხტიბარი არ გაიტეხა და ცის ტატნობზე ლაღად მონავარდე ფრინველს მიაძახა: ჩე ხელიდან კტარი ხარ და ანი იფრინა, რამდენიც გინდა!

### *მეზრული დიალოგი*

– რახან ხარ... ღმერთს ყვარებიხარ!
– სიკედილი შეება როცაა?..
– სიკედილსაც დაეიწყებიხარ!
– ეს წყეელაა თუ ლოცეაა?

### *წარსულის პეიზაჟი*

ვდგავარ და გავცქერი – წარსულს...
ვცრი საცრით და ვარჩევ შავ-თეთრებს.
ამ შავებს რა გადააშავებს,
ვშლი შავებს და თეთრებს ვათეთრებ!
დროო, შე მედროვევე! – დროვ, ნუ მიმატოვევებ! –
მაწვიმე, მათოვე,
ოლონდაც მადროვე!
...თვალსა და ხელს შუა ილევა სანთელი.
დრო მიდის, დრო მოდის
და რჩება სათქმელი!
და იწევს სული! ვით ამბავი, ხაბარი...
ცხრაჯერ გადაველილი ცხრა მთა და ცხრა ბარი.
აღმართი, დაღმართი – უკუღმართ-წაღმართით,
ელეთი, მელეთი, ნათელი, ბნელეთი..
ცხადი და ზღაპარი – სიზმარი და ცხადი –
სულ ოქრო თევზები – ჩემი ბედის ბადის...
სიცოცხლე კვდება და
წერით აეწერ წერებს...
დრო არ ჩერდება და მე რა გამაჩერებს?..

* * *

ფიქრის ქარი-ბობოქარი
ქრის და
მიველ-მოვედები...
წარსულად არ მემეტება
ჩემი ხსოვნის ეს ედემი!

* * *

„მაცალე სულის ამოთქმა,
დახამხამება თვალისა",
მაცალე სიტყვის გამოთქმა –
სულის ამოთქმა რვალისა –

---

*სადღეისო სადღეგრძელო!*
*– სახლში შესაშვებ და ცოცხლად გასაშვებ კაცს, გაუმარჯოს!*

*ვარემონტებთ ანდაზებს! ბოზი იყოს – ბუზი ბაღდადიდან მოვა!*

სანთელ-საკმეელის გაგნება –
ეალის გადახდა კეალითა –
ღმერთმა დარი და აედარი –
საწუთისოფლოდ გარითმა!

* * *

გულის გახსნით და თეალის გახელით –
ყველაფერს ეარქეათ თაეის სახელი!

* * *

ჟამი ჩაფიქრების!
გულში ნაფიქრების!
თაეში საფიქრების!
ბოლოს გაფიქრების!
...ღმერთო, გეახელი –
თეალი გამიხილე –
თეალი დაეხუჭე და
გულით კი გიხილე!
დედა ეკლესია
(ვითარცა წესია),
რჯული უმტკიცესი –
ჩეენი კონფესია –
ღეთიურ საიდუმლოს –
იღებს აღსარებად –
არ ღირს გაკარება –
სამოთხის კარებად –
თუ შენი სიმართლით –
ღმერთთან არ გიელია –
არ გწამდა ბიბლია –
არ წამხარ ბიბლიას!..
აღსაელის კარებთან –
გიპყრობენ ფიქრები –
მაშინ სად ეიქნები?
როცა არ ეიქნები?
...დე, ამ ჩემს სამყაროს –
ღმერთმა არ გამყაროს –
და თუ ეეცოდები –
შემინდოს ცოდეები!
სიკეთის ანბანით –
სიკეთით განმბანოს! –
სიკეთეს შემყაროს –
და ბოროტს გამყაროს!
რომ უფლის წინაშე –
წარესდგე პირნათელი –
სულის გასაგნებად –
ბჟუტაედეს სანთელი...
რომ სული გადარჩეს –
ხორცში არ გაეცეალო –
გაეუმლო განაჩენს –
სულში გენაცეალო!

რიოდში კი სრული მარაზმი იყო. საბალახოდ გადენილ საქონელს დაემსგავსეთ და ჩვენს საზოგადოებაში ფარული დეგრადაცია დაიწყო, რაც 1000 წლიდან კიდეც გამოაშკარავდა. ევროკავშირში შესვლა ეკონომიკურად წამოგვწევს, სერიოზული ფინანსები გამოჩნდება და საზოგადოება სიღარიბისაგან ცოტა ამოისუნთქავს, მაგრამ ვიქნებით ისევ უფუნქციო, ისევ საძოვარზე გადენილი საქონელი... ამიტომ, სწორედ ახლა, გვმართებს სერიოზული დაკვირვება, ანუ სწორი პოლიტიკური გზის, ორიენტაციის აღება. ან ევროკავშირი უნდა ავირჩიოთ და ჩამოვიყვანოთ თურქი-მესხები, ფართო ავტონომიები მიეცეთ აფხაზებს, ოსებს, ტოლერანტობა გამოვიჩინოთ სექსუალურ უმცირესობასთან, და ათასგვარ უმცირესობებთან, სამაგიეროდ, ვიქნებით მაძღრები და უფუნქციოები. ან პოლიტიკური ორიენტირი უნდა ავიღოთ ამერიკისაკენ. ევროკავშირის და ამერიკის მოთხოვნები კი კარდინალურად განსხ-

* * *

თაეი, წალმა „კი არა" – უკუღმაა „არაკი",
საარაკო იგავს ჰგავს – საიგავე არაკი!
ჩვენი თეზაურუსი – ანუ სიტყვის მარაგი –
ღმერთების ლაპარაკს ჰგავს – ქართული ლაპარაკი!

## ბაღდადის ხალიფას ამბავი!

ახლა ნაერაყალი... ნაარყალსა და ცუდ „პახმელიას" უფრო ჰგავს ვიდრე ალი—ჯუმპურია-ალ-ირაკიას — მსოფლიო ცივილიზაციის უხუცეს აზიურ კერას, სადაც შაირი „სიბრძნის იყო ერთი დარგი" და აქაური ჩვეულებრივი მეტყველებაც... სიბრძნისმეტყველება იყო! ახლა კი, იმდენად შორსაა აქედან სიბრძნე, რამდენიც სიბრძნიდან.. სიგიჟემდე!

არ ვიცი, ერთხელ უკვე მოყოლილი მაქვს თუ არა ეს ამბავი. არ მინდა, გამომრჩეს. სულ ართქმას კი ორჯერ თქმა სჯობია. გამეორება ცოდნის დედააო. დედა კი, ორჯერ რომ ვახსენოთ... ღმერთი არ გვინყენს.

მე ერთხელ მოვკარი თვალი ან ყური ამ ლეგენდას თუ ლეგენდარულ სინამდვილეს და დღემდე არ ამომდის ტვინიდან!

ახლა ამბავი!

პირსისხლიანი ბაღდადის ხალიფას დარბაზს ორი კარი ჰქონდა — ერთი „სიცოცხლის", ერთი „სიკვდილის".

სიკვდილის წინ ერთმა სიკვდილმისჯილმა იკითხა: რომელი კარიდან გავიდეო?

...ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, ბაღდადის ხალიფამ „სიცოცხლის" კარისაკენ გაიშვირა ხელმწიფის ხელი, მერე კი გაოცებულ დარბაზს მიუბრუნდა და უთხრა:

— მან მე რჩევა მკითხა. რჩევის დროს მოტყუება კი იმაზე დიდი ცოდვაა, ვიდრე რაგინდარა და ვიგინდარა — ნებისმიერი ცოდვილი ჩაიდენსო!

P.S. ერთი თბილისური ჰანგი კი ალალად მღერის ერთ მართალ სიმღერას: „რომელ მსაჯულს ვკითხო სამართალია?... ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია"!

სიბრძნე არ ბერდება,
ახალგაზრდავდება!
სასიცოცხლო-ცოცხლობს,
სასიკვდილო – კვდება!
თუ არ ინება და
არ მოთოკა ნება –
სისხლისმსმელის ენება –
მის სისხლშივე ქრება!

* * *

თაეიდათაეი რაც არი...
საგულდაგულო რაც არი...
სახელდახელო რაც არი...
და სათვალთვალო რაც არი..
ის, არა თვალში ნაცარი,
ის არის სწორფერ-წაწალი,
სიტყვის სეტყვაში წანწალი,

ის ჩემი გოლგოთაც არი,
ის ჩემი ჯვარზე ცმაც არი...
სულის ამოთქმა მაცალე!..
იყოს, რაც იყოს — რაც არი!

* * *

კაცი, როცა გადის ხიდზე,
არხეინად გასცქერს ხედებს...
სიტყვას ეაწევ: წინ იყურე,
ხან უკანაც მოიხედე!
აზრზე მოდი,
ხიდზე გადი,
თაეის წონა ფეხმა იცის...
კაცი პქვია იმას, ვინაც —
ქიცმაცურიც იცის, ქიციც!

## ლექსპრომტი

დათუნა ნიშნიანიძეს

აპრილის ბოლოს მეწვიე,
სიცოცხლე გამიაპრილე...
ედიე და ვერ დაეეწიე
ჩემი სიყრმის მზის ნაპირებს!
დამთაერდა შენი ბაეშეობა —
იწყება შენი ბიჭობა,
ბაბუა-შეილიშვილობას —
მე შენი ძმობა მიჯობდა!
ამ უასაკო ტოლობას —
სხვა, რა სახელი დაეარქვა.
სიბერე არა... ტოროლა!
მე ამ სიგიჟით — ავად ვარ!
ზამთარმა ჭირი მოგჭამა,
კარზე მოგვადგა მაისი,
გლოცავ... გატაროს დრო-ჟამმა —
სულ დღით, მზითა და ხალისით!
და „რაც მოგიეა, დაეითო,
სუყველა შენი თავითო"...
რჩეეით — თეთრით და შავითო,
რომ გედავითოს, დაეითო!

28 აპრილი, 2004.

* * *

ჯგერენაიას ქართული სუფრის სოციოფილოსოფიამ და ზოგიერთმა სხვამ... ემზარა კი არა — შემზარა!

„ქეიფს ვიწყებ დილიდან,
ვიქირავებ დილიჟანსს,
შიგ შევაბამ ლომებს ფაფარაშლილს...
...არა მჯერა მე სამოთხის მადლის..."

ქართული სიმღერა

გაუდგება ერთმანეთისაგან . წერს ჩემი უმცროსი ძმა, ისტორიკოსი სიმონ მახარაშვილი და ვფიქრობ, რომ სულიც არაა მასხრობის გუნებაზე.

„ვწუხვარ, რომ მბჟუტავ სინათლესაც ვერ ვხედავ გვირაბის ბოლოს — წერს ამ ბნელეთში მწერალი ნოდარ კაკაბაძეს და ღმერთმა ნუ ქნას, დღესაც „მამამა აჯობის კაკაბსა", როგორც დღემდე „მამ-ვი-კაკაბის" მებმის ერთ ძირძველ ქართულ ხალხურ სიმღერაში. თუმცა, ეს მამეც ჩვენია და ეს კაკაბიც - ღმერთმა ორივეს გაუმარჯოს!

**ზვიად გამსახურდიას:**

„ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისათვის და არა ამსოფლიური კეთილდღეობისათვის. ჩვენ უნდა გავიღოთ მსხვერპლი და არ უნდა ვუღალატოთ ჩვენს მაღალ მრწამსს, თუნდაც, ამის გამო სიკვდილის წინაშე მოგვიხდეს წარდგომა... ამით მიეცემა ჩვენს ყოფას აზრი („პირველქრისტიანების კვალი)".

...და რაკი საყოველთაო კაპიტალიზმს დღეს გლობალიზმი ჰქვია, ამიტომაც კაპიტალიზ-

...საიდუმლო სერობაზე ქართველები და ქართული სუფრა რომ ყოფილიყო, იუდა შეცვლიდა თავის გადაწყვეტილებას.

**ხალხური ნათქვამი**

* * *

„ქართული სუფრა ქართული მამაკაცური სუბკულტურის ძირითადი ატრიბუტია. მამაკაცთაშორისი სიყვარული, სიტყვები, რომლებითაც მამაკაცები სუფრის მსვლელობისას მიმართავენ ერთმანეთს („ჩავეხუტოთ ერთმანეთს", „მოვესიყვარულოთ", „ძალიან მომენატრა შენთან ჩაჯდომა", „მიყვარხარ" და ა. შ.), ღრმა ეროტიზმისა და ურთიერთნდობის შემცველია. რასაკვირველია, ეს ეროტიზმი და ურთიერთლტოლვა არ არის გაცნობიერებული, როგორც წმინდა სექსუალური ლტოლვა, არამედ როგორც „ძმაკაცობა" და „გულის გადაშლა". ამ ლატენტურ ურთიერთლტოლვას ქ(გ)ეიფის მეორე დღე, ურთიერთლტოლვის გაცნობიერებით გამოწვეული ერთგვარი „დარცხვენილობა" ააშკარავებს. ქ(გ)ეიფზე მიღწეული „მამაკაცური გულწრფელობა" — „პახმელიაზე" გამოსვლით გამოისყიდება.

ზემოთქმული დევს მხოლოდ სუფრის ზედაპირზე, სიღრმეში კი ქართული სუფრა უფრო ტრაგიკულ ვითარებას მალავს. ის მალავს ჰეტეროსექსუალური აქტის არშემდგარობას, ღრმა ლტოლვას ქალისაკენ და, იმავდროულად, ქართველი მამაკაცების, მე ვიტყოდი, პანიკურ შიშს მისი სექსუალობის წინაშე (ქალიშვილობის ინსტიტუტი, რაც მამაკაცური გამოგონებაა, ამ შიშის ერთ-ერთი დადასტურებაა). თუ მოვახდენთ მარქსისტული დიალექტიკის „მიღწევის" პერაფრაზს, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სუფრა ფორმით ჰომოსექსუალისტური და შინაარსით ტრაგი-ჰეტეროსექსუალისტურია, ხოლო ქართველი მამაკაცი, არშემდგარი ქალი ანუ ქალის ცუდი შემთხვევაა."

ლექსპრომტი ემზარ ჯგერენაიასა და ჯგერენაიასნაირ კაცთა შემზარავ „გეიფს", როცა მამლები დედლობენ და დედლები მამლობენ!

*ამ პოტენციით, გაუმარჯოს იმ პოტენციას,*
*რა პოტენციით დავამარცხებთ იმპოტენციას!*

* * *

**ნინო სტავრიდი:** შეხვედრა ძველ თბილისთან

რამდენიმე თვეა თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში, შარდენის ქუჩაზე, უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობა. დაწყებულია ბამბისა და რკინის რიგის ქუჩების აღდგენა, აგრეთვე მანთაშოვის რიგად წოდებული ისტორიული შენობის რეკონსტრუქცია.

**„ახალი ეპოქა" 30.05-5.06.03.**

**ძველი თბილისის ახალი ზოჰემა!**

მეიდანი — ძველი თბილისის გული, დედაქალაქის ყველაზე ხმაურიანი, კოლორიტული და მჩქეფარე უბანი!.. სწორედ აქ გადიოდა აბრეშუმის გზა,

---

*პირიც თოფის ლულას წაავგავს, თუკი ენას ხელს გამოკრავ, როგორც ჩახმახს.*

*ქალები კაცებს რომ იცვლის – იმას ბოზს ეძახიან და კაცებს რომ კაცი იცვლის – იმას ჩათლახს!*

რომელზეც აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიემართებოდნენ სავაჭრო საქონლით დატვირთული ქარავნები.

შუა ქუჩაზე ბაზარი იყო გამართული, რომელიც ძველ ქალაქს ორ ნაწილად, ზემო და ქვემო უბნებად ჰყოფდა.

აქვე იყო საამქროები. მეფე ერეკლეს მოედანზე „მოლაყბეებისაგან" გაიგონებდით თურქეთის ხონთქრისა თუ ირანის შაჰის, რომის პაპისა თუ რუსთ ხელმწიფის, შორეული ინდოეთიდან ქარავნის მოსვლისა და სხვა ამბებს.

შარდენზე განლაგებულ სამხატვრო გალერეებსა თუ მინანქრისა და გობელენის სალონ-სახელოსნოებში მომრავლდნენ თბილისელები და ტურისტები. განახლებულ ქუჩაზე, მეცხრამეტე საუკუნის დუქან-სახელოსნოების ადგილს, 21-ე საუკუნის თანამედროვე ბიზნეს-ცენტრი „მეიდან პალასი" იკავებს, რომელიც ორგანულად ერწყმის თბილისის არქიტექტურას. დედაქალაქში მიმდინარე უკანონო მშენებლობების ფონზე ეს, ალბათ, ერთადერთი უბანია, სადაც თბილისი თავის იერს ინარჩუნებს...

მალე, აქაურობას თბილისურ-კავკასიური რესტორანი „მეიდანი" შეემატება.

იმავე პრინციპით განახლდება ბამბისა და რკინის რიგები და „მანთაშოვის" ისტორიული შენობა...

ცოტა ხანში, ძველი თბილისის ეს პატარა მონაკვეთი — მეიდნიდან სიონის ტაძრამდე — რომელიც დღითიდღე ემსგავსება ქალაქის პატარა მუზეუმს, ახალ თბილისურ ბოჰემად — საქმიან-სავაჭრო, კულტურულ და გასართობ ცენტრად გადაიქცევა.

P.S. ეს ყველაფერი უკვე მოხდა და წარსულისაკენ... წინ კიდევ დიდი გზაა!

დამილოცნია!

ბედნიერი ვარ, რომ ამ საქმეში ჩემი წილი მიმიძღვის, რადგან პირველმა მე დავულოცე გზა ამ ძველი უბნის ძველებურად განახლებას, და იგი ჩემს მემკვიდრეს — ზაზა ნიშნიანიძეს გადავულოცე, რომელმაც ნაცარტუტად ქცეული „მეიდანი" დღეს უკვე დიდ ბიზნესცენტრის კომპლექსად აქცია.

ვდგავართ, ახლა, ამ მეიდან-პალას მუზეუმში — წარსულს გავცქერით, აწმყოს ვქმნით და მომავალზე ვფიქრობთ... ბედნიერი იყოს ჩვენი ფეხი 21-ე საუკუნეში!

* * *

**ძველი თბილისის „მეიდანი"!**

„მეიდანის" ერთი მხარე ალაფხანას ეკავა, მეორე კი — მეხაშეებისა და სამეფო დუქნების რიგს. რაღა არ იყო აქ: ხალიჩების, შალისა და ნაბდის ნაწარმის, ფაფახების სამკერვალო თუ ჩაიხანების დუქნები. იმის იქით, თიხის ჭურჭლის, ნახშირის, თოფ-იარ-

მის · ამ დღემდე შემორჩენილი ავადმყოფობის · უზნეობის (ამორალურობის) განკურნების ახალ მკღდლობას უწოდებენ გლობალიზმის ჰუმანიზაციას!

***...В Американской культуре сохраняется сильное акцентирование богатства, как основного символа успеха без соответствующего акцентирования законных способов его достижения" (Р.К. Мертон. Социальная теория и социальная культура. Журн. "Социологические исследования", N 2, 1992, стр. 123).***

*გაზეთები იუწყებიან, რომ ქართლისა და კახეთის რაიონების სოფლების მოსავალს მწერი - „ოქროკუდა" შესევია.*

*რამდენ ოთხევს თუ ორთევს მავნებელ „ოქროპირს" და „ოქროკუდას" უნდა გაუძლოს ამ ხანყალმა ჩვენმა მარჩენალმა გაყიდულმა და გაპარტახებულმა მიწამ, რომელსაც უწყლოდ და უმოწყალოდ ვჭამთ, სანამ თვითონ არ შეგვჭამს.*

*დამა ნაყლიშვილი (პარლამენ-*

ალის, თევზისა და ხილ-ბოსტნეულის დუქნები იყო ჩამწკრივებული. მეორე მხარეს ხელოსნები მუშაობდნენ მიწყობილად. მეთუნუქის, მკალავის და მექვაბის, აკვნების სახელოსნო, სპილენძის ნაწარმის, ოქრომჭედელთა და მეუნაგირეთა სახელოსნოები იკავებდნენ რიგს. მტკვრის ნაპირზე კი ყასბები მუშაობდნენ.

„მეიდანზე" ვაჭრობას ერთი საინტერესო წესი ჰქონდა: მოედნის შუაგულში გამართული იყო ყაფანი — დიდი სასწორი. სოფლიდან მოსული საქონელი ჯერ ქალაქის მცხოვრებთ უნდა ეყიდათ და შემდეგ ქორვაჭრებს. როცა ყაფანზე ბაირალი იყო აღმართული, მაშინ მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ. სრულ 12 საათზე ბაირალს დაუშვებდნენ და ეს იმას ნიშნავდა, რომ ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ვაჭართა და სოფლელთა ალებმიცემობა.

**გაზ. „ფაიზალი" 1997. N 32;**

* * *

ლელა დვალიძე:

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე   დ ი უ მ ა თბილისზე წერდა: „გზის ნაპირას, სიღრმეში, ბობოქრობს მტკვარი, თვითონ ქალაქი განლაგებულია იარუსებად, მთის ფერდობზე. სახლები შეშინებული ფრინველების გუნდს ნაგავს, რომლებიც დასხდნენ ისე, როგორც მოახერხეს". საეჭვოა, რომ სხვა ვინმე მწერალს დღესაც გამოეყენებინა ასეთი მეტაფორა...

* * *

ლატვიაში, ქ. რიგის „პაილეზერსის" საავადმყოფოს ექიმებმა 30 წლის მამაკაცს... მოჭრილი პენისი მიაკერეს!

პაციენტმა პენისი თავად მოიჭრა, ვინაიდან ნიძლავი დადო მეგობრებთან 1000 „ლატის" მიღებაზე (49000 რუბლი)!!!

...ძალიან შავი ამბავი რომ არ იყოს, ხუმრობა გეგონებოდა კაცს. არადა, ხუმრობა ხომ არ არის, რომ ხუმრობა მეგონოს!

„ნიანგის" რედაქტორობის პერიოდში, ერთხელ, ჩვენც მივიღეთ ინფორმაცია, სადაც პენისი კი არა, კაცმა პენისიანად მოიჭრა თავი. საავადმყოფოდან გვაცნობეს, რომ ვიღაც რუსი და ქართველი გაჯიბრებია არყის სმაში ერთმანეთს და ქართველს მოუკაკვია თითი, „გამარჯვებულს" კი... ჩვენი ჭირი ნაულია!

მეორე შემთხვევა!

ერთი მთასავით კაცი — ვასო კელენჯერიძე ცხოვრობდა რუსთავში, ცნობილი თამადა. ერთ ჩაფ ღვინოს სვამდა და ერთ გოჭსაც ზედ აყოლებდა... ჩვენ დროს, სუფრაზე, ღვინის სმაში შეჯიბრება იცოდნენ და ვაღრჩობდით ერთმანეთს. გადაკიდებია ვასოს ვიღაც ღმერთგამწყრალი — „არ „მევასებიო" და ყანწების დუელში გამოუწვევია. უსვრია ერთი, უსვრია ორი, უსვრია სამი... სათვალავი დაუკარგავთ და მერამდენელაც ალავერდზე ქვ გაუფშეკია იმ კაცს ფეხი... ეს მომხდარა არა ქალაქ ანარაში, არამედ ქალაქ რუსთავში, და ჩვენი ბატონი ვასო რუსთავის პროკურატურას პასუხისგებაში მიუცია... ალავერდით მკვლელობისათვის, მაგრამ რადგან ამის გარდა

---

*ომარ მარია, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, დევნილი აფხაზეთიდან: საქართველო, დღეს, ის ქვეყანაა, სადაც ბედნიერებას კი უბედურებას ჰგავს!!! („ახალ-დახალი" 14-20.08.06).*

სხვა სამხილი ვერ უპოვიათ, მიუციათ მკაცრი გაფრთხილება... უკანასკნელი მოფერებით (აბა, ასეთ შემთხვევას სასამართლოში უმაღარიჩოდ ვინ გაუშვებდა!).

* * *

კრწანისის – „გმირთა ვარამ-წყევარამი
და ისტორიის ეს ინერცია...
ვერ შეევინახეთ,
ყაყაჩოებში – ჩავედგით...
მთავრობის რეზიდენცია!..
მაჩაბლის დასტის ისმის შიქასტა –
დასტური კახის დიდი სეედისა!
და სამღურავი არაგველ კაცთა:
მშვიდი – სიკედილიც კი არ გეელირსა!
P.S. *<u>აზმანი არა შარავანდედთანი!</u>*
ამბავი მთისა და ბარისი:
დაეითმა აილო ანისი –
ერეკლემ წააგო კრწანისი –
ედიკამ მოიგო კრწანისი!

* * *

...თუმცა ძველი ტექსტია –
ეს ახალი ლექსია –
ვურჩევ რითმა-გამოთქმებს –
საქართველოს სამოთხეს!
...მიწის მადლი წვიმაა –
ცის მადლი კი მზე არის –
ქვეყნის მადლი ყანაა –
ქვე – არის თუ ზე-არის!
უკეთესსა რას ნახავ –
ეაზო, შენ ხარ ვენახი!
ავ თვალს არ ენახვება,
რაც ამ თვალით მე ენახე!
ანგელოზი ხარ სანამ,
ეშმა გადაგიბირებს...
სამოთხეში ვცხოვრობ და
ჩემი ყანა ბიბინებს!

***სატირალი სატირა***

(კალამბური)

ლხინი – იქა, ჭირი – აქ,
სორო-სირის კოკებში –
ლამის ლომის წილი აქვს,
ლომაიას „ლომკებში“!

*<u>ცარი):</u>*

*მეწყინა პარლამენტიდან გია ყარყარაშვილის წასვლა. არადა, აქ, ბულგაკოვის რამდენი პერსონაჟი შარიკოვი და შვონდერი გვყავს!*

*<u>რუსუდან ხუბულავა:</u>*

*ინტერვიუ ოტია იოსელიანთან*

*რომელ ორდენს გაიმეტებდით პრეზიდენტისათვის?*

*· მის ღვაწლს ერთი ორდენით ვერ შეაფასებ... ჯერ სხვები უნდა დავაჯილდოოთ. გვერდით რომ ახვევიან, მუშაობს ის ხალხი 24 საათი, ქვას ქვაზე არ ტოვებს და ხომ უნდა დავუფასოთ!*

*· ისე, პრეზიდენტმა დაგაფასათ და ღირსების ორდენით დაგაჯილდოვათ. მოახერხა თქვენი გულის მოგება?*

*- რაო?! რომ ენახე აქ ჩამოსული, გამარჯობა არ მითქვას, ისე მივახალე: ერთი პატიოსანი კაცი ვერ იპოვეთ?! ამას ხელი როგორ მოაწერე, არ მჭირდება მე თქვენი ჩინ-მედლები-მეთქი! ნოდარ მგალობლიშვილმა რომ დაუბრუნა უკან მედალი, მეც ვიყავი: არ მიხმარია, წაიღეთ და მსურველები დააჯილდოეთ-მეთქი. მაგრამ მას აქეთ ველოდები, კაცი არ გამოჩენილა ენდომე-*

* * *

**ვანო ჩხიკვაძე:**

საბალახოდ მიქანაობს დაჩუტული ძროხის ცური,
შორიახლო რეკავს შაშვი — ფიჭვიანის მობილური.

P.S. ესეც შენი დღევანდელი „ბუკოლიკური" პოეზია!

ტყუილ-მართალს ველარ არჩევს —
ეს სულელი — ის ჭკვიანი...
და რას არ გაფიქრებინებს —
იჭვიანი ფიჭვნარი!

* * *

ზოგჯერ ისე გათენდება, იფიქრებ ამ დილას რა დაალამებსო და ზოგჯერ ისე დაღამდება, იფიქრებ ამ ღამეს რა გაათენებსო. ამ ჟრუანტელისაა ეს სტროფიც!

იმ დილას და ამ საღამოს...
ეს სიცოცხლე ებარება:
დილა — თავზე დაგადგება,
ღამე — წამოგეპარება!..

**გივი ალხაზიშვილი:** დღევანდელი ფუფუნება!

თუნდაც, ის სიამოვნება რად ღირს, რომ ერთ დარბაზში დღესაც აღმოაჩენთ გვერდიგვერდ მჯდომ თათქარიძეებს, მეჯღანუაშვილებს, კვაჭი კვაჭანტირაძეებს, ჯაყოებს, ხევისთავებს, მექი ვაშაკიძეებს, ტარიელ მკლავაძეებს და, რაც მთავარია, — ყვარყვარეებს, რადგანაც „ყვარყვარიზმის" იდეოლოგიის ნაირსახეობით საზრდოობს მრავალი ფრაქცია და პარტია.

* * *

ვლოცულობთ თუ ვმარხულობთ, ბრალს ვდებთ თუ მივუტევებთ, ვაქებთ თუ ვსაყვედურობთ, შევდივართ თუ გამოვდივართ, ვყიდით თუ ვყიდულობთ, ვდუმვართ თუ ვლაპარაკობთ, ან რამეს ვაკეთებთ — ყველაფერი მოვიმოქმედოთ ღვთის სადიდებელ, რამეთუ ვაკეთებთ, ვლაპარაკობთ თუ ვმოქმედებთ ღვთის სადიდებლად — განვიდიდებით მისგან აქაც და აქედან გასვლისასაც...

**წმ. იოანე ოქროპირი.**

* * *

პოეტები ზეცას შეჰყურებენ, მამაზეციერს შესთხოვენ შემწეობას და ხელში კალამშემართული ელოდებიან მუზას.

ღმერთი კი ზემოდან დაგვცქერის... თვითონაც წერს თეთრ ლექსებს, მერე ნაკუწ-ნაკუწ ხევს და თოვლის ფანტელებად გვაყრის თავზე.

---

*გოჭისათვის... ძველი წელი — ახალი წლის „ქელეხით" თავდება!*

*ჯონათან სვიფტი: „ყველაზე საუკეთესო ექიმები არიან: დოქტორი დიეტა, დოქტორი სიმშვიდე და დოქტორი მხიარულება".*

## „კირია ფიქრემი, ამლილია გიცარა“...

ნეტავ მანახა — ის რაც მინახავს —
რასაც ვინახავ — ძველსა თუ ახალს!..
„უკან“ იყავი? — ახლა „წინა“ ხარ —
ვინ იყავი? და ახლა ვინა ხარ?..
კაცი გქვიოდა-გქვია კაცუნა —
დრომ შენი „ქიცის“ — „აქიცმაცურა“!
მარტივ მამრავლად როგორ დაგშალა?..
წაგშალა — გაგათითოკაცურა!
ველარც კი ვარჩევ ქალსა და კაცსა!
ამას რად უნდა მეტაფრასტები?
მამათმავლებსა და პედერასტებს —
ვექალ-ვეძმაკაც და „ვეზდრასტები“!
მარქსიზმებით თუ რაღაც „იზმებით“ —
გლობალიზმების რიგორიზმებით,
„ვიზრდებითა“ და ველარ ვყხიზლდებით —
ჩვენს მიწა-წყალზე ვხდებით ხიზნები!
...როს „განმეხვნება“ ბჭე ჯოჯოხეთის,
ან როს სამოთხის კარი გამეღოს —
მე — გასარკვევად ამ ცოცხალ-მკვდრეთის —
ღმერთის ვეედრი — ცოდვა და მადლი მეყოს!
რომ ცოდვა-მადლსა კი არ კრძალავდეს —
მადლი-ცოდვების პინას ძალავდეს!
რომე სიკეთე ბოროტს მარხავდეს,
თუნდ ამ სიკეთეს მოწმე არ ჰყავდეს!
რომე მიგიხვდნენ ამ გულის ნადებს:
„სიკეთე ჰქენი და ქვაზე დადე“!

* * *

„კრინი“ და „დერინი“ — სიმღერის ვიცი
და ხაჭაპურსაც ვიცნობ, ლობიანს —
„ქიცმაცურის“ — კი, არ ვიცი „ქიცი“...
ვენდო, ამ „ენდო-კრინო-ლოგიას“?
სიტყვის ხარა-რუხს აქვს თავის რიხი,
ღმერთმა ადამი მოზილა თიხით!
თუმც, რა მასალით მოზილა ევა?
ამას, ჯერ კიდევ, ჭირდება კვლევა!
კაცი ამ კვლევამ — „გამოაკვლევა“,
როგორაც ბრძანა“ ქ-ნ „ელიჩკამ“,
არ ღირს ეს კვლევა თავპირის მტვრევად
და ეს „მე-ლიჩნად“ — ასე მენიშნა!..
რადგანაცა ვარ ნიშნიანიძე...
ალზევანს წავალ — სიტყვის მარილზე.
მიუწვევლად ვეწვევი მუზებს
და თქვენც გპატიჟებთ ამ პურმარილზე!

ბინის. ამათგან არც მედალი მინდა და არც საქმე. არაფრის მაქნისები არ არიან. ამას საბოლოოდ მივხვდი, ოთხი წლის წინ საიდუმლოდ ვიხმე პარტიზანი სამუშაოს და ვთხოვე. არ მინდა ქვეყნის დანგრევას გულხელდაკრეფილი ველოდი, თქვენთან მინდა დავდგე-მეთქი. ჰოდა, „თეთრი ლეგიონის“ საპატიო წევრად მიმიღო. [illegible] მაგრამ [illegible] თითს...

ისევ მაიორი ხართ თუ დაგაწინაურეს პარტიზანებმა?

- ხო, ამ სიბერეში არ დამაკერეს პაგონი?! „ჯერ არა, მაგრამ ახალი წლის შემდეგ ველოდები... ვისხდეთ და ველოდოთ... ერთი გენიალური ხალხური (სვანური) ნიმუში გვაქვს ქართველებს!

- იმი გიქნათო, გივარგილ, იმი!

- იმი ვქენითო, დედოფალ!

- ნაგიგათო იმი, გივარგილ!

- ნავაგეთო, დედოფალ!

- მაშ, რა აზრი ჰქონდა ბრძოლას, გივარგილ?

- ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, დედოფალ!

ქუთაისში რომ გვყავს ერთი მეგობ-

* * *

ლექსი დამიდგა როგორც ძმა — მოყვარეცა და მტერიც... ჯანში გამიდგა, ვით ჯეარცმა — სისხლიც მადინა, მტვერიც. ჯავრიც მყარა და ჯაერიც იყარა, მაფიცა ღმერთი — რჯული... განვიმდა, მერე გადაიკარა — გულიც ნაიღო, სულიც! ჩონჩხის ამარა — ჩრდილად დამტოვა, ნამართვა ყველაფერი. დავრჩი ფანტომად. როგორც ატომი — გულზე ვსკდები და — (მემღერება და) ვმღერი! ლექსს რა სჭირდება? (გაგიკვირდება): თვალი — ყური და გული!..

ლექსია სულის საცხონებელი — ან ცხონებული სული!

P.S. ...და მაინც, არავინ იცის, რა არის ლექსი, ერთის — ღმერთის გარდა!

## თბილისო, გზა ხომ არ აგერია?

„პაემანი ვერაზე" წიგნი-ქრონიკაა — პოეტური ქრონიკაა.

საოცარი ადამიანები ცხოვრობდნენ თბილისში. ახლაც არის ერთი-ორი კაი ვინმე. აი, კოტე ყუბანეიშვილი მაინტერესებს. მინდა გავიცნო. ეჰ, ვინ იცის, თბილისი კიდევ რამდენ კაი ვინმეს „გამოჩეკავს" დაააფრენს...

ქალაქი ყველაზე უფრო სოფელმა შეცვალა. ბევრჯერ მითქვამს: ბუნებაში, თურმე, ქალაქის მერცხლებიც არსებობენ და სოფლისაც. ისინი ერთნაირად უხდებიან საქართველოს ცას, ოღონდ, ხვადასხვანაირად „ჭიკჭიკებენ". ყველა თავის ადგილს უხდება.

ძნელია, დაიჯერო, რომ ამ გაგებითაა ნათქვამი, მაგრამ „ვეფხისტყაოსანშიც" კი ვილაცეებს ქაჯები ჰქვია...

სტუდენტობისას ერთი ნაცნობი მყავდა, კონკრეტული ამოცანა ჰქონდა დასახული. საკუთარ რაიონში მილიციის უფროსის ჩინით უნდა დაბრუნებულიყო. დაბრუნდა კიდეც. ამერიკელ მწერალს იუჯინ ო ნილს აქვს ნათქვამი: კაცი, რომელსაც საკუთარი მიზნის გარდა სხვა არაფერი ამოძრავებს, უნდა დაისაჯოს... ამ მიზნის შესრულებით.

რამდენი იხდის დღეს ასეთ საშინელ სასჯელს და აზრზეც არ არის. ანდა — აზრზე არის, მაგრამ... ხიდზე ვერ გადის, რადგან ყველა ხიდი ჩატეხილი აქვს!

**„სარკმელი საქართველოსი", 2003. ქუთაისი.**

* * *

მეტაფორების „ფორა" ისაა,
როდესაც სიბრძნე-სიცრუისაა,
ღამე-დღისაა, დღე-ღამისაა,
ყველაფერი კი არაფრისაა!..
ამიტომ წერე, წერე და რითმე —
ქაღალდი ყველა სიგიჟეს ითმენს,
თუმცა სიტყვასაც გაუდის ყაელი —
ოოო... გეშინოდეს სუფთა ქაღალდის!

*შოპენჰაუერი: იშვიათად ვფიქრობთ იმაზე, რაც გვაქვს და ვწუხვართ იმაზე, რაც არ გვაქვს. ყოველივე ამან კაცობრიობას იმაზე მეტი უბედურება მოუტანა, ვიდრე ყველა ომმა და ეპიდემიამ!*

## ცხელ გულზე!

(ისევ გ-ს)

ვადროვეთ თუ მივატოვეთ...
მოხდა ისე, რაც წესია,
„უპატრონო ეკლესიას –
ეშმაკები შეესია!“
მოყვარე არ აატირო –
და მტერი არ გააცინო...
სად თქმულა, სად გაგონილა,
რომ სიცოცხლე გააცდინო?
რა ვქნა, შვილო,
შვილიშვილო,
რა გიქნა და რით გიშველო? –
კაცად მოვკვდე და კაცობის
მაგალითი რომ გიჩვენო!
ამის მეტი რა ძალა მაქვს?
შენში როგორ გადმოვსახლდე?
რომ ეშმაკებს, როცა ებრძვი
ამ ბრძოლებში მეც თან გახლდე?
ფუი, ეშმაკს!
შეაფურთხე!
შეუკურთხე კუდიანებს,
ქუდზე კაცებს აყევი და
თან გაჰყევი ქუდიანებს!
წუთისოფლის სტუმრები ვართ,
წვეთოვანს ჰგავს წუთოვანი,
ქვიშის საათს ვუყურებ და –
გადის ხანი – რჩება ვალი!
თუ იქროლებ ქარი-ქარად,
თუ იცხოვრებ პაი-პარად,
თუ დარჩები ვიგინდარად:
გინდ ყოფილხარ – გინდა არა!
...რასაც ვერ ვწერ კალმის ენით,
იმას ავწერ სისხლის დენით –
მზე და მთვარე შენი მზერით –
ამოსულა ჩემთვის – შენით!
მზის ჩასვლას ნუ დაგვიჩქარებ –
დაგვიბნელებ ნურცა თვალებს –
ნუ წვალობ და ნუ გვაწვალებ –
გაიხარე – გაგვახარე!
შენი არსულ-წარსული და
შენი ავან-ჩავანები...
არ სჯობს – ისე გაუმარჯოთ,
თვით არიან რავარები!
მამზერნი და ამაზრზენნი...
ქვებუდანნი, ქვეგამმზერნი...
შეაფურთხე ეშმასა და
მზეთამზენი – ზედაზენი
გელის გულით, გელის სულით,
ხელით, სანთლით, ღმერთით, სჯულით!

2006.08.06.

ბერნაყულია, მავან დამიძახა ამასწინებე-ბზე, – პრეზიდენტის ჩამოსული მინისტრე-ბისნად და გუითბე-ლობზე. არ მინდო-და წასვლა, მარა ვან-დვილობით რა ვინ-და ვააკეთო? ვი-ფიქრე, ჯერ ერთი ყველა ფეხით მერე სად ვნახო-მეთქი და წავე-დი. ყველგანზე ვიჯე-ქი, არ ვინდა საათო-ბით ამათ ბეჟუერის უსმინო? უსაქმური ხომ არ გვგონიართ, წავედი სახლში, საქონელი მყავს მის-ახედი-მეთქი. პირდა-პირ მითხრეს, თქვე-ნი წასვლის მერეგ დარბაზი დაიცლებაო, თავი მოგვეწყინებაო. ხალხს ჩემზე თავი-სი სათქმელის მოს-მენა უნდოდა და რავა დავზარდებოდი?

ქარწაღებული და წყალწაღებული სტრიქონები

ალენ დალესის სა-ციონისტური კონგრესი-დან (1945 წელი): დამთავრდება ომი, ყვე-ლაფერი, როგორღაც, დალაგდება, მოეწყო-ბა და ჩვენ მთელ ოქროს, მთელ მატე-რიალურ ძლიერებას გადავისვრით ხალხის გამოსათაყვანებლად.

ადამიანის ტვი-ნი, ხალხის შეგნე-ბა შეიძლება შეიცვა-ლოს. იქ (საბჭოთა კავშირში) ქაოსს შევქმნით, ჩვენ შე-უმჩნევლად შევცვ-ლით ნამდვილ ფა-

* * *

არავინ არ კითხულობს — გოგო ხარ თუ ბიჭი?
ვინ და რითი დიდგულობს, გილხინსა თუ გიჭირს?
მე — შენთან, სახუმარო, მოვიცვალე კიჭი —
დღეს ნიჭად კი ითვლება... უნიჭობის ნიჭი!

* * *

თავს ვიხოვ სიმართლეს, ხატზე ვაფიცებ —
სულს და გულს ვკითხავ — ამ მსაჯულთ, ნაფიცთ!
ქორონიკონის ამ ქრონიკების —
ქრონოსიც მე ვარ და ქრონოგრაფიც!

## *გასაგიჟებელი ამბავი*

ჭკვიანი — სულელია, სულელი კი — ბრძენი,
მუნჯი მჭევრმეტყველია — მისი უტყვი ენით!
არაკაცი — კაცია, კაცი — არაკაცი,
ძირი ხეზე ავიდა, ხე წაიქცა რაც კი!
უსწავლელი — გვასწავლის, ნასწავლი — ვერ სწავლობს,
ავადმყოფი — კარგად მყოფს... საწამლავით წამლობს!
გულზე ხელსაც იდებენ — ფულზე ხელის დადებით,
თავზე ხელსაც იღებენ — დემოკრეტინკრატები!
აბა, პე და — აბა, პო... — გამიშვი და გაგიშობ! —
ერთი სისხლისანი ვართ — გამიშრობ და გაგიშრობ!
აბა, როგორ!

* * *

„ბოროტი საქმე დღის სინათლეს“... აღარც გაურბის!
და რას დაწერდა ახლა, ნეტა, უილიამი?
თვითონ შექსპირი, კაცი ნაღდი — ჯიგრის ყაურმის...
და არა რაღაც „წერია“ და ვიღაც ქლიავი!

* * *

„ქარის მოტანილს — ქარი წაიღებს!
ქარის წაღებულს — ქარი მოიტანს!
ქარწაღებულებს — წყალწაღებულებს —
ჩვენ — მიწასა თუ მიწა ჩვენ გვიტანს?

* * *

სვე —
სვანეთის კლდე და-ღრეო...

---

*ლეონარდო და ვინჩი: თვალი სულის სარკმელია.*

*დავით კლდიაშვილი: სიძულვილით შორს ვერ წახვალ.*

მთათა ჰიმნო — „ჰე, ლილეო!“
გენიოსო — ჰელიოსო,
ქებათ-ქება — მზეთამზეო!
„ლილეო“ და „პარალეო“ —
რამდენ ღამეს გაათეეო —
ცხრა მთა-ბარი გადიარე —
და გვაშორე შაეი დღეო!

## *პარალე!..*

ღმერთობაზე თაეს რომ ედებთ და
რო ეღმერთკაცობთ, რო ეღმერთქალობთ —
კალოსპირულს გაეძახით და
ლეწეა-ლეწეით — ვლეწაეთ კალოს...
„ჩაკრულოთი“ ვკრავთ ულოს და
ჭირნახულსა — ელხინენახულობთ —
მიექართულობთ — მოექართულობთ —
მიეკახურობთ — მოეკახურობთ!..
„პარალეს“ რომ ეყელყელაობთ —
ვინა ეართ და რასა ერაობთ?
ბედის წერას აეყაეართ და
უბედობას ბედთან ედაეობთ!
ეს „პარალე“ ღირსება აქვს —
საბერებლად მზე-მთვარისა —
მოსავალად — მისავალად —
უფალს — ღვთისა, კაცს — კაცისა...
პოდა, პარი პარალესა —
ალალ ისა — ალალ ესა,
სწორი ვიყოთ ღმერთთანა და
ეასწორებდეთ დღე-ღამესა!

## *ლექსპრომტი*

<u>ერთ თავკაცს!</u>
თავში ფეხი გაქვს და, როცა
გეფხანება ფეხები...
ტვინში გეღუტუნება და
ფეხით კეფას ეხები.
სადაც ფეხი არ ჩაგივა —
თვითონ ჩაეკვეტები,
ტყავიდანაც ძვრები, რადგან —
ტყავში ველარ ეტევი!

## *„პოეზია, უპირველეს ყოვლისა!“*

სალამ-ქალამ, კალამ-კალამ,
ბედისწერის ბადეს ვისერი! —
ვიზას ვაძლევ წარსულს, ვკაზმავ,

სეულობებს სიყალბით და ვაიძულებთ მათ, იწამონ ეს ყალბი ფასეულობანი. როგორ? ჩვენ ვიპოვით ჩვენს თანამოაზრეებს, ჩვენს თანამშრომლებსა და მოკავშირეებს იმ დიდ რუსეთში. მერე ერთი მეორეზე მიყოლებით გათამამდება თავისი მასშტაბებით გრანდიოზული ტრაგედია. ყველაზე უფრო ურჩი ხალხის დალუპვისა და მისი თვითშეგნების საბოლოოდ ჩაქრობისათვის. ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჩვენ თანდათან მოვუსპობთ მათ სოციალურ არსს. ჩ[illegible] ჩავუკლავთ მისწრაფებას — შექმნან სახეები, გამოიკვლიონ პროცესები, რომლებიც ადგილი აქვთ ხალხთა მასების წიაღში. ლიტერატურა, თეატრი, კინო... ადამიანის ყველაზე უფრო მდაბალი გრძნობების ამსახველი და გამავრცელებელი იქნება. ჩვენ ყველანი პირადად მხარს დავუჭერთ და შევაქებთ ეგრეთწოდებული მხატვრების შეგნებაში — სექსის, ძალადობის, სადიზმის კულტს... ერთი სიტყვით, ყველაფერს ამორალურს.

ჩვენ შეუმჩნევლად, მაგრამ აქტი-

როგორც კარგი ვიზაჟისტი!
არც ჩამი და არცა „ჩუმი“ –
საუკუნის ჩამიჩუმი.
არც „შარი“ და არცა „შური“ –
ამ უკუნის შარიშური...
სიცილ-ტირილ-ჭირი-ლხინი...
რის ამბები, რა ამბები...
ის – რაც არი და რაც იყო –
იამბი თუ იამბიკო!

*მართალი თუ გინდა!*

განსასჯელის განუსჯელობა –
განუსჯელობის განსჯაა!
დანაშაულის დაუსჯელობა –
უდანაშაულობის დასჯაა!
სამართალმა პური უნდა ჭამოს,
თუ ის სოფლის სუფრას უზისო.
სად გაგონილა სისხლის სამართალი –
პირზე კოცნითა და უსისხლოდ?

*ხუთვარსკვლავიანი ჭაჭის ნაფვრა!*

თქვენს თავ-პირსა და
თვალ-ყურებს –
შევყურებ „თვალ-ყურებიდან“.
ნეტავ, თქვენ ცხვირწინ დამსვა და
სულ თქვენთვის მაყურებინა!

* * *

დრომ კალენდარზე მოხია –
ცვლა უთაობა-თაობის!..
რადგან ცხოვრება დოღია –
რაობა-არარაობის!

* * *

სიკეთე – აკეთე!
ეშმამ არ გაგთვალოს –
შენ არ დაგეთვალოს –
ღმერთმა ჩაგითვალოს!

---

*იაკობ გოგებაშვილი: კაცს, ღმერთმა, მეორე ნახევარი მისივე ნეკნიდან იმიტომ შეუქმნა, რომ ერთმანეთი საკუთარი თავივით ყვარებოდათ.*

*P.S. ქალს კი, პოეტესა ია სულაბერიძისა არ იყოს, სულ უნდა ახსოვდეს, რომ კაცის ნეკნი მართებს!*

* * *

შენ კარგი ბიჭი იქნები,
თუ კარგი დარი დაგიდგა!
ასე იცოდა დედამ თქმა —
ვაგლახ, მიმტყუნა ამინდმა!
მაშინ გამოჩნდა ღრუბლები,
როცა სიცოცხლე გამიტკბა,
მაშინ მოვიდა სიბერე...
და ბიჭობაში „გამიტყდა"!
კარგია! ღმერთმა ინებოს
და სიბრძნე გააჯეელოს:
„სიჭაბუკემ რომ იცოდეს
და სიბერეს კი — შეეძლოს!"

* * *

სიცოცხლე — თაეით-კუდამდე
და დიდი ძილის გუდამდე...
ეს ერთი აბდა-უბდაა
და ვყვები აბდას — უბდამდე!

* * *

მამაშვილური —
შვილიშვილური —
სიზმარ-ცხადი და
ცხადი სიზმრები...
გენის წყალობით — გენიალობით —
მეორედ მოსვლის პაროქსიზმები!

...ბაბუის და შვილიშვილის
ოქრომა და ვერცხლმა —
იგიზგიზოს ორი გიზოს
გენის ნიშნის ცეცხლმა!

* * *

შვილიშვილის ლხენით მილხინს,
უხორცო, უშიში ვარ...
ზოგი ამბობს: ვგიჟდებიო —
მე კი უკვე გიჟი ვარ!

* * *

გაიოზს,
დავითს,
დიმიტრის,
ელენეს,
ანას!...
ზღვა-სიხარულის
ვაწვიმებ წვიმას,
რომ ბიბინებდეს

ურად და მუდმივად
შევუწყობთ ხელს
ჩინოვნიკების,
მექრთამეების
თავნებობას, უპრინ-
ციპობას, როცა ბი-
უროკრატიზმი აყვა-
ნილი იქნება სათ-
ნოების სიმაღ-
ლეზე... პატიოსნება
და წესიერება გამ-
ასხარავებული და
არავისთვის საჭირო
აღარ იქნება. იგი
წარსულის გადმო-
ნაშთად გადაიქცევა.
უზრდელობა და თავ-
ხედობა, ცილისწა-
მება და მაწანწალო-
ბა, ლოთობა და
ნარკომანია, ცხოვე-
ლური შიში ერთიმ-
ეორისადმი... უსი-
რცხვილობა, ნაცი-
ონალიზმი და ხალხ-
თა შორის მტრობა,
უპირველეს ყოვ-
ლისა, რუსი ხალხის
მიმართ, ყველაფერი
ეს ოსტატურად და
შეუმჩნევლად იქნე-
ბა კულტივირებული
და აყვავდება მრავა-
ლი ფერებით. მხ-
ოლოდ ზოგიერთნი
მიხვდებიან და გაი-
გებენ კიდეც, თუ რა
ხდება, მაგრამ ასეთ
ადამიანებს ჩვენ ჩა-
ვაყენებთ არამოდურ
მდგომარეობაში და
ქვეყნის სასაცილოდ
გავხდით, მოვძებ-
ნით ხერხს, რომ
მათ ცილი დასწა-
მონ და ისინი სა-
ზოგადოების ნაძი-
რალებად გამოაცხა-
დონ. ჩვენ ვიბრძო-

ეს ჩემი ყანა,
მე — სიტყვა-ღმერთით
აღვაელენ წირვას!

* * *

შვილიშვილების ალერსსა,
ოქროს კალამი სჭირდება,
რას დაუმალავ ამ ლექსსა,
როს მზე გასკდება კვირტებად!
გაზაფხულს ერთი სული აქვს —
ტყემ გამოისხას ფოთლები
ჩამოიაროს მთა-ბარი,
ოცნებითა და კოცნებით!
გაანიავოს ნიავი,
დაჰბეროს სიყვარულითა,
გაამოსა და გამრაელოს
მამა-შვილ, დედა-წულითა!

* * *

მარადიულ გაზაფხულს
ვხედავ შვილიშვილებად...
როს ზამთარი დაგვზაფრავს —
მაშინ რა გვეშველება?
წარსული ჭირს მოგჭამს და
წინ ვერაფერს ხედავო —
სხვა რა გვიყოს დრო-ჟამმა...
ღვთისმშობელო დედაო? —
დედაე ღვთისა, მარიამ!
შენი არე-მარეა,
ეს წილხვედრი ქვეყანა...
შენს იმედზე არია!
შენი ლოცვა-კურთხევით —
შეგვარჩინა კუთხე ვით —
ღვთის წყალობა — ვალობა —
გვაცოცხლე ამ იმედით!
...ჩვენი შვილიშვილებიც
გულის-გულს მოძებნიან
და მეორედ მოსვლაში
კვლავ გამოგვადგებიან!
იმედს, რომ არ გავუსწროთ,
თურმე, ასეც ხდებაო —
ამბობენ, რომ იმედი...
სულ ბოლოში კვდებაო!
ღმერთო, შენი იმედი,
ღმერთმა არ მოგვიშალოს.
სული — არ დაეცეს და
გულმა — არ იმშიშაროს!

* * *

ვარ ამ მამა-შვილობის და
სიყვარულის ამოხსნაში.
— რატომ უყვარს მამას შვილი?
— მისი თავი უყვარს მასში!

* * *

დაბადებისას, სამშობიაროში ბორკილივით რომ დამადეს ბირკა (ჩემი გვარით), მას შემდეგ ხელზე ეს ოქროს ხუნდი მადევს და „რაც არ ექნას მამაჩემსა" ვერც მე ვხევ ამ „მარმაშებსა!.."

ახლა კი, ჩვენი ტრადიციის ამოსაგდებად, პირადობის მოწმობიდან და პასპორტიდანაც ამოაგდეს მამის სახელი და ასე უსახელოდ, ამგვარი უგვაროობით, იმდენ უგვანობას გადაგვეყარეს, რომ სად ვგდივართ — არც ჩვენ ვიცით და არც ეშმაკმა...

თუმცა, ფუი ეშმაკს — ეშმაკმა იცის თუ იცის — რა დღეში ვართ. ეშმაკი მოყუჩებულა თავის საყუჩებელში და ისედაც გაყუჩებულებს ეშმაკურად გვაყუჩებს...

თუმცა, ასეთი დუმილი სულაც არ არის თანხმობის ნიშანი. როგორც იტყვიან: დუმილი რეკავს!

დუმილი რეკავს ზარივით...
და დგება ჟამი განკითხვის!
დღის წესრიგშია (შარივით)
„ყოფნა-არყოფნის" საკითხი!
მომხსენებელი — ჰამლეტი...
დანიის პრინცის პრინციპით,
არც ნაკლები და არც მეტი —
კაცი გულ-ცეცხლი, ტვინ-ციცი!
უკეთეს მსაჯულს სად ნახავ? —
გაფიცებ მამის აჩრდილსა!
ვერცა ძველსა და ვერც ახალს,
მარჩიელს — კანონმორჩილსა!
დამპალა მისი სამეფო —
ვინ იცის ვისი — ვისშია —
ღმერთი ბჭობს — კაცი იცინის —
ვის წყურია და ვის შია!
მოწმედ მყავს (გულში) ფრანსუა...
ვიიონია გვარადა.
არადა, ყაჩაღი ari —
ყოჩაღს ვეძახით, არადა!
გვეტირება და ვმღერივართ...
არ ღირს სახელი გვარადა...
მაინც ერი და ბერი ვართ...
ო, „სი ვარადა-ვარადა".
მტრის გულის „გასახეთქადა" —
მოყვასის „გასახარადა" —
დარი-ჩავთვალოთ ავდრადა
ავდარი კიდე — დარადა!
სხვა რა ძალა გვაქვს, ძამია —
რწმენის წამების წამია!

ლებით ადამიანების გასარყვნელად ბავშვობისა და ქაბუკობის ადრეული ასაკიდან. ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რომ მოვქრთამოთ და გავხრწნათ ისინი. ახალგაზრდობისგან ჩვენ შევქმნით ჯაშუშებს, კოსმოპოლიტებს.

თბილისს, ჩვენს ახალგაზრდობაში, ჰყავდა თავისი თვითნასწავლი ცეკვამანები — თენგიზ გოგიციშვილი (ა/კ რკინიგზის საავადმყოფოს მთავარი ექიმი), პროფესორები: ოთარ ყანჩაველი და ვახტანგ ქაშიბაძე, ნოდარ უნაფქოშვილი, ოთარ ნოზაძე, პროფესორი ირაკლი მეგრელაძე, ლევან ცომაია; ვირტუოზი გიტარისტები: გივი ზედგენიძე, ბიჭიკო დანელია, სერგო ნაცვალაძე, ვალოდია მებურიშვილი, და მძვინვარებდა თბილისური „როიალიზმი" თუ გიტარის ინდუსტრია!

— ლაზიშვილი იყო „საქართველოს ცეხოვიკა" ოთარის დაპატიმრების შემდეგ ცეხოვიკის

* * *

ახლა როცა ამ წიგნს ვწერ... ის წიგნი გამახსენდა! ერთხელ, ჩემი მიწან-ყლის კაცმა — ძუკნურელმა რეზო გაბრიაძემ, ოკრიბელ გიზო ნიშნიან-იძეს საგულდაგულოდ მაჩუქა ჩვ. წ-ა. II-III სს. რომაელი მწერლის, ელიანის „ჭრელი მოთხრობები" და მარჩიელივით მირჩია — ადრე თუ გვიან, ასეთ წიგნს დაწერო!

მგონი ამიხდა თოჯინების მესაიდუმლის, „შერეკილების" შერეკილის, და „არ დაიდარდოს" ავტორის საავტორო წინასწარმეტყველება.

დღესაც მახსოვს იმ დიდი წიგნის პატარა მოთხრობების სიბრძნე!

ეგვიპტის ბაყაყი, თურმე, ყველაზე ჭკვიანია საბაყაყეთში! (კუს ტბის ბაყაყების შემდეგ... ტრაბახში თუ არ ჩამომართმევთ — გ. ნ.).

· პირდაღებულ გველს რომ მოჰკრავს თვალს... იმ წამს მოტეხავს ლერწამს, განზე ჩაიდებს პირში და მას... „პირში ჩალაგამოელებულს" ტოვებს!

ხომ უნდა მოფიქრება!

ახლა მეორე!

არსებობდა ასეთი ანტიკური ტრადიცია, რომელსაც ზევსის ზეიმსა და ბუფონიის ცერემონიალს უწოდებდნენ: ხარს კლავდნენ და მერე „მკვლელობისათვის" ასამართლებდნენ... იცით ვის? — დანას!

...დიოგენს უთქვამს: მან, ვინც იცის, რაზე კვდება — დიდხანს უნდა იცოცხლოს, ხოლო ის, ვინც არ იცის რატომ ცოცხლობს — სიცოცხლეშივე მკვდარიაო!

...არაჩვეულებრივი დეგენერატობით გამოირჩეოდა კიკილიონი, რომელმაც სცადა დაეთვალა... ზღვის ტალღები!

...არისტიპი მოუწოდებდა ხალხს: ეფიქრა მხოლოდ აწმყოზე! წარსული — წასულია, მომავალი — მოვა თუ არა, არავინ იცის, დღევანდელი დღე კი სახეზეა!

P.S. აი, ასეთი მზესუმზირასავით „საკნატუნო" და ჭკუის სასწავლებელი წერია იმ წიგნში. მაგრამ სად ელიანი და სად მე?..

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო!.. სიცილი კი (თანაც ღმერთების) მოგეხსენებათ, გადამდები ყოფილა და ა, ბატონო, ფაქტი სახეზეა!

* * *

...პაემანში ვერაზე ერთი შეხება ზემოხსენებულ ელიანთანაც მქონდა!

ჭრელი ამბავია
და ჭრელ მოთხრობებში,
სულისძერით გვაუწყებს ჭრელი ელიანი —
ათენელ ჭაბუკს რომ ძეგლი შეუყვარდა —
ყველამდე რომ მოსწვდა ტრფობის ლელიანი!
...ხუთასთა საბჭოში წარბები შეიკრეს,
პრიტანებს შეექნათ ცილობა...
სიშმაგე, წესით და ადათით, შეიპყრეს,
ჩვეულის საბუთის სიდინჯით შეიკლეს:
ვინ თქვაო ქვა და ქვის ცოლობა?
...მან შექმნა მარმარილოს ოცნება,
მერე ვერ გაეყო ორად,
გამოძერწა ლამაზი ქანდაკება

*პლატონი ადამიანის ვნებებს ადარებდა იმ გადარეულ ცხენს, რომელსაც თუ ლაგამი არ ამოსდე, უფსკრულში გადაგჩეხავს!*

და მერე... შეირთო ცოლად!
იგი სამოთხეში გულშეიდად შეეა —
მან თავის ხელებით მოზილა ევა!

ეს სტრიქონები პერსონიფიცირებული იყო თბილისის ნებიერა, ნიჟიერების კასკად, სიცილის კასკადიორ, ჭედურობის დიდოსტატად ცნობილ ქანდაქარ და ქარდაქარ მოსიარულე ალიკა გორგაძესთან — სამხატვრო აკადემიასთან ჩამოვლილ ნყნეთელ „ვირებს" შიშველი ქალის (ანუ ნატურის) ნახვაში (უფასოდ) მანენის ქილას რომ ართმევდა; ველოავტო-მოტომრბოლი ავთო გუნიას მანქანით მუშტარს ქუჩა-ქუჩა რომ ეძებდა — ბოდიში, „სიუ" ხომ არ დაგიძახიათო; სიყვარულით სისხლს რომ „უშრობდა" და თავისას რო უშხაპუნებდა ყველას!

„ჭრელი" მოთხრობებისაა" ისიც, როგორ ახასიათებდა დიოგენი სოკრატეს: მისთის უცხო იყო, თურმე, ფუფუნება. არც სახლი უნდოდა, არც ლოგინი... იაფფასიან სანდლებსაც იშიათად იცვამდა...

ნარმოგიდგენიათ?

და ამას ჰქვიოდა ბრძენი!

მივყვეთ ამბებს!

„ტარენტეში ხალხი სმას დილიდან იწყებს და შუა დღისთვის, უკვე, ყველა მთვრალია" — ასე არ იყო ჩვენი ქუთეისიც!

პითაგორას მიაჩნდა, რომ ადამიანებს ღმერთებმა მისცეს ორი ნეტარი თვისება — აკეთონ სიკეთე და ილაპარაკონ მართალი!

კაი დახლიც დაუდგებათ!

...კართაგენელ განონს სურდა ღმერთების შთამომავლად გაესაღებინა თავი! სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა — დააჭერინა ქვეყნის ფრინველი, გამოამწყვდია სიბნელეში და მანამ არ აღირსა დღის სინათლე, სანამ არ ასნავლა ორიოდე სიტყვა — „განონი ღმერთია!" (ასე უნდა მოსდებოდა ეს — ქვეყანას!) რა მერე? ეს ჩიტები სულაც არ აღმოჩნდნენ ის ჩიტები, რომ მბრძანებლის ჭკუაზე ევლოთ. გალიაში კი იძახეს, განონი ღმერთიაო? მარა, როგორც კი გაუღეს კარები და გაფრინდნენ... სულ გააფრინეს — გადმოასკინტეს იქაურობას და სულ სხვანაირად აჭიკჭიკდნენ. ვიღას ახსოვდა განონი და კანონი!

რაღაც ასეთი ამბავი, მხეცების ცნობილი მომთვინიერებლის — ბაბუა დუროვის მოსკოვის სახლიდანაც მახსოვს... საოცრად სევდიანი ისტორიაა! მისმა ქალიშვილმა სამი ულამაზესი ნეროს ფიტული მაჩვენა და ისეთი ამბავიც მოაყოლა, — ღირს მოყოლად.

— მამა დუროვს, თურმე, მონადირეებმა სამი ცოცხალი ნერო მიუყვანეს. ფანტასტიკური აზრი მოსვლია — ფრინველებისთვის „კადრილი" ესნავ-

ნაცვლად „ოთარაანთ ქვრივი" მოგვრჩა ხელთ...

„არადა, სულ უბრალო შემთხვევა იყო...

ვიწრო ბილიკზე ორი კაცი შეეჩეხა ერთმანეთს. ერთი — რაიონული მასშტაბის პარტიული ხელმძღვანელი იყო, მეორე — „ჩრდილოვანი ეკონომიკის" საქმოსანი. დაახლოებით, თანატოლები იყვნენ. უზღვავი ენერგიით აღსავსენი. ორივე ცხოვრებაზე ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. ამ პარტიულს სულ „ლენინური ნორმები" და „საბჭოური ცხოვრების წესი" ეკერა პირზე და ნებისმიერ გადახრას შეურიგებლად ებრძოდა. ეს საქმოსანი კი ავითარებდა და ავითარებდა ფართო მოხმარების საქონლის წარმოებას. მიოს მარნად აქცია თავისი საამქროები, ასობით ახალ-ახალ სამუშაო ადგილს ქმნიდა. მისი მუშები საკავშირო მინისტრებზე უფრო მეტ ხელფასს იღებდნენ. ყოველივე ეს კი ჩვენს გადაყაყებულ „ლენინურ ნორმებს" და ბორკილებ-

ლებინა და ღია ცის ქვეშ „ციური სპექტაკლი" მოეწყო! და აი, ჯოჯოხეთური წერთნისა და მინიერი „ნამების" შემდეგ დადგა ციური ჟამიც — წეროები ცაში აიჭრენ, შეასრულეს ციური ცეკვა, თავი დაუკრეს მინას და... გაფრინდნენ!..

და ჩვენც გავაფრინეთ!.. მამაჩემმა კი მშვიდად გააყოლა თვალი ლურჯ ცაზე მოლივლივე თეთრ წეროებს და ცოტა დანანებით, უფრო კი სიყვარულით თქვა:

— მათი ადგილი ცაშია!

— აქ, მუზეუმში, ეს ფიტულები საიდანღა მოხვდნენ? — ვკითხე ქალბატონს!

— oო... ეს კი, ნამდვილი სასწაულია... ალბათ ორნითოლოგმაც კი არ იცის ასეთი ტრაგიკული შემთხვევა. ერთ... აბა, როგორ ვთქვა, მშვენიერ დღესო... მოგვადგნენ კარებზე ვიღაც მონადირეები და საფიტულეებად მოგვიტანეს სამი გასისხლიანებული წერო... ესენი უბრალო ჩიტები არ გეგონოთ — ცაზე ცეკვის დროს მოვკალითო!

ეს ის სამი წერო იყო!

* * *

ვაგლახ!

საქართველოს გმირული წარსულიდან — „უქარქაშო ხმლებიდან" — რა შეგვერჩა ქართველებს?

უხმლებო ქარქაშები, კედლებზე ჩამოკიდებული ძველი დიდების ხალიჩები და ლურსმნებზე ჩამომხრჩვალი სათამაშოდ ქცეული თოფ-დამბაჩები, რომელთაც დავიწყების კვამლი ასდით...

* * *

სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის ტერორიზმის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი ბადრი ნაჭყებია:

სომხეთს 60-ათასიანი არმია ჰყავს, აზერბაიჯანს — 90-ათასიანი, საქართველოს კი — მხოლოდ 20 ათასი ჯარისკაცი.

„კვ. პალიტრა", 14-20.08.06.

* * *

ე. წ. შპს „ლიკანის" ყოფილი სანატორიუმის (ახლა რომ ყაზახეთის საკუთრებაა და თვითონ უკვირთ — ამ განძს როგორ შეელიეთო) ექიმს, ჩვენს ახლობელსა და აქაურ მასპინძელს დოდო გიუაშვილს, რომელიც ყოველთვის პაპანაქება სიცხეში გვახსენდება, როცა ლიკანის გარდა, თითქმის, სხვა გზა არ არის, მორიგი სტუმრობის დროს, ჩემი მეუღლე ასეთი სიცილ-ტირილით შეეგება: ჩემო დოდო, არ გეგონოს, რომ მარტო საზაფხულო სეზონის დროს მახსენდებიო!

— ახსენდებათ ის, ვინც ავიწყდებათ — მიაგება პასუხი ქალბატონმა დოდომ ლამის არისტოტელეს ლოგიკის დონეზე.

---

*წინასწარმეტყველი მუჰამედი: კეთილი საქმე·ის არის, რაც ადამიანის სახეზე ღიმილით გაანათებს.*

*აკეთე... სიკეთისათვის!*

*მოტოციკლეტივით იყო – ერთი კაცი დაყავდა და ათასისას კაკანებდა!*

## *ქარწაღებული ხვრიქონები*

### ნეკროლოგი

წამომიშალა ქარმა ფიქრები
და ამიმღერდა ხელში კალამი.
მუზის მორჩილი ვარ და ვიქნები –
აპოლონოვნას ჩემი სალამი!
...რაღაცას ყვება ჩიტი-ჩიორა,
ფოთოლი ფოთოლს ეჩურჩულება,
იდუმალ დუმილ – ხეთა შრიალით –
„ლუქს-ლექსს“ მკარნახობს ტყე-ღრე-ბუნება!
კლდით მომდინარე დედამდინარე,
მთათა დაქალი – მტკვარიც აქ არი...
როგორც კანდელი – მთვარის ნათელი
და მირიადი ვარსკვლავ-სანთელი...
მაგრამ დარია თუ ავდარია,
ეს ქარი, აბა, რისი ქარია –
წამოუქროლა ქართწამონაქროლს
და ღრუბლებივით არიე-დარია...
წამართვა ლექსი... ელოდე ახლა,
ღვთის მოწყალებას
როდის გაიღებს?..
ბედი-მწერალი ლექსს სულ თან ახლავს –
„ქარის მოტანილს ქარი წაიღებს“...

**ლიკანი. 2006.**

## *ლექსპრომტი ჩემს დას!*

ნიშნიანიძე გიზოს დას –
ნიშნიანიძე ნაზის –
დის და დედობის სანიშნედ –
შუბლზე ნიშანი აზის!
და ამ ხაზებზე წერია –
ჩვენი და-ძმობის მადლი,
მე ამ დედმამიშვილობას –
დედაშვილობას ვადრი!
დაო! შენ ჩემი დედაც ხარ,
მე – ძმაც და მამაც შენი,
ჩემი და შენი რამ გაყო –
ორსაც – ერთობა შვენის!
შვილთაშვილებსაც ეცოცხლოთ
ამ სიყვარულის თქეშში –
ამხანაგებში ძმობით და –
ამხანაგობით ძმებში!

❖❖❖

დებულ „საბჭოური ცხოვრების წესს“, ცხადია, არაფერით შეესაბამებოდა.

ამ ვიწრო ბილიკზე... ან ერთი უნდა გადგეს განზე, ან მეორე...

„შენ პარტიული მუშაკი კი არა, სულით ხორცამდე პოლიციელი ხარ, – კბილების ღრჭიალით უთქვა „ჩრდილოვანი ეკონომიკის მამამ“ – პოდა, კაცი არ ვიყო, პოლიციელის მუნდირი თუ არ ჩავაცვა!“

ამან კი ჩაიცვა და დაიმშვენა გენერლის სამხრეებიანი პოლიციელის მუნდირი. მაგრამ ამან კეთილელის „მუნდირი“ ყვარა და 15 წელი ხება გადასახლებაში ციხეები და კოლონიები.

და აი, როგორც იქნა, ცანცქული „ოდისევსი“ მშობლიურ კერას, სახლს დაუბრუნდა. დრო, თითქოს, შეჩერდა, გაირინდა, გაიყინა. კოშმარი დამთავრდა და ითარ ლაზიშვილს შინ გამოეღვიძა... გარემო ნაცნობია. ყველაფერი ისევ ძველებურადაა, თითქოს, აი, მისი შინაურ-ახლობლები – მისი სისხლი და ხორცი... აქ ვიღაც

* * *

მარჯვენა ნაპირიდან მარცხენა ნაპირზე ვერის ხიდს რომ გადახვალ, თავიდან ბოლოში — პირდაპირ წიგნის სახლს მიადგები (ადრე სასახლე რომ ერქვა და ახლა არც სახე და არც სახელი აღარ შერჩა). ეს იყო (და დღესაც არის, მაგრამ ვაი, ასეთ ყოფნას) ქართული წიგნის სამშობიარო, სადაც მეც არაერთხელ მქონდა ბედნიერება, შვილის დაბადების ტოლფასი წიგნის დაბადებას შევსწრებოდი! წინამდებარე „ფოლიანტიც“ სწორედ აქ მზადდება დასასტამბად, მართლაც ბეჭდვითი სიტყვის ოაზისივით შემორჩენილ ამ გამომცემლობის კომპიუტერულ ცენტრ „ოაზისში“ — ქართული წიგნის ძველი ტაძრის ახალი ანგელოზების: ნატო დავითაშვილის, ირინა შაველაძის, მზია ერისთავის მადლითა და მათი ხელებით აწყობილი და გამართული ტექსტის ასოების სასოებით!

წიგნის სახლის სადარბაზო შესავლელის გვერდით პატარა ბუკინისტური მაღაზიაა, სადაც, ყოველგვარი „ბუკ-ნაღარის“ გარეშე, დღევანდელი უწიგნურობით გაუფასურებული ძვირფასი წიგნები, ლამის უფასოდ — რაღაც კაპიკებში იყიდება!

მეხსიერებიდან მოტივტივებს ბავშვობის თავსატეხი და ენის სატეხი სიტყვა: კაპიკი გაკაპიკებულა — საკაპიკეში ჩაკაპიკებულა...

კაპიკი გაკაპიკებულაო!

დავხურდავდით!

დიახ, კაპიკია იმ ცხოვრების ფასი, როცა წიგნის ფასი კაპიკია!

თუმცა — კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო!

რა აცინებდა იმ ჩვენზედ მლოცველსა და ჩვენგან დალოცვილს?

საკითხავიც, აი, ეს არის!..

დანიის პრინცისა არ იყოს.

...მოვდივარ ვერის ხიდზე და ფიქრთან ერთად მათოვს ჩვენი მურმანის ლექსის ფანტელები.

„დილის ბინდში ვერის ხიდზე მოვხვდით... თოვდა, თოვდა... რა კარგია თოვა... გადამიდგა და ბოდიშის მოხდით — გამაჩერა, სიგარეტი მთხოვა. მივაწოდე, — გაიხარა კაცმა, მოვუკიდეთ, — მთვრალი ვარო, მითხრა. გავაბოლეთ, — გულის ფსკერზე დათბა. მადლობა თქვა, რა დროაო, მკითხა... მე ვუთხარი, — ხუთი იყო დილის. ხიდზე დავრჩი, ის გავიდა გაღმა, „ეჰეჰეი!“ — შეუძახა თბილისს და ღიღინით ვერის შეღმართს აჰყვა...“

ღმერთო, დიდებულო!

რამდენი ასეთი დილა დაგვთენებია თავზე.

ვფიქრობ ჩემთვის და ხვდები ალბათ!

კაცმა კაცს სიგარეტი სთხოვა.

დიდი ამბავი!

დიახ ასეა. ასე რომ არ იყოს, ეს ლექსი არ დაიწერებოდა. ასე ვერავინ ვერ გააბოლებდა წუთისოფელს; ასე ვერავინ მიესალმებოდა თბილისს და ასე არ დათბებოდა კაცის გულში!

---

*მარატუსტრა: სიკეთის კეთება მოვალეობა არ არის. ეს სიხარულია, რამეთუ ჯანმრთელობას აუმჯობესებს და ბედნიერებას ამრავლებს!*

*საქართველოში თამადის არჩევას უფრო სერიოზულად უდგებიან, ვიდრე... პარლამენტისას!*

რას არ მივცემდი, ახლა, ერთი ასეთი პაპიროსის მოწევაში.

მთელი თბილისის ბიჭები ერთმანეთის „ბიჩოკე-ბზე" ვართ გაზრდილი და მძვინვარებდა თბილისში სიყვარულის ეპიდემია!

რაც თვალს დააკლდა — გულს მიემატა!.. ასე მეჩვენება, რომ ვერის იმ ალმართიდან... დაღმართი დარჩა!

აი, ამ ფიქრით მივდივარ ვერის ხიდზე და საკუ-თარ თავს ვემასლაათები... სხვა „აზრზე მომსვ-ლელებსა და ხიდზე გამსვლელებს" კი უკვირთ — ეს კაცი თავის თავს რას ელაპარაკებაო? ისიც არ იციან, ერთ ძველ თბილისელს ამაზე რა უთქვამს: საკუთარ თავს იმიტომ ვემასლაათები... მიყვარს ჭკვიან კაც-თან ლაპარაკიო!

რას ერჩი?

არავისაც არ ვერჩი, მივდივარ ჩემთვის და მი-მაქვს „დარდის გუდურა გრილი"...

ახლა, ჯერ, იმ, უკაცრავად პასუხია — უკაცრიელ ბუკინისტებში შევივლი. თვალს ნყალს დავალევინებ, ჯიბეებს მოვიფხიკავ, ჩემს სანიგნეთ-სამეგობროს გავახარებ, ახალ ნიგნებს დავაბრძანებ ნიგნის თაროზე, მერე „ოაზისში" ავალ და ჯერ არ გამომ-ცხვარ საკუთარ ნიგნსაც შევეხმიანები.

აქ ფოლიანტები პირდაპირ ქუჩაში აქვთ გამოდე-ბული, რომ დღეს... დღის სანთლით საძებარ მუშ-ტარს ნიგნი პირდაპირ თვალში შეეჩხიროს და გვერ-დი ვერ აუაროს.

ნეტა იმ დროს, როცა ეს ნიგნები დახლქვეშოდან, ანუ დიდი ნაცნობობითა და, თანაც, ზედმეტ ფასებ-ში იყიდებოდა!

ამ მაღაზიაში შემსვლელი კაცი მუშტრის თვალით არ უყურებს გამყიდველს და გამყიდველიც სხვა თვალით ზომავს და ცნობს მყიდველს.

— როგორ გიკითხოთ, ბატონო გიზო? — კითხ-ვით შემომეგება ნიგნებით გადაჭედილი ციცქნა მა-ღაზიის თანამშრომელი დარბაისელი ქალი.

— მიცნობთ? — გამოველაპარაკე.

— ჩვენ ჩვენი მაღაზიის მრევლს სათითაოდ ვიც-ნობთ... ბრძანა ქალბატონმა, — რა ბევრი ეგენი არი-ან!..

და უცბად ვილაც „უპოვარ" კაცზე ჩამომიგდო ლაპარაკი, რომელიც, თურმე, ქუჩაში ცარიელ ბოთ-ლებს აგროვებს, მერე კაპიკებში ყიდის და მერე იმ კაპიკებით... ნიგნებს ყიდულობს!

ამ ნინადადების ფინალმა... გამომაფხიზლა!

ჯერ ნარმოვიდგინე ვილაც „ბომჟი", უპოვარი... მერე ნარმოვიდგინე „დიოგენის" მასტის კაცი, მერე ვილაც შერეკილი... მახლას, ბოლომდე მაინც ვერ

უცხო ახალგაზრდა ქალიცაა...

ოთარ! – ეს-მის ცრემლიანი შეძახილი, – ოთარ, შვილიშვილს რატომ არ აკოცე?!

შვილიშვილს?!

დავიწყებით – ვერ დაივიწყებს. თუმცა, ყველას ყვე-ლაფერს შეუნდობს ოთარ ლაზიშვილი. მხოლოდ ერთ რამეს ვერ აპატიებს ვერც საკუთარ თავს და ვერც სხვებს... ეს მისი შეცდომა გახ-ლავთ – შვილიშ-ვილი, საკუთარი სისხლი და ხორცი, უცხო ქალი რომ ჰყ-ოლია...

...იმისთვის, რისთვისაც მაშინ ოთარ ლაზიშვილი ჯვარს აცვეს – დღეს ლოცულობენ და პირჯვარს სწერ-ენ... ბიზნესმე-ნებს!

ცუდი ხალხი – კარგად არის.

კარგი ხალხი ცუდად...

აი, რატომ მეჩვენება

ეს ცხოვრება მრუდად!

ესტონური წარ-მოშობის ამერიკელ-მა მეცნიერმა პრო-ფესორმა პანკსეპ-მა ერთობ სენსაცი-

წარმოვიდგინე ეს წარმოუდგენელი ამბავი და... ამ „ამპლიტუდა-ამპლისუდაში" რომ ვარ, გადავწყვიტე, თვალით მენახა ეს კაცი და ვთხოვე ქალბატონს — ან ჩემთვის შეეტყობინა მისი მორიგი გამოჩენის ამბავი, ან მისთვის მიეცა ჩემი მობილური ტელეფონის ნომერი!

და აი, ერთ, მართლაც მშვენიერ, მაგრამ აფორიაქებულ დღეს, გაისმა ტელეფონის ზარი და ზარივით ხმა:

— თქვენ ჩემი გაცნობა გინდათ? წიგნის სახლთან გელოდებით!

მოვახტი მანქანას და გავკურცხლე.

ვერის ხიდის თავიდან ბოლოში... ეგრევე მოვკარი თვალი ქუჩა-ქუჩა ნაგროვები „კოკა-კოლების", „ნაბეღლავების" და რა „ღლავებისა" აღარ... ცარიელი ბოთლებით დახუნძლულ ველოსიპედს, რომლის დანახვა სრულიად საკმარისი იყო მისი იმ უპატრონო პატრონის წარმოსადგენად, ვის გასაცნობადაც ახლა, ჯერ ჩემთვისაც გაუგებარი — ინტერესით მივდიოდი.

წიგნის სახლის ზღურბლზე ვიღაც ჩაწჩურა და გატიალებული კაცი კი არა, საკუთარ ქანდაკებასავით ჩამოსხმული, მზით გამომზეურებული, სპილენძისფერი, შუახნის... სპორტულად აღნაგი და ჩაცმულ-დახურული კაცი იდგა!

— ნოდარ ჩერქეზიშვილი!

კახელია. 51 წლისაა. სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროდან. 12 ენაზე შეუძლია ლაპარაკი; ჯარგამოვლილია; წნორის მეცხოველეობის კომპლექსში მთავარ ზოოტექნიკოსად უმუშავნია; არც მშობლები ჰყავს და არც ცოლ-შვილი; აქვს ვენახი, ჰყავს ერთი ჭკვიანი ძაღლი — მურაზა, 2 ძველი ავტომანქანა: მოსკვიჩი (400 და 403), 5 ველოსიპედი; წურავს ყურძენს, იწურავს ოფლს, იწევს მოსავალს; ჭირნახულით ილხენს; მეგობრობს წიგნებთან; წიგნებით ისწავლა ენები; წიგნებით ისწავლა ხელოსნობა (ტელევიზორებსა და ელექტროტექნიკას, ავტომანქანებსა და ხელსაწყოებს თვითონ არემონტებს)... წიგნებით მოიხელკეთილა ათასი ხელობა და ოსტატობა...

— ამოვა მზე — ავყვები...

ჩავა მზე — ჩავყვები...

ამოვა მთვარე — ამოვყვები...

გაივლის ქვეყანას — გავყვები...

და მიმაქვს ასე ჩემი წუთისოფელი, — ამბობს ბუნების ნებიერა კაცი. ჩემი თავის უფროსიც მე ვარ — უმცროსიც!

...სოფლის გაგებას ათასი თავსატეხი უნდა! არადა, თვითონ სიტყვაშია გასიგრძეგანებული. დააკვირდით: სიტყვა „სოფლის" 2 „ს"-გან შედგება, დანარჩენი კი სულ „ოფლია"! მააშ!

სოფლის კაციცა ვარ და ქალაქისაც!

სოფლიდან ქალაქამდე შორია... ადგილ-ადგილ, ძმაკაცებში გავივლი. ზოგან ფანდური მაქვს დატოვებული — ზოგან დოლი, ზოგან გარმონი და ესეც შენი ტაშ-ფანდური — სულ ქეიფსა და შრომაში ვარ!

---

*„კვ. პალიტრა" 7-13.08.06. „ფოტო განწყობისათვის"*

*ფოტოზე მთვარესავით ბავშვს ძინავს. ქვემოთ კი წარწერა გვამცნობს:*

*– სანამ ქვეყანა არ დალაგდება, არ გამაღვიძოთო.*

*P.S. უმნაძის განწყობის თეორიის დიდი ცოდნა არაა საჭირო, რომ მიხვდე, რა ძალა აქვს ამ სიტყვას.*

— ჯანზე კარგადა ხარ? — შევაშველე კითხვა.

— ავადმყოფობისთვის სადა მცალია, — მომაგება პასუხი და კახეთში დამპატიჟა — ყურით გაგონილს — თვალით ნანახი სჯობიაო.

?!

გაოგნებული დავბრუნდი სახლში, სადაც, როგორც ყველა ოჯახში.. . ჯახა-ჯუხი და უამრავი პრობლემაა.

ვინ იყო ეს მოჩვენება? — ვფიქრობდი გუნებაში და ტვინის ხუჭუჭებიდან — თვალის ეკრანზე თვალდათვალ თუ გულდაგულ, ტიტრივით ამოდიოდა პასუხი — „საინტერესო კაცი!"

P.S. საღამოს, ცნობილ „კანონშნიკ" რეზო კვესელავას შვილმა (გაუგია ჩვენი „პაემანი ვერის ხიდთან") დამირეკა და მითხრა, რომ არსებობს ასეთი, ასე ვთქვათ დიოგენივით კაცი — ნოდარ ჩერქეზიშვილი, რომელზეც იგი აპირებს მხატვრულ-დოკუმენტური ჩანახატის გაკეთებას.

და ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ უნიკალურ კაცს რთველობაზე ვნვეოდით... ფილმის გადასაღებად!!!

...ტახტზე ნამოვნექი, თავქვეშ ხელები ამოვიდე, ფიქრებში ნავედი და რატომღაც (თუმცა, რაღა რატომ?) რევოლუციამდელი სატირული პერიოდიკიდან (ჟურნალ „ნიშადურისა" თუ „ეშმაკის მათრახის" ფურცლებიდან) ზუსტად საუკუნის ნინანდელი გრაფიკული სატირის ნიმუში — კარიკატურა გამახსენდა:

ერთ ჩაშლიაპებულ-ჩაგალსტუხებულ კაცს ქუჩაში „დუხავორი მუზიკითა" და დიდი ზარ-ზეიმით ხვდებიან.

— ვინ არის ეს კაცი? — კითხულობს ვიღაცა.

— როგორ თუ ვინ?.. ეს ის ერთადერთი კაცია, რომელიც ჩვენც ქალაქში სნორად გადავიდა ერთი ქუჩიდან — მეორე ქუჩაზეო?!

ახლა პირი ისევ აქეთ მიქნია...

ყველა შედარება მოიკოჭლებს, მაგრამ ისე, კაცმა რომ თქვას, რა მოხდა მერე, კაცს ნიგნი რომ უყვარდეს. დაიქცევა ქვეყანა თუ უკვე დაქცეულია?

* * *

სავარაუდო ფირნიში საპყრობილეზე!

(პენიტენციალურ სისტემაში შექმნილი კრიზისის გათვალისნინებითა და სიმღერა „ციხეს რად უნდა რკინის კარების" თანხლებით!)

„შესვლა აკრძალულია...

გამოსვლა... მით უმეტეს!"

ური განცხადება გააკეთა: „ცხოველებმაც იციან სიცილი... პოდა, ადამიანის შემხედვარე მაიმუნებს და მხეცებს, სასაცილოს რა გამოულევს!..

„რაო-რაოში კი ისიც წავიკითხე, რომ ინდოეთის ერთ-ერთი მინისტრის კაბინეტი მაიმუნებს ჩაუგდიათ ხელში და იქედან ვერ ყრიან.

ასე ადვილი რომ იყოს ამ ოხრების გამოყრა, ვინ გააჩერებს ამდენ მაიმუნს ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე?

ციალა ბრეგვაძე: „იმ ავბედითი წლების გამოძახილი" („მწერლის გაზეთი" 2005. N 14).

პოლიცპაციმარი ი. ყენის გვიამბობს: „საშინელ მდგომარეობაში იყვნენ პაციენტები: მათი უმრავლესობა რამდენჯერმე იყო ნაცემი. ჯალათებად შერჩეული ჰყავდათ განსაკუთრებულად ღონიერი კაცები, საცემი იარაღით სათანადოდ აღჭურვილნი: დაგრეხილი სველი თოკი, ბრტყელი რეზინის ლახტი, თოფის ხუმ-

* * *

როს სიყმაწვილის ქროდნენ ქარები,
როს ხმაურობდა სისხლი ძარღვებში,
გამოეიხურეთ სახლის კარები —
დაეყოჩაობდით ჩვენ — ჩვენს „არეეში“!
სიბერე მოდის, ძმებო, აგანდა...
დაგეგრიალებდა სცილა-ქარიბდა...
ქარის მოგანილს — ქარებს ვაგანდით —
დროს ვაგარებდით — დრო გვაგარებდა!
გულის საკითხავს... თავს არ ეკითხაედი,
თავის საკითხი... გულს არ ახსოედა,
და მაინც ჩანდა, ახლო-მახლოდან:
თავი — გულს, გული — თავს კარნახობდა.
„ქუჩის დონემდე არ დაეეშვათო“!
თავს ნებას ვაძლევ, რომ გავთამამდე —
ეთქვა უეშმაკოდ, თუნდ „საეშმაკოდ“:
ქუჩის დონემდე უნდა აემაღლდეთ!
იმ ქუჩამ იყო, რომ შეგვაქუჩა —
დედა-ქალაქი აქცია ბურჯად!
ბოროტებაზე დღეს თვალებს ეხუჭავთ...
მაშინდელ ქუჩას — სხვა პირი უჩანს!

## *გაბრაზებულო გულზე!*

შვილიშვილებო!
ვირიშვილებო —
სოროსირებო
და შეშლილებო! —
თქვენს ბაბუებს რომ ახსენებთ შავად —
თოვლის ბაბუამ რა დაგიშავათ?
გაუშვით იგი მის პენსიაში! —
რატომ წერია დღეს შავ სიაში?
ამ ბებრუხანას ნეტავ რას ვუქებთ?
მიჩვეული ვართ მისგან ნაზუქებს!
ო, თქვე ეშმაკო, ცუგრუმელებო —
ნებიერებო, შტერზე შტერებო —
თქვენი დროც მოვა — გაინაპირებთ...
ნუთუ სიბერეს აღარ აპირებთ!
რა პირით გინდათ შეხვდეთ შვილიშვილს? —
თქვენსავით ვირს და უფრო ვირიშვილს!
კვლავ სიყვარული მალაპარაკებს
და ვწერ ამ ნაგავ — იგავ-არაკებს.

*დედას პური — მამის ულვაშს ჰგავს.*

*სიბერემ ხმის უფლება მომცა და ხმა კი წამართვა!*

## „ვაჰ, დრონი, დრონი!“

1. როცა წელი იბადება —
12 ბოძზე ხიდს გადება —
უნდა — გზა და ალი-კვალი —
წარსული და მომავალი —
წლის დარი და წლის აედარი —
წინ მეწყერი — უკან წყალი —
იანვარი — ორი თვალი —
ორი თვალით მისათვალი —
ძველითა და ახალ კურსით —
პირველია იანუსი!
2. „თებერვალი დადგაო“ —
ხეში წყალი ჩადგაო“...
მერწყული ვარ (თებერვლის)
და რა ძალა მადგაო —
გამაფხულს მოვყოლოდი —
იმედი არ მქონოდა —
ბედ-იღბლისა და თუნდაც —
პირველობის... ბოლოდან!
...„თებერვალი-ბერავსო —
მარგი კაბას კერავსო“-
აპრილი კი ჩქარობს და
„სახნის-საკვეთს კვერავსო“.
თებერვალი-მერწყული —
ჩემი ზოდიაქოა!
დღესაც გვერდზე გამიხმობს —
ერთი, მოდი აქო და
სულ ბავშვიებით მარიგებს —
ჭკუის სწავლებაშია —
მისი სულმოკლეობა —
ამ თვის სათვალავშია!
13-ში დაბადებულს —
29 რომ მრგებოდა —
მაშინ რაღა მექნა და
რაღა მეშველებოდა?..
3. ...ნურც აქებ-ნურც აგინებ —
(მთელი სიგრძე-სიგანით)-
გიჟი მარტი თუ გიდევს
წინ — ასე ვთქვათ — მირკანი!
მარტის მარტოობაში —
სიმარტივე როდია —
ტანზე იხევს ზამთარი
და ისმის რაფსოდია —
გაღვიძებულ მიწისა —
დაბრუნებულ მერცხლების —
მზის გამომზეურების —
და მთვარის შეერცხლების!

ბა და სხვა. სცემდნენ პერმა-ნენტულად, ჩაკეტილ ოთახში, თუ პატიმარი თავს დამნაშავედ მაინც არ აღიარებდა... ცემის გარდა სხვა მეთოდებსაც იყენებ-ნენ. თავდაყირა დაკიდებდნენ, სანამ სახე არ გაულურჯდებო-და, ან პირიდან და ცხვირიდან სისხლი არ წასკდებოდა, ზურ-ჯოხის ბოლოზე აჯენდნენ, ან სკამზე, რომელიც შუა ადგილზე ამოჭრილი იყო სათესლე ჯირკვლების ჩასაწყობად. ქვე-მოდან ჯირკვლებზე მძიმე გირებს ჩამოაბამდნენ და სა-თობით საცანჯავედნენ. ხშირად, დიდ სიმძიმეს, წიგნებს ზურგ-ზე აკიდებდნენ და დღე და ღამის განმავლობაში ფეხზე დამდგარს აყურყუტებდნენ, რომ პატიმარს ყალბი ბრა-ლდებანი ეღიარებინა. ჰქონდათ ერთადგილიანი საკანი, რომელშიც მხოლოდ ფეხზე დგომა შეიძლებოდა. საკანში ჭერი გახვრეტილი იყო და წყ-ლის წვეთები გამუდმებით ერთ წერტილზე ეცემოდა პატიმარს.

ყოველ ღამე 50-60 კაცი დასახვრეტად მიჰყავდათ.

ილია ბარამიძე:

<u>წუთისოფელი</u>

ღმერთო, რა ცოტა მომეც დრო
ხილვად ხეც-ხალიცავების.
წუთში რა უნდა მომესწრო
მოვედი.
ვნახე.
წავედი.
უნდა მომესწრო რისი თქმა —
წუთში შენს ნებას მინდობილს,
თუ არა ხმა სიცოცხლის:
ხალხმა,
გმადლობთ,
მშვიდობით...

**P.S.** ლექსი მანამდეა ავ-ტორის, სანამ ის „ამოთქვამს“... მერე კი ყველასია.

4. და იჟეთქებს აპრილი –
ტყეთა, ხეთა კეირტებში –
ამღერდება მთა-ბარი –
ჩიტებსა და გერიტებში.
5. მაისი რაისია –
თუ არ გაიმაისა –
თან ვარდობის თვე არის –
თან ლამაზი ქალისა.
6. თიბათვეა იენისი,
7. მკათათვეა ივლისი,
მზე გვიმზერს და
მზეს ვუმზერთ –
ბაჯაღლოა დილისი!
8. ოფლი და რეალობა –
არის მარიამობა!
ელოცავთ, თვალს არ ვაშორებთ –
ჩვენს წილხვედრილ ღვთისმშობელს.
ეს აგვისტოს ხვატია –
ბევრჯერ დამიხატია –
პირჯვარი მიწერია
დღე ღამეზე ბრძენია!
9. ენკენისთვე – სექტემბერს –
ვიწვევთ ნადს და ვიწყებთ რთველს!
10. ღვინობისთვე – ოქტომბერს –
ქეიფი აქვს ერს და ბერს!
11. ნოემბერი, ბატონო,
გიორგობის თვე არის –
კარს მოგვადგა ზამთარი –
ცაზე ჯერაც მზე არის!
12. ქრისტეშობა – დეკემბერს –
რასა იქმ უკეთესსა –
პირჯვარს ვიწერ, რადგანაც
ქრისტე იშვა ბეთლემსა!

P.S. წელმა – წლისა ასრულა –
წელიწადიც – გასულა!
ზოგისათვის – წასულა –
ზოგისათვის – მოსულა!
რადგანაც სიბერეში –
ვერ გაიგებ, რა ხდება!
წლები, რაც გემატება –
იმდენივე – გაკლდება!

---

*ზოგ პოლიტიკოსს ბატს ადარებენ და სულ აეიწყდებათ ბატების დამსახურება ისტორიის წინაშე: როგორ იხსნეს მათ რომი.*

*დედამიწა ბრუნავსო, – უთხრეს რევოლუციით თავბრუდახვეულ კაცს, – გააჩერეთ, ჩავდივარო! – უთქვამს.*

## რევოლუციის ევოლუცია!

### (ანუ დარვინიზმ-არვინიზმი!)

„თევზი თავიდან ყარსაო“...
და საქმე ისე წავიდა –
ჯიხვი-არხარი გაეირდა –
ვირი კი ხეზე ავიდა!
ყვავი აყვავდა ყვავობით,
ყორანიც ხეხვით გათეთრდა
და ამ „მგელი და კრავობით“ –
შავი დღე თეთრად გათენდა!
ჩვენ ვუსტვენთ – გვისმენს ბულბული,
თბილ ქვეყნებს ეძებს მერცხალი,
სამოთხე გახდა ჯურღმული –
უკან მეწყერი – წინ წყალი!..
კაცი-კაცს არ ჰგავს, ქალი-ქალს –
ლხინი აქა და არ-იქა!..
„კაცი – კაცისთვის მგელია“ –
თუმცა, არც მგლები ელიან...
კარგია – ამ კეთილძაღლისგან –
გაძაღლებული ახლისგან –
უძაღლო ქვეყნის საძაღლეთ –
ძაღლის და მამაძაღლისგან.
მხეცი არ გაკაცებულა,
თუმცა, კაცი კი გამხეცდა!
და ეს ქვეყანა ქცეულა –
ერთ დიდ ვაც-კაც თუ –სამხეცედ!
ოთხფეხი იქცა-ორფეხად –
ორფეხი ხეზე ავიდა –
კაცის გამაიმუნება –
იწყება ისევ თავიდან!

* * *

მწერლების განსხვავება... მკითხველშიც იკითხება!

მთავარი ის კი არაა — ვინ წერს? მთავარია ის — ვინ კითხულობს?

და ბოლოს (კიდევ ერთხელ)!

ვინ იცის, მკითხველს – მწერალი,
სხვა რა სიდიდით ცნობია?
მჯობნის-მჯობნს, აბა, რა დალევს?
ჩემი – მკითხველი ჯობია!

❖❖❖

გიორგი ბეზირგანი:

სახელისუფლო თამაშები სასიკვდილო შედეგით!

როგორც ვლადიმერ ილიჩი იტყოდა – სწორი გზით მიდიხართ, ამხანაგო ბონაპარტ!

ფრანგების მომავალი იმპერატორის „მეუზანგე“ ოგიუსტ რობესპიერი დიქტატორის ძმა იყო. ბრიგადის გენერლობა სწორედ მან მისცა.

საქართველოს მომავალი პრეზიდენტის მეუზანგეობა ოგიუსტისგან განსხვავებით, თავისდაუნებურად – ოთარ ლაზიშვილს ერგო.

სწორედ მან მიანიჭა ედუარდ შევარდნაძეს გენერლობა. თუმცა, არმიის კი არა – მილიციის.

აქ, ალბათ, ერთი იგავის მოყოლა იქნებოდა უპრიანი – პარლამენტარსა და საქმოსანზე, ანუ, თანამედროვე ენით, ბიზნესმენზე. პარტმუშაკმა ბეჯითად გაიარა პიონერული რაზმეულები, კომკავშირული სალაყაფო და, წესისამებრ, დროთა განმავლობაში ერთ-ერთ რაიონს ჩაუდგა სათავეში...

საქმოსანი, ანუ ბიზნესმენი, რომელმაც საფაბრიკო-საქარხნო წვრთნა გაიარა და ე. წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ წარმომადგენელი იყო.

მოკლედ, ორივე – პარტმუშაკიც და ბი-

* * *

აფრიკაში თოვლი მოსულა!

აფრაკადაა ბუნების საქმე.

თბილისში ტროპიკული სიცხეებია.

მზის შიშით თავი ვერ გამოგვეიყვია.

აგვისტოს ხვატს ლიკანში ვაფარებ თავს, ჩემი ცოლ-შვილიშვილით. ვსვამ ბორჯომის წყალს და თვალს წყალს ვასმევ იმ ძველ ქართულ ოაზისში, რომელსაც, ადრე, პეტრე იოსელიანის მასპინძლობით, ქართული სამოთხე ერქვა და ახლა ყაზახური შპს ჰქვია!

გალაკტიონისა არ იყოს — სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული! თვითონ თემურ ლენგის შორეული შთამომავალი — თვალშეშუპებული ყაზახები თვალდაჟყეტილი გვეკითხებიან: ნალკოტს რომ ყიდით — ამის ფასს რას ყიდულობთო?

ეს სხვა თემაა!

ახლა სულ სხვამ ამაღებინა ხელში კალამი და ამ მცირე მოსვენების დროსაც არ მომასვენა.

...შადრევნებსა, რომანოვების ულამაზეს სასახლესა და კოხტა საგარაკო კოტეჯებს შორის მიქარგულ-მოქარგულ და მიკარგულ-მოკარგულ სასეირნო ბილიკებზე მისეირნ-მოსეირნობენ ახალი — უცნობები თუ ძველი ნაცნობი... მოაგარაკენი და აგერ... მშვენიერი ნანა ყიფიანიც, თავისი მშვენიერი რძლით — ნინოთი?!..

აქ, კითხვისა და ძახილის ნიშანს კი იმიტომ ვსვამ, რომ სწორედ ერთმა კითხვამ დამაფიქრა და ერთმა ძახილმა შემომძახა — მეკითხა და მეთქვა სათქმელი!

ამ ლამაზი რძალ-დედამთილის დანახვის „ელდას" გალაკტიონის „მესაფლავის" ჩრდილი დაეცა და ალბათ, მისი საფინალო სტრიქონების კითხვის ნიშანს დავემსგავსე:

„მესაფლავევ, ახლა კი გაქვს ნება, რაც გსურს, კვლავ ისა თქვა.

სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას — სამარის ქვა"...

ასეა ეს? პირველად შევიტანე ეჭვი გალაკტიონში.

ნანა ყიფიანის ერთადერთი შვილი, ოცდაერთი წლის, ზღაპრის უფლისწულივით ულამაზესი... კოკა ჯიბლაძე ავტოკატასტროფაში დაიღუპა... ზღაპრის ფერიასავით ლამაზი მისი დედა — ნანა ყიფიანი კი... მინდვრის ყვავილივით მოცელა სიკვდილის ცელმა, ოღონდ პირში სული კი შეარჩინა. „თოვდა და თოვდა" — კალამი უტირის გულო კობიაშვილს...

...მაგრამ ეს მოხდა ათეულობით წლის წინ და დრო რომ მართლაც მკურნალი იყოს, აქამდე ამ სიყვარულსა და უბედურებასაც სიო მაინც წამოუქროლებდა...

შენც არ მომიკვდე!

სიკვდილსა გლოვა უხდებაო — ვაჟამ.

ვაჟას სიტყვას როგორ შევუბრუნებ, მაგრამ ვბედავ და ვიტყვი:

სიკვდილს სიცოცხლე უფრო უხდება!

აი, რა დავინახე ნანა-ნინოში!

---

*ნაოჭები სიცილის სხივებს ჰგავს.*

*დღეს რამდენი კაციცაა – იმდენია სიმართლე!*

*წუთისოფელი ყველაზე ცრუა მაშინ, როცა ყველა მართალია!*

დაქალებივით მოდიოდნენ და ძმაკაცობაში ატარებდნენ დარჩენილ ნუთისოფელს... კოკასთან ერთად! კოკასთან, რომელიც სიცოცხლის ყველაზე დიდი ნყურვილის ჟამს... სიცოცხლის ნყაროზე გატყდა.

საიდან ასეთი სიბრძნე-სიყვარულისა?

და აი, თურმე, საიდან!

იმ დღეს, ნანა ყიფიანმა დედამისის — რესპუბლიკის დამსახურებული მასნავლებლისა და კონცერმეისტერის, ყვავილების მესაიდუმლისა და იკებანას დიდოსტატი ქალბატონის, ეთერ ჭეიშვილის ნიგნი მაჩუქა, რომლის სულს ეს ერთი ლექსიც ეყოფა სასიცოცხლოდ და შვილისთვის — დედობის, შვილიშვილისთვის — ბებიობის, ჩვენთვის კი — სიკეთის განსახიერებად:

„...ყვავილს, რომელსაც შენ იპოვი, — ეს მე ვიქნები; აგედევნება მთის ნიავი — ეს მე ვიქნები; აშრიალდება ტყის ფოთლები... ეს მე ვიქნები; ნყარო ანკარა გიამბობს ზღაპარს, — ეს მე ვიქნები; მზის მოლოდინში... თეთრი ნისლი — ეს მე ვიქნები; შენს სარკმელთან მოფრენილი თეთრი ფიფქები — ეს მე ვიქნები; შენს თბილ ლოყაზე დამდნარი ცრემლად, — ეს მე ვიქნები"...

სიკვდილიც ცოცხლობს ამის იმედით,
გულის მიგნებით...
მსგავსი ნიგნებით...

ლიკანი, 21.08.06.

* * *

„ცეცხლი ცეცხლია... ზოგჯერ მცირე, ზოგჯერ დიდია. მთავარი არის, რა იწვის და ვის უკიდია?" ეს შოთა ნიშნიანიძის შემოქმედების ნაპერნკალია. ვერ გავემძლარვარ ამ სტრიქონების სითბოთი... ერთხელ ვნერდი: თუ კაცს სასესხებლად შეექნება საქმე, სჯობია ისევ სახლიკაციდან ისესხოს, ქვეყანას მაინც არ შეუყრის — გამქურდესო!

არადა, როგორ გინდა, აუარო გვერდი ამ სიმართლეს: „მთავარი არის – რა იწვის და ვის უკიდია?"

ფიქრიც ცეცხლს ნააგავს, ვერ მოთოკავ.

ინვის თბილისი.

აგვისტოს ხვატს თავშეფარებული „ლიკანში" ვარ, საკუთარი ჩრდილის მშურს და ხის ძირას განმარტოებულ ზურგიან სკამზე სულმოთქმული, „კვირის პალიტრაში" (2006.21-27.08.06) ირაკლი ალადაშვილის ამაზრზენ ნერილს ვკითხულობ, რუბრიკით „რეპორტაჟი ხანძრის ეპიცენტრიდან"

„14 აგვისტოს, შუადღისას დანყებულმა ხანძარ-

ზნესმენიც — წარმატებით იღვწოდა. პ ა რ ტ მ უ შ ა კ ი უფროსობას ხშენას ჯუკბიდა. ბიზნესმენი კი მთავრობის იმ ბიზნესს კვეთავდა, ვისთვისაც ჩრდილოვან ეკონომიკას ჩრდილი ხელიც არ ახლდა. და ყველაფერი კარგად იქნებოდა. ბედისწერის მკვეთრ მოსახვევში ბიზნესმენის და პარტმუშაკის გზები რომ არ გადაკვეთილიყო. პარტმუშაკი, კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის შ ე ს ა ბ ა მ ი ს ა დ, გასაქანს არ აძლევდა ბიზნესმენს — მის საქმიანობას კომისიონბს ესვედა. პარტიის მორალი ისტორიული ყრილობის სახელზე სხვადასხვაგვარი მოძრაობის და მრიმითი ვაჭრების მიწყობას აძლევდა. დავინებით მოითხოვდა. ეკონომიკა ეკონომიური ყოფილიყო და ცხოვრების სამქალაქო ნების ანცოპილება მინის პირისპირ ალგზილიყვნენ.

ეს ყველაფერი წარმატებულ ბიზნესმენს, ბეზობრივით, საკმაოდ მობეზრდა. და ერთხელ ცხელ გულზე დაუმექრა:

ოთარ ლაზიშვილი არ ვიყო, თუ მილიონების მენდორი არ ჩავაყვაო.

ზღაპარი დამთავრდა. იწყება ულმობელი რეალობა. ერთხელ მეგარდასიის კარიერის მორიგ აღმასვლას და „ნაშა-

მა რამდენიმე დღეში სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უნიკალური საკურორტო ადგილი, დაბა აბასთუმანი.

ცეცხლი, ასპინძის რაიონის ნახნის სატყეოს ტერიტორიაზე, აბასჩაიარის მთის კალთაზე გაჩნდა. ეტყობა, კერა გვიან აღმოაჩინეს. დაკარგული დროის გამო კი ხანძრის მასშტაბები, მართლაც რომ ძალიან სახიფათო გახდა. აღმოდებული ნაქცეული ხეები ფერდობზე მიგორავდა და ცეცხლის კვალსაც ტოვებდა...

ჩვენ თვალწინ საზარელი სურათი გადაიშალა, რომელიც რაღაცით წააგავდა აპოკალიფსს ბირთვული ომის შემდეგ... მთის ძირას სახანძრო მანქანები ისე იყვნენ გარინდებული, როგორც ტანკები ბრძოლის წინ. მათი ბრანდსპოიტები ტყისკენ იყო მიმართული. ეს გახლდათ დაცვის ბოლო ზღუდე, რომლის უკან, აბასთუმანი იწყებოდა!..

ხანძარმა არანაკლებ 600 ჰა ტყე გაანადგურა.

სახელდება რამდენიმე ვერსია, მათ შორის მაყვლის მკრეფავების, დამსვენებლებისა თუ ბრაკონიერების მიერ გადაგდებული ანთებული ასანთი ან სიგარეტი; შესაძლოა, შუშის ნატეხზე, მზის სხივების რამდენიმე საათიანი დგომით აალდა მის ქვეშ მოქცეული გამხმარი ბალახი...

არ გამოვრიცხავთ მიზანმიმართულ დივერსიასაც.

— თავის დროზე, ჯავახეთის ზეგანზე, თემურ ლენგმა გაანადგურა მწვანე საფარი, რათა ქართველების პარტიზანული მოძრაობა აელაგმა. ასპინძასა და ადიგენში თემურ ლენგის დროს გადარჩენილი ტყე ახლა ნადგურდება...

(ამ ფაქტმა ერთი ისტორიული ფაქტიც გამახსენა: გრაფი ერმოლოვი რუსეთის იმპერატორს წერდა, რომ კავკასიაში ყაჩაღობის მოსასპობად ტყეებს ვჩეხავთო?! — გ. ნ.).

...გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ახალდანიშნული მინისტრი დავით ტყეშელაშვილი, უკრაინელ და ქართველ პილოტებთან ერთად, გეგმავდა ხანძრის ჩაქრობის ოპერაციის დეტალებს. გულზე ხელს ვერ დავიდებ და ვერ გეტყვით, დღეს კადრების შერჩევა რა ნიშნით ხდება, მაგრამ ეს კაცი, სულ ცოტა, თავისი გვარით მაინც რომ შეეფერება ამდაგვარ საქმეს, ეს ნაღდია — ტყეს, აბა, ვინ უნდა მოუაროს თუ არა ტყეშელაშვილმა!.. რომლის დამსახურება სრულიად თვალნათელია, თუმცა, ახლა, ვინ აღარ იბრალებს ცეცხლის ჩაქრობას! მათ შორის, ერთადერთი თუ არა, ერთი მათგანი, ჩემი მეუღლეც გახლავთ, რომელმაც გულზე ხელი დაიდო და ღვთის წინაშე თქვა, რომ 8(21) აგვისტოს — ღვთისმშობლის „ტოლგის" ხატთან ტროპარით აღაველინა ვედრება გვალვისა და უწვიმობის გამო, რაც ისმინა განგებამ და რასაც მოჰყვა... წვიმა! წვიმას კი, ღვთის წყალობით, მოჰყვა ხანძრის ჩაქრობა. აბა!.. ამას ზემოხსენებული სტატიის P.S.-იც ადასტურებს: 19 აგვისტოს „ფერიცვალების წმინდა დღესასწაულს მორიგი სასწაული მოუხდენია: კოკისპირულმა წვიმამ ხანძრის კერა საბოლოოდ ჩააქრო(!)"

ნუ გამოეეკიდებით სიკეთის „პრივატიზაციას"!

ყველა საქმეში განგების ხელი ურევია. და მადლობა ღმერთს, რომ

---

*ტყუილი...სიმართლისთვის აგდებული „საგოპკეა"!*

*ვისაც სიცოცხლისა არ ეშინია — იმას სიკვდილისა უნდა ეშინოდეს!*

*სუფრაზე შემოსწრებულ დილას გაუმარჯოს!*

გადაერჩით, — ვაცხადებ ხმამაღლა და მხარს მიბამს ჩემსავით დარდიანად გახარებული დამსვენებელი, ძველი გეოლოგი, ბატონი ოთარ დუდაური, რომელიც კვერის დაკვრასთან ერთად გაოცებასაც არ მალავს ახალგამომცხვარი და გამოცხობისთანავე ისევე ცეცხლში ჩავარდნილი მინისტრის — დავით ტყეშელაშვილის ერთ-ერთ „გაცეცხლებულ" ინტერვიუში ნასროლი ფრაზის გამო, რომლის მიხედვითაც, „შესაბამისი" სამსახურების, „შესაბამისი" მოქმედებების გამო — „ცეცხლი კონტროლს ექვემდებარებოდა!".. ეს, მართლაც, რაღაც ტყუპისცალივით ნაავედა ქ-ნ ელენე თევდორაძის სიტყვას „აღშფოთებული ვარ" და თბილისის პროკურორის გრიგალაშვილის ფრაზას „ექვმიტანილმა აღიარა დანაშაული და გამოიყენა... დუმილის უფლება?! („ცისკარი" 2006. № 30).

დუმილი რომ ზოგჯერ თანხმობის ნიშანია, გამიგია, მაგრამ ასეთი დუმილი და ასეთ დროს???

...ვზივართ ლიკანის სამოთხეში, ვარჩევთ ქვეყნის ამბებს (რომელსაც არავინ გვეკითხება), მივაცილებთ თვალით ათასში ერთ ნაცნობს, „999" უცნობს (ყაზახებს, სანატორიუმის ახალ მესვეურებს) და კვლავ მახსენდება გალაკტიონის: „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული"!

ნყლის მეტი რა არის აქ, მაგრამ ცეცხლზე ნავთს მისხამს ლიკანის ამ უნიკალური კურორტის ჩემზე არანაკლებ გულმოკლული ქართველი მესვეური (ლიკანის... ჯერჯერობით ქართველი მენეჯერი ბ-ნი გოგი მიქელაძე), რომელიც დაფარულ კითხვაზე: რამდენი წლით გაიცა ყაზახებზე ლიკანის მართვის უფლება, დაუფარავად მიპასუხებს: სამუდამოდ!!!

აი, აქ კი, ისეთი ცეცხლი ნამეკიდა, რომელსაც ვერავითარი ხანძარსანინააღმდეგო საშუალებით ვერ ჩააქრობ და ვერავითარი ტაშფანდურით ვერ გადაფარავ, მით უფრო, თუ ამ საბედისწერო განწყობილებას... საბედისწეროდ ემთხვევა სადღეისოდ შემაზრზენი სიმღერა თეიმურაზ ნიკლაურისა, რომელიც ნიკო ლორთქიფანიძის ძველ და ჩვენს ახალ სატირალს ტირის: „იყიდება საქართველო!"...

* * *

სანატორიუმის ხალხით გაჭედილ ათას კაციან სატრაპეზოს მზის პირველი სხივი მოადგა. ათას კაცში ერთი მოძებნა და თავზე ნათელივით დაადგა?!

ვინ იყო ეს კაცი?

არც მეტი — არც ნაკლები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე!

ციურ მოვლენებთან თავგანწყვეტილი ბრძოლის დაწყებასთან ერთად ოთარ ლაზიშვილი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა...

და მაინც. ჩვენ მიერ მოთხრობილი იგავის ორი გმირი კიდევ ერთხელ შეხვდა ერთმანეთს. მას შემდეგ, რაც მორალურად და ფიზიკურად განადგურებული, ლამის ციხე-ბამრყეველი ბიზნესმენი, როგორც იტყოდენ ხოლმე, სუფთა სინდისით გათავისუფლდა. ხოლო პარლამენტარი ახალ პიროვნებაში კვლავ ვირტუოზულად ტრანსფორმირდა. თავისუფალი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე ხმამაღალი მქადაგებელი გახდა და მორიგი ძლევამოსილი სავარძელი დაიკავა.

შეხვდნენ. გულითადად ისაუბრეს. ყოფილმა პარლამენტარმა ყოფილ ბიზნესმენს მეგობარი უწოდა. მერე გამომშვიდობებისას ჩახედა თვალებში და ჰკითხა:

ჰო, მართლა. ოთარ, ვინ და რისთვის ჩაგსვა?

მეგობრის დაკრძალვაზე. რომელიც დიდხანს და მუხანათურად კლავდა. სახაზინო ეკონომიკის ცრემლებს არ მისცა. ლილი და მწარე ქართველი ბიზნესის განვითარებაზე დაეკარგა ფიქრი მას ერთი წუთითაც არ აძლევდა კარგ... ბოგერის მეგობრის

დიალექტიკის ენაზე ამას „შემთხვევითობა" ჰქვია, თუმცა კაცი ამაში აუცილებლობასაც დაინახავდა და ბაღდადელი ვლადიმერ მაიაკოვსკის ერთი მზიური სტროფიც დაუდგებოდა თვალწინ:

Светить везде,
Светить всегда,
До дней последних донца...
Светить! и никаких гвоздей –
Вот девих мой и солнца!

P.S. რაღაც მისტიურად მომეჩვენა და მომეთქვენა, რომ მზემ ათას კაცში, მაინცდამაინც ის იპოვნა! ჩვენში კი... სამწუხაროდ, ახლა ეს კაცი ჩრდილშია!

გამიგონია, რომ ეგვიპტის ფარაონს, რომელიღაც რამზესს, ქვესკნელში ჰქონია სასახლე, სადაც მხოლოდ იქ და იმ დროს აღწევდა დღის სინათლე, სადაც და როცა ის გამოდიოდა ხალხის წინაშე!

ფიქრსა და სინამდვილეს შორის რაღაც საერთო დავინახე და არა მარტო მე — სხვა ლიკანელებმაც, რომლებიც ამ მზეკაცისა და მზის „პაემანს" შეესწრნენ.

ლიკანი. 2006.25.08.

* * *

ბავშვობიდან მახსოვს ბანტიან გიტარაზე დამღერებული ზესტაფონური „პოლიტრომანსები":

ეი... ეირია მონასტერი,
ყველგან... ყველგან გაქრა ყველი და პური.
ძაღლი... ძაღლი პატრონს ეეღარა ცნობს –
იაპო... იაპონიას პორტარტური.

პოლიტიკა გურულების მოგონილიაო — გურულები ამბობენ.

— სხვა, ისე რაფრა ხარ, კაძახო? — კითხულობს ზრდილობისთვის ერთი.

არც მოპასუხეა პოლიტიკაზე მწყრალად და ისიც გვარიანად უბერავს:

— ასე ვარ, ა! — ჭიმავს ცერს და ცერად იყურება, — მარა, პანა გონდურასი მანუხებს?!

არც ერთმა არ იცის, რაა ან სადაა გონდურასი, მარა იხტიბარს არ იტეხენ.

— მაგას, გაუფრთხილდი, ძამა, გამიზეზება იცის, — ბუასილის დონემდე დადის მათი პოლიტგანათლება.

...ერთს კიდევ გეტყით, — ცანგალასი არ იყოს, — ოღონდ სოფლის კი არა — თბილისის ამბავს: „ნიანგის" რედაქტორობის დროს, ერთხელ, გარი მეტრეველს (გაანათლოს) ვთხოვე ხმის ჩამწერი „ლევი" სტუდიების გაქექვა და აბა, იმან მოიტანა პლევმატორაქსის ფირებზე ჩაწერილი ე.წ. „ჰიტები" ანუ „მოდნი" სიმღერები! ერთი ახლაც მახსოვს — „ძია სტალინს" ეძღვნებოდა და სულ ჟიგრებს უტრიალებდა მის მსმენელს:

„დედამ გშობა, დედამ გზარდა, დედამ გითხრა ნანინაო...
ბოლოს დედამ ისიც გითხრა – კამუნიზმი მამინდააააო"!
...მახლას, ყველა დროს თავისი სატირალი ეტირებოდა!
ყველა დროს თავის სიმღერა ემღერებოდა!

* * *

ვისათვის სიმდიდრე სამოთხის კარია,
ვის კი სიღარიბეც შვენის.
მისი სიმდიდრე — მისი ბრალია,
შენი სიღარიბე — შენი!

* * *

ადამიანო!
ადამიანი ვეძებე შენში...
რა შემრჩა ხელში?
კაცი? თუ ქალი?
უჭკუო და ზოგიც... „ჭკვიანი“...
ყველანაირი! —
იშვიათად... ადამიანი!

* * *

უდარდელობა ლექსებს არა წერს —
ლექსს სევდის გარდა არა უნდა რა...
ლექსი — გულში და გული — ლექსში ძევს —
ლექსია დარდის თეთრი სუდარა!

### გულში ნათქვამი

გული ხელით და სული კი კბილით
მიჭირავს და ვერ დამიჭერია:
გული მელევა — სულის ჯერია!
სული მელევა — გულის ჯერია!
თავს მოასვენებ,
ფეხს მოასვენებ,
ხელს მოასვენებ,
გულის ჯერია...
თვალს მოასვენებ,
ყურს მოასვენებ —
გულს მოსვენება არ უწერია!
და დღე და ღამე რეკს, როგორც ზარი,
და დღე და ღამე მას უწევს გარჯა,
რისი მოწმე და მოწამე არი,
წუთისოფელის დამთვლელი მაჯა!
ის — გულზე სკდება და გულსაც ხეთქავს,
სანამ ჩამოჰკრავს ბოლო საათი,
ეს — გულში მის და გულდაგულ ფეთქავს!
ჩვენი საწუთროს წუთ-მასლაათით...
ილევა, როგორც ტყავი შაგრენის,
აქ — რაც ველოდით და იქ — რა გველის?..
მთავრდება გულსა და მაჯას შუა...
თვალს და ხელს შუა...

შესაძლებლობას.

**P.S.** შეყვიან თბილისელ ჯალათ მაშერკინსაც შეშურდებოდა მსგავსი თუ უმსგავსო ჯალათობა!

...ვუყურებდი ნაკაწრულად ჩვენს სიყრმის ამხანაგს. გულგამოლილ, ხელგამოლილ, ღმერთისგან ხელდასხმულ და ადამიანისგან ხელყოფილ კაცს, რომელიც ცოდვილით ოჯახობდა და სიყვარულით ცოდვიდა... და ეხლა მეპატრონეობს ჯექველში: ბოროტმა სძლია კეთილს? ეს სიბრძნე ძველთაძველია თუ ყალი ყალთაბ მეელის. დაკვირვებაც კი ძნელია. ყალი-ყალთაბისთვის გველის?

მან დროს გაუსწრო და დრომ ეს არ აპატია!

„ასავალ-დასავალი“, 2005, 24-30 ოქტომბერი.

ჩვენი დღეების „ქრონიკაში“ (5-11.09.05) სიყვარულით სიძულვილის გამძაფრებით წერს რეზო მაყაკიშვილი და ქვას-ქვაზე არ ტოვებს:

„ნინო ანანიაშვილი საქართველოში „გულის დამძლ“ დაბრუნდა. ის ყველას უყვარდა, ყველა თაყვანს სცემდა, ისინიც კი, ვისთვისაც ბალეტი და ბაყაყზე მალაყები ერთი და იგივე ხურმაა.

...კარის ცაპური

* * *

ახლაც შაეად მახსოვს!

ვორონცოვის სასახლეში საგულდაგულოდ რთავდნენ მართა სოლოღაშვილის ქალს, რუსთა მეფე ნიკოლოზთან „პოლონეზის“ საცეკვაოდ და მის უავგუსტოესთან ერთი „შავი ღამის თეთრად“ გასათევად!

ჯერ, ესეც-ეერ მოგვინელებია კუდი ყავარზე გადებულ და გადებილებულებს, რომ „ტრეფიკინგით“ თაელაფდასხმულები ჭაობში ვართ და სულ უფრო ვეფლობით სიბინძურეში. რა დამავიწყებს ასეთ სტოპკადრს: ტრაპიზონში ხაშს შევექცევი. დუქანში ორი ტარაკანასავით თურქი შემოვიდა და ორი ქართველი ანგელოზი შემოყვა. დამინახეს, მიცნეს (ალბათ, თბილისური „პაემანით ვერაზე“) და თოფნაკრავივით გავარდნენ გარეთ.

მაშინვე ერთი ანეკდოტი თუ მართალი ამბავი გამახსენდა: პარიზის (პიგალზე) ბორდელში ქართველ ბიძას, თურმე, ბოზების ფართო ასორტიმენტი შესთავაზეს (მათ შორის, ქართველი პატარა ქალბატონიც, სახელად სულიკო). გაგიჟდა კაცი. მთელი საქართველო შენ დაგეძებს, გოგო, „სადა ხარ, ჩემო სულიკოო“ და შე აქანე დაბოზაობო?.. უყვირა თურმე.

* * *

ეს იყო 1995 წლის 25 ივნისი. ქაშვეთის ეკლესიის ქტიტორ-აღმშენებელს, ქართული კონიაკის სამრეწველო წარმოების მესაძირკვლეს, დიდ ქართველ მრეწველსა და მეცენატს დავით სარაჯიშვილსა და მის მეუღლეს — ეკატერინე ფორაქიშვილს, ვაკის სამოქალაქო სასაფლაოდან, სამუდამო განსასვენებლად, ქაშვეთში მოვასვენებდით.

საუკუნის ამ ისტორიული ფაქტის მესვეური გახლდით და ამ ორომტრიალში წნევამ კინაღამ კეფა ამხადა. ძლივს მოვბარბაცებდი რუსთაველის გამზირზე და მაფხიზლებდა თბილისის გაღებული ფანჯრები, იქედან ნასროლი ყვავილები და თბილისელების გაოცებული სახეები.

რა ხდება?

რა დროა?

ნუთუ საფლავშიაც კი დევნილი ადამიანების (ვინმე ენიკოლოფოვის ბრძანებით, 1938 წელს ცოლ-ქმარი დიდუბის სასაფლაოდან განდევნეს) დრო დგება?..

თუმცა, არც ახლაა დიდი სიკეთის ჟამი! გუშინ ბუბუტეიშვილის (გადმოსვენების ინიციატორის) ფირმაში გაისმა ანონიმური სატელეფონო ზარი, რომელიც შეკვეთილი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, 1911 წლის, სარაჯიშვილების საუკუნის საფლავის გაქურდვით იმუქრებოდა!

მთელი ღამე თეთრად გავათენეთ.

სიკვდილს ღამე გაეუთენეთ და აი, მიგვყავს ეს ორი სულმნათი ადამიანი, რომლებსაც ბედმა შვილი, ალბათ, იმიტომ არ აღირსათ, რომ მთელი საქართველოსათვის გაეწიათ დედ-მამობა!

ერთი ცხოვრებისეული „დარდუბალა“, თურმე ლეგალურადაც გველოდა: სარაჯიშვილების გადმოსვენების დღეს მავანი ძველი ფუნქციონერის დასაფლავების დღე დაემთხვა და ამ „დამთხვეულებმა“ (ანუ სახელმწიფო

---

*პეროსტრატეს სინდრომი!*

*პარადოქსია, რომ ვიცით, ვინ დაწვა არტემიდეს ტაძარი და არ ვიცით — ვინ ააშენა იგი?!*

ჭირისუფლებმა) წინადადება მოგვცეს, მთელი წლის ნამზადები ეს ისტორიული აქტი კიდევ ერთი დღით გადაგვედო?!

ვერც ერთი კითხვისა და ძახილის ნიშანი ვერ გამოხატავს იმ გაკვირვებას, რაც ამ წინადადებამ გამოიწვია, თავის გამოძახილიანად.

— მაგ კაცს, ვისაც თქვენ დღეს ასაფლავებთ, — მოყვრულად პირში ეუძრახე ზემდგომ ამხანაგებს, — თავისი ამქვეყნიური ცოდვებიც ეყოფა და იმქვეყნიურ ცოდვებს მაინც ნუ აკიდებთ-მეთქი!

ეს იყო და ეს.

ყველამ ჩვენ-ჩვენი მიცვალებული ვიტირეთ.

სარაჯიშვილების შემთხვევაში კი.... ვილხინეთ.

რადგან... როგორც საუკუნის წინ, ჟურნალ „ნაროდნოე ლისტი"-ში, პოლონელი ქალი გესენსკაია სარაჯიშვილზე წერდა:

Погребен как царь!

დიახ!

დაკრძალეს, როგორც მეფე!

მოთხარეს, როგორც მონა!

და ქაშვეთის მიწას მიაბარეთ, როგორც წმინდანი!

## 2006

ცხელოდა. იწვოდა მთა-ბარი, ტყე-ველი,
წყალობას ველოდით ცისა და ხატისგან,
ეიყავით ღამეთა ჩვენ თეთრად მთეველი...
ღამეც ვერ გვემალაედა აგვისტოს ხვატისგან.

* * *

როცა კარგი მასპინძელი
ხელგაშლილობს და გულღიობს –
ძმობის მადლი სტუმარსაც და
მასპინძელსაც შეეწიოს!

## ძველი ლათაითრი

ცხოვრებაში მეტი რა დაგვრჩენია –
ჭამე-სვი და ფეხზე მოდი – შენია!
დარდით რატომ შევიმოკლოთ დღენია!..
შევუბეროთ, საცა შესაბერია!

## შურის შარი-შური!

რატომ უნათებსო სხვასაც მზე და
„წუხილი სხვისა სიკეთესა ზედა"!
ასე უწოდებდა შურს სულმნათი საბა,
აბა!

*იდიოზური არტისტი შეგვერჩა.*

*ჩვენ ის სიფრიფანა, ღრუბლებში მფრინავი არსება გვეგონა, ის კი სუპერპრაგმატული პერსონა აღმოჩნდა.*

*ქალბატონ პრიმას საკმაო დრო ჰქონდა, კარგად გაეანალიზებინა ეს შექმნილი ვითარება, ერთხელ მაინც შეეხედა ტელეეკრანზე ატირებულ, თუნდაც პატარა, გიორგი მუხაძისთვის, გავიზრდები და ბავშვობის წართმევას ამ მთავრობას ყელში ამოვადენ...*

*მე არა მაქვს კონკრეტულად გართულება რამე შენობაზე (აცხადებს პრიმა ბალერინა).*

*მისი რძალი, პრესმდივანი თამარ მოლდებაძე კი აი, რას აცხადებს პრესას: „ნინო მხოლოდ მერიის მოთავაზებას დაეთანხმა... მაპატიეთ, მაგრამ არა მგონია, რომელიმე ქვეყა-მყოფელ დირექტორს მსგავს მოთავაზებაზე უარი ეთქვა"...*

*ვერ მაპატიებთ, ქ-ნ თამარ! ქვეყნის გარდა, კაცი (ქალიც) გულსაც უნდა დაეკითხოს, იმისათვის რომ „ქვეყა-მყოფელობასთან" ერთად „გულისხმიერებასაც" გამოიჩე-*

* * *

ზღვა წვეთში — წვეთია და წვეთი ზღვაში — ზღვა არის...

ხან დიდი მცირეში იგრძნობა — ხან მცირე დიდში...

არ ვიცი, რაში დამჭირდა ახლა ეს ფილოსოფია და არც ის — არის თუ არა რაიმე კავშირი ამ პოსტულატებსა და იმას შორის, რაც დღემდე არ ამომდის მეხსიერებიდან.

1946 წელს, ფიზკულტურელების საკავშირო ზეიმზე პირველად ვნახე ტრიბუნაზე მდგარი სტალინი, ქართველების საჭიდაო დოლ-გარმონის ხმაზე გორელივით რომ წაიგდო გენერალისიმუსის ოქროსვარაყიანი ქუდი...

ამას ჰქვია, ალბათ, სისხლის ყივილი, ქართულ ძარღვებს დავლურივით რომ დაუარა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადიც კი ისევ ერთ გორელ ბიჭად აქცია!.. მე კი, დღემდე, თვალში, ამ სურათთან ერთად, ყურში, ერთი სასაცილო კახური მოტივი დამიტოვა: „ქუდი გვერდზე დაგიხურავს, ამპარტავანსა ჰგევხარო"(?!)

კეთილი და პატიოსანი, ის — სისხლის ყივილი იყო, მაგრამ ამას რაღას დაარქმევ?

აგერ ახლა, ამ გაგანია გლობალიზაციის და კატაკლიზმების ეპოქაში, ერთ დროს „სიხარულის სახლად" წოდებულ ქალაქში ჩამოსულ მსოფლიო იმპერიის თავკაცს... თავგზა აუბნია თბილისურმა კინტაურმა, რომელმაც ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს წელი „შეუნგრია", ააცეკვა და ამჩატა!!!

ძველი ტფილისის მეტრფის — სოსო გრიშაშვილის სული ხარფუხიდან გადმოსცქეროდა ამ პატარა სასწაულს და გულიდან გულში გადადიოდა მისი სტროფი:

„შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა"...

და არც ამ ქარაგმის ამოხსნა გაგიჭირდება, ჩემო თბილისო!

დღემდე ვერ მოუნელებიათ ჩვენს სომეხ თანამოძმეებს, რომ ძველმა რევოლუციამ ძველი თამასუქები ფარატინა ქაღალდად აქცია. 1907 წლის „ეშმაკის მათრახსა" თუ „ნიშადურში" ასეთი სატირულ-„სატირალი" კარიკატურა იყო დაბეჭდილი („ქეთო და კოტეს" სტილში): ქართველ თავადს ასაფლავებენ და მას სომეხი სოვდაგრის კუბოც მისდევს, ასეთი წარწერით:

„თავადი მოწყდა ამ სოფელს, დამარხეს ერთი ბისტითა...

სომეხი საფლავში მისდევს — „ისპალნიტელნი ლისტითა!"

* * *

ამერიკული ცხოვრების წესი უწესობად მაშინ მომეჩვენა, როცა ნიუიორკში ჩასულმა, ნაცნობს დავურეკე და სააბონენტო სამსახურმა მიპასუხა — დაგველოდეთ, დავადგენთ — უნდა თუ არა აბონენტს თქვენთან საუბარიო.

ნიაზმა კი, შუაღამეს, ყვირილით გააღვიძა ქართლოს კასრაძის მეზობლები და საყვედური არავის უთქვამს. თუმცა, ქართლოსის დედამ ნიაზს შეახსენა — რა დროს ქართლოსია, შვილო, ღამის სამი საათიაო,

---

*„ისტორია ჩათლახი ქალივითაა, ხან ვის ჩაუწორდება ლოგინში და ხან ვის!" („მწერლის გაზეთი" 1-7.05.2003.).*

რაზედაც ასეთი პასუხი მიიღო: მაპატიეთ, ქალბატონო, მე მეგონა მეგობრობა „კრუგლოსუტოჩნიაო“?!

P.S. რა შედარებაა, მაგრამ მაინც შეადარეთ, რომელი ნესი თუ უნესობა სჯობია!

* * *

ესკულაპე საყვირის ხმით მკურნალობდა ნერვულ სისტემას.

ძველ რუსეთში კი ეკლესიის ზარის რეკვით ცდილობდნენ ეპიდემიების განკურნებას. მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ეკლესიის ზარის ხმა აძლიერებს იმუნურ სისტემას.

ბგერითი ალგორითმი, თავისი არსით, იგივე შთაგონებაა!

* * *

არის საშიშროება, რომ კომპიუტერმა ადამიანი იმსხვერპლოს!

...ერთი, ჩემი თაობის, ჩემსავით საგონებელში ჩავარდნილმა ამხანაგმა მკითხა: ჩემმა ოჯახმა კომპიუტერი იყიდა და რა ეშმაკის ყუთია, თუ იციო? მეც მის დღეში ვიყავი და ალალად ვუთხარი: ეშმაკმა იცის, რა ჭკუის კოლოფიცაა, მაგრამ, კაცნი ვართ, ცოლთან მაინც, მარტო ნუ დატოვებ-მეთქი!

* * *

სამწუხაროდ, ხშირად მინევს ნეკროლოგების წერა. ჩემი თაობა მენდობა სამარისებურ სიჩუმეში ჩურჩულით სათქმელ სამგლოვიარო სიტყვას. ეს დიდი პატივიცაა და დიდი ტვირთიც, თუმცა, მადლობა ღმერთს, ვუძლებ ამ განსაცდელს.

ეს ისე.

დღეს თბილისში ხმა დაირხა — რობერტ ბარძიმაშვილი მომკვდარა. ვერის ბაღში, ლურჯ მონასტერში დაასვენეს.

ნეკროლოგი სხვამ დაწერა.

მე რომ დამეწერა — ეს ერთადერთი სტრიქონი იქნებოდა ნეკროლოგის თავი და ბოლო:

„იყო შაშვი მგალობელი“!

* * *

**სოლიკო ხაბეიშვილი:**

**(„ციხის დღიურიდან“)**

„არც გასაკვირია, არც სასოწარმკვეთი,
დროა ამ უცნაურ ამბების დამკვეთი“.

P.S. მაგრამ ხომ არსებობს ასეთი რეფრენიც —
„დრონი მეფობენო და არა მეფენი!“

ნის“. გ. ნ.)

მაინც, რა ხდება?

ქაუიდან შემომდგები ყური! ვინ მოვიდა და ვინ წავიდა ამით. აქ ყველა „მოგებულიც წაგებულია“! სწორედ რომ ღრია, ძველი და ახალი საბავშვო ბაღების „გამეფება“ ბოლოს და ბოლოს გაიგონ ამ ქვეყანაზე რა ხდება და თავის ძველ თუ ახალ აღსაზრდელებს დაუყაყხანონ:

ბავშვებო, გეყოფათ!

...მაგრამ ამისათვის... მოთა ნიმნიანიძის „ნიღბებისა“ არ იყოს — საკუთარ თავში ბავშვი უნდა გადავარჩინოთ!

ანზორ თოთაძე:

ზოგიერთი სომეხი მეცნიერი სომხურ ხუროთმოძღვრებას მიიჩნევს განსაკუთრებულ ფენომენად, რომელმაც დიდი და გადამწყვეტი როლი ითამაშა რომანული რელიგიური ხელოვნების ჩასახვაში და გოთიკის წარმოშობაში. მათი აზრით იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის და ევროპის სხვა ქვეყნების ქალაქებს აშკარად ეტყობათ სომხური ხურო-

* * *

„ნერ"— „რენ"... პალინდრომია. თანაც, საერთოც აქვთ: ზოგჯერ ნერაც და რენვაც ხელოსნობაა!

განსაკუთრებით ჟურნალისტიკა, რომელსაც სილვესტრმა ხელობა უნოდა და, პროსტიტუციის შემდეგ, მეორე უძველეს პროფესიად ჩათვალა.

P.S. რა მაგის პასუხია და უკვე ძველ — საბჭოთა დამისგან გადამღერებულ ჯერ კიდევ ახლანდელ, პერიოდიკას აშკარად ემჩნეოდა და ჯერ კიდევ ემჩნევა პროსტიტუციასთან სიახლოვე და ე.წ. „ვენსენი"!

* * *

„ბაქო-ბათუმით" ბათუმს მიმავალი და ხაშურში ლუდის დასალევად ჩასული მეგრელი, უკან მობრუნებისას, „ბათუმ-ბაქოს" მატარებელში მოხვდა და კუპეში მგზავრები რომ ველარ იცნო, ცოტა არ იყოს, გაკვირვებით თქვა: „სადამდი მიდის, კაცო, ეს ტექნიკა!... ერთი მატარებელი, ერთი ვაგონი, ერთი კუპე... მე ბათუმში მივდივარ და თქვენ — ბაქოშიო!

ტექნიკა კი, მართლაც, გიჟივით გარბის ნინ და უკან აღარ იყურება! უკვე ლაპარაკია იმაზე, რომ შეიძლება გადაინერგოს ადამიანის გული, ფილტვი, ღვიძლი, თირკმელი, პანკრეასი, სისხლძარღვები, კანი, სათესლე ჯირკვლები (რაღა დარჩა?), ჰო... საკვერცხე (თავის კვერცხებიანად)!

ეძებენ დონორებს.

ამხანაგებო, გაუფრთხილდით თავს... განსაკუთრებით, კვერცხებს! (სამნუხაროდ, ადამიანის კვერცხებს... ბუს კვერცხები ვერ ცვლის).

## *მედიტაცია*

მუზას მუზარადი რად უნდა — რო?
...სად მუზა — სად ლუზა — საკალმასოდ!
ლექსი გაფრენაა (ნუ მოგვრით ყურს) —
გაფრენას საფრენი ამინდი სურს.
მუზა და გრაფიკი? — ეინა თქვა — რო?
...მისთვის არ არსებობს უდროო დრო!
არც მოსვლას არ გკითხავს, არც წასვლას ის —
უნდა დაფაცურდე, უმალ და მყის!
როგორც წაუძინებ, გადადებ ლექსს — ლირიკა პროზაში გადაგაგდებს!
ლამაზი ქალივით უნდა სდიო — რომ მიხედე ქარო, ვით, საით ქრიო?
დღეა თუ ღამეა, თოვსა თუ წვიმს — განკითხვის ჟამია: დაგიცდის ის?
მეტი არაა ჩემი მტერი!

*თემისტოკლე: „დამარტყი, ოღონდ მომისმინე".*

*„თუ გექნებათ მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა, უბრძანეთ ამ მთას გადაადგილდიო და ისიც გადაადგილდება. და არაფერი იქნება შეუძლებელი თქვენთვის" (მათ, 17,20).*

* * *

ჩემი ცხადი შეიცხადე...
ჩემი ჯობსო!
რას იზამ?
შენი ცხადი, ვერასოდეს
ვერ აჯობებს
ჩემს სიზმარს!

* * *

„უეროდ“ რომ არ არსებობს
ღედაენის ტკბილი კერი —
ერთგულ — ერთსულ — ერთსიტყვაა:
„გონი-ერი“, „ბედნი-ერი“!

* * *

სატირალში ვარ და გულში მაინც ვმღერი!
უბედურებაა, იყო ბედნიერი —
ამ უდროო დროში,
ამ უვამო ჟამში,
ცოცხალ-მკვდარი გქვია —
საბოლოო ჯამში.

*ღმერთია მოწყალე!*

უსიცოცხლოდ ვიცოცხლებ და
უსაკვდილოდ მოვკვდები.
ჯოჯოხეთში ვიცხოვრე და
სამოთხეში მოვხვდები!

* * *

„თელიანი ველის“ ვაკხს —
არჩილ გეგენავას!

ცისაცა მითქვამს და მიწისაცა,
მთისაცა მითქვამს და ბარისაცა,
მეზერისაც მითქვამს და ზვარისაცა,
ყანწისაც მითქვამს, ჯამ-ჭურჭლისაცა...
ვაზის ფესვებიც დაუკოცნიათ,
ვაზის ნაყურიც დაულოცნიათ,
ღვინის სმით თავიც დაუხოცნიათ,
თვით ღვინოზე კი... არ ულოცნიათ!
...სადღეგრძელოებს ესვამთ ჩვენ ღვინითა,
გადიან დრონი ჭირით, ლხინითა,
რაღა არ გვითქვამს ღვინის პირითა —
ჰოდა, დავლოცოთ ღვინო — ღვინითა!
ღვინო ჭირია, ღვინო ლხინია —
ხან ჩუმია და ხანაც შუმია,
ხან ბარძიმია და ხან ფეშხუმია,
ხან ბრძენია და ხან შეშლილია,

მოძღვრების გავლენა. ასევე, მეტად არადამაჯერებლად ჟღერს იმის მტკიცება სომხების მხრიდან, თითქოს ლეონარდო და ვინჩის მოგზაურობას სომხეთში (დახასიათების და განხილვებით იტალიელი მეცნიერები) მხოლოდ იმის გამო უარყოფენ, რომ მათ არ სურთ, აღიარონ სომხური ხუროთმოძღვრების გავლენა ლეონარდო და ვინჩიზე (**К. Зарьян, Леонардо да винчи и Армения. м. "Литературная Армения", 1971, №6, с. 60**). ამის შემდეგ არ არის გასაკვირი, რომ ისინი ჯიუტად ც დ ი ლ ო ბ ე ნ დაამკვიდრონ ის აზრი, თითქოს რომ საქართველოში 600-ზე მეტი სომხური ეკლესიაა. ქართული ხუროთმოძღვრების შედევრები — ოშკი, ხახული, იშხანი, ბაცბერდი და მრავალი სხვა უკვდავი ქართული ძეგლი სომხურია, თუმცა, ეს ძეგლები თავისი არქიტექტურით და მთელი თავისი მორთულობით, ეს იქნება სკულპტურული რელიეფი, ორნამენტი თუ კედლის მხატვრობა, ქართული კულტურის ორგა-

ხან – მეგობარი, ხანაც – მტერია.
უცლისწულია – უცლისწილია –
ხან დელაა და ხან ოდელია –
ლეინო მზისა და მიწის შეილია!

* * *

ბედ-უბედობა-იღბალი კაცმა სკრუპულით აწონა.
ძაღლი კატის ბედს თუ ნატრობს – ჭირდება ფერხთით გაწოლა!
რადგან იღბალიც არის და არსებობს ბედი ძაღლისიც.
გაუსაძლისიც არის და არსებობს გამონაკლისიც!
ცოლქმრობის მძიმე უღელი არ იზომება ღონითა –
ცოლი – იხილე ქმრითა და ქმარი – იხილე ცოლითა!
თუ გინდა, კაცი იცნო და მისი ალია-ბალია –
ერთი რამ უნდა იცოდე: კაცის სასწორი ქალია!

### *ხააძ-იძათ*

მიღიხარ კაცი და მიწას რომ გაყრიან
(ე, მაშინ ხედები)
სიცოცხლე რა იყო – სიკვდილში რა ყრია!
ეს – წუთისოფელი,
ის – მარადისობა!
აქ – თესლით,
იქ – კაცი, ნაყოფით იცნობა!
მარცვალი ჩადის და
ნატერის ხე ამოდის,
ეშმაკმაც არ იცის
ღვთის ნებით – რა მოდის!
ეს დედამიწაა მეორე მშობელი,
ისაა მარადი სიცოცხლის მყოფელი,
რასაც უკვდავების ოდებს უმღერიან...
იმას იქ, სიკვდილი აღარ უწერია!

* * *

უქეიფოდ ვარო – ქართველი რომ იტყვის,
ორაზროვანია აზრი ამ ერთ სიტყვის.
ქეიფი და ლხინი ჩვენ არ გაგვიყვეია:
უქეიფო ქართველს... ავადმყოფი ჰქვია!

* * *

თბილისური პირიანობა და პიროვნულობა განთქმული იყო ორიენტალისტურ სამყაროში და არ ჰგავდა დღევანდელ, პიარამდე მოსულ უპირობას. დღეს კი, შენ, პირს შაქრისა და ვარდის მაგივრად — პირს ვარიდებთ ერთმანეთს, რადგან არ გვაქვს ერთმანეთთან გამოსაჩენი პირი!

---

*ადამიანი იმდენად ფასობს, რამდენადაც აფასებენ. ბიზნესმენი კი ზუსტად იმდენი ღირს – რამდენიც აქვს!*

* * *

რა პქეია ამ ცხოერებას?
ამ წამების წამებს?
ამ უდღეურ დღესა და
ულიმღამო ღამეს?
დილა არ ღირს აღგომად,
ღამე არ ღირს დაწოლად,
კაცი არ ღირს სალმად და
სიტყვა არ ღირს აწონად.
ყეელაფერი ტყეილია,
დიდი არის ცდუნება,
ზოგს მოსწონს და ზოგს არა —
კაცია და გუნება!

* * *

ისე გამიტკბა სიცოცხლე,
გამჩენსაც კი შეეედაეე —
თუ მაინც წასასელელი ვართ,
რას მოედიოდით, ნეტაეი!

* * *

ცეცხლის პირას ფიქრებს ემკიდი,
გულს ბუხარი ამოეყარე.
თაეო ჩემო, ჩემზე დიდი —
არც მტერი გყაეს — არც მოყეარე!

პირეელ ცოდეას ეერ ეატარებ,
ეერ აეკიდებ ადამ-ეეას...
ჩემი თაეის მტერ-მოყეარე...
ისეე ისე — მე და მე ეართ!

## სიკეთე აკეთე!

კეთილს თესდე, კეთილს მკიდე
და სიკეთეს აქსოვდე:
შენი — უნდა დაივიწყო,
სხვისი — უნდა გახსოვდეს!

## ჩემპიონი ფერული კაცის
## შალვა დვალის გახსენება

იყო, იყო და არ იყო —
იყო ზღაპრული შალიკო!
კაცის კაცური „ვალ"-იყო,
თანაც გვარითაც დ „ვალ" იყო!

*ნული ნაწილის, ქართული ხუროთმოძღვრებაა, რომ არაფერი ვთქვათ ქართულ ასომთავრულ წარწერებზე, რომლებიც ამ ნაგებობების კედლებზე გვხვდება.*

*გაჭირვების ჟამს სომეხთა მდგომარეობისა და მათი საქართველოში გადმოსახლების შესახებ ცნობილ სომეხ ისტორიკოსს თომას მეწოფეცს (1376-1446) მოვუსმინოთ: „1431 წელს „სასტიკი" შიმშილი დაიწყო ჩვენს ქვეყანაში, როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა შორის, იქამდეც კი, რომ, შეჭამეს ძაღლები და კატები, გვამები, ცხენები, ვირები, ჯორები და აქლემები. აღარაფერი რომ არ დარჩათ, მაშინ თავიანთ ვაჟებს და ასულებს მიადგნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ... ფარულად და აშკარად, ათასი კაცი შეჭამეს... მორწმუნენი ზამთრის ჟამს არარატის მიდამოებიდან აიყარნენ და საქართველოსკენ გასწიეს (თომას მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი მემკვიდრეებისა, თბ., 1987. გვ. 62).*

*ახლა, გვინდა*

* * *

მიქრის ფიქრი, დრო! თავქუდმოგლეჯილი გარბის. დღეები ქურდე-ბიეთ მიიპარებიან. ღამეები გარბიან „ნაბდით დაჭედილი ბედაურებიე-ით“ და... ილევა წუთისოფელი.

საათს კი ჰგონია, ალბათ, რომ მას გაჰყავს დრო.

არადა, როგორც ერთმა ქუთაისელმა მასპინძელმა მითხრა: საათს რომ ჭკუა ჰქონდეს, 24 საათი არ იმუშავებდაო.

ეჰ, ტყუილად კი არაა, ნათქვამი: ბედნიერები საათზე არ იყურებიანო!

თუმცა, სადღა არიან ბედნიერები?!

დაუკვირდით ამ სიტყვას! „ერის“ ბედნიერების გარეშე ვერც კი წარ-მოუდგენია კაცის ბედნიერება!

* * *

სახელმწიფო მინისტრმა ბრძანა, რომ იყიდება ყველაფერი... ნამუსის გარდა!

საპრივატიზაციო ნუსხაში „უნამუსობა“, ალბათ, იმის ბრალია, რომ იგი უკვე გაყიდულია, რადგან, როგორც ხალხი ბრძანებს: ნამუსიც კარგი საქონელია!

* * *

გერმანელი ჟურნალისტი გუნთერ ბროკი: „თუ შეიძლება საქართვე-ლოს სიმბოლური სინონიმი მოუძებნო, მე ვიტყოდი, რომ ის „ედემია“.

საქართველოსთან დაკავშირებით ეს ეპითეტი, ჯერ კიდევ ბაღდადელ-მა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ბრძანა — როცა პოეტები ედემსა და სამოთხეს ახსენებენ... საქართველო იგულისხმებაო!

რა ღმერთი გვიწყრება. ადამ და ევასავით, მგონი, ამ სამოთხიდანაც გვყრიან...

ფრთხილად, ქართველებო!

სამშობლოს სიყვარული მშობლების სიყვარულით იწყება, მაგრამ შვილების სიყვარულით არ თავდება!

* * *

„ტროტუარულ მემუარებს“ გულის ფიცარს ზედ ვაწერდი...
მზეთუნახავ თეალაჟაძის მაღალ ქუსლთა მრავალწერტილს...
ჩემს ფანჯრის წინ ჩავლილ დრო-ჟამს, შეედრება რა საათი?
ახლაც მომდის ჟრუანტელი იმ ქუჩური მასლაათის!

* * *

კენისბერგში, ემანუილ კანტის საფლავის ქვის წარწერა: „ამქვეყნად ორი რამ მაკვირვებს — ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი — ჩემში!

---

*ილია ჭავჭავაძე: საფლავი ქვეყნის მოღვაწე ვაჟკაცისა წმინდა სალოცავია მამულისათვის.*

*მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ არის... ის!*

## ღპიყმის „ლირიყლი" ქიდფრია!

### (ნაფლეთები ტოქსიკური ფიქრებიდან)

...კაცია, ეინც წამალზე ზის...
ეინც არა და რა კაცია?..
და ბნელება არისო მზის —
თრობა — ჰალუცინაცია!
სნეულების „წვეულება" —
ავადმყოფის „კარგად ყოფნა" —
უგრძობელი გრძნეულება —
ყოფნ-არყოფნა წუთისოფლად!
პაშიში რომ საშიშია —
სიტყვაც კიეის, რითმაც ტირის —
დაბარბაცებს სიჭაბუკე
და ტრიალებს ლხინი ჭირის!
სიზმარ-ცხადს და იგაე-ნაგაეს
ჰგაეს: ჭირი აქ — ჭირი — იქა —
არეული — მთვარეული —
პეროინის პერიიკა!

* * *

რჯულზე უმტკიცესია — ჩვევა!
მიწვეს დათმობა:
ადვილია — კეთება,
ძნელია — უსაქმობა!

* * *

ტურა-მელა-მგელი იყავ,
სიბრძნე გქონდეს გველის,
რადგან ბევრი შავი დღე და
თეთრი ღამე გელის!

* * *

კაცი-ქალი, ცოლი-ქმარი, გაეარჩიოთ სხვა რით?
ქალი-კაცით იზომება, კაცი კიდე — ქალით!

* * *

კი არ მიეტირი... მიელიმი წარსულს!

* * *

ჩამოხმენ ნატერის ხეები..
თეთრად ათენებს მგოსანი,
ჩამოიმარცელნენ დღეები,
„ეით ბედის კრიალოსანი..."

ვკითხოთ მიკრანიანებს, აივაზიანებს, მანუკიანებს: ასე რამ დაგვაბრმავათ, რომ თემურ-ლენგის შემოსევების დროს, საქართველო, რომელიც თვით უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, მეზობლური დახმარების ხელს უწვდის მოძმე სომხებს და ესეც ვერ დაინახეთ. თქვენგან მითვისებული რუსთაველის სიტყვებსაც შევახსენებთ: „კაცი არ უყვარს ხნორის, დიდი ძეს კაცით კაცამდის"

ისმინეთ აკურის, ვერჯიზადეს თხზულებაში დაცულის სომხების თბილისში დასახლების ცნობა. იბრაჰიმ ფაშამ 1723 წელს „განჯიდან თბილისისკენ მოაბრუნა სადავე. დამორჩილებულ და დაქუმდებარებულ სომხეთა ტომიდან 3000 კაცი წამოიყვანა და თბილისში დაასახლა" (ვერჯიზადე. თბილისის დაპყრობის წიგნი. თბ., 1875, გვ. 51).

**P.S.** „ხნედან ვარჯეცნი და წიგნებს წერენი" — წერდა მერმან ლეგანიძე. ზოგიერთი და არაერთი სომეხი ისტორიკოსის

*მემღერემა და ჭმღერიჭარ*

ამქარს ვეტყვი — იმ ქარისას! —
რას უბერავს, საით ქრისა?
ცის და მიწის რა იცისა?
თეთრი ღამის — შავი დღისა?
...როცა გული — სულში ძერება,
...როცა სული — გულსა გწედება,
ან ლექსად ეწერ — ან მოთხრობად —
მეპროზ-მეპოემიება!
არც მეტრს ვითვლი, არც სანტიმეტრს.
რა მე სან-ტი-მე-მე-ტრება —
ერთი მეტაფორისათვის —
სიცოცხლეც კი მემეტება!
სახანძროც კი ვერა მშველის,
როცა ცეცხლი მომედება.
ერთი ნაკვეს ნაკვნესით როს...
„ნაპერწკლიდან ალი ჩნდება“!
ლექსის „მეხანძარეებო“,
დასეტყვილნო სიტყვის სეტყვით,
რითმით დამწვარ-დადაგული,
გულში სათქმელს — პირში გეტყვით:
ცისარტყელის სტრიქონებით,
იმ გულით და ამ გონებით,
ფიანდაზად გაგეგებით.
ღვთის ნებით და ღვთის განგებით!
ძმებო!
ორჯერ პოეტებო,
ერთხელ მთქმელიც ხომ კაცია,
ჰოდა, ეშვით, თუ კაცნი ხართ.
ლექსის პრივატიზაციას!
ამქარს — ლექსად გიძღვნით ამ ქარს!
ცაში გიყოფთ სამოსახლოს...
ჩემს ვარსკვლავთან, ჩემს მზესთან და
ჩემს მთვარესთან შორიახლოს!..
მეპროზება — ვიპროზავებ,
მერითმება — ვირითმავებ,
ჩემი ყანა ბიბინებს და
ვთესავ — ვიმკი მე ჩემს თაველს!

* * *

„წუთისოფელი ასეა:
დღე-ღამეს უთენებია,
რაც მტრობას დაუნგრევია —
სიყვარულს უშენებია.“
წუთისოფელი ასეა:
ღამეს დღე უღამებია,

*ზოგი პირით სხვას ლაპარაკობს და მუცლით სხვას ბუყბუყებს.*
*ჭამენ და ველარ ინელებენ!*

დღე-ღამე მიიცრემლება —
სიხარულ-მწუხარებიან...
სოფელი ცრუ და ფლიდია —
თაეი-ფეხებზე პკიდია,
დიდთან — პატარა არის და
პატარასთან კი დიდია.
წუთია, მაგრამ ტკბილია,
ტკბილია, მაგრამ მწარეა —
ვისათვის იგი ჭირია,
ვისთვის — სამოთხის კარია!
თუ მოგერია — მისია,
თუ მოერიე — შენია,
„ეკალში ვარდი შენიშნე"?
ია და ვარდი გვენია!
ამ სააქაო გამოცდას —
საიქიოსთვის ვაბარებთ,
ამ წუთისოფლის გამოც და...
გამოცდა არის სამარეც.
როცა უვალი მიგვიღებს,
ის კითხვასა სვამს ერთსაო:
რისთვის იცოცხლე?
კვდები?
პასუხი გაეც ღმერთსაო!

### საგიტარო ტექსტი

შენ რომ გხედავ, რა მომდის?
მზე და მთვარე ამომდის,
ელეთ-მელეთი მომდის
შენ დანახვაზე!
სიკეთე ქვაზე დადე,
ქსოვე წამწამთა ბადე,
სული ნუ ამომხადე...
მომხედე!
სხვა მე არა მინდა რა —
გულის გულთან მიტანა —
გადირია გიტარა...
გიტირა!

* * *

„პაემანი ვერაზე" 1981 წლის 28 დეკემბერს შედგა და, ასე მგონია, ის ღამე ვერამ, თოვლის ფანტელების ყრუანტელთან ერთად, თეთრად გაათენა.

მეორე-მესამე დღეს ვილაც ჩემზე უფრო ძველი თბილისელი შემხვდა ქუჩაში, გამაჩერა და მითხრა:

— სალოლ, კაი ვილაცა ყოფილხარო... და მერე თბილისელის გამოცნობის უტყუარი „სეკრეტი" გამიმხილა: — თუ გინდა თბი-

*მარცხენამაც იცის, რას აკეთებს მარჯვენა და მარჯვენამაც იცის, რას არ უნდა აკეთებდეს მარცხენა, მაგრამ მათი ორივე ხელი-ხელს ბანს და ერთს ორად მოგვაჩვენებს თუ მოგვათქვენებს, ორს ოთხად და ასე შემდეგ... — „გულმცრიული პროგრესიით"!.. რეგრესით მიდის „პროგრესამდე", სიცრუის სიბრძნით, განდიდების მანიით და იდეალებით შეპყრობილი, იპყრობს მსოფლიო ყურადღებას.*

*აგერ, თბილისში, აგერ, ახლა, წითელი აგურით ნაშენ ახალი სახლის კედელში ჩაცანებული თეთრი აგურით კალიგრაფიულად „უკვდავყოფად" სომეხი ხელოსნის სახელი ამოვიკითხე, წაღმა „ვაგან" — უკუღმა „ნაგავ"-ად რომ იკითხებოდა. და მეც, სისხლიან პოეტ მაჭავარიანზე იოსებ ნონეშვილის მიერ დაწერილი „შებრუნებული სონეტისა" არ იყოს, იმიტომ შევუბრუნე სიტყვა და სახელიც მას და მის თანამოძმეებს (ისტორიის ფალსიფიკატორებს).*

*ეს ჩემი ძველი კოლეგა და ახლანდელი პარლამენტარი, „სოფლისკან ერთსაცანის" მთავარი რედაქტორი ვან ბაიბურთიც!.. ვითომ ბაიბურთში არ იცის, რა ხდება, ვითომ მისი „ხაცა" მორის იდგეს. მისი სახელი „ვან" ინგლისურად „ერთს" ნიშნავს და ქართულად მავანს. ასეთ მეგობრებს მეტრზე არანაკლები გაძლება უნდათ.. თუ მოყვარეა, არ ეწყინება, რადგან ისიც ეცოდინება, რომ: მოყვარეს პირში უნდა უძრახო!*

ლისელი იცნო, მაჯაზე მოკიდე ხელი და თბილისი უხსენე... თუ თბილისის ხსენებაზე მაჯა აუჩქარდა... ესე იგი თბილისელიაო!

ნაღდია! თუმცა ყველა თბილისელს, თბილისელის ცნობის თავისი „სინჯი" აქვს. თბილისელი კაცი სიტყვითაც იცნობა, პასუხითაც, ჩასპანდური გავლა-გამოვლითაც, გულისხმიერებითაც, საქციელითაც...

ამას წინათ „ქრონიკაში" „ცენტრპოინტის" ერთი მშენებლობის შესახებ ქალბატონი თამარ როსტიაშვილის წერილი წავიკითხე (10-16.02.2003) და გულში თბილისურმა ნაპერწკალმა გამკრა, რადგან ამ გათითოკაცებულ და გაევერანებულ ქალაქში, თურმე, ჯერ კიდევ ცოცხლობს ძველი ტფილისის გენი, რაც სიტყვა-სიტყვით ასე ეწერა გაზეთში: „ჩვენ შევხვდით ერთ საოცარ მოვლენას ინგოროყვას 3 ნომერში, სადაც მაცხოვრებელთათვის სულერთი იყო, სად გადავიდოდნენ, ოღონდ ერთად გადასულიყვნენ, რადგან არსად ისე არ იციან კარგი მეზობლობის ფასი, როგორც ჩვენს ქალაქში.

1947 წელს, საქართველოში ჩამოსულმა ჯონ სტაინბეკმა განცვიფრებულმა თქვა: თბილისისნაირი სუფთა აღმოსავლური ქალაქი არსად, არასდროს მინახავსო. („ახალი ეპოქა", 6-12.06.03).

P.S. არადა, აგერ, ყურის ძირში, ხომ ვიცით ქვეყანა, სადაც მეზობელი მეზობელს სახლის გასაღებს უტოვებს — „კატაფალკა" ჩამოიყვანე და ჩემი მიცვალებული გაატანე... დღეს პროფკავშირის კრება მაქვს და ვერ გავაცდენო?!

P.S.P.S. სუფთა თბილისური გენის ზეიმს შევესწარით (06.07.07) „იმედის" არხზე. „ცენტრპოინტის" თავქალმა მაია რჩეულიშვილმა ებინაოდ დარჩენილ ღვთაებრივ ნინელი ჭანკვეტაძესა და 5 შვილის მამას, ჩვენს ზაზა კოლელიშვილს... პირდაპირ ღია ეთერში აჩუქა ბუდე — ორი ბინა, რომლის „ახალსახლობა" ასე სახალხოდ ვიზეიმეთ!!!

ასე, ჩემო სისხლო და ხორცო — გაიხარეთ ერთმანეთის სიხარულით!<br>
სხვისი სიხარულით – სიხარული,<br>
სხვისი ნეტარებით – ნეტარება,<br>
ასეთ სიხარულს და ნეტარებას,<br>
სხვა რა ნეტარება ედარება!<br>
ეს სუფთა თბილისური ხასიათია და არ დამიწყოთ, ახლა, იტალიური!

* * *

აზარტით დაავადებას ავადმყოფობა ჰქვია, მაგრამ უქკუობას ვერ დაარქმევ, — წერს ახალი თაობის ჟურნალისტი რეზო შატაკიშვილი, რომლის კალამმა კარგა ხანია მიიქცია ჩემი ყურადღება, რის გამოც, გადაწყვეტილი მაქვს ამ „უშიში ვითარცა უხორცო" ახალგაზრდა კაცის გაცნობა.

კაზინო ეშმაკისაა. თურმე სათამაშო მაგიდის ციფრები 0-დან 36-მდე, რომ შეკრიბო, ჯამში ეშმაკისეულ 666-ს მიიღებ! რულეტკის განლაგების მომგონი ჭკუაზე გადასულა. გაუფრენია — ფანჯრიდან გაფრენილა და თვითმკვლელობით დაუმთავრებია სიცოცხლე!

სხვა?

სხვაც ბევრი, საინტერესო!

გენიალურ თედორე დოსტოევსკის ჭკუის მეტი რა ჰქონდა და მლოცველებად მკითხველიც ეყოფოდა, მაგრამ ბადენ-ბადენის კაზინოს

---

*ბიბლიის მიხედვით, სული სისხლშია.*

*ბოროტებასთან შეგუებით... მისი თანამონაწილე ხდები.*

აგერ აქამდე ამშვენებდა დაფა წარწერით, რომელიც ისტორიას აუწყებდა, რომ რუსული ლიტერატურის სიამაყეს თედორე დოსტოევსკის ამ კაზინოს... ვალი მართებდა!!!

ახლახანს, ეს საუკუნის ვალი, ვიღაც მადლიანმა „ახალმა რუსმა" გადაიხადა და ეს დაფაც ჩამოიხსნა.

### ო რ ღ ო ბ ე შ ი   ყ უ რ მ ო კ რ უ ლ ი

— ძველი დრო რომ აღარ მოგწონთ,
თქვენ რას გვეტყვით ახალს?..
— ახალმა დრომ ძველი დრო და
გლეხი დააგლახა!
აპა!

* * *

ჩემი დრო წავიდა და მე ვგავარ მატარებლიდან ჩამორჩენილ მგზავრს, კაცს, რომელიც... იცინის!

რა მაცინებს?

ერთი ჩემსავით ძველი ანეკდოტი გამახსენდა: ერთ სადგურზე ერთ გურულსაც გაასწრო, თურმე, ერთმა მატარებელმა და მიაძახა: ასე თუ ტიე ხალხი, ძამა, ვნახავ, ერთი, ვის ჩეიყვან ქალაქშიო.

ქალაქს კი, ძველად, საქართველოში, მარტო თბილისს ეძახდნენ.

* * *

ცოლი და ქმარი
არი —
ქალის და კაცის გატოლება!
ოჯახი კი —
ჯახა-ჯუხი და —
ორუცნობიანი განტოლება!

* * *

სიყვარულის ახსნა არ შეიძლება —
ერთია ახსნა და დამთაერება!

### გოგი გელოვანის საფლავთან

გელოვანის გულოვანი... ასახდლი ჭერის!
გოგის ხელის გახელებით საფლავიც კი მღერის,
გაწყვეტილი გიტარები... დაწყვეტილი გული...
მღერის გოგი გელოვანი —
სიჩუმეა სრული.

❖❖❖

პირტიტველა რუსი ბიჭი მოსკოვის უნივერსიტეტში დის მაგიერად მისაღებ გამოცდაზე გავიდა. კაბა — ქალად, ფერუმარილით და დიდი ბიუსტით! სწორედ ამ უზარმაზარმა მკერდმა გამოიწვია გამომცდელების დაეჭვება... ეს „შპარგალკების" სამალავი ხომ არ არისო და ხელების ფათურით გამოცდაც საკმარისი აღმოჩნდა თაღლითობის დასადგენად.

ერთხელ ასეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი, ახლა უკვე ყბადაღებულ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, როცა ფულს წინ ვერც ცოდნა დაუდგებოდა და ვერც საგამოცდო კომისია.

ერთი ახალგაზრდა, დიდი ცდის მიუხედავად, 4-იანით ვერა და ვერ გაუსტუმრებიათ. არც ერთი ძირითადი თუ დამატებითი კითხვა არ დაუტოვებია პასუხის გარეშე. არადა, ეს დალოცვილი, არ ირიცხებოდა ე. წ. ჩასარიცხთა (შემდგომში უკვე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემთა ე. წ. „პროსკრიპცი-

* * *

რაც მეწერება, იმას ვწერ — ქაღალდზე მიედეე კალამსა,
აზრს სტრიქონებად ალაგებს და ცეკეავს განდაგანასა.
ხანაც ჩიტიეით დაფრინავს, ხან წრიპინებს და წრუწუნებს,
ხან ხანჯლობაზე თავსა დებს, ხან უყხოობას მიწუნებს!
თავაწყეეტილი გარბის და სად გადაგჩეხავს, ვინ იცის,
ანგელოზს ვუყრთხობ ეშმაკსა, ჯინი მჭირს ზღაპრულ ჯინისი.
საცობად ვერ გამოედექი, რომ ბოთლში გამომეკეტა,
სულ შავად მეჩვენებოდა, თუმც ვარდისფერი მეკეთა —
ცხოვრების ჭრელი სათვალე... მწერლის ფიც-ვერცხლი, მელნის გზა...
და საიდუმლო კუნძული, ვით ბედისწერის ენიგმა!
არჩევანსა და არადანს... (მამაჩემსა აქვს ცხონება),
ავის და კარგის გარჩევას მოუნდა მთელი ცხოვრება!

* * *

მომიტევოს ღმერთმა მკრეხელობა!
ასეთია მწერლის ეს ხელობა.
ყველაფერს ქაღალდიც ვერ აიტანს:
რატომ და რადგან და ვინაიდან!..
ცხოვრების ღოროჩოღროს მიეუყვები,
ვარჩევ ავ-კარგსა თუ შავსა და თეთრს.
ღმერთმა: ცამდე მართალ კაცს, გაუმარჯოსო და
კაცმა: ციდან — მიწამდე მართალ ღმერთს!

* * *

სიმარტოვის სიმარტივე მაოცებს:
მოვსულვართ და წავალთ დედაშობილა.
ეს ცხოვრება გამოცანად ცნობილა —
ამოხსნი და... რა მარტივი ყოფილა!

* * *

ღმერთმა იცის, ვინ და ვისი ტოლია,
ცოლ-ქმარს შორის ვინ ტყუის — ვინ სწორია!
განტოლებას, თანაც ორუცნობიანს,
ქორწინება ჰქვია ან ცოლ-ქმრობია!

* * *

არ არს უფრო მომწყენელი,
ვიდრე სიტყვის წყურვილი...
არის უფრო მეტყველი —
იდუმალი დუმილი!

---

*იოანე ოქროპირი: „მდუმარებაში ყვავის ღვთის ჭვრეტის თეთრი შროშანები და ლოცვის ალისფერი ვარდები!"*

## წვერებიანი ხუმრობა

არ ვიცი, ცოლი მღალატობს,
არ ვიცი — მეხსიერება,
ულვაშის ხათრით ვენდე და
პოდა, ქე გამცეს წვერებმა!
კაცს თავი მოსწონს ბლანჟეთი,
თუმცა, ესერება ბაჟეში,
რად გინდა წლების სიბერე,
თუ კი ესაა სიბერე?

* * *

ვით ორი პინა ყანთარის:
ზაფხულია და ზამთარი!
მოდგება შემოდგომა და
ველი დაზაფრულ გაზაფხულს...
თავისი ია-ვარდებით,
თავისი ეკალ-ბარდებით,
მზისა და მთვარის ფარდებით,
უდარდელობის დარდებით...

* * *

ვენდე ბევრ ლაწირაკს... ღმერთმა არ გამწირა..
ღმერთმა მოუარა ყველა ამ იარას.
ვერცერთ ფათერაკს გვერდი ვერ ავუარე —
ყველა ფათერაკმა გვერდი ამიარა.

## წინასაარჩევნო არჩევან-არადანი!

ბედო, ვის დაეჭყანები?
ახლა ვისი ვართ ფანები?
ახლა ვის ვეთაყვანებით?
ახლა ვის ვუთხრათ ბანები?
...არც ჭკუა-გზა და კვალები —
ღია სამოთხის კარები —
ეტრფიან ბანოვანები —
შუბლზე ამოსდით თვალები!
გამიჩნდა გულზე ბზარები,
მომასკდა პირზე ბწკარები,
ამათი სულის ბერვითა
და ხელისგულზე ტარებით!

ულ") ხიაში. ყველა
გამომცდელი გამომ-
ცდელად უყურებდა
ამ ვუნდერკინდებს
და ლამის იყვნენ
ფიზიკური შეურაცხ-
ყოფა მიეყენებინათ
კედელზე მიყენებუ-
ლი ბიჭისათვის,
რომელსაც ფიზიკა-
ში და ფიზიკურად
ვერაფერს აკლებ-
ნენ — დარცხანიანე-
ით იდგა და ბუზგ-
ბიჯით იგერიებდა
ყველას.
ეს იყო „ჩ3"...
მოსახვედრათ ხიაში
გაუთვალისწინებელი
აბიტურიენტი მთელ
საგამოცდო კომი-
სიას აბითურებდა.
მოვარდა კომისიის
თავმჯდომარე, გა-
ვარდა ლექტორთან,
წაიყვანეს ეს უნი-
ჭიერესი ახალგაზრ-
და სადაც ჯერ არს
და ვიღაცის დას-
მენით გაიგეს, რომ
იგი ტყუპისცალი
ძმის მაგივრად
აბარებდა მისაღებ
გამოცდას?!
სიხარულით ცას
ეწია კომისია —
აი, მე აფერისტი,
ახლა რაღას
იტყვით?
— რა უნდა
ვთქვა — უპასუხა
ტვინით გატენილ
ბიჭს, — მე
ძმისთვის ვაკეთებ
ამას და აფერისტს
მეძახით, თქვენ კი
რისთვის აკეთებთ
ამას ძალიან კარგად
იცით — მექრთამეე-

## თოვლის ბაბუიდან გამომდნარი ლექსი

გიზოს,
დათოს,
მიტოს,
ლენას!..
დააჭირონ კბილი ენას,
ყური მიგდონ და უყურონ —
თოვლის პაპის ფოთოლცვენას.
ნაბოლარას — ვეტყეი ანას,
ამ ცხოვრების ანა-ბანას,
რომ ამოხსნას — აუხსნელი
წუთისოფლის ამოცანა!
თქვენ უყურებთ ფოთოლცვენას,
თქვენი საგვარეულო ხის —
თქვენზე მზერალ, თქვენზე მწერალ,
თქვენზე მლოცველ და მეოხის.
დედის გარდა ერთი ღმერთი,
ღმერთმა იცის, რომ გყავთ თქვენა —
ბედი — ყოვლის შემოქმედი:
მამა-ღმერთი, დედა-ენა!

* * *

სხვაგან ამომრჩეველი ირჩევს ამოსარჩევს — ჩვენში პირიქით: ამოსარჩევი — ამომრჩეველს!

* * *

მშობლების წინ მორბენალი კვიციევით,
ბევრი რამე სანანებლად გამიხდა.
მამაჩემის ყველა ლოცვის არ იყოს.
დედაჩემის ყველა „წყევლა" ამიხდა!
მამა-ღმერთით, ასე დედაშობილა —
პირით წყევლა — გულით ლოცვა ყოფილა!
უკვდავების წყარო დღემდე მწყურია —
მათი „წყევლა-კრულვით" მიდგას სულია!

კოტე ყუბანეიშვილი:

## ქაჯობამ გვაჯობა!

### კომუნალური მეურნეობის თემაზე
(ძველი ვერელის ალავერდი
ახალ ვერელ კოტე ყუბანეიშვილთან!)

გარემო დავაბინძურეთ —
მერე ქუჩები დავგავეთ.
ახლა ვწერთ ნაგვის ყუთებზე
სატირულ იგავ-ნაგავებს!

* * *

ყიის მამალი
და ყეფს ბათურა.
მზე — მნათობია,
მთვარე — ნათურა!
მთელი ქონება,
რაც მაბადია:
ღამე-სიზმარი,
დილით — ცხადია!

* * *

როცა, მორალით, „პორნო“ —გრაფია! —
ნაავტორალიც — პორნო-გრაფია!
ქორონიკონი — 2 სტრიქონი!
— რა არის ლექსი?
— რითმების სექსი!

* * *

შენ, სიკვდილის... სიკვდილივით შიში გაქვს,
უკვდავებით კეკლუცობ და ბელადობ.
უძღებ შვილის ბიბლიური ჯიში გაქვს —
საფლავსაც კი ქართულ მიწას ვერ ანდობ!

* * *

ჩემს ჭკუაზე იარეო! — გიბრძანებენ,
შენს ჭკუაზე სიარულს არ გაპატიობენ.
მეგობარო! შენი ჭკუით შორს ვერ წახვალ...
შენს ჭკუაზე, ნეტა, შენც არ დადიოდე!

* * *

როს მოიხედავ უკან...
წარსულს გაცქერი როს.
ვფიქრობ (ნაკლია თუ კი)
ვერ გაუსწარი დროს.
მეჩქარა? აბა, საით —
რა მაჩქარებდა, რო?
ყველაფერსა აქვს ეშხი,
ყველაფერსა აქვს დრო...
დრო აღნიშნეო, გალამ!
დროს ტყვეები ვართ ყველა,
დრო მკლავს და დროს ვკლავ, მარა —
დროს მოერევი?
— ვერა!

ბი ხართ!
...„ნიანგში“ ერთი ასეთი თემაც დავბეჭდე! ...ერთ ბიჭს იმედი „მპარ-გალუა“ გადაუყლაპია“ რომ საოპერაციო შეიქნა და ქირურგს უთქვამს: ახლა ამ ყმაწვილს, ეს ცოდ-ნა მუცლის მაგ-ივრად თავში რომ ჰქონოდა... აქ ხომ არ იქნებოდა გამხ-ლართული.

პური და სანახა-ობა!
თუ ამ პრინციპ-ით ვაპირებთ ცხ-ოვრებას — მიზანი უკვე მიღწეულია — ერთიც არის და მე-ორეც!
ვინც ამ ცხოვრე-ბას სეირივით უყუ-რებს, ამ დროს ვერ დაემდურება. პურისა (ჩვენი არ-სობისა კი არა, ჩვეულებრივი პური-სა) რა მოგახსენოთ, მაგრამ სანახაობა — მართლაც ყულამ-დეა!.. თანაც ნაირ-ნაირი... რევოლუ-ციასავით — ჯერ არ ნახული, ჯერ არ გაგონილი.
ცელეარს 202-ის ერთ-ერთი დამფუძ-ნებლისა და ნამყვა-ნის დაქერის მერე დაიწყო ახალი სანა-ხაობა, რასაც ვე-რავერს დაარქმევ-გარდა — თავისუფა-ლი პრესისა და

* * *

ღმერთიეით სიტყვა — ითქმება ღმერთით; მეფური სიტყვა — ითქმება სეფით.

მეფური ყოფით და სიტყვა — მეფით; — ძაღლური ყოფა ითქმება... ყეფით!

* * *

ანგელოზს, რომ შეეძლება რამე, ფუი, ეშმაკსაო!

ეშმაკი ანგელოზიეით რომ მოიქცევა, მაშინ ვის შეაფურთხებს?

უიმეო თუ ფუიმეო?

## ლოცვა

ეახსენოთ ღმერთი, შეეუდგეთ ღმერთსა — დავეძებ სიტყვას — მე, ერთადერთსა... არა ერთ-ერთსა — იმ ერთადერთსა, იმ თავის — უფალს და სიტყვა-ღმერთსა!

თვით სახარებამ — სიტყვა-იარად, ღმერთის ზიარად, ღვთით აღიარა... ჭირისუფალად, ლხინის-უფალად, სულის ნაწილად და ზიარებად!

პასუხი-კითხვას!

დავეძებ რითმას,

რომ ლოცვად ითქვას!

დიდება სიტყვას!

* * *

ჯერ კიდევ 5 წლის იყო დათუნა, როცა ბაბუის ნამბაძველობით ერთი ლექსი გვხია, თანაც, გრანელის „სტილში".

*ერთი ბიჭი*

*ჩამოვარდა ხიდან...*

*მერე წვიმა*

*წამოვიდა ციდან...*

მაშინ თვითონაც ერთი ციცქნა იყო და ამ ერთი ციცქნა ტალანტმა ცაში აგვიყვანა.

აგერ ახლა კი (უკვე 12 წლისაა), „მთარგმნელობით" საქმიანობასაც მოჰკიდა ხელი და პირველ ცდაზევე შეეტყო, რომ ამ საქმეშიც არ ჩანს ხელმოცარული.

Когда я ем –

Я глух и нем!..

როცა მე ვჭამ,

ყრუ-მუნჯი ვარ!

ან:

როცა მე მივირთმევ —

ნურაფერს მირითმებ!

ან:

როცა გეახლებით —

ყველას გეთანხმებით!

---

*ალიმერ ნავოი: გაიარო ცხოვრება და არასრულყოფილი დარჩე, იგივეა, აბანოდან დაუბანელი გამოხვიდე.*

ა, როგორია?

აი, რუსულში კი კომედიაა მისი მოსკოვური სატელეფონო საუბრები ნახევრადრუს ბიძაშვილებთ-ან. ამას წინათ ნაბოლარა ანკას უთხრა:

Без вас сгкучнуло!

იქედან კი ლენკამ ჩაუჭიკჭიკა ყურმილს: Скоро приеду Датошка-картошка-ო... მოკლედ, რითმების ცვენაში ვართ!

არის ერთი საქალაქთაშორისო ზარის წკრიალი და რითმებით კენწლაობა. ლენკა, მაინც, სულ ფერ-იას ჰგავს. თითქოს მიწაზე არც უდგია ფეხი და დაფ-რინავს მაია პლისეცკაიასავით, რომელსაც, თბილის-ში, ასევე აედევნა ეს ფუნაგორია: „მაიაა თუ ტვაია — — იქეთ ვუია — აქეთ ვაია... ... ქალბატონი პლისეც-კაია — ასეც კაია, ისეც კაია"! —

რაც კაია-კაია!

* * *

დადიანის ქუჩაზე, ახლა, დადიანების გარდა, მთე-ლი თბილისიც დადის და ხედავს, რომ აქ, ღია ცის ქვეშ, „კაბინეტი" აქვს მოწყობილი ათას „ტრუბაში" გამძვრალ ცნობილ მარინას, რომელიც მოწყალებას კი არ ითხოვს, არამედ მოითხოვს! და თანაც ისეთი რიხით, რომ უარსაც „ვერ გაბედავ"!

მათხოვრის ამაზე უფრო გამათხოვრება არ მი-ნახავს.

მათხოვრობასაც თავისი ხიბლი აქვს.

დიახ, დიახ — ხიბლი!

და ფილოსოფიაც!

ტვინიდან არ ამომდის და დრომ გულის ფი-ცარზეც ვერ წაშალა „ასავალ-დასავალის" შეფ-რე-დაქტორის, ლაშა ნადარეიშვილის ლექსი (კიდევ ერთხელ გავიმეორებ!), რომელმაც მასწავლა ხელ-გაშვერილი კაცის ცნობა!

ძვირფასო!

ჩემი სათხოვარია:..

როცა ქუჩაში მათხოვარია,

ნუ განიკითხავ, რა ცხოვარია —

იქნება სულაც... მაცხოვარია!

...ვაშა ლაშა!

* * *

ამბიცილინსა და მიცინებს — ანთებისა და წამონ-თების დროს ხმარობენ, მაგრამ სხვა არაფერი საერ-თო აქვთ ამბიციებთან და სიცილ-ხარხართან.

ვერაფერი გამიგია ამ უცხო სიტყვებისა თუ ბარ-ბარიზმების ეტიმოლოგიისა. თუმცა, ჩემს ვერელ დაქალთან, კომპოზიტორ ნუნუ დულაშვილთან ერ-თად „სიცილის ჰიმნის" დაწერის დროს, ამ სიტყვებ-ის გარეშე არაფერი გამოვიდოდა:

უერი თავისუფალი
პოლიტიკის ომისა!
ეს არ არის არც
სამამულო, არც სა-
დედულო ომი და
მას, ჩვენდა სასახე-
ლოდ, შეიძლება ვუ-
წოდოთ უსახელო
ომი, სადაც გამარ-
ჯვებული არ არსე-
ბობს!
ახლა პურისაც
მოგახსენით!
არის გაუთავებე-
ლი ლაპარაკი: თურ-
მე ისეთ პურს გვ-
ახლებით — ხორ-
ბალს მატლები რომ
ჭამს.
ალბათ. ამას
ჰქვია — მატლის
მადლად გადაქცევა!
(ან პირიქით!)
გახსოვთ, ოქ-
ტომბრის რევოლუ-
ციის წინ „მატ-
როსებმა" რა ამბავი
ატეხეს: ბორშში
მატლებიაო!
ფრთხილად, ბა-
ტონებო!
ოქტომბერიც კა-
რზეა!
9.09.05.

ზემოთ, გადატა-
ნით-გადმოტანითი
მნიშვნელობით ვიხ-
მარეთ სიტყვა
„ომი". აქ კი ნამდ-
ვილ, მაგრამ შინა-
ურ ომზეა ლაპარა-
კი, სადაც მტერი-
მოყვარეა და მოყვა-
რე კი... მტერი!
ჯერ, ამ რამდენიმე
ხნის წინ, მე-8

„სიცილით ვინც კვდება – ის დიდხანს ცოცხლობს.
სიცილი უხდება ოსტეოხონდროზს.
პოდა, პე – ვიცინოთ უკუდისქიცინოდ,
უაურო-უპენიც – უსტრეპტომიცინოდ...
და ა. შ. (რაღა უკლია აშშ-ს).

* * *

ერთი ფუფუნება მქონდა: რასაც ვფიქრობდი — იმას ვამბობდი და ამან გამიჩმახა ცხოვრებაში.

არადა, ღმერთივით კაცს — ჩარლი ჩაპლინს ყველაფრის ყველაზე დიდ შეფასებად მიაჩნდა სიტყვა — მართალია!

რადგან ასეა, ვახსენოთ ღმერთი
და მართალ სიტყვას გავევგოთ ფერხთით!

* * *

კალმით ტკბობასა და მელნით თრობას ვერ მოთოკავ! მწერალი... მკითხველია... ორიგინალში!

ჩემს დაუწერელ წიგნს მე დაწერამდე ვკითხულობ! ხან თავი მკარნახობს, ხან გული, ხან თვალი, ხან ყური; ხან ტანი მიგრძნობს, ხან ზურგის ტვინი; ხან კალამს მივდევ, ხან კალამი მომდევს; ხან დრო მკლავს, ხან დროს ვკლავ; ვიხევ გულის პერანგს, მივყვები ტვინის ხუჭუჭებს, ვანთხევ სისხლს, ვცურავ მელნის ტბაში და სტრიქონ-სტრიქონ მივიკვლევ გზას წარსულში, აწყოსა და მომავალში — რაც იყო, არის და რაც... ღმერთმა იცის, იქნება თუ არა!

წამიკითხე მკითხველო და შენდობა მითხარ.

თუ არა და...

ნურც წამიკითხავ და ნურც განმიკითხავ!

* * *

ცოლს, ქართული ენა, მეორე ნახევარს უწოდებს.

არ არსებობს კაცისაგან ქალისთვის ამაზე დიდი წოდება!

ქალებს კი სულ უქმარობისა თუ უკმარობის გრძნობა და ალილუევას სინდრომი აწუხებთ: ძლიერი ქმრები უნდათ... ერთადერთი სისუსტით — ცოლით! მათი ქმრები ყველას უნდა მოერიონ — ცოლის გარდა! მახლას: გარეთ — გმირები, სახლში — ვირები!

არადა... სი ვარადა ვარადა... დელი-ოდელია — ქართული მოდელია — ცოლი ქმრის მორჩილი უნდა იყოს — ქმარი ცოლის — მონა!

როგორც გინდა, ისე გაიგე!

* * *

ფიქრები-ფიფქები საავდროდ იყრებიან,
დაბორიალობენ ლანდები...
მდაბლად თავს მიკრავენ ჩვენი რაინდები –
თბილისის ნამდვილი გრანდები.

---

*ჰერაკლიტე ეფესელი: „ღმერთები-უკვდავი ადამიანები არიან, ადამიანები-მოკვდავი ღმერთები!"*

*ფულის უკმარისობაზე ძნელი – სულის უკმარისობაა!*

* * *

პირში საგინებელი — ზურგს უკან არ აგინო და
ზურგს უკან საქები — პირში არ აქო!

* * *

ამ გულში სათქმელს...
ამ ყურში სათქმელს...
მე გეტყვი პირში —
ლხინით ხარ ჭირში!

* * *

კაცი და მხეცი — ერთად მავალი.
ცოდვის შვილი და ცოდვამრავალი.
შენ ხარ ფიტული — გამოფიტული.
გაქვს ტიტული და გაქვს ცხრაკლიტული...
და სრა-სასახლე — ჩამამაძაღლი,
გულ — სეიფი და სულ — მაცივარი,
კუბოს ფიცარი — სხვა საფიცარი,
ველარ იცანი — ველარ გიცანი —
სხვა ჯიშ-ჯილაგი — ზნეწარმავალი —
ხარ ქვეწარმავალ-ზეწარმავალი!

* * *

სიმართლეს ეხედავე მარტოკას,
ტყუილს კი ახლავს ამალა.
სათქმელი ველარ მოვთოკე —
ჭირმა თავი არ დამალა!

* * *

არ მომწყენია ქვეყნის ყურება,
მაგრამ აქ ყოფნის დრო იწურება.
კვლავაც დიდია სოფლის ცდუნება,
კაცი არი და მისი გუნება.

**ლიანა ახათიანს!**

**(220-იანი ძაბვის ლექსპრომტი)**

უკვდავებას უდრის
თქვენი გენის კოდი.
გაზაფხულს ვინ უთვლის,
მერამდენედ მოდის?

* * *

თუკი დარჩა ტოლი-სწორი,
ხელუხლებელ-უვნებელი,

*პოლიციის ცერიცეროაზე შინაგანი ჯარების რიგითების „ურიგო" საქციელი ვერ მოგვინელებია — ყაზარმის წინ აიცომაყეებით უფროსები რომ ჩაუხრიდეს, ახლა თავდაცვის (ამ შემთხვევაში — თავდასხმის!) სამინისტროს გორის მესამე ბრიგადაში 20 აგვისტოს პაპანაქებაში დატრიალდა ვაიუშველებელი, რომელშიც (ზოგი ინფორმაციით) ათასეულობით სამხედრო დაერია... მტერს კი არა — ერთმანეთს!*

*ქართულ ჯარში გამშველებლებზე — სამხედრო პოლიციასა და საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმზეა ლაპარაკი, არადა ჩვენ დღეს — აქეთ ერთმანეთზე და იქეთ — ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისკენ ვიქაჩებით!*

*ამბავი-ამბავს მოყვება და ზვავით აგორებს იცის! კომპიუტერ ყაყამაძის სისობა-ოთხებობამ ერთი ნამდვილი ამბავი გამახსენა, რომელსაც, რატომღაც, ანეკდოტად ყვებიან.*

*სოსო (იოსებ) ჯუღაშვილი-სტალინის დროს ქვეყნის სკარისკა მინდო*

კაი პურის მჭამელი და
ჭიქის შომჯახუნებელი...
ღირს ცხოვრება!

* * *

ეჰ, რა დრო იყო!

„მასეი-მაჭამე-მალხინეს" ვმღეროდით და ვსვამდით-ვჭამდით და ვილხენდით!

თუმცა, როგორც გამოირკვა, თურმე, არც მარტო ჭამა-სმა და ლხენა ყოფილა დიდი ბედენა... რაც სიცილით შეგვახსენა უფალმა. ბევრ მუცელგადაყოლილს მოუნია ჯანის დაცვა... ჯანდაცვის მესვეურებთან. ერთი „ლუარსაბ თათქარიძე" მისულა ექიმთან, კაი ნაჭამ-ნასვამ-ნაქეიფარი კაცი და მიშველე ექიმო, გული მანუხებსო... (მუცელიო, არ უთქვამს, მარა მუცელს სად დამალავდა!).

— გული კი არა, შენ მუცელი განუხებსო, — უთქვამს ექიმს და უკითხავს, — როგორ ცხოვრობო?

— „ღვინო-დუდუკი-ქალებიო" — ჩაუღიღინებია პაციენტს მაშინდელი ლოთების ლათაია.

— ღვინოს და ქალებს უნდა შეეშვა და დუდუკი უკარი რამდენიც გინდაო, — დაურიგებია ექიმს.

...ხუმრობაა ეს თუ ნამდვილი ამბავი — ეშმაკმა იცის!

სატირალს-სასაცილო მოჰყვება, სასაცილოს — სატირალი.

მიადგა თურმე ასეთ ტიპს მიქელგაბრიელი, ჩასვა ქარონის ნავში, გადაცურეს სააქაოდან — საიქიოში... სამოთხის თუ ჯოჯოხეთის არჩევანის დროს, მიცვალებული, ამ უკანასკნელიდან გამომავალმა დოლ-გარმონისა თუ გრიალ-უშკების, ანუ ცირკთან რომ დგანან, ისეთი მსუბუქი ყოფაქცევის ქალების სიცილ-კისკისის ხმამ გააბრიყვა და... ჯოჯოხეთი აირჩია... მაგრამ უცბად კუპრში რომ ამოყო თავი და ეშმაკთან ერთად რომ დაიწყო შინ ჭყუმპალაობა, მაშინ კი იკადრა და იკითხა: სად ვარ და ის სამოთხე რა იყო, ჯოჯოხეთში რომ ვნახეო?

— ის, ჩვენი აგიტბრიგადა იყო, ბატონოო — სიცილით მოახსენეს ეშმაკის მაშხალებმა.

P.S. ასე სიტყვასიტყვით, ტყუილად კი არ ამბობდა მესამე რაიხის კანცლერი ადოლფ შიკლგრუბერი (ჰიტლერი): ფაშისტური (ამ შემთხვევაში კი ფაშეისტური) აგიტაციით ჯოჯოხეთს სამოთხედ მოგაჩვენებთო! თუმცა, თხა-თხაზე ნაკლები... საბჭოთა პროპაგანდას მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდა — აბა, იქ „ბნელოდა აი, მთვარიან ღამეში!"

* * *

ყველას თავისი უყვარს — არავის არ ეერჩიო
სხვის სამოთხეს შენი — ჯოჯოხეთი გერჩიოს!

* * *

„შევეხმატკბილოთ ერთმანეთსო" — გვეხვეწებოდა აკაკი წერეთელი და გვაფრთხილებდა — „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო... ერთი მათგანიც რომ გაწყდეს"... დავილუპებითო! ჩვენსავით აწყო-

*სხვისი სამშობლო – შენი სამშობლო არ გახდება და შენს სამშობლოსაც ნუ გაასხვისებ.*

ბილი სიმღერა, დედამიწის ზურგზე, არავინ იცის! კოსმოსში, იმ რვა საოცრებათა შორის, დედამიწიდან ორბიტაზე რომ გაუშვეს, ერთი ქართული სიმღერაცაა („ჩაკრულო"). 7 ხმაში ვმღერივართ... მარა, როგორც კი დავამთავრებთ სიმღერას და ლაპარაკზე გადავალთ... ვჭამთ ერთმანეთს!

ჭირში ძმობა ვიცით და
ლხინში მტრობა გეწადია.
სიზმარსა ჰგავს, ღმერთმანი
ხომ?..
არადა, ცხადია!
მტლედ მაშინ დაგედები,
დაგიამებ იარებს,
როცა ჩემს ჭირთან ერთად —
ლხინსაც გაიზიარებ!

* * *

მტრობის ფიც-ვერცხლი-ძმობით ვაჯვარეთ,
კავკასიონზე გავდეთ ხიდები...
მაინც ატყვია კვალი ამ ჭალებს —
მოურიდები მიურიდების!
ვერ გავიხადეთ მტერი მოყვარედ,
ღვთისმშობლის წილხვედრ ვართ,
ეს გვაქვს ფარად!..
და ეს დროჟამი ასე მოვეყაროთ —
ღვთის ნებითა და ღვთის ანაბარა!

* * *

ცალი თვალი ლხინისაა,
ცალი თვალი ჭირის,
ცალი თვალი იცინის და
ცალი თვალი ტირის.

* * *

ეს ანდაზაა თუ ფიანდაზა,
დედააზრია აქ ღვთისნიერი —
ქართლის დედა და ქალის იერი —
„ქალი სუსტია — დედა ძლიერი!"

* * *

ენაც გეწყევლის და ენაც გელოცავს,
ცოდვა-მადლით უნდა იწვოდეს?
ღმერთმა რა და რისთვის მოგვცა —
კაცმა უნდა იცოდეს!
ორი თვალი, ორი ყური,
ორი ყურის ბიბილო,
ორი ხელი, ორი ფეხი —
სასიარულ-სირბილოდ...
ერთი პირი, ერთი ენა,

*ივანეს ძე კალინინი გახლდათ. ეს წვერცანცარა მერიკეკი, რომელიც ძველივით იდო (თუ იჯდა) უმველებელ თანამდებობაზე — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იყო (დავილორჩეი, მაცალეთ, სულის მოთქმა...) ჰოდა, როგორც თავმჯდომარეს შეეფერებოდა... თავზე აჯდა კიდეც ქვეყანას.*

*თავმჯდომარე კი ერქვა, მაგრამ ზოგჯერ თანამდგომარეც იყო (გააჩნია, ვისთან იდგა!), ხან თანამწოლარეც (გააჩნია, ვის უწვებოდა ან ვის იწვენდა!)... ქალების მუსუსი, დიდი წუწკი კაცი ბრძანებელა და ყველაფერზე და ყველა ბრძანებასაც ქვეყნის სტაროსტა ის აწერდა ხელს, მსოფლიოს 1/6-ზე გადაჭიმული სახელმწიფოს ხელმწიფის სახელით.*

*ქორებზე თუ აუყვებით, ჩვენში დარჩეს და.... იმპერიისა და ბალეტის საკავშირო აკადემიური თეატრის ერთი მცირეწლოვანი ბალერინის ცოდვა ედო კისერზე — პირდაპირ ლოგინში შემოკვდომია.*

ეს — საიგავ-არაკოდ —
რომე ბევრი ვისმინო და
ცოტა ვილაპარაკოთ!

* * *

ფულით ყიდვა შეიძლება
სუყველაფრის, თითქოს ...
სიყვარულის, ფუფუნების...
ზოგი ასე ფიქრობს.
ეს ეშმაკის ფეხი დაობს,
კაცთ კერპობას ითხოვს.
ფული ხელის ჭუჭყიაო —
ერთი ფულსაც პკითხონ!

* * *

ცოცხალსა და მკვდარს შორის განსხვავება ის არი —
ერთი მიწისაა და მეორე კი ცის არი!
ცოცხალს — ხატი ავალებს გახსენებას მკვდრებისას —
მკვდარს — უფლებაც არა აქვს ცოცხლის მონატრებისა!
თუმც ცოცხალსა და მკვდარზე არის სიბრძნე პირველი:
ერთი — სტუმარია და მეორე — მასპინძელი!

* * *

ლირიკა ვერ იტანს პოეტურ არტახებს,
ლექსი თუ გაგიჟდა... თავზე გადაგახევს —
ქალალდებს... ფიქრების ამბოხებს მძვინვარეს —
და ქარის მოტანილს გაატანს კვლავ ქარებს.

* * *

აქ — კაცი ადგას საიქიოს გზას...
იქ — სააქაოს გზას ვეღარ იგნებს...
უკან მოუსვლელს ვადგივარ ცხრა მთას
და ჩემს მაგივრად ვტოვებ ჩემს წიგნებს!
აწ ის გაგიწვევთ მამობას, ძმობას
და როცა ის თქვენ ხელში გაცვდება,
მაშინ იხილავთ იმ გულის ხმობას,
რომ ჩემი სული თქვენში კაცდება!

* * *

სიკვდილი სიცოცხლის ბოლო საიდუმლოა,
საფლავმა იცისო საიდუმლოს შენახვა.
ჯოჯოხეთ-სამოთხე ნახე ამ სოფელში,
რადგან, იმ სოფელში, ამ სოფელს ვერ ნახავ!

* * *

ზოგი უსირცხვილო — ურცხვობს.
ზოგი მორცხვია და მორცხვობს.
ზოგი სიცოცხლეშიც კვდება.
ზოგი სიკვდილშიაც ცოცხლობს!

* * *

ქათმისთვის, ალბათ, სულერთია, კაცი შეჭამს თუ ჭირი, მაგრამ „ქათმის ჭირი" არც ადამიანისთვის არის ნაკლები გასაჭირი. და, როგორც კი ახსენეს სიტყვა „პანდემია", მაშინ მოვარდა სიტყვა „ტან-დემია", რაც ორივეს აერთიანებს და „უერთიანებს" ასე ვთქვათ — ჭირშიც და ლხინშიც.

„ულვინოდა ცხოვრება, განა, ვის ეკადრებაო" — ხომ გაგიგონიათ „ქეთო და კოტეს" საქოსა და სიკოს დუეტში!

ბაჟე მოი!

პურ-მარილი უბაჟოდ და უტაბაკოდ?

ადამიანებმა ვიკითხოთ, თორემ ქათმისთვის რაღა გრიპი და რაღა ჩახოხბილი!.. მთლად ნუ გავანიორნყლებთ!

* * *

თაობათა ცელა მიეიდა — გმობიდან —
ღმერთი-რჯულის გმობამდე:
მამა-პაპათა ძმობიდან —
მამა-შვილთა მგრობამდე!
რაღა დარჩა?..

* * *

შვილიშვილო —
ძირისძირო —
ჩემო სისხლო, ხორცო!
ცოცხალიც და მკედარიც
ეიყო —
ისმინე ეს ლოცვა!
ჩემს საფლავზე მოდი,
გაგახსენდე ვინცობ...
და გამითბე ლოდი...
...ფეხის ხმაზე გიცნობ!

* * *

ზოგჯერ სიმართლისთვის ტყუიხარ,
ან ტყუიხარ, როცა თავს იმართლებ.
მართალში მეტია ტყუილი,
ან ტყუილში მეტია სიმართლე!
ამიტომ არქვა მას „სიბრძნე-სიცრუისა"
ნეტარხსენებულმა საბამ, —
ჭკუის მოსახმარად,
ქვეყნის დასაბამით,
ქვეყნის დასაბამად, აბა!

❖❖❖

რასპუტინის ჯიში ჰქონია.

...ერთხელ, ბირჟაზე, მოსკოვის მილიციას ვიღაც პუტანკა დაუჭერია და თვალები შუბლზე ასვლიათ, როცა მიგლეჯილ-მოგლეჯილ ტელეფონის წიგნაკში, ვიღაც ბოზებისა და ბარიგების ქრელა-ქრულა მისამართების გვერდით, ვიღაც „მიშას" კრემლის ტელეფონი აღმოუჩენიათ!!!

ატეხეს ერთი ამბავი, მაგრამ... ეს ლამაზი „შლიუხა" თუ „მარშლიუხა" ვერ გატეხეს. და იძულებულები შეიქნენ, ფრთხილად აეკრიფათ კრემლის ნომერი.

ტუ-ტუ-ტუ... ისმოდა ყურმილში, თითქოს ვიღაც ხვექვლდ იქნევდა თავს — რას მიჰქარავთო?..

ბოლოს, როგორც იქნა შეწყდა სიგნალი და გაისმა სიგნალზე უფრო იდუმალი, ხრინწიანი ხმა.

**– Слушаю...**

**– Это Миша?**

— ხაზგასმული სიფრთხილით იკითხეს ყურმილის ამითა მხრიდან... რაზეც ყურმილის იქითა მხრიდან გაისმა კრემლის კურანტებივით ხმა:

**– Для кого Миша, а для кого _ Михаил Иванович**

* * *

ხმა ისე უნდა ამოიღო, რომ სიჩუმის დარღვევად ღირდეს!
სიმართლე რომ არ იყოს – ტყუილიც არ იქნებოდა.
ტყუილი რომ არ იყოს, სიმართლეს რა დამალავდა!
მართალი და ტყუილი ბიბლიური ძმებივით – აბელ-კაენიეით არიან,
ტყუილს მოკლე ფეხი აქესო... ტყუილია!
ტყუილზე უფრო შორს სიმართლე ვერ წავა.
„გამოენთე სიმართლესო, გამოგილევს სინათლესო!"
პოდა, რაღაა იგი სინათლე (სიმართლეც), რასაცა ახლავს ბნელიაო"!
„მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო".
ტყუილს კი, მოკლე ფეხი აქვს, მაგრამ ქარიც ვერ დაეწევა.
პოდა, ამ მითქმა-მოთქმამ... მოთქმასავით მათქმევინა სიმართლის
ნეკროლოგი!
ჩემი არშინით გაკზომე, ცხოვრების ჭრელი ფართალი.
რად გინდა იგი სიმართლე – მარტო შენ იყო მართალი?!?

## ანბანური ქეშმარიცება
### (ღღის თანხლებით)

აბგდევზთ –
გინდ ასწავლო თევზთ...
ინ-კან-ლას-მან – ნარ-ონ-პარ-ჟან –
ამაოა მათთვის გარჯა!
რაე-სან-ტარ-უნ-ფარ-ქან-ღან...
აჭრიალებ ტყუილა არღანს –
ყარ-შინ-ჩინ-ცან-ძილ-წილ-ჭარ-ხან-
პირი წყლით აქეთ საესე, რახან.
ჯან-ჰაე და თანაც ჰოე –
შეეუბეროთ და...
აოე!

* * *

„შიში შეიქმს სიყვარულსო",
შიშის არ მაქვს შიში.
ვარ გიჟიეით მართალი და
მართალივით გიჟი!

* * *

ყველაფერს ვეფერები და
ფერებით ეფარავ ყველაფერს –
გრძელ სიტყვას მოკლედ ვამბობ და
მაინც –
ვერ ეფარავ ვერაფერს?!

* * *

ბნელზე — ელეთ-მელეთი,
დღეზე — სული მიმდის.
დღე — გეასწაელის სიცოცხლეს და
ღამე კიდე — სიკვდილს!

* * *

სიყვარულის ფორმულიდან
რომ არ დარჩეს ნოლი —
შეყვარებულს, არასოდეს,
არ დაარქვა ცოლი!

* * *

მერამდენედ ვკითხულობ მოუდის წიგნს „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ".
საიქიოში ნამყოფივით ვერს.

არ ვიცი, უნდა რის თქმა —
ამეკვიატა რითმა —
ასეთი ფიქრი, მოუდის
ნეტავ, საიდან მოუდის?
წასული — ბევრი მინახავს,
მოსული... რა მოსაგრებით?
უნდა მოკრიბო აზრები,
როცა სიკვდილს ებაზრები!

### ცოლქმრული იდილია-შიდილია

**(ხუმრობით, რასაკვირველია!)**

ცოლი და ისიც გურული —
სამოთხის ჯოჯოხეთია...
თეთრი დღე — შავად წაგსელია,
შავი დღე — თეთრად გეთია!
ოჯახი იდილია და
სიამტკბილობა კი არა...
ზოგის ცოლქმრობის გზაშარამ —
სულ დანის პირზე იარა!
საწყალ კაცს სასჯელს ურჩევდნენ!..
რაც უნდა შემოვენთოთო —
უარესს ვერ მოეიფიქრებთ:
გურული ქალი შეერთოთო!

* * *

ადამიანზე დიდი ტაძარი ჯერ არ აშენებულა.
ადამიანი — ტაძრის ღირსება იმაშია — ვის უღებს
ის გულის კარებს, ღმერთს თუ ეშმაკს?

**Калинин!!!**

ახლა ყურმილის აქიდან გაისმა მე-მინეგზელი —
ტუ-ტუ-ტუ…
და ამით სატელე-ფონო ლაპარაკიც შეწყდა და ეს ამ-ბავიც!

ილია: „ჩემო კა-ლამო, ჩემო კარგო, ნუ გვინდა ცამი!"
მეცნიერებმა და-ამტკიცეს, რომ ორი სხვადასხვა პა-პირუსის ფრაგმე-ნტზე ჩვ. წ.აღ-მდე მე-6 საუკუნის ნახ-ევრად ლეგენდარუ-ლი პოეტი ქალის საფოს ლექსია.
ამ მოკლე ლირი-კულ ლექსში საფო მწუხარებას გამოთქ-ვამს წარსულ ახალ-გაზრდობაზე და ადა-მიანის სიბერის გა-დმოცემისას ეოსი-სა და ტითონის მი-თი მოჰყავს. განთია-დის ქალღმერთმა შეძლო ზევსის და-ყოლიება, რომ მისი შეყვარებულისთვის მარადიული სიცოცხ-ლე ეჩუქებინა, თუმ-ცა ერთი დაავიწყდა, სიცოცხლესთან ერ-თად მარადიული სიჭაბუკეც ეთხოვა. საბოლოოდ, ბებრუხ-ანა შეყვარებული ქა-ლღმერთმა ციკადად გადააქცია.
დღემდე მოღ-წეული პოეტის ია

* * *

ღმერთს ერთ კაცში რომ ჩაეტია ადამიანი, მაშინ ის კაცი იქნებოდა კაცობრიობა!

„მე ვარ და ჩემი ნაბადი" — ამბობს ჩვენებური კაცი და ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად.

კაცი ქუდით იცნობა და ქუდი კაცით! კაცს, ჩვენში, ქუდზე კაცს ეძახიან. ამიტომ გაეიხსენე ებრაელი ისაკა მექუდე „პაემანზე"! ისაკას ბორელიეფით დავამშვენეთ ის ღიობი, სადაც მისი თბილისური ქუდების სამკერვალო-მუზეუმი იყო! „ისაკა მექუდეს ქუდი მოვუხადოთ! — მთელ თბილისს დაახურა ქუდი"...

* * *

არის ასეთი სიმღერა:

„ჭრელო პეპელა, გაფრინდი ნელა, დელია რანუნი"... აქამდე, ეს სიმღერა, ყოველგვარი ექსცესების გარეშე იმღერებოდა, მაგრამ როგორც კი მიაღწევდა თავის კულმინაციას: „ნურც გაფრინდები — ნურც მოფრინდები"(?!) აი, მაშინ კი, ზოგიერთი ჭინჭყლი ტოლუმბაში (თუმცა, არც ისე უმიზეზოდ) ერთ ამბავს ტეხდა: აბა, რა ქნას პეპელამო?

აი, ასეთი ჰუმანური დამოკიდებულება იყო ჩვენში პეპლების მიმართაც კი! მაგრამ ეცი, ახლა, პატივი ასეთ მწერს თუ მტერს. შეგვეჭამა თეთრმა პეპლებმა და ისიც ამერიკულმა (ყველაფერ ამერიკულზე მზე და მთვარე რომ ამოგვედის!). თურმე 200-დან 2000-მდე კვერცხს დებენ და 300 სახეობის მცენარეს აზიანებენ! — დედა-ბუდიან-ტოტიანად თუ არ მოჭერი — თურმე თვითონ მოგჭრის თავს, მესამედ იბარტყებს და ჭუპრადაც თვითონვე შეინახავს თავს... 2007 წლის მაისამდე!

ჩვენს „ჭრელ პეპელას", ასე თუ ისე, „დელია რანუნი" შველოდა, და ამ ამერიკული თეთრ, პეპელადან რა ეშმაკი გვიშველის, ეს, ზუგდიდის რაიონის მცენარეთა დაცვის მთავარ სპეციალისტს, ქალბატონ მზია გუბელაძესაც არ სცოდნია, რის გამოც, როგორც 4-5 სექტემბრის (2006) გაზეთი „ვერსია" იუწყება, იგი განთავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

ჩემი „თენგისა" კორინთელის (ასე ეძახდა დედაჩემი — ლიდა საჩინოს ასული ვარდოსანიძე მისი უფროსი დის — სონიას ყალიჩავას შვილიშვილს) ქუთათური მძახლების, დათო და რეზო ნაჭყებიების მონაყოლს გიყვებით: თბილისიდან ქუთაისში, მეგობრებს, მის საფლავზე დასადგმელად, ერთი ჯიშიანი ქართველი კაცის — ქუთაისელ-თბილისელი ოთარ სულაბერიძის ბიუსტი მიჰქონდათ, თურმე, მანქანით. იგოეთის ძველი ციხის ნანგრევებთან (სადაც, აქაურები სამხედრო გზაზე მავალი მანქანებიდან საბედილბლოდ შემონირულ გადმოყრილ ხურდა ფულებს აგროვებენ) ავტოინსპექციამ ეს ბიუსტიანი მანქანა გააჩერა და საბუთები და ძეგლის ფაქტურაც მოითხოვა?!..

რის ფაქტურა, კაცო, ეს ხომ ოთარ სულაბერიძეა, საქვეყნოდ ცნობილი ქართველი კალათბურთელი და პიროვნებაო... აიჩეჩეს მხრები ძეგლის მესვეურებმა.

მილიციელები ერთი კი ჩაფიქრდნენ, მაგრამ მაინც თავისაზე იდგნენ: უფროსებს დაველაპარაკებითო — და იქვე, დუქანში შევიდნენ. შევიდნენ გამოვიდნენ და ამბავიც გამოიტანეს... თანაც, რა ამბავი!

— ეს ძეგლი, კეთილ ინებეთ, ჩამოიღეთ მანქანიდან და აქ მოაბრძანეთო!

ძეგლის პატრონებს (და ალბათ, ამ ამბის მსმენელსაც) ცეცხლი მოედოთ გულზე და ვინ იცის, აქ რა ცეცხლი დატრიალდებოდა — შემხლელ-შემომხლელნი ამ ეპიზოდის საფინალო სცენას რომ არ შესნრებოდნენ!

ბიუსტი დუქანში შეიტანეს!.. შეზარხოშებული მილიციელი მასპინძლები, დევივით ბიჭები, ძეგლის დანახვაზე წამოიშალნენ და... ფეხზე ადგომით შესვეს ოთარ სულაბერიძის სადღეგრძელო! ...მერე კი ცოტა წაიქეიფეს „მასთან ერთად" და მასა და მის მეგობრებს თავთავისი გზა დაულოცეს?!

ჰოდა, ჰქვია, ახლა, ამას სიკვდილი?

სხვა დახასიათებაც თუ სჭირდება ამ ბუმბერაზ კაცს, იმასაც გეტყვით, რომ იგი ზუსტად დავით აღმაშენებლის სიმაღლისა (2 მეტრი და 5 სანტიმეტრი იყო) და აღნაგობის კაცი იყო — ვეფხვის ძალა ჰქონდა და ბავშვის გული. ერთი შტრიხიც — მისი სახლი, ქუთაისში... არც დღე — არც ღამე, არ იკეტებოდა! იგი ყველასთვის ღია იყო და იმ კარებს ბოროტება ვერ შეაღებდა.

მე-2 ოთარი! მამფორია (მამფი) — ჩვენი ძმა და პირის ზიარება, დაბადებით პოეტი და მზეთუნახავი კაცი (პირველად ეხმარობ ამ მეტაფორას კაცზე!)

ერთხელ, ქუჩაში მომავალ მასავით თვალტანად გოგი გელოვანს (ოქროს გულოვანს) ასეთი სიტყვა შეაგება: რესტავრირებულ გელათს ჰგავხარო!.. კაცი და ტაძარი?.. როგორია?..

ავდექი და ყოველგვარი ხუმრობის (და, თანაც — ყოველგვარი გადაჭარბების) გარეშე სიტყვა-სიტყვაში გავუცვალე: შენ კი ზედგამოჭრილი შტატგარეშე შოთა რუსთაველი ხარ-მეთქი!

გაიცინა და განათდა იქაურობა.

რა კაცი, რა პოეტი, რა ამხანაგი!

ახლა მე-3 ოთარი!

მთლად გიგანტი!

მერამდენედაც არ უნდა ვახსენოთ ეს კაცი... ის პირველთა შორის პირველია — ოთარ ქორქია! (მსოფლიო დონის სპორტსმენი, რომელმაც ქართულ კალათბურთში ეპოქა შექმნა).

როგორც ახლახანს გავიგე: ამ სამ ქართველ კაცს, სამ გულივერს, სამ ოთარს, ერთ დროს ხელგაშლილმა, ახლა კი ძველი ქუთაისის მოჩვენება ქალაქმა, ძეგლი დაუდგა, რადგან:

გმირი, თუნდ ქვაში ცოცხლობდეს, სოფელი მაინც მხნედ არი!

„პაემანით" სწორედ ასეთ ბიჭებს და კაცებს დავუდგი ძეგლი:

სრული სტრიქონი, 21 დასრულებული სტროფი და მხოლოდ 3 სრული ლექსი. ძველად საფოს ეს ლექსები ძალიან კარგად იყო ცნობილი, რადგან ასწლეულების მანძილზე ხალხი ამ ნაწარმოებებს იზეპირებდა. ლექსებზე დაბეჭდულ ლეგენდას „მეათე მუზას" (მიეწერება პლატონს) და „საოცრებას" (სტრაბონი) უწოდებდნენ. დღემდე, მრავალი ადამიანი, საფოს ყველა დროის უდიდეს პოეტად მიიჩნევს.

„ვერსია", 27-28.06.05.

**P.S.** სიბერემდე სიქაჩლე — გამიგონია, და ვხედავ კიდეც. მაგრამ ცხვრად და ციკნად გადაქცევას ისევ „წიგნობს" თუ „ციგნობს" მირჩევნია... ყველას თავისი ჰი-ჰოპები ჰყავს! ხა-ციკოვ-მედრინმა შვილს დაუბარა: ყველაზე მძიმე და საპატიო შრომად მწერლობას, ლიტერატორობას ჩათვალეო. ეგრეა, რა!... კინოფილმ „ვერისუბნის მელოდიების" ყაზ-ახიეთ: დამიჭერია, დამიკლავს, ამიქნია: ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა... მწვადიო!

„დრო მიდის, გეითელის ნაბიჯებს
და უკან აღარ ბრუნდება...
ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს –
მეორედ მოსელის უქლება!..
დიდება ქუთაისელებს,
„სამი ოთარის“ ქალაქს!
ალავერდი ვარ თბილისთან –
ეგოვებ ერთ ანდერძ-არაკს!“

დგას ახლა სამი ოთარი „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა გალერეის სამი დევგმირივით, როგორც რუსთაველის თამარისეული საქართველოს ოქროს ხანის ცოცხალი განსახიერება და თვალს ამაყად უსწორებს მომავალს.

სახსოვრად!

ქანდაქართათვის, ანუ ალავერდი თბილისელ მოქანდაკებთან — ესკიზი ჯგუფური კომპოზიციისა „თბილისელი ბიჭები". ბარემ, აქვე, ისიცა ვთქვათ, ვინ და სად? პასუხი კითხვაშია — პალინდრომი „ბარემ" უკუღმა „მერაბია"! რახან სახელი ვიცით, გვარის მიხვედრა არ გაგვიჭირდება. ქანდაკება გამოძერწნოს ერთმა მერაბმა (ბერძენიშვილმა) და დაიდგას მეორე მერაბის (კოსტავას) სახელობის ქუჩაზე, მეტრო „რუსთაველის" გვერდით, რესტავრირებულ რწმენის კედელთან.

* * *

ბრიტანელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ წლის განმავლობაში, ყველაზე მეტი ოჯახური კონფლიქტი ხდება 30 აგვისტოს.

P.S. იქ, ამას, სიცხეს აბრალებენ! ჩვენში კი ნებისმიერ დროს, ნებისმიერ თემაზე, ჩხუბის მიზეზი საძებარი არაა!

* * *

„სირცხვილია, 21-ე საუკუნეში ადამიანს შიოდეს", — წერს „ასავალ-დასავალში" (4-10.09.06) პარლამენტარი ბესო ჯუღელი და ის-ის იყო უნდა მეკითხა — „ვისი სირცხვილია ეს-მეთქი?.. რომ იქვე მოვკარი თვალი პასუხს: „მრცხვენია იმ გაჭირვებული ადამიანების, რომლებიც დღეს სამწუხაროდ, ასე მრავლად არიან ჩვენშიო".

P.S. დიახ, საქართველო დღეს ჰგავს ერთი ჭირისა და ლხინის სუფრას, სადაც ერთეულები ჭამენ და მილიონები პირში უყურებენ! ასეა ეს!

* * *

ოთარ ჭილაძე:

გააჩნია, ვის როგორ ესმის ცხოვრება და ვინ რას ელოდება მისგან... მე კი მხოლოდ წარმატება შემიძლია ვუსურვო ყველას, ვისი მონოდებაც ცხოვრებაზე გამარჯვებაა.

... წიგნიერი ადამიანი უმალ წიგნს იყიდის, ვიდრე პურს. თუკი, თავის დროზე, სერვანტესი ან სვიფტი თითო რომანს წერდა მთელი ცხოვრების მანძილზე, თანამედროვე სერვანტესები იძულებულნი შეიქნენ, ყოველწლიურად გამოაცხონ თითო რომანი, რის გამოც, მხატვრული ნაწარმოები, მასობრივი მოხმარების ჩვეულებრივ პროდუქტად იქცა.

უწიგნოდ გაზრდილი ახალგაზრდა მარადიული წყვდიადისთვისაა გან-

ნირული.

...ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ჩვენი ისტორიული მტრები მკლავებდაკაპინებულნი მუშაობდნენ ჩვენი ფსიქიკის შესაცვლელად, რასაც, გარკვეული თვალსაზრისით, მიაღწიეს კიდეც და რამაც, ჩვენდა ჭირად, მაინცდამაინც, ჩვენი ფიქტიური დამოუკიდებლობის ჟამს იჩინა თავი.

...განა, მიუტევებელ ცოდვას არ ჩადის მშობელი, როცა შვილს თავიდანვე უცხოეთში აგზავნის გასანათლებლად?! უცხო ენაზე გაზრდილი და განათლებული ბავშვი ქართველი აღარ არის. ვეღარც გახდება. სიმართლის ერთგულებით მხოლოდ მტრები მოვიმატე და, რაც კიდევ უფრო უარესია, მტრების გინებით მოყვარეს შევაჯავრე თავი.

...ჩვენი სიცოცხლის გზა ნიგნზე გადის.

ჯერ კიდევ როდის ნერდა გრიგოლ ორბელიანი, „დაბნელდა საქართველოშიო", მას მერე კი, თუ არ მომატებია, არც არაფერი მოკლებია სიბნელეს, მაგრამ ეს მაინც დროებითი, ნარმავალი სიბნელეა...

...ცხოვრებისეული პირობების გამო, ნიგნის მყიდველისა და მკითხველის ცნებები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. ზოგჯერ საერთოდ გამორიცხავს კიდეც ერთმანეთს.

არ არსებობს საკითხი, რომელზედაც ერთი აზრისანი ვიყოთ ყველანი. ეს არის თავი და თავი ჩვენი მარადიული მარცხისა.

...ჩვენი ბილინგვური აზროვნების სიმყარე მაფიქრებინებს, რომ შინაგანად ბევრი არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, ახლა თამამად ვამბობთ იმას, რაზეც მაშინ ვჩურჩულებდით და თავისუფლად ვაკეთებთ, რისი გაკეთება მაშინაც გვინდოდა.

დღეს თუ საქართველოში ვინმე იტყვის, პატრიოტიზმმა თავისი დრო მოჭამაო, ან ბრიყვია, ან ფლიდი. პატრიოტიზმი არც ერთჯერადი გრძნობაა, არც პერიოდული.

...ჩვენი არასნორი საშინაო პოლიტიკის გამო, არაქართული ნარმოშობის მოქალაქეები, ძირითადად, ისევ ისტორიულ სამშობლოებზე არიან ორიენტირებულნი, უფრო სნორად, მაინც იმის განუყოფელ ნანილად თვლიან თავს და ამას არც მალავენ.

...60-იანი ნლების საქართველო... არც ამ თვალსაზრისით განსხვავდება დიდად დღევანდელი საქართველოსგან. უფრო სნორად, ჯერ კიდევ მაშინ ჩამოყალიბდა დღევანდელობისთვის დამახასიათებელი ბევრი ნიშან-თვისება. მაგალითად, მდაბიური ენამოსნრებულობა თუ პროვინციული სითამამე; საკუთარი კულტურის იგნორირება თუ „კურიოზებისკენ დაუოკებელი სნრაფვა, რაც არათუ კიდევ უფრო აუფერულებს და ალარიბებს ჩვენს ისედაც „მონყე-

*სასულიერო მჭევრმეტყველებას ქართული ხალხური ორატორული ხელოვნება ერთ-ერთი გვირგვინია, რომელიც ჟურნალ „ვაზმა" ტოლუმბაშების კონკურსში მე-15 კაცად დამადგა თავზე!*

*საქართველოს „სუფროლოგიაში" ყველაზე დემოკრატიული არჩევნები თამადის არჩევანია! აქ ჩაწყობა არ არსებობს.*

*ბაქოს ნავთობის მეპატრონეს, ამერიკელ კონცესიონერ (თუ არ ვცდები) დეივისს, ნათქვამი აქვს, რომ ტექნიკა კაპიტალიზმის ხელში — იგივეა, რაც გიჟის ხელში მოშვებული დანა!*

*ეს ისე გამახსენდა და არ მინდა, მეხსიერებას დავუკარგო.*

*„ჩვენ გაცილებით მეტი ნავთობი გვექნება, ვიდრე აზერბაიჯანს" — წერენ გაზეთები.*

*მენ ჰირს... ბენზინი! (მაქარზე ორჯერ ძვირი ღირს!)*

*თუმცა, საქმეში ჩახედული კაცები იმასაც ამბობენ, რომ ბუნებრივი მაცივრის-კავკასიონის წყლები ბაქოს ნავთობზე უფრო დიდი სიმდიდრეა. პიერო-*

ნილ ცხოვრებას" (ილიას სიტყვებია), არამედ გარდაუვალი კატასტროფის, ყოველ შემთხვევაში, აშკარად რაღაც ცუდისა და საშიშის ნინათგრძნობას ბადებს ყველა ჩვენგანის გულში.

P.S. რამდენი ჭკუა უნდა ჰქონდეს (ან არ ჰქონდეს) ქვეყანას, რომ ამდენი ჭკუის საკითხავი კაცი ჰყავდეს და ჭკუას არ ეკითხებოდეს?

* * *

**თამაზ ჭილაძე:**

კულტურის დაქვეითების გამო კატასტროფულად მცირდება ნიგნის მკითხველის რიცხვი ანუ ხალხი თანდათან კარგავს თავის ისტორიას. კომპიუტერიც კი პანდორას ყუთად გარდაიქმნა. არასოდეს ყოფილა ჩვენში ამდენი გააზნაურებული მდაბიო — პრესტიჟული სამსახური, პრესტიჟული ბინა, პრესტიჟული აგარაკი, პრესტიჟული მანქანა, პრესტიჟული ტელეფონი, პრესტიჟული საყვარელი, პრესტიჟული სასნავლებელი შვილებისათვის, რა თქმა უნდა, საზღვარგარეთ. პრესტიჟული არსებობის ჭაობში უკვალოდ ჩაიკარგა ადამიანის პიროვნება.

სამნუხაროდ, პოლიტიკოსთა შორისაც შეინიშნება დილეტანტიზმი, ვფიქრობ, საერთო საქმეს ემჩნევა, თუკი ყველა თავის საქმეს მიხედავს...

კურიოზების მეტი არაფერი გვაინტერესებს. ძალიან ბევრს ვიცინით, რაც იმას ნიშნავს, სასაცილოდ არა გვაქვს საქმე, თუნდაც იმიტომ, რომ გვეშინია ჩვენი ასაკის, რის გამოც ჩვეულებრივი, ლოგიკური და აუცილებელი მამათა და შვილთა დაპირისპირება შეიძლება გადაიქცეს ბიოლოგიური სისასტიკითა და სიძულვილით დამუხტულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლად.

ამას ნინათ, თბილისში სტუმრად მყოფი სამოცდაათი ნლის ამერიკელი სენატორი მაკკეინი, როგორც ამბობენ, ორი ნლის მერე პრეზიდენტობას აპირებს!..

„კვ.პალ.", 4-10.09.2006.

P.S. თავგასულების ხელში, ჩვენში, „ხანგასულები" — „ცხოვრებიდან ნასულებად" ითვლებიან!

* * *

ერთი მიუნხენელი ბოგანო ქალი ყოველდღე იღებს აბაზანას. თანაც საბანაოდ საკმაოდ პიკანტური ადგილი აირჩია — ქალაქის შადრევნები. დიდი არჩევანიც აქვს — ბავარიის დედაქალაქში 183 მუნიციპალური შადრევანია და ერთ-ერთ მათგანში აუცილებლად ნახავთ 44 ნლის რუბენსისეულ ფუმფუშა, შიშველ ქალს („ლენგი").

P.S. მშიერ და მნყურვალ, შიშველ-ტიტველ ხალხს ჩვენში რა დალევს... თანაც ნყლის გადასახადის გადაუხდელობის გამო ბევრ ონკანს ყელი უშრება და ხალხი სად აღარ გარბის ნყურვილის მოსაკლავად.

ამ უჩვეულო სიცხეებმა ხომ მთლად დედაშობილად შემოგვახია ტანსაც-

---

*როლან ბარტი: ნამდვილი ნეტარება ენით გამოუთქმელია.*

*ჩინური სიბრძნე: თუ იცის, რომ იცის – ისნავლე მისგან; თუ იცის, რომ არ იცის – ასნავლე მას; თუ არ იცის, რომ იცის – გამოაღვიძე იგი; ხოლო თუ არ იცის, რომ არ იცის – მოშორდი მას.*

მელი და, როგორც იტყვიან, ტანსაცმლიანად გაგვაგიჟა. ვის რაღაში სჭირდება ნუდიზმი და მარქსიზმი! ჩვენდა იღბლად, თბილისში ამოხეთქეს შესანიშნავმა შადრევნებმა და თბილისელი ბავშვები მიასკდნენ ამ მომსკდარ წყალს.

წყალი უმცროსისააო... ალბათ უფროსების ჯერიც დადგება და სხვა თუ არაფერი, ვიქნებით ამ ჭყუმპალაობაში.

უჩვეულო სიცხეებია ევროპაშიც, რამაც ცხოველების საკვების მწარმოებლები აიძულა ძაღლებისთვისაც დაემზადებინათ... ნაყინი („ოკნა")

ჰქვია, ახლა, ამას ძაღლური ცხოვრება?

* * *

რა მოხდება, თუკი ადამიანს ყოფილი ბოროტმოქმედის ორგანოს გადაუნერგავენ? შეიძენს თუ არა პაციენტი კრიმინალურ მიდრეკილებებს? თუკი ასე მოხდება, უნდა გაუნიოს თუ არა მას შეღავათი სასამართლომ? — ექნება თუ არა მას უფლება, უჩივლოს ქირურგს, რომელმაც შეცვალა არა მხოლოდ მისი ცხოვრება, არამედ თავად პაციენტი? ხომ არ მოინდომებს რომელიმე მილიონერი გენიოსის ორგანოს გადანერგვას?

„ნლო" N 18.

P.S. რა ჰქვია ამ უდროო დროს?

როგორც იტყვიან: ვერ გაიგებ, ვისი —ვისშია როცა გიჟი ჭკვიანია და ჭკვიანი გიჟია!

* * *

**ვლადიმერ კოწიჩ მებურიშვილს**

სიმღერებით მივწვდი ყოველს.
მოწყალება გავიღე:
ჩემი ლხინი დაგიტოვეთ —
თქვენი ჭირი წავიღე.

* * *

ვატარებ დღეს და ღამეს...
ვადარებ მთვარეს — მზეს...
მთვარეს ვუსწორებ თვალებს,
მზეს ვერ ვაკადრე ეს!

* * *

კაი სალამი არის მალამო —
კაი სალამი — კაი სალამო!

❖❖❖

*ნი რომ ჰყავდესო!*

*— რა ჰყორონი ენდა, ადექი და მიუშვირე დოქით.*

*— ზოგს ასეც ჰგონია... ზოგს კი ისეც: მერე, რა თვალებით შევხედოთ მელის წყარს, თუ მისი დასალევი წყალი ჩვენ დავლიეთ?!*

*ენას ძალი არა აქვს!..*

*იქეთ წყაროები მორაკრაკებენ — აქეთ ჩვენ...*

*ჩვენ წყლებთან ქვევითის ნავთობი. მიმიქარავს! წყალს მოაქვს ყველაფერი!*

*აპოკალიფსის გამოქვეყნებულ ვარიანტებში იდუმალი და სახიფათო „მხეცის რიცხვი" ჩვენთვის ცნობილი 666 კი არა, 616 ყოფილა.*

*საუკუნის ქურდობა დაარქვეს ქალაქის ორ კვარტალ ქვეშ (10 კაცის მიერ გაყვანილი გვირაბით) ბანკიდან 156 მილიონი რეალის (68 მილიონი დოლარი) მოპარვა-გაპარვას... ეს მოხდა ახლახანს, ბრაზილიაში...*

*გაბრაზდები კაცი აბა, რა იცნება. ყველაფერი. სხვისა რომ გვიკვირს! უფრო რეალური არაა — აგერ ურომა*

* * *

ნინათ თბილისელი გოგოების ხათრით ვიპარსავდი წვერს, ახლა შვილიშვილების ეშხით... რომ, ლოყაზე კოცნის დროს ეკლებმა არ შეანუხოთ!.. რას იზამ! „სიმონიკა გოცაძე — თუმანს აძლევს კოცნაზე", როგორც დღემდე შემორჩენილი ერთი იმერული საორლობე სიმღერაა მონმე. მე კი, რაღა დაგიმალოთ, და გაცილებით ძვირი მიჯდება, თუმცა, სიცოცხლედაც მიღირს! ენაცვალოთ ჩემი თავი, მათით მიდგია სული... ვფიქრობ სარკის ნინ და ელექტროსაპარსით პირნმინდად ვიღებ ჩემს ბებრულ „მოსავალს", რადგან დღეს ჩემი დღესასნაულია, მოსკოვიდან სხვა, თუ არაფერ სიკეთეს — შვილიშვილებს ველი!

**10.09.06.**

* * *

„ბოლოს მეც ნავალ, ამ უჟამო-ჟამის არჩიეი —
ხარბი სიკვდილის გაუმაძღარ ყბებში გაჩრილი...
მაგრამ არაფერს არ ვინაღვლებ, თუ ერთხელ მაინც
კვლავ გადმოხედავს საქართველოს... ჩემი აჩრდილი"...

**ლადო მრელაშვილი**

P.S. ამ კაცის გაცნობა ცხოვრებაში ვერ მოვასნარი. ვნანობ. ისე ნავიდა... სალამიც არ მიმიცია. თვითონ კი, რაც ჰქონდა, ყველაფერი დაგვიტოვა.

ლაშა ნადარეიშვილი თავის გაზეთში („ას.დას.", 4-10.09.06) ნერს: ნავიდა კაცი, დიდი კაცი. ნავიდა საქართველოს ნყვდიადიდან იმ სინათლეში, სადაც ბევრი ვერასოდეს მოხვდება!

ჟან კოკტოს უთქვამს: „თუ შემოქმედმა დროს გაუსნრო, ეს იმას ნიშნავს, რომ დრომ დაიგვიანა". ლადო მრელაშვილის გარდაცვალება კი სნორედ ის შემთხვევა იყო, როდესაც შემოქმედმა მართლაც გაუსნრო დროს და ამ დროზე ადრე შემოჰკრა განგაშის ზარებს.

* * *

ღმერთს ეშმაკისთვის... და საერთოდ, გასანირად, აშკარად, არ ვემეტები! ამაში რამდენჯერ დავრნმუნდი და სამს ვიტყვი: 1) ბიჭობაში ბევრ ფათერაკსა და ცდუნებას გადამარჩინა; 2) მუხათნყარო... მუხათგვერდად არ მიქცია — საგარაკო სახლის მშენებლობის დროს, სხვენიდან რაღაც ეშმაკმა რომ გადამაგდო... ღმერთმა ხელი შემაშველა და იქვე, სამშენებლო სილაში, მომადენინა ზღართანი და პირში სული დამიტოვა; 3) თბილისის ომის დროს ბრმა ტყვია მომხვდა, მაგრამ არა იმდენად ბრმად, რომ მოვეკალი — ცოცხალი დამტოვა!

მეტი რაღა უნდა ექნა?

„ცოცხალი ვარ, ცოცხალი", როგორც ერთი ძველი თბილისური სიმღერა მღერის და მეც მიხარია!

---

*ვიქტორ ჰიუგო: „ჩვენ მოგვკალით იმიტომ, რომ ხალხს ეძინა... თქვენ მოკვდებით, როდესაც ხალხი გაიღვიძებს".*

*ჩვენური ხალხური სიბრძნით: ბრბოს სჭირდება — დიქტატორი, ხალხს — პრეზიდენტი, ერს — მეფე!*

რა უხარიაო? თუ ვინმე იკითხავს... ამისთვისაც არის ერთი... ერთი შეხედვით, ერთობ გულუბრყვილო და ამასთან ერთად — დიდად ფილოსოფიური, თანაც თბილისური პასუხი და... უპასუხეთ: უხარია, რომ ცოცხალიაო!

*სავულდავულო!*

გულმა სიბერე არ იცის,
„გულს ნაოჭები არ აქვს",
თუკი სიყვარულს განიცდის
და სისხლი უგავს არაგვს!
კალამს რომ სისხლი გაუშრეს —
ლექსს თუ მელანი გაუშრა —
ჩემს გულთან თუ არ მიეუშვი —
შენს გულთან როგორ მოვუშვა?

* * *

ენა — პირის ცეცხლია —
ენა — გულის კურსია —
ენა — ოქრო-ვერცხლია —
ენა — სულის პულსია!
ენა — სიტყვის ლხენაა —
სიტყვა-ღმერთი — რწმენაა —
გულის სისხლის დენაა —
ენა — სულთმოფენაა!

* * *

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის" —
ვარჩევთ კარგს და ავს.
ბრძენი იტყვის: „მოკლე ჭკუას —
გრძელი ენა აქვს"" (არისტოფანე).

* * *

ხატის ნებით — ხატს ენება,
რომ ეს ჩემი წიგნები,
ყოფილიყო აღსარება —
ხმამაღალი ფიქრები!
ამომძახის, როგორც ჭური —
კოკას შიგან ნადგამი...
აწ და მარად, თქვენთვის თქმული,
ჩემი — გულში ნათქვამი!

* * *

კაცი ამბობს: ფიცი მწამს და...
ბოლო აღარ მიკვირს —
რასაც თესავს სიჭაბუკე —
სიბერეც მას იმკის!

*მოახვევით კაცმა, იმხელა გვირაბი გაძრა ციხიდან, რომ თვითონ თუ გაეტია, მატარებელიც გაეტეოდა.*

*ძალიან კარგად იცით, ვისზედაც ელაპარაკობ!*

*ხშირად შევხვედრივართ ასეთ პროფილაქტიკურ განცხადებებს: „ეს წიგნი არ წაიკითხოთ მოზარდებმა", „ამ კინოს ნახვა 16 წლის ასაკამდე აკრძალულია!" და ა. შ.*

*ამ პროპაგანდისტული თავდაჭერილობით აქვე მეც გაფრთხილებთ: ეს ინფორმაცია არ წაიკითხოთ ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებმა, რომლებსაც ინდოეთის პენიტენციალურ სისტემაზე არანაკლებ უჭირს!*

*„ინდოეთში გაათავისუფლეს მამაკაცი, რომელიც 50 წელია პატიმრობაში. მაგრამ საქმე სასამართლომდე ჯერ არც კი მისულა. ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატ ასამში მცხოვრები მაჩანგ ლალუნგი 1951 წელს დააპატიმრეს. სასამართლომ დანაშაულის დამადასტურებელი საბუთი ვერ მოიპოვა და ერთი წელი და-*

* * *

ესეც მართალია — ისიც მართალიაო! — იტყვიან ათასში ერთხელ და ათასში ერთხელაც არ არიან მართალი — არ არსებობს ორი სიმართლე! თუმცა, როგორც ყველაფერში, ალბათ, აქაც არსებობს გამონაკლისი და ესეც მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა ორი იშვიათი ადამიანის აზრი ეჯახება ერთმანეთს და ეს სრულიადაც არ არის კატასტროფა.

ერთი ასეთი შემთხვევა, ჩემი აზრით, ორი ბუმბერაზი ქართველის — დიდი ილიასა და აკაკის მიერ პოეზიის დანიშნულების ცნებაშია, რომლის დეფინიციამდე მისვლა, ამჟამად, ამოცანას აღარ წარმოადგენს.

ილია ამბობს:

„მე ცა მნიშნაეს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა.
ღმერთთან მისთვის ელაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა!"

აკაკი აღიარებს:

„ხან უგნური ვარ, ხან – ბრძენი,
ხან არც ესა ვარ – არც ისა.
გარემოების საყვირი –
ხან მიწისა ვარ – ხან ცისა!

აი, ორი გენიოსის ორი სიმართლე — ერთ საგანზე!

„გარემოების საყვირი"! გალაკტიონისა არ იყოს — „ჯერ არ თქმული", „ჯერ არ გაგონილი მეტაფორაა" — პოეზიის ნაცვალსახელი!

* * *

მომავალმა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ აკაკი წერეთელს თბილისში სახლი არ ჰქონია!..

საქართველომ უნდა იცოდეს, რომ ილია თბილისში თავისი დის სახლში ცხოვრობდა!..

საქართველომ უნდა იცოდეს, რომ ილიას გარეშე აკაკის ჩონგური დადუმდებოდა, ხოლო, რომ არა აკაკი, მარტოკაცი ილია წიწამურამდეც ვერ შეძლებდა.

ილიას მკვლელობამდე თქვა აკაკი წერეთელმა — „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!" თვალცრემლიანი მოხუცი მგოსნის ეს საბედისწერო ამოძახილი მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში — 1921, 1924, 1937, 1991 წლებში — ისმოდა რუსთაველის პროსპექტზე, სადაც ქართველები ზარბაზნებს ესროდნენ ერთმანეთს; აფხაზეთში, ცხინვალის მისადგომებთან და ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში, ოცდათერთმეტი დეკემბრის გათენება რომ არ აღირსეს ზვიად გამსახურდიას!..

„ილია და აკაკი" — ეს ორი სახელი საქართველოს ისტორიას ბედისწერასავით აედევნა და ამ ორ სახელს ისევე ვერ დააშორებენ ერთმანეთს, როგორც უკუნითი უკუნისამდე არ მოიშლება ერთიანობა წმიდა სამებისა!..

* * *

თვალსა და ხელს შუა იცვლება ქვეყანა... ვეჭვობ, რომ უკეთესობისკენ! კაცი-კაცს აღარა ჰგავს, ქალი-ქალს, ადამიანი-ადამიანს, ჭკუა-ჭკუას! ჩვენი

---

*პავლე მოციქული: ჭირი შეიქმს მოთმინებას, მოთმინება – გამოცდილებას, გამოცდილება – სასოებას.*

მამა-პაპის ნაანდერძევ ანდაზებსაც ყავლი გასდის— „რაც არ ექნას მამაშენსა — ნურც შენ დახევ მარ-მაშებსაო"... „დედის ნინ მოხტუნავე კვიცს ან მგელი შეჭამს — ან..." რომელი ერთი ჩამოვთვალო? ხალხ-ური სიბრძნე ერთს ამბობს, დღევანდელობა — მე-ორეს! „სიყვარულსა მალვა უნდაო!" — ვინც პირვე-ლად ეს თქვა და კანონად აქცია.. აი, ვინ იყო ჭკუის საკითხავი კაცი! ახლა კი, გაჭირვებით მშიერ-ტიტვე-ლი ხალხის გვერდით, ნუდისტებივით „დაგულაობენ" „დედიშობილობამდე ნამუსახდილ-გულახდილ-ჩახდილი" ხალხი და ტელეკონკურსებიც კი ენყობა „პირზე კოცნასა და ბარძაყზე ბნკენაში!"

რამ ნამომიშალა ახლა ეს ფიქრები?..

კარგა ხანია ქუჩაში არ გავსულვარ და არც მიყურე-ბა, გარეთ რა ხდება. ვნერ და ვნერ. ვის და რამდენჯერ არ უთქვამს: მეც ნერას ვყავარ ატანილი! ამ „ნერაობა-ში" თავზარივით დამეცა ტელეფონის ზარი და შემზარა ვილაც უცნობის ხმამ: უნდა მიშველოთ, ბატონოო!.. ძლივს გავარკვიე, რა ხდებოდა... თურმე, 7 ნლის ნინ გაყიდული ჩემი „ფორდის" მესამე მყიდველს ჩემი ტექპასპორტი, პირადობის მონმობა და რა ვიცი, კიდევ რა აღარ... სჭირდებოდა მანქანის გადასაფორმებლად!..

სხვა რა გზა მქონდა, მივანებე ყველაფერს თავი და დილომში ამოვყავი — ქალაქის ავტოინსპექცია-ში, რომელიც ორშაბათობით სოდომ-გომორს ჰგავს — ძაღლი პატრონს ვერ ცნობს!

აქ, ანკეტების კორიანტელში, ყოველ საანკეტო კითხვას, ლამის, თავისი ჯიხური აქვს და ეშმაკმა იცის ამ პროცედურების თავი და ბოლო... მაგრამ მილიციის ნებითა და ღვთის ნყალობით მაინც გავედი თავიდან ბოლოში და აი, სნორედ, აქ ნავანყდი სურათს, რომელ-იც ერთ სტენდზე ასახავს ახალი ეპოქის კარიკატურას — დაფაზე ღირებულების მიხედვით გამოფენილია მან-ქანის ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი, ასე ვთქვათ „ბლატნოი" ნომრები! გინდ დაიჯერეთ — გინდა არა — არის, თურმე, 50000 ლარიანი „ნომერიც"(!) გნებავთ ციფრით, გნებავთ სიტყვით — სახელით, გვარით, მა-მის სახელით... სიდედრის სახელითაც... მთავარია მაყ-უთი და რაც გინდა, ის დაანერე!

ამას ადრე სეროჟობას, გოიმობას, ქაჯობას ვეძა-ხდით, ახლა კი ეს პრესტიჟულ საქმედ იქცა!

ნარმოიდგინეთ: ზის, ახლა, თავის მერსედესზე ან ოპელ-ჭიჭიკოზე ვილაცა ფულის ტომარა და სანომრე ნიშანზე ანერია მისი სახელი: „ჭიჭიკო!"...

P.S. მე მგონი, დიდიან-პატარიანად უნდა დავინყოთ დანყებითი განათლებიდან და ახლებურად გავიზეპიროთ ბაღდადელი ვლადიმერ მაიაკოვსკის საზეპირო ლექსი: „Что такое хорошо и что такое – плохо!" ისე, სულო ცოდვილო და ჩემს ახალ „შევროლესაც" ბლატნოი ნო-მერი აქვს - „გიზ-111". „ეპიკა".

ლუნგს ფსიქიატრი-ულში მიუწია ყოფ-ნა. მერე კი, ად-ამიანის უფლებათა დამცველების განცხ-ადებით, პოლიციამ ის უბრალოდ დაივიწყა?!

150 ბრძოლის გადამტანი, 60-ჯერ ნახმლევი ჩვენი ბებერი ლომის — მეფე ერეკლეს ხელი ენის ქართ-ველ ქალებმაც ბიბ-ოქრობდა — წყნე-თელ, წავკისელ, ვამლოვნელ ქალებ-ში...

„მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა, მტერი თრთოდა ვერანი. საქართველოს ცის ფერს ჰგავდა — ფერი მათი მერა-ნის".

(ლადო ასა-თიანი)

თვით თეკლე ბა-ტონიშვილიც კი ახლდა მეფეს ბრძ-ოლის ველზე და არა „ტურისტულ მოგზა-ურობაში"

— „ვაჰ, დროება, დროება!"

„ჰოი, დადანი, მარად ნეტარნი"...

სად არიან დე-დათან სწორი თქვენი ახლები?

იულია ტიმოშენ-კის (უკრაინის პრემიერ-მინისტრი

# აფსუს!..

### (ანუ რეპორტაჟი ხანში შესული კაცის ფიქრებიდან)

ეს, სინანულის გამომხატველი შორისდებულია, ჩემო ნამკითხველო, გადამკითხველო თუ განმკითხველო მკითხველო!

სინანულის ფასი კი იცის ქართველმა კაცმა, დავითიანმა, აღმაშენებლის შთამომავალმა.

მეუფეო!..

თავს მდაბლად ვხრიდე,

რათა მსაჯული მართალ სჯიდე.

ოდეს, მსახურთა რისხვაი ჰქროდეს.

ღვთის მადლით მირონს გეცხებდნენ,

მართალნი ნეტარებდნენ.

კაცით,

ყიცით

და ვერცხლით,

ცოდვილთა

ჰგუემდეს

ცეცხლი!

აჰა, ბანი ქართლის გულისანი,

„გალობანი სინანულისანი"!

აფსუს!..

დიდო მეფეო, თუ შენც რაიმე ცოდვა განუხებს, მაშინ, რაღა თქვან ცოდვილთო, ეს ანამ ბრძანა.

აფსუს!..

წერას ატანილი კაცისთვის ქაოსი სამოთხეა, ქაოსის მითოლოგიური მეფე-აფსუ! (იქნებ, სულაც, აქედანაა „აფსუს"!).

... ჰოდა, ახლა, მოვითქვათ სული და სანამ რამეს დავწერდეთ, ჯერ პირჯვარი გადავიწეროთ, მერე ეშმას შევაფურთხოთ და დავფიქრდეთ – რას ვწერთ? ვის ვწერთ? რისთვისა და ვისთვის ვწერთ?

მუხამბაზისა არ იყოს... ბემურაზი ვიყო, თუ ვიცოდე!

პატარა კახის საზანდრის, არუთინ საიათნოვასი ხომ გახსოვთ:

„შენთან საუბარი მსურდა და მისათვის წამოვედიო".

ერთიც გავიხსენოთ: ძველ თბილისში ვიღაც, ძველი თბილისელისათვის უკითხავთ:

– რას წერო?
– წერილსო, – უპასუხნია.
– ვის წერო, – ჩაძიებიან.
– ჩემ თავსო(?!)
– რა წერიაო?
– არ ვიცი, ჯერ არ წამიკითხავსო.

ჩემმა მზემ, შენმა მზემ, ეგრე ვარ ახლა მეც – არ ვიცი, ვის ვწერ, რას ვწერ, როგორ ვწერ (თანაც ვიცი, როგორ არ ვიცი). სიტყვას ვერ ვთოკავ, გაუხედნავი ცხენივით გამირბის და მეც მივდევ კალამს – ნებაზე მიშვებულ

---

*წუთისოფელი მარადისობის წუთიერი განცდა და გამოცდაა.*

*„იყავით უკუე მეცნიერნი, ვითარცა გველნი და უმანკონი, ვითარცა მტრედნი" (მათე 10,6).*

ურა თუ ვაყა კეიცს, რომელიც, ეშმაკმა იცის სად უკრეფში მიკრავს თავს და სად გადამრჩხავს.

არავითარი ფსევდოპროფესიონალიზმი, დეტერმინიზმი, არქიტექტონიკა თუ რაღაც ჯანდაბა – წესი და რიგი. როგორი უთავბოლოცაა ეს ცხოვრება, ისეთი უთავბოლოა ეს ამბავიც – ალია და ბალია, ასაეალ-დასაეალი, აქეთურ-იქეთური, აბდა და უბდა, ცხრა მთისა და ცხრა ბარისა, 77-ჯერ (ჩემი ასაკია) 365 დღისა და ღამის, მწვანე ვასაკას, ანუ ბაყაყის ყი-ყი-ყი-ყინი... როცა „ღამეები გარბოდნენ ნაბდით დაჭედილი ბედაურებივით"და დღეები ილეოდნენ ხატებთან ცრემლებად დაღვრილი სანთლებივით. და თანაც, როდის: ზუსტად ჩვენს ასაკში – „რევოლუციურ, ჯერ არ ნახულ, ჯერ არ გაგონილ" დროში, და სად? – იმ ულმერთო, ავადსახსენებელ „სსრ" თუ უსუსურ კავშირში.

აფსუს!

საცოდაობა არ არის, კაცი ერთხელ დაიბადოს ამ ქვეყანაზე და ისიც საბჭოთა კავშირში!.. ხმამაღლა ვამბობდით... გულში.

რაა წუთისოფელი? – თვალის დახამხამება!

წუთი – წუთის საწუთირო და წამები – წამება!

მახლას, ბრუნავს დედამიწა და რაც არ უნდა თავბრუ დაგეხვეს, ვერ იტყვი: გააჩერეთ, ჩავდივარო!

ჰოდა, ჩემო ძმაო, ამ წერილის წურც თავს მომთხოვ და წურც ბოლოს... ჩემი გადასახედიდან, სიყვარულია მისი ავან-ჩავანი, თავი და ბოლო. გინდა თავიდან წაიკითხე, გინდა ბოლოდან – უთავბოლობაში მაინც ვერ დამძრახავ!

ერთიც: თუ გინდა წერო სხვისთვის – წერე შენთვის! ესეც ჩემი დაკვირვებაა.

ჰოდა, ვწერ ჩემთვის, რომ ვწერო შენთვის, ჩემო ძველო და ახალო მკითხველო თუ განმკითხველო! „ჰაემანი ვერაზე" გრძელდება!

დიდმა ლომმა – ლევ ნიკოლოზის-ძემ ბრძანა:

თუ შეგიძლია...ნუ დაწერო,
არა!
არ შემიძლია, უნდა ვწერო,
კმარა!
ვერა, ვერ შევძლებ გაჩუმებას,
მჯერა,
ვერა, არ მაძლევს მოსვენებას,
ვერა!..
სიყრმის მზისაკენ თვალი მომჰრა
მზერამ,
ბავშეობისაკენ გამიტაცა
ძერამ,
ღვიძლი შვილივით შემიხორცა
ვერამ

იყო... და არა იყო რა! ანუ დანიშვნა და მოხსნა ერთი იყო) ქალიშვილი ევ-გენის გათხოვილა ბრიტანელ დიდგ-ვარიან როკერზე. ქორწილი XV საუკუნის საგრაფო ციხე-სიმაგრეში მოეწყო, რომელსაც იორკშირელები ყვე-ლაზე „რესპექტაბე-ლურ" ძველად თვ-ლიან. –

ხომ მე ძვე-ლი!.. (როგორც ჩვენში იტყვიან). სახელად მონი, ფულს თურმე „მონოპოლს" ბიზნე-სით, რომელსაც ფეხსაცმელების რე-მონტი, ჩვენებურად, უბრალოდ, „მეჯლა-ნეობა", კიდევ უფრო მორიდებით კი „საპოჟნიკობა" ჰქვია.

ამას, მონის დასაცინად კი არა – ჩვენი კოკობზი-კა, კუდაბზიკა, კუდი ყავარზე გადებული და გაზულუქებული უსაქმური ახალ-გაზრდების გასაგო-ნად ვამბობ. რომ-ლებიც დღეს, ახლა, ქართული ზღაპრებ-ის არ იყოს – ქვიდან უნდა აღენდ-ნენ წვენს.

...ამბავმა ამბავი იცის! მოუკვდა იმ დროის პყრონი. უს-აქმურობით რომ მოეკლონდა თავი.

ფეხსაცმელს თუ

და შეშლილივით ამიტანა
წერამ!

დანრიპინებს კალამი ქაღალდზე – ლექსის ასაფრენ თეთრ ბილიკზე და ყაისნაღივით ქსოვს ამ ცხოვრების აბდაუბდას.

ნეტა, იმ დროს „გაჭირვების ფუფუნებას", „ოქროს სიდუხჭირე" რომ შეარქვა ეგზიუპერიმ, – ჩვენ, ყველა, ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო.

„ნავიდა და გაფრინდა"...;

და აი, დადგა დრო, როცა „თქმა სჯობს უთქმელობას" და სახარებაც გვმოძღვრავს: „არ არის დაფარული, რაიც არ გაცხადდეს"! თანაც, თუ რამე სათქმელი მაქვს, ყველაფრის თქმა შეუძლია ამ დალოცვილ ქართულ ენას:

ღმერთების ენით – ქართულით, თითქმის,
სათქმელიცა და უთქმელიც ითქმის –

თავზე მადგას და მკარნახობს ქალბატონი მუზა, რომელიც, მაშინაც იქ იდგა, სადაც დღეს დგას და სადაც ჩვენი ბავშვობა კოჭს აგორებდა – ვერაზე, ფილარმონიის წინ.

ერთ-ერთ ავტოინტერვიუში, სადაც კორესპოდენტიც მე ვარ და რესპოდენტიც, ჩემს კითხვაზე: დაბადების ადგილი? – მეეე ვპასუხობ, რომ მე დავიბადე 2-ჯერ(?!) – ერთხელ ფიზიკურად და მეორედ – მეტაფიზიკურად. და ორივეჯერ ერსა და იმავე ადგილზე, ვერაზე, ფილარმონიის გვერდით – სამშობიაროში (1928 წლის 13 თებერვალს) და სამშობიროს გვერდზე – ფილარმონიაში (1981 წლის 28 დეკემბერს), სადაც გაიმართა ჩვენი თაობისა თუ „უთაობის" „პაემანი ვერაზე", რომელსაც წინ 1001 ღამე და 1000 კატაკლიზმი უძღოდა. მაშინ ბევრმა, ნამუსზე და თავზე ხელაღებულმა „კეთილისმსურველმა", ანუ კალმით „მეგობარმა" ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – რა უნდა გიზო ნიშნიანიძეს პოეზიაში, რა დროს 53 წლის კაცის ლექსია, დაეტიოს თავის ტყავში და ჟანრშიო (მაშინ ფელეტონისტად ვითვლებოდი). ჟურნალისტს მწერლობასთან რა ხელი აქვსო – ასე ეთქვათ ჯორი დამიტაკეს ჭიშკარზე, თითქოს ვინმეს საკარმიდამოს ვუყოფდი ცაში (ამ კეთილ...შობილ პირებს, ჯერ კიდევ, უხსენებლებად ვტოვებ, როგორც ჩვენი გენიალური ქართული ენა, ასეთებს უხსენებლად მოიხსენიებს. ...გველი გარედანაა ჭრელი, ადამიანი – შიგნიდან...) ამ ზოილებსა და გრაფომანებს დაგვიანებულ, უკაცრავად – პასუხია, პასუხად კი, ახლა, ერთ სტროფს მივუძღვნი, რომელიც მაშინ ცხელ გულზე დავწერე:

კაცმა დედაენა
როგორ უნდა განდოს?
ან-ბანს როცა ხმარობ...
რად არ ხმარობ გან-დონს?

სულმა თუ სულმოკლეობამ წამძლია, თორემ, იქნებ, აქ სულაც არ იყო მოსატანი ეს სკაბრეზული სტროფი. თუმცა, დღეს ეს რა უწმაწურობაა იმ „წმაწურიანობასთან" შედარებით, რაც ამ გაუკუღმართებულ დროში და სიტყვა-პასუხში ჩვენს ზეპირ თუ ბეჭდვით სიტყვას სჭირს, როცა ძაღლი პატრონს... კიდევ უარესი – პატრონი ძაღლს, და მით უმეტეს, მამა შვილს, ვერ ცნობს.

ერთი სიტყვით, მაშინ ნამუსი ჯერ კიდევ ნამუსობდა და როცა „პაემანის" ბედი ბეწვზე ეკიდა, საბოლოო სიტყვის სათქმელად უხმეს კაცს, რომლის (გამომცემლობის ნებით შეკვეთილი) „შავი რეცენზია", ავტორის სურვე-

---

*ბრმა ტყვიებს ბრმა ადამიანები ისვრიან.*

*ადამიანზე, რომელმაც დრო მოკლა, დრომ შური იძია!*

*გახსოვდეს წარსული, იზრუნე აწმყოზე და იფიქრე მომავალზე!*

ლით, ნიგნის ნინასიტყვაობად დაიბეჭდა: „პაემანი ვერაზე" თავისებური საეტაპო მოვლენაა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში... გიზო ნიშნიანიძე ბენვის ხიდზე გადის, როგორც მნერალი, მაგრამ ხომ გადის"...

მორის ფოცხიშვილია ამ სიტყვების ავტორი. პირველმან, მან იხსნა „პაემანი ვერაზე", ამით ჩემმა ახალმა ოპონენტმა გვარიანი სილა გაანნა ჩემს ძველ ოპონენტებს: აზრზე მოდით და ხიდზე გადითო – როგორც თბილისურად იტყვიან (ისე, სნორედ ამ ჩატეხილმა ხიდებმა გაგვათითოკაცეს!).

მეორედ!.. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ავანგარდისტული მუსიკის საკავშირო ფესტივალზე, ავანგარდისტული მუსიკის „თაყვანისმცემელი" მთავრობა მოვიდა და სამთავრობო მე-13 რიგში გუგულებივით ჩამოჯდა... მეც იქვე, ცოტა მოშორებით, მე-13 რიგში მე-13 გოჭივით ჩამოვჯექი.

ამ ავანგარდისტულ ბრახაბრუხსა და კაკაფონიაში ავანგარდისტებს თავისი გაჭირვება ჰქონდათ და მე ჩემი – დირექციასთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება — „პაემანი ვერაზე" ერთ დიდ ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციად ნარგვედგინა თბილისელებისათვის ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენიდან, საიდანაც მაყურებელთა უშველებელი დარბაზი პირდაღებულ გველეშაპს ჰგავს, რომელიც ყოველ ნუთს მზად არის გადაგყლაპოს თუ რამე შეგეშალა.

ის „პაემანის" იმ დღეს გახმაურდა და მოგეხსენებათ, ორმა თუ იცის... პარტოკრატია ნინ აღუდგა იდეას, რადგან, მოგეხსენებათ, მავანთ და მავანთ, კერძოდ არათბილისელებს ელეთ-მელეთი მოსდით და იდიოსინკრაზია — აქვთ თბილისელობისადმი, რადგან მავანნი მსოფლიო მოქალაქეობასაც კი ახერხებენ და თბილისელობას ვერა!

ვერა და ვერა!..

ისევ და ისევ!

– ქალის სახელს ვერ გათქმევინებ?

– ვერა...

– ხომ გათქმევინე...

ასე იცოდნენ ვერის უბანში.

... მივუბრუნდი სათქმელს!

სნორედ იმ დღეს, იმ დარბაზში, სახალხოდ გამაჩერა სახელმნიფოს მაშინდელმა თავკაცმა, იმხანად პრესაში გამოქვეყნებული ფრაგმენტებით გახმაურებული „პაემანი" (მაშინ ჯერ კიდევ, „ფრესკა" ერქვა) შემიქო, თანაც, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა მკითხა: როდის იყო შენ ლექსებს ნერდიო?..

– გაჭირვება რას არ დაგანერინებს-მეთქი... ეს იყო მაშინ ჩემი უპასუხობის პასუხი.

*ყვირავს თავს... იმიტომ არაა ვარდანაშვილი! ამ თემაზე ერთი თბილისური მაყიორიცააა!*

*სომეხ „საპოჟნიკს" ჰკითხეს: მეფე რომ იყო, რას იზამდიო?*

*— ვა, რაც მეფე იზამს — მეც ის!*

*— მაინც, მაინცო — ჩაეძიენ.*

*გაჭირვებულმა კაცმა ოცნებამაც ვერ იმეფა.*

*— ვქამდი, ვსვამდი, „ფიგულიავებდი" და, ჰამაც, ისე როგორც ნავიდოდა საქმე, კვირაში ერთი-ორი წყვილი ცუფლი ვერ მეკერამდი! — ასე ჩამოვიდა მეფობიდან — „საპოჟნიკობამდე"!*

*ჩვენს წელთაღრიცხვამდე და ჩვენი წელთაღრიცხვით (ყველა საუკუნეთა შორის) ყველაფრით გამოირჩევა XX საუკუნე!*

*მიღება-ჩაბარების აქტით იგი ასე გამოიყურება: 1905 — რევოლუციის წლები; 1914 — პირველი მსოფლიო ომი; 1917 — ჯერ რევოლუცია; მერე — კონტრრევოლუცია; 1918 — სამოქალაქო ომი; კოლექტივიზაცია; ინდუსტრიალიზაცია; სოციალიზმი; ფა-*

ეს ფაქტი, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩა დარბაზს, „პაემანის" მტერმოყვარეს და ახლა, უკვე მეორედ (ნებით თუ უნებლიედ) ასე იხსნა ბატონმა ედუარდმა „პაემანი ვერაზე", რომელმაც ის ღამე თეთრად გაათენებინა ვერელებს.

მესამედ და საბოლოოდ კი იგი ტელერადიოკომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ფოფხაძემ გადაარჩინა, რომელმაც 1982 წლის 13 თებერვალს – ჩემი დაბადების დღეს (მაშინ, როცა დაბადების დღეს მანყევლინებდნენ) სახლში დამირეკა და დაბადების დღე ასე მომილოცა: დღეს შენს საღამოს ტელევიზიით გიჩვენებთო... თანაც დააყოლა: შეიძლება, შენს „პაემანს ვერაზე" ჩვენ შევენიროთ, მაგრამ არა უშავს, ცოლი მყავს ვერელი და ის მაინც არ გამაგდებს სახლიდანო.

ამჯერად, ის ნახევრად ხუმრობით მელაპარაკა, თუმცა, მაშინვე იგრძნობოდა, რომ ამ ხუმრობაში ნახევარზე მეტი მართალი იყო.

დიახ, მაშინვე მივხვდი ამას, ახლა კი ყველაფერი დღესავით ნათელია, ღამესავით ბნელი რომ არ იყოს! ამდენ ბოროტებას, ამდენ სიძულვილს დღეს ქუჩებში მდგარი ასეთი ბილბორდებითა თუ ტრანსპარანტებით ვებრძვით: „გვიყვარდეს ერთმანეთიო" (ვაი, ჩვენს პატრონს!). მაშინ კი, ასეთი ხმაც კი დამიყარეს – ეს პოემა ნამდვილად ვიღაცას დაანერინაო. იმ ვიღაც სხვას დღესაც ეძებენ და მეც ვეძებ... ეჰ, რამდენი მაქვს დასანერი! თუმცა, სხვას და სხვაგან რას დავეძებ? ამასნინათ, ჩემი 0 ჯგუფის მერხის ამხანაგმაც კი ისე შეიცხადა ჩემი გაპოეტება, თითქოს სკოლის საუზმე შევუჭამე: როდის იყო შენ ლექსებს ნერდიო??? 70 ნლის შემდეგ პირველად შემრცხვა ჩემი სხვადასხვა ნიშნებით აჭრელებული სიმნიფისა თუ უმნიფრობის ატესტატის გამო. კინაღამ ბოდიში მოვუხადე იმ ერთ შავტუხა, ჩაპუტკუნებულ გოგოს, რომლის მერხზე, გამოსასნორებლად რიგრიგობით გვსვამდნენ ცელქ ბიჭებს. საბოლოოდ, როგორც ჩანს ვერც იმან გამოგვასნორა, ვერც ჩვენ გამოვასნორეთ, ჰოდა, დარჩა ასე ფრიადოსნად, ფრიადმგოსნად და ფრიად იშვიათადაც მოინყო საქმე. ბიჭების ცელას კი ისე შეეჩვია, რომ აგერ, სიბერემდე, გაყვა! ახლა მემუარებიც ერთ თხელკანიან და სქელტანიან ნიგნად გამოსცა, რომლითაც თავდაყირა დააყენა ისტორია თავის ხალხურ სიბრძნიანად: „ბაბუის ნაჭამმა ქლიავმა შვილიშვილს მოკვეთა კბილიო". ცდილობს, ისე გამოგვაქლიავოს, რომ 37 ნელი და მტერმოყვარე ვერ ვიცნოთ. მდევნელი დევნილად შევრაცხოთ, რომ ეშმაკი ანგელოზად მოგვეჩვენოს.

არადა სიტყვა ეშმაკის აბრევიატურა გაგიშიფრიათ?

რას არ მოიგონებს კაცი!

აქვე ერთიც! დაუკვირდით ხალხო – „მემუარებში", ამ ერთ უცხო სიტყვაში ორი ქართული სიტყვა იკითხება: „მე" და „უარი"! ხომ არ არის ეს სიტყვა – ღმერთის ღვთიური მინიშნება, უარი ვთქვათ მემუარებზე და თუ მართლა რაიმე ღირებული არ გვაქვს, სათქმელი, ნურც თავს შევინუხებთ და ნურც სხვას შევანუხებთ! მსგავსი მემუარების ნერა ხომ, ცხვარი რომ ცხვარია, იმასაც შეუძლია. მეეეეეეო – ერთს დაიკიკინებს და მისი საჩანახე ბიოგრაფიაც მზად არის. სხვათა შორის, ამ უნყინარ ცხოველთან დაკავ-

*ანდაზების ფიანდაზებით სიარული – სიბრძნის გარანტიააა!*

*დეილ კარნეგი: არ გადახვიდე ხიდზე, სანამ ხიდთან არ მიხვალ!*

*თიკა ჯამბურია: ჩვენ ვცელქობთ, რომ არ დავბერდეთ!*

შირებით, ერთი, არც თუ ისე ხელწამოსაკრავი, ანდაზაც მაქვს: ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა... მწვადია-მეთქი!

ჰოდა, მავანთ და მავანთ ვურჩევ, ხელი აიღონ, უარი თქვან მემუარებზე. ბოლოს და ბოლოს, ის მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ თვით ბაირონის მემუარები დაწვეს (დაიწვას მისი დამწველი) და დრო ჩვენს (ასევე თქვენს) ნაცოდვილარს რაღას უზამს! ახლა თუ მაინც კაცი (ან ქალი) წერას ჰყავს აჩანილი... ჟინის (ალბათ უფრო „ჭიის") მოსაკლავად... ცარიელ ქაღალდს გადაასხას მელანი და მერე მკითხველმა იტეხოს თავი – ვისაც რა და როგორ უნდა ეთქვა?

რა ხდება, ხალხო?.. მიცვალებულებს საფლავშიაც აღარ ვასვენებთ. სადღაა ძველი მამაშვილობა და მამულიშვილობა! იყავი ის, ვინცა ხარ და რაცა ხარო, – ომარ ხაიამსაც კი ჭკუას ასწავლიდა მამამისი იბრაგიმი.

მე ვიწყებ იქედან, სადაც მამაჩემი გაჩერდაო, – მე ჩემს წინაპარზე უფრო წინ ვიყურები, რადგან... მის მხრებზე ვდგევარო! – უთქვამს ნიუტონს.

დღეს ყველა კითხვის ნიშანი(?) – სმენაზე მდგარი ძახილის ნიშანია(!), ან პირიქით — ძახილის ნიშნებმა კითხვის ნიშნებივით მოკაკვეს თითი!

თითქმის ყველა იმას აკეთებს რაც მისი საქმე არ არის. არადა – არაფრის კეთება ჯობია ყველაფრის კეთებას.

ადრე ერთი თვალი იცინოდა – მეორე ტიროდა, ახლა ორივე იცინის, ან ორივე ტირის.

ზოგისთვის ეპოქის ქარიშხალი, დიდი-დიდი... სურდოს იწვევს.

... ვისაც იუპიტერი განირავს, ჭკუას ართმევსო (ძველ ბერძნულია).

... რუსთაველის პროსპექტზე გამოწკეპილები დავდიოდით, რადგან ვიცოდით, რომ წუთისოფლის სტუმრები ვართ.

... წვერს ვხედავ, ფილოსოფოსს — ვერაო (ბერძნული იყო, ახლა ქართულია).

... გამარჯვებულების გასამართლების დროა!

... სიკვდილი გაუფასურდა, რადგან სიცოცხლე გაძვირდა.

... ძველ ქართულ ოჯახებში კედლის ხალიჩებზე ჩამოკონწიალებული ანტიკვარული თოფ-დამბაჩები და ქამარ-ხანჯლები წარსულის გადმონაშთებად იქცნენ, სათამაშოები გვგონია და არა მრისხანე იარაღი, რითაც გადაერჩით და აქამდე მოვედით.

... კაი ყმის გამზრდელი აკვანი, თავის შიბაქიანად ისტორიას ჩაბარდა. პამპერსებითა და თაღლითი მძივებით კი ვეღარ იზრდებიან „ალგეთს ლეკვები მგლისანი".

*მიზმი; ტროცკიზმი, 37 წელი; 1939 — 14 500-დან ყველაზე სასიკვდილო და სიკვდილიანი მეორე მსოფლიო ომი; 1941 — დიდი სამამულო ომი; პიროვნების კულტი — სტალინი; უკულტური პიროვნება — ხ რ უ შ ჩ ო ვ ი; „მეგრელთა საქმე", სხვათა უსაქმურობა; ვასილ მჟავანაძე — „ვასილი ნეტარი" (მართლაც!); ედუარდ დამამშენებელი; „გარდაქმნა" („ქმნის" გარდა ყველაფერი); კვლავ ედუარდ „აუფეთქებელი" (მეორედ მოსვლა); თბილისის ომი; აფხაზეთის ომი; ოსეთის ომი; „მოქალაქეთა კავშირი"; „ვარდების რევოლუცია"; „ვარდების კონტრრევოლუცია"; მამების და შვილების მაგიერად — ბაბუების და შვილიშვილების ომი... მამა-პაპური სიმღერის თანხლებით: „ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ!"*

*არ გინდა გაძლება?*

*ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ გაზეთს (პეპელასავით) ერთი დღის სიცოცხლე თუ აქვს, მაგრამ, წარმოდგინეთ, ამ წუთის ისტორიას შეუძლია*

... ღმერთმა ადამიანებს ღვინო იმიტომ მისცა, რომ ერთმანეთის გულისნადები გაიგონ და ერთმანეთს გაუღიმონო (ვასილ დიმოვი).

... ქართველები ღვინოს იმიტომ ვეძალებით, რომ ცოტანი ვართ და გვინდა ერთი ათად მოვეჩვენოთ ერთმანეთს.

...კაცობრიობა რომ არ დაბერდეს, ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდანო, – კითხულობს ჩემი სახლიკაცი შოთა ნიშნიანიძე.

... ერიდეთ ერიდას! ნუხილს სხვისა სიკეთესა ზედა (საბა), შურს, მტრობას, განხეთქილებას.

... ხელის კანკალით შემოხაზულ ქართველთა რუკას, არავინ იცის (ღმერთის გარდა), ეშმა რას უქადს.

... ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!

ვინ თქვა ეს?..

... ვინ და აკაკიმ: „სიტყვა თესლია, ხალხი ნიადაგიო" და აგერ როდის სადღეისოდაც დაგვიბარა: „დღესაც არიან ჩვენში მისთანა ახალგაზრდები, რომლებიც „ახალთაობას" ჩემობენ და თავისი საძაგელი ქცევით სახელს უტეხენ ახალგაზრდობას. ჩვენ რომ ამგვარი პირები ... გავკიცხოთ, ნუთუ ეს... მტრობა იქნება და არა მათი სიყვარული და ერთგულება".

... ბედნიერი ვარ, რომ მამაჩემი – დოდო აბაშიძე ამ დროს ვერ მოესწრო, – ამბობს ზაზა აბაშიძე.

– ყველაფრის უფლება გაქვს, ცუდი ბიჭობის გარდა, – ვეუბნები დიდი ზურაბ ანჯაფარიძის შეღერებულ და შემღერებულ პატარა ზურაბ ანჯაფარიძეს!

პაემანი ვერაზე გრძელდება...

ფიქრები, ღრუბლები, სააედროდ იყრებიან,

დაბორიალობენ ლანდები,

მდაბლად თავს მიკრავენ ძველი რაინდები,

თბილისის ნამდვილი გრანდები!

... ჭკუით ქართველებო, ჭკუით, – ჭკუას გვასწავლის ჩვენი თანამედროვე, თანამემამულე, თანაუბნელი ჭაბუა ამირეჯიბი. სადაც ჭაბუა, იქაც დათა. ლამისაა, თუთაშხიასავით ვიყვირო:

რა მოგდით, ხალხო... რას დაგამსგავსათ ამ მამაძაღლმა სეთურმა!!!

... მუდამ ასე ყოფილა – ახალგაზრდობის შეცდომებს სიბერე ასწორებდა. სიბერის შეცდომებს კი... მინა. მამებისა და შვილების ტრადიციული პაექრობა ბაბუებისა და შვილიშვილების არატრადიციულ ქიშპად იქცა და საქმე არატრადიციული „სიყვარულის" კლუბებამდეც კი მივიდა, სადაც კოლგოტკიან-საყურეებიანი ბიჭების, ანუ სხვა ხალხის ისმის ჟრიამული.

ჩვენ კი...

ჯერ ღმერთი შევაწუხეთ ამღენი თხოვნა-საჩივრებით.

მერე რუსებს (ვის არ) ვაბრალეთ ჩვენი გაჭირვება.

ახლა ამშს (და ვის არ) შევყურებთ ხელებში...

და ასე ამოვყავით თავი ჩვენ იმ „БЕДНЫЙ"-ერებში!

აქ კი, მართლაც, ცალი თვალი იცინის და ცალი ტირის, თუმცა, ორივეს სატირლად აქვს საქმე.

... აქ ჩემმა 10 წლის შვილიშვილმა დათუნამაც შემაწია სიტყვა და ზოგიერთ ტირილს „ხახვის ცრემლები" დაარქვა. მომეწონა და ამიტომაც დავესესხე.

ბაბუას თუ სასესხებლად შეექმნა საქმე, ჯობია ისევ შვილიშვილისგან ისესხოს. ქვეყანას მაინც არ შეუყრის – გამქურდესო!

ძნელია, საქართველოს ისტორიას სეირივით უყურო... ისე, კაცმა რომ თქვას, პური არ არის, თორემ სანახაობა იმდენია — უნახავს გაგხდის. ყოველ შემთხვევაში, ანდაზა-ფიანდაზას – რაც გინახავს ვეღარ ნახავო, ყაველი გაუვიდა – ისეთს ვხედავთ და ისეთი გვესმის, რაც ჩვენს წინაპარს სიზმარშიც არ უნახავს.

იმედი ბოლოს კვდება. იმედით ვცოცხლობთ და სულმნათი შოთას ანდერძით ვცხოვრობთ:

„თუ ლხინი გვინდა ღვთისაგან ჭირიცა შევიწყნაროთა!"

ყელამდე ვართ ჩინელებით და ჩინის დიდ ქვაზეც წერია, რომ ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია. მაგრამ „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდითო!.." იმის არ იყოს — საქართველოში მოიყარეთ თავიო... ის ხომ არ უთქვამთ?.. და, მაინც, ხშირად, ჩინურ ფილოსოფიას ვეკითხებით ჭკუას.

„პოი, სიხარულო, შენ საწყისი ხარ მწუხარებისა!

პოი, მწუხარებავ, შენ საწყისი ხარ სიხარულისა"!

გაგახარათ ღმერთმა, იქნება გვეშველოს რამე.

... ხოლო იმას, ვინც ამ იმედსაც აღარ გვიტოვებს და „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირად" მიაჩნია, ისეთი საშინელი სასჯელი ელის ვახტანგ VI კანონთა კრებულში, დასტურლამალში რომ წერია: სამშობლოს მოღალატეს არავითარ სასჯელს არ ეუნიშნავე(?), იგი ყველაფრის ღირსიაო(!)...

...ერთობ მომრავლდა საკუთარი თავით ტკბობით მონამელის შემთხვევებიც!..

– მაინც რა გვჭირს ამ ქართველებსო? – მკითხა ამასწინათ ისეთმა კაცმა, რომელსაც გაჭირვება არ უნახავს.

– რა გვჭირს და ერთმანეთის ჯინაზე კარგად ყოფნის უბედურება-მეთქი!

დგება დრო, თვალებში ჩავხედოთ სიმართლეს და თვალი გავუსწოროთ ერთმანეთს!

თაობები მიდიან, თაობები მოდიან, მაგრამ ჩვენ ბევრს ვერაფერს ვსწავლობთ ცხოვრების გაკვეთილებიდან, რადგან „ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვისო", კვლავ მოგვკივიან დიდი წინაპრები, დღეს საფლავშიც რომ არ ვასვენებთ.

„პაემანი ვერაზე" მეხის გავარდნას ჰგავდა თბილისელებისათვისო, – წერდნენ თბილისელები.

„პაემანის"... თბილისში ერთ სქელტანიან წიგნად და მოსკოვში ორ გიგანტ ფირფიტად გამოცემის შემდეგ, ერთმა ამხანაგმა მეორე ამხანაგის (საკმაოდ პოპულარული მწერლის) ენა მომიტანა და ჩემი შებრუნებული სიტყვაც სიტყვასიტყვით ნაულო ადრესატს.

– იმან, – ნაცვალსახელით მოიხსენია, – შენზე თქვა

საუკუნე მოგიშხამოს.

აქ, როგორც სარკეში ირეკლება დრო.

ახლა რა დროა?

– ეს, ბობოქარი ოკეანის ერთ წვეთშიაც ჩანს, რადგან წვეთი ზღვაში – ზღვა არის! მე თვითონ ძველი „მეგაზეთე" ვარ და ახალ გაზეთებს სულ სხვა თვალით ვკითხულობ.

დღევანდელი პრესის ასეთ ბუმში, ახლა, ჩემთვის რჩეულ 40 გვერდიან გაზეთში („ასავალ-დასავალი" 12-18.09.05) დაბეჭდილი ერთი გვერდის მარტო სათაურებს წაიკითხავთ და თქვენთვის ნათელი გახდება რა ბნელშიაც ვცხოვრობთ: „მამის მკვლელობა აღიარა" „შვილმა დედას დანით ყელი გამოჭრა", „განზრახ გაჩენილ ხანძარს ადამიანი ემსხვერპლა", „გორში ჟურნალისტს სცემეს", „სპეცდანიშნულების სპეცრაზმის თანამშრომელი დააკავეს", მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირის ვინაობა დაადგინეს", „ჯართის ბიზნესს მესამე მებაჟე შეეწირა"... მე დავიღალე, შენ, მკითხველო?...

– რა ნიჭიერი კაცია ეგ ოხერიო... რა გადაეცე? – დააყოლა კითხვა.

– გადაეცი, რომ ჩემზე ნიჭიერიცაა და ოხერიც-მეთქი!

ასე იყო ეს!

როგორც საბამ ბრძანა: „ნუხილმა სხეისა სიკეთესა ზედა" — შურმა გაგვაოხრა და ასეთი კაცების „შარი-შურმა" შემაძულა მსგავსი საკაცეთი.

– ნამუსი არ არის, ვერელებზე... „ვეფხისტყაოსანზე" უფრო სქელი წიგნი დაუწერიაო, – მისი ეს „ხუმრობაც" მომირბენინეს, მაგრამ ეს წუნკალი სიტყვაც არ მიმიღია ხუმრობად, რადგან ჩვენი დროის თბილისს თავისი ტარიელებიც ჰყავდა, ავთანდილებიც და ფრიდონებიც!

აფსუს!..

... ახლა კი, როგორც იტყვიან, პირში ვარდის წყალი გამოვივლოთ და ისევ სიკეთეს მოვუბრუნდეთ. ბოროტებისათვის ფუფუნებაა ხშირად ხსენება. დაუკვირდით: ეს სიტყვა, თავისთავად, ორჯერ იფურთხება – ფუ...ფუ!.. „ნებით" კი ღმერთმა ინებოს, „ბილწთ არ შევეკრათ ზავითა" და ისევე ვიცხოვროთ, როგორც ჩვენს წინაპარს უცხოვრია, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე თუ ქრისტეს აქეთ, არც ისე შორეულ წარსულში — თუნდაც ჩვენი თაობის „პაემანის" დროს, რომლის საფინალო სცენა სწორედ ამ ლექსს ჰგავდა:

ალაგებულ სცენას ჰგავს ჩვენი უბანი...
ახლა აქ სხვა სპექტაკლი გადის.
სხვა ალი-კვალი და სხვა კაბა-კუბანი,
აქ ჩვენი ბავშვობა დადის.
... მე ბოდიშს მოვიხდი ბინდისფერ წარსულთან,
რაც არ გამახსენდა ამ წამს,
ზოგჯერო სათმელი უთქმელი ჯობია,
სათმელი უთქმელი არ მწამს...
ყველას გაუმარჯოს, ვინც ხსოვნის ბურუსში
ბჟუტავს და სევდის რძეს წველავს,
ვინაც სიყმაწვილის ელვარე სანთლებში
სულ სხვა ელვარებით ელავს...

... პირველ რიგში კი, ვთქვათ სწორედ „ვეფხისტყაოსნის" გმირების: ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის შთამომავლებს, რომლებიც „პაემანის საოჯახო ალბომში", თავის 9 ქალიშვილთან ერთად, ჩვენი დროის გმირებს – ერთ საძმოს წარმოადგენდნენ: გივი კარტოზიას, თენგიზ კეკელიძეს, პუტკუ ბოჭორიშვილს – თბილისელ გოლიათებს, იმ დიდი წინაპრების ამ სისხლს-სისხლთაგანებს!

თუ კაცობრიობას დასჭირდა რაიმე საბუთი თავისი არსებობის გასამართლებლად, მას შეუძლია, აიღოს და მაგიდაზე დადოს სერვანტესის დონ-კიხოტი! (დოსტოევსკი).

ზემოხსენებულის პერიფრაზით (ამ გენიალური საბუთისამებრ), თუ ჩვენი დროის საქართველოს, თბილისს (ორიენტალისტურ სამყაროში „სიხარულის სახლს" რომ ეძახდნენ) დასჭირდა მსგავსი საბუთი მის სასახელოდ და მტრის

---

*თავისუფლება არაა ყველაფრის უფლება!*

*თავისუფლების უფლება აქვს იმას, ვისაც აქვს უფლების თავი!!*

*მომრავლდნენ კაცები, რომლებსაც თავში სხვა აქვთ, გულში – სხვა და გულის ჯიბეში – სხვა!*

შესაშინებლად... ერთხელ ხმამაღლა სათქმელი „მარაბდისა" არ იყოს (როგორც ლადო ასათიანმა ბრძანა), საკმარისია გავიხსენოთ და ვახსენოთ გივი კარტოზია! – ყველა დროის რაინდი და მაინც ერთი „უბრალო" ალალი თბილისელი ბიჭი. გივი კარტოზია!.. – 3-გზის მსოფლიო, 2-გზის ოლიმპიური, მრავალგზის საკავშირო ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში; კაცობაში (ასევე კლასიკური გაგებით), ქართველობაში ანუ ერისკაცობაში, ქალაქელობასა და მოქალაქეობაში. კაცი, რომელმაც სპორტი ხელოვნებად აქცია! ხერხიც იცოდა, ღონეც ჰქონდა, ჭიდაობას რა უნდოდა, ისიც იცოდა, საქართველოს რა ჭირდებოდა. ისიც და თავდაუზოგავად იბრძოდა სიკეთისათვის!

და აი, მთავარ სათქმელსაც მივადექი, გარდასულ დროთა უფსკრულთან ვდგავარ და სიტყვა ვერ მომითოკავს.

ნათქვამია: თუ გინდა კაცს აგინო... აქეო!

მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ შეუძლებელია, აქო საგინებელი (ჰელვეციუსი). აქვე ბერძნულ ფილოსოფიასაც დავიმოწმებ: არაფერია ადამიანზე უფრო მშვენიერი. ღმერთებს მათ ამსგავსებენ!

სწორედ ღმერთივით ბიჭზეა ლაპარაკი!

გივი კარტოზია ნებისმიერ დროს, ნებისმიერ თაობასა და ნებისმიერ ქვეყანას დაამშვენებდა.

საპატიო „ყარაულივით" ვდგავარ ახლა ფარატინა ქაღალდთან (ჰემინგუეიც ხომ ფეხზე მდგარი წერდა!), როგორც მსოფლიო ჩემპიონატის საფინალო ხალიჩასთან. ვდგავარ ამ ულამაზესი და სრულიად არაბუნებრივი ძალის გოლიათის წინაშე და საჭიდაოდ ვიწვევ არანაკლებ მეტოქეს – სიტყვას... ჩემპიონის საკადრის ჩემპიონ სიტყვას!

სიკეთის საჭირისუფლო გაზეთ „თანადგომის" (რომელსაც ჩვენი ძმა და პირის ზიარება ბატონი ანზორ ბაბუხადია თავისი კაცობის „ეკონომიკით" გამოსცემს) შპიგელში, მუდმივ თანამგზავრად რომ დაყვება გაზეთს, ჩემი სიტყვებია ამოტვიფრული და ალბათ, ზუსტად ის დროა, აქ მოვიტანო:

**კარგი კაცის გახსენება პატივს მიაგებს არა მარტო მას, ვისაც იხსენებენ, არამედ მათაც... ვინც იხსენებს!**

პატივი მაქვს, ოლიმპოს ღმერთებთან ერთად, ვახსენო და გავიხსენო ღმერთებისაგან კაცობისთვის გამეტებული კაცი!

დიდი პიროვნება, რომ იცნო თვითონაც რაღაცას უნდა წარმოადგენდე (გოეთე).

ჭკუა ჭკუის საკითხავს უნდა ჰკითხო კაცმა: ამიტომ, გივი კარტოზიას ფენომენის ასახსნელად, ცარიელ ქაღალდზე – ამ თეთრ საფრთხობელაზე (რომლისაც ასე ეშინოდათ კიტსსა და ბოდლერს) თავს

*ისეთი სიბნელეა, თვალში თითს ვერ მიიტან!*

*კონსტიტუცია – ასთენიკური, ტემპერამენტი – შიზოთიმიური.*

*მელანქოლიასა და დეპრესიას, ნევროზებს და შიშებსაც კი თხზვის პროცესი ანელებს და დროებით კურნავს, ზოგჯერ – საბოლოოდაც (თვით უილიამ შექსპირმაც დეპრესიის პერიოდში დაწერა თავისი საუკეთესო ტრაგედიები). ხოლო გამწვავების მომენტში, შეიძლება, დასრულდეს თვითმკვლელობითაც (გავიხსენოთ ჯეკ ლონდონი და მისი გმირი მარტინ იდენი).*

*ტვინში არსებობს სიამოვნების და უსიამოვნების ცენტრები („სამოთხე" და „ჯოჯოხეთი"), რომელთა ბალანსირების დარღვევა ცვლის შეგრძნებას, აღქმას, განწყობილებას, აზროვნებას.*

*ისე რომ, შემოქმედება არის არა მხოლოდ ფსიქოთერაპია, არამედ – მხატვრულად შეწირვაც. როცა ავტორი ეწამება მარადიული იდეისათვის. როცა*

ეუყრი ყველა დროის ჭკუის საკითხავი კაცების, ბრძენკაცების, ოლიმპიელების ეგრეთწოდებულ „არეოპაგს"!

... კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესი კავკასიიდან, კერძოდ, საქართველოდან იწყება (ჰეგელი);

... ქართველები აღმოსავლეთში ყველაზე გულადი და გულიანი კაცები არიან (ფრანგი მისიონერი აბა გოდერო XVII ს.);

... ტირან შაჰ-აბასსაც კი ეშინოდა ქართველებისა, რადგან იცოდა, რომ მათი საბოლოო დამორჩილება და დამონება შეუძლებელი იყო – (პიეტრო დელა-ვალე);

... საქართველო ნაგავს ქრისტიანულ კუნძულს მუსულმანურ ოკეანეში. მისი გადარჩენა ტოლფასია ცივილიზაციის გადარჩენისა (ამერიკელი მწერალი ჯონ პრისლი);

... როცა საქართველოს მატიანეს ვკითხულობ, თითქოს გულში ასი დანა ტრიალებს (პუგო ჰუპერტი);

... ამ ქვეყანაში ღმერთმა უხვად დაიბერტყა კალთა (არტურ ლაისტი);

... ბრძოლებში ქართველები ადამიანები კი არა, ტიტანები არიან, რომელთაც ძალუძთ ზეცა იერიშით აიღონ. მათზე პატიოსან, მამაც, გულუხვ და მებრძოლ ხალხს, საქართველოს გარდა, ვერსად ნახავ (ალ. დიუმა);

... საქართველოში ყველა სახლში იესოს მშობელი მარიამი სახლობს (ირანელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში);

საქართველო აღთქმული ქვეყანაა. აქ დაირწა კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი! — ნორვეგიელი კნუტ სამსუნი და გერმანელი ფილოსოფოსი ვერნერ სიმენსი.

დიახ, აქ, ამ აღთქმულ ქვეყანაში დაირწა ჩვენი ლეგენდარული გმირის – გივი კარტოზიას აკვანიც!

ყველაფრის საზომი ადამიანიაო! (პროთაგორი).

ეს ყველაფერი, დღევანდელი მონყენილი საქართველოსთვის, გასამხნევებლად, შემოსაძახებლად მომიხმია, დაგლახებული ხალხის (თბილისურად რომ ვთქვათ) აზრზე მოსასვლელად და ხიდზე გასასვლელად მითქვამს, ძმებო, ქართველებო!

რისთვისაც, ახლა, ჩვენს „არეოპაგელებსაც" მოვუსმინოთ:

... თენგიზ კეკელიძის სახლში გივი კარტოზიამ 2 ფუთიანი გირით სამჯერ გადაიწერა პირჯვარიო, – მითხრეს;

... მცხეთაში, თავის „პობედით", საშინელ ავარიაში მოხვდა. ერთი თვის შემდეგ კი... მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა ნეაპოლის XVIII მსოფლიო ჩემპიონატიდან (გელა ასათიანი);

... გივი კარტოზია – მართალი კაცია! (ზურაბ ლეჟავა);

... გივი კარტოზია – ჩვენი კერპია, კაცობის ეტალონი (რომან რურუა);

... გივი კარტოზია ეპოქაა, რომელიც მარადისობად იქცა. იგი კაცობის სიმბოლოა. მისი და მისთანების ზეობა ნუ მოუშალოს საქართველოს. გივი კარტოზია „გამძვინვარებული ვეფხვია". მელბურნში, ყველაზე მრისხანე სამეულში, თურქ დაღესტანლუსთან და იაპონელ სასახარასთან ერთად, იგი პირველი ოლიმპიელი იყო! (თენგიზ გაჩეჩილაძე);

... კაცობის ჩემპიონს ეძახის მას ჯიმი ხეცურიანი. „ჯიმი კი არა ჯიმა" – ჩვენი ძმა და ჩემპიონი ბიჭების პირველი ჭირისუფალი.

... ოქრო კაცი, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონობის ოქრომჭედელი (ამურ ციმაკურიძე);

... გივი ჩემპიონთა ჩემპიონია (ლევან თედიაშვილი).

... ქართული საჭიდაო სკოლის დროშა და მედროშე (მსოფლიო ჩემპიონი

გრიგოლ გამარნიკი);

... საბჭოთა კავშირის ნაკრების უცვლელი კაპიტანი და თანაც როდის? იმ უდროო დროში, უჟამო ჟამს, როცა ღამღამობით, კახელები, მარქსის ძეგლზე ვირებს აბამდნენ.

„ლეგენდა გივი კარტოზიაზე იმ დროს დაიწყო, როცა 15 წლის ბიჭი სახლიდან გაიპარა და მეორე მსოფლიო ომის გზებს დაადგა... ფრონტზე ნასული ჯარისკაცი მამის სანახავად და თანამებრძოლად (ესეც შენი ლეგენდა „ჯარისკაცის მამის" თუ „ჯარისკაცის შვილისა"!).

... გივი, ერთდროულად, თავაზიანიც იყო და უკმეხიც, ჯიუტიცა და თვინიერიც, ამყოლიცა და დამყოლიც, ფიცხელიც და ოლიმპიელივით მშვიდიც... იგი არც ცხოვრებაში და არც სპორტულ ასპარეზზე კონფლიქტსა და მტერს არ ეძებდა.

ერთხელ, მეტოქემ ხიდურაზე გადაიყვანა... გადაყვანა და გადმოყვანა ერთი იყო – მეტოქიანად ნამოიჭრა ფეხზე(?!) ეს მხოლოდ ფენომენალური ძალის ფალავანს შეეძლო!

კარლსრუეს მსოფლიო ჩემპიონატი ყველაზე განსაკუთრებული გამოცდა, მსოფლიო ჩემპიონობის პიკი აღმოჩნდა. უილბლო კენჭისყრამ კარტოზია ერთ დღეს 5-ჯერ(!) გამოიყვანა ასპარეზზე... არადა, როგორც ბერძენი ქურუმები თვლიდნენ და თვლიან, ასპარეზობაზე (და ისიც, მსოფლიო ჩემპიონატზე) 2-ჯერ გამოსვლა. ადამიანის შესაძლებლობის ზღვარია!

მაშ, ასე!

5 ბრძოლა – 5 გამარჯვება!

ფენომენალურია!

ასეთი რამ არ ახსოვს მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიას...

ადგილობრივი დროით, ღამის 3 საათზე, კარლსრუეს მსოფლიო ჩემპიონატის პოსტამენტზე, როგორც კვარცხლბეკზე, ავიდა კაცი, და რომელიც ძეგლად იქცა!

მან, ფინალში, თურქების შეუვალ კერპს — ათლის სძლია!

დიახ, გივი კარტოზია, ნაღდი კაცი, კაცობის ჩემპიონი, საქართველოსთვის მებრძოლი, მარადი მეომარი იყო. იგი სულ ომში იყო. მშვიდობის დროსაც მებრძოლად რჩებოდა, რადგან ბრძოლა იყო მისი პროფესია; სიგიჟემდე მართალი კაცობა იყო მისი პროფესია; ადამიანობა, ნაღდი თბილისელობა იყო მისი პროფესია. ის იყო კაცი, რომელსაც ჭკუას ეკითხებოდნენ უმცროსებიც და უფროსებიც... ის იყო კაცი, რომელიც ღმერთს უყვარდა!

აბა, სად თქმულა და სად გაგონილა ის, რაც 1959 წელს ბუდაპეშტის მსოფლიო პირველობაზე მოხდა...

*სულში მფოთვას უძველესი დროის სიმბოლური ხატი. მძვინვარე, როგორც ვულკანი თუ წარღვნის სტიქია, როცა მას ამოსწევს თვითჩაღრმავება და გარემოსთან კონტაქტის შესუსტება (იხ. „თხზვა, როგორც მსხვერპლშეწირვა").*

*„შემოქმედება, ზიგმუნდ ფროიდის, კარლ გუსტავ იუნგის, მიხაილ ზოშჩენკოსა და სხვათა — ა ნ ა ლ ო გ ი უ რ ა დ მოაზროვნეთა მიერ გაგებული, როგორც ფ ს ი ქ ო თ ე რ ა პ ი ა, სუბლიმირება, მისავანი წუხილის, ტკივილების, ნევროზების გადატანა და განმუხტვა მხატვრულ სახეებში, სიმბოლურ სილუეტებში.*

*შეშლილს, გიჟს, გადარეულს, მთელ რიგ შემთხვევებში, აღმატებული გრძნობის სინონიმად გაიაზრებდნენ გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი, რაღაც უჩვეულოს, დიადის, აუცილებლის ალეგორიად სახავდნენ".*

*„მწერლის გაზეთი" (7-20.09.05).*

*ამბობენ, ერთ დროს ფილარმონი-*

ის რაც ჩვენს თაობას ახსოვს და თვითონ არც იხსენებდა. მსოფლიო ჩემპიონატის საფინალო ასპარეზზე, ერთსა და იმავე დროს, გვერდიგვერდ ხალიჩებზე მსოფლიო ფალავნებს ებრძოდა ორი ქართველი – გივი კარტოზია და მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონი როსტომ აბაშიძე!

გივიმ, მისთვის ჩვეული სპორტული ფანტაზიითა და ძალისხმევით, რაღაც სასწაული ილეთი იხმარა, ფინალისტი მეტოქე მოთოკა, ადგილზე გააშეშა, თავისი ორთაბრძოლა „შენყვიტა“ და მეზობელ ხალიჩაზე უცხოელ გოლიათთან შერკინებულ თანამემამულეს რაღაც ისეთი ილეთი უკარნახა, რომ პირველი გამარჯვება სხვისი... თუმცა, რისი სხვისი, მისი თანამემამულის, როსტომ აბაშიძის სახელით იქვე იზეიმა, ჯერ კიდევ დაუმთავრებელ მის საკუთარ ორთაბრძოლაში!

დიდება შენდა, ღმერთო!

ძმებში ძმაკაცობას და ძმაკაცებში ძმობას, გაუმარჯოს, ქართველებო!

„ღმერთო, შეაყვარე ქართველს საქართველო“ – ილოცებოდა მთიდან მთის არწივი.

ღმერთო, უმრავლე საქართველოს ღირსი შვილები, გივი კარტოზიას მსგავსი „სნორუპოვარი რაინდები“, ღმერთს ავედრებდა საქართველოს პოეტი ნოდარ გურეშიძე.

„მზემ ღრუბლის მძიმე ფარდა გახია,<br>
აქაც ლამაზი მთა და მდელოა,<br>
სადაც ქართველი კაცი მარხია –<br>
ყველგან პატარა საქართველოა“!

მინისქვეშა საქართველოსაც (მამფის გამოთქმაა) მიითვლიდა ქართველი კაცი, რომელიც „მუდამ ჩვენს სიმცირეს მისტიროდა“ (კონსტანტინე ბატონის სიტყვისა არ იყოს).

ერთხელ, ნოდარ გურეშიძემ, ვორონცოვის ხიდთან, გივი კარტოზიას საინტერესო კითხვა დაუსვა და საინტერესო პასუხიც მიიღო: – ამიხსენი, თუ ძმა ხარ, რატომ აქვთ მოჭიდავეებს დაგლეჯილი, ნანვალები ყურები და შენ არაო?

– ჩემო ნოდარ, – დიდი ბავშვივით, ყურებამდე გაეღიმა გივის, – კაცმა ისე უნდა იცხოვროს, რომ ყური ვერავინ აუწიოსო!

არც ეს ხუმრობაა მთლად ხუმრობა და ესეც ოლიმპიურ ვარსკვლავზე დაბადებული კაცის ოლიმპიური სიბრძნეა.

თედორე დოსტოევსკის უთქვამს: თუ კაცობრიობას დასჭირდა რაიმე საბუთი მისი არსებობის გასამართლებლად, მას შეუძლია, აიღოს და მაგიდაზე დადოს სერვანტესის „დონ-კიხოტი“-ო! ამის პერიფრაზით: თუ ჩვენს თაობას დასჭირდება რაიმე საბუთი ისტორიაში, ანუ მზის ქვეშეთში მისი ადგილის მოსანახად, მას შეუძლია „ერთხელ, ხმამაღლა რომ თქვას მარაბდის“ მსგავსად, ერთხელ ხმამაღლა რომ ახსენოს გივი კარტოზიას სახელი!

ღმერთმანი, არ ვაჭარბებ...

მინიერ ღმერთებს არ აქვთ შენდობა,<br>
კაცი მინაზე ღმერთს არ ენდობა,<br>
თორემ...

---

*დოსტოევსკი: ადამიანი გამოცანაა, რომელიც უნდა ამოიხსნას.*

*თომას მორმა... მორმე თავის დადებისას ჯალათი გაამხნევა: გაბედულად! კისერი მოკლე მაქვს, კარგად დამიმიზნე! მერე კი წვერი გადაიწია და დაიყოლა: ამას მაინც ხომ არ მიუძღვის ბრალი სახელმწიფო ღალატში!*

ეს იყო ადამიანი – ღვთის წყალობა, ღმერთიეით ბიჭი, რომელიც (ეროსისა არ იყოს) ღმერთად იმიტ-ომ ვერ ვინამეთ, რომ ყოველდღე პირზე კოცნით გვხ-ვდებოდა, თუმცა, ჭირსა თუ ლხინში სრულიად გამორ-ჩეული, უტირაჟო კაცი იყო.

ძველი ეგვიპტელები 42 ცოდვას ცნობენ, ქართველები 309 სირცხვილს. მარადიული სოფლის უზენაესი მსაჯული ოსირისი (სოროსში არ შეგვეშა-ლოს) ჭეშმარიტების სიმბოლოთი – ბუმბულით წონი-და, თურმე, ცოდვებს. ძველ აღთქმაში 851-ჯერაა ნახ-სენები გული – სიკეთის საზომი. აქ, კიდევ ერთხელ, ანუ 852-ე ჯერ მოგვიწევს გულის ხსენება, რადგან გიეი კარტოზია ჩვენი თაობის გული და სული იყო. ცოდვით კი (ღმერთო, შეგცოდე) ოსირისის იმ სას-წორზე, ვფიქრობ, ბუმბულიც კი გადასწონიდა მის... არც კი ვიცი, მის რა ცოდვაზე ვილაპარაკო!.. მადლს კი, არც თვითონ დაუთვლია და ვერც ჩვენ დავუთვ-ლით.

არჩილ მეფე (XVII) წერდა, „საქართველოში 365 „კა-ცობის წესს" ამბობენ, მაგრამ ვგონებ 5000 მაინც უნდა იყოს. კაცობის უპირველესი წესი „კაიყმობა" იყოო.

აგაშენა ღმერთმა!

მეფეო! ქედს ვიხრი შენი ნათელი ხსოვნის წინაშე.

გაცხონოს ღმერთმა!

დავჯექ წერად წერილისა, სიტყვები არ მყოფნის, მკლავს უკმარისობის გრძნობა, მხსნელად გამომიჩნ-დი.

„კაი ყმა" კაი ყმამ იცის. ვაჟაზე კაი ყმა კი სად ვეძე-ბო? მის „კაი ყმაზე" დაწერილ ლექს-ანდერძს რომე-ლი ტრაქტატი შეედრება. მეც ამ საზომით მინდა ვჭრა და ვკერო ჩემი თანამედროვის პორტრეტი. მიუხედა-ვად დროში აცდენისა, ეს ლექსი-ეტალონი, სწორედ გიეი კარტოზიას მსგავსი კაცების თარგზეა მოჭრილი, მოზომილი და ხევსურულ ჰანგზე დამღერებული.

„კარგ ყმად ვინა ესთქვაით, ვაჟებო,
ნათქვამის არა გერცხვენოდეს...

. . . . . . . . . . .

ვინა, ვინ არის კაი ყმა –
ვის ტანზე ხმალი პშვენოდეს.
მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა პღელავდეს..."

90-იანი წლები...

თბილისის ომი...

აფხაზეთი, ოსეთი...

დედაქალაქი შველას გვთხოვს შვილებს. სრული ანომალიაა. ქალაქი სულს ლაფავს...

პატივცემული თბილისელი მოქალაქენი — გურამ ახრახაძე და ონგერა მაცაბერიძე ვერის უბანში მეძა-ხიან სულ სხვა „პაემანზე". ერთი კარგი თბილისელი

ის ბულდოზერად ვიხმე ქიქაძეს მუშაობდაო და რომ უთხრეს, თბილისში პოლ რობსონი – ზანგი მომღერალი ჩამოდის და ერთ კონცერტში 10 000 მანეთი უნდა გადა-უხადოთო, ქვა აგ-დო და თავი მეუმ-ვირა:

– 5 შვილის მამა ვარ და თვეში 500 მანეთი მომაქვს სახ-ლში... რომელია ახლა ზანგი მე თუ პოლ რობსონიო?.. იცინის და ახეთი „არგუმენტიც" მოიშველია. – პოლ რობსონი თუ ამ-დენს თხოულობს, მთელი რობსონი რაღას იზამსო!

...რაღას იზამდ-ნენ, „პოლიტიკური სიბეცისათვის" კა-ნადამ მოხსნეს. მაგრამ, ჩვენდა იღ-ბლად (ან იქნებ, სულაც, ქიქაძეს ნათქვამს მოკრა ყური), პოლ რობ-სონი არ ჩამოვიდა.

სამაგიეროდ, იგი (ახლა უკვე ყოველ-გვარი ხუმრობის გარეშე) თბომავალ „გრუზიაზე" გავიცანი და ერთი ქართული სიმღერაც ვიმღე-რეთ ერთად (თავის კონცერტების სა-ბემოლიანად!). შემ-დეგ კი ამის შესახ-ებ, ჟურნალ „ხე-ლოვნებაში" დავბე-ჭდე წერილი „ის-

ბიჭის, ვანო ცაგარეიშვილის დასაფლავებიდან მობრუნებული ჭირისუფლები ახლა თბილისის საჭირისუფლოდ დამსხდარან ფილარმონიასთან და თბილისელებს თბილისის დასაცავად ეძახიან.

მთელი ქალაქი ფეხზე დგას.

სადაც ესენი – იქაც გივი – ყველა გაჭირვებაში პირველი კაცი.

ეს იყო საქართველოს ისტორიისთვის (და არა მარტო მისთვის) ყოვლად უჩვეულო მოვლენა და არა რევოლუცია, რომელსაც, როგორც ცნობილია, ინყებენ ერთნი და იმკიან მეორენი. ეს იყო სრულიად უპრეცედენტო ქალაქური სახალხო მოძრაობა, რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, მაინც, ის ავადსახსენებელი სახელი დაერქვა – „მოქალაქეთა კავშირი"!

ეს დიდი და ბნელი ისტორიაა, რომელსაც უფრო ვრცლად, ალბათ, სხვა დროს მოვყვები. ახლა კი მისი დღე პირველი უნდა გავიხსენო, რომელიც ჯერ არც არავისთვის მომიყოლია.

იმავე საღამოს, ამ ჯერ კიდევ უსახელო საქმის თაოსნები სახელმნიფოს მეთაურმა თავის რეზიდენციაში მიინვია „ქვეყნის" (და ალბათ, საკუთარი ტყავის გადარჩენისათვის) მადლობის სათქმელად.

ჩემი ნაყვანა (როგორც მერე გავიგე) ზოგიერთს თურმე სიკვდილივით არ უნდოდა: არ უყვარს ეს კაცი იმ კაცსო... თითქოს „იმ კაცს" მათზე ამოსდიოდა მზე და მთვარე.

როგორც ჩანს, მაშინ, უჩემოდ, სხვა გზა არ ჰქონდათ და ნავედით.

ზოგს მისი ქართველობით აქვს ნარმოდგენა სხვის ქართველობაზე და ალბათ, ამიტომაც, არ დებს თავს ქართველობაზე.ვისაც სხვისი ბედნიერება თავის უბედურებად მიაჩნია, ღმერთმა ეს ბედნიერება ნუ მოუშალოს.

ეს ისე.

მახსოვს, იმავე საღამოს, ის 5 კაცი, ასე აღმოვჩნდით ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან, რომელსაც ყველა, როგორც იტალიურ ეზოებში გაბმულ თოკს, სარეცხივით ჩამოვეკიდეთ... იმ ერთი კაცის გარდა!

ის ერთი კაცი კი (ღმერთმა ნათელში ამყოფოს) სნორედ გივი კარტოზია იყო!

როგორც თბილისელებმა იციან, მას იმდღევანდელ მასპინძელთან ძველი ანგარიშები ჰქონდა და ამ უკანასკნელს ხელები გაშლილი დარჩა, როცა მისკენ საკოცნელად გაინია (ალბათ გაახსენდა, რაც კაცმაც და ღმერთმაც იცოდა — ის გივი კარტოზიასთან მართალი არ იყო).

და მან სიტყვა მოიშველია:

– დღეს თქვენ დიდი საქმე გააკეთეთ. შეიძლება ითქვას, ქვეყანა იხსენით... ბატონო გივი, თქვენი აქ ყოფნა კი, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ ჩვენც შევრიგდითო... თან თავის, „ვალუტნი" ღიმილით ყურებამდე გაიცინა.

გივი საკუთარი ძეგლივით გაქვავებული იდგა, გვერდიდან გახედა და ოლიმპიური სიმშვიდით უთხრა:

– მე თქვენთან შესარიგებლად არ მოვსულვარ, მთავარია ქართველები შერიგდნენ... თუ შეგიძლიათ, უშველეთ ქვეყანას. ამ საქმეში მეც თქვენთანა ვარ!

ასე იყო ეს.

...სიცოცხლეში ამაზე ლაპარაკს ერიდებოდა, ახლა კი მისი სამარის სამარისებურ სიჩუმეს თანხმობის ნიშნად ვთელი.

---

*ზარატუსტრას ზოროასტრაიზმის მიხედვით, კეთილისა და ბოროტის ბრძოლა 12000 წელს უნდა გაგრძელდეს!*

*P.S. მანამდე ან მერე რა გვეშველება?!*

უტირაუო კაცი გახლდათ. არავის ჰგავდა საკუთარი თავის გარდა. არც მტრობას შეარჩენდა ვინმეს, არც მოყვრობას.

„... ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს,
. . . . . . . . . . .
თვალები თვალებს ნველავდეს...
. . . . . . . . . . .
დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს.
. . . . . . . . . . .
თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,
ზედ ქორებულად ფრინავდეს,
სიცხეში სიოდ დაჰბეროს,
დაათბოს, როცა ჰყინავდეს..."

არადა, ნეკროლოგში, რომელსაც პირველად, სნორედ, პირველი ანერს ხელს, შავით თეთრზე სნერია: „ქვეყანა არასოდეს არ დაივიწყებს ასეთ შვილებს. მადლიერი შთამომავლობა მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებს... კაცს, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა"(?!).

„... სხვანი იყოფდნენ ნადავლსა,
ის ისევ მეტრის ნინ გრგვინავდეს,
მიძლვნილსა საუფროსოსა —
ამხანაგებსა სნირავდეს..."

ღმერთო, რა საოცრად იძერნება პორტრეტი გმირობისა, რომელსაც, საერთოდ, არც ასაკი აქვს და არც ნაციონალობა... თუმცა, ამ შემთხვევაში, აქ ხომ ქართული ხასიათიც აშკარად იკითხება!

თუ რამე ღირებული შექმნილა — სულ ხასიათიან კაცთა მიერო — ერის მამამ, დიდმა ილიამ ბრძანა.

გივი კარტოზია მკვეთრად გამოსახული ხასიათიანი კაცი იყო. მისი სახლის კარი გულის კარივით მუდამ ღია გახლდათ მოყვასისათვისაც და მტრისთვისაც(?), რადგან შიშის გრძნობა რა იყო, საერთოდ არ იცოდა.

აქ კიდევ ერთი თბილისელი დონ-კიხოტი, დროში განელილი ფიროსმანი, ავთო ვარაზი გამახსენდა, კარებში „გლაზოკის" დაყენების დროს ცოლს რომ უთხრა, ხელოსანს ეგ საჭვრიტინო უკულმა დააყენებინე, რომ, ვინც კარზე მოგვადგება, დაგვინახოს, სახლში ვართ თუ არაო.

არც კარტოზია არ გმანავდა კარს ცხრაკლიტულრით. ჰოდა, არც „ეშმაკსა" და არც „ანგელოზს" არა სძინავს. ერთხელაც, ქურდი შემოპარულა, მილიციას დაუჭერია. გივიც მისულა, ის შეშინებული პატარა ბიჭი უნახავს, უკითხავს: თუ რამე გიჭირს, ბიჭო, სახლში რომ ვიყავი, მაშინ რატომ არ მოდიო?

— დედა მიკვდება და ნამლის ფული არ მაქვს — უტირია იმ უბედურს, — არც ვიცოდი, ვის სახლში შევიპარეო.

*ცეკვე სიმღერით"!*

*კავკასიის მთავარმართებელმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა „ცისკრის" 100 ეგზემპლარი გამოიწერა, რომ ქართველისთვის საარსებო სახსარი გაეჩინა.*

*ეს „ეშმაკობის ქუდი" იყო, თუ ქუდის ეშმაკობა, ორივე შემთხვევაში ჯობია იმას, რომ გულდამშვიდებული უყურო", შენს ცხვირწინ როგორ იკეცება ქართული ჟურნალ-გაზეთები, როგორ იფურჩქნება სხვა ენებზე გამომავალი (სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული პერიოდიკა) და სანამდე აღწევს ამ ჩვენი რევერანსებით განებივრებული ჩემი კოლეგის ვან ბაიბურთის („სოვეტაკან ვრასტანის" მთავარი რედაქტორის) ახალი მოთხოვნილებები: მივხედოთ (ისედაც მიხედულ) სომხურ და ჰამაც — აზერბაიჯანულ (ეს უკანასკნელი ზრდილობისათვის, თორემა...) პრესას და თეაყურებზე.*

*მადა ჭამაში მოდისო.*

*ისინი — მუცელზე ხელდებიან.*

გივის ნამოუყვანია, სახლში მიჰყოლია, ავადმყოფი უნახავს, ფული დაუტოვებია, ის ბიჭი ლამის უშვილებია და კაცი გაუხდია.

მოკლედ, ისე მოქცეულა, როგორც ჭეშმარიტად დიდი კაცები იქცევიან... კიდეც იმიტომ შეარქვეს „დიდი კაცი".

... „სწორ ფიქრს აძლევდა თემ-სოფელს, და ცდუნება არა სძირავდა" – სწორედ ისე, როგორც დიდ ვაჟას სწამდა და ნამდვილი ვაჟკაცები იქცეოდნენ.

გივი კარტოზიას სპორტულ რეგალიებს, ჩინ-მედლებს, ოქროსა და ვერცხლს, ვერც კაი ყმის ნაკაიკაცარსო ვერ დაუთვლი. მარტო ღმერთი ჰყავს ყველაფერს მოწმედ.

ერთი ამბავიც მინდა გავიხსენო, რაც დღეს, ჩემ გარდა, ალბათ, არავინ იცის.

თუ „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა", სიკეთესაც უნდა დანახვა!

ერთხელ, ჩვენი ძმის – ნიაზის უფროსმა დამ, ქალბატონმა გუგული დიასამიძემ, რომელმაც მის მაგიერად გააგრძელა ძმის ძმაკაცებთან ძმობა, ერთი არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი ამბავი მომიყვა. ვინც ამ, ნიაზზე არანაკლებ უცნაურ ქალბატონს იცნობდა, ალბათ ის მიხვდება ამ ამბის სიგრძე-სიგანეს და მნიშვნელობას.

ისე კი, თითქოს ბევრიც არაფერი.

კოკისპირულ წვიმაში მდგარა და ვინმე მადლიან კაცს, გამვლელ მანქანას, უიმედოდ ელოდებოდა... ისე, შემხვედრი მანქანების ტალახივით ვასხამთ ერთმანეთს ქება-დიდებას და გაჭირვებაში კი, ზოგჯერ, გვავიწყდება ერთმანეთი.

... მოკლედ, ბევრი იცადა თუ ცოტა იცადა, ვიღაცამ მის ცხვირწინ დაამუხრუჭა რაღაც ფირმა მანქანა, შოფრისთვის არც შეუხედავს, ისე ჩამჯდარა და მერე დაკვირვებია მძღოლს... დაკვირვებია და უცვნია – საჭეს მშვენიერი ვაჟკაცი უჯდა!

– მე თქვენ გიცანით, – უთქვია თავის სიცოცხლეში პირველად შემკრთალს, – თქვენ გივი კარტოზია ხართ!

– მეც გიცანით, – დაუმშვიდებია გივის, – თქვენ ნიაზ დიასამიძის და ბრძანდებით...

?!

სულ ეს იყო და ეს. მაგრამ გამგები გაიგებს!

„... აი, ეინ, არის კაი ყმა...
არა თქვენ, სადიაცენო
რო ბროხებივით სძღებითა;
ღამე მაძღრებიდ დასწვებით,
დილით მშიერები სდგებითა;
თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ
არც როს არ გამასდგებითა.
. . . . . .
დაჰკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა,

---

*საიქიოში 2 გზა ყოფილა – „წვგართა ბილიკი" და ჯოჯოხეთის გზაგკეცილი – ანუ „გზაშარა".*

არ იციით, დასჩნდით რისადა,
ან რაისათვის ჰკედებითა!

ესეც შენი ქართული გმირული ეპოსი, ძველიც და ახალიც... საიდანაც მოგვყიეის მთის არწივი!

ახლა კი ერთი, სულ ახალი და ჭკუიდან შესაშლელი ამბავიც! (მართლაც, საიდან სადაო, კაცო!) სადღაც ნავიკითხე: სიკვდილს გადარჩენილ მსოფლიოს უდიდეს კინოვარსკვლავს, ულამაზეს კაცს, ალენ დელონს უთქვამს: „მე გადამარჩინა ექიმების ცოდნამ, მეგობრების სიყვარულმა და ვაჟა-ფშაველას პოეზიამო" (?!) გესმით ხალხო – ფაქტია! მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც მართალია, რომ საფრანგეთის ყოფილმა ელჩმა საქართველოში — ბერნარ ფასიემ „თეთრკანიანი ზანგები" გვინოდა (დასანანია, რომ ასე დაეცა ფასიეს თვალში ქართველების ფასი). ან ზანგებს რას ერჩოდა, ან ჩვენ?

მონტესკიეს „კანონთა გონსაც" გვახსენებენ: როცა ლუიზიანელ ველურებს ნაყოფის მოკრეფა სურთ, ხეს ჭრიანო.

დაბადებაში წერია: ინანა უფალმა რომ შექმნა ადამიანიო.

აფსუს!

ღმერთსაც კი სანანებლად გავუხადეთ საქმე!

მომრავლდნენ ღვთისპირიდან გაეარდნილები, ეშმაკის ფეხები, ლეინოზავრები, გომო და გემოსექსუალისტები, არაკაცები და არაქალები...

გივი კარტოზიასა და მისნაირი ბიჭების ქალაქს იმას ვინ აკადრებდა, რაც აკადრეს!

ეშმაკი თავის ოცნებით.
ღმერთსაც და კაცსაც აცდენს...
ღმერთმა ჰქნას, ჩვენი ლოცვები
ღვთის წყალობას არ გაცდეს!

...როგორც გიორგი ლეონიძე იტოდა – გივი კარტოზია 69 ნლისა მოუკვდა არა მარტო თავის თავს, არამედ მთელ ქვეყანას. ეს „6"-იანიცა და „9"-იანიც, გრაფიკულად ისე საჭიდაო ილეთივით გამოიყურება, როგორც ხალიჩაზე საასპარეზოდ გამოძახებული და ყირაზე გადასული მოჭიდავეები, დიახ, სულ ორთაბრძოლებსა და ცხოვრების ასპარეზობაში გალია ნლები.

თემურ ჩალაბაშვილის ერთ სტროფში ეტევა მისი ცხოვრების საფინალო ასპარეზობა. ზუსტად ასეთი სიკვდილით მოკვდა:

ასე ყოფილა სოფელი,
დღე მიდის ღამე მაკლდება,
მოვა სიკვდილი ოხერი,
მოვა და შემომაკვდება.

ჩვენ – გულზე!
თუ გაძირვებაა –
ერთად გავიძიროთ!
თუ ლხინია –
ერთად ვილხინოთ!
„გული მოვცეთ
ვულისათვის"?..
კი, ბატონო!

ბექა-აღბუღას სამართალში მოყვანილია „ნისრი" ფეოდალურ საქართველოში (წოდებების მიხედვით) კაცის სისხლის საფასურისა. თავადის - აზნაურისა და გლეხის სისხლი სხვადასხვანაირად ფასობდა.

ახლაც ასე არაა? ოღონდ, ახლა, ამას სოციალური პრინციპი არის - „ბლატი" ანუ, სისხლის კი არა „მამასისხლის" – ჯიბის სამართალი ჰქვია!

„თორემ მტერს ისიც კი შეამჩნევს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ: მარაბდაო!" – სისხლის ახაჩქარებლად და გულისმოსაყვემად შემოგვთვალა 76 გაზაფხულის ყოლმა ბარდნალელმა ბიძამ ლადო აზათიანმა: რომ ქართულ „ხანჯალს ელდა ყვეს. გაიხარჯოს და ბრძოლებ-

„ვეფხისა და მოყმის" ბალადასა ჰგავს ეს ამბავი. ასე შეიკლა და შემოაკვდა სიკვდილი ამ მარადიულ ბიჭს – „გამძვინვარებულ ვეფხვს", როგორც მას შეარქვეს.

... ერთი რუსული ანდაზისა არ იყოს – სადღეგრძელოთი დავიწყე და შესანდობარით ვამთავრებ:

რადგან სიცოცხლე მას სწყუროდა ასე ძალიან,
მან ამ წყურვილის მოსაკლავად სული დალია.

ადგა და წავიდა წუთისოფლიდან – მარადიულ სოფელში. ვალკირიებმა მიასვენეს ვალჰალაში – გმირთა სულეთში და იქ განისვენებს. ჩვენ კი არ გვასვენებს სურვილი ასეთების მკვდრეთით აღდგომისა. დღეს გულზე ხელების დაკრეფის დრო არ არის. სიკვდილისთვისაც კი ვერ გვიპატიებია მისი წაქცევა და ახლა ძეგლთა სამშვიდობოს გასული – ძეგლად გვინდა ვაქციოთ, რისთვისაც ამ ლეგენდარულ კაცს დიდ მოურავთან გავუყოფ „პაემანის" კიდევ ერთ სტროფს:

... როცა ნოსტემი ლაგამს გლეჯს
მისი ბრინჯაოს მხედარი,
გმირი თუნდ ქვაში ცოცხლობდეს,
სოფელი მაინც მხნედ არი!

ცნობილ მოქანდაკეს, გოგა ოჩიაურს, უკვე მზადა აქვს ჩამოსასხმელად გივი კარტოზიას ქანდაკება, რომელიც იდგმება გივი კარტოზიას სახელობის სპორტის სასახლესთან;

ჯიმი ხეცურიანი მზადაა, საფლავშიაც უძმოს ჩვენს უკვდავ ძმას და... ქანდაკებად ჩამოასხას, რისთვისაც ამ დაყრუებულ ქალაქში ვეძახი ყველას – ვისაც ყური აქვს ისმინოს, ვისაც გული აქვს იგულოს, ვისაც ფული აქვს...

თბილისში გივი კარტოზიას ძეგლი უნდა დაიდგას!

ვინც დაგეყვა აკვანში,
ვინც აგეყვა აკვნიდან
და ვინაც ჩვენს სულში ღელავს,
ვინც...
კაცობა მოგეცა და
ზედ ტვირთი აგეკიდა,
ყველას გაუმარჯოს,
ყველას!..
და განსაკუთრებით გივი კარტოზიას – ღმერთივით ბიჭს,
ჩვენგან გაღმერთებულ კაცს და
განგებისაგან განკაცებულ ღმერთს!

ფერეიდნელი ქართველების ლოცვით გავაცილებ:
ღმერთს ებარებოდე!

თბილისი
2005 წ. 7 აპრილი (ხარება)

* * *

ასეთი ცხელი ზაფხული არ ახსოვთ.

ფერიცვალების დღეს კი წამოუბერა სიომ და მზეში გატრუნულ ხეებს ზამთრის გახსენებაზე ტანში გააჟრჟოლათ.

დღეს 19 აგვისტოა!

ეს სტრიქონებიც ნიავს მოჰყვა და ნიავმავე გაანიავა...

2006.

* * *

ჩემი ოჯახის „ავტობიოგრაფია" იწყება „ოკით" და თავდება „მერსედესით", „აუდითა" და „შევროლეტით"!

ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ სახლი მექნებოდა, პიანინო მექნებოდა, მანქანა მეყოლებოდა და კიდევ რაღაც დააკლდებოდა კაცის ბედნიერებას! საქმეში ხარ?.. თურმე, ბედნიერება სულის სიმდიდრეა და არა ხორცის სილაღე!

ტყუილად კი არ ამბობს ბატონი კონსტანტინე (დროა, მარტო სახელითაც ვიცნოთ!): „შევარცხვინე ის სუფრა, სადაც პურ-მარილი ყელამდეა და სული მაინც მშიერი რჩებაო!

სულგრძელი ადამიანი მეტრია — სულმოკლე — სანტიმეტრი!

ბოროტება სულმაღალ ადამიანს კოჭებამდეც ვერ ნვდება.

ისე, სალტიკოვ-შჩედრინის სენტენციასაც წყალი არ გაუვა: ჭაობი შობს ბაყაყებს და არა ბაყაყები — ჭაობს!

* * *

ფიქრში ეალამებ,
ფიქრში ეათევე და...
ფიქრში დაღამდა —
ფიქრში გათენდა.
ამ თეთრ ღამესთან —
შემომათენდა,
ამ თეთრ ქაღალდთან —
შემომაღამდა!

*წმინდა ნინოს ლოცვა*
ღვთისმშობლის წილხვედრი ერისადმი!

ამ გულზე ხელის დადებით,
შენს ტკიილს დაევუამდები...
და მაცხოვარის თავდებით —
მე ჩემს მზეს დავეუღამდები!..

**ლექსპრომტი ჩემი გულის მეხაიდუმლეს პროფესორ ირაკლი მეგრელაძეს**

„მაჯის შემტყობარ" — კარდეოლოგი —
თუ გულისცემას მაჯაზე ითვლის...
მან საიდუმლო იცის ლექსწერის —
გულში გაელებულ ფიქრების კითხვის!..

*მი დაიხარჯოს": რომ „გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას საქართველოს ძლიერებას, გაუმარჯოს": რომ სულით არ დავეცეთ ამ ზნედაცემულ დროში; რომ გორგასლიან-დავითიანთა მოდგმა უმიმი ვითარცა უხორცო — არ გასუქდეს ხორცის ქამით და ყანწების ცრიალით; რომ ვერიდოთ თრობის თასსა და ძღომის ლუკმას (ქეიფ-ქაეხი): ღამით მაძღრები არ დავწვეთ და დილით მშიერები არ ავდგეთ (ვაჟა); და გვახსოვდეს ვისი გორისანი ვართ!*

*...ალოხუც არ გვეთამაშები, მეფისველო. ერთ... ორსაუკუნოვან კაცს გაგახსენებ, დოსტოევ ის იყო და „ალოხცოც"!..*

*თუმცა, ისტორიამ, იცის ხოლმე კაცის მოეჩეჩება, „ხშირად პოპულარობა დავიწყებაზე უარესია... მიუხედავად იმ ყრუ კედლისა, რომელიც ისტორიამ მის სახელს შემოარტყა, ის მაინც გვაღელვებს და გვაფიქრებს — ნერს ვახტანგ კაცეციშვილი.*

*ალექსანდრე ორბელიანი! · ერეკლე მეილიმეილი.*

* * *

„ქვიდან ნეენის გამომდენი" ზღაპრული ნაცარქექიას, ყვარყვარესა და კვაჭი კვაჭანტირაძის შთამომავალი ჩვენი თაობის შემყურეს, სულ მინდოდა, დამეწერა ე. ნ. „პლუტოვსკი", ან რაღაც ესპანური პიკარესკული რომანის მსგავსი — თავისი ავანტიურისტი, იოლი გამდიდრების მსურველი, დიდი გაქანებისა და „პატარა გასაქანის" მქონე ტიპებით, რომლებსაც შეეძლოთ, შუა აზიელებისათვის „მიეყიდათ" სასტუმრო „მოსკოვის" ჰოლში გაფენილი ძვირფასი ხალიჩები", „ებრაელებში ოქროს ფასად დაეგირავებინათ კაპიკის ფასი (ახალგამომცხვარი) კომპარტიის მოკლე ისტორიის კურსი", „ოსტაპ ბენდერის" როლი კიდეც ეთამაშათ და შეესრულებინათ... კიდევ რა ახსოვს და ვინ მოსთვლის, რა აღარ ახსოვს თბილისს, ქუთაისს, ბათუმ-„ფოთუმს"!

როგორც ჩანს, დიდი ტალანტი ტყავში ვერ ეტევა და ვერც ეს ამბები ჩავატიე ფიქრში!

### ვაი... ვუის გამთ!

ეროტიკას, სექსშოპებს მიაქეს ქუჩის ნაკადი!
თავგასულნო ასულნო, სად იყავით აქამდი?
თქვენი წვრილი კანჭები მუხლამდე თუ გეინახავს...
თქვენს ბერმუდის სამკუთხედს ნიფხავიც ვერ ინახავს.
გაგიდეიათ შარაზე მთელი აელა-დიდება.
ეიცით — ეისი-ეისმია და ვინ — რას ეკიდება,
გულზე ვის ეხატება თქვენი სულ ჩახდილობა!
„ასოსაც" კი „სარცხვენელს" არქმევს ძველი ზრდილობა!..
ყოველს, რისი ხსენებაც არასაკადრისია...
ეს — ადამ და ევასი, ლეღვის ფოთლის ხნისაა!
„აირევი-იეერია" — გალას პალინდრომია,
„რაც გინახავს — ეღარ ნახავ" — მშვიდობა თუ ომია?

* * *

### *ჩემი გენეტიკური კოდი!*

ვინ და რაგვარი ვარ — გვაროვნული კოდით?..
მინდა გავუსინჯო ფხა-ბაჯაღლო ზოდით!
ნიშნიანიძე ვარ — ნიშნიანი ვარ ძე,
სახელად ვარ გიზო — დრო დამიდგა მკისო!
მამის დედის გვარი — წულუკიძე არი!
დედის გვარშიც ვძევარ — ვარდოსანიძე ვარ!
დედის-დედის წილი — გახლავთ ცქიტიშვილი.
აი, მთელი ჯიში — საიდანაც ვიშვი —
გავისიგრძეგანე ასე — მისხალ-მისხლით.
დედაბუდიანად — ქართველი ვარ სისხლით!

---

*— რა საერთოა ქორეოგრაფიას, მუსიკასა და არაყს შორის.*

*— არაყი — ეს არის რეიანების ხაზეა, ანუ ქორეოგრაფია — შტრაუსის ვალსის თანხლებით!*

* * *

თუმცა, ბედიცაა და იღბალიცა, შეხედრა —
ქალს თვალებით კი არა — ჭკუით უნდა
შეხედო!
ბოგ ცოლქმრობას მე ვარქმევ...
ანტიპოდთა ანტიპაქტს —
ის — თუ არ ჰგავს სოკრატეს,
ეს — წააგავს ქსანტიპას.
პოდა, ასეთ ოჯახში,
სულ ჯახი და ჯუხია.
სიტყვაც უმწიფარია
და პასუხიც მკუხეა!

* * *

გადაირია ერი თუ ბერი
და ეჭამთ ერთმანეთს, როგორც ვირთხები...
შენი ბრალია სუყველაფერი,
რადგან ყველაფერს შენ გეკითხებით...
და ყველაფერი შენ გეკითხება!
შენ ხარ კატა, ჩვენ ვართ ვირთხები!

* * *

დანტე ალიგიერი: ჯოჯოხეთში ყველაზე უფრო გავარვარებული ადგილი ელოდებათ, ვინც ყველაზე დიდი გამოცდის ჟამს გარიდებას არჩევს.

P.S. გურულები იხსენებენ! ოქტომბრის რევოლუციის ქარტეხილების დღეებში გურიაში სანდრო ეულ (ქურიძეს) წაუკითხავს რევოლუციის ქურაზე ახალგამომცხვარი ლექსი:

„ცეცხლის რაშით ავფრინდები ცაში"...

— ტ-კს მოგწევავს, ძამია! — ცეცხლის რაშიდან ვირზე გადმოუსვიათ და ციდან მიწაზე დაუბრუნებიათ პოეტი ენაკვიმატ გურულებს.

* * *

„ნისლი ფიქრია მთებისაო" — ეს გენიალური მეტაფორა ვაჟასია. ლექსისას და მთისას, მელექსესა და მთიელზე უკეთ ვინ იტყვის!

ფიქრს ვერ მოთოკავ!..

ვფიქრობ, მეგულება, მიკვირს და მენანება, რომ ორი სხვადასხვა ენის სიტყვა — „ნისლი" და „Мысли" ასე ერითმება და ეაზრება ერთმანეთს.

ამდენ ენაში, ალბათ, რამდენია ასეთი „ფიქრთა შეკონება"?...

* * *

ერთ ჭკვიან კაცს უთქვამს: ალბათ სამოთხე გაც-

ქართველი „ამირძა-ლის" — თეკლას შვილი ყოფილი პორუჩიკი, პეტერბურგის ხალიბების გამცვლელი მფლო-თიან ქართულ მიწაზე. მამის, რაცა „მთელ საქართველოს გაყენილ თითებზე ეძინა": 1852 წლის შეთქმულების მონაწილე: „ცისკრის" თანამშრომელი: ქართული ხმლის და ხანჯალივით ლექსის გაწლმსწორებელი: მონობაში გადიდკაცების მოძულე და თავისუფლების ძებნაში თავგადადებული: ქართველობაში ძმადგაფიცული: ორენბურგის ყაზარმამთვლილი...

ფიქრს არც დრო აქვს და არც საზღვარი არცა კაცობას, მით უფრო, ერისკაცობას.

მე·10·დან. წუთით. ისევ მეცვმი უნდა გადმოვინაცვლო.

ლევან გოთუა გადასახლებიდან წერდა: „არ ვიცი, ასე რატომ მიყვარს ჩემი სამშობლო?.. იმიტომ, რომ შორს ვარ მისგან? თუ იმიტომ ვარ შორს, რომ ასე მიყვარს ჩემი სამშობლო!"

სამშობლოს სიყვარულს მხოლოდ ეს განზომილებ

ილებით კეთილმოწყობილია, მაგრამ საინტერესო ხალხი, უფრო, ჯოჯოხეთში არიანო.

P.S. უსიცოცხლოდ ეცოცხლობ და
უსიკვდილოდ მოკვდები,
ჯოჯოხეთში ეცხოვრობ და
სამოთხეში მოეხვდები!

თუმცა, შეუჩვეველ ლხინს შეჩვეული ჭირი სჯობიაო, ამასაც ამბობენ.

## პატარა მარიამს!

ეს ანდაზა,
მართალი თუ ჭორია,
ჩვენ გვჭირს —
ჩვენი ხალხის მონაგონია!
იმოდენა ჭკუაც არა გვქონია:
„სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი" გვეგონია.
ვისი სხვისი?..
აზრზე მოდი, ძმობილო,
ფუფუნებით სასლებშემოღობილო.
დღეს თუ არა,
ხვალ ეს „სხვა" შენ იქნები...
ცოდვა გადევს ბოროტთან შერიგების!
...ვინც ეშმაკთან შეიკვრება ზავითა,
ღმერთი განსჯის,
კარგს ნუ ელი ავითა!
ეს ცხადია,
სიზმარი არ გეგონოს —
გახსოვდეს ის დაკარგული გოგონა!
ქართველის დედა... შვილის მოლოდინშია,
აღარ ხარობს ნატვრის ხე და ნარგავი,
საქართველო იკარგება!..
ვინ მისცა,
„საქართველოს შვილი დასაკარგავი"!

## სიტყვის თამაში

ნამდაუნუმ — უნუმ-ნამ... მინას ვჭამთ და მინა გვჭამს,
რით სჯობია შარი შურს? რა სჯობია შარიშურს!

* * *

მუცელ-ქორ, ბიჭ-ბუჭობიდან ქვეყანა არ დაიქცეს —
ფული — ხელის ჭუჭყობიდან, სულის ჭუჭყად არ იქცეს!
კაცს თუ ქუდი გახურია, ქუდი სხვასაც დახურე:
ფული ცუდი ბატონია, კარგი მოსამსახურე!
ვიღაცამ თქვა: „ყველა ადამიანში სძინავს მოცარტსო!"

---

*ამბობენ, რომ მათ შორის, ვინც მეორე მსოფლიო ომი მოიგო, იყო... „ყოჩაღი ჯარისკაცი... არაყიც!"*

*ბიანტი: „ადამიანის ერთადერთი მარადიული საკუთრებაა სიბრძნე!*

თუ გენი არ გააღვიძე — გინდა, მოცარტშიც გეძინოს!

## ცოლიკოურს — ქმარიკოულისაგან

პირველი ძე მიტომ არის შენკენ —
შენი გენი მოერია ჩემს გენს!
ჩემი გენი მოერია შენს გენს —
მეორე — ძე მიტომ არის ჩემკენ!
მახლას... ისე აეირიეთ სისხლით —
ერთმანეთს ეცნობით უკვე მისხალ-მისხლით.
ეს — მეორედ მოსვლა არის ჩვენი —
არც ისვენებს — არც გვასვენებს გენი!..

P.S. თუმცა, ანატოლ ფრანსს ნათქვამი აქვს, რომ: გენი, რომელიც მუშაობს მშობლებში, ხშირად ისვენებს... შვილებში!

ღმერთმა ნუ მოასვენოს!

## ნიშნიანიძენი

**(ლექსპრომტი, მიძღვნილი 2004 წელს, ჯერ-ჯერობით ნაბოლარა ანას დაბადებისადმი!)**

გული ფრიალს მიწყებს,
სული მიწყებს კანკალს,
ჩამოთვლას რომ ვიწყებ:
მიტკა-ლენკა-ანკა!!!
მიტკა-დიმიტრობდეს,
ლენკა-ელენიობდეს,
ანკა — ანაობდეს,
მჯობნის მჯობნსაც ჯობდეს!
დავითსა და გიმოს —
ჩემი სუნი სდისო,
სულ სიკეთის რგეის და
სულ სიკეთის მკისო!
იბიბინოს ჩვენი
სიხარულის ყანამ —
გაიხაროს ჩემი
გვარის ანა-ბანამ..

* * *

გიჟიც ამკობდა ქალაქს უწინ და...
იყო სიცილი და ფხაკა-ფხუკი...
უწინ ამ ქალაქს გიჟი უკეირდა —
ახლა ამ ქალაქს ჭკვიანი უკვირს!

* * *

კაცსაც ბოზი პქვია —
ვერ აცდება სირცხვილს,
როცა კაცი კაცებს —
ქალებივით იცვლის!

*აქვს.*

*ეს ისე... და ასეც!*

*ახლა ისევ ძველ სათქმელს დავუბრუნდეთ!*

*...1832 წლის 145 შეთქმულში ქართველმა „დეკაბრისტმა“ ალექსანდრე ორბელიანმა დიმიტრი ბაყონიშვილის ბრალდებაც საკუთარ თავზე აიღო ავადმყოფი კაცის და გადასახლებას ვერ გაუძლებსო?! თავად კი ქართველი თავადი ყველა ლოცვაში ღმერთს ავედრებდა საქართველოს, რომ „კეთილს საქმეს ვიქმოდეთ და... წმინდა მოქალაქური პატიოსნებით ვცხოვრობდეთ ამასა შენსა დაარსებულსა სოფელსა შენსა...“ პოლიციურ ნათელში სამყოფად იგი, სიფრთხილისათვის, სანთელსაც კი აქრობდა ბნელი დროსი.*

*68 წლისა გარდაცვლილა „ღრმა მოხუცებულობაში“ (?!) - წერდა აკაკი, რომელიც „პირველი ნახვისთანავე“ მოხიბლულა ჭეშმარიტი ქართველი კაცის ხილვით.*

*მელნით კი არა, სისხლით ნაწერს ჰგავს ალექსანდრე ორბელიანის რვეუ-*

* * *

კოკო გამსახურდია:

ერთხელ ზვიადს ჰკითხეს — როდის გაბრწყინდება საქართველოო? მან ქართული ხალხური ლექსით უპასუხა:

„რა ექნისა“ ციხე ავაგე,
ჯაერი შავაბი კარადა,
საიქიოდან მოიდნენ,
იმ ციხის სანახაეადა,
ბეერი უარეს ციხესა,
კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქეეს: „დრო რომ მოუელის,
კარ გაიღების თაეადა“.

ცნობიერების ძილი საქართველოში სულ პრობლემა იყო.

**„ქართული უნივერსიტეტი“, 2004.31-6.04.**

* * *

„ჩემი სული ეკუთვნის ღმერთს, გული საქართველოს, ხოლო ლეში თქვენ — ჯალათებო!“ — ეს სიტყვები ეკუთვნის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ამბროსი ხელაიას. ამ სიტყვებით მან (მის წინააღმდეგ მოწყობილ სასამართლოზე) მიმართა სამშობლოს შინაურ თუ უცხო დამპყრობელ-დამმონებლებს.

P.S. ეს ყველა ქართველის გულის ფიცარზე ამოსაკაწრი სიტყვებია. საქართველოს — სამშობლოსათვის თავგანწირვის ნიჭი გადაარჩენს!

* * *

არავითარი მყარი გარანტია არ არსებობს, თუმცა, გირაოების, იპოთეკების, ხელ-ფეხშეკრულობების ცვენის დროა.

აფსუს, ჩვენი წინაპრების კოკობი ულვაში, ერთი ღერი მილიონი რომ ღირდა!

მარა, მერე მოვიდა ვიღაცა გადამთიელი კავკასიის მთავარმართებლად, გაპარსა წვერ-ულვაში თავად-აზნაურობას, ტომრობით გადაუძახა მტკვარში და მოგჭამა ჭირი პატიოსანი სიტყვის ძალამ... სწორედ, ამას და სხვა სადარდელსაც ბუტბუტებდა, ალბათ, დედა-მდინარე, მტკვრის პირას ბარათაშვილის ფიქრისას...

* * *

დავით სარაჯიშვილს თანამედროვენი „არალეგალურ ქველმოქმედს“ ეძახდნენ.

ნამდვილი სიკეთე უმისამართოა.

ქართული ბიბლიის — „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი გვმოძღვრავს: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულიო!“

ჩვენს დროში, ზოგმა ხუმრობით, ზოგმა ხუმრობის გარეშე, ამ მფრი-

---

*შეეს, ეჭვიანი პერას დასაჯერებლად. ტყუილზე დაუფიცნია და ამის შემდეგ ღმერთები აღარ სჯიან შეყვარებულ მამაკაცებს სიცრუისათვის...*

*P.S. რა პქვია ამას — რასობრივი თუ სქესობრივი დისკრიმინაცია?*

ნავ ფრაზას სულის მოთქმა, შუამდე მისვლაც არ აცალეს და ასე გადააკეთეს: „რასაც გასცემ შენია" და „რასაც არა — ხო შენია და შენიო?!"

ჩვენი დროის თბილისამდეც კი მოაღწია ალალი გულით ნათქვამმა ჩემმა ლოცვამაც: „ღმერთმა შენ მოგცეს რომ — მე მქონდესო!"

ამ დაღმართში კი, კიდევ ერთხელ, ბოროტების შებრკოლების ლოდინით ფეხი რომ ნამოეკარი მფრინავ ფრაზას: „ვისი არ ითქმის სახელი"... მაშინვე რუს „ივანებში" კაი ქართველი შვილი და კაი ყმა გამოგეიჩნდა და... ის შემომაფრინდა სულში!

ენაცვალოს ასეთი კაცი საქართველოს და საქართველო ასეთ კაცს!

ისტორია ერის მეხსიერებააო და მაინც, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ასეთი კაცი!

გვარს არ ვასახელებ... სახელიც ეყოფა სახელად!

ღმერთმა ამრავლოს!

გვახსოვდეს სახარებისეული ღვთიური სიტყვა: „მოყვასისადმი განვდილი ხელი არასოდეს არ რჩება ცარიელი!"

* * *

ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტ ქვეყნისთვის...
(მე ახლა მიეხედი ერო და ბერო),
რამ ათქმევინა სულმნათ აკაკის:
„ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!"

*საგულდაგულოდ!*

შენზე უფრო ახლობელი არ მყავს.
აზრზე მოდი!
და გამგები თუ ხარ —
უცნაური საწუხარით ეწუხვარ:
მიყვარხარ და სიყვარულით მძულხარ!

## ჩვენ და ჩვენი ღმერთი

ითხოვა პური — ვაითხოვეთ ყური?
ითხოვა წყალი და ვასვით ძმარი!
და ვისაც ახლა „ვუმაღლით" ედემს:
„ჯუარს აცუ, ეგე!"

* * *

ღირსი ისააკ ასური —
რაცხდა მანკიერებად —
სიცილ-უდიერებას! —
ფიქრთა კადნიერებას!

ლი. ხოლო აღწერილია მარიამ დედოფლის მიერ გენერალ ლაზარევის მოკვლა; მეურიგებელი „საწყალი ცხენის" დარეჯან დედოფლის კეცერბერგს გამწესება:

მის მიერ ჩაცვებით ხავსე გალიის ყიდვა, კარების გაღება და ფრინველების გაშვება „ტყვეობაში ყოფნა ადამიანებზეც გვეყოფა"

„რა ხელყრის კაცის ნაზი ზედ-ზედი.

გალიაშია დატყვევებული"...

საუკუნეებიდან მესმის ჩემი საუკუნო წინაპრების ხმა!

...ისმინეთ 1795 წლის 11-12 ენკენისთვეს კრწანისის ომში არტილერიის უფროსის გიორგი გურამიშვილის მიმართვა ჯარისადმი:

...სამი ათასი ქართველი მიწა ავილოთ და შევჭამოთ. ეს იყოს წმიდა საიდუმლოს მაგიერი...

„დედა-მიწა, როგორც ზიარება, უკანასკნელი განწმენდა ცოდვებისგან... სიკვდილის შესახვედრად!" ეს ჯერ არ გაგონილა, ჯერ არ თქმული სიტყვები ალექსანდრესი, არჩილ-ანის.

* * *

რუსები თავიანთ მეფეებს ასეთი ზედწოდებებით ამკობდნენ: ივანე მრისხანე, ცრუ დემეტრე და ა. შ. ქართველები კი შარავანდედით ამკობდნენ თავიანთ ხელისუფლებს: აღმაშენებელი, თავდადებული, ბრწყინვალე... ვახტანგ გორგასალი (მგლისთავა) „უშიში ვითარცა უხორცოს" სახელით აღიბეჭდა მეფეთა საგვარელო ნუსხაში.

თუ ამ ხასიათში გავაგრძელებთ საქართველოს „მეფეთა" და თავკაცთა შემდგომი თაობისა თუ უთაობის მოხსენიებას... „უშიშ" და „უხორცოთა" ანალოგიით ისტორიაში შევლენ — უფულონი, უგულონი, ხელგაშვერილნი, ჭკუაზე მწყრალნი, გიჟივით მართალნი ან მართალივით გიჟნი და სხვა...

ერთს, მაგალითად, მის სიცოცხლეშივე დაარქვეს „ვასილი ნეტარი".

ნეტარ იყოს სახელი მისი!

მის დროს, მისი სიყვარულის სამეფო ტახტზე მთელი საქართველო მხართეძოზე იყო წამოწოლილი და მშვიდად ეძინა. სიკეთით იცხოვრა და სიკეთით გვაცხოვრა!

მერე, აირია ნუთისოფელი.

არანაირი ინსპექცია არ თხოვს ქვეყნის მმართველს... ქვეყნისა კი არა, მანქანის მართვის მოწმობასაც?!

ჰოდა, კიდეც იმიტომ გვიხვრიტავენ... შუბლს!

## ႢႠႫႠႠႱႤႫႠ ႱႠႾႪႨႩႠႺႧႠႬ

შოთა ნიშნიანიძე:
„კაცობრიობა რომ არ დაბერდეს
ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომაელიდან?

გივი ნიშნიანიძე:
მამა-შვილთა ომს ნუ დაეიბედებთ —
შვილი — სისხლია და მამა — ოფლს ღვრიდა!
თავი და ბოლო, სად და როდისა?..
მხოლოდ დრომ იცის დროს და დროისა!
რადგან სიყვარულს არ აქვს ასაკი...
და მით უმეტეს — სამშობლოისას!

## ႨႫႤ...ႰႳႪႨ ႤႱႩႨႦႨ

იმერული სული-გული,
მარან-ჭური,
ჭინჭილა,
მაინძლური ჩიტი-გერიტი...
სული კბილით მიჭირავს.
იმე...რეთი, ტყეთი, ღრეთი, მთვარით ღამის მთეველით —
იმე...რეთის სადღეგრძელო დაგერჩა დაულეველი.
აქ, ართვალი —
ნატერისთვალით
ეშმაკისგან ოჯმნება —
იმერეთში, შემოდგომა...
ღობიანად იჭმება!

## საპრეზიდენტო კადრები

როცა გული-გულითადობს,
გული-გულობს, ვარდი-ვარდობს,
სისხლისფერი ვარდი, მაშინ —
უდანოდაც დანავარდობს!

## დეპეშა პრეზიდენტს!

ბებერს-ბებერ მგლის თავზე სახარება მიკითხავს.
წყალნი წაელენ-წამოელენ... დატოვებენ ქვიშასა.
პოდა, ახალ პრეზიდენტს, ჩემს ამბავს თუ
იკითხავს,
გადაეცით მიშასა — ახლა არა მიშავს რა!

(2003)

* * *

წუთისოფელი ასეა:
მთელი ეს კატავასია —
თუმც ძვირი და ძვირფასია...
მაინც კაპიკის ფასია!
ასეა!

* * *

ქუხილითა და ჭექით —
ცა წამოვიდა ფეხით —
გულიდან გასკდა მეხი —
ელვის გრეხით და ტეხით...
ცოცხალითა და მკვდრეთით...
მგონი გაგვიწყრა ღმერთი!

## სხვის პაემანზე

(სტოპ კადრი)

სიბერის და დაზამთრების
თეთრ ქარბუქში, წამიერად,
შეგხედე და გაზაფხულის
ყრუანტელმა დამიარა...

* * *

ისე გამიტკბა სიცოცხლე,
გამჩენსაც კი შევედავე —
თუ მაინც წასასვლელი ვართ,
რას მოვედიოდით, ნეტავი.

რისი მარცვალთა შეფარდება, რისი პროზოდია. რისი სილაბური ლექსის არტასება. რისი რ ი თ მ ა ი?.. როგორც უიტმენის მანიფესტი ცხადებდა ლექსის თავისუფლებას მე-19 საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწე და პოეტი ალექსანდრე ორბელიანი უპირველესი იყო. რომელმაც მის საუკუნეში დაიწყო ურითმო ლექსის წერა და პირველად ხმარება. უპირველეს პოეტს — ქართული მხცოვრული სიტყვის პატრიარქს რუსთაველს მიმართა!

„რუსთაველ!

ყოვლის ზეცაურის მადლით გაბრწყინებებულო.

და ანგელოზებრ წმინდავ ამომსუნთქველო!

....

რომელ მდინარეს მოუთხრობდი შენს გულის ნადილს?

რომელ მკურნალმა გასვა წამლად უკვდავება შენ?

....

რომელ მხრის კლდეში წყარო გისომს?

რომელ სანუკვეში წალკოტში ხარ მიბილი?

რამდენი გვარი ფრინველები

* * *

თამილა მაკარიძე:

ჩემო პრეზიდენტო!

მოგეხსენებათ, ჩვენი პოეტი მეფე, ვახტანგ VI, პირველი სახესრული სასამართლო კოდექსის ავტორია. ამ წიგნის შესავალში ვკითხულობთ, რომ ეს კანონთა წიგნი შესრულებულია: „თანაყოლითა, დამოწმებითა, თანადგომითა ბრძენთა, ჭკუათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთა" (!).

ახლა ჰიპოკრატესაც მოვუსმინოთ: „ყველაზე ადვილი კურნებელი ავადმყოფობა ახალგაზრდობაა. ის სწრაფად გაივლის".

* * *

მშობლები შვილების მიმართ პირველ ცოდვას, ჯერ კიდევ მაშინ ჩადიან, როცა მათი პირმშო ეს-ესაა ენას ამოიდგამს და ასე ვთქვათ, გაიმართება „ცარცის წრის" ოჯახური სპექტაკლი, ერთი და იგივე კითხვით: დედა უფრო გიყვარს თუ მამა?

მშობლებო!

(დაუკვირდით ამ სიტყვას — „მშობლებში" „ობლებიც" იქვეა!)

ნუ დაიდებთ თქვენი შვილების ცოდვას კისერზე! იხსენით ისინი თავისი პირველი ცოდვისაგან და შეეშვით სიყვარულის პრივატიზაციას!

* * *

მგონი ერთხელ უკვე მოყოლილი მაქვს, მაგრამ ღირს გამეორებად.

კომუნისტების ეპოქაში, ბოლნისის გზაზე, ერთი საგზაო ბოძი იდგა ორმხრივი წარწერით: თბილისიდან-ბოლნისისკენ წარწერა მოგვიწოდებდა: „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას"! ბოლნისიდან-თბილისისაკენ გამოფენილი საგზაო ნიშანი კი გვაფრთხილებდა რომ: „არასწორი გასწრება იწვევს ავარიას!"

რავარია?

* * *

აშშ-ში ჩატარებულა.... სულელების კონკურსი. მესამე ადგილზე მაიკლ ჯექსონი, ხოლო მეხუთეზე — ჩვენი ძმა და პირის ზიარება ჯორჯ ბუში გასულა.

ისე, სომხებს რომ ჰკითხო, ჩვენც კაი გიჟერაცუები ვართ, რეზო გაბრიაძეს რომ ჰკითხო — შერეკილები... მე რომ მკითხო — გარეკილები!

* * *

თბილისური პირიანობა და პიროვნულობა განთქმული იყო ორიენტალისტურ სამყაროში და არ ჰგავდა დღევანდელ უწაპირობამდე მისულ უპირობას. დღეს პირს ვარიდებთ ერთმანეთს, რადგან არც გვაქვს ერთმანეთთან გამოსაჩენი პირი!

---

*ნინო მუშკუდიანი: სვანეთში გოგოს არ გაათხოვებენ ან არ ითხოვენ, თუ სანათესაოში ვინმე ბოზი ჰყავს.*

*სოლონი: სამოქალაქო დაპირისპირების დროს განზე გამდგარი კაცი ყველაზე დიდ სასჯელს იმსახურებს.*

* * *

რანი ვიყავით? რანი ვართ?
რანი ვიქნებით მხილებით?
ეპოქის ქარტეხილებით,
წარსულის გაკვეთილებით!!!
გუშინ მგოსანი —
დღეს საქმოსანი —
გუშინ რქოსანი —
დღეის ბრბოსანი —
ინტრიგოსანი, —
მიტინგოსანი —
ქალნი — „სოსანი" —
კაცნი დროსანი —
მშიერ-მწყურვალნი —
შენებ-ჩვენები —
წელზე ფეხები —
ფეხზე წელები —
კაი მჭამელები —
კაი მსმელები —
ბიზნესმენები—
ბიზნესმსმელები —
სხვისი ჭირები —
ღობეს ჩხირები —
ნუვორიშები —
სიბარიტები —
რის მნახავები —
უნახავები —
გაბოროტების —
გაბარიტები!

* * *

ძველი დრო დავივიწყეთ,
ახალი გავაჩაღეთ,
ვეღარ გაგვირჩევია:
ყოჩაღი და ყაჩაღი!

* * *

ვის იფიცავ და ვისგან იცავ?
დელფოს სამისნოში თავი იციან!
კარისკაცები არ სჭირდება საქართველოს,
ჯარისკაცები კი სჭირდება მშობელ მიწას!
რამდენი ჯარისკაცი — იმდენი კარისკაცი,
რამდენი — უსმელ-უჭმელ-ჩაუცმელი,
იმდენი პირადი დაცვა გვყავს, რომ...
სამშობლო დაგვრჩა დაუცველი!

*ყოფილან შენთან მოსაუბრედ?*

*. . . .*

*ვინ მომართავს მ ხ ე დ რ ო ბ ი ს ა გამკვეთელი ბასრი ძლიერი?*

*„იავნანასავით" ჩაგესმის გარდასულ დროთა ჰიმნები...*

*„იავნანამ" კი, ხომ გახსოვთ, რა ჰქმნა?*

*...ახლა აქედან მოედინება ფიქრთა დინება:*

*„რომელ მსაჯულს ვკითხო სამართალი, ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია!"*

*„ რ ა ო ? რუსთაველი თუ მკვდარია, მა ვინღაა ცოცხალი?... ან ცოცხალ-მკვდრები?... ვინც არა უწყიან, რასა იქმან!"*

*„...მე სულ სხვა რამე მინდოდა მეთქვა, მაგრამ სხვას ამბობს წყეული რითმა"! ურითმოდაც მისდევდა სათქმელს უსინათლო სიმონ ჩიქოვანი, რომელიც თვალდახუჭულიც თუალახელილზე უფრო მეტს ხედავდა.*

*სისხლის გათეთრებაა საშიში და არა ლექსის გათეთრება, როგორც თათარზე უფრო საშიში - გათათრება!*

*„არ გათათრდე"*

* * *

თბილისში 1700 დონარა ყოფილა, მაგრამ დონარა კინწურაშვილი, მაინც ერთია! იგი 42 წელიწადი იყო ეთერში და ერთიამდენი ათასი მის აბესალომობას ნატრობდა. საქვეყნოდ ცნობილი ტელედიქტორი ახლა საახალწლო გადაცემაში მიუწვევიათ და... ამ, ლამისაა ნახევარსაუკუნოვანი ტელევარსკვლავისათვის... ღმერთო ჩემო — საშეი მოუთხოვიათ?!

ვინ-ვინ და ჩვენმა თაობამ იცის ამ ტრაგიკული წუთის ფასი!

რამდენი ხანია, არ შემხვედრიხარ, ქალო!

გახსოვს შენ თვითონ მეგრელს, პირველად მე მოგიყევი მეგრელებზე ეს ანეკდოტი! მეგრელს ჰკითხეს — რა ნაკლი გაქვსო და უპასუხა:

ჩემი ნაკლი ის არის, რომ... ნაკლი არა მაქვსო?!

შენს კითხვაზე: „საკუთარ თავში ყველაფერი გაკმაყოფილებთ?"

ასეთივე პასუხი გაგიცია, ჩემო იუზგარ, „ქრონიკის" ინტერვიუერისათვის (9-15.10.06):

„დიახ, სრულიად დადებითი პიროვნება ვარ!"

კი ბატონო, შეგიძლია, მეც დამასახელო მოწმედ, მაგრამ პირში ქება და ისიც საკუთარი თავის!..

ეს კიდევ არაფერი! იქვე წავიკითხე და, რომ იტყვიან, პირკატა მეცა!.. „ბერია რომ იყო ჩამოსული... ჯერ კიდევ სულ ნორჩი, პიონერთა სასახლიდან, მასაც შემახვედრეს... ხელში ამიყვანა (ვაი), მაკოცა (ვუი)..."

და... მადლობა ღმერთს, სხვას გადარჩენილხარ, ჩემო დონარა!

ამ „გველეშაპზე", ყოველ დღე თითო მზეთუნახავს რომ მიირთმევდა, პირადად მეც ნაწყენი ვარ! მოსკოვიდან-თბილისში რომ ჩამოვიდა და ოპერაში მოუწყვეს შეხვედრა, 19 წლის ბიჭს, 16 წლის ერთ პუტკუნა თბილისელ გოგოსთან ერთად, ზედმეტი ბილეთის მოლოდინში, მოგვადგა შინსახკომის ესკორტი... დიდი შენძრეული კაცი იყო ლავრენტი პავლოვიჩი... დაავლო ჩემს გოგოს ხელი და თავის ამალასთან ერთად შეიყვანა. მე კი, დამიკიდა იმ ადგილზე, სადაც, უჩემოდაც, ბევრი ცოდვა ეკიდა!..

მაშინ იყო, ხარფუხელმა სოსო გრიშაშვილმა ლექსი რომ გაახურა: *„სიმებს ცეცხლი ეკიდება. ამ სიხარულს ნეტა რა სჯობს!... შენ სალამი. შენ დიდება — შენს ჩამოსვლას. გაუმარჯოსო!"..*

ის „სიმები", მაშინ, ჩემი საცოდაობითაც იწვოდა, მარა, მე რომ ცეცხლი მეკიდა, ის ვის ახსოვს!

ასე რომ, ბეწვზე ხარ გადარჩენილი, ჩემო დონარა!..

ეს ისე, ცოტა ხუმრობით და ცოტა ხუმრობის გარეშეც! გეხვევი, გკოცნი, ძმაკაცურად. მოკითხვითა და ნახვის ნატვრით!..

* * *

უკრაინელმა გამომგონებელმა ელექტრონული პრეზერვატივი შექმნა. მელოდიის ხმა და ხარისხი, რასაც სქესობრივი აქტის დროს გამოსცემს, პირდაპირ არის დამოკიდებული ვნებასა და საყვარლების

*საამდროო განცხადება: დავკარგეთ ჭკუა, მპოვნელი დასაჩუქრდება.*

*ავლაბრის ქუჩებში ისეთი გაკრიალებული საფურთხებლებია, რომ... ვერ მიაფურთხებ!*

პოზებზე. გრიგორი ჩაუსოვსკის გამოგონება ჩვეულებრივი პრეზერვატივია, რომელსაც სენსორული აპლიკატორი უერთდება... სწორედ ის გადასცემს სიგნალს პატარა მუსიკალურ მოწყობილობას. რაც უფრო ძლიერია ენება, მით უფრო ხმამაღლა „უკრავს" განდონი. თანაც, მელოდია იმის მიხედვით იცვლება, თუ რა პოზას მიიღებენ მელომანები".

P.S. ერთ პოეტს ასეთი ფუნაგორია მივუძღვენი:

„კაცმა დედა-ენა,
როგორ უნდა განდოს?
ან-ბანს, როცა ხმარობ —
რად არ ხმარობ გან-დონს?

(ისეთს მაინც, ჩაუსოვსკის რომ გამოუგონებია?) მით უმეტეს, რომ სქესობრივ აქტს, ჩვენებურად — „წერაობას" ეძახიან და ერთ დროს „სარცხვენელ" იმ საჩოხ-საგანდონე ორგანოს — ასოს!

* * *

როგორც „ქრონიკა" (25-09-1.10.06) იუწყებოდა, ბერძნებმა თავიანთი სახელოვანი წინაპრების გზის გამეორება გადაწყვიტეს და „ოქროს საწმისის" მოსაპოვებლად კოლხეთში მოემგზავრებიან.

P.S. არადა, პირველი არგონავტებისა და კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცების ფაქტი, ჯერ კიდევ გაუხნელ საქმეებში აწერია ქუთაისის პოლიციას!!!

* * *

*მოდი-მივდივარ!*

წამომიქროლოს ქარმა და
წამომიშალოს ფიქრები...
წყალწაღებული არა და —
ქარწაღებული ვიქნები!
საცა წამიღებს — წავყვები,
რასაც მოუყვება — მოვყვები,
წარსულთან მტრობა-მოყვრობით,
სულის და გულმოოხრებით.

*გასაუბრება ბაჩანასთან*

„ეძიებდე და პპოვებდე!"
(გასაღები აქვს სუყოველს).

„საყვარლის საფლავს ვეძებდი" —
ვეძიებდი და ვერ ვპოვე.
დაევესესხები, ბაჩანავ,

· ამას ისტორია კაცის პირითაც მოგვძახის და ჩიტის ენითაც.

სად არის ის ქართული სული, ქართველი მხედრობა, ან ის ყარაბაღული თავლა-ქურანა-ლურჯა-ზარდაგი, ლიმონის-ოქროს-ვერცხლის ფარი ფეხმარდი ცხენები, თავიანთი ქართველი მხედრებით... ისტორიაში რომ გაქუხლეს და ქართულ მწერლობაში დატოვეს კვალი...

„და ღამეები გ ა რ ბ ო დ ნ ე ნ, როგორც ნაბდით დაქედილი ბედაურები"... სად არიან „ვეფხისა და მოყმის" ბოკვერები... ორბელიანები და მათი „ბელები" კლდეთის მგლები და ალგეთს ლეკვები მგლისნანი...

„კ ი დ ე ვ ა ც დაიზრდებიანო!" — მოგვყივის ისტორიას...

ფრიდონ დოჩია: 1624 წლის 13.09 შირაზში შაჰ აბასმა კახეთის დედოფალი არნახული წამებით აწამა. ქეთევან დედოფლის ხორცით წამება სულის წეცარებად იქცა საკაცეთიისათვის.

„მერმე გაუბეს ხელ-ფეხი, გაძაბეს

შენს სიტყვას თვალსაჩინოსა –
„საყვარლის საფლავს არ ვეძებ...
ღმერთმა ნურც მაპოვნინოსა"!

* * *

ხალხის თვალში ჩანს ის პრეზიდენტი, რომელიც ხალხის თვალში იშვიათად ჩანს.

ისე როგორც!

ყველაზე კარგი ხელისუფლებაა იმის უფლება, რომ იშვიათად ვიყენებდეთ უფლებებს და იშვიათად ვხედავდეთ ხელისუფლებას!

* * *

არადა... სივარადა ვარადა!

არსებობს იორდასალამი, ყვითელი, ფერმკრთალი ყვავილი, რომელიც, თურმე, მარტო აფხაზეთში ხარობს... თუ, საერთოდ, რამე ხარობს დღეს იქ. ამიტომაც ჰქვია „აფხაზური იორდასალამი" და ქართულ ენციკლოპედიას აქამდე დაჰკრავს მისი სურნელი...

„ჩემი ფანტაზია — ახლა ფანტვაზეა" — პაემანის იმ ერთი გაგიჟებული სტრიქონისა არ იყოს და მე, ახლა, მკითხველიც მინდა და განმკითხველიც, მაგრამ ამ დაულაგებელი აზრების დალაგებას ნუ მომთხოვს. მე, ახლა, ჭკუაზე შეშლილ ფიქრებს მივყვები და მომყევით, ვისაც გული გერჩით, ვისაც ზღვა გენატრებათ, „ზღვა რომელიც შორია", შავი ზღვა, რომელიც „თეთრად მოგეჩვენება" თუ სიყვარული იცი!

ფიქრები, ღრუბლები, საავდროდ იყრებიან –

დაბორიალობენ ლანდები...

მდაბლად თავს მიკრავენ რაინდი რინდები,

ჩვენი წინაპრები – გრანდები!..

ზღვა კი, თითქოს დანყნარდა და ნყნარი ოკეანესავით „ნყნარად" ლოკავს ნაპირებს. მიდის... მოდის, მიაქვს ამბავი — მოაქვს. ვითომ დაცხრა, ვითომ დანყნარდა, მაგრამ მოჩვენებითია ეს ყველაფერი — რა დაანყნარებს, რა დააცხრობს მისი შვილების პატრონს, მათ შემხედვარეს... ერთიმეორის ღელვით ღელავენ...

27 დეკემბერია (2006). ვნერ, ვნერ და ნერას ატანილს ტელეფონი მეძახის.

რომელი საათია? — ვკითხულობ გალასებურად და მესმის კაცის ხმა: აგერ, ჩემი სოლოლაკის ყურის ძირში — ძველ თბილისში, სამეფო უბნის თეატრში, თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ გურამ ოდიშარიას 1 საათ და 20 ნუთიან სპექტაკლზე („ზღვა, რომელიც შორია") მეპატიჟება 120 ნლის სოხუმის ლტოლვილი თეატრის ლტოლვილი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი როლის შემსრულებელი დიმიტრი ჯაიანი — ჩემი ძმა და პირის ზიარება, რომელსაც უნდა თავის მარადიულ სევდას — აფხაზურ

---

*ათი თავი უნდა გქონდეს, რომ ორთავიანი არწივის ქვეყანას დაუპირისპირდე, დაუცხვირისცხვირდე, დაუკბილისკბილდე და ა. შ. (ანუ მიუხედავად აშშ-ს იმედით უშიშობისა).*

ტრაგედიას მაზიაროს! (თუმცა, ისედაც, ამ ჭირის მოზიარე ყოვლად და სრულიად საქართველოა!).

დიახ, 30 დეკემბერს მე ვიყავი სოხუმში და ვნახე აფხაზეთი ისე, რომ თბილისიდან ფეხი არ გამიდგამს... მაყურებელსა და შავ ზღვას შორის იდო სანაპიროს ნაცნობი მოაჯირი — ძმათამკვლელი ომისგან დღემდე კბილებჩამტვრეული ბეტონის ჯებირი... აქეთ ჩვენ ვიყავით — იქეთ შავი ზღვა და მიუხედავად იმისა, რომ ისმოდა ჩუმი ზღვაური, ცხრაბალიანმა ღელვამ ნაგვლეკა ორივე.

„...მეტაფორებზე აგებული სპექტაკლი ნაქსოვია უნატიფესი... გარეგან ეფექტებს მოკლებული მხატვრული ნიუანსებით, რომელიც ბევრ შეფარულ სათქმელს მალავს (ზუსტად ისე, როგორც სინამდვილეში)... უცნაურ იდეურ-მხატვრულ ნაზავს ქმნის, ბენეის ხიდზე გადის"... წერს თეატრის წიგნპასპორტში ქალბატონი ლელა ოჩიაური.

დგას სცენაზე ერთი ქალი, 4 კაცი — 5-ად 5 ადამიანი და 5 მილიონი კაცის სათქმელს ამბობს! და ეს ყველაფერი ხდება ერთ მოქმედებად, რომელამდეც ბევრმა უმოქმედობამ მიიყვანა საქართველოს ისტორია, დღემდე რომ ვერ გამართულა წელში და ამ „პატარა" სპექტაკლის ფინალში — დიმიტრი ჯაიანის სახით დაეცა მუხლებზე მშობლიურ მიწას — ალალი დედის გამოსატირებლად და პატიების სათხოვრად!

ზღვა ისევ წამოიქოჩრა და მისი მიქცევისა და მოქცევის წყალწყალა აკომპანიმენტის თანხლებით, კვლავ აირია ფიქრები — ვინ როგორ მოიქცა — ვინ როგორ მიიქცა, ვინ — როგორ მოგვექცია, ვინ — როგორ დაგვექცია.

ზღვა ისევ ლოკავდა ნაპირებს...

ეგდო მიწაზე დამხობილი საქართველო — დიმიტრი ჯაიანი, ქართულ მიწას ელაპარაკებოდა და ისმოდა ქვათა ქვითინი.

ვუსმენდი აფხაზეთის მიწაზე თავდადებულ დიმიტრი თავდადებულს — დიმიტრი ჯაიანსა და მესმოდა საქართველოს გულის ფეთქვა...

მოვდიოდი სახლში და მომქონდა აფხაზეთის, ჯოჯოხეთადქცეული სამოთხის „დარდის გუდურა გრილი", როგორც ძველი ტფილისელი მეფაიტონე იტყოდა.

აფხაზეთის თემასთან მე ჩემი პირადი ურთიერთობაც მაქვს, ერთობ საინტერესო... იქნებ „ლეგენდარულიც კი"!

...აი, ეს დეპეშა სადოქტორო დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით გამომიგზავნა აფხაზეთის მეცნიერების პატრიარქმა, აკადემიკოსმა ბ-ნ გიორგი ძიძარიამ და დღემდე სათუთად ვინახავ

განა მაჯები.

გაზით დაგლიჯეს ძუძუნი, დალეწეს მხურვალე საჯები.

ბარგები მეზობლის შემოხდევს, ყველა ქმნის მათი აჯები.

ალმა ახდენს ყეფანი. ეს, თქმითა აქ ვისაჯები"

თ ე ი მ უ რ ა ზ პირველი. „წამება ქეთევან დედოფლისა".

...ნუთუ, ისტორიამ ვერაფერი გვასწავლა? ნუთუ, დღეის მსგავსი აღარ არსებობს მეილთათვის?

„ეს, თქმითა აქ ვისაჯები!"

დასჯაცა და დასჯაც!

საქართველოს ისტორიას, რომელიც ჩვენ დიდთა წინაპართა სისხლით იწერებოდა, აღარც მკითხველი ჰყავს და აღარც გამკითხველი. ქართული სისხლი ქართულ ძარღვებში გამშრალა და თვალებიდან ცრემლად მოედინება!

რა დავარქვათ ქართულ მიწაზე — ვანათში 50 ქართველის ტყვედ აყვანასა და შემდეგ ცხინვალის ცენტრში ისებს. რუსი და ათასი სხვა ჯურის გადამთიელის, თუ უცხოელი ჟურნალისტების წინაშე მათ დაჩოქებას?

ჩვენი ძველი, უასაკო მეგობრობის სახსოვრად!
„ძვირფასო გიზო!
გულითადად გილოცავ სადოქტორო დისერტაციის დაცვას. გისურვებ ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.აკადემიკოსი გიორგი ძიძარია.
...ეს წერილი კი კარგა ხნის წინ ვაახლე მაშინ ამხანაგ, ახლა კი ბატონ ედუარდ შევარდნაძეს!
1975-1976 წლებში, პოდოლსკის არქივში მუშაობის დროს, გავიცანი ერთი კრასნოდარელი მეცნიერმუშაკი, რომელმაც „ჩვენში დარჩეს" გულახდილობით, თანაც, ვითომ ისე, სასხვათაშორისოდ, გამოამჟღავნა ფარული ინტერესი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ამსახველი ერთი ისტორიული დოკუმენტის მიმართ. იგი მას, ვილაც ჩვენი „კეთილისმყოფელის" მიერ მიტანილი ამბით, საქართველოს საისტორიო არქივში ეგულებოდა. ეს რომ მხოლოდ მეცნიერული ცნობისმოყვარეობა და უბრალო ინტერესი არ იყო, იქიდანაც ჩანდა, რომ მან ამ დოკუმენტის ზუსტი მისამართი — ფონდისა და საქმის ნომერიც იცოდა, მაგრამ იმ მომენტიდან წლების გასვლის შემდეგ, როცა ამ საქმისადმი (დღევანდელი კონკრეტული გარემოებების გამო) ცხოველი ინტერესი გამიჩნდა, ჩემმა რუსმა კოლეგამ აშკარად „დაამუხრუჭა" ...დიდი ტვინის ჭყლეტით უკვე (და ისიც, ზრდილობისათვის) მხოლოდ ფონდის ნომერი „გაიხსენა", რაც (ცოტას თუ გავაზვიადებთ), თითქმის, ზღვაში წვეთის ძებნას ნიშნავდა!
და მაინც, „თუ გული გულობს" — ნათქვამია, მიუხედავად ამისა, „ეძიებდე და ჰპოვებდეს" ბიბლიური პრინციპით, მივადექი საქართველოს საისტორიო არქივს, მის დირექტორს, ბატონ ზურაბ ჟვანიას, რომელიც დღევანდელობისთვის შესაშური პატრიოტიზმითა და ნამდვილი მამულიშვილობით მოეკიდა ამ საქმეს. კარგა ხნის ერთობლივი ძებნისა და თუ შეიძლება, ასე ითქვას — პროფესიული გეშის წყალობით, ამ უაღრესად დაძაბულ ვითარებაში, ამ საგანგებო დროსა და უაღრესად საჭირო მომენტში, სულზე მივაგენით ერთ ისტორიულ წყაროს, რომელიც შავ-თეთრ ფერებში წარმოგვიჩენს და შუქს ჰფენს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიას.

...ერთ ცას, ერთ მიწას!..
...არქივი ერის მეხსიერების მკურნალია — ასე აწერია საქართველოს საისტორიო არქივის კედელს.
და თუ ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობის ისტორიას მკურნალობა დასჭირდა — სწორედ ამ არქივში მეგულება კიდევ ერთი წამალი, რომელიც, შესაძლოა, პანაცეად არ გამოდგეს, მაგრამ უთუოდ მალამოდ წაეცხება ჩვენს ძველ ძმობას და დედმამიშვილობას.
ძმა-ძმისათვისო... იქნებ სწორედ ამ დღისათვის შემორჩა მეხსიერებას ეს ამბავი.
საქართველოს სსრ საისტორიო არქივში მუშაობის დროს, მის მესვეურთა ძალისხმევითა და თანადგომით, წავაწყდი მასალებს, რომლებიც, კიდევ ერთხელ, ნათელს ჰფენენ ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის ისტორიას.
ჩვენს წინაშეა, 1861 წლის საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავ-

---

*როცა სამართალი პურს ვერა ჭამს – იგი თვითონ იქცევა... მათხოვრად!*

*ბავშვთან უფროსია დამნაშავე, უფროსთან კი... უმცროსი.*

შირებით, აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავადაზნაურობის დეპუტატთა მოხსენებითი ბარათი მისი ბრწყინვალების, ტფილისის ნოდებრივ-საადგილმამულო კომიტეტის თავმჯდომარის, გენერალ-ადიუტანტ თავად სვიატოპოლ-მირსკისადმი. იგი დათარიღებულია 1870 წლის 23 მარტით. ეს წერილი, აფხაზეთის თავკაცების პირით, ყველა ასპექტში ადასტურებს ქართველებთან ერთობის ისტორიულ ფაქტს.

აფხაზეთში ბევრია საუკუნის ტოლი, უფროსიც. აფხაზეთი ასწლოვანთა ქვეყანაა და ვინ იცის, იქნებ, ის კაციც ან მისი, ასევე ხნოვანი, შთამომავალიც ცოცხალია, ვისაც ახსოვს აფხაზი ხალხის ეს ისტორიული წერილი. ხოლო, ვისაც არ ახსოვს, შევახსენოთ!

მისი მისამართია: ЦГИА ГССР, Ф, 416, оп.3, д.1014, стр. 38-45.

„ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომჩინებელი ალმწერლისაი საუკუნოდ" — გვასწავლის შუა საუკუნეების ქართველი ისტორიკოსი არსენი ამარტოლი.

ქართველი და აფხაზი ხალხის ძმობას მრავალი ისტორიული საბუთი აქვს და ესეც, მათ შორის, ერთ-ერთი უტყუარი საბუთია.

ჩვენ მივესალმებით ასეთ აფხაზეთს. საქართველოსთან ერთ ბედქვეშ და ერთ ჭერქვეშ მყოფ აფხაზეთს! ჩვენი ძმობა ურყევია ჭეშმარიტ მამულიშვილთა შთამომავლებთან, ვინც საქართველოსა და აფხაზეთს ერთ ოჯახად თვლიდა და თვლის, ვისაც, ჩემი სახლიკაცის შოთა ნიშნიანიძისა არ იყოს, ახსოვდა და სწამს რომ:

ქორი წიწილას აფხაზეთში თუ იტაცებდა,
პაუ, პაო — გაპყვიროდნენ სამეგრელოში...
და მორდუ აქეთ, თუკი როსმე დააცხიკეებდა,
ხვიჩას სიცოცხლე — ეძახოდნენ აფხაზეთიდან!
და ბოლოს:
ერთ ცას, ერთ მიწას, როგორც უნდა, როდი ვაფასებთ...
ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს!

* * *

ახლა კი, ინებეთ დიამეტრალურად საწინააღმდეგო სხვა ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც, წარსულის შუქზე, ნათელს ჰფენენ დღევანდელ სამწუხარო სინამდვილეს (ИГИА ГССР, ф. 1864, оп.1; а.40, стр. 36-39). მოვლენათა ლოგიკა გვაფიქრებინებს: იქნებ სწორედ აქედანაა ნასაზრდოები თანამედროვე აფხაზთა ერთი ჯგუფის საბედის-

*მერამდენე სირცხვილია ეს?*

*ჯონ კიცხი (XVIII სს. ინგლისელი პოეტი. რომლის მხატვრულმა ძიებებმა დიდი გავლენა იქონიეს მომდევნო თაობათა მემკვიდრეებზე).*

*ფრანგული ენა ალბათ, ერთ-ერთი ულამაზესია, რაზეც კი ოდესმე ულაპარაკიათ (შამილიონის ვოლოლის აზდაუგდის მემდეგ).*

*პოეზიამ უნდა განგაცვიფროს უკიდეგანო მშვენიერებით.*

*მან მარტო კმაყოფილება კი არ უნდა მოგგვაროს, არამედ სუნთქვა შეგვიკრას. მე ჩემს თავში ვგრძნობ პოეტის ყველა ნაკლს: ფხუკიანობას, ეფექტების მოხდენისა და ვინმეს მიბაძვის სურვილს.*

*კაზმული მწერლობა - ესაა სამე-ბარი „დაკარგული სამოთხე"*

*...მენკლინიდან წავედი, რომ უფრო ახლოს მეცხოვრა ბიბლიოთეკასთან.*

*კარგია სუფთა წყალი დღეში ათჯერ პირზე მესასხმელად.*

*(კიცხის „წყალი"*

წერო დაუკვირვებელი ნაბიჯი, რომელიც ჩვენი საერთო სახლის გასასვლელისა და კარების გაჯახუნებისაკენ არის გადადგმული, იმ გზააბნეული ჯგუფისა, ვინც თავს უფლებას აძლევს, ილაპარაკოს მთელი აფხაზი ხალხის სახელით.

წინამდებარე ისტორიული პარალელი საგონებელში გვაგდებს. ერთობ სახიფათო მსგავსებაა, აი, ეს დოკუმენტიც: საქართველოს მენშევიკური მთავრობის, ყუბანის სამხარეო მთავრობისა და დენიკინის მოხალისეთა არმიის თათბირის ოქმი, რომელიც ისტორიულად ადასტურებს აფხაზთა იმ ნაწილის პირველყოფილ ცდებს, რომელიც სულ იმის ცდაში იყო, რომ რაიმე ბზარი ეპოვნა ჩვენს ისტორიულ ბედისწერაში და ძმობა-მტრობად ექცია.

ჩვენ, საფუძველშივე ვგმობთ ასეთ მიდგომას, ერთხელ და სამუდამოდ ვგმობთ მას და ამასთან, ერთად საჭიროდ მიგვაჩნია, შევახსენოთ თავგზააბნეულ აფხაზ თანამოძმეს, ყველას, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს ძმათა შორის შუღლის ჩამოგდებას, რომ ბოროტ ნაბიჯს მხოლოდ ბოროტი კვალი რჩება და ისტორიამ იცის, საიდან მოდის და სადამდე მიდის იგი! ქართული ოჯახიდან განდგომის ძველი თუ ახალი პრეცედენტები სწორედ ბოროტი კაცის ნახელავია და ამას არაფერი საერთო არა აქვს არც ნაციონალურ და არც საკაცობრიო მორალთან.

ჩვენი ისტორიული ურთიერთობა ჩვენი სამშობლოს საფუძველთა საფუძველია და ყოველგვარი მოქმედება, რომელსაც შეუძლია შეარყიოს ეს ბურჯი — კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა და ისჯება კანონის მთელი სიმკაცრით.

P.S. ამას ჯერ კიდევ 1978 წლის 7 ივლისს ვწერდი. ის, რაც მერე მოხდა, არა სხვისი მამლობის, არამედ ჩვენი დედლობის ბრალია.

„ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთსო!"..

სადაა ის მამალი, რომელიც ერთ ბედნიერ დღეს გაგვითენებს ისტორიულ ძმებს?

...არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ჩემი და პოლიტოლოგ დავით მგელაძის თაოსნობით, აფხაზეთიდან ლტოლვილებმა გრანდიოზული საღამო მოაწყვეს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. საღამოს ესწრებოდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია II, ქალაქ პალერმოს მერი და მეუფე დანიელი.

საღამოს ასეთი დევიზი წავუმძღვარე:

„ეს საღამო ეძღვნება აფხაზეთის ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირებს, რომლებიც მოკვდნენ, მაგრამ სამშობლოსათვის თავგანწირვის ნიჭი გადაარჩინეს!"

— მარტო ამ სიტყვისთვის ღირდა ეს საღამო — ბრძანა თავის სიტყვაში მეუფე დანიელმა.

აფხაზეთს მხოლოდ ძმობა დაიბრუნებს!

ამაში იმ სპექტაკლმაც დამარწმუნა, რომლის სახელწოდებაა: „...ზღვა რომელიც შორია"!

აფხაზეთს, ამ სპექტაკლის ზურაბისა და ასტამურის — ქართველისა და აფხაზის ძმადნაფიცობა დაიბრუნებს. ამას, სააქაოში ეს ასტამურიც გრძნობს და საიქიოდან — ის ასტამურიც — ასტამურ აჩბაც მოგვძახის, რომლის ხსენებაზე, ახლაც, ელეთ-მელეთი მოსდის თბილისს!!

---

*გოჭები რომ ღრუტუნებენ, შეიძლება იმის თქმაც კი სურთ, რომ ტყემალზე სულაც არ არიან დიდი წარმოდგენის!*

* * *

ჩემის აზრით, ქართველ-აფხაზთა ურთიერთობა ყოველთვის იყო უფაქიზესი და ფეთქებადსაშიში თემა.

ლენინიც წერდა, რომ პატარა ნაციების „მოფერებაში" სჯობია გადაამლაშოს კაცმა, ვიდრე მარილი დააკლოსო (лучше пересолить – чем не досолить). ალბათ ამიტომაც იყო, რომ ზოგმა მართლაც გადაამლაშა და ზოგმა კი — პირიქით.

ასე იყო თუ ისე, ჭკვიანია ის, ვინც სხვის შეცდომებზე სწავლობს და სულელია ის, ვინც საკუთარ შეცდომებს იმეორებს.

მე კი ერთი ასეთი ეპიზოდი არ ამომდის მეხსიერებიდან.

მაშინ გაზეთ „თბილისში" ვმუშაობდი ინფორმაციის განყოფილების გამგედ და სპორტიც ჩემთან შემოდიოდა. ერთხელ, დოღს დავესწარი (ფოტოკორესპონდენტმა სურათიც გადამიღო, როცა გამარჯვებულს გაზეთის პრიზს გადავეცემდი).

იპოდრომზე გამოაცხადეს, რომ ფინიშთან პირველი მივიდა ცხენი, რომლის პატრონი აღმოჩნდა... საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა?!

ერთი კი გავიფიქრე — სად ხორავა და სად ეს გადარეული ცხენი-მეთქი, მაგრამ ასე უპასუხოდ — ეს კითხვა კითხვადვე დარჩა, დამავიწყდა და აგერ როდის, ღმერთმა ინება, გარკვეულიყო.

იმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. პრესიდან წავედი (თუ მაიძულეს წასვლა... ახლა, ამის ახსნის დრო არ არის!) და მეცნიერებაში — ისტორიის ინსტიტუტში ვიხდიდი „სასჯელს". აქ დავუახლოვდი (მანამდე მხოლოდ ვიცნობდი) შესანიშნავ ქართველ კაცს, სამეგრელოდან — ბატონ დამიანე გოგოხიას, რომელიც დიდხანს ედგა სათავეში პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს (მეორე მდივნის პოსტი ეჭირა).

მან, ერთხელ, შემთხვევით ნახა იმ ცხენისა და მხედრის ფოტოსურათი, რომელზეც მე გამარჯვებულებს გაზეთ „თბილისის" პრიზით ვაჯილდოვებდი და სწორედ ახლა გაეცა პასუხი ჩემს მაშინდელ კითხვას: სად ეს ურა ცხენი და სად აკაკი ხორავა?

მონათხრობი არანაკლები გამარჯვება აღმოჩნდა, ვიდრე დოღში პირველობა!

— საქმე კი ასე იყო, ჩემო გიზო, — დაიწყო პატარა „ნოველის" მოყოლა ბატონმა დამიანემ... სოხუმში ჩამობრძანდა ჩვენი ძვირფასი აკაკი ხორავა... აფხაზეთის ერთ ყველაზე მიკარგულ, ნამდვილ აფხაზურ სოფელში წავიყვანეთ და ყველაზე ხანდაზმულ აფხაზს ვაწვიეთ (გვარიც დაასახელა)...

გადმომცხმოდეს .
მეც ცივი წყლის
პირზე მეხსმით
ვიცი გამოცოცხლე-
ბა, გ. ნ.).

ჩემი სარწმუნოე-
ბა სიყვარულია.

...არც კი ვიცი,
რას ვწერ.

ჯანმრთელობა
ნებას არ მა-
ძლევს... ექიმები
წერას მიკრძალავენ.

**P.S.** ეს ყველაზე
საშინელი აკრძალ-
ვაა ყველა აკრძალ-
ვათა შორის!

არადა, აკრძალუ-
ლი ხილია სწორედ
ტკბილზე ტკბილი?!.

ნოდარ ნათაძე:

„თავისუფლების
ინსტიტუტის" ნებ-
ისმიერი ჯგუფი არის
ერთი საფეხურით
ჩამოდეგენერაცებუ-
ლი კომკავშირე-
ლი... ამ ადამიანებ-
ისგან, დივერსიის
გარდა, არაფერს
ველი.

„ახალი თაობა",
2005 წ. -

საქართველოს
რესპუბლიკის
ერთგული გვარდი-
ის მთავარი შტაბის
უფროსი, გვარდიის
პოლკოვნიკი რო-
ლანდ (გურამ)
ლაკია:

...ჩვენი ბიჭების
ნაწილი ქალაქს ქუ-
ჩაზე იბრძოდა,
მეორე ჯგუფ ხოხე-

შევდგით თუ არა ფეხი მასპინძლის ეზოში, ბატონი აკაკი მონუსხულივ-ით შეჩერდა და თვალი ვერ მოწყვიტა კაეშა ცხენს, რომელიც ულამაზეს თეთრ ფეხებზე იდგა და ადგილზე ცეკვავდა. გამოგებებული მასპინძელ-იც შეჩერდა და ფერმა გადაკრა...

მერე მივიდა, სტუმარს მხარზე ეამბორა, ცხენი სადავით მოხსნა და მიართვა:

— ანი, თქვენია ეს...

სტუმარმა შორს დაიჭირა მასპინძლის საჩუქარი.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, მე ისე, თვალი გამიჩერდა. თორემ... დიდი მსახიობი გვიან მიხვდა, რომ გულგრილი სტუმრის როლი ვერ შეასრულა.

მოხუცი აფხაზი კი ერთი მსახიობის საოცარ სცენას თამაშობდა... თუმ-ცა, სიტყვა „თამაშობდა" სრულიადაც ვერ გამოხატავს სინამდვილეს — იგი მთელი აფხაზი ხალხის როლში იყო.

მოხუცმა გულზე დაიდო ხელი და ძვირფას სტუმარს უთხრა:

— ბატონო აკაკი... ერთი სიკვდილი მაშინ გავათავე, როცა ჩემს ცხენს თვალი დაადგით... ნუ მომკლავთ მეორედ... აფხაზი კაცისთვის საჩუქრის უკან დაბრუნება სიკვდილია!

დამიანე გოგოხიამ მაშინვე აუღო ალღო სიტუაციას, ბატონ აკაკის რაღაც გადაულაპარაკა და მდგომარეობაც განმუხტა, რადგან საჩუქრის არც მიღება შეიძლებოდა და არც უარყოფა.

ეს ცხენი ერთადერთი ქონება იყო, რაც ამ მოხუც აფხაზს ებადა, მა-გრამ უფრო დიდი ქონება იყო მისი სიტყვა, რომლის გატეხვის უფლება არც მთქმელს ჰქონდა და არც გამგონეს... ესეც არ იყოს — ან ამ მოხუცის დატოვება როგორ შეიძლებოდა უცხენოდ, ან ამ ცხენისა — უპატრონ-ოდ!

...სხვაც ვთქვათ: ან სად უნდა წაეყვანა იგი მავრს?

ბატონმა აკაკიმ მდაბლად დაუკრა თავი ეპიკურ მასპინძელს და მთების „მოძახილით", პრომეთესავით უთხრა:

— მე ვიღებ თქვენს ძვირფას საჩუქარს, ბატონო... ოღონდ ერთი პირო-ბით...

ერთი სათხოვარი კიდევ მაქვს?!

მოხუცი მხედარი კითხვის ნიშანს დაემსგავსა, ალბათ გაიფიქრა — რაღა სათხოვარზეა ლაპარაკი, რაც მქონდა მოგეციო და ერთი სული ჰქონდა, გაეგო, კიდევ რას თხოულობდნენ მისგან?!

სტუმარმაც არ დააყოვნა:

— ბატონო... ამ ცხენს პატრონი სჭირდება, თქვენზე უკეთეს პატრონს და ძმას კი მე ვერ ვიშოვენი. ამ ცხენის ადგილი აქ არის! გთხოვ მიძმო და შემინახო... შეჯიბრზე კი ჩემი სახელით იასპარეზოს!

...აი, სად შეხვდა ამბავი ამბავს და როგორ დასრულდა ეს ლამაზი ისტო-რია, რომელიც თან მართალია და თან ლეგენდას ჰგავს.

---

*როცა ადამიანი უმიზეზოდ იცინის... ამას უფრო დიდი მიზეზი აქვს.*

*ჭკუაა ახლა ეს? ვინც 30 წელიწადი უჭკუოდ გვატარა, კიდევ იმას ვე-კითხებით ჭკუას?*

* * *

ჩემი ცოლის ძმისწულის — შოთა კეჭაყმაძის ამბაეია!

— სად შეგაქვთ ამ ბალანას საბუთები? — ვკითხე მამამისს.

— საგზაო-საფშეიტინოზე!

— გასაგებია, ესე იგი, გინდა ავტოინსპექტორი გამოეიდეს და გზაზე დააყენო, ხომ!

დევი დევიძე:

## „სიყვარულს ასაკი არ აქვს"

„ოჯახის მკურნალი" დღეს თბილისის კოლორიტსა და მასზე მთელი არსებით შეყვარებულ ადამიანს მასპინძლობს, რომელსაც, ვფიქრობთ, — ნარდგენა არ სჭირდება. ჟურნალის სტუმარია ბატონი გიზო ნიშნიანიძე.

**— ბატონო გიზო, თქვენი „პაემანი ვერაზე" კარდიოგრამით მთავრდება, რომელზედაც გულის მუშაობის ცელილებებია ასახული. რა არის მათი მიზეზი — განცდები, პოემაზე მუშაობისას რომ დაიბადა, თუ ავადმყოფობა?**

— ალბათ, ერთიცა და მეორეც. ამ ბოლო დროს გულის ოპერაცია გადავიტანე. თუმცა ამ კარდიოგრამით სულ სხვა რამის თქმა მქონდა განზრახული... კავკასიონის მთებს თუ შეხედავთ, საქართველოს კარდიოგრამა ნარმოგიდგებათ თვალნინ, დაინახავთ, როგორ ძგერს მისი გული. ვისურვებდი, გამოჩენილიყოს ადამიანი, რომელიც მის გასაჭირს ამოიკითხავდა და უმკურნალებდა.

**— თქვენ პოპულარული ბრძანდებით არა მარტო თქვენი, არამედ მომდევნო თაობის ქალბატონებს შორისაც...**

— როცა მაქებენ, მაშინ უფრო ცუდად ვგრძნობ თავს. ჩემი თაობა ის თაობა გახლდათ, ვინც კარგად ამბობდა ლექსსა თუ სადღეგრძელოს, საუცხოოდ მღეროდა, მოსნრებულად ხუმრობდა, რაც მთავარია, სხვისი ჭირი ლობეს ჩხირად არ მიაჩნდა. დღეს კი... მახსოვს, როდესაც ლადო კახაძე საკრებულოს თავმჯდომარედ დანიშნეს, ვიკითხე, ვინ არის ეს კაცი-მეთქი? გინეკოლოგიო, მიპასუხეს და აქ კი ეიანგლე: რად გვინდა გინეკოლოგი, საქართველოს საქმე იქით მიდის, სჯობდა, მის მაგივრად პროქტოლოგი გელა მუხაშავრია დაგვენიშნა-მეთქი.

*მის რკინიგზის სადგურს ფლობდა. მარცხენა ფლანგი სრულიად დაი- გვქონდა. 25 სექტემბერს სისო ჯომიდავა. თავის ბიჭებთან ერთად, ფაქტობრივად, ალყაში იბრძოდა. ამ დროს შევარდნაძეს უკითხავს თანხმლებისთვის, ვინ იბრძვის ასე თავგამოდებით? ხომ ვერ ეუყოდნენ, ეროვნული გვარდიის ბატალიონისა და უთქვამთ, ლოთი ქობალიას ხალხია!.. გაკვირვებულს უკითხავს, აქ ქობალიას ხალხიც არისო?.. კი, მხედართმთავარი, რომელმაც არც კი იცის, ვინ იბრძვის მის ხელქვეით...*

*... შევედით ალყაშემორტყმულ დაბა ახალ კინდღში. იქ შემზარავი მდგომარეობა დავხვდა. შიმშილით ქანცგაცლეული ასეულობით ქალი და ბავშვი მშენებარე შენობის კარკასში იყვნენ. ვინც ეს საშინელება თავისი თვალით ნახა, ის ვერ დაიძინებს მშვიდი ძილით!.. ძუძუმწოვარა ბავშვები ვეღარც კი ტიროდნენ ისინი... დროდადრო მხოლოდ უძლურად კნაოდნენ.*

ვამბობდი — შოთას, გალაკტიონის, ვაჟას შემდეგ როგორ გავბედავ-მეთქი ლექსის წერას, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ასე ფიქრი არ შეიძლება. უიტმენს თავის დღეში არ დაეწერა ლექსი, უცებ მიხვდა, რომ პოეტი იყო, აიღო კალამი და დაიწყო წერა. მუზა ლამაზი ქალივითაა — უნდა მოუფრთხილდე, თორემ თუ გაგექცა, ვეღარ დაეწევი!

პოეზია ყოვლისმომცველია. ერთ სტროფში შეიძლება მთელი სამყარო ჩაატიო... ქალი — ქალად უნდა მიგაჩნდეს და კაცი — კაცად! 2 წლის კუსტბელი მეგობარი მყავს — ლუკა მეგრელიძე; რომ დამინახავს, გიჟდება და მეც მაგიჟებს!

**— უტიფრობად თუ არ ჩამომართმევთ, სხვა მუზებზეც შეგეკითხებით...**

— გასაგებია (იცინის). ლამაზი ქალი ქალაქის მოარული ჩუქურთმაა. ვის არ შეუსხამს ქება ქართველ მანდილოსანთა სილამაზისთვის. თუ შატობრიანს ესმოდა ქართველი ქალის ქალობა, მე რაღა ღმერთი უნდა გამიწყრეს, რომ ვერ გავიგო ეს ღვთის წყალობა?! ამბობენ, შაჰ-აბასმა თეიმურაზ პირველის მზეთუნახავ ცოლს — ხორეშანს დაადგა თვალი, ირანში ფერიას რომ ეძახდნენ და განბილებული სიყვარულით გაბოროტებულმა კახეთი მოაოხრაო. გახსოვთ „ძველი ვოდევილები"? კნეინა სონა: „თქვენ შეგიძლიათ, ქალის გულისათვის მსხვერპლი გაიღოთ?" ტიგრან ოფოფიანცი: „მერე მე არაფერი მამივა?!" ასეა, მშვენიერი სქესის გულისთვის ხშირად ომიც კი ამტყდარა.

თბილისში ერთი ლამაზი ქალი დადიოდა, — სამწუხაროდ, მისი ვერც სახელი გავიგე და ვერც გვარი... ყველა ასაკში ისეთივე მშვენიერი იყო, როგორიც ბუნებაა წელიწადის სხვადასხვა დროს: გაზაფხულს ჰგავდა — ატმის ყვავილივით ნორჩი და მშვენიერი, ზაფხულს — დედობისთვის მომზადებული, შემოდგომას — ასაკშეპარული და მაინც მომხიბვლელი და ზამთარს — თეთრად დათოვლილი... აბა, დამისახელეთ ბუბუსია თვალავაძეზე ლამაზი ქალი ან ლია სარიშვილზე უფრო გასაგიჟებელი გოგო — სილამაზის ასეთი მძაფრი შეგრძნება რომ დაეტოვებინოს!.. ახლაც არიან ლამაზი გოგონები, მაგრამ მათ პარფიუმერია ნამოეშველათ.

ტექნიკამაც გააუხეშა და დააშორა ხალხი ერთმანეთს. ქალი ყრუანტელს აღარ გვგვრის. ყმაწვილკაცობაში ვყიდულობდი ოპერის ბილეთს და მხოლოდ იმიტომ ვჯდებოდი სკამზე, რომ შემდეგ ვინმე ლამაზმანისთვის დამეთმო ადგილი. დიდი ხნის წინ მითხრეს: დაგვისახელე იდეალური ქალიო და — ამაზე პასუხი იდეალურმა კაცმა უნდა გასცეს-მეთქი.

...მინდა, მშვენიერ ქალბატონებს დედის დღე და 8 მარტი მივულოცო. ისე, ჩემის აზრით, 365-ვე დღე ქალისა უნდა იყოს. ღამე კი კაცებს დაგვითმონ... „მშვიდი ძილისთვის"...

**— იქნებ გაგვიმხილოთ, რა გეგმები გაქვთ მომავლისათვის?**

— ჩემს ასაკში ძნელია მომავალზე ილაპარაკო, მაგრამ ვატყობ, რომ ასე ნაყოფიერად არასდროს მიმუშავია. თუ ადრე ამა თუ იმ მოვლენის მხოლოდ ზედაპირს ვხედავდი, ახლა ადამიანს უფრო და უფრო ღრმად ვწვდები. ალბათ, ეს ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობაცაა.

---

*ლარებს – რომაულ მითოლოგიაში კეთილ სულებს ეძახდნენ, ქართულ „მედროლოგიაში" კი... ბოროტ სულებს – ანუ ფულებს, რომლებიც იშვიათად წყალობენ საწყლებს!*

**— და, ბოლოს, რას უსურვებდით ჩვენს მკითხველს?**

— გაგიმარჯოთ!.. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ხორცის უკანასკნელ ფლეთამდე, სულის უკანასკნელ ცვეთამდე, გულის უკანასკნელ ფეთქვამდე თქვენზე მლოცველი... თქვენი მტრის მტერი — გიზო ნიშნიანიძე.

* * *

ეერელეებში დეენილი...
მეიდანში ესახლობ,
საიათნოეას მეზობლად,
იეთიმ გურჯის ახლო.

**ჩემი გენოფონდი**

ეს მკაფიო კაფია —
ნაღარა და დაფია —
სიყვარულის გზა-კვალი —
ასე გამიკაფია —
ლამის გულმა „მისტუკა" —
ლენკა-ანკა-მიტუკა...
აქეთ გიზო-დათუნა —
გულზე მომეფათურა!

* * *

ეს არის, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, დიდი კაცის განვლილ ცხოვრებაზე დაფიქრებული ლექსი!

**ირაკლი აბაშიძე:**

იქნება ჯობდა... კაცმა რომ თქვას,
ჯობდა ნამდვილად — გეცხოვრა შენთვის,
მხოლოდ მგოსნის ხმით და უფლებით,
უფრო საკუთრად, უფრო ლაღად,
უფრო ადვილად, შენი ქალაქით,
შენი დასტით, შენი უბნებით...

**P.S.**

ეს გალობანი სინანულის მესმის კაცური,
ეცხოვრობ ქალაქით, ჩემი დასტით, ჩემი უბნებით...
რაიც თქვენ ბრძანეთ, მე, ის წესი მქონდა
დაცული —
თითქოს ჩემ გულში იჯექით და მე მეუბნებით!

*...დაგვეკავშირდა სამთავრობო ძალების წარმომადგენელი, რომლის გამოსაძახებელი პაროლი „ქალარა". მე ამ „ქალარას" ვთხოვე, დაებომბა აძიუბჟის ცენტრი, ვინაიდან ჩვენ ჭურვები აღარ გვქონდა. კოდორის მარჯვენა ნაპირიდან საავტომობილო ხიდის მიმდებარე ტერიტორიიდან, ფეხოსანთა საბრძოლო მანქანამ ჩემს მიერ მითითებული მიმართულებით ორი გასროლა გააკეთა. ამის შემდეგ შეწყდა. სროლა, ალბათ, ვიღაცამ რადიოკავშირით აუკრძალა მას, დაგვეხმარებოდა. ჩვენი რიგები საკმაოდ შეთხელდა, მაგრამ ვინც დარჩა, ის გმირულად იბრძოდა.*

*იური ციკოლია (აკადემიკოსი):*

*„...1994 წლის 24 ივნისს თავის სატელევიზიო გამოსვლაში შევარდნაძე ბრძანებდა: „სწორია ჩვენი გადაწყვეტილება, რომ შევედით სამეგრელოში. ეს ჩვენ ადრე უნდა გაგვეკეთებინა. ყველამ უნდა მიიღოს საკადრისი პასუხი. ჩვენ უნდა გავანად-*

## ზაზას!

**(ღვიძლ შვილებში და ძმებში — უმრწემესს)**

დღეს რომ თოფის ხმა ისმის —
სამახარობლოს არ ჰგავს!..
ვიღაც რაღაცას ისერის,
ვიღაც რაღაცას კარგავს.
ბოროტმა სძლია კეთილს...
ხმა გაებზარა მგოსანს...
სულ ცოტა, ათი თავი,
უნდა ამ ქვეყნად მოსვლას!
დიმიტრის დაბადება —
ღირდა თუნდაც ერთ რამად —
აქამდე — შვილი გერქვა,
ახლა კი გახდი... მამა!!!
მარინა გახდა — დედა!
ლიანა — სამგზის ბებო!
სამგზის ბაბუა — მე და...
თქვენთან ბოდიში, წლებო!
იხაროს შენმა გენმა —
იხაროს შენმა ფუძემ —
იხაროს ჩვენმა ჯერმა —
გაგვეიძლია და ვუძლებთ!
გიზო (გიორგი) ბრწყინავს,
ეწერთნით სადაეითოდ დათოს,
დემეტრე თავდადებულს
სამების მადლი ათოვს...
ბიბინებს ჩემი ყანა,
სიხარულით ცას ვწვდები,
აწი რა მომკლავს, სანამ...
მე თქვენს სისხლ-ხორცში ვრჩები!
ორ ძმას ვუტოვებ ანდერძს:
სახელს გიტოვებთ ჩემსას,
სახრავსაც ვტოვებ „პაწას",
ვაბარებ ჩემ ლექე-მგელსა!..
გული კრავისა რომ აქვს,
ცნობენ ბიზნესის ლომად
აბა, ჰე!
ვაი, ჩემს ტვინს —
ვერ გაეიმეტე ჩემთვის...
მეოთხეც მიემატა,
სამ-ოთხის ბაღს, დახუნძლულს,
ზღვა სიხარულში ვხატავ —
წმინდა ელენეს კუნძულს...

23 ივლისი (თიბათვე) ქრისტეშობიდან 2000 წელი.

P.S. არადა, თურმე ჯერ სადა ხარ?.. ერთი სიხარული გზაშია!.. ახლა ეს გენური სიყვარულის ანა-ბანა...ანათი ინყება, მაშინ კი, ჯერ კიდევ სამი წელი რჩებოდა მის მობრძანებამდე!..

---

*იაკობ გოგებაშვილი: სიყვარული მობს სიყვარულს.*

## იტალიური დღიურიდან

**ეძღვნება მეუფე საბას, ილუმენ ეფრემს, მამა იაკობს, დედა თეკლას, პელაგიას-ელისაბედს, იონას, ბ-ნ ირაკლი ფრუიძეს**

Duomo di Milano-ს უზარმაზარ ტაძარში (საორღანო მესის თანხლებით) გულში ნათქვამი.

„რომაულ არდადეგებზე"
რომსა-რომულუსს ვეწვიეთ
და „მარადიულ ქალაქში"
მეცხრე ცას ფეხით ვეწიეთ!
პაოლინის და ირბახის
პირველ ქართულ წიგნს ვუცქერდით —
ვატიკანში ქედს ვიხრიდით —
ღვთისმშობლის წილხვედრ მიწამდის
...„ჯიქი-ლომი და ძუ მგელი"
„ღვთაებრივ კომედიისა",
საიქ-იქაო დანტესი,
მკვდრეთის ვარდის თუ იისა...
წარმართულ კატაკომბებში
შემოვიარეთ ჰადესი
და სულთა შესვენებულთა
ვნახეთ სიკვდილის ნათესი...
არცა ზღაპარი არ იყო,
არც ცხადსა ჰგავდა ცხადადა,
როცა უფალი... უფულო
მლოცველებს გამოგვეცხადა!
მზითა და მთვარით გვატარა —
პატარა ვალით კი არა...
ხატებთან სანთლად აგვანთო
და სული აგვიბრიალა...
წუთის და მარადიულის
საუფლო სასაფლაოსი —
ვცან საიქიო ქაოსში —
ქაოსი სააქაოსი!
საწუთრო მიმოვიხილეთ
პირჯვრის წერით და წირვითა —
ზღაპარში — ცხადი ვიხილეთ —
ცხადში — ზღაპარის ხილვითა!
მივეც კეისარს კეისრის —
ცრემლით ჭირის და ლხინისი —
ყველა გზა რომში მიდის და
მერე ბრუნდება თბილისში!

**2006, 19-25.05.**

რომი-კატაკომბები-ვატიკანი-ბარი-რიმინი-ანდრია-ლორეტო-სან-მარინო-პავია-პასარო-რავენა-ვენეცია-ფლორენცია-მილანი.

*გურით პროვინციული ფაშიზმი და ეს განვახორციელეთ კიდევაც. მე მადლობელი ვარ ყველასი, ვინც კი მიიღო უშუალო მონაწილეობა ამ ოპერაციაში"*

*დიტო ჩუბინიძე: აფხაზეთის ომის პროვოცირება, საქართველოს გენოფონდის განადგურება, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, სამშობლოში ასეულათასობით ადამიანის ლტოლვილად ქცევა, ქვეყნის გაძარცვა-გასხვისება, ქვეყნის მართვის კლანურ-მაფიოზური სისტემის დანერგვა და ერის გაუბედურება ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის მიერ ჩადენილი დანაშულია!*

*თ ე ო ნ ა მეგრელიშვილი: ორიოდე თვის წინ, თბილისელ „სექსუალურ უმცირესობებში" ხმა გავარდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა" ჰომოსექსუალისტებს და ლესბოსელებს უფასო სამედიცინო გამოკვლევას უტარებს, სისხლის ანალიზთან*

* * *

იყო დრო ჩვენში, ბავშვს მანამ არ უშვებდნენ გარეთ, სანამ „საგარეო" ლაპარაკს არ ისწავლიდა. ახლა, ქალიან-კაციანად, ისეთ, უკაცრავად პასუხია, სიტყვებს ხმარობენ რომ ლამისაა გეიხმარონ! ამან დამაწერინა ერთი ფუნაგორია, რომელიც, სწორედ, ასეთ უწმაწურ და „წმაწურიან" ზეპირი ან ბეჭდვითი სიტყვის კადრის მუშაკებსა თუ მთლად საერთაშორისო რეგლამენტის მსახურ დიპლომატებსაც კი ეძღვნება.

კაცმა, დედა-ენა, როგორ უნდა განდოს...

ან-ბანს როცა ხმარობ. რად არ ხმარობ განდონს?

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებიდან, გაზეთებიდან, ტელევიზიიდან, ხანდახან ისეთ სიტყვას მოკრავ ყურს, სუნთქვა შეგეკვრება და გულზე შემოყრილს შეიძლება „ვენსენიც" კი შეგეყაროს... გენიტალიების ამდენი და „შარდმდენი" ხსენებით.

მაგალითად, 3 ასოიანი ერთი ასოს სახსენებლად... ორ ასოს თუ დამალავ, ნახავ რაც შეგრჩება ხელში!

ან ესეთი ალუზიის ილუზია! პენსნე, პენსია და... პენისი ერთი ფუძის სიტყვებია, მაგრამ ზოგ პენსიასა და პენისს... პენსნეს გარეშე ვერც დაინახავ.

აბა ბუჭო!

დღეს ბილწსიტყვაობა მოდაშია!

განსაკუთრებით მანდილოსნებს არ უხდებათ (და ისიც, ასე სახალხოდ) ასეთი სკაბრეზული სიტყვების ხმარება, რადგან ძარღვიან ქართულში, თვითონ სიტყვა „ხმარებაც" კი ჩასაფრებულია, რამე მაკვილაკი და თავმოსაჭრელი არ წამოგცდეს, რომელიც იქეთ „გიხმარს" და თავს მოგჭრის.

მოკლედ, საქვეყნოდ განთქმულ ქ...ულ ზრდ...ბას პირიდან-პრ..ი აქვს მოტყ..ლი! (სიფრთხილისათვის, ჩვეულებრივი სიტყვების ასო-ასო ავქენი!).

არადა, ჩვენი ზრდილობიანი წინაპარი კუილსაც კი მიქარვას ეძახდა. ახლა კი, უიმისოდაც რამდენს მიექარავთ!

არ დაგვიწყოთ ახლა, იტალიურიო — მესმის ზოგ-ზოგის ხმა, უფრო სწორად, ჩემივე ხმა... „ზოგი" უკუღმა „გიზო" ხომაა!

აბა, როგორ არ დაგიწყოთ „იტალიური", როცა ჩემი თავგადასავალ-„ოდისეადან" მოწმედა მყავს ჩ.წ.აღ. პირველ საუკუნეში ვეზუვის ვულკანით დაქცეული პომპეი, სადაც აპოლონის და იუპიტერის ტაძრების გვერდით, საკუთარი თვალით ვნახე ქანდაკებებით, მოზაიკითა და ფრესკებით დამშვენებული აატრიუმიან — პერისტილური, კოლონადიანი გაქვავებული ეზოები (იმ დროის ატრიბუტიკით — ხელუხლებელი შიდამოწყობილობით), სადაც ერთ, კედლის საათისხელა ყრუდ გამოკეტილ სეიფს საგანგებოდ გვიმალავდნენ და რომ არა ტურისტების ცნობისმოყვარეობა და კატეგორიული დაჟინებული მოთხოვნა, ალბათ უნახავი დაგვრჩებოდა.

მასპინძლებმა მოგვიბოდიშეს: ამ ექსპონატს ქალებთან ერთად ვერ გაჩვენებთო. და მაინც, როცა ჩვენი დაჟინებული მოთხოვნით, ბოლოს და ბოლოს გახსნეს ყუთი — მასში აღმოჩნდა, პირველი საუკუნის პირველი კარიკატურა! სატირულ სტილში შესრულებულ გრაფიკულ ნიმუშში ჩახატული იყო, არც მეტი — არც ნაკლები — ორი პინა... თეფშების ერთ მხარეზე იდო ოქროს ქისა (ანუ ქონება) — მეორეზე — ფალოსი (სიცოცხ-

*ყვავმა: ყვა-ყვა, ყვა-ყვა, ყვა— და... ამ ყვა-ყვაში ქე აყვავდა!*

*ბაყაყი წყალში ყი-ყი-ნებს.. სიტყვის უღლებას იყენებს!*

ლის სანყისი) და ეს უკანასკნელი აშკარად გადაწონიდა ყველა სიმდიდრეს!

ეს იყო და ეს!

— მაგას მიმალავდით, — მოულოდნელად წამოიძახა ერთმა ქართველმა მანდილოსანმა, სახელად ვენერამ და სიცილით გადაფიჩინდა, — მაგისთანა ფალოსები მინახიაო!

?!

ყველანი კითხვისა და ძახილის ნიშანს დავემსგავსეთ — ამ დარბაისელი ქალისაგან არავინ მოელოდა ასეთ „აღიარებას".

რა აღარ ვიფიქრეთ და ვიჭორავეთ მერე!

ამის შემდეგ გავიდა ბევრი დრო. ამ ქალბატონთან შეხვედრა მხოლოდ მაშინ მომიწია, როცა უფროს შვილიშვილს ჯარში ვაცილებდი. დედიშობილა გაშიშვლებულ ბიჭებს საექიმო კომისიისკენ თვალი რომ გავაპარე, როგორც იტყვიან — პირკატა მეცა: კომისიის მაგიდას თავში ეჯდა სწორედ ქალბატონი ვენერა და ვენერიულ შემოწმებას უტარებდა ტალიკ-ტალიკა ბიჭებს.

აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე!

— ერთი სიკვდილი გავათავე მაშინ, იტალიაში!.. რატომ ენა არ მომტყდა, — გამომიტყდა ქალბატონი ვენერა და ახლაც სინითლემ გადაკრა.

დღეს კი ლამის ენაზე გვჭირს ვენერიული!

* * *

რად გავახსენდით სიკვდილს?

გივი ნიჟარაძე და სიკვდილი?!

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ბიჭო, სიცოცხლემ — სიცოცხლით გამოგცადა, სიკვდილი — სიკვდილით გამოგცდის, თვითონაც სიცილით მოკვდება, ალბათ და იტყვის: ასეთ კაცს რა მოკლავსო და ამდენ შვილებში, შვილიშვილებში, შვილისშვილისშვილებში, ძმებში, ძმაკაცებში მიმოფანტულს, ხსოვნაში მაინც ცოცხალს დაგტოვებს.

კაცურად ზიდავდი ჯვარს

და როცა წახვედი, მიეხვდით —

სიცილის ცრემლების ვალს...

ტირილის ცრემლებით გიხდით!

ერთ სტროფს კი შენუბნელი ჩვენი მურმან ლებანიძისასაც გაგატან სააქაოდან — საიქიოში:

მშვიდობით,

გალმა სოფელი მოჩანს...

აწი, სიკვდილი,

ფეხებს ვერ მოგჭამს!

ერთად. ფხიზლობიერ კონსულტაციას და ინტერვიუზე თანხმობას სთავაზობს. სანაცვლოდ კი 10 ლარსაც იქვე უხდის. ხოლო თუ მეორე დღეს ახალ გომიკებსაც მოიყვანს, ყოველ ახალ კლიენტზე კიდევ 6 ლარს უმატებს. მოკლედ, ბიზნეს-ვარიანტი გაიჩითა და ამით სექსუალური უმცირესობის გარდა, უფულო და უსაქმური უმრავლესობაც დაინტერესდა.

ამ სიახლის მომცან „უმცირესობის" წარმომადგენლის მოლაპარაკნენ ვითომ ჩვენც შენნაირები ვართ. „წაგვიყვანე „თანადგომაში", ოღონდ ჩვენ რომ 10 ლარს მოგვცემენ და შენ კიდევ 42 ლარს აიღებ ჩვენში (სულ 7 მოხალისე იყო), ისიც უნდა მოგვცე. „უმცირესობის" წარმომადგენელი დათანხმდა და 7 კაციანი ბრიგადით „თანადგომას" მიადგა. იქ ანონიმურობის სრული გარანტიით, ანალიზები აუღეს და ზედ კითხვარიც შეავსებინეს. შემდეგ მოხალისეებმ ხალისით შეავსეს ჰომოსექსუალისტებისათვის განკუთვნი-

* * *

ქათამს რომ დაკლავენ, მერე ნუხან - რამდენი კვერცხი ჰქონია მუცელში, გვეცლია ამ უბედურისთვისო!

* * *

ერთი ქალბატონი, ათასი კაცის ხელში გამოვლილ საახალწლო კამფეტს ჰგავდა... მოკლედ, დიდი კაცთმოყვარე ქალი იყო!

* * *

რამდენი დიალექტი, კილო, სიტყვა გაიმეტა ქართულმა ენამ ცოლისათვის!.. თუმცა, რა იტყვის და რა ენა აუვა ამ მონსტრს!

მარტო „თანამეცხედრე", „მეუღლე", „მეორე ნახევარი" რად ღირს!

ან მეორენახევრობას ვინ გჯერდება?

* * *

... ახლა, როცა ამ სტრიქონს ვნერ, შუაღამე ინვის, დნებაო"...

ნამდვილ შემოქმედებით ნვაში იყო ამ სტრიქონის ავტორი და სულ სხვა დარდი ანუხებდა... მე და ღამე კი სულ სხვა შიშით ვათენებთ და ვაღამებთ - სულ იმის კანკალში ვართ, როდის გამოგვირთავენ სინათლეს... თუმცა, აქვე, მინდა მადლობა ვუთხრა „თელასის" თავკაცებს - ბეჟან ხუციშვილს, პატარიძეს, თბილისის სახალხო მოძრაობის საინიციატივო ჯგუფის ნევრს ბატონ ბიჭიკო რამიშვილს, რომელმაც, ასე ვთქვათ, თბილ ქვეყნებში „გაფრენისაგან" ხელი ამაღებინა და ამ საყოველთაო დეფიციტში, იმედთან ერთად ცოტა ელექტროენერგიაც მომცა (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით)... სამაგიეროდ, „თელასის" გენერალურ დირექტორს ჩემი სასაჩუქრო ნიგნი „პაემანი ვერაზე" ასეთი ნარნერით მივართვი:

„სანამ თქვენ ჩემს შესანდობარს დალევდეთ და ღმერთს თხოვდეთ - იქ ნათელში მამყოფოს, ჯერ მე თქვენ გთხოვთ, რომ აქ მამყოფოთ ნათელში და მომცეთ საშუალება, დავნერო ჩემი ცხოვრების ნიგნი, რომელსაც, შეიძლება, სულაც „საჩივრის ნიგნი" დავარქვა!

**1993 ნ.**

არადა, მართლა, რამდენი ვიფიქრე ნიგნის სათაურზე (ლაპარაკია ნინა ნიგნზე — გ.ნ.)!..

„70 ნაბიჯი"... „შეიცან თავი შენი"; „ჩემს ამბავს თუ იკითხავთ"; „იყიდება გიზო ნიშნიანიძე"; „ვინ ხარ შენ?"; „ჩემი შენ გითხარი"; „მე შენ გეტყვი"; „აი, რა!"; „ესეები და ისეები"; „აქეთურ-იქეთური"; „ნიგნ-სეიფი"; „მე თუ მკითხავ"; „პაემანი გიზო ნიშნიანიძესთან"... „ფიქრი მტკვრის პირას"... რომელი ერთი!

ცოტა ვიფიქრე თუ ბევრი ვიფიქრე, ბოლოს ჩემს სახელსა და გვარზე

---

*„ძველი ბერძნები პატივს მიაგებდნენ ჩაფიქრებულ პოეტსა და ფეხმძიმე ქალს, რადგან ორივე პროცესი – ხელოვნების ნიმუშისა და ადამიანის დაბადება – ერთნაირ წამებასა და ტკივილში ხდება"! (ჟ. „კინო", 1980 წ. გვ. 125).*

შევჩერდი, რადგან გიზო ნიშნიანიძის პირველსა და მეცხრე ნიშანში პუნქტუაციის მე-6 და მე-7 სასვენი ნიშნის ხატი დავინახე - „კითხვა"(?) და „ძახილი"(!), რაც ჩემი ცხოვრების, ჩემი ბუნების, ჩემი პროფესიის უპირველესი ნიშანია - და ეს ნიშანი ნიშნიანიძეობის ნიშანზეც მიგვანიშნებს! დიახ, არ გეგონოთ, გეკალამბურებოდეთ - მთელი ჩემი ყოფა-ცხოვრება კითხვისა და ძახილის ნიშნით აღინიშნა: რაც არ ვიცოდი — იმას ვკითხულობდი და რაც ვიცოდი — იმას ვიძახდი!.. ჰოდა კითხვისა და ძახილის ნიშანიებით, სულ გაკვირვებული ვიყავი ამ ცხოვრების ავანჩავანით.

დაექრწიეარ თუ ეგრგეინავარ,
უკანა თუ წინა ეარ?
გარეთ ეარ თუ შინა ეარ -
არც კი ეიცი, ეინა ეარ?

* * *

70 წელი, რა ხვიშტიც არის, ეს 70 წლამდე ბევრმა არ იცის, თუმცა ბევრს თავი მოსწონს კიდეც წლებით – Мои года - мое богатство-ო. ღმერთმა მოახმაროს. „7"იანი საკრალური - წმინდა ციფრიაო, მაგრამ ეს 0 (მართლა ასე რომ ჰგავს სახრჩობელის ყულფს) ისე გიჭერს კაცს ყელზე, რომ ლამისაა სული ამოგხადოს... ჩქარა ამ 0-ს ძელივით აღმართული 1-იანი შეცვლის. ამ ძელზე გაკვრა კიდევ უფრო უარესი იქნება... ეჰ, მოკლედ, ყველამ თავისი მძიმე ჯვარი უნდა ატაროს, მაგრამ რამდენადაც ძალა შესწევს - ლამაზად, უსაყვედუროდ, მხნედ... რაშიც სხვამაც უნდა შეაშველოს... ხელი თუ არა, სიტყვა მაინც... ისე, როგორც ეს ქართული გონებამახვილობის კატეხიზმოს - „სიბრძნე სიცრუისას" გენიალურმა ავტორმა სულხან-საბა ორბელიანმა 70-ს გადაცილებული ფრანგეთის „მეფე-მზესთან" - ლუი XIV-სთან მოიმოქმედა, როცა მან ასაკის გამო ხვაშიადი ვერ დამალა.

- „ხელმწიფეო, თქვენი უდიდებულესობა წლებს ისეთი გრაციით (ისე მოხდენილად) ატარებს, რომ ამ ასაკს ყველა ინატრებდა".

საბას სიტყვას მეფისთვისაც კი შეუმსუბუქებია წლების ტვირთი... მაგრამ ყველა ხომ ლუი XIV არ იქნება, ან სადაა ამდენი საბა?

... ეგ კი არა და, „ფრანციცულ" თემაზე ერთი უკვე კარგად დავიწყებული ძველისძველი თბილისური ანგლობა გამახსენდა. ახალი კი, მოგეხსენებათ, კარგად დავიწყებული ძველიაო: ორი კინტო - ლეო და ხეო ჩასულან პარიზში, უცბად გაფრანცუზებულან და სახელების შეცვლაც მოუნდომებიათ, მა-

ლი ანეკდოტა. ფული მიიღეს და მიმყვან ჰომოსექსუალისტთან ერთად. ყოველგვარი უხერხულობის განცდის გარეშე. დაცოვეს სპონსორი ორგანიზაცია. ამ აქციის მეღვეგად 117 ლარი გააკეთეს და იმავე საღამოს, ბირჟაზე მცირე ქეიფით აღნიშნეს ფასიანი „გაჰომოსექსუალისტება". ფულის მოუნის ამ ორიგინალურ მეთოდში არცერთ მათგანს, რაცომლცუ, უხერხული, ან საჩოთირო ნიუანსი არ შეუმჩნევია. არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომის" თანამშრომლებმა კი ჩვენგან გაიგეს პირველად, თუ როგორ მოატყუა ისინი უსაქმურთა ბანდამ.

**P.S.** სვანი მეხელა ხაკანში, მეშცი დაურცყამს და დაუღრიალია:

- ამა, ყველა ძაღლი და მამაძაღლი, ნამოდექით ფეხზე!

ყველა ძაღლი და მამაძაღლი ნამომხტარა... ერთის გარდა.

- შე ვიღა არიხო?

გაუკრაქუნებია კბილები სვანს. ქურდია თუ ყაჩაღიო?..

გრამ ყველაფერს ბედი უნდა - ლეო იქცა ლუიდ, ხეო კი - ისევ ხეოდ დარჩა! (ისეთ გადაკეთებას - ასე დარჩენა ამჯობინა).

* * *

ახლა მე, ჩემი თვალების ჭუჭრუტანიდან, ცხოვრების სარკეში, საკუთარ სულში ვიხედები!

დღეს, საქართველოში, ტრიბუნების კი არა — სამრეკლოების ენით უნდა ვილაპარაკოთ, რომ ზარების ხმაზე მაინც მოვიდეთ აზრზე და გავიგოთ ჩვენი შემზარავი სინამდვილე!

* * *

დასამალი აღარაა, რომ ჰომოსექსუალიზმმა საქართველოშიც გაიდგა ფესვები. თბილისში უკვე არსებობს ე.წ. „ცისფერთა" ბირჟა, ტრასა და კლუბიც კი. სად კახელი, სვანი და სად საყურე, კიკინები? ამაზრზენია! ქალებს, ისედაც სარეცხსა და ნაგავს გვინოდებენ (იმდენი ხართო) და ეგენილა გვაკლდნენ. ივა კუზანოვს რომ უნევენ რეკლამას სქესის შეცვლის თაობაზე, სულ ვიცოფები. ნავიდეს, უცხოელები გადააჯიშოს!

... საზოგადოება უკვე დადგა გენეტიკური კატასტროფის ნინაშე...

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II: ღმერთმა შექმნა ადამისათვის ევა და არა მეორე ადამი.

**„კვირის პალიტრა", 2-8 აგვისტო, 1999.**

## ერთ ქალზაც..ს

ქალს უნდა ჰქონდეს კდემამოსილება,
ქალური შარმი და მალული ტაქტია:
ქსანტიპა არა ხარ — მწარედ მეცინება,
მაგრამ ტიპი რომ ხარ — ესეც ხომ ფაქტია!

* * *

ცხოვრება კორიდას ჰგავს: ხარს ნითელი ფერის ნამოსასხამი აფრთხობს, მწერალს - თეთრი ქაღალდი!

გალაკტიონი:

„ცხოვრების ეტლის სადარებელი - საცაა გავა მატარებელი"... და მეც იმიტომ ვჩქარობ... ნერის დროს ზოგს მუსიკა ეხმარება, ზოგს ყავა... მე „თბილისი", რომელიც ჩემი ფანჯრის ჩარჩოში ჩასმულ ელიჩკას ან კახას (გიგაურის) სურათს ჰგავს.

ძილშიც ვმუშაობ: დღისით სიზმარში ვარ, ღამით - ცხადში!

---

*რალფ ემერსონი: ჩვეულებრივში უჩვეულოს ხილვა — სიბრძნის პირველი ნიშანია.*

*კარლ მარქსი ზოგიერთ კაცს — მოხუცებულივით ჰკვიან ბავშვს ეძახდა.*

* * *

სიბერე არის „ენკი-ბენკი-ბა და სიკლისა" - თაფლგამოცლილი, გამოხრული ფიჭა - ბუკისა... თავქარიანებს, როცა ქარი აღარ უქრისა - როცა ბაბუას - შვილიშვილის საქმე უკვირსა?! საკუთარი კი ავიწყდებათ ამ დალოცვილებს. და როგორ გინდა მოაშორო გიჟი ქორნილებს?!... ყველას თავისი ცოდვა-მადლი მიაქვს საგზალადა, - არ ღირს წერილის ნასალებად, გასაგზავნადა... ის საიქიო, მე თუ მკითხავთ ამ სააქაოს... ჰოდა, ნუ ვჩქარობთ, კიდევ ერთხანს ვიყოთ აქაო. რა გვენაღვლება... გულს მიათრევს სანამ ფეხები, სანამ ცხოვრებას ყანყრატოში გავეკვეხებით... ლობე-ყორეს მიმოვედებით — სანამ იქ მიქელგაბრიელსაც გავახსენდებით... გვეტირება სანამ დედები! გულზე ხელების დასაკრეფად გავემეტებით...

* * *

აინშტაინი:

„ცხოვრება - ეს არის ამგზნები და საუცხოო სანახაობა. მე იგი მომწონს. მაგრამ რომ მითხრან, სამი საათის შემდეგ უნდა მოკვდეო, ეს ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას არ მოახდენდა. მე ვიფიქრებდი, როგორ გამომეყენებინა დარჩენილი სამი საათი. მერე კი მოვკრეფდი ჩემს ქაღალდებს და მშვიდად დავწვებოდი, რომ მოემკვდარიყავი".

აინშტაინამდე 2000 წლით ადრე, პირადი სიამოვნების ტრფიალმა ეპიკურემ წამოაყენა სიკვდილის შიშის საწინააღმდეგო არგუმენტი:

„სანამ ჩვენ ვარსებობთ, სიკვდილი არ არის, როდესაც სიკვდილი მოვა, ჩვენ აღარ ვიქნებით." სიკვდილის მოახლოებისას იგი თბილ აბაზანაში ჩაწვა, ღვინო მოითხოვა და ამ დღეს ყველაზე ბედნიერი დღე უწოდა.

* * *

ანდაზებში, რომლებსაც შიგადაშიგ რემონტიც ჭირდებათ, ყურძენივითაა დაწურული ხალხური სიბრძნე!

ჩიტს ფრთა - კაცს ჭკუა!

Не пером пишут - а умом!..

– წინათ, ბატის ფრთით წერდნენ - ახლა ბატის ჭკუით!

* * *

Худо овцам - где волк воевода!

ამ ძველმა რუსულმა ანდაზამ ახალი ქართული ქარაგმული ნაკვესი დამაწერინა: ცხვარი ცხვარია და თუ გაცხარდა... მწვადიაო!

*ეს პედერასტიაო უთქვამთ.*

*ხუანს ისევ დაურტყამს ხელი მაგიდაზე და უყვირია.*

*დღეიდან, აქ, პედერასტი მე ვარო!..*

*ასტროლოგ მიხეილ ცაგარელის პროგნოზი აღმოსავლური ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით:*

*ძაღლი და დრაკონი არ ენდობიან ერთმანეთს, ამიტომ დიალოგი, მათ შორის, პრაქტიკულად შეუძლებელია. თანამშრომლობაც კი შუამავლის შემწეობითაა შესაძლებელი. ასე მამაკაცი-ძაღლისა და ქალი-დრაკონის დაწყვილებისას ერთმანეთს უკავშირდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის პიროვნება. ამ კავშირში პარტნიორები ხელაც არ იზიარებენ ერთმანეთის სურვილებს, რაც ხშირ კონფლიქტებს იწვევს. ქორწინება ი ქელით ფასდება – განსხვავებული მსოფლმხედველობისა და ტემპერამენტის გამო.*

**P.S.** *რის ძაღლი და მამაძაღლი – ზოგჯერ ჩემს საკუ-*

* * *

საარაკო იგაეი და საიგაეო არაკი...
ჭკუასთანაც ახლოა - არ უნდა ლაპარაკი!
როცა კატა თაგვსა ჭამს -
ამ პურ-მარილს რა პქვია?
შესაჭმელად ვის-ვინ პყავს -
კატის გოჭი — თაგვია!

* * *

ლამის მარაზმამდე ვარ გატაცებული ერაზმ როტერდამელით და მისი სენტენციებით.

ჩიტების მეფედ, თურმე, ფარშევანგი ან თუთიყუში სდომებიათ, მაგრამ მეფე რის მეფეა, სხვას უყუროს — თვითონ ირჩევს თავს. ბოლოს მიხვდნენ, რომ ფრინველთა მეფე არწივია მთის, ბექობის, ველის... არც წვრთნას ემორჩილება და ვერც ჭკუას ასწავლი. ცათამპყრობელ არწივს ორი თვალი აქვს, ერთი ნისკარტი და ათი ბრჭყალი. მეგობარი არ ჰყავს, რადგან ყველას შესაჭმელად უყურებს. ამიტომაა, რომ სასახლე-ბუდეებს მიუვალ კლდეებში იკეთებს. მისი პრინციპია: ვძულდე — ოღონდ ეშინოდეთ!..

* * *

საოცარია, რატომაა ჩვენი და — თემიდა სამართლიანობის ქალღმერთი, როცა ყველაფერზე დახუჭული აქვს თვალი?
ამ ცხოვრების მართალ-მტყუანს რა სასწორი აწონის?
დღეს ჭკეიანი ბრმა და ყრუა, ახლა დროა გაწოლის!

## ეკლესიასტე!

### თავი მერვე

8. არავის ძალუძს ქარის შეჩერება, ვერავინ განაგებს დღეს სიკვდილისას;

13. არ მიეგებათ მადლი ბოროტეულთ და ლანდივით დღემოკლე იქნება ყველა, ვისაც ღვთისა არ ეშინია...

14. არის კიდევ ამაოება, ქვეყნად რომ ხდება: მართლებს ბოროტეულთა საქმეთაებრ მიეგებათ; და არიან ბოროტეულნი, რომელთაც მართალთა საქმეთაებრ მიეგებათ. ვთქვი: ესეც ამაოებაა.

15. და შევაქე მე მხიარულება, რადგან არ ყოფილა სხვა სიკეთე ადამიანისთვის მზისქვეშეთში, გარდა იმისა, რომ სვას, ჭამოს და იმხიარულოს; ეს ყოველივე ახლავს მას მის საშრომელში — დღენი მისნი, ღმერთმა რომ უბოძა მზისქვეშეთში.

16. როცა გულს ვიდევ, შემეცნო სიბრძნე და მომეხილა ყოველი საქმე,

---

*გიორგი მერჩულე: „შენ მოგცა ქრისტემან კეთილი მოხუცებულობა გონებისა"...*

*სპეკულაციაა — კაცი თავის ფასში იყიდო და იმ ფასად გაყიდო, რა წარმოდგენისაცაა თავის თავზე!*

რაც ქვეყნად ხდება, ჩემს თვალებს ძილი არ უნახავთ არც დღე, არც ღამე.

### თავი მეცხრე

3. უბედურებაა მზისქვეშეთში, რომ ყველას ერთი ხვედრი აქვს...

10. რისი კეთების ძალაც შესწევს შენს ხელებს, აკეთე...

გალაკტიონი:

„ოჰ, ეს ფოთლები, ფენილი ქარით,
ეს მწუხარე და ნაზი მწვანება,
ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით,
არავის თქვენგანს არ ენანება?"

* * *

ჩემი ხნის კაცსა, დღეს რომ ჰკითხო,
ჭკუათმყოფელსა —
სიამოვნებით გაეყრება წუთისოფელსა,
მაგრამ, სანამ მე, ამქვეყნიდან წერილს
წავიღებ...
მანამ არ წავალ — რა წერია, თუ არ გავიგებ!

* * *

„ქართველი მშობელი, ერთადერთი მშობელია მსოფლიოში, რომელსაც ურჩევნია, ფული შვილის მონყობაში გადაიხადოს და არა სნაველაში".

* * *

ქუჩაში ხუთსართულიანი სახლის სიმაღლეზე გამოკიდებული ტრანსპარანტი:

„გახდი დონორი!"

ტრანსპარანტის წინ კი ასეთი დიალოგია:

- რა ქენი, სისხლი ჩააბარე?

- სად მაქვს ჩასაბარებელი, ნეტა, სახლში მისვლამდე მეყოს.

* * *

ედუარდ შევარდნაძემ მამათში სტუმრად მიიწვია თავისი მეგობრები — რეიგანი (მეუღლესთან ერთად) და მიხეილ გორბაჩოვი.

თარ ოჯახში .. რა ხდება, ის ვერ გამირკვევია და ძაღლისა და დრაკონის ურთიერთობა რაში დამაინტერესებდა, რომ არა ერთი გარემოება — აღმოსავლური ჰოროსკოპით მე დრაკონი ვარ და ჩემი ცოლი ძაღლი!

სწორედ ამას მივუძღვენი ეს ლექსპრომტი:

მე „დრაკონი" გახლავართ და ცოლად „ძაღლი" მყოლია!...

ძაღლ-დრაკონის ცოლქმრობა კი, თურმე 0-ის ცოლია!

ზოგჯერ 00-საც!

კორნელი ცაცო-ქუხის „ანალებში" წერია, რომ პირველ საუკუნეში ქართლის (იბერიის) მეფეს ფარსმან პ ი რ ვ ე ლ ს (პართველებთან გამარჯვების წინ) მხედრობისთვის უ თ ქ ვ ა მ ს: პართველების ბატონობისგან ჯვარი გვეწერია. აქ - ვაჟკაცობა, იქ - სამოგარიო!

„ოთარ ქალაძე მწერალს სიზიფეს ლოდის მტვირთველად თვლის და

ქალბატონი ნანული და ნენსი მჭადებს აცხობენ, ბატონი ედუარდი და რეიგანი ბუხართან სხედან და ნარდს აგორებენ... ამ დროს კარი გაიღო და გორბაჩოვმა შემოყო თავი: — „Эдик, выйди, ну, на минутку, дело есть!"

რეიგანი ედუარდს მიუბრუნდა:

— ამ აბდალმა კიდო ვერ ისნავლა ქართული?

* * *

მიხო საძინებელ ოთახში შევიდა და ხედავს: მაროს ზანგი უწევს ლოგინში...

— დედაკაცო, ნუ გამაგიჟე, ვინ არის ეს შავი კაცი, საიდან გაჩნდა?

— დამშვიდდი, მიხო!... ჰუმანიტარული დახმარებაა ამერიკიდან!

* * *

გრიგოლ რობაქიძე ამბობდა: ქართველების გამაერთიანებელი — ქართული სუფრააო. გამოდის, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე („გაჭენებული და გამოჭენებული") თუ არ გავშალეთ სუფრა... ისე ჩვენი საშველი არაა, მანამ არ გავერთიანდებით — სანამ არ გაგვიერთიანებენ!

* * *

„სს დავით სარაჯიშვილისა და ენისელის" პრეზიდენტის, ბიზნესმენ ელგუჯა ბუბუტეიშვილის საახალწლო სადღეგრძელო:

— გაუმარჯოს „პახმელიის" საერთაშორისო დღეს— 1 იანვარს!

* * *

ასურეთის მეფის სარდანაპალის საფლავის ეპიტაფია: „გემრიელად ვჭამდი, ტკბილად ვსვამდი და გულიანად ვმხიარულობდი, სხვა დანარჩენს კი არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევდი".

* * *

ქალების მუსუს პოეტს ჰაინემ უთხრა:

— ერთადერთი ქალია, რომელსაც თქვენ არ იცნობთ და მე ვუყვარვარ.

— რა ჰქვია? — გადაირია მექალთანე პოეტი.

— ქალბატონი მუზა! — უპასუხა ჰაინემ.

---

*გერმანული მითოლოგიით – ვინც დედამიწას ჯოხს დაჰკრავს... ხელი გაუხმებაო!*

*გოეთე: ხელოვანს – ერთი ხელით ცა უნდა ეჭიროს, მეორეთი – მიწა!*

*საფო: მეზვებს პაემანს უნიშნავდა – დატოვეთ თქვენი ოქროს სასახლეები და გელით გელითო.*

* * *

ერთმა პიანისტმა დაიტრაბახა: ჩემს კონცერტს იმდენი ხალხი ესწრება, დასაჯდომი ადგილები არ არის და ფეხზე დგანანო.

— ხალხი კი არა, მე თვითონაც ფეხზე ვდგავარ და ისე ვუკრავ (?!)... თქვა გენიალურმა მევიოლინემ პაგანინიმ.

* * *

პეტერბურგში, ლისტის კონცერტის დროს, ლოჟაში მჯდარი ნიკოლოზ პირველის ხმამაღალი ლაპარაკის გამო, გენიალურმა მუსიკოსმა შეწყვიტა მუზიცირება და მეფის შეკითხვაზე — რატომ გაჩუმდა დიდი მაესტრო? — უპასუხა: როცა ლაპარაკობს ხელისუფალი... ხელქვეითები სდუმანო!

* * *

ბერნარდ შოუ ბუკინისტურ მაღაზიაში წააწყდა მისი წარწერით გასაჩუქრებულ წიგნს, შეისყიდა იგი და ხელმეორედ გაუგზავნა ადრესატს, ახალი წარწერით — „განახლებული სალმით — ბერნარდ შოუ".

საფრანგეთში, მსოფლიო კულტურის საერთაშორისო კონგრესზე მისულ პიკასოს მოსაწვევი ბარათი შინ დარჩენია და თავისი ვინაობის საბუთად, შუშის კარებზე, მისი ცნობილი მშვიდობის ემბლემა — მტრედი დაუხატავს, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ფორუმზე დასაშვებად...

ასეთივე დღეში აღმოჩენილა სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ფურცევა, რომლისთვისაც პიკასოს ფაქტი მოუყვანიათ.

— ვინ პიკასო, რა პიკასო? — უკითხავს ფურცევას, რაც ასევე მშვენიერი საბუთი გამოდგა სსრ კავშირის კულტურის მინისტრობის დასასაბუთებლად (?!).

* * *

სტალინმა დეგოლს ჰკითხა: ფრანგულ ენაზე თუ არსებობს რუსული გინების ტოლფასი.

— მსგავსი არაფერი — გაასავსავა ხელები დეგოლმა.

— ოოო... — მრავალმნიშვნელოვნად უთქვია იოსებ ბესარიონის ძეს, — მაშინ გაგიჭირდებათ ქვეყნის მართვა (?!).

მეკითხვას: „აქვთ თუ არა მარილის ნაკლებობა იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ ოთარ ჭილაძე მძიმე მწერალია?" პასუხობს: —

„ნამდვილად არ ველოდი თქვენგან ასეთ „მძიმე" შეკითხვას... სხვათა შორის, სხვისგანაც გამიგია მსგავსი მოსაზრება და ეტყობა, მართლები არიან ისინი, ვინაც მე ვემძიმები. ყოველ შემთხვევაში, გულწრფელად აღიარებენ, გვემძიმებაო. მაგრამ მე რა შემიძლია, გარდა თანაგრძნობისა?! სხვას ვ ე რ ა ფ ე რ ს დავპირდები. შეცვლით ნამდვილად ვერ შევიცვლები, ასე ვთქვათ, ვერ გავმსუბუქდები"

„გასულ საუკუნეში ხმამაღლა დაიწყო საუბარი ინტეგრალურ პოეზიაზე ალბათ. ძალიან შორს არ უნდა იყოს ის დროც, როცა პროზის ინტეგრალურობაზეც დაიწყება მსჯელობა. გუსტავ ფლობერი ფიქრობს, დადგება დრო და პოეზია დაიჭერს ადგილს ლექსისა და მუსიკას შორის!.."

...ეს ჩვენი ფერელი ძმები მთელი

* * *

— როგორ შეიძლება, დრო სხვადასხვა სიჩქარით გადიოდეს? — ჰკითხეს აინშტაინს. იგი შეეცადა ყველაზე მარტივად და ყველაზე მარტივი მაგალითით აეხსნა.

— თუ თქვენ მუხლებზე გიზით ლამაზი ქალი, მაშინ საათი წუთად გეჩვენებათ, მაგრამ თუ ცხელ ტაფაზე დაგსვეს... მაშინ წუთი — საათად! აი, ფართობითობის თეორიის არსი!

## ჩვენთა მუხლთა დრეკადობა...

### (ნიკო მუსხელიშვილის ხსოვნას)

დიდ ქართველ მეცნიერს, ჩვენი საუკუნის ერთ— ერთ გამოჩენილ მათემატიკოსსა და მექანიკოსს, დრეკადობის თეორიის საყოველთაოდ აღიარებულ მეტრს — აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს, 1991 წელს, დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილე გადავუხადეთ. ბევრი ადამიანური ღირსების გარდა, ბატონი ნიკო, არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობით, ჭკუამახვილობითა და ენამახვილობით გამოირჩეოდა. მისი ხუმრობები სახელდახელოდ, ერთ წამში, „რეაქტიულად" იბადებოდა „ადგილზევე".

"ნიანგს" არაერთგზის გამოუმზეურებია ნიკო მუსხელიშვილის მარილიანი სიტყვა. გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ვახტანგ პარკაძისა და თამაზ ებანოიძის მიერ შედგენილი კრებულიდან — „მოგონებები ნიკო მუსხელიშვილზე".

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს — ნიკო მუსხელიშვილს თანაშემწემ მოახსენა:

— ბატონო ნიკო! გუშინ ამა და ამ ინსტიტუტში ორმა პროფესორმა თავურები უთავაზა ერთმანეთს!..

— ეგ კარგი ნიშანია — პროფესორებს თავით დაუწყიათ მუშაობა!..

* * *

— ეს ლამაზი პატარა გოგო რაღაში გჭირდებათ შტატში? — იკითხა ბატონმა ნიკომ.

— ისე, გასაქცევ-გამოსაქცევად. — უპასუხეს.

— გასაქცევ-გამოსაქცევად თუ ნასაქცევ-ნამოსაქცევად, — გაეცინა პრეზიდენტს.

* * *

ერთ დღეს პრეზიდენტი აღელვებული დაბრუნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან. მიზეზი რომ ჰკითხეს, განაცხადა:

---

*ახლა ერთმანეთს იმასაც ვეუბნებით, რასაც ადრე თავსაც ვერ ვუმხელდით!*

*საბაზრო ეკონომიკის გაბაზრებული აზრები!*

*თუ ის მდიდარია – სულაც არ არის შენი ბრალი და თუ შენ ღარიბი ხარ – სულაც არ არის – მისი ბრალი!*

— საკითხის განხილვა რომ დამთავრდა, ვასილ პავლეს ძემ მითხრა: ამხანაგო ნიკო, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გადაბერდა და უნდა გავაახალგაზრდავოთო!

მე ცოტა დავფიქრდი და ვუპასუხე:

— ვასილ პავლოვიჩ! იქნებ, მართალიც ბრძანდებით, მაგრამ თქვენ მაინც უნდა გახსოვდეთ, რომ პრეზიდიუმი „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი არ არის-მეთქი!..

* * *

ერთ შეკრებაზე ნიკო მუსხელიშვილმა ჩათვლიმა და თვალი რომ აახილა, პირდაპირ მჯდარი ვერიკო ანჯაფარიძე დაინახა, რომელიც სიყვარულით შესცქეროდა.

— ვერიკო, გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ! — მიაგება ბატონმა ნიკომ.

* * *

მუსხელიშვილი თავის ერთ-ერთ ინსტიტუტის დირექტორს გულახდილ საუბარზე ინვევს, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც ფრთხილობს და ფეხს ითრევს, სიტყვას ზომავს და წონის.

— თქვენს მდივანს ძალიან ლამაზი თვალები აქვს, — ქალისთვის გათვალისწინებულ კომპლიმენტს ეუბნება კაცს.

— მართლა?

— ლამაზი კბილები...

— ნუთუ...

— ტუჩები... მკერდი...

— არ დავკვირვებივარ...

— აბა, თქვენ, სად და რა ადგილებში უყურებთ თანამშრომლებს? — გაცხარდა პრეზიდენტი!

### კახური იუმორი

### კახური ღვინოსავით მაგარია!

...კახელი ბუთხუზა ბიჭი სკოლაში ნასასვლელად ემზადება და ჩანთას ალაგებს. აბა დედას პურებიო, გუდის ყველიო, ნაზუქებიო, ხაჭაპურებიო...

— შვილო... წიგნებს რატომ არ ალაგებ — შეახსენებს ბებო.

— ეტევა რო?

* * *

მიტუას ახალი მოყვანილი ჰყავს ცოლი...

— ამაზე დიდი საქმე რაღა იქნება, მაგრამა — საქმე

საქართველოს ლეგიძლი ძმები არიან და ოთარ ქოლაძის ნობელის პრემიაზე წარდგენის ხმებმა გრუანცელივით დაუარა სრულიად საქართველოს. ადრე, ლადო ახათიანმა, პირველად ახსნა ეს გვარი და მედან ქოლაძის პირველი ცოლუმბამობყ! ახლა კი, როცა ცოცანემისთვის წყლის მეყენების ულროობის დროა, მადლობა ღმერთს, ცოცხალ გოლიათებს მაინც ვერ წვდებიან ეს ცოცხალ-მკვდრები და დღეს ოთარ ქოლაძეს ქართული მწერლობის თამადად ახახელებენ.

ახლახან მან ახალი რომანით — „გოდრით" დალგა ეპოქის მანი!.. რომ, ვინაც ყურნი გვაქვს ვისმინოთ! რომ გადარჩეს, არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ მთელ ქვეყანაზე უმშვენიერესი ქართველი ცომი (დიუმა). რომ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში საქართველოს ოცავლნენ მცირახაგან და არა ადამიან მლევრისგან... რომ ამიცომ „თვალზე თვალი უნდა გამოუიბათ და ყურზე

მაინც საქმეა: ყანა გასათოხნია, ვენახი მოსავლელი... არადა ჯერ თაფლობის თვეც არ გასულა.

ყველა ნეფე— პატარძალს თავისი საიდუმლო აქვს: მიტუამ და მისმა კნეინამაც მოილაპარაკეს და „პაროლზე" შეთანხმდნენ: როცა ყანასა თუ ვენახში მომუშავე ნეფეს მოენატრებოდა ქალი... სანადირო თოფს დააქუხებდა და ამ ნიშანზე პატარძალი, ცოცხალი იყო თუ მკვდარი, მაშინვე მიტუასთან უნდა გაჩენილიყო.

ყველაფერი საათივით აეწყო, მაგრამ მოხდა ერთი გაუთვალისწინებელი ამბავი, რამაც აურია მონასტერი... ნადირობის სეზონი დაიწყო — ხან საიდან ისმოდა თოფის ხმა — ხან საიდან და კეკელაც ხან გაღმა გარბოდა — ხან გამოღმა.

ამ თოფებთან ერთად სოფელში ხმა გავარდა — მიტუას ცოლმა ააფრინაო!

* * *

მიტუამ თავისი ტალახში ჩურჩხელასავით ამოვლებული „ვოლგა" სასტუმრო „თბილისთან" მიაყენა და ის-ის იყო რესტორანში აპირებდა შესვლას, რომ მილიციელმა მხედრულად აუღო ხელი და გააფრთხილა:

— აქ მანქანის დაყენება არ შეიძლება!

— ვითომ რატომ, მოიპკურკლამს? — იუკადრისა მიტუამ.

* * *

— ტოკლიკაშვილის მშობელი გამოცხადდა?

— მშობელი ავად გახდა და შამქმნელი აქა ვარ!

— მიტო... პამიდორი გიყვარს?

— საჭმელათა, თორემ...

## ახლა რაჭულიც ვთქვათ!

რაჭველი თბილისში სტუმრად ჩამოვიდა, ზღაპრული პატივი სცეს. ჩიტის რძე არ მოაკლეს, თავი სამოთხეში ეგონა.

— თქვენს პატივისცემას ვერ გადავიხდი, მარა რაჭაში თუ მენვევით... ძველებური, ჩვენებური წესით და რიგით უთხრა სტუმარმა მასპინძელს.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, ეს ჩვენი ვალია... სხვას რას ინებებთ?

რაჭველი ცოტა უხერხულად შეიშმუშნა და ბოლოს გაბედა:

— ქალის საშუალება ხომ არ გექნებათ?

* * *

რამდენჯერ წაგიკითხიათ: ეზოში ავი ძაღლია! მაგრამ არც ერთხელ არ

---

*ეგზიუპერი: ბევრი უნდა გადაიტანო, ადამიანი რომ გახდე.*

*ზოგიერთის ნაკლის დამალვას მისი პოპულარობა უმლის ხელს?!*

გინახავთ ნარნერა: სოფელში ავი კაცია!

სინამდვილეში კი არის!

ერთ სოფელში ორი ავი კაცი ცხოვრობს.

ერთი რო გამოვა გარეთ — ნახევარი სოფელი სახლში შედის. თუ მეორემაც გამოყო ცხვირი — მთელი სოფელი ფანჯრებს მიანყდება სეირის საყურებლად.

ამ დღესაც ასე იყო — სერგუა და მიტუა სოფელში ერთდროულად გამოლაგდა — სოფელი კი იმავდროულად სახლში შელაგდა და იქედან ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას. ორმა ჩხუბისთავემა და ვირისთავემა ერთმანეთს აუარ-ჩაურა, ახედ-დახედა, შეუბღვერ-შემოუბღვირა და ბოლოს მამლებივით ცხვირი-ცხვირზე მიადო:

— შენა, ბიჭო, მიტო... რად არ მამესალმე? — ჰკითხა აფხორილმა სერგუამ.

მიტუა კიდევ უფრო აემრიზა შარიან სერგუას, გაიბერა, აიქოჩრა და უპასუხა:

— განა არ ვიფიქრე?... მაგრამა, მერე ვთქვი — ერთი მაგისიცა-მეთქი... და მთელი ჯიგრით შეუკურთხა. სერგუას სახე გაებადრა და გამხიარულდა.

— ეგრე რა, შე კაი კაცო... მე მეგონა, ნანყენი იყავი?!

* * *

კაცია და გუნებაო — ნათქვამია.

დიდმა ძმამ პატარა ძმა სათევზაოდ ნაიყვანა. პატარამ ბევრი თევზი დაიჭირა, დიდმა — ცოტაც ვერა. ამიტომ, დიდმა პატარას ბევრჯერ შეუცვალა ადგილი და მეორე დღეს საერთოდ აღარ ნამოიყვანა... მთელი დღე იჯდა და მარტო ისროდა ანკესს, მაგრამ ერთი ლიფსიტა რაა — ისიც კი არ ნამოეგო ანკესზე. ძალიან უკვირდა, ეს რა თარსი დღეაო.

...იჯდა და უცდიდა.

უცდიდა და იჯდა.

ბოლოს ადგა, ჩაალაგა თავის ბარგი-ბარხანა და ისის იყო ნამოსვლა დააპირა, რომ ნაპირთან ერთმა ლიფსიტამ მოცურა და ჰკითხა:

შენი უმცროსი ძმა სად არისო?

მარტოხელა მოხუც ცოლ-ქმარს მინა აქვთ დასაბარი, მაგრამ ვინ ჰყავთ პატრონი... საკუთარი თავის გარდა! თუმცა ასე მარტოხელა ცხოვრებაში, ცოტა როდია.

ესროლა ბერმა პაპამაო...

ყური"...

...უძლეველი როდესაც არის მჭევრმეტყველება (ფარცაზი)... როცა ჯარისკაცებით გ ა ძ ე ძ გ ი ლ სპორტის სასახლეში, მებრძოლთა კავშირის მექმნის ყრილობაზე. იმით დაბლეჯილ და ინვალიდის ფეხს მიჯაჭველ ქამუკა გენერალ ყარყარაშვილს ვუსმენდი (თავდაცვის მინისტრობის დროს უფრის მრჩეველად ვყავდი). როცა ყრილობაზე სამშობლოს ერთგულების ფიცს დებდნენ... პალმი ისეთი ტყვიასხვეთ სიტყვები ისმოდა (თუ ისვროდა) აზი ყური გამოვისხა, რომ არც ერთი არ ამცდენოდა. ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს კოსმოსის როცეროიკულ აკადენიაში ვიყავი და მხედრობისადმი ფაზისის აკადემიის ნევრის ან თვით კოსმოსის მეფის გუბაზის სიტყვას ვისმენდი! დავინტერესდი ტექსტით და მერე გავიგე, რომ ამ ჯარისკაცული შედევრის ა ვ ტ ო რ ი . საქართველოს კოლმ-ით ჯარისკაცი ოთარ ქილაძე იყო!

ღმერთმა გაგიმარჯოთ, ძმებო!

კი არ ესროლა და, სადაც ჯერ არს, ანონიმური წერილი გააგზავნა საკუთარ თავზე — ამა და ამ კაცს, ამა და ამ ეზოში, ესა და ეს აქვს გადამალულიო... გიჟებივით მოვარდნენ, მთელი კარმიდამო გადათხარეს და ვერაფერი რომ ვერ იპოვეს კუდამოძუებული წავიდნენ...

მიწა კი დაბარული დარჩა.

აი, ამას ჰქვია — ხერხი სჯობია ღონესაო!

* * *

პაპანაქება სიცხეში „კრაზის" საბურავმა დაუშვა. გურული მძღოლი დგას, უყურებს და ღრმად სუნთქავს.

— რას შობი, ძამა? — დაინტერესდა მეორე გურული.

— რას ვშობი, ძამა და მთის ჰაერს ვსუნთქავ... აი, „პაკრიშკა" ბახმაროშია დაბერილი!

* * *

ორი რაჭველი შეხვდა და გამოელაპარაკა ერთმანეთს.

— ონისიმე მომკვდარა, გეიგე?

— უიმე, ეს რა მითხარი... ქვე არ გამიკვირდა, რატომ მიასვენებენ-მეთქი!

* * *

— სედრაკ, შვილო, წადი არტუშას ჩაქუჩი თხოვე...

— რამდენჯერაც ვთხოვე, — იმდენჯერ უარი მითხრა.

— ეეე... მაგის „კრიჟანგი" დედა ვატირე, წადი ჩვენი ჩაქუჩი მოიტანე.

* * *

სიცხეა, ინვის ყველაფერი. დანჯღრეული სატვირთო ავტომანქანა სულის ღაფვით მიიზლაზნება და შოფერს ღვარად სდის ოფლი.

ძარაზე ზის ერთადერთი მგზავრი და კაბინაზე აბრახუნებს.

— შოფერ... რავა ხარ?

— ჩემი მტერი იქნა, მე რო ვარ... ვიწვი!

— მერე, ამოდი შე კაცო, აგერ, ჰაერზე, ისე უქიქინებს?!

* * *

— ნახე, სეროჟა რა ჭკვიანი ვინმეა! — ახარბებს ცოლი ქმარს, — იცის ფულის ხარჯვა.

---

*თუ კაცს გრძელი ცხვირი აქვს – ეს სულაც არ ნიშნავს მის... ენაგრძელობას!*

*ლევან ბერძენიშვილი: „სანამ გაფიცხდება, პოლიტიკოსმა ათამდე უნდა დაითვალოს".*

*P.S. ათამდე თვლა თუ არ იცის?*

— „კანეშნა" ჭკვიანია ... ეკონომიის მიზნით, „სვადებნი პუტეშესტვიაში" მარტო წავიდა! — ნიშანს უგებს ქმარი.

* * *

სეროჟა მოყვრებიდან რაღაც ქონებას ელის. ამ დროს ცოლი ბენეს ამჩნევს სახეზე, წამოეპარება და ძველი ჩვეულებისამებრ თვალებზე ხელებს აფარებს:

— წერილი თუ სიხარული?

— „პასილკა"!

* * *

— ეგ ქალი კოჭლია?

— არა კაცო, ცალი ფეხი „დაჟე" გრძელი აქვს?!

* * *

სეროჟას, ამ გაუთავებელ სმასა და ქალებთან „გულაობაში", ინფარქტმა დაარტყა — ჭირმა წაილო. მის მეგობრებს ერთი ბჭობა ჰქონდათ, ეს ამბავი სირანასთვის როგორ შეეტყობინებინათ.

მივიდნენ, მოიკითხეს.

— სეროჟა სად არის?

— რა ვიცი, ხან სად — ხან სად, — თქვა სირანამ, — ხან რესტორანში, ხან — ქალებში, ეგა ენახე კუბოში!

— პაჟალუსტა, — იხელთეს დრო ამხანაგებმა და განკარგულება გასცეს:

— შემოიტანეთ!

* * *

ფრონტიდან მოსული წერილი სიხარულის მომტანია, მაგრამ ომის ფოსტას ყოველთვის სიხარული როდი მოაქეს... მეორემ სოფლიო ომს კი ასეთიც ახსოვს:

აკოფას წერილი!

„ამ წერილს „აკოპიდან" გწერთ. არის ერთი ბათქაბუთქი, გარბიან-გამორბიან, ესვრიან, კლავენ, ხოცავენ ერთმანეთს... მე კი ვარ ხოშიანად, ჩემთვის მიყუჩებული და ფეხებზე მკიდია ყველაფერი... ვაი!"

აცხონა ღმერთმა... მაგრამ, ყველა ტყვია როდია ბრმა!

(ეს ანეკდოტი თათარიახნად მოიგონა ოთარ ფხალაძემ).

* * *

— სეროჟ, სკოლა დაამთავრე?

— „პაბელკა" დამრჩა!"

ხუან კობო:

„საშინელ სამსჯავროზე ადამიანები შეძლებენ ღმერთის წინაშე იმართლონ თავი მხოლოდ ამ წიგნის წარდგენით" ანუ აღიარებდა დიდი რუსი მწერალი თეოდორ დოსტოევსკი მიგელ დე სერვანტეს საავედრას რომანს „მოხერხებული იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი".

„როდესაც აღარ იქნებიან ისეთი ადამიანები, როგორიც დონ კიხოტია, დაე სამუდამოდ დაიხურის ისტორიის წიგნი. რადგან მასში აღარაფერი იქნება წასაკითხი", აღნიშნა ივანე ტურგენევმა. რუსმა პოეტმა დიმიტრი მერეჟკოვსკიმ, სერვანტესის რომანს „კაცობრიობის მარადიული თანამგზავრი" უწოდა.

სერვანტესის „დონ კიხოტი" მსოფლიოში მეორე ადგილზეა (ბიბლიის შემდეგ) საკითხავ წიგნებს შორის. 54 ქვეყნის 100 უსახელოვანესი მწერალისაგან შემდგარი ჟიურის აზრით ის საუკეთესო რომანად არის მიჩნეული მსოფლიო ლიტერატურაში. ჟიური შეიქმნა ნორვეგიის-

* * *

— ხალხნო, გაგიგიათ კაცი ფეხსალაგში შევიდეს და უკან აღარ გამოვიდეს?
— როგორ არა... თუ კაცი ის არის, რასაც ფეხსალაგში ტოვებენ.

* * *

„სტარი ადიოჟ.. სტარი ვეშჩი პაკუპაიუ"... ყვირის მრავალსართულიანი სახლის წინ მეწერილმანე. მეათე სართულიდან გადმოდგება ქალი და ეძახის:
მეათე სართულზე ულიფტოდ ასვლა არ გინდა!
ძლივს ავიდა, კარები გაუღეს და რას ხედავს — გაპრანჭული, ვიღაც სალებავშეუშრობელი ბებია პირზე რძეშეუშრობ ბღარტს კარაქიან პურს ატენის და თან ტომრიანი კაცით აშინებს:
— „ბუთხუზ, შეჭამე ეს ბუტერბროდი, თორემ ძიას ვეტყვი და წაგიყვანს?!..."
— მართლა არ ამკიდონო — ფიქრობს მეძველმანე და როგორც ჩუმად ამოვიდა — ისე ჩუმად იპარება.

— რამ მოკლა შენი სიდედრი?
— სოკო ჭამა და...
— აბა, ეს ძალადობის ნიშნები რაა.
— არ ჭამდა და...

— სირან, ქალიშვილი ხარ?
— ისე რა...

საზრიანობისა და, თუ გნებავთ, სახალხო „დიპლომატიის" ნიმუშიც! მატარებლით მიმავალ მეგრელს არც პაპიროსი აქვს და არც პაპიროსის ფული... მეზობელი გურული კი, აგერ, აფუილებს გემოზე.
— მეგობარო, — მიმართავს მას ფრთხილად და აპარებს: — გამახვევინე ერთი შენი თუთუნი... ქაღალდიც მომეცი, თორემ მე არც „სპიჩკა" მაქვს(?!)...
ის გურულიც კაი ოხერია:
— აბა, შენ, ძამა, მარტო ღრანჭი გქონია!

* * *

გურულს უშიშროების სამინისტროში დავალება მისცეს და გააფრთხილეს: — არ გაგიწყრეს ღმერთი — არაფერი წამოგცდესო.
რკინიგზის სალაროებში მივიდა და ბილეთი მოითხოვა.
— სად მიბრძანდებით?

---

*არისტოტელე: არა არის რა შეიარაღებულ უსამართლობაზე შემზარავი.*

*გოგა ხაინდრავა: ომი აფხაზებმა კი არ მოიგეს, ჩვენ წავაგეთ.*

— არაა მაი თქვენი საქმე — არ „გატყდა" გურული.

* * *

— ბაძაღუა, რატომ არ იყავი გუშინწინ სკოლაში?

— დედაჩემმა ტრუსიკი გამირეცხა და ვერ მოვე-დი.

— გუშინ?

— გუშინ წამოვედი სკოლაში, მაგრამ თქვენს სახ-ლთან რომ გამოვიარე, პატ. მასწ. თქვენი ტრუსიკი დავინახე ბანარზე და ვიფიქრე, ალბათ, დღეს, არც პატ.მასწია სკოლაში-მეთქი.

* * *

გაჭირვებულმა გლეხმა კიდევ უფრო გაიჭირვა და შვილი საზღვარგარეთ გაგზავნა სასწავლებლად. უკან რომ დაბრუნდა, ევროპულ განათლებამიღებულ ყმაწვილს დაეჭვებულმა ჰკითხა — აბა, ერთი, დაჯე და მითხარი, რა ისწავლეო?

— ფილოსოფიაო — უპასუხა.

— ეგ რაღააო?

— რა არის და შემიძლია, დაგიმტკიცო, რომ ერთი გოჭი ორიაო?!

— მე ამ ნალდ გოჭს გეახლები, შვილოსა, შენ კი ის მეორე მიირთვი — სიფრთხილე გამოიჩინა მამამ.

* * *

— საქულ, რამდენი წლისა ხარ.

— ჰა— ჰა, 50— ის.

— კაცო 50— ის შარშან არ იყავი?

— ვაჟკაცის სიტყვა— სიტყვაა!

* * *

— სეროჟ, გავიგე, გვარის გადაკეთებას აპირებ.

— გადაკეთებას კი არ ვაპირებ, „პროსტო" უნდა ვთარგმნო, რა...

— ეგ როგორ?

— სეროფიანი ვარ — ლაღიძე ვიქნები!

* * *

— ჩემი ჯიბის საათი გაჩერებულა... — ხომ გაგიგ-ონია — ხარი ხართან დააბიო!

* * *

— მარცხენა ხელი მეფხანება.

*ში, ნობელის ინ-სტიტუტის მიერ 2007 წელს.*

*...რამდენიმე დღის განმავლობა-ში, მადრიდის ათე-ნეუმის კათედრაზე, გენიალური მწერ-ლის რომანს, სერ-ვანტესის პრემიის ლაურეატების შემ-დეგ, შესვენების გა-რეშე კითხულობ-დნენ მინისტრები და მოხელეები, უნივერსიტეტის პროფესორები და მუშები, აგრეთვე საზღვარგარეთ მცხ-ოვრები ესპანელები, რომლებსაც ცხელ-ხიდით უკავშირდე-ბოდნენ!*

*წელს კიდევ ერ-თი ახალი ტრადიცია გაჩნდა.*

*პატარა ქალაქ ვი-ლიანუევა დე ლოს ინფანტეს ყველა 6 ათასი მაცხოვრებე-ლი ხელით გადაწ-ერს „დონ კიხო-ტის" ორივე ტომს."*

*შესანიშნავი ტრადიციააა!*

*ქართველები ერთმანეთს ეჯიბრე-ბოდნენ ქართული ბიბლიის, „ვეფხის-ტყაოსნის" გაზეპი-რებაში, ხოლო პოე-მის ხელით გადაწე-რის ქართული ტრა-დიცია ესპანურზე უფრო ძველიცააა! და რამდენი ხელნაწ-ერი „ვეფხისტყაო-სნის" ამის მოწმე.*

*ან რაა „ვეფხ-*

— ფული მოდის.
— მარჯვენა ხელი როცა მეფხანება?
— ფული მიდის.
— ზურგი რო გეფხანება?
— მაშინ, წადი აბანოში!

არც ისე ძველი დიალოგი:
აღმოსავლეთელი კაცი დასავლეთელს ეკითხება:
— როგორ არის თქვენთან საქმე?
— როგორ იქნება... რაიკომის პირველი მდივანი — რაიკომის მეორე მდივნის ცოლთანაა, მეორე — მესამისა... მესამე — აღმასკომის თავმჯდომარის კნეინასთანა... და ასე შემდეგ.
— თქვენთანა, კაცო, რაღაც წესრიგი მაინც ყოფილა, ჩვენთანა კი, ვისი ვისშია, ვერ გაიგებ!

* * *

ეს ამბავიც კახეთში ხდება. აბა, რა ჰქონდათ გასაყოფი, მაგრამ სადილის მოლოდინში, რაიკომის მდივანი და აღმასკომის თავმჯდომარე ნარდის გორებაში წალაპარაკდნენ.
დავის საგანი!
ცოლთან ცხოვრება შრომაა თუ სიამოვნება?
ამ დროს, სად იყო — სად არა, ვენახიდან მომავალი შაბიამანმოკიდებული და ნელში განყვეტილი მიხოც გამოჩნდა და ეს სადაო კითხვა პირდაპირ აივნიდან დაუსვეს.
— მიხო, გამოცდილი კაცი ხარ და გეითხარი — ცოლთან წოლა შრომაა თუ სიამოვნება?
მიხო (თითქოს პირველად ეფიქროს ამაზე) ჩაფიქრდა და ბოლოს თქვა:
— ცოლთან წოლა სიამოვნებაა!..
ახლა ნაძლევის ნაგებით განბილებული მხარე აშუხურდა:
— ვითომ რათაო?
— რათაო და იმათაო, ეგ რომ შრომა იყოს, თქვენს ცოლებთან წოლასაც ჩვენ დაგვავალებდით... გაიგეთ?

* * *

რაიკომის ბიუროზე ვიღაცის დასმენით, ერთი საწყალი და პატიოსანი მეგრელი პარტიიდან გარიცხეს — ამა და ამ ქალებში, ამა და ამ მისამართებზე დადიხარ და გარყვნილ ცხოვრებას ეწევიო?
ყველაფერზე თავი აქნია.
ბიუროს შემდეგ ერთმა ნაცნობმა უთხრა — რატომ არ უარყავი ბრალდებები, უპარტიოდ რა გეშველებაო?
— სამაგიეროდ, რამდენი ბოზის მისამართი გავიგე! — სიხარულით აღარ იყო კაცი.

---

*ილია მართალი: იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.*

* * *

— ამ კაცს ცოლი ჰყავს შესართავი და ბინას თხოულობს... ისეთი საბუთები ნარმოადგინა, ნინ არაფერი უდგება.

— თუ ნინ არაფერი უდგება... ან ბინა რად უნდა, ან ცოლი?

* * *

ავადმყოფი შემოდის ექიმთან:

— რა განუხებთ?

— უძილობა. რა არ ვცადე... შხაპები — ციეი, ცხელი. არაფერმა მიშველა!

— დათვალეთ ძილის ნინ?

— როგორ არა!

— რამდენი დაგითვლია?

— 756990 —

— მერე?

— მერე გათენდა. ავდექი და ნავედი სამსახურში!

## ქართლოს კასრაძე

ცუდას რად უნდა მტერობა —
კარგია მუდამ მტრიანიო!..

ამ ჭეშმარიტებაში ეჭვი არასდროს შემპარვია. თუმცა, როგორც ჩანს, გამონაკლისი არსებობს ყველგან და ყველაფერში — აი, მაგალითად, ქართლოს კასრაძე!.. ჩემს სიახლოვეში, ეს არის, ალბათ, ერთადერთი ეგზემპლარი — უტირაჟო კაცი, რომელიც კარგია, მაგრამ მტერი არა ჰყავს?! ვერ გამიგია, ნაკლია ეს, თუ უნაკლობა? როგორ შეიძლება, ყველა გიყვარდეს და ყველას უყვარდე, ყველა გიცნობდეს და ყველას იცნობდე, ყველა შენი ძმაკაცი იყოს და შენ ყველასი... თურმე, შეიძლება!

ნაღდი თბილისელია, დააქვს უდარდელი კაცის ღიმილი და „დარდის გუდურა გრილი". თავის სიტყვასავით ალალია და თავის სიცილივით მართალი.

ღმერთმა ათი კაცის ნიჭი მისცა, მაგრამ შურის, ბოროტების, სიძულვილის, მტრობის „ჭკუა" არ მისცა. ჩვენი თაობისა თუ უთაობის ნარჩენია, ნამდვილი „ჭკუის კოლოფი" და მარადიული ბიჭი...

ჩვენი ბიჭობის ჭაშნიკად მინდა რამდენიმე მათრობელა სიტყვა შევუნახო.

გამარჯობა, ქართლოს...

ბარო, შე ძველო!

*ისუყაობნის" გარდა სხვა. ცოტა გვაქვს საზეპირო?*

*ალბათ დადგება დრო, როცა გაუდის ხელით დახატული მარხელობანა და მისი მადრეგნების კროსვორდისა არ იყოს, დედაქალაქის დღეა კროსვორდზე - რუსთაველზე დაიდგმება თეთრი მარმარილოს სვეტი. რ ო მ ე ლ ზ ე ც რუსთაველის ანდაზები „თიანდაზსასვეით" გაიმლება!*

***P.S.*** *ვიღაცა იტყვის: მაგ ანდაზებმა და როანდობამ დაგვღუპეს ჩვენი „რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია"!..*

*ალბათ ამ ანდაზამაც დაგვაკარგვინა ამდენი ქართული მიწა-წყალი.*

*ვიღაცა ალბათ, ხუმრობასაც წამოამველებს: „რასაცა გასცემ შენია," რასაც არა... სი — შენია და შენია!*

*ერთიც იქნე იყოს და მერეც - მეტყუანიც და მართალიც!*

*თუ გულის კარნახით ვიტყვიანდა. ამ წუთში აკაკის მიერ ერის მამის დიდი ილიას დაკრძალვის სიტყვებით მეკირება: თუ საქართველოს სიკვდილი უწერია,*

* * *

ერთმა, ცოტა ქალაჩუნა მეზობელმა ბიჭმა, რომელიც ბავშვობიდან ქუჩა-ქუჩა დიდ ვიოლინოს დაათრევდა, ქართლოსს დარდი გაუზიარა — ნეერი არ ამომდისო.

— ყბაში სულ ვიოლინო გაქვს გაჩხერილი და რა ნეერის ბრალიაო — აუხსნა ქართლოსმა.

— რა მოგივიდა, იუზგარ?

— სიბრძნის კბილი ამომდის!

— შენ, სიბრძნის კბილი? — გაუკვირდა ქართლოსს, — კი არ ამოგდის, ალბათ ჩაგდის!

* * *

გალენილი ნიაზი შეხვდა ვერის ბაზართან.

— ნადი სახლში, — ურჩია ძმაკაცურად.

— ფეხს რომ ვნევ წინ გადასადგმელად — უკან მივდივარ... აუხსნა ნიაზმა.

— მაშინ მობრუნდა და „ზურგით" იარე — დაარიგა ქართლოსმა.

* * *

— ნუხელ სახლში კარები არ გამიღეს... ვერ იტანს დედაჩემი ღვინის სუნს — უთხრა ნიაზმა ქართლოსს.

— დღეს რა, ნაკლები მთვრალი ხარ?

— სამაგიეროდ, ვარდის ლიქიორი დავლიე და ასეთი „თაიგულით" ვინ არ მიმიღებს — გაიცინა ნიაზმა.

* * *

ერთხელ, შუაღამეს, ნიაზი კასრაძის სახლს მიადგა.

— ქართლოოს!..

აივანზე გადმოდგა ქართლოსის დედა და ნიაზს საყვედური უთხრა:

— ამ შუაღამეს, რა დროს ქართლოსია, შვილო... იცი, რომელი საათია?

— მაპატიეთ, ქალბატონო... მე მეგონა, მეგობრობა „კრუგლოსუტოჩნი" იყო! — სწორედ მაშინ თქვა ნიაზმა ეს სიტყვა, რომელიც დღემდე ახსოვს თბილისს!

* * *

— ჩემს ძაღლს ხურდა ფულს ვაძლევ და გაზეთებზე ვაგზავნი. — ტრაბახობს ვიღაცა.

— ჩემსას კი, უფულოდ მოაქვს გაზეთი და გვიკითხავს კიდეც — ვალში არ რჩება ნიაზი.

*მარკუს ავრელიუსი: ყოველი დღე ისე უნდა გაატარო, როგორც უკანასკნელი: განგაშის, შიშის, სიცრუის გარეშე.*

* * *

ნიაზს უფრთხილდებოდნენ და ქართლოსის დაბადების დღეზე არ დაპატიჟეს — დალევსო.

ეშმაკმა იცის, სად იშოვა ავტოკრანი, შუა ქეიფში ფანჯრიდან გამოეცხადა, მისი სადღეგრძელო ცაში დალია და ნარნარად დაეშვა მიწაზე.

* * *

ქუთაისელს დონორობა შესთავაზეს.

— მაგი რაიაო? — იკითხა გაკვირვებულმა.

— სისხლი უნდა მოგვცეო.

— რას ამბობ, თუ ძმა ხარ, — შეიცხადა, — გასაცემი სისხლი კი არა, სახლამდე თუ მეყოფა, ისიც არ ვიციო!..

* * *

— ბატონო ჩემო, ჩვენ მოზარდ მაყურებელთა თეატრში გავიზარდეთ და თქვენ თუ იქ მუშაობდით, რატომ ვერ გცნობთ?

— რაფრა მიცნობთ, ბიძია, სულ კურდღლის როლში ვიყავი და ჩირგვებში ვიჯექი!.

— ნითელქუდაში რას თამაშობდით?

— მე-12 სოკოს.

— ოოო, ახლა გიცანით?!

მიცვალებულის სასაფლაომდე ხელით მიტანა საზოგადოების კოლექტიური ჭირისუფლობის ნებაყოფლობითი აქტია, რომელსაც არც ადმინისტრაციული ორგანოები აკონტროლებს და არც საკონტროლო პალატა — ყველაფერი ხალხის ნამუსზეა დამოკიდებული.

მიაქვს მიცვალებული ნელში გამწყდარ ოთხეულს და კაციშვილი არ ფიქრობს შენაცვლებას... არადა, ოთხ კაცში ნათქვამს რა დამალავს!

— ეს მკვდარი გვაჩუქეს თუ რავაა ამგენის საქმე? — მეორე ოთხი კაცის საყვედურს ამბობს წინა ოთხეულის ერთი მეოთხედი.

P.S. ხუმრობა აქეთ იყოს და „მამფის" — ოთარ მამფორიას, ამ ქვეყნიდან წამსვლელი კაცის პირით სათქმელი გენიალური ლექსი აქვს ამ ოთხ კაცზე, რომელიც პროზაულად ასე გამოიყურება: არავის და არაფრის გადაუხდელი ვალი არ მიმყვება იმ ოთხი კაცის გარდა, რომლებიც ახლა ჩემს ცხედარს მხარში უდგას და უკანასკნელ გზაზე მომაცილებენო...

ბედნიერი ხარ, რომ შენი სიკვდილით წინ უსწარ მის სიკვდილსო...

ასე, რომ, ახლაც გულხელდაკრეფით ნუ ელოდებით, რას იტყვის ხვალინდელი დღე, რას იტყვის ისტორია!

მიწა რომ სახელმწიფოს მუდმივი კაპიტალია - ამაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა და კიდევ ერთხელ ითქვა და დაიწერა (2005 წ. 10 აპრილს „ლიტერატურა და ხელოვნება"):

გაუგონარი და უპრეცედენტო ფაქტია, რომ გრძელვადიანი იჯარით მესყიდვის უპირატესი უფლებით ათასობით ჰექტარი მიწა გადასცეს ადამიანებს, რომლებიც, რამდენიმე წელია, მოსავალს ვერ იღებენ. ზოგიერთმა მათგანმა 10-15 ათასი ჰექტარი მიწა შემოაკავა და იქ ნადირობაც კი აუკრძალა თანამოქალაქეებს, რასაც ფეოდალიზმის დროსაც არ ჰქონია ადგილი. თუ აღნიშნული მდგომარეობა დაკანონდა, საქართველო შეიძლება ახალი ქარიშხლების ობიექტად იქც-

* * *

ქუთაისის ბაღის კიდეში მეზღვაურის გამოჩენა... მეხის გავარდნას ჰგავს.

— ქუთაისში „კრანში" არ მოდის წყალი და რა უნდა, ბიჭო, აქანა, მეზღვაურს? — კითხულობს ქუთაისელი და თვალით მიაცილებს უცხო სტუმარს, — თანაც, უყურე შენ — კონტრადმირალია!

— რაა, კონტრადმირალი, თუ იცი? — ცოდნას უმოწმებს მეორე.

— რაა და — ადმირალთან რომაა კონტრაში!

* * *

სეროჟამ ვერც თვითონ გაიგო კარგად და ვერც ცოლ-შვილს აუხსნა, რა არის დებეტი, კრედიტი და ნაშთი... რის გამოც (ბოდიშის მოხდით), იძულებული გახდა, ფინანსებისა და კრეტინებისა თუ პოლიტეკონომიის კურსით გაუთვალისწინებელი თვალსაჩინოებისათვის მიემართა:

— აი, ჩემი შემოსავალი (პირთან მიიდო ხელი); აი, გასავალი (უკან დაიწყო ხელები) და... აი, ნაშთი, რომელიც ერთ ადგილზე მკიდია!

* * *

რაჭველი მამა— შვილი ზღვაზე პირველად არის.

— გეყოფა, შვილო, ამოდი — ეძახის მამა.

— რატომ?

— ახლა მე უნდა ჩავიდე?!

— რბილი ვაგონი ესაა?

— უკბინე და გაიგებ!

ერთი პეპელასავით ჭრელა-ჭრულა ქალი პაკაპუკით მიდის ქუჩაში და უადგილო ადგილას ჭრის ქუჩას.

— ნაზად! — უყვირის მილიციონერი.

— ვა, ამაზე ნაზად, რაღა იქნება? — გამოესარჩლა კინტო.

* * *

ვახტანგ ჭყოიძეს, რომელსაც სახლში ერთი კვირა ლობიოს აჭმევდნენ, ერთ მშვენიერ დღეს პაწკასათვის (ირაკლი კალატოზიშვილისათვის) შეუჩივლია:

— ამგენს, ბოშო, მგონია, ვიღაცა ჰყავთ მკვდარი და არ მიმხელენ.

---

*ბლეზ პასკალი: კაცობრიობა ორ ნაწილად იყოფა: ალალმართლებად, რომლებიც ცოდვილებად თვლიან თავს და ცოდვილებად, რომლებსაც თავი ალამართლებად მოაქვთ.*

* * *

— თქვენი მაჯა ძალიან აჩქარებულია — უთხრა ახალგაზრდა ექიმმა მოხუც პაციენტს.

— ეგ პროტეზია, შვილო...

* * *

ქართლოსი ქუთაისში მისი კონცერტის მაუწყებელ აფიშასთან დგას და კითხულობს... აღარ დაადგა საშველი... დგას და კითხულობს.

გამოიარა ცნობილმა მილიციელმა ვალიკო ჩიტიანმა (არ იცნობს კასრაძეს)... და აქედანვე იწყება „კონცერტი".

— რო დაყუდებულხარ აქ, ამდენი ხანია... შენით ნახვალ თუ მე წაგიყვანო?

— რას მერჩი?

— რას გერჩი და უსაქმოდ ქუჩაში დგომა არ შეიძლება... რა განათლების კაცი ხარ?

— სამი უმაღლესი მაქვს დამთავრებული...

— მით უმეტეს! მე, ბიძია, 2 კლასის განათლება მაქვს, მარა აქამდე 10-ჯერ მოვასწრებდი მაგ აფიშის წაკითხვას.

— ...ვინაა ეს ქართლოს კასრაძე?

— ვინაა და მე ვარ!

— მასე გეთქვა... კაი გამარჯობა შენი... იდექი, რამდენ ხანსაც გინდა. ქუთაისში ქუჩაც, სახლიც და კარიც სტუმრისაა!

* * *

— რა ღირს შენი ვირი?

— 300 თუმანი.

— ვერ შევნვდები.

— დაბლებიცა მყავს?!

* * *

ძველი ანეკდოტია, მაგრამ ახალს ჰგავს.

ერთმა აფერისტმა ბავშვს 15 მანეთიანი კუპიური გაატანა — დამიხურდავეო. ისიც ადგა და დაახურდავა — 8 და 7 მანეთიანებად (?!).

* * *

კუკური ელენტს უთქვამს ბიჭებისთვის: ჭიკოსთან სანვიმარი ლაბადები მოსულა და საყიდლად მივდივარო.

სულიკო ყურაშვილს გაუჩერებია:

ეს. მსოფლიოს ახ-სოვს მიწის გადა-ნაწილებისათვის უკი-დურესი ხოცვა-ჟლეტები, რამაც მთელი ქვეყნები და კონტინენტებიც კი მოიცვა.

იგორ პაპარიძე - საქართველოს ეროვნულ და სო-ციალურ ურთიერთო-ბათა აკადემიის აკა-დემიკოსი. პარ-ლამენტარი.

თენგიზ ჩხეიძე - დარგის სპეციალის-ტი. პროფესორი.

იყიდება საქართველო! - ჯერ როდის შემოჰკრა განგაშის ზარებს ნიკო ლორთქი-ფანიძემ...

„ვინ რას ყიდის არ იცისო"... ნა-ოლალარი ხარივით შემოგვჩივის თეიმუ-რაზ ნიკლაურის შეზარავი სიმღერა.

საქართველოს რაში ჭირდება გა-რეშე მტერი... ქა-რთველს ქართველიც ეყოფა მტრად! შეგვახსენებს თავს ისტორია საქართვე-ლოს დაუძინებელი მტრის - შაჰ-აბასის პირით.

რა ვუყოთ ჩვენს წარსულს?

რა ვუთხრათ ჩვენს აწმყოს?

რა პირით შევხ-ვდეთ ჩვენს მო-მავალს?

რამდენჯერ უნდა შეგვახსენოს

— არ ღირს მაგაში ფულის დაკარგვა... რად გინდა სანვიმარი „პლაშჩი", როცა წვიმა გადაიღებს, მაშინ გამოდი ქუჩაში, მე შენ გეტყვი, სადმე საქმეზე გეჩქარება!

* * *

დღის 12 საათზე ქუჩაში მდგომ კუკურის მიესალმნენ:

— როგორ გიკითხოთ?

— როგორც მკითხულობთ — უხალისოდ მიუგო მან.

— რა იყო, ხომ მშვიდობაა?

— რაღა მშვიდობა ჰქვია... კაცს პატრონი რომ გყავდეს, დღის 12 საათზე უკვე რესტორანში უნდა იჯდეს, სადილობდეს და დედმამიშვილის სადღეგრძელოც უკვე დალეული ჰქონდეს!

* * *

მდიდარ საპატარძლოს, ნათხოვარ ტანსაცმელ— ფეხსაცმელში გამოჯგიმული, ღარიბი სასიძო მოუყვანეს. ესეც დიდი ქონების პატრონიაო — თქვეს მაჭანკლებმა და დიდის ზარ-ზეიმით შემოუძღვნენ. როგორც კი ნოხზე ფეხი შემოდგა, ისეთი სიცილი აუტყდა, ვერაფრით გააჩერეს.

— ცოტა სერიოზულად დაიჭირე თავი, რა გაცინებს? — გაუწყრენ შუამავლები.

— რა ვქნა, კაცო, თავი იმართლა ნეფემ, — ფეხსაცმელი მაქვს გახვრეტილი და ნოხზე რომ ვდგავარ, მეღუტუნება!

* * *

გივი ნიჟარაძეს ერთმა შინაბერმა მეგობარმა თხოვა:

— ისეთი მოსამსახურე მაშოვნინე: გამირეცხოს, გამიუთოოს, ბაზარში ნავიდეს, სადილი გააკეთოს და ჩემს გარდა არავისთან იკისროსო...

— მასეთ ქალს საცოლედ მეც ვეძებ, მარა სადაა? — უპასუხა იმან.

* * *

არტუშა სეროჟასთან მივიდა სახლში და მის ცოლს ფულის შეკვრა შესთავაზა.

— სირან, მაკოცნინე და 10 მანეთს მოგცემ.

— ვა, ეგ როგორ შეიძლება, არტუშაჯან... 10 მანეთად?.. კარგი, მაიტა 20.

— ჯანდაბას შენი თავი, 40 იყოს — დაყაბულდა არტუშა და უფრო მეტი მოითხოვა.

...საღამოს სეროჟა დაბრუნდა და ცოლს პირდაპირ ნასწრებულივით ჰკითხა:

— არტუშა იყო?

— ჩემი ჯამაგირი მოიტანა?!

— ?!.

დუმილიც თანხმობის ნიშანია...

* * *

— ტოკლიკაშვილო, მოჰყე გაკვეთილი!
— ვიცი, რო...
— დაჯე!
— ვდგევარ, რო...
— დატოვე კლასი!
— მიმაქ, რო...

* * *

მორგეივით მრგვალ ქალს ახლავს ჭოკივით გამხდარი კაცი.

— შეხე, შეხე, ამ „კრაზის პაკრიშკას" — რავა „ნასოსივით" მიყვება მისი კაცი — ამბობს ვილაცა და სიცილით მიაცილებს.

* * *

რუსი სტუმარი ღამე დიასახლისს მიუჩოჩდა და ამან ქმარს გასძახა — მიშველე, მიხოო.

— შენ თვითონ უშველე შენს თავსა... დაუყვირა ქმარმა, — უარი ველარ გითქვია?

— უი, ქა, მაგდენი რუსული, აბა, რა ვიცი?!

* * *

— შენ რომ გკითხონ, ძამა, გამოდის რომ მეგრელებს ნაკლი არა გაქვთ? — უთხრა გურულმა მეგრელს.

— როგორ არა... მთელი სერიოზულობით უპასუხა იმან, — ნაკლი რომ არ გვაქვს, ეს ნაკლი არ არის?

* * *

კახელ შაქრუასა მუსიკითა და დიდი ზარ-ზეიმით მოასვენებენ! თავთან პურ-მარილი აქვს გაშლილი, ცივი ხელადა უდგას, შამფურით მწვადი, კიტრი, პამიდორი, მწვანილი, ნნილი... ლილინ-ლილინით მოდის და მოცურავს კუბო.

პროცესიას ვილაც გადაუდგა წინ.

— რასა შერებით, ხალხო, ცოცხალ კაცსა მარხავთ?

— ვინ არის ცოცხალი, ესა?.. ცოცხალი კი არა მკვდარია — ამბობენ ამ ნუთისოფლიდან მისი გამცილებლები, — არ მუშაობს, არაფერს არ აკეთებს... გვთხოვა, ხალხი არა ხართ, სასაფლაომდე მაინც მიმიტანეთო და აჰა, ვუსრულებთ ბოლო თხოვნას.

— დაიცათ, კაცო, მე მივცემ საქმესა... დღეში ერთი კოკა წყალი მომიტანოს და ჯამაგირს დავუნიშნავ... არ იშლის თავისას არამკითხე მოამბე.

დრომ, რამდენჯერ უნდა ითქვას, რომ: „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა!..

ავსულისა და ავთვალისაგან კი მოელოდე — ავი თვალისას!.. ფუი, ეშმაკს და ასეთ კაცობას ასეთ ცნობას და ასე გაცნობას... არაკაცობას - ხელით ბაცნობას, ტყავში ძვრომას და ტყავის გაძრობას! მათი ხსენება ღმერთს არ ენება... რომადეყ არ ღირს მათი ხსენება!

<u>გია თორთლაძე:</u>

პრეზიდენტს დავპირდი, კილომანჯაროზე წაგიყვან-მეთქი...

იზო რიკაძე:

არჩევანის გაკეთება რომ მოგინიოთ, რას აირჩევდით — მთას თუ პოლიტიკას?

რა თქმა უნდა, მთას. მთაში 30 წელია დავდივარ, პოლიტიკაში კი ახლა მივედი. პოლიტიკაში იმიტომ მივედი, რომ შევარდნაძე იყო წასასვლელი. სამწუხაროდ, ახალ ხელისუფლებას ვერ ვატყობ ხალხის სიყვარულს. შენდეთ როგორი

— აბა, ვკითხოთ... აჩერებენ პროცესიას და ამ ცოცხალ-მკვდარს შემოთავაზებულ პირობებს აცნობენ.

არხეინად ნამონოლილი შაქრუა ჩაფიქრდა და კარგა ხნის ფიქრის შემდეგ ამოშაქრა:

— რომელ სართულზე ცხოვრობს?

— მეორეზე...

— ლიფტი არი?

— სამწუხაროდ, არა!

— ჰოდა, მაშინ მოგვეცალოს გზიდანა... შენ დაუკარ! — გასძახა „მიცვალებულმა", ანუ ცოცხალ-მკვდარმა დოლ-ზურნას და პროცესიამაც ისევ „შეუბერა".

— შენ რატომ არ სვამ ჩვენი მინა-წყლის სადღეგრძელოს? — გადაუბრიალა თვალები თამადამ რევოლუციაზე განაწყენებულ მეგრელს.

— მინა ჩამომართვეს, პატენი და წყალი შეისხან უკან!

* * *

— გაყრის მიზეზი? — ჰკითხა მოსამართლემ ქმარს.

— მეტი რაღა მიზეზი გინდათ, — პასუხობს იგი, — დღე და ღამე რესტორნებში და სასაუზმეებში დაეხეტება.

— სვამს?

— ის არა, მე ვსვამ და ის დამეძებს.

ვახტანგ ჭყონიძე!

საკმარისია ამ სახელის და გვარის ხსენება, რომ ჩვენი დროის თბილისი სიცილით გადაფიჩინდეს.

შეიძლება, სულაც, თბილისის დამაარსებლის, ჩვენი მგლისთავა მეფის — გორგასლის ეშხით დაარქვეს ვახტანგი. ესეც ისე, მისი სეხნიასავით — ცოცხალი ძეგლივით იდგა ქალაქში. მართალია, ხელი აწეული არ ჰქონდა, მაგრამ იშვიათად ჩაუვლიდა ვინმე გულგრილად, რადგან ამ კაცში სიკეთე, სიცილი, კაი პურ-მარილის შანსი ეგულებოდა. მოკლედ, ერთი ლამაზი სულისა და ხორცის, გულ-პირ-ჯიბეგადმობრუნებულ გამოფხეკილი კაცი იყო, მთლიანად დაიხარჯა და საიქიოდან სააქაოს ახლაც გვესმის მისი სიცილი.

* * *

...ერთხელ, ბიჭები ჯიბის შესაფერ სასადილოში შევიდნენ — საშინელ ჭუჭყში და ანტისანიტარიაში.

ვახტანგიმ იხტიბარი არ გაიტეხა, ოფიციანტს უხმო, პურმარილი შეუკვეთა და ბოლოს თავადურად გასცა განკარგულება:

— ამ ბუზებისთვის სუფრა ცალკე გამიშალე!

---

*პუბლიუსი: ადამიანი იმდენჯერ კვდება, რამდენჯერაც თავის ახლობელს კარგავს.*

* * *

ჭყოიძემ ცოლს თავისი ძველი პალტო მიაჩეჩა — დამიკერეო!

ქალბატონმა ნუნუმ ქმრის გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ნეტავი, სად გაცვითა ამ კაცმა ეს პალტო... ის სულ მაგიდასთან ზის და ეს სულ „ვეშოლკაზე“ ჰკიდია.

* * *

ერთ ცალტვინა თანამშრომელს, რომელსაც კაპიკს ვერ გააგდებინებდი ხელიდან, ვახტანგმა თხოვა — ჯამაგირი ხომ აიღე, ცოტა ფული მასესხეო.

უშვილობის დამიქვითეს და თითქმის აღარაფერი დამრჩაო, უპასუხა.

— ამ მთავრობის ვერაფერი გამიგია, — თქვა ჭყოიძემ, უშვილობისას უქვითავენ და უჭკუობისას — არაო?!

* * *

ერთი გამწარებული კაცი შეხვდა: ტრამვაიში 50000 მანეთი მომპარესო.

— ახია შენზე, მაგდენი ფული თუ გქონდა, ტაქსი ვერ იქირავე?.. — ჭკუა ასწავლა ჭყოიძემ.

* * *

— ვახტანგ, რატომ მაძალებ ღვინოს, გადავეწყვიტე თავს მოვუარო.

— ისეთ თავს უნდა მოვლა — საკუთარი თავის გარდა სხვასაც რომ სჭირდება... რომელი ილია ჭავჭავაძე შენ მყავხარ?

* * *

— ჩემს ცოლს მზითევი არა, მარა, კაი ჭამის მადა მოყვა... თავი „მოწონდა“ ვახტანგს.

* * *

ერთ სმასაყოლილ-გადაყოლილ და უდროოდ დაბერებულ ძმაკაცზე — ჭურტუზე ჰკითხეს — როგორ არისო?

— მაცივრიდან გამოღებულ სოსისს ჰგავსო, — დახატა ვახტანგმა.

* * *

ახალგალვიძებულ და ნუხანდელ ღამენატეხ-ნაბახუსევ ჭყოიძეს (რომელსაც ერთი სული ჰქონდა სული

ზიზღით ლაპარაკობს მათ ნადირაძე. როგორ მედიდურობს კოტე გაზამცილი. როგორი სიძულვილით წკურავენ თვალებს ბოყერის და თარგამაძე. ქართველები თბილი და მოსიყვარულე ხალხი ვართ და ახლა დამოკიდებულებას არ ვიმსახურებთ. ვისურვებ, ჩემს ქვეყანაში ყველას თავისი ადგილი მოენახოს და თითოეულ ჩვენგანს სიყვარულით ეკეთებინოს თავისი საქმე, ამით აშენდებოდა ეს ქვეყანა. შვეიცარიაში ყველამ თავისი ადგილი იცის და სიყვარულით აკეთებს საქმეს, ღმერთმა ქნას. ჩემი ქვეყანაც მენახოს ასე წესგამართული.

„კვირის პალიტრა“, 2006.23-29.01.

„იაპონელმა ინჟინრებმა ზოოფსიქოლოგებთან ერთად გამოიგონეს სპეციალური საყელური, რომელსაც შეუძლია ძაღლის ყეფის (ყმუილის, წკმუტუნის) [illegible] —

მიეტანა „პახმელიამდე“) ცოლი მიაფართხალდა:

— შეხედე, შეხედე, ვახტანგ... თოვლი მოსულა!

— რომელი კობა ნაქაძე მე ვარ, მთაწმინდიდან ტრამპლინით რომ გადავხტე ახლა რესტორან „თბილისში"!

* * *

ვახტანგს ერთმა, მასავით რესტორნებში გამოდებულმა ძმაკაცმა შესჩივლა:

— იმდენი ვალები მაქვს, თავი უნდა მოვიკლა. შენ რას იტყვი?

— ჩემი აზრით, თავი იმან უნდა მოიკლას, ვისი ვალებიც შენ გაქვს, — დაამშვიდა ჭყოიძემ.

* * *

ვახტანგი ღვიძლს უჩიოდა. ვიღაცამ შემოუთვალა, მაგის უებარი წამალი სტაფილოაო.

— ნეტავ, იმას ვინ უთხრა,— დაინტერესდა ქალბატონი ნუნუ.

— ალბათ, კურდღელმა, — უპასუხა ვახტანგმა.

* * *

ვახტანგი, სასადილოდ, მოსკოვში გადახვეწილ ერთ მეგობართან ერთად შეეიდა რესტორან „თბილისში" და პირველ კერძად ბორშჩი მოითხოვა.

— მე ნახევარი პორცია მომიტანეთ, — თქვა გაუცხოებულმა შინაურმა.

ჭყოიძემ ცერად გადმოხედა — რასაა, რომ კადრულობო?

— რა ვქნა, ჩემო ძმაო, — უპასუხა გამოსკოვებულმა თბილისელმა, — არ მიყვარს ულუფის მიტოვება.

— ბოშო... სამი წყება ცოლ-შვილი გყავს მიტოვებული და თავი არ მოგიკლავს, ეს ერთი მათლაფა ბორშჩი რა გაგიხდა! — ვერ დაფარა წყენა ვახტანგმა.

* * *

სიდედრის დასაფლავებაზე, როგორც წესი, მოდიოდნენ ახლობლები, ხელს ართმევდნენ ვახტანგს და ეუბნებოდნენ ტრაფარეტულ სამძიმარს: ვიზიარებთ შენს მწუხარებასო.

— მწუხარება კი არა, თუ შეგიძლიათ დაკრძალვის ხარჯები გაიზიარეთ, — რჩევას აძლევდა მათ გულდამწვარი ჭირისუფალი.

* * *

შავ ზღვაზე დასვენების დროს შავად წაუვიდა საქმე ვახტანგის ერთადერთ ვაჟს და რაღაც მიზეზით „კუტუსკაში" გამოამწყვდიეს. ვახტანგს მეგობრებმა ფული შეუგროვეს და შვილის დასახსნელად გაისტუმრეს. ისიც

---

*ტიბეტში არის სწავლება კარმის შესახებ, რომლის თანახმადაც, მკვლელები და მძარცველები იმსახურებენ რისხვას არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ საკუთარი შთამომავლობისთვისაც.*

ჩავიდა გაგრაში, მივიდა მილიციაში, გამომძიებელს ალალად უთხრა, ძმაკაცებმა ამდენი და ამდენი შემიგროვეს... ძმურად შუაზე გაყო ეს თანხა და უთხრა — ამდენი თქვენ — ამდენი მეო?!

— არ ეყოფაო... იმათაც „ალალად" უპასუხეს.

— აბა, გყავდეთ მაქანა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთო — უთხრა ჭყოიძემ და ის იყო წამოსვლას აპირებდა... ეცნენ და გააჩერეს — თუ ძმა ხარ წაიყვანე, შენი შვილი კი არა, ჩვენი შვილები ვერ გვირჩენიაო.

* * *

ვახტანგს 100 წლის ბებია გარდაეცვალა და ქელეხში თამადა გააფრთხილა:

— იცოდე, ოჯახი არ დამინწყეელო და არ გეითხრა — მისი დანაკლისი დღე შეგენიოსო.

* * *

ვახტანგ ჭყოიძე პროფესიით ექიმი იყო, მაგრამ აღარც ახსოვდა. ხანდახან შეახსენებდნენ.

— იმ კაცს 10 სანტიმეტრით დანევია კუჭი... — ძირს.

— მაგას მიხედვა უნდა, შარვლიდან არსად გაუვარდეს, კაცო — გააფრთხილა ვახტანგმა.

* * *

ოთარ მამფორიამ გამომცემლობაში შეიარა ჰონორარის ასაღებად და... 25 მანეთი გამოიტანა.

განბილებულმა ვახტანგმა უთხრა:

— გუშინ, ბოშო, 4 თუმანი გადამახდევინეს 4 სტრიქონიან სამგლოვიარო განცხადებაში და შენ ამაზე ნაკლები, რა დაწერე?

* * *

ვახტანგს ხშირად ეუბნებოდნენ — რა ბედნიერი კაცი ხარ, იმხნელების სიძე რომ ხარო.

იმხნელები, ბატონო, რადიოშია კაი მოსასმენი, თორემ სახლში ჩემმა მტერმა უყურა ოთხ სიდედრსო.

სწორედ ამ დროს რადიოში გაისმა ამ ლეგენდარული დების სიმღერა — „მაღლა ცაში ავფრინდები..."

— კაი შესახედავები იქნებით ქვევიდან — ჩაილაპარაკა ვახტანგმა.

* * *

კოტე მარჯანიშვილის საღამოზე იმდენი ცხეირ-

*„მცერნი", მაგრამ მართლა მცერნი უნდა ვიყოთ, რომ ყველაფერი დავიჯეროთ, რასაც გაზეთები წერენ.*

*გაეროს მონაცემებით, ახლა მსოფლიოს 80 უღარიბეს ქვეყანას შორის, საქართველოს ბოლოდან მეორე ადგილი უკავია!*

*უჩინმაჩინი პატარძალი!*

*„ნახევარ წლიწადზე მეტია, ინგლისის ქალაქ ბირმინგემის მცხოვრები ბარბერ სპარკი ამტკიცებს, რომ მის ბინაში ცხოვრობს უჩინარი ქალი, რომელთანაც მას ყოველდღიურად აქვს ინტიმური ურთიერთობა. სპარკმა მოიწვია პარანორმალური მოვლენების სპეციალისტები. მათ ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ ბინაში ნამდვილად ცხოვრობს უჩინარი არსება, რომლის წარმოშობა და ბუნება მათთვის უცნობია".*

*„ოკნა", N 32*

*P.S. პარანორმალური კი არა, სრულიად ნორმალური მოვლენაა.*

ნაოპერაციები ქალი ირეოდა ვესტიბიულში, რომ ვახტანგმა შენიშნა: — აქ, მარჯანიშვილის პორტრეტთან ერთად არ იქნებოდა ურიგო „ნოპეს" სურათიც გაგედიდებინათო.

* * *

ვიღაცამ დაიტრაბახა: იმ ქალს ისე ვაკოცე, ორი კვირა ლოგინიდან ვერ წამოდგაო.

ვახტანგმა შეაფასა: ვირუსული გრიპი გადაგიდიათო!

* * *

ჭყოიძის ერთი გამოუფხიზლებელი ძმაკაცი ახალდაბადებულ შვილიშვილთან არ მიუშვეს — ღვინის სუნით შეანუხებო.

ვახტანგმა ურჩია — ნადი და ახლა სასტუმრო „თბილისიდან" პარიკმახერი ტარასი მოიყვანე... ადეკალონის სუნი იმას უდისო.

* * *

ერთმა ფოთელმა თავზე ხელაღებულმა თქვა: გოგია ქარსელაძეს მოვერევიო?!

— რა ქნა, ჩამევიდა? — ჰკითხეს ჭყოიძეს.

— არც ის ჩამოსულა და არც ეს წასულა, მარა გოგიას იმსიგრძე ხელები აქვს, თბილისიდან გალახავს ფოთში.

— რა ღვინოს დალევთ?

— შენ რას გვირჩევ.

— 8 ნომერს... ოღონდ ფერი არ უვარგა.

— ფერი რა, საკოსტიუმედ კი არ მინდა — ლოგიკური დასკვნა გააკეთა ჭყოიძემ.

* * *

— ბატონო ვახტანგ... სიდედრი უფრო გიყვარს თუ შამპანური?

— ჩაცივებული, ორივე კარგია!

* * *

ქალბატონი ნუნუ ყვება, რომ ელენე ჩიქოვანის ქელეხში ბატონი ჟორჟიკა ჯაფარიძე ისე მამაპაპურად მოკალათდა, რომ ვახტანგმა თქვა — ეს კაცი აქედან ორმოცამდე წამსვლელი არააო.

---

*ქართველში – ნაცარქექია. ნაცარქექიაში – ქართველი.*

*მეც, ქათამივით, იმიტომ ვიქექები წარსულში, რომ რაღაც გამოვქექო, ცას ავხედო და ღმერთს მადლობა ვუთხრა.*

*მეც მარგალიტის მაძიებელი ვარ!*

* * *

დავით გამრეკელი ძალიან გასუქდა. ერთხელ მაგიდასთან ისხდნენ და კაი ტრაპეზს შეექცეოდნენ. დათკას პირდაპირ მჯდომმა ვახტანგმა ლეგენდარულ მომღერალს სთხოვა: ბატონო დათიკო, თუ შეიძლება, კოსტიუმის მუცელზე შეკრული ღილი შეიხსენით, თორემ ეგ დაჭიმული ფოლაქი თუ აგნყდათ, შეიძლება კაცი შემოგაკვდეთო.

* * *

ვახტანგი უცხო სუფრაზე მოხვდა და აქაც მისი განუყრელი ძმაკაცი — პანკა (ირაკლი კალატოზიშვილი) დახვდა. კიდეც გაუხარდა, კიდეც გაუკვირდა და თქვა:

— ეს კაცი, ყველა სუფრაზეა რავა მნვანილივითაა მოდებული!

* * *

ერთ ამხანაგს სიდედრი მოუკვდა და ვახტანგი მაშინვე იქ გაჩნდა.

— ყინული იშოვეთ?

— არა, ბალზამირება გავუკეთეთ.

— მე, ბოშო, მიცვალებულისთვის კი არა — ღვინის, კიტრისა და პამიდორის ჩასაციებელ ყინულზე გეკითხებით.

— ღვინის რა ქენით?

— რქანითელი მოვიტანეთ.

— თევზეული?

— ცოცხალი, ასეტრინა, იკრა...

— აბა, რაღა გატირებთ, კაცო — გამხიარულდა ჭყოიძე.

— ბატონო ხუხა, თუ იცით, რა ქნა ჩვენმა „დინამომ"? — ჰკითხა რესტორანში ახალშემოსულ ნაცნობს ჭყოიძემ.

— წააგეს.

— აუჰ... რატომ?

— რატომ და წვიმდა... მოიყვანა ფეხბურთის გულშემატკივარმა ისეთი არგუმენტი, რომ წყალი არ გაუვიდოდა.

— ისინი რა, „ზონტიკებით" თამაშობდნენ? — შეუბრუნა სიტყვა ჭყოიძემ.

*ქალისას რას გაიგებ.*

*ყველა ქალი უჩინმაჩინაა. იმასაც ამბობენ, ქალის გაჩენაში ეშმაკი ურევიაო.*

*ეშმაკისა — ეშმაკს უნდა ჰკითხო!*

*როდესაც ეგვიპტოლოგმა ლუდვიგ ბორხარდმა ნეფერტიტის ბიუსტი აღმოაჩინა, თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „აღწერას აზრი არა აქვს. ეს საკუთარი თვალით უნდა ნახო!"*

*დიახ, ვნახე და თვალებსაც არ დავუჯერე! რა ხელმა შექმნა და როდის? ხელოვნებას ჟამთა სვლა მათ ხელს ვერ ახლებს. ეგვიპტის პირამიდებს არ ეშინიათ დროის... დროს, ეშინია ეგვიპტის პირამიდების.*

*„ამერიკელი ფსიქოლოგები მივიდნენ სწორ დასკვნამდე, რომ ფეხბურთელებს მსოფლიოში ყველაზე ნერვული სამუშაო აქვთ. მათი პროფესია გაცილებით მეტ ნერვიულობასთან არის დაკავშირებული, ვიდრე მყვინთავების, მფრინავებისა და*

* * *

სამწუხაროდ ასეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი, ღვინის მომრევი კაცი ჯერ არ დაბადებულა და ღვინით ნაქცეული კაცი კი ბევრი გვინახავს... მათ შორის ვახტანგიც, რომელიც, ერთხელ, ისე გაილეწა, რომ ორით კი არა, უკვე ოთხით მოდიოდა ალექსანდროვის ბაღში. სწორედ იმ დროს დაადგა ერთი ნაცნობი თავზე, როცა მიწაზე გულიველიერიტ ეგდო და ჭიანჭველები ესეოდნენ.

— აქ რას აკეთებთ, ვახტანგ! — დაინტერესდა იგი.

— ჭიანჭველების თათბირს ვესწრები, ბატონო.

* * *

— ჩემი თავი თქვენი ფეშქაში იყოს. მარა...

— რა მარა?

— დაგპატიჟებდით, მარა სახლიდან ფული არ წამომყოლია — იმართლა თავი ერთმა.

— ფული, ძაღლი კი არაა, რო გამოგყვეს... მომავალში მაინც გახსოვდეს — მისცა პირველი პერსონალური შენიშვნა ვახტანგმა.

* * *

ერთხელ ვახტანგს სახლში მისი ამფსონები ენვივნენ. უცადეს, უცადეს და როგორც იყო, დაადგათ საშველი... წავიდნენ.

ცოლმა... ამხანაგები ვერა, მარა ამბავი დაახვედრა: ამდენი სული იყო, ამდენს გელოდენ, ამდენი ჩაი დალიეს და წავიდნენო.

ვახტანგმა ცოლის მოხსენება მოისმინა და დასკვნის სახით თქვა:

— წევიდოდენ, ბოშო, აბა, რას იზამდენ... ამდენი ჩაი დაულევიათ! ადუღებულ წყალს, კაცი კი არა, ორთქლმავალი მიყავს!

ჭყონიძე დიდი ქალებში გართული კაცი არასდროს ყოფილა, მარა მთვრალ მდგომარეობაში, ერთხელ, ისიც შემცდარა...

ნასვამ კაცს რომ გზაკვალი აერიოს, რა გასაკვირია! ამდგარა და ძველ „ნაშასთან" მისულა. იმასაც უსარგებლია ამის უმწეო მდგომარეობით და ბანჯგვლიან გულმკერდზე პომადით მცირე უსტარი მიუწერია კანონიერი მეუღლისთვის: შენი ვახტანგი ჩემთან არის და არ ინერვიულოო!

როგორო?!

ქალბატონი ნუნუ ჭინჭიანად გადარეულა:

— შე უსვინდისო, იმ გათახსირებულში როგორ გამცვალეო.

— რა იყო, ბოშო, რა გაყვირებს? — დაინტერესდა ვახტანგი.

— რა და ჩეიხედე სარკეში... რას მწერს ვიღაცა ქალი — იკივლა ნუნუმ.

ჭყონიძე აზრზე მოვიდა და ზურგი მიუშვირა ცოლს:

---

*ჯოზეფ ადისონი: კარგი წიგნი საჩუქარია, რომელიც მწერალმა მკითხველს მიუძღვნა.*

*ილია ჭავჭავაძე: არც უწიგნურობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა. უწიგნოდ მოკლეა თვალთახედვის ისარი.*

— შენც აიღე და მიწერე პასუხი! — ნახა გამოსავალი.

* * *

ჭყოიძემ საბურთალოს ძველ ბაზართან, სადაც აქლემიდან ნემსამდე ყველაფერი იყიდებოდა, ფეხმძიმე მეუღლე მიიყვანა და უთხრა: აქ დამელოდე, შენი ზომის ფეხსაცმელს ვიყიდი და გამოვალო.

შესვლა მისი ნება იყო — გამოსვლა კი... საღამოს ძლივს გამოიტანეს მთვრალი და ცოლს ბოდიში მოუხადა:

— რა მექნა ბოშო, ტუფლი ვერ ვიშოვნე და ღვინო შემხვდა იაფადო!

* * *

ჭყოიძე ბაზარში ლობიოს გამყიდველს შეევაჭრა. ძვირი დაუფასეს?!

ვახტანგმა იკითხა:

— ეს ლობიო ხმოვანია თუ უხმო?

* * *

ვახტანგმა სტადიონზე მეზობელს გაზეთი სთხოვა — სკამზე დავიფენ და დავჯდებიო.

ამ უკანასკნელმა უარი უთხრა — ახალი გაზეთია, ბატონო, ჯერ არ წამიკითხავსო.

— კაცო, მე საჯდომზე საშლელი კი არ მაქვს, რომ წავშალო, რაც მაქ წერია — ცერად ამოხედა ჭყოიძემ გაზეთის პატრონს.

* * *

რაიონში უცბად ექიმი დაჭირდათ და ეცნენ ვახტანგს. მიიყვანეს. ახედ— დახედა, გახედ— გამოხედა, სპირტი მოითხოვა, წყლით გააზავა, ჭიქა ანია და თქვა:

ამას აღარაფერი ეშველება და ჩვენ გაგვიმარჯოსო!

* * *

ჭყოიძე და კალატოზიშვილი (პანკა) მუშტაიდის ბაღში, ტირში შევიდნენ და სროლაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ვახტანგმა ვერაფერი გაიგო — სად უმიზნებდა და სად ხვდებოდა ტყვია... ძველი ნაფრონტალ-ნახიშტარი პანკა კი ტყვიას-ტყვიაში აჯენდა.

გაბრაზებულმა ჭყოიძემ ნიძლევში გამარჯვებულს მიმართა:

*საწარმოთა ხელმძღვანელების საქმიანობა".*

*ალბათ იმიტომ, რომ მელნის ტბაში თუ ჩაყვინთავე, მერე ძლება იქედან ვეღარც ამოყვინთო; მეცხრე ცაზე გაფრინდე და ისე გაჭრინო, რომ დაფრენა დაგავიწყდეს; მიწას მიწყდე... ილიასი არ იყოს ღმერთთან ილაპარაკო, რომ „წარუძღვე წინა ერსა"; „ბუნების ნათავხედარი", გარემოების საყვარი" ხან უზნური უნდა იყო · ხან ბრძენი!" (აკაკი).*

*როგორია!*

*წინათ მგლის მოკვლაზე, როგორც მოგახსენეთ, დიდი ჯილდო იყო დანიშნული ახლა პირიქით. ჯარიმა! მგელი ტყის სანიტარიაო! ახლა ყველაფერი თვალსა და ხელს შუა იცვლება. მგელი მგლობას იშლის და ადამიანს ძალზე უფრო მეგობრობს. ტყისკენ კი, ერთი თვალი იმას უჭირავს, ვინც ორივე თვალს იფხებს მაყუთის დანახვაზე!*

*ფაკემი, კაცმგლები, რამდენიც გინდა „მაგრამ მგელკაცი?" მატბერაშვილის ქუჩაზე მომწ-*

— შე შობელძაღლო, ასეთი სროლა თუ იცოდი, „პლენში“ რა გინდოდა!

* * *

ცოლის დაქალებმა ტელეფონზე დარეკეს და ოჯახი მოიკითხეს.

— როგორ ხართ?

— როგორ ვიქნები, — უთხრა ნუნუმ, — წუხელ ისევ მთვრალი მოვიდა ვახტანგი და შარვალი მე გავხადე...

ჭყოიძემ პროტესტი განაცხადა:

20 წელიწადია, მე გხდი, მარა ჯერ არავისთვის არ მითქვამს, შენ კი ერთხელ გამხადე შარვალი და ქვეყანა შემიყარეო!

* * *

მოსაშვილის დედა, მისი შვილის მეგობრებს ფანჯრიდან ხელის გაქნევა— გამოქნევით ანიშნებდა — აჩიკო სახლში არ არისო (მალავდა).

გაბრაზებულმა ვახტანგმა ერთხელ ძმაკაცს უთხრა: ეგ დირიჟორი ვინ დაგიყენებია ფანჯარაშიო?!

* * *

ერთხელ ჭოკივით მაღალ, გამხდარ და აწონილ ჭურტუ ლორთქიფანიძეს უთხრა:

ბიჭო, რავა გლუკოზის შპრიცს დამსგავსებიხარო!

* * *

ვახტანგ ჭყოიძე და კუკურა ჟღენტი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, განუყრელი მეგობრები იყვნენ. დედის მუცელში ერთად არ ყოფილან, ერთად არ დაბადებულან, თორემ მერე მათი გზები არასოდეს გაყრილა... თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას და იყო ერთი ასეთი შემთხვევაც და ამაზე მთელი ქალაქი ლაპარაკობდა. მეც სწორედ ეს უნიკალური შემთხვევა მინდა გავიხსენო.

ერთ მშვენიერ დღეს ბატონი კუკური თბილისიდან აორთქლდა... ისე, რომ არავინ, თვით ჭყოიძეც კი არ გაუფრთხილებია...

თბილისელი ბიჭები საგონებელში ჩავარდნენ... ვახტანგს დანა პირს არ უხსნიდა... აღარ იცოდა, ვისთან დაელია ვახტანგური!..

მეორე მშვენიერ დღესვე დაკრა იმანაც ფეხი და თავის სიცოცხლეში ერთხელ, რამდენიმე დღით გაგრაში წავიდა... მოდის, მოიჯგიმება ბულვარზე ძველი გაგრიდან ახალში და ჰოი, საოცრებავ — აგერ, ახალი გაგრიდან — ძველში, უკანალზე ხელებდაწყობილი კუკურა ჟღენტი არ მოაბიჯებს?!..

— ოჰ... სალამი ბიჭებს...

— საიდან— სადაო?.. იკითხა ცოტა შეცბუნებულმა კუკურიმ, რომელმაც

---

*ვიქტორ ჰიუგოს ჰკითხეს: რითი იზომება ხალხის სიდიადე?*

*ჰიუგომ მიუგო: მე ვეტყვით. რითი არ იზომება ხალხის სიდიადე — რაოდენობით!*

ძალიან კარგად იცოდა, ამ მოულოდნელი შეხვედრის მოსალოდნელი შედეგები...

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ვახტანგმა.

კუკური ძლენტმა მხრები აიჩეჩა:

— რას უნდა ვაკეთებდე, შე ჩემა, ვისვენებ!

— სად დაიღალე, შე მამაცხონებულო? — გულწრფელად დაინტერესდა ვახტანგი.

* * *

გაგრაში ერთად არ წასულან, მაგრამ თბილისში კი ერთად დაბრუნდნენ და თბილისელ ბიჭებსაც მეტი რა უნდოდათ... იმ ხანებში სულ მათ საკურორტო თავგადასავლებზე იყო ლაპარაკი.

— გაგრაში თუ იყავით, რატომ არ გამავედით? — ვიღაცას ამაშიც შეეპარა ეჭვი.

— ბოშო, რესტორანში რომ კაცი შავდებოდეს, კუკურა ძლენტი კასიუს კლეი იქნებოდა, — ასაბუთებდა ჭყოიძე.

* * *

უთენია, ხაშის საძებნელად გამოსულ ჭყოიძეს, უთენია სამსახურში მიმავალმა ქალბატონმა ვიქტორია სირაძემ მანქანა გაუჩერა და ჰკითხა: ასე ადრე საით გაგიწევიათ, ბატონო ვახტანგ?

— სახლში რადიო გამიფუჭდა და ამხანაგთან მივდივარ, ბატონო, ჰიმნის მოსასმენად, — ძარღვი არ შეტოკებია, ისე უპასუხა.

* * *

ზამთრის პირია. სუსხავს. ვიღაცა სოფლიდან ჩამოსული (სეზონის გიჟს რომ ვეძახით), „ბასანოშკებიანი" ტიპი დგას ქალაქელებში და თავის სასიყვარულო თავგადასავლებს ჰყვება... როგორ დაახარჯა ერთ ქალს ათასები; როგორ შეტენა მეორეს ათიათასები; როგორ დააბა მესამე ასიათასებით... დგას ჭყოიძე და იობის მოთმინებით იტანს ამდენ ტყუილს და ელოდება, როდის წამოცდება ამ მამაცხონებულს — შევიდეთ, აგერ რესტორანშიო... მარა, შენც არ მომიკვდე...

ამ „ბასანოშკებიანმა" ვაჟკაცმა გული იჯერა ტრაბახით... და ის იყო, ხელი ასწია და უნდა ეთქვა — „პაკა— პაკაო", რომ ჭყოიძემ სტაცა ხელი ხელში, შეაჩერა! დახედა სეზონისთვის სრულიად შეუფერებელ მის მიჭრილ-მოჭრილ, ფარღალალა ფეხსაცმელს და ამრეზით უთხრა:

— ბოდიში, ბატონო, თქვენ ფეხზე ოფლი ხომ არ იცით?

*ვანი თვალებიანი მორუხ-მოყვისფრო ითხედებს თუ დაინახოთ (ცხვართან ერთად მისდიონ). არ გავიწყდეთ ღმერთი და ძაღლი არ გვეგონოთ. ის ნამდვილი მგელია ცოცხას შთამომავალი, მონადირე ზურა ბედენაშვილის მეგობარი, რომელიც პეცრონმა ისე მოინადირა, რომ ბეთანიაში ცეცხლი გაუშვა. მაგრამ მგელმა მხეცებთან ყოფნას ისევ ადამიანებთან ყოფნა არჩია... პოდა, ერთი შეუშვლა თავის თანამოძმეებს და ცეცხლს ზურგი შეაქცია!*

*რა დროა?*

*მაიმუნები ჩამოდიან ხიდან - ადამიანები კი ხეზე ასვლას აპირებენ. ამბობენ: ჩქარა დადგება ის დრო, როცა ხანამ ვირი ხეზე ასვლას ისწავლისო!*

*„მალე სასამართლოს დარბაზებში, არა მხოლოდ მოქალაქეთა, არამედ ჟურნალისტების თვითნებური მისვლა-მოსვლაც შეწყდება... მოსამართლის ჩაქუჩის დარტყმა გაძევებს, 300-ლარიან ჯარიმის ან 30-დღიანი პატიმრობის მაუწყებელი*

* * *

იმერეთში შორებელ ნათესავს ესტუმრა. მთელი ოჯახი ერთ ვარიას დასდევდა და არ თუ ვერ იჭერდა... ეშმაკმა იცის.

ვახტანგი აივანზე გადმოდგა და მასპინძლებს თავისი აზრი გაუზიარა:

— რას დასდევთ, ბოშო, მაგ სანყალ ვარიას... თუ, მაინცდამაინც, არ იშლით, აგერაა კაკლის ჩეროში დაბმული ინდაური და...

* * *

ჭყოიძეს ოჯახის ნევრები შეუჩნდნენ, ქალი ვიყიდოთო.

— თქვენ იყიდეთ, თვარა მე ქე მაქვს — თქვა ვახტანგმა.

— რავა, მეორე ოჯახი გაიჩინე თუ, სადა გაქვს ქალი, შე გათახსირებულო? — შეიცხადა ცოლმა.

— სად და რესტორან „თბილისში" — უპასუხა ვახტანგმა.

* * *

— რატომ არ მოხვედით კრებაზე? — მკაცრად მოკითხეს ჭყოიძეს.

— რა ვიცი, ბოშო, დახურული კრებააო და კარებს ხომ არ შემოვამტვრევდი!.. — თავი იმართლა ვახტანგმა.

მეორე შემთხვევაში კი ექიმ ვახტანგ ჭყოიძეს პოლიკლინიკის პარტორგანიზაციის მდივანმა ბოდიშით სთხოვა: უნდა დაგვტოვოთ, დახურული კრება გვაქვსო.

— დახურული, თვარა, მაცი ხვიტიასავით ბუხრიდან არ ჩამოგიხტეთ ვინმე, — ინყინა უპარტიო ამხანაგმა.

* * *

ვახტანგს საკუთარ სახლში ქეიფი ჰქონდა და თამადაც თვითონ იყო. სუფრა კი აიყვანა ხელში, მარა ოჯახის ნევრებს ვერაფერი მოუხერხა. როცა ცარიელი ბოთლებით გაივსო მაგიდა, ჭყოიძემ მაგიდაზე ხელი დაკრა და იყვირა:

— სანამ „ბატი — ბუტი" არ ჩამეივლის ეზოში, ამ ცარიელ ბოთლებს არ მოაშორებთ აქედან?

* * *

...იყო ბავშვობაში ასეთი თამაში: „ვისი სული გსურს?" ხან ვისი სული გიბერავდა სულს, ხან ვისი სული გენაცვლებოდა სულში... ახლა, „სკაპენის ოინებივით" ისევ ნიაზა და ქართლოსას ეშაყირები!

ქართლოსი ქალთან ერთად მიდიოდა. ნიაზი შეხვდა.

— გაიცანი ნიაზ, ჩემი მეგობარია, — უთხრა ქართლოსმა.

ქალმა ხელი გაუნოდა და კეკლუცად ნარმოთქვა თავისი სახელი „ოლიმპიადა".

— „სპარტაკიადა" — შეაგება ხელი ნიაზმა.

---

*ქართლის მატიანეში არის ასეთი გამოთქმა: „პპოვეს ჟამი მარჯვეი"!*

*მურვან ყრუს შემოსევის ყველაზე სამინელი ჟამი კი ასეა აღნერილი: „არღარა იპოვებოდა ნიშნები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლადვეო".*

— რა ღირს ძროხა?
— 3000 მანეთი.
— კონიაკს ინველის?

* * *

ნიაზი მოსკოვში ჩავიდა, მატარებლის კარებში დადგა და „ნასილჩიკო" — დაიძახა... მალე მის გარშემო უამრავი მეკურტნე შემოიკრიბა.

— „პრივეტ ოტ ტბილისკიხ ნასილჩიკოვ!" — გადმოსძახა მოსკოველ მეკურტნეებს ნიაზმა.

* * *

— ნიაზ, გუშინ ტოლსტოის მოთხრობა წავიკითხე — „ომი და მშვიდობა" — უთხრა მეგობარმა.

— ეგ თუ მოთხრობაა, მაშინ ეგნატე ნინოშვილის „გოგია უიშვილი" დეპეშა ყოფილა, — უპასუხა ნიაზმა.

* * *

ნიაზს რესტორან „გემოსთან" ჯემალ ფაღავა შეხვდა.

— გილოცავ, ნიაზ, გასაბჭოების 37 წლისთავს.

— ორმოციც მალე მოგელოცოს, — მიუგო ნიაზმა.

* * *

არის, კაცი მოკვდება და არ მიწდება,
გადის დრო და არაფის არ აეწყდება,
ხან იცინის, ხან თვალები ეცრემლება,
ვერის უბანს ნიაზი რომ ახსენდება...
მოკვდა კაცი, ხალხმა ცრემლით რა იხილა —
სასიკვდილე სიკვდილმაც კი... გაიღიმა.

ეს ვილაცის ლექსი ნიაზის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ იპოვეს მისმა ახლობლებმა ფოსტის ყუთში.

* * *

ნიაზი თეატრალური ინსტიტუტის რექტორთან შევიდა კაბინეტში.

— ბოდიში, აქ ერთი ჩემი ნათესავი აპირებს ჩაბარებას და პირობები მინდა გავიგო.

— მაინც, რა გაინტერესებთ? — ჰკითხა რექტორმა.

იქნება" (გაზ. „კვირის პალიტრა" 12-18.09.05)

ანუ, რომ ჩაქუჩს დამოკლეს მახვილის ძალა ეძლევა.

ეს, სოციალისტური გერბის - ჩაქუჩ-ნამგლის სამიმი პარალელის და რევოლუციის შემდეგაც ამ სიმბოლიკის საზეიმო მიღებასთან დაკავშირებული ერთი ლექსპრომტი გამახსენა. რომლის ავტორი სერგეი ესენინია. ჩაქუჩისა და ნამგლის ერთობას სწორედ მან მიუძღვნა ეს ექს-ლექს-პრომტი!

**Серп и молот - молот, серп -**
**Это наш Советский герб!**
**Хочешь жни и хочешь куй -**
**Всеравно получищь ...** „ჯი"!

ანუ ასოს... ერთი ასოს გამოკლებით!

მაინცდამაინც ვინდათ, „ევროპაში" გადამიყვანოთ და ცუდი სიტყვა წამომაცდენინოთ? ცოტა თქვენც გაახაძენეთ ტვინი!

აირია მონასტერი!.. და ვინმე ჰუსეინ, ვინმე ალის 8.000.000 აშშ დოლარში გადამგდებს ადვილსამყოფელის დადგენისათვის

— სარეჟისოროზე რამდენ კაცს იღებთ?
— ოთხს.
— ოთხი რა, ნავია?!

* * *

ნიაზი პოლიტეკონომიაში აბარებდა გამოცდას. ლექტორი მეტისმეტად მკაცრი და მომთხოვნი იყო, უცოდინარს ნიშანს არაფრით დაუწერდა. მასთან არც ნაცნობობა გადიოდა და არც პროტექცია ჭრიდა.

ნიაზიმ მხოლოდ მეცამეტე ბილეთის საკითხები ისწავლა და ისე გავიდა გამოცდაზე. მისი რიგი რომ მოვიდა, მივიდა მაგიდასთან, აიღო ბილეთი, დახედა და უკან შეაცურა ბილეთებში.

— რატომ გადამალეთ ბილეთი? — გაუბრაზდა ლექტორი.

— სხვა ბილეთს ავიღებ, თუ შეიძლება. მეცამეტე შემხვდა, თარსი რიცხვია!

— არავითარ შემთხვევაში... მიპასუხებთ იმ ბილეთზე, რომელიც შეგხვდათ!

* * *

ჟურნალ „ნიანგში" ჩემი ერთ-ერთი ხელდასმული ნიჭიერი კაცის — ტატო იოსებიძის მამა, ძველ ქალაქელ მემუსიკეთა ძველი თბილისური ამქრის სულისჩამდგმელი — იოსებ მიკირტუმოვი იყო, მეტსახელად „ჩოფურა" (ნაყევავილარის გამო შეარქვეს). საქვეყნოდ განთქმული მედუდუკე ტალგაუკოვი და სხვათა დასტები მისი აღზრდილები და დოსტები გახლდნენ. ლამის, ყველა აღმოსავლურ ინსტრუმენტზე უკრავდა ბაზაზ იაგორას შვილი. ანა ვარდიაშვილსაც ის აძლევდა აკომპანიმენტს... რუსთაველის თეატრშიც მოღვაწეობდა. 3— 4 (მოსკოვში გამოცემული) ფირფიტა დღესაც ტრიალებს ძველ თბილისურ ოჯახებში და ძველ თბილისელებს ძველ თბილისურ სულს გვიტრიალებს... ჰაი, დედასა! რა ჰანგი, რა ხიბლი, რა სიტყვა, რა პასუხი!..

ჩოფურასთანებმა შექმნეს განუმეორებელი ხატი მრავალხმიანი, მრავალფეროვანი, მრავალენოვანი, მრავალეროვანი და ერთსულოვანი თბილისისა.

გაანათლოთ!

ტატო იოსებიძე:

კახელ მიხოს თოკი მოუბამს წელზე და ხეზე კონწიალობს.

— რას აკეთებ მანდა? — ეკითხება ბრიგადირი.,

— მარცვლეულის გეგმის განაღდებას ვერ ვახერხებ და გადავწყვიტე, თავი ჩამოვიხრჩო.

— თავის მოკვლა თუ გინდა, მუცელზე კი არა, ყელზე უნდა მოიჭირო ბანარი — ურჩია ბრიგადირმა.

— განა არა ვცადე... ალალად თქვა მიხომ — მაგრამა, ეგრე სული მეხუთება, კაცო!

---

*ვაჟა-ფშაველა: „ადამიანის გონება ყველას და ყველაფრის დაბერებას შეურიგდება... ერის სიბერის გარდა!*

* * *

— კახეთელაშვილს დაუძახეთ ტელეფონზე?

— ეს კახეთელაშვილის ბინა არ არის.

— მა, რატო იღებ ყურმილსა!

* * *

— აქ ნაკრძალია და თევზაობა არ შეიძლება. გადაიხადეთ ჯარიმა — დაადგა თავზე მოანკესე მიტუას ეგერი.

— თევზი მე არ დამიჭერია და ამ ანკესზე ნამოგებულ ჭიასა კი სადაც მინდა, იქ ვაბანავებ.

* * *

სატირალი ამბავია — სასაცილო რომ არ იყოს.

ორი ხანშიშესული კაცის დიალოგი:

— 5 წელია შვილი არ გვიჩნდება.

— ჩვენ 10 წელი არ გვიჩნდებოდა, მაგრამ გავაგზავნე ცოლი წყალტუბოში და... გაგვიჩნდა. შენც გირჩევ, ასე მოიქცე...

— ვცდიდი, მაგრამა — ის კაცი ახლაც წყალტუბოში იქნება?..

* * *

მეზობელს იოსებასაგან ძაღლი უყიდია.

— სულ იმის ნუნუნში რომა ხარ, ჩემს ეზოში სხვას რა ხელი აქვსო... აგე, ჩემი ძაღლი!.. იყიდე და ბუზს არ გააჭაჭანებს — უთხრა იოსებამ თავის ნუნურაქ მეზობელს და 70 თუმნად მიყიდა თავისი უნჯინარი ბომბორა, რომელსაც ისე გადააბიჯებდა კაცი, უკანაც არ მოუხედავდა.

მეზობელმა უყურა, უყურა... ჯერ ძაღლს გაუჯავრდა, მერე მის ძველ პატრონს — ყეფა მაინც გესწავლებინა, შე ოჯახქორო, ეს რა ძაღლია არავის არ კბენსო.

ჩოფურამ უთხრა:

— მე მაგისთვის ის კი არ მისწავლებია, რომ მეზობლები დაკბინოს... მე გითხარი, ბუზს არ გააჭაჭანებს-მეთქი.

— ბუზების დასაჭერად „მუხამორი" გამიგია — უპასუხა ძაღლზე უფრო გაავებულმა მეზობელმა.

* * *

ეს იმდროინდელი წვერებიანი ხუმრობაა, როცა რადიო ახალშესული იყო სოფელში. კედელზე ეკიდა

დაწესებულია 30.000 აშშ დოლარიანი პრემია და ა. შ. ანუ „ასე შემდეგ!".

იარის მონასტერი.

ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს...

მოყვარე მტერს ვეღარ არჩევს.

მტერს — მოყვარე — მტრობს თუ ძმობს?..

ასეთ დღეში, ეტყობა, ოლესლუქ. ჩვენი წინაპარიც იყო. აბა, ზესტაფონში რამ აალებანათ ხელში ზანდიანი გოტარს და რამ დაამღერებინათ ზედ: „ეი...ეირის მონასტერი...

ყველგან გაქრა ყველი და პური.

ძაღლი... ძაღლი პატრონს ვეღარა ცნობს.

იაპო... იაპონიას - პორტარტური!"

პორტარტურს ტიროდა ვითომ?

თავის სატირალს ტიროდა და იმასაც ვერ ამხელდა.

ამ სახელმწიფო ქრთამებით მაინც. ხალხი მთლად დააბოზეს და ეს არი!

ჩემი შვილიშვილის კლასში, თურმე, დაბეზღებს ხასნაელი პროგრამითაა გათვალისწინებული და არა გათვალისწინებული.

ყურის ფორმის დიდი შავი თეფში და ყურდაცქვეტილი ხალხი პირდაღებული უსმენდა.

კახეთში ერთ ასეთ ეპიზოდსაც იხსენებენ...

დედაბერი ოთახს ხვეტავს.

— დილა მშვიდობისა, — მიესალმება რადიო ქვეყანას.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, შვილო — ჩიფჩიფებს დედაბერი.

— ვიწყებთ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს...

— ინყებ და დაინყე... — ეპასუხება.

დიდხანს „ამხნევა" რადიომ მოხუცი ქალი, ხასიათზეც მოიყვანა, მაგრამ, ბოლოში სულ აურია.

— დააფინეთ ფარდაგი, დანექით... იძლევა განკარგულებებს კაცის ბოხი ხმა, — ანიეთ ერთი ფეხი... კარგია... ახლა მეორე...

დედაბერმა ცოცხი მოუქნია ამ „უნამუსოს" და დაუცაცხანა:

— მეხი კი დაგაყარე, მაგ ქოქრუა თავზედა... როგორ მიბედავ... შენოდენა შვილიშვილები მყავს!

...ეჰ, იყო ასეთი დროც... და, თანაც, არც თუ ისე დიდი ხნის წინ.

* * *

ჩოფურას დასტა „მეფისტოში" უკრავდა. ერთხელ უჯამაათო რესტორან— სარდაფში ერთი ტიპი სადილობდა, სამთუმნიანი ამოუღია და ოფიციანტისთვის მიუცია — ხურდა მეზურნეებს ექნებათო.

ჩოფურამ უთხრა — დღეს ქესატათა ვართ, თუ გინდა ხურდაში შალახოს გაცეკვებთო.

* * *

რაიმილიციის უფროსთან აღელვებული ქალი შევარდა: ვიღაც მუტრუკი მეუბნება, უნდა გიქნაო.

— რაო, რაო — ნარბი შეყარა მილიციის უფროსმა... როგორი შესახედავი კაცია?..

კეხიანი ცხვირი აქვს? საცრისხელა თვალები? ცხენივით კბილები და ვირივით ყურები?

— დიახ, ბატონო.

— ოოოო, ეგა გიზამს! — „დაამშვიდა" უფროსმა.

თაგვმა კატას სოროში შეასწრო და თავს უშველა. კატამ ხერხი იხმარა — სოროსთან აიტუზა და ძაღლივით აყეფდა. წრუწუნამ იფიქრა — სადაც ძაღლია, იქ კატას რა გააჩერებსო, სოროდან თავი გამოყო... და ნააგო კიდეც — ამ მამაძაღლმა კატამ იქვე გასკვანწა. გაჭირვებაში ჩავარდნილი ჭკუაშიც ჩავარდა — ძაღლისა და მამაძაღლის ხმა ერთმანეთში როგორ უნდა აგერიოს — ერთი უცხო ენა კი უნდა იცოდეს კაცმაო!

---

*იმუნიტეტი — ნაძირალათა თავშესაფარს ჰგავს.*

*ჯანდაბაში წასვლას — ახალდაბაში წასვლა გერჩივნოს!*

*კრიმინალური ფილოსოფია: (ტელეშოუდან) კანონი არის ობობას ქსელი, რომელშიც ბუზები ებმებიან და კრაზანები გლეჯენ.*

* * *

ერთ ეზოში, ერთი სახლიდან სულ კატის ჩხავილი ისმოდა. მეზობლები მეზობლებს მიადგნენ — ამისთანას რას უშეებით, მაგ უბედურსო?

— ყოველდღე ებანთო, — უპასუხეს მეზობლის ბავშვებმა.

— კატებს ჩვენც ვბანთ, მაგრამ ჩხავილით ქვეყანას არ აქცევენო — თქვეს მეზობლებმა.

— თქვენ, ალბათ, არ წურავთო!

* * *

— მთელი ღამე გავიტანჯე, კაცო, მატარებელში, — შესჩივლა შინაურებს რაჭველმა, — ხომ იცით, ზემო სანოლზე, მე სული მეხუთება.

— მერე, ვერ გაცვალე ქვედა ადგილში?

— კუპეში არავინ იყო და ქვე ვისთვის გამეცვალა?!

* * *

თუთიყუშს პატრონისაგან რაც ესმოდა, ყველგან იმას იმეორებდა — უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა მთავრობას. პატრონმა იფიქრა, ეს მე შარში გამხვევსო და ამ მზეთუნახავს საქათმეში უკრა თავი. აქ კი მამლებმა ჩვეულებრივი დედალივით დაუწყეს „დაპადხოდება".

თუთიყუშმა ველარ მოითმინა ამდენი დამცირება და ქათმების მიტინგზე განაცხადა:

— თქვენ მე პროსტიტუტკა ხომ არ გგონივართ, მე აქ პოლიტიკურზე ვზივარო!

სამი დღე და ღამე მედუდუკეები ქორწილიდან არ გამოუშვიათ. მესამე ალიონზე ვილაც მაყარს დაუძახნია — ტუში, ტუშიო... მაგრამ ჩოფურას სწორედ ახლა ჩაძინებია და დუდუკი პირიდან გავარდნია.

— ვა, ჩოფურ, ჩაგეძინა? — შეანჯღრია მაყარმა.

— რა გიკვირს, შე კაი კაცო, მე კი არა მთელ ქალაქს სძინავსო. — უპასუხა ჩოფურამ.

* * *

ერთმა ელამმა კაცმა ორი კაცი გალახა.

— არ გრცხვენიათ, კაცო, ერთმა ორი როგორ გაგლახათ? — უთხრეს რაჭველ ძმებს თანასოფლელებმა.

— გაგვლახავდა, აპა, რა იქნებოდა — იმას უყურებდა და მე მირტყამდა, მე მიყურებდა და იმას ურტყამდა... ქვე ვერაფერი გავიგეთ მისი.

კიდა. გვეზრდება ეს „პაველიკ მოროზოვებისა" და ჩამშვებების „დედა რა ენახე" თაობა.

ნეტა „ხულიგნის" მოძებნაში რამდენს გადაიხდიდა ეს მთავრობა.

ერთ „ხულიგნის" დროინდელ „მოგე-ლავე" ქართველს, თურმე, პარიზის ბორდელში ქალი მოართვეს და ისიც ქართველი... და ისიც „ხულიგა" გადარეულა ეს ქართველი და უყვირია ქართველი ბოზისთვის: რა გინდა გოგო აქ?.. მთელი საქართველო შენ დაგეძებს: „სადა ხარ ჩემო „ხულიგნო" და შენ აქ დაბოზაობ?"

გაბრაზებულა და ქალზე საერთოდ აულია... ხელი იყო თუ, ფეხი იყო... მოკლედ, რაც იყო!..

ასე ყოფილა ეს-აკა!

ცნობილი გიდეონ მეპკერგირი ამშ-ს ექსპრეზიდენტს, ბილ კლინტონს ქალიშვილის - ჩელსის ხელს თხოვს. სანძლად კი, აფრიკული ტრადიციების მიხედვით, 20 ძროხას და 40 თხას იძლევა.

...სიძე, მე ძვე-

* * *

მეგრელმა, ცოლის გაუფრთხილებლად, მეგობარი მოიყვანა სახლში ახალგარემონტებული ბინის დასათვალიერებლად.

— ეს, შესასვლელი ჰოლი, — თავმომწონედ დაიწყო ექსკურსია... ეს „ზალა", ჩემო ბატონო... ეს ჩემი კაბინეტი... ეს კიდევ... შეაღო საძინებელი ოთახი და ზედ თავზე წაადგა ლოგინში ცოლსა და საყვარელს?!.. ეს... ცოტა კი შეყოყმანდა მასპინძელი, მაგრამ მერე ისევ რიხით განაგრძო და ჩაამთავრა — ეს... ჩვენი „სპალნა", ეს — ჩემი ცოლი და ესეც მე... მიუთითა უცნობ მამაკაცზე...

* * *

სოფელში მივლინებით ჩასულ ინტელიგენტ ქალაქელ კაცს ღამის გათევა დაჭირდა და ერთი ქვრივი ქალის სახლი მიასწავლეს.

მასპინძელს ჭკუაში კი დაუჯდა სტუმრის მიღება, მარა ცოტა გაინაზა:

— მარტოხელა ქალი ვარ და ხალხი რას იტყვის?

— რა უნდა თქვას, ქალბატონო, მე ჯენტლმენი კაცი გახლავართ.

სულო ცოდვილო, რას ნიშნავდა სიტყვა „ჯენტლმენი", სოფლელმა ქალმა კარგად ვერ გაიგო, მარა სიტყვას ხომ არ შეუბრუნებდა.

მოკლედ, იმ ღამეს, იმ მთვარესავით ქალმა, მთელი ღამე, მართლაც მთვარესთან გაათია — აგერ ახლა შემომიღებს კარებს ის უცნობი კაცი, აგერ ახლაო, მარა არ შეგჭამოთ ტარაკანამ — სტუმარი მთელი ღამე არხეინად ხვრინავდა. როგორც იქნა, დაადგა საშველი და გათენდა. გაწბილებული დიასახლისი გადმოდგა აივანზე და თავის ყოველდღიურ საქმიანობას შეუდგა, რაც, პირველ რიგში, ქათმების დაპურებით იწყებოდა.

— ნია-ნია-ნია... გადასძახა გახვითქინებულმა ქვრივმა შინაურ ფრინველებს და გაივსო ეზო ქათმებით... ეჰ... საკენკი იყოს თვარა, მკენკავს რა გამოლევს? — გაიფიქრა ქალმა და სტუმრის ოთახისკენ გააპარა მზერა. იმის ეშმაკი გამხადა, გამაგებინა — ნეტაი, ამ კაცს რა „საკენკი" სჭირდებაო. ამასობაში, ჰალსტუხის სწორებითა და პირზე ხელაფარებული, ზრდილობიანი მთქნარებით, აივანზე ეს ჯენტლმენი კაციც გამობრძანდა, მასპინძელს მდაბლად დაუკრა თავი და უთხრა:

რამდენი მამალი გყოლიათ, ქალბატონოო!

— აქ მამალი ერთია, ბატონო, დანარჩენები „ჯენტლმენები" არიან — აუხსნა ქალმა.

* * *

დაბინტული კალია ყავარჯნებით მოდის.

— ავარიაში ხომ არ მოყევი? — ეკითხება ხარაბუზა.

— არა, კაცო, — კვდება სიცილით კალია, — წუხელ, ღამე, ცოტა ნასვამი ვიყავი... ციცინათელა შემხვდა გზაში, კოცნა დავუპირე და... დაიწვას ჩემი დამწველი — თურმე პაპიროსის ნამწვი ყოფილა?!

---

*ღმერთი ერთს თქმის უნარს აძლევს, მეორეს – მოსმენის ნიჭს. ახლა: მსმენელი – ლაპარაკობს, მთქმელი – ისმენს და არ გვესმის ერთმანეთის!*

ქეიფიდან მანქანით გიჟივით მომავალნი... პირდაპირ საავადმყოფოში მოხვდნენ. ზოგს თავი ჰქონდა გატეხილი, ზოგს ფეხი ჰქონდა მოტეხილი... ზოგს — კისერი და კინჩხი... ექიმიც მთვრალი დახვდათ და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— რას გვიყურებ, ექიმო? — იკითხა გონზე მოსულმა ერთ-ერთმა ავადმყოფმა.

— ისე ხართ ნანილ— ნანილ დაშლილი, არ ვიცი, რა ვქნა!.. — ალალად უთხრა ექიმმა.

— ორი კაციდან, ერთი კაცი მაინც აანყვე, შე კაი კაცო!.. — ურჩია ავადმყოფმა.

## მოარული ხუმრობები

მატარებლის კუპეში რაჭველი ვიღაც ქალთან ერთად მოხვდა. გაიხადა, დანვა და ის-ის იყო, ხერინვა უნდა ამოეშვა, რომ უცნობმა ქალმა გადაბრუნება არ აცალა და უთხრა — თავს ცუდად ვგრძნობ, მცივა, მნყურია და იქნება, რამე მიშველოთო.

რაჭველმა ჯერ თავის საბანი ათხოვა, მერე პალტო გადააფარა, მერე კოსტიუმი... არაფერმა უშველა.

ქალმა უყურა-უყურა და ველარ მოითმინა:

— მე, ბატონო, კაცი მინდა, კაცი... კაცის გარდა, ახლა, ვერაფერი მომარჩენსო.

— ამ შუაღამეს, სად ვეძებო ახლა მე კაცი... საგონებელში ჩავარდა... კაცი!

* * *

რაჭველი ორი ნლით საშოვარზე იყო ნასული. სახლში რომ დაბრუნდა, ცოლი ფეხმძიმედ დახვდა?! რაა ესო? — იკითხა და ის იყო, ერთი ვაიუშველებელი უნდა აეტეხა, ქალმა დაამშვიდა — ა, ამ შენ სურათს და განგებას ვთხოვდი, ჩვენთვის შვილი ეჩუქებინა და აგვისრულაო!

— კიდევ კარგი, ეს მითხარი, ქალო, თვარა, მივლენ— მოვლენდი აქაურობასო — უთხრა ქმარმა. გაბრუნდა და მშვიდად დაიძინა, მარა მერე რა ჭირი ეცა, ეშმაკმა იცის... დილით მის საპასპორტოდ გადაღებულ სურათს დახედა და ცოლს ფაქტზე ნასნრებულივით უყვირა:

ქვე, ჩემი სურათით როგორ დაორსულდებოდი. ნელსზემოდ ვარ გადაღებულიო?!

ლო. ქორწილი არ გამოგვეპარო, იცოდე! ღვინო, გოცარა და ჩქარი ცამი... ჩვენზე იყოს!

ჯერ კიდევ 1945 წლის დალესის მიერ ნათქვამი სიტყვებია: „ჩვენ ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ იმ ძალებს, რომლებიც ადამიანის ცნობიერებას თავს მოახვევენ და მიანერგავენ სექსის კულტს, ძალადობას, სადიზმს, დისიდენტობას(!), ერთი სიტყვით, ყოველგვარ უზნეობას"

**P.S.** აი, როგორ „სამოთხეს" გვპირდებიან ძია სემის შთამომავალნი.

ლონდონის კლინიკაში ჩაუტარდა ოპერაციები, რომლის საშუალებითაც ადამიანი თავს აღწევს სირცხვილის გრძნობას. მსოფლიო სტატისტიკის თანახმად, ათიდან ცხრა ადამიანი მეხამბამის სიტუაციაში, უნებურად, წითლდება და, რაც მთავარია, სრულიად ვერ აკონტროლებს სისხლის მოულოდნელ მოწოლას სახეზე. სიწითლის ყველაზე გავრცელებული მიზეზი არის ე. წ.

* * *

სოფელში კორესპონდენტი ჩამოვიდა მოწინავე მწველავის გაზეთში გასაწერად.

— აპა, მინადორა, შენ იცი და შენმა ქალობამ. ქალაქიდან სტუმარია ჩამოსული და ინტერვიუ უნდა მისცე... უთხრა თავმჯდომარემ... მოემზადე!

— რა უნდა მივცე, ბატონო? — იკითხა მინადორამ.

— ინტერვიუ... კვლავ ორჭოფულად უთხრა სოფლის თავკაცმა.

— რაა, ბატონო, ინტერვიუ? — აღარ დამალა გაკვირვება მოწინავე მწველავმა.

— რა ვიცი მე, — ვეღარ დამალა თავმჯდომარემაც... ყოველ შემთხვევისთვის, საცვლები გამოიცვალე.

* * *

ტყეში მეტყევეები თოფ-იარაღში ჩამჯდარ, კბილებამდე შეიარაღებულ რაჭველს შეხვდნენ.

— შენ მონადირეს არ ჰგავხარ, ვინ ხარ და აქ რას აკეთებ?

— რისი მონადირე კაცო, მე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვარ.

— აბა, შენ ყოფილხარ, რაღა დროის მეორე მსოფლიო ომია, რამდენი ხანია, ომი დამთავრდა?!

— მერე, დროზე გეთქვათ, კაცო, გუშინ ორი ხიდი ავაფეთქე!

* * *

ტაქსისტი გარდაიცვალა და პანაშვიდზე შემოლაგებულ სამსახურის მეგობრებს ცოლმა მიატირა:

— ადე, სეროჟ, შენი „სმენა" მოვიდა!

* * *

სომეხს ცოლი გარდაეცვალა. გამოსვენების წინ საყვარელთან (მეზობლად ცხოვრობდა) შეუსწრეს და შეიცხადეს.

— აკოფ, რასა შვრები, კაცო?

— ვიცი, რო?.. — ღრმა „ტრაურში" მყოფი და ჭკუაზე გადასული ჭირისუფალივით შეიცხადა.

* * *

ზამთრის ერთ ბნელ ღამეს სათაფლიის აღმომჩენ პეტრე ჭაბუკიანს, თბილისში ბანდიტები დახვდნენ.

— პალტო გაიხადე! — უბრძანეს.

— გაზაფხულდა თუ?!

---

*არაბული ანდაზა: ადამიანები თავიანთ წინაპრებზე უფრო თავიანთ დროს ჰგვანან.*

*ბორხესის მეტაფორა: „სამოთხე ბიბლიოთეკაა"!*

*აღმოსავლური სიბრძნე: ნუ იტყვი – რაც იცი, მაგრამ იცოდე, რასაც ამბობ!*

— რაც გაქვს ჯიბეში, ყველაფერი პირნმინდად ამოალაგე! — გადაუბრიალეს თვალები.

ბერიკაცმა რაც ჰქონდა, პირნმინდად ამოალაგა და მზესუმზირით აუვსო ხელები თავდამსხმელებს.

... სანამ ფულიანი კაცი ჩამეივლის... თავი შეიქციეთო!

* * *

მატარებლის კუპეში ორი კახელი კაცი ზის ბუსავით გაბუსუნებული და დამდურებულებივით ხმას არ სცემენ ერთმანეთს.

— ხმა ამაიღე, შენი... ასე და ისეო — ველარ მოითმინა და ბოლოს შეუკურთხა ერთმა.

— შენი ასეც და ისეც და ისეც და ასეცო... — შემოუკურთხა მეორემ და ორივეს სახე გაებადრა:

— ეგრე რა, შე კაი კაცო... ვიჭუკჭუკოთ.

* * *

— რა ღირს შენი ფეხსაცმელი?

— 60 მანეთი.

— 30- ს მოგცემ.

— ცალი გინდა?

* * *

— ღლონტი აქ ცხოვრობს?

— ესაა ცხოვრება?.

არა, აქ ძაღლების ოფიციალურ შეჯიბრებაზე არაა ლაპარაკი. აქ, უბრალოდ, ორი მეზობელი სანაძლეოზე აჯიბრებს ერთმანეთს სუფთა ჯიშის გერმანულ „ავჩარკასა" და სრულიად უჯიშო, ქუჩის მანანნალა ძაღლს. ისინი ოთხფეხა მეგობრებს ჩანთაში ფულს უდებენ და ბაზარში საყიდლებზე აგზავნიან, თვითონ კი უკან მიყვებიან და ქულებს აგროვებენ. ნაგაზი მართლაც ბაზარში მიცუნცულებს, ქუჩის მანანნალა კი — ქუჩის მანანნალებისკენ გარბის და ბოლოს ძუკნებში პოულობენ... ახლა, როგორია სეირისმოყვარულ ქუჩის „მსაჯთა" შეფასება:

განერთნილობაში, პირველი ადგილი დაიკავა ჯიშიანმა ძაღლმა!.. ხოლო ჭკუით „დვარნიაშკამ" აჯობა!.. რადგან — პირველი ეგუება და იტანს ამ გაძაღლებულ ცხოვრებას — რასაც უბრძანებენ, იმას აკეთებს... ხოლო მეორე, როგორც კი ფულს იშოვის — მაშინვე ქალებში გარბის!

*სოციოფობია, საზოგადოების წინაშე მუდმივი შიში, ძლიერი მღელვარება თუ უხერხულობის გრძნობა. ფსიქოლოგები 1-2 წელიწადში იოლად კურნავენ ძალზე მორცხვ ადამიანებს. ამჟამად კი, ამ ავადმყოფურ უხერხულობას ხსნიან ქირურგიული ჩარევით. კერძოდ, ექიმი პაციენტს იღლიის ქვეშ გადაუჭრის სიმპატიკური ნერვული სისტემის ერთ-ერთ ნერვს. ამის შემდეგ მას სამუდამოდ მოშორდება უხერხულობის გრძნობა და შესაბამისად, ნებისმიერ სიტუაციაში არ დაიმორცხვებს.*

*„სეგოდნია"*

**P.S.** *მეც არა ვთქვი. ამ ხალხს ნამუსის ძარღვი რამ გაუწყვიტა-მეთქი. თურმე ამ არასიმპატიურ ტიპებს სიმპათიური ნერვი ჰქონიათ გადაჭრილი!*

*რუსეთში საპირველაპრილო ხუმრობები, როგორც სხვა ყველა სიახლე, პეტრე I-ის დროს დაინერგა. 1700 წლის გაზაფხულზე მოსკოვში ხმა გავარდა, — ერთ-ერთი „ჯამბაზი ბოთლში ჩაძრომას აპირებ-*

* * *

დიდი და პატარა ძმა სათევზაოდ წაეიდნენ.

დიდი და პატარა თევზი დაიჭირეს.

გაყოფაზე ჩხუბი მოუვიდათ.

— ძმები არა ხართ, რა გაქვთ გასაყოფი? — ჰკითხეს.

— დიდი და პატარა თევზი გვაქვს გასაყოფი — უპასუხეს ძმებმა.

— პატარამ დიდს უნდა დაუჯეროს — თქვა დიდმა და პატარა აიძულა, თევზი გაეყო. ამასაც, მეტი რა გზა ჰქონდა, ადგა და გაყო — უფროსს პატარა მისცა და თვითონ დიდი დაიტოვა?!

— ეგრეც ვიცოდი! ნიშნის მოგებით თქვა დიდმა ძმამ და ნამუსზე შეაგდო.

— შენ როგორ გაყოფდი? — დაინტერესდა პატარა ძმა.

— როგორ და დიდს შენ მოგცემდი და პატარას მე დავიტოვებდი — დაარიგა უფროსმა ძმამ.

— ჰოდა, რას მერჩი — მეც შენსავით მოვიქეცი! — მხრები აიჩეჩა უმცროსმა.

* * *

სეროჟამ ცოლისაგან ფულის გამოსატყუებლად სახლში თქვა:

100 მანეთად ფორტეპიანო იყიდებაო.

სირანამ უპასუხა: ტყუილიაო...

ტყუილი კია, მაგრამ ხომ იაფიაო — იხტიბარი არ გაიტეხა ქმარმა.

...სეროჟამ, ბოლობოლო, მართლა ძალიან იაფად იშოვა პიანინო (ეტყობა, ცოლს ცოტა მაყუთიც მოუტეხა), თავი გადახადა, მიუჯდა და ერთი და იგივე კლავიშს გულის გამაწვრილებლად ურტყა და ურტყა თითი.

სირანას კიდეც მობეზრდა და კიდეც გაუკვირდა ეს გაუთავებელი „სტოკატო" და ჰკითხა:

— სეროჟჯან, ეს ოვა?.. სულ ერთი და იგივე ნოტა?.. სხვები რო ხელებით... დარბიან და ეძებენ?..

— ისინი ეძებენ, და მე „უჟე" ვიპოვე! — აუხსნა სეროჟამ.

ერთ კახელს ორი ქალიშვილი ჰყოლია და ორი სიძე — ერთი აღმოსავლეთ, მეორე დასავლეთ საქართველოდან. ცოლს უთქვამს — ნადი, კაცო, სიძეები მოინახულე, რა უჭირთ — რა ულხინთო?

ნასულა. ერთისთვის უკითხავს — რასა იქმთ, როგორა ხართო? ამას უპასუხია: ერთ თვეში წვიმა თუ მოვიდა — ჩემი ვენახიანად გავკეთდებიო. მეორეს უთქვამს: თუ წვიმამ ერთი თვე მაცალა — მოსავალს კარგი პირი უჩანსო?!

დაბრუნებულა კახელი და ცოლი დატაკებია — აბა, მიხო, დაჯე და წვრილ— წვრილად მოჰყე ყველაფერიო.

მიხოსაც აულია, დამჯდარა და მსხვილ— მსხვილად უთქვამს: რაღა ბევრი გავაგრძელო, დედაკაცოო, ამ ერთ თვეში... ან ერთს ეტირება დედაი, ან მეორესაო!

*სიკვდილი – სიცოცხლის დასასრული და მარადისობის დასაწყისია.*

*დავით გურამიშვილი: ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო! (აი, კითხვა და ადამიანის მთელი ასავალ-დასავალი).*

* * *

გურიაში სოიას... იაპონიას ეძახიან?!

ეს ნინასწარ უნდა ვიცოდეთ, რომ იმ ამბავში გავერკვათ, რომლის მოყოლასაც ახლა ვაპირებ.

სამი ძმანი, გურულები... მუშაობდნენ ყანასა, მუშაობაც კარგი ჰქონდათ, დასძახოდნენ ნანასა...

ეს ცნობილი ლექსი და სიმღერაა, მარა ამ შემთხვევაში... სრულიად რეალური ფაქტი.

...ამ დროს, ნასვამ მდგომარეობაში, გამოიარეს მეგრელებმა.

— აქ რას აკეთებთ, მაგალითად, თქვენ? — ჰკითხეს გურულებს.

— გუშინ იაპონია ავიღეთ და დღეს სიმინდის სათოხარში მივდივართ, — უპასუხეს გურულებმა.

მეგრელებს შეეშინდათ — ამგენს იაპონია აუღიათ — ჩვენ რა დღეს დაგვაყრიანო და გაპარულან.

* * *

რეზო გაბრიაძემ ერთ უშესანიშნავეს გროტესკულ ქართულ ფილმს ტყუილად არ დაარქვა — "შერეკილები"!

არც იმაშია ნაკლები ხიბლი, რომ „გიჟი თავისუფალია!"

საგიჟედან გიჟები გაქცეულან, აკადემიკოს ავლიპ ზურაბიშვილს უთქვამს: სამტრედიამდე თუ დაენევიან — ხო კარგი... იმის იქით კი... ხალხში გაერევიან და ველარც ვიცნობთო!

* * *

ლომისა და ვეფხვის შესარიგებელ პურ-მარილში ნაქეიფარმა კურდღელმა ჩირგვებთან დაიძინა, გამოეღვიძა და რას ხედავს — ნაფლეთებადქცეული ლომი და ვეფხვი, აგერ, მის გვერდით გდია.

კურდღელმა გააზმორა და მთქნარებით თქვა;

ვინ თქვა — მთვრალი კაცი — კაი-კაციო... ეს რა მიქნია, კაცოო!

* * *

— ექიმო, სულ ვიბერები და ვიბერები...

— იბერები, თორემ... ფეხები არ მომჭამო!

* * *

— რატომ, ცილდებით ერთმანეთს?

— როგორც ქალი, არ მაკმაყოფილებს.

— მთელ სოფელს ვაკმაყოფილებ და ეგ რა ნითელი კოჭია? — აყვირდა ცოლი.

სო. მაყურებელი თეატრს მიაწყდა. ფარდა აიხადა და სცენაზე დადგმული ბოთლი მერჩათ წარწერით: „დღეს პირველი აპრილია!"

კარგი ხუმრობა არც ისე იოლი საქმეა. რა ვქნათ, მარილიანი სიტყვა რომ წარსულს არ ჩაბარდეს. უმისოდ ხომ ცხოვრება ძალზე ერთფეროვანი იქნება? იქნებ ბარონ მიუნჰაუზენი გავიხსენოთ: „თქვენ ზედმეტად სერიოზული ხართ. გონიერი გამომეტყველება — ჭკუის ნიშანი სულაც არ გახლავთ. ბატონებო!.. ყველა სისულელე ამქვეყნად სწორედ იგი სჩადის

„ეხო პლანეტა"
№14. 2000.

ავსტრალიაში დილის რადიოგადაცემები ხუკაბარის ხარხარით იწყება. იგი ჩიტია. მასზე ამბობენ: „იგი ისე გადამდებად ხარხარებს, რომ შეუძლებელია თავშეკავება".

ქართული სუფრის „მაგია" (ანდრეი ბელის დღიურიდან): „დავუჯექი აღელვებული, ნაღვლიანი და ავდექი

* * *

ბაღლინჯომ გადაწყვიტა ჟირაფი შეერთო ცოლად, მაგრამ ჭიანჭველამ არ ურჩია:

მთელი შენი ცხოვრება გზაში მოგიწევს ყოფნაო.

— ვითომ რატომ? — დაინტერესდა ბაღლინჯო.

— ნადი, აკოცე — მოდი, უქენი... ნადი, აკოცე — ნამოდი...

მოკლედ, გადააფიქრებინა!

* * *

ცნობილ ოკულისტს იუბილე გადაუხადეს და მისი გადიდებული სურათი თვალის გუგაში ჩასვეს.

— კიდევ კარგი, რომ პროქტოლოგი არა ვარ — გაიფიქრა მან.

კახელმა ზოოპარკში ზებრა ნახა და თქვა:

— ეგ ჭრელი პიჟამო კი არა, თავზე შლაპაც რო დაიხურო, კარგად გიცნობ, რა ვირიცა ხარ!

— მიტო, რა უყავ შენი ვირი?

— გავყიდე.

— რათა, ბიჭო?

— მა მაგი გულითვინა ოჯახს ხო არ დავანგრევდი!

ნამდვილი ამბავი!

მონინავე კოლმეურნეს, საკავშირო ყრილობაზე ნასასვლელად, თავმჯდომარემ ტყავის პალტო ათხოვა და თან უთხრა — ძალიან გიხდებაო.

— ეს ის ტყავია, ჩვენ რომ გვაძრობ და საკუთარი ტყავი მიხდება, აბა რა იქნება — უპასუხა გლეხმა.

პუშკინის ქუჩაზე ყურმოკრული დიალოგი!

— ბოლოს და ბოლოს, რა გააკეთა ასეთი ამ პუშკინმა?

— სხვა თუ არაფერი — „რევიზორი" დანერა.

— „რევიზორი" გოგოლის დანერილია.

— მით უმეტეს!

*გერცენი: კომები, ხალხები, სახელმწიფოები ქრებიან, წიგნები — რჩებიან!*

*ვეთიმ გურჯი: იქ სიმართლეს რა უნდა... სადაც ბევრი ფულია!*

* * *

— სეროჟ, გედების ტბაზე არ წამოხვალ?

— არა ტო...

— რატომ...

— „პლავკი" არა მაქვს.

* * *

რაჭველი სოფელში ქალაქის ამბავს ყვება.

— ო, რა ქალი დავკარგე, რო იცოდეთ...

— როგორ?... დაინტერესდნენ სახლიკაცები.

— როგორ და... თვალი ჩავუპაჭუნე და სანამ გავახილე... ქვე გაქრა სალაცა...

* * *

რაჭველს ბაბუა გარდაეცვალა და გადანყვიტეს, ეს ამბავი შინაურებისათვის ისე შეეტყობინებინათ, რომ შეილებსა და შეილიშვილებს გული არ გახეთქოდათ. დეპეშის გაგზავნა ერთ, ქალაქში ნასწავლ ნათესავს დაავალეს და მან სიფრთხილისა და საზრიანობის ნიმუში შექმნა. დეპეშა იუწყებოდა შემდეგს: „ლალაკო ბაბუა შეუძლოდ არის... ვასაფლავებთ შაბათს".

* * *

სეროჟა მისალებ გამოცდებს აბარებდა, როცა მისმა ძმაკაცმა, არტუშამ ამბავი მოიტანა:

— სეროჟა დაჭრეს...

— ვინ, სად? — მივარდნენ არტუშას.

— ფიზიკაში!

* * *

ცოლ-ქმრის გაყრის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი მარწმუნებლის მეუღლეს... კაცობა არა აქვს! არაკაცობაში ეჭმიტანილის ვექილმა, სასამართლოს წარუდგინა კონტრარგუმენტი:

— პატივცემულო მოსამართლენო, გთხოვთ იხილოთ საბუთი... თქვა მან.

— პროტესტს ვაცხადებ, — ისევ წამოხტა ფეხზე მოპასუხის მხარე — ჩვენ, ბატონო, ქალალდი კი არა — საქმე გვინდა, საქმე!

* * *

რაჭველი ახალგახსნილ მეტროსთან მთელი დღე იდგა.

მხნე, სიყვარულით გამთბარი

ორი 90 წლის მოხუცი პარკში სკამზე ზის, ერთ-ერთი ამაყი თვითკმაყოფილებით ამბობს:

- როგორც ჩანს, სიკვდილმა დაგვივიწყა...

მეორე თითს ტუჩებთან მიიტანს:

- შ-შ-შ, არ გაგვიგოს!

როგორც ჩანს, ტილი მარტო ღარიბ-ღატაკთა „საკუთრებად" არ უნდა ჩაითვალოს და არც დიდ სალანძღავს უნდა წარმოადგენდეს — „მე, ტილიანი". იგი ხომ მეფე ლუდოვიკო XIV-ის სამეფო კარის პარაზიტადაც არის აღიარებული. არსებობდა სეფექალების კაბებზე შეპარული ტილების მოსაცილებელი ხელსაწყოები, მეფე-მზე ხელის მტევნის ფორმის სავარცხელს ხმარობდა, რათა „ელეგანტურად" იფხანდა თავს.

რწყილ-ტილიანის თემაზე მშვენიერ ქართულში ფუნაგორიაც არსებობს:

რა ცუდია რწყილი.

— აქ რას აკეთებ? — გამოუჩნდა ნაცნობი.
— ქვეყნის ხალხი ამოდის ქვესკნელიდან და იქნება, ჩვენი მიცვალებულებიც გამოჩნდნენ!

* * *

„კახელმა პაპამ იგრძნო სიკვდილის მოახლოება, შვილიშვილს დაუძახა, ნნელების კონა მოატანინა და გადანყვიტა, ჭკუა ესნავლებინა გიორგი სააკაძის სახელთან დაკავშირებული, ერთი ლეგენდადქცეული ამბავით, რომელიც ისტორიაში ცნობილია რუბრიკით — ძალა ერთობაშია!
— გახსოვდეს, შვილო, ესა და არასოდეს არ დაივინყო... კაცი კაცითაო და ღობე სარითაო!
— რაო, რაო?
— რაო და, აბა, მაგალითად, აიღე და ეს ნნელების კონაი და გადატეხე!
აიღო და გადატეხა.
მოხუცს ჩანაფიქრის თვალსაჩინოება არ გამოუვიდა და ბევრი დროც აღარა ჰქონდა.
— ერთი იმდენი კიდევ მიუმატე ნნელების კონასა... აბა, ეხლა სცადე!
სცადა და ისევ ფიჩხივით გადაამსხვრია.
მოხუცი ანრიალდა...
— სულ მაიტა, რაც მანდ ნნელი დევს! ეგეც ეგრე... აჰა, აბა, ახლა რაღას იზამ?
რაღას იზამდა და ისევ მილენ— მოლენა ამ მუტრუკმა.
განბილებულმა მოხუცმა ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა:
— ეეე, ვირი იყავი და ვირად დარჩები!

მთის ძველი და ახალი სურათი.
— ღვთისო, მოდი ვიკენჭაოთ!
— ნეტაი, შენა! თუ გინდა, ბადმინტონი ვითამაშოთ?!

* * *

— მე და ჩემი ცოლი ცალ-ცალკე ვნევართ, ოთახში, „სვისტოკები" გვაქვს და როცა ერთმანეთი დაგვჭირდება, ვუსტვენთ ხოლმე.
— სასტვენი რომ დაკარგოთ?
— რა მოხდა მერე, ყოველ ღამე ხუთჯერ მაინც მაღვიძებს — ხომ არ დაგისტვენიაო?

იყო ასეთი — პროკოფი ნემსაძე.
ადვოკატი. ჩვენი მამების თაობის ცნობილი იურისტი.

---

*ბალზაკი: „გააუქმობესო შენი დროის ზნეობა, — აი, მწერლის უპირველესი მიზანი".*

*სერვანტესი: კანონები მეფეებისთვის არ იწერება. ზოგი ადამიანი ცოცხლად დგას შენ თვალწინ და უკვე ძვლია!*

...მეორე მსოფლიო ომის დროს, სამსახურში დაგვიანებისთვისაც კი, პასუხისგებაში აძლევდნენ.

ნემსაძე ვინმე მახათაძის საქმეს იცავდა, ვექილი კი იყო გამოცდილი, მარა რად გინდა — მოსამართლე იყო გამოუცდელი. ჭკუას არც იქეთ გთხოვდა და ვერც აქეთ მოითხოვდი.

სასამართლოს დაწყების წინ ბატონმა პროკოფიმ, მისთვის ჩვეული იუმორით, განაცხადა შემდეგი:

— მე, პროკოფი ნემსაძე ვარ, ჩემი დაცვის ობიექტი კი მახათაძე გახლავთ... ნათესაობაში ნუ ჩამომართმევთ თუ ვიტყვი, რომ ეს კაცი ცამდე მართალია... თან, მძიმე ავადმყოფი!

ა, ბატონო, საბუთები...

— რა საბუთები?.. — უინტერესოდ იკითხა მოსამართლემ.

— საბუთი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე?

— რა მდგომარეობაზე?

— რომ მას აქვს გულის მანკი?

— სხვა?

— ნნევა!

— კიდევ?

— ჭლექი!

— კიდევ?

— მეტი რაღა საბუთი გინდა, შე კაცო... კიდევ, კუბო მოგვექონდა, მარა კარისკაცებმა არ შემოგვატანინეს.

* * *

ათას მამაძაღლობაში ცხვირჩაყოფილ ვექილს ჰკითხეს:

— როგორ ხარ, პროკოფი, ბატონო?

— რავარც მკითხულობთ?

— რავა?

— რავა და ისეთ მამაძაღლ დროში ვცხოვრობთ, ახლა რომ ქვეყანაზე კვაჭი კვაჭანტირაძე დაიბადოს... იმდენი კვაჭი დახვდება — დაბადების დღეს აწყევლინებს!

* * *

ბატონი პროკოფი წარმოშობით სამეგრელოდან, სოფელ კოტიანეთიდან იყო. ერთ ბანძელ ებრაელს იცავდა, რომელსაც ყოველ ჩამოსვლაზე (მთლად ხელცარიელი რომ არ დარჩმეოდა) მისი ვექილი მამის — ნიკოლოზის მოკითხვა ჩამოჰქონდა.

— მამაჩემი სად ნახე? — ეკითხებოდა პროკოფი.

— ცხაკაიას სადგურში, — პასუხობდა ბანძელი ებრაელი.

*მეჯვანეხემს კაცს. ჰო, სხვას ცოლი... დაიჭერ და... ცაცხ!*

*ლელია ჯოყამ-ელი:*

*თბილისს დააკლდა ერთი სიცოცხლე. თითქოს ყველაფერი იგივე დარჩა... მხოლოდ მისი იუმორი ისე ლაღად აღარ გააცინებს არავის.. მაშინაც კი, როცა ტელევიზიით იმ ჩანაწერს გვიჩვენებენ, სადაც იბილა ცომაკურიძე თუ მისი თოჯინა (ედუარდი) ძალიან სასაცილო ამბებს მოგვიყვებიან, აქ ღიმილის ნაცვლად ტკივილი დაგვეუფლება და სევდა...*

***P.S.*** *მგონი მეც-ვარში დაიხრჩო. მაშინ ქალაქში არ ვიყავი. მისი სიკვდილი დიდებული ქართველი მწერლის რეზო ინანიშვილის ნასვლისხვით გამოეპარა თბილისს.*

*ამხეს!*

*ქალებს უყვართ ყურებით*

*და კაცებს თვალებით!*

*ზურაბ მჭედლიშ-ვილი:*

*- პირადად მე იმდენი მაქვს, რომ ამ ლოკალურ ხაჰ-*

ამ მიკითხე — მოკითხვაში შეიტყაპუნა პროკოფის მოგებული საქმე, მარა ორი წლის შემდეგ ისევ დაჭირდა ვექილი და ისევ ის ხერხი იხმარა:

— მამაშენმა მოკითხვა შემოგითვალა...

— სად ნახე?

— სად ვნახავდი — ცხაკაიას სადგურში.

— საიდან მოდიოდა, თუ იცი?

— სოფლიდან...

— რომელი სოფლიდან? — დააჯინდა პროკოფი... და ბოლოს, მიახალა, — საიქიოდან თუ მოდიოდა, არ ვიცი და სააქაოდან, უკვე, 2 წელიწადია, რაც წავიდა.

ებრაელმა შეიცხადა:

— შენ კაცი ხარ, ახლა... როგორ არ შემატყობინე, მამაშენის სიკვდილი? — აქეთ გალანძღა პროკოფი.

* * *

ნუგზარ გუნცაძე ჩემი სიყრმის მეგობარი იყო. ჩვენი ძმაკაცობა, ერთი კარგი ზესტაფონელი გოგოს გულისთვის, ჩხუბით დაიწყო.

ნუგზარი პირველი მაისის რაიალმასკომის თავმჯდომარე გახლდათ და აბა, საკურიოზე სიტუაციებს რა გამოულევდა.

...რაღა არ გადაიტანა ჩვენმა მრავალჭირნახულმა დედაქალაქმა — თუ წარსულის, თუ ანმყოს ხელში... რას აღარ გადაურჩა თბილისი — ხან გათათრებას , გათეთრებას ხან გაფითრებას, ხან გალურჯებას, ხან განითლებას, ხან გამწვანებას!..

ის ეპიზოდი, რომელზეც ახლა მოგახსენებთ, გამწვანების ერთთვიურისა თუ ყოველწლიურისაა... დიდუბეში, ბეტონის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, პირველი მაისის რაიონმა, კომისიის თვალში ნაცრის შესაყრელად, სამადსამი, მუხლამდე სიმაღლის, წიწვის ხე დარგო და, რომ ეგონა, თავი ქუდში მაქვსო... მთლად პირველი დაადგათ თავზე!

ახლა იმასაც რომ გაიგებთ, „მთლად პირველი" ვინ იყო... მაშინ იმასაც მიხვდებით, რომ იმის თვალში ნაცრის შეყრას ვერავინ გაბედავდა.

— რაა ეს — ამხელა ტერიტორიაზე ამ სამ ნარგავს ეძახით, თქვენ, გამწვანებას? — მკაცრად ჰკითხა, „ბაღნარის" მესვეურებს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

— მეტსაც დავრგავდით ბატონო, მაგრამ შეგვეშინდა, ტურა და მგელი არ გაჩენილიყო, — ჩვეული ენაკვიმატობით უპასუხა ნუგზარმა და საერთო სიცილმა უშველა საქმეს, თორემ რა ტურასაც დაიჭერდნენ იმასაც ენახავდით!

* * *

რაიალმასკომის თავმჯდომარესთან მიღებაზე მობრძანდა ცნობილი ხე-

---

*დიდმა რომაელმა – მარკუს ტულუს ციცერონმა, ქრისტეს დაბადებამდე თქვა: სახლი, სადაც არ აქვთ წიგნი, ჰგავს იმ სხეულს, რომელსაც სული არ აქვს!*

*ციცერონსვე ეკუთვნის მარადისობის ფრაზა: „ო ტემპორა, ო მორე!" (ეჰ, დრონი – ეჰ, ზნეობანი!)*

ლოვანი, იმხანად მარჯანიშვილის თეატრის მთავარი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, რომელიც თავად არის საოცარად, ენამოსწრებული კაცი და თუ დაჭირდა, ენით მეცხრე სართულიდან ჩამოიღებს კაცს.

გიგა და ნუგზარი, გარდა ოფიციალური რეგალიებისა და კავშირ— ურთიერთობებისა, ამხანაგებიც იყვნენ. საუბარი, ცხადია, მეგობრულ ტონში წარიმართა, თუმცა მასპინძელი აშკარად ჩქარობდა, რადგან ამ გაქცეული საუბრის დროც არ იყო, 10 წუთში საგანგებო თათბირი იწყებოდა.

— ახლა, შენ, უსაქმოდ არ იქნები აქ მოსული... — უთხრა მასპინძელმა საპატიო სტუმარს, — ბრძანეთ, ბატონო... თქვენი ხმალი — ჩემი კისერი!

— აგაშენა ღმერთმა, — მეც ერთი სული მაქვს, სანამ ამოვღერღავ — უთხრა გიგამ, უბის ჯიბიდან „შპარგალკა" დააძრო და შეუდგა სიის კითხვას, — სანამ მართლა შენ კისრამდე და ჩემ ხმალამდე არ მივა საქმე... ერთი გაჭირვებული მსახიობი მყავს და ურიგოდ უნდა მისცე ბინა!..

ასეთ შემთხვევაში რიგიანი პასუხი რა იქნებოდა?

— კი, ბატონო!

— ესეც ასე... სიაში პლუსით აღნიშნა პირველი საკითხი გიგა ლორთქიფანიძემ და გადაეიდა მეორეზე, — ოროთახიან ბინას თხოულობს ჩვენი თეატრის მეხანძრე და რა ცეცხლში ჩავვარდე, არ ვიცი... თანაც, სასურველია ვაკეში ან საბურთალოზე...

— საბურთალოზე შეიძლება? — იღებს ნებართვას ალმასკომის თავმჯდომარე და მეხანძრის საკითხიც დადებითად წყდება!

გიგა სიამოვნებით იფშვნეტს ხელებს და ახლა, უკვე, აშკარად მორიდებითა და ხმის დანევით მესამე „ზახოდზე" მიდის.

— თუ ძმა ხარ, უნდა გამიგო და კიდევ ერთი თხოვნაც შემისრულო... ხომ გაგიგონია — თეატრი გარდერობიდან იწყება... მიბარებული მგელმაც შეინახაო, ნათქვამია, მაგრამ კაცს რომ ამდენ პალტოს ჩააბარებ, იმას, თუ არ მოეფერე, ხომ იცი...

— ვიცი, აპა არა... — დაუდასტურა თავმჯდომარემ და ასე და ამრიგად სამივე თხოვნაზე თანხმობაც გასამდა...

— აგაშენა ღმერთმა, — ჩაიდო ჯიბეში გიგამ დაკმაყოფილებული თხოვნებით სავსე სია და მინამდე თავისქნევით გამოვიდა კაბინეტიდან... თუმცა, გამოსულიც არ იყო, რომ ისევ უკან შემობრუნდა და ხმალივით მოუქნია ჯოხი თავმჯდომარე— ძმაკაცს.

— შენ ბიძია, ვის ატყუებთ აქ? — აზრზე მოვიდა გიგა, — ბიჭო, შენ რომ რამის გამკეთებელი იყო, ერთ თხოვნაზე მაინც არ იტყოდი უარს?!

როგორც აქციებს ჩვენი თანამოქალაქეები არ გადაზრდიან ქაოსში, მაგრამ ძალიან მაღიზიანებს ხელისუფალთა თვითკმაყოფილი უდარდელობა. საუბედუროდ, ჩვენს მოსახლეობაში არის კიდევ ერთი ფენა, ალბათ, ყველაზე გაღატაკებულ-გაუბედურებული, რომელთა მსგავს კაცობრიობა, ჯერ კიდევ 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციისას, სანკიულოტებს (უნიფხოებს) უწოდებდნენ და რომლებმაც, ფაქტობრივად, წარმართეს და გაანადგურეს, რევოლუციის სახელით, ყველაფერი...

განა რუსეთის 1017 წლის რევოლუციამ იგივე არ გაიმეორა, რაც სანკიულოტებმა გააკეთეს?

(„კვირის პალიტრა" 2000, 3-9.07).

**P.S.** ოქტომბრის რევოლუციის ყველაზე ლაცკა მასას ლუმპენ-პროლეტარიატს უწოდებდა, მე კი — ნუმპენ-პროლეტარიატს ვეძახი.

მილანში გამართულ მსოფლიოს თითქმის ყველა ჯიმისა და „წარმომობის" ძალების

## სევა ელიავა!

ბავშვებს ძალიან უყვარდათ სევა, მისი ყოველი სტუმრობა მათთვის ნამდვილი ზეიმი იყო. დღესაც თვალწინ მიდგას ბავშვებით გარსშემოხვეული სევა. ისე სერიოზულად უყვებოდა ხოლმე მათ არასერიოზულ ამბებს, ერთი არ გაეღიმებოდა. მაგალითად, თავის მოგზაურობას პარიზში, სადაც ამასწინათ გამართულ ნიავების მსოფლიო გამოფენაზე პირველი ადგილი თურმე კოჯრის ნიავს აუღია?!

* * *

სამშენებლო სამმართველო, რომელსაც ერთხანს სევა ედგა სათავეში, დროებით, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში იმყოფებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს, სევას სამმართველოს დაევალა, ცეკას შენობაში ბორის ძნელაძის მემორიალურ ოთახადქცეული მისი ყოფილი კაბინეტის სასწრაფო გარემონტება! დავალება დროულად იქნა შესრულებული, მაგრამ მიმღებმა კომისიამ სამუშაო დაიწუნა და მოითხოვა შპალერის, პარკეტისა და სხვა წვრილმანების შეცვლა და გადაკეთება. კიდევ არაერთი შენიშვნისა და დაწუნების შემდეგ, როგორც იქნა, კომისიამ რემონტი მოიწონა და საბოლოო აზრის გამოთქმა, როგორც შემსრულებელს, თვით სევას მოსთხოვა. ხანმოკლე ფიქრის შემდეგ, სევამ მღელვარედ განაცხადა: ამ ოთახს რომ ვუყურებ, ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს ამხანაგი ბორისი ეს— ესაა გავიდა აქედანო. კომისია ამ გამოსვლით უაღრესად კმაყოფილი დარჩა.

* * *

გაზაფხულის ერთ მზიან დღეს, თავის განუყრელ მეგობარ — ოლეგ ნიშნიანიძესთან ერთად, სევა თბილისის ერთ-ერთ სასაფლაოს მიადგა: ახლობელ-მეგობრების საფლავების სისტემატური მონახულება და მოვლა მას თავის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნდა. გარემოების შესაფერი ნაღვლიანი განწყობით მიაბიჯებდნენ მეგობრები საფლავებს შორის. უცებ, ერთერთ საფლავთან, ოლეგი ელდანაკრავივით შედგა და ქვაში ჩასმულ კაცის პორტრეტს დააცქერდა. ერთხანს ასე გაქვავებული იდგა, მერე კი თავში ხელი შემოირტყა და ჩაილაპარაკა: ეს რა მოსვლია ამ კაცს, დავიღუპე და ეს არისო! ვინაა, რა მოხდაო, შეშფოთდა სევა. ვინაა და ჩვენი ატს-ის „მეხანიკია" — ორი კვირის წინ სამიათასი მანეთი გამომართვა, ტელეფონს დაგიდგამო და, ე, ნახე, რა მოსვლია, შესჩივლა სასონარკვეთილმა ოლეგმა.

რას ერჩი, სიტყვის კაცი ყოფილა, ალბათ კაბელს ეძებსო, — დაამშვიდა სევამ.

* * *

რაიკომის მდივნობიდან სულ ახლად გადაყენებულ, იმხანად ჯერ ისევ

---

*ჟან კოკტო: „ნაწარმოები — ესაა ოფლი".*

*ჟურნალისტებთან ურთიერთობა იმას ნიშნავს, რომ მთელი ცხოვრება დაკითხვაზე იყო.*

„ამხანაგ“, დღეს კი უკვე ბ-ნ შალვა კვინტრაძეს ქუჩაში სევა შეხვედრია. მოგეხსენებათ, რაიკომის მდივნები ქუჩაში ფეხით არასოდეს დასეირნობდნენ. გადახვევია თურმე სევა ბ-ნ შალვას და კოცნის და კოცნის... რა ამბავია, ბიჭო, ამდენი კოცნა, რამ გაგამწარაო, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად გაკვირვებით უკითხავს ნამეტანი სითბოთი ნასიამოვნებ ბ-ნ შალვას. რა ვქნა, გენაცვალე, ამ ცოტა ხნის წინ კოცნაზე „ბრონი“ იყო დადებული და მე, აბა, შენამდე ვინ მომიშვებდა, მიხარია რომ დაგვიბრუნდიო, — უპასუხია სევას.

* * *

ერთხელ სევა თავისი მეგობრის ახლადშობილი ბიჭის, ცოტნეს სანახავად ყოფილა მისული. უნახავს, მოსწონებია, გულწრფელად უქია, გულიანად დაულოცია, ვინძლო ტანზე თაფლის ნასმა არ დასჭირვებოდესო და ბოლოს, გრძნობამორეულსა და გულაჩუყებულს, სიგარეტის გაბოლება დაუპირებია. ამაზე ბავშვის ბებია გაცეცხლებულა, სიგარეტი ლამის ხელიდან გამოუგლეჯია, აქ მოწევა ვის გაუგონიაო. მეორე ოთახში გადი და იქ მოწიე, რამდენიც გინდაო. სევა უხმოდ დამორჩილებულა, გასულა და უცებ ხელი ცხვირზე უტაცია. არიქა, მაჩვენეთ ცხვირისდასაცემინებელი ოთახი რომელიაო.

* * *

როდესაც თავისი მეგობრის, ექიმ გურამ ჭელიძის ახალ ოჯახში სევა პირველად მისულა, მასპინძლის პირმცინარ ახლადშერთულ მეუღლეს შესანიშნავი მასპინძლობა გაუწევია. გახარებული შეხვედრია ძვირფას სტუმარს, დაბზრიალებულა, ხაჭაპურები დაუცხვია, ქათქათა თეთრი სუფრა გაუშლია, სულ ღიმილად დაღვრილა და, ერთი სიტყვით, სევასნაირ კაცს რომ ეკადრებოდა, სწორედ ისე დახვედრია. გურამი დიდად კმაყოფილი დარჩენილა მეუღლის ასეთი საქციელით და სევასგან, ცოლის მისამართით, ცხადია, ქათინაურებს მოელოდა. სევასაც არ დაუყოვნებია და უთქვამს: მშვენიერი მეუღლე შეგირთავს, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, აელიპის თუ არა, გაიოზ შარაშენიძეს მაინც გაასინჯე, რაღაც ნამეტანი ბევრს იღიმებაო...

გამოფენაზე, სადაც 75 ათასი ძაღლი იყო წარმოდგენილი, სამი წლის ქართულმა ნაგაზმა, სახელად „სიმბამ“, პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის წოდება მიიღო (აბსოლუტურად ყველა მისი პარამეტრითა და კომპონენტით — გარეგნობით, ქცევა-გრძნებით, ღირსით, სიძლიერით და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბეწვის სიფაფუკითა და ფერითაც!). მსოფლიო კინოლოგებმა, კავკასიური ნაგაზის ჯიშის 600-მდე ძაღლს შორის უპირატესობა მას მიანიჭეს. ეს დიდი და სასიხარულო მოვლენაა.

**P.S.** სიმბამ დაანგრია ანდაზა: „ძაღლი შინ არ ვარგოდა და გარეთ გარბოდაო“ აწი, ალბათ, ჩვენს ბედს ძაღლიც კარ დაჰყვეს!

ზვიად გურული: საკუთარი თვალით ვნახე, როგორ სვამდა საგულე სამუკლებას თბილისელი მოაგარაკე სა-გურამოულ გლეხებთან კამათის შემდეგ. რომლებიც ერთხმად „უმტკიცებდნენ“ — ილია ჭავჭავაძე პირწავარდნილი მე-

* * *

1976 წლის ნოემბერში, ფილარმონიის დიდ დარბაზში, ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო გაიმართა. საღამოს შემდეგ, ფუნიკულიორის პლატოს რესტორანში დიდი ბანკეტი იყო დანიშნული, რომელზეც ცეკას წევრებისა და რაიკომის მდივნების გარდა, უცხოელი სტუმრებიცა და თვით ივანე ჯავახიშვილის ოჯახის წევრებიც იყვნენ მიწვეულნი.

საიუბილეო საღამოს დამთავრების შემდეგ, ფილარმონიის ვესტიბიულში, სევა დათო ჯავახიშვილს შეხვდა, გადაკოცნა, მიულოცა პაპის იუბილე და ბოლოს დააყოლა: აღარ შეგაყოვნებ, ალბათ ბანკეტზე გაგვიანდებაო. არაო, უპასუხა დათომ, ბანკეტზე არ მივდივარ, ვერ ვიტან ამისთანა „ღონისძიებებსო". მაშინ მინდობილობა მომეცი და მე წავალ, მე კარგად ვიტანო, უთხრა სევამ.

## ქიშო და გენერალი!

საქართველოს შინსახკომის უფროსი გენერალი კაპიტო ნაჭყეპია ლეგენდარული გარეგნობის, მაგრამ პოლიციელობისათვის შეუფერებლად წყნარი და მიმტევებელი ხასიათის კაცი იყო.

თეირანის კონფერენციაზე, ამდენ დაცვაში, ჩერჩილს სწორედ ერთი თავით ყველაზე მაღალი და მხარბეჭიანი ქართველი შეუმჩნევია და მისი ვინაობა უკითხავს.

ეს ისე, სხვათა შორის...

ერთ სამთაერობო სუფრაზე, გენერალმა ვერ გაიხსენა სიმღერის ვერც სახელი, ვერც სიტყვები და ცნობილ ქიშოს უთხრა — მე რომ მიყვარს, ის დაუკარიო. ამ უკანასკნელმაც ვერ გაიგო, რას ითხოვდა მილიციის მთლად უფროსი, მაგრამ რაც მას უნდა ჰყვარებოდა, იმის მიხვედრას რა უნდოდა — სად იყო — სად არა, დააძრო ჯიბიდან მილიციელის „სვიშსტოკი" და შეუბერა!

სად იყვნენ — სად არა, ნაცნობი „მელოდიის" ხმაზე მინიდან ამოძვრნენ და სახლში შემოცვივდნენ მილიციელები და კედელს აეკრნენ. გენერალი — სიცილით მოკვდა, ქიშვარდი კი შიშით...

* * *

1998 წლის 31 ოქტომბერს გაზეთმა „რაეომ" მოაწყო რაჭველების შეკრება ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც, სიმონიკა სხირტლაძის ძმის მეშვეობით, მეც მიმიპატიჟეს და სიტყვაც მათქმევინეს.

ეს ის სცენა გახლავთ, სადაც „პაემანით ვერაზე" მეორედ დავიბადე და

---

*ჩეხოვს პოლიტიკაზე ჩამოუგდეს ლაპარაკი და ჰკითხეს: რომელი მიმდინარეობა მოგწონსო? მარმალადიო — უპასუხა (?!)*

*ჩაპლინი: „...ბიოგრაფია": „აგერ ჩემი ბოშებისაგან 6 პენსად ნაყიდი პატარა სკამიც. მიყვარდა ეს სკამი. მესაკუთრის სასიამოვნო გრძნობას აღმიძრავდა. როგორც ჩანს, კერძო საკუთრებას თავისი პირველყოფილი ხიბლი ახლავს, რადგანაც, რაც ყველასია — იგი არავისი არ არის!*

საიდანაც მე „ჭიკაზე დასმული ბულბულივით“ ვუგალობე... ჭიკაზე მის დამსმელ სიმონიკას!

რაჭველები გულთბილად შეხვდნენ ჩემს „რაჭველობას“ და ერთსულოვანი ტაშით იქვე ჩამიტარეს პრივატიზაცია! სულითა და გულით მივულოცე რაჭველობას ბატონ როინ მეტრეველის საზოგადოების პრეზიდენტად არჩევა და ისიც იქვე „აღმოვაჩინე“, რომ ეს კაცი „მეტრად“ არის დაბადებული, რაც გვარშივე უდევს საზომად!

ჩემიანებისთვის არც შენიშვნა დამიმალავს ... აქ ერთი სიტყვის გაგონებაზე, როგორც იტყვიან, პირქატა მეცა... თმები (რომელსაც დიდი ხანია დავემშვიდობე), ყალყზე დამიდგა. არ მომეწონა გამოთქმა „რაჭველების კავშირი“... სსრ კავშირმა რა ხეირი მოგვიტანა, რომ სხვა კავშირისგან სიკეთეს ველოდეთ-მეთქი?

...ამავე საღამოზე, მქონდა ბედნიერება, ბევრი ვარსკვლავი მეხილა. მათ შორის რაჭველების ერთ—ერთი პირველი მესიტყვე — სიცილის დედოფალი თინიკო რეხვიაშვილი, რომელმაც, ამჯერადაც, ისეთი ლექსები რეხვა, რომ მისი ნებართვით, აგერ, ჩემს წიგნშიც გაადინა რეხვა!

## თინა რეხვიაშვილი:

### ერთ რამედ ღირდა...

### (ჩანახატი)

... იმ დღეს... წუთისოფლის ავდრებით გალუმპული ავედი სცენაზე...

ვიდრე მიკროფონამდე მივაღწევდი, ლამის მუხლები ჩამეკეცა...

დიდ საკონცერტო დარბაზში სიჩუმე გაფითრებულიყო...

„საკანცელარიო“ რვეული მოვიმარჯვე და... იუმორისტული „ნაცოდვილარის“ კითხვას შევუდექი... ნელა... ზოზინით... რაჭული დიალექტით.

— ვკითხულობ და რაღა არ მიტრიალებს თავში...

ჩემს წინ „გამოცხადებასავით“ იდგა ბოჰემური თბილისის მემატიანე ბ-ნი გიზო ნიშნიანიძე და ბაგეთაგან ასხლეტილი ღიმილის ნარჩენებს ძლივს იგერიებდა...

ერთ რამედ ღირდა მისი გაცნობა და ცნობა!

ეს ლექსი მას ეძღვნება!

ალალი იყოს!

მამულე (ღმერთო, მაპატიე ამ სიტყვების გამეორებას) და გლეხების მჩაგვრელი იყო! ა.ო. ახე!

— ილიას ნაკვალევიდან 100 წლის შემდეგ!

ქართველებმა ილია მოკლეს, ახლა მის ხსოვნას ემუქრება საფრთხე!

მოქდიოდი და აკაკის სიტყვები მიგუგუნებდა თავში, რომლითაც მან ილიას მკვლელობის გამოც მიმართა თავის ქვეყანას: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ — საქართველო!“

„კვირის პალიტრა“, 2000, პ. 9.07.

XX საუკუნის კანიბალები!

არცერ მოუკრიხი:

ამერიკელმა ჯარისკაცმა ადამიანის ხორცს პირველად ვიეტნამის ჯუნგლებში გასინჯა გემო. სამშობლოში დაბრუნებულმა 11 მეძავი მოკლა და შეჭამა.

ცრავგელის და-ცრიალდა მაყილში. მაყილის გამგებელმა და, იმავდროულად, ხახაზლავრო-ხაგემაგის ურიხმა, კაპიცანმა იოსკლო ქინქარაულმა თავი მოიკლა. მან თეთო-

* * *

**ბ-ნ გიზოს...**

რა ხანია სამანს გასცდა – „პაემანი ეერაზე“ –
ალბათ, – მალე ითარგმნება „ლამანჩელის“ ენაზე...
მის ფურცლებზე ვერ დაიჭერთ სიტყვას ყურით მონათრეეს,
მახსოეს იგი – „რაინდობის ბიბლიადაც“ – მონათლეს.
ყალბი აზმა არ ეგების „ქართლოსებს“ და „ნიაზებს“,
ყველას მისხალ მიუწონით, ყველას მისას მიაგებთ...
ღამეს თეთრად გამოაცხობთ, კალამს აცლით არაქათს,
პოლიტიკას ზურგს აქცევთ და... „არაეისტი“ არა ხართ...
მხოლოდ საქართველოსი ხართ, იმედი გაქეთ ხეალისი,
არასოდეს არ მოგშლოდეთ პაემანის ხალისი...
ეინ მაღირსებს – მეც შევაღო, თქვენი წიგნის კარები...
და შეეკადრო „იდალგოებს“ „დულსინეას“ ბწკარები...

**თინიკო რეხვიაშვილისაგან**
**"98"**

P.S. შენი დობისათვის ყოველთვის ღიაა ჩემი ძმობის სახლისა და გულის კარები — რაჭველო ქალო, თინაო! (გ. ნ).

**ლერი ჩანტლაძე, ნოდარ ხუნწარია:**

## „500 ანეკდოტი, თითო — 8 კაპიკად"

ჭიათურელი მძღოლის, ჟორია ერგემლიძის მოსნრებული სიტყვა— პასუხი ელვა—დეპეშასავით ვრცელდება ხოლმე საქართველოში.

ჟორია თავისი სატვირთო მანქანით ზესტაფონისკენ მიდიოდა. გზაზე ერთმა ხნიერმა ქალმა ბაზრამდე მიყვანა სთხოვა. ჟორიამ თავის კალათიანად კაბინაში ჩაისვა, ვინაიდან ძარა გადატენილი იყო.

ბაზართან რომ ჩადიოდა, ქალმა კალათიდან კარგა მოზრდილი ვაშლი ამოიღო და ჟორიას გაუწოდა.

— ა, შვილო, ფული არა მაქვს და ეს მიირთვი!

— მოითმინეთ, ქალბატონო, — ჟორიამ ჯიბიდან პანტა ვაშლი ამოიღო, — ხურდა ინებეთ!

---

*ნილს ბორი: არის ამქვეყნად მოვლენები, რომლებზედაც მხოლოდ იუმორით შეიძლება ლაპარაკი.*

*ბუასტი: საკუთარი შეცდომის აღიარება იმის ნიშანია, რომ უფრო ჭკვიანი ხდები, ვიდრე იყავი!*

*უცნობი: კაცი მაშინ ხდება მწერალი, როცა ყველა საგანს სიტყვაში წაავლებს ხელს.*

— ჟორია, ეგერ ორი კაცი რომ მოდის, ვინ არიან თუ იცი? — ჰკითხა ჟორიას მეგობარმა.

ჟორია დააკვირდა და უთხრა:

— ის მაღალი ნამდვილად არ ვიცი, ვინ არის და ის დაბალი — ვერ ვიცანი!

* * *

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის ანგარიშებს გადმოსცემდნენ. სპორტული ტერმინოლოგიით გატაცებამ, ერთი რეპორტაჟი ასეთ უნებლიე უხამსობამდე მიიყვანა... მატჩის მსვლელობის აზარტში შესულმა კომენტატორმა თქვა: შავები კუებით შეიჭრნენ მეფის ფრთაზეო!

ეს, მართლაც, მხოლოდ „შავებს" შეეძლოთ ექნათ...

* * *

კურდღელი ფრთხილად შეცუნცულდა მონკავშირის მაღაზიაში და ფრთხილად იკითხა:

— ტყვია-წამალი გაქვთ?

— არა...

— ძალიან კარგი, — თქვა და არხეინად გამოვიდა.

* * *

— ჭიჭიკია, ეს ბავშვი შენია?

— ჩემია, აბა ვისია?!

— მერე, შენთვის თუ გინდოდა, უკეთესი ვერ გააკეთე?

* * *

— მილიონი რომ მოგცენ, რას იზამ?

— ვალებს გავისტუმრებ.

— დანარჩენს?

— დანარჩენს მერე გავისტუმრებ.

* * *

— გამარჯობა, შალიკია, როგორა ხარ?

— ლომივით ვარ, ლომივით!

— კაი ეხლა, თუ კაცი ხარ, ლომზე შთაბეჭდილებას ნუ წამიხდენ!

მკვლელობის წინ წერილი დატოვა, რომლის შინაარსსაც ჯერ, რატომღაც, არ ამჟღავნებენ.

„კვირის პალიტრა", 2000.

**P.S.** „არ" თუ „ვერ"?..

<u>ვაირძვა მეზარგება:</u>

„კომა და სამყაეთი"

ვინ იცის, თვითმკვლელობა გმირობაა თუ სიმხდალე. ცნობილია ისეთი შემთხვევა, როდესაც რესპუბლიკური მასშტაბის მაღალჩინოსანმა დაუფიქრებლად დაიხალა შუბლში ტყვია, როგორც კი საკუთარ სადარბაზოსთან მეხრეჭების ღრძიალს და ჩექმების ბრაგაბრუგს მოჰკრა ყური. მას, როგორც ყველა თვითმკვლელს, ჰქონდა არჩევანი — დარჩენილიყო ან წასულიყო მაცდური წუთისოფლიდან, მაგრამ წასვლა არჩია.

„ახავალ-დახავალი", 2001.25.06-1.07.

სხდომაზე პავლი ისმეილი ირაკლი აბამიძის გვერდით იჯდა, არავის დაუნახავს, როგორ

* * *

სად მეფური სიცილი და
სად გაბროეის ხუმრობა!
ხუმრობა არ გეგონოთ
ქუთაიური სტუმრობაც!
ქუთაისის ხსენებაზე უღეინოდაც ვითერები —
ერთი ორად მეჩვენება — სიტყვებიც და რითმებიც!
...ქუთაისი — ქეათაისი, წყაროთა და რუთა ისი,
არა მურვან ყრუთა ისი — მარილთა და პურთა ისი,
ოქროპირთა, დინოზავრთა, ღვინოზავრთა, ჭურთა ისი,
ასაფრენი არწივთა და დასაფრენი „ტუთა“ — ისი:
აიეტის, დავითისი, ბაგრატისი, თამარისი...
მიწა-წყლიან, ხმელეთ-მზიან და ცა-ფირუზ კამარისი!
ქუთაისმა სხვანაირი სიყვარული იცის,
ქუთაისი სულ სხვა ნირი — სხვა ფიცი და მტკიცი...
ქუთაისში, თუ კაცს გული ქუთათურად გერჩის —
ქუთაისი, როგორც დედა, შვილს ჩაგიკრავს მკერდში!
... თუ გინდა, რომ დილის უცმურს წაუხდინო გურება —
...თუ გინდა, რომ შეისწავლო ქუთაიური ბუნება...
ფეხშიშველა გაიარე, ცვარში, როგორც — გალამა —
პირი აეი სიტყვისათვის, რომ ვერ გახსნას დანამა!
თუ კაცი ხარ — ყველა კაცი სულში გეხუტუნება —
პალახიც კი, რომ გაცინოს — ფეხში გეღუტუნება.
აქ, თვით ევას მოსაზელად ეარგა ჩვენი ტალახი,
აქ, სამხრობაც შეიძლება ჯიჯილაყა ბალახით!
თეთრა მიწით გამოძერწავს ქალს ბატონი ადამი,
აქ, სტუმრისთვის, დასაკლავად, თვითონ მოდის ქაჲამი.
კეცე მიწა კეცებად და ქოთნებად და ჭინჭილად...
მე თუ მკითხავთ... მე ასეთი პოზიცია მიჭირავს,
აქ წარსულის ნაფლეთები თეთრი დარდით მათოვს —
მარადიულ კითხვებში ვარ: რისთვის, როგორ, რატომ???

* * *

ჭიჭიკია ქალაქის ცნობათა ბიუროში კითხულობს:

— ქალბატონო, ერთი გვითხარით, — ნათელა მშვენიერაძე სად ცხოვრობს?

— ხუთი კაპიკი გადაიხადეთ და გეტყვით.

— მაშინ, გენაცვალე, ერთ ხუთკაპიკიანს კიდევ დავუმატებ და ისიც მითხარით — ქმარი სახლშია თუ არა?

* * *

ეს ხუმრობა, ეტლები რომ დადიოდა ქუთაისში, იმ დროისაა.

— მაინც ქუთაისში მიდიხარ, შე კაცო, და ჩვენც წამოგყვებით, — თხ-

---

*პლატონი: „ადამიანის მიწიერი არსებობა ჩვენი მოვალეობაა და მისგან გაქცევის უფლება არ გვაქვს“.*

ოვეს უფულო მგზავრებმა მეეტლეს.

— მასე, რიონიც მოდის აგერ და თქვენც ნამოყევით.

* * *

— რატომ არ ყიდიან ნაყინს სტადიონზე?

— რა უნდა, ბატონო, ნაყინს ქუთეისის სტადიონზე? მჟავე კიტრი რომ მოგეთხოვათ, კიდევ ჰო.

* * *

შესაძლოა არც მთლად ხუმრობა იყოს, მაგრამ თუ ხუმრობაა, ერთობ შავია. ქუთაისში ასეთსაც მოკრავთ ყურს: ავტოავარიების მსხვერპლთა საფლავებს მანქანების ნომრები ანერიაო!

დადის წინ და უკან სასაფლაოს გამგე, ათვალიერებს საფლავებს და კითხულობს: ყველა „ჟიგული“ აგერაა და ის ერთი სად დაგლახაობს ნეტავ?

ქუთაისში ბოროტი კაცი ძნელი სანახავია, მაგრამ გინდ დაიჯერე და გინდა არა, ქუთაისში ერთ-ერთი სასაფლაოს ერთ საფლავეს ასეთი ნარწერა ჰქონია: „მე აქანე უნდა ვიყო და შენ მაქანე?..“

ერთი პატიოსანი, პურისმჭამელი კაცის საფლავს კი ასეთი ნარწერა ამშვენებს: „არც ახლა დამიჯერებთ, რომ არ ესვამ?...“

* * *

ლეგენდარულ ჟორჟიკა იაშვილთან ძალის მოსასინჯად ჩამოსულა ვილაც თავზეხელაღებული და შეხვედრიან ერთმანეთს, დაუნიშნიათ ადგილი, დრო. მოსულა და ჟორჟიკას, მისთვის ჩვეული იმერული ზრდილობითა და იუმორით, უთქვამს:

— პირველად თქვენ დამარტყით, ბატონო, სტუმარი ბრძანდებით?!

* * *

სამტრედიის ავტოინსპექციის ჯიხურთან დედაბერი ფერდებჩაცვენილ ძროხას აბამს საბალახოდ.

— რას შობი, დეიდა, რა უნდა მოძოვოს შენმა ძროხამ ამ ასფალტზე? — ეუბნება ინსპექტორი.

— რა ვიცი, შვილო, შენც ასე გაძვალტყავებული მოგიყვანეს აქანე, მარა ქე ხარ, ახლა, ბულასავით.

P.S. ხუმრობა იქით იყოს და ამ ხუმრობის გამო, მილიციის მინისტრობის დროს, „ნიანგში“ დაგვირეკა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, ნოდარ დუმბაძე იკითხა, მერე მე მელაპარაკა და თითი დაგვიქნია.

*გავიდა იგი დარბაზიდან. უეცრად სხვენში გასროლის ხმა გაისმა. პაოლომ სანადირო თოფის ლულა პირში ჩაიდო და სასხლეტს გამოჰკრა...*

*ცარიელ ქანცერია:*

*აღარც ხორცი! აღარც ხელი!*

*დავრჩი ასე, ცარიელი!*

*ერთადერთი რითმა მეძახა:*

*„ცარიელი-ცარიელი!“*

*„ახალი ეპოქა“ (2001)*

*ქართველი „ხინკალის მეფე“*

*თბილისის ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ისტორიული ფაქტი მოხდა. პირველად, კავკასიაში, ამ ინსტიტუტის მეცნიერებმა „გამოჩეკეს“ ე. წ. „ხინკალის მეფე“.*

*„კვირის პალიტრა“. 2000.26.06-2.07.*

*გაზეთები იუწყებიან თბილისში გველების მომრავლებას.*

*2000. ივნის-ივ-*

* * *

— ერთი „კოსმოსი".

— ორი მანათი უნდა მაგას.

— რა ამბავია, კაცო, აქეთ შევარდნაძეს არ ჩამოუელია?

— ჩამეიარა ბატონო, მარა თქვენი პაპიროსის ფული არ დაუტოვებია.

* * *

— ღმერთო კი მომკალი, ქუთეისი ვისზე ნაკლები ქალაქია, მეტრო რომ არ ჰქონდეს!..

ვინ იტყოდა? — ქუთაისელი. ვის ეტყოდა? — თბილისელს.

— მეტრო რა ჯდება, თუ იცი შენ?

— თქვენ ნრიული აგვიშენეთ, ბატონო და ეზოებში ჩვენ შევიყვანთ.

* * *

— რაღაცა უხა-ხა-ხასიათოდ ხარ, ბი-ბი-კენტი, — უთხრა პოლიკლინიკიდან გამოსულ შუახანს გადაცილებულ ქუთაისელს ენაბლუ ნაცნობმა. ესღა მაკლდა ახლაო — გაიფიქრა ბიკენტიმ და იქნება მომეშვასო, თავისი გასაჭირი უთხრა.

— ექიმთან ვიყავი აგერ და პროსტატა გაქვსო.

— რაიო, რაიო? რა არის კა-კა-კაცო პრო-პრო— პროსტატა?

— შენ რომ ლაპარაკობ, ისე ეფსამ.

* * *

თეატრში ტევა არაა.

— პრემიერაა?

რის პრემიერა, ბუფეტში კარგი სოსოსი და ცივი ლუდი მოუტანიათ.

„ოტელოს" ბოლო მოქმედებაა... ის კულმინაციური მომენტი, როცა მავრი დეზდემონას ახრჩობს... სნორედ ამ დროს, საორკესტრო ორმოდან მთვარესავით ამოვა მებუფეტე კოლიას მოტვლეპილი თავი და ისმის შექსპირისათვის სრულიად უცნობი რეპლიკა: — მესამე რიგი, თქვენი სასისკი მეიხარშა?!

* * *

ყველა ხუმრობას თავისი დაბადების ნელი, ადგილი და მიზეზი აქვს. პარტიის საქალაქო კომიტეტის ნინ (70-იან ნლებში) ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: შენობიდან გამოცვივდა ყველა პასუხისმგებელი მუშაკი.

— რა ხდება? — იკითხა ამ ამბის შემსნრე ქუთაისელმა.

— შენობაში ხანძარი გაჩნდა.

---

*თომას აქეინელი: სიცოცხლე ღვთიური ძღვენია.*

*კონსტანტინე გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა": ჩვენში ყველა ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას — სარდლობა... ყოველ ყმას — ბატონობა და ყოველ მონას — მეფობა!*

— ვინც დასანვავი იყო, ყველა გარეთ გამოსულა და რას ერჩით შენობას, დავრეკოთ სახანძროში.

* * *

ქუთაისის „დინამოს" „ა" კლასში გადასვლა რომელ ქუთაისელს არ გაეხარდებოდა, მაგრამ ახლა ახალი საფიქრალი გაუჩნდათ:

— რა გვინდოდა, ბიჭო, „ა" კლასში? სდიე ახლა ბლოხინს — ცარიელი ტაქსივით რომ დარბის მინდორზე.

* * *

— ნუხელ ბიჭო, ნასვამი, მაჭყანიასთან მიეედი ღამით, ის არ დამხედა სახლში, მარა მისმა ცოლმა იმდენი მაცინა, რომ კინალამ ლოგინიდან გადმოვარდი, აპა!

* * *

ნუხანდელმა ნამთვრალევმა ექიმმა ნნევა გაუსინჯა კაცს და დაამშვიდა — ნორმალურიაო!

— თუ შენც ნორმალური ხარ, მარცხენა ხელზე გამისინჯე ნნევა... მარჯვენა ხელი პროტეზია?! — შეახსენა პაციენტმა.

* * *

ზოგ რაღაცაზე კაცს გაფრთხილებაც არ უნდა ჭირდებოდეს, მარა... გაზონზე ასეთი ნარნერაა: „გადაფურთხებაზე — ჯარიმა ერთი მანეთი".

— გადააფურთხე, ბიჭო, გპატიჟებ — ეუბნება ერთი მეორეს.

* * *

— სად მუშაობ ახლა?

— სანაგვე მანქანაზე ... და, შეთავსებით, ჩვენი ნაგავი დირექტორიც დამყავს.

* * *

— ქმარმა რომ მოგვისნროს რას შობი მერე? — აფრთხილებს ჭიჭიკიას საყვარელი.

— მაგის დარდი ნუ გაქვს შენ. ბიჭები მყავს გაფრთხილებული და დაბლა გაშლილი ბრეზენტით დგანან. რამე რომ იყოს, მერცხალივით გადავფრინდები მერვე სართულიდან... ამის თქმა და კარზე

ლიხის პრესიდან.

5 წლის სალომე ლომბაძე უსმენდა სიმღერას.

„რომ მოვიყვანო, სად წავიყვანო

სახლი არა მაქვს, კარი არა მაქვს.

მაგრამ მაინც წამოდიო"

ს ა ლ ო მ ე მ იკითხა: — ლტოლვილია?

დანიელ დეფო: ადამიანს, რაც უნდა ბევრი ქონება, ფული ჰქონდეს, იმ ფულიდან იმდენ სიამოვნებასა და სარგებლობას მიიღებს, რამდენიც მას ეკუთვნის.

ასეა პოეზიაც... მისგან შეგიძლია მიიღო ის, რაც შენ თვითონ მიანიჭე. რადგან უშენოდ იგი არ არსებობს.

**P.S.** პოეზიაზე ყველას თავისი წარმოდგენა აქვს. რომელიც ზოგჯერ ემთხვევა ზოგჯერ, კი უპირისპირდება სხვა თაობების შეხედულებებს.

ამშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს განზრახული აქვს საქართველოს ცენ-

დაკაკუნება ერთია... ქიჭიკია მერცხალივით გადაეშვა მერვე სართულიდან. ქალმა შვებით ამოისუნთქა, კარები გაალო და ქმრის მაგივრად ხელში შერჩა... ქიჭიკიას ძმაკაცები.

— უკაცრავად, ქალბატონო, ქიჭიკიას გადაეცით, მთელი ქუთაისი მოვიარეთ და ბრეზენტი ვერ ვიშოვეთ-თქვა?!

რა დაენევა ახლა ქიჭიკიას! — გაიფიქრა ქალმა.

* * *

— ამისთანა პატიოსანი მუშაკი ვაჭრობაში არ მინახავს, ხურდას კაპიკ— კაპიკ აბრუნებს.

— მართლა?

— აბა, კაცო, ორი კაპიკი მივეცი ასანთის საყიდლად, კაპიკი დამიბრუნა და ასანთი არ გვაქვსო.

* * *

სვანი მიადგა რკინიგზის სადგურის სალაროს.

— მომეცი ერთი ბილეთი?

— სად მიდიხართ?

— რა შენი საქმეა?!

* * *

ნაავარიებ, შებინტულ ქიჭიკიას ამფსონები საავადმყოფოში ენვიენენ.

— რა მოგივიდა, ბიჭო!

— ასი კილომეტრის სიჩქარით მივდიოდი, მარა ისე ჩამიქროლა ბიჭიკიამ, მეგონა გაჩერებული ვიყავი. გავალე კარი, გადმევედი და ა! რა დღეში ვარ!

* * *

ჩვენში ასეთი ნესია: მიცვალებულს ღამეს უთევენ და ვინ რითი კლავს დროს. ზოგჯერ ნარდსაც აგორებენ.

— დავი, ეუბნება ერთი მეორეს.

— ქვა მყავს მკვდარი და ვერ ნამოვალ.

— ქიჭიკიას, ბიჭო, ქვა კი არა, ბაბუა ყავს მკვდარი და მაინც მოდის.

* * *

— სიცოცხლეში სისხლი გაუშრო და ახლა რომ დამხობია თავზე კუბოში თავის სიდედრს, ვითომ რაა?

— პახმელიაზეა და ციეი სიამოვნებს.

---

*დღეს რამდენი კითხვაცაა, სადაა იმდენი პასუხი!*

*ხალხი კაცზე უფრო ბრძენია, მაგრამ კაცი ხალხზე უფრო ჭკვიანი. ამიტომ: ნიჭი — ხალხს მოსთხოვე და ჭკუა — ჭკუის საკითხავ კაცს.*

ჭიჭიკიას ბაბუა გარდაეცვალა. ბევრი იფიქრა — დასამარხ ფულს ვინ მასესხებსო. ბოლოს არჩევანი მაცივრის დირექტორზე შეაჩერა.

— ორ კვირაში მექნება ფული და უკან დაგიბრუნებ — შეპირდა ჭიჭიკია.

მაცივრის დირექტორმა, არც აცივა და, უპასუხა:

— მომიყვანე ბაბუაშენი, ორი კვირა მაცივარში შეგინახავ და ფული როცა გექნება, მაშინ დამარხე.

* * *

— ამ ხნის კაცი ცოლს რატომ არ თხოულობ?

— მე იმისთანა პატიოსან ქალს ვეძებ, რომ, ბებიამისიც ქალიშვილი იყოს.

* * *

ქუთაისელებს ერთი საპატიო თბილისელი სტუმარი ჰყავედათ და მასპინძლებიც სპეციალურად შეურჩიეს. მათ შორის ერთი... საერთოდ არ იღებდა ხმას და სწორედ იმან მიიქცია სტუმრის ყურადღება — ეს კაცი რატომ არ იღებს ხმასო?

— ამან ბატონი, საგარეო ლაპარაკი არ იცის, — ზრდილობიანად აუხსნეს.

* * *

— ამ ბავშვთან რომ დამჯდარხარ და არაყს ასმევ... რაღა გეკადრება, ჭიჭიკია?

— ხვალ ეს ბალანა, ჩემო ძმაო, ბალნებში თამადადაა დაპატიჟებული და უნდა ნავამაცადინო. ეს არაყი კი სპეციალური ქუთაისური ჩამოსხმაა — „უჩებნი“ — 5 გრადუსიანი!

* * *

— რატომ არ ნახვედი იმ სამსახურში, მოადგილედ რომ გიშვებდნენ?

— მოადგილეობას უადგილეობა მირჩევნია.

* * *

ოფიციანტი მებუფეტეს: — ვიღაცა უცხოები არიან და რაიმე ნაციონალური — „ოსტრიო“, რა მივუტანო?

— ხანჯალი!

ტორიაზე დადგას მოსასმენი სადგური „კავკასიაში“ მდგომარეობის გასაკონტროლებლად" — განაცხადა საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით ამერიკულმა ყოველკვირეულმა „ნიუს ენდ უორლდ რეპორტმა". ჟურნალმა ისიც გაიხსენა, რომ მარტში ცსს-ს დირექტორი ჯორჯ ტენეტი ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით ესტუმრა საქართველოს.

„ნოვოსტი რაზვედკი ი კონტრრაზვედკი", N11-12.

**P.S.** ზოგიერთ „ინტრიგანს" კი რომ ჰკითხო, მთავრობა მათ არ უსმენს?!

უსმენს და მერე როგორ!

მაია კახიძე:

ვინ იყო მედიკო მებურიშვილი?

(მითი და სინამდვილე)

გიზო ნიშნიანიძე: მედიკო ჩემს თვალწინ გაიზარდა. მის ოჯახთან ვახლობლობდი. ჩემი მეგობრის, ვალოდია მებურიშვილის ძმისწული იყო. არაჩვეულებრივი მშობლები ჰყავდა. კარგი ოჯახიშვილი გახლდათ მედიკო, ულამაზესი, უსაყვარლესი გოგო.

* * *

ქუთაისელი, გაზეთის მეოთხე გვერდზე, სამგლოვიარო განცხადებებს ათვალიერებს და სინანულით აქნევს თავს: — რა მოუვიდათ კაცო, ამ „ნეკროლოგებს", სულ განყდა ეს გვარი.

* * *

ბალის კიდეზე გოგოებით სავსე გასისინებულმა მერსედესმა ჩამოიარა, რომლის საჭეს სალებავებით მოთხუპნული ქალი მართავდა.

ჭიჭიკია ამფსონებს გამოეყო, მანქანასთან მივიდა და მძღოლს ხაზგასმული ზრდილობით უთხრა:

— მსუბუქი ყოფაქცევის ვაჟებს თუ ეძებთ, გოგოებო, აგერ ვართ!

* * *

ბედი უნდა ყველაფერს — არც ერთი ცოლი არ გამოადგა ბიკენტის.

ვიღაცამ თქვა:

მაგი საზამთროს უფრო დიდხანს არჩევს, ვიდრე ცოლს და აბა, რა იქნებაო?

* * *

— მაჭყანიას იმსისქე ქალი მოუყვანია, ტაქსმა რომ შემოუაროს, თუმანს დანერს.

— აბა, ჭიჭიკიას ცოლი ჰყავს, იმსინვრილე წელი აქვს, ბლის კურკა რომ გადაყლაპოს, ფეხმძიმე გეგონება!

* * *

— სად მუშაობ, სილიბისტრო ბატონო?

— მომღერალთა გუნდში ვარ.

— ლევი თუ გაქ რამე?

— რატომაც არა, ზოგჯერ პირს ვაღებ და არ ემღერივარ.

* * *

— რა დროში ვცხოვრობთ, კაცო, სამსახურში, უფროსმა, ერთი ხელით მედალი მომცა და მეორეთი — საყვედური.

— ჰოდა შენც ადექი და, მედალი — გულზე დაიკიდე, საყვედური — ფეხებზე და წამოდი აგერ დუქანში... დავილოცოთ!

* * *

რესტორან „იმერეთში" მეფური პურმარილია გაშლილი. ჭიჭიკია შემოდის, ცალკე მაგიდასთან ჯდება და ხაჭოსა და მაწონს თხოულობს...

— რას შობი, ბიჭო, გვჭრი თავს?.. თუ ფული არა გაქვს, აგერ არა ვართ! — ეუბნებიან გაკვირვებული ამფსონები.

---

*რაც უფრო გრძელდება სიტყვა – მით უფრო მოკლდება აზრი; რაც უფრო გარბის სიტყვა, მით უფრო მოიკოჭლებს აზრი!*

— რას ჰქვია, ფული არ მაქ, მარა ექიმმა ამიკრძალა ჭამა და დიეტაზე ვარ.

— დიეტაზე ვიყავი მეც, მარა ექიმს ასი მანეთი მივეცი და, რაც გინდა, რამდენიც გინდა, იმდენი ჭამე და სვიო!

* * *

— რატომ არ იყავი ბიჭო, ემზარიას ქორწილში?

— ნამდვილად შეერცხვი, მარა მეორედ რო ითხოვს ცოლს, გამოვასწორებ.

* * *

— რა გქვია, ბიძია, შენ? — ზრდილობისათვის ჰკითხა სტუმარმა მასპინძლის შეუხედავ, ტანმორჩილ ბიჭს.

— ტარიელი.

— სანამ არ ნამეიზრდება ბავშეი, სახელი არ უნდა დაარქვას კაცმა — თავისთვის ჩაილაპარაკა განბილებულმა სტუმარმა.

* * *

გაგანია ზამთარში, ქუთაისელებმა, ბალის კიდესთან ჭიჭიკია დაინახეს უქუდოდ რომ მოდიოდა ამ ყინვაში.

— ამ უპატრონოს ანტიფრიზი ხომ არ უსხია თავში, უქუდოდ რომ დაიარება!

* * *

ქუთაისური პარადოქსი.

— ალო, მახათაძის ბინაა?

— არა ბატონო, ჩვენ საერთოდ არ გვაქვს ტელეფონი.

?!

* * *

— შენზე ამბობენ, მწვანილი გაყიდა და „ჟიგული" იყიდაო.

— ვინ თქვა მაგი?

— ვინ და „ჟიგული" რომ გაყიდა და მწვანილი რო იყიდა?

* * *

— ჩემი პირველივე სიყვარული უბედურად დამთავრდა.

— რატომ, სხვას გაყვა ცოლად?

— არა, მე!

ერთხელ უკითხავთ. ბიძის მეგობრებიდან ყველაზე მეტად ვინ გიყვარსო და — გიზო ბიძიაო. დღემდე გაუგებარია ჩემთვის — რატომ. მაგრამ გამორჩეულად რომ ვუყვარდი, ამას მუდამ ვგრძნობდი. სხვათაშორის, ისეთი გოგო იყო, ბიჭებსაც კი ძალიან ეშინოდათ მისი. თვალებში შეხედვას ვერავინ უბედავდა. დიახ, მე ვიყავი მედიკოს დაკრძალვაზე. საოცარია. მაგრამ ასეთი ადამიანების დაფასება, სიცოცხლეზე უფრო მეტად, სიკვდილში იცის თბილისმა. ამიტომ იყო მედიკოს დაკრძალვა გლოვის ზეიმი. თბილისმა ქალაქური სიყვარულით გააცილა უკანასკნელ გზაზე ერთი დიდი სევდა.

სილამაზე რამდენადაც დიდი ბედნიერებაა, იმდენად დიდი ტრაგედიაც არის. როგორც მზეს ვერ უსწორებს ადამიანი თვალს, ასევე შეუძლებელი იყო მედიკოს უნიკალური სილამაზის თავხედური მზერაც.

ნუგზარ ჯუღელი: ის მარგალიტივით იჯდა ქალაქის

* * *

— რა ნომერია ავტობუსი?

— ნომერს რას კითხულობ, ტუფლი ხომ არაა, მოგიჭიროს.

* * *

— რამდენ ვოლტიანია ეს ნათურა?

— ვოლტი— მოლტი არ ვიცი მე, ორი ჩაის ჭიქა ჩადის.

* * *

ქუთაისელ ებრაელს უთხრეს, რომ მეორე მსოფლიო ომი 4 ტრილიონი მანეთი დაჯდა.

— ნამდვილად დაჯდებოდა, მარტო ჩემი მოშეს დატოვება ჯარიდან მილიონი დამიჯდა!

* * *

ნუხელ ისე დამთვრალა მაჭყანია, რომ, თურმე, ციცინათელებს დასდევდა — პაპიროსი მომიკიდეთო.

* * *

— სად მუშაობს შენი რძალი?

— ენის სპეციალისტია.

— მე გეკითხები, რა პროფესიისა-თქვა, თვარა ენის სპეციალისტი ყველა რძალია.

* * *

— სად მიგყავს ძაღლი?

— მესაათესთან... ნადირობისას უკან რჩება, ეს უპატრონო.

* * *

— ვის გაატანა ალმასხანმა ქალიშვილი ცოლად?

— ვის და ვიღაც ღვთისპირიდან გავარდნილ კონია დათეშიძეს.

— აუჰ, მაგის გატანებას ჯობდა, რიონისთვის გეეტანებინა, ფოთს მაინც ნახავდა.

* * *

— მოშიაშვილი, რამდენია რვაჯერ რვა.

— სამოცდაათი, პატ. მასწავლებელო.

— რამდენიო?

— სამოცდაოთხი!

— რატომ თავიდან არ თქვი მასე.

— პაპამ მასწავლა, პატივცემულო — ციფრი თავიდან დიდი უნდა დაასახელო და მერე ნელ-ნელა დააკლოო.

* * *

ქუთაისი თეატრალური ქალაქია და აქ კულტურაში, შენი ნებით თუ არ შეხვალ, კინწისკვრით შეგაგდებენ. გაზეთმა „დროებამ" (1890 წ. N 103) ასეთი ხუმრობა შემოგვინახა. იმ დროში ერთი თავადისთვის უკითხავთ: თეატრში თუ ხარ ნამყოფიო?

— რავა არა, ბატონო, სამჯერ ვიყავი, მარა სახლში არ დამხვდაო. — ნაუტრაბახებია.

* * *

— გუშინ საავადმყოფოში ჭიჭიკიე ვნახე... ისეა გამხდარი, ცარიელი გვარი და სახელია დარჩენილი.

P.S. ჩვენც ასე არ ვართ!

* * *

ქუთაისელებმა კარგი მეზობლობა იციან, მაგრამ მათ შორის ჩხუბი მაინც ხდება.

— გადასარევეია პირდაპირ, შენი ქათმები, ჩემს ეზოში გადმოსულან და ჩემი მწვანილი შეუჭამიათ.

— გადასარევი ის იქნებოდა, შენი მწვანილი ჩემს ეზოში გადმოსულიყო და ქათმები შეეჭამა.

* * *

ტოკიოს ოლიმპიადაზე ასეთი პრიზი გაითამაშეს: ვისაც სიდედრის სურათი ექნება ჯიბეში, მანქანით დავაჯილდოვებთო. ამდენ ხალხში ერთი ქუთაისელი აღმოჩნდა და, სწორედ, იმ ქუთაისელს აღმოაჩნდა საპრიზო სურათი. მიართვეს მანქანა და ჰკითხეს — ვინ ხარ, რა კაცი ხარ და რისთვის გედო ჯიბეში სიდედრის სურათიო. რისთვის და ფოტოგრაფთან მიმქონდა გასადიდებლად და ჯიბეში ჩამრჩაო.

* * *

— რამდენნაირ ავარიას არ შევსწრებივარ, მარა ასე დაგრეხილი მანქანა არ მინახავს, — თქვა ავტოინსპექტორმა.

— აბა, აბა, ჭიჭიკიეს ისე დაუხვევია საჭე, რომ საკუთარ საბარგულს დაჯახებია.

* * *

მთვრალი შოფერი ბოძს დაეჯახა და კენწეროში ასული მონტიორი მწიფე მსხალივით ჩამოაგდო ძირს. მაშინვე ადგილზე გაჩნდა ავტოინსპექტორი.

— რა ჰქენი ეს, ბიჭო?

— რა მექნა ბატონო, სამჯერ მივეცი სიგნალი ამ

კოლორიტში, მაჭი-ხცეშაში, როცხში. მამინდელ რუსთაველზე ხაში ასული დადიოდა. მელიკი მებურიშვილი. უცანდარ რაცვანი და ლია ჰაჰავა. ეხენი რომ გაივლიდნენ, გაცოცხლებული „ხამაიას" ცეკვა გეგონებოდა. მთელი გამზირი ჩერდებოდა. მანქანებიც, რა თქმა უნდა, და ხამ ქართულ ბანთავანს მესცქეროდა.

ქართლის კახძიძა: ოცით, რას ბეჭყვით. მე, ქართლის კახრაძეს, მელიკის გარემე რუსთაველი ცარიელი მგონია. ის ქალაქს დაკლდა, მისი ხიბლი და ხურნელი უბახრულობაში გაქრა...

რადაცნაირად, კედელ-კედელ იცოდა სიარული, ხხვათამორის, ნიაზ დიასამიქეც ახე დადიოდა... წარმოიდგენიათ, ისეთი მიხერა-მოხერა ჰქონდა, მხრებს არ ამოძრავებდა. წელზეც კი იდნავ არხევდა. მელიკი მებურიშვილი არისტოკრატი იყო და ნაკლი ის ჰქონდა, რომ უნაკლო იყო. მერწმუნეთ, ჰოლივუდს დღემდე არ დირხებია იმნაირი

ბოძს და არ გეინია გვერდზე, — თავი იმართლა გალენილმა მძღოლმა.

— ნასვამი ხარ?
— რავა გეკადრება, ბატონო, ნასვამი კი არა, ნაჭამიც არ ვარ.

* * *

გაბანჯგვლული ბონდოიე ზღვაზეა და მზეს ეფიცხება. პატარა ბიჭმა დედასთან მიირბინა და უთხრა:
— დედიკო, შეხედე, მაიმუნი.
— ნადი, შენი! — შეიგინა ბონდოიამ.
— დედიკო, დედიკო, შეხედე, ლაპარაკობს?!

* * *

ბაღის კიდეში სულის მოსათქმელად ჩამომჯდარა ჩოხა-ახალუხსა და ყაბალახში გამოწყობილი ბესარიონ ბაბუა და მამაპაპურ ყალიონს აბოლებს. მას, ტანის რხევით, მოუახლოვდა ნახევრად შიშველი ლამაზი ქალი, სიგარეტი იშიშვლა და ყურში ნაზად ჩასჩურჩულა:
— თუ შეიძლება, მომაკიდებინეთ, ბაბუა...
— მოკიდეთ, ბატონო, — უხერხულად გაიხედ-გამოიხედა ბესარიონმა.

* * *

ბონდოია და ჭიჭიკია სოჭში ისვენებენ. ვიღაცა ქუთაისელი იხრჩობა და გამწარებული ყვირის:
— პომაგიტე, პომაგიტე...
— მაგ რუსულის სნავლას, ცურვა ესწავლა ამ შობელძაღლს, — ეუბნება ჭიჭიკია ბონდოიას.

სადილობის დროა.
— რომ ვიცოდე, სახლში რა მაქვს სადილად, დაგპატიჟებდი — თავი გამოიდო ერთმა პურძვირობით ცნობილმა კაცმა.
— რომ არ ვიცოდე, რა გექნება სადილად, წამოგყვებოდი, — უპასუხებს ორი ყბით... ცალი ყბით დაპატიჟებული.

* * *

— ბიკენტის პანაშვიდზე არ წავიდეთ?
— გუშინ ხომ ვიყავით და დღეს რაღა გვინდა, მკვდრის ხამი ხომ არ ხარ?

---

*ესპანელმა მეცნიერმა გილერმო დიასმა ასე შეაფასა ქართული სტუმარ-მასპინძლობა: „ქართული სუფრა ნამდვილი შემოქმედებითი ასპარეზია"! („ლ.ს." 13-19.02.2004).*

*როცა ორი კაცი ჩხუბობს – დამნაშავე... ჭკვიანია! (სულელს ჭკუას ვერ მოსთხოვ!)*

* * *

ქუთაისელები ამაყი ხალხია და ეაგლახად ვერ დაიმორჩილებ. ბიჭიკიამ სანაძლეო დადო ბიჭებთან; აგერ თეთრ ხიდზე ჭიჭიკიე რომ მეიჯგიმება, ბოხოხში... ტანსაცმლიანად ვასკუპებ რიონშიო.

ამასობაში ჭიჭიკიაც დაადგათ თავზე.

— რაშია საქმე? — ჰკითხა შეკრებილებს და ამაყად აქაჩა ნარბი.

— რაშია და... გორბაჩოვს უბრძანებია, თეთრი ხიდიდან არ დეეინახო კაცი გადამხტარი, თვარა...

— ვინ კითხავს გორბაჩოვს... აღარ დააცალა სიტყვა ბიჭიკიას ჭიჭიკიამ და ტანსაცმლიანად ისკუპა რიონში.

* * *

— გუშინ, თეთრ ხიდთან, კაცი დაიხრჩო.

— მერე, ვერ გადაარჩინეთ?

— რა ვიცოდი, თუ იხრჩობოდა... ისე, კი ყვიროდა, სანყალი, მიჭირს, მიჭირსო, მარა... ახლა ყველას გვიჭირს.

* * *

ხაიმა ადიდებულ რიონს მიაქვს და ხან აქეთ ახათქუნებს თავს და ხან იქით.

— რას მირტყამ, რას? არ მოგყობი თუ? — უსაყვედურა რიონს ნყალნალებულმა.

* * *

ისტორიის გამოცდაზე.

— პირველ საკითხად მაქვს, ბატონო პროფესორო, დიდი ლენინის ბიოგრაფია... გთხოვთ ნუთიერი დუმილით ვცეთ პატივი მის ხსოვნას...

საგამოცდო კომისიის წევრები ტყვიანაკრავივით ნამოხტნენ ფეხზე.

— მეორე საკითხია სტალინის ბიოგრაფია... გთხოვთ ნუთიერი დუმილით...

— ერთი ჩაიხედე, თუ კაცი ხარ, ბილეთში, მესამე საკითხად რა აქვს?

— მესამე ინტერნაციონალი.

— დაუნერე, თუ კაცი ხარ, ნიშანი, თვარა მაგი ინტერნაციონალსაც გვამღერებს.

* * *

— მოგვჭრა ოლიფანტე ბაბუამ თავი, ასი ნლის კაცმა ცოლი მოიყვანა.

სილამაზე. მე, მა-
გ ა ლ ი თ ა დ
ავაზისთვისაც მომ-
დარებია და ნიავსაც
ხშირად ვადრიდი.
კეთილი გოგო იყო
მედიკო, მაგრამ თუ
საჭირო გახდებოდა,
ძუ მგელი გეგონე-
ბოდათ. დამენანა,
ძალიან დამენანა
თბილისის ოქროს
ორემი. ჩემს ხსოვ-
ნაში იგი სილ-
ამაზის ჟალონად
დარჩა. მედიკო მე-
ბერიმეილი ჩამქრა-
ლი ვარსკვლავია ცის
კაბადონზე...

თამაზ ქილაძე: ადამიანი იმდენი წლისაა, რამდენსაც მოიყვანს მისი „საკუთარი დრო", ანუ ადამიანი შეიძლება მთელი კაცობრიობის ხნისაც კი იყოს და, ამავე დროს, შეიძლება მხოლოდ იმდენის, რამდენსაც მისი პირადი კალენდარი გვაუწყებს.

არსებობს მისტიური მოძღვრება — მეტემფსიქოზი, რომელიც ირწმუნება, რომ სიკვდილის მერე, ადამიანის სული, სხვა ორგანიზმში განაგრძობს სიცოცხლეს....

**P.S.** „ჯერ კიდევ ბავშობაში იყო ასეთი თამაში „ვინა

— ცოლი თუ მოიყვანა, ქმარიც მოეყოლებინა.

* * *

— ბიჭო, ვერც აფრიკა ნახე რუკაზე, ვერც ევროპა, ვერც აზია, იქნება ქუთაისი მაინც გვიჩვენო, სადაა?

აბიტურიენტი მივიდა ფანჯარასთან, ფარდა გადასწია და

— რაღა რუკაზე მაძებნინებთ, ბატონო, ა, ქუთაისი!

* * *

მოგეხსენებათ, როგორი დატირება იციან იმერეთში. გამოსვენების წინ მიცვალებულს ცოცხალივით ელაპარაკებიან და ამ სოფლიდან იმ სოფელში ათას რამეს აბარებენ.

— ბაბუაჩემს გადაეცი: ჩვენს ამბავს თუ იკითხავ, ჩვენ კარგად ვართთქვაა.

— კირილეს უთხარი, გოგუცას ბიჭი ეყოლა და შენი სახელი დაარქვესთქვააა.

— ბიქტორ ბიძია მოგვიკითხე, არ დაგავიწყდეს...

ჭირისუფლებს სათითაოდ ანინკნიან კუბოს წესის შესასრულებლად გამოყოფილი გულშემატკივრები და ერთი ამბობს:

— მიცვალებულს თითზე ძაფი შევაბათ, თორემ ამდენ დანაბარებს ვერ დაიმახსოვრებს.

* * *

— თქვენ, ბიძია, ქუთაისელები თბილისელებს არაფერში უდებთ ტოლს და ალბათ, ჩქარა, კონსერვატორიასაც მოითხოვთ.

— მერე, თქვენ რა გენაღვლებათ, ბატონო, ჭამოს ხალხმა კონსერვი?!

* * *

აფთიაქის სანყობთან ხუთტონიანი საბარგო მანქანა გაჩერდა.

— რად გინდოდა, კაცო, ამხელა მანქანა?

— რა ვიცი, ბატონო, მე? მითხრეს, ხუთი მილიონი პენიცილინი გაქვს ნამოსაღებიო.

* * *

ყველაზე ვერ ვიტყვი, მარა უმრავლესობა, ქუთაისელი კაცებისა, ტანადები და თვალადები არიან. ყველაზე ვერ ვიტყვი, მარა გულზე თუ დავიდებ ხელს, ქალების მოყვარულებიც გახლავან. ერთი კაი შესახედავი კაცი გამაცნეს ქუთაისში, თან მითხრეს — ცოლი ჰყავს ეჭვიანიო... თანამდებობის პირია და ხალხთან პირი რომ არ შეირცხვინოს, ცოლს არწმუნებს, რომ შენს გარდა ქალი არ მინახიაო. მარა საქმე — საქმეა და იცოდე, თუ სახლში ვერ მნახავ — მაშინ სამსახურში ვარო! არადა, ხმა გავარდა, რომ იმხანად ახალ-

---

*დანიელი მწერალი პანს შერფინგი: „ეს ოქროს საწმისის ქვეყანაა — მიწიერი სამოთხე, უფლის კურთხეული ნაგლეჯი დედამიწისა“.*

*საკუთარი მანქანა რომ არ ჰყავთ, იმას განიცდიან და საკუთარი აზრი რომ არა აქვთ, იმას – არა!*

გაზრდა გოგო აუყვანია მდივნად და მართლაც, მისი თქმის არ იყოს, სამსახურში ათენებდა და აღამებდა.

— დღეს მაინც სად მიდიხარ, კვირაა, — უთხრა ერთ დღეს ცოლმა, მაგრამ ქმარმა თავისი არ დაიშალა.

კვირა და ორშაბათი არ ვიცი მე, საქმე — საქმეაო.

ეჭვიანი, აბა, რის ეჭვიანია, თუ ეჭვი არ აილო! ადგა ცოლი და სამსახურში მიადგა სწორედ მაშინ, როცა მისი ქმარი თავის ახალ მდივანთან ერთ ხვევნა— კოცნაში იყო. ყველაფერი ეს ცოლმა ქმრის კაბინეტის ჭუჭრუტანიდან თავისი თვალით დაინახა. დაინახა და კიდეც შეუმტერია კარი.

— ახლა რაღას იტყვი?

დანაშაულზე წასწრებულმა ქმარმა იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და ისევ ცნობილი ქუთაისური იუმორით უშველა თავს.

— ვაი, შენს პატრონს, შენ გგონია, ახლა, ამას მე ვეარშიყები?

— ?!

— ასე თუ არ ეფერე თანამშრომელს, კვირა დღეს იმუშავებს ის???

* * *

სამი დღის გამოუფხიზლებელ ჭიჭიკიას ალიონზე უცნაური ხილვები დაეწყო: ჯერ იშვიათი საპახმელიო პურმარილი, მერე, მაღალყელიან შეორთქლილ ჭიქაში ცივი ლუდი და, ბოლოს, ოქროსთმიანი და ლურჯთვალა რუსის ანგელოზი ქალი... ასე და ამრიგად, ჭიჭიკიამ გააფრინა.

— რომელი ხარ, გოგო, შენ? — ჰკითხა ბურანში შესულმა ანგელოზს...

— ბელაია ვარ, ბიჭო, ვერ მიცანი?

— რომელი ბელაია?

— რომელი ბელაია და... „ბელაია გარიაჩკა".

* * *

ახალი საქმე ყოველთვის ძნელად იდგამს ფეხს, ქუთაისში საკუთარი ოპერა რომ გახსნეს, პრემიერის შემდეგ, კულისებში, ასეთი დიალოგი გაიმართა:

— როგორ ჩაიარა ოპერამ?

— კარგად... მარა პარტერიდან ბანი რომ არ შემოეშველებინათ, გლახად იყო საქმე.

* * *

— რაა, ბიჭო, ეს საწამლავი? — დაუბრუნა ნახევრადშესმული კათხა ლუდი ხანშიშესულმა კაცმა მებუფეტეს, — მწამლავ ამ ომის ვეტერან კაცს?

— აბა, ბავარიული პივა თუ გინდოდა, ბიძია, შემოგეშვა ის გერმანელები.

*ხელი გხერს?"..*

*ვინ იყო ის დალოცვილი, ვინც სიყრმიდანვე გვასწავლიდა ხელისა და არა ფეხის ძებნას?*

*„პარიზის კომუნის" დროს ბავშვები ბარიკადებზე თამაშ-თამაშით კვდებოდნენ. ოცნების სამყაროდან სინამდვილეში ისე გადადიოდნენ, რომ ვერც ამჩნევდნენ, ვერც კი ასწრებდნენ აღქმას იმ უსაზღვროსას, ამ ორ ქვეყანას რომ ჰყოფს.*

*ხარ ჩემი მეგობარი?*

*კი, ვარ!*

*მეძლევი ჩემი გულისთვის სიკვდილს?*

*მენ რა, ძალიან დაკავებული ხარ?*

*გრიგორი კლიმოვი:*

*„ნიოდე ბრძენთა იქმება":*

*ხვაის მე-13 განყოფილების გენერალ-პროფესორმა ბიკოვმა მორიგი ლექციაც ლომბროზოს ციტატებით დაიწყო: „დიდი მოაზროვნე, პიზაციური ფილოსოფიის ფუძემდებელი*

* * *

იყო დრო, როცა ერთი კათხა ლუდი ოცი კაპიკი ღირდა, თუმცა, არც მაშინ ავსებდნენ ჭიქას ბოლომდე.

— გამივსე, ბიჭო, ბოლომდე და ოცდაათ კაპიკს მოგცემ.

— ათი კაპიკის გულისათვის ვერ გავიფუჭებ, ბატონო, პოჩერკს.

* * *

— აა, როგორ მოგეწონათ ჩემი თამადობა? — იკითხა მეორე დღეს ტოლუმბაშმა.

— მალადეც, ძმაო, ამდენი კაცი, სმით კი არა, ჰიტლერს არ დაუხოცია ტყვიით, მეორე მსოფლიო ომში, — მოუწონეს მასპინძლებმა.

* * *

— რატომ ამ მუშაობს ეს ქუჩის საათი? — ჰკითხა ერთმა არაქუთაისელმა ერთ ქუთაისელს.

— ალბათ შესვენება აქვს, ბატონო, — ნახა გამოსავალი ქუთაისელმა.

* * *

ერთმა მელომანმა მანდილოსანმა დაპატიჟა ქუთაისელი ბიჭები, თავისი ფირფიტების კოლექცია უჩვენა და ყველაზე დიდი ფირფიტა გადმოიღო.

— ამხელა ფირფიტა თუ გინახავთ?

— ფირფიტა არა, მარა ხაჭაპური კი — გადაუკრა სიტყვა ცნობილმა ყორანამ.

* * *

ყორანა, სადილის მოლოდინში, ჭადრაკს ეთამაშება მასპინძელს. ბოლო სვლაზე ზუსტად ერთი საათი და ოცი წუთი იფიქრა.

— ჰე, რას შობი, კაცო! ერთ სვლაზე ამდენს ფიქრობ?

— მე, ბატონო, ახლა, ჭადრაკზე კი არა, ცხოვრებაზე ვფიქრობ.

— რავა?

— ერთობ ჭადრაკულადაა საქმე!

* * *

სამხატვრო გალერეაში მაჭყანია ვერ მონყვიტეს ერთ ტილოს, რომელსაც ასეთი ნარნერა ჰქონდა — „საბაზრო ეკონომიკა".

— რაა, ბოშო, ეს? — გაკვირვებით ჰკითხა კუკურიას, — ვერაფერი გავიგე.

— რა ვერ გაიგე, შე უპატრონო... ამ ტილოზე, ადრე დახატული იყო ვენახი.

— მერე, სადაა აქ ვენახი, რამ შეჭამა?

— რამ შეჭამა ვენახი და თხამ.

*კენედის საფლავის წარწერა: „ამერიკელო! ნუ იკითხავ – რა მოგცა შენ ამერიკამ.. შენ რა მიეცი მას?"*

*ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში 125000 სიტყვაა. მწერლობა იმ 125000 სიტყვაში... იმ ერთის პოვნაა!*

— თხა სადღაა?

— თხა საბაზრო ეკონომიკამ შეჭამა.

* * *

სადაურია ეს კარაქი?

— გფრ-სია.

— ძეხვის კონსერვი?

— ესეც გერმანულია.

— თუ ამათი სარჩენი ვიყავით, რაღას ვერომებოდით.

* * *

ქუთაისში, ერთ დროს, ასეთი მოარული სიმღერა იყო:

„ცოლის გაშვება თუ გინდა, უნდა ნახო სტანციაო,
ცოლი ბაგაჟში მიეცი, დახიე კვიტანციაო".

* * *

ქუთაისელი საქმოსანი ებრაელი დაკითხვაზე ჰყავთ.

— ამხანაგო, — ეუბნება გამომძიებელი, — თვეში 90 მანეთი ჯამაგირი გაქვს, ხომ? (ძველი კურსით).

— კარგია, მერე, მაგი?!

— ამხელა ოჯახს არჩენთ...

— ცუდია, მერე, მაგი?!

— სხვა არავითარი ოფიციალური შემოსავალი არ გაქვთ.

— კარგია, მერე, მაგი?!

— მანქანა გყავთ, აგარაკი გაქვთ!

— ცუდია, მერე, მაგი?!

— როგორ ფიქრობთ, პატიოსან ცხოვრებას ეწევით?

— ისე მე ვიცოცხლე.

— ჩვენ, აგერ, ნელებზე ფეხს ვიდგამთ...

— ისე თქვენ იცოცხლეთ!

— თქვენი ოფიციალური შემოსავალი გყოფნით?

— ისე მე ვიცოცხლე!

— ჩვენ რაც გვაქვს, იმას ვჯერდებით.

— ისე თქვენ იცოცხლეთ!

* * *

— რაზე დაგიჭირეს?

— ცოლს ვეჩხუბებოდი, მეზობლებს ვეჩხუბებოდი, თანამშრომლებს ვემდუროდი და ჩხუბზე დამიჭირეს... შენ?

— მე ბედს ვემდუროდი და პოლიტიკურზე დამიჭირეს.

ოგიუსტ კონტი დაუღალავად ქადაგებდა, რომ მომავალში ქალებს ხელოვნურად, ანუ მამაკაცის ჩარევის გარეშე, გაანაყოფიერებდნენ. მოგვიანებით კი კონტს ძლიერი ფსიქიკური აშლილობის გამო მთელი 10 წელიწადი საგიჟეთში მკურნალობდნენ...

• დააკვირდით, ამხანაგებო, — განაგრძობდა ბიკოვი, — უტოპიური სოციალიზმი სწორედ კონტმა, სენ სიმონმა და ფურიემ შექმნეს. მიტომაც კომუნიზმის ფუძემდებელი კარლ მარქსი მათ „სოციალიზმის პ ა ტ რ ი ა რ ქ ე ბ ს" უწოდებს. არადა — სენ სიმონი განდიდების მანიით გახლდათ შეპყრობილი და თავის მსახურს აიძულებდა, ყოველ დილით შემდეგი სიტყვებით გაეღვიძებინა — „წამოდექით, გრაფ. თქვენ დიადი საქმეები გელით"!

„გ ე ნ ი ა ლ უ რ ი მ ა თ ე მ ა ტ ი კ ო ს ი, ე ვ კ ლ ი დ ე ს გეომეტრიის გამმართვი ბოლიაი შემდოლის რეპუტაციით ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ დ ა. ერთხელ მან დუელში ერთდროულად 13 ადამიანი გამოიწვია (დააკვირდით — 13)

* * *

მაჭყანიას უთხრეს, როგორ გაშიფრავ მედიცინის ემბლემას — გველსა და თასსო?

— მაგი მედიცინის კი არა, ჩემი ოჯახის ემბლემაა — ჩემი სიდედრი ნაყინს მიირთმევსო.

* * *

ჩვენს კურორტებზე ზაფხულობით ისეთი მოზღვავება იციან ლამაზმა ქალებმა, რომ ნამდვილ ვაჟკაცს იქ რა დაასვენებს. მაჭყანიამ ერთი რუსულის მცოდნე ძმაკაცი გაიძღვანია მწვანე კონცხზე, გაერია პლაჟზე ქალებში და ყველაზე საუკეთესოები საგრიალოდ მიიპატიჟა რესტორანში და მთელი თვის ხარჯი ერთ დღეში მიაფშვნა. ქერათმიანი ლამაზმანები თავს ერთობ კარგად გრძნობდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ და მასპინძელი აღარც კი ახსოვდათ. მაჭყანიამ თავის რუსულის მცოდნე ძმაკაცს გადაულაპარაკა:

— რას შობიან, ბიჭო, ესენი, არაფერს აპირებენ, თუ იცი? მაგენს ხომ არ გონიათ, რომ ეს ფული აქ ხეებზე მოდის?

იმანაც აიღო და როგორც შეეძლო, ისე უთარგმნა, მარა გოგოებს აინუნშიც არ ჩაუგდიათ მისი სიტყვა, სიცილით იხოცებოდნენ.

— რა ქენი, ბიჭო, უთხარი რაც გითხარი? — ეს ფული ხეზე კი არ მოდის თქვა.

— ვუთხარი, აბა, არ ვუთხარი!

— „დერევო" რომ არ გიხსენებია? — ეჭვი აიღო მაჭყანიამ.

მისაღებ გამოცდაზე გასაუბრებაა.

— სერვანტესი თუ გაგიგონიათ?

— როგორ არა, სახლშიც გვიდგას, ბატონო.

* * *

ბულვართან გამვლელ-გამომვლელს ყველას თავისი შემფასებელ-დამფასებელი ჰყავს. აგერ ძვირფას ბეწვის ქურქში გამოწყობილი, ერთობ უშნოს დედაკაცი მოაბიჯებს...

— სულ ერთი არაა, ახლა, ეს ძვირფასი ბეწვის ქურქი იმ ცხოველს ეცმებოდა თუ ამ ცხოველს?

* * *

ქუთაისელები პირველობას არავის არაფერში უთმობენ.

— უდაბნოში რომ ქარი იცის, იმისთანა ტყვილია, — ამბობს ვილაცა არაქუთაისელი.

— რავა ყველაფერი სხვისი გიკვირთ, თქვე კაი ხალხო, — ქუთაისში ქარი იცის — კონსერვს ხსნის! — არ თმობს ქუთაისელი.

ქუთაისელს წყალი რომ მოთხოვო, ღვინოს მოგიტანსო — ნათქვამია.

ერთმა თბილისელმა გადაწყვიტა მოესინჯა ერთი უც-ნობი ქუთაისელი მასპინძელი და თანაც ხუმრობაში გამოეცადა. მიადგა სახლს. ეზოში შვიდი წლის ბიჭი გარბი-გამორბოდა და ჯერ იმას გამოელაპარაკა.

— დაუძახე, ბიძია, მამაშენს.

— მამა არაა, ბიძია, სახლში.

— სადაა თუ იცი?

— წუხელ მეხი ჩამოვარდა და ტყეში წავიდა მოსა-ძებნად.

?!

— მაშინ დედას დაუძახე.

— წუხელ მეხს ცა გაუხევია და იმის მოსაკერად წაყ-ვა.

— აბა, შენ რაღას აკეთებ აქ?

— მე სახლში დამტოვეს და მითხრეს, სტუმარი თუ მევიდა, უპატივცემულოდ არ გოუშვაო, მობრძანდით.

— თითისსიგრძე ბალღმა სტუმრებს ერთი ქიჩავ-ჩიქავი დაუწყო.

— მადლობთ, ბიძია, გაეზარდე შენს გამჩენს, შენ-ისთანა ბაღანას ულვინოდაც დალოცავს კაცი.

* * *

— ეს, ახალი მთვარეა?

— არ ვიცი, ბატონო, აქაური არ ვარ.

* * *

ცოლი: — შალიკია, ან მე ან ღვინო!

შალიკია: — ხან შენ, ხან ღვინო!..

* * *

ავტოინსპექტორმა მანქანა გააჩერა, რომელიც ტრასაზე რვიანებს ხაზავდა. მანქანიდან ძლივს გად-მოვიდა ნასვამი მძღოლი და თან თავხედურად ირწ-მუნებოდა — ღვინისთვის პირი არ დამიკარებიაო?!

— აბა, ამ ჭიქაში ჩაისუნთქეთ! — უთხრა ინსპექ-ტორმა, მერე ჭიქას ჩაყნოსა და თვალები შუბლზე აუ-ვიდა.

— ღვინის სუნი ნამდვილად არ უდის ჭიქას?! ვა-ჟკაცურად მითხარი, რაშია საქმე და გაგიშობ.

შოფერმა უთხრა: — რა მაქვს, ბატონო, დასამალი, მე ძველი მოქეიფე ვარ და ახლა, ინსპექციის შიშით იძულებული ვარ, ღვინო ოყნით გავიკეთოო.

— აა, ძმაო, შენი საბუთები, წადი შენი გზით, ოღონდ, არავისთან წამოგცდეს, რაც ახლა მითხარი, თორემ ჭიქის მაგივრად, ანი, ვინ იცის, სად გვა-სუნებინებენ.

და მერე ყველა ნაც-ნობს შავ ქაღალდზე თეთრი ასოებით დასტამბული შეტყ-ობინებს გაუგზავნა, რომლითაც საკუთარ დ ა კ რ ძ ა ლ ვ ა ზ ე ეპატიჟებოდა...

არქიმედე კი „ევრიკას“ ძახილით არა მხოლოდ აბაზა-ნიდან ამოხტა დედ-იშობილა, არამედ ქუჩაშიც, ასევე დე-დაშობილა გაისეირ-ნა.

ი რ ო ნ ი ი ს მ ა მ ა მ თ ა ვ ა რ ი. „გულივერის მოგზა-ურობის“ ავტორი, ჯონათან სვიფტი მღვდელი გახლ-დათ, მაგრამ დროლადორი, იგი ა ნ ტ ი რ ე ლ ი გ ი უ რ ი წიგნების გამოცემი-თაც „ერთობოდა“... საბოლოოდ კი მწ-ერალი სრულიად შეიშალა ჭკუიდან.

მუჰამედი, ლუ-თერი და სავონარო-ლა, ისევე, როგორც ყველა სექტის და თითქმის ყველა რელიგიის დამ-ა ა რ ს ე ბ ლ ე ბ ი, ჭკუიდან შეშლილი გენიოსები იყვნენ.

მიქელანჯელო წარამარა აცხადებ-და, რომ ხელოვნებ-ა მას ცოლის მაგ-იერობას უწევს; გოეთე, ბაირონი, ნიუტონი და ნაპო-ლეონი გარყვნილებ-ის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ.

* * *

ქუთაისელები სიამაყით ამბობენ, რომ ქუთაისურ რესტორნებში არაქუთაისელის ფული არ დახარჯულა და, მართლაც, ქუთათურებს მანსპინძლობაში ვერ შეეჯიბრება კაცი.

* * *

ნალმა... ცალმხრივი მოძრაობის ქუჩაზე — უკუღმა მდგარ მანქანას ავტოინსპექტორები დაადგნენ. მძღოლიც მისი მანქანასავით უკუღმართი რომ დახვდათ, ერთმა მოურიდებლად უთხრა:

— შენ, ამხანაგო, მანქანის ტარება თუ იცი?

— მაგას მანქანის დაყენება არ ცოდნია და ნაყვანა ეცოდინება? — უთხრა მეორემ... ისე, რომ შეხედო, ჰალსტუხი კი კიდია ყელზე.

— აბა, სად უნდა მეკიდოს? — იკითხა მძღოლმა.

— მაგან, მე თუ მკითხავთ, არც ჰალსტუხის ტარება იცის, —დაასკვნეს ინსპექტორებმა.

* * *

ავტობუსის და ტროლეიბუსის შოფრები გზაჯვარედინზე ნაკინკლავდნენ. ავტოინსპექტორმა ორივე შეანამუსა.

— რა გაჩხუბებთ, ორივე შოფრები არ ხართ, სადაა თქვენი კოლეგიალობა?

— ეს რა ჩემი კოლეგაა? — იუკადრისა ავტობუსის მძღოლობა; — გერმანული ნაგაზივითაა გამობმული მავთულზე და დარბის აქეთ-იქით.

* * *

ქალაქში ერთი დიდი ქარხნის დირექტორი ყოფილა... ერთობ უხეში და ხეპრე კაცი (გვარს არ დავასახელებ). ზემოდან, ერთხელ და უკანასკნელად, გააფრთხილეს და საკმაოდ სერიოზულადაც! გაფრთხილების შემდეგ ვიღაცამ დარეკა ქარხანაში და დირექტორი იკითხა:

— მე გახლავართ, ბატონო, — მიუგო ზრდილობიანად.

ყურმილის მეორე მხარეს დაბნეული სიჩუმე ჩამოვარდა.

— გისმენთ, ბატონო.

— დირექტორი ბრძანდებით?

— დიახ, ბატონო.

— არ გავხართ თქვენ დირექტორს.

— როგორ გეკადრებათ.

— თქვენ ჩვენს დირექტორს გვასნავლით?

— დირექტორი ვარ-თქვა, — გეუბნებით, — ნამოასხა სისხლმა ნამდვილ დირექტორს.

— რაღაც ვერ გცნობთ, ბატონო.

— ამ ჩემს ფეხებს, თუ ვერ მცნობთ, თქვენი ოხერი დედაც, მამაც, ბიძაც, ბიცოლაც...

— საკმარისია, გიცანით, მასე გეთქვათ, ბატონო!

---

*ზოგი ნამუსს ინახავს, ზოგი ფულს.*

*დღისით რომ კაცი სიზმარს ნახავს.. ის უკვე ცხადია!*

* * *

— გევიგე მაჭყანიას ცოლი მოუყვანია, ლამაზი ქალია?

— გადააშენე იქით, ტყეში რომ დააბა, ბანარს მეიპარავენ, იმას — არა...

* * *

— რა მოგივიდა ბატონო იპოლიტე, გაცივებული ხართ?

— გაცივდება კაცი, აბა რა იქნება, მოგიტანენ ცხელ ხაჭაპურს, დაგაყოლებიებენ ცივ ღვინოს...

(ეს თემა. გარეკანზეც დაიბეჭდა „ნიანგში").

* * *

— თქვენი სიძე რა ოჯახიშვილია?

— მამამისი სასტუმროს შვეიცარია.

— კაი დაგემართოს, მარა შვეიცარი ვინ ოხერია?

— სასტუმროს კარებს ხან რომ წინ აღებს და ხან უკან...

— შვეიცარი კი არა პრუჟინა ყოფილა?!

* * *

— რა სასწაულებს ახდენს კაცო, ეს მედიცინა. თუ მეინდომა — მკვდარსაც აცოცხლებს!

— აბა, აბა, გულის გამოცვლაც შეუძლიათ, თვალისაც, ცხვირისაც, ჭაჭებისაც. ვილაცა მილიარდერს, თურმე, კაცობა არ ჰქონია და ნახევარ მილიონს იძლევა, თუ კაცობას დაუბრუნებენ... ახლა დონორს ეძებენ, რომ გადაუნერგონ.

— რად უნდათ ძებნა, აგერ არაა ჩვენი ანზორიე შკაფა, მოველაპარაკოთ და თუ დათანხმდა, მაგაზე უკეთეს დონორს სად იშოვნიან?

— მაგი არ შეელევა...

— არ შეელევა და აგერ არ ვართ ჩვენ! წავიყვანოთ წყალთაშვეას რესტორანში, გავხეთქოთ სმით და მერე...

— ეს ამბავი რომ გახმაურდეს?

— ნუ გავახმაურებთ... ჰა და ჰა, ასე ოცი კაცი თუ გეიგებს ამ ამბავს.

— ოცი რა ამბავია?

— იანგარიშე: მე ხომ ვიცი, შენ ხომ იცი, თვითონაც ხომ გეიგებს?.. ეს სამი!.. ჩვიდმეტი კაცი კი ანზორიეს გაკავებას მოუნდება!..

* * *

ორი ქუთაისელი ... შეხვდა ბაღის კიდესთან.

— მაჭყანია, ბიჭო, სად იყავი გასულ კვირას?

ცნობილი დიპლომატი გრაფი X საზეიმო მიღებებზე სასმელში საკუთარი საყვარლის შარდს ურევდა და სიამოვნებით შეექცეოდა. საერთოდ, შეშლილებს ხშირად სჩვევიათ ექსკრემენტების მირთმევა. მედიცინაში მათ კოპროფილებს უწოდებენ, ხალხში კი, უბრალოდ „ქაქიჭამიებს" ეძახიან.

„როგორ მოგწონთ, ამხანაგებო? — კვლავ ჩაიცინა ბიკოვმა. — მოგახსენებთ, რომ პროფესორი ლომბროზო თავად გახლდათ ებრაელი. ამდენად ანტისემიტიზმში მას ვერა და ვერ დავადანაშაულებთ. თუმცა მის კალამს ერთი ასეთი ფორმულაც ეკუთვნის: „ძალიან ნიჭიერი და განათლებული ადამიანები ებრაელებში უფრო ხშირად გვხვდებიან, ვიდრე სხვა ერებში, სამაგიეროდ, შეშლილებიც ებრაელთა შორის 4-6-ჯერ მეტია, ვიდრე სხვაგან. სოციალიზმიც სწორედ ებრაელებმა მოიგონეს".

მედიცინა ამ ციპის ხალხს, ანუ ნახევრადშეშლილ ვაი-გენიოსებს ფსიქოპათებსა და

— შვეიცარიაში ვიყავი შვეიცარული ყველის საყიდლად, შენ?
— მე, ქუთაისში, სტუმრები მყავდა: ჯინა ლოლობრიჯიდა, სოფი ლორენი...
— მერე, რა ქენი?
— მარტო ვიყავი და რა მექნა?
— ვერ დამიძახე, ბიჭო, მერე, მე?
— მინდოდა, დამეძახა, მარა შენ შვეიცარიაში იყავი...

* * *

ყველაზე და ყველაფერზე გაბრაზებული კაცი არ გინახავს? ერთი ასეთი ავყია ქუთაისშიც ცხოვრობდა. საკუთარ რძალზე შეიტანა საჩივარი, ოჯახში შემოსვლისთანავე მთელი ჭურჭელი დაამსხვრიაო.
— მართალია? — ჰკითხეს რძალს.
რავა გეკადრებათ, ბატონო, პირველ დღეს საქორწილო თეფში რომ გავტეხე, ჩემს მამამთილს ის დღემდე ვერ მოუნელებიაო.

* * *

ქუჩაში ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალი მირბოდა.
— რა მოგივიდა, შვილო? — დაადევნა სიტყვა სახლის წინ ჯირკზე ჩამომჯდარმა ბერიკაცმა.
— ვიღაცა ბიჭი მომდევს, ბაბუა.
— რაღას გარბიხარ, შვილო, დაგნევია და ის არის, — ჩაილაპარაკა მოხუცმა.

* * *

ერთმა, თავზე და ნამუსზე ხელაღებულმა, ყმაწვილმა ქუთაისელებს განუცხადა:
— მე ნამუსს ორ კატეგორიად ვყოფ, ერთი ოფიციალური, მეორე არაოფიციალური... ერთი საგარეო, მეორე საშინაო.
— ამის ნამუსს კიდე გაყოფა უნდოდა, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

* * *

ბესარიონმა დიდხანს ითრია ფეხი, მარა ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა ცოლის შერთვა. გამოიწყო ჩოხა— ახალუხში და გამოვიდა ქუჩაში.
— სად მიხვალ, ბესარიონ ბაბუა? — გამოეკიდნენ ბავშვები.
— ჰაიტ, თქვე მამაძაღლებო, ვინაა თქვენი ბაბუა.
— საით გაგიწევია, ბატონო ბესარიონ, — უფრო მორიდებით ჰკითხეს მეზობლებმა.
— ქალის მოსაყვანად მივდივარ, ბატონო, — უთხრა და მართლა მოიყვანა. მეორე დღეს, ახლა ქალი გამოეპრანჭა და ნასასვლელად გაემზადა.

---

*სამათხოვროდ გაშვერილი ხელი ... მუშტად ვერ შეიკვრება.*

*საქართველოში თამადის არჩევას უფრო სერიოზულად ეკიდებიან, ვიდრე პარლამენტის არჩევნებს!*

— შენ სადღა მიხვალ, ქალო? — ჰკითხა ბესარიონმა.

— კაცის მოსაყვანად — უპასუხა ქალმა.

ქუთაისელები, საერთოდ, არ არიან დიდი ცერემონიის ხალხი და არც საზეიმო ალლუმები ეხატებათ მაინცდამაინც გულზე. ამიტომ, მათ ასეთი წინადადება წამოაყენეს:

— რა საჭიროა „პარადებზე" ქუჩაში ამდენი ხალხის გამოყვანა და ტრიბუნასთან ჩავლა. თვითონ მთაერობამ ჩამოიაროს ჩვენს ეზოებთან და ჩვენ აქედან დავჭექავთ ვაშას და მრავალჟამიერს.

* * *

— პარტიაში რატომ არ შემოდიხარ, ამხანაგო?

— საშუალება არ მაქვს.

— რა საშუალება უნდა პარტიაში შესვლას?

— პარტბილეთისათვის სურათია საჭირო, სურათისათვის — შავი კუსტიუმი და კოსტიუმისთვის ფული, ბატონო.

* * *

— ჩემთან ხომ არ დოურეკია ვინმეს? — იკითხა სამსახურში შალიკიამ.

— ერთმა კაცმა დარეკა და სამმა ქალმა.

— კაცი ვინ იყო?

— ქალებს რატომ არ კითხულობ?

— სამი ქალი „ბონი ემი" იქნებოდა.

* * *

ორი ხანშიშესული ქუთაისელი ბუხარს უზის, ძველ ამბებს იგონებენ და ახალს აგინებენ. ერთმა ფანჯარას გახედა და თქვა:

— ჩვენში, რავა ყველაფერი დალეულია, გახსოვს ბიჭო, რა მთვარე იყო სანფრანცისკოში?

* * *

პანაშვიდზე ჭიჭიკიას მეგობრები შემოლაგდნენ, წრე დაარტყეს და ერთმა რაღაცა კოლოფი დაუდო მიცვალებულს თავთან.

— რაა, ბიჭო, ეს კოლოფი? — იკითხა ჭიჭიკიამ.

— ყვავილები ვერ ვიშოვე და მარმალადის ბამბანერკა მევიტანე.

ნევროპათებს უწოდებს, ჩვენ კი გენიოსთა და იდიოტთა ამ ნაჯვარს „გენიოსებად" მოვიხსენიებთ...

პროფესორ ლომბროზოს სტატისტიკით, მის მიერ შესწავლილი 215 „გენიოტიდან" 44-ს თავი მესიად და წინასწარმეტყველად წარმოედგინა.

რადგან უცნაურიც უნდა იყოს, დასავლეთი ამ შეშლილ გენიოტებს ზარზეიმით ხვდება, თუმცა პროფესორი ლომბროზო იდიოტებისა და დეგენერატების გაღმერთების ამ უცნაურ ტენდენციასაც თავისებურად ხსნის: „ველურები და ბარბაროსები, როგორც წესი, დიდ პატივს სცემენ შეშლილებს. ბიბლიის ენაზე, ისევე, როგორც ფინიკიელთა და კართაგენელთა მშობლიურ ენებზე, წინასწარმეტყველს, შეშლილსა და დამნაშავეს ერთი და იგივე სიტყვებით აღნიშნავენ. ასევე არაბულშიც — სიტყვა „ნაბი" ერთდროულად ნიშნავს წინასწარმეტყველსაც და შეშლილსაც. თურქები კი შეშლილებს უფალთან დაახლოებულ პირებად მიიჩნევდნენ

* * *

მართალია თეთრი და შავი აბანოში გამოჩნდებაო, მარა არი კიდე ერთი ადგილი, სადაც ჩანს, ვის რა ახატია გულზე და ვის რა აწერია ტანზე — პლაჟი!

— რომელი დიდი მოჭადრაკე შენ მყავხარ, ზურგზე ჭადრაკის დაფა რომ დაგიხატია? — ეუბნება მზეს მიფიცხებული ჭიჭიკია ბიჭიკიას.

— მაგი არაა შენი საქმე. ჭკუა უნდა, ბიძია, ყველაფერს, კაცმა ხომ უნდა იცოდეს, სად ეფხანება.

— შენ თუ იცი?

— ვიცი, აბა არ ვიცი, მომფხანე ერთი თუ კაცი ხარ „ე" — 4— ზე!..

* * *

წვერ და თავგაბურძგნულ ჭიჭიკიას ხაშზე წასაყვანად, სისხამ დილით, იმ დროს დაადგნენ ძმაკაცები თავზე, მარქსის კაპიტალში რომ იქექებოდა.

— რას ეძებ, ჭიჭიკია, მარქსის კაპიტალში, ციტატას?

— გადააშენე იქით, ციტატას კი არა, ბრიტვას ვეძებ, წვერის გასაპარსად.

* * *

— ბიკენტი, ბატონო, ისევ თქვენ უნდა გვიშველოთ! ის ბიჭი, თქვენ რომ ცეხში გაუშვით — ისევ ციხეში მოხვდა.

— მაგი, ბიძია, ცეხსა და ციხეს თუ ვერ არჩევს, მე რას ვუშველი.

— რა ღირს მაგ ჰალსტუხი?

— რომელი, რა ფერი?

— ფერს რა მნიშვნელობა აქვს, ტომრის პირის მოსაკრავად მინდა.

* * *

— ოფიციანტ, ანგარიში! — უანგარიშოდ წამოიძახა ჭიჭიკიამ და ჯიბეზე გაიკრა ხელი.

— ათას ხუთასი მანათი! — გაჩოთქა ოფიციანტმა.

— ვაჟკაცურად მითხარი, აქედან შენი წილი რამდენია.

— რაცხა ხუთას ორმოცი მანათი, სიყვარულოვიჩ, — დაითაფლა მიმტანი.

— ა, შენ — ხუთას ორმოცი მანათი და სახელმწიფოს რას დაეძებ! — გაასწორა ანგარიში ჭიჭიკიამ.

* * *

ხუთი ბიჭის მამა, ხუთი გოგოს მამას, მეექვსე გოგოს შეძენას ულოცავს ტელეფონით და ისედაც გულზე შემოყრილს, ცეცხლზე ნავთს უსხამს.

— დამსკი მასტერს ვახლავარ, მომილოცავს მეექვსე გოგო!

---

*ტალეირანი: „ერის ცხოვრებაში არის მომენტები, როცა ღალატი საკუთარი მთავრობისადმი, რომელსაც ქვეყანა დაღუპვისკენ მიჰყავს, პატრიოტის უმაღლეს მოვალეობად იქცევა!.*

— თქვენც ხომ ელოდებოდით, თუ გეღირსათ გოგო?

— ჩვენ გოგოს ვინ გვაღირსებს, ბიჭია, ბიჭი!

— მასნაველე, თუ კაცი ხარ, რა სეკრეტი გაქვს ასეთი?

— ჩემი თავი შენი ფეშქაში იყოს, ჩაინერე!.. გაავსებ აბაზანას, ჩაასხამ შიგ ცოტა რძეს, გოურევ იტალიურ შამპუნს, ცოტა ფრანგულ დუხსაც, ჩააწვენ აბაზანაში შენც შავ მაყვალას, კარგად დაბან, მერე კარგად გაამშრალებ, ჩააწვენ გაქათქათებულ ლოგინში და...

— მერე?

— რა მერე? დანარჩენი ჩემზე იყოს.

* * *

ჭიჭიკიას დაუწყვია უკანალზე ხელები და ქუჩაში სეირნობს.

— რას დაგიწყვია ეგ ხელები უკან და დასეირნობ აქეთ-იქით?

— აბა, რა ვქნა, კაცო, სადაც კი ნახეს დირკა ამ შობელძაღლებმა, ყველგან კოოპერატივებს ხსნიან.

* * *

ქალებს თავის ასაკს სასამართლოშიც ვერ ნამოაცდენინებ.

— თქვენ მოწმე ხართ? — ეკითხება ერთ ფერუმარილით შეთხუპნულ ქალს მოსამართლე.

— რისი, ბატონო?

— რისი და ოქტომბრის რევოლუციის!... რასაკვირველია, სამართალში მიცემულის. რამდენი წლის ბრძანდებით?

— თქვენ რამდენს მომცემდით, ბატონო, — არშიყობის გუნებაზე დგება ხანდაზმული მანდილოსანი.

* * *

სიდედრების ლანძღვა-გინების კორიანტელში ჭიჭიკიამაც გამოთქვა მოულოდნელი აზრი, კიდევ უფრო მოულოდნელი ფინალით.

— სიდედრზე ძვირი არ გამაგონოთ, რას ვერჩი იმ ქალს, სახლი დამიტოვა, მანქანა მიყიდა, ბავშვებს მიზრდის...

— არ თქვა, ახლა, უნაკლოაო.

— არა, ერთი ნაკლი მაინც აქვს, რაც არ უნდა იყოს, სიდედრია!

* * *

— ტექნიკურმა კომისიამ გადაწყვიტა ჩამოგართვათ მანქანა, რადგანაც მართვა არ იცით!

— მე არც პიანინოს დაკვრა ვიცი, ბარემ ისიც წეიღეთ!

და ხაზგასმული მონიშნებით ეძებდნენ მათ. ხოლო მადაგასკარზე მემლოლებს ეთაყვანებოდნენ კიდევაც

მავკანიანი ქურუმებისა და მჩხიბავების უდიდესი უმრავლესობა ჰომოსექსუალისტი, თანაც გამოკვეთილი ეშიქიპათი. ანუ მემლილი გახლდათ!

უმაღლესი საციოლოგიის გადასახედიდან, მავკანიანი მჩხიბავებითა და ციმბირელი კუდიანებით დაწყებული. კერენსკით. ტროცკით. ლენინით. ჰიტლერით. რუზველტით თუ ხნევებით დასრულებული. უკლებლივ ყველა „ბელადს" ზუსტად ერთი და ი გ ი ვ ე ფსიქოლოგიური კომპლექსი ან კომპლექსთა ჯგუფი „აწუხებს" ამ სენს „ძალაუფლების კომპლექსს" ეძახიან და იგი ახასიათებს არა მხოლოდ „ბელადად მოსულ" ადამიანებს. არამედ ყველა „პროფესიონალ რევოლუციონერს" და სხვა ჯურის გადაგვარებულ დეგენერატს.

„ძალაუფლების კომპლექსის" ფესვი სადიზმში ანუ აგრესიაში ძევს. მარტივად რომ ვთქვათ.

* * *

ქუთაისის ღვინის ქარხანაში ხარისხის შესამონმებლად კომისია ჩამოვიდა.

— რით დავინყოთ? — იკითხა ინსპექტორმა.

— ყანნით, ბატონო, — უთხრეს მასპინძლებმა.

* * *

— ბატონო ბიქტორ, ღვინოს თუ აყენებ?

— მე კი ვაყენებ, მარა ვინ მიყენებს.

* * *

ჭიჭიკიე ჩხიკვზე სანადიროდ გაიყოლიეს ძმაკაცებმა და უღრან ტყეში მიატოვეს. უცებ, საიდანღაც, მისი ღრიალი შემოესმათ და იქით გაცვივდნენ.

— რა გაღრიალებს, კაცო?

— ლომებს ვაფრთხობ.

— სადაა, აქ, ლომები?

— ვაი, თქვენ პატრონს, მე რომ ვაფრთხობ, სნორედ იმიტომ არაა.

* * *

ჭიჭიკია და ბიჭიკია აფრიკაში ტურისტულ მოგზაურობაში ნაბრძანდნენ. თვითმფრინავმა ჯუნგლებში კატასტროფა განიცადა და აფრიკის რომელიღაც აბორიგენებში მოხვდნენ. ჭიჭიკია და ბიჭიკია გადარჩნენ, მარა, ვაი, ამ გადარჩენას. ცხვირში ბეჭედგარჭობილმა ტომის ბელადმა ჭიჭიკიე იცნო — ჩვენ ლუმუმბას სახელობის ინსტიტუტში ესნავლობდით ერთადო და სუფრაზე მოიჯინა. დანარჩენი კი კულინარული „სპრავოჩნიკის" მიხედვით მოართვეს ბელადს... შემნვარ-მოხრაკული. ჯერი ბიჭიკიაზეც მიდგა. ტომის ბელადმა ჩახედა მსოფლიო კერძების ჟურნალს, „ბ"-ზე მოძებნა კერძის დასახელება და ბრძანა:

— ბიჭიკია, აჯიკით!

* * *

სულ ახალი ამბავია. სახლში მისულ ბესარიონს ცოლი ცხვირჩამოშვებული დახვდა.

— რა მოხდა, ხომ მშვიდობაა, ქალო?

— რავა რა მოხდა, შენმა შვილმა მიტინგზე შიმშილობა გამოაცხადა და თეატრის ნინ დაჯდა.

— რაიო? ახლავე მოათრიე სახლში, თვარა, მაგის გულისთვის სამსახურიდან მომხსნიან და შიმშილობა — ყოველგვარი გამოცხადების გარეშე, მერე ნახე შენ!

* * *

სასტუმრო „ქუთაისიდან" რომ გამოვდიოდი, სართულის მორიგემ მკითხა:

— ხომ არაფერი გრჩებათ, ბატონო?

მივიხედ-მოვიხედე, შარვალისა და გულის ჯიბეები მოვიქექე და ღიმილით ვუთხარი:

— როგორ არა!.. ქუთაისში გული მრჩება-მეთქი!

* * *

იტალიის ქალაქ პეზაროს მაგისტრატმა გენიალურ როსინის შეატყობინა, რომ გადანყვეტილია, დაიდგას მისი ძვირფასი ძეგლი.

— მაგ ფასად მეც სიამოვნებით დავდგებოდი კვარცხლბეკზე. — უპასუხა ჯოაკინო ანტონიომ.

* * *

დიუმამ გადანყვიტა ნიგნების ერთი მაღაზიის მონახულება. ეს რომ პატრონმა გაიგო, დიუმას „ხათრით", მთელი მაღაზია მარტო დიუმას ნიგნებით გამოტენა.

— სხვების ნიგნები სადაა? — იკითხა მნერალმა.

— სხვების ნიგნები გაიყიდა? — უპასუხა დაბნეულმა მასპინძელმა.

* * *

ერთი კაცი იყო, დიდი თავი ჰქონდა — პატარა ჭკუა და ყურებში ბამბებს იკეთებდა, რომ „შარიკივით" ტვინი არ გადმოვარდნოდა. ასე გვეგონა, მისი ტვინის არცერთი ნახევარსფერო არ მუშაობდა... არც კეფაზე — ეპიფიზს რომ ეძახიან (ტვინის ზედა დანამატი), არც ზურგის ტვინი, მაგრამ უჭკუოდაც კარგად ცხოერობდა?! ვაი, ჭკუისაგან გამიგია, მაგრამ კაი-უჭკუობისგან, არა (რაც იმ 70 ნელინადს გვჭირდა და დღემდე ვერ მოგვეჭამა ჭირი).

* * *

ძველ ვერაზე, ბელინსკის ქუჩით რომ ჩამოივლი, 10 ნომერთან ნაბიჯი მინელდება და გული მიჩქარდება. ადრე... იდგა ან არ იდგა, ახლა კი სულ აქ დგას ნიაზი!

ერთხელ, ამ კარებთან, ზარზეც ნამიცდა ხელი და ისე დაიზრიალა, რომ ნასვლა ვერ გავბედე... ჩვენი ბიჭობის სიგიჟის ნლებივით კარებთან ავიტუზე და ნიაზის ხსენებაზე ახალმობინადრე ქალბატონის კაი უშეხი საყვედურიც მივიღე — რა დროს ნიაზიაო!..

— რა მოხდა, ქალბატონო! — ბოდიშივით მოვიხადე, — ენატრება თბილისს ნიაზი-მეთქი.

— ნუ მინყენთ, ბატონოო, — მანაც ბოდიშივით მომიხადა, — თქვენ არც პირველი ხართ, არც უკანასკნელი... მოდიან, ეძახიან, ვითომ არ იციან, რომ ნიაზი აღარ არის...

ამასაც თუ არყოფნა ჰქვია!

* * *

ელემენტარული ნანილაკების ერთიანი თეორიის განხილვისას ნილს ბორს უთქვამს: „არავითარ

*თუკი გაქვს ძალაუფლება, შეგიძლია აწამო, გაანადგურო რაც შეიძლება, მეტი ადამიანი და ამით დაიკმაყოფილო სადისტური ამბიციები. ერთი მხრივ, სადიზმი არის ძალაუფლების მოპოვების, მბრძანებლობის, დომინირების დაუოკებელ სურვილს. ეს ერთი, მაგრამ, მეორეს მხრივ, იგივე სადიზმი მჭიდროდ უკავშირდება ჰომოსექსუალობას. ჰომოსექსუალობა — კი, როგორც ცნობილია, არსებობს ორი ტიპის — პასიური და აქტიური. თუკი ნებისმიერ მამათმავალ ან, ვთქვათ, ლესბოსელ წყვილს დააკვირდებით, შენიშნავთ, რომ ერთი მათგანი (როგორც წესი, აქტიური) სადისტია, ხოლო მეორე — (როგორც წესი, პასიური) აუცილებლად მაზოხისტი!*

*სადისტს, ანუ აქტიურ ჰომოსექსუალისტს, როგორც წესი, გამუდმებით აწუხებს ნგრევის, განადგურების დაუოკებელი სურვილი, ხოლო მაზოხისტს, ანუ პასიურ ჰომოსექსუალისტს — პირიქით, თვითგვემის და თვითგანადგურების კომპლექსები*

ეჭვს არ ინვევს ამ თეორიის სიგიჟე, უნდა ვიკითხოთ მხოლოდ, საკმაოდ გიჟურია თუ არა იგი საიმისოდ, რომ სწორი იყოს"... ბუნებაში ისეთ კანონზომიერებებს ვაწყდები, შეუძლებელია, აქ ვინმეს ხელი არ ერიოს.

* * *

აინშტაინი: ყველაზე გაუგებარი სამყაროში ისაა, რომ ყველაფერი გასაგებია.

ამ უკანასკნელმა (თუ უპირველესმა) ექიმის დანიშნულ დიეტაზე თქვა: „ეშმაკმა იზრუნა, რომ ყოველგვარი სიამოვნებისათვის დავისაჯოთ. თანამოსაუბრე შეეკითხა, რატომ არ მიაწერდა ამას ღმერთს? აინშტაინმა უპასუხა: მათ შორის სხვაობა ნიშანშია — ერთი პლიუსით აღინიშნება, მეორე მინუსით".

1961 წ. მოსკოვში, ფიზიკურ პრობლემათა ინსტიტუტში, ნილს ბორმა გაიხსენა აინშტაინის პირველი რეაქცია ატომის ბორისეულ მოდელზე. მან თქვა: „ყველაფერი ეს არც ისე შორსაა იმისგან, რასაც, ალბათ, მეც მივაღწევდი. მაგრამ თუ ეს ყველაფერი სწორია, ფიზიკის აღსასრული დამდგარა".

ალბათ ამ ლოგიკას ექვემდებარება ჩემი დაკვირვებაც: „პლიუსი(+) გადახაზული მინუსია (-).

აინშტაინი თავის თავს ახასიათებდა, როგორც „არარელიგიურთაგან ყველაზე რელიგიურს".

ფრანკის აზრით, მოსწრებულმა სიტყვამ აინშტაინის ცხოვრებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც მოცარტის სონეტებმა.

P.S. ყველას თავისი კერპები ჰყავს. შავი ფიქრების გასაფანტავად... გადაერთავ გონებას „ძველ ვოდევილებზე", ვასო გოძიაშვილის ტიგრან ოფოფიანცისა და ბისკვიტის სტატუეტივით ქალბატონ ლენა ყიფშიძის დიალოგს ჩაერთავ და გულის ბუხარსაც ამოეიყრი!

ქალბატონი: — თქვენ, შეგიძლიათ, საყვარელი ქალისათვის მსხვერპლი გაიღოთ?

ტიგრანა: „ვა, მერე მე არაფერი მამივა???"

* * *

რობერტ მაიერი: ბუნება, მისი უბრალოებით, უფრო დიდი და მშვენიერია, ვიდრე ადამიანის ნახელავი ყველა ქმნილება.

P.S. განა, ფიროსმანის ნახატს სჯობია ის ხატი, რისგანაც მან ნახატი გადაიხატა?

* * *

ბორის კუზნეცოვის ნიგნს „აინშტაინი — უკვდავება" — ღერძულასავით გასდევს შექსპირისეული მონოლოგი დანიის პრინცის, ჰამლეტისა: დროთა კავშირი დაირღვა და ნყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა! აინშტაინს — „ატომური ბომბის ტრაგედიაში" ასე აქვს აღწერილი ამ უბედურების თავიდათავი: „ატომი, ესაა ძუნწი მდიდარი რომელიც სიცოცხლეში სულაც არ ხარჯავს ფულს (ენერგიას), მაგრამ ანდერძში თავის ქონებას უტოვებს ორ ვაჟიშვილს $M_1$ და $M_2$. იმ პირობით, რომ ისინი საზოგადოებას

ქონების (ენერგიისა ან მასის) მცირე ნაწილს — ერთ მეთასედზე ნაკლებს მისცემენ. ამრიგად, ვაჟიშვილების მიერ მიღებული ქონება რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე მამის ქონება (მასად: $M_1+M_2$ ჯამი რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე გასაყოფი ატომის მასა M), მაგრამ გასაცემი მცირე ნაწილი (განხილული, როგორც კინეტიკური ენერგია), მაინც იმდენად დიდია, რომ მას საზოგადოებისათვის უბედურების მუქარა მოაქვს, რისი თავიდან აცილებაც — ჩვენი დროის ყველაზე მწვავე პრობლემად იქცა".

P.S. ვინერ კი არა — ვიხატავ ამ სიტყვებს, ბაიბურში არ ვარ, რაზეა ლაპარაკი, მაგრამ ვხვდები — რაღაც ისევ ახალი „ვაი ჭკუისაგან" გვჭირს!

ამ საქმეში ჩემზე უფრო ჩაუხედავებიც არსებობენ! ამაზე, თუნდაც, ის ანეკდოტიც მეტყველებს, რომ ერთ გაჭირვებულს გაუგია — ატომური ბომბი მილიონობით დოლარი ჯდებაო და უთქვამს: ერთი ბომბი ჩემს ეზოშიც ჩამოვარდნილიყო, ხომ ავშენდებოდი კაციო!

ისე აუშენდა დამაქცევარი!

ერთი ასეთი შემთხვევაც!

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის შესამოწმებლად, საგანგებო კომისიას, მოულოდნელი თავდასხმა მოუწყვია ქუთაისში და აქაური უფროსისთვის ძლივს მიუგნიათ საღორიას ტყის რესტორანში... ბული რომ ასდიოდა არყით გახურებული მოტვლეპილი თავიდან.

— ახლა რომ საჰაერო განგაში გამოცხადდეს და ატომური ბომბი ჩამოვარდეს აქ, ამხანაგო, რას შობი მერე? — ჩამოსულმა ამხანაგებმა ნამუსზე შეაგდეს ადგილობრივი ამხანაგები.

— ნამდვილად შევრცხვებით, ბატონო, — ანია ხელები საჰაერო განგაშზე პასუხისმგებელმა ადგილობრივმა პირმა.

* * *

ბრძენი კაცი... სიცოცხლეშიც გამოცანაა და სიკვდილშიც!

ფარდობითობის თეორიის ავტორის აზრით: „ცხოვრება — ამგზნები და საუცხოო სანახაობაა"... „მე იგი მომწონს". — თქვა მან და დასძინა: „მაგრამ, რომ მითხრან, სამი საათის შემდეგ უნდა მოკვდეო... ეს ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. მე ვიფიქრებდი იმაზე, თუ როგორ გამომეყენებინა დარჩენილი 3 საათი. მერე კი მოვკრეფდი ჩემს ქაღალდებს და მშვიდად დავწვებოდი, რომ მოვმკვდარიყავ".

P.S. ასე სიკვდილი შეუძლიათ მათ — ვისაც შეუძლია ასე სიცოცხლე!

*არ აძლევს მოსვენებას. ამიტომაც თვითმკვლელთა უმრავლესობას. შესაძლოა, არა ჰომოსექსუალისტი, მაგრამ, როგორც ჩანს, მაზოხისტი მაინც გახლავთ! განადგურებისა და თვითგანადგურების ასეთივე კომპლექსი ახასიათებთ ნიჰილისტებს, ანარქისტებს და, საერთოდ, რევოლუციონერებს...*

*ცნობისათვის: ძველ რომში სიტყვა „პროლეტარი" ნიშნავდა ადამიანთა იმ კლასს, ვისაც საკუთრებაში, სქესობრივ ორგანოთა გარდა, სხვა არაფერი გააჩნდა. აბა, გაიხსენეთ მარქსის მოძღვრების ძირითადი თეზა — პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა.. შეერთდით! არადა, მიუხედავად იმისა, რომ ქაღალდზე მარქსი მუშათა ერთობას ქადაგებდა, პირად ცხოვრებაში იგი საპირისპიროდ იქცეოდა:*

*კარლ მარქსი რაბინთა მრავალთაობიანი ოჯახის ნაშიერი გახლდათ, ცოლად კი არისტოკრატი ქალბატონი შეირთო. და ეს მაშინ, როდესაც თვითონ მასებს იმავე არისტოკრატიის გა-*

ბევრს უფიქრია თავის ბოლო დღეზე, მაგრამ ცოტას წარმოუდგენია! თუ აუცილებელია განშორების ცრემლი, მირჩევნია, იგი სიცილისა იყოს!

ქართული სიბრძნეც ხომ ამ ჭკუაზეა: როცა ჩვენ ვიბადებით, უმჯობესია — ჩვენ ვტიროდეთ — სხვები იცინოდნენ და როცა ჩვენ ვკვდებით — სხვა ტიროდეს და ჩვენ ვიცინოდეთო!

ჩემი არსენა ბაბუა კი სიკვდილს იქეთ აშინებდა: კაცურად თუ მოხვალ, ხანჯლით დაგხვდები!.. ძილში თუ მომეპარები... ძილშივე გაგეპარები და მე თვითონ მოვალ, ჩემი ფეხითო.

სიცოცხლე — შობაა, სიკვდილი — შეება!

* * *

ეპიკურე სიკვდილის მოახლოებისას თბილ აბაზანაში ჩაწოლილა, მაგარი ღვინო მოუთხოვია და სიკვდილის — ანუ ყველაზე უბედური დღისთვის... ყველაზე ბედნიერი დღე უწოდებია!

გავიხსენოთ ლექსი ღმერთზე, რომელმაც ნიუტონის გაჩენით ნათელი გააჩინა და ეშმაკზე, რომელმაც აინშტაინი „გამოგზავნა", რათა სამყარო ისევ წყვდიადს შთაენთქა.

...ერთი სული მქონდა ჩემი კლასისა და არა მარტო კლასის — მერხის ამხანაგის — ლანა ღოღობერიძის ახალგამოსული წიგნის წაკითხვამდე, რომ ამ „ფრიადებით" განებივრებული და ფრიად მაღალი ფრენის ძვირფასი ქალბატონის სულში კიდევ ერთხელ ჩამეხედა და მისი ცხოვრებისათვის ჩვენი ბავშვობიდან გამომეყოლებინა თვალი.

მდიდრულად გამოცემულ წიგნს, სათაურით: „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება" ფიანდაზასავით უფენია რაბინდრანად თაგორის გენიალური წინასიტყვა: „მე გზას ვგავარ, რომელიც ღამით ყურს უგდებს თავის მოგონებათა სათუთ ფეხის ხმას"!

რაღა ეს და რაღა ვერელი მოგვის ანუ კონსტანტინე ბატონის „მთვარის მოტაცების" გულის ბაგაბუგით დათვლილი დღეები და ღამეები, რომლებიც „გარბოდნენ, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები"...

ეს კი უკვე თვითონ ლანაა, მთელი თავისი წარსულ-მოსულით, უმაღლეს — უმდაბლესობითა და უმცირეს-უმრავლესობით:

„ასაკის პრივილეგია კითხვებისა და არა პასუხების სიზუსტე ყოფილა". მით უფრო, როცა თავს არიდებ კითხვებს, რადგან რამდენი კითხვაცაა — არაა იმდენი პასუხი! (გ. ნ.).

ლანა, მთის არწივს — ვაჟას იმოწმებს და მისი პირით ამბობს თავის სათქმელს:

„სიცოცხლემ შხამი მასმია.

მე კახურ ღვინოდ შევირგეო"...

„ამ სიტყვების განსახიერებად მესახებიან დღეს ჩემი მეგობრები, ან უფრო ზოგადად — მთელი ჩემი თაობა, თაობა შხამიანი სასმისით ხელში, რომელსაც ის სვამს და ირგებს, როგორც კახურ ღვინოს".

დიახ, ეს ჩვენი მათრობელა სიჭაბუკის, იმ სულის პური და ღვინოა, რომელიც „ნაღმა" გვიჩვენებდა სოფლის „უკულმა" ტრიალს.

და, აჰა, ეს ყანწიც — ძახილის ნიშანიც აქ დავსვათ და ალავერდს გადავიდეთ სიტყვა-ღმერთთან!

---

*სამარადისო დიდება გმირებს, ვინც მოკვდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში და სამშობლოსათვის თავგანწირვის ნიჭი გადაარჩინა!*

## ყალამს სალამი!

*„ხმალი იმოდენს ვერას იქმს, მრისხანე და ძლიერიო,*
*რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო".*

*ილია.*

კალამს სალამი —
სალამი კალამს —
დროის მედროშეს
და სიტყვის ძალას!..
სამოთხის კარად —
სამრეკლოს დარად —
ზარის ენაზე —
რეკავდეს ზარად!
ფერწერაა თუ
ლარნაკწერაა,
ლექსწერაა თუ
ბედისწერაა,
ყალმისაა თუ
კალმის ენაა,
ცხრათვალა მზის —
შუბ-შუქთა მზერაა!
კაცის წერილიც კი
კალმის წერია —
სინდის-ნამუსით თუ გიწერია,
სიკეთის მტერი — შენი მტერია —
სიცრუის სიბრძნით თუ გიმღერია!..
მე სიტყვა გავისიგრძე-სიგანე,
რომ სიტყვას თავის სათქმელი ეთქვა! —
იცოდე ყადრი და სიტყვის მადლი —
სიტყვა — ტყვიაა, სიტყვაა — სეტყვა!..
წამალიცაა და საწამლავიც —
ის ფიც-ვერცხლია,
ცეცხლია — ნავთზე...
ორდალიაა — გამოცდა შანთით —
ქრისტეს პერანგი და უფლის კვართი!
მიზანთ-მიზანი —
ღმერთიც ის არის —
რაც სიტყვის კაცმა უნდა იცოდეს —
სიტყვაა ხატზე დასაფიცარი
და სანთელივით უნდა იწვოდეს!
მე მოვუწოდებ თანამოკალმეთ,
თანამოსაგრეთ —
ყველა მიწიერთ,
რომ გავუფრთხილდეთ
სიტყვა — ღმერთ-ძალის —
მარგი ქმედების კოეფიციენტს!
ამ წიგნს სიცოცხლე გადავულოცე,
რომ სიკვდილიდან სიტყვა დამეხსნა...
და გთხოვ მკითხველო — ნუ გაიოცებ —

*ნადგურებას უქადაგებდა.*

*ამ ქორწინებიდან მარქსს 6 შვილი შეეძინა, რომელთაგან სამი ბავშვობაშივე გარდაიცვალა, რაც, ჩვეულებრივ, ხშირად ხდება ხოლმე გადაგვარებულ დეგენერატთა ოჯახებში. თუმცა, იგივე ჰიტლერს, 4 და-ძმა აკვანშივე დაეღუპა. მარქსის ცოცხლად გადარჩენილი შვილიდან ორმა ქალიშვილმა უიღბლო სიყვარულის ნიადაგზე მოიკლა თავი. ერთ-ერთმა მათგანმა, ლაურამ, მეუღლესთან, თავგადადებულ მარქსისტ პოლ ლაფარგთან ერთად სანადირო თოფით მოიკლა თავი. ცნობისათვის, სიძე პოლ ლაფარგი ჯერ მარქსის დის შვილიშვილი გახლდათ, ანუ მარქსის ოჯახში ადგილი ჰქონდა დის და აშკარა სისხლის აღრევას — ინცესტს, რაც დეგენერაციის ერთ-ერთი უპირველესი ნიშანი გახლავთ! ლაფარგსაც, ასევე, სამი და-ძმა აკვანშივე გარდაეცვალა. თავად ლაურასა და პოლს კი შვილები არ ჰყავდათ. როგორც ხედავთ, „კაპიტალის" წერისას თავად მარქსის გენეალოგიური*

მეორედ მოსვლის მადა გამეხსნა! —
ნაკენეს ნაკეესით და ქარაგმებით —
სიცოცხლის ნიშან და ნეკროზებად —
სანამ მივხურე ეს დარაბები...
თუმც არც მეპოეტ, არც მეპროზება!

* * *

ვიღაცამ მითხრა, რომ დავით სარაჯიშვილის მემორიალური ავეჯი იმ მინისტრის კაბინეტში დგას, რომელიც მონოდებულია, თვალის ჩინივით გაუფრთხილდეს ისტორიას.

ასევე, ადრე, ლურჯ მონასტერში, ავეჯის საამქრო ჰქონდა გახსნილი თვითონ... კულტურის სამინისტროს, სადაც ბურბუშელებში ესვენა სიონის ტაძრის ვიღაც რელიგიური მსახური და ნაგავს მიჰქონდა იქაურობა. საფლავის ნარნერა კი გვამცნობდა რომ „Здесь покоится кафедральный протоиерей Сионского собора..."

მამა უცხონდათ მისი სულის შემნუხებელ ნითელ ეშმაკუნებს, კაი „покои"-ში ის ჰყავდათ.

...იქვე, სადურგლო დაზგაზე კი, ნამგალ-უროიანი ემბლემით, ვერტიკალური კუბოსავით კრავდნენ კომუნისტების სალაყბო ტრიბუნას, რომელზეც მერე ავიდოდნენ კულტურის მესვეურები და ლურჯ მონასტერში გახსნილ სადურგლოში დამზადებული ტრიბუნიდან ხალხს ხმამაღლა მოუნოდებდნენ, რომ დავიცვათ... კულტურის ძეგლებიო?!

ასეთ სიყალბეში ვცხოვრობდით თითქმის საუკუნე და ვერ გავარკვიეთ: ჭაობები ჰმნიან ბაყაყებს თუ პირიქით!

* * *

ბრძენ კაცს არაფერი აკლია, რადგან, რაც სხვას აქვს... მისიც არი!

პლატონი: სიკვდილის შიში, იგივეა, გეშინოდეს იმის, რისიც არაფერი არ იცი.

დიოგენის დროისდამიხედვით ტრანსფორმირებული სიბრძნე: სანთლით ვეძებ ადამიანსა და სინათლეს.

ვიღაცამ ჰკითხა: როდის უნდა ისადილოს კაცმაო?

უპასუხა: მდიდარი თუ ხარ — როცა გინდა...

ღარიბი თუ ხარ — როცა გაქვსო!

* * *

ნარმოუდგენელია სეირივით უყურო საქართველოს ისტორიას, მაგრამ, ნარმოიდგინეთ, ზოგჯერ, ვუყურებთ კიდეც... პარლამენტის სხდომებზე, ხტომებზე, განევ-გამონევაზე, გინებასავეით ქებასა და ქებასავით — გინებაზე!... ასე და ამრიგად, ისე მიეჩვია ყური ამ უნმანურ თუ

---

*სიმართლე ტყუილმა იცის!*

*კაცი — მანამდეა კაცი, სანამდე საქმე აქვს! —*
*საქმე — მანამდეა საქმე, სანამდე პატრონი ჰყავს!*

წმაწურიან სიტყვა-პასუხს, რომ არაა გამორიცხული, პარლამენტმა, „პირველივე მოსმენით მიიღოს... მრავალსართულიანი გინება და წყევლა-კრულვა!"

* * *

მგონი, პირველი საუკუნის მოაზროვნის, პერსიუსის ნათქვამია: ერთ კარგ ანეკდოტს „ილიადაში" არ გავცვლიდიო.

ჩემი ერთი წიგნის — „სიცილ-სიცილის" დეფიზზე, როგორც ბაგირზე გადის ჯამბაზი (ჯემალ ლოლუას ნახატია) და შოთა ნიშნიანიძის ლექსის სული ტრიალებს:

მე გადაედივარ ბეწვის ხიდზე, მიზანს გაეცქერი...

არც ტაში მინდა, არც რეპლიკა, არც ღრიანცელი...

როცა მაეთულზე გადის ჯამბაზი და უათერაკი მართავს მასკარადს...

რადგან სიმაღლეს და რისკს აფასებს...

სდუმს დარბაზი და სდუმს მასხარაც!..

ამ წიგნის რედაქტორია ცნობილი მწერალი — რეზო მიშველაძე, რომელიც შესავალში წერს:

„ხშირად მიფიქრია: ვინ არის, სად ზის, რას აკეთებს კაცი"... რომელიც ანეკდოტს იგონებს?

ანეკდოტების მთხზველი — ერთი ქართველი მწერალი ამ წიგნის ავტორიაო"!

ზოგ, ასე ვთქვათ, გულმწვიეს ეს მეანეკდოტეობა დამამცირებლად ეჩვენა. არადა... სივარადა ვარადა!.. პერსიუსისა თუ არა გჯჯერა, სემუელ კლემენსის, ანუ მარკ ტვენის მაინც დავიჯეროთ — სიცილ-ტირილის მელნის ტბაში გაკეირვებული რომ აწებდა ოქროს კალამს და ამბობდა: ვერ გამიგია, რით ჯობია ტრაგედია — კომედიას და ტირილის ცრემლი — სიცილის ცრემლსო? ერთხელაც იქნება — ეს ორივე ობოლი მარგალიტი, საანალიზოდ, სისხლთან და შარდთან ერთად, უნდა მივიტანო ლაბორატორიაში, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავადგინო მათი შემადგენლობა, მსგავსება ან უმსგავსობა, ავი და კარგი!

* * *

სოკრატე: მე ვიცი ის, რომ მე არაფერი არ ვიცი!

(რამდენი უნდა იცოდეს კაცმა, რომ ეს იცოდეს! — გ. ნ.).

მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკოსი შვილი მყავს... ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება — „დედა ნახე — მამა ნახე" ან სხვა ინდუქციურ-დედუქციური მეთოდები, ამ დარგში ერთობ „პრახლადნად" ვარ. თანაც, ღმერთის გამოწვევასავით მახსოვს პითაგორას სენ-

კაპიტალი უკვე სავსებით დამპალი გახლდათ!

კარლ მარქსს საშინლად არ უყვარდა დაბანა და მუდამ ძირმაგარები აწუხებდა, განსაკუთრებით — უკანალზე. მას ფეხებზე ეკიდა საკუთარი ცოლშვილიც კი... სამაგიეროდ, ჰყავდა ნაბიჭვარი ერთ-ერთი მოსამსახურისაგან, რომელიც მოგვიანებით ენგელსმა იშვილა.

ასე რომ, თავად განსაჯეთ, რა სჯობდა — ეს კუდიანები თავის დ რ ო ზ ე ინკვიზიციის კოცონზე დაეწვა თუ მათი ავადმყოფური იდეების წყალობით მილიონობით ადამიანი გაუბედურებულიყო?!

ჩვენ შეგასწავლით თქვენ ნამდვილ, სუფთა მარქსიზმს. რამეთუ ის მარქსიზმი, რასაც დღემდე გასწავლიდნენ, მხოლოდ მომავლის საზოგადოებას თუ სჭირდება, როგორც თვითგანადგურების უნივერსალური იარაღი. ის მარქსიზმი და ის რევოლუცია, რასაც თქვენ დღემდე გასწავლიდნენ, რუსეთს 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლედ დაუჯდა! პირობას

ტენციაც: სიტყვაზე ბრძენი რიცხვიაო?! რას იზამ?! ყველამ თავის მამიდას უნდა მოუაროს. მე კი, როცა დიდ რიცხვთა სახელები მესმის (რომლის არც წერა ვიცი, არც კითხვა), განსაკუთრებით პენიცილინებისა და ამბიცილინების ხსენებისას, როცა მილიონებზეა ლაპარაკი... არავითარი ამბიცია არ მაწუხებს, შაყირის გუნებაზე ვდგები და მიკვირს, რომ ციფრების ლოგიკაში — 0-ს წინ დააყენებ და... არარაობაა, უკან ამოიყენებ და — რაც მეტია — მით უმეტესი! (არის ამაში რაღაც სიმბოლურიც). რაც შეეხება თვითონ დიდ რიცხვთა სახელებს... როცა მილიონ-ტრილიონ-სიქსილიონ-კვინტილიონს ახსენებენ — გუნებაში მაშინვე მივაშველებ ხოლმე: კვინტილიონ-კვანტალიან-ყორყოლიანს და ამით ვაბალანსებ ჩემს დაწყებით განათლებას უმაღლეს მათემატიკასა თუ იუმორისტულ „ეკვილიბრისტიკაში"!

...ისე, მთლად პითაგორა თუ არ ვარ, ისიც გამიგია და ვიცი, ბატონო, რომ ადამიანი (ყოველგვარი ხუმრობის გარეშე) ტრილიონწევრიანი მეურნეობაა და რამდენი უმუშევარი გვყავს, იმის დათვლაც თუ ვიცით, წარმოიდგინეთ, რამდენი ტრილიონწევრიანი კაც-მეურნეობაა გულხელდაკრეფილი.

* * *

აგვისტოს პაპანაქებაა.

ადამიანებს საკუთარი ჩრდილისა შურთ.

— საით, ბესარიონ? — ეკითხება კაცი კაფანდარა ბერიკაცს, რომელიც ვიღაც ზვინივით კაცის ჩრდილს მიჰყვება.

— რა ვიცი, საით მიდის ეს დალოცვილი. ამ კაცის ჩრდილს მივდევ?!

* * *

გურულების სტუმრობაო — ნუ გგონია ხუმრობაო, — გვაფრთხილებს ერთი გურული მოარული სიმღერა და... ქუთაისელების... მით უმეტეს!

თბილისში ვარ ნამოსასვლელი, ქუთაისელებთან ქეიფში მაღამდება და ხშირ-ხშირად დავცქერი საათს.

— რას უყურებ, ბიძია, მაგ საათს, — მეუბნება ქუთაისელი მაინძელი, — მაგას რომ ჭკუა ჰქონდეს, 24 საათი არ იმუშავებდა!

როგორ გინდა დაუსხლტე ხელიდან ასეთ თვალ და ენამახვილ ქუთათურებს?..

* * *

„ათასად კაცი დაფასდა — ათიათასად ზრდილობაო" — წერია რუსთაველის სიბრძნისმეტყველებაში. სულ 11000 რაღაო, გაუჩოთქგამოუჩოთქია ვიღაც სომეხ სოვდაგარს და ბევრს დღემდე ვერ გაუგია, აქ გვარი მეტად ფასობს თუ სახელი? „ვეფხისტყაოსნის" „ზრდილობაში" კაცის სახელზეა ლაპარაკი — „თუ კაცი კაცად არ ვარგა" — რას არგებს გვარიშვილობაო? ე. ი. სახელი გვარზე წინ დგას და ამიტომაც იწერება თავში და გვარი მისამართად მოსდევს, თუმცა არც ეს უკანასკნელია... უკანასკნელი!

---

*სიყვარული... უფრო შენი ბრალია, ვიდრე იმისი, ვინც გიყვარს!*

*ჯორჯ პალიფაქსი: ყველაზე პროგრესული პარტიაც კი, ეს არის შეთქმულება ერის წინააღმდეგ!*

* * *

მიზანი ამართლებს საშუალებასო!

ვისაც უნდა ძალაუფლების შენარჩუნება, მან ბოროტებასთან უნდა იქორწინოს!

P.S. ძნელი წარმოსადგენი როდია, რა შთამომავლობა მოსდევს ასეთ ქორწინებას!

* * *

არ დამავიწყდება ერთი ანა ბაჯიევით გოგო (გვარად შაიშმელაშვილი), რომელიც სალამოს მე-10 საშუალო სკოლაში, ჩემს კლასში სწავლობდა, ბოლო მერხზე იჯდა... როცა უნდოდა, სულის შებერვით, იქედან აქრობდა ლამფას და გაკვეთილებს შლიდა.

ო, რას უბერავდა!

* * *

მეორე მსოფლიო ომის დროს მასობრივი ტირაჟით იბეჭდებოდა პარტიზანის სამახსოვრო წიგნაკები, გერმანელი ტყვეების დასაჭერად, საიდანაც, დღესაც მახსოვს ზოგიერთი სიტყვები, რამაც ერთხელ თავიც კი მომჭრა. ...თბომავალ „როსიით" ტურისტულ მოგზაურობაში ვიყავი და სიტყვებსა და ლამაზმანებსაც ლაზათიანად ვერითმებოდი: „ალბათ „როსია" — ალბატროსია!".. კაი რითმაა, ღმერთმანი, მაგრამ, როგორც ერთ სიმღერაშია, მაინც „დოქის ტუჩი მირჩევნია ქალისას" და პირიქით... აგერ, ერთი გერმანელი გრეტჰენი გამოჩნდა და მთლად ამირია გონება. იმან ქართულად ერთი სიტყვა მაინც იცოდა: „გენაცვალე!" მე კი იმ „პარტიზანული სამახსოვროდან" ისეთი სიტყვა ვაჯახე, რომ ქალმა ფეხების მაგივრად — ხელები აწია! აბა, რას იზამდა — მე, თურმე, სწორედ ეს მიბრძანებია — „ჰენდე ხოხ!"... ხოხ! იტყვის მეგრელი და სწორიც იქნება. მომეჭრა თავი, რაც შემდეგ ერთ პატარა მოთხრობაში ვაღიარე კიდეც!

* * *

„წყალნი წაელენ და წამოელენ —
ქეიშანი დარჩებიანო".
ქეიშის საათიც ჩამოფქვავს...
ქეიშანიც არ რჩებიანო...
მზისა და მთვარის საცრებით —
დღისა და ღამის გაცრებით —
ამ წამ-მარცვალთა ნამცერეეით —
მიდის ეს წუთისოფელი...

*გაძლევთ. ამიერიდან ჩვენ, ახალგაზრდა რუსეთის საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია, არავითარ ახალ კარლ მარქსს და მისთანებს აღარ გავაქაქანებთ. ჩვენ არ დავუშვებთ ახალ რევოლუციას და მარქსიზმს. ამიერიდან მხოლოდ საგარეო პოლიციის ზემძლავრი ინსტრუმენტის სახით დაგვჭირდება...*

*თვით დოსტოევსკიც კი თავის ლეგენდაში „დიდი ინკვიზიტორი" აღიარებს, რომ თუკი ჩვენ დროში ისევ ქრისტე გამოჩნდება, მას აუცილებლად კვლავ გააკრავენ ჯვარზე. მე კი კატეგორიულად გიცხადებთ, დღეს საბჭოთა კავშირში ცოცხალი კარლ მარქსი რომ გამოჩნდეს, ჩვენ მას დაუყოვნებლივ საგიჟეთში მოვათავსებთ და ზუსტად ისევე გამოვჭყიპავთ სულფაზინით და ამინაზინით, როგორც ჩვენებურ დისიდენტებს და სხვაგვარად მოაზროვნეებს ვჭყიპავთ. მერე კი ებრაული ვიზით, მასაც საზღვარგარეთ გავაპანღურებთ!*

**P.S.** *პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, დაიმალეთ!...*

* * *

ქართველ მსხვილ ბიზნესმენთა კამპანიაში, ერთ მსხვილ გერმანელ კაპიტალისტს შევხვდი... შევატყვე, გაუკვირდა — მწერალ კაცს რა საქმე მქონდა ამ ხალხთან, მერე კი მკითხა, ეკონომიკის თვალსაზრისით, ხალხურად, როგორ დავახასიათებდი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, სადაც რაღაც ბიზნესინტერესებს ჭერეტდა!

არის თუ არა ბიზნესთან რაიმე კავშირში, რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი ხალხში გავრცელებული მოსკაბრეზული „ფედერატიული" გამოთქმა კი გამახსენდა და ვუთხარი: „ფული უნდა იშოვო — ბაქოში, დახარჯო — თბილისში და მოინელო — ერევანში!"

ესეც შენი მენეჯმენტი!

ასე გავერიე მეც ბიზნესმენ-ბიზნესმსმელებში!

* * *

სხვისი წერილების კითხვა... კარგ ტონად არ ითვლება და ალბათ — სხვის პირად ჩანაწერებში ქექვაც არაა მთლად მაღალკეთილშობილება, მაგრამ, ჯერ ერთი — შვილს სხვას ვერ დაარქმევ და მეორეც — მამისთვის შვილის გულში ჩახედვის უფლება ღვთითაა ბოძებული. აი, რამდენიმე შტრიხი ზაზას უბის თუ გულის წიგნაკიდან (მით უმეტეს, თუ იგი შენს გულთან და ჭკუასთანაც ასე ახლოა).

ვეინერშტასი: არ შეიძლება იყო ნამდვილი მათემატიკოსი, თუ ცოტა — პოეტიც არ ხარ.

* * *

ამ წერილით სოლიდარობას (ნებით თუ უნებლიედ) ვუცხადებ ჩვენში მიმდინარე პროცესებს, სადაც, თითქმის, ყველა იმ საქმეს აკეთებს, რაც მისი საქმე არ არის.

* * *

რა სჯობია? — გაკვალულ გზაზე სიარული თუ გაუკვალავზე?

ერთი შეხედვით, გაკვალულზე!

თუმცა... ერთ შემთხვევაში, ბევრი პირობის დაცვაა საჭირო, მეორე შემთხვევაში კი... არც ერთის!

* * *

ჩვენი სტერეოტიპი: ცხოვრება ბრძოლაა — ერთი იმარჯვებს... იქნებ არის ვარიანტი ორივეს გამარჯვების, ყოველგვარი ტოტალიტარიზმის გარეშე. სჯობია, მივიდეთ საერთო აზრამდე, ვიდრე ვეცადოთ, გამოვრიცხოთ მეორე!

---

*ვახტანგ ხარჩილავა: „ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის!" — თითქოს ამ ხელისუფლების პიარტექნოლოგიაა გაშიფრული ამ სტრიქონებში, ზუსტად, ლაკონურად, ყველასთვის გასაგები ფორმით.*

* * *

არც ნუსხური,
არც ხუცური,
რა ვარქვათ
ამ დამწერლობას? –
ფეხსადგილებ-სადარბაზოდ –
ანუ ჟამთა აღმწერლობა!
ჩვენი დროის კედელწერა –
ეს ლურსმული ჩხაპნა-წერა –
ასოების სასოების...
ჭრელი სადარბაზოები –
გეამცნობს ეინ-ეის მივუმატოთ,
ეის-ეინ უყეარს?
რისთვის?
რატომ?
ეინ-ეის უდრის?
ეინ-ეის ტოლობს?
ეინ ტეხავს და?..
ეინ ასწორებს!

* * *

თუ ამ ნიგნის ნერის ტრადიციას არ ვუღალატებ და ჩემი განცდების ანარეკლს დავტოვებ, მაშინ გუშინდელი დღეც არ უნდა გამომრჩეს!

გუშინ (19.XI.2006), ჩემი უფროსი ბიძაშვილის, ნუნუ ნიშნიანიძის — ერთი კაცისტეინა ქალის სული გავაცილეთ ცაში და ჭიქაც ნავუქციეთ. ცნობილი მათემატიკოსი და ტვინიკოსი იყო. ამ გლოვის ცრემლში, სიცილის ცრემლიც გავურიე და გავიხსენე ერთი შემთხვევა, რომელიც დღემდე არ ამომდის მეხსიერებიდან.

ერთი სტუდენტობის ძმაკაცი მყავდა — ირაკლი ჩუტლაშვილი... (გვარებსა და სახელებს ამბის უტყუარობის მონმედ ვასახელებ). იურიდიული ერთად დავამთავრეთ. მაგრამ მისთვის, ფულის საშოვნელად, ეკონომიურმა უფრო ივარგა — მე-4 მაცივრის დირექტორად დანიშნეს, რის „საკადრებლადაც" კადრებში ეკონომისტის დიპლომი იყო საჭირო და აქ გადაყრია ნუნუ ნიშნიანიძის უმაღლეს მათემატიკას, რომლის ინჩიბინჩი არ გაეგებოდა.

არ ცოდნა არ ცოდვააო — ამბობენ, მაგრამ ქალბატონ ნუნუსთან არცოდნა დიდ ცოდვად ითვლებოდა და ნიშნიანიძე კი იყო, მაგრამ ნიშანს ასე პაიპარად არ არიგებდა. მოკლედ, მიუვალი და აუღებელი ციხე-სიმაგრე იყო, თორემ ირაკლი ჩუტლაშვილს, მაცივარში ბევრი სატყუარა ჰქონდა ერთი სანყალი

*აგერ როდის მისცა „ნიანგი" პროლეტარულ ლოზუნგს კონტრრევოლუციურმა სატირამ.*

*მალევა რამიშვილი („დარდუბალას" პროდიუსერი):*

*მე ვამაყობ, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად, შევძელი ისეთი მულტფილმის გაკეთება, რომელიც ამ ხელისუფლების გადაყირავებას გამოიწვევს.*

*(„ვ ე რ ს ი ა" 2001.12.18 ნომერი)*

***P.S.** თუ გაიხსენებთ რას ნერს კარლ მარქსი „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შესავალში", ამ სიტყვების სიმართლე ეჭვს არ იწვევს: „ისტორია სამართლიანია და მრავალ ფაზას გაივლის, ვიდრე დრომოჭმულს სამარეში ნაიღებს.*

*მსოფლიო ისტორიული განვითარების საბოლოო ფაზა კომედიაა. საბერძნეთის ღმერთები, რომლებიც ერთხელ უკვე იყვნენ ს ა ს ი კ ვ დ ი ლ ო დ დაჭრილნი ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეოსში" (ტრაგედიაში – გ.ნ.), კიდევ ერთხელ სიცილით*

ჰ-იანის გამოსატყუებლად.

სწორედ, ამიტომ, მომადგა მე და მიმაყენა ჩემს ბიძაშვილს, რაც, თითქმის, მისი კედელთან მიყენების ტოლფასი იყო.

ნუნუ და პროტექცია?

ეს სრულიად შეუთავსებელი გახლდათ.

რამდენადაც გაეხარდა ჩემი დანახვა — იმდენად ეწყინა ჩემი თხოვნა, მაგრამ, რადგანაც სხვა გზა აღარ ჰქონდა... ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა... რაღაც სახელმძღვანელოები და რაღაც საკითხები ჩამაწერინა, ესენი ისწავლოსო, დამაბარა და მერე მოვიდესო, — მითხრა...

სიხარულით ცას ვეწიე და ასევე გავახარე სტუდენტობის ძმაკაციც, რომელიც, გამოდის, არა მარტო დიპლომის, არამედ კიდევ უფრო მთავარის, ასე ვთქვათ, თბილი ადგილის — ე. წ. „სინეკურის" ანუ სამსახურის დაკარგვას გადავარჩინე.

გავიდა დრო.

ჩამიჩუმი არ ისმის.

როგორც იტყვიან: არც მოკითხვა, არც ნახვის ნატვრა!

ცარიელი მადლობა არც ისმება და არც იჭმება, მაგრამ... ბოლოს და ბოლოს, ცარიელი მადლობის ღირსი მაინც აღარ ვიყავი?

ავიღე და მე თვითონ დავურეკე... ჯერ სახლში, მერე სამსახურში.

— რა ჰქენი? — ვკითხე.

— რა უნდა მექნა... ვემზადები.

— სამი საკითხის მომზადებას ამდენ ხანს მოუნდი?

— რის სამი საკითხი, კაცო, სამი ვეებერთელა წიგნია!.. ცოტა არ იყოს, გაბრაზებულმა მითხრა და ერთი კითხვაც დააყოლა: ამდენი სამეცადინო რომ დამაყარა, ბიჭო... ეგ შენი ბიძაშვილი ასპირანტურაში დატოვებას ხომ არ მპირებსო?!

ამაზე კი გულიანად იცინა ნუნუმ, რომელსაც ასეთი „ლევი" საქმეებისათვის, თავის ოთხასოიან სახელშიც კი ორი უარი ჰქონდა!

...ეს დღე ამით არ დამთავრებულა.

ძილის წინ, როგორც ყოველთვის, „ძილისპირული" სიტყვა ეკუთვნის ტელევიზორს, რომელსაც, ტყუილად გგონია, რომ, როცა გინდა ჩართავ — როცა გინდა გამორთავ!

ნურას უკაცრავად!

უკაცრავად პასუხის პასუხია: ერთი თუ მოხვდი მის ტალღაზე... შეიძლება ცხრაბალიან ღელეაში ამოყო თავი!

ასე მოხდა გუშინაც.

ღმერთმა „იმედი" ნუ მოგვეშალოს და გვიან ღამით გიორგი გვახარიას ტოქ-შოუმ „დაგვიტოკა" და ნოდარ დუმბაძის საყვარელი ერთი სალაბუცო სტროფი და სიმღერა გამახსენა: „ნუ სვამ, ბიჭო, ნაპიტოკებს — სიბერეში „დაგიტოკებს"... „რა ყოფილან ეს რუსები — გაგვეითავეს რესურსებიო"...

ჰოდა, მასე არ უნდაო და მივდექით, მარა რა მივდექით! სულ ბოლი ვადინეთ კარის მეზობლებს.

---

*„საქმე იმიტომ უფრო ცუდად, ცუდად რომ არის, არ იცის ბევრმა" — ამას მუხრანი ამბობს, სხვა დროზე და სხვა სიტუაციაზე, მაგრამ ეს სტრიქონები ზედმიწევნით კარგად გამოხატავს ჩვენს დღევანდელობას და იმ რეალობასაც, რომელშიც ვცხოვრობთ.*

ისე ეიჯერეთ გული გინებით, სულ დაგვავიწყდა, რომ „მეზობელი კარისაო — სინათლეა თვალისაო" და არა მარტო სინათლე... სხვა ენერგორესურსებიც! მათ შორის: გაზი, სამომხმარებლო ბაზარი, ფულის საშოვარზე წასული ქართველები, ისტორიული ფესვები, კულტურული ურთიერთობები და სხვა რაგინდა რა... (და არა ვიგინდარა!).

ამ ტოქ-შოუს წამყვანის მამა — ჩემი ბიჭობისდროინდელი ამხანაგი და თვითონ ოქროს ბიჭი — ნიკუშა გვახარიაა, რომელსაც გვარშივე მოდგამს კაცის გახარება და გაგიხარია, რაც მან სიხარული თესა ჩვენს თაობაში.

ამ უთაობაში კი რას გაარკვევ, სად თავია, სად ფეხი, სად მარხია ძაღლის თავი!

გიორგი გვახარია, ჩვენს თვალსა და ხელს შუა იქცა მაგარ შოუმენად და საინტერესო შოუმენებსაც გვაცნობს ცისფერ ეკრანზე, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეთერში გაისმის... მისი სიტყვა მაინც არ ჰგავს ჰაერზე ნათქვამს, რასაც, ჩვეულა სამწუხაროდ, მისი „მრევლის" უმრევლესობის-უმრავლესობაზე ვერ იტყვი. რაშიც კიდევ ერთხელ დამარწმუნა წინამდებარე გადაცემამ, რომელსაც, სხვებთან ერთად, ქეთი დოლიძე, ემზარ ჯგერენაია და ვინმე ლადარია ესწრებოდნენ (სახელს ველარ მოვკარი ყური და ნეტა არც ის გამეგო, რაც მან ბრძანა!).

ამ სამში ორმა — ბატონმა: ჯგერენაიამ და ლადარიამ, ისე აგინეს რუსეთს, რომ იქედან მილიციელის სასტვენის ხმა შემომესმა.

ჩვენ ჩვენი თავიც ვერ დაგვიცავს და რუსის დამცველადაც ვერ გამოვდგებით, მაგრამ ბატონი კონსტანტინეც ხომ ბრძანებდა, რომ რუსს გინებაში ვერ აჯობებო! ეს მაინც უნდა ახსოვდეთ ამ მწიგნობარ ბატონებს, რომელთა ნაკითხობაში ეჭვს ვერ შეიტან, მაგრამ განათლებისა... რა მოგახსენოთ!

შემზარა ემზარის ჯერ იმ საქვეყნოდ გახმაურებულმა ფილოსოფიამ, სადაც ქართულ ქეიფს მან „გეიფი" უწოდა! და სულ არ უწყოდა, რას იქმდა, რომელ ტოტს ჭრიდა? ჰოდა, თავისი გაჭირვებაც ეყოფა კაცს, ეინც ლხინში — ჭირს ხედავს და ჭირში — ლხინს!

ქართველი კაცი, ავადმყოფობასაც კი — უქეიფობას ეძახდა!

„სსრკ კაკა-ამერიკა ყაყა!" — მახსენდება სოციალისტური პროპაგანდის ერთი, მართალი თუ მოგონილი, საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის განკუთვნილი საბჭოთა ლოზუნგი.

ახლა კი პირიქითა-პირაქეთაა... არის „ძველი მეგობრებისა" თუ ახალი „მეკობრეების" ლანძღვა-დიდება და ქება-გინება.

უნდა დახოცილიყვნენ „ლუკიანეს საუბრებში" (საკირაში — გ.ნ.)

რატომ მიდის ასე ისტორია?... რომ ადამიანები ამაღლდნენ თავიანთ წარსულზე და მხიარულად გამშორდნენ მას!

სატირულ-ისტორიული ჟანრის ამაზე მკაცრი მაგალითი... არ არსებობს!

<u>„ღვთის-ქალაქს საქართველოს"</u> —

„მეც ვდარაჯობ ჩემი კალმით.

მარად ვდგევარ, როგორც გუშაგი.

გ უ შ ა გ ო ს საქართველოს, ენაკვალის იდუმგუშაგი!"

„მე მშობლებით ქართველი ვარ, ა რ ა გ ვ - მ ც ხ ე თ ი ს კარიდანო...

სახელგანთქმული სამხრეთაფრიკელი ქირურგი კრისტიან ბერნარდი, რომელმაც მსოფლიოში პირველმა განახორციელა გულის გადანერგვის ოპერაცია, დაჟინებით ირწმუნება, რომ რეგულარული სექსი გულსისხლძარღვთა დაავადებების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა.

თოქ-შოუში მონაწილე ახალგაზრდების რეპლიკაზე: არც სსრკ-ს უღელი გვინდა და არც აშშ-სო — ბატონმა ემზარმა ამერიკის გამონვდილ ხელს ასეთი ეპითეტი არ აკადრა და დიდ მოწყალებად ჩაგვითვალა, რომ ამერიკელი ძია სემი და ჩვენი თოვლის ბაბუა ძმადნაფიცებად აღიარა.

მიყვარს ამერიკა, მაგრამ ზოგმა თავისი ამერიკა ახლა აღმოაჩინა და ახლა ბევრი ისეთი აქებს ამ „აღთქმულ" ქვეყანას, რომ ლამის შემაძულოს.

არადა, მეზობლებზე უკეთ ვინ იცნობს ამერიკას?

ერთი პატარა, მისგან დაკაბალებული ქვეყნის პირითაა ნათქვამი: ო, ღმერთო, რატომ ხარ, შენ, ასე შორს ჩვენგან და რატოა ჩვენთან ასე ახლოს ამერიკა"-ო!

ქებაშიც, გინებაშიც...

ზომიერება, ყველაფერში ზომიერება! — როგორც ფრანგი სიურიალისტი ჟან კოქტო მოგვიწოდებს.

ვისი სახელიც არ იციან (და ზოგჯერ — არც უნდათ რომ იცოდნენ) იმათთვის ქალაქელებს ერთი სახელი აქვთ... „სიუ"!, რომელსაც ალბათ „სიურეალიზმთან" საერთო არაფერი აქვს, რადგან იგი მთლად მოზომილსაც არ ჰგავს.

ბატონ ლადარიას მთლად „სიუს" ვერ ვაკადრებ, მაგრამ რაც ამ შოუს დროს მან მკრეხელობა იკადრა, იმასთან ეს... უკანალზე ბნკენასავით იქნებოდა. ამ, ერთი შეხედვით, პოზიორმა კაცმა, რომელმაც არ იცოდა, ეკრანზე, ან ფეხი სად ნაეღო, ან ხელი, მენტორის ტონით დაგვმოძღვრა და უკადრისიც იკადრა!

გიორგი გვახარია შეეცადა, ოდნავ მაინც გაენელებინა მავანთა ანტირუსული პათოსი და „ისტერიკამდე" მისულ ნრეგადასულ და გაცეცხლებულ ოპონენტებს ცივი წყალი გადაასხა: ქართველი კულტურის მოღვანეები არ იზიარებენ თქვენ აზრსო... რაზედაც ამ „ვარსკვლავებიჭუნამ" — ანუ ლადარიამ თავს უფლება მისცა (თუმცა ენის ბორძიკით, მაგრამ მაინც) ასეთი რამ ბოლომდე ეთქვა:

— ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმათ აზრს, ვისაც დღეს ვარსკვლავებს უხსნიანო?!

?!

გავიხედ-გამოვიხედე და მეტი რომ ვეღარავინ ვიპოვე, ცოლს მივუბრუნდი:

— ვინაა ეს კაცი-მეთქი?

— მგონი თავისუფლების ინსტიტუტიდანააო... მიპასუხა.

მიიხედ-მოიხედეთ, ხალხნო!

ვისი თავისუფლების ინსტიტუტია ეს?

ხალხის თუ მათი, ვინც იქ მუშაობს?

რა მიზანს ისახავენ, ვისი გორისანი არიან, რა უნდათ ჩვენგან!

„თავისუფლება სულს ისე მოწყურდა

ვით დამფრთხალ ირმების ჯოგს წყარო ანკარა –

დრომები ჩქარაო!" — გალაკტიონმა.

ასეთი თავისუფლება გვნყუროდა?

ასეთი ხალხი მოგვიტანს თავისუფლებას?

მეტი არაა ჩვენი მტერი!

ამ ფიქრსა და განამანიაში ლექსიც მოვიდა!

---

*სიბერე ყველაფერს ამბობს, რადგან ენას ძვალი არ აქვს, სიბერეს კი ენაზე დასაჭერი კბილები!*

ჭკუა რომ პკითხო – დღეს ცოტაა ადამიანი –
ჭკუა ჭკეიან კაცს უნდა პკითხო – თუ ხარ ჭკეიანი.
ზოგს ცალი ყურით ესმის, ზოგზე ორიც არ მყოფნის
და ასე ვარჩევ ავსა და კარგს ამ წუთისოფლის!
ავან-ჩავანი და მავანი ყველა იძმობა?
ყურით კი არა, ნაღდი კაცი, გულით იცნობა!

ან!

შენ ვინ გკითხავს – მე ვინ მკითხავს
ჭკუას – ჭკუის საკითხავს?
ჭკუა-ჭკუის საკითხავად...
ჭკეიანს თუ მიაკითხავს!
„ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის...
ცოდნით მოიხმარების"...
უნდა მოყვეს ინსტრუქცია –
ხარების და ხმარების!

...თორე, იქეთ გიხმარს და „გეიფი" მერე ნახე შენ!

...ერთ ბრძენ ებრაელს უთქვამს, რომ „პატარა ერის შვილს არა აქვს დიდი შეცდომის დაშვების უფლება!" ქართველებს ვინღა მისცათ ამის უფლება?

ჭაბუასი არ იყოს —

ფრთხილად, ქართველებო!

P.S. რაც შეეხება ბ-ნ შ... ემზარ ჯგერენაიას, ეტყობა, ვერა აქვს მთლად ჯგირონაიად საქმე! თანაც, ერთობ დავალებული ჩანს ძია სემის დოლარებისაგან და ვალს ჩვენი ბადიშებითა და ბოდიშებით იხდის.

ბატონ ლადარიაც, ეტყობა, სოროსის სოროდანაა და ერთობ კომფორტულადაც გრძნობს იქ თავს...

მე კი, მომკლა ამ ყბადაღებული სიტყვის თავისუფლების სახელმწიფო არალეგალური ცენზურის გადამკიდე — საკუთარმა ლეგალურმა საოჯახო ცენზურამ, თორემ უამრავი „უცენზურო" სიტყვა მაქვს მომდგარი პირზე და მათთან სახუმარო და ენაზე დასაჭერი კბილებიც, კარგა ხანია, მოვიცვალე.

* * *

ჯერ კიდევ მიდგია ამ პირში ეს სული.
ვამპირი არა ვარ – ღმერთია მოწყალე.
კაცი კი, ასაკში ჩემსავით შესული –
ცოცხლებში მკვდარია – მკვდრებში კი ცოცხალი!

* * *

ნლო N 41

XXI საუკუნე შემაშფოთებელია დედამიწელებისთვის. ისე ჩანს, თითქოს, ჩვენი პლანეტა მძიმედაა

სქესობრივი კავშირისათვის „ერთ-ერთი" უკუჩვენება, თურმე, მობილური ტელეფონი კავშირია!

ნინო ხუცურიძე: კარიკატურისტი თორნიკე ამბოკაძე შეიძლება გინესის რეკორდების წიგნში მოხვდეს

კარიკატურების ზოგიერთი გმირი – სერიოზული პოლიტიკური ფიგურა, ვისაც იუმორის გრძნობა „ჯერ დაქვეითებული არა აქვს, ჟურნალ-გაზეთების მწარე კბენებს უდრტვინველად იტანს. ყოფილ იუსტიციის მინისტრს, მიხეილ სააკაშვილს ჩარჩოში ჩასმული საკუთარი კარიკატურები კაბინეტის მისაღებში ეკიდა. ბ. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ი ს მეუღლემ, ქალბატონმა ნანულიმ კი, ერთხელაც, დარეკა რედაქციაში და განრისხებულმა იკითხა: რას ერჩით ამ ცოდვიან კაცს?

„ვერსია" 2001, 18-25 ნოემბერი.

პ ლ ა ც ო ნ ი („სოკრატეს აპოლოგია"): ....მიჯნეც ხანში დავრჩენილი. რომ პოცუვები ხი-

ავად. მას ატმოსფერული და ატმოსფეროს ციებ-ცხელება სჭირს — მეტისმეტად ხურდება და ადნობს პოლუსებზე ყინულს. ციკლონები რეგულარულად ატყდება თავს სანაპიროებს, ანგრევს სახლებსა და გზებს. ყოველწლიურად იმატებს მინისძვრები, იღვიძებენ უხსოვარი დროიდან მიძინებული ვულკანები. აქვს თუ არა ამ ბუნებრივ კატაკლიზმებს მიზეზები?

სულ უფრო და უფრო ხშირად, დედამინაზე მიმდინარე კატაკლიზმების მიზეზად, სახელდება... ადამიანი!

* * *

არავის არ უსნავლებია ჩვენთვის ბავშვობაში სექსი და ისედაც ძალიან კარგად ვიცოდით, რომ არავითარ ნეროს არ მოვუყვანივართ ამქვეყანაზე. მაგრამ ამ „ნეროობისა" თუ „ნერაობის" შესახებ, რამდენიც საჭირო იყო, იმდენი კი გაგვეგებოდა და საკუთარი „განათლებაც" გვყოფნიდა თეთრისა და შავის გასარჩევად.

ახლა, სირცხვილად ითვლება... სირცხვილი და ლამისაა „ასო სარცხვენელი" — ასო უსირცხვილოდ იქცეს. გულახდილ-ჩახდილ-გახდილობამ კულმინაციას მიაღნია და ესთეტიკაში უბოდიშოდ შემოლაჯებულ ნუდიზმს სიშიშვლით მოსნონს თავი!

ჩვენს დროს, მშობლები, იტალიური მხატვრული პროზის ფუძემდებლის ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის" კითხვას გვიკრძალავდნენ(?!).. მშობლებამდე კი სავონაროლას დაუნვავს იგი და კათოლიკურ ეკლესიას „აკრძალულ ნიგნთა ინდექსში" შეუტანია. არადა, რა შედარებაა ეს „ადამიანური კომედია" იმ ადამიანურ ტრაგედიასთან, რაც დღევანდელი უზნეობით გვჭირს!.. მთელ ჩვენს თაობას, ეს ნიგნი, რომელიც დღეს ახალ თაობას სასაცილოდაც არ ყოფნის, იატაკქვეშა ლიტერატურასავით, ლამფის შუქზე არალეგალურად აქვს ნაკითხული, მაგრამ მადლობა ღმერთს, ქალის „კოჭების" დანახვაზე დღესაც ელეთ-მელეთი მოსდის, ახლებს კი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მაჯაც არ აუჩქარდება.

ჩვენს დროს, თბილისში, სულ 4-5 თუ იქნებოდა, ახლა ყოველი მეხუთე ცისფერია!

გოგოების შესაბმელად იყო ერთი ჩანყობ-ჩამონყობა, ზმა და შაირი, ვინ რას იგონებდა, ვინ რას თხზავდა.

მახსოვს ერთი მოდურ-ქარაგმული რუსულ-თბილისური „შლაგერი", რომელსაც სულგრძელად ისმენდნენ ჩვენი დროის უკარება გოგონებიც და შიგადაშიგ სასიამოვნო ალმურიც ედებოდათ ისედაც შეფაკლულ ან ალენილ ლოყებზე.

აი, სანამ დამვინყებია, ეს ჩვენი დროის, ასე ვთქვათ, „ლევი" სიმღერაც!

„И бабки нет...
И дедки нет...
Некого бояться.
Приходите девки кнам,
Будем мы и...
Бабки нет...
И дедки нет...
და ასე შემდეგ... „გაუთავებლად"...

*სხვათა შორის, ამ სტრიქონების ავტორი, ერთ დროს ამათი თავგადაკლული მხარდამჭერი, დღეს კატეგორიულად დუმს. „ახ-დახ", 4-10.09.06.*

* * *

ქართულად უბანი არის,
ის, რაც რუსულად „ვერაა",
ისეც და ასეც — ორივე —
ორივე ენაზე — რწმენაა!

* * *

ბიძაჩემი — მარტიონ ნიშნიანიძე ყრუ-მუნჯთა სკოლის დირექტორი იყო და ჩემს სკოლაში მისი ბლატით თავი მომწონდა.

ერთხელაც მკითხა: სკოლაში ხომ არ გჩაგრავენო? ვუთხარი, რომ ხშირად მეკითხებოდნენ გაკვეთილებს. მითხრა, რომ ვეტყვი — უფრო ხშირად გამოგიძახონო.

?!..

ჩემს მასწავლებლებს უთქვიათ, რომ მოსმენა არ ვიცი, ენის სიგრძე არ მაკლია, მაგრამ გაკვეთილს რომ ვკითხავთ — მუნჯდებაო.

ბიძაჩემმა მითხრა: შენ, ბიძია, ჩემთან — ყრუ-მუნჯთა სკოლაში თუ გინდოდა სწავლა, ვერ მითხარიო?..

მარტიონ ბიძიას შვილი იყო ირაკლი (კაკლი) ნიშნიანიძე, რომელმაც სიჭაბუკეში, 3 ირაკლისთან ერთად (მათ შორის იყო, ახლა ბავშვთა ცნობილი ექიმი, — პროფესორი ირაკლი ციციშვილი) „4 ირაკლის" კავშირი შექმნა! მაგრამ საბჭოთა კავშირებს ასეთ კავშირს გამოაპარებდი — ოთხივე დაიჭირეს და თავბედი აწყევლინეს.

* * *

დოლ-გარმონ-სალამურში კაცი ვერ გვჯობია, რადგან დოლ-გარმონ-სალამურის ხალხი ვართ: დოლივით — ტყავში ვერ ვეტევით, გარმონივით ხელგაშლილი ვცხოვრობთ და უსალამუროდაც ვუსტვენთ, მაშინაც კი — როცა არ გვეცეკვ-გვემღერება.

* * *

ხალხური სიბრძნე გვაფრთხილებს, რომ ეშმაკს არ სძინავს!

რადგან ოჯახში უკვე მომრავლდნენ (ღმერთმა ამრავლოთ!) ნებისმიერი „სორტისა" და ასაკის შვილიშვილები — ერთი სეიფი შევიძინე და საბუთებთან ერთად, ზოგჯერ, ფულსაც იქ ვინახავ... გასაღებებს კი, ჩემი ჭკუით, ისეთ ადგილზე ვმალავ, რომ, ასე მგონია, ეშმაკიც ვერ მიაგნებს...: პოდა, ჩემ, მტერს გადაეკიდა ეშმაკი! გაბრაზდა და ჭკუა ამირია... რა-

ბრძნით კი არ ქმნიან მას. რასაც ქმნიან, არამედ ერთგვარი ბუნებრივი ნიჭის და ღვთიური სიმშვიდის წყალობით. მსგავსად ღმრთივშთაგონებული მისნებისა და მგოსნების, ანუ წინასწარმეტყველებისა!..

1950 წელს დაბადებული ფრანგი მიშელ ლოტიტო გინესის წიგნში ლითონების ჭამით მოხვდა. ახლა მას გადაწყვეტილი აქვს ეიფელის კოშკსაც გაუსინჯოს გემო.

ჩვენი არალეგალური „რეკორდსმენები" კი, ყოველგვარი აღიარების გარეშე, ქვეყანას ჭამენ და მიკვირს ის, რომ არავის არაფერი უკვირს!

...უცბად როტშილდი დაიხარა. მიწიდან ხურდა ფული აიღო, ფრთხილად გაწმინდა და ჯიბეში ჩაიდო. ვეკითხები: რატომ ქენით ეს-მეთქი. რა მიპასუხა?

— ჯერ ერთი, ახლა, რომ მე ეს 50 პენსი არ ამეღო, ფულისადმი უპატივცემულობას გამოვიჩენდი. მეორე — ეს იმის მიმან-

ღაცა ეშმაკად, მეც კი სულ დამავიწყდა სად, რომელ ცხრაკლიტულში მქონდა გადამალული — კლიტენი???

ცხრა დღე და ცხრა ღამე ტვინისა და კარადის უჯრებში თუ უჯრედებში ვიქექებოდი, მაგრამ არ დამადგა საშველი... ხომ გაგიგონიათ ასეთი ფიგურალური გამოთქმა — „ამ კაცმა გასაღები დაკარგაო!"... გადატანითი მნიშვნელობით კი არა, პირდაპირ ასე ვიყავი! გამიჩნდა ახალი თავსატეხი და იძულებული გავხდი, სეიფი მე თვითონ... გამეტეხა! ავტეხე ერთი ამბავი! ჩემი ბიძაშვილის შვილმა — მილიციის ყოფილმა პოლკოვნიკმა მომიყვანა ვიღაცა ე. წ. „მედვეჟატნიკი" — სეიფების გალების სპეციალისტი. რის ვაივაგლახით გავტეხეთ ეს უტეხი სეიფი: ვიყიდეთ ახალი ჩიხო-მახო-ხარა-ხურები, დავუყენეთ ძველს — ახალი ცხრაკლიტენი, მივარგ-მოვარგეთ გასაღებები, დავიწყე მათი ახალი სამალავების ძებნა... ვიპოვე, გადმოვიღე ჩემი კნეინას ძველებური მარაოს ხის ყუთი, გავხსენი და...

ამოხტა ეშმაკი, სიცილ-ხარხარით გავარდა ჩემი ტვინის ხუჭუჭებში და თვალები შუბლზე გამომაბა — აგერ არაა ძველი გასაღებები!!!

ახლა, სწორედ ის დროა, გამოვიყენო სიტყვა, რომელიც დღემდე და დღეისაქამომდე არ მიხმარია და არც ვუხმარივარ! —

პირკატა მეცა!

შენცა?

მა რა იქნება, კაცო — ჩემი თვალით ვნახე... სატანა!

ფუი, ეშმაკს!..

მეორე შემთხვევაც აქვეა!

ნ-ტურმა მე და ჩემი ცოლი ეგვიპტეში მიგვიპატიჟა! ერთი სული მქონდა, ჩემი გადარეული შვილიშვილი — 11 წლის დათუნა წაგვეყვანა, მაგრამ გულს უნდოდა — ჭკუას — არა!.. ეს დასვენება კი არა — „გასვენება" იქნებოდა! მაგრამ ეს ფიქრი, მთელ ეგვიპტეში სულ თან დამდევდა!

ეს არის საოცრებათა ქვეყანა — ფარაონებისა და პირამიდების! ამ უკანასკნელისა „დროსაც კი ეშინია". დავდიოდით ამ აკლდამების უკვდავებაში, ჩვენს ფერხთით მიწა, მსოფლიო ცივილიზაციის აკვანივით ირწეოდა... ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ყველა აღტაცებას დათუნას სევდიანი თვალით ვუყურებდით და დანიის პრინცის პრინციპულობით, ყოფნა-არყოფნის მარადიული კითხვასავით დგებოდა კითხვა: სწორი იყო თუ არა ეგვიპტეში მისი არ წამოყვანა?.. მაგრამ, თურმე, ამ კითხვის პასუხი, ძველი ეგვიპტის ცივილიზაციაში კი არა — თბილისში დაბრუნების შემდეგ, მის პატარა სამეცადინო მაგიდაზე გველოდებოდა!.. ეს იყო მე-6 თუ მე-7 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც გადაშლილი იყო... სწორედ... „ეგვიპტეზე"(!), რომლიდანაც, ეს-ეს არის, დავბრუნდით!

❖❖❖

---

*ჭაბუა ამირეჯიბი: საკვირველია, რომ ადამიანი, ღრმა სიბერეშიც საკუთარ, თითქოს ბოლომდე შესწავლილ ფსიქიკაშიც კი ახდენს მანამდე უცნობი თავისებურებების აღმოჩენას. „ლ.ს." 1.09.2006.*

* * *

ფიქრი საფიქრმა დაღალა –
ფიქრებმა შუბლი დაღარა –
პოდა, ჯერ კიდევ ბაღანას –
შემომაპარა ჭაღარა!
სწავლაა სიბერემდეო
და სიბერემდე სიქაჩლე –
სინდისი ვერ გაეყიდე და
ნამუსთან ველარ ვიეაჭრე.
„რაიც არ ექნა მამაჩემს“ –
არც მე არა ეხეე მარმაშებს –
და შეილსაც არ შეეაწუხებ –
ახალ მანთაშევ-თამამშეეს...
მე ჩემ ღმერთთანა სწორი ეარ –
ვჭამ ხაშებსა და ლაეაშებს,
არ აეყოლ-გადავყოლიეარ –
1000 მნის ბიზნეს-თამაშებს!
ცდა ბედის მონახევრეა –
ნახევარია ცდუნება –
ეს ნახევარიც – ბევრია –
კაცი არის და გუნება!

* * *

მოსკოვში, რიგიანი ქართველი, სადაც რიგს დაინახავდა, იქვე, იკავებდა!

ასე მოვხვდი პირველად მავზოლეუმშიც!..

ვიფიქრე, რაღაცას არიგებენ-მეთქი!.. თუმცა, რაც ჩვენ ძია ლენინმა დარიგება მოგვცა და გვარიგა, მეტი რაღა გინდოდა კაცს!

ასე გავენითლდი პირველად, წითელ მოედანზე.

...აქვე იყო გუმი... ცუმი და ათას ნვრილმანსა თუ მსხვილმანზე „საცუმპარამპად“ ჩამოსული მყიდველ-გამყიდველ-გადამყიდველი, რომელიც შეთავსებითა და შეძლებისდაგვარად ჭირისუფლობდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს. მნახველთა რიგში მდგომებს დღემდე შემორჩათ ორი ებრაელის გულში ჩამწვდომი დიალოგი! მას შემდეგ, რაც საბჭოთა ფარაონის აკლდამაში შესულებს, საპატიო ყარაულში მდგომმა, ერთ-ერთმა შინსაკომელმა გამოუცხადა: გთხოვთ მოიხადოთ ვალი ბელადის ხსოვნის წინაშე და უკანასკნელი პატივი მიაგოთ მასო?! ამის გამგონე, მოშესა და ხაიმს ერთმანეთისთვის გადაუხედავთ და ეშმაკმა იცის, რომელს, უთქვამს: გესმით, ხალხო, ჩვენ კიდევ ამის ვალი გვქონიაო!

...მახლას, ბევრი სიტკბოც მახსოვს მოსკოვიდან და სიმწარეც.

სიმწარე გვაშოროს — სიტკბო მოგვცეს! ამას არც

*იმნებელი იქნებოდა, რომ ჩემში ფინანსისტი მოკვდა და ეს იქნებოდა ჩემი კარიერის დასასრული!*

*ოინოტროპებს – შეეძლოთ წყალი ღვინოდ გადაექციათ. როცა აგამემნონმა მამის სახლიდან მათი წაყვანა მოინდომა, დიონისემ ისინი მტრედებად გადააქცია.*

*გ. ცაგანაშვილი: მეხსიერების ცალებზე (ანუ... კუს წენიანი)*

*ალექსანდრე დიუმა თბილისზე წერდა: -გზის ნაპირას, სიღრმეში ბობოქრობს მტკვარი, თვითონ ქალაქი განლაგებულია იარუსებად. მისი ფერდობზე... სახლები შემინებული ფრინველების ბუდეს წააგავს, რომლებიც დასხდნენ ისე, როგორც მოახერხეს. საეჭვოა, რომ სხვა მწერალს დღეს გამოეყენებინა ასეთი ბრწყინვალე მეტაფორა... ქალაქმა სახე იცვალა და რაც უმთავრესია, მგონია, დიუმა, ზოგიერთ ამჟამინდელ უბანს, ძველი თბილისის შეურაცხყოფად მიიჩნევდა...*

ერთი არ მალაპარაკებს. და, თუ მაინც, სისწორეზე შევაგდებ სიტყვას — ამ ანონილ-დანონილში... სიტკბო მეტი იქნება! ჩემმა მზემ — შენმა მზემ!

იყო დრო — ვისაც საიდან უნდოდა, იქედან ამოჰყავდა მზე, რადგან მზეც იქედან ამოსდიოდა. ახლა მზეც საძებარი შეგვექნა და მზის გზით მავალი კაციც.

ეს უბრალო მოგონებაა, რომელიც, ღმერთმა ქნას, ერთი კაცის — დასანერად და ერთი კაცის — ნასაკითხად ვარგოდეს!

...ერთხელ, ისევ ნითელ მოედანთან, მეტროთი ამოვედი... მოსკოველმა ქუჩის ბიჭებმა რაღაც ცუდი თვალით შემხედეს და აგერ... ცხვირმაც დამიმონმა!.. ხმამაღლა დავაცხიკვე... ღვთის ნყალობაო, — ცოლმა გამომძახა, მართლაც, ღვთის ნყალობა იყო, რომ, სად იყო — სად არა, თბილისელი გოლიათი, კარლო იმედაძე გამომეცხადა... ერთ ორს გაულანუნა და დანარჩენები „სიყვარულით" დაგვენებდნენ: არ გვინდა ჩხუბი, ძმებოო!

ერთს კიდევ გეტყვით!

ოთარა ფხალაძე და მე მეტროს ესკალატორით ამოვდივართ არბატზე — ზემოდან კი, ახალშეძენილი ათასი ბარგი-ბარხანით ჩამოდის და „ნივილ-კივილ-ყაყანით" გვიახლოვდება ქართველი ბატების თუ კენგურუების ზურგ-მხარ-მკლავ-თავ-კისერ-ხელჩანთიანთა ჯგუფი... სად გავქცეულიყავი, აღარ ვიცოდი, მაგრამ ფხალაძემ, მისთვის ჩვეული ვირტუოზულობით, იქვე დადგა მიზანსცენა, რომელმაც, ესკალატორთან ერთად, სპექტაკლის დონეზე ჩაიარა.

იგი, მთელი თავისი მხარ-ბეჭითა და პომპეზურობით, შეეგება ესკალატორების ამ ამავალ-ჩამავალ სცენას და მისი მჭექარე ხმით და ხბოს ალტაცებით — სჭექა:

— ქართველები ხართ?

— აბა, როგორ!.. შემოგვესმა საპასუხო გამოძახილი, — ქართველები ვართ, — ქართველებო!

— ვაი, თქვენს პატრონს, — ვთქვი მაშინ გულში მე და იმან კი მათ გასაგონად!

შეხვედრაც ეს იყო და განშორებაც,
ორივე მხარეს ღრანჭები მოგვექცა.

* * *

ჩემი თანაავტორობით თემურ კლდიაშვილის გადაკეთებული ერთი პოპულარული სიმღერის („აი ლავ იუ"!) ღადაობით მოვიარეთ ჩრდილოეთის ზღვის კრუიზი და, ამ სიმღერის ნყალობითვე, ქართველებმა მე-8 ჯგუფიდან პირველში გადავინაცვლეთ (სადილ-ვახშმის რიგში!).

„ქალი მიდის — ერთობ დიდი
მიაქვს-მოაქვს... უკან რო აქვს...
აი ლავ იუ! "

ნეტა იმ დროს! ნყალში ვიყავით და ცეცხლი გვეკიდა — სიყვარულის, სიხარულის, ბედნიერების!

---

*სანდრო კავსაძე: „როცა ბალთაზარ გირლს (პირქუში მასხარა) ეკითხებიან, რატომ ატარებს ის სათვალეებს მინის გარეშე, გირლი პასუხობს, რომ ეს უკეთესია, ვიდრე სულ არაფერი. მას უხსნიან — ჩარჩო კი არა, მინა აუმჯობესებსო მხედველობას. მაშინ რატომ ატარებენ ჩარჩოს? კითხულობს გირლი, — მინების დასამაგრებლადო — პასუხობენ... აი, ხომ გითხარით, ეს უკეთესია ვიდრე არაფერი, არ ცხრება პირქუში მასხარა..."*

* * *

ლექსებად და პროზად
ირევა ფიქრები:
რადა ვარ? სადა ვარ?
რა ვიყავ-ვიქნებით?..
სად აღვესრულებით —
არ ვდარდობ სრულებით —
„მოკვდავი — ხორცით და
უკვდავი სულებით!"
ეს რა ამალაა — სულ ყირამალაა —
სულ სხვა კამარაა... რიღას აძარაა?
ავანი-ჩაეანად, ჩავანი-ავანად —
უთავო თავანად და კუდი ყავარად!..
უფრო მწამს „უწინის" —
აღარ მწამს „აწისი" —
წინ — დასასრულია,
უკან — დასაწყისი!
...უკანა — თაეია, წინა კი — „რაეია" —
უკანა — თეთრია, წინა კი — შავია...
და პქეია — შაეეთი... „დამკაში" გაეედი
ჭკუაზე მოვედი — ხელიდან წავედი!
...ეს ლექს-ლუქსი არის,
რითმათა სრიალის,
აქ — გრიალ-გრიალის,
იქ — სულის წრიალის!
ზოგი ვთქვით პროზისა...
ზოგისა პოზისა,
კითხვათა-კითხვისა —
რათა და რისთვისა?
ვისა და ვისთვისა?
ამ ნაჭერის ხისთვისა!

ალბათ, აქაური — ანუ სააქაო განათლება, იქაური — ანუ საიქიო განათებისათვის ...დანყებითი განათლება, თორემ რაში ჭირდება ადამიანს, აქ გამოიტენოს თავი, თუ იქ — თავიდან ინყება ყველაფერი!

P.S. როგორც იტყვიან, — Поживем — увидим! თუ პირიქით — ნაეალთ და გავიგებთ!

მაგასაც მოვესწრებით თუ გასწრებაზე არ ვიფიქრებთ!

რა გვეჩქარება!

სიკვდილი სიცოცხლის ბოლო საიდუმლოაო, ამბობენ!

სიცოცხლეს გრძელი ენა აქვს, — ენა უძვლოა... — სიკვდილი კი ბრძენია და დუმს!

* * *

ცოლის პირსაქცევს ძნელად მოიგონებ კაცი.

პირიქით! — გეტყვის და შენს პირაქეთა ნათქვამ-ნაფიქრალს ეგრევე შეიხვილიფებს.

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
ლათებმა. ისინი სი-
სხლით ღებავდნენ
ქუჩებს, მოედნებს,
მტკვარს, ანადგურე-
ბდნენ სახლებს, სა-
სახლეებს, ბაღებს,
ტაძრებს, ლექსებს,
სიმღერებს, ფრესკე-
ბს... მაგრამ ვერ
მოსპეს ერი, რო-
მელიც თავისუფლე-
ბას ესწრაფოდა.
გაქრა ბევრი
ადათი...
მარტო აბანოში
სიარული რად ღირ-
და! თბილისელები-
სთვის აბანო იყო
არა მხოლოდ სა-
ბანაო ადგილი,
არამედ თავისებური
კლუბი, რესტორანი,
სასტუმრო: აქ ჭამ-
დნენ, სვამდნენ,
რეცხავდნენ, მღე-
როდნენ, ღამეს
ათევდნენ, იგებდ-
ნენ ახალ ამბებს.
აქაურობა [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

ერთი ხერხი ვიხმარე, იქნებ სხვასაც გამოადგეს.

რაღაც ანტითეზის პრინციპზე, ანკესივით წამოვაგე სიტყვაზე და რიყეზე ამოგდებული თევზივით პირდაბჩენილი დავტოვე.

ამბობენ, გემოვნებაზე არ დაეობენო, მაგრამ ჩვენ, სწორედ, გემოვნებაზე დავიწყეთ დავა.

მე ჩემი ვთქვი — მან თავისი... წავიდა დავა და ატყდა ჩვეულებრივი დავი... თავის დარაბიან-დავებასიანად!

რა ვთქვი ასეთი?

რადა ის, რომ მე მასზე უკეთესი გემოვნება მაქვს! რაზეც, იმავე წუთში, ყოველგვარი არგუმენტისა და ფაქტის გარეშე, ასე ვთქვათ, მისთვის ჩვეული უფაქტურო კონტრარგუმენტი მოიყვანა — „პირიქით!".. რითაც 0-მდე დაიყვანა ჩემი ლოგიკა! ბევრი დავისა და კიდევ უფრო მეტი დარაბის შემდეგ, იძულებული გავხდი... ამ ცოლქმრულ პოლემიკაში იძულებითი თავმდაბლობის ეშმაკური ხერხი მეხმარა და პოლემისტებს — ანუ ჩემს თავსაც და მასაც მოვუწოდე ფაქტებით გველაპარაკა.

— კი, ბატონო, გისმენთ! — თქვა მან.

— მე ვამტკიცებ, რომ შენზე უკეთესი გემოვნება მაქვს — ვთქვი მე.

— პირიქით! — ვამტკიცებ მე, — თქვა მან.

— ჩემი მტკიცებულების საბუთია, — ვთქვი მე, — რომ მე — შენ მომეწონე, შენ კი — მე!..

— პირიქით! — თქვა მან და... მიხვდა, რომ აქ ჩაიჭრა... არა, — თქვა მან... ჰო, — თქვა ისევ მან... მასე, ჰო! — ისევ თქვა მან და, ბოლოს და ბოლოს, ველარაფერი თქვა.

ალბათ, ეს იყო ქალის კაცთან „დამარცხების" ერთადერთი შემთხვევა... კაცობრიობის ისტორიაში!

## ანბანთქება!

ანია-ბანია-განია-დონია...
ზოგს გრაფომანობა მწერლობა ჰგონია,
ენია-ვინია-ზენია-თანია —
მთავარი ჯანია და არა ხანია!
ინია-კანია-ლასია-განია-
ეს — ენაწყლიანი ცხრაწყაროს წყალია!
ნარია-ონია-პარია-ჟანია —
ოქრომჭედლობაა და ფილიგრანია!
რაეა-სანია-ტარია-ურია —
დედაენისათვის ღმერთებს უზრუნია!
ფარია-ქანია-ღანია-ყარია —
ჩქერი თუ ჩანჩქერი და ნიაღვარია!
შინია-ჩინია-ცანია-ძილია —
ცათა სიფხიზლე და მიწის ღვიძილია!
წილია-ჭარია-ხანია-ჯანია —
ასოთა სასოთა — სიტყვის მარჯანია!
და პაი-პაი, რომ პაეთა-პაეა —
ანიდან-პოემდე ლეთას ლათაია!

## სიტყვა წარმოთქმული რუსთავის გიმნაზიაში, ჩემს შემოქმედებით საღამოზე (2006 წ.)

ჩემო ძვირფასო გიმნაზიავ და ჩემო ძვირფასო გიმნაზიელებო!

„სნავლის ძირი მწარე არის... კენწეროში გატკბილდების!"-ო... ამ „სიმწარეზე" დიდი „სიტკბო" ცხოვრებაში არ არსებობს! და ამას გეუბნებით მე, გიზო ნიშნიანიძე — ცხოვრებაგამოვლილი კაცი, რომელმაც გამოვიარე ბავშვობა, ენახე სიყმანვილე, ფეხი შევდგი კაცობაში, მივაბიჯებ ბერიკაცობაში და დღემდე ვერ შეველევივარ ბიჭობას, რადგან:

„ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი
და ვრჩები ასე — ბებერი ბიჭი"!

მე, ახლა, იმ ხნის ვარ, როცა ჩემი ხნის კაცს, როგორც იტყვიან, ტყუილიც კი დაეჯერება, რადგან იგი უკვე ალარაფერში ჭირდება და ისიც კარგად იცის, რომ „სიცრუე და ორპირობა ავნებს..."

ეგლა მაკლია.

ამიტომ!

*„ხანდამმული ვარ, ხან არა.*
*ხან — არც ესა ვარ, არც — ისა...*
*რაცა მაქვს — ის არ მაწუხებს*
*და რაც არა მაქვს — არც ისა!*

პოდა, რალაში მჭირდება ტყუილი, მით უფრო თქვენთან, ვისთანაც ბავშვობის — მეორედ მოსვლის ბედნიერება მაქვს და ეს სამოთხე მაკავშირებს (სანამ ადამ და ევასავით არ გამოგვყრიან იქიდან)...

მე — თქვენ დამიფარეთ და თქვენ — ღმერთმა დაგიფაროთ!

*თქვენ გულში ვზივარ და სულ ვწუხდი.*
*ამ ოქროს ხელიდან გაშვებას.*
*ხარკს ვუხდი ყველაზე დიდ მეფეს! —*
*მის უდიდესობას!...*
*მის უწმინდესობას!...*
*მის უგიჟესობას!...*
*მის უტკბილესობას!...*
*ბავშვობას!*

ეს, საფინალო სტროფებია ვერის უბნის „პაემანიდან", რომელიც, თქვენი სახელითა და თქვენივე სკოლის თავკალის — ნანა მოსიძის მოწვევით, მეორედ გაიმართა რუსთავში... სახსოვრად ჩვენი უსასკო მეგობრობისა! დღეს მე, როგორც უკვე ძველი მეგობარი, ვესწრები იმ „პაემანს", რომელსაც თქვენი და თქვენი გიმნაზიის საერთო დაბადების დღე — 15 წლისთავი, ანუ, პირველი ინდიქტიონი ჰქვია — ზეიმი, რომელიც „მუდამ იქნება თქვენთან"!

ვდგავარ ახლა თქვენთან ერთად და თქვენთან ერთად მიმღერის გული.

თქვენ მე მეორე ბავშვობა მაჩუქეთ — მე თქვენ

*ყურადღებას. ეს არ ეწინააღმდეგებოდა ქალაქის ამქართა ცნობილ ზიზღს ფულის მიმართ. ფული ხელის ჭუჭყია, რომელიც, რაც შეიძლება მალე, უნდა მოიცილოო... რომ მოიშორო, უნდა გქონდეს, რაც მეტი გექნება, უფრო მეტს დახარჯავ ძმაკაცებში. პოდა, ვინ შოვნა იცის, ვინ — ხარჯვას!*

*მოლხენა შეიძლებოდა ორთაჭალის ან დირსაჭალის აყვავებულ ბაღებში, სადაც გუნებას გამოკეთებდა ამულების სევდიანი სიმღერები, ყველი, პური, მწვანილი, ფოთლების შრიალი, ფერმკრთალი მთვარე და წითელი ღვინო... და სუფრის ლაზათი — დედამდინარის ნედლი თევზი, რომელიც ეს-ეს არის, მტკვრიდან ამოიყვანეს...*

*თბილისური სუფრა არ გამოირჩეოდა კერძების სიუხვით, მაგრამ ცოცხალის გარეშე წარმოუდგენელი იყო. მტკვარი მდიდარი იყო თევზით. იჭერდნენ მურწას, ლორჯას, ფიჩხულს, ნაფოტას, ლობას, ქიჭყინას...*

*მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. პირველი საგრძნო-*

— ჩემი ცხოვრების სკოლას გაჩუქებთ! თქვენ, მე, სიბერეში ნამომეშველეთ... თქვენი სიჭაბუკით და მე, თქვენ, სიჭაბუკეში შეგეშველებით... ჩემი სიბერით! და ვჭექოთ ერთსიტყვიანი, მაგრამ ყველაზე მეტყველი ჰიმნი სიცოცხლისა — მრავალჟამიერ!

მაშ, ასე!

ამ დიდებული სასნავლებლის ბატონებო და პატრონებო — მოსნავლეებო და მასნავლებლებო...

საქართველოს სადიდებლად, რუსთავის ქართულ გიმნაზიას — გაუმარ...ჯოს!

მეგულეთ და მიგულეთ, გიზო ნიშნიანიძე!

P.S. 2006 წლის 19 დეკემბერს — მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსის — ნმინდა ნიკოლოზის დღეს (რომელსაც შარშან იტალიის ქალაქ ბარიში, სასნაულ ზარ-ზეიმში შევესნარი), თითქოს დამებედა და რუსთავის ქართული გიმნაზიის 15 წლისთავს — ანუ ქორონიკონის ერთ ინდიქტიონს დავესნარი, რომელშიც, ამ სიტყვით მონანილეობა მივიღე გიმნაზიის მოსნავლეებთან, მასნავლებლებთან, მშობლებთან, კურსდამთავრებულებთან, გიმნაზიის ჰიმნის ავტორ-კომპოზიტორ — ვარსკვლავ ქალბატონ მაცაცო სეფისკვერაძესთან, ქართული სიტყვის დიდოსტატ, განათლების ყოფილ მინისტრ, პროფესორ თამაზ კვაჭანტირაძესთან, გიმნაზიის შეფუნივერსიტეტის იმდროინდელ პრორექტორ თემურ ხუროძესთან და სხვებთან ერთად.

*ამ კურთხეული ქართულ მიწის მადლი ეამია,*
*ხოლო საუნჯე ერისა ხარ კი შენ, გიმნაზია —*
*...შენსკენ სავალიეს გზა, ფართო და ნათელია,*
*ეს შენი მადლი უქრობია და სანთელია!..*
(ზეპირად დაახლოებით ასე ჟღერს)

ვჭექეთ ჰიმნი!.. მაცაცო სეფისკვერაძის მუსიკის ეშხითა და ბავშვობის ჟრუანტელით.

სიყვარულის, სიხარულის ამ ფეიერვერკისაა ეს ლექსპრომტიც, რომელიც გიმნაზიის ცოცხალ ძეგლადქცეულ თავქალს — ნანა მოსიძესა და საქართველოს აკვნის დამრნევ „იავნანას" ეძღვნება!

*იქეთ-ნანა, აქეთ-ნანა...*
*აკვანში კი შუათანა...*
*ის — აძინებს, ეს — აღვიძებს.*
*იავნანა — ვარდონანა!..*
ამ ორი „ნანას"ხელშია ახლა ჩემი მიტო-ელენე და ანა...
...დაილოცა მისი ძალა!

❖❖❖

---

*დავიწყებულა და წაქცეულა ქართული სამართლის დედაბოძი! „ღმერთი, ყოვლის დამბადებელი თქვენგან სამართლის უფროსს არას ითხოვს" (ვახტანგის სამართლის, წიგნი მუხ. 1).*

*P.S. საოცარი სიტყვათა შეთანხმებაა! ჭეშმარიტად: სამართალს უფროსი არ ჰყავს!*

* * *

დედისადმი სიყვარულის ასეთი ახსნა ჯერ არც მსმენია!

ამას უფროსი ადამიანი ვერც მოიფიქრებს.

ბავშვს უთქვამს დედისთვის: ისე მიყვარხარ, რომ როცა შენთან ვარ, მაშინაც კი მენატრებიო!

ალბათ, ყველა ენას აქვს სიტყვა, რომ ეს სიყვარული გამოხატოს, მაგრამ, შესაძლოა, არც ერთ ენას არ ჰქონდეს სიტყვა, რომელიც ამ სიყვარულს ეყოფა.

დედაჩემი (ისე, ალბათ, როგორც ყველა დედა, მეტნაკლებ) უმკაცრესი-უმნარესი და უტკბილესი ქალი იყო.

აშკარად არასდროს მომფერებია, მაგრამ ჩემმა დამ — ნაზიკომ მითხრა, ძილში გეფერებოდაო და ამიტომ, ხანდახან, თავს მოვიმძინარებდი, რომ მიმეტყუებინა და ფაქტზე ნამესწრო...

92 ნელი იცოცხლა...

ჩემი ძველი, სკოლის ამხანაგები (არც მთლად დარწმუნებულები იმაში, რომ ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო თუ არა) არაერთხელ მეკითხებოდნენ იმას, რაც მერე, ამ სტროფებად იქცა:

...და, როგორც წესი, როცა მხედებიან —
როგორა გყავსო — მეკითხებიან?..
გმადლობთ, კარგად-თქო
(ქათაევებ სიკვდილს)...
ვფიქრობ ჩემთვის და მაინც ხედებიან —
დედა არ კვდება!..
რად უკვირთ — მიკვირს...
რადგან ღმერთები...
არა კვდებიან!

### ორი სტროფი ერთ ჭიტ-ვარამზე!

(ალავერდი მეზობლებთან)

მეზობელო კარისაო — ხან ესა და ხან ისაო,
რაღა დაგერჩა გასაყოფი ამ მთისა და ბარისაო?
მზე შინა და მზეი გარეთ —
ერთი არის ჩვენი მთვარეც.
ერთი ციდა — ერთი ცა და
არ იყოფა არე — მარეც!

* * *

ვინ ძველ შარს დაეძებს — ვინ ახალს...
კარის მეზობლისგან ესეც კმარა!
გაქართველებული სომეხი მინახავს —
გასომხებული ქართველი — არა!

ბი დარტყმა მდინარის ფაუნას ზაჰესმა მიაყენა. ისეთ გლობალურ პრობლემასთან, როგორიც ელექტროფიკაციაა, ვინ იფიქრებდა თევზის ბედზე! იმიტომაც არ გათხარეს გვერდითი არხი და ორაგულს, რომელიც ქვირითობისას კასპიის ზღვიდან არაგვში ადიოდა, ბეტონის კედლებმა გადაუღობეს გზა...

მძიმე შრომის შემდეგ დამაშვრალი თბილისელის გასართობი იყო: ჭიდაობა, ლახტი, ბურთი, ლელო, ყოჩების, ცხვრების შერკინება... ყველაზე მიმზიდველი — მუშტი-კრივი. იწყებდნენ ბიჭბუჭები, მერე კი საქმეში სხვები — უფროსები ერთვებოდნენ. ძლიერი მებრძოლების სახელები მთელმა ქალაქმა იცოდა. ვილას ახსოვს ახლა ლოპიანა, ვიგუა, კამბეჩუა, კომშუა, ქაჩალ-ფაჩუჩა, ლეკუა, ლორ-კოლა, ცუცანა?!

ახლა ქორწილები ექვს, ერთმანეთზე გადაბმულ ტივზე? გრილი შემოდგომის ღამეს, შუაგულ მტკვარში წყვდიადს ებრძოდა კოცონი, იხარშებოდა ცოცხალი...

* * *

დეზერტირის ბაზრიდან სოფელში გასაბრუნებლად ქუჩაში გამოსულ მარნეულელ თათარ ცოლ-ქმარს, კითხვაზე: Где тут вокзал-о? პლეხანოველმა ბიჭებმა მუშტაიდის საბავშვო რკინიგზის სადგური მიასწავლეს, პატარა კუკუშკაზე დასვეს და „მარნეულში" გაისტუმრეს... საწყლები, მხოლოდ რამდენიმე წრის დარტყმის შემდეგ მიხვდნენ, რომ ეს მატარებელი იქ არ მიდიოდა, სადაც მათ უნდოდათ და სულ „ქოფოიოღლითა" და გემრიელი თათრული გინებით გაშორდნენ იქაურობას.

მათი გაცხარება ხო ვნახეთ და მათი ცოლქმრული ჭუკჭუკიც მახსოვს მერაბ ელიოზიშვილის „ნიანგში" მოტანილი ერთი მოთხრობიდან — სულ „თურთურუ" — „ქურქურუდ" რომ ჩამესმის დღესაც ყურში!

* * *

ერთხელ ცოლმა მითხრა: უცნაური კაცი ხარ — მთელი ცხოვრება უჯილდოობით მოგწონდა თავი და სიბერეში — ჯილდოებით ყელამდე ხარო!

ეს, მგონი, ერთადერთი შემთხვევაა, როცა ისიც მართალია და მეც!

მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიტყვი! რა მაგის პასუხია და...თუმცა, სწორედ რომ მაგის პასუხია! — ჩემმა უფროსმა შვილმა — გიამ, დონ კიხოტის ქვეყნიდან სუვენირად ჩამომიტანა ერთი ქართულ-ესპანური სიტყვა — „ტრაბახი", რომელიც ქართულად რაც არის — ქართველებს კარგად მოგეხსენებათ, ესპანურად, კი, თურმე, „შრომას" ნიშნავს?.. თუ ქართულ-ესპანურ (ბასკურ) ძველ ნათესაობასაც გავიხსენებთ და ამ ორ სიტყვას („ნათესავურ ბრუნვაში" მაინც) რაიმე ნათესაობასაც გამოვუძებნით, მაშინ ჩვენზე უფრო — ესპანურად — მშრომელი და ქართულად ტრაბახა ხალხი არ არსებობს!

დიახ, ჩემი ცოლი — ქალბატონი ლიანა, ამჯერად (არ მჯერა, მაგრამ...), იმდენად მართალია, რამდენადაც მართალი ვარ მეც! — მხრებზე არასოდეს ტვირთად არ მაწვა ჩინი და გულმკერდს, არასოდეს, რაიმე ორდენ-ჯინჯილების ჯავშანი არ მიფარავდა, რამაც შემაძლებინა გულთან მიმეტანა ყველა გაჭირვება თუ სიხარული და ჩემი მხრებით, შეძლებისდაგვარად, მეზიდა ქვეყნის სატკივარი!

მე მირჩევნია მკითხონ — რატომ არა მაქვს ორდენები, ვიდრე მითხრან — რატომ მაქვს? — თქვა ერთმა ჭკვიანმა კაცმა და მეც ამ ჭკუაზე ვარ.

...როცა ორდენი დამკიდეს მკერდზე, ვიგრძენი, როგორ მიჭერდა ყულფიო! — ეს უკვე შოთა ნიშნიანიძის სიტყვებია და როგორც ჩემს „სიცილ-სიცილის" წიგნში ვწერდი: კაცს თუ სიტყვა სასესხებელი შეექმნა, სჯობია ისევ სახლიკაციდან ისესხოს — ქვეყანას მაინც არ შეუყრის — გამქურდესო!

შოთასთანა კაცებს კი დაეჯერება!

მეც კაი ხნით გადავურჩი ამ სახრჩობელას, მაგრამ...

*„დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?"...*

*ერთ წიგნუკას ახსოვს ჩემი აღსარების ანა-ბანა!*

*„ჯილდოების დეფიციტზე მომიბრუნდეს როგორ ენა —*

*ფოთოლცვენა დაიწყო და ჩინ-მედლებმაც იწყეს ცვენა!"..*

აჰა!.. სადღაც, 75 წლის რაიონში, ატყდა ჯილდოების თავსხმა!

---

ლ. ფოიხტვანგერი: *„სასამართლომ სამუდამოდ დაკარგა ავტორიტეტი, საზოგადოება დღეს მას განიხილავს ისე, როგორც ის ადრე განიხილავდა ჯალათს..." („წარმატება", 1930 წ.).*

დიახ, ახლა მე, ქალბატონო ლიანა, გახლავართ: მედლის „კავკასიის დაცვისათვის" (14 წლისამ მივილე), ივანე ჯავახიშვილისა და დავით სარაჯიშვილის ლაურეატის მედლების, თბილისის საპატიო მოქალაქის დიპლომის, ღირსების, გორგასლის ორდენებისა და... შენი კავალერი!

ცოტაა ეს?

ისე, კაცის თავმოწონებაზეც რა აზრისა ვარ, ისიც მაქვს ნათქვამი ერთი ლექსის ერთ სტრიქონშიც:

*კაცს, რომელსაც თავის თავი მოსწონს...*
*იმას უკვე ერთი ცოლი ჰყავს!*

* * *

ერთ ჭკვიან ებრაელს (უჭკუო ებრაელი გინახავთ?) იმ კითხვისთვის დიდხანს ვერ გაუცია პასუხი, რაც თითოეულ ჩვენთაგანსაც ასევე კითხვად რჩება: მაინც, რატომ გვიყვარს ასე შვილიშვილები?

ბევრი უფიქრია თუ ცოტა უფიქრია (ცოტა ნაფიქრალს ნაღდად არ ჰგავს) ბოლოს, თურმე, არქიმედესავით ნამომხტარა, სახე განათებია და უყვირია: მივხვდი, მივხვდიო!

— რას მიხვდი, დაგენაცვლეო? — უკითხავთ შვილებს.

— რას და იმას, რატომ მყვარებია ასე ჩემი შვილიშვილებიო!

— მაინც რატომო?

— რატომ და იმიტომ, დაგენაცვლეთ, რომ ჩემი შვილიშვილები ჩემი მტრის მტრები არიან!

— შენი მტერი ვილააო? — ჩაეძიენ შვილები.

ჩემი მტერი — ჩემი შვილებიაო!

* * *

ან საიდან მოხვდა იქ, ან ვის მოხვდა მისი მუშტი და რა, როგორ მოხდა, არ ვიცი, მაგრამ ვიცი ის, რომ ბოგდანოვკაში ჩხუბი მოსვლია ვერელ ჰერკულესს, თენგიზ კეკელიძეს! ადგილობრივი მილიციის აქტში კი ეს ფაქტი და ჩადენილი ქმედება მეტად „რომანტიკულადაა" დაფიქსირებული ერთ საბრალდებო პუნქტად: „За избиение населенного пункта!"

როგორია!

* * *

ახალი ზოგადსაგანმანათლებლო ტესტი!

მოცემულობა: ტროლეიბუსში შემოდის მოხუცი კაცი თუ ქალი ან ფეხმძიმე მანდილოსანი.

კითხვა: რომელს დაუთმობ ადგილს?

*შეძლებული მოქალაქეები ყოველდღე გამართავდნენ ქორწილებს, დარბაზებს, სნეულთ, უპოვართ, ხელს უმართავდნენ, შიმშილით სიკვდილი სად გვინალა, ეს ხომ ქალაქის თავის მოძმის სირცხვილი იყო...*

*1941-45 წლებში ძალიან უჭირდა თბილისსაც, — იხსენებს ძველი თბილისელი ოთარ ხარაძე. — ოკეანისგაღმიდან შემოდიოდა ჰერკულესი, ძეხვი, დაკონსერვებული თევზი, ხორცი. გაკვირვებას და დაცინვასაც იწვევდა კვერცხისა და რძის ფხვნილი, მაგრამ მათზე უარს არავინ ამბობდა. კაცი კაცით ცხოვრობდა. შიმშილს ისე არ ვგრძნობდით, როგორც ახლა. ძნელი ყოფილა „გადაშენების გზაზე დამდგარ თანამემამულეთა წიაღში ყოფნა". მაშინ კი ტყვეებიც არ შიმშილობდნენ... ქალაქის ძველისაველ უბნებში ტყვედ ჩავარდნილი გერმანელები, რუმინელები, იაპონელები მშენებლობებზე მუშაობდნენ. უბნის ქალები მათ ჩუმ-ჩუმად ხან პურს მოუტეხავდნენ, ხან ყველს. მიუხედავად*

სწორი პასუხი: არც ერთს. ადგილი ჩემია!

P.S. უფრო სწორი პასუხი... კითხვით: თქვენ თავში ფეხი ხომ არა გაქვთ?

* * *

ამ უცხოური ტესტის ასეთი იდიოტური — არც კითხვა გამიგია და არც პასუხი... ერთი რაღაც შორიახლო ამბავი თუ ანეკდოტიც კი (თანაც ძველისძველი) ჩვენი ძველებისგან გამიგია, დღემდე მახსოვს და აიდოსტივით გადავცემ ჩვენს ჭკუაზე მავალ მომავალს:

ერთი დედა-შვილი, ერთმანეთის ამარა შემორჩენილან სოფელში. დედაბერს უთქვია — შვილო, მალირსე შენს ცოლს, პანა ხელს ნამოგვიკრავს საქმეზე და სულს მოვითქვამთო.

აულია ამ შვილსაც და მოუყვანია ეს ცოლი, მარა ამ უკანასკნელს იმ უკანასკნელიდან საშველი მაინც არ ჰქონიათ — დილიდან საღამომდე იჯდა სახლში მკვდარივით გულხელდაკრეფილი და სულ არ ინუხებდა თავს სხვისი გაჭირვებით.

...ზღაპარს ჰგავს, მარა მართალია:

ამდგარა ეს სანყალი დედაბერი და შვილთან მოულაპარაკებია: მოდი, ერთი, ასეთი ხერხი ვიხმაროთ — ნყაროდან ნყლის მოტანაზე გავექაჩგამოვექაჩოთ ერთმანეთს: არა — მე ნავალ, არა — მე ნავალო... შერცხვება და ნავა, აბა, რას იზამსო!

ასე დაიდგა „თებრონე მიდის ნყალზედას", კიდევ ერთი ვარიანტი — ერთ მოქმედებად, ორ მოქმედ პირად — ანუ დედა-შვილად და ერთ უმოქმედობად — ანუ რძლად.

უყურა, უყურა რძალმა დედა-შვილის „გამიშვი და გაგიშობს" და ძალიან რომ გაანყალეს გული — შენყვიტეთო! — ბრძანა.

ამ სოფლური „ვოდევილის" ავტორებმა იფიქრეს — დაგვადგა საშველიო და გაისუსნენ.

— რა იყო, შვილოო? — ჰკითხა დედამთილმა.

— რა იყო, ცოლოო? — ჰკითხა ნეფემ პატარძალს.

— რავა რა იყოო! — სანყლად გადმოხედა ნელში განყვეტილ დედაშვილს რძალმა, — რა გაჩხუბებთ, თქვე საცოდავებოო, — შევიდა მათ მდგომარეობაში და იქვე გამოუძებნა საშველიც!.. ხან ერთმა მოიტანეთ კოკით ნყალი, ხან მეორემო?!..

თქვა ეს და გვერდზე გადაბრუნდა.

P.S. ასე, რომ ეშმაკს არ სძინავს, ხალხო — გულგრილობა კი ეშმაკის მოგონილია!

* * *

ვიღაც პოლონელი ჟურნალისტის სიკვდილამდელი ავტონეკროლოგი ნავიკითხე, რომელმაც შემძრა: ჩემი მკვლელი მაშინ გავიცანი, როცა 15 წლის ვიყავი. იგი ჩემს წინ იდო მაგიდაზე და იქეთ მექაჩებოდა, რომ აქეთ მომექაჩაო.

---

*ერთხელ ექიმს რჩევისათვის მიმართა დეპრესიით შეპყრობილმა პაციენტმა, რომელსაც ვერანაირი წამალი ვერ შველოდა. „ყოველდღე მიხაილ ზოშჩენკოს თითო მოთხრობა წაიკითხეთ", — ურჩია ექიმმა. პაციენტმა სულ ჩამოყარა ყურები და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: „მე თვითონ ვარ ზოშჩენკო".*

ამ გაგანია ნარკომანიის დროში, სიგარეტის მოწევა, უკვე, აკვანში ყრმის სატყუარათი გართობის ტოლფასად იქცა, თორემ თამბაქოს მავნებლობაზე (ანდამატივით რომ გვიზიდავს) ლაპარაკიც ზედმეტია. გამიგონია, 1 ღერი სიგარეტი 15 წუთით ამცირებს სიცოცხლესო.

იყო დრო მოწევიდან — მოწევამდე, ანუ სიგარეტებად ვყოფდი დროს და სამუშაოს.

ერთხელ ეატმანი ნიაზას გაუწყრა: ტრამვაიში პაპიროსს რატომ ეწევიო?

ნიაზამ არა „იაზეურად", მაგრამ ნიაზურად უთხრა: რა ვიცი, ვერ გადავეჩვიეო!

...გენიალური სემუელ კლემენსიც (მარკ ტვენი), მისთვის დამახასიათებელი სიტყვის ვირტუოზულობით ისე ახასიათებს „გაბოლებას", რომ საგულდაგულოდ უნდა დაუკვირდე — ავად თუ კარგად ახსენებს ამ ჩვენი ცოდვით სავსეს.

— თამბაქოს თავის დანებებას რა უნდა!.. მე 20-ჯერ დავანებე თავიო!

ეფექტი მოულოდნელია.

მაგრამ ოდნავ დაფიქრდები და მიხვდები:

პაპიროსის წევას 20-ჯერ რომ დაანებო თავი, ამიტომ პაპიროსის წევა 20-ჯერ უნდა დაიწყო!

...ყველაფერ ამას კი იმიტომ ვწერ, რომ ყველას თავისი ჭკუა ეყოს და თავს მიხედოს...

* * *

„სიჭაბუკემ რომ იცოდეს
სიბერეს კი რომ შეეძლოს" —
სიჭაბუკემ უნდა თესოს —
სიბერეში რომ შეესწროს!

* * *

ერთ კაცს ლეონარდო და ვინჩი... ორი კაცი ეგონა.

ასეთებზეა ეს სტროფიც!

...ლეონარდო და ვინჩის —
არ იცის ინჩი-ბინჩი,
არცა მიქელანჯელოს,
მაგრამ ის მაინც მსჯელობს...
ფილოსოფოსი არის,
თანაც მასხარა... კარის!

* * *

2005 წლის 25 ივნისს პირველმა არხმა გადასცა ტელეინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ერთ დროს

*იმისა, რომ მამაჩემი ფრონტზე დაიღუპა, დედაჩემი ლუკმას იმათაც უნაწილებდა. ასე, ადამიანურად ვცხოვრობდით... ადამიანურად!*

*ნარიყალას ფერდობებზე უთვალავი კუ ბინადრობდა. ტყვეები მათზე ნადირობდნენ და მშვენიერ კუს შეჭამანდს ამზადებდნენ. ამ ქვეწარმავლის დაჭერამი პატარებიც სიამოვნებით ვეხმარებოდით. კარგად მახსოვს, ერთხელ მოზრდილი კუ დავიჭირეთ და დავუძახეთ რუმინელ ტყვეს. იგი მოსწყდა ადგილს და წამში ამოვარდა 30-მეტრიან აღმართზე... მერე ცნობისმოყვარე ბიჭებს ვგვიმასპინძლდა. იმ დროიდან არ დამვიწყებია კუს ნვნიანის გემო... აი, ახლაც გამახსენდა, 55 წლის წინანდელი ამბები და დავდივარ თაბორზე. იქნებ კუს წავაწყდე-მეთქი... აქაურობამ ქალაქი გადაარჩინა. იქნებ ნარიყალამ მეც გადამარჩინოს...*

*ამ გაუტეხელი ციხესიმაგრის ბზარქოლობიდან დღესაც იღვრება სისხლი, რომელიც გვახსნაველის სიმამაც-*

სავარდო და სამაისო ქუთაისში" ადგილებიდან აყრილმა გარემოვაჭრეებმა, ყოველგვარი შესანდობარის გარეშე, ქელეხი გადაუხადეს ადგილობრივ ხელისუფლებას და მე გამახსენდა ლუი XIV ამბავი (საფრანგეთში, გაბელის სახელწოდებით შემოღებული მარილის გადასახადის გამო), როცა მონარქმა იკითხა: რას ამბობს ხალხიო?.. და უპასუხეს: იცინისო! რაზეც ტირანს უბრძანებია: ახლა კი შეჩერდით, სიცილი ყველაზე საშიშიაო! სხვათა შორის, ამ უკანასკნელზე ასევე დიდი წარმოდგენისა იყო მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი კარლ მარქსიც, რომელიც ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შესავალში წერდა, რომ: „ისტორია სამართლიანია და მრავალ ფაზას გაივლის, ვიდრე დრომოჭმულს სამარეში წაიღებს. მსოფლიო ისტორიული განვითარების საბოლოო ფაზა — კომედიაა. საბერძნეთის ღმერთები, რომლებიც ერთხელ უკვე სასიკვდილოდ იყვნენ დაჭრილნი ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეოსში", კიდევ ერთხელ სიცილით უნდა დახოცილიყვნენ ლუკიანეს „საუბრებში". რატომ მიდის ასე ისტორია? რომ ადამიანები ამაღლდნენ თავიანთ წარსულზე და მხიარულად განშორდნენ მას."

* * *

ვიღაცამ თქვა: საერთაშორისო შეჯიბრებაზე კოჯრის ნიავი მსოფლიო ჩემპიონი გახდაო (თბილისური ხუმრობით და ხუმრობის გარეშეც).

ამ ტალღაზეა ეს სტროფიც!

იელისო!..
შენს თბილისში კაცი ვერ გაიელისო...
ენატრობ კოჯრის ნიავს და მხეფს ივრისო! —
მაეიწყდება გეშო იმ სიგრილისო,
როცა კაცს შურს საკუთარი ჩრდილისო!

* * *

ჩვენი ბიჭობის დროს, ერთი მოარული ლეგენდა თბილისში ყველა თამადას პირზე ეკერა და დედის სადღეგრძელოს ფეხზე დგომით შესმის დროს, ლამის სავალდებულო პროგრამაში შედიოდა. ეს სადღეგრძელო იმდენჯერ მაქვს მოსმენილი, რომ ზეპირად მახსოვს და მიუხედავად მისი სიბრძნისა და გულში ჩამწვდომობისა, ცოტა ღიმილსაც მგვრის.

შემოვუნახოთ ეს ლეგენდა ლეგენდარულ ქართულ სუფრას და დავტოვოთ იგი ჩვენი დედაშვილობის სახსოვრად!

გოგოს ბიჭისთვის უთქვამს — თუ ასე გიყვარვარ, დამიმტკიცე და არც მეტი-არც ნაკლები — დედაშენის გული მომიტანეო?! წასულა, სიგიჟემდე შეყვარებული ბიჭი, მოუკლავს დედა, სირბილით მოაქვს დედის გული... რაღაცისთვის წამოუკრავს ფეხი, წაქცეულა და დედის ხმა შემოსმია: შვილო, ხომ არაფერი იტკინეო?

აი, რა არის დედის გული!

და აი, რის სათქმელად მოიგონა თბილისმა ეს ამბავი.

ერთ უქეიფო ქეიფში გაფიქრებული და სალფეთქზე ჩაწერილი ქონიანი სტრიქონები...

ვის თმები აქვს ხუჭუჭი,
ვის ტვინი აქვს ხუჭუჭი,
ვის თავი და ფეხები,

როგორც ღორის მუჟუჟი...
ქაბაბი და ღაბაბი —
ჩაქაფული, ფულია —
ჭამა-სმა და ქეიფი...
სულ გეშია, სულ გეწყურია!
მაეან-აეან-ჩაეანთა
უწესობის წესია —
ვერ გაარჩევ მრაეალთა —
ბეცია თუ მხეცია.
მუცელს გადაყოლილი
ქალი შეგეცოდება —
მუცელს გადაყოლილ ერს —
აბა, რა ეწოდება?

* * *

დიდი მოხერხებული, შანსპეპელა ხალხია ეს ქართველები და, მათ შორის, მეგრელები. რას არ იტყვიან, რას არ მოიგონებენ, საიდან არ იპოვიან გამოსავალს.

ერთი პატარა კაცი — ერთი დიდი კაცის ნათესაობაზე დებს თავს.

საიდანო? — ეკითხებიან.

— როგორ თუ საიდანო, — უპასუხებს, — მაგის ბებია და ჩემი ბებია, ორივე... ბებიები არიანო?!

* * *

— ჩადიხართ? — ეკითხება ერთი მეორეს.

— დიახ, — პასუხობს მეორე.

— ოხ, კოლეგა! — აღტაცებას გამოთქვამს პირველი.

* * *

მატარებელში:

— ხომ არ გიბერავთ, ქალბატონო?

— პირიქით, — ცხვირიქით პასუხობს ლამაზი ქალი.

— როგორ, თქვენ უბერავთ?

* * *

ისევ ტრამვაიში
— ჩადიხართ?
— რა თქვენი საქმეა!
— მე ჩავდივარ.
— რა ჩემი საქმეა.
— გამატარეთ!
— ეს სხვა საქმეა!...

...ეს, ჩვენი დროის დიალოგებია, რომელსაც ახლაც ჩამჩურჩულებს დრო და დღესაც ყურში მინივის.

ეს და სიმტკიცეს.
ნარიყალა — გმირული ისტორიის ნამსხვრევია. ნარიყალა იგი უფრო მეტ ტრაგედიის იტევს, ვიდრე დღესასწაულს. ის, ვინც ამას დაინახავს და იგრძნობს, გაუგებს ამ ციხესიმაგრეს — მას ვერასოდეს დაძლევს დამღუპველი გრძნობა თვითკმაყოფილებისა და უდარდელობისა...
„კვირის პალიტრა" 22-28.05

ირაკლი ჯავახაძე: „ერთ ძალიან, ძალიან მაგარ მწერალს უთქვამს — პირველყოფილ ადამიანს გრამატიკისთვის რომ არ დაეჯერებინა, ახლაც უნდა გვეღმულაო"...

გაზ. „სიყვარული და ცრემლი" (2000, №33)
მამია ჩორგოლაშვილი:
ისევე, როგორც სიყვარულისთვის, ასევე, სიკვდილისთვისაც არ აქვს მნიშვნელობა...
წესის აგების პარალელურად, წირვა უნდა შესრულდეს. წირვის „შესაწირი" პური და ღვინო უნდა იყოს (სეფისკვერი

* * *

ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ლადო პაპავას მამას ჰკითხეს: როგორ ფიქრობ — შენ ჯობიხარ თუ შენი შვილიო? აკადემიკოსმა მამამ ურთულეს კითხვას უმარტივესი პასუხი გასცა: ჩემი შვილი მაშინ მაჯობებს მე, როცა ის ჩემზე უკეთეს შვილს გაზრდისო!

ნიუტონმა კი ამ კითხვას ასეთი პასუხი გასცა:

— მე მამაჩემზე უფრო შორს ვჭვრეტ, მე უფრო მძლე ვარ, რადგანაც დიდთა წინაპართა დიდ მხრებზე ვდგავარ?

მამულისთვისაც, მოგეხსენებათ „ისა სჯობს, რომ შვილი სჯობდეს მამასა"... და თანაც —

ის ურჩევნია მამულსა,
რომ შვილი ჭამდეს ხრამულსა (მაგრამ, არა მამასა)!
ღმერთო გვაშორე ეშმაკსა — მამა-შვილთ შორის დრამასა!
...მეშვილა-მიშველა-მეშველა!.. შეხეთ რა „პლასტიკა", რა პალიტრაა!

* * *

რითაა „ინტერნეიშნლზე" ნაკლები — „ნეტაი შენ" ან აზრობრივად, ან ფონეტიკურად?

„ადეკვატები და დებატები!.." რა უნდა ასეთ სერიოზულ სიტყვებში ამდენ კვატებსა და ბატებს!

რაა ეს?.. რეიტინგები და რეიტინგიცობები!..

* * *

ქვეყანამ ვერ გაუძლო ჩვენს მაქციერ საქციელს,
დრო გავაცამტვერეთ და ნაცარტუტად ვაქციეთ!

* * *

შიშს დიდი თვალები აქვსო:

მარტო თვალები კი არა — ყურებიც, მეხსიერებაც... დღემდე მახსოვს, ბავშვობაში, მატარებლით მგზავრობის დროს, გამცილებლების კუპე-კუპე ჩამოვლა, გასაღებების ჟღარუნი და მონოტონური ძახილი: ვუახლოვდებით რიონს... ვუახლოვდებით რიონს... დაკეტეთ ფანჯრები, გაუფრთხილდით ჩემოდნებს... ვუახლოვდებით რიონს!..

ასევე და კიდევ უფრო მასშტაბური ხმოვანებით რუსი „პრავადნიკები" თავს ჭრიდნენ როსტოვს, რომლის ქურდ-ბაცაცები მაშინდელი კრიმინალური სამყაროს ჩემპიონებად ითვლებოდნენ.

სიფრთხილეს თავი არ სტკივაო! თუმცა, სიფრთხილისგანაც ბევრი თავისტკივილი მახსოვს!

* * *

**მაია ამაშუკელი:**

გავიხსენოთ. ხან ბიძაშვილ-მამიდაშვილის ქორწინების რეგისტრაციაში გატარების კანონის გატარება მოინდომეს (კათოლიკების ინტერესის

*აყალი – ჩხუბია, მაყალი – ქეიფი, აყალ-მაყალი კი ცხოვრება!*

*„პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა" (მეხუთე მცნება).*

დაცვის მიზნით); ხან ბიბლიის მეგრულ და სვანურ ენებზე თარგმნა; ხანაც (ამა თუ იმ ტელეარხით) ეკლესიის ლაფში ამოსვრა. ალბათ ლევან რამიშვილის „რეპორტაჟები ჯოჯოხეთიდანაც“ გახსოვთ და „თავისუფლების ინსტიტუტის ეარსკვლავის“ — თეა თუთბერიძის „მჭევრმეტყველებაც“ (მართლმადიდებლობის სკოლებში სწავლებაზე).

ბევრჯერ გვსმენია: საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, იაპონიაში, საკუთარ ტრადიციასა და რწმენას ისეთ პატივს მიაგებენ, შეგშურდებაო. სანყენია, მაგრამ ისინი კი არ არიან კარგები, ჩვენ არ ვვარგივართ. ხალხნო, თუთაშხიასი არ იყოს, ვერ ხედავთ რა დღეში ჩაგვაგდო სულძაღლიანმა „არქიფო სოროსმა“ და მამაძაღლმა თაბაგარმა?

* * *

თუ გსურს ყოფა თბილისური —
მიუბრუნოთ თბილისს სული!

* * *

გუშინ ბავშვი გადაყაედათ ქუჩაში,
მანქანების უწყვეტ ნაკადს ელოდა...
ციეი ქარი გულციეობას მღეროდა —
დღე იყო და, მზე იყო და... ბნელოდა!
გულს ეძინა გულგრილობის გუდაში...
გუშინ ბავშვი გადაყაედათ ქუჩაში...

## გან...წყობილება!

სიმართლე თუ გინდა: სიცოცხლე არა ღირს —
სიფთას ფასი არ აქვს ერთ თლაშის არაყის,
თენდება, დღე დგება — ადგომად არა ღირს,
ღამდება, ჟამდება — სიბნელის ხარაკირს...
რა გული გაუძლებს სულნასულს და უძღებს —
რა ღამე გეტყვის და რა დილა გაუწყებს —
თეთრად გათენებას, შავად დაღამებას —
ღამე — სიკვდილსა და დილა — დაბადებას!..

* * *

კერჩხობის დასასვენებელი სახლის დირექტორობის დროს, გივი (პიტუ) ნიჟარაძეს დამსვენებლებმა ჰკითხეს — რა განსხვავებაა თქვენს რამშტექსსა და ბივშტექსს შორისო, რაზედაც კულინარიის, მხოლოდ სამომხმარებლო დონეზე, მცოდნე დირექტორმა მთელი სერიოზულობით, დასაბუთებულად უპასუხა: რამშტექსს მარჯვენიდან უწყვია შემწვარი კარტოფილი და ბივშტექსს — მარცხნიდანო!

და ზედაშე).
ეს უსისხლო მსხვერპლი იესო ქრისტემ დააკანონა.
წესის აგებას კიდევ თან ახლავს სანთლისა და ჯვარის რიტუალიც.
წმინდა სანთელი რწმენის სიმბოლოცაა და შუქის წყაროც. მას მაგიური მნიშვნელობა აქვს. ვინც სანთელს ანთებს, იგი ღმერთთან და ციურ სინათლესთან წილნაყარი ხდება.
სანთელი ავსულებთან განრიდებისთვისაც გამოიყენება.
სანთელი, ადამიანის კოსმიური სამყაროსთან კავშირის გამოხატულებაა.
სანთლის ანთებისას იგულისხმება რომ:
მიცვალებულის გ ა ც ი ლ ე ბ ა დღესასწაულს უნდა ჰგავდეს, რამეთუ იგი, ღმერთს მიუახლოვდება!
ჯვარი სიკვდილის სიმბოლოცაა.
ქრისტე ჯვარზე აწამეს!
ჯვარი სიცოცხლის სიმბოლოცაა. ბორბალში ჩასმული ჯვარი მზეს გამოხატავს.
ჯვარი ბედნიერების სიმბოლოა. იგი უფლისა და რწმენის ნიშა-

* * *

ბიჭყატას (რეზო ჭანტურიას) ბებიის დასაფლავებაზე მთელი თბილისის მსუბუქი ყოფაქცევის კოკობზიკა გოგოები იყვნენ. იყო ერთი სიცილ-ტირილი და ლაპალუპით მოთხუპნული თვალწარბნამნამის ფაფხული...

— ესენი ვინ არიან? — ჰკითხა ჩემმა ცოლმა რეზოს.

— ესენი?.. ესენი ჩემი დაიკოები, თბილისელი „გრიალუშკები" არიან, — საოცარი გამჭრიახობით იქვე მოუგონა სახელი ამ უსახელო და ჩვენთვის უცნობ ქალბატონებს ბაჭყომ და ასე ვთქვათ — „რეზოს უარყოფითიდან" — „რეზოს დადებითში" გადმოიყვანა ეს კონტიგენტი თუ „კინტოკენტი"!

* * *

„ვეფხის და მოყმის" ბალადის შემქმნელ ქვეყანაში, „კაი ყმის" დამწერ ქვეყანაში, „ჩაკრულოს", „ურმულის" მომღერალ ქვეყანაში, სიტყვა ულრანი — მუხრანისა არ იყოს „სხვისი შესაშური, მართლა რა გვჭირს, თვარა კი"!.. სხვის ჭკუაზე და სხვის სოროში თუ სოროსში რატომ უნდა ვიაროთ და რატომ უნდა ვძვრებოდეთ?

აგერ ამ წუთას, საპატრიარქოს რადიოთი (ეფეემ-105,4-ით) ჰამლეტ გონაშვილმა საიქიოდან-სააქაოს „დაიგვიანეს" — ძველთაძველი სიმღერა გვიმღერა და მივხვდი, დღემდე რამ გააძლებინა საქართველოს!

„...დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან, მაგრამ სალამურს თუ მოჰკრეს ყური"...

რამდენი ხანია ამ სიმღერისთვის აღარ მოგვიკრავს ყური!..

...„ვინ ქავზულიძე და ვინ მეცხვარე, იქ, ბარში, ყველა ჩემი ტოლები... მტრებში ვეფხვივით დანავარდობენ და მე კი ცხვარში, აქ ვიმალები"... მთებს ძრავდა ეს გამგელებული სიმღერა და ამ სიმღერაზე ვიზრდებოდით მთისა და ბარის ბიჭები.

ახლა კი, ქალი და კაცი ვერ გაგვირჩევია ერთმანეთისგან და არც მთლად ხუმრობაა, როცა დაბადებისას ვიღაცა კითხულობს — ბიჭია თუ გოგოა? და ვიღაცა პასუხობს — გაიზრდება და თვითონ გადაწყვეტსო!

რა მაგის პასუხია და (თუმცა, რატომაც არა!) ოთარ რამიშვილი (კვაჭიჭო) — გიტარის ინდუსტრიის მაგნატი და თბილისელი ვისოცკი, მილიციელის კითხვაზე — სად მუშაობთო? — მთელი სერიოზულობით პასუხობს: სამშობიაროშიო! რაზეო და — მახარობლადო!

ღმერთო საქართველოს ნუ გამოულევ სიხარულსა და სახარებელ შთამომავლობას, კაი მახარობელს და ჭეშმარიტ სახარებისეულ ხარებას!

* * *

**„ჯვარი ვაზისა" N 2. 2006.**

1978 წლის შობის დღესასწაულზე, ოდეს მისი უწმინდესობა ერთ-ერთ თავის პირველ წირვას ატარებდა, სიონის ტაძარში მტრედები შემოფრინდნენ...

---

*მანანა გედევანიშვილი: — ადრე ცოლები ქმრებს ციმბირში მიჰყვებოდნენ, ახლა კი ცოლი ცალკე მიდის დასასვენებლად და ქმარი ცალკე.*

და აი, იმ დროს, როცა უწმინდესმა ერის სადიდებელი ლოცვა წარმოსთქვა... უეცრად, ერთი მათგანი მარჯვენა მხარზე დააფრინდა... ოდნავ, სულ ოდნავ შეხედა მას მისმა უწმინდესობამ... ლოცვა ბოლომდე ჩაათავა და ალსავლის კარებში შებრუნდა, მტრედიც თან შეიყოლია.

...ბევრი რამ... არაქვეცნობიერიც ხდება ამქვეყნად, მაგრამ არის, ალბათ, რაღაც საერთო და ასევე, დიდი იმედიც, ნიშანი იმისა, რომ ელიას მთაზე, წმინდა სამების ტაძარში, პირველივე წირვის ჟამს, ოდეს უწმინდესი გამობრძანდა, უეცრად ისევ მოფრინდა თეთრი მტრედი და იქვე, მის მარჯვენა მხარზე ჩამოჯდა. ესეც... იყო მადლი სულიწმინდისა..."

და იყო,

და არის...

იმედი!

* * *

ფრანსუა რაბლე. „გარგანტუა და პანტაგრუელი": „Честь мне и слава, если про меня говорят, что я хороший товарищ и собутыльник; при такой славе я всегда желанный гость в каждой доброй компании пантагрюелистов...

Итак, забавлайтесь, друзья и веселите себе этим чтением, телу на удовольствие, почкам на пользу. Только слушайте, бездельники, - не забудтье за меня выпить, а уж за мной дела не станет".

P.S. ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო. ჩვენ კი „პანტის" ფასიც ვიცით და პანტაგრუელისტებისაც!

* * *

ერთ თამადას, თავის თამადურ „თეზაურუსში", ერთი სიტყვა („არამედ") იმდენად გამორჩეულად უყვარდა, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე და ენის მობრუნებაზე, ყოვლად უადგილო ადგილზეც, „უპრაგონოდ" ხმარობდა.

— გაუმარჯოს თქვენს სამ... — უთხრა ერთხელ ერთ მასპინძელს და იქვე, გაასწორა, — არამედ... ხუთ შვილსო!

ათასნაირი აკვიატება — ანუ მასავით უცხო სიტყვა რომ ვიხმაროთ — „პერსევერაცია" და სიტყვის გაპრანჭვა არსებობს. აკი გითხარით, ზოგს სერჟანტი სერჟანტესისაგან ვერ გაურჩევია, ყველაფერი უცხო საუცხოო ჰგონია და ხალხში „პოლიტიკური ექსკრემენტი", რომ უნოდო, სანამ სახლში მივა და მეზობლის უცხო სიტყვათა ლექსიკონში ჩაიხედავს, შეიძლება მადლობელიც კი დაგრჩეს.

ნია.

წესის ჯვემისას დასამეგების წმინდა ნინოს ჯვარიც, რადგანაც იგი მზის სხივთა სიმბოლიკითაა შემკული:

თმა, ვაზი, ყურძენი. ღვინო — მზის ნაჟურის — მის ძალას მეწოვენ...

ღვებს ფიზიკური განმორჩების დღეს.

რაც უფრო თავდაჭერილი იქნება ქვევრი, მით უფრო წაადგება მოყვარულ-ბულის სულს.

სასმელი სადა და ორიგინალური უნდა იყოს. ნაკლები დანახარჯებით. სუფრათა, დრო მოვა, სასმელი ზიარად გადაიქცევა (უკეთეს შემთხვევაში).

ადრესატის გადაცემა ცოდვაა!

სული, კოსმოური კანონით, 40 დღის შემდეგ გადადის მარადისობაში.

სული დამოუკიდებელი სუბსტანციაა, რომელიც მომაკვდავის პირიდან ამოდის. მის სისხლს მოჰყვება და დამოუკიდებელ არსებობას განაგრძობს. ის შეიძლება სხვა სხეულშიც ჩასახლდეს.

სულს, როგორც ბუნებრივ ძალას, შეუძლია დედამიწაზე დარჩეს. ან

* * *

XIX ს. საქართველოს ისტორიის ოთარ ჯანელიძისეულ მონოგრაფიაში, მქონდა პატივი, ერთად თავმოყრილი მეხილა კავკასიის რუსი მმართველები და მთავარმართებლები: კნორინგი, ციციანოვი, გუდოვიჩი, ტორმასოვი, პაულიჩი, რტიშევი, ერმოლოვი, პასკევიჩი, როზენი, გოლოვინი, ნეიდჰარტი, ვორონცოვი, მურავიოვი, კორსაკოვი (არა რიმსკი!), შერემეტიევი, გოლიცინი...

კიდევ უფრო ახლოს გავიცანი ზოგიერთი მათგანი ჩემს მონოგრაფია-კრებულში: „სიცილის არქივიდან" (ანუ „რევოლუციამდელი საქართველოს სატირულ-იუმორისტული პერიოდიკის ისტორია 1881-1921 წწ.), სადაც მოყვანილია ერმოლოვის წერილი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მისამართით: კავკასიაში ყაჩაღობის მოსასპობად... ტყეები გავჩეხო?!..

ასევე იგავმიუწვდომელი „იგავ-ნაგავია" სატირალ-იუმორისტული ცნობა იმის შესახებ, თუ XIX საუკუნის დასაწყისში როგორ დახვდა ხაშურში ქართველების დეპუტაცია — ფოთში სპეციალური მატარებლით მიმავალ კავკასიის მთავარმართებელ დუნდუკოვ-კორსაკოვს და თავისი გაჭირვების არზა მიართვა!

ნაქეიფარ და გამოდუნდუკებულ დუნდუკოვ-კორსაკოვს არც წაუკითხია წერილი, ძლივს გამოუყვია გასიევებული თავი ვაგონის ფანჯრიდან და ბაქანზე გამოფენილი ხალხისათვის მთავარმართებლური „სიბრძნით" და სეფე-სიტყვით მიუმართავს:

— ჩემი სიტყვა-სიტყვაა, ბატონებო... და წყალი არ გაუვა!..

მთავარმართებლის სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენ გექნებათ აქ... ნავსადგური.

?!..

თურმე, ფოთში ჰგონებია თავი!!!

დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა და სიტყვის თავისუფლების ნიმუშადაც რჩება 1908 წლის „ნიშადურის" (რედ. ვალერიან გუნია) „მოსწრებული სიტყვა", რომელიც იმპერატორ ნიკოლოზ პირველის მიერ სახელმწიფო სათათბიროს მიმართვას მოჰყვა. კავკასიაზე განაწყენებული მისი უავგუსტოესობა ამბობდა: კავკასია საზარალოა რუსეთისთვისო. იქნებ რაღაც ვიღონოთ, რომ ამ მხარემ რაიმე სარგებლობა მოიტანოსო. „იმპერატორი ცუდ გუნებაზე იყო და სათათბიროს ვერც ერთი წევრი ვერ ბედავდა ხმის ამოღებას. ბოლოს ერთ ღრმადმოხუცებულ და ღრმად პატივცემულ გენერალს ამოუღია ხმა.

— დიდო ხელმწიფევ, ჩემი აზრით, კარგი იქნება, კავკასია იჯარით მიეცეთ სხვა გამოცდილ სახელმწიფოებს... 100 წლით! 33 წლით — გერმანიას (კულტურის შესატანად), 33 წლით — ინგლისს (ვაჭრობის გასაშლელად) და 33 წლით — იტალიას (მუსიკისა და ხელოვნების გასავრცელებლად)...

მეფეს ჭკუაში დაუჯდა მოხუცი გენერლის სიტყვა, მაგრამ კითხვა შეუბრუნა:

---

*რუბრიკა „თეთრი მაგის რჩევები": „როცა მზე ჩავა — ფული არ გაასესხოთ... ფული მიიღეთ მარცხენა ხელით, გაეცით მარჯვენათი — ნუ გაასესხებთ ფულს სამშაბათობით! („ქრონიკა", 11-17.09.06.) თორემ — სამშაბათს გასასესხებელ ფულს უნდა ელოდე შეიდშაფათს - გ.წ.*

— 3x33=99-ს... შენ კი ნეღან 100 ნელი თქვი. ის ერთი ნელი რაღა ვუყოთ კავკასიასო?

— თქვენო უმაღლესობავ! — იმ ბოლო ნელინადს კავკასიაში დანიშნეთ მეფის ნაცვალი, რომელიც ერთ ნელინადში მოსპობს ყველაფერს, რაც 99 ნელინადში გაკეთდება! — უპასუხა გენერალმა".

P.S. ზუსტად საუკუნე გვაშორებს იმ დროს.

სულ საკუთარი შეცდომებით სნავლაში ვართ. არადა, შეცდომა იმას ჰქვია, რასაც იმეორებენ!

* * *

**24.XII.06.**

მე არ ვიცი, რომელ შალვას უმღერა ქართულმა ხმებმა ცნობილი სიმღერა „შალვა, ჩემო სიყვარულო, სიცოცხლეზე მეტად ტკბილოო", მაგრამ ამ კაცის ძებნაში, ორ შალვას მე თვითონ მივეფერე სახალხოდ და ერთი ნუთისოფელში — მეორე კი მარადიულ სოფელში დაველოცე: პირველი — შალვა გიორგაძე — ჩვენი თაობის საყოველთაო „ბაბუ" იყო, რომელსაც ფილარმონიის დიდ დარბაზში გრანდიოზული საღამო მოვეუნყვე, რუბრიკით: „შეხვედრა სიკეთის მკეთებელი კაცისა... სიკეთის დამნახველ ხალხთან", მეორე კი — შალვა დვალი, ქვეყნის თვალი, ჩემპიონი კაცი... გულითაც და მკლავითაც!

სნორედ, ამ უდროოდ ნასული კაცისა და მისი დანატოვარი ოჯახის ჭირისუფლობამ მიმიყვანა შალიკო დვალის მეუღლის — ორმოცზე, მისი ლამაზი სულის ცაში გასაცილებლად, სადაც ველოდი, რომ ცნობილი მოკრივის ქვაში გამცოცხლებელ ჩემი ბავშვობის მეგობარს, მოქანდაკე თემიკო (ჭიყო) ჭყონიასაც ვნახავდი... გული დამნყდა, რომ მისი მეუღლე, ქალბატონი პეპელა, ქუჩაში — მარტო მოფარფატებდა, ხელში კი რაღაც გრაგნილი ეჭირა... თურმე, ეს იყო 2006 ნლის 18 ნოემბერს „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილი ჩვენი ჭიყო, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ ესნრებოდა ამ ჭირის სუფრას და ჩვენი სიყრმის ამ პატარა მოგონებით კი, ასევე მოიჩქაროდა ჩემთან შესახვედრად, რადგან მეც შალიკო დვალის ჭირისუფლებში ვეგულებოდი.

ამ მოგონების თითოეული თემიკოსეული სიტყვა ჩვენი თაობის „ანტიკვარული" სურათის განუმეორებელი შტრიხია და ახალი „პაემანით ვერაზე" მეორე სიცოცხლეს ვინყებ.

„...მე, ჯერჯერობით, თეთრი ყვავილით შემოვრჩი ამ ქვეყანას...

სადღა ნახავ შავი დოგით ნიაზს,
ცოტა მთვრალს და... მაინც თავაზიანს,

ზეცად ამაღლდეს.

სული ხომ მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა!

ძველი ჩინელების რწმენით, ყოველ ადამიანს აქვს... ათამდე სული, რომელთაგან ერთი სხეულშია და მის მოწესრიგებაზე ზრუნავს. მეორე კი სივრცეშია. ეს სულიერი ძალა, სიკვდილის შემდეგ, ერთიანდება და, ან ცაში ამაღლდება, ან მიწაში ჩაყვება სხეულს

ადამიანს ათივე სული თუ აქვს – ჯანმრთელია. თუ ნაკლებსულიერია – სნეულია... უსულოდ ადამიანს სულიც არ უდგას!

რა ბედი ელის ადამიანს გარდაცვალების შემდეგ?

იმქვეყნიური სამყარო. ანუ ქვესკნელი სამი მარადიული თავშესაფრისგან შედგება: ჯოჯოხეთი, სალხინებელი და სამოთხე.

ჯოჯოხეთი კედლებსა და ღუმელს შორის არსებული სივრცეა. იქ მიცვალებულთა სულები უსასრულო ტანჯვას განიცდიან.

თურმე...

ჯოჯოხეთში მოხვედრილ სულებს უფლება აქვთ. განი-

ან ბოჰემურ გურამ ასათიანს,
სულით პოეტს, ამაყსა და მზიანს...

ჩემი მეგობრის, ცნობილი კინორეჟისორის, გუგული მგელაძის მიერ ჩემთვის გამოგზავნილი, პატარა და საოცარი ლექსების კრებულიდან ეპიგრამად გამოყენებულმა ამ სტროფებმა ყრმობის პერიოდის ულამაზესი და დაუვიწყარი დღეები გამახსენა.

...ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი სამეული ჩავედით ულამაზეს და ერთ ნამცეცა მყუდრო კურორტზე — „მწვანე კონცხზე". ვიქირავეთ მაღალ კორტოხზე ნამოჭიმული კოხტა აივნიანი ოთახი, საიდანაც ზღვა, თითქმის, სტამბულამდე ჩანდა.

პლაჟი და პლაჟის მზეთუნახავი გოგონების გულები იმთავითვე დაიპყრო გურამ ასათიანმა, — ჰერმესივით პროპორციულმა და თმახუჭუჭა ლამაზმა ჭაბუკმა, პლაჟის წინ მდებარე სასაუზმე კი — ნიაზ დიასამიძემ, რომელიც ერთ ბოთლ ღვინოს დაიდგამდა და მთელი დღე შეეძლო ერთ ბუტერბროდზე ყოფილიყო. ჰოი, რა ზუსტად იხსენებს ჩემი გიზო, გიზო ნიშნიანიძე, ნიაზის ტრაპეზს: „ჩიტივით ჭამდა და ჩიტივით სვამდა, მგონი ჩიტი იყო თვითონაც".

ნიაზის კომპლიმენტი ყოველთვის საქორწილო ბეჭედივით იყო მორგებული. ნიაზის ნიაზით გახარებული გოგონების სიცილ-კისკისი ძალუმად გაისმოდა პლაჟზე.

მე კი ჩავრბოდი უფასო ნატურებით გადაჭედილ პლაჟზე — ჩანახატების გასაკეთებლად, რადგან საზაფხულო პრაქტიკის დავალება ჩასაბარებელი მქონდა. ხანდახან სასაუზმეში მარტოდ დარჩენილი ნიაზი ზემოდან გადმომძახებდა: „ჭიყო-ჯან, ამოდი, რა! გეყოფა ხატვა, რაც დასახატი იყო, უკვე დიდი ხანია დახატა მიქელანჯელომ". მეც ხათრს არ ვუტეხდი, მივუჯდებოდი გვერდით, მაგრამ ღვინის მაგივრად უგემურად ვწრუპავდი უშაქრო და უგაზო, მზეზე გამთბარ ლიმონათს, რადგან იმ დროს ჩემს მოგვარსახელეს, თავისი „კოკა-კოლათი" საქართველო ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაპყრობილი.

ბათუმისკენ მიმავალ ავტობუსში ნიაზმა სიცილით მიამბო, სადგურის მკერდსავსე და ცხვირპაჭუა ქერა მოლარეს ფული გადავაწოდე და თბილისამდე ვთხოვე ბილეთიო. მითხრა „დენგი ნე ხვატაიტო", მე ვუპასუხე: „სანამდე ხვატიტ, მანამდე დაიტე-მეთქი". ჰოდა, მოლარემ მომცა ბილეთი ხაშურამდე. ახლა კი მაგ ბილეთით არხეინად მირიხინობს ჩვენი გურამ ასათიანიო.

ნოდარ დუმბაძესთან საუბარში გურამმა სიცილით გაიხსენა, როგორ დაისვენა ზღვაზე ჩემთან და ნიაზთან ერთად, რასაც ხარხარი მოჰყვა. ცოტა ხანში გიგლამ (ფირცხალავამ) გადააწოდა ნოდარს ნახატი. ეს იყო მეგობრული შარჟი „ნიაზი ზღვაზე". ნიაზი დახატული იყო თავისი ცნობილი ვიწრო შარვლით და ძალზე ნვეტიანი მოკასინებით. შარვალს ზემოდან ეცვა „კუპალნიკი" და გაკეთებული ჰქონდა „ბიუსჰალტერი", ცალ ხელში ეჭირა „სპასატელნი კრუგი", მეორე ხელში — ღვინის ბოთლი (ნეტავ, სად არის დღეს ის ნახატი?).

P.S. ასე ნაჭერ-ნაჭერ ვაკერებთ ერთმანეთს ძველ ამბებს და ვაკონინებთ ჩვენს წარსულს. ნეტაი იმ დროს!

---

*ცნობილი ბიზნესმენი თეიმურაზ ჭყონია: ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ძილისთვის ვერ წაურთმევია თავი, ცხოვრებაც სიზმარი ჰგონია.*

სულ მინდა ვკითხო სიტყვის ოსტატ და ქანდაკების დიდოსტატ პროფესორ თემო ჭყონიას, რომელმაც თავისი მეგობრები ქვაში დაასახლა:

1. რა უფრო ძნელი დასამორჩილებელია — ქვა თუ სიტყვა?

2. რა ჯდება გამოცემა მისი 100 თუ ორასგვერდიანი მოგონებათა წიგნისა, რომელიც უამრავ სიამოვნებას გვპირდება და იცის თუ არა ეს პროფესორ თეიმურაზ ჭყონიას მესახელე და მეგვარე — ბიზნესმენმა თეიმურაზ ჭყონიამ?

* * *

თვალსა და ხელს შუა იცვლება დრო, იცვლებიან ადამიანები და თვალსა და ხელს შუა — ანუ კალამსა და ქაღალდს შუა იცვლება გუნება, განწყობა, სიტყვა-პასუხი, ქება-გინება... ასეთია მისი ურთულესობა — ცხოვრება!

მოდის ახალი წელი — მიდის ძველი. იმას მოაქვს — ამას მიაქვს... ამას რაც მიაქვს — იმასაც ის მოაქვს — იმედი!.. და კაცსაც მეტი რა უნდა — კაცი იმედით ცოცხლობს!

რაც გაკეთდა — იმასაც დანახვა უნდა და რაც გასაკეთებელია — იმასაც!

„რა გითხრათ, რით გაგახაროთო?".. წერდა ილია მართალი თავის დროს. ყველამ თავის დროს უნდა მოუაროს, ყველა თავის დროზე აგებს პასუხს!

რაც გაკეთდა, სახეზეა — კაცი ხედავს და თვალს უხარია, რაც გასაკეთებელია... იმ ჭირისუფლური „სუფრულისა" არ იყოს — ჩვენ კი ემალავთ, მაგრამ ჩვენი სატკივარი არა მალავს!

მოდის ტახის, ღორის წელიწადი და ამ წელიწადს რა გააძლებს?

ღორის თემასთან დაკავშირებით ერთი ქარაგმული ნაკვესი, სადღაც ამ წიგნში მეც „ჩავამუჟუჟე":

**შვილებს გოჭებივით ვზრდით და მერე გვიკვირს, ღორები რატომ გამოვიდნენო?..**

აქვე ერთი საახალწლო ანეკდოტი ჩემმა უმცროსმა შვილმა, ზაზამაც წამომაშველა: თურმე ბაზრის გოჭები საახალწლოდ ყავაზე მარჩიელობენ.

— ახალ წელს მხიარულებაში შეხვდები, კაი სუფრაზე, კაი პურ-მარილზე, კაი ხალხში... სახეგაბადრული არჩევს გოჭის ბედ-იღბალს მარჩიელი და უცბად სახე ეღუშება... მაგრამ ეს წითელი ბოლოკი რაა, პირში რომ გაქვს გაჩხერილი?

მისდა საუბედუროდ და ჩვენდა საბედნიეროდ, პირში წითელბოლოკგაჩხერილი ღრუტუნა, არც

*წმინდონ, მოინანიონ მეყოდებანი და სალხინობელში გადასახლდნენ.*

*ჯოჯოხეთი, ეკლისა და სარწმუნოების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის ცოდვილთა სულების საწამებელი, ასე ვთქვათ, ადგილია, ე.წ. „სასჯელაღსრულების" ადგილია.*

*მიცვალებულთა სულების პირველი გამოცდა ბეწვის ხიდის გადავლაა! ხიდის ქვეშ მდუღარე კუპრის მდინარე მიედინება. უცოდველი ხიდს გადაივლის და სალხინობელში მოხვდება.*

*სალხინობელი შუალედური სამყოფელია. აქ მონიური ცოდვებისგან უნდა განთავისუფლდეს მიცვალებული.*

*სალხინობელში ყოფნის ვადის შემოკლება ჭირისუფლებზეა დამოკიდებული. მათი სათნო ცხოვრება, ლოცვა, მსხვერპლის შეწირვა, ხსოვნა, დიდად ეხმარება ცოდვებისგან განწმენდას.*

*სამოთხე ედემია, ნეტართა, განწმენდილთა, უცოდველთა სიკვდილის შემდგომი მარადიული საუფლოა.*

*და ბოლოს, თვითმკვლელობა!*

*ქრისტიანული*

მეტი არც ნაკლები — საახალწლო გოჭია. გაამოთ, ხალხო! ოღონდ, ერთმანეთს ნუ ვჭამთ, კაცო! ალბათ, ქალაქის მესვეურებმა ამიტომაც მოიგონეს ეს „გარგანტუა-პანტაგრუელიზმი თუ ლუარსაბ თათქარიძიზმი" და, საკალანდოდ და თავშესაქცევად, 190 ინდაურისგან 2 ტონა საცივი იხარშება — თაეის 2 ტონა ღომით, რასთან დაკავშირებითაც, არ შეიძლება, ხმალიეით არ იშიშვლო „ტიატიას" (ტარიელ ჭანტურიას) ფუნაგორია:

ჩვენ არ გვინდა ციეი ომი და არც ცხელი ომი,
ციეი გვინდა – საციეი და ცხელი გვინდა – ღომი!
აბა, როგორ!

ჰოდა, თუ გინდათ, აგერაა ბატონო — მიირთვით, ღმერთმა შეგარგოთ! ოღონდ, კიდევ ვიმეორებ — ნუ ვჭამთ ერთმანეთს, თანაც კანიბალების ტომის ბელადის ანეკდოტივით — „ჭიჭიკია... აჯიკით!"

თანაც, მარტო საცივი კი არა!

„რაც გინახავს, ველარ ნახავთ" ხომ გინახავთ. კოხტაია რომ ეკოხტავება ქალობაში ახალფეხშედგმულ სოფიკოს:

ხაჭაპური ხოჩიშ თუ გოზინაყი ხოჩიშ?

ამაზე დიდი ხაჭაპური და ამაზე გრძელი გოზინაყი ახალწლების ისტორიას არ ახსოვს! ამას, კაი თვალით თუ შევხედავთ, გინესის წიგნში მოვხვდებით, აეი თვალით თუ შევხედავთ — გინების წიგნში! აფსუს, კომუნისტების დროს ყველა ორგანიზაციას თავისი „საჩივრის წიგნი" ჰქონდა, ზოგს ორიც: ერთი — ქებისთვის, მეორე — გინებისთვის და ამ უკანასკნელს — „სუფთად" ინახავდა, ვინმემ რამე არ ჩამიჩხაპნოსო... ჩემი ფელეტონისტობის დროს (რაზედაც, გულზე ხელი რომ დავიდო, ხელი ამაღებინა ერთი თანამოკალმის მიერ დაწერილი მამხილებელი წერილის ადრესატის სიკვდილმა და, საერთოდ, ასეთი ფატალური შედეგის, ასეთი მსხვერპლის შესაძლებლობამ) მრავალ საჩივრის წიგნიანი მაღაზიის დირექტორს ასეთი შეკითხვა დავუსვი და ასეთი პასუხი მივიღე:

თუ ძმა ხარ, გამაგებინე რად გინდა ამდენი საჩივრის წიგნი-მეთქი?

რა ძმაც ხარ, კი ვიცი, მაგრამ მაინც გეტყვიო და იმ დროის ტრანსპარანტული ენით მიპასუხა:

მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადო!

მახლას!

რაც იყო იყო, რაც არი — არი!
ზოგს სიძე მოსწონს —
ზოგს კიდე რძალი;
ზოგს დედამთილი —
ზოგს კი მძახალი;
ზოგს ძველი მოსწონს —
ზოგსაც ახალი...

...ვისთვისა და როდის — ვის და რა გამოსდის?.. რა მიდის — რა მოდის... მზე ჩადის — კაცი კი ბერდება — ბინდდება, ბნელდება... ლოცვა და ვედრება... ალმურად გვედება... და „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!" — სიცოცხლე გრძელდება!

---

*ენა უძვლოა და რას არ იტყვის!..*

*თუ უსიკვდილოდ უნდა ეთქვათ: ადრე, ერთმანეთს, მამაცხონებულებს ვეძახდით. ახლა ბევრი უკვე ცხონებულად იქცა. ჩქარა ჩვენი შვილები იქცევიან მამაცხონებულებად და ისიც მაშინ, თუ მამა უცხონდათ!*

ძველ და ახალ წელს გაუმარ...ჯოს! ენახოთ რომე-ლი — რომელს აჯობებს.

„ზამთრის ყინვა არ მაშინებს"... დღესაც, ამ ენ-ერგოკრიზისშიც, იმედიანად გაისმის მაშინდელი ავლა-დავლაბრული სიმღერა, რომელიც ყველაზე დიდ სითბურ ენერგიას — სიყვარულს უმღეროდა!

* * *

თუ გინდა წერო სხვისთვის... წერე შენთვის!

ჰოდა, ვწერ ჩემთვის, რომ ვწერო შენთვის, მკითხველო, რომ შენთან ერთად ვიკითხო ის, რაც გუშინდელი დღესავით მახსოვს და მენატრება.

ჩვენი თაობის „პანოპტიკუმში" ერთი იშვიათი ეგ-ზემპლარი იყო — გოგოლის ქუჩელი ენვერ ქელბა-ქიანი!

გოგოლის პერსონაჟებიდან ყველაზე უფრო ხლესტაკოვს ჰგავდა, თუმცა, ოფიციალური არტის-ტი იყო და „უდანაშაულო დამნაშავეში" შმაგას თამა-შობდა. მანამ კი, მოზარდ მაყურებელთა თეატრში, რაღაც ზოომორფულ როლებშიც უნახავთ და ყვავი-ჩხიკვის ბიძაც უთამაშია.

ერთხელ, ვიღაც ქალბატონმა (თითქოს ტყუილზე ნაასწრო), მოზარდში ბავშვი ხშირად დამყავს, მა-გრამ თქვენ არ მინახიხართო...

— რას მნახავდით, ქალბატონო, სულ ციყვებსა თუ კურდღლებს ვთამაშობ და ჩირგვებში ვზივარო...

არადა, დაბადებით ათასსახიანი კაცი — დაბადებ-ითვე არტისტი იყო, თან სპორტსმენი, ოფიციალური მოკრივე და ქუჩის ჩხუბშიც... კაი „მომლხენი"... სულ ფათერაკს ეძებდა!.. ჩვენს ცხოვრებაში კი ფათერ-აკს რა გამოლევდა!

რაც ჰქონდა — სახლიდან გაჰქონდა.

დროს, საფლანგავად, ყოველთვის შოულობდა.

რედაქციაში შტატგარეშე კორესპონდენტობა დავაწყებინე. სადღაც ძველი მოტოციკლეტი გაჩი-თა, ზედ დაამაგრა წარწერა — „Пресса!" და დაგრი-ალებდა ალმა-დალმა. თვითონაც მოტოციკლეტივით იყო — ერთი კაცი დაჰყავდა და ათისას ხმაურობდა!.. გული კი ნაღდად ბაჯაღლოსი ჰქონდა — სულ სან-ყლის მხარეზე იყო და როგორც კი რაიმე ჩხუბს მოკრავდა თვალს... ეხებოდა მას თუ არ ეხებოდა შუაგულში ამოყოფდა თავს! და თუ მაინც ვერ „გამოკრავდა ხელს" ფათერაკს, იქეთ შეუტევდა და შარზე იყო: შენ მე დედას მაგინებ?.. მე — შენი!.. და მიაფენდ-მოაფენდა იქაურობას?!

ნეტა ვინ არი ეს კაცი და რა უნდა ჩვენგანო? — კითხულობდნენ მერე სხვის ჩხუბში გალახული ცხ-ვირპირდამტვრეული ხალხი?!

რელიგია უარყოფს თვითმკვლელობას.

კაცმა რომ თქ-ვას, მართალია ლა-ფონტენი:

თუმცა, თავდება ამით წვალება,

სიკვდილს სჯო-ბია მაინც წამება.

დიდი შოთა რუ-სთაველი კი მოგვა-გონებს:

„სიკვდილისადმის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?

რას, მისჭირდ-ეს, მაშინ უნდა გო-ნებანი გონიერსა!"

...თუ შენი თავი გახლავს, მაშინ მარ-ცხი არა ხარ.

ობლად ჩათვალე თავი, როცა ხელით დაობლდე...

განკითხვის ჟამი დაგიდგება, როს გა-ღმა გახვალ.

შენმა სიკეთემ მიგაცილოს სასაფ-ლაომდე!

იცით თუ არა, რომ...

...ქალები დღე-ღამეში, საშუალოდ, წ ა რ მ ო თ ქ ვ ა მ ე ნ 7.000 სიტყვას, ხო-ლო მამაკაცები მხ-ოლოდ 2.000-ს.

ფიდელ კასტროს მოკვლა 637-ჯერ უც-დიათ.

ადამიანი დღეში 11500-ჯერ ახამხამ-ებს წამწამებს. (თვალის ხამხამის

ბევრჯერ გადამირჩენია მილიცია-პროკურატურიდან და აი, ერთხელ კიდევ მომადგა — მიშველეო!

...„კომუნისტის" გამომცემლობის წინ, ვერაზე, ერთი სახინკლე-საქაბაბე გახსნეს, სადაც ერთი ნაძირალა მებუფეტე ვირთხასავით ხრავდა ქესატი მუშტრების ტვინსა და ჯიბეებს. ყველას მისი გალახვა გეინდოდა და ვერავინ გარისკა, რადგან ინტრიგანების ერთი იყო, რაღაც ღვთის პირიდან გავარდნილი... ბოლობოლო, „მომხმარებლების გაზრდილი მოთხოვნილება" ისევ ენვერ ქელბაქიანმა დააკმაყოფილა და ისე ჟეჟა ეს კაცი, რომ ვერცერთმა მომხმარებელმა ვერ იცნო! ხულიგნობის ფაქტზე აღიძრა საქმე და ძებნაში მყოფმა ხულიგანმა მომძებნა მე. მერე კი ყველაფერი „რწყილი და ჭიანჭველას" ცნობილი ზღაპრის რეალობით ნარიმართა: „ავხტი-დავხტი და მივედი დაზარალებულთან — ანუ ღორთან! შენ რომ ჩემთვის რკო არ მოგიტანიაო!.. ავხტი-დავხტი და მივედი მუხასთან — ანუ მილიციის უფროს დათო თევზაძესთან (ჩემი სტუდენტობის ამხანაგთან). „შენ რომ ჩემთვისო", გაახურა იმანაც და ბოლოს მითხრა — ამ კაცზე, რომელიმე დანესებულებიდან, რაიმე შუამდგომლობა ან კარგი დახასიათება მაინც მოიტანეთ, რომ საქმე დავხუროთ, თორემ დაზარალებული ისეთი ოხერი კაცი ჩანს, „სპასობნია", კარის მეზობელს უჩიელოს — შენი კატა — რატომ ჭამს ჩემს თაგვებსო და ვის-რას შეარჩენს!

— მილიციაში-მილიციიდან რომ მოვიტანო შუამდგომლობა, შეიძლებაო? — იკითხა ხულიგნობაში, ჯერჯერობით... ექვემიტანილმა.

მაგას რა აჯობებსო, — დაუდასტურა სამართალდამცველი ორგანოს ნარმომადგენელმა.

ჰოდა, თუ რა აჯობებსო... გაფრინდა ენვერ ქელბაქიანი ხაშურში და ჩამოაფრინა ხაშურის რაიმილიციის ცხრაბეჭედდასმული უსტარი, რომელიც იტყობინებოდა, რომ...

კითხულობდა თბილისის რაიმილიციის უფროსი, დავით თევზაძე ხაშურის მილიციის ცნობას, თვალები შუბლზე ასდიოდა და ზოგჯერ სათვალის ზემოდან კითხვის ნიშანივით გადმოგვხედავდა...

იმის ეშმაკი გამხადა ახლა, ის ვიცოდე, რა ნერია ასეთი იმ მილიციის საბუთში, ასე რომ „შეიცხადა" ამ მილიციის უფროსმა — გავიფიქრე გუნებაში და კითხვამაც არ დააყოვნა:

— ბატონო გიზო, — ცოტა არ იყოს გაკვირვებით შემომხედა ნერილის ადრესატმა, — თქვენ იცით, რა ნერია ამ ნერილში?..

— ?!

აქ ნერია, რომ თქვენი პროტეჟე, ანუ სამართალში მიცემული ვინმე ენვერ ქელბაქიანი, საბოლოო ჯამში, არის გამოუსნორებელი ხულიგანი და სისხლის სამართლის დამნაშავე!.. და მან საჯაროდ ნაიკითხა მილიციის მიერ კარგ დახასიათებად გაცემული „ცუდი დახასიათება"!

აი, ისიც!

„ცნობა ეძლევა მოქალაქე ენვერ ქელბაქიანს, რომ მან უანგარო სამსახური გაუნია ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლებს, რომლებიც სპეკულაციის ნინააღმდეგ ატარებდნენ მილიციის რეიდს დაბა სურამში. ქორვაჭრების მიერ გაჩაღებული დებოშის დროს, გზად დასავლეთისკენ დასასვენებლად მიმავალი მოქალაქე, საკუთარი სურვილითა და ინიციატივით, ჩაება ჩხუბში, კუდით ქვა ასროლინა მთე-

---

*გოეთე: მე პატივს ვცემ რიტმსაც და რითმასაც... მაგრამ ჭეშმარიტების შემქმნელი ის არის, რაც რჩება ლექსისგან, როცა იგი პროზაზე გადაჰყავთ. („პოეზია და სიმართლე").*

ლი დაბის მოსახლეობას და ცხვირ-პირი დაუმტვრია მათ, ვინც სპეკულიანტებს გამოესარჩლა. მოხალისე სამართალდამცველმა დაიცვა საზ. წესრიგის დამცველები და მილიციის მუშაკები არ შეატოვა გამძვინვარებულ ქორვაჭრებს.

რაზედაც, დიდ მადლობას ვუცხადებთ მამაც მოქალაქე ენვერ ქელბაქიანს" (და ა. შ.).

— ჩხუბი, ჩხუბს გააჩნია, — მთავარია ვისთან და რზე ჩხუბობ!.. — არ გავიტეხე იხტიბარი მე.

ჰოდა, ამ საბუთმაც და დასაბუთებამაც გაჭრა!

ეს იყო და ეს!

* * *

„Молодым везде у нас дорога,
Старикам везде у нас почет"...

ერთი უბრალო რუსული სიმღერაც კი ხვდება ამას და ბუბას პირით საქვეყნოდ მღერის: „Мои года – мое богатство"-ო! ჩვენში კი ამას ორი გროშის პატივი აქვს (პენსიის სახით) და იმასაც გვიგვიანებენ.

არადა, ქართული ენის მადლში უფროს-უმცროსობის წესრიგიც დევს და მამაშვილური „ასპარეზობის" ფინალიც თვალსაჩინოა:

სიჭაბუკე დიდი ანგარიშით აგებს სიბერესთან — ის ყველაფერს კარგავს და ეს... არაფერს, რადგან დასაკარგიც არაფერი აქვს!

* * *

ჩვენებური ზამთრის სურათი!

„გარეთ ცივა, ქრის ქარი, მთვარე ვახშმობს მუხებში"... ეს სანდრო შანშიაშვილის ზამთრის თეთრი სუდარაა...

ჩემი ძმაკაცები — ძმები პატარაიები ლოგინში ძვრებიან, რომ საკუთარი სითბო გათენებამდე ეყოთ.

აქვე, ერთი ომისდროინდელი ანეკდოტივით ამბავი და ხაბარი! (თუმცა, ვინ იცის — ანეკდოტია?).

კაცს დონორობას სთხოვენ — სისხლი ჩაგვაბარეო!.

სად მაქვს ჩასაბარებელი სისხლი — ნეტა, სახლში მისვლამდე მეყოსო, — ამბობს სისხლგამშრალი.

...მოვუბრუნდეთ პატარაიებს.

ბადრი საბნიდან ყოფს ხელს, მაგიდაზე უთავებოლოდ დაყრილ წიგნებში ურევს, ხელში ბედზე მოხვედრილს შლის და შესავალიდანვე კითხულობს:

სტენდალის „წითელი და შავი": „...სტენდალის „წითელი და შავი"... იმეორებს კაჭკაჭივით წინასიტყვაობას!

100 წლის ლისა ბებიას ცრემლები მოსდის.

დამთვლელ კომისი-ას თუ დაეჯერება!).

ავსტრალიელმა მედიკოსებმა აღმოაჩინეს გენი, რომლის „დახმარებითაც" ცხვირის ჩიჩქნა მემკვიდრეობით გადაეცემა...

კუზი (იქამც იყოს!) სიცოცხლემდე გამოგადგებათ!

მასაჩუსეტსის მეწარმეებმა ახალი ტიპის კუზები გამოუშვეს, რომლებიც, თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებამდე, ოჯახში, მაგიდად, საწოლად, წიგნების და ფეხსაცმელების კარადად და ბარად გამოიყენება.

„ალია" (2000).

ფაცაცია ფოფოკაძე სახალხო-პატრიოტული კავშირის ერთ-ერთი ლიდერი:

კოსმოსში გავფრენა მინდა. იქნებ, წესიერი – ხალხი სხვა გალაქტიკაში მაინც ვნახო.

„ალია" (2000).

**P.S.** 2007 წლის მინაწერი: პატიოსან კაცს ეძებდა პატიოსანი კაცი და წავიდა იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. გაანათლოს

— რა გატირებს, ბებია, — ეკითხება მეორე საბანში შემძვრალი ზალიკო.

— ეჰ... რა კარგი იყო, შვილო, წითელი იკრა და შავი პური! — ახსენდება საუკუნეს გადაცილებულ ქალს სტენდალის „წითელის და შავის" ხსენებაზე!

* * *

კომედიის მამა — არისტოფანე მახვილი სიტყვით ჯვარს აცვამდა მდიდრებს, ოლიგარქებს, რომლებიც თავის ჰეტერიებში ასეთ ფიცს სდებდნენ დემოკრატიის წინააღმდეგ: „მე ვიქნები ხალხის მტერი და მივაგებ მას ყოველგვარ ბოროტებას" (არისტოტელე, „პოეტიკა").

ესქილეს აზრით (რომელიც გამოხატავდა არისტოფანეს აზრსაც), არ შეიძლება საზოგადოებრივი წყლულების სააშკარაოზე გამოტანა.

არისტოფანე, ასევე, განაქიქებდა დითირამბულ პოეზიასაც.

* * *

მიხეილ ლერმონტოვი, „ჩვენი დროის გმირი".

შესავალი: „Довольно людей кормить сластями; униx от этого испортился желудок. Нужны горкие лекарства, едкие истины. Но не думайте, однако, после этого, чтоб автор этой кники имел когда-нибудь гордую мечту сделаться исправителем людских пороков. Боже его избавь от такого невежества! Ему просто было весело рисовать современного человека, каким он его понимает и к его, несчастью слишком часто встречал... Болезни указаны и как его излечить – это уж бог знает".

ლერმონტოვს მთლად ჩვენ კაცად ჩავთვლიდით — „Бежали робкие грузины" რომ არ ეთქვა პოემა „მწირში".

ასეთი შემთხვევაც მახსოვს! აგერ ახლა, ერთმა ბიძამ ცოლი კინაღამ გააგდო სახლიდან, როცა კედელზე დაკიდებული ლერმონტოვის სურათი უნახა ოთახში!

უცხო კაცს რა უნდა ჩვენს ოჯახშიო?

* * *

ჟურნალისტთა კავშირში, ჩემთან შეხვედრის დროს, ეს შესავალი სიტყვა თქვა კავშირის მდივანმა აკაკი სიხარულიძემ.

პატივცემულო კოლეგებო!

დღეს, ჩვენ, ჟურნალისტთა სახლში, გვაქვს „პაემანი გიზო ნიშნიანიძესთან", ანუ თაობათა დიალოგი!

„ცისარტყელებმა მოხაზეს რკალი — სამოთხის კარის, ნიშნად დარისა... „ვარდის ფურცლობის ნიშანი არის და დრო ახალი პაემანისა", როგორც გვაუწყებს მისი „პაემანი ვერაზე"!

პაემანზე ყვავილებით იციან მისვლა... მაგრამ, ვფიქრობთ, დღეს ყვავილზე უფრო ძვირფასიც კია ის სიურპრიზი, რომელიც ქართული ენციკლოპედიის მთავარმა რედაქტორმა, ბატონმა ავთანდილ საყვარელიძემ გადმოგვცა ბატონ გიზო ნიშნიანიძისთვის მისართმევად — ჯერ კიდევ, შრიფტშეუმშრალი და წიგნის ბაზარზე ფეხშეუდგამი ძვირფასი წიგნი-ენციკლოპედია „თბილისი", რომელიც წიგნთა სამშვიდობოს გასულთა — ანუ სახელოვან მამულიშვილთა შორის... 713-ე გვერდზე, ენციკლოპედიური სიტყვაძუნწობითა და სიზუსტით გვიხატავს ჩვენი

უფროსი კოლეგის შემოქმედებით პორტრეტს!

ნება მომეცით, ადრესატსაც და თქვენც პირველად გაგაცნოთ „თბილისის" ენციკლოპედიური აზრი გიზო ნიშნიანიძეზე!

აი, როგორ ჩაეტია იგი 23 სტრიქონში.

„ნიშნიანიძე გაიოზ (გიზო) დომენტის ძე (დ. 1928), მწერალი, ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (2001). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1950). სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ-გაზეთების — „ახალგაზრდა კომუნისტის", „თბილისის", „კომუნისტის", „ნიანგის" რედაქციებში, საქტელერადიო კომიტეტში; ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტ-ში. ბეჭდავდა ფელეტონებს, ნარკვევებს, რეპორტაჟებს, ნ-ს ეკუთვნის წიგნები: „სიცილის არქივიდან" (რევოლუციამდელი საქართველოს სატირულ-იუმორისტული პრესის ისტორია. 1881-1921), „საქართველოს პრესა და რადიომაუწყებლობა დიდ სამამულო ომში", „გენერალი სიტყვა და ყოჩალი ჯარისკაცი... სიცილი", სატირულ-იუმორისტული მოთხრობების კრებული „სიცილ-სიცილში", კრებული „დავით სარაჯიშვილი", ავტობიოგრაფიული მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი „გიზო ნიშნიანიძე" და სხვა. თბილისს, მის ერთ-ერთ კოლორიტულ უბანს, ეძღვნება პოემა „პაემანი ვერაზე". მასში ნაჩვენებია თბილისური ხასიათები, იგი პოეტურ სახეებში წარმოდგენილი თბილისის ისტორიული ფსიქოლოგიაა. პოემის მხატვრული კომპოზიცია დაიდგა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, გამოვიდა ორ გიგანტ-ფირფიტად. ნ. 1998 წლიდან ასოციაცია „დავით სარაჯიშვილი და საზოგადოების" ვიცე-პრეზიდენტია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა" და... რასაც ენციკლოპედიამ ვერ „მიუსწრო", ამ ინფორმაციის გამომმზეურებელმა შეავსო: ვახტანგ გორგასლის ორდენით, მედლით, „კავკასიის დაცვისათვის" (14 წლის ასაკში მიიღო — 1942 წელს), თსუ ივანე ჯავახიშვილისა და დავით სარაჯიშვილის ლაურეატის მედლებით, თბილისის საპატიო მოქალაქის დიპლომით...

P.S. სანეკროლოგოდ ცოტა როდია! თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ „ტრაბახი" ესპანურად „შრომას" ნიშნავს და თან გავითვალისწინებთ ჩვენს ქართულ-ესპანურ ნათესაობას, გამოდის, გვარიანად გვიტრაბახ-გვიშრომია!

ალალი იყოს ალალი სიტყვა სიკეთის მკეთებელზეც და დამნახველზეც!

❖❖❖

*მიხეილ სააკაშვილი*, საპარლამენტო ფრაქციის „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე:

მე. ბებერი რეფორმატორი მგელი ვარ...

„დილის გაზეთი" (2000).

*ევგენი ჯუღაშვილი* (სტალინის შვილიშვილი):

რატომ გვჯერა, რომ ოთხ წლიწადში ავყვავდებით, როცა 8 წლიწადია, არაფერი გაუკეთებიათ?

„სარკე" (2000).

*შალვა ნათელაშვილი* (ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე):

თუ ასე გაგრძელდა, ამ ხელისუფლებას სტრასბურგი, შესაძლოა, ნიურნბერგადაც გადაექცეს...

„მერიდიანი 44" (2000).

*გიორგი გაჩეჩილაძე*, ეროვნული თანხმობის დარბაზის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი:

* * *

— დედა უფრო გიყვარს თუ მამა? — ჯერ უცოდველ „კრავს" რომ ეკითხებიან, ესაა „ამ ცარცის წრის" პირველი ცოდვა, რომელშიც „მშობლიური ინკვიზიცია" მძეინვარებს.

მეორე კითხვა (თუ ცოდვის განკითხვა) ასეთია:

— შვილი უფრო გიყვარს თუ შვილიშვილი?

ამ კითხვის ერთ პასუხზე უკვე იზრუნა თვითონ დედაენამ: შვილს — შვილი ჰქვია და შვილიშვილს — ორჯერ შვილი!

ჰოდა, ვართ დღემდე სიყვარულის ამ „პრივატიზაციაში"!

* * *

სიბერით სიკვდილს ვძლევ კლდე-ღრესავით,
ქიცი, წყალს ვეღარ მოიტანს კოკა...
დანის მლესავი, კალმის მლესავი
დღე-ღამესავით...
დრო მკლავს და დროს ვკლავ!

* * *

მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა მე და თაზო ბუაჩიძეს (მაშინ, ჩემსავით ჟურნალისტსა და მერე ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორს), მოსკოვში სწავლის დროს, ლენინგრადში (პეტერბურგში) მოგვიწია მივლინებაში ნასვლა და ერთ ისეთ ოჯახში ღამის თევა, სადაც, თურმე, ბლოკადის დროს, ლოთი სიძე... შეუჭამიათ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით... რისი გაგებითაც, მოსვენება დაგვეკარგა და მორიგეობით ვუთევდით ღამეს ერთმანეთს.

ან რა დაგვაძინებდა ამ სიტუაციაში. შიშს, ხომ იცით, რამხელა თვალები აქვს და სანამ ახალ ბინას ვიქირავებდით, თვალი არ მოგვიხუჭავს.

* * *

არც მონა, არცა მონათმფლობელი —
აი, ვინ არის თავისუფალი!
ასე თვლის ყველა ჭკუათმყოფელი —
„თავისუფალში" არის „უფალი" —
უზენაესი ის ერთადერთი:
ღმერთივით სიტყვა და სიტყვა-ღმერთი!

* * *

ყვავილების ქვეყანას... ყვავილებად ჰყიდიან,
ცალ-ცალკე და ერთადა, კონა — ათი შაური!
ლურჯთვალება იას კი, სიტურფისთვის რომ წყვეტენ,
სილამაზის გარდა სხვა
არ აქვს დანაშაული.

* * *

ცალი თვალით ვტირი და ცალი თვალით ვხარხარებ,
საჩურჩულოს ვყვირი და მე ჩემ ჭიას ვახარებ.
დრო კი გარბის გიჟივით, ამ ქიცმაცურ-ქიციში...
სიცილივით ტირილს და ტირილივით სიცილში.

* * *

ოფლითა და ცრემლებით — ვიკლავ კაცურ
წყურვილებს —
სიბერეს არ ვნებდები — შრომა გავისურვილე!

* * *

ღმერთმა ქუდი დამხურა,
ღმერთს ვუგალობ ოსანას,
სიტყვა-ღმერთის მსახურად —
ღმერთმა გამამგოსანა!

* * *

ცხოვრება ზღვაცაა —
...„შეხედე რა ცაა"— გავფრინდე საცაა"
დროის საცერით ფიქრი გავცერი...
წარსულს გავცქერი!

**მაქვს მკერდს მიდგმული!..**

გელათია თუ სამება,
ტაძარია თუ ვარძია...
თვალ-მარგალიტი ურიცხვი —
ეს საქართველოს განძია!

* * *

თავო ჩემო —
შენი თავი იცან!
ნეტა, მაშინ გამხეთქოდა მიწა,
როს იმედით პირში სული მედგა,
როცა „ჩვენი პაემანი" შედგა...
ანუ „სისხლის პაემანი", ბიჭო.
შენში ყოფნას, აბა, მე რა მიჯობს!
შენზე უფრო ახლობელი ვინ მყავს?..
რა გვაერთებს — რა ეშმაკი გვერიყავს?
აზრზე მოდი და გამგები თუ ხარ —
უცნაური საწუხარით ვწუხარ —
ამოვიყარი თქვენი გულის ბუხარს —
მიყვარხარ და... სიყვარულით „მძულხარ"!

* * *

გიორგი თარგამაძემ „იმედის" არხზე თქვა:

— ამბობენ, სიბერეს ფეხები კი არ ტკივა... ნელა იმიტომ დადის, რომ არსად ეჩქარებაო.

— სიბერეს ფეხები კი არა, გული სტკივა, რომ ფეხები იქ არ მიყვებიან, სადაც გული მიუწევს.

*ნაპოლეონმა შენიშნა: „ხიშტები კარგია ხელისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ცუდია ზედ დასაჯდომად. ახლა, მედროშეები კარგია ხელისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ცუდია ქვეყნის მართვის დროს...*

*„კვირის პალიტრა" (2000).*

<u>*ელვან ჯობა მომღერალი:*</u>

*მე ცისფერი ვარ და ბედნიერიც გახლავართ ამ ჩემი „არასწორი სექსუალური ორიენტაციისა" და ცხოვრების ახალი სტილის გამო. მე შემიძლია, თამამად განვაცხადო, რომ ჩემი ყველაზე სანუკვარი მისწრაფებანი სავსებით დაკმაყოფილებულია...*

*„დრონი" (2000) („თუ „ვახ, დრონი დრონი!").*

<u>*ნოდარ ნათაძე სახალხო ფრონტის თავმჯდომარე:*</u>

*შემოდგომისთვის, უკვე, მომზადებული გვაქვს ციცერონის მიმართვა — „როდემდე გინდა, ჩვენი მოთმინება გამოსცადო?"*

*„გზა" (2000).*

სიბერის გზა მოკლეა, სად უნდა ეჩქარებოდეს?
სჯობია, აქედან გენატრებოდეს შენი მიცვალებულები, ვიდრე იქედან ენატრებოდე შენს მიცვალებულებს!

12.06.05.

P.S. ან თქვენ სად გარბიხართ და ერთმანეთს შორდებით, ხალხო!

## ტრაგიკომედია მეფრინველეობის თემაზე!
### (ანუ ცხოვრების აბდაუბდა!)

ჯერ „აბდა"!..
ეს სურათი დღემდე არ ამოდის ჩემი მეხსიერებიდან. შვილიშვილებმა ტვინი წაიღეს — მაიმუნების სანახავად ზოოპარკში წაგვიყვანეო. მაიმუნები აგერ არა ხართ? უყურეთ ერთმანეთს-მეთქი.
საქმეში ხარ! მაინც თავისი გაიტანეს.
ჩვენი შორეული წინაპრის მონახულებისა და მაიმუნებთან მაიმუნობის შემდეგ რეპტილიების ახალაშენებულ „სასახლეში" შევედით და... ნეტავ, ფეხი მომტეხოდა და იქ ფეხი არ შემედგა. ...ისეთი შემზარავი სურათი ვნახე — ჩემს მტერს!.. კარგი იყო, არ მენახა — ვეებერთელა ვოლიერის ერთ კუთხეში ეძინა დაგორგლილ ვეებერთელა პითონს — მეორე კუთხეში კი ცახცახებდა მისი დილის ულუფა — შიშით გადედლებული ფერმის თეთრი მამალი, რომელიც, ქათმის ჭკუის მიუხედავად, აშკარად გრძნობდა, რა თეთრად უთენდებოდა შავი დღე და ერთი თვალი გველისკენ ჰქონდა — მეორე დამთვალიერებლისკენ: არ დამღუპოთ, არ გაალევიძოთ ეს ოხერიო!
იმ ოხერს ვინ ოხერი გააღვიძებდა... მარა, ადრე იქნებოდა თუ გვიან, ხომ გამოვიდოდა ძილქუშიდან?
მაშინვე გავეცალე იქაურობას, თუმცა შვილიშვილებმა ბავშვური დაჟინებით მოითხოვეს ამ გველისწინილურ საუზმეზე დასწრება.
— რა დაუნდობელი თაობა მოდის! — გავიფიქრე გუნებაში და კიდევ უფრო გამიფუჭდა გუნება... თუმცა, კარგად რომ დაეფიქრდი, ეს ჩემი, ასე ვთქვათ, „ზოომორფული" „წიალსვლები"... ცოტა არ იყოს, ზედმეტ გულმენვიეობადაც კი მომეჩვენა... კაცმა, რომ თქვას — ქათმისათვის რა მნიშვნელობა აქვს, კაცი შეჭამს, მელა, მგელი თუ გველი? ან — ტაბაკად შეჭამენ, ბაჟედ, საცივად თუ ჩახოხბილად? ან მრგვლად მოხარშულად თუ უმად?
გავიფიქრე და ქათმის ეს ტრაგედია... კომედიად იქცა!
ესეც შენი „აბდა"! ...ახლა კი „უბდა"!
...გამახსენდა, ერთხელ, ქართულ ენაზე ლაპარაკს მონადინებულმა ერთმა გურმანმა სომეხმა მეზობელმა, თავისი კულინარიული შთაბეჭდილებები გამიზიარა: „თვითმფრინავებიდან... ყველაზე უფრო, წიწილა მიყვარსო"?! „თვითმფრინავები" „ფრინველებში" აურია.
რას იზამ, ამ თემაზე ერთხელ, ჩვენს ძმასა და პირის ზიარება ქართლოსსაც მოუვიდა იაღლიში. გაზეთში მუშაობის დაწყების დროს... კახეთში, ერთ ახალ ფერმაში მივავლინეთ და იქედან ამბავი ჩამოიტანა და მოგვახარა — უკვე 10000 ფრთა ქათამი ჰყავთო?! ფერმის გამგემ კი ერთი ამბავი ატეხა — მაგ კაცს თვლა არ ცოდნია, 10 კი არა 20 ათასი გვყავსო.
ეა!.. ქართლოსა, ცოტა არ იყოს, დაიბნა. მართლა 20000 ფრთა მითხრეს, მაგრამ ქათამს ორი ფრთა აქვს... 2-ზე გავყავი და 10000 გამოვიდაო!

---

*მუსოლინი: რწმენა სულელების თვისებაა. პოლიტიკაში, მთავარია, კარგად გაითვალო.*

* * *

წუთსოფლის
ამ ჩემ-გამჩენთან
შეკამათებას ვბედავ! –
თუ მაინც უნდა წავიდეთ,
რას მოვდიოდით, ნეტავ?
ასეა ჩვენი ცხოვრება,
ერთი მოსმაა ბადის:
მზე-ყოველ დილით ამოდის
და ყოველ ღამე – ჩადის.
მზე – ჩადის, მთვარე – ამოდის
და დედამიწა ბრუნავს,
სიცოცხლე რასაც მოიმკის,
სიკვდილი იმას წურავს.
ორი თარიღი ამშვენებს,
კაცის საფლავის ქვასო...
დაბადებისა და სიკვდილის –
ტირემ-ტირილით თქვასო!

## აფსუს!

რა სჯობია ნაქეიფარ თბილისს,
როცა გული სახლში აღარ გიწევს,
როცა თვალზე მოგერევა ძილი –
დედამიწა აკვანივით გირწევს.
მოდიხარ და მოღიღინებ შერთვის
და ურიგებ სალამს უცნობ-ნაცნობს...
დედაქალაქს სწამს დედის და ღმერთის,
აქ კაცობა... კაცობითა ფასობს.
კედელ-კედელ მიუყვები ქუჩას
და ამ ძილ-ქუშს ბოლო აღარ უჩანს...
მერე ვიღაც გხვდება შენებრ მთვრალი,
გახსენდებათ მკვდარიან ცოცხლის ვალი...
ჰოდა, იქვე, ჩაუყვებით სარდაფს...
ჭიქას უქცევთ, გაიხსენებთ ადათს...
შესვამთ წამსვლელ-დამრჩენისას, უმალ –
სიცოცხლე დუღს – საფლავები სდუმან!..
...მთელი ღამე დაილევა სმაში,
ვით ჭაღარა გეპარება თმაში...
გათენდება... ალიონიც მოვა,
დროც ბერდება... და იწყება თოვა...
მერე ისევ მოვა ხამის ხოში...
აბა, შენ ხარ – გიცხოვრია დროში!
ამ სამ წერტილს... სამ ფანტელად ვტოვებ,
აფსუს, ქვეყნად, მხოლოდ ერთხელ მოველ!..

*იოანე ღვთისმეტყველი: ვისაც არ ყვარებია, მას ვერ შეუცვნია ღმერთი, რადგან ღმერთი – სიყვარულია!*

*ხელნაწერები არ იწვება...*

*არც სირცხვილით?*

*ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს პრეზიდენტი: არ უნდა შეცდეთ პრეზიდენტის არჩევნისას მომავალი წლის გაზაფხულზე. როცა დრო მოვა, მე თვითონ გეტყვით, ვინ უნდა აირჩიოთ პრეზიდენტად... 2005 წლამდე მე ვიქნები, ხოლო შემდეგ ისევ მე გეტყვით, ვინ უნდა აირჩიოთ.*

*1999 წელი. N1-7 ნოემბერი.*

*<u>ლევან ბერძენიშვილი</u> პარლამენტარი:*

*არ შეიძლება მთაწმინდის პანთეონის, მუზეუმების და სხვა ობიექტების იჯარით გაცემა. მჯერა, რომ ეს იოლად გასაგები იყო ყველასათვის. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლებისთვის ეს გაუგებარი აღმოჩნდა და უძვირფასესი ექსპონატები სკამების და ქალების გვერდით მოათავსა.*

*„ახალი თაობა“, (2005).*

* * *

თურმე ყველაზე დიდი ნიჭია... არ გქონდეს ლექსის, სიმღერის, ცეკვის ნიჭი, რადგან, სწორედ მაშინ გახდები პოლიტიკოსი და მაშინ გექნება საქმე სალექსოდ, სასიმღეროდ და საცეკვაოდ!

ბარბარე ჯორჯაძეს პოეტობა ხელობად მიაჩნდა... ყველას შეუძლია ლექსის წერა, თუ ნასწავლი კაციაო, — აცხადებდა იგი არა გულუბრყვილობით, არამედ კლასიცისტური ესთეტიკის პრინციპით.

ახლა ამას ავეტიკ ისაკიანის დითირამბიც მიაყოლეთ: „ყველა ქართველი პოეტიაო" და... იწყო პოეტების ცვენა...

არადა, ერის მამამ, დიდმა ილიამ მაშინვე იყნოსა გრაფომანიის პანდემია-ეპიდემიის საშიშროება და კატეგორიულად განაცხადა რომ მწერლობა ბედისწერაა, ტალანტია!

„მხოლოდ ბუნება ჰქმნის პოეტს" — ბრძანებს გოეთე.

„ნიჭი, ძამიკო, ნიჭიო"... გალაკტიონმა ბრძანა!

...ყველა წერს ლექსებს, შენ რატომ არ წერო, — ეკითხებოდა ყველას!..

* * *

თაობების უთაურობები ლამის სამყაროს ხნისაა. 1861 წლის „ცისკარში", რედაქტორი, თითქოს, სადღეისოდ წერდა: „ახალგაზრდობას თუ გზას არ მივცემთ, დაინთქმებიან იმავე უფსკრულში, რომელშიაც გადააგდეს საზოგადოება ძველი დროების კაცთა... იზრდებიან სხვადასხვა სასწავლებლებში ყმაწვილნი კაცნი"-ო...

ახლა პირიქითაა!.. ალბათ საუკუნენახევრის შემდეგ „ბებრებს" სამაგიეროს უხდიან „ახალგაზრდები". ამ ნაჯექ-უკუჯექობაში გვავიწყდება, რომ „წინა კაცი უკანას ხიდია" და ვართ ამ „ბუტე-ბუტე-გაგებუტეში"(?!) აგერ გვყავს და ველით „ყრმას, ვისიც არ ითქმის სახელი", „ვისაც დღე და ღამ ჰნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი"...

* * *

ზამთრის პირია.

მზეს სხივი მოაკლდა, სხივს სითბო... კუს ტბაზე ხალხი შეთხელდა.

დღე იწურება. ღამე მელნისფრად ეპარება თბილისს.

ბუნება ისეა გარინდებული — სიჩუმის ხმა ისმის.

ზურგს უკან, საცალფეხო გზაზე, რაღაცამ გაიფაჩუნა...

მოვიხედე... კაცის ჭაჭანება არაა.

ალბათ მომეჩვენა.

ზურგს უკან ისევ მომესმა ხმა.

აღარ მომიხედავს... მაგრამ ფეხს ავუჩქარე...

მაგრამ ხმა, მაინც, მდევარივით მომდევს.

გამახსენდა ერთი „უშიში ვითარცა უხორცო" კაცის ნათქვამი: ღამის მეშინია — სიკვდილის არაო?!

---

*მიქელანჯელო ბუონაროტი:*

*მღელვარე მღვაში მისდგომია მერწევი ნავით,*
*საყოველთაო ნავსაყუდარს სიცოცხლე ჩემი,*
*სად უსასტიკეს რისხვითა და ნუგეშისცემით —*
*მოგვეკითხება ყველა საქმე, კარგი თუ ავი.*

ეს კითხვის ნიშანი კი ამ ძახილის ნიშნით ახსნა: სიკვდილი — ღმერთისაა, ღამე — ეშმაკისო...

ფეხის ხმა კი კვლავ ფეხდაფეხ მომდევს... ხან მშორდება და ხან — მიახლოვდება...

შიშს დიდი თვალები აქვს.

რა დროს ვაჟკაცობაზე თავის დადებაა...

მივიხედე და... შემრცხვა: ჩემს ზურგს უკან, ჩემს საცალფეხოზე ქარს ნება-ნება მოჰქონდა თავისი ნაძარცვი — ხმელი ფოთოლი და ქურდული ფეხაკრეფით, შრიალით მიიკვლევდა გზას ქარის ჭკუაზე...

...დალახვროს ეშმაკმა! ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ საკუთარი ჩრდილისაც გეშინია კაცს!

რადიო: უშიშროების თანამშრომელთა დაკვეთით მოისმინეთ სიმღერა: „ვენაცვალე მაგ შენს თვალებს — ჩუმ-ჩუმად რომ მითვალთვალებს"...

* * *

მეხსიერების ბადეში ოქროს თევზივით ფართხალებს პარიზი — ქალაქი, რომელმაც თვით ოუკ-პარკელ (ჩიკაგოელ) ჰემინგუეის ათქმევინა: ეს არისო ზეიმი, რომელიც მუდამ იქნებაო შენთან!

...ნოტრდამი — ღვთისმშობლის კათედრალი... ტაძრის ქიმერები; ხიდები, მდინარე სენა... მონმარტრი... ეიფელის კოშკი, როდენის მუზეუმი, რესტორანი „ლორის ჩლიქი", სასტუმრო „ლონდონ-ნიუ იორკი", რომლის რესტორნიდან ცხვირს გარეთ არ გვაყოფინებდა (ჩვენდა იღბლად ემიგრანტ ბიძასთან ჩამოსული თამაზ მელიავა)... თავქუდმოგლეჯით და ტურისტული სიმჩატით შემოვლილი ვერსალი, ლუვრი... „პარიზის სტომაქი" — ღამის ბაზარი...

ყველაფერი ეს იყო, მაგრამ ხსოვნას, ყველაზე უფრო (ფრანციცულ ყაიდაზე რომ ვთქვათ), ვენსენივით აეკიდა პარიზის ერთი რაიონის ერთი, ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი სახელი — საკრეკიორი!

ეს ის ადგილია, სადაც კაპიკებში, ასე ვთქვათ, ჩალის ფასად, იყიდება სამრეწველო საქონელი: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ასე შემდეგ...

უცხოური შმოტკების ხსენებაზეც კი ნერწყვით დაღრჩობის „საბჭოთა ფუფუნების" წლებში ასეთი აღმოჩენა, ამერიკის აღმოჩენის ტოლფასი იყო და ჩვენც, ჯგუფ-ჯგუფად მივაწყდით ამ სამოთხეს... მუქთა კუბოს ეშხით!

არადა... სი ვარადა ვარადა!

საკრეკიორი, სნორედ მიცვალებულების სარიტუალო ნივთებით ვაჭრობის ცენტრი აღმოჩნდა!

ნალი მენი!!!

ამ სიტყვებით მიმართავს აღშფოთებული აბორიგენი „რაიონის თავკაცს" (პარტიულ ბოსს) ფილმში „რაიკომის მდივანი".

რაოდენ სამწუხაროა, რომ დღევანდელ ჩაბნელებულ და გაყინულ საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა რესპუბლიკის თავკაცის მისამართით კვლავ „ნალი მენის" დონეზე რჩება! „ახალი დასავალი", 2001.

<u>მიხეილ სააკაშვილი:</u>

თუ ამ ქვეყანაში სიმართლის თქმა სიგიჟედ ითვლება, დაე, ვიყო გიჟი! ნეტა, ასეთი გიჟები კიდევ მრავლად იყვნენ.

„ალია", 2001.

<u>ჯაბა იოსელიანი</u>,

„მხედრიონის" ლიდერი, ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი:

ყველამ იცის, რომ მე მთელი საბჭოთა კავშირის „ლაგერები" და ციხეები მაქვს მომვლილი და იქ ასეთი ნაძირალობა არ შემხვედრია... ერთმა მხედრიონელმა, იცით, რა თქვა: ბატონო ჯაბა, ერთი იმიჯი გვქონდა ყაჩაღების და ისიც წაგვართვეს.

„რუსთავი-2", 2001.

ჩვენ კი, „დაცენტრილებივით" ქალიან-კაციანად, თავმომწონედ დაეიჯგიმებოდით პარიზში იქ ნაყიდ საკუბოვე კოსტიუმებსა თუ მაღალქუსლებიან ფეხსაცმელებში და ამ ახალი შენაძენების გამო, ერთმანეთისათვის მილოცვასაც ვერ, ვასწრებდით, ისე ეხეოდა პერანგებს საყელო-სახელოები და ტყდებოდა ტუფლებს „აქილევსის" ქუსლები!

P.S. თბილისში, სოციალიზმის შემოჭრის წლებში, თურმე, ერთ-ერთ საკუბოვეს ასეთი „რომანტიკული" სახელი ერქვა: „გზა სოციალიზმისაკენ!"

სოციალიზმზე „შეყვარებულ" ამ სახელწოდების ავტორს, ალბათ, არც დაესიზმრებოდა, რომ მისი სადროშო ლოზუნგით სოციალიზმს სამარემდე მიაცილებდა!

* * *

3 ნოემბერი, 2005 წელი... ანუ, აგერ, ახლა!

...თავისუფლების მოედნიდან სოლოლაკისკენ შევუხვიე, სუპერმარკეტ „პოპულში" პური ვიყიდე, ქუჩაში გამოვედი და... დამეტაკა ერთი რიონჰესივით გაჩახჩახებული ლამაზი ქალი, გადამკოცნა, „ახალი პაემანი" როდის გვექნებაო?".. შემომძახა და სიზმარივით გაქრა!

ეს არ იყო საახალწლო კოცნის ეპიდემია,

ეს ჩავლილი წლების მონატრების ცეცხლი იყო!

...სულო ცოდვილო — კაცის თვალით გავაცილე ეს სავსე მთვარესავით კაშკაშა მზეთუნახავი, ფრანსუა რენე შატობრიანმა „მშვენიერი ქართველი ქალის" ეპითეტით რომ მონათლა... გულში კი, ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე, გავიფიქრე:

აგერ, ეროვნული ბანკი, ანტიკვარული შენობა და აგერ, ის მშვენიერი ქართველი ქალი!

ერთი, მსოფლიო ვალუტას... სეიფში ინახავს, მეორე — ეროვნულ განძს — სიყვარულს, გულში!

დიახ, ეს უკანასკნელია, ალბათ, ჩემი ადამიანური კაპიტალიც!

* * *

ჭკუა ჭკუის საკითხავ კაცს უნდა ჰკითხო!

სტალინს ერთი ჩვენი ცნობილი მეცნიერისათვის (მგონი, კორნელი კეკელიძისთვის უკითხავს): ვის შეიძლება, კაცმა ქვეყანა ჩააბაროსო?.. რასაკვირველია, თქვენო, — უპასუხნია მას. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ცოტა სწყენია კიდეც: შენგან უკეთეს პასუხს მოველოდი... ილია ჭავჭავაძე! აი, ვინ ივარგებდა მსოფლიოს თავკაცადო!..

ჩვენ კი, უდღეურებს, დღეს, დიდი წინაპრები თვალში გვეპატარავება და მიშვებულნი ნებასა... ბრიყვნი ვეყრებით სნებასა!

თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა... რას ჰგავს ჩვენი პრესა და ტელევიზია? ოღონდ თავი გაიყიდონ და თხასავით იყიდებიან!

ვისაც ყურნი გაქვთ, ისმინეთ!

სხვა საზომი არ მაქვს — ისევ და ისევ ერის მამის, დიდი ილიას პირით გავზომავ თქვენს პირიანობას და კალმოსნობის პირობასაც მოგახსენებთ: „ილია ჭავჭავაძემ, პირველმა და პირველად თქვა ჩვენში, რომ ჟურნალის, პრესის (მაშინ ტელევიზია არ იყო, თორემ, არც ის იქნებოდა გამონაკლისი — გ. ნ.) ძირითადი მიზანია არა მკითხველის გართობა, არამედ მისი მსოფლმხედველობის გამომუშავება, დემოკრატის, პატრიოტის აღზრდა" (ალ. კალანდაძე).

მასობრივი კომუნიკაციის — ზეპირი ბეჭდვითი სიტყვის ინდუსტრიის გამოსოროსირებული საშუალებები მის მსხვერპლს გლობალიზაციანარლვენით ემუქრება და სიბინძურის ნიაღვარში „ტვინს ურეცხავს"!

* * *

ერთ ბრძენ იუდეველს უთქვამს: ბედნიერი ვარ, რომ ვეკუთენი ჩემს პატარა ერს, რომელსაც დიდი შეცდომების დაშვების უფლება არა აქვსო!

* * *

**სრულიად საქართველოს**
**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II**

## საშობაო ეპისტოლე

**„იესო დაბადებულა, ალილო"...**
**(პირჯვერის ნერით მინანერი)**

...მადლობას ვნირავთ უფალს იმისათვისაც, რომ მოგვანიჭა გონება და შინაგანი ხედვა, რათა სული ჩვენი ვყოთ ტაძრად, გული კი, — სანთლად ნინაშე ღვთისა, რადგან, მხოლოდ ამ შემთხვევაში, შეიძლება დავინახოთ „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე".

შეუძლებელია, ახალგაზრდა იზრდებოდეს ქართული ტრადიციული ღირებულებების უგულებელყოფის ატმოსფეროში და, მაგალითად, ჯარში იგი თავისი ქვეყნის მამაც დამცველად მოგვევლინოს.

შეუძლებელია, საზოგადოება უარყოფდეს თავის მეობას, უარყოფდეს იმ ზნეობრივ საფუძვლებს, რასაც ისტორიულად ეყრდნობოდა (მაგ. მეგობრობის, ვაჟკაცური ღირსების, უფროსისადმი პატივისცემის, ერთგულების, ურთიერთგატანის, ქალის სინმინდის ინსტიტუტს) და მან ააშენოს ნარმატებული ქართული სახელმნიფო...

ნმინდა ნერილი გვასნავლის,რომ განსაცდელს უფალი უშვებს, რათა, როგორც ცალკეული ადამიანი, ისე, ესა თუ ის ერი, გამოიცადოს „ვითარცა ცეცხლში გამონრთობილი ოქრო".

**7.01.2006 ნ. ქრისტეშობა.**

P.S.

ქვეყნისთვის შეუძლებელი, შესაძლო არის ზენით —
მეციურ მამის რწმენით, მიწიერ შეილთა ხელით!
სინერგიადა ხმობილი — ღმერთის და კაცის გზნებით,
ღვთიური იპოსტასისა — წმინდა სამების ნებით!

*შოპენჰაუერი: ახალგაზრდების აზრით — ცხოვრება ხანგრძლივი მომავალია, მოხუცების აზრით კი — ხანმოკლე წარსული.*

---

*<u>კახა თარგამაძე</u>, შინაგან საქმეთა მინისტრი:*

*მე მათ არ დავალევინებ საქართველოს. მე რკინის კაცი ვარ. „ახალი თაობა", 2001, 11.*

*ფიგურალური გამოთქმა „რკინისგულიანი ადამიანი", თურმე, პირდაპირ მნიშვნელობასაც იძენს. თურმე რიგის სამედიცინო ინსტიტუტის არაორგანული ქიმიის კათედრის ასისტენტმა ზენტა კნიტემ, დაადგინა, რომ მიკროელემენტებს შორის, რომელსაც გულის კუნთები შეიცავს, პირველი ადგილი უჭირავს რკინას. მისი რაოდენობა თითოეულ 100-გრამიან ქსოვილზე 30 მილიგრამს აღწევს.*

*<u>ელენე თევდორაძე</u>, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:*

*მე დამირეკა კახა თარგამაძემ და ისეთი საშინელებები მითხრა... თუ ქვეყანად არ იქნები, შენც. შეიძლება, მარგოშვილივით აგაფეთქონ... მე ერთ რამეში დავრწმუნდი, რომ დღეს საქართველოში სიმართლის თქმა გაცილებით რთული და*

* * *

ერთხელ ინტერვიუერი შემეკითხა:

— როგორ იქცევით მაშინ, როცა მტერი გიჩნდებათო?

ვუპასუხე:

— ერთი წუთით გვიან ვწვები და ერთი წუთით ადრე ვდგები-მეთქი!

* * *

შემიძლია გულზე ხელი დავიდო და ვთქვა: სულ არ მადარდებს დღეს ან ხვალ ამ ნაწერებს რა ჟანრს განაკუთვნებენ, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულ-ენციკლოპედიური „კალმასობის" სწორ აღქმას, დღემდე, ხელს უშლის სწორედ მისი ჟანრობრივი გაუპიროვნებლობა! სულაც არა მგონია, ამის გამო საფლავში ჩაყოლოდა დარდი საარაკო მამულიშვილს, იორზე ხუნძახის ბატონის დამამარცხებელ, კრწანისის ომში — ალა-მაჰმად ხანის — კლანჭებიდან „ფრიად მოხუცებულის", მაგრამ ბრძოლაში „ჭაბუკთაგან სანატრელი" მისი სახელოვანი პაპის — ერეკლეს დამხსნელს, მარადიული „კალმასობის" მწერალსა და მეცნიერს, იოანე ბაგრატიონს, რომელსაც ხმლისა და კალმის მისმა ერთნაირად ემარჯვებოდა.

„იოანე: საით გიძღვის უფალი?

ზურაბა: მუნ, საიდგანაც უნდა გამოვზარდო შვილები ჩემი.

იოანე: ...ჰგავს საკალმასოდ რონინებ!"..

დიახ, წინა კაცი უკანას ხიდია! სწორედ, შვილებს გვინდა ვუსაგზლოთ ჩვენი სული და გული!

ჩვენც, სწორედ, საკალმასოდ „ვრონინებთ!"

„კალმასობის" ტიპოლოგიით, იოანე ბატონიშვილისა და ზურაბა ლამბარაშვილის მოხეტიალე წყვილის დიალოგებში მოჩანს შარლ დე კოსტერის ულენშპიგელისა და ლამე გუძაკის, სერვანტესის დონ-კიხოტისა და სანჩოს აჩრდილები და ყურში ჩამესმის ჩემი სახლიკაცის — შოთა ნიშნიანიძის სიმღერა კლდიაშვილის ესპანეთსა და სერვანტესის იმერეთზე:

„მანდაც არი აღერილი სიმინდები, ჩვეულებრივ,
ნაჩხუბარი მაყრებივით ჩოხებჩამოხეულები".

„...აქვე ბუზებს იგერიებს როსინანტის ტყუპის ჩრდილი,
როგორც ერთ დროს
მეჯალეებს
ძველი აზნაურის შვილი".

მე კი... შორიდან რომ შემომხედოს კაცმა — მარტოსული ვარ!.. ჩემი თვალით კი... თვალს თუ გულში ჩავიბრუნებ — ლამის... დონ-კიხოტიც და სანჩო პანსაც... არიოლ-რეშკასავით — მე ვარ... ანუ — მე და მე!

ერთხელ, საკუთარ თავთან მოლაპარაკე კაცს, როცა ჰკითხეს: ვის ელაპარაკებიო?.. თქვა: საკუთარ თავს — მიყვარს ჭკვიან კაცთან საუბარიო!.. ჩვენ კი გიჟი გვეგონა!

ჰოდა: „მეორეჯერ გასავლელად... ერთხელ გავლილ გზას ვუხმობ

*...მეც ამ „მაგარებლიდან" ვარ და დარდი მაქვს ჩემოდნის —
ბრალმდებელის კარებიდან — ბრალდებული შემოდის!*

— თეთრით შავზე ვკითხულობ და შავით თეთრზე ვპასუხობ!

ერთი, ხელის გულზე დასადები გითხარით და მეორე ხელის გულზე დასადებსაც ამ ერთი სტროფით გეტყვით:

აშასობა – „კალმასობაშ" –
რამეშ– რუშე თუ მასწავლა –
სიცილ-ტირილ-ცრემლის ღერა და
წუხილ-ქუხილ – ხუმარსწავლა!

* * *

კალამს ნიჩაფად ვუსვამ,
ფიქრის ზღვას არ აქვს ზღვარი,
საით მომიქრევს ტალღა...
საითაც წამიღებს ქარი...
მივყვები ბედისწერას,
თან მიმაქვს მძიმე ჯვარი,
აქ – ჯოჯოხეთის გზები,
იქა – სამოთხის კარი!

* * *

2006 წლის ძველით ახალი წელი, ახალი საუკუნის დავით სარაჯიშვილმა — ბიძინა ივანიშვილმა, ბაკურიანელებს (ე. ი. მეც, როგორც ძველ ბაკურიანელს!) ახალი ულტრათანამედროვე საბაგირო გზით მიულოცა!..

საოცრად ლამაზი ახალი წელი გაუთენა ბაკურიანს საოცრად ლამაზი სულის კაცმა!

„ბაკურიანი — თოვლში გრიალი"...

იყო ერთი ტრიალ-ზრიალი...

დიდიან-პატარიანად გაიხარა ამ დიდი ხნის გაუხარელმა ხალხმა... პრეზიდენტიდან — ანუ მიშა სააკაშვილიდან — პატარა ნიკა სააკაშვილამდე; გიზოდან — დათუნა ნიშნიანიძემდე, რომელთაგან პირველი (ბაბუა) თბილისიდან შეჰხაროდა, როგორც იქნა, გალიმებულ ქვეყანას, მეორე კი (შვილიშვილი) თეთრ სამოთხეში მეშვიდე ცაზე იყო სიხარულით და ბაკურიანიდან (საკუთარ ბაბუასთან ერთად) ახალ წელს ულოცავდა თოვლის ბაბუას — იმ გულიან და ფულიან კაცს, როგორებსაც დავით სარაჯიშვილი „არალეგალურ ქველმოქმედებს" ეძახდა!

„კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო" და ლხინი რალას იზამდა!.. ვერც სიკეთემ დამალა თავი!.. მკეთებელიც გამოჩნდა და დამნახველიც!

ეს ცხრათვალა მზე ხომ არის და არის! კაი

ხამიმის, ვიდრე როდესმე. ამიტომ მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოში 37 წლის ხენი ცრიალებს.

„ახალი თაობა", 2001.

<u>მათა ნადარაძე-და</u> ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი:

ჩვენ თანდათან ვემსგავსებით ჩვენს ხელისუფლებას, ვპატიობთ ამას, რისი პატიებაც შეუძლებელია. „ახალი მერიდიანი", 2001.

„რაო-რაო?"

<u>მურმან ლებანიძე:</u> კაცობრიობა გაანადგურებს მხოლოდ იმისათვის, რომ მოიგოს კაზინოს დარჩეს. ისე, გაყიდის კი ... არც დიდ ფულზე მითამაშია არასოდეს — პირველ არ აქვს დიდი ფული. ისე, თამაში ცხოვრებას ახალისებს და ხალისიანს, ცხოვრება ხომ თამაშია — კაცობრიობა ცხოვრობს და თამაშობს! ზოგი დიდი, სამთავრობო თამაშით იქცევს თავს. ამას დიდი პოკერი ჰქვია. ხოლო ჩვენ, რაც არ უნდა ვითამაშოთ, პაკარს პოკერს მაინც ვერ გავუძლებით.

რაც შეეხება ბატონ ცერილ ქანცურის, იგი ბანქოს თამაშს ბორბლიდან გადახრილ

თელასის თანამშრომელივით გვინახავს „თბილ" ენერგიას და ერთი თვალი სულ ჩვენკენ უჭირავს: რა დროს „მზის გორაზე მოფარებაა"... სიცივით კაცი არ გამეყინოსო!

ჰოდა, ერთი ამ მზისთვის ვერ გამისწორებია თვალი და მეორე იმ კაცისთვის, რომელიც მზესავით დაგვნათის თავზე და გვასულიერებს...

ამ დილითაც... 14 იანვარს, გაგანია ზამთარში, ისეთი ბაჯაღლო მზე ამოვიდა თბილისის ცაზე, რომ იფიქრებდი, ამ დღეს დაღამება არ უწერიაო!..

შურის ციხისკენ გამექცა თვალი...

ამბობენ, აქ, ის ღმერთივით კაცი აშენებს, ღმერთივით სასახლეს, რომელსაც, ლამის, ცის მანანასავით შესციცინებენ თბილისელები...

ქათამმა წყალი დალია და ცას შეხედაო!

აი, ცამდე და მიწამდე მართალი კაცი!...

რომლის მსგავსი არც გამიგია და არც მინახავს.

...ეს მშენებლობა, ჩემი სოლოლაკის ბინიდან (როგორც ბაკურიანში, ჩემი ბუნაგი... მისი ნალკოტიდან!) ერთ ხელის განვდენაზეა და თბილისს გადმოჰყურებს. როგორც კი შვეულმფრენ-ჰელიკოპტერის ხმა მოწვდება ყურს, ვუყურებ, როგორ ნარნარად ეშვება მისი ვერტმფრენი მის ვერტოდრომზე!

სიკეთეს თესავს...

სიკეთით დადის...

სიკეთით დაფრინავს...

რაღა უკლია ანგელოზობას!

P.S. ეს მოუხელთებელი კაცი საერთო და პირადი მადლობის სათქმელადაც ვერ მოვიხელთეთ მე და ჩემმა ბაკურიანელმა კარის მეზობელმა — შორეული ცურვის კაპიტანმა გია კოსტავამ... ბიძინა ივანიშვილის სიკეთის თავსხმა წვიმაში შემთხვევით მოხვედრის გამო, რაც იმაში გამოიხატა, რომ ამ ღვთისნიერმა კაცმა, ერთი დაუსწრებელი სიკეთე ჩვენი მისამართითაც ჩაიდინა — ბაკურიანში ავტოსადგომების მშენებლობისათვის სიმკარები და სხვა სამშენებლო მასალა გამოგვიგზავნა, რის საფასურად მადლობის გადახდაც ვერ შევძელით, რადგან არასოდეს თვალითაც არ გვინახავს ეს თითით საჩვენებელი კაცი... ჯერჯერობით ამ კაცთან „შეხვედრის" ერთადერთი ობიექტური შანსია ჩემი სოლოლაკური აივნიდან მის ვერტოდრომზე ჭოგრიტის ობიექტივის ობიექტურობით, ანუ თვალსაწიერის „მიზიდულობით" მიახლოება და მეც, ჩემი გადასახედ-„გადასახადიდან" ადმირალი ნელსონივით გავცქერი ამ ფუტკარივით პიროვნების კულტის აღიარება-გაღმერთებას! ღმერთმაც იცის და კაცმაც იცის — ღმერთი-რჯული — არაფერი პირადი სათხოვარი არა მაქვს: ჩემი ცხენიც დაბმული მყავს, ჯორიც, ვირიც, ვირიშვილიც და ცხვარიც (საშილაფლავედ!), თუმცა არსადაც არ მეჩქარება!

*P.S. P.S.* ეს წერილი დაიწერა ჯერ კიდევ მაშინ,როცა ჯერ კიდევ არ ვირიცხებოდი მის მრავალრიცხოვან სტიპენდიანტთა სიაში!

* * *

*— რაა წუთისოფელი? — თვალის დახამხამება!*
*წუთი წუთის საწუთრო, წამი წამის წამება —*
*— რაა წუთისოფელი? — ერთი მოსმა ბადისა!*
*წუთში მოდის წუთი და იმავ წუთში გადისა!*
*მაგრამ მაინც ტკბილია, როგორც დედის ალერსი,*
*მეც იმიტომ ავდექი — წუთი-წუთში გაელესე!*

* * *

საუკუნის მატჩი!..

მატჩი არა — რეპორტაჟი!..

რეპორტაჟი არა — ფრაზა!

...თბილისის „დინამოელები" დიდი ანგარიშით აგებენ მატჩს გაცილებით სუსტ მეტოქესთან.

რეპორტაჟი მიჰყავს გენიალურეროსი მანჯგალაძეს.

ჩვენს საჯარიმო მოედანთან ინიშნება საჯარიმო...

კარის წინ დგებიან ჩვენი ფეხბურთელები, რომლებმაც, სირცხვილით, აღარ იციან, თავი სად გამოყონ, მაგრამ, მაინც, ხელებით, სახეს კი არა — ასო სარცხვენელს იფარავენ, რომ ამ ქვასავით ბურთმა მათ... ბუს კი არა, საკუთარი კვერცხები არ ჩაუმტვრიოს.

ყველაფერ ამას თქმა ხომ უნდა!

და, აი, თავგანწირული ფრაზაც (ამ საფეხბურთო პანაშვიდ-ტრაგი-კომედიიდან):

— ცოცხალი კედელი აღმართეს ამ... მკედრებმა!!! — იღრიალა ეროსიმ!

...ასე სიცილით გამოვიტირეთ ეს დამარცხება!

* * *

მარტო კაცი, თუ ჭამაშიც ცოდოა... მუშაობაში რაღა იქნება! დგება წუთი, როცა, წერის დროს, თეთრი ქაღალდიც თეთრ წყვდიადად გეჩვენება, ყველაზე დიდ გოლიათთან — დაღლასთან ფარხმალს (ამ შემთხვევაში, სანერ-კალამს) ყრი, რთავ ტელევიზორს, რომ მარტოობის ტყვეობიდან თავი დაიხსნა და რას ხედავ: შენდა იღბლად და დასახსნელად ცისფერ ეკრანზე (ღმერთმა „ცისფერობისაგან" დაგვიფაროს) მიდის შოუ, რომლის მიზანია ხალხი აცინოს, რადგან არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ: „სიცილი ყოველგვარ სიბინძურეს კლავს" (გორკი); სიცილის ატომი თუ აფეთქდა — შეარყევს სამყაროს (ფერდინანდ ლიონი); „სიცილით" ვინც კვდება... ის დიდხანს ცოცხლობს (სტრიქონი ჩემი „სიცილის ჰიმნიდან)... და ა. შ.

„რაც სასაცილო გახდა, ის უკვე საშიში აღარ არის" (ვოლტერი)...

სდექ!

აქ, ახლა, სწორედ, იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ასეთი სიცილი საშიშია და მერე როგორ!

გამოსოროსირებულები გამოსასოროსირებელ მშიერ-მწყურვალი და დაბნეული ადამიანებისგან (ხალხის ნარჩენ ზრდილობაზე გაანგარიშებით და იმის იმედით, რომ „დაცინვას კაცი არ მოუკლავს")

*ვნებასაც კი უწოდებს.*

***P.S.*** *ამ თემაზე მერმანს აქვს მრავალთაგან ერთი შესანიშნავი ლექსი:*

*ვარ კამათელი, მთიდან ნასროლი და უსათუოდ შაშზე დავჯდები...*

*თუმცა, დღეს „შაშებშიც" ბრუციანი დრო უჭირს!*

<u>*ზურაბ ქართანაძე*</u>*, მსახიობი. პარლამენტარი ბლოკიდან „საქართველოს აღორძინება":*

*დემოკრატი ქართველები ენაზე გადამწვარი. დემოკრატია ის არის, ილიას ჭავჭავაძეს რომ გალანძღავ? დემოკრატიაა ის, საკუთარ სალოცავს რომ შეურაცხყოფ? დემოკრატიაა ის, უფროსის წინ ფეხს რომ დადებ სკამზე? დემოკრატიას ამას ჰქვია?*

*„ახალი თაობა", 2001.*

***p.s.*** *დემოკრატია კი არა — დემოკრეტინობაა ეს!*

*რატომ აღარ ჩანს ცნობილი, კოლორიტული თბილისელი ჟურნალისტი ხანდრო მამასახლისი?*

<u>*ხანდრო მამასახლისი:*</u> *„ცეკას ნომენკლატურის რესტავრაციამ უაზრო გახადა ჩემი ჟურნალისტური საქმიანობა. ის რეჟიმი, რომელსაც მთელი ცხოვრე-*

ითხოვენ ქუჩის შოუში, სულელურ კითხვებზე კიდევ უფრო სულელურ პასუხებს! უკბილო ხუმრობებზე 32 კბილის წარმადობით იცინიან და იმ ცალ თვალსაც კი (რომლითაც ასეთ „სასაცილოზე" უნდა ტიროდეს), ჩასაფრებული კინოობიექტივის თვალით... ეშმაკურად გვიპაჭუნებენ.

„ფარული კამერა!"

სულ ესაა (ჩენი დროის „ჩეენ ბოდიშივით" თუ „სეზამ გაიღესავით") ის მაგიური ფრაზა, რომლითაც გამშაყირებლები გაშაყირებულებს აშაყირებენ.

ამა წლის 15 იანვარს სწორედ ასეთ შოუს შევესწარი და დავრწმუნდი, რომ მარტო კაცი მარტო ჭამაში კი არა, ასეთი შოუების ყურებაშიც ცოდოა — ვერაფერი გავუგე... უფრო სწორად კი, საცოდაობა სწორედ ის არი... ყველაფერი გასაგები იყო, როგორც ერთი ჩვენებური ძველებური თბილისური ხუმრობა — გამოცანა, რომელიც გვეკითხებოდა: წყნეთიდან ვირებზე გადაკიდებული ხურჯინებით ჩამოაქვთ, თეთრია, ქილებში ასხია და იძახიან: „მაწონი", „მაწონიო"... რა არი?

...თუ ეს კიდევ საკითხავია, მაშინ ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს.

მთელი ჩემი ცხოვრება სიცილ-სიცილში გავატარე... სიცილით ვიბრძოდი, სიცილით ვარჩენდი ოჯახს. სიცილი. თვისებიდან — ხელობად მექცა... ცხენის ხვიხვინის გარდა, ლამის ყველაფერს მივხედი, ვინ — რაზე იცინის, აქ კი, ნამდვილად გამიჭირდა გაგება, ვის რა აცინებდა?..

„კაცი, რომელიც იცინის" მეც წამიკითხავს, ისიც ვიცი, რომ რომში სპეციალურად, დასახიჩრებული ადამიანები („კომპრაჩიკოსებს" ეძახდნენ) გამოჰყავდათ, ცირკში რომ ხალხი გაეცინებინათ, მაგრამ დღეს, ადამიანის უფლებათა „დაცვის" ეპოქაში, ასე თუ აიგდებდნენ თავსაც და სხვასაც... ძნელი საფიქრებელი იყო!

ჯერ ცოლს დავუძახე — უყურე, ერთი, აქ რა ხდება მეთქი?

ისიც, ჩემს გვერდით, ტყემალზე, შემოსკუპდა: აზრზე არა ვარო?!

მერე 11 წლის ჩემს შვილიშვილს, ეშმაკის ფეხ დათუნასაც, ვიკადრე — ვაკადრე და ვკითხე ჭკუა. შენ მაინც თუ ხვდები რაზე იცინის აქ ხალხი-მეთქი?

— არაფერზეო! — „ამომწურავად" მიპასუხა.

პოოო... როცა კაცი უმიზეზოდ იცინის, — გავიფიქრე ჩემთვის (ვაი, ჩემს ტვინს), — იქ ვერაა მთლად კარგად საქმე!

მგონი, გერცენს აქვს ნათქვამი: არაფერში ისე არ მჟღავნდება ადამიანის ხასიათი, როგორც იმაში — რაზე იცინისო?

ჰოდა, ვერც მთქმელის და ვერც გამგონის საქმე ვერ ყოფილა კარგად!

თუმცა, დღეს, რუსთაველის მადლსაც გაუჩნდა მატლი. მაგრამ აბა სხვას — „რომელ მსაჯულს ვკითხო სამართალია"?.. ისევ ამ ქართული „ბიბლია"-შეგონებიდან ვიცი, რომ „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი"...

ეს კი „შაირობაზე" უფრო „შარსა" ჰგავს!

— პლასტელინს თუ ჭამ??? — ეკითხებიან ქუჩაში ვიღაც საწყალ კაცს და ისიც ხან თვალს არ უჯერებს, ხან ყურს — რას მეკითხებიან ეს გრანტიჭამიები თუ ქაქიჭამიებიო?

— ჭიპს რატომ არ იხვრიტავ? — ეკითხებიან პატარა გოგონას და არის, ეს გაუთავებელი კლოუნადა... სიცილით ღლაბუცი!

ხალხი იცინის, იცინის და კვდება სიცილით.

---

*მითქვია: წადი და ცოლი ნახე... ნუ ცდილობ მაცდუნო, გამაბრიყვო — სტალინზე რომ აზრი გამოთქვა — სულ ცოტა — ლენინი უნდა იყო!*

მე კი, როგორც ჩანს, ხუმრობა დამავიწყდა, და არ მეცინება, მაგრამ მახსენდება, რა უთხრა კინტომ ბოზ რძალს, რომელმაც ქმარს საყურეების ფული დასტყუა და თანაც „მოკრძალებული" ნებართვაცა თხოვა: შეიძლება ყურები გავიხვრიტოო?..

მამამთილმა ითმინა — ითმინა და ვეღარ მოითმინა:

— ბებიაშენის გასახვრეტი ბაბუაშენს ჰკითხეო!

ეჰ... ჩვენ, მეორე მსოფლიო ომის თაობამ, კარგად ვიცით სიცილის ფასი, მაგრამ იმ მონყენილ დროშიაც ვინ იკადრებდა ასეთ უაზრო სიცილს?..

ეგ კი არა და მონყენილ კაცს, რომ დავინახავდით ქუჩაში, ავედევნებოდი, რაღაც მიზეზს მოვძებნიდით, გამოველაპარაკებოდით და სხვა თუ არაფერი — ახალ თბილისურ ანეკდოტს ვიშიშელებდით და თანამოქალაქეთა დარდს მუსრს ვავლებდით... ასე გაგვაძლებინა სიცილმა იმ დაღერემილ დროში.

...თბილისში, ქუჩებში, რკინის საფოსტო ყურები რომ დაკიდეს, ნიაზამ ვერის ბაზრიდან გამოსულ... ერთ კახელ გლეხს სთხოვა — ცოტა ხანს დამიკავეო და მერე შორიდან ვუცქეროდით სეირს — რა ალალად ეჭირა იმ ალალ კაცს ყუთი, მანამ, სანამ ვიღაც მადლიანმა ხელი არ გააშვებინა და პირდაღებულს არ აჩვენა — როგორ საიმედოდ ეკიდა ეს ყუთი კედელზე და გულითაც რომ სდომოდა ძვრას ვერაბინ უზამდა.

...ჩემი ბიძაშვილი — ცეცხლივით ბიჭი გივი ნიშნიანიძე („ნუზოს" ეძახდნენ) ინგუშურის ცეკვის დროს გასმისას ისეთ ნაპერწკლებს ისროდა, როგორც ასალესი დანა... სალეს ქვაზე!

ხანში შესულმა ყურის ოპერაცია გაიკეთა. საავადმყოფოში ენახე და ეზოდან მესამე სართულზე „გამოველაპარაკე" — გავაშაყირე: პირს ვაღებდი და ხმას არ ვიღებდი...

იფიქრა, სმენა სულ დავკარგეო და სანამ ჭკუასაც დაკარგავდა, სულზე მიეუსწარი — მთელი ხმით ვუყვირე, როგორა ხარ-მეთქი?

კარგად ვარ და თუ კარგად ვიქენი, კარგ დროსაც გაგატარებინებო... დამემუქრა.

...„შტრაფნიკების" — სხვა სკოლიდან გამოყრილი, ანუ ძნელად აღსაზრდელთა მე-8 ვაჟთა სკოლის ამბები ერთ „პლუტროვსკი" რომანს ეყოფა!

კლასის დამრიგებელი, ბატონი ლეონტი ლაპარტყავა... ლეონტი მროველი ნამდვილად არ იყო და თუ ვინმე ჩვენს ნამებაში მის ავტორობას ეჭვის ქვეშ დააყენებს, იმის მონმე მაინც ვართ, რომ ჩვენი ლეონტი, ჩვენმა თაობამ თუ უთაობამ... ნამდვილად ჯვარს აცვა.

ნარმოიდგინეთ ასეთი სურათი: ლეონტი ლაპარტყავა გაკვეთილს ყვება... გიგა ლორთქიფანიძე — ამბავს?!

*ბა ვებრძოდი. კვლავ მოვიდა ხელისუფლებაში. კვლავ გრძელდება ქვეყნის ძარცვა. უზნეობის ლხინი და უსინდისობის გამდიდრება... არადა, რა ახლოს ვიყავით თავისუფლებასთან, სამართლიანობასთან, საქართველოსთან... კოლაბორაციონისტებისა და ათასგვარი კვისლინგების დაბრუნების მელდევად დავკარგეთ ყველაზე ტკბილი კუთხეები — აფხაზეთი, ცხინვალეთი...*

*გაყოყოჩებული კუთხეების თვითმარქვია იმპერიალისტების, მოკლედ, სხვისი ნების მემსრულებლებისაგან. პოლიციური მონებისაგან (ცეკა ხომ ოდითგან მტარვალთა შტაბი იყო) არაფერს კარგს არ მოველი... ამიტომაც ავდექი და წავედი ე. წ. შიდა ემიგრაციაში. ერთი, რაც ცეკას ხალხმა „ოსტატურად „გააკეთა, შექმნა ამაზრზენი ე. წ. ოპოზიცია, რომლის ხელისუფლებაში მოსვლა, მართლაც, ყველაზე დიდი უბედურება იქნებოდა. გამოსავალი მხოლოდ ერთია — თოხი, ბარი, ცული და გაუთავებელი „ოროველა"... იქნებ, მართლაც ეს არის*

— რას ლაპარაკობ შენ, მანდ, ლორთქიფანიძე? — კითხულობს ლეონტი.

— მერე გეტყვი, მასწ... პასუხობს გიგა და თავისას მიერეკება.

...ოთარ ნიშნიანიძემ (საქართველოს საავიაქო სამმართველოს უფროსი იყო) ქუთაისელ კოლეგას საყვედურით უთხრა: მოსკოვის რევიზიამ დანაკლისი რომ გიპოვენათ, სანყობში ნვიმა თუ ჩამომდიოდა, რატომ აქტი არ შეადგინეთო?

არ ვიცოდით, ბატონო, რუსულად „ნვიმა", როგორ იწერებოდა... „მიახკი ზნაკი" უნდოდა თუ არაო?!

— როცა თავსხმა ნვიმაა, მაშინ არ უნდა და როცა ჟინჟლავს... კიო?!.. აუხსნა უფროსმა და საღამოს, ამ უფროს-უმცროსმა, როგორც ნესია, გული, გოგისვანიძეების რესტორანში, პაციფისტურ ხალხურ-იუმორისტულ სპექტაკლ-ბუფონადას — „ჭიპილიას მარშს" გადააყოლეს.

რომელი ერთი!.. იხილეთ „პაემანი ვერაზე"!

*ეს იყო ნამდვილი სპექტაკლი – არც როკ-ენ-როლის და არც ტვისტის...*

*თბილისის – „მხიარული სახლის" ვარიაციები – პროლოგი „ოლივერ ტვისტის".*

*მესამედ რომ შემოჰკრეს ზარი – ჩვენ ასეთ სპექტაკლს დაეესწარით. იმ თბილისს სულზე მიეუსწარით... ამ მლაპარს ცხადად შეეესწარით.*

...დღევანდელ „სპექტაკლს" ახლანდელ იუმორს კი, არც კი ვიცით რა დავარქვათ — შოუ თუ შავი..! რაღაც მაიმუნის გაადამიანებასა თუ ადამიანის — გამაიმუნებას ჰგავს!

სულხან-საბა გვმოძღვრავს: „განყოფანი სიცილთანი ესე არს" და ჩამოთვლის: „ბაგეთა ოდენ შეეტყობოდეს", „მდაბალი", „კაშკაში", „კასკასი", „რახრახი" (უშვერი), „თქარ-თქარი", „ღინცილი" („მინყივ უნესო), „ფრუსტუნი"...

...„ფარული კამერის" მესვეურებო, იქნებ კეთილ ინებოთ და გვიბრძანოთ, თქვენს სიცილს რაღა დავარქვათ?

გოგოლის „რევიზორში" პუშკინმაც კი ვერ იცნო მთავარი მოქმედი გმირი — სიცილი! ჩემდათავად კი ამ „ტრაგედიას უგმიროდ" ჯერჯერობით ამ ერთი სტროფით დავუდგამ ძეგლს:

*ლხინში-ჭირი გვჭირს...*
*ჭირ-ლხინში, ვიცინით კუდის ქიცინით:*
*სასაცილოზე — ვტირივართ*
*და სატირალზე — ვიცინით?!..*

* * *

რიყეში, დავით სარაჯიშვილის ძეგლს (გაიხსნა 2002 ნლის 27 დეკემბერს) ერთადერთი სიტყვა მოვუძებნეთ: „მადლიერება!"

ეს სიტყვა „ნუთისოფლისა" არ იყოს — ყველაფერს იტევს და ინონის — „მადლიერება": „მადლი" და „ერი"!!!

1911 ნელს, როცა მადლიერი ქართველი ერი მარადისობაში მიაცილებდა საქართველოს ამ ჭეშმარიტ ჭირისუფალს, გაზეთები ნერდნენ: დავით სარაჯიშვილის სახელი საუკუნე იცოცხლებსო!

შეცდა ქართული პრესა... საბედნიეროდ! — დავით სარაჯიშვილის სახელმა, სნორედ, საუკუნის შემდეგ მეორე სიცოცხლე დაინყო! მეორე სიცოცხლესთან კი სიკვდილს რა ხელი აქვს!

დავითის უახლოესმა მეგობარმა დიდმა ილიამ ბრძანა: „ყველა კაცმა რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რისი შემძლეც არის, ქვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქნებიანო".

დავით სარაჯიშვილი სწორედ ის კაცია, რომელმაც ერს ჭეშმარიტი ერისკაცობის მაგალითი მისცა, რაც ნოე ჟორდანიამ ასეთი სიტყვიერი პორტრეტით დაუტოვა ისტორიას: „შეაერთეთ ქართული გულკეთილობა — ევროპულ საქმიანობასთან და მიიღებთ დავით სარაჯიშვილს!"

* * *

„ვარდებისა" თუ „უეკლო" რევოლუციის დროს, ერთი მეგრელი პროკლამაციის გაკვრისას დაუჭერიათ.

დიდხანს უტრიალებიათ ხელში ცარიელი ქაღალდი და ვერცერთ გვერდზე ვერცერთი სიტყვა რომ ვერ უპოვიათ, უკითხავთ: ცარიელი ქაღალდი რა არის? რატომ არაფერი წერიაო?

— ხომ იცით, რაც უნდა ენეროსო, — უპასუხია პროკლამაციის გამკვრელს.

ეს ანეკდოტი გამახსენდა, როცა საგაზეთო ჯიხურში მასობრივი კომუნიკაციის „ჯერ არ ნახულ", „ჯერ არ გაგონილ" სხვა უთვალავ საშუალებებთან, ანუ სხვა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ჟურნალ-გაზეთებთან ერთად, თვალი მოვკარი ყოველგვარი კონსპირაციისა და იატაკქვეშეთის გარეშე, ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე გამოფენილ... რას, თუ იცით? — არც მეტი, არც ნაკლები — „პროკლამაციას"!... დიახ, დიახ პროკლამაციას, რომლის თავფურცელზე, ძველ რევოლუციურ ლოზუნგს — „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით" (რაც მეგრულად დაახლოებით ასე ჟღერდა: „გოლილატირეფ, არძა ქიანაში ეკუ ჭუჭკუტითი!) ცვლის ახალი სლოგანი: „ყველაზე მწვავე გაზეთი — 10 თეთრად!"

როგორია?

...თეთრად გაგათენებინებს და შავად გაგითენებს!

მაგალითად, როგორ გინდა, ამოხსნა რებუსი — „ვინ არიან?" რომელიც ახურებს და, რომლითაც ეს გაზეთი იხურება: პირველმა მოიყვანა მეორე, მეორემ გააბრიყვა პირველი, პირველი კვლავ აქებს მეორეს, საქმეა გასაკვირველი... გვჭირდება, ამგვარი მეორე? გვჭირდება, ამგვარი პირველი? ქვეყანას სჭირდება მესამე, რომელიც გახდება პირველი!

რას არ გაიგებ კაცი... ასე ხმამაღლა საკითხავი პროკლამაცია ვის გაუგია!

*საქართველო?"*

*„ახავალ-დახავალი", 2001.*

***P.S.*** *ჯანსუღის ცნობილი სიტყვებისა არ იყოს: „საქართველოს ვინ მისცა შვილი დასაკარგავი?" თანაც მამასახლისები? ჯვარი წერის მამასახლისს და საქართველოს მართლაც ვინ მისცა დასაკარგავად ასეთი ჟურნალისტები: ჩვენ დიდხანს ვეწეოდით ერთად ქაპანს და დღესაც ამ ქაპანწყვეტაში ვართ!*

*<u>დათო მაღრაძე</u>*

*პოეტი. პარლამენტარი:*

*საქართველო იმ ავადმყოფ დედას მაგონებს, რომელსაც წამალი სჭირდება და მის ნაცვლად პუდრს და მოსართავები მოაქვთ, რომ სხვის თვალში კარგად გამოიყურებოდეს.*

*„ახალი 7 დღე", 2000.*

***P.S.*** *ლექსპრომტად!*

*იყოს, რაც არი...*
*რა — როგორც არი...*
*არი-არც არი...*
*თვალში ნაცარი!*

*<u>მამა როსტომი (ლორთქიფანიძე):</u>*

*ეს ხელისუფლება კი არა, ქუჩის ბიჭების „ზზრიდის".*

*„ახალი თაობა" 2000.09.*

ამიტომაც არის, უკვე ველარ არჩევ ტყუილსა და მართალს და არცერთ ყურში აღარ უშვებ ყურში არშესაშვებს.

არადა, ამდენმა ნაყრუებამაც ლამისაა სულ დაგვაყრუოს!

* * *

ქუთაისის მილიციას, პოლიციას (თუ... რა ვიცი, რა ერქვა არგონავტების დროში სამართალდამცავ ორგანოებს) დღესაც ბოლომდე გაუხსნელ საქმეებში აწერია ოქროს საწმისის გატაცების ამბავი...

ამის შემდეგ ასეთ ფაქტსაც ჰქონდა ადგილი: ერთ დროს, სავარდო და სამაისო ქუთაისში, ვიღაც სახლს ხურავდა და მეთუნუქის ხის ჩაქუჩის ბრახაბრუხით ცაზე გამოკერებულ შეშინებულ ყვავს ხორცკომბინატის სასაკლაოდან დათრეული ცხვრის თავი გავარდნია პირიდან და ხელოსანი ფეხოსნად უქცევია — გადმოუგდია სახურავიდან და ფეხი მოუტეხია!

ესე იგი ყვავს რომ კაკალი გააგდებინო პირიდან!.. ყოველთვის როდია კარგი... მით უფრო, თუ ამხელა ვერძის თავი მოგხვდება თავში... რა ჭკუაზე დადგები!..

ახლახანს ქუთაისში, განახლების ქუჩაზე, არწივიც ჩამოვარდა. გარეული ფრინველი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დღის 14.00 საათზე შენიშნეს, ფრინველი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და 3 საათის შემდეგ გარდაიცვალა. განახლების ქუჩის მცხოვრებნი პანიკამ მოიცვა და ამ ფაქტის შესახებ ცხელი ხაზის საშუალებით დაუყოვნებლივ შეატყობინეს „ფრინველის გრიპთან" ბრძოლის ქუთაისის შტაბს. ლაბორატორიული გამოკვლევის შემდეგ, არწივის სიკვდილის მიზეზად ლეიკემია დასახელდა.

ინტერპრესნიუსი

P.S. კიდევ კარგი, ქათმის გრიპი არ აღმოჩნდა (რომლითაც, ინტერნეტში, მეორე მსოფლიო ომივით გვაშინებენ!), თორემ თავი წინილივით „მოექრებოდა" ფრინველთა მეფეს! გაიხსენეთ ერთი ქუთათური (ბანტიან გიტარაზე დასამღერებელი) სიმღერა: „მოხდება ხოლმე ხანდახან, არწივი მიწას დავარდეს, მაგრამ ქათამი ვერასდროს ცაში ვერ შეინავარდებს!" აბა, როგორ!

## ქალ-კაციანი!

ცოლ-ქმრობა არის ტოლობა... ტოლობა არის სწორობა...
ორი სიცოცხლის ერთობა... ერთი სიცოცხლის — ორობა!
თუმცა, იღბალიც არის და არსებობს ბედი ძაღლისიც,
ზოგის ბედს ძაღლიც არ დაყეფს, არსებობს გამონაკლისიც...
ცოლ-ქმრობის მძიმე უღელი, არ იზომება შორითა:
ცოლი — აწონე ქმრითა და ქმარი — აწონე ცოლითა!
ქალს თუ შეხედავ შორიდან: რას ჭამს, რა სვამს, რა აცვია? —
ერთსაც ვერ იცნობ ორიდან: ქალის საზომი — კაცია!
თუ გინდა, კაცი იცნო და მისი ალია-ბალია,
ერთი რამ უნდა იცოდე: კაცის სასწორიც — ქალია!

---

*კოლეგას!*
*ვინა თქვა: მკითხველს — მწერალი სხვა რა სიდიდით ცნობია?..*
*და მე თუ მკითხავ: შენს მკითხველს — ჩემი მკითხველი ჯობია!*

* * *

ნეტაი იმ დროს, როცა თბილისში ქუჩები მღეროდნენ. იქნებ არც ემღერებოდათ, მაგრამ მაინც... გაგანია ომის დროსაც მღეროდნენ.

გიზო ნიშნიანიძე, ფუსო კაკაბაძე, ომან ომანიძე... აი, ჩვენი ტრიო!

თბილისის სადარბაზოები. აი, ჩვენი სცენა და დარბაზი!

„გალავინსკზე" ერთი ანტიკვარული სახლის სადარბაზო ამოვირჩიეთ, თავისი მარმარილოს იატაკზე ნარნერილი სალამ-ქალამ — „სალვეთი" და ყრუ კედლებით, რომელთაც ზღაპრული ბანრეზონანსი ჰქონდათ და დღემდე ვერ გამიგია, რატომ ეძახდნენ „ყრუს"?

ამოვიჩემეთ ეს ადგილი და იყო „შაშვი-კაკაბის" გაუთავებელი ორთაბრძოლა.

ბოლოს, ერთმა დედაბერმა, რომელსაც სიმღერა არა, მარა, ნნევა ანუხებდა... დაგვეიფრინა.

სადარბაზოების მეტი რა იყო... ჩვენც ავიღეთ და ცოტა ლაღიძის წყლებისკენ ანუ კონსერვატორიისაკენ ჩავიჩოჩეთ... იმ ქალბატონს კი, თეალში რომ მოვაკლდით, კიდევ უფრო ასნევია ნნევა, ვაი თუ ბიჭები ომში წაიყვანეს და დღემდე არ დაბრუნებულანო!

ერთხელ, ფანჯრიდან დაგვეინაბა და სიხარულით ცას ენია: სად ხართ, ბიჭებო, მომენატრეთო?!

ჰოდა, ჩვენც ისევ დავაგუგუნეთ სიმღერა. უჩვენობით დაყრუებულ სადარბაზოში.

არადა... სიმღერასაც ჰყოლია მტერი თუ მოყვარე.

უფრო ადრინდელი, უხსენებელი ან ავად სახსენებელი, ის ჩემის 37-იანი ნლები გამახსენდა! ვდგავართ „ზემელზე" ბიჭები და ვმღერით: „სალამი ჩიტუნებო — შვილნო სიყვარულისა"... დაგვადგა თავზე ვიღაც ძეირფას გალიბანდიანი, თავგასივებული კაცი, რომელსაც ვეებერთელა თავი (კისრის გარეშე) პირდაპირ მხრებზე ედგა და სახე კრემლის კურანტებივით ნითლად ულაჟღაჟებდა...

— გააგრძელეთ, გააგრძელეთო, — კაი დირიჟორივით აგვიქნია ხელი სიმღერაზე და ჩვენც კიდევ უფრო ომახიანად შემოვძახეთ:

„...გულჭრელო ყვავილებო, კეკლუც გაზაფხულისა"...

სიმღერა ჩამთავრებული არ გვქონდა, რომ გვიღრიალა, მარა რა გვიღრიალა! — თუ იცით, რას მღერიხართ, თქვენ მამაძაღლებო... ეს მენშევიკების სიმღერააო და გაგვცხო და გამოგვცხო...

მენშევიკებზე გაბრაზებულმა ბოლშევიკმა

P.S. ან პრეზიდენტმა უნდა შეცვალოს პოლიტიკა, ან პოლიტიკამ – პრეზიდენტი!

სუპერსენსორი სუსანა ქ-ნი სააკიანი გვაფრთხილებს, რომ „მთავრობის ლანძღვა-გინება სხვადასხვა დაავადებას იწვევს". გამოდის, რომ ეს მოურჩენელი ჭირია და როგორც ამ დიაგნოზს ხალხური სიბრძნეც ადასტურებს, „მიჩვეული ჭირი სჯობს — მოუჩვეველ ლხინს" ჰოდა, სხვა რა გზაა? ჩვენც მივეჩვიოთ ამ ჭირს და ლხინად ჩავთვალოთ!

<u>ნატა გელოვანი</u>
ფსიქოთერაპევტი:

ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, შემიძლია გითხრათ, რომ ქალების 80%-ს ქმარი არ უყვარს... ქალი არის კაცის მონაპოვარი, ე. ი. გარკვეულ პერიოდში ის ქმრის მონადეც უნდა იქცეს და თუ ამას შეძლებს, ბედნიერი იქნება.

„ხარკე"

P.S. „მონა-პოვარი"!.. თვითონ სიტყვაც გვიკარნახებს: მონა და „პოვარი!"

<u>ქართლის კასრაძე</u>

„კაგებეშნიკმა“ ასე იყარა ჩვენზე... მათი ჯავრი!

დიახ, ასე მოხდა ჩვენი პირველი შეხვედრა ბოლშევიზმთან და, ალბათ, გულზე გავსკდებოდით, რომ ოთარ მგელაძეს მაშინვე არ ეყარა ჯავრი ოქტომბრის რევოლუციაზე?!

პლეტიო! — იყვირა და თავქუდმოგლეჯილებმა თავქუდმოგლეჯით მოვუსვით ისე, რომ არც გვიკითხავს — რატომ გავრბოდით ან სად გავრბოდით?..

უკან მოვიხედე და რას ვხედავ: ჩვენი „გამპატიოსნებელიც“ თავქუდმოგლეჯით მოგვდევდა, მაგრამ ამ შემთხვევაში სიტყვა „თავქუდმოგლეჯით“ არ უნდა გავიგოთ, როგორც იდიომი, რადგან იმ ლიპიანის ძვირფას კრაველის ქუდს, როგორც დიდი ომის ნადავლს, ოთარა მგელაძე მიაქროლებდა „გემოში“ გირაოდ დასატოვებლად და გემოზე საქეიფოდ!

ცოდვა გამჟღავნებული სჯობიაო.

ასე იყოს ეს.

P.S. სხვათა შორის, ქუჩებში სიმღერაც ბოლშევიკებმა აკრძალეს...

* * *

დიდიან-პატარიანად, ვინ აღარ დადის კუს ტბაზე... რაზე? რაზე და ცაზე გამოსაკერებლად!.. „ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?..“ ჰეი, ვინ მიდის მანდ მიმავალში?..

სვანური კოშკი კი დგას ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებელივით და განკარგულებებს იძლევა: ჯანმრთელობისაკენ, ნაბიჯით... იარ!.. და ჩვენც — ვინ სირბილით, ვინ — კუს ნაბიჯით, ვტრიალებთ ამ სიცოცხლის ნრეში და ნრეგადასულ ფიქრებში!..

რა ჯურის ხალხს არ ნახავ კუს ტბაზე — მზეთუნახავებს, მზით დამნვარ-დადაგულებს, საკუთარ თავში შეყვარებულებს, თავმოძულებულებსაც... მათ შორის ერთი ასეთი იშვიათი ეგზემპლარი — მარტოსული კაკო ჯაფარაშვილია, ნიგნით ხელში, ზამთარ-ზაფხულ, შიშველტიტველი რომ დაეხეტება კაკლებში, ბულბულების ჭალაში, უძოზე გაყინულ ტბას შუბლით ამტვრევს და ნებივრობს ბუნებაში ბუნების ეს ნებიერა, ქალაქისგან გარიყული და თრიალეთის მთების შვილობილი — საკუთარ ქალაქში ვერსად რომ ვერ უპოვია ჭკუა და საკუთარ სახლში — თავშესაფარი!!!

ჯიბით დააქვს თავისი საგზალი: ყველი-პური — კეთილი გული... ეს უტყუარი და გატყიურებული კაცი, კაი კაკლის ხის ბუფეტივით, ერთი კაკლის ხის ფუღუროში ინახავს კუჭის მოსატყუებელ ლუკმას და იმასაც თუ ჩიტები, ტურები ან მგლები შეუჭამენ, არც ამაზე ჩაიდებს გულში მათ ნყენას..

მოკლედ, რაღა კუსა და რაღა კუდიგორის მთა... რაღა ბლაჭიაშვილი და რაღა ჯაფარაშვილი. ესეც კაკო — ისიც კაკო... ის — კაკო ყაჩაღია ეს — კაკო ყოჩაღი... ის — ბატონის სამართალს გაექცა, ეს — გაბატონებულ უსამართლობას.

თუ ილია მართალმა იმაზე პოემა დანერა — რა მოხდა, მე ამაზე ორიოდე თბილი სიტყვა ვთქვა!... ვფიქრობ გუნებაში.

---

*მორბენალ სტრიქონს!*

*ესემესებო. თქვენი კვნესამე! იმის მაგიერად – საქმეს მწყემსავდეთ...*

*ცუდს არ მკიდეთ და კარგსა თესავდეთ... ასე მგონია – ენას ლესავდეთ!*

— დღე და ღამე ამ ტყე-ღრეში რომ დაბორია-ლობ, ბიჭო, მგლისა მაინც არ გეშინია? — ჰკითხა ერთხელ თვითონ უშიშარმა „ვითარცა უხორცომ", როლანდ ბეგიაშვილმა (აბა, ერთი, ისიც არი!).

— ერთი მგელსაცა ვკითხოთ — იმას ჩემი ეშ-ინია?.. მგელი მგლის ტყავს არ დახევს... თქვა მამა აბრამის ბატკანივით კაცმა და სვანური კოშკისაკ-ენ შეუყვა აღმართს.

...ჰოდა, ის დილაც, იანვრისათვის უჩვეულოდ მზიანი გამოდგა.

ცხრათვალა მზეს 9 კაცი ძლივს შეეგროვებინა კუს ტბაზე... ჯაფარაშვილი რომ ჯაფარაშვილია ისიც კი არსად ჩანდა, მაგრამ მთიდან მისი ამბავი, ერთი, მასავით მომარკოპოლო და ლექსის წერაში ჩემსავით ეჭვმიტანილმა კაცმა — მერაბ ჩხიკვაძემ, უკვდავების წყაროს წყალთან ერთად ჩამომიტანა... თანაც შავით თეთრზე... ჯერ კიდევ დაუწერელი, მაგრამ თითქმის დასრულებული ნოველის სახით!

— მამაზეციერის მისაღებში, — მთებში ვიყავი და ლამის ღმერთი ვიხილე! — თქვა მან და იქეთ გაიხედა, საიდანაც მოდიოდა.

სვანური კოშკიდან შექსპირის სონეტების ხმა ისმოდა... გესმის, კაცო! ტყეში, დღისით-მზისით დანიის პრინცის პოზაში იდგა, არც მეტი არც ნაკ-ლები, ეს ჩვენი ტყის კაცი — კაკო ჯაფარაშვილი, და ზამთრის პირს შემორჩენილი ფოთლების ტაშის გრიალში, ჰამლეტის „ყოფნა-არყოფნასავით" კითხულობდა მონოლოგს...

წიგნი რომ ადამიანის მეგობარია, ვის არ გაუგია, მაგრამ მეგობრობაც არის და მეგობრობაც...

ჭალის მგელივით მარტო უყვარს ტყეში სიარუ-ლი.

ესაა მარტოობა?

— ჩვენთან ღლაბუცს შექსპირთან სიარული ურჩევნია, — გაეცინა ამბის მომტანს, — მოკლედ, ძმაო, ერთი მსახიობის საოცარი სპექტაკლი ვნახე...

— შექსპირს შაქარი — ტარიელ ჭანტურიას „ტია-ტიასავით" წავუკალამბურე... ეს კუს ტბის კიდევ ერთი ნოველაა... დაწერ თუ დავწერო?..

— დაწერე, — სულგრძელად გადმომილოცა საავტორო უფლება თანამოსაუბრემ, — მე, უკვე, ვნახე ეს სურათი... ახლა, შენი თვალითაც შევხე-დავ!

P.S. ...ვის აღარ ნახავთ სამოთხის ამ ნაგლეჯში და რას არ მოკრავთ აქ ყურს... რას არ გაიგებთ?

კუს ტბაზე, ბაყაყების „პარლამენტის" ყიყინში, ირჩევა ქვეყნის ავ-კარგი და პატარა ლუკადან — გიზო ბაბუამდე... უასაკო მეგობრობის ყანა... თუ არა — ბალახი მაინც ბიბინებს!

კონფერანსიე, მწ-ერალი, პაროდისტ-მსახიობი:

პუგაჩოვა იღებს 32000 დოლარს ერთ კონცერტში, ნანი ბრეგვაძე — 12 ლარს, მე — ბებია-ჩემისას.

„კვირის პალი-ტრა", 2000.09.

პარლამენტარები — დუმილის ბიჭები!

<u>ანზორ ბალუაშ-ვილი</u>, გენერალური პროკურორის პირველი მოადგი-ლე:

სასწრაფოდ უნდა აღდგეს პროკურა-ტურის ავტორიტეტი, რისთვისაც მიმაჩ-ნია, რომ ამ ორგა-ნოში მომუშავე ყვე-ლა პირი ძაღლის კბილივით თეთრი და გამჭვირვალე უნდა იყოს...

„დილის გაზეთი", 2000.

**P.S.** „ძაღლის კბილი", „ძაღლის თავივით"... საშიში ეპითეტია.

ზვიად გამსახურდი-ას ვაჟის, კოკა გამ-სახურდიას დედა დალი ლოლუა:

— 1984 წლის მაი-სიდან, მას შემდეგ, რაც იმავე წლის თებერვლის თვეში გარეწრებმა მერაბ კოსტავა დააპა-ტიმრეს, იერიში

* * *

გუშინ ნათლისღების დღე იყო — 19 იანვარი!

გუშინ გავასვენეთ და დავასვენეთ მორისკა ყიფიანი — ჩვენი თაობის კაცი — ცნობილი ექიმი, რომელსაც, ვინ მოთვლის, რამდენი ჭირი უქცევია ლხინად. მის იმედად იყო ჩვენი ყელი, ყური, ცხვირი... ლარინგოლოგიის იქეთ კი — თავი, გული, თვალი... დიახ, თვალის გამსწორებელი, ხელის გამმართველი, გულთან მიმტანი, თავისთავადი კაცი იყო და ასეთ ლხინისუფალს... ჭირისუფალი დააკლდებოდა? ...ვერა, XXI საუკუნეშიც ვერ ჩაურაზა სიცოცხლემ სიკვდილს კარი და სამგლოვიარო პროცესიით გადაკეტილ ქუჩაზე ძლივს გააღწია წითელნომრიანმა დიპლომატურმა ჯიპმა, რომლის პატრონის შუბლზე ასულ თვალებში აშკარად იკითხებოდა გლობალიზაციის ზვავით აგორებული აზრი: რა უფლება აქვს სიკვდილს — სიცოცხლეს გზა გადაუღობოსო?

...ჩვენს საუკუნეში, ერთხელ და სამუდამოდ, გულზე ხელდაკრეფილი კაცი კი ინვა კუბოში და წუთისოფლიდან მარადიულ სოფელში გამცილებლებს სამარისებური დუმილით ემშვიდობებოდა.

— რამდენადაც ბედნიერი ვიყავი — იმდენად უბედური ვარ, — მოგვატირა მისმა მეუღლემ.

...„ყიფი" საბას განმარტებით „ამაყს" ნიშნავს.

სიამაყე არ აკლდა, მაგრამ ყიფიანებში ასეთი ტკბილი და უწყინარი კაცი მეორე არ მეგულება.

აღსავლის კარივით, კიდევ ერთხელ, საკურთხევლივით გაიღო საბურთალოს სასაფლაოს ალაყაფი და კიდევ ერთხელ ჩავუარეთ მდუმარე საფლავებს, რომელთა დუმილი სულაც არ მგონია ბედთან შეგუებისა და თანხმობის ნიშანი.

...აგერ, თეთრი გედის მოტეხილი ფრთა — საფლავი — მშვენიერი ეთერ ჭაბუკიანისა... ამ ერთი ეთერისთვის რამდენი „აბესალომი" ინვოდა...

აგერ, იგავმიუწვდომელი ჯადოსნური სალამური — ჰამლეტ გონაშვილი — „იყო შაშვი მგალობელი"... რამდენ ყოფნა-არყოფნას უგალობეს სულთათანა მისმა საგალობლებმა...

რა დამავიწყებს მის მაყრობას ჩემს ქორწილში და მის ურმულს ჩემს საურმულეთში...

...აგერ, ჩვენი პახომ ნაკაიძე — „მაღლივმშენის" „დავით აღმაშენებელი" და თვითონ მაღლივნაშენი კაცი!

რა საფლავი იტევს ამ მთასავით კაცს!

...აგერ, ბიძაჩემის — აკაკი ნიშნიანიძის საგვარეულო საფლავი...

..აგერ, სიცოცხლით გაუმაძღარი, გადარეული ბადრი პატარაია!

რომელი ერთი?..

ოთარა მგელაძე... სიკვდილსაც დავიწყებიხარ... მე კი შენს თავს რა დამავიწყებს!

შენ დღესაც 39 წლისა ხარ, მე კი უკვე, ორი შენი ხნის!

თუმცა, როგორც სიყვარულს, მეგობრობასაც ასაკი არა აქვს... დღემდე სწორედ ამ „უასაკო" მეგობრობას მივტირი თუ მივცინი...

---

*ადამიანებს შორის ერთადერთ უპირატესობას ვცნობ — სიყვარულის ნიჭს!*

*ბეწვზე კკიდიადან — ფეხზე მკიდიამდე.*
*ამ პოტენციიდან — იმ პოტენციამდე!*
*იცი, რა ბიჭია?.. — ერთი არასწორი ნაბიჯია!*

...ცრემლის ალი უკიდია სანთელს და უკუნეთს ადგამს სევდის ნათელს. ღმერთო, ღმერთო, შეისმინე ლოცვა — წუთისოფელს შენ გავედრებს, როცა... შორი გზიდან მომავალი კაცი (მისი ნლების აურაცხელ განძით)... ებარება მის ღმერთსა და მინას — მინა იყო და მინადვე იქცა!..

აირია ფიქრები ფიფქების კორიანტელში...

...მორისკა ყიფიანს ვაბარებთ დღეს მინას, სადაც მართალნი განისვენებენ.

მერე მივდივართ ჭირის სუფრაზე, ჭიქას ავნევთ, შესანდობარს დავლევთ (თუმცა, არც კი ვიცი, რა ჭირდა შესანდობარი ამ ანგელოზ კაცს) და ჩვენ-ჩვენს სახლებში ნავალ-ნამოვალთ.

საქართველოში ლხინისუფლობაზე უფრო ჭირისუფლობა იციან!

ესეც ჩვენი ბედისნერაა!

* * *

2006 ნლის 5 იანვარს, „კვირის პალიტრის" მიერ ჩატარებულ 2000 ნლის გზავნილების გახსნის ცერემონიალს, 9-15 იანვრის ნომერში მოჰყვა სახალხო პროექტის — („ნერილები მომავალს") პირველი „დაჭაშნიკება", რომლის ფრაგმენტს აქვე გთავაზობთ!

„კვირის პალიტრის" სახალხო პროექტი, „ნერილები მომავალს", უკვე 5 ნლის გახდა და ჩვენც მეორედ (გზავნილების პირველი ნანილი 2002 ნლის დასანყისში გაიხსნა) შევიკრიბეთ სახელმნიფო არქივში იმ ნერილების ამოსაღებად,რომლებიც 2006 ნლის დასანყისში უნდა მიეღოთ ადრესატებს (ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ეს პროექტი 100 ნელს გასტანს და მომავლის ნერილებიც შესაბამისად 2010, 2025, 2050 და 2100 ნლების ბოლოსაც გაიხსნება).

მართლაც, გრანდიოზული ჩანაფიქრი იყო ნერილების გაგზავნა მომავალში. „კვირის პალიტრის" თანამშრომლის, გოჩა ტყეშელაშვილის მშვენიერ იდეას საქართველოს ბევრი მოქალაქე გამოეხმაურა. დღესაც, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ჩვენი სტუმრები.

გიზო ნიშნიანიძე (მნერალი): — ბრძენმა თქვა, მომავალი ჯერ არ დამდგარა, ნარსული უკვე ნასულია. ჩვენი არის მხოლოდ ანმყო. უნდა შევძლოთ და ანმყო ნარსულთანაც და მომავალთანაც დავაკავშიროთ. სნორედ ეს გააკეთეთ თქვენ, „პალიტრელებო". ნარსულის გარეშე მომავალი არ არსებობს. ჩემს ნიგნში „პაემანი ვერაზე" მეც ეს ჩავიფიქრე! ესეც ერთგვარი ნერილი იყო, მომავალში გაგზავნილი ნერილი. ჩვენ ასე ვიცხოვრეთ. ახლა

*კოკოზე მიიტანეს. ყველაზე მოხერხებული სამიზნე ამ დროს ოჯახი და შვილები არიან! სწორედ ამ ნაცად „ჯოჯოხეთურ მანქანას" შეეწირა ჯერ — ირაკლი, შემდეგ კი კოკოს ჯერიც დადგა. დამსჯელ ოპერაციაში მონაწილეობდა მთავრობის ერთ-ერთი წევრი, რომელიც დღესაც დიდ თანამდებობას ფლობს, აგრეთვე, უშიშროების კომიტეტი და სამხედრო კომისარიატი, მაგრამ, ღვთის წყალობით, გარეწრებმა ვერ მოახერხეს კოკოს გაგზავნა ავღანეთის სასაკლაოზე, რადგან მის დასაცავად ადგა საქართველოს ინტელიგენცია — ექიმები და პაციენტები, კეთილსინდისიერი მთავრობის წევრები — ქალბატონი ვიქტორია სირაძის სახით"*

*„ახალ-დახალი", 2000 წ. 25-09.1.10.*

**P.S.** *ისტორია, ადრე თუ გვიან, არავის არაფერს დაუკარგავს. მეც ქედს ვიხრი იმ ბინძურ დროში, ამ შ ე ს ა ნ ი შ ნ ა ვ ი ქართველი ქალის წინაშე.*

*ბოროტი საქმე კი, როგორც ტრაგედიის*

ვნერ წიგნს, რომლის მეორე სათაური იქნება „რეპორტაჟი ხანშიშესული კაცის დღემდე გაუმხელელი ფიქრებიდან". ჩემი ხნის ხალხი უკვე, ნეკროლოგებშიც იშვიათად ხვდება. სიკვდილსაც დავეწყებივართ...

„კვირის პალიტრის" პროექტში მონაწილე თითოეული წერილის შინაარსი მაინტერესებს. ბარათს XXI კი არა, XXII საუკუნეშიც სიამოვნებითა და დიდი ინტერესით გავაგზავნიდი, რომ შეიძლებოდეს. დიდი მადლობა ამ შესანიშნავი პროექტისთვის.

## ახლა, რამდენიმე ნიმუში მომავლის წერილებიდან!

ქართველ ერს!

მე, ნუკრი ალექსის ძე დობაძიშვილი, სისხლით და ხორცით, სულით და გულით ქართველი, მივესალმები ახალი საუკუნის საქართველოს, მის მკვიდრ მოსახლეობას — ჩემს ქართველებს!

ხალხო, ჩემო ჯიშო და ჯილაგო, გლოცავთ, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულმა მძიმე ფურცლები ჩაწერა მრავალტანჯული საქართველოს ისტორიაში. უშუალო მონაწილე ვარ აფხაზეთის ტრაგედიისა — ლაპარაკიც და მოგონებაც ძალიან მტკივნეულია!

დანაკარგი აუნაზღაურებელია, ერის გენოფონდი საფრთხის წინაშეა, მაპატიეთ, მაგრამ გული მტკივა, რომ სატრაბახო და საამაყო აღარაფერი გვაქვს ქართველებს. 39 წელი შემისრულდა დეკემბრის 15-ში, არაფერი არ მიხარია, მაგრამ...

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, განირჯა არ უწერია. ქართველი ამაყად იტყვის — მე ქართველი ვარ!!! 21-ე საუკუნეში, ვფიქრობ, აღარ იქნება ცრემლი, ტკივილი და დარდი. ეს ღვთის ნებაა! ღმერთმა დაგლოცოთ, ქართველებო, გემუდარებით, გიყვარდეთ ერთმანეთი!

*ყველაზე მრავალშვილიან ქართველ დედას*

ღმერთმა უმრავლოს ჩვენს სამშობლოს მრავალშვილიანი ოჯახები და თქვენისთანა დედები!

„ქალი — სუსტია, დედაა — ძლიერი"

პატივისცემით — თეონა თოდუა

P.S. ერთ პოემად ღირს ეს ერთი სიტყვა, რომელიც სტროფად ვაქციე.

ეს ანდაზაა თუ ფიანდაზა, დედააზრია აქ მშვენიერი,
იხილე ქართველის დედის იერი: „ქალი – სუსტია, დედა – ძლიერი!"

* * *

წამო, შეჩერდი!

დღეს 2006 წლის 5 იანვარია და მიწვეული ვარ გაზეთ „კვირის პალიტრის" ახალი პროექტის პრეზენტაციაზე, რომელიც მაგონებს ერთ ადრინდელ რუბრიკას, სათაურით: „ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?"

კაცობრიობა რომ არ დაბერდეს —

პეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან? — კითხულობდა და წერდა ადრე ჩემი სახლიკაცი შოთა ნიშნიანიძე.

სწორედ ეს „ქუდი" დაახურეს მაშინ ამ თემას და დაიხურა, კიდეც!

2000 წელს, გაზეთმა „კვირის პალიტრამ" (რომლის 10 წლისთავზე სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში", გაზეთის საპატიო მკითხველად გამომაცხადეს, მთელი წლის „კვირის პალიტრით" დამაჯილდოვეს და დღემდე „თავის ფეხით" მომდის) წამოიწყო ახალი პროექტი — „წერილები მომავალს!"

...და წამოვიდა ზღვა მასალა.

...და აივსო „კვირის პალიტრის" საგანგებოდ, ანტიკვარულად მოსირმული ზანდუკები, ზარდახშები თუ სკივრები, რომლებიც, შეუვალი საარქივო წესითა და რიგით საიმედოდ ინახება „ერის მეხსიერებაში — ჩვენს „მატენადარანში", ანუ მთავარი საარქივო სამმართველოს საცავებში!

წინა ღამეს „რუსთავი 2"-მა მცირე ინტერვიუ მოაწყო ჩემთან.

ნათქვამია მოხუცები კარგ რჩევებს იმიტომ იძლევიან, რომ ცუდის მიცემა აღარ შეუძლიათო...

„კვირის პალიტრის" ჩანაფიქრი მომეწონა და კერძო წერილების კითხვის უხერხულობის დასაძლევად, ვურჩიე (ავტორებთან და ადრესატებთან შეთანხმებით), რაიმე ჟურნალისტური ხერხი ეხმარათ, რომ ამ „ხერხს" ფართო მკითხველისთვისაც მიეცა საშუალება, რომ პირადობისთვის „განწირული" ეს ჩანაფიქრი საჯაროობად ექციათ!

...ეს გადაცემა მეორე დღის დილის 9 საათსა და 30 წუთზე იყო დანიშნული და, რადგან ცოლ-ქმრის ჩხუბი ზოგს მართალი ჰგონია და თან დიდ საბაბსაც არ ეძებს, იმ საღამოს მეც, კაი „მესიჯივით" (სულ ვეძებდი ამ გაპრანჭული სიტყვის გამოყენების შანსს და ა, ბატონო!) ჩემს მეუღლეს წერილი დავუტოვე: „ხვალ 9 საათზე და 30 წუთზე გამაღვიძე"-მეთქი!

მეორე დილით... 11 საათზე საწოლთან მისი წერილი დამხვდა:

„9 საათი და 30 წუთია. გაიღვიძე!"

...ესეც, ალბათ, მომავლის ფოსტაა, — გავიფიქრე გუნებაში და გონებაში კიდევ ერთხელ შევეუკურთხე გლობალიზაციაა თუ რაღაც უბედურება!

ჩემს ასაკში მეხსიერების ღალატს კიდევ აიტანს კაცი, მარა ცოლის „ღალატი" როგორი ასატანია! ისევ თანამოკალმეები, კოლეგები შევიდნენ ჟურნალისტური „კატორღაგამოვლილი" კაცის მდგომარეობაში და მშვენიერი ეკა ლომიძის პირით ზრდილობიანად შემახსენეს „კვირის პალიტრის" ახალი პროექ-

*მამა — მექსიკური ბრძანებდა, — ღვინის სინათლეს ვერსად წაევა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაგვარის!*

*<u>ვახტანგ ბოჭორიშვილი</u>, აკადემიკოსი, პარლამენტარი ბლოკიდან „საქართველოს ალორძინება": საქართველო დაღუპვის პირას კი არაა, უკვე დაღუპულია.*

*„ასავალ-დასავალი", 11-17.09.2000.*

*<u>ირაკლი თოდუა:</u> საკმარისია, ედუარდ შევარდნაძე ქვეყნიდან წავიდეს, რომ მისი ქვეშევრდომნი სახლში მარტო დარჩენილი ბავშვებივით იქცევიან და სახიფათოდ ანცობენ. ხან ასანთს წაეტანებიან, ხან მრიცხველს დაატრიალებენ უკუღმა, ხან კი ოჯახის უფროსობანას თამაშობენ და ლამის მთელი სახლი გადაბუგონ.*

*„ასავალ-დასავალი", 11-17.09.2000.*

**P.S.** *ე. ი. გამოდის, რომ აკრძალვების ახალი მესამისად გვიხარდა: „ბავშვებს 16 კი არა — 70 წლამდე ცეცხლთან ნუ მიუშვებთ!"*

ტის („წერილები მომავალს!") პრეზენტაცია მთავარ საარქივო სამმართველოში, რომლის საცავებში (როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ზურაბ მახარაძემ შემოგვჩივლა) არა თუ მომავლის, საქართველოს ოქროს ხანის — აღმაშენებლის, თამარის... უფრო ადრინდელი ხელნაწერებიც კი იყინებიან და შთამომავლობისაგან მარტო თბილ სიტყვას კი არა, შესაბამის საარქივო ტემპერატურულ რეჟიმს ელიან.

...ამაღელვებელი იყო „კვირის პალიტრის" 5 წლიანი ყოვნის წერილების სკივრების გახსნის ცერემონიალი, რომელსაც (ჩემს ახალგაზრდა თანამოკალმეებთან ერთად) 7 იანვარს პეკინში საგასტროლოდ მიმავალი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელი, ჩვენი ძმა და პირისზიარება ჯემალ ჭკუასელი და სახელგანთქმული მომღერალი თემურ ნიკლაური ესწრებოდნენ.

არც ერთი კონვერტი არ გახსნილა, თუმცა ერთ-ერთი წერილის მისამართმაც კი „ნაგვაკითხა" მისი ავტორი, რომელიც ამ სამომავლო ბარათს მაინცდამაინც ვიღაც ყველაზე ახალგაზრდა და მაინცდამაინც უცოლო პარლამენტარს უგზავნიდა, რითაც, ჩემი აზრით, უკვე ამჟღავნებდა მის სნობისტურ საპატარძლო ამბიციებს!.. თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობია და, სულო ცოდვილო, ამ საქმეში მასობრივი კომუნიკაციების მესვეურთა „წილიც" უნდა იყოს, რადგან ხალხის ცხოვრებით კი არ ვცხოვრობთ, არამედ პარლამენტის... პარლამენტის ფუფუნების ნერწყვით ვახრჩობთ ხალხს!

...შამპანურების ბათქა-ბუთქით ვადღეგრძელეთ ახალი წელი. მოკითხვითა და ნახვის ნატვრით (ძველი „ნიანგური" რუბრიკა იყო) ერთი კოლექტიური წერილიც მივწერეთ მომავალს და დიდხანს რომ არ გალოდინოთ, ამ გზავნილის ჩემეულ იმ ერთადერთ სტრიქონს ახლავე მოგახსენებთ: მომავლის ქართველებო! „მეყოლეთ ვარდივით!"

* * *

2006, 5 იანვარი!

მსოფლიოში ქათმის გრიპმა იფეთქა, რომელიც, თურმე არა მარტო ქათამს, მთელ კაცობრიობას ემუქრება...

ქათმის კი არა „ქართლის"ჭირსა ვერვინ მოთვლის, მაგრამ, ეს ქათმის ჭირიც, ალბათ ჩვენი გაჭირვება უფროა. ქათამს, მელას გარდა, ჩვენც ვყოფნიდით საუბედუროდ.

დიდი პანიკაა და მგონი არის კიდეც ამის მიზეზი.

ლაგოდეხში ერთ ქათამს გული აერია, აღებინა და მთელი საქართველო მას ჭირისუფლობს. ტელევიზია და რადიო ყოველ გამოშვებაში მის ჯანმრთელობის მდგომარეობას გვატყობინებს და ვართ ერთ დედლურ კანკალში!

კომუნისტური რეჟიმის დროს... დროის საყვედურს ვინ გაბედავდა... ისე, შეფარულად თუ ნაუკალამბურებდა და „ნაუიაზვებდა" კაცი „რა დროშა მოგვეცა ლენინმაო!"

---

*თუ კაცს ბევრი ფული აქვს, ცოტა ზრდილობაც არ აწყენდა!*

*აკაკი: „ფარისეველო! აუტანელო! სხვასთან თავმხრელო, შინ ორმოს მთხრელო! ნაგავის მყრელო, შენ ჭრელო გველო, რამ შეგაძულა, სთქვი, საქართველო!"*

*შენ ხარ მამა, მაგრამ ის არაა შვილი!*
*როგორია?*

არადა მაშინ, ანუ უკვე ძველ დროში, ჩვენ და ჩვენი მამა-პაპა გრიპს და ცხინკებას ზეპირი დალოცვითაც არჩენდა — იცოცხლეთ, ბატონოო! და ჩვენც ვცოცხლობდით და ვიყავით, ყოველგვარი ეპიდემიის პანდემიის გარეშე.

ახლა კი ქათმის გრიპი (ბიზნეს-გრიფით!). ეს რაღა უბედურებაა?

ღმერთო, გვიშველე!

(ყველაფერზე ღმერთს ვანუხებთ!.. ან კი სხვა რა გზა გვაქვს???).

* * *

ოსეთმა „დახურა" სამაჩაბლო;

მაჩაბელმა „დახურა" ტელევიზია;

ტელევიზიამ „დახურა" მაჩაბელი;

დაიხურა გია მაჩაბელის მშვენიერი გადაცემა...

დაიხურა გია მაჩაბელმა თავისი ნამუსის ქუდი და ნავიდა;

დარჩა, თავისი ნამუსის ქუდიანად, გადაცემის რეჟისორი, მშვენიერი ლელა არაბული და საქართველოს დარდს შეემატა (თავის მშვენიერ ნიგნიანად — „ჩემი ნანალი"!)

რაღაც ხმით ნატირალებივით გამოშდის.

ღმერთმა დაგვეიფაროს!

თუ ღმერთი შენკენაა — ეშმაკი ვერაფერს დაგაკლებს.

ღმერთი კი მათკენაა, რაც ამ ლექსაობა-ნანლაობიდანაც ჩანს:

*იმდენი ვიტირე — გამოვიტირე;*
*იმდენი ვიტყუე — გამოვიტყუე?*
*იმდენი ვიარე — გამოვიარე?*
*იმდენი ვიფიქრე — გადავიფიქრე!*
.................................
*ცდები — თუ გგონია, აღარ შევცდები,*
*მაგრამ ვეცდები —*
*აღარ ვატარო ჩემ თავზე ცდები.*

P.S. ეჰ, ჩემო ლელა. დღეს ცდა ბედის მენახევრეც აღარ არის, მაგრამ შენი ლექსი კი მაინც არ იკბინება... შენს ნიგნს გაზაფხულის ვარდის ფურცლობის — ახალი პაემანის სურნელი და ძველი პაემანის ეშხი დაჰკრავს:

„ბ-ნო გიზო! თქვენი „პაემანი ვერაზე", ბიბლიასავით, ადამიანობას მასნავლის", ლელა არაბული".

...„არაბული ცხენის გული 7 კილოს ინონის. რა შეედრება ამ გულის ფეთქვას". — გულიდან მოხეთქავს გრიგოლის (რობაქიძის) გრიგალი.

**თეა კერვალიშვილი**

**„ქართული ჟურნალი" N 3, 16-30.01.06.**

---

*<u>ირაკლი ბათიაშვილი</u> პარლამენტარი: უნდა ვაღიაროთ, რომ, ფაქტობრივად, ჩვენ, დეპუტატები, ქვეყნის და ხალხის ტვირთი ვართ. „დილის გაზეთი" 2000.09.*

*<u>ჯანსუღ კახიძე</u> დირიჟორი:*

*ძლიერი ხასიათის კაცი ვარ, ამის გამო ბევრი ოპონენტი და მტერი მყავს. ჩემი ხასიათით, ხანდახან, არ ვუშვებ ადამიანებს ჩემთან სიახლოვეს, რადგან მიმაჩნია, რომ მიქმნიან წინააღმდეგობებს.*

*„რუსთავი-2". 2000.09.*

***P.S.*** *მისი საურთიერთო ენა მუსიკა იყო, მისი სიტყვა — სიმღერა... ეს იყო კაცი — ფუფუნება, რომელიც სიცოცხლეშივე სამოთხედ იქცა. თუმცა, თვითონ მას, ალბათ (ვინ — როგორ?), ჯოჯოხეთად ეჩვენებოდით.*

*ლეიბორისტული პარტიის ლიდერის. <u>შალვა ნათელაშვილის</u> ანტიკატასტროფული დოქტრინა „ქვეყნის მენარჩუნებისათვის":*

*- თქვენს დოკუმენტებში საუბარია ქარ-*

# პაემანი
# გიზო ნიშნიანიძესთან

განა, რა უნდა დავწერო ახალი და განსხვავებული გიზო ნიშნიანიძეზე, რაც არ თქმულა და არ დაწერილა. სიმართლე გითხრათ, ისიც მაფიქრებს, რამე არ დავაკლო.

ვერასდროს ვიფიქრებდი რომ, გამიჩნდებოდა სურვილი, დავებადებულიყავი ათეულობით წლის წინ, რათა მეცხოვრა იმ საოცრებათა ქალაქში, რომელსაც ბატონი გიზო თავის დოკუმენტურ პოემაში ეფერება და უმღერის... საოცარი ნოსტალგია სიყვარულისა, ადამიანობისა, კულტურისა და თბილისელობისა... ნაღდი თბილისელობისა!

ჩემი თაობის მატარებელმა ჩვენი ბაბუების პაემანზე ძალიან დაიგვიანა, ბატონმა გიზომ კი პოემით („პაემანი ვერაზე"), ჯადოსნური პოეტური მოხერხებულობით გვამოგზაურა ნარსულში და უკან ბედნიერებით სავსე დაგვაბრუნა — ღიმილით, სიკეთით, სითბოთი და თბილისური სიყვარულით სავსე!..

დღეს, როცა რიგი მიზეზების გამო, საძებარია ჯანსაღი სიცილიც, ადამიანური ურთიერთობის ფუფუნებაც და სიყვარულიც, დიდი სურვილი გამიჩნდა, პირადად, უშუალოდ, გავესაუბრებოდი გიზო ნიშნიანიძეს, არა მხოლოდ თბილისურ ტრადიციებზე, არამედ იმ ცხოვრებისეულ დეტალებზე, რამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ მწერალ, პროფესორ, ჟურნალისტ და, პირველ რიგში, ნაღდ თბილისელ კაცს, დაგვიანებულმა მუზამ 53 წლის ასაკში პირველი ლექსი დააწერინა და მას შემდეგ კალამი ხელიდან არ გააშვებინა.

— ლექსის წერა ახალგაზრდული საქმე მეგონა, ამ დროს ადამიანი ალმაფრენაშია... და როგორც არისტოტელე ამბობდა, სიჭაბუკე თვითონ არის სიგიჟის ნაირსახეობა. სიგიჟე გაფრენაცაა, გაფრენა კი — პოეზია!

*მე არც ვიცოდი, ლექსის წერა თუ კი ვიცოდი, მაგრამ ვიწეოდი!..*

ისე, სიმართლე გითხრათ, მუზამაც გვარიანად დაიგვიანა და პირველი ლექსი 53 წლის ასაკში დავწერე, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით ისეთ ბავშვურ, სტუდენტურ ფუნაგორიებს, როგორიც იყო მაგ:

სიყვარული როცა გთხოვე,
შენ პასუხი გეძნელა,
ნეტავ გამაგებინა —
ეხლავ ვარგა ენძელა?!

ან კიდევ:

შენ მოდიოდი გზაში, ვით ემანუილ კანტი,
გულ-მკერდი გაგეშალა, თავზე გეკეთა ბანტი...

აი, ასეთ სისულელეებს ვწერდით და არც ვკითხულობდით... იქეთ ქართლოსა, აქეთ ნოდარ დუმბაძე... და იყო ასეთი ხელჩართული ლირიული დუელები.

მე რომ ზუსტ მეცნიერებაში მემუშავნა ან ვყოფილიყავი რომელიმე კონკრეტული ხელობის კაცი, ძალიან ბევრი დრო მექნებოდა გაცდენილი. ვიცხოვრე ყოველი დღით, ყოველი საათით, ყოველი წამით, ისე, როგორც ბიბლიაშია: „ნუ იზრუნებ ხვალინდელ დღეზე, ხვალემ იზრუნოს თავის თავზეო".

მაგალითად!.. ახლა წიგნს ვწერ და ჯერაც არ ვიცი, რა დავარქვა? უკან ვიხედები, მეორედ მინდა ვნახო — რაც მინახავს.... ერთი პირობა, მინდოდა, დამერქმია — „რეპორტაჟი ჯანდაბიდან". რატომ? დედაჩემს სულ ეშინოდა ჩემი სახლიდან გასვლის და მეკითხებოდა: — სად მიდიხარ, ბი-

ჭოო?... ამ დროს, მე თვითონაც არ ვიცოდი, სად მივდიოდი და არ ვიცი-მეთქი — ალალად ვპასუხობდი.

— ჯანდაბამდე გზა გქონიაო! — ნყევლით დამლოცავდა... ახლა უკან რომ მოვიხედე, დავინახე ის ჯანდაბა და არცთუ ისე უინტერესო ჯანდაბა აღმოჩნდა!

— ერთმა ბრძენმა თქვა (მგონი ჩაპლინმა), იმის არ იყოს, — მე ვიცი, რომ სამოთხე კარგია: ჩიტები ჭიკჭიკებენ, ბულბულები გალობენ, მაგრამ უფრო საინტერესო ხალხი ჯოჯოხეთში მეგულებაო... საინტერესო იმ გაგებით, რომ იცხოვრეს სხვა ცხოვრებით, ყველაფერი ნახეს და ყველაფერს გაუფცქნეს გემო. პრინციპში, ჯოჯოხეთი, ჩვენ უკვე ჩვენს სამოთხეში — ცხოვრებაში ვნახეთ. ცხოვრება სავსეა სიკეთითა და ბოროტებით, თეთრითა და შავით... და ანგელოზებიც ეშმაკების გარეშე ნარმოუდგენელია!

## არა ძველი, არამედ ახალი საშვიდნოემბრო!

ჩემო დედაქალაქო,
ჩემო მამა-დაეითო —
დილის ცხრათვალა მზით და
ღამით — მთვარის ნაეითო...
ვარსკვლავებით მილურსმულ
ცის თაღით და კამარით —
ნელზე შემოჭერილი
მტკვრის კალაპოტ ქამარით.
საძმოდ და სამეგობროდ,
გადებული ხიდებით,
ღვთის სახლების მადლითა
და „სამების" დიდებით.
ჯარად შემოჯარული
მთებითა და მთიებით —
მამთრის ჭალარითა და
გაზაფხულის იებით.
კოჯრიდან მონაბერი
სულის თქმით და ნიავით —
ნაშენები — ძმობითა
და ნანგრევი — სიავით.
ნასალეკმა ნაგელეკა...
და ვფიცავარ სიყრმის მზეს —
არც შენ ჰგავხარ თბილისს და
არც მე გეავარ თბილისელს!
საქართველოს გული ხარ,
მადლით ღმერთი დაგყურებს,
მნყუროდი და მნყურიხარ —
გულო, ჩადექ საგულეს!

თველი ჩინოვნიკების საზღვარგარეთულ საბანკო ანგარიშებზე, სასახლეებზე და მათზე, როგორც უცხოური შემოსავალზე, ყადაღის დადებას ითხოვთ...

ვისაც საირმის ქუჩაზე და წყნეთში აქვს სახლი, უმრავლესობა ევროპაში საბანკო ანგარიშსაც ფლობს და სახლსაც. ძირითადად, იწყებენ თურქეთით და არაბული ქვეყნებით, შემდეგ კი ანგარიშები ევროპისა და ამერიკის ბანკებში გადააქვთ. პოდა, ჩემი აზრით, ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას და უცხოეთში უძრავი ქონების შეძენას ძალზე საშიშია. ბოლოს და ბოლოს, როცა ეს ხელისუფლება შეიცვლება, მათ აქაურ სახლებსა და აგარაკებში მოხუცთა თავშესაფარს, ბაღებს და სკოლებს გაუხსნით. უცხოეთში დაბანდებული მათი ქონება კი სამუდამოდ დაკარგულია ქართველი ხალხისათვის. ამ სერიოზულ პრობლემაზე სპეცსამსახურებმა და ანტიკორუფციულმა სამსახურმა უნდა იმუშაონ. „მამხილებლები" კი ერთმანეთს მუდმივად კბენენ, მაგრამ არასოდეს შეჭამენ.

„ასავალ-დასავალი", 11-17.09.2000.

## „ᲫᲕᲘᲠᲘ ᲜᲔᲑᲐᲓ" 

ჩვენ თაობას არქონების ფუფუნება, ჭირდა!.. არაფერი დასაკარგავი არ გვქონდა... მათ შორის, არც დრო! ჯიბეს არ ვუფრთხილდებოდით და ჯიბეში ხელის ჩაყოფის არ გვეშინოდა. რაც გვქონდა — ერთმანეთისთვის გვქონდა, გაგვქონდა და გამოგვქონდა... და ეს, უკვე, დიდი ფუფუნება იყო!

არ მახსოვს, ჩვენს სახლში ქათამი დაკლულიყოს და ის მარტო ჩვენ შეგვეჭამოს, აუცილებლად ვეძახდით მეზობელს ან ნათესავს.

იმ დროიდან მახსოვს ერთი სომხური ანეკდოტი: იცით როდის სჭამს სანყალი კაცი ქათამსო?.. როცა ან თვითონ არის ავად, ან ქათამიო...

დღეს კი... მართალი გითხრათ, არ მეგონა თუ ვიფიქრებდი, რომ სახლიც მექნებოდა, კარიც მექნებოდა, მანქანაც მეყოლებოდა და ბედნიერების ზენიტში არ ვიქნებოდი — კიდევ რაღაცის პრეტენზია მექნებოდა! რა შეედრება იმ ბედნიერებას, გიყვარდეს და უყვარდე ხალხს! არადა, ახლა როგორ გინდა, ადამიანებს მოსთხოვო თანადგომა, როცა თავისი თავი უჭირთ, შიათ, სწყურიათ, სცივათ.

ჩვენ დროს ათმაგად და ასმაგად იყო ეს სიძნელეები, მაგრამ ერთი დიდი ნათელი იდგა, რომელსაც სიყვარული ერქვა. დღეს, სამწუხაროდ, ამ სიყვარულს ღლაბუცი ჰქვია. გავთითოკაცდით! ყველა თავის გადარჩენაზეა, თუმცა ცალ-ცალკე ვერ გადავრჩებით.

ერთხელ მკითხეს: რა გვჭირსო ქართველებს?

ვუთხარი — ერთმანეთის ჯინაზე კარგად ყოფნის უბედურება-მეთქი. გვინდა, რომ ერთმანეთის ჯინაზე ვიყოთ კარგად, მაგრამ ერთმანეთის ჯინაზე კარგად ვერ ვიქნებით. ამაზე ერთი ასეთი სტროფიც მაქვს:

„ თუ ასე არ ფიქრობ, ძალიანაც ცდები —
ტყუილად გამსარჯე და ტყუილად გაისარჯე —
შენი გამარჯვებით — მე არ დავმარცხდები!
ჩემი დამარცხებით — შენ ვერ გაიმარჯვებ!"

## ჩვენ ხასიათიანი ხალხი ვართ!

ადრე რუსებისა მიკვირდა! მიუხედავად იმისა, რომ ისინი კულტურით ოკეანის ზოგიერთ გადაღმელებზე გაცილებით მაღლა დგანან და უფრო ტრადიციულ ხალხად ითვლებიან, მეზობელი მეზობელს უტოვებდა გასაღებს: კატაფალკა ჩამოივლის და ჩემი მიცვალებული გაატანე, დღეს პროფკავშირული კრება მაქვს და არ მცალიაო!.. სადღაც, ეს, შეიძლება ანეკდოტიზით გაზვიადებულია, მაგრამ ზუსტად ასეთი ჭირისუფლობა მოაქვს გლობალიზაციას. მე ვფიქრობ, რომ ქართულ ხასიათში უფრო ნაცარქექიაა — მეოცნებე, ფანტაზიორი... ლუარსაბიც, ყვარყვარეც ჩვენი სისხლი და ხორცია!

ჩვენ ხასიათიანი ხალხი ვართ. დიდი ილია ამბობდა — „უხასიათო კაცი რა არისო" — ჰოდა, ქალაქი რაღა უნდა იყოს!

დიახ, ხასიათიანი ქალაქი იყო თბილისი და ღმერთმა ქნას, დაიბრუნოს მისი კოლორიტი, მისი ზნე-თვისება!

მე თუ მკითხავთ, ამერიკა მაშინ უფრო საინტერესო იყო, როცა იქმნებოდა, ვიდრე ახლა. იქ ფულის შოვნა იციან, აქ — ხარჯვა! ჩვენ, ხარჯვა

ვიცით — ფულის კეთება არა. ალბათ, ამიტომ არის, რომ ქართველი ამბობს — ფული ვიშოვეო! ფულს შოვნა კი არა — კეთება უნდა!

დავით სარაჯიშვილს უყვარდა თქმა: „ფული ცუდი ბატონია და კარგი მოსამსახურეო"!

...ამერიკაში, ჯორჯიის შტატში ყოფნის დროს (1983 წ.), „CNN"-ის კორესპონდენტმა იმ დროისთვის ჩვეული კითხვა დამისვა: რა განსხვავებაა ჩვენსა და თქვენს ჯორჯიას შორისო?

<u>ვუპასუხე: თქვენს ჯორჯიაში ღმერთი ისვენებს და კაცი მუშაობს, ჩვენს ჯორჯიაში კი პირიქით — ღმერთი მუშაობს და კაცი ისვენებს-მეთქი!</u>

...„არც ანგელოზი არა ვარ,
არც თავი მომაქვს ნარცისად,
რაცა მაქვს, ის არ მაწუხებს,
და რაც არა მაქვს – არც ისა!"

— 1981 წელს, როცა „პაემანი ვერაზე" დაიდგა, რუსთავში მიმიწვიეს ახალგაზრდობის შეკრებაზე და იქ ასეთი რამ მითხრეს: — თქვენ ისე გაქვთ აღწერილი ნავთის რიგი, რომ ჩვენც ვინატრებთ იმ რიგში დგომასო... ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თქვენ ომისდროინდელი შიმშილობით, გაჭირვებით თავი მოგაქვთ და დღევანდელი თაობის სწრაფვას ფუფუნებისკენ ცერად უყურებთო!

— დიახ, — ვთქვი მე, — ჩვენ ჩვენი მშიერი ბავშვობით თავი მოგვწონს, რადგან სულით ვიყავით მდიდრები, მაძღრები და ამის გამო ყელამდე ბედნიერებიც!

რაც შეეხება **„ფუფუ-ნებას"**, დაუკვირდით ამ სიტყვას — ორჯერ იფურთხება-მეთქი!

## ასე დაიწერა „პაემანი ვერაზე"!

— მეგონა ვერასდროს გავბედავდი ლექსის წერას. გალაკტიონის შემდეგ ლექსის წერა, მე თუ მკითხავთ, ცოტა თავხედობაცაა, მაგრამ ყველას თავისი სათქმელი აქვს. ქართულ რითმას საოცარი ძალა გააჩნია. სიმონ ჩიქოვანსა აქვს ნათქვამი:

*„მე სულ სხვა რამე მინდოდა მეთქვა,*
*მაგრამ სხვას ამბობს წყეული რითმა!"*

... იყო მომენტი ჩემს ცხოვრებაში, როცა, ავადმყოფობის გამო, ათი დღე ლოგინში წოლა მიწევდა. ათი დღე ჩემისთანა დაუდეგარი კაცის ლოგინში გაჩერება ეს იგივე იყო, რაც გულზე ხელების დაკრეფის რეპეტიცია! (ღმერთმა დამიფაროს, სულაც არ ვჩქარობ). ჰოდა, დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ რაც მი-

<u>თემურ ჭყონია</u> „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" პრეზიდენტი:

— ახლა კარგად რომ ვუკვირდები, კომუნისტური წყობა კი არ დაინგრა, კომუნისტებმა დაანგრიეს, რომ ისევ თავად მოხელიყვნენ სხვა ამპლუაში. ეს არის ჩვენი ქვეყნის წინსვლის შემაფერხებელი.

„ალია", 2000.09.

<u>ფოიხმარ ჯაველიძე</u> პარლამენტარი ბლოკიდან „საქართველოს აღორძინება":

ამერიკაში თუ მოსამართლეს რაღაც აწუხებს (დავუშვათ, ფეხსაცმელი უჭერს), პროცესზე არ შეუშვებენ, რადგან ის მიუკერძოებელ განაჩენს ვერ გამოიტანს. ჩვენს მოსამართლეებს კი უხელფასობა აწუხებთ, თვეობით არ აძლევენ ფულს...

„არგო", 2000.09.

**P.S.** ვის რა უჭერს, ვის რა უჭირს?

<u>ამირან მაღალაშვილი</u> (ქართული პანტომიმის მამა):

ბატონო პრეზიდენტო, თქვენი სურათი კედლიდან ჩამოეხსენი!

....პანტომიმის

ნახავს, კიდევ ერთხელ მენახა და ასე გამეყვანა დრო! მაშინ ვირწმუნე, რომ მხოლოდ პოეზიას შეეძლო ეთქვა ის, რისი თქმაც მინდოდა.

— ერთსაც გეტყვით: პროფესორ გივი ღამბაშიძის თაოსნობით, ვერელმა ბიჭებმა ერთხელ დამიჭირეს, მთელი ღამე თეთრად გამათენებინეს და მითხრეს: რადგან შეეჭიდე ვერის უბნის თემას, ანი შენი გაჩერება არ შეიძლებაო.

მე, ჩემთვის, ავადმყოფობის გამო, დრო მოვკალი — დავწერე ნიაზ დიასამიძეზე, ოთარა მგელაძეზე... ისინი კი მოითხოვდნენ გამეგრძელებინა თემა, ვთქვათ, ავთო ვარაზზე, რომელიც ნაღდი მწუხარე სახის რაინდი იყო, დონ კიხოტ — ვერელ-ლამანჩელი, საოცარი ნიჭის, იუმორის პატრონი. უცბად, აქვე დამებადა ერთი პოეტური ფრაზა და მივხვდი, რომ შევძლებდი იმას, რასაც ჩემგან მოითხოვდნენ:

*„ვერა, ვერასგზით, ვერასდიდებით,*
*ვერაზე ვარაზს ვერ ავცილდებით!“*

მოკლედ, მერე ავდექი და ვისაც როგორ და რამდენადაც შევძელი — ყველას მოვეფერე!

ასე იყო ეს.

## *ფიქრი ზღვის პირას*

თვალით ვზომე მიწა, ცა, სიგრძითა და სიგანეთი –
და ვაწვდინე სტრიქონი გრძედითა და განედით.
სიმართლეს თვალს ვუსწორ პირში თქმით, არ ლიქნებით
და შავ ზღვას გავუმხილე – შავზე შავი ფიქრები...

*2008.*

## გამწარებული ლექსი!

(ცხელ გულზე)

ისტორია ქართველისა სამარეში ბრუნავს
და ქართველად არ თვლის, ვინც მისთვის არ ზრუნავს!
„გამარჯობა“ სალმის სათქმელად გვაქვს მხოლოდ –
ძველი ფიცი მწამს და მაკვირვებს ეს ბოლო...
ვუძღვენით ქებათ-ქებას – ღირსებების კლებას,
მოთმინების ნებას... ქართველთ დაჩოქებას!..

P.S. ვაი, სირცხვილო!
309+... მერამდენე სირცხვილია ეს?
უკვე რიცხვით ხსოვნასაც გასცდა!
ლამის... ლომის წილი მიგვეძღვის ამაში ყველა ქართველს... ერთად და ცალ-ცალკე.

---

*როცა 100-პროცენტიანი კაცი სიბერეში შედის მისი 120-აციები... 20-აციებამდე ჩამოდის.*

*სიკვდილ-სიცოცხლეს წაავავს დღისა და ღამის ჭიდილი:*
*გათენებაა – სიცოცხლე! დაღამებაა – სიკვდილი!*

* * *

დრო და ჟამო — უკანის და წინისო...
ეშხო-თეთრად ნათენები დილისო...
სიზმარ-ცხადო — ჯადო ძილ-ღვიძილისო —
აზარუეშაე ზიარების ღვინისო...
მოზიარევ ჭირისა და ლხინისო...
ფიცის-მტკიცის — მწარისა და ტკბილისო...
ცალი თვალი იცინის და ტირისო...
შე, — ძველო და შე, ახალო თბილისო!

### N1 სიტყვა!

ერთ-ერთი თუ ერთადერთი? —
ვით მთვარე ან მზე და —
პირველი და ბოლო სიტყვა —
სიტყვა — ღმერთი: დედა!
ვით პირველი გაზაფხული, ვით პირველი ია:
დედამიწა, დედააზრი, დედა... კაციც კია!
ეტყობ მამა დაგვეჩაგრა, თითქოს ცოდვილია —
თუმცა რატომ,
იყით უფალსაც მამა-ღმერთი ჰქვია!

* * *

შენს ნაჭუჭში იკეტები, ყველა კარი დაგმანე —
შეფურთხების ღირსი ხარ და
შეკურთხებას გაკმარებ!
სიხარული შემილობე, ზიხარ — ასე განსაჯე...
სახლი ციხედ აქციე და აქვე იხდი შენს სასჯელს!

### „პაემანის" გამოხმაურების ექო!

პატივცემულო რედაქცია!

შაბათს ტელევიზიით ვნახეთ ლიტერატურული გადაცემა — გიზო ნიშნიანიძის „პაემანი ვერაზე". დღემდის მხოლოდ ამ დადგმის ქება ისმის ქუჩაში თუ სამსახურში. ყველას, ყველას ძალიან მოგვეწონა.

ძალიან გთხოვთ, უმოკლეს ვადაში (შეძლებისდაგვარად), გვიჩვენოთ ხელმეორედ ეს გადაცემა.

კავშირგაბმულობის ავტომატიკის განყოფილების 42 თანამშრომელი.

**1982 წლის 16.II.**

* * *

**საქტელერადიოკომიტეტს**
**გამარჯობათ!**

ბათუმის სასწრაფო დახმარების მუშაკები დიდ მადლობას გიხდით ასეთი კარგი გადაცემებისათვის. გთხოვთ ძალიან, თუ გექნებათ საშუალება, გაიმეოროთ 13.II (შაბათის) გადაცემა — გიზო ნიშნიანიძის

*სახელმწიფო თეატ-რი ფეხებზე ჰკიდი-ათ...*

*...ვიცი ამერიკა-ში დააფასებენ ჩვენს ნიჭს.*

*ჩვენმა მოწაფეებმა პანტომიმის თეატრი გახსნეს ევროპაში, ვაშინგტონში, ზაარ-ბრიუკენში, ბულგა-რეთში და დისნეი-ლენდში... ისე კი, ღმერთმანი — იყო-დეს საქართველოშ — უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია.*

*P.S. არც საქართვე-ლოს შეუძლია ასეთი შვილების გარეშე ცხოვრება. მილიო-ნი ქართველი უკვე უსაქართველოდ ცხ-ოვრობს... დიახ!.. თუ. ამასაც ცხოვრე-ბა ჰქვია!*

*<u>ნარი კოლხეთი</u> (ნარიმან იამალამ-ბეილი). ჩქაროსნული წერის რეკორდსმე-ნი:*

*„ჯუმბერ ლეჟავას, რომელმაც 7 წლი-ნადში, ველოსიპ-ედით, თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა, ასეთი ლე-ქსი გავუგზავნე: ნა-ლი მეორე წრეზე, აქ იყავ მეკარდნაძე.*

*„ახალ-დახასა-ლი". 2000.18-24.09.*

*P.S. ასეთი მალემ-სრბოლი სიტყვა თუ დაეწევა ასეთ მალე-მსრბოლ კაცს! გ.ნ*

პოემა „პაემანი ვერაზე". როცა ეს გადაცემა მიმდინარეობდა, ჩვენ მორიგეობა გვქონდა და ამიტომ, არ მოგვეცა საშუალება, გვენახა ისეთი იშვიათი გადაცემა, რომელზეც მთელი ქალაქი ლაპარაკობს. ჩვენ გარდა, კიდევ ბევრი მოითხოვს ამის გამეორებას. დიდი ბოდიში, რომ განუხებთ, მაგრამ ძალიან გთხოვთ მთელი კოლექტივი. წინასწარ გიხდით დიდ მადლობას!

პატივისცემით — ექიმები და ექთნები.

ძვირფასო რედაქცია!

ოქტომბრის რაიონის ბავშვთა N 16 პოლიკლინიკის 160-კაციანი კოლექტივი მოგმართავთ დიდი თხოვნით, რათა, როგორც კი ამის შესაძლებლობა გექნებათ, გვიჩვენოთ გადაცემა „პაემანი ვერაზე" განმეორებით. ყველა აღფრთოვანებულია ამ გადაცემით. სამწუხაროდ, ამ გადაცემის დროს ქალაქის ზოგიერთ რაიონში (მაგ. დიღმის მასივი) მთლიანად იქნა გამორთული სინათლე, იქ მაცხოვრებლებს გული დაგვწყდა, რომ საშუალება არ მოგვეცა, ბოლომდე გვეხილა ეს გადაცემა.

ძალიან გთხოვთ, შეგვისრულოთ ეს თხოვნა და თქვენ კი გისურვებთ არ მოგვეკლოთ ამდაგვარი გადაცემები ტელემაყურებლებისათვის. წინასწარ გიხდით მადლობას. ამ თხოვნით ძალიან ბევრი ტელემაყურებლის სურვილსაც დააკმაყოფილებთ.

**ბავშვთა N16 პოლიკლინიკის კოლექტივი.**

P.S. ეს წერილები წვეთია ზღვაში მაშინდელი უჩვეულო გამოხმაურებისა!

* * *

„ნიანგის" ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად ჩამოვასხით ღვინო და მოსკოვის „კროკოდილისა" და უკრაინის „პერეცის" დღეობებზე გავაგზავნეთ. სხვათა შორის, უკრაინაში წასვლაზე (იმ მოტივით, რომ უკრაინული არ ვიციო) უარი განაცხადა ზაურ ბოლქვაძემ, მაგრამ იქვე დაამშვიდეს: შენ რომ რუსული იცი, ისაა უკრაინულიო?!

## პაემანი... დარეჯანის სასახლეში

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის სახელმწიფო თეატრის ბატონ-პატრონმა კოტე მახარაძემ პირველად მიიწვია სტუმრები — კომპოზიტორი ნუნუ დულაშვილი და ჟურნალისტი-მწერალი გიზო ნიშნიანიძე; მათთან ერთად მან ფართოდ გაუღო დარეჯანის სასახლის კარი ყველას, ვისაც თბილისური შეხვედრების ეშხი იზიდავს.

უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ თბილისელებმა გაითავისეს და შეიყვარეს გიზო ნიშნიანიძის კომპოზიცია „პაემანი ვერაზე", რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. ახლანდელმა პაემანმა (ოღონდ, უკვე, დარეჯანის სასახლეში

---

*იცვლება დრო: კაცთმოყვარეობა კაცისთვის, ძველად, პუმანიზმი იყო, ახლა პომოსექსუალიზმია... ქალისთვის კი — ბოზობა!*

„დათქმულმა“) ახალი სიხარული მოუტანა მაყურებელს. „ძველი პაემნიდან“ ნაკითხულ ნანყვეტებს ახალი ლექსები თუ იუმორით სავსე მოგონებები დაუმატა ავტორმა. ნუნუ დუღაშვილის სიმღერები კარგად მოერგო კომპოზიციას და დაატყვევა ღია ცისქვეშ თავმოყრილნი. გიზო ნიშნიანიძის ჩანაფიქრი ჩინებულად მიესადაგა სალაღობოს ეზოს. თბილისური კონტაქტები, სტუმარ-მასპინძელი, როგორც იტყვიან, ერთ მუჭად შეიკრა და მაშინაც არ დაშლილა, როდესაც კოკისპირული ნვიმა ნამოვიდა. მაყურებელმა სახლის სვეტებს შეაფარა თავი და რამდენიმე გოგონამ დაბალ ხმაზე „ჟუჟუნა ნვიმაც“ ნამოინყო. მერე სიმღერას ყველა აჰყვა. ეს კი იმის დასტურია, თუ რამდენად უყვართ თბილისელებს ერთმანეთთან შეხვედრა, კარგი ლექსი და კარგი სიმღერა. სასურველია, ასეთი „პაემნები“ გახშირდეს, მსგავსი საღამოები სასიამოვნო მოგონებად დარჩება ყოველი ჩვენგანის მეხსიერებაში. საღამოს, მეუღლითურთ, დაესნრო საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი, ამხანაგი ჯუმბერ პატიაშვილი.

გაზ. „კომუნისტი“
24.VI.1988 წ.

P.S. ასე ინყებდა „პაემანი ვერაზე“ თბილისიდან — საქართველოში აზვირთებას!

## ჩვენს თანამემამულეს — ვერელ-ოკრიბელ გიზო ნიშნიანიძეს

ხარ დოქტორი, ჟურნალისტი, პოეტი და მსახიობი
(ასეთ მაღალ მწვერვალებზე რა ადვილად ადიოდი!)...
შენ რამდენჯერ გაახარე პირნახული საქართველო,
ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ნიჭსავსევ და გზანათელო!
ქადაგებ, რომ შეიყვაროს კაცმა — კაცი, ერმა — ერი.
თუმც, ომის დროს, ოკრიბაში, შეიპყარი გერმანელი!..
მაშინ მკვიდრი ნაძეელები ფაშიზმისგან დაიხსენი
და 13 წლის ყმაწვილმა გამოპკარი მეღალს ხელი.
გაგახსენდა, ალბათ ახლა, აქეთკენ რომ მოდიოდი,
გაზრდილი ხარ ამ ტყის ხილით და იმერულ ლობიოთი.
მითხრეს — შეხვედრებსაც აწყობ
თანაკუთხელ ოკრიბლებთან,
ხალხთან ისე მუსაიფობ, ლაპარაკობ თითქოს ღმერთთან!
შენს „სიცილის არქივებში“ ბევრ მარგალიტს მიაგენი,
სხვა წიგნიდან არ მსმენია სიცილის ხმა მე ამდენი.
მიყვარს შენი ბასრი სიტყვა, ადრინდელი, გვიანდელი,
ეზოპესგან დალოცვილი ხარ ნამდვილი „ნიანგელი“.
ჩვენებური კაცი ხარ და იუმორის ნალდი კადრი —
დიდ რუსეთსაც გააცანი ქართულ სიტყვის შნო და მადლი.

ჯუმბერ! წადით მე-სამე წრეზეც. აქ ისევ და ისევ... ისაა!

ლევან გახეხილაძე პარლამენტარი, „ახალი მოძრაობის“ წარმომადგენელი: ქვეყნის უბედურება ის არის, რომ პოლიტიკოსები ბიზნესმენებზე მეტ ფულს შოულობენ.
„ახალი ეპოქა“, 2000.09.
**P.S.** თანაც „შოულობენ და არა — აკეთებენ!“

ლაშა თაბუკაშვილი მწერალი: წამგებიანი გახდა პატიოსნება, კეთილშობილება, სიამაყე და არ მიმაჩნია, რომ ვცხოვრობ სახელმწიფოში. მე ვცხოვრობ აბსოლუტურ „დურდომში“
„კვირის პალიტრა“. 2002. 21-27.01.

თენგიზ არჩვაძე: ცუდად მძინავს. კარგი ძილი სადაა, სად?! თუ შუქი მაქვს, ვკითხულობ, თუ ჩაქრა — სასტიკ დღეში ვვარდები და ცუდი ფიქრებიც გულს მიხერავს სიბნელეში ჩაძირულს. ამდენი ცუდი ფიქრი იმიტომ მოდის, რომ ჩვენ ჩემპიონები ვართ ერთმანე-

თუმცა უკვე სამოცს გაცდი შენ, საჭირის დიდი მახშეი — ხარ ქართული მახეილსიტყვის მეუცელელი ტოლუმბაში! გაგიმრავლოს პაემანი ვერაზეც და ორიბაშიც და ალალი ყოფილიყოს ხალხის ვამა, ხალხის ტაში!

შენ, კანონი, სამართალი ვერსაიდან მოგიდგება და სიცილით იმდენ კაცს კლავ რამდენიც კი მოგინდება.

ხშირად გენახე, კაცს სიცილი წამალიეით მოუხდება, ოღონდ ცოტა კი დაგეზოგე, ევ თავი ნუ მოგიკვდება... თუ კაცი ხარ, ეგ ჩანგალი აქეთაც არ დაგკიმიშნო, არც ჩვენა ვართ მთლად წმინდანნი, ზოგი ლოთობს, ზოგი ლიბ-ლობს... ოღონდ თქვენ ნუ შეწუხდებით, რაც გვეკუთვნის ღმერთმა გვიზღოს, მგონი ისიც დაგვიბერდა — ძველებურად ველარ ფხიზლობს. მაინც ყველა დამნამავე შიშით უნდა აიმრიზოს, როცა სიტყვის სატევარი ხელთ უპყრია ბატონ გიზოს! ალალ-მართალ ხუმრობებზე გვეცინოს და გვეკისკისოს, იუ-მორის ერთ-ერთ თავკაცს კვლავ მრავალწელს გეგიზგიზოს!

სიხარულით მოგელიან თქვენი მკვიდრი ნაძველები. სულ რჩეული ვა-ჟკაცები — რა ახლები, რა ძველები... ენატკბილი, ენამწარე, წელწერილი და მხარგრძელები, თქვენი სახლიკაცები და სიყვარულში მბაძველები.

**პავლე ბერეკაშვილი**
**სოფ. ორპირი**
**29.IV.1988.**

* * *

გამარჯობა!
მინდა გაგიზიარო ჩემი მოსაზრება თქვენს პოემასთან დაკავშირებით...
გულით ნათქვამს გულს უხსნიან,
ძმობით მოსულს — ძმურად ხვდებიან,
დიდხანს იცოცხლე, ძმობაზე გულით ნამღერო ლექსო!

**თბილისელი ქურთ-ქართველი შ.ე. ალიაზოვი. 1983.**

## პაემანი ვერაზე...

...ეჰ, ნუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!
*ლადო ასათიანი*

1981 წლის 28 დეკემბერს, წლების გასაყარზე, ქალაქელებს პაემანი ჰქონდათ ვერაზე, ყველაზე ხალხმრავალი პაემანი ამქვეყნად. ფილარმო-ნიის დიდ დარბაზში ნემსს ვერ ჩააგდებდით!

ეს არ იყო კონცერტი, შეხვედრა ან ლიტერატურული საღამო, ეს ნამდ-ვილი პაემანი იყო, პაემანი თვალსა და ხელს შუა გაპარულ ბავშვობასთან...

გიზო ნიშნიანიძის ორიგინალურ ქალაქურ პოემა „ფრესკას" ვერც ერთ ჟანრს ვერ ვაკუთვნებ, ნაწარმოებისათვის სახელის დარქმევა დროისა და კრიტიკოსებისათვის მიმინდვია.

ერთი გენახათ, წარმოდგენის დაწყებამდე, რა ხდებოდა ფოიეში. ამ უმზეო, ღრუბლიან დღეს მოსულებს სხივი ჰქონდათ თვალებში, გულში რაღაც ნეტარება იდგა, ფოიე სავსე იყო „ჭაღარა ბიჭებით".

*ეპიკურე: ყველა ლოცვას ღმერთი რომ ასრულებდეს — უამრავი ადამიანი დაიღუპებოდა.*

სწორედ იქ, სადაც ახლა ფილარმონია დგას, ტრამვაის გასაყართან, საათი იყო — ძველი ვერელების პაემანის ადგილი. ამ საათის გადაღმა კი, იქვე, ჩვენი ფანჯრებჩალეწილი მე-8 ვაჟთა სკოლა, სადაც ამ პაემანის ავტორი და მე ერთად ვსწავლობდით. აქ იყვნენ „მეთხუთმეტელებიც", „მეთვრამეტელებიც", „ოცდამეხუთელებიც", „მეთექვსმეტელებიც"... (მაშინ სახელებს სკოლების ნომრების მიხედვით ვეძახდით ერთმანეთს!).

ჩვენ „ბავშვობანართმეულ" თაობას გვეძახიან. ომი იყო და ვის ეცალა ჩვენთვის?.. ბიჭვინთა გეოგრაფიის გაკვეთილებზეც კი არავის უხსენებია, მაგრამ ჩვენ, ჩვენი ჩილკა-ჯოხითა და ავჭალურით, მტკვრის ნაპირითა და ლისის და კუს ტბებითაც გავდიოდით იოლად.

...არ დაიჯერებთ, დარბაზში ხალხი ტიროდა, იყო ერთი ცხვირსახოცების ფრიალი და გულის ნასვლები...

„ჩვენ ყველა — ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო" — ყველას გულში ჩაგვხედა ეგზიუპერმა.

„ფრესკა" ჯერ ტელევიზიაში წაიკითხა ავტორმა, მერე გაზეთმა „თბილისმა" დასტამბა.

მკითხველი, დიდი ხანია, კარგად იცნობს „ფრესკის" ავტორს, მაგრამ მკითხველი კი არა, ყველა ხატზე დავიფიცებ, რომ ვერცერთი ახლობელი და მეგობარი ვერ წარმოიდგენდა, რომ გიზო ნიშნიანიძე ოდესმე ლექსად დაწერდა რამეს. არადა, რომ თქვას კაცმა, ასეთი საკვირველი რა მოხდა, თვითონ პოეტურმა სახეებმა მიიყვანა ავტორი ლექსამდე. ლექსი თვითონ მწერსო — ხომ წერდა ტიციანი.

სცენა უბრალო იყო, თითქმის ცარიელი... სამაგიეროდ სცენაზე იდგა ეროსი მანჯგალაძე, გურამ საღარაძე, კოტე მახარაძე, ირაკლი უჩანეიშვილი, გივი ბერიკაშვილი, ქართლოს კასრაძე, გია ფერაძე... ერთ რამედ ღირდა ჭიაურელის ქალის — სოფიკოს სცენაზე გავლა.

შეიქნა ლექსის შეჯიბრი. გულის შუქი არ დააკლეს მადლიან სტრიქონებს წამკითხველებმა. პაემანის სიხარულის ბურანი იდგა. აბა, ვინ — ვის!..

ავე-მარიას დონეზე იმღერა ნანი ბრეგვაძემ „სილაში ვარდი", ჩვენი ესტრადის მშვენებამ, ბუბა კიკაბიძემ ხომ დახატა საღამო, მერე ერთი სიურპრიზიც — ოთარ რამიშვილი გულში ჩაკრული გამოიყვანეს „ბისსზე..." ჩვენს დროს სერგო ნაცვალაძე უკრავდა ასე, ჯილა იყო... ახლა კი!.. რა ყოფილა ეს რამიშვილი, რა დღე აყარა სიმებს!

დარბაზი აავსო ნუნუ დუღაშვილის „ლოცვამ თბილისზე", რომელიც ამ საღამოს პირველად შესრულდა საქტელერადიოს ვაჟთა ვოკალური ანსამბ-

*თის წყენინებამი, გულის ტკენის მეტი აღარაფერი კეთდება საქართველოში და ესაა რომ მიფრთხობს ძილს. ნახევარი საათი წავთვლემ ხოლმე გულდამძიმებული, მაგრამ სასიკეთოს ძილშიც ვერაფერს ვხედავ. კარგი სიზმარიც კი სანატრელი გამიხდა ჩვენს ბედშავ სამშობლოში...*

*<u>გიზო ნიშნიანიძე</u>:*

*მერწყული გახლავართ ჰოროსკოპით. მერწყულს კი ორი პლანეტა — ურანი და სატურნი მფარველობს. ერთის მხრივ — მეოცნებე, მეორეს მხრივ — ენერგიული, აქტიური, ქმედითი, გამბედავია მერწყული. დ რ უ ი დ ე ბ ი ს ჰოროსკოპით ჩემი ხე აკაკია — ტოტებგაშლილი, ძლიერი და... ჰოი, საოცრებავ! ჩემს სახლთან ერთადერთი დიდი და გაბარჯღული ხე მეოთხედი საუკუნეა გ ა ნ მ ა რ ტ ო ე ბ ი თ დგას. ერთ დღეს ვიკითხე: რა ჰქვია ამ ხეს?*

*— თელისებრთა ოჯახიდანაა და აკაკი ჰქვიაო, — მითხრა მეუღლემ. ეს ჩემი ხეა! — ვუთხარი და სულ სხვა თვალით შევხედე ამ*

ლისა (მ. ხატელიშვილის ხელმძღვანელობით) და ავტორის მიერ; გალობდნენ აივანზე შემოსკუპებული „შაშვები" (ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი ე. სეფაშვილის, ლ. ჯობავას, კ. მაკარიძისა და გ. ბალარჯიშვილის შემადგენლობით... „შაშვებიც" გიზომ შეარქვა მათ). ცისფერი ტრიო! დაჯირითობდნენ ორ როიალზე ანზორ ბასილაია და ვატო კახიძე; თბილისი, ვერა... წარმოუდგენელია ქურთების გარეშე. და აი, ისინიც გამოჩნდნენ (სოფიკო ჭიაურელის კომანდორობით). ზურნის ჭყვიტინითა და დოლების ბრახა-ბრუხით, სცენაზე ქარიშხალივით ამოზავთდა სანარმოო გაერთიანება „ისნის" კულტურის სახლთან არსებული ქურთული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

...ერთი ამ კაცს დააკვირდით — ამბობს სცენიდან სოფიკო ჭიაურელი და პარტერისაკენ იშვერს ხელს. სცენისაკენ ნელ-ნელა მოემართება ზურაბ ანჯაფარიძე. იმღერა, ისეთი ხმა ამოაკრიალა, თითქოს ცა მოიწმინდა! პატარაობისას, თურმე, ოპერაში ფანჯრიდან ძვრებოდა, ახლა ფანჯარას თვითონ ტოვებს ღიას — იქნებ მეორე ზურიკო ამოძვრეს სადმე!

...მოდიოდა სცენიდან ნაკვესები და აფორიზმები, გონიერი სიტყვა და ღონიერი რითმა. და, რაც მთავარია — სითბო! გათბა ჭალარაშერეული, ომის დროს ბავშვობანართმეული, დაკაცებული სიჭაბუკე, ძველი ქალაქელი კაცის გული. აფერუმ, ამნაირ ბედნიერ პაემანს!

**რეზო დვალიშვილი, 1981.**

P.S. ცნობილი რეზო დვალიშვილი ფელეტონისტი იყო, ვაგლახად არავის რომ არ მოუჩლექდა ენას და არ დაუტკბებოდა!

* * *

დიდებულ „თბილოლოგს" გიზო ნიშნიანიძეს, გაუმარ...ჯოს!

ხოტბა ბევრმა მწერალმა შეასხა ჩვენს თბილისს, მაგრამ ასე ორიგინალურად, გემრიელად, ჯიგრიანად და ასეთი სიყვარულით თბილისისათვის არავის უმღერია! ეს სიტყვები გამოგონილი არავის ეგონოს, ისინი წიგნის წაკითხვისთანავე გაჩნდნენ, რომელიც დიდი სიამოვნებით ერთი სულის ამოთქმით „ამოვთქვი"!

დიდი მადლობა ბავშვობის და სიყმანვილის ასე კარგად გახსენებისათვის. მართალი ხარ — „ვისაც ასეთი თბილისისათვის არ უმზერია" მართლა საცოდავია და თბილისის ყადრი არ იცის. ამიტომ ვტირი დანგრეულ და გაპარტახებულ რუსთველის გამზირს და არა თუ სხვისთვის, საკუთარი თავისთვისაც ვერ მიპატიებია ის, რაც მოხდა.

გამიგონია, „მწერლის მიზანი მიღწეულია თუ იგი მკითხველს ჩააფიქრებს, გააცინებს ან ცრემლს მოჰგვრის"! ჰოდა, მე ეს ყველაფერი განვიცადე, დიდი მადლობა სიცილისა და ტირილის ცრემლისათვის.

პატარა გულის მქონე კაცი ასეთ დიდ წიგნს ვერ დაწერს. ამიტომ დავლოცავ შენს გულს, დიდხანს იცოცხლე.

**სიყვარულით და პატივისცემით, დამსახურებული ექიმი-ლარინგოლოგი, ომის მონაწილე და წარმოშობით შენსაეით**
**ნოდარ რაჟდენის ძე გვეტაძე**

---

*პეროდოკე: მურიანი ადამიანი ორმაგად უბედურია — საკუთარი უბედურებით და სხვისი ბედნიერებით!*

*ყველაფერი ბედია: ერთნი პასუხს აგებენ, მეორენი... ასფალტს!*

## დაგვიანებული გამოძახილი

ძმაო გიზო, თითქმის ნახევარი საუკუნეა, ვიცნობთ ერთმანეთს, წამყვან გაზეთებშიც ერთად ვიმუშავეთ, „ერთი ფუთი მარილიც შევჭამეთ" და მგონი, უკვე ვიცით, ვინ ვინ არის.

გახსოვს, ალბათ, პირველად „ახალგაზრდა კომუნისტში", რომ შევხვდით. კოლექტივი ნიჭიერი ჟურნალისტებით გამოირჩეოდა. ყოველი ახალი თანამშრომლის შემომატებას იმედით შევყურებდით, მათ შორის იყავი შენც. თავიდანვე ოხუნჯობით, ანეკდოტებით, ენაკვიმატობით გაგვაცანი თავი. მერე, როგორც ხდება ხოლმე, დალვინდი, დაიხვეწე და მშვენიერ წერილებს და ფელეტონებს „აცხობდი", რომელიც ღირსებას მატებდა გაზეთს.

გიზო ნიშნიანიძის სახელი აქედან გაიცნო მკითხველმა. ეტყობა, სხვა გამოცემებიც გითვალთვალებდნენ, შენს უნარ-შესაძლებლობებს ეცნობოდნენ, მოსწონდათ და რესპუბლიკის მთავარ გაზეთ „კომუნისტში" გადაგიყვანეს, თუმცა, აქაც ვინ გაგაჩერა დიდხანს, ახალგამოსული საღამოს გაზეთისათვის უფრო საჭირო იყავი, ამას თვითონაც კარგად გრძნობდი და თბილისელმა კაცმა „თბილისში" დაიდე ბინა. შენს სხარტ, იუმორნარევ, მხატვრულ პუბლიკაციებთან ერთად (რომელიც ასე უხდებოდა გაზეთს), ქადაგადქცეული, რას არ მოიგონებდი და გვეტყოდი, დაძაბულობას ხსნიდი, გვალაღებდი, გვამაღლებდი, გვაცინებდი, გვასვენებდი... რომელი ერთი მოვიგონო: მუნჯების პოლიტწრის მეცადინეობა, ექსპრომტად დაწერილი ლექსები, საჭადრაკო ოინები თუ გიტარაზე აჟღერებული სიმღერები. მოგვენატრა ის დრო, რომელიც მერე აღარც გამეორებულა.

რადგან შენს გენში იუმორის ნიჭი ბუდობდა, სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგში" გადაგიყვანეს, სადაც რედაქტორის მოადგილე, მთავარი რედაქტორი იყავი. ნოდარ დუმბაძესთან ერთად მუშაობდი. თქვენი სატირა და იუმორი დაეტყო კიდეც ჟურნალს. გაბედულად ბეჭდავდით მწვავე მასალებს, სააშკარაოზე გამოგქონდათ მაშინდელი მანკიერებანი, რომელიც წინ ელობებოდა ახალ ცხოვრებას. ერთხანს საქტელერადიო კორპორაციაშიც იმუშავე, იქაც ივარგე!

შენი ნიჭი, მონდომება და უნარი უფრო დიდი საქმისათვის იყო მონიდებული! სწორად მოიქეცი, როცა საფუძვლიანად ჩაუჯექი პრესის ისტორიის მეცნიერულ კვლევას და გამოეცი ფუნდამენტური მონოგრაფია „სიცილის არქივიდან", რომელიც მკითხველმა დიდი კმაყოფილებით მიიღო. მას სხვა გამოკვლევებიც მოჰყვა, დაიცავი საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციები ფილოლოგიურ, ისტორიულ მეცნიერებაში და პროფესორის წოდებაც დაიმსახურე.

*მწვანე დიდ ქილვას, რომელსაც ჩემი სული უდგას და ჩემი ს უ ნ თ ქ ვ ი თ სუნთქავს. რადგან იგი ჩემი ორეულია და ნაცვრის ხე!..*

*„ახავალ-დასავალი", 2002.7-13.07.*

*მამების თაობასთან საერთო ენის გამოსანახავად და თაობათა შორის ჩატეხილი ხიდების აღსადგენად, 2002 წელს, ჟიული მარცვავას ვაჟმა კახა მარცვავამ ჩვენი მამების თაობას წერილით მიმართა: „ახალ" დრომაც ყველაზე ქმედითუნარიანმა „ძველმა" თაობამ მოგვეცით მაგალითი, რათა ჩვენც თაობად ჩამოვყალიბდეთ და გ ვ ე რ დ ი თ დაგიდგეთ. ჩვენ, უკვე მამები, მაგრამ უპიროვნობად, თქვენი შვილები, დროზე ადრე წინ არ გაგასწრებთ, ნურც თქვენ გაგვიშვებთ ხელიდან. ნუ გაგვწირავთ. ნუ გაგვიმეტებთ! ნუ გადაგვაქცევთ თაობათა შორის კავშირის მექანიკურ და მოუმზადებელ გადაბარებად ესტაფეტისა! იქნებ, საყოველთაო აუცილებლობის გამო მაინც შევძლოთ „შევძლე-*

არც ეს იკმარე და პოეზიაშიც სცადე ბედი, გამორჩეულ ვერელ გოგობიჭებზე (პროფესიის მიუხედავად) დაწერე პოემა, ომისშემდგომი წლების ეს უბანი გააცოცხლე, ბევრი ახალი ადამიანი შემატე ქალაქის ისტორიას, ყველას, ვისაც ეკუთვნოდა, თავისი სათქმელი უთხარი, გული არავის დანჰყვიტე. მერე „პაემანი ვერაზე" გაასცენარე, თეატრალური სახე მიეცი და ისე წარმოუდგინე მაყურებელს ფილარმონიაში. იურისტი-ჟურნალისტი-მეცნიერი პოეტად და მსახიობად იქეცი, ბოლოს კი, ეს პოპულარული კაცი, დავით სარაჯიშვილის კომპანიის იდეოლოგიის სულისჩამდგმელი გახდი.

სერიოზული წვლილი შეიტანე ეროვნულ მოძრაობაში შემოქმედებითი წვითა და პრაქტიკული მოქმედებით. თბილისელებისათვის კარგად ცნობილია შენი აქტიური მონაწილეობა თბილისურ სახალხო მოძრაობაში.

ერთი კაცისათვის ამდენი „ტვირთის ზიდვა" მართლაც ვაჟკაცობაა, ამიტომაც მთავრობის მაღალი ჯილდო — გორგასლისა და ღირსების ორდენები დაიმსახურე.

ამასთან, ერთ რამესაც გეტყვი საიდუმლოდ: ზოგი შენი დიდი ღვაწლის გაუფასურებასაც ლამობდა, თუმცა, ძნელი იყო ამ თვალხილული უთვალავი შრომის დაუწახაობა და გაჩუმება არჩიეს.

ასე ჩემო გიზო!

გაგიმარჯოს!

*ქართული ჟურნალისტიკის შენსავით ძველი*
*„კატორღელი", შენი ძმა და „პირის ზიარება" ფარსადან თოფურია*

* * *

გიზო-ჯან, როგორ ხანდახან გამობრწყინდები ხოლმე, როგორც სიცოცხლის მანათობელი ვარსკვლავი. შენი წერა თუ საუბარი მალამოსავით ედება იმ მრავალ ჭრილობას, რომელიც საკმაოდ აქვს ჩვენ უკეთესი მომავლის მომლოდინე საზოგადოებას.

შენი დილის გამამხნევებელი... გამოსვლით „ალიონში" (8.07.97) დამამშვიდე. სიყვარულის ცრემლი მომგვარე, ჯიგარი გამითბე, რეტროს უზადო სიყვარული ამომიტივტივე, კაცური ემოციებით დამმუხტე, ისევ ჩამიდგი ძველი თბილისური სული, ჩვენი ყოფით წელმოხრილი... სულიერად გამმართე... სალოლ! შენ ჩვენიანებისათვის უკვდავი ხარ... არ გეხარხარები, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე!

*8.07.97 „ავლაბარი", დილის 9 საათი. გელა მუხაშავრია*

P.S. ბედნიერი ვარ, ჩვენს უბანში დენი მოვიდა!

P.S. P.S. ეს წერილი ჩემმა ავლაბრელმა პროფესორმა ძმაკაცმა მომწერა. გ.ნ.

## თბილისი და თბილისელები

**გიზო ნიშნიანიძე:** „ძველი რუსთაველის პროსპექტს პანაშვიდი უნდა გადაეუხადო!"

ჩემი ოცნებაა, ისეთი კარგი დრო დადგეს თბილისში, რომ მე, ჩემს მეგობრებთან ერთად მარადიული სიცოცხლის ქუჩას — ძველი რუსთაველის პროსპექტს... პანაშვიდი გადაეუხადო და ღამე თეთრად გავუთენო, რომ სანთლებით ხელში გამოვიტიროთ მისი ჭრილობები!"

*თვალი — გარედან ხედავს, გული — შიგნიდან.*

*ციცერონი: ჭეშმარიტება თვითონ იცავს თავს!*

* * *

ეუმღერ კაცურ კაცს სულით და გულით...
რომ ვერ იყიდი ოქროთი, ფულით,
ვერც ბრილიანტით, ვერცა ფალასით...
გადატენილი ბედელ-ქარეასლით!
გლოცავ, ჭაღარავ, მათი სახელით,
ვინც ძმობა იცის – მტრობა ვერ დუნაეს,
გულს ნუ გაიტეხ, ბევრის მნახველო –
კაციცა ხარ და ქუდიცა გხურავს!

**ზაზა ნეფარიძე**

* * *

...რა და რის „იმმი"... ტრა-„გიმმი" –
რასაც მე ახლა მოგიძღვნით –
გინდათ სიძველით მიიღეთ –
და გინდა - ნეოლოგიზმით!
კალამს რა უნდა?
ქაღალდი!
ლოდწყრა – ლერსმულს...
ვერაფრით
ვერ ამოკაწრავ გულფიცარს –
ქვადწერას უნდა... წერაქვი!

## ?! ბოლომდე აუხსნელი სიყვარული

ჩვენს რუბრიკას, ტრადიციულად, ბავშვობის გახსენებით ვიწყებთ ხოლმე, მაგრამ ბატონ გიზო ნიშნიანიძესთან საუბარი დავიწყეთ მის ახლახან დამთავრებული 1507 გვერდიანი ფოლიანტით, რომელიც ჯერ არც გამოცემულა (ლაპარაკია ამ ნიგნამდე ნიგნზე!), რომლის სახელნოდებაც (ჩვენს სათაურშივეა გამოტანილი) მეტყველებს, რომ მთელი ცხოვრება კითხვა-ძახილის ნიშანია, შეცნობა და გაკვირვება-არსებობით, სიცოცხლით... ბოლოს კი, მიხვედრა იმისა, რომ ამქვეყნად რამდენი კითხვაცაა, იმდენი პასუხი არ არსებობს...

## წერილი საკუთარ თავს!

მის ოთახში დიდი ქაოსი იყო და ერთხელაც გადაწყვიტა, რაც ეზედმეტებოდა, თავიდან მოეშორებინა. ხელი მოუსვა და რალაცეები ცეცხლში შეყარა, მაგრამ მერე დაენანა და ველარ გაიმეტა დასანვავად, ზოგი ცეცხლმოდებული ფურცელი უკანვე გამოიღო, თითქოს იმ ალში სტრიქონები კი არა, მისი სული ინვოდა...

**— ბატონო გიზო, როგორ ფიქრობთ, რამდენად მოახერხეთ თქვენი ცხოვრების კითხვა-ძახილის ნიშნების გაშიფვრა?**

*ბელი": ვიფიქროთ ერთად, ვიშრომოთ ერთად, ვიბრძოლოთ ერთად, ვაშენოთ ერთად. ალბათ, ეს ურჩევნია მამულსა. შევძლებთ?*

*...ამ ალალ ნერილს თავიდან, კარგი გამოხმაურება მოჰყვა. მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე არ მოჰყოლია. შევარდნაძის დროში თაობათა შორის ჩაყრილი ხიდების აღდგენა დღემდე ვერ შევძელით. შევარდნაძის დროში მამათა და შვილთა ისტორიული ურთიერთობა ბაბუათა და შვილიშვილთა პრობლემად იქცა და აირია მონასტერი, რომელსაც ეშმაკები დაეპატრონნენ. არადა, მამის გასაკეთებელ საქმეს — შვილი ვერ გააკეთებს — შვილის გასაკეთებელ საქმეს — მამა.*

*კაცისთვის, მამაშვილობასა და დედაშვილობაზე უკეთესი, ღმერთმა ვერ მოიფიქრა და მათ გათიშვაზე უარესი — ეშმაკმა.*

*~~ფაუსტგრიანე (ფეა) ნანი ბრეგვაძისათვის და მამადადე:~~*

*როსტროპოვიჩს ჰკითხეს: როდის უკრავ ყველაზე უკეთო და უპასუხა —*

— შეეცადე წიგნში ყველაფერი მეთქვა. ბოლოს და ბოლოს, თუ იტყვი, ლამაზად უნდა თქვა. გაფიქრებისას მაინც უნდა იყო მართალი, ხანდახან კაცს გაფიქრებაც კი გზარავს, ისეთი რამ შეგხვედრია ცხოვრებაში.

**— ამ წიგნის წერისას თუ დაიტოვეთ რამე უთქმელი?**

— იცით რა? დავიტრაბახე, ყველაფერს ვიტყვი-მეთქი, მაგრამ ბოლომდე სიმართლეს მაინც ვერ ვამბობ, მაინც ვერ ვშიშვლდები ბოლომდე. არის მომენტები, როდესაც სიმართლეს უახლოვდები, მაგრამ ყველაფერს მაინც ვერ იტყვი, გულახდილობაც პირობითია. რაღაც საიდუმლო ჩემთან ერთად მოკვდება.

**— როცა ჩვენს წარსულს გადახედავთ, რა გაკვირვებთ ყველაზე მეტად?**

— ძველი თბილისური ხუმრობაა: ერთს ჰკითხეს, რას წერო, — წერილსო. ვის წერო? — საკუთარ თავსო. რა წერია შიგო? — არ ვიცი, ჯერ არ მიმიღიაო?! ასე ვარ მეც, მინდა ჩემთვის, შვილების, შვილიშვილებისა და მეგობრებისათვის დავწერო... დღეს იმდენად უხერხულ მდგომარეობაშია წიგნი, ზოგჯერ მის გაყიდვასაც კი არ ვფიქრობ. ამ წიგნში ყველაფერი გამოვიყენე, რასაც ჩემთვის მნიშვნელობა ჰქონდა. ერთხელ, საოჯახო არქივში, სამიოდე წლის მძინარე ბავშვის სურათი ვნახე. გამიკვირდა და დედას ვკითხე: ვინაა-მეთქი. სახეზე ცეცხლი მოედო. ჩემი უფროსი ძმა ყოფილა, სამი წლის გარდაცვლილა და არ მეუბნებოდნენ. იმას რომ ეცოცხლა, მე აღარ გავჩნდებოდი ამქვეყნად.მეტის რჩენა არ შეეძლოთ... ჰოდა, თითქოს მის ვალშიც ვარ... ამ წიგნში მე — 71 წლის კაცს, შემიძლია მოვეფერო ჩემს 3 წლის ძმას, რომელმაც სიცოცხლე დამითმო...

## „ბებერი ბიჭი"

ოლგინსკაიას (ძველად ლენინის, ამჟამად კოსტავას) ქუჩაზე მდებარე სამშობიაროში დაიბადა 1928 წლის 13 თებერვალს. როგორც გაიგო, იმ სამშობიაროს პრივატიზებას უპირებენ, გული დაწყდა. ბოლოს და ბოლოს — სახელმწიფომ რომ ვერ გაიმეტოს საპრივატიზაციოდ, ის არ კმარა, მე რომ გავჩნდი ამ დაწესებულებაშიო — სიცილით ამბობს ბატონი გიზო.

„როგორ უნდა ვთქვა ამ რიცხვზე თარსიაო, როცა ჩემთვის ყველაზე კარგი რამ ამ დღეს მოხდა, 13-ში, დილის ათ საათზე მოვევლინე ქვეყანას, სამუშაო დღე რომ იწყება და იქნებ დაბადებიდან, პედანტიზმამდე პუნქტუალურიც იმიტომ ვარ...

როგორც გადმომცეს, ძალიან ეშმაკი და მაქციერა ბავშვი ვყოფილვარ. დედა უფრო მკაცრი იყო, და ჩანს, ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა: შვილი მტრულად უნდა გაზარდო, რომ მოყვარედ გამოგადგეს!..

შვილებთან და შვილიშვილებთან ამხანაგობა კარგია, მაგრამ რაღაც დისტანციაც საჭიროა. თუ ასე არაა, ე. ი. მამობის პასუხისმგებლობას გაურბიხარ. ამხანაგობა ადვილია. თანასწორობა ჩვენთვის, უფროსებისათვის ეიფორიაა!.. თითქოს ხელახლა განვიცდით ახალგაზრდობას: „დრო მიდის, გვითელის ნაბიჯებს და უკან აღარ ბრუნდება, ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს მეორედ მოსვლის უფლება!"

— მინდა, რომ ბიჭობა მეორედ მოვიდეს და მოდის კიდეც ჩვენს შვილიშვილებში! ერთგან ვთქვი:

ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი, და ვრჩები ასე ბებერი ბიჭი-მეთქი!..

---

*კოკო გამსახურდია: 10-დან ერთი თეზისი საქართველოს გადასარჩენად – გლობალიზაციის საწინააღმდეგო ფილტრების შექმნაა!*

უცებ გავიდა დრო. მივიხედე, მოვიხედე და თვალსა და ხელს შუა... 70 წლის შემდეგ, თითქოს ყველა დღე, ყველა საათი ნაჩუქარია.

## „ქუჩის ბიჭები“ და „დედას ბიჭები“

...მე თბილისზე შეყვარებული კაცი ვარ. ბედნიერი ვარ, რომ იმ თბილისს მოვესწარი. დღესაც იმ წარსულზე მიმდის სული. მე იმ ბავშვობიდან, იმ თბილისიდან მოვდივარ და თვალი უკან მრჩება...

ჩვენ ქუჩის ბიჭებსაც გვეძახდნენ, მაგრამ მაშინ ქუჩაც სხვანაირი იყო. რუსთაველის პროსპექტის მარცხენა მხარეს, კინო „სპარტაკთან“, „დედას ბიჭები“ — ე. წ. „მამინკი სინოკები“ დადიოდნენ. მარჯვენა მხარეს კი — „დასტოინები“, ბუზს რომ ვერავინ აუფრენდა. ყველა ყველასთან და ნებისმიერ ადგილას ვერ დადგებოდა. ასეთი გამოთქმაც არსებობდა: ნადი ტოლი ნახეო! ჩამოსულებსაც თავ-თავიანთი ადგილი ჰქონდათ. თბილისში კაცი ჩემოდანს არ დადებდა უადგილო ადგილას. ქალაქს თავისი კოდექსი ჰქონდა. თბილისი ეთნიკურად ჭრელი იყო, მაგრამ სინდისნამუსით ეგეთი დალაგებული ქალაქი... არ არსებობდა.

სამწუხაროდ თუ სამხიარულოდ, ძალიან ბევრი სკოლა მოვიარე თბილისში. ბოლოს კი მათბოჯში და ხარაგაულში ამოვყავი თავი... ქუჩის ბიჭებში ფრიადოსნობა „აკრძალული იყო“?! კარგი ნიშნები შეიძლება გყოლოდა, მაგრამ მაინცდამაინც ფრიადოსნობაზე თავი არ უნდა დაგედო!

წარმოიდგინეთ, ერთი ალალი ბიჭი გვყავდა, გრიშა მჭედლიშვილი, ზემელზე ტრამვაიდან ჩამოხტა: ბიჭებო, კომკავშირის რაიკომის მდივნად მნიშნავენ, წავიდეო? — გვკითხა. წადიო! — უთხრეს. გაბრუნდა და ისევ, იმ ტრამვაის შეახტა. ასე იყო, ქუჩის ვერდიქტი ყველაზე მაღალ განაჩენად ითვლებოდა.

**— ხარაგაულში რომ მოხვდით, მერე სკოლა სად დაამთავრეთ?**

— „დისლოკაციის ადგილის“ შეცვლას, შემდეგ, დღისა და ღამის აღრევაც მოჰყვა და საბოლოოდ, თბილისის საღამოს მე-10 სკოლა დავამთავრე.

...ბიჭობას ვერ ველეოდი, მენანებოდა. თუმცა, ბავშვობაში კაცობაზე ვდებდი თავს — კაცობაში — ბიჭობაზე! ვერ გავძეხი!

**— და, როგორ დაკაცდით?**

— ნიაზ დიასამიძე ხომ გაგიგონიათ? ერთხელ ვუთხარი, პანაშვიდზე წავიდეთ-მეთქი და: არა კაცო, იქ „მიორტვობააო“! აი, როცა ჩემი ძმაკაცი ოთარ მგელაძე ავარიაში დაიღუპა, მაშინ მივხვდი, რომ ჩვენც შეიძლება მალე წავიდეთ ამქვეყნიდან. სიკვდილმა პირველი მუშტი მგლიჯა!

*როცა ცუდ გუნებაზე ვარ.*

*ჩულურეთის მოხსენიებამ წლის ყველაზე ზრდილობიან პარლამენტარად დაასახელა გივი წერეთელი.*

*ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მაინც წერეთლობამ აჯობა პარლამენტარობას, სადაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ზრდილობაზე მნყრალად არიან.*

*„ზრდილნი იმერნი!“ ტყუილად ხომ არაა ნათქვამი!*

*არადა, ზრდილობაც რომ საძებარი მეგვექნება და თანაც რჩეულთა, ანუ დიდთა პარლამენტართა შორის!*

*კარგი იქნება თუ ახლოიყე კონკურსები ჩატარდება პაციონებში, ქუჩაში, განათლებაში, ხმაჭამაში, ცეკვა-სიმღერაში, ძილაობაში, კრივში, „დაულდარაში“, „გრძელ ვირში“, „დურაკაში“, „ნარდში“, „შაშში“ და ა. შ.*

*საპარლამენტო არჩევნები — გულებიდან ფარშევანგებამდე, სუბოცექსიდან სადღეგის ქვამდე. ნარნარით: „დაგვადით მიხომ“!*

*რეზი მცაცაიშვილი:*

**— ბატონო გიზო, „პაემანი ვერაზე“ წიგნი, რომელიც, მორის ფოცხიშვილის შეფასებით, „ან ყველა ჩვენგანს უნდა დაეწერა ერთად, ან ერთ ჩვენგანს“, უთვალავი მოგონების წიგნია. როგორ გახსოვთ ამდენი რამ?**

— მაშინდელი ყველაფერი მახსოვს, ყველა წვრილმანი. ლექსადაც იმიტომ დავწერე, რომ სხვანაირად ამდენ რამეს ვერ ვიტყოდი. ხომ იცით, ყველაზე ცუდი ოპონენტი ცოლია. პირველად რომ ვუკითხავდი, ცრემლი მოადგა, თან ეჭვით მკითხა, ახლა ლექსების წერა რომ დაიწყო, უხერხული ხომ არ არისო?

— რითმებს საწყობში კი არ არიგებენ, სადაც მომელექსება — მივულექსებ, სადაც არა — ვიპროზავებ-მეთქი, ვუთხარი. სხვათა შორის, პოეზიისა და პროზის მონაცვლეობა ჯერ კიდევ ანტიკურ ლიტერატურაში გვხვდება.

## *„უხარია, რომ ცოცხალია!“*

არსებობს ცხოვრებამონწყურებული და თავმობეზრებული კაცი. ჩვენს დროს, ვინმე რომ მოდიოდა ქუჩაში და პირზე ღიმილი ეფინა, მეორეს უკვირდა, რა აცინებსო?.. მესამე კი პასუხობდა: უხარია, რომ ცოცხალიაო! ამ სიტყვების ჭეშმარიტ აზრს ახლა ვხვდები. სიცოცხლე უნდა გიხაროდეს, მაშინ არც სხვას მოუწამლავ არსებობას და არც საკუთარ თავს.

ცუდია, როცა ყველაფერი შენთვის გინდა და ზომა-წონა არ იცი. ქეიქაუსი ამბობს: *ერიდე პირველს თასს და ბოლოვას ლუკმას!* რაღაც უნდა დაიტოვო შიმშილის სახსოვრად... ჯერ არ მინახავს მაძღარი კაცი, გემო რომ ჩაატანოს საჭმელს. როცა გშია, მაშინ დააგემოვნე, მაშინ აქვს ლუკმას ფასი. ყოვლად მოყირჭებული კაცი... უბედურია!

წინათ, ნოსტალგია, სამშობლოს მონატრებას უკავშირდებოდა, ახლა — კაი ცხოვრებას. ნათქვამია: ჭირი ჭირს ართობსო — ეს მაინც ბოროტებას ჰგავს. სხვისი ჭირით შენ როგორ უნდა ილხინო? ირაკლი აბაშიძეს აქვს ნათქვამი: „ო, არა გაზაფხულზე“... ანუ გაზაფხულზე ნუ მომკლავ, ღმერთოო!.. სრულიად პოეტურია, მაგრამ დღევანდელმა ცხოვრებამ ბევრი რამ ააყირავა. მე თუ მკითხავთ, როცა ყველაფერი კარგად იქნება და ჩემი გაჭირვება კიდევ ერთ უბედურებად აღარ დაემატება ამას, მაშინ წავალ. იმ დროს კი, როგორ დავარქვა დრო, როცა რეზო ინანიშვილი თვალსა და ხელ შუა გაეპარა საქართველოს. ისე მოკვდა, რომ თბილისმა ღირსეულად ვერც გამოიგლოვა. თავად თბილისი იყო მაშინ მკვდარი. მაშინდელი ომისთვის სახელიც ვერ დაუგვირქმევია! კაბინეტებიდან ესროდნენ ერთმანეთს. მე, ჩემი ჭკუით, ამას „კაბინეტური ომი“ შევარქვი!

ალბათ, უკვე იმ ასაკში ვარ, როცა მეორე სოფლისათვის ემზადებიან. წინათ გარდაცვლილზე ამბობდნენ: ჩვენი ჭირი წაიღოო! საოცარი ნათქვამია. ახლა ისეთი ცხოვრებაა, ჩვენს ჭირს ვინ ჩივის, თავისსასაც აქ გვიტოვებს. მომრავლდნენ მაოხრებელი ცოცხლებიცა და მკვდრებიც. მე კი არ მინდა, რომ ჩემი ჭირი აქ დავტოვო!..

## *თბილისო, გზა ხომ არ აგერია?*

„პაემანი ვერაზე“ წიგნი-ქრონიკაა, პოეტური ქრონიკა. მასში უამრავი პიროვნებაა, უამრავი კოლორიტული ხასიათი. საოცარი ადამიანები ცხოვრობდნენ თბილისში. ახლაც არის არაერთი კაი ვინმე. აი, მაგალითად, კოტე ყუბანეიშვილი. მინდა ახლო გავიცნო. (სხვათა შორის, უკვე გავიცანი

მესამე კაცის გარეშე. შევხვდით, ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს და პირველივე საღამოს ვიბაირამეთ). ახლა დროა რაღაც ულიმღამო. ჩვენი დრო უფრო მოიხდენდა ასეთ კაცს. ეჰ, ვინ იცის, თბილისი კიდევ რამდენ კარგ ვინმეს „გამოჩეკავს" და ააფრენს... ქალაქი სოფელმა შეცვალა. ბევრჯერ მითქვამს, ბუნებაში თურმე, ქალაქის მერცხლებიც არსებობენ და სოფლისაც. ისინი ერთნაირად უხდებიან საქართველოს ცას, ოღონდ სხვადასხვანაირად „ჭიკჭიკებენ". ყველა თავის ადგილს უხდება. ძნელია, დაიჯერო, რომ დღევანდელი ქაჯობის გაგებითაა ნათქვამი, მაგრამ „ვეფხისტყაოსანშიც" კი ვილაცეებს ქაჯები ჰქვიათ... „ქაჯობამ გვაჯობაო!" — ყუბანეიშვილი ამბობს.

## ტიპი

**— რომ შეგეძლოთ, რას შეცვლიდით საკუთარ ცხოვრებაში?**

— გიზო ნიშნიანიძეს ჩემზე უკეთესად არავინ იცნობს. როგორც ჩანს, მას, რა გზაც გაიარა, იმ გზის გარდა, სხვა გზა არ ჰქონდა. ჩემივე ნათქვამს გავიმეორებ: რას მივაღწიე? შრომა გავისურვილე! ის ახლა ჩემთვის სიამოვნებაა. ხშირად მინევს ნეკროლოგების წერა. სამწუხაროდ, ჩემი თაობის ბევრი ნეკროლოგის ავტორი ვარ, ცოცხლებზე უფრო მეტად მიცვალებულებს ვცემ პატივს, რადგან წუთისოფლის სტუმრებზე მეტად მარადისობის მკვიდრთა ხათრი მაქვს. თანაც დაკვირვებული ვარ, რაც მიწაზე მოდის, იმის სიცოცხლე მიწაში ინყება: ყვავილის, ხის, მცენარის... საიქიოდან სააქაოში არავინ დაბრუნებულა, რომ ამბავი მოეტანა, მაგრამ მჯერა, რომ იქ სიცოცხლე ხარობს, ოღონდ სხვა განზომილებაში და ამას ერთი გენიალური ქართული სიტყვაც მიდასტურებს, რომელიც სიკვდილს „გარდაცვალებას" ეძახის. სიკვდილი სიცოცხლის უკანასკნელი საიდუმლოა (ეს ჩემზე ადრე აინშტაინმა თქვა) და საინტერესოა... თუმცა, რაც შორს იქნება, უფრო მადლობელი ვიქნები. აქვე მინდა გავიხსენო ვოლტერის სიტყვები: „მე ვკვდები ისე, რომ მწამს ღმერთი, მიყვარს მეგობრები, არ მძულს მტრები, თუმცა მეზიზღება მოძალადეები".

**— ბატონო გიზო, ერთი სიტყვით როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს, ვინ ხართ თქვენ?**

— ვინ ვარ? ერთი ტიპი!

**— როგორი ტიპი ხართ?**

— ეგ უკვე სხვამ უნდა თქვას.

არქეტიპობაზე თავს არა ვდებ... ერთხელ, იდეალური ქალი დაგვისახელეო, მითხრეს და ვუპასუხე: იდეალური ქალი იდეალურმა კაცმა უნდა დაასახელოს-მეთქი.

*კიდევ ერთი არჩევნები გადავავლეთ. ხუმრობა საქმე ხომ არ არის. ჩვენ პარლამენტს კიდევ ხუთი დეპუტატი შემატება. თანაც რა დეპუტატები!.. ეს არჩევნები კი არჩევნების ისტორიაში სიმბოლოების სიმრავლით შევა.*

*არჩევნებამდე ორი დღით ადრე, დავით გამყრელიძეს ცოფსაწინააღმდეგო ვაქცინა და ოყნა მიუცანეს. არჩევნების დღეს კი ხელისუფლებამ მთლიანად გალოლა და დაუკრეფავში გადავიდა — საფლავის ქვა გააკეთა. ოპოზიციის დამარცხების აღსანიშნავად და ჰეცრე-ჰეგლეს სასაფლაოზე წაიღეს. კიდევ კარგი, კაბური ანეკდოტის არ იყოს, ზედ ისიც დააწერეს — „დაგვადროთ მიხომარ!" — ისე, ხუმრობა იქით იყოს, და ნორმალური ქვეყნის ნორმალური ხელისუფლება ოპოზიციის უმწეობით კი არ უნდა ხარობდეს და საფლავის ქვებს თლიდეს, უნდა დარდობდეს, ჩემს ქვეყანაში საქმე მთლად კარგად ვერ არისო. ასეთი საფლავის ქვის იდეა კი, ალბათ, თავისუფლების ინსტიტუტდამთავრე-*

თუმცა ბატონმა გიზომ ძალიან კარგადაც იცის საკუთარი თავის ავ-კარგი და ეს თბილისელებმაც იციან: დედაქალაქში გააფთრებული, ხელ-ჩართული ბრძოლისას, ფუნიკულიორისძირა გზაზე მიმავალი გიზო ნიშ-ნიანიძის დანახვაზე ორივე დაპირისპირებულმა მხარემ დროებით შენ-ყვიტა სროლა: გავატაროთო!!!

იქნებ, ეს სიყვარულის თავისებური ახსნაც იყო! ბატონი გიზოს აზრით: სიყვარული, სადაც აიხსნება, იქვე თავდება.

— მე მჯერა, რომ არც ჩემი თავისთვის, არც ჩემიანებისთვის, ჩემი ხალხისთვის, ცხოვრებისათვის სიყვარული ჯერ ბოლომდე არ ამიხსნია, რადგან ბოლომდე ახსნილი სიყვარული... დამთავრებულია!..

მის ოჯახში კი „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს..." ტირიან, იცინიან, მღერიან...".

ე.ლ.

* * *

არც მონა, არცა მონათმფლობელი — აი, ვინ არის თავისუფალი!
ასე თვლის ყველა ჭკუათმყოფელი — „თავისუფალში" არის „უფალი" —
უზენაესი ის ერთადერთი — ღმერთიეით სიტყვა და სიტყვა-ღმერთი!

# ავტოინტერ...ვიუ და ვაიც!

...ნანყვეტები ტრაგიკომედიიდან „გიზო ნიშნიანიძე"! სცენები ბავშვო-ბიდან, ბიჭობიდან, კაცობიდან და ბერიკაცობიდან (მრავალი მოქმედებით თუ უმოქმედობით!) აულაგებელი ფიქრებით და დაულაგებელი აზრებით; გულგატეხილი დღეებით და ღამეებით... თეთრად ნათენები იმედებით; დღე-ღამის გასაყარის ჩანანერებით; ცხადი სიზმრებითა და სიზმარ-ცხადებით; ქარნაღებული, ნყალნაღებული აზრებით და აზრიანი უაზრობებით... ან-ტონიმების ლოგიკით თუ ლოგიკის ალოგიზმებითა და სხვა ლოგიზმებით...

...იქნებ დიდი ვერაფერი თავმოსანონებელია, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა, რადგან გულახდილობა ყველაზე დიდი სიკეთეა, რასაც მნერალი მკითხველს უხდის იმაში, რაც მკითხველმა მნერალს უნდა გადაუხადოს!

მიუხედავად იმისა, რომ მეხსიერებას არ ვუჩივი, დაბადება არ მახს-ოვს. ჩემი მეხსიერება დაინყო იმით, რომ ცხოვრებაში პირველი „ლახტი" მამაჩემის ქამრით „მეთამაშა" დედაჩემის უფროსი და, დეიდა სონია, რომელმაც, თურმე, ერთი ცუდი ჩვეულება მომაშლევინა — პროტესტის ნიშნად (ჩემი რაიმე სურვილის შეუსრულებლობის დროს) საგარეო ტანსაცმლით მცოდნია იატაკზე გაგორება... ჰოდა, იმას ამ ქამრით ისე ავუჭრელებივარ და ვუგორებივარ, რომ მას შემდეგ სკამზე გადადებული ქამრის დანახვაზეც ვტიროდი.

ასე დაინყო ამ ცხოვრების აღქმის პროცესი (ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში)... მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ნარმოიდგინეთ ჩემი გაოცება (და რაღა დაგიმალოთ — აღტაცებაც!), როცა აგერ, ნახევარი საუკუნის შემდეგ, პირველი შვილიშვილიც ასევე გაგორდა იატაკზე და მოხვეტა ყვე-ლაფერი?! დანაშაულზე ნასნრებულივით მოვავლე შინაურებს თვალი, თუმცა აქ, ჩემს გარდა, ვის უნდა სცოდნოდა, რომ მის ამ მოქმედებაში ჩვენი გენეტიკური კოდი იდო... გამახსენდა ანატოლ ფრანსის ნათქვამი, რომ გენი რომელიც მუშაობს მშობლებში — ისვენებს შვილებში და იღვი-ძებს შვილიშვილებში...

* * *

იმ დღეს, თამაზ ტულუშს (დიდუბის რაიონის პროკურორს) მისი ბიძის — ბონდო ნიკოლაიშვილის დაბადების დღის პურ-მარილში, ჩვენი ეზოს ნერილმანების გახსენებაში გაეეჯიბრე (მე მისი დედ-მამის ხელში გავიზარდე, ის — ჩემს ხელში. ასე გადავდიოდით ხელიდან — ხელში!). ჩვენი ორიარუსიანი ეზო თბილისის ქიპზე იდგა — ზემელზე, იქ სადაც ახლა კინოს სახლი დგას! ეზო ერთ ოჯახს ჰგავდა. რა გვქონდა საერთო? — თუნდაც, ნყლის ერთი ონკანი და ერთი საპირფარეშო! აი, რა მაქვს დღეს მათთან საპირფერო და საპირფარეშოც! დილიდან-საღამომდე ან ნყლის რიგში ვიდექით ერთად, ან ფეხსალაგის, რომელზეც უინტერესო ფეხბურთის მატჩის ანგარიშივით ორი ნოლი (00) ენერა და, რომლიდანაც გამოსულს ჯერ კიდევ კუილის ხმაზე ცნობდნენ მეზობლები!

ეტყობა მეხსიერების ის „კასეტა", რომელზეც ბავშვობის ნლებია ჩანერილი, ხელუხლებელია... უკლებლივ მახსოვს ჩემი პირველი ეზოს სრული შემადგენლობა. სხვისთვის ეს, როგორც გურულები იტყვიან, — „აფერია", ჩემთვის კი ყველაფერი — თითოეული გვარი — „გვარიან მოგონებებში" მიმათრევს. ჩათრევას კი ჩაყოლა ჯობია — გავიხსენოთ და ვახსენოთ: ნიშნიანიძეები, ტულუშები, მუკბანიანები, მოსიძეები, ბალანჩივაძეები, კორძაიები, ბლუაშვილები, ზასიევები, თევდორაძეები, სუპატაშვილები, კარაპეტიანები, ბუნიატინები, ელიაევები, კლდიაშვილები, ოსაძეები, ნიჟარაძეები, დეკანოსიძეები, ავალიანები, კილურაძეები, სიტინები, თარხანოვები, ჭკადუები, ჯიშკარიანები, ჯინჭველაშვილები, კალანდაძეები... მეეზოვე ტონო, თავისი ალმანათი... ვინაც დაგვავინყდა — სიკვდილს დაავინყდეს!

როცა კაცი თავის ძირს ეძებს, მისი გზამკვლევი უნდა იყოს ციცერონის ის სიბრძნე, რომელიც მეტყველებს, რომ ადამიანისთვის პირველი — მისი სამშობლოა, მერე — შვილები და ოჯახი, მერე კი ნათესავები და ყველაფერი დანარჩენი!

რაც შეეხება ჩემს სახელსა და გვარს? სიფხიზლეში გიზოს მეძახიან, სიმთვრალეში — გიჟოს, პასპორტში კი „გაიოზი" ნინერია, რაც ბერძნულად — „მინის შვილს", კიდევ კარგი „მინიერს" ნიშნავს და არ „ბინიერს"! მეორე სახელი — „გიზო", ჩემთვის მეზობელს, ნაზიკოს ნათლიას, ექიმ აგრაფინა დოლიძეს დაურქმევია, რომელსაც დისთვის საიმედო სახელი — „ნადეჟდა" შეურჩევია, ჩემთვის კი უკეთესი ვერაფერი მოუფიქრებია, რაზედაც განანყენებულ ბებიაჩემს — ანა ნულუკიძეს, ნათლობის ინდაურის გამოგზავნაზე თავი შეუკავებია — ბოვ-

ბულებმა შესთავაზეს ბრეგაძეს. თავის დროზე, როცა საკონსტიტუციო სასამართლომ მოსამართლე ქაქუჩას სარჩელი დააკმაყოფილა, თავისუფლების ინსტიტუტმა კუბო გამოიტანა და ფიტულები დაწვა. მაშინ ეს გროტესკის ჩარჩოებში ჯდებოდა, მაგრამ ახლა, მართალია ნამდვილი ქნეს, პირდაპირ სასაფლაოზე მიიტანეს...

„ქრონიკა", 3-9.010.2005.

**P.S.** მცერ-მოყვარედ ვიმლებით, დიდი არის ცდუნება,

ჩვენ-ჩვენს ქისას ვახარებთ — კაცის და გუნებას.

და პრეზიდენტყოფილმა, მისი ლხინიც გაგვანდო:

როგორ ხარო? — ჰკითხეს და — მტრის ჯინაზე, კარგადო?!

„მტერი", ალბათ, ხალხია, ვეღარ დააკონკრეტა.

ჯინში „ჯინა" არის... (ბუნდოვნად და მოკლედ).

ვინც გახლიჩა ქვეყანა, მინისტერი არის...

ცნობ!

წაგება-მოგება — ღვიძლი ძმები არიან!

„უმიწაწყლოდ დატოვებული საქართველო"!..

შისთვის „გიჟო" რამ დაგარქმევიათო?!

რაც შეეხება გვარს! ამას წინათ, პრივატიზაციის მაშინდელმა მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ „მემორიალური" წარწერით — („გვარისა და ქვეყნის შესანიშნავ წარმომადგენელს") მაჩუქა მისი და ანზორ თოთაძის ავტორობით ახლახანს გამოცემული წიგნი „გვარ-სახელები საქართველოში", სადაც ყველა გვარს თავისი რიგი და ადგილი აქვს განკუთვნილი!

არაერთხელ მითქვამს, რომ ჩემი აზრით, ადამიანი ოთხი გვარის — მამის, დედის, მამისა და დედის მხრიდან ბებიების გვარებისაგან წარმოსდგება. ზემოხსენებულ ნუსხაში, ამ ლოგიკით (როგორც გაზეთი „საქართველოს" 1997 წლის 6-8 მარტის ნომერი იუწყება) საქართველოში არსებული 25000 გვარში — 1406 ნიშნიანძე, 2076 ვარდოსანიძე, 2272 წულუკიძე და 1312 ცქიტიშვილია (თბილისში, ქუთაისში, ზესტაფონში, ტყიბულში, ქობულეთსა თუ ხელვაჩაურში). ღმერთმა ამრავლოთ! ჩემი ძველი ამქარკალმოსანი იაკობ ახუაშვილი კი (წიგნში „ქართული გვარ-სახელების საიდუმლოებანი") იმასაც ამბობს, რომ ნიშნიანიძეები მოიხსენებიან ნიშნიძეებად (იხ. წიგნი გენათელი იოსებისა — გელათის შეწირულებათა შესახებ, 1776 წლის 9 მაისი): „...ნინიკასაგან დავიხსენი... ორი ძმა ნიშნიძეები"... იყო, თურმე ნიშნიაშვილიც, რაც ბოლოს ნიშნიანიძედ იქცა...

აი, ამ გვარების შენაკადად ვთვლი ჩემს თავს, ამ გვარების სისხლი მიდგას ძარღვებში და ამიტომაც ვარ, ასე ვთქვათ — ამდაგვარი!

ისე, აზნაურიშვილმა კაცმა (და საერთოდ — ნიშნიანიძეებმა) ერთ ისტორიულ პუბლიკაციაში „თამადობასაც" კი გამოვკარით ხელი.

P.S. რაც შეეხება „ნინიკას"...იმას კი გავეყარე, მაგრამ მერე ვის გადავეყარე, იმას აღარ იკითხავთ?

* * *

— კმაყოფილი ხარ თუ არა ცხოვრებით?

— მთავარია, კმაყოფილია თუ არა ცხოვრება ჩემით?

— რას იტყვი იმაზე, რომ შენი ასაკი თითქმის დაემთხვა რევოლუციის ასაკს და 70 წელიწადი საქართველოს კი არა სსრ კავშირის მოქალაქე იყავი?

— ვიმეორებ: საცოდაობაა, კაცი ერთხელ იბადებოდეს ქვეყანაზე და ისიც საბჭოთა კავშირში!

* * *

ხსოვნის აბლაბუდიდან!..

პატარა ბიჭის ჩაფსმული ლეიბ-საბანი გამოამზეურეს და როცა დედამ ლეიბს გასაბერტყად ბამბის საპენტი ჯოხი დასცხო, ბავშვმა ღრიალი მორთო — ჩემს ლოგინს რატომ სცემთო!

* * *

ქუჩაში ღიმილით მიმავალ კაცს ღიმილით აცილებდნენ და ამბობდნენ:

— რა აცინებს?

---

*ყვავილების ქვეყანას... ყვავილებად პყიდიან,*
*ცალ-ცალკე და ერთადა, კონა — ათი მაური!*
*ლურჯთვალება იასა სიტურფისათვის რომ წყვეტენ...*
*სილამაზის გარდა სხვა არ აქვს დანაშაული.*

— უხარია, რომ ცოცხალიაო?!

მაშინ იცოდნენ, თუ იცოდნენ სიცოცხლის ფასი!

მონყენილ, სახეჩამომტირალ კაცს ქუჩაში არ გავატარებდით. რაღაც მიზეზს მოვუძებნიდით, გამოველაპარაკებოდით... ბოლო-ბოლო, სხვით თუ ვერაფრით, რაღაც ცხელ, სასაცილო ამბავს მოვუყვებოდით და გულის დარდს გადავუყრიდით. ასე, უმესამეკაცოდ, გამცნობის გარეშე გაიცნო მთელმა თბილისმა ერთმანეთი. ჩვენი სიცილის, სისხლის, თუ სამოქალაქო სამართალი... რაღაც დანერილ-დაუნერელი კანონების ზღვარზე — ქუჩის მორალურ კოდექსზე გადიოდა.

— რას ვერ აპატიებ სხვას?

— რასაც საკუთარ თავსაც ვერ ვაპატიებ!

* * *

— სულმოკლეობას და ხელგაშლილობას, ხელმოკლეობა და სულგრძელობას ჯობია! — ვთქვი მე და სიგარეტს მოვუკიდე.

— ეს ანდაზა ჯერ არ გამიგონია, — თქვა ცოლმა, თან გამაფრთხილა — ოთახში ნუ ენევიო.

— მენველ ძროხას ბღავილს არ უშლიან! — ისევ ვთქვი მე.

— ეს ანდაზაც პირველად მესმის — ცქეიტა ყურები ცოლმა?!

— გმადლობთ კომპლიმენტისთვის... ქედს კი არა — თავს ვუხრი ცოლს.

* * *

„შიში შეიქმს სიყვარულსაო!.." ისეთი კაცის ნათქვამია, რომ ნყალი არ გაუვა! მაგრამ სიყვარულში, მთლად შიშის იმედზე ყოფნაც არ შეიძლება და თანაც ამ პოსტულატს (თუ ერთადერთ ამოსავალ ნერტილად ჩავთვლით), მაშინ გორგასალივით უშიშთა — ვითარცა უხორცოთა სიყვარულის ნიჭისათვისაც დაგვისვია ნერტილი. ქართველებს ყველაფრისადმი განსაკუთრებული, თუ გნებავთ ლუარსაბ თათქარიძისეული, მიდგომა გვაქვს, რისი ოფიციალურ-ლიტერატურულ-ეთნოგრაფიული კვალი შემოგვინახეს, თუნდაც, ფიგურალურმა თქმებმა. ქართველები, ასე განსაჯეთ, შიშსაც კი „მიირთმევენ". ხომ გაგიგონიათ — „შიში ვჭამეო"?! ქართველებმა იციან, რომ „შიშს დიდი თვალები აქვს" — ჭკუა კი პატარა!

მეცნიერება ამ მდგომარეობას „აკვიატებულს" უნოდებს და შიშებისა თუ მანიების მთელ გარნიტურს ჩამოთვლის: ონობატომანია (ავადმყოფური ყოყმანი, ეჭვიანობა, რაღაცის აკვიატებული გახსენება). არითმომანია — დათვლის დაუძლეველი სურვილი; კო-

*მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო: საქართველოს პარლამენტმა მიიღო — „კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციის შესახებ". ერთადერთი იმედიც დარჩა: ქვეყნის პრეზიდენტს კეთილგონიერება გამოეჩინა და ამ საერთო-სახალხო უბედურებისათვის ვეტო დაედო. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. 2005 წლის 8 ივლისს, მიუხედავად მრავალი თხოვნისა და შეგონებისა, მან ქართული მიწის საბოლოოდ გაყიდვის კანონს ხელი მოაწერა და იგი ძალაში შევიდა. ამჟამად გამზადებულია მარჩენალი მამულის უკონტროლოდ გასხვისების სხვა დებულებაც და 2005 წლის პირველი ოქტომბრიდან, სოფლად, ცოდვის კითხვა დაიწყება.*

*...მიწის კანონის ამოქმედების ფონზე, მეტად საშიშად გამოიყურება ორმაგი მოქალაქეობა. ამ უფლებას ფართოდ გამოიყენებენ არა მხოლოდ უცხოეთში გადახვეწილი ქართველები, არამედ საქართველოთი და-*

პროლაცია — ლანძღვა-გინების იმტა; აგორაფობია — გაშლილი სივრცის შიში; კლაუსტროფობია — დახურული სივრცის შიში; მიზოფობია — გაბინძურების შიში; აიქმოფობია — წვეტიანი საგნების შიში; აკროფობია — სიმაღლის შიში; ნოზოფობია (კანცეროფობია) — განუკურნებელი სენით დასნეულების შიში; სიფილოფობია — ათაშანგით დასნეულების შიში; მონოფობია — სიმარტოვის შიში; თანატოფობია — სიკვდილის შიში; ფობოფობია — აკვიატებული შიშის შიში; ნიქტოფობია — ღამის შიში...

თურმე, ნუ იტყვით და აკვიატებული მოქმედებიდან (პერსევერაცია) ყველაზე გავრცელებული ფორმა ყოფილა წერის (მთხზველობის) ავადმყოფობა — ეგრეთწოდებული გრაფომანია (რომლისგანაც დაზღვეული არ ვართ); პათოლოგიური მიდრეკილება კლეპტომანიის — ანუ ქურდობისადმი (ქუდზე ვიტაცოთ ხელი, რამეთუ ქურდს ქუდი ეწვის); კიდევ უფრო უარესი... ექსჰიბიციონიზმი — საზოგადოებრივ ადგილებში გაშიშვლების სურვილი (რაც, თუნდაც ამ წიგნით, აშკარად გვჭირს!) და ონიქომანია — ფრჩხილების აკვიატებული კვნეტა!.. ამას თუ დავუმატებთ ახალ შიშებს და მანიებს, რაც დრომ მოიტანა და რაც დღეს გვჭირს, მაშინ მთელი ბაქტერიოფაგი გამოვა!.. თუმცა, ახალი გაჭირვებისათვის ჯერ სახელებიც ვერ დაგვირქმევია! ვინ იცის, რა ჰქვია, მაგალითად, იმ შიშებს, რომლებიც უმცროსებს უფროსების შიშით ვერც კი გვითქვია? გაზის, წყლის გადაკეტვის, მოახლოებული ზამთრის შიშს, ან უწყლოდ დახრჩობისა და უსინათლობით დაბრმავების შიშს? ან სიბერის შიშს, ან... საყმაწვილო „ავადმყოფობიები"!

შევეცდებით, ქვემორე ჩამოთვლილ ზემორე შიშებს და მანიებს პირობითი სახელები მაინც დავარქვათ, რომ შთამომავლობას თავსატეხად არ დავუტოვოთ ჩვენი დროის მანია-ფობიები!

პირომანია — (პირში თქმის შიში); ინფულაცია — (ლარი-დოლარის კურსის შიში); კრედიტომანია (შვილიშვილების გადასახდელი ვალების აღება); ხაზინოპარია (საგადასახადო ინსპექციის შიში); ბაჟეჭამია (საბაჟოს ურჩი გადამხდელები); კანკალომანია (ზამთრის მოახლოების შიში); წყალმანკოფობია (უწყლობით დახრჩობის შიში); ელექტრო-გრაფიკოფობია (უსინათლობა); ნარკომანია (რუსულად და თანაც, არა ძველი გაგებით — „ნარკომ"... „ნაროდნი კომისრობის" მასობრივი სურვილი); მიტინგომანია; ომონომანია (მიტინგების დევნის შიში); პრესოპრესია (პირველი ხელისუფლების მიერ მეოთხე ხელისუფლების — პრესის... პრესის ქვეშ ყოფნა); ლანირაკომანია — შეძველოფობია — უწმაწურომანია — წმაწუროფობია; იოლკომანია (ყველაფრის ერთ ადგილზე დაკიდება); აქვე ძველი მანია-ფობიების ახალი 120-აციები: თანატოფობია (სიკვდილის შიში) — არა-ტო-ჯობია! (უკვდავების შიში!); ნიქტოფობია (ღამის შიში) — ქტოტოფობია (ბნელი ხალხის შიში); აკროფობია (სიმაღლის შიში) — მიკროფობია (სიდაბლის შიში); მონოფობია (სიმარტოვის შიში) — მონათმფლოფობია (მონათა მასისა და „ლობიოობის" შიში); სიფილოფობია — ტრიპეროლოგია; კოპროლაცია (ლანძღვა-გინებს შიში) — უკანალია — პროქტოლაცია (გინების სისრულეში მოყვანის შიში); მიზოფობია — (გაბინძურების შიში) — სოდომგომორო - ანუ „სოდო" და „კუდო"-ფობია; გიზოფობია (განწმენდის შიში)... და ასე, დაუსრულებლივ. ეს ყველაფერი... ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევის პირველი ცდაა და მომთხოვნ მკითხველს ვთხოვთ, ნამეტანი მომთხოვნიც ნუ იქნება, თორემ, რაცა აქვს, იმასაც დაკარგავს ან რაც არ უნახავს, იმასაც ნახავს!

მე მაინც სულმოკლეთა სულგრძელობის იმედი მაქვს, რადგან დღეს სხვა უიმედობაც მათ იმედზეა!

* * *

რა მაგის პასუხია და... გასაბჭოება რომ მოხდა კინტოს კომკავშირში დაუპირეს მიღება და ათეისტობის საბუთად მოთხოვეს — ღმერთს შეაგინეო?!

კინტო რისი კინტო იქნებოდა გამოსავალი ვერ ეპოვა!

ადგა და იქეთ შეუბრუნა კითხვა:

— ღმერთი არი?

— არა, — ერთად იღრიალეს კომსომოლებმა.

— ჰოდა, თქვე ჩემისებო, — უთხრა პარტიის ნევრებს, ნევრობის კანდიდატმა, — თუ ღმერთი არ არის — ვის შევაგინო?.. და თუ არის, — „ატნაშენიე" რაზე გავიფუჭო?

* * *

...ის ხომ მოგიყევით — განუყრელი მეგობრები, რუსულად რომ იტყვიან — „სობუტილნიკი" — ანუ ქართულად რომ იტყვიან მოალავერდენი — კუკურა ულენტი და ვახტანგ ჭყოიძე, რომლებსაც დღე და ღამეც კი ვერ აშორებდა, ერთ მშვენიერ (ისე დაუმშვენდათ ცხვირი!) დღეს, ისე დაეკარგნენ ერთმანეთს, რომ ოჯახებმაც არ იცოდნენ (ან შეგნებულად მალავდნენ), ან ერთი სად იყო — ან მეორე?.. მაგრამ „რაცა ღმერთსა არ ენებოს, არა საქმე არ იქნებისო"... ისიც ხომ გსმენიათ: კაცმა ჭირი მალა — ჭირმა თავი არ დამალაო და... ლხინს დაუმალავდა ვინმე ჭყოიძეს??? ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთ, უკვე ნამდვილად მშვენიერ დღეს, როცა უკუკუროდ მონყენილ თბილისში ჭყოიძეს გული აღარ დაუდგა და თავის სიცოცხლეში პირველად გადანყვიტა, ბოშო, დასასვენებლად გაგრაში ნაბრძანება (ნეტა იმ დროს!) ბულვარში სეირნობისას (შემოდგომის ეს ორი ძალიან დაგვიანებული აზნაური) ქვე არ გადაანყდა ერთმანეთს?!.

ფანტაზიის დეფიციტს არ განვიცდი, მაგრამ ძნელი ნარმოსადგენია რისი მონმე გახდებოდა ამ სურათის შემსნრე კაცი... თუმცა შეხვედრის ტექსტი დაცულია:

— ამას ვის ეხედავ... კაი გამარჯობა, შენი — ირონიაგარეული ტონით მიესალმა ვახტანგი.

— გაგიმარჯოს, თუ გინდა — უხალისოდ უპასუხა ძმაკაცმა.

— რას აკეთებ აქ? — ჰკითხა ჭყოიძემ.

— რას უნდა ვაკეთებდე, ვისვენებ!..

— ისვენებ?.. სად დაიღალე შე შობელძაღლო? — დაინტერესდა ვახტანგი.

ჩქარა ეს ამბავი თბილისშიც ჩამოვიდა და აგერ აქამდე სალაპარაკოდ გვაქვს.

ინტერესებული „უცხო ნათესავნი", ისრაელში დამკვიდრებული ჩვენი ებრაელობა, ქვეყნის შიგნით მცხოვრები ეთნოსები: სომხები და აზერბაიჯანელები — ავტონომიასთან ერთად (რატომაც არა, რითი არიან ისინი ოსებზე ნაკლები...) გაუგონარი დაბეჯითებით იჩემებენ ორმაგ მოქალაქეობას. მიწის კანონი მიღებულია. ვისაც ფული აქვს და მიზნად საქართველოს ყიდვა დაუსახავს, გზა ხსნილია. აღარ არის საჭირო ხმალი, ზარბაზანი და ტანკები... ასე უსისხლოდ. ულუკმაპუროდ დარჩენილი ქართველობა სამკვიდრო მამულს ჩალის ფასად ჰყიდის. საერთაშორისო კაპიტალმა საქართველოში ჯვაროსნული ლაშქრობა უკვე დაიწყო.

არარაობად ვაქციეთ ვახტანგ VI ცნობილი ფორმულა „ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა და ხელმწიფისა (ე. ი. სახელმწიფოსა. ლ. ფ.): წყალი, მიწა და ბალახი".

საქართველოში, მაღალჩინოსანთ შორის, აღმოჩნდნენ მოხელეები, ადამიანის სახის ზვიგენები, რომლებიც ათა-

ამ ნალაპარაკებას — ინცინდენტს ან ნაკინკლავებასაც ვერ დაარქმევთ, რადგან ერთი ნაბიჯით ჩვენ თაობაზე წინ მავალი ეს ორი ძმაკაცი მთელი თბილისისთვის ხელისგულზე სატარებელი კოლორიტული კაცები იყვნენ და მათთან პურისჭამას არაფერი ჯობდა, თუმცა ოფიციოზისთვის, კუკური ჟღენტი, არც ისე თითით საჩვენებელ პერსონას წარმოადგენდა, რადგან ბრალად ედებოდა ე.წ. „მცირეწლოვანების“ გალოთება... თან, ამასთან ერთად რაღაც სისხლის სამართლის ოფიციალურ დანაშაულსაც წამოკრა ფეხი და ერთ პაპანაქება ზაფხულში ციხეში ამოყო თავი!..

ეს ამბავი მაშინ მთელმა თბილისმა შეიცხადა, მაგრამ მოვლენები როგორ განვითარდა, ეს მხოლოდ, სულ ახლახანს (ნახევარი საუკუნის შემდეგ), შევიტყვეთ (მაშინდელი ქალაქის, შემდგომში კი რესპუბლიკის პროკურორის — ბატონ ვახტანგ რაზმაძისაგან), რომელთანაც... იმ მოტივით, რომ კუკური ჟღენტი სიცხეს ვერ იტანს, მისულა ჭყოიძე და უთხოვია: ახლა გამატანეთ ეს კაცი სახლში და რავარც პატარა აგრილდება თავის ფეხით მოეიყვან ციხეშიო?!

ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, ასეთი უაპელაციო განცხადება, ალბათ, იურისპრუდენციას კი არა იურისპროტექციასაც არ ახსოვს!

* * *

„არა განსაჯოო“... ნათქვამია. დიახ, „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, მაგრამ ზოგჯერ რომ „თქმა სჯობს უთქმელობას“?..

არც თუ ისე შორეულ წარსულში, ერთ საზოგადოებაში, თანამდებობის პირებს აგინებდნენ და რადგან, კონსტანტინე ბატონისა არ იყოს, გინება ყველაზე უფრო კარგად რუსულად გამოდის, „თომარი“ ამ ჩვენს მეორე „მშობლიურ“ ენაზე მიდიოდა. ვიღაცამ, რაღაცა იღბლად, ისეთი კაცი ახსენა, რომელიც სახსენებლადაც არ ღირდა... არადა, ცეკას მდივანი იყო — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დარგობრივი მდივნის სკამზე იჯდა თუ იდო და მუმიასავით სიცოცხლის ნიშან-წყალს არ ამჟღავნდებდა?! დროდადრო მასთან შედიოდა პირადი მდივანი — ერთ პაპიროსს გამოუღებდა პირიდან — მეორეს შეუდებდა, ცეცხლს მოუკიდებდა და „ფარაონის“ გამონაბოლებთან ერთად თვითონაც „გამოაბოლებდა“ გამობოლილი კაბინეტიდან.

არაფერში არ ერეოდა, არაფერში საკუთარი აზრი არ ჰქონდა. მოკლედ, „ზღაპრული“ და ზღაპარივით კაცი იყო — ანუ: იყო და არა იყო რა!..

და, მაინც, რა იყო? — შევეცადეთ ამ სფინქსის ამოხსნას.

– Кто он такой, что за личность... что он из себя представляет? — ააგდო ერთხელ საუბარში ვილაცამ „სატოპკე“...

ვინ რა თქვა...

ვინ რა არ თქვა...

ვერ ამოხსნეს.

ბოლოს მეც ჩავარუსულე:

– Кто он такой?.. Он один из редчайших типов, который может в своем присутствии – отсутствовать!

ეს „ნიჭი“, კი (იყო და არა იყო რა!)იმ უნიჭობის დროში გვარიანად ფასობდა.

---

*ცალი თვალით ვტირი და ცალი თვალით ვხარხარებ,*
*საჩურჩულოს ვყვირი და მე ჩემს ჭიას ვახარებ.*
*დრო კი გარბის გიჟივით, ამ ქიცმაცურ-ქიციში...*
*სიცილივით – ტირილს და ტირილივით – სიცილში.*

* * *

...ბედნიერი ვარ, რომ „პაემანმა ვერაზე" ერთგვარად გამოაცოცხლა დედაქალაქის უბნები და მათ არქიტექტურულ რეგენერაცია-განახლება-აღორძინებასთან ერთად, არის ცდები, აღვადგინოთ თბილისური ხასიათიც, რადგან უხასიათო ქალაქი უხასიათო კაცზე უფრო აუტანელია. ამ მხრივ, ყველას, მეფისუბნელებმა გვაჯობეს. ამას წინათ „გოფილექტში", პლეხანოველების ტრადიციადქცეულ შეხვედრაზე, კაი პური ვჭამეთ და კარგადაც შევუბერეთ... აქ გამაცნეს ერთი მშვენიერი ქალბატონი — სახელად მარინა და გვარად ლეკიშვილი! კომპოზიტორი, რომელიც ერთი ჩემი უსაყვარლესი სიმღერის ავტორი აღმოჩნდა.

დავდივარ ჩემი ნაცნობებით დაცარიელებულ ხალხმრავალ თბილისში, „სხვა ხალხის მესმის აქ ჟრიამული" და დამყვება ეს სიმღერა: „მოვა დრო და მოვუყვებით შვილებს"...

ეს დროც მოვიდა...

* * *

...აქვე, ვერაზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, მე — მისმა მეორე გიზომ... მას — ჩემს მეორე მამას — შალვა გიორგაძეს, სიკეთის მკეთებელ კაცს — სიკეთის დამნახველმა კაცმა, მადლიერების დიდი საღამო მოვუწყვე, რომელსაც მისი და მისი ლამაზი ოჯახის ახლობლების მთელი ელიტა (დიდი მაესტრო ჯანსუღ კახიძის თამადობით) და უკვე ჩემსავით „ძველი პაპის" ნუგზარ ჯანაშიას „ნანადირევი" მხეცების „პანოპტიკუმი" ესწრებოდა.

დიახ, დიდი ზეიმი მოვუწყვე „ბაბუს" („შევიში" არ აგერიოთ!.. ნაღდ ბაბუას), მაგრამ კვლავ ყელამდე ვალში ვარ (თუმცა, უკვე აღარ ვიხრჩობი!).

* * *

ჩემი ზაზა 7 წლისაა! სკოლიდან მოდის და მეკითხება:

— მამა, მამა... შენ რომ ერთი ლამაზი ამხანაგი გყავს, იმას რა ჰქვია?

— ... ან ვისზე მეკითხება, ან რაზე მეკითხება? აზრზე ვერ მოვედივარ... გივი ნიჟარაძე?.. შეიძლება ეშხიანი იყოს, მაგრამ ლამაზი არ არის... ვფიქრობ ჩემთვის და გონების თვალს ვავლებ ჩემს საძმაკაცოს... ომანი ლამაზია, მაგრამ გრძელი ცხვირი აქვს... გიგლას იმხელა თავი აქვს, რომ „მაიკაში" ძლივს ყოფს...

— რაზე მეკითხები? — ვეკითხები.

— ოთხი ბიჭი მოვდიოდით სკოლიდან. 15

*ხობით, ათიათასობით ჰექტარ მიწას დაეპატრონნენ. ფართო საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ამ ზვიგენებმა მეასაუკუნეების ფოლაანცებიდან გამოჩხრიკეს მიწის ქვეჯარის. ჯერ კიდევ მამის დაგმობილი. უძლება და ჩვენს პარლამენტს კანონად მიაღებინეს. თვითონ კი დედაქალაქში, ან სულაც უცხოეთში ნებივრობენ და დღეს ამ მესამე ათასწლეულის კვირამალზე, ეს წურბელები მოქმედ გლეხობას სისხლს სწოვენ.*

*როგორ არ ვეცადეთ, ლატიფუნდიების მფლობელთა სას ხელისუფლებას გამოვექვეყნებინა, მაგრამ მოთხოვნა, მოთხოვნად დარჩა. ამ კანონის ამოქმედებით ბობოლათა გავლენიანი ზედაფენა პოზიციებს საბოლოოდ გაიმაგრებს, ხოლო სოფლად მიმდინარე სოციალური ბრძოლა სისხლის ღვრამდე მივა!*

*ანთებისეთი მიწას ჩაჭიდებულ ქართველ ერს, სამართლადჯამოდ ადახასხხენებელი ალიმშნული კანონი ძალილის მოძცემ, მასახრდომელ ნიადაგს წყვეტს და პერში დასახრჩობად ამზადებს.*

„პონჩიკი" ვიყიდეთ და ოთხზე ვერ გავიყავით... ამ დროს, შენ რომ ერთი ლამაზი ამხანაგი გყავს, ის შეგვხედა და რომ გაიგო, რაზე ვჩხუბობდით, შეგვარიგა.

— როგორ?

— სამი პონჩიკი შეგვიჭამა და მერე 12 ოთხად იოლად გავიყავით.

— აა, ეგრე გეთქვა, რა... თამაზ კალანდაძე შეგხვედრიათ, — მაშინვე ვიცანი მისი საზრიანობით.

* * *

...გიგლა ფირცხალავამ იცოდა თქმა: შანსი მქონდა, ნელი დოლიძე ცოლად მეთხოვაო... აფსუს, რა შანსი გაეუშვი ხელიდანო. არადა, ეს გოგო თბილისში მზეთუნახავების რანგში გადიოდა და მაინც, რა „შანსზე" იყო ლაპარაკი, ვერ გავიგეთ!

...რა შანსი მქონდა და... რამდენჯერ იყო — რუსთაველის პროსპექტზე... ის რომ აქეთ მოდიოდა — მე იქეთ მივდიოდი-ხოლმეო?!

აი, თურმე მთელი მისი შანსიც!

სიცილით მოვკვდით...

თუ მოვკვდით, აბა, დღეს როგორღა ვართ ცოცხალი?

როგორ და — სიცილით ვინც კვდება, ის დიდხანს ცოცხლობს!.. ეს სიცილის ჰიმნშიც მიწერია!

## *შეხვედრა „ელიტაზე" — ანუ „წითელ ეშმაკუნებთან"*

...მეათე კლასში ვარ და გული „პრახადნოი დვორიევით" მაქვს — ხან ვის ვუხსნი სიყვარულს — ხან ვის... მაგრამ რასაც ახლა გიყვებით, ეს განსაკუთრებული შემთხვევაა — ოპერაში გამართული რესპუბლიკური ოლიმპიადიდან სახლში ვაცილებ ერთ ულამაზეს თბილისელ გოგოს, რომელსაც მხოლოდ იმიტომ არ ვასახელებ, რომ ულამაზესი ოჯახი აქვს და არ მინდა, აუტკიეარი თავი ავუტკივო... თუმცა, ღმერთი-რჯული, არც არაფერია დასამალი!

მოკლედ, ამ ჯეირან-ბალამს (ომან ომანიძის გამოთქმაა) მივყვები იმ შუაღამეს და... სად იყო და სად არა — გივი ნიჟარაძე (მეტსახელად — პიტუ) გამეჩითა, მარგუნოვის ტყუპისცალ ვიღაც ტიპთან ერთად... და ეს იყო ჩემი ისტორიული შეხვედრა, შემდგომში ჩვენი საძმაკაცოს თავკაცთან — ვლადიმერ კონიჩთან (მებურიშვილთან), რომელმაც, რატომღაც, თავი გაგნიძედ და ჩხიკვაძედ გამაცნო?! მაშინ ეს დუეტი ძალიან მოდაში იყო... ეტყობა, ორში ერთი ვერ აირჩია და მეც, ალბათ ვიღაც სამში ერთი ვეგონე... არც მე დავრჩენილვარ ვალში და „პაიჭაძე-დოროხოვით" გავუსწორე „დილიხორი"... გვარიანი ნასვამები იყვნენ და მზად გახლდნენ, ყველაფერი „ეთოხლათ", მაგრამ, როგორც შემდეგ ნიჟარაძემ გადმომცა, შემდგომში, ჩვენი ბიჭების, ასე ვთქვათ, ქუჩის დამრიგებელს, ჩემი მისამართით დიდი ყურადღება გამოუჩენია — მაგ ბიჭი არაა დასაკარგავი და იაროს ჩვენთანო — უბრძანებია.

იმ ღამეს კი, როგორც პიტუნიმ მითხრა, კვლავ დიდხანს ვერ გაუკვლევიათ გზა სახლისაკენ და კაი ჩიტიც დაუჭერიათ... შუაღამის ოთხ საათზე, საქარხნო „დუდუკის" ხმაზე, (დილის საარივით რომ გაისმოდა ალიონზე) სადგურის ქუჩაზე მდებარე თამბაქოს ფაბრიკაში ცვლა

მთავრდებოდა და ჯერ კიდევ ბნელში, ლანდებივით დაბორიალობდნენ მოჩვენებები... მოჩვენება უძახე შენ — გივიმ ერთი ქალი დალანდა, რომელსაც ოთხკუთხედი ძუძუები ჰქონდა... უშველებლ მკერდში ნვდა და... მაშინვე მიხვდა, რომ ეს ძუძუები კი არა, 20-20 კოლოფ „პრიმად" დაფასოებული სიგარეტები იყო?! ნიჟარაძემ მაშინვე აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას და იგი სექსუალურიდან კრიმინალურ ჭრილში გადაზარდა. მან, რადგან მილიციელის სასტვენი არ გააჩნდა, იმ შუაღამეს ორი თითი ჩაიყო პირში და დაუსტვინა, რაზეც სტვენითვე გამოეპასუხა ვალოდია:

ქართული ჩამოსხმის ოსტაპ ბენდერმა მაშინვე იყნოსა სიტუაცია და, როგორც კი გივი და მის მიერ „დაპატიმრებული" სომხის ქალი ნამოენიენ... მრისხანედ იკითხა:

– В чем дело?

— სიგარეტის ქურდი დავიჭირეთ, უფროსო! — მოახსენა ნიჟარაძემ, რაზედაც დაუყოვნებლივ იყო საჭირო სათანადო რეაგირება და „უფროსის" ბრძანებამაც არ დააყოვნა:

– Взят ему милициа!

(ახლა ვალოდიას რუსულის გრამატიკა არ მომთხოვოთ!)

_ არ დამღუპოთ, უფროსო, ცავატ ტანემ, — ყელგამონვედილი შეეხვენა ქურდობის ფაქტზე ნასნრებული ქალი და ქრთამი შეაძლია.

პიტუმ ცერად გააპარა თვალი შემოძლეულ თანხაზე, მაგრამ ასე, შორიდანაც, კი აშკარად ეცოტავა და სისხლის სამართლის დამნაშავეს, რომელსაც, როგორც ამათმა აუხსნეს — დახერეტა არ აცდებოდა, ურჩია, ერთი იმდენი კიდევ ესესხა სადმე და მერე იქნებ მოელბო კიდეც ვალოდია-უფროსის გული... „ქურდი" სახლში მიიყვანეს... დაფაცურდა, მთელი ეზო მოიარა, ყველა გაალვიძა, ყველას აუხსნა თავისი გაჭირვება, რალაცას კიდეც ნაუყარა თავი და შეპირებული თანხა მოიტანა... ეზოდან კი ისმოდა შეურაცხმყოფელი რეპლიკები: „ფუი, თქვენს კაცობას!.. „მექრთამეებო!", „სირცხვილი თქვენ — მილიციის მუშაკებო!"... „რასაა, რომ კადრულობთ?"... გივიმ და ვალოდიამ — ანუ რიგითმა ნიჟარაძემ და „პოდპოლკოვნიკმა" მებურიშვილმა, ახლა კი მართლა იკადრეს და „ყაყიტას ქურდებივით" ისე მოუსვეს, რომ ზურგზე ირტყამდნენ ფეხებს.

* * *

...რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში ერთი ულამაზესი ხე მოჭრეს, რადგან საპირველმაისო აღლუმზე... რუსული ტანკების გავლას უშლიდა ხელს?!

ეს ისე!

ლევან ფრუიძე
„ლ.ს." 2.10.2005.

**P.S.** ვაი, თუ დადგეს დრო და გულზე დასაყრელი ქართული მიწაც საძებარი გაგვიხდეს!

<u>პოეტი თამაზ ჩხენკელი:</u>

„ავსა და კარგზე ადვილად მიმდევარი ქართველი... სახელის თვისისათვის არა რიდებენ ქვეყანას და მეფეს თვისსა". ჩვენს ქვეყანას ნამდვილი ქართველი სჭირდება და არა ამერიკანისტი. თავის დროზე დაშლილი საქართველო რუსებმა გააერთიანეს (ეს გრიგოლ რობაქიძემაც თქვა). რუსებმა გვითხრეს: თუ არ გინდივართ, ისე გაგიშვებთ, როგორც ჩაგვბარდით და გაგვიშვეს ასე ტერიტორიებდაკარგული.

უმთავრესი, ყოველთვის, ყოველივე ეროვნულის მოფრთხილება უნდა იყოს.

„კვირის პალიტრა".
3-9.10.2005.

ევროპაში, სამსახურში კომპლიმენტი იკრძალება.
?!

ელგუჯა ამაშუკელი:
ხრუშჩოვმა რომ

* * *

...თენგიზ კორინთელი ჩემი დეიდაშვილისშვილია. ჯანსულ კახიძის პირველი შვიდკაცას 1/7 კაცი. ისეთი ხმა ჰქონდა, რიკოთის უღელტეხილზე რომ დაგესვა — აღმოსავლეთ საქართველოსაც ეყოფოდა მისი ბანი და დასავლეთ საქართველოსაც!

მისი და, ანუ ჩვენი და — ინგა კორინთელი, ერთმა დიდებულმა კოლხმა კაცმა — გენო შენგელიამ მოგვტაცა... მანქანით გავეკიდეთ, მაგრამ მაინცდამაინც არ ვჩქარობდით — ვაი თუ დავეწიოთო...

მაგარი ქორწილი ჰქონდათ მეგრელებს — ზუგდიდში ორი პარალელური მაგისტრალის შემაერთებელი ქუჩა თავსა და ბოლოში ორ ადგილას იყო გადაკეტილი ავტოცისტერნ „МОЛОКО"-თი, მაგრამ ამ ცისტერნებში რძე კი არა — ალალი ღვინო ესხა და დილამდე ვისხამდით ხახაში.

სიძეს გაფრთხილებული ჰყავდა მასპინძლები, ჩემთვის ყურადღება არ მოეკლოთ, მაგრამ არც ზედმეტი გაეხურებინათ, რომ, როგორც „ნიანგელს", რამე საკბილო არ მეპოვა მეგრელებში! მაგრამ, ვინც ეძებს — ის მაინც იპოვნის... ერთმა დარბაისელმა მეგრელმა, სრულიად ნეიტრალურ თემაზე — ამინდზე წამოიწყო ლაპარაკი, რასაც, გაფრთხილებისამებრ, სრულიად უმტკივნეულოდ უნდა ჩაევლო.

— რითი ჩამობრძანდით თბილისიდან? — მკითხა მან.

— მანქანით... ვუპასუხე მე, — თვითმფრინავით გვინდოდა გადმოფრენა, მაგრამ ისეთი ამინდი იყო, რომ...

სიტყვა არ დამამთავრებინა, ისე დამიკრა კვერი:

— აბა, კაცო... ჩვენც ჰაეროპლანით გვინდოდა ჩამოფრენა, მაგრამ... ჰაერი იყო გაფუჭებული!

ცუდი მეტეოროლოგიური პირობების ამსახველი ასეთი ტერმინი ჩემს სიცოცხლეში პირველად გავიგონე.

* * *

ცხოვრებაში ბევრ ქალს ავკიდებივარ და გადავკიდებივარ კიდეც, მაგრამ, საბოლოოდ, ისინი ჩემს მეგობრებად მიქცევია... ერთი სულიერი კი სამკვდრო-სასიცოცხლოდ იქეთ გადამეკიდა და დღემდე ბოროტებით მიხდის სამაგიეროს უნივერსიტეტის კლუბთან ამავალ სახანძრო კიბეზე გოგობიჭური ღლაბუცისა თუ ჩაილურის წყალივით ჩავლილი პირველი „სიყვარულისას", რომელიც, როგორც წესი, არასოდეს არ არის უკანასკნელი!

არ მეგონა, თუ სიყვარულს ასეთი სიძულვილი შეეძლო! მხოლოდ ბოროტებას შეუძლია სიყვარული ასეთ მძვინვარე სიძულვილად აქციოს!

„კარგი მეხსიერება იმას ჰქონია, ვისაც... დავიწყება შეუძლიაო!".. სწორედ ამის ანარეკლია „პაემანში" ეს სტრიქონები!

## „ნიანგის" არქივიდან!

...იმდროინდელ პარტიის ცეკაში იყო ასეთი შემთხვევაც: შემოვიდა „ანონიმური" წერილი, რომელსაც ხელს აწერდა... „Анонимщик Мамедов"-ი, რადგანაც მის „ფრთხილ" თუ „ფრთხალ" ავტორს „უსახელო წერილი" საჩივრის რაღაც ახალი ფორმა ეგონა?!.

*ალექსანდრე ტოლსტოი: ვისაც დიდი ჭკუა აქვს, მას უფრო დიდი ჭკუა სჭირდება – დიდი ჭკუის სამართავად.*

* * *

მოკლედ, „ნიანგში" — ადამიანების მოუთოკავი, შავი ფანტაზიის ჭაობის ამსახველ სარკეში, ბოროტებით განცვიფრების ნიჭი დაგვიკარგა დიდი რუსი სატირიკოსის — სალტიკოვ-შჩედრინის სიბრძნემ: „ჭაობი შობს ბაყაყებს და არა ბაყაყები ჭაობს!.."

ბოლო-ბოლო „ნიანგის" ჩანგლის ტრიალში, ამ ბინძური ცხოველივით, ისე შევეჩვიეთ ჭაობსა და სიბინძურეს, რომ უკვე აღარაფერი გვიკვირდა.

თურმე სალახები (ყასბები) ისე არიან მიჩვეული სისხლში ცურაობას, რომ არც ერთმანეთის „კექნაობასა" და სისხლის დენას ერიდებიან.

ეს ფსიქოლოგიური მომენტია, ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო (Consuetudo est altera natura). არადა, სატირიკოს-იუმორისტმა მანამდე არ უნდა მოისვენოს, ვიდრე აქლემის ზურგზე კუზს ხედავსო, ნათქვამია... ჩვენ კი, ლამისაა, ამ კუზზე „პარკეტი" დავაგოთ და ყველაფერი „მოვაპირკეთოდ"... ვიღას ახსოვს შექსპირისეული — ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად ნახავს, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროსო?

დღეს, ბოროტ საქმეს ვიღა მალავს!

სიცილი — ტირილს დაემსგავსა, ტირილი — სიცილს!

ახლა ნამდვილი ამბავი!

ავისა და კარგის ამ განურჩევლობაში, ასე გაგვიამხანაგდა, არა ბიბლიური, არამედ სანეპიდსადგურის „ნომენკლატურული" გველი, რომ პირდაპირ „ზარია ვოსტოკას" მოადგა და ყოველგვარი ხუმრობის გარეშე „ნიანგის" შეფ-რედაქტორის კაბინეტში მოიკალათა, რუბრიკით: ?! „გინდ დაიჯერეთ — გინდა არა"...

რეალობასთან ერთად, ეჭვი არ მეპარება — ეს ვიზიტი სიმბოლურიც იყო, რადგან ადამიანებშიც ერთობ მომრავლდნენ გველის წიწილები!

* * *

ახლა პირში წყალს გამოვივლებ და ისევ კეთილ სიტყვას ვიტყვი, რადგან ბოროტებისთვის ერთობ დიდი ფუფუნებაა უხსენებლის ხშირად ხსენება!

სულხან-საბა ორბელიანი:

„...ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია.

...ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია"...

...დიახ, ასეთი ამხანაგებიც არიან...

ნოდარ ცომაია!

რამდენი სიკეთე მახსოვს ამ კაციდან, რომელსაც ბედისწერამ სიყმაწვილეც არ აცალა და ბავშვობიდან პირდაპირ კაცობაში უკრა თავი! — ვერელი ბიჭი —

გაიგო, საქართველოში მეფეს ძეგლს უდგამენო, გაგუაჩერა. ახლა კი გორგასალი დგას თბილისში ხელაწეული და დროს აჩერებს.

ამირან ბუაძე (მსახიობი): კაიკაცობა, დღეს, წითელ წიგნში შესატანი გახდა.

აკა მორჩილაძე (მწერალი): ჩვენთან არის სწრაფვა ევროპისაკენ და ქაჩვა — აზიისაკენ! („თბილისელები" 2001.08).

ლია სტურუა (პოეტი): ადამიანი, სარკეზე უფრო, მეორე ადამიანის თვალებში აირეკლება. („ახალი ეპოქა", 2001.08).

მართალია, ზოგი კაცის ფასი კაპიკია. მაგრამ... იმ ნედლეულის ღირებულება, რომლითაც ადამიანის ორგანიზმია აგებული — 145 ამერიკულ დოლარს აღემატება!

· დედილუკო, ბიძიდოს, გადაწვა გვალვამ ყველაფერი!

· აბა, რა იქნება ორი მზის ქვეშ. ერთი რუსთიდან რომ ამოდის და მე-

ბორჯომის ხორცისა და რძის კომბინატების დირექტორი იყო. დილიდან-საღამომდე კი არა ხაშიდან-ხაშამდე მუშაობდა, დღე და ღამეს ასწორებდა, რომ ძმაკაცებისთვის „გაესწორებინა" და მათი ოჯახებისთვის ხელი წაეშველებინა!.. ჩვენ კი იმ დროს გემასპინძლობდა ყვიბისი და ფეხებზე გვეკიდა, რას ამბობდა „ბიბისი!"

სიკვდილამდე მემახსოვრება ის, რასაც ახლა მასაც გავახსენებ, რადგან, როგორი უანგაროც უნდა იყოს — თუ სიკეთის მკეთებელს არ ევალება იგი ახსოვდეს... მას, ვისაც სიკეთეს უკეთებენ, ერთადერთი ვალი აქვს — სამარის კარამდე არ დაივიწყოს სიკეთე!

ერთხელ... მიუხედავად იმისა, რომ მაშინ საქართველოში ცხოვრება დუღდა და გადადუღდა, ჩვენს თეთრ სამოთხეში — ბაკურიანში... შავი ზამთარი დაგვიდგა! საშინელი ეპიდემია მძვინვარებდა, ბევრი იმსხვერპლა და, მათ შორის, ჩვენი მეგობრის — ნოდარ ქებაძის შვილი (ღმერთმა გაანათლოს!)...

ალბათ ძნელი წარმოსადგენი არაა, რა დღეში ჩავვარდებოდით თბილისში, როცა ეს ამბავი გავიგეთ და შევიცხადეთ. საჭირო იყო, სასწრაფოდ გვეშოვა რაღაც დეფიციტური წამლები, რომ დაუყოვნებლივ აგვეტანა მთაში და ბავშვები აგვეცრა... გაფიქრება და გაკეთება ერთი უნდა ყოფილიყო. დრო არ ითმენდა...

არ ვიცი, ამ ყინვასა და ქარბუქში რა აღწევდა ბაკურიანამდე და რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს, რომ რაღაც იღბლად, საქალაქთაშორისო ტელეფონის ხმას (რომელზედაც ახლა, ალბათ, მთელი თბილისი იყო ჩამოკიდებული) არ გაეღწია ჩვენებამდე (რომლებიც ფოსტის გვერდით ცხოვრობდნენ). ლიანას ხმა რომ გავიგონე, მეორედ დავიბადე.

— რა ამბებია მანდ? — სულის მოუთქმელად ვკითხე.

— ცუდი ამბებია... ვერ დაგიმალავ... ხალხი გამორბის თბილისში.

— ბავშვები როგორ არიან?

— კარგად! მადლობა ღმერთს, აცრები ჩაუტარეს.

შვებით ამოვისუნთქე.

— მადლობა ღმერთს და ჯანმრთელობის სამინისტროს... მთავრობასაც არ დაევუკარგე ამაგი.

— ჯანმრთელობის სამინისტრო რა შუაშია? — იკითხა მავთულის მეორე მხარემ.

— აბა ვინ?.. მართლა ღმერთმა ხომ არ გადმოგიყარათ ციდან ეს დეფიციტური წამლები?

— ღმერთმა უშველოს, სწორედ ღმერთივით გამოგვეცხადა ნოდარ ცომაია, რომელმაც კაი ჯანგანივით, სასწრაფო დახმარების მანქანით ამოიყვანა ექიმები, ექთნები, ამოიტანა წამლები და ჩვენი ხათრით მთელი იმ უბნის ბავშვებს ჩაუტარა აცრები...

ასე იყო ეს!

ამხანაგის ფენომენის სულხან-საბასეულ ტრაქტატსა თუ მორალურ კოდექსში ასეთ კაცს შემდეგი „მუხლები" მიუდგება: ამხანაგი ზურგთა მომბმელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, ჭირში მომხმარეა, სნეულებაში მკურნალია, სიკვდილში თავის წამგებია!

... ორივე სოფელში — სიკვდილშიც და სიცოცხლეშიც, მკვდრიან-ცოცხლიანად, ღმერთმა უშველოს ასეთ მკვდარსა და თუ ცოცხალ კაცებს!

„კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვებისო..."

დიახ, მეგობრის შოვნა ძნელია — დაკარგვა ადვილი!

---

*ღმერთმა ქუდი დამხურა, ღმერთს ყუგალობ ოსანას,*
*სიგყვა-ღმერთის მსახურად — ღმერთმა გამამგოსანა!*

თვითონ მისთვისაც ვერ გეპატიებია ნასვლა... სიკვდილის გარდა, მეგობრის დაკარგვას ვერავის აპატიებ!

* * *

არიან კაცები, რომლებიც კაცობაზე თავს ვერ დებენ და არიან ქალები, რომელთაც ვაჟკაცობაც მოეთხოვებათ... ილია მართალმა ასეთებისთვის მოიგონა სიტყვა „დედაკაცი!"

არსთა გამრიგეს კაცისგან ჭკუა არ ესნავლება, მაგრამ აშკარა შეცდომა იყო ნათელა (ლამარა) ნიქარიშვილის... ქალად დაბადება!..

ხალხმა ეს „შეცდომა" იმით გამოასწორა, რომ დედაკაცად წოდებულ ამ ქალს — ალალს, მართალს, ქვეყნის ქერიე-ობლების პატრონს, ყველას ხელის გამმართველს, ძალ-ღონით სავსეს, ნამდვილად ჭირ-ისუფალს და კარგ თამადას (საქართველოს დიასახლისობა რომ დამშვენდებოდა) დღემდე ალექსანდროვნას კი არა — ალექსანდროვიჩს ეძახის!

არა თანამდებობამ, არა ქონებამ, არა სხვა რამემ... სულ სხვა სიმდიდრემ: სხვის ლხინში — საკუთარი ჭირისა და სხვის ჭირში — საკუთარი ლხინის დავიწყების ნიჭმა გაუთქვა ამ ქალს სახელი მზის ჩასვლის ქვეყნიდან — მზის ამოსვლის ქვეყნამდე... იგი, ადამიანურ გამძლეობაში ღმერთმაც გამოსცადა და ეშმაკმაც. ერთსაც გაუძლო და მეორესაც!

ღმერთმა დაიფაროს: ერთის ლოცვა — მეორეს წყევლა იყოს!

მას ცხოვრებამ თავისი ბედი აწყევლინა და ჰქონდა მიზეზი სხვისი ბედიც ეწყევლა (ზოგს მეც მატროსოვივით გადავეფარე და იქით არ გავუშვი, საითაც მისი ნამდვილი მტერი არ მეგულებოდა), ზოგს კი თვითონვე დაადევნა ლოცვა, ისე, როგორც ილიას მკვლელებს მისმა თანამეცხედრემ — „ღმერთო შეუნდე, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმანო!.."

სულხან-საბას სამეგობრო ტრაქტატიდან ნათელა ნიქარიშვილს „სასჯელად" ასეთ მუხლებს მივუყენებ: ამხანაგი თვალთა ჩინია, ლხინი ფრიადია, გულთა ნათელია...

ნათელა ნიქარიშვილო! დანარჩენი ჩემი სახლიკაცის შოთა ნიშნიანიძის ლექსმა გითხრას, რომელიც შენი გვარის ფუძე-ბალავარზეა აგებული და შენს სატკივარს მალამოდ გამოადგება. იქნებ ამ ტაეპით ცოტა ამოვიდე შენი კაცური დობისა და ქალური ძმობის ვალიდან:

„მე ვარ მისანი ხარი ნიქარა,
შენი დვრიტა ვარ მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მიტომ გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო!
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
არ მომიღერო, გეთაყვა, სახრე,
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი!"

ორე _ ამერიკელიან! „ახავალ-დახავა-ლი", 2001.3-9.09

ბორის მოისეევა (გეი-მოძრაობის თა-ვკაცი. ცრ.კ კაცი თუ ქალ-კაცი): ვინც არ მოვწონვარ, შეუძ-ლია, საჯაროდ შემ-ოხვიოს საჯდომზე!

**P.S.** ხედავთ, ბა-ტონებო, როგორი საჯარო ფეფე და ფეფენების დროში ვცხოვრობთ!

ხალხის ნებაზე არა-ფერი. არც მათი ხე-ლფასები თუ პენსიე-ბია დამოკიდებული და ამ ქვეყნის ხე-ლისუფალნი (რომ-ლის მოსახლეობის ნახევარზე მეტს ან საერთოდ არ აქვს შემოსავალი. ან 28 ლარს სჯერდება პე-ნსიის სახით). ურ-ცხვად ინიშნავენ თავისთვის 4 ათა-სიან, 3,5 ათასიან, 2,8 ათასიან ხელ-ფასებს მაგალითად: ცენტრალური საარ-ჩევნო კომისიის თავმჯდომარეს 7 ათასი ლარი ჰქონია ხელფასი. ალბათ. ხმის დათვლის დროს გამოჩენილი სიმამაცისთვის).

(„ლ.ხ".7.010.2005).

**P.S.** ტყუილად კი არაა ნათქვამი, რომ არჩევნებს იგებს ის ვინც... ხალხის ხმებს ითვლის. ხა-

P.S. ჩემი ცოდვაც მიეცა შენი ცოდვის ჩამდენს, რადგან ჩემი დაბადების დღეც (13 თებერვალიც) მანყევლინა, რადგან ნინა დღეს (12 თებერვალს) დაგაპატიმრა და იმის მაგიერად, რომ სადღეგრძელოში 114 ნელინადი სიცოცხლე ესურვებინა — 14 ნელი ციხე მოგისაჯა — 4 მოგახდევინა, მერე ბოდიში მოგიხადა, შური მოგაშორა და ისევ ახალი საქმე აგკიდა!

. და, ბოლოს, მადლობა ღმერთს, როგორც იქნა შენთვისაც ამოვიდა შენი ბედის „ოლიმპიური ვარსკვლავი!"

12 ნლის ნინანდელ იმ 12 თებერვალს... უნებლიედ შურის ციხისკენ გამექცა თვალი და ქართვლის დედას შევეჩეხე!.. თვალი ვერ გავუსნორე ქანდაკებას... თავდაღუნული ავყევი სურამის ციხის ავტორის — დანიელ ჭონქაძის სახელობის ქუჩას, სადაც ახლაც ვცხოვრობ (თუ ამასაც ცხოვრება ჰქვია).

**შოთა ნიშნიანიძე:**

მთელი დღე რაღაც მიხაროდა...
და ბოლოს მიეხვდი: ამ დილით იყო — ბრმა ქუჩაზე გადაეიყვანე.

---

**გიზო ნიშნიანიძე:**

არ ვიცი, დღეს რა ჭირი მეცა და ბოდიშს ვიხდი...
გული არ მეყო —
სიყვარული — გადაეიყვარე!
და „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი" ეკლად დამესო —
დრო, დრო დაბრმავდა — დაემსგავსა დღე დიდ ღამესო!

* * *

თურმე, ვასილ პაელოვიჩს რამე რომ არ მოენონებოდა, მხრებს აიჩეჩავდა და იკითხავდა:

ამ ქვეყანას, ნეტა, პატრონი არ ჰყავს თუ რაშია საქმეო?!

დღეს ამასაც აღარ ვკითხულობთ და უბრალოდ ვამბობთ: რაშია საქმე?

საქმე კი იმაშია, რომ: ვარლამ კაშია — უკვე გზაშია!

გაიგეთ რამე?.. ეს ჩვენი დროის რითმაა, რომელსაც რისი თქმა სურდა...

დღესაც ვერ გავიგეთ.

* * *

...ოთარ კარსანიძე — უტირაჟო, იშვიათი ეგზემპლარი იყო. ნიგნებზე თავგადამკვდარი და თანაც... ძველი ბიჭი?! გაპარსვითაც კი ყველასგან განსხვავებით იპარსავდა — დუგლას ფერბენკსივით ჰქონდა დაყენებული ულვაშები. ხალხს საქმეებს ურჩევდა... სადაც ის ლექციის მოსასმენად შედიოდა, იქ, ვაგლახად, ყველა ლექტორი ვერც კი შებედავდა შესვლას, რადგან პროფესორმა სტუდენტზე მეტი ხომ უნდა იცოდეს. არადა, მილიონში ერთს თუ იპოვიდი ასეთ სტუდენტს და მილიონებში საძებარი ასეთი პროფესორიც სად იყო?.. (დაიმახსოვრეთ ეს ბოლო ფრაზა!)

ერთხელ ვანო სარაჯიშვილის იუბილეს იხდიდნენ ოპერაში და ხალხის ტალღა მოანყდა პროსპექტს. ერთ ბილეთში საათებს იხსნიდნენ ხელ-

---

*მაძღარმა არ იცის მშმშილის გემო.*

*როცა ღარიბების საქმე ძალიან ცუდადაა — ვერც მდიდრების საქმეა მთლად კარგად.*

*არსებობს სიხარულის, ტირილისა და ხახვის... ცრემლები. (ჩემი მეგობრის დათუნას გამონათქვამია).*

იდან... ვიდექი და ზღვა ხალხში ოპერაში შესაძვრომ „ღრიჭოს" ვეძებდი. კარსანიძემ ჩამოიარა: ბილეთი ხომ არ გინდაო? ვიფიქრე — შაყირობს! გამოვართვი, დავხედე, ნაღდია?! კიდევ უფრო გამიკვირდა... ხომ მშვიდობაა, შენ რატომ არ შედიხარ-მეთქი?.. მე, ერთი წიგნი მაქვს გამოწერილი საჯარო ბიბლიოთეკაში და მირჩევნია, ის წავიკითხო, რადგან ამ უკანასკნელს ვიღაც მკითხველი კიდევ ელოდებაო?! კინაღამ შემეცოდა, მაგრამ ასეთი „ტვინწაღრძობი" ვიღაც სხვაც რომ აღმოჩნდა, მივხვდი, რომ მართლაც — კაცია და გუნება! ან — კაცია და... გონება!

...მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ჩემთვისაც ბევრჯერ გადაფასდა ღირებულებები.

ოთარ კარსანიძის ფენომენი კი კვლავ ამოუხსნელი დარჩა.

ერთხელ, რაღაც წამლისთვის ნატურალური თაფლი დამჭირდა და ვაკეში ვიღაც კარსანიძე მიმასწავლეს. მივედი... და ეს „ვიღაცა"... ოთარი აღმოჩნდა — დაკარგული, უცნაური, სფინქსივით მუდამ ამოსაცნობი კაცი!

ყოველი ათი წლის უნახაობის შემდეგ ადამიანები ახლიდან ეცნობიან ერთმანეთს. მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი, რუბრიკით: საიდან-სადაო?

და მან ორ სიტყვაში ყველაფერი თქვა!.. გთხოვთ, სწორედ აქ გაიხსენოთ ფრაზა: „მილიონში საძებარი პროფესორი"! დიახ, ამ მილიონში საძებარმა პროფესორმა — მილიონში საძებარი ამ ახალგაზრდისადმი (რომელსაც სიტყვა „ოპონენტი" უფრო შეეფერებოდა, ვიდრე „სტუდენტი"), საკუთარი პერსონის უვიცობითა თუ არცოდნის ცოდვით... უდიდესი ბოროტება ჩაიდინა — ხელი აალებინა სტუდენტს მეცნიერებაზე (სადაც ბევრი მწერალი უკვე დაპყრობილი ჰქონდა) და უფრო „უტყუარ", „ნაღდ", ოღონდ რიგითი ადამიანებისთვისაც ხელმისაწვდომ დარგზე... მეფუტკრეობაზე მოაკიდებინა ხელი!

— ჩემო გიზო, — გამოსტუმრებისას მითხრა ამ განდეგილმა თვითნაბადმა ფილოსოფოსმა და ცხოვრებაზე განაწყენებულმა კაცმა, — ფუტკარი — ადამიანზე უფრო საინტერესო მოელენაა...

სირჩა „პილატეს ცრემლით" გამივსო და ორსიტყვიანი საარყე ლოცვაც ზედ დააყოლა: სიმწარე გვაშოროს — სიტკბო მოგვეცესო!

ასე მომთაფლა თუ ასე მომშხამა იმ დაუვიწყარმა დღემ, რომელსაც ვერაფრით ვერ დავარქმევ „ერთ მშვენიერ დღეს"!

მოვდიოდი და მოვიმღერ-მოვიკვნესოდი მეორე ოთარის („კვაჭიჭოს") სევდიან ფილოსოფიურ სიმღერას: „ფუტკარი, როგორც აფთიაქარი, ყვავილებისგან გვიმზადებს წამალს"...

ღხის აზრს კი არაფრად არ თვლის!

ტიმბუქტუში, თურმე, ქალმა გათხოვებამდე სქესობრივი ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება უნდა დააგროვოს. ტრადიციის თანახმად, იგი ატარებს სარტყელს, რომელზეც ჰკიდია საყვარლების მიერ ნაჩუქარი მონეტები.

ამაზეა მოგონილი (ხშირ-ხშირად გადამეორებული) ქართული ენისა და (ალბათ ნამუსის) გასატეხი: „სარტყელი მოვირტყი-მოვირტყი, მორტყმული დავიარები!"

ჰიტლერი, უახლოეს გარემოცვას, არასოდეს უმალავდა, რომ საფრანგეთში ვაჟი ჰყავდა. უფრო მეტიც, უშიშროების სამსახურების მეშვეობით, მის მოძებნასაც კი ცდილობდა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა ეს ჩანაფიქრი ჩაუშალა.

ამ დროს კი მის მოადგილე ჰესს თავში მოსწონდა თავისი ანონიმური საყვარლითა და ანანიზმით — მე პარტი-ის საყვარელს ქალებში ვერ გაუცვლიო.

* * *

ომი ახალი დამთავრებულია...

*„პირველი დაჭრილი თბილისში რომ ჩამოვიდა,*
*მთელი თბილისი ქუჩაში გამოვიდა...*
*მერე მომრავლდნენ უხელოები, უფეხოები,*
*უთვალოები, ხინჯიანები, თავგაგლეჯილები —*
*უნაკლოები, უხინჯოები, უზადოები, უსათნოები,*
*გულიანები, ჯიგრიანები, ჯილები!..“*

...მათ შორის, ვალოდია მებურიშვილის ნათესავი ლუტუნა — კატოვესკივით თავგადაშელეპილი და უშეელებელი!.. იმას „აკოპიდან“ მარტო თავი რომ ამოეყო, იმაზეც გაუსკდებოდათ გული ფრიცებს! ჩამოვიდა თუ არა — ამას რა საქმელი ეყოფაო და სახინკლეები ჩააბარეს (მაშინ, ზურგში, ფრონტელების ასეთი ნახალისებაც იყო პრაქტიკაში). ჰოდა, ჩვენც, რა გვენაღვლებოდა, ყოველდღე დავყავდით მისდამი დაქვემდებარებულ სახაშ-სახინკლ-საქაბაბეში და გვამღერებდა: მასვი-მაჭამე-მალხინეს!.. (მაშინ ეს სიმღერა იყო მოდაში). მაშინდელია საზკვებასთან დაკავშირებული ეს პოეტური სტრიქონიც:

*კუჭი თავზე დაიისვით – კაი ეჭამეთ, კაი ესვით!*

რამდენჯერაც უნდა მოვყვე ეს ამბავი, არ მომბეზრდება და სულ პირზე მაკერია...

...მაგრამ ვინმეს ეს სოფელი გაახარებს დიდხანს, განაო — განა ტყუილადაა ნათქვამი? ერთ, არც ისე მშვენიერ დღეს, ბატონმა ლუტუნამ „პაემანი ვერაზე“ ჩაგვიშალა — არ გამოცხადდა, მეორე დღეს კი თავი იმართლა, რაიკომში ვიყავი გამოძახებულიო?! ვალოდია მებურიშვილმა და მე, პროცესუალური სამართლის ყველა ნორმების დაცვით, ჯვარედინი დაკითხვა მოვუწყეთ და საბოლოოდ დავადგინეთ, რაში იყო საქმე.

— სად იყავი გუშინ? — ვკითხე მე.

— რას გვაყურყუტე ზემელზე? — ჰკითხა ვალოდიამ.

— რაიკომში ვიყავი! — დაიბუხუნა ბაყბაყდევმა.

— ?!

— რაიკომში?.. რაიკომში რა გინდოდა? — ჩაეძია ვალოდია.

— პროვოკატორად დამნიშნეს?!. — თავისი პასუხის სისწორეში არც ისე თავდაჯერებულად გვიპასუხა.

— პროვოკატორად? — შეუბრუნა კითხვა ვლადიმერ კონიჩმა.

— ხო, რავა... არ შეიძლება თუ? —

— პროვოკატორად თუ აგიტატორად? — გავუსწორე მე.

მან მადლობა გადამიხადა და გაასწორა:

— ხო, ხო... პროვოკატორად კი არა — აგიტატორად!..

P.S. აი, რა დონეზე იდგა ჩვენთან აგიტაცია-პროპაგანდა, რომელიც, მესამე რაიხის კანცლერის — ადოლფ ჰიტლერისათვის რომ გეკითხათ — ისეთი სასწაულმოქმედი იდეოლოგიური იარაღი იყო... ჯოჯოხეთს სამოთხედ მოგაჩვენებდა!

ჩვენმა აჯობა! რამდენად სწორია, არ ვიცი, მაგრამ იმასაც კი ამბობენ, რომ ჩვენში „პოლიტგანათლება“ საბავშვო ბაღებიდან იწყებოდა და ზოგან ასეთი პლაკატებისთვისაც კი მოუკრავთ თვალი: „სსრკ კაკა — აშშ კი... ყაყა!“... (მგონი მოგიყევით). ისიც ხომ გითხარით, ბოლნისის გზაზე ერთ ბოძს აქედან ეწერა: „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკასო“ — იქედან კი, საგზაო ნიშანი გვაფრთხილებდა: „არასწორი გასწრება იწვევს ავარიასო“... რავარია?

* * *

ჩვენს ნარსულს თავის კოლხი მედეა, თავისი რომეო და ჯულიეტები, მონტეგები და კაპულეტე-ბიც ჰყავდა: და სანამ ეს არგონავტებისა თუ შე-ქსპირის ყბაში ჩავარდებოდა და ნიგნში ნავიკითხ-ავდით, ცხოვრება თავის დაუნერელი ნიგნებით გვ-ფურცლავდა იქეთ გეკითხულობდა!

...პარტიის რაიკომის მდივანი ვენერა მოსულიშ-ვილი, ქართლის დედასთან ავიდა, საკუთარი შვილე-ბი შურის ციხიდან გადმოყარა და თავადაც გადმო-ჰყვა...

...პარტიის ცეკას მდივანმა, ზღაპარმა კაცმა, მიხ-ეილ გოგიჩაიშვილმა დანა კი არ დაირტყა... გულით შეასკდა დანას!..

...ერთი მაგარი პლეხანოველი ბიჭი — ვაჟა ბაქრაძე (ხელები მუხლებამდე ნვდებოდა) სიდედრმა ცოლს დააშორა. უნივერსიტეტშიააკითხა. ვაკელმა ბიჭებმა რომ დალანდეს... ნამოექაჩნენ, მაგრამ უცხო უბნელმა ჩხუბში გამონვევა არ მიიღო (სხვა საქმე ჰქონდა!).

...ლექციები დამთავრდა, სტუდენტები გამოე-ფინენ. ვაჟამ თავისი სიგიჟემდე საყვარელი ცოლი გააჩერა და უკანასკნელად თხოვა — ნურც მე დამ-ღუპავ და ნურც თავს დაიღუპავო... გოგონამ დედასა და ქმარში არჩევანი ვერ გააკეთა და გაიქცა... მაგრამ ტყვიას რას გაექცეოდა!

ქუჩა სასნრაფოდ გაივსო. სასნრაფოც სასნრაფოდ მოვიდა. სისხლში მოსვრილი დედოფა-ლი... ნეფემ, რომელსაც სურდა ის მთელი ცხოვრება ხელისგულზე ეტარებინა, ხელში აიყვანა და მანქან-ამდე მიიტანა... მერე კი, ყველას თვალნინ, მშვიდად ამოიღო იარაღი, საფეთქელთან მიიტანა, მშვიდად გამოკრა ხელი სასხლეტს და შუბლგაგლეჯილი... საყვარელ მეუღლეს მიუნვა გვერდით...

მთელმა თბილისმა შეიცხადა ეს ლამაზი სიკვდილი (თუ სიკვდილს რამე ემხი აქვს). საჩხუ-ბრად აქოჩრილი ვაკელი ბიჭები ბოლოსლა მიხვდ-ნენ — ხახვივით რატომ შერჩათ იმ ლამაზი და მოდღლეშილი პლეხანოველი ბიჭის გამონვევა. თურ-მე, ამათთვის ვის ეცალა!

გასვენების დღეს მთელი თბილისი ან ნეფის ან დედოფლის ჭირისუფლებში იყო და მონტეგივითა და კაპულეტებივით შელერებულები ცდილობდნენ, სადმე არ გადაყროდნენ ერთმანეთს — ახალი სისხ-ლი არ დაღვრილიყო... მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი ექან-ით, რომ სამგლოვიარო პროცესიები ერთმანეთს შეხვედროდნენ!.. ეს ნუთი დღემდე ისე შემომრჩა, როგორც სააქაოში ჩაშლილი ქორნილი და საიქიოში სიკვდილის ჯვრისნერის ნარმოდგენა!

ისტორიას რას გა-მოაპარებ.

**P.S.** იქნებ სწორედ აქედან მოდის ეს ნა-ცისტური პარტიული ფანატიზმ-ანანიზმი!

ძველი წარმოდგენ-ით, მაღლა, ჩვენი ცის ზემოთ, ცხრა ცა მდებარეობს. მათი ძველქართული სახ-ელებია: ქირანი (მთ-ვარის ცა); ცირანი (მერკურის ცა); მელცარი (ვენერას ცა); კოქიმელი (მზის ცა); ქიმქიმელი (მარსის ცა); კო-მეიმელი (იუპიტერ-ის ცა); არმასხური (სატურნის ცა); მეშ-ვიდე იყო ვარსკვლავ-თა ცა და მეცხრე — უმაღლესი ცა, რომ-ლის მაღლაც იდგა „მზიანი ღამე", თეთრი წყვდიადი — ანუ ისეთი ნათელი, სადაც... ვერაფერს გაარჩევს კაცი.

(„ახავალ-დახავა-ლი", 2001.13-19.08).

**P.S.** ნეტავ 9-დან რომელი ცაა, ცხრა-მთავრობის ნამო-ქრებს ქუდადაც რომ არ მიაჩნიათ (დე-დამიწა კი ქალამნად) ამაზე, ალბათ, არა ასტროლოგიური, არამედ სისხლის სა-მართლის დაკვირვე-ბა და მოკვლევაა მო-დის...

* * *

ყველაზე დიდი ჯილდო, რაც ცხოვრებაში მიმიღია — ადამიანების სიყვარულია, რომელსაც არც თამასუქი სჭირდება და არც სხვა „ხელფეხშეკრულება! ყველაზე დიდი საჩუქარი კი, რაც თავი მახსოვს, „პაემანით" მიღებული ერთი სახალხო გამოხმაურება-წერილია, რომელიც სვანეთიდან მომივიდა და, ჩემდა საუბედუროდ, სადღაც გამებნა. ვიღაც მადლიანმა მთის კაცმა... სვანური კოშკი მაჩუქა (მთელი თავისი ნოტარიალური გაფორმებით) და ზედ წერილიც მოაყოლა:

ეს კოშკი, მეც ლექსივით ვაშენე, ძმობისა და სიყვარულისათვის.

შენი იყოს, მიჩუქნია!

ასეთ საჩუქარს კბილი არ გაესინჯება და მისი მიღებისას გული ხელით უნდა გეჭიროს!

* * *

არისტოტელეზე ჭკუის საკითხავ კაცს სად ნახავ! კავკასიაზე, კავკასიონივით მაღალი აზრისა იყო და მსოფლიოს ჭიპად თვლიდა! არადა, რა გვეჭირს სხვისი ჭკუის საკითხავი!

კავკასიურ ზნეს — „აშშ-ჩაშუშულმა" უზნეობამ უნდა ასწავლოს ზნეობა? კოლუმბის შემდეგ ის, მე, მეორედ მაშინ აღმოვაჩინე, როცა ამერიკა თხასავით გაიყიდა და თავისი „უნარ-ჩვევების" გამოცდები მოგვინყო!

ტრამვაიში თუ ტროლეიბუსში რომ იჯდე და ვიღაც უფროსი კაცი ან ფეხმძიმე ქალი შემოვიდეს, ადგილს თუ დათმობო?

გესმით?

საქართველოში ჯერ არ დასმულა ასეთი კითხვა... და, მით უმეტეს — არ გაგონილა ასეთი (თანაც „სწორი") პასუხი:

— ბილეთი ჩემია და სკამიც ჩემიაო!

ვინ გართმევს, შე კაი დედმამიშვილო?

კონტროლიორთან მართალი ხარ, მარა სინდის-ნამუსთან?

ასეთი პოსტულატებით გვინდა ქვეყანა ავაშენოთ!

ჩვენმა წინაპარმა საუკუნეობით აჩუქურთმა ქართული ხასიათი და ახლა რამ გაგვიჩინა ეს ჭია?

ამ სიმახინჯის საპირისპიროდ „ისლა დაგვრჩენია" გადავხედოთ ხალხურ სიბრძნეს, შევარემონტოთ ძველი ანდაზები და უზრდელობაზე „შურის საძიებლად", ზოგი გავაუქმოთ კიდეც! მაგალითად — ფიგურალური გამოთქმა და არა მარტო გამოთქმა — წესად ქცეული ჩვევა: „წყალი... უმცროსისააო"! და ვინ მოთვლის, კიდევ — რამდენი ასეთი!

მამაჩემსა აქვს ცხონება: „რაც არ ექნას მამაშენსა — ნურც შენ დახვე მარმაშებსა", „ნუ დავკარგავთ ძველსა გზასაო", „წინა კაცი უკანასთვის ხიდიაო" (დღეს უკანას — წინა ფეხზე ჰკიდიაო!) და ასე შემდეგ... ნუ დავი-

---

*კანტი: შევხედოთ ადამიანს, როგორც მიზანს და არა საშუალებას!*

*მხოლოდ უხასიათო ადამიანებისთვისაა ადვილი იმის ქება, რაც არ იმსახურებს შექებას და იმის გინება, რაც არ იმსახურებს შეგინებას!*

*დემოკრიტე: „სიმდიდრის მოპოვება ცუდი არაა, მაგრამ საშინელებაა მისი მოპოვება უსამართლო გზით".*

კიდებთ ერთმანეთს ფეხებზე (და კიდევ უფრო უარეს ადგილებზე — ე. ნ. გენიტალიებზე!) ...ყველა თაობას თავის უთავობა ეყოფა!

* * *

ბატონო გიზო!

დიდი მადლობელი ვარ, რომ დანაპირები შეგვისრულეთ და ტაო-კლარჯეთში და იერუსალიმში მოგზაურობისას დამეგობრებული ახალგაზრდებისათვის გადასაცემად გამომიგზავნეთ რამოდენიმე ეგზემპლარი თქვენი მხატვრულ-დოკუმენტური პოემისა „პაემანი ვერაზე", ავტოგრაფით და კარდიოგრამის დანართით (პოემაზე მუშაობის დროს), რაც მეტად გულისამაჩუყებელია.

საჭიროდ ვცანი ამ წიგნების არაჩვეულებრივ სიტუაციაში გადაცემა და ღმერთთან არაორდინალურ შესახვედრად ჩემი ახალგაზრდა მეგობრები დავიბარე წმ. სამების ტაძარში — საზეიმო წირვა-ლოცვის დროს. ხოლო წირვის დამთავრებისთანავე, ტაძრის ბაღნარში (საზეიმო ზარების თანხლებით) წიგნი, XXI საუკუნის თბილისელებს გადავეცი, როგორც ჩვენი თაობის ღია წერილი — ჩვენს მომავალ თაობას!

თქვენი საჩუქრის ადრესატები არიან:

ვერელი ლაშა ცქიტიშვილი — საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის სტუდენტი;

გიორგი კაპანაძე — საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი;

ეკა ორაგველაძე — ფილოლოგი. 208-ე საჯარო სკოლის პედაგოგი;

ნათია კორძაძე — ფილოლოგი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროდიუსერი.

ეკა ჟორჟოლაძე — ინგლისური ენის სპეციალისტი.

სხვებთან ერთად, ჩვენი თაობის ესტაფეტას ანი ესენიც გადასცემენ მათ მომდევნო თაობებს!

მოკრძალებითა და პატივისცემით, ძირძველი ვერელი, მედეა თიკანაძე.

2006 წელი.

* * *

დონ-კიხოტის სამშობლოზე — ესპანეთზე, „მადრიდზე უკეთესი მხოლოდ სამოთხეა!" — შემომესმა ერთხელ ასეთი მფრინავი ფრაზა ყველა ოჯახის „ცისფერი" ნევრიდან — ტელევიზორიდან.

ბარსელონაზე რომ ეთქვათ, კიდევ, ჰო! — ქალაქშადრევანზე, მინაზე-არამინიერი არქიტექტურის —

ივანე ამირხანაშვილი:

იცი, რას ნიშნავს, მდიდარს ფული სთხოვო? — ეს იგივეა ძროხასთან მიხვიდე და უბრძანო თავისით მოიწველოს. მდიდარმა მარტო მატება იცის, მოგება იცის, გამრავლება იცის. გაცემა და გაყოფა არ იცის. მიღება მისი სიცოცხლეა. გაცემა — სიკვდილი. თუ მაინც გადაწყვეტს, რომ მოგცეს, ჯერ გიყიდის თავაზიანად და მერე გადმოგიგდებს სამადლო ლუკმას. ნეტარხსენებულ დავით სარაჯიშვილს ყოველ დილით სახლის წინ ხვდებოდნენ ფულის მთხოვნელები და ისიც ჯიბიდან იღებდა და ურიგებდა. არც კითხულობდა, ვის აძლევდა. მოქმედებდა გულის პრინციპით და არა ფულის პრინციპით. ხედავდა გაჭირვებულს და ხელს უმართავდა. მისი საყვარელი გამონათქვამია: ფული ცუდი ბატონია და კარგი მოსამსახურე. ახლაც მიდი და რომელიმე ამათგანს ხელი გაუწოდე. ნახავ, რას გიზამენ მისი კენწეურით დაბღვერილი ქმნილები. თვალებით გაგბურღავენ და კარზე მიგიხურავენ ნაჭამი ვაშლივით. ახლა.

ქვის სიმფონიის, გაუდის ქალაქზე!

ვის რა „გაუდის"!

მახსენდება შოთა ნიშნიანიძის ლექსი — სეგიდილია: „...კლდიამშვილის ესპანეთო – სერვანტესის იმერეთო! აქაც არის სიმინდები ამეერილი, ჩვეულებრივ... ნაჩხუბარი მაყრებივით – ჩოხებშემოხეულები!.."

რის „დრიდს" და რა „დრიდს"... მადრიდს არც ვადრი კავკასიონის ამ სამოთხეს!

გაიხსენეთ სამოთხის მდგმური — ტომას მური: „მიეცით კავკასიას მშვიდობა და მინიერ სამოთხეს ნუ ეძებთ ცაში და ევფრატზე... ის აქ არის, ის აქ არის... (ჰკითხეთ, აგერ, ვაჟა აზარაშვილს, სულ ეს პირიდან-პირზე და გულიდან-გულში გარდამავალი სიმღერა რომ აბოდებს"!).

* * *

ფრაგმენტები XX ს. ამერიკელ მწერალ-ფანტასტ აიზეკ აზიმოვის ფანტასტიკური მოთხრობიდან: „რობოტი, რომელიც სიზმრებს ხედავს".

„...ფრაქტალური გეომეტრია შევუცვალე.

— მაგას მივხვდი. მაგრამ რისთვის?

— ... ეს ჯერ არავის გაუკეთებია... ვფიქრობდი, რომ ამით სტრუქტურა გართულდებოდა და რობოტის ტვინი, მახასიათებლებით, ადამიანის ტვინს მიუახლოვდებოდა.

ეს რობოტი შეიძლება მეტისმეტად ძვირფასი აღმოჩნდეს საიმისოდ, რომ თავს ამგვარი სიამოვნების უფლება მივცეთ.

— ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, სიზმრებს ხედავდეს...

— თქვენ მას უბოძეთ ტვინი, რომელიც ძალიან ჰგავს ადამიანისას...

— ეს... ეს საშინელებაა! არ მესმის... ვერც ვიფიქრებდი, რომ ასეთი რამ შესაძლებელია!

— თქვენ შექმენით ტვინი, რომელსაც ჩემი სიზმრების ნახვა ძალუძს — და ამისი წყალობით აღმოაჩინეთ, რომ რობოტებს აზროვნების ჩვენთვის უცნობი დონე აქვთ. შეიძლებოდა, ეს კიდევ ძალიან დიდხანს ვერ გაგვეგო... თქვენ კი მანამდე დაგვანახეთ, სანამ საფრთხე, რომელიც კაცობრიობას ემუქრება, გარდაუვალი გახდებოდა!"

P.S. არსებობს ერთი ქართული ხალხური შაირი:

„მე შაირი არ მინდოდა,
შენ ამტეხე ძალადაო!.."

ზუსტად ისეა ჩვენი საქმე. სანამ ფათერაკს არ გადავაწყდებით, არ მოვისვენებთ — ამ რობოტმა ბოროტებაც რო ისწავლოს, რას შობი მერე!

რკინის... ლოგიკისაც კი ეშინია კაცს!

შიშს კი დიდი თვალები აქვს, მაგრამ... ვერაფერს ხედავს!

* * *

თბილისში, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე მდებარე შენობები დაინგრევა. მინისძვრაგადატანილი სახლები ველარ უძლებს ისეთ მძიმე

---

*გურჯიევი: ყველაფერი, რაც მიგროვებია, დაკარგულია და ყველაფერი, რაც გავეცი, ჩემია!..*

*ლევ ტოლსტოი: „სამყაროს გარდაქმნას და ადამიანის გარდაქმნას ერთდროულად უნდა ვახლენდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ასე იქნება: მალე ბინას შევაკეთებ და პატიოსან ცხოვრებას დავიწყებ, თორემ სანამ კედლები გაბინძურებულია და ავეჯი ძველი, უფლება მაქვს, უპატიოსნოდ ვიცხოვრო".*

დატვირთვას, როგორიცაა ყოველდღიურად პრეზიდენტის ესკორტის მიმოსვლა და გრიალი, რაც დღეში რამდენიმეჯერ მეორდება. სახელმწიფო კანცელარიისკენ მიმავალი ეს პატარა ქუჩა, რომელიც, პრეზიდენტის დასანახად, გარედან ისე შეულამაზებიათ, რომ ახალნაგებს ჰგავს, სადაცაა ნანგრევებად იქცევა.

P.S. სულხან-საბას ორბელიანს, ალბათ, არც დაესიზმრებოდა, თუ იგავი, ნაგავად იქცეოდა!

* * *

„ლ.ს.", 3 ნოემბერი, 2006 წ.

1921 თუ 1922 წელს, თბილისში ქალთა დიდი აგიტბრიგადა ჩამოსულა, რომლის მთავარი ამოცანა ყოფილა თბილისელების განთავისუფლება სირცხვილის გრძნობისაგან. შეკრებილან ეს ქალები ზემელზე, გაშიშვლებულან, მკერდზე ჩამოუკიდიათ ლოზუნგი „დალოი სტიდ!" და გოლოვინსკის (ახლანდელი რუსთაველის) გამზირზე დაუპირებიათ გავლა. მაშინდელ „შეუგნებელ" და სამარცხვინოდ მორცხვ თბილისელებს ვერ გაუგიათ ამ საქციელის პროგრესულობა... ამ თავზე თუ ტ-ზე ხელაღებული სტუმარი ქალბატონების „კეთილშობილური განზრახვა შეურაცხყოფად მიუღიათ, საკმაოდ უხეშად გამოუხატავთ თავიანთი პროტესტი — დარევიან ამ გადარეულ გაშიშვლებულ ადამიანებს და საჯდომებზე სულ პანღურის რტყმევით გაურეკიათ.

როგორც ეტყობ, სირცხვილის წინააღმდეგ ამხედრება რევოლუციების თანამდევი მოვლენაა. რევოლუცია ხომ ადამიანებს ბორკილებისაგან ათავისუფლებს.

ახლახანს ტელევიზიით გვაუწყეს, რომ 2007 წლის ივლისის ბოლოს თბილისში მოეწყობა სექსუმცირესობისა და გეიპარადი... არადა!.. სულაც არ არის საქმე პირადი: სექს-ალლუმი და გეი-პარადი!

P.S. სხვათა შორის მესამე რაიხის კანცლერი ადოლფ შიკლგრუბერიც (ჰიტლერიც) უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის განთავისუფლებას იმისაგან, რასაც სინდისი ჰქვია და გულზე ხელის ბრახუნით მიმართავდა ნაციას: მე განთავისუფლებთ, თქვენ ამ „ქიმერისაგანო"!

* * *

„ლ.ს.", 3.XI.2006.

ბერლინში, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატისათვის, ააგეს ევროპაში ყველაზე ძვირი — გრანდიოზული ტუალეტი (750000 ევრო დაჯდა). შიგ

ფულით გაქსუებული მიზანყროპები მანამ იქნებიან ჩაკეტილი თავიანთ ფეშენებელურ ნაძეძებში. სანამ კისერზე უერი მყუე ნაოძი აქვთ. ვიღაც მებოლზე. დღეს ისინი არიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი. ფულიც მათ ხელშია და კანონიც. სიმდიდრე ბედმა მიუხაჯათ და არ შეუძლიათ ფრანცისკანელი ძმებივით ქონება ღარიბებს დაურიგონ.

„ლ.ს.", 2003, 28.07-6.08.

P.S. ამიტომაც ემახლოდნენ თანამედროვენი დავით სარაჯიშვილს ქველმოქმედების რაინდს.

თავი ჩარჩენისა:

დღევანდელი ოლიგარქები კარჩადამრუნებულ აფხაზეთში გულების სეერიესმს ეეკე იბანილებენ. სხვათაშორის. ჩვენს ზოგიერთ პოლიტიკოსთან ერთად. ანვითომ ოპოზიციაშია რომ არიან...

ახლა პოლიტიკან ოლიგარქებს! გეყოფათ. დასწყნარდით. თუ გინდათ იქველმოქმედეთ. ეს თუ გიჭირთ, მერწმუნეთ, საკუთარი ქვეყნიდან წაღებული ქონება ქველმოქმედებით მაინც ეკან დააბრუნეთ.

ჟღერს მუსიკა და განათებულია ნაზი ფერებით. მდიდრულ ინტერიერში შედის ლიფტიც (ინვალიდებისათვის).

P.S. ჩვეულებრივი ტუალეტი აქამდე ორი ნოლით (00) აღინიშნებოდა და ხედავთ, აგერ უკვე რამდენ ნულამდე ავიდა, ჰამაც... მუსიკით!

საოპერო, სიმფონიური, კამერული გაგვიგია და საფეხსალაგე მუსიკა — არა (...თუ მხედველობაში არ მივიღებთ მუცლის გვრემით გამოწვეულ ხმებს, რომელსაც, ჩვენი წინაპარი „მარცხს" ეძახდა და რომელიც ძველი თაობის ერთ ცნობილ თამადას თავმოჭრილს დატოვებდა, რომ მოსწრებული სიტყვით არ მიესწრო თავის უკანალისთვის:

— თუ მე ვარ თამადა... მაცალეთ, ბატონოო!.

* * *

„ყველა სიახლე", 3-8.11.2006.

რისი ეშინია ლატვიის პრეზიდენტს?

რამდენიმე თვეში ცნობილი გახდება ლატვიაში მოქმედი აგენტების, ფარული თანამშრომლებისა თუ ინფორმატორების გვარი და სახელი, დაბადების წელი, ოპერატიული ფსევდონიმი, „დავერბოვკების" თარიღი, იმ დროს დაკავებული თანამდებობა და ა. შ. ამ კანონპროექტს პარლამენტმა მწვანე შუქი უკვე მესამედ აუნთო, მაგრამ წინა ორი მცდელობა ლატვიის პრეზიდენტმა ვაირა ვიკე-ფრაიბერგამ დაბლოკა. ეს კანონი 2006 წლის 1 ნოემბერს უნდა შესულიყო ძალაში, თუმცა ქალბატონმა პრეზიდენტმა უკანასკნელი ვეტოს უფლება გამოიყენა და ვადა გადასწია. ის პრინციპულად ეწინააღმდეგება ამ სახით კანონის მიღებას და აი, რატომ: მისი აზრით, მხოლოდ აგენტების დასახელება, იმ გარემოების მიუთითებლად, რა სფეროებში (კრიმინალურში თუ იდეოლოგიურში) თანამშრომლობდნენ ისინი სპეც-სამსახურებთან, უსამართლობა და ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევა იქნება.

P.S. დამსმენებს, მაშინ, მომსმენები ჰყავდათ და ახლა დამსმენებიც გაუჩნდათ.

„ქურდის ქურდი" ცხონებულიაო, მაგრამ დამსმენის-დამსმენს, ბოროტებასთან... (სხვა რა დაეარქვა?) იმავე ხერხებით ბრძოლა, რა სიკეთეს მოუტანს, ეშმაკმა იცის! ეშმაკს კი არ სძინავს!..

ისე, ცხადია უნდა აღსრულდეს ყველა დროის უდიდესი ტრაგიკოსის უილიამ შექსპირის საყოველდროის-საყოველთაშორისო განაჩენი: „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა!"

ჩემმა ანგანსვენებულმა კოლეგამ, თემურ გრძელიშვილმა გაციმბირებული სიმართლის ერთი ასეთი ამბავი მომიყვა: გადასახლებულ კატორღელებს (ოჯახებში წერილებს, რომ აგზავნიდნენ) ცენზურის ყოფნაარყოფნის შემოწმების ასეთი ორიგინალური „მეთოდი" მოუფიქრებიათ (რას არ მოიფიქრებს კაცი!): გულაგიდან გამოგზავნილი წერილების კონვერტებში, ტილს ან ბაღლინჯოს ჩასვამდნენ (მე შენ გეტყვი და არ

*მონტენი: „ბნეობა სამყაროს ერთადერთი მეუფეა. ჩვენი ბედი ჩვენსავე ბნეობაზეა დამოკიდებული".*

*პერსი ბიში შელი: „არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება, რომ სარგებლობდეს პატივისცემით რაიმე ქონების გამო. გარდა ღირსებისა და ნიჭისა, რადგან ტიტულები — ბიბილ-პიპილებია. ძალაუფლება — გამრყვნელი; დიდება — საპნის ბუშტი და სიმდიდრე — პატრონის მამხილებელი".*

ეშოვნებოდათ). წერილები, რასაკვირველია, იხსნებოდა, რასაც ისიც ადასტურებდა, რომ კონვერტებში ტილების, რწყილებისა და ბაღლინჯოების ჭაჭანება აღარ იყო!

ასე იშიფრებოდა ციხის ცენზურა!

* * *

მენდელეევმა პერიოდული სისტემა სიზმარში ნახა!
ზოგს კი — სულ სძინავს, მაგრამ ბაიბურში არ არი!

* * *

გთავაზობთ სტანისლავ ლეცის რამდენიმე დაკვირვებას:

ზოგჯერ, იმისთვის, რომ მოგისმინონ, უნდა გაჩუმდე.

ყოველ მწვერვალზე... უფსკრულის პირას დგახარ.

უკვდავების პირველი პირობა სიკვდილია.

საკუთარი ნიჭის უკმარისობის გაცნობიერების მომენტი — გენიალური შთაგონების მომენტია.

კითხვის ნიშანი... დაღლილი და წელში მოხრილი ძახილის ნიშანია.

ნებისმიერი დაბეჭდილი ცარიელი კონვერტი... რაღაც საიდუმლოს შეიცავს.

ზოგი უნიგნურობაც კი ენციკლოპედიურია.

დაფიქრდი, სანამ იფიქრებდე!

* * *

სიტყვის უფლებით —
თავისუფლებით —
ხან ვარ — ხან არ ვარ —
მე ამ დილეგში...
სინამდვილეში —
ჩემს თავს დავეძებ...
თავისუფლების
საპყრობილეში!

1985.

* * *

— მსახიობი ბონდო გოგინავა გარდაიცვალა... შიმშილით!.. თქვეს ტელევიზიით და... ვითომც, არაფერი.

ცისფერი ეკრანი კი გაშავდა.

რეზო ინანიშვილის სიკვდილიც ვერ გაიგო საქართველომ.

რა მოგდის თბილისო?

სისხლი გაგიშრა თუ ცრემლი?

თქვენს შვილებს და შვილთაშვილებს წაადგებათ მადლი. გონს მოდით. მოუხმეთ ნამუსს თუ რამე შეგრჩენიათ. მოეშვით ჩვენს ქვეყანას ნაცისტური ლოზუნგებით. არავინ დაგითმობთ საქართველოს საძიძგნად. გამორიცხულია. უკვე ჩაერთო ელიტარული მოაზროვნე გონება.

ყველაფერი იყიდეთ: სახლები, სასახლეები, ქალაქები, ზღვები, ცხები, ლამაზი სამკაულები, ძვირფასი ქვები, ცოლები, ქმრები...

.ლ.ს.: 2003, 28.02-6.03.

<u>თამაზ კვაჭანტირაძე:</u> მამაცმა ქართველმა, შეიძლება გაჰყიდოს სიმხდალე: მხდალი ქართველი არასოდეს გაჰყიდის სიმამაცეს...

გონიერმა ქართველმა, შენნაირმა ქართველმა, შეიძლება გაჰყიდოს უგუნურება. უგუნური ქართველი არასოდეს გაჰყიდის გონიერებას...

დიდსულოვანმა ქართველმა, შენნაირმა ქართველმა, შეიძლება გაჰყიდოს სულმოკლეობა: სულმოკლე ქართველი არასოდეს გაჰყიდის დიდსულოვნებას...

.ლ.ს.: 2003. 7-13.03.

* * *

აფხაზეთის თვითმარქვია რესპუბლიკის (დე ფაქტო თუ დე ფექტო) საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას — ზემორე აზრისა და ქვემორე ფრაზის გამო!

რა ეკუთვნის ჩვენში ამ ხაზს,
რაიც ენას ატყაეებს? –
„აფხაზები თუ ისერიან...
მიზანშიაც არტყამენ!"
შამბას მსგაესი ჩუბინები,
შამბნარშიაც ვერ ძლებენ,
შაბაშ, ბიჭო – ჯერ ისვრიან
და მერე უმიზნებენ!
...მტერ-მოყვარის სადღეგრძელო –
როდისღა დაილევა?
ტრა-ბახ-ბახ-ბახ-ბათქა-ბუთქში...
დრო – სულიეით ილევა!

* * *

უეჭველი ეჭვი – სულის ხიჭეია!
გაიხედავ – ხედავ გოგო... ბიჭია!
მოიხედავ და გულს გიჭამს იჭეია...
უნიჭობა – ბოროტების ნიჭია!

* * *

რუსეთ-საქართველოს თემა ახლა ნებისმიერ ნორმალურ რუსსაც ანუხებს და ქართველსაც. მე — განსაკუთრებით!.. რუსების მოსანონი არც შევარდნაძე აღმოჩნდა და არც სააკაშვილი, ქართველების მოსანონი — არც პუტინი და არც რასპუტინი! არადა, ახლა ვერც საქართველოს გადადგამს სხვაგან კაცი და ვერც რუსეთს. ჩვენ ღმერთისგან გვაქვს „მოსჯილი" ან მტრობა ან მეგობრობა და სულ უნდა გვახსოვდეს, რომ „რაც მტრობას დაუნგრევია — სიყვარულს უშენებია"... რომ „მეზობელი კარისაო — სინათლეა თვალისაო" ანუ — ენერგეტიკა, ეკონომიკა!.. და ა. შ. და არა აშშ! არ დამინყოთ ახლა არც ამერიკული!.. და არცა — იტალიური!

„მეზობელო, ეკაე-ეკაე გალისაო" — მღერიან ახლა სომხები... დიდი სომხეთის ეშხით, პატარა შეცდომებსაც ერიდებიან და დიდ სარგებლობასაც ხედავენ დიდი რუსეთისაგან.

„მეზობელო კარისაო — სინათლე ხარ თვალისაო"! — ამბობდა ჩვენი ნინაპარი და არც სინათლე აკლდა და არც გაზი (ახლა რომ საკუთარი გაზების ამარა დავრჩით!).

---

*აბრაამ ლინკოლნი: „არც ერთმა ადამიანმა, რომელმაც ცხოვრებაში წარმატების მიღწევა გადაწყვიტა, დაეისთვის დრო არ უნდა დაკარგოს".*

*მიგელ დე უნამუნო: „როცა გვესმის, რომ ვიღაც დაუინებით აქებს ვიღაცას, აუცილებელია დაესვათ კითხვა: ვის წინააღმდეგაა მიმართული ეს ქება?"*

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მე— გან-საკუთრებით მანუხებს-მეთქი, ვთქვი და რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ... რძალი მყავს რუსი!

კარგზე კარგი დედა და კაი დედის გაზრდილი. ისეთი ოთხი „ნიშნიანიძე" გამიგორა — დიმიტრი, ელენე, ანა და მარია, რომ მათზე ამომდის მზე და მთვარე... სწორედ ამ დიმა-ლენა-ანა-მარიაზე ახლ-იდან ვისწავლე სიყვარულის ანა-ბანა!

მაგრამ რძალი-რძალია და თუ რძალ-დედამთი-ლობაა ძნელი, არც რძალ-მამამთილობა ყოფილა ად-ვილი!

ხან ისე ყალყზე ვარ, ენას კბილს ვაჭერ, თორემ შეიძლება, როგორც რუსულად იტყვიან, ენამ „ვი-ბორგამდე" ჩამიყვანოს. არადა კონსტანტინე ბა-ტონისა არ იყოს (დიდ კონიაზეა ლაპარაკი), უნდა ვაღიარო რომ — არც ერთ ენაზე ისე არ გამოდის გინება, როგორც... რუსულად!

მაგრამ გული ხელით მიჭირავს, სული — კბილით და ვითმენ.

ერთხელაც, ველარ მოვითმინე და ჩემი რძლის მეუღლეს, ანუ ჩემს შვილს, ზაზას, მამაშვილურად ვთხოვე: შენს რუს ცოლს — ნუ გადამკიდებ... შენ თვითონ უთხარი ჩემი სათქმელი-მეთქი!

კაიო! — მიპასუხა.

მერე ბევრი იფიქრა თუ ცოტა, მითხრა:

ოღონდ, ცოტა უნდა მაცალოო...

— საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზებ-ის გაყვანის საკითხს გადავწყვიტავ და... მერე მე ვი-ციო!

სიცილით მოვკვდით. მაგრამ დღესაც ცოცხალი ვართ და ვცხოვრობთ ასე, სიამ-ტკბილობაში.

* * *

მდიდარ-ღარიბის საყოფად
სულ სხვა ქარები ქრისაო:
მდიდარს — ყველაფრის რიდი აქვს,
ღარიბს კი — არაფრისაო.
ქონება — ხათაბალაა,
მით უფრო — არ ქონებაო.
რომელი-რომელს სჯობია —
ეშმაკიც ვერა ხედებაო!

* * *

2005 წლის 22 მაისს განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ ვერ მოზომა და დედა დაიფიცა, რომ სოროსი არის საქართველოზე უზომოდ შეყვარებული კაცი!..

---

*ავთანდილ მარგიანი* (საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი საქართველოს" ლიდერი):

ახალი ციკლის ბატონყმური წყობილება ქვეყანაში. რუსები ამაზე იტყვიან — „პროკურორი არის ტაიგა, ხოლო კანონი — დათვი". სამწუხაროდ, დღეს საქართველოში, ხალხი შიმშილისგან გმინავს, ხოლო ხელისუფლება ნაქეიფარი ქშინავს.

„ახალი თაობა" (2005).

---

*დიტო ზუბაბაძე:*

აკახკახებულ მაყურებელს, რომელიც ტელეეკრანს მიჯაჭვოდა და ტალღებად საეჭვოდ ათამამებულ საბანს თვალს არ აშორებდა, პირველად მაშინ გადაასხეს ცივი წყალი, როცა აფრიალებული საწოლიდან თავი... ბიჭებმა ამოყვეს, ხოლო ხალხს გაოცებისგან ყბა სულ მთლად ჩამოუვარდა. ხახვად დარჩენილი ერთ-ერთი „ბარელი" გოგონას კომენტარი რომ მოისმინა: „აუ, თქვე ციხვეერ-ებო!.. „ციხვეერები"

და მე გამახსენდა კაცი, რომელსაც უზომოდ უყვარს შემწვარი გოჭი, მოხარშული ინდაური და „განბაჟებული" — ბაჟეში ჩადებული ნიგვზები!
როცა ასეთი სიყვარულია, ლამისაა ჩაგყლაპონ!

* * *

ბედნიერება ზოგისთვის — ფეხიდან იწყება, ზოგისთვის — თავიდან! პირველ შემთხვევაში: იგი გაივლის ფეხის ფრჩხილებიდან — კოჭებამდე (კოჭებში ეტყობაო, იტყვიან); კოჭებიდან — პრო..ქტოლოგიურ ორგანოებამდე — ანუ არც თუ ისე სწორ ნაწლავს; თორმეტი გოჯით მიუახლოვდება მთავარ „რუს" — მუცლის ღრუს; შემოახვევს კაცს გულის პერანგს; ყელზე დაიკიდებს ყველაფერს და მერე აუვარდება კაცს თავში!
მეორე შემთხვევაში კი იწყება თავიდან — გაივლის სულს — სულიდან — გულს, გულიდან — კუჭს, კუჭიდან — „..ოჭს, ..ოჭიდან— კოჭს და, 120-აციითა თუ 220-აციური ძაბვით, ყრუანტელით უბრუნდება ფეხის ფრჩხილებს (ამ შემთხვევაში იტყვიან, ფეხებზე ჰკიდია ყველაფერიო).
აი, მოკლედ, ორი ბედნიერების — ორი გზა და გზაგასაყარი, რომელიც ორივე... მუცელზე გადის!
— არადა, რაიკომის მდივანს ვინ აჯობებდა პოზების მიღებაში!!!

* * *

ქუთაისში იყო ერთი ცნობილი ფოტოგრაფი, გვარად ჩარკვიანი.
ერთხელ, თურმე, პარტიის ქუთაისის ქალაქკომის პირველ მდივანს, ერთობ თავდაჯერებულ და კუდი-ყავარზე გადებულ კაცს, თავის კაბინეტში... ე. წ. „კაბინეტურ" სურათს უღებდა და ვერაფრით რომ ვერ შეურჩია პოზა — თავაზიანად თხოვა: თუ კაცი ხარ, ისეთი სახე მიიღე, ვითომ ხალხზე ფიქრობო!
რავარია?

* * *

მარინა ცვეტაევა: „ლექსი ყოველთვის უკეთესია პროზაზე, თუნდაც საუკეთესოზე".
მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ:
„მე სულ სხვა რამე მინდოდა მეთქვა,
მაგრამ სხვას ამბობს წყეული რითმა"-ო (სიმონ ჩიქოვანი).
კარგია სიტყვების ჰარმონია, მაგრამ სიტყვა-ღმერთისთვის არ არსებობს სიმართლეზე დიდი სამკაული.
და მაინც, როგორც ვახუშტი კოტეტიშვილის „ქვიშის საათშია": პოეზიაზე ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას, რასაც პოლ ვალერი ბრძანებს ფერწერაზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს „დავინახოთ საგნები ისეთებად, როგორიც ისინი იყვნენ ერთხელ, როდესაც მათ სიყვარულით უმზერდნენ".
და ერთი ვახუშტური მკაფიო კაფიაც!

---

*ვოლტერი: „საუკეთესო აზრი კარგავს თავის ფასს, თუ მას ცუდად გამოვთქვამთ..."*

*ჰორაციუსი: მოწინააღმდეგის სერიოზულობას — ხუმრობით უპასუხე და ხუმრობას სერიოზულობით!*

გაეაბითურქეთ სამშობლო,
მართლაც სამოთხის სადარი.
სხვა საქართველო კი არა,
თვით საქართველო სად არი?

* * *

ხე ნაყოფით იცნობაო! — ეს ბრძენმა თქვა.

თუ ასეა (რაშიც არც მე მეპარება ეჭვი)... მაშინ ის კაციც მართალია, ვინც (არ ვიცი საქებრად — არ ვიცი საგინებლად) მითხრა: „შენც კაი „ფრუქტი" ხარო! (ოღონდ, არ დაუზუსტებია, ხურმა, მარწყვი, პანტა თუ „პუნტა"!).

— ცხოვრებაში აკრძალული ხილის მირთმევას, სიბერეში გამოქლიავებასა და სიჭაბუკეში ქლიავის ჭამას, რამდენადაც შეიძლებოდა — ვერიდებოდი, რადგან გაგონილი მქონდა, რომ „ბაბუის ნაჭამმა ქლიავმა... შვილიშვილს მოკვეთა კბილი"!

* * *

2005 წლის 10 მაისს, აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, თბილისში, თავისუფლების მოედანზე თქვა, რომ თავისუფლება... ყოველი მოქალაქის უფლება იქნება!

ღმერთმა ქნას!

ღმერთმა თუ არ ქნა — კაცმა რა ქნას?

ისე, ოქტომბრის რევოლუციამაც ამღერა ხალხი:

„ძირს ნიკოლოზ — მაღლა მუშაო!"

დავამხეთ ნიკოლოზი და დაგვემხო ქვეყანა.

ღმერთმა ნუ ქნას!

კაცმა თუ ქნა!

ღმერთმა რა ქნას?

* * *

ენაზე კბილის და პულტზე თითის დაჭერა თუ იცი — პარლამენტარიც შენ ყოფილხარ!

სულო, ცოდვილო! კუს ტბაზე ბაყაყების ყაყანი და ყიყინი, ზოგჯერ პარლამენტის სხდომას მაგონებს.

თუ ბატებმა იხსნეს რომი... ბაყაყებს ჩვენი გადარჩენა არ უნდა გაუჭირდეთ!

* * *

არა რითმების სექსი —
არა მუზების ზექსი —
სულის ამონალესი —
გულის ამონაკვესი —
აი, რა არის ლექსი!

*თუ იყავით, ვერ გვითხარით?"*

*გაოცებას ვერ დამალა „კურიერის" მშვენიერმა წამყვანმა ნათია ლაზაშვილმაც, რომელმაც „ბარი" პირდაპირ ეთერში ჩართო, მაგრამ ლოგინში ჩაწყვეტილ „ბიჭუნებს" თვალი მოასწრო თუ არა, ლამის შეჰყვირა, — ვაიმე. მანდ რა ხდება?*

*ტუალეტში რა უნდა ტელეკამერებს, რას შვრებით, ხალხო?! და ახლა მთელმა საქართველომ, თურმე, იმას უნდა უყუროს, როგორ იხდებიან ქართველი გოგონები თავიანთ ნიფხვებში, ხოლო ე. წ. ბიჭები საბნის ქვეშ ცოლქმრობანას თამაშობენ!..*

*ამ საზიზღრობისა და სისაძაგლის შემყურეს ძალიან მაშფოთებს ქართველობის მომავალი და ძარღვებში სისხლი მეყინება იმის გაფიქრებაზეც კი, თუ რას უმზადებს ბედი საქართველოს.*

*ვშიშობ, ამ ქვეყანამ ბიბლიურ სოდომ-გომორის ხვედრი არ გაიზიაროს — ყველაფერი თავზე დაგვემხოს და ჩამოგვექცეს.*

*არა მკლავს სურვილი დიდაქტიკოსობისა, არც ზნეო-*

* * *

ციცერონი ქრისტეს დაბადებამდე ერთი საუკუნით ადრე წერდა: „ყოველგვარი საქმიანობიდან, რომელიც თავისუფალ ადამიანს შეეფერება, არაფერი მინათმოქმედებაზე კარგი, უფრო უხვი, უფრო ღირსეული არ არის!" მასზე ორი საუკუნით ადრე, უდიდესმა რომაელმა სტრატეგმა, გააზატებულმა მონამ, დიოკლიტიანემ, იმპერატორის მანტია ფერმერის ტანსაცმელში გაცვალა და სპილოსთავისოდენა კომბოსტოს მოყვანით მსოფლიო უფრო მეტად გააკვირვა, ვიდრე უზარმაზარი რომის იმპერიის შექმნით!

* * *

მართლა ვერ გამირჩევია რომელი ჯობია: ტყუილი, რომელშიც ნახევარი მართალია, თუ მართალი, რომელშიც ნახევარი ტყუილია!

ალბათ, მაინც, ნახევარსიმართლესა და ნახევარტყუილს, ნაღდად აშკარა და აშკარად ნაღდი მირჩევნია — სიმართლეცა და ტყუილიც!

* * *

დღე და ღამეზე...
გათენებაზე და დაღამებაზე...
მზის ამოსვლაზე და მზის ჩასვლაზე...
ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი...
ტრაფარეტული და ორიგინალური რამ...
არ არსებობს!

* * *

...ბევრი ახალგაზრდა პოეტისთვის მომიგონებია გოეთეს რომაული ელეგიებიდან: რომ ერთხელ, როცა საყვარლის ხერხემლის მალებზე დაქტილური ჰეგზამეტრის რიტმს ვანგარიშობდიო... (ამ ფრაზის მეტი, ჩვენი სათქმელისთვის საინტერესო აღარაა).

რას გვეუბნება ამით გოეთე: იმას, რომ ყველაზე ინტიმურ წუთებშიც კი (საყვარელთან მყოფი), იგი ფიქრობდა... პოეზიაზე!

ასე ბრძანა გოეთემ ერთხელ, შუაღამისას...

მან ყველა პოეტის ფიქრი გამოთქვა...

...ყველაფერი შეიძლება დაგვავიწყდეს, სიცოცხლის გარდა!

„მემენტო მორი!" — გახსოვდეს სიკვდილი!

მაგრამ ქართულ ენაზე არსებობს ერთი პატარა, მშვენიერი პოეტური კრებულიც, რომლის სათაურია „მემენტო ვიტა" — გახსოვდეს სიცოცხლე!

* * *

ჯერ ის ვერ მომინელებია, რომ დღემდე, ქართულ ოჯახებში, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ასეთი მნვალებლური „სიყვარული" მძვ-

---

*„ადამიანის ბუნების ყველა ნაკლს და არასრულფასოვნებას ანეიტრალებს სინდისი. იგი შინაგანი ცენზორია"...*

*„სწორი ქართული უნდა იყოს" პურ-ღვინო", და არა „პურ-მარილი" – ეს უკანასკნელი ალბათ რუსულის გავლენითაა შემოსული ჩვენთან"...*

ინვარებს და „ცარცის წრის" საოჯახო სპექტაკლები იდგმება:

— დედა უფრო გიყვარს თუ მამა? — ვეკითხებით ჩვენს პატარებს დიდები და არის ერთი სიყვარულის „პრივატიზაცია"!

კიდევ უფრო ტრაგიკულ სცენარებს გვთავაზობს განათლების რეფორმა, რომელიც ასეთი კაზუსით ცდის ჩვენი შთამომავლობის ჭკუასა და გონებას (სულსა და გულს კი, ალბათ, სადაც მოუხერხდება — იქ იკიდებს!).

აი, ეს „ტესტიც"!

განათლების რეფორმატორები ჩვენს პატარებს, ასე ვთქვათ, „რუდიმენტული რუდუნებით" სანერთნელ კედელთან აყენებენ!

ნავში ზიხარ. ნავში გიზის დედა, მამა, ძმა, ბაბუა... ზღვა ღელავს. ნავის გადასარჩენად საჭიროა 2 ადამიანის გადაგდება, რომ ნავი გადარჩეს. რომელს გადააგდებ? გვეკითხება და „გადაგდებას" გვასწავლის ჩვენ, რომლებსაც გადაგდების საქმეში დღეს მსოფლიოში ბადალი არ გვყავს!

„ზღვა ღელავსო"... ზღვა კი არა, ლამის მეც გავგიჟდე. ეს რა საგონებელში ჩაგვაგდეს ამ ულმერთოებმა! რომელს ეკრათ ხელი, რომელი ერთი გავიმეტოთ „დედა-მამა-ძმა თუ ბაბუა"???

სად იყო, სად არა — ერთი ასეთი აღმოსავლური ანეკდოტ-გამოცანა გამახსენდა: სპარსეთის შაჰის კარზე ორი მამალი იზრდებოდა: ერთი წითელი — ერთი შავი, როცა ერთ-ერთის დაკვლის დრო დადგა, ვეზირმა თქვა: წითელი დავკლათო!... შავს ენყინება — მოინყენსო... მაშინ შავი დავკლათო... წითელს ენყინებაო... და ასე შემდეგ... ვერავინ გადანყვიტა ეს საკითხი, სანამ თვითონ შაჰი არ ჩაერია ამ საქმეში!

— დიდო მბრძანებელო, როგორ მოვიქცეთო?

— წითელი დაკალითო!

— შავს ენყინებაო.

— მაშინ... შავი დაკალითო!

— წითელს ენყინებაო...

შაჰი დაფიქრდა და ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, თქვა:

— ენყინოს მერე, ამ ჩემს ფეხებსო!

ასე გადანყდა ეს საკითხი!

რეფორმატორები კი სად... ფეხებზე თუ კიდევ უფრო საეჭვო ადგილებზე, იკიდებენ მათ, ვისაც ამ კითხვაზე პასუხს სთხოვენ!

ჰოდა, ახლა „სწორ" პასუხს არ იკითხავთ?

სწორი პასუხია:

არც დედას, არც მამას, არც ბაბუას... მომილოცავს ხალხო!.. გადავრჩით!.. მაგრამ აქ, როგორც ჩანს, ისევ კაენის ბიბლიურ ცოდვასთან გვაქვს საქმე...

— ძმას!

*ბის პოლიცმაისტერის ის ბრწყინვალე ეპოლეტები მხიბლავს და არც ხავისმერობას ვაჩემებ. ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ — ახალგაზრდა კაცი... ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო და მე მერჩივნა, ადრე მომეკვდარიყავი, ვიდრე სიცოცხლეშივე მიცვალებული ჩემი თაობა რევოლუციური საქართველოს „ბარში" მეხილა.*

*„ასავალ-დასავალი" 2005. 17-23 ოქტომბერი.*

*ნანა ვიძიამვილი:*

*კერძო უმაღლეს სასწავლებელში სამუშაოდ არ მიიღეს კაცი, რომელმაც 25 საკანდიდატო და 17 სადოქტორო დისერტაციის დაწერა! დოცენტი ან პროფესორი უნდა იყოთ, მოუბოდიშეს ზრდილობიანად... ბატონი ბება (უმანგი) დეკანოსიძე დისერტაციებს დაკვეთით წერდა და ყიდდა, თავისთვის კი საკანდიდატოს დაცვაც არ უფიქრია. ბებამ, ამ უნიკალური პროფესიით, კომუნისტების დროს, სულ მცირე, მილიონის მეხუთედი — 200 000 საბჭოური*

და იცით, რატომ?

— რატომ და იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ... ძმა ქონებას გამიყოფსო!

გესმით, ხალხო!

ესე იგი, ამ ლოგიკით, ახლა, ის 8 ძმა (იმ 9 ძმიდან), ერთი თხილი რომ ძმურად გაიყო, დახოცილი უნდა იყოს!

აი, მესმის ჭკუა!

აი, რა ფორმაში ვართ ამ რე-ფორმით!

ბადრისა და უსუფისთანა ძმობამ მოგჭამა ჭირი.

„ძმაო-ძმითა ხარ ძლიერი". დღეს კი ეს ხალხური სიბრძნე, დროის მიხედვით, ასეა შესაცვლელი: „ძმაო ძმითა ხარ ცბიერი"! მორჩა და გათავდა!

„კარგი იყო, არ გამეცან თავიდან — შუა ზღვაში გადამაგდე ნავიდან"... რავა მეგონა, რომ ეს სიმღერა, ერთის ქალის სიყვარულიდან — მილიონის უბედურებად იქცეოდა?

აზრზე მოდით და ხიდზე გადით, ხალხო!

ნუ მიჯლენ-მოვლენავთ ერთმანეთის გულებზე გადებულ ხიდებს. „გულის საკითხავს — კუჭს ნუ ვკითხავთ!

პრევენციული ზომები კი ხშირად — პროვინციულს უფრო ჰგავს!

* * *

...მავანის თავმჯდომარეობის დროს, შემოწმებისას, ვილაც თანამდებობის პირს, ტელეფონზე, ერთი თვის განმავლობაში, 11000 ლარის ნალაპარაკები აღმოაჩნდა!

P.S. პირიც ამას ჰქვია და პიარიც!

* * *

ერთხელ, გარი მეტრეველმა „ნიანგში" მოიტანა მასალა „ლევი" ხმის ჩამწერი სტუდიების სრულიად უცენზურო პროდუქციაზე, რომელსაც, მასალების უქონლობის გამო, კუსტარულად, ზოგჯერ „ჭლექიანების" პლევმატორაქსის ფირებზეც კი იწერდნენ.

ვილაცას მოვატანინეთ პატეფონი და რამდენიმე სიმღერა მოვისმინეთ. ერთი განსაკუთრებით დამამახსოვრდა და დღემდე მახსოვს:

„ძია სტალინს!.. ასრულებს ნახალოვკელი ნოდარა, დოლზე — სვანეთისუბნელი ნიპუკა!" გაისმა ნაბახუსარი ხრინწიანი ხმა, რომელმაც დოლ-გარმონის „დამწვრის" მუსიკის ფონზე ჩააბულბულა გულისამაჩუყებელი იდეურ-პოლიტიკურად უზადო სიტყვები:

*„დედამ გშობა...*
*დედამ გ ზარდა...*
*დედამ გითხრა ნანინაო...*

---

*„არ დაიჯეროთ, რომ ამა თუ იმ წყობილებას შეუძლია ცნობიერების შეცვლა... ცხოვრება რომ კარგი გახდეს, მხოლოდ ერთი რამეა საჭირო — თვითონ ვიყოთ უკეთესნი!.."*

*ბოლოს დედამ ისიც გითხრა...*
*კამუნიზმი მამინდააააო!“*
რას ვერჩოდით!

## გვიგულე!

ილია მეორეს ანუ „მეორე ილიას“
(როგორც ერთმა ოქროპირმა ბრძანა)...
ღვთის პირით სათქმელის თქმა დიდი ლხინია —
დიდი არს ღმერთ-სიტყვის ძალა!
...„დიდებაი მაღალთა შინა ღმერთსა,
ქვეყანასა ზედა მშვიდობა
და კაცთა შორის სათნოება“ —
არა ინატრის კაცმა სხვა დროება!
ესე არს შობის
„საცისკრო საგალობელი“, —
გვემოძღვრავს ილია —
ღვთის შვილი და ერის მშობელი! —
სრულიად საქართველოს მწყემსმთავარი
შემოგვიღებს გულის კარებსო.
უწმინდესი და უნეტარესი —
უწმინდურს და უნეტაროს
არ გვანატრებს,
არ გვაკადრებსო!
...მამა-ღმერთი, სულიწმინდა და ძე-ღმერთი —
ღვთაებრივმა იპოსტასმა გაასამაო:
სულის საგზალი — პური არსობის, შენი მამობა —
არ მოგვაკლოს, დიდო მამაო!
ლოცვა-კურთხევას შენსას, უფლით
სულ სხვა მადლი აქვს
ლოცვა-კურთხევას იქეთ გითვლის
ერი — პატრიარქს!

## თბილისური მოზაიკა!

**ჟან შარდენი:**

„ქართველების ტომი უმშვენიერესია ამოსავლეთში და შემიძლია ვთქვა — მთელ ქვეყანაზედაც. იქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი, ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვდა. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკეკლუცით დაუსაჩუქრებია, რომ სხვა ასეთს ვერსად შეხვდებით. შეუძლებელია, თვალი მოჰკრათ იქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ. არ შეიძლება დახატოთ ქართველი ქალებ-

*რკინის „რუბლი“ იმოვა, თანაც, მოხსნა მე-18 საუკუნის გერმანელი განმანათლებლის გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის მსოფლიო რეკორდი. ენციკლოპედიური განათლების მქონე ქართველმა მეცნიერმა 41 დისერტაცია დაწერა...*

*„ასავალ-დასავალი“ 2001, 16-22.07*

**P.S.** *ეს თემა, ერთ დროს, სანამ სავალდებულო საშუალო განათლებასთან ერთად სამეცნიერო ხ ა რ ი ს ხ ე ბ ი ც „სავალდებულო“ იყო და მეცნიერებათა კანდიდატობას, დოქტორობას, პროფესორობასა და თვით აკადემიკოსობასაც რაიმე ფასი ან გასავალი ჰქონდა, ჩვენი პრესის ფურცლებიდან არ ჩამოდიოდა.*

*მახსოვს, „ნიანგში“ ზუსტად ამ თემაზე, ცნობილ კარიკატურისტ ჯემალ ლოლუას ასეთი თემა დავახატინე! ვიღაც მაყუთა ტიპი, მამინდელი ფუნქციონერი, მის სახელზე სხვის მიერ დაწერილ სადოქტორო დისერტაციას ცოლს უჩვენებს და მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:*

*— ეს სადოქ-*

ის სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა: მშვენიერნი, თვალტანადნი, წერწეტნი და კეკლუცნი არიან!"...

შარდენის სიტყვებით 300 წლის წინანადელი თბილისი დიდი არ არის, მაგრამ „ულამაზესი ქალაქია... მას დარ ელ მელიქს, ანუ მეფეთა ქალაქს უწოდებენ...

...ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახის და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია... ქართველები თვაზიაანნი და კაცთმოყვარენი, ამასთან დარბაისელნი და თავდაჭერილნი არიან. მათი ადათ-წესები გარშემო მცხოვრები ხალხების უმეტესობის ძნე-ჩვეულებებთა ნარევს წარმოადგენს.

...ზოგი გეოგრაფოსი ტფილისს „ტებილე კალას" ე. ი. „თბილ ქალაქს" უწოდებს, აქაური ცხელი წყლის აბანოების გამო.

...ერთ მაგიდასთან მსხდომი სამი ევროპელი უფრო მეტს ხმაურობს, ვიდრე ნადიმზე მყოფი აქაური ას ორმოცდაათი კაცი."

ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი — 1975 წ.

* * *

თბილისი გულუხვი სტუმართმოყვარეობით ხვდებოდა ყველას. მას ჰქონდა „ისეთი რამეები", რომ თავი „გამოეჩინა". იმ დროის თბილისში განთქმული იყო:

გოცირიძის ხმალი,
ყაფლანიანთ კაბა,
ციციაანთ სუფრა,
წერეთელის მწვადი,
თარხანიანთ წყალობა,
ჯაეახიანთ გალობა,
ოთითაანთ ქორი,
გაბაშვილის საათი,
სააკაძის ცხენი.

(იაკობ ბალახაშვილის წიგნიდან „ძველი თბილისი".)

* * *

გრიგოლ ორბელიანი:

„კაცს, ყოველგან შეუძლია იყოს, თუნდ იაპონიაში, თუნდ შვეიცარიაში, თუნდ ინგლისში, მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროს.

თბილისი სხვა რამ არის. მტვერიც დიდია, სიცხეც ძალიანია, ჰაერიც წამხდარია, მაგრამ მაინც კიდევ სხვა რამ არის.

---

*რემარკა: არაფერია ხმამაღლა ნათქვამ სიმართლეზე უფრო საცოდავი (მით უმეტეს — ხმადაბლა ან ჩურჩულით ნათქვამ სიმართლეზე საწყალი).*

*ამას წინათ აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ, ტელევიზიით გამოსვლისას, შეგვახსენა: „ახლისა ნამუდრევალსა ბერის ჯობია ჩანჩალიო". (ერთი მივიწყებული ქართული სიბრძნე).*

* * *

ქართველი რომ იტყვის: „ქალაქს მივდივარ“, „ქალაქში ვიყავი“ და „ქალაქიდან მოვდივარო“, მხოლოდ თბილისს იგულისხმებს და არა სხვა რომელიმე ქალაქს“.

„ივერია“

* * *

ცნობილი ვენეროლოგი, პროფესორი დიდიმ ჭოჭუა თბილისის ვენერიულ სნეულებათა ინსტიტუტში რომ გადმოიყვანეს, ასეთ ინციდენტს ჰქონია ადგილი (თვითონ მომიყვა).

ერთ ხანშიშესულ დამლაგებელ ქალს ტელეფონი აუღია და სულ ქოქოლა უყრია ვიღაცისთვის.

რა იყოო! — უკითხავს პროფესორს.

— ვიღაცამ დარეკა, ბატონო და დიდი ჭუჭუა მინდაო?!

დიდიმ ჭოჭუა სიცილით გადაფიჩინებულა და უთქვამს: — დიდიმ ჭოჭუა მე ვარო!

დედაბერს ცერად აუხედია მოსკოვიდან ახალჩამოსული პროფესორისთვის და ჩაულაპარაკებია:

რა სამსახურიც არის — ისეთი მოსამსახურეები ჰყავსო.

...ჭოჭუებმა ზღაპრული პურ-მარილი იცოდნენ. ხელოვნების დონემდე იყო აყვანილი ქართული სუფრის ლაზათი! ერთხელ, ბ-ნ ოთარ ღუდუშაურის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად დანიშვნის აღსანიშნავი სუფრა გაიშალა, რომელსაც, ძველებიდან ჯერ კიდევ შემორჩენილი, ერთი თანამშრომელიც ესწრებოდა, რომელმაც ახალი რექტორის თვალში უამრავი მისი კოლეგა „ჩაუშვა“ და ცოცხლად დამარხა. სულო, ცოდვილო!.. სულ ვეძებდი შესაფერის დროს, რომ ამ კაცისთვის ჩამემწარებინა ეს პურმარილი და აი, ეს დროც დადგა. ბატონმა ოთარმა, მიუხედავად იმისა, რომ ქეიფი უკვე ეშხში იყო შესული, თქვა:

— ბოდიში უნდა მოგიხადოთ და დაგტოვოთ... ხვალ, მოგეხსენებათ, გამწვანების კვირეულია და ინსტიტუტს 4000 ორმო აქვს ამოსათხრელი!

— ბატონო ოთარ, — ვიპოვე დრო, — ჩათვალეთ რომ ინსტიტუტს ეს გეგმა უკვე შესრულებული აქვს!

— როგორ? — უნდობლად გადმომხედა ღუდუშაურმა.

— როგორ და აგერ, თქვენმა თანამშრომელმა, ჩვენ თვალწინ, იმდენი ორმო გაუთხარა მის კოლეგებს, რომ ორ ინსტიტუტს ეყოფა გამწვანების თუ გაშავების კვირეულზე! — ვუპასუხე მე.

*ცირი დისერტაციას კი დავასწერინე. მაგრამ ახლა ამის დაცვა არ გინდა!*

*— დამცველად აიყვანე, მე კი, — ურჩევს ცოლი.*

*ერთმა თქვა: ამერიკაში 4 წლით ადრე რომ არ წავსულიყავი, 4 წლით გვიანაც ვერ გავიგებდი, იქ წასვლა სისულელე რომაა!*

*მე ვარ ნათელი, მაგრამ თქვენ ვერ მხედავთ;*

*მე ვარ გზა, მაგრამ თქვენ არ მომყვებით;*

*მე ვარ ჭეშმარიტება, მაგრამ თქვენ არ გჯერათ ჩემი;*

*მე ვარ სიცოცხლე, მაგრამ თქვენ არ მეძიებთ მე;*

*მე ვარ მოძღვარი, თქვენ კი არ მისმენთ;*

*მე ვარ უფალი, მაგრამ თქვენ არ მემორჩილებით;*

*მე ვარ თქვენი ღმერთი, თქვენ კი არ მევედრებით;*

*...ნათელს ეძიებ? მე ვარ ნათელი!*

*...ნუთუ შენი ცოდვათა სიმრავლის გრცხვენია?*

*ჩემი გულმოწყალების გაცილებით*

# ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲐᲡᲔᲐ...

„ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ"... შუაღამე უკვე გადასულია. ცა ფეხად ჩამოდის... წვიმს. საქართველო ცრემლად იღვრება. ისეთი ჭექა-ქუხილი და სიბნელეა, იფიქრებ, ამ ღამე გათენება არ უწერიაო.

ჩემთვის, ახლა, ეს ამინდი დიდი ღამის აკომპანიმენტიეითაა, ვთქვათ ისე, როგორც ჩვენს დროს აცხადებდნენ: „ვასო გოძიაშვილი, ყარაჩოღელის შესანდობარი... როიალთან ევგენია აგაბეკოვა"! კოკისპირულად წვიმს!

„კოკა" კაცის სახელია (რომელსაც ყოველთვის ვერ მოაქვს წყალი) და, ახლა, იმ ფიგურალურ გამოთქმაში, ამ უფსკრულის პირას სხვისი სახელი მადგას პირზე:

კიტასპირულად წვიმს...

რადგან კიტა ბუაჩიძეზეა აქ ლაპარაკი!

კიტა ბუაჩიძეს კი „კიტასპირულ" წვიმებს რა გამოულევს!

მივულოცოთ 90 წლისთავი მარადიულ სოფელში!

და, კიდევ ერთხელ ვახსენოთ ამ ცრუ და გაუტანელ წუთისოფელში.

მღვდლის ოჯახში დაბადებულ იმერელ ბიჭს ლოცვა-კურთხევა არ აკლდა, ალბათ, მაგრამ რაღაც საეჭვოდ ციმციმებდა მისი ბედის ვარსკვლავი. პირდაპირ ვთქვათ — ცუდ ვარსკვლავზე დაიბადა!... თუმცა, ისეთი ჯიშისა და ჯილაგისა იყო, ვარსკვლავებს ეთამაშებოდა და ვარსკვლავადაც იქცა, ოღონდ არა ისეთად, ციდან რომ მოწყვეტენ, მარმარილოს ფილად მიწაზე ფეხქვეშ გაიგებენ და ზედ გადაუვლიან!

მართალივით გიჟი ეგონათ და გიჟივით მართალი იყო; პირში გინება უყვარდა და ზურგსუკან — ქება; არც ცხენი ჰყავდა შეკაზმული და ვერც ჯორი დაუტაკეს ჭიშკარზე. თუმცა... ნახევარი ცხოვრება ციხეში გაატარა, ნახევარი — სხვის თუ საკუთარ ომში!

მე დაბადებულიც არ ვიყავი (1928), როცა იგი უკვე ლექსებს წერდა (1927). შემდეგ კი, მრავალ „დრამათურგთა" შორის, ჭეშმარიტ დრამატურგად იქცა და რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის თეტრებში „ეზოში ავი ძაღლით" დაუფრთხო ანგელოზები ეშმაკებს; „მკაცრ ქალიშვილებს" სიყვარულში გამოუტყდა... „ოქროს კაცი ბენვის ხიდზე" ატარა და თვითონაც, მთელი ცხოვრება, ბეწვის ხიდზე იარა.

მაშინ ის დრო იყო, როცა ამბობდნენ: „წინ იყურე, აზრზე მოდი და ხიდზე გადიო" — ახლა ის დროა — უკანაც მოვიხედოთ!

ზოგი კაცი უკან რომ მოიხედავს, ბატიბუტზე გადასაცვლელი ცარიელი ბოთლების გარდა ვერაფერს დაინახავს, ზოგს კი თავისი ნაღვაწი უკან მოსახედადაც ეყოფა და წინ გასახედადაც.

დაბადებიდან კანონგარეშედ გამოცხადებულ პროსკრიფციულ შავ სიაში ირიცხებოდა, როგორც სასულიერო პირის შთამომავალი და სულ იმ უბის წიგნაკების, ლამპისა თუ მთვარის შუქზე ჩანაწერებისა და გუ-

---

*ინგლისელი მწერალი პოპი: პოეზია გაგიჟებული პროზაა.*

*პოეზია ღმერთების ენაა.*

ლის ფიცარზე ამონაკანრების დარდი ჰქონდა, ამათ მაინც იცოცხლონო. ხან აყროლებული „სელიოდკის" ლაყუჩებში ტენიდა ნატანჯ სტრიქონებს, ხან სად და ხან სად მალავდა, რომ ავი თვალისაგან ეხსნა.

ჩემი ჩანანერები მნერლური ფერ-უმარილით გაფუმფულებულ თუ გაფუფალებულ ლიტერატურას არ მიეკუთვნებიან. ვისაც ხატი სნამს, იმასთან შემიძლია, ხატზე დავიფიცო, რომ „ცუდს, პირადი ანგარიშის გასნორებისთვის, არავისზე არაფერს ვნერ... დანყებული ბესარიონ ჟღენტიდან — გათავებული ჩემი უახლოესი ნათესავებით"... — ნერს კიტა ბუაჩიძე მისი სიკვდილის შემდეგ გამოცემული სქელტანიანი ნიგნის ნინასიტყვაობაში.

„შესანიშნავი დრამატურგი, ბრნყინვალე პუბლიცისტი და პოლემისტი... 2000 ნლის 12 იანვარს პირნათლად ნარსდგა მარადიულ საქართველოში". თერგდალეულთა ერთი უკანასკნელი შთამომავლის ცხოვრების დევიზი იყო: „ჩემი ხატია სამშობლო!" (თ. მირიანაშვილი)

„ეს არის ღვთისნიერი ერისკაცის მდუღარე ცრემლებიც, გაფრთხილებაც, მონოდებაც, ნათელი გზის ჩვენებაც, უგვანო შვილთა შეჩერებაც და სრულიად საქართველოს დედოზარის საგანგაშო აგუგუნებაც" (გიორგი ალავერდაშვილი)

გახსოვთ, ჩვენი „უფროსი ძმის" ვიქტორ ასტაფიევის „Ловля пискарей в Грузии"!

ვის შეეძლო იმ დროში ქართველებისთვის მოენმინდა ამ პასკვილით შერცხვენილი პირი?

ვისაც შეეძლო — იმან შეძლო!

ეს იყო კიტა ბუაჩიძე, რომელსაც გვარშივე მოდგამდა სიბნელესთან ბრძოლის მახვილი თვალი და სულთა მღრღნელებისადმი „ბუს" დაუნდობლობა.

სხვამ არავინ, ან ვერავინ, დანერა „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву", რითაც მან, „გრძელი სიტყვით" „გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის" ხალისიც დაუკარგა შეგნებულ მტერს თუ შეუგნებელ მოყვარეს.

ნუთისოფლიდან კარგამოჯახუნებული ამ მარტოკაცის, მარტოსულისა და უხორცოსავით უშიში, დევნილი ადამიანის ბოლო თხზულება ნარმოადგენს ნანყვეტებს ტრაგიკომედიიდან „კიტა ბუაჩიძე"!... ოფიციალურად კი, მის ბოლო ნიგნს ჰქვია „ხალხის მტრის ჩანანერები ნახევარი საუკუნის მანძილზე", რომელშიც ავტორს ბევრი უფიქრია სიტყვა „ხალხის მტერი" ბრჭყალებში ჩაესვა თუ მკითხველის გამ-

მეუფეა!

„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განვისვენო თქვენ" (მათე 11,28).

საღარაწვეთში. ლევილში. ერთ-ერთ ქართულ ხალავს აწერია: ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი.

მათე/ 5,16.

მოთა ნამნას: იქვ: — კაცობრიობს რომ არ დამერდეს ჰეი, ვინ მოდის მანდ. მომავლიდან!

საქსადავერი ყველაყახელდებს!

ძველ საბერძნეთში მიაჩნდათ, რომ ბავშვის სქესი პაპრის ცემპერატურაზე იყო დამოკიდებული და ვისაც ბიჭი უნდოდა, სიცხეში უნდა „წაემემაე", ვისაც გოგო — სიცივეში. ანალოგიური ჰიპოთეზები დღესაც არსებობს. ფაქტია, რომ ცხელ ქვეყნებში მამაკაცების სიმრავლეა. ხოლო სუსხიან რეგიონებში — ქალების.

ჭრიახობის იმედზე დაეტოვებინა!

ეს ჩემი ცხოვრების მთავარი წიგნია — წერს ავტორი რედაქტორს. „წიგნიცა და ავტორიც განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში" — გვწერს რედაქტორი თამაზ კვაჭანტირაძე.

პირადად მე კი, ახლა, ამ წუთში, მაქვს პატივი, ხელში მეჭიროს ერთობ მოკრძალებულტირაჟიანი ეს იშვიათი გამოცემა, მისი ერთ-ერთი მესვეურის სახელობითი წარწერით: „ჩემს დიდი მეგობარს, ჩემთვის სათაყვანებელ პიროვნებას გიზო ნიშნიანიძეს! კიტა ბუაჩიძის წიგნის გამოცემაში გზის გამკვალავს.

მთელი შენი მოღვაწეობა არის პროფესიონალიზმის, სიკეთის, სიყვარულის, მეგობრობის, ადამიანური ურთიერთობის დიდი ხელოვნება (მაპატიოს მკითხველმა „ფერებით ტკბობის" ეს ბებრული სისუსტე. ჩემს ასაკში კაცს ქებით ვერ გააფუჭებ — გ.ნ.)

დალოცვილი იყავი შენს დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად.

ულრმესი პატივისცემით, მუდამ თქვენი თინა ბარამიძე. 19.08.05.

ღმერთო ჩემო, რას არ მოესწრები კაცი! ეს ის თინა ბარამიძეა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჩვენი ბავშვობის ულამაზესი ბაფთიანი გოგონა, უმცროსი და მე-18 სკოლის, ჩემისთვრამეტიანების გადარეული ჯგუფის თავით ფეხებამდე ფრიადოსან მერი ბარამიძისა, რომელთანაც (როგორც ლანა ღოღობერიძესთან და მერი ცანავასთან) რიგრიგობით გვსვამდნენ ძნელად აღსაზრდელ ბიჭებს... გამოსასწორებლად!

რაც შეეხება იმას, რით დავიმსახურე მე ეს პატივი, ამასაც მოგახსენებთ.

მოგეხსენებათ ბატონებო, რომ სიკეთის კეთებას ორი კაცი სჭირდება: ერთი — მკეთებელი, მეორე დამნახველი! სულაც არ მეგონა, რომ ეს ამბავი წინ დამხვდებოდა, რადგან ბევრი სიკეთე მინახავს — კაცს გაუვლია, ქვაზე დაუდია, გამოუვლია და... ისევ იმ ქვაზე დახვედრია! დღეს, სიკეთის ქვიდან ასაღებად... თავის დახრაც კი ეზარებათ, არა თუ ქედის მოხრა!

ჰოდა, ახლავე გეტყვით, რა შეხება მაქვს მე, კერძოდ, ამ წიგნთან, და, საერთოდ, კიტა ბუაჩიძესთან!

ჩვენ, არც მეტი, არც ნაკლები — კეთილი სალამი გვქონდა ამ საიდუმლო კუნძულივით კაცთან, მაგრამ ეს არ იყო ცოტა. რაღაცნაირად, ხასიათებშიც ვგავდით ერთმანეთს — სატირალშიც, სასაცილოშიც!

კაცის ცნობა თუ გინდა, უნდა ნახო, რაზე ტირის, რაზე იცინის... ბოლო წიგნის რედაქტორისა არ იყოს, მიუხედავად იმისა, რომ„ზოგი ამბისა და პიროვნების შეფასებაში არ ვეთანხმები", ბევრი საერთოც აღმოვაჩინე, თუმცა, მისი არც ტირილი მინახავს და არც — სიცილი. საკუთარი ძეგლივით დადიოდა ქუჩაში, ცალი თვალით იცინოდა, ცალით კი... და, არიგებდა სალამ-ქალამს... ვისაც როგორი ეკუთვნოდა. მავანთათვის კი მისი

*პუშკინი: „პოეზია, ღმერთო, მაპატიე, მოსულელო უნდა იყოს".*

*გოეთე: მთელი ცხოვრება წერა-კითხვას ვსწავლობ.*

სალამ-ქალამ-კალამი სიკვდილის ტოლფასი იყო.

„მტრებიც“ (მეტნაკლებ) ერთი გვყოლია. მეგობრობას არაფერი აერთიანებს ისე, როგორც საერთო მტრები... იქ თუ ბრჭყალებში ჩავსვი — აქ უბრჭყალებოდ ვტოვებ სიტყვა „მტრებს“, რათა რაღაცით ერთმანეთისგან განევასხვავო მოსისხლენი და დაუძინებელნი, თორემ მავანნი არც ამ ბრჭყალებად ღირდა, და ისე, გამოსაფხიზლებლად თუ გამოდგებოდნენ, როგორც ამას ჩემი ვერელი დაქალის, კომპოზიტორ ნუნუ დუღაშვილის ერთი „საპახმელიო“ სიმღერა მღერის: „50-ის შემდეგ... რაღაც საეჭვოდ ვთვრები, მე ვერაფერს ვერ მაკლებენ ჩემი მტრები“... (რაღაც, მგონი ასეა!)

მითხარი, ვინ არის შენი მეგობარიო... და, თუ პლატონისათვის ეს „ჭეშმარიტება“ გახლდათ, კიტა ბუაჩიძის მეგობარი იყო საქართველო!

1997 წლის 28 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ღია წერილი მისწერა და ონასისის სახელობის პრემია (250 000 ამერიკული დოლარი) მიულოცა.

„სიმდიდრის მიხედვით თქვენ, როგორც ყური მომიკრავს, საქართველოში მე-13 კაცი ბრძანდებით.

...რაც აქამდე წაიკითხეთ, ეს პრეამბულა იყო. ამ წერილის მოწერის მიზეზი ანი ინყება.

...დღევანდელ გამათხოვრებულ საქართველოში ერთ-ერთი მათხოვარი მეც ვარ (?!)

...ამ ორიოდე წლის წინათ თქვენ ბრძანეთ, ხუთიათი წლის შემდეგ საქართველო აყვავებული ქვეყანა იქნებაო... შუალედი ერთობ დიდია (ხუთიათი!)“...

„სცთების და სცთების, სიკვდილსა ვინც არ მოელის წამისად“.

ჩემს მათხოვრობაში, თქვენ მიმართ, მე მათამამებს პატარა ბლოკნოტის ერთი ხელნაწერი ფურცელი, რომელიც თქვენმა აპარატმა, რატომღაც, მე გადმომიგზავნა... გავახარებთო...

„...თანადგომაა საჭირო, ე. შევარდნაძე“

(თანადგომაა, თანაჯდომაა, თანაწოლაა, თანაგრძნობაა — სულ ეს იყო და ეს).

„დიახ, მე მიჭირს...

ალბათ გახსოვთ, 1982 წელს, თქვენი დავალებით, ჩემს ღარიბულ ბინას ეწვია „პრავდის“ თბილისელი კორესპონდენტი, რომლისთვისაც, თქვენი რჩევით, მე უნდა მიმეცა ინტერვიუ და მეთქვა არა ის, რაც მართალია — რომ ჩემი დანაზოგი სახსრები გა-

*ფრანგმა მიშელ ლოტიტომ ღორმუცელობაში ყველა რეკორდი დაამსხვრია. მან, რამდენიმე თვის განმავლობაში, შეჭამა 7... ველოსიპედი, 7... ტელევიზორი, მსუბუქი თვითმფრინავი და ხელის ურიკა. ის, ერთი ველოსიპედის შეჭმას 10 დღეს ანდომებს.*

***P.S.*** *ჩვენ რომ ყველაფერი ხსნილი გვიყვარს! ერთმა კაცმა მთელი სახელმწიფო შეჭამა და კვლავ დედამიწისას მიირთმევს. მაგრამ არავინ რეკორდად არ უთვლის.*

*„ვერსია“*
*2001.27.06.*

*„დარდუბალას“ დამაარსებლის, გია ჭანტურიას ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან:*

*ბატონო პრეზიდენტო, ჯოჯოხეთი მართლა ააყვავეთ?*

*ქვეყანა ჯერ უნდა გააჯოჯოხეთო, მერე ააყვავო. საქართველოში, ამჟამად, ზუსტად გაჯოჯოხეთების პროცესი მიმდინარეობს. ამიტომ ჩვენი ლოზუნგი — ხუთი-*

ვუნანილე მრავალშვილიან ოჯახებს, არამედ ის, რასაც თქვენ გვკარნახობდით — რომ მე ეს თანხა გადავეცი შევარდნაძის თავმჯდომარეობით არსებულ თავდაცვის ფონდს (?!)

„ჩემმა უარმა თქვენ გაგანაწყენათ"... თქვენს რანგში, აბა, ვინ მოითმენდა ასეთ შეპასუხებას. გაბრაზდით და თქვით: რა ამბავია ატეხილი კიტა ბუაჩიძის ამ „პადაჩკის" გამოო! „Падачка" კი, ეს არის „Кусок еды брешенный животному"... ახლა პირველი ქველმოქმედი თქვენ ბრძანდებით... პირველი „მეპადაჩკე" კი მე — ამ „პადაჩკის" შემყურე და მომლოდინე...

— მოიღეთ მოწყალება, ბატონო ედუარდ, გაიღეთ „პადაჩკა", მე არ ვიუკადრისებ.

ეჰ, ბატონო ედუარდ, ბატონო ედუარდ! თქვენი „მეფობის" 25 წლის მანძილზე... მე თქვენგან არავითარი თანადგომა არ მახსოვს.

... მე, ასე განსაჯეთ, ახლო ნათესავმაც არ გამიტანა... ასე, მაგალითად, ვედრების ბარათით მივმართე „კოკა-კოლას" მეთაურს, რომელსაც ცოლად ჩემი მკვიდრი ბიძაშვილის ქალიშვილი ჰყავს, მაგრამ..."

აქ ვწყვეტ ციტატას, მკითხველო, რადგან, სწორედ, მისი გაგრძელების არგაგრძელებისათვის მოხდება ის, რაც მოხდა!

ერთ მშვენიერ დღეს (ვისთვის მშვენიერსა და ვისთვის სამშვინველ ანუ სულის მოსათქმელ დღეს), დავით სარაჯიშვილის საზოგადოებაში ჩემი ვიცე-პრეზიდენტობის დროს, პრეზიდენტმა გუჯა ბუბუტეიშვილმა მიხმო, მთხოვა, ნამეკითხა ეს დახურულზე უფრო გულახდილი ღია წერილი, გამეგო მისი „თავზეხელარებული" ავტორის მისამართი და ტელეფონი.

...ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად ნაუვა, თუნდ დასაფარად დედამიწა გადაეფაროსო — შექსპირს უბრძანებია.

თუ დღის სინათლეს არ ველირსებით, სიკეთეს სანთელი მაინც დავუნთოთ!

მივხვდი, რომ კაცურად აღელდა ჩემი მასპინძელი, ჩათვალა, რომ ეს „სხვისი ჭირი" არ იყო და მაშინ, მისი ჩვეულებისამებრ, არ მოერიდა სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას (ახლა, სამწუხაროდ, „ჭკუა" ისწავლა და აუტკიევარ თავს აღარ იტკიებს!)

აიღო და ცხოვრებაზე გულგატეხილ კაცს, რომელსაც უკვე აღარავისი სჯეროდა და არაფრის წინაშე უკან არ იხევდა, სახლში დაურეკა.

სდექ!

...ახლა მე უკვე მაქვს საშუალება, ცალმხრივად არ შევაფასო ის, რასაც იქ შევესწარი და გადავეინაცვლო მეორე აბონენტთან, რამეთუ მან, მის ბოლო წიგნში, თავად ინება ამ აზრზე და ფაქტზე გამოპასუხება (წიგნის ბოლოთქმაში).

„ჩემს ნაწერებს რომ ახლად პირდაბანილი მზის სინათლე ეხილათ, საამისოდ, თხოვნა-ვედრებით, ვის არ მივმართე, — თუ ნანული ცაგარეიშვილს, თუ „კოკა-კოლა" ჭყონიას, თუ აჭარის პირველ კაცს ასლან აბა-

მიძეს, მაგრამ, თითქოს პირი შეკრესო, არცერთი მათგანი არ შემეპასუხა — არც დადებითით, არც უარყოფითით...

...ჰოდა, ასეთ პესიმისტურ შავ ფიქრებს რომ ვარ მიცემული, დიდი ხნით მდუმარე ტელეფონი როგორღაც აწკარუნდა და იქედან ჩემთვის სრულიად უცნობი ხმა მომესმა:

— გამარჯობა, ბატონო კიტა! მე ვარ ბუბუტეიშვილი გუჯა...

რა მაქვს დასამალი, რასაკვირველია, დიდად გამეხარდა, ეს რაღაც კარგის მომასწავებელი უნდა იყოს-მეთქი. მირეკავს ისეთი კაცი, რომელსაც ჩემთან, არაფრის მაქნის ღრმა მოხუცთან, აბა, რა სათხოვარი უნდა ჰქონდეს! ბუბუტეიშვილს მანამდე, პირადად, არ ვიცნობდი, არც სახით მყავდა როდისმე ნანახი, არადა, ისე, მის კაცურ კაცობაზე ბევრი რამ მქონდა გაგონილი.

ტელეფონით საუბრის მეორე დღეს, ბატონი გუჯა თავად მეწვია ჩემს ღარიბულ ბინაში. მოვიდა ერთ ჩემს ძველ ნაცნობთან და კოლეგა გიზო ნიშნიანიძესთან ერთად, რომელსაც მისთვის, კარგა ხნის დაგვიანებით, გაზეთ „აქართველოს" ის ნომერი გადაეცა, სადაც შევარდნაძისადმი ჩემი ბარათი იყო გამოქვეყნებული. სწორედ ამ ბარათმა აღუძრა სურვილი, გამცნობოდა და, ალბათ, პრაქტიკულად რაიმეთი დამხმარებოდა.

ხანგრძლივ საუბარში დავით სარაჯიშვილის საქციო საზოგადოების ხელმძღვანელმა ჩემზე ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა: ელგუჯა ბუბუტეიშვილი არ არის ფულის მაღმერთებელი ბიზნესმენი — მშვენიერად შენიშნა თამაზ კვაჭანტირაძე, — იგი არის მეცენატი, გონებრივად ფართო მასშტაბის მოაზროვნე, პატრიოტი, სამი შვილის მამა, რომელსაც მთელი გულით უყვარს საქართველო და მონიწებით და კრძალვით იხრის ქედს დავით სარაჯიშვილის უკვდავი ხსოვნის წინაშე და ყოველმხრივ ცდილობს, იყოს მისი მიმდევარი ერისათვის სასიკეთო საქმეების დათესვა-დანერგვაში.

— რაკი ასეთი კაი კაცი ხართ, გამოეცით ჩემი წიგნი, — ნახევრად ხუმრობით, სიცილ-ღიმილით ვუთხარი მე მას პირდაპირ და მოურიდებლად.

ამაზე ბატონმა გუჯამ, ყოველგვარი შეფიქრიანებისა და ყოყმანის გარეშე, ვაჟკაცურად ხელი გამომიწოდა...

აი, ასე დაიბადა, ძვირფასო მკითხველო, წიგნი,

*ლურობიდან — კე-თილდღეობისაკენ. შეგვიძლია შევცვა-ლოთ ახალი ლოზუნ-გით: ჯოჯოხეთიდან — აყვავებისაკენ.*

*ვინ არიან თქვენი მშობლები?*

*ჩემი მშობელი არის შინაგან საქმე-თა სამინისტრო და ცენტრალური კომი-ტეტი.*

*რას განიცდით, როცა პოლიტიკოსე-ბი გლანძღავენ?*

*მაშინ მე სია-მაყის გრძნობა მეუ-ფლება და მახსენ-დება დიდი ილიას სიტყვები: „ცუდას რად უნდა მტრო-ბა, კარგის შუღამ მტერანი"*

*ეგ სიტყვები, მე მგონი, ვაჟა-ფშაველას ეკუთვ-ნის...*

*რა განსხვავე-ბაა, ოროვე ქართვე-ლი არ არის? სწო-რედ მაგ დაკონ-კრეტებამ დაგვღუპა ყველა.*

*რა არის გამრა-ზებული პრეზიდენ-ტის სალანძღავი სი-ტყვები?*

*· მე არა მაქვს სალანძღავი სიტყვე-ბი. არ ვილანძღე-ბი. არ მაქვს ამის უფლება. ვინც მე მაგინებს, მე მას ვლოცავ.*

*· რას მიგაჩნიათ თქვენს სიძლიერედ ან სისუსტედ?*

*ჩემი სისუსტე*

რომელიც ახლა თქვენ ხელთაა.

ჩვენთვის და, მეპატიოს გულდაჯერებული კადნიერება, მკითხველისთვისაც, ამ ზრაპრული სიკეთის ქმნისათვის, მინდა განუზომელი მადლობა მოვაგო ელგუჯა ბუბუტეიშვილს და, აგრეთვე, მადლობა ვუძღვნა ტარიელ შაევერდაშვილს, გიზო ნიშნიანიძეს და ვახტანგ დოხნაძეს, რომლებმაც ყოველნაირად შეუწყვეს ხელი „ხალხის მტრის ჩანაწერების" გამოშვებას....

ნოემბერი, 1997 წელი

კიტა ბუაჩიძე

ავტორი ექვსი (ბესტსელერად ქცეული) კომედიისა, მათ შორის „ეზოში ავი ძაღლია", „ფორმულა პლატონისა", „შავი" და „შავზე შავი წიგნისა", „მკაცრი ქალიშვილების", „ოქრო კაცი ბენვის ხიდზე "... „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву", „ხალხის მტრის ჩანაწერები" — აი, ვინ იყო კიტა ბუაჩიძე. კაცი, რომელიც არავის ჰგავდა, საკუთარი თავის გარდა.

კაცი, რომელსაც მტრებიც კი აღიარებდნენ.

კაცი, რომელსაც მისი კრიტიკული ენერგიის ობიექტებიც კი ობიექტურად აფასებდნენ და ეხმაურებოდნენ (აკადემიკოსი დიმიტრი ლიხაჩოვი, სერგეი მიხალკოვი, მიხეილ დუდინი, რიმა კაზიკოვა, ტრაეპოლსკი, ლევ ანინსკი, სტანისლავ რასსადინი... სკკპ მდივანი ალექსანდრე იაკოვლევი და სხვა).

...გუშინდელი დღე დღევანდელის ისტორიაა! ის დღე კი... კიტასთან ჩვენი შეხვედრის დღე, ნაცნობობით დაიწყო და მეგობრობით დამთავრდა. ჯერ იყო და ცოტა ნაიავადმყოფა... კამოს ქუჩაზე, სასნრაფოში მოვათავსეთ და იქვე, რესტორან „ლორდიდან" ემსახურებოდნენ (ფირმის ხარჯზე). არც ექიმი აკლდა და არც წამალი... მობრუნდა იმ ქვეყნიდან და ამ ქვეყანაზე მოუბრუნდა გული. კაცური გუმანით მივხვდით, რომ ბატონი კიტა... შეყვარებული იყო!

ბუბუტეიშვილმა მთხოვა, ერთ-ერთ დიდ სავაჭრო ცენტრში წავყოლოდი და თავიდან ბოლომდე გამომეწყო ისე, როგორც მას ეკადრებოდა... თან, საქორწილოდ!

დიახ, დიახ, არ მოგჩვენებიათ... საქორწილოდ! აქ ერთი კომერციული სიტუაციაც მახსენდება, რომელიც არავინ იცის, ჩემ გარდა: მასპინძელმა ვაჭრული თვალით შემოგვხედა „მუშტრებს" და იქამდეც კი გამიშინაურდა, რომ მთხოვა (თუ მირჩია), შედარებით დაბალფასიან გარდერობზე შეგვეჩერებინა არჩევანი (რადგან, როგორც ჩანს, ბუბუტეიშვილს მათთან რაღაც, ასე ვთქვათ, „უსაქონლო ოპერაცია" ჰქონდა ჩაფიქრებული და მაყუთის გარეშე ჩვენს ვიზიტს ეშხი არ ჰქონდა).

მე, რასაკვირველია, პირიქით მოვიქეცი და სადაც სადმე ძვირფასს

---

*ალექსანდრე (საშა) ჩიკვაიძე: ჩვენს გაკეთებულ კარგსა და ცუდშია ჩვენივე დაიწყებაც და არდაიწყებაც.*

*დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი დიზრაელი: „ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მოკავშირეები. ინგლისს აქვს მუდმივი ინტერესები".*

ნავანყდი, იმას დავადე ხელი, თუმცა, თვით უშუალო მომხმარებელი, აშკარად, ჩემზე უფრო თავშეკავებულად იქცეოდა.

მოკლედ, შევედით ნახმარით და გამოვედით უხმარით. ბატონი კიტა ავ თვალს არ დაენახვებოდა.

არნახული ქორწილი გვქონდა. სიყვარულს ასაკი არ აქვს და იშვიათი უასაკო ქორწილიც გადავიხადეთ. ნეფე, სულ ცოტა, 15 წლით უფროსი იყო დედოფალზე, რომლის ერთგულებამ, სიყვარულის ნიჭმა გაგვაოცა და საქალეთი შეგვაყვარა.

„სიყვარულო, ძალსა შენსაო..."

დედოფალი კი, დიახ, სწორედ ის მშვენიერი ქალბატონი გახლავთ, რომელიც „ხალხის მტრის ჩანაწერების" წინასიტყვაობის ავტორია! ვინც საფლავშიაც უნევს ცოლობას, ერთ დროს ყველასგან მიტოვებული მეფე ლირივით მარტოსულ კაცს; ვინც ყველაზე თბილ სამარეში — კაცთა გულებში ინახავს მას და ცივ სიოს არ აკრებს... აკადემიკოსი თინათინ ბარამიძე!

ზაურ ბოლქვაძევ!

ისევ ჩვენი მარაქის კაცს, შენ დაგესესხები, ლომო! და შენი უკვდავი სტროფის პერიფრაზით ვიტყვი:

„გადაუარა ბალახმა საფლავს — სიცოცხლის ნერტილს...

შენ ჩვენთან როგორ არა ხარ — ჩვენ აღარა ვართ შენთვის!"

ერთის გამოკლებით!

ჩემო ბატონო კიტა!

ორივე სოფელში თინა იყო, არის და იქნება შენი მეგობარი და იცოცხლებს შენთვის, რომ შენთვის მოკვდეს.

ახლა კი, ისევ „ხალხის მტრის ჩანაწერებშიც ჩავიხედოთ, რომ ამ დროში იმ დროს გავუფუცქენათ გემო!

...„დრო დაგვიდგა იმფერი, მკვდარიც საცოდავია და ცოცხალიც" — წუხდნენ, თურმე, მაშინაც...

„მე რომ მაგდენი მცოდნოდა, არც დავბერდებოდი".

...სტალინის მოხსენება პატეფონის ფირფიტებზეა ჩაწერილი: 10 ფირფიტა მოხსენებაა, 20 - აპლოდისმენტები.

...„პატიმარი პატიმრებს:

— დილა მშვიდობისა, ვინაც ცოცხლები ხართ!

...კონტრიძე — გვარიც კი კონტრრევოლუციურია.

...ციხის „რიჟა" ექიმი რაზმაძე:

და ჩემი სიძლიერე ჩემი ერის, ჩემი სამშობლო!.. უფრო კონკრეტულად, ჩემი სიძლიერე დანგრეული ბერლინის კედელის, ჩემი სისუსტე კი საქართველოში ყველა დაუნგრეველი კედელი.

ჩემი ბერძულა-ძე:

უბედურია კაცი, რომელიც ამ უბედურ ქვეყანაში კარგად გრძნობს თავს. ცოტათი მაინც ხომ უნდა ჰგავდეს ოჯახი ქვეყანას. სირცხვილია, მდიდარ ქვეყანაში ღარიბი იყო და ღარიბ ქვეყანაში მდიდარი.

(ეს — ჯერ კიდევ კონფუციუმ თქვა გ.ნ.)

თავისუფალი მაშინ კი არ ხარ, როცა მტერს ამარცხებ, არამედ მაშინ, როცა ბრძოლას იწყებ. ყოველი ადამიანი, რომელსაც საკუთარ სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერი გააჩნია, საცოდავია.

მე არ მივაყენებ ისეთ შეურაცხყოფას ქართველ ხალხს, როგორიც შევარდნაძემ მიაყენა, როცა განაცხადა: „მოსახლეობას რომ მიეცეთ არჩევის უფლება, მათ, შეიძლება, ცუდი აირჩიონ.

P.S. ზოგი

— აბანოში იყავით, ტილები გაიყავით?

— მთავარი იკითხეთ, რისთვის ეზივართ?

— ჩვენ უდანაშაულო ხალხს არ ვიჭერთ.

...კათოლიკოს ამბროსის უკანასკნელი სიტყვა იყო: სული ღმერთს ეკუთვნის, გული — სამშობლოს და მძორი თქვენ — ჯალათებო!

...ორი დღის შემდეგ, ჩვენს კამერაში სხვა ქურდი შემობრძანდა, ნალბო... „ტახტზე" ავიდა, ძველი ავტორიტეტი ტიგრანა კი „პარაშასთან" მოაყუჩეს.

(*ჩემი მინაწერი:* ჩვენი დროის ქურდები „ნალბოს მზეს" იფიცებდნენ, მაგრამ მისი მზეც ჩაესვენა. მოკლეს და კოლმეურნეობის მოედანთან, ერთ ეზოში, სადაც ცნობილი კარიკატურისტი გიგლა ფირცხალავა ცხოვრობდა, დააგდეს, რომ სხვას ჭკუა ესწავლა.

ეჰ, მოვიდა დრო — თუ სარკეში არ ჩაიხედა კაცმა, თავის სახეს კი არა, სახელსაც ველარ იხსენებს.

...დაძინებას ვჩქარობდი, რომ სიზმარში მენახეთ.

...მოხუცებული ნიშნისმოგებით ამბობს:

— ჩემმა მტრებმა, ყველამ გამისწრო. მე ახლა მათ ზევიდან დავყურებ.

..ბაირამობენ „სულიერი პედერასტები", ამ დროს რომ მოერგნენ და მოირგეს.

საქართველოში, 3 მილიონ მოსახლეზე სამასამდე .მწერალია, იმდენი, რამდენიც 55-მილიონიან იტალიაში.

.. „როგორ შემხვდა მანაგაძე მალაზიაში" (573გვ.)

*ჩემი მინაწერი:*

უყურე, შენ? ბატონ კიტასაც ჩარჩენია გულში თბილისის უნივერმაღის „იშკილები"...

— კაცი კი არა, სანთელია: ყველასათვის ინვის (იცოდა სიკეთის დანახვაც და კეთებაც!)...ქრთამისთვის იჭერენ და ქრთამითვე უშვებენ.

— იყოლიეთ მტრები! მათ სარგებლობა მოაქვთ, — „კარგია მუდამ მტრიანიო".

— ერთი ცნობილი პროფესორის შვილიშვილმა თავი მოიკლა. მამა ნაუგია კარტში (უკვე იწყებოდა ქალაქური სულის დეფორმაცია).

...როცა დევი სტურუა ცეკას მდივნობიდან მოხსნეს, ნათელა სტურუას შეეკითხნენ:

— დევი სტურუა ბიძა იყო შენი?

— ახლაც ბიძა არის! — უპასუხა.

...საწყალი ილია, — ფიქრობდა მთაწმინდაზე ასული ჭირისუფალი, — სამარეშიც არ მოასვენეს, გვერდით ფილიპე მახარაძე უწევს... ღმერთო, ღმერთო!

..პოეტობა სარფიანი ხელობაა. სტრიქონში, თურმე, 1 მანეთსა და 50 კაპიკს აძლევენ.

*ბიბლია: „ამაო და სიცრუე განმაშორე, ნურც სიღარიბეს და ნურც სიმდიდრეს ნუ მომცემ, ჩემი წილი პურით გამომკვებე" (იგავი 30.8).*

*ყველაფერი ახლიდან რომ დამეწყო... არაფერს კი არა — ვერაფერს ვერ შევცვლიდი!*

...პერედელკინოში საკმაოდ ხნიერ მწერალს, ებრაული გაზეთის რედაქტორს ვერგილისს ცირკის მასხარის ისეთი იკრი-ბიკრო ნარნერებიანი შარვალი ეცვა, რომ 16 წლის ყმაწვილსაც არ ეკადრებოდა (*ჩემი მინაწერი:* თქვენგან მიკვირს, ბატონო კიტა! ვერგილისსა თუ, ლამის, ვირგილიუსს თქვენებურად ვერ აკადრეთ საკადრისი სიტყვა?... მით უფრო, რომ ამ „საბრალდებო დასკვნაში" თუ „საჩივრის წიგნში" (როგორც მე მინდოდა, დამერქმია ჩემი, ასევე ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ-დიაგონალურად... მარცხნიდან — მარჯვნივ, ზემოდან — ქვემოთ, ქვემოდან — ზემოთ საკითხავი წიგნისათვის) საბოლოო სიტყვის მთელი გულახდილობით, უზენაესი მკითხველისა და განმკითხველის — ღმერთის წინაშე და ხალხთან ფიცით, აქ ისეთ სიმართლეს ნააყდებით, რომ დანაშაულია, კაცმა ეს საფლავში წაიღოს.

რაღა ბევრი გავაგრძელო (ისედაც ვერ მოვთოკე სიტყვა).

გირჩევთ, წაიკითხოთ ეს წიგნი!

„წუთისოფელი ასეა, დღეს ღამე უთენებია..."

კაცნი სიკვდილშიც ცოცხლობენ ან სიცოცხლეშიც კვდებიან.

ეს ხალხური და პირადი სტროფების „სიმბიოზი" მკრეხელობად არ ჩამომართვას მკითხველმა და არც ის, რის თქმასაც ახლა ვაპირებ!

და, ბოლოს, კაცის სახსოვრად დარჩენილი წიგნის კითხვა ისევ „ლომის" საფინალოდ ზედგამოჭრილი სტროფით მინდა, დავამთავრო (რომლის თავი არ მახსოვს და ვერც მოვძებნე), ამიტომ, იძულებული ვარ, მეხსიერებას ან ფანტაზიას ვენდო — ავტორისეული ბოლო ორი სტრიქონი ამ ეპიტაფიისა, მხატვრული სიტყვის ეს შედევრი მოვიყვანო:

„მომენატრება, სიკვდილი — ნავალ!

მომენატრება სიცოცხლე — მოვალ!" (ზ. ბოლქვაძე)

ასეთია სიმართლისათვის წამებული კაცის ბედი ორთავე სოფელში.

P.S. ... მინისქვეშა საქართველოს საჭირისუფლო გაზეთ „თანადგომას" დევიზად, ანუ მუდმივ თანამგზავრად, ანუ სლოგანად გასდევს ჩემი სიტყვა, რითაც არაერთხელ დამიწყია და რითაც არაერთხელ მინდა დავამთავრო შესანდობარი:

კარგი კაცის გახსენება პატივს მიაგებს არა მარტო იმას, ვისაც იხსენებენ, არამედ მასაც, ვინც იხსენებს!

*მგლისკენ, ზოგი ცხვრისკენ. მაყურნო ჩემო! კაცმა რომ თქვას, ზოგჯერ პრეზიდენტიც არ ტყუის. — ჩვენც რა, ცოტაჯერ გავგიჟებულვართ და გიჟიც რა... ცოტაჯერ აგვირჩევია!*

*გაზ. „მეოთხე"*
*24-31.08.2001.*

*ვალერია ნოვოდვორსკაია:*

*როგორც თქვა ანეის ინკვიზიტორმა ჟანასთვის მომზადებულ კოცონზე (წაიკითხეთ „ულორ-ოლა!" ის მაინც ისროდეთ, ვინ მოჰკლით): „ეს იქნება საბრალო გამარჯვება შენზე, ჟანა. გაჩუმდები მაინც". ადამიანებო, გესმით ზვიადის ეს მდუმარება? არ გიწივის ყურებში?*

*თურმე როცა ალყა შეიკრა, ზვიადს მაშინ უთქვამს: რომ მყავდეს 150 ადამიანი და ერთი ტანკი, გავარღვევდი ალყას, რათა ჩავხვეულიყავი თბილისში და მოვმკვდარიყავი იქ, ხალხის თვალწინ, ღია ბრძოლაში... ან თავს დავესხმოდი რუსეთის პირველსავე გარნიზონს. ზვიად გამსახურდია ტანკით — ეს იგივე არაბუნებრივია, როგორც მაჰათმა განდი*

* * *

ელიკო გაბუნიასა და გიგლა ჭანუყვაძის ქორწილზე ოთხი გიზო იყო თამადა: — გიზო ნიშნიანიძე, გიზო ბერაძე, გიზო გიორგაძე და თენგიზ კეკელიძე!

კარგადაც ვიგიზგიზეთ!

* * *

ძველი 7 ნოემბრიდან
კარგი ვერრა გამოდნა —
სწორი გითხრათ, ვერც ეს 7
ნოემბერი გამოდგა.

* * *

ვიყავი ვერელი და გავხდი სოლოლაკელი.
მთაწმინდელიც ვიყავი, მერე ვიყავ ვაკელი...
მთავარია კაცი იყო — არა კაცუნა —
სიყმაწვილემ ამ ქუჩებში გაიტკაცუნა!

* * *

ვინ იცის, რომელი უფრო სჯობია:
გარესკნელ-შიდასკნელ-ზესკნელი-ქვესკნელი...
თუ დღე პირველი — პირველი ზეიმია,
რითია ნაკლები — დღე უკანასკნელი!

* * *

ქუთაისელებს წინ მაინც ვერავინ დაუდგება „ლადაობაში"! ერთ დროს გადაწყვეტილი მქონდა ქუთათური ფოლკლორის შეკრება და მაშინ სუფრაზე გავიცანი ძველი ფეხბურთელი, შაკია გერაძე, რომელსაც ქუთაისში ბროლის მაღაზია ჰქონდა.

ერთხელ სუფრას ვუჯექით „გოგისვანიძეებში" და ვჭუკჭუკობდით, მარა უცბად ვიღაცამ რაღაც უთხრა, წამოხტა და წასვლა დააპირა — რევიზია დამცემიაო.

მერე, შენ რისი გეშინიაო? — შეაგულიანეს.

— რისი და... ბროლის ვაზაზე ისეთი ფასი მიწერია, რომ კაკლის მურაბიანად არ ღირს იმდენი, — თქვა და გავარდა.

ქუთაისი სიცილის სატახტო ქალაქია. აქ, სად-როდის იფეთქებს სიცილი... ყოველი ფეხის ნაბიჯი „დანაღმულია"!

---

*კრიტიკოსი თეიმურაზ დოიაშვილი: მოდის თაობა, რომლისთვისაც ეროვნული ფასეულობები უცხოა.*

*— მე ვიცნობ ახალგაზრდებს, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს არ იცნობენ.*

*...ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაც სწორედ ეგ არის.*

* * *

ფული უტყუარი პირობაა –
მოენის ნიჭს არა აქეს ეროენება:
„ფულის კეთება – გმირობაა,
ფულის ხარჯვა კი – ხელოენება“.

* * *

მკითხველო თუ განმკითხველო!
სიტყვამ მხედნა, სიტყვა ეხედნე.
ჩემს გულში რომ ჩაგახედო,
შენს გულშიაც ჩამახედე!

* * *

ერთხელ ოთარა მგელაძემ იჩხუბა და მერე ბიჭებს უთხრა — ზოოპარკში მივდივარ, ლომი უნდა ვნახოო.

ლომი რომ მოგენატროს კაცს — შენც ლომი უნდა იყო!

...ვაკის სასაფლაოს შესასვლელში განისვენებს თენგიზ კეკელიძე, რომელსაც საქვეყნოდ აღიარებული მისი ძმაკაცის — მერაბ ბერძენიშვილის მემორიალი — ლომი ადევს ლომურ გულზე, როგორც სპარტას მეფის აკლდამას, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „ნადირთა შორის მე ვარ უძლიერესი, ხოლო კაცთა შორის ის, ვისაც ვდარაჯობ"!

როგორც ჩანს, ლომის გენი არც თენგიზ კეკელიძის შთამომავლობაში ისვენებს — მის ბოკვერს — შვილიშვილს, თურმე, ზოგჯერ ზოოპარკში, ლომისთვის სახლიდან დააქვს საჭმელი?!

* * *

ახლანდელ ქუჩის დონემდე არ უნდა დავეშვათო, — ამბობენ.

— ჩვენი დროის ქუჩის დონემდე... უნდა ავმაღლდეთ! — ვამბობ მე. სახლი — სახლია, სკოლა — სკოლაა, ცხოვრება — ქუჩაშია!

... სახლებში რაც გვქონდა —
ქუჩებში გაგვქონდა,
ქუჩებში რაც გვქონდა —
სახლებში შეგვქონდა.
რა გჭირს გასაქცევი?
სად გარბიხარ?
ქუჩას სად გაექცევი?

*უილიამ ჩერჩილი: ადამიანი წიგნია, თუკი იცი, როგორ წაიკითხო იგი.*

*თოფით. ინგლისელებმა განდის სიცოცხლე შეუნარჩუნეს — შესაძლოა, წმინდა ესთეტიკური მოსაზრებებით.*

*„ახალი 7 დღე“, 2001, 31.08-6.09.*

*ხუმრობა გურულების მოგონილია და ესეც!*

*გურულების ყველაზე დიდი ბიზნესი იცით, რა არის? გურული უნდა იყიდო თავის ფასში და გაყიდო იმ ფასად, რა წარმოდგენაც საკუთარ თავზე მას აქვს!*

*მომღერალი*
*ირაკლი ჩარკვიანი:*

*სხვისთვის გიჟი და თავისთვის ჭკვიანი მეფე!*

*„დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტი. ამის შემდეგ ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტში. გავიარე თანამედროვე ინგლისური პოეზიის კურსი. თუმცა „რეაქციული კლუბის ჩამოყალიბების იდეა გაცილებით ადრე დამებადა. ოქსფორდის უნივერსიტეტმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშა*

* * *

ყველა „ნიანგელს", საკუთარი დედის გარდა, გვყავდა საერთო დედა — სონია ციციშვილი — ჩვენი ყველა თაობის „ნიანგელის" ლამის „დამბადებელ", აღმზრდელ-დამრიგებელ-ჭკუის მასწავლებელი!.. თუ ვინმე ჟურნალს დედას აგინებდა... ყველა გინება და ქებაც მასთან მიდიოდა!

ის იყო ჩვენი საქმეთა მმართველიც, მბეჭდავ-მემანქანეც, მთავარ რედაქტორ-ლიტმუშაკ-ჩიტკორესპონდენტიც, ყველას მესაიდუმლეცა და ჭირისა თუ ლხინის გამზიარებელი.

გაგვანათლა... გაანათლოს!

* * *

თვითონ მომიყვა!

თბილისის ბალნეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორ ბ-ნ ნიკა სააკაშვილსთვის ვიღაც კორესპონდენტს უთქვამს (როცა მის კაბინეტში დაკიდებული პრეზიდენტის სურათი უხილავს): აღარ უნდა დამთავრდეს ეს ბელადომანია-ვოჟდიზმიო?..

— ეს კაცი, კაცო, მარტო პრეზიდენტი კი არა, ჩემი შვილიცაა! — უპასუხა თურმე ბატონმა ნიკა სააკაშვილმა.

* * *

სტუდენტობის დროს, შორაპანში, ლატავრა ბებიაშვილის სახლში ვართ საპურმარილოდ და მაინძელი იმით გვიქცევს, რომ განვრთნილ ძაღლს ხან ქუდის მოტანას თხოვს, ხან ბატების ეზოდან გადადენას... ჩვენი სკოლის ამხანაგი თამაზ კალანდაძე, რომელსაც შიმშილით სული ძვრება და სამზარეულოს სუნზე სული მისდის, ყველაფერს გულგრილად უყურებს და ნამდაუნუმ გაიძახის — „ამას ხომ მეც ვიზამო"?!

დაბნეულნი „ზრდილნი იმერნი" ითმენენ, ითმენენ და ბოლოს, რო ევსებათ მოთმინების ფიალა... მასპინძელი, უკაცრავად პასუხია სტუმარს... ამ უკადრისი სიტყვისათვის საკადრის პასუხს აძლევს:

— შენ, ბიძია, კაცი ხარ და ეს ძაღლია!

— მართალია ეს კაცი, მაგრამ, მეც მართალი ვარ, ძაღლივით მშია, — ამბობს თამაზ კალანდაძე.

* * *

ეგვიპტეში გაფრენის წინ გავიგე ქართლოს კასრაძის სიკვდილი და თავზარი დამეცა.

აეროპორტიდან დავრეკე გაზეთ „ასავალ-დასავალში" და გამომპასუხებელს ვთხოვე, შეფ-რედაქტორისთვის გადაეცა ეს მცირე ტექსტი — „ნეკროლოგის მაგიერ"!

ასე დავუტოვე ჩემი ცრემლი ამ უსაყვარლეს კაცს!

---

*არ მჯერა იმ კაცის, ვინც სიტყვებს გულით კი არ ამბობს — პირით აცმაცუნებს. და არც იმის, ვინც ენას, თვალსა და ხელს შუა ალესილი ბებუთივით ატრიალებს!*

*ამასწინათ, სერგეი ბაღაფშმა, ჩვენს პრეზიდენტს ტელევიზიით შეახსენა „გეოგრაფიის გაკვეთილი" — კოდორის ხეობა აფხაზეთიაო, თვითონ კი დაავიწყდა „ისტორიის გაკვეთილი", რომ აფხაზეთი — საქართველოა!*

*15.10.06.*

...იყო და არა იყო რა —
სულ ოქროს კვერცხი გეიგორა.
სიკვდილი — მოკლა სიცილით,
სიცილი — კვდება ტირილით!

საოცარი ბიჭი იყო და ზღაპრად დარჩა.

დღეს მისი სამარის... სამარისებური სიჩუმეც მაკვირვებს!

### ახალი ეკონომიური პოლიტიკის პორტრეტი!

სრა სასახლეები — ო, რა სახეები,
გრიალ-გრიალი და ცხოვრება...
სხვისი ჭირი კი — ღობეს ჩხირი და
საიქიოში ცხონება!
ერთი დრო არავის შერჩენია —
ფაშეისტი ხარ თუ დემოკრატი.
შეგვიკლა. შერემა, „შენი — ჩემიაო",
— აზრზე მოდი და ხიდზე გადი!

* * *

მოყოლილიც რომ მქონდეს — ღირს კიდევ ერთ გახსენებად!

ოთარ ნიშნიანიძე ჩვენი გვარის დამამშვენებელი, ერთ-ერთი თავკაცი იყო — ძლიერი, გულიანი, კაი შესახედავი და კაი... ოხერიც!

ეს ნამალივით კაცი — რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოს უფროსი იყო, როცა ქუთაისის სააფთიაქო ქსელს განაგებდა დასავლეთ საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი, კოლორიტი კაცი — მიშა ჭიჭინაძე.

ერთხელ, უფროს-უმცროსს შორის (თანამდებობით) ერთობ დაძაბული ლაპარაკი გაიმართა.

საქმე ის იყო, რომ ქსელს მოსკოვის რევიზია დასცემია და ნამლების დიდი დანაკლისი აღმოუჩენია, რასაც ბატონი მიშა იმით ხსნიდა, რომ სანყობში ნვიმა ჩამოდიოდა და ნამალს აფუჭებდა!

— მერე, ვერ დანერეთ ეს ახსნა-განმარტებით ბარათში? — ნარბი შეიკრა სამმართველოს უფროსმა.

— დავნერდით, მარა, არ ვიცოდით „დოყდი" მიახკიზნაკით ინერებოდა თუ უმიახკიზნაკოდ! — ალალად უპასუხა ბატონმა მიშა ჭიჭინაძემ.

სამმართველოს უფროსი ჩაფიქრებულა და „აუხსნია":

— როცა თავსხმა ნვიმაა?.. მაშინ არ უნდა და როცა ჟინჟლავს... მაშინ სჭირდება მიახკი ზნაკი!

ჩემს პოეტად ჩამოყალიბებაში. „რეაქციულმა კლუბმა" თავისი ფუნქცია შეასრულა. მე ჩემი ლექსებით ავაშენე ფსიქიატრიული საავადმყოფო ქართულ პოეზიაში და ხელი შევუწყვე ჩვენი დაავადებული საზოგადოების გამოჯანსაღებას.

---

რეზო ესაძე (კინორეჟისორი):

გამაგებინეთ რა ხდება, ხალხო?! გათელეს ფეხქვეშ ქვეყანა, რომლის გარეშეც არ შეგვიძლია სიცოცხლე! მაგათ შეუძლიათ დასხდნენ თვითმფრინავებზე და წავიდნენ, მოგვშორდნენ, ბაცონი და ჩვენ მოვუვლით ამ ქვეყანას!

„რუსთავი-2", 2001.

---

ირაკლი წერეთელი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე:

დღეს ყველაფერს რაოდენობა წყვეტს. იქნება მასა, იქნება ზეწოლა... არ იქნება შევარდნაძე! — არ იქნება რაოდენობა, არ იქნება მასა — იქნება შევარდნაძე! თუ იქნება 20 ათასი უიარალო კაცი, ჩვენ

* * *

რაღაც არაადამიანური ძალის პატრონი იყო ჩემი ბიძაშვილი უჩა ნიშნიანიძე, რამაც არაერთხელ ჩაგვაყენა „შავ დღეში"!

მამაჩემმა, ოკრიბიდან თბილისში რომ წამოიყვანა სასწავლებლად, ისიც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა ზემელზე და ეჩვეოდა თბილისურ ყოფას, რომლის ავ-კარგი კიდეც ხიბლავდა და კიდეც აშინებდა სოფელში ალალმართლად გაზრდილ ალალმართალ ბიჭს, რომელსაც ასი თვალი და ასი ყური გამოესხა, რომ ქალაქში სადმე ფეხი არ გადაბრუნებოდა.

ჯერ იყო და ქუჩის ე. წ. „ავტორიტეტებს" დაერია, მერე „რამკიან ქურდებს" (რამკაში მე მიცვალებულის სურათი გამიგიაო). ხან ვის ეჩხუბებოდა და ხან ვის... მაგრამ ყველაზე უფრო ერთი შემთხვევა დამამახსოვრდა, რადგან საქმე აბანოში დაიწყო და სასამართლომდე მივიდა!

მამაჩემმა ვერის აბანოში წაგვიყვანა.

ნათქვამია: თეთრი და შავი აბანოში გამოჩნდებაო. ასე იყო ახლაც.

ამდენ თეთრსა და შავს რომ მოკრა თვალი ამ „ველურმა", აღარ იცოდა, თავი სად წაეღო და ფეხი სად? ამასობაში, სად იყო — სად არა, თათარმა მექისემაც მოაკითხა, დუნდულზე შემოჰკრა ხელი, ქვის ტახტისაკენ გააქანა და დანექიო, უთხრა.

დანექიო?..

გაქანება მასე არ უნდაო და ისეთი გამოუქანა, რომ საპნით მოლიპული გზით გასახდელში მოადენინა ზღართანი.

ატყდა ერთი ჩოჩქოლი და ვაიუშველებელი.

— ეს რა ქენი ბიჭო? — საქმეში ჩაერია მილიცია. მოვარდა მამაჩემი.

— აბა, რა უნდა მექნა!

— რატომ დაარტყი!

— დანექიო, — მითხრა!

— აბა, ისე როგორ უნდა დავბანე?

— რა მჭირს მაგის დასაბანი, ბიძია? (მექისე საერთოდ არ იცოდა, რა იყო!) ათას სიბინძურეში გაჭორილ ქალაქებში კი, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ ყურმოკვრით თუ ჰქონდათ გაგონილი სოდომგომორის ცოდვის — მამათმავლობის შესახებ.

აი, როგორი ჩამორჩენილები ვიყავით მაშინ, როცა სიფრთხილეს არც თავი ტკიოდა და არც ტ..კი!

P.S. ახლა კი თბილისში გეიპარადების მოწყობას აპირებენ და აღარც ვიცით რა გაეწყობა ამ მამალთმავლობა-დედალთმავლობას. ქალი-ქალს ყვარობს (თუ ყვეროფს) კაცი-კაცს და მძვინვარებს გაშიშვლებული ბოროტების ეპიდემია-პანდემია! პროფესორ კუზანოვს კი თავი მოსწონს სქესების გადაკეთებით და ბავშვი რომ დაიბადება, ამბობენ: ბიჭია თუ გოგო, როცა გაიზრდება თვითონ გადაწყვიტოსო.

* * *

ჩემი თვალით მაქვს ნანახი — ღრმად მოხუცებული, ტანად პატარა ქალი, ბებიაჩემი — ანა წულუკიძე, ბოსტანში, როგორ ელაპარაკებოდა გველს:

— შენ აქ რა გინდა, ბოშო?.. შენ აქ რას აკეთებ?.. ვინ ჩამოგიშვა ჩემს ბოსტანში?.. არ გაინძრე, იყავი აქ... ჯოხს მოვიტან და მაგ თავს გაგიჭეჭყავ...

უხსენებელიც იდგა და ელოდა.

ასე ელაპარაკებოდა ის საქონელსაც. არ ვიცი, ამ გრძნეულმა ქალმა

*გრიგოლ კლიმოვი, წითელი კაბალა: „შუა საუკუნეებში ჰომოსექსუალებს, ჯადოქრებთან და ერეტიკოსებთან ერთად, კოცონზე წვავდნენ".*

იცოდა თუ არა პირუტყვის ენა (ამ ცხოვრებისას რას გაიგებ!), მაგრამ აშკარად ვხედავდი, რომ მისი სიტყვა ოთხფეხებისთვისაც კანონი იყო.

ასევე, მეხსიერებას შემორჩა ბერი არსენას (გურული ბაბუის) დიალოგები დასაკლავად განწირულ ქათმებთან:

— მოი აგერ, ყვინჩილავ... არ მაქვს მე შენი დევნის თავი... სტუმარი მყავს და მეტი გზა არაა, თვარა არ შეგანუხებდი?!

* * *

იყო ასეთი იშვიათი კაცი — ნიკოლოზ (კოლია) სტურუა!

ნიკოლოზიდან — კოლიამდე სულ ერთი ნაბიჯი იყო, მაგრამ ისიც მას უნდა გადმოედგა — შენ ვერ გაბედავდი!

თითქოს, ძალიან ხელმისაწვდომი იყო ყველასათვის, მაგრამ ყველა ვერ მიწვდებოდა.

გარედან უფრო ლამაზი კაცი იყო თუ შიგნიდან, ძნელი სათქმელია! რამხელა ფუფუნება გვქონდა მასთან ურთიერთობისა და დავკარგე ასე, თვალსა და ხელს შუა.

არ არსებობს დაუმსახურებელ ქებაზე დიდი გინება. აქ კი სიტყვაც ვერ მიპოვნია.

როცა დღეს ღამე გადაალაჯებს
და ჩამოწვება ამ ქვეყნად მწუხრი,
მე სიზმრებიდან გაერეკავ ქაჯებს
და შენს კაცობას თავს მდაბლად ვუხრი...

ამ კაცის გვერდით, თავს, ჯოჯოხეთშიაც... სამოთხეში გრძნობდი!

...ერთხელ, პარტიის თბილისის კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს, შემდგომში პროფესორსა და ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ბ-ნ ნიკოლოზ სტურუას (უამტიტულებოდაც ტიტულოვან კაცს) სტუმრად ეწვია საბჭოთა ისტორიოგრაფიის პატრიარქი, სტალინის „პირადი" ისტორიკოსი, ზღვის დონიდან მეტრანახევარი, საუკუნის ტოლი კაცი — ისააკ მინცი, რომელსაც (ჩემი მანქანით) შემოდგომის კახეთი მოვატარეთ.

იჯდა ტვინით გატენილი ეს მოჩვენება მანქანაში და მისგან ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. ერთადერთი ფრაზა, რომელიც მან თქვა მთელი ამ მოგზაურობის დროს, როცა ზედიზედ გავიარეთ — მუკუზანი, თელიანი, ნაფარეული, წინანდალი... ეს იყო:

— მთელი საქართველო საქორწილო სუფრასავითაა გაშლილიო!

P.S. მარტო ამ სიტყვისთვისაც ღირდა ჩვენი სტუმარ-მასპინძლობა!

ალყას შემოვარტყამთ ქაჯეთის ციხეს. იჯდეს იქ და იპრეზიდენტოს.
„დრონი" 2001.

<u>ნანა ნაჭუა</u> (ფსიქოლოგი):
სიტყვის თავისუფლება გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, არა გვაქვს თავისუფალი სიტყვა.
„დილის გაზეთი" 2001.

<u>გიგა ლორთქიფანიძე (რექტორი):</u>
მე მახსენდება ტყავის ქურქიანი, ვერცხლის კბილებიანი ემიგრაციის წარმომადგენლები, რომლებიც არჩევდნენ ქართულ ინტელიგენციას, თავისუფლებას უკრძალავდნენ ადამიანებს. ნუთუ ჩვენ ისევ იმ გზას ვადგავართ?
„რუსთავი-2" 2001.

<u>ვახტანგ ბოძორიშვილი (პარლამენტარი):</u>
შეიძლება ამდენი ჰაველი... ხაველედ გადაიქცეს?
„ახალი თაობა", 2001.

<u>პარლამენტარ ანზორ აბრამიშვილს</u> ბრალს დებს: მე-

# უსიკვდილოდ!

ერთ მწერალს უთქვამს: სათაური მომეცით და წიგნს მოგცემთო!

დიახ, სათაური, ალექსანდრიის შუქურასავითაა - გზას გინათებს!.. და მუზების ტაძარიც — მუსეიონიც აქვეა, შეხვალ, ალსარებას იტყვი, ეზიარები და განწმენდილი გამოხვალ!

განსხვავება ის არის - გემები, ზღვებსა და ოკეანეებზე წყალ-წყალა სტრიქონებივით წყლის ჭავლს რომ ტოვებენ და ისიც გზა-გზა, მათ ფეხდაფეხ ქრება... მუსეიონის კვალი კი, სიტყვა-ღმერთის წყალობით, არასოდეს არ გაწყალდება!

მარადისობას არ ვეპოტინებით, მაგრამ ასეა ეს და ეს სასათაურო სიტყვაც - „უსიკვდილოდ!" - ალექსანდრიის ნათელივით რომ ადგას ამ სამგლოვიარო თუ საზეიმო სიტყვას, ნათელში მიუძღვება ერთ ნათელ კაცს!

სიტყვა, „უსიკვდილოდ"! — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ზმნად თვლის და ორნაირად განმარტავს — "მოუკლავად" და „უთუოდ" (ანუ აუცილებლად!).

ამბობენ: რამდენი ენაც იცი — იმდენი კაცი ხარო.

მადლობა ღმერთს, ღმერთების ენის - ქართულის წყალობით, ერთი კაცობა მაინც გეკუთვნის კაცს! თუმცა, ისიც ღმერთმა იცის... ვინ იცის ბოლომდე ის საიდუმლო, რომელიც იოანე-ზოსიმესი არ იყოს, ამ ღვთიურს ქართულში „დამარხულ არს"!

ავიღოთ, თუნდაც, ეს — „უსიკვდილო"!

არსებობს კი რამე „უსიკვდილოდ"?

რახან ღმერთი - სიტყვა ბრძანებს - ესე იგი... არსებობს!

და ნეტა იმას, ვინც: უსიკვდილოდ იცოცხლებს და უსიკვდილოდ მოკვდება!

აი, სწორედ ასეთ უსიკვდილო სიკვდილს დავესწარი აგერ, ახლა — ქორონიკონის 2006 წლის 12 დეკემბერს, როცა ხილიანის ქუჩიდან, წუთისოფლიდან - მარადისობაში გავასვენეთ ჩვენი სიყრმის ძმა და პირის ზიარება შოთა კირვალიძე, რომელსაც ღმერთმა მეგობრობის ქვითკირისათვის გვარშივე მისცა „კირი", ასტუმრებინა „ვალი", უბოძა „ძეობა", უპირველესი ქართველის სეხნიობა და დაბადებიდან ასწავლა, რომ - „რასაცა გასცემ — შენია"!

ტირილისა და ღიმილის მისთვის დაღვრილი ეს თბილისური საჭირისუფლო ცრემლი იყოს ახლა, ამის თავდები!

ამ ნაღდ თბილისელ კაცს მიყვებოდა მისი ხნის თბილისი, გული ხელით ეჭირა და თითქოს დროს ასაფლავებდა, ჩვენი ბიჭობის დროს! - ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში და გულზე ცეცხლი ედებოდა! „ცეცხლი-ცეცხლია - ზოგჯერ მცირე, ზოგჯერ დიდია - მთავარი არი: რა იწვის და ვის უკიდია" (შოთა ნიშნიანიძე).

ამ ფიქრებში ბორიალია მელნისფერი სისხლით ნაწერი ეს აბდაუბდაც...

რა მოხდა ასეთი - ვინ არ დაბადებულა და ვინ არ მომკვდარა?

---

*ყველა, ვინც ამერიკაში ჩადის, მას ახლიდან აღმოაჩენს!*

*ბერტრან რასელი: დემოკრატიის პირობებში სულელებს ირჩევენ, დიქტატურის პირობებში სულელები მართავენ.*

შენიც მესმის, ჩემო, ჩვენს შემდეგო მკითხველო და ვერ განმკითხველო!.. მაგრამ ჩვენიც გაიგე!.. რაა ის თბილისი, რომელსაც სიცოცხლით ვერ შეემატები და სიკვდილით ვერ მოაკლდები!

შენ უკვე სხვა თბილისში ცხოვრობ!..

და თბილისის ეშხს მხოლოდ მაშინ მიხვდები, როცა მის სატკივარს, ჩვენი გულის ნადებს ფეხქვეშ არ გაიდებ და მამათა თაობის საფლავიდან ამოძახილი შენს ყურსა თუ გულს მოძებნის:

– ჩვენს შემდეგ ქვა რომ ქვაზე დარჩეს, ელოცულობით ეინძლო... თბილისს რომ ფრჩხილი წამოგკიდეს, საფლავში ეიგრძნობთ!

...სამგლოვიარო პროცესია კი მიდის და მიაქვს ჩვენი დრო!

ვინ იყო შოთა კირვალიძე?

ეს ჩვენმა თაობამ და ღმერთმა იცის!..

და არამც და არამც - ეშმაკმა!

ეშმაკს მან ისე დაუფრთხო ანგელოსები, რომ სულ ეშმაკებში ტრიალებდა და ახლოს ვერ ეკარებოდნენ.

ანგელოზად დაიბადა და ანგელოზად მოკვდა! თანაც ვარანცოველი იყო... თანაც - ავლაბრელს ჰგავდა...

თბილისური სინკრეტიზმის „ორკესტრში“, შესახედავად პირველ „სკრიპკას“ შეადარებდი - ახოვანი, დახვეწილი - ფილიგრანული... პირს გააღებდა და ყარაჩოღელის აჩრდილი დაადგებოდა თავზე!

ბოლობოლო მაინც ვინ იყო ეს კაცი, ვისთვისაც, ჩვენი დროის ერთი სახელგანთქმული პარტნიორის - „ბაბკენას“ კოსტუმივით, სიტყვა ვერ მომირგია?

ვაჭარი, ვაჭარი იყო!

„თბილფეხსაცმელვაჭრობის“ ბაზის მმართველი!..

რა მოხდა მერე! ხომ გახსოვთ, მამაზეციერი სად და ვისში ეძებდა კეთილ სულს? თბილისელმა ბიჭებმა იგი ვაჭარშიც ვიპოვეთ!..

სწორედ იქ, სადაც არავინ ელის!

მე იმ თბილისური პლეადის კაცი ვარ, რომლის პირიდან ითქვა სიმღერა: კაცი ვარ და ქუდი მხურავსო! ჩვენი თაობის თბილისური მოდელის თავი და ბოლოც ეს იყო: იგი ისაკა მექუდის ქუდით იწყებოდა და შოთა კირვალიძის ფესაცმელით თავდებოდა!.. ეს ის დრო იყო, როცა ამით — ცა-ქუდად მიგვაჩნდა და დედამიწა-ქალამნად! მაშინ, თბილისში მგონი, თოვლის ბაბუაც სიკეთის მკეთებელი კაცის — შოთა კირვალიძის ფეხსაცმელით მოდიოდა ახალ წელს და ფეხ-ბედნიერიც იყო!

თოვლის ბაბუის შედარება თუ თოვლივით შემომადნება ხელში, მკითხველო, მეფეხურსა თუ

ვარდნაძე ამბობს, რომ გვაქვს ქვეყანა, მაგრამ არ ამბობს, სად? სად არის ქვეყანა?

„ახალი თაობა“, 2001.

კოტე ყუბანეიშვილი:

ცხოვრება ხდება ნეტარი,

როცა ხარ პარლამენტარი.

„ახალი ვერსია“, 2001.

უღირსეულები და უღარიბები... არ გვიგონია ასეთი რამ??

ნუნუ ხვიჩია (თვითნაბადი კომედიური მსახიობის ქალიშვილი):

ბატონო პრეზიდენტო!

აჩუქეთ სვეტიან თბილისს იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ღიმილის კუნძული!

...მამაჩემის ნამდვილი გვარი ყვინჩია გახლავთ.

პროექტი ჩვენი ფიქრი და განხორციელებისთვის შევარდნაძის ხელმოწერაა საჭირო. თბილისის კარიბჭესთან, მტკვარში, ერთი კუნძულია ახლოვანი ხეებით, რომელიც არავის არაფერში სჭირდება. ამ კუნძულს ღიმილის კუნძული მი-

მფერხავს მაინც ხომ წყალი არ გაუვა - ვინ იცის, რამდენი მეკვლე შემოსულა მისი ფეხით და ფეხსაცმელით ჩვენს ოჯახებში!

„ფეხი ჩემი და კვალი ანგელოზისო!" - ამ ფრთიანი სიტყვით იცოდნენ ჩვენში ძველი წლის გაცილება და ახლის შეხვედრა და ამ სიტყვაშივე ეტევა ეს კაციც - თავით-ფეხამდე!

...მივდივართ, მივაცილებთ, გული გვწყდება, ფეხები უკან გვრჩება და ფიქრები წინ გვისწრებს...

ფუტკარივით კაცი იყო.

თაფლი იყო - ბუზი ბაღდადიდან მოდიოდა!..

უამრავი ქალი და კაცი ეხვეოდა და მაინც მარტოსული აღმოჩნდა - უშვილო, უძირო, უოჯახო... სხვისი ჭირი აქცია ლხინად, სხვისი ლხინით ილხინა, სხვის სიყვარულში გაიხარჯა...

მის თვალებში თავი შეგიყვარდებოდა!

სხვისი სიხარულით - სიხარული...
სხვისი ნეტარებით - ნეტარება...
ასეთ სიხარულს და ნეტარებას -
სხვა რა ნეტარება ედარება???

ამეტორღიალა სტროფი და მივდივართ... თავდახრილი, კი არა - თავანეული! მივდივართ და საქაოდან საიქიოში მიგვყავს „კაცი, რომელიც დააკლდება ქალაქს"!.. კაცი, რომელიც „დასავიწყებლად" არ გვემეტება!

შეძლებული კაცი იყო.

შეუძლებელს აკეთებდა!

ყველას წვდებოდა. სულ იმის ცდაში იყო, ვისთვის რა პატივი ეცა! საათივით ჰქონდა აწყობილი საქმე.

ჩიტის რძეს იშოვიდა.

იცოდა, რომ ნამუსიც კაი საქონელია და არც ეს ჰქონდა საძებარი - კაცი იყო და თავზე ნამუსის ქუდი ეხურა.

ქონების მოყვარული ადამიანი ასეთი ხელგაშლილი ვის უნახავს?.. ფულს უფრო უყვარდა ის, ვიდრე მას უყვარდა ფული, რომელიც დავით სარაჯიშვილური შოთა კირვალიძეობით - ბატონად კი არა, მსახურად ჰყავდა!

უტირაჟო კაცი იყო!

წიგნის წასაკითხად, ალბათ, არც ეცალა, მაგრამ გადაუშლელადაც წაკითხული ჰქონდა ყველა წიგნი, თუ ცხოვრებისეული სიბრძნე!.. თანაც, თვითონ იყო დაუწერელი წიგნი, რომელსაც, ახლა, ასე საგულდაგულოდ ვფურცლავ და თქვენთან ერთად ვკითხულობ!

„უნდა მიეჩვიო კეთილი საქმეების კეთებას" (დემოკრიტე) — თვითნაბადი იყო და ეს ჩვევა დედის მუცლიდან დაჰყვა!

„უმრავლესობა, ჭეშმარიტ სიკეთეს — კეთილდღეობაში, განცხრომასა და ფუფუნებაში ხედავს" (პასკალი).

ის უმცირესობაში იყო!

„ცხოვრება სიკვდილზე უფრო ძნელია" (ფოიხტვანგერი)

სიცოცხლეშივე იცოდა ეს!

---

*ყველაზე მოკლე ანდერძი დაწერა ამერიკელმა მილიონერმა სტივ ბუხაილერმა, რომელსაც 7 შვილი, 49 შვილიშვილი და 315 შვილთაშვილი ჰყავდა. „არავის არაფერი" — ასეთია მისი ტექსტი.*

*P.S. ფრანსუა ვიიონის ანდერძს ჰგავს — სარჩევნებელი თითით ბრანწი რომ უჩვენა ყველას, ვინც ამას იმსახურებდა, ვინც რისი ღირსი იყო!*

„ამ ქვეყნიდან ისე უნდა წახვიდე, როგორც წვეულებიდან - არც მწყურვალი, არც მთვრალი“... (დიოგენ სინოპელი).

და აი, მიდიოდა... „კაცი-ტაძარი!“... „ჩამთავრდა მისი სიკეთის კრიალოსანი...“ კაცისა, რომელმაც გარკვეულწილად ჭირი ლხინად გვიქცია; კაცისა, რომელიც ჭირშიცა და ლხინშიც თავკაცი იყო, ბევრ ქართულ ოჯახს გაუმაგრა ფუძე, თავისი კი ვერ (თუ არ) ააშენა, რადგან თავისთვის ვერ (თუ არ) მოიცალა, - ასე წერდნენ ამ შეწირული კაცის თბილისელი ძმაკაცები, მის ნეკროლოგსა თუ მარტიროლოგს, რომელსაც ქუდად - „დიდი ლომის“ ზაურ ბოლქვაძის, ჩვენ თვალწინ დაწერილ უკვდავ სტროფს წარვუმძღვარებდი, რომელიც ჩემი თაობის საზეპიროა!

„გადაუარა ბალახმა საფლავს - სიცოცხლის წერგილს...

შენ ჩემთვის როგორ არა ხარ - მე აღარა ვარ შენთვის!“

...2006 წლის 12 დეკემბერია!

მიდის თავჩაქინდრული, მაგრამ ამაყი ჩემი თაობა, უკანასკნელ გზაზე აცილებს თითებზე ჩამოსათვლელი მისი მზეჭაბუკების კიდევ ერთ განსახიერება კაცს!.. მერე ბრუნდება პროცესია სუფრაზე, რომელიც ლხინიდან ჭირის სუფრად გვიქცია ჩვენმა რაინდმა ძმამ.

ყველა შედარება მოიკოჭლებსო, ნათქვამია, მაგრამ თუ მართლაც „ბოროტსა სძლია კეთილმა“... მაშინ შოთა კირვალიძე — თხემით-ტერფამდე, სულით-ხორცამდე ლამაზი კაცი, მართლაც ჰგავდა მისი სულმნათი სეხნიის რუსთველურ პერსონაჟს და მისი ჭირის სუფრის ავთანდილობაც... პროფესორმა ავთანდილ საყვარელიძემ გასწია, რომელმაც პირველ სადღეგრძელოდ საქართველოს ყველაზე დიდი ჭირისუფლის — თბილისის სადღეგრძელო დალია და მისი იშვიათი შვილის დაკარგვის გამო — პირველი სამძიმარი უთხრა მას!

შესანდობარი დავლიე... ჭიქა წავუქციე და ისევ გამექცა ფიქრი!

გულზე შემიძლია დავიდო ხელი და ხატის წინ დავიფიცო, რომ რასაც ახლა ვიტყვი... ღმერთია ამის მოწმე! რომელსაც ბევრჯერ აუკრავს (ცუდ საქმეში) და ბევრჯერ შემსწრებია ფიქრსა თუ წადილში და ბევრჯერ გაუმართავს (კარგ საქმეში) ხელი!

თვითონ განსაჯეთ!

ახლა, სწორედ იმის ფიქრში ვარ, რომ შოთას, რომელსაც, სიცოცხლეში, ჩემთვის და მგონი არც არავისთვის არასდროს არაფერი უთხოვია, ახლა ნაღდად ეკუთვნოდა ჩემი სამგლოვიარო სიტყვა -

ნდა დავარქვა და ნარდის სასახლე ავაშენო. პროექტი მზად მაქვს. შეიძლება აქვე აშენდეს საბავშვო დასასვენებელი კომპლექსი, კოტეჯები, სადაც ოჯახები დაისვენებენ... ნარდის სასახლეში კი საქართველოს და საერთაშორისო ჩემპიონატების გამართვა იქნება შესაძლებელი. კუნძულთან მისასვლელად გადასახსნელი ხიდი უნდა გაკეთდეს, რომელიც ღამით აიკეცება. რაც მთავარია, სამუშაო ადგილებიც შეიქმნება. არც ვინმე სპონსორს ვთხოვ და არც ხელისუფლებას სესხს. მხოლოდ ნება დამრთონ და მიწის ფული არ გადამახდევინონ. პატარა სამოთხე მინდა შევქმნა, იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ღიმილის კუნძული განა არ დაამშვენებს თბილისს?!

...დაე, გული თქვენს საყვარელს მარცვალ-მარცვალ მიპოვიდეს.

თქვენი ჭირი მეყაროს,

თქვენს ხვიჩას იპოლიტეს.

(„ასავალ-დასავალი“ 2001, 10-16.12).

**P.S.** ირწმუნეს ძუნძულით — სადაა კუნძული?

ნეკროლოგი!.. მე კი, იმ შავ დღეს, კირვალიძის ეს ვალიც ვერ მოვიხადე!..

...დამთავრებულიც არ მქონდა „ეს გალობანი სინანულისა", რომ... თბილისის პირელმა „მესულთათანემ" - მემორიალური გაზეთის „ხსოვნის" მესვეურმა და დიდი ზნის კაცმა ანზორ ბაბუხადიამ გადმომილაპარაკა:

- ბატონო გიზო! ვინ-ვინ და შოთა კირვალიძე კი იყო ღირსი, მისი საფლავის სამარისებურ სიჩუმეში თქვენ სიტყვა გეთქვათ!

გესმით, ხალხო - ფიქრში შემისწრო: თითქოს ჩემს გულში იჯდა...

...და გულის ფიცარზე მორბენალმა სტრიქონებმა ისე გაირბინეს, როგორც დიდი კონსტანტინეს „ნაბდით დაჭედილმა ბედაურებმა"!

2006 წელია.

12 დეკემბერს - თბილისის მიწამ გულში ჩაიკრა კიდევ ერთი თბილისელი კაცი, რომელიც დედაქალაქს სიცოცხლითაც ამშვენებდა და სიკვდილითაც დაამშვენებს...

„საცაა წავა ახალგაზრდობა - წავა და კარებს გაიჯახუნებს"... ჩამესმის ერთი სევდიანი თბილისური სიმღერა.

„ბინდისფერია სოფელი - უფრო და უფრო..."

*მე ბოდიშს მოვიხდი ბინდისფერი წარსულთან - რაც არ გამახსენდა ამ წამს...*

*ზოგჯერ სათქმელი - უთქმელი ჯობია... სათქმელ-უთქმელი არ მწამს...*

*ყველას, გაუმარჯოს, ვინც ხსოვნის ბურუსში ბჟუტავს და სევდის რძეს წველავს...*

*ვინაც სიყმაწვილის ელვარე სანთლებში - სულ სხვა ელვარებით ელავს...*

*ვინც დაგვყვა აკვანში - ვინც აგვყვა აკვნიდან და ვინაც ჩვენს სულში ღელავს...*

*ვინც!..*

*კაცობა მოგვცა და ზედ ტვირთი აგვკიდა -*

*ყველას, გაუმარჯოს, ყველას!*

მკითხველო! ეს „პაემანის" ფინალია და ჩვენი თაობის (ღმერთმა დიდხანს გვამყოფოს!) საფინალო სასტვენიც!

...ამ ფიქრებში ვარ და სული ქაღალდზე მიმდის, რომ ასოების სასოებით ჩაეიწერო ყველაფერი, რომ ქარის მოტანილი - ქარს არ გავატანოთ"...

არადა, ამ ჭირის სუფრაზე სად გინდა, ახლა, ქაღალდის ნაგლეჯის პოვნა - აქ სალფეთქებიც კი ჭრელა-ჭრულაა და ამ საქმისთვის (წერისათვის) სრულიად გამოუსადეგარი!..

თვალებით დავეძებ ქაღალდის ნაგლეჯს და აგერ... ისევ ღმერთია მოწყალე...!

ერთი ჩვენი მარაქის კაცის ხელით, განგებას თითქოს ჩემთვის გამოუგზავნია მერაბ მგალობლიშვილი, რომელიც გულის ჯიბიდან იღებს საგანგებოდ გადანახულ... თაბახის ქაღალდს და მაწვდის?!..

ესეც შენი საგანგებო შემთხვევა!

---

*ამ უბედურ დროში წამალს... საწამლავს ეძახიან!*

*ილია: იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.*

ღმერთით - ყველაფერი ხელს მიწყობს!

ღმერთო დიდებულო, რამდენჯერ შემსწრებიხ-არ გასაჭირში და რამდენჯერ შევსწრებივარ შენს წყალობას!

ხატზე შემიძლია დავიფიცო, რომ ამ სიბერეში (დღემდე მეხამუშება ეს სიტყვა!) ყოველ ფეხის ნაბიჯზე შენს იმედზე ვარ და შენით ვცოცხლობ!.. საოცარია! — რაც წერა-კითხვისთვის მჭირდება - ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის, ერთ ხელის გაწვდენაზე მაქვს!

...და აი, კიდევ, ახალი სასწაულიც!

ერთი სიმღერისა და მურმან ლებანიძისა არ იყოს:

თუ გინდა გჯეროდეს... უნდა დაიჯერო!

ტირილისა თუ „ლხინის" ამ ცოდვა-მადლის ტრიალში, ჩვენს სუფრას მოუახლოვდა ამ სუფრის მაკურთხებელი, საიქიოდან-სააქაოში ჩვენი ნა-სულების დიდ სულეთში გამცილებელი... თბილი-სის ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი მამა უშანგი ჩარკვიანი და... სახალხოდ საჩუქრად გადმომცა მისი მრევლის - ოქრომჭედელ პაატას საგანგებოდ ოქროჭედილი და ფირუზის ქვებით მოჭედილ-მოოჭვილი საღმრთო წიგნი „ახ-ალი ალთქმაი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი"!

ყველა ჩვენ გვიყურებს!

ღმერთო დიდებულო!

სიზმარში მგონია თავი.

თუმცა, ახლა ცხადი... ცხადად ჯობდა სიზმარს.

ასეთი რამ მხოლოდ ღვთის ნებით ხდება!

გულმა მიკარნახა და ისე ჩავთვალე, რომ ეს იყო უკანასკნელი საჩუქარი, რომელიც შოთა კირ-ვალიძემ - ღმერთებთან განდობილი მიტროსანი კაცის ხელით გამომიგზავნა და კიდევ ერთხელ - სიკეთით შემახსენა თავი.

ინდურ ანდაზას ფიანდაზად გავუგებ ამ ამბავს:

ჩამავალ მზეს - ყოველ დღე მიაქვს ჩვენი სიც-ოცხლის ნაწილი"!

კაცთა სულმოკლეობისაა ისიც, რომ დღეს ამო-მავალ მზეს უფრო მეტი დამფასებელი ჰყავს - ვი-დრე ჩამავალს!..

თუმცა - შოთა კირვალიძის მზეს ჯერ კიდევ იფიცებენ მის საძმაკაცოში!

**P.S.** ...და აი, თვალსა და ხელს შუა 40 დღეც გასულა.

დღეს ცაში ვაცილებთ ამ საოცრად მიწიერ კაცს, რომელსაც ღმერთთანაც მიესვლება!

ღმერთს ებარებოდე, ღმერთივით კაცო!

*ილია: ბედს — კაცი ქმნის და არა ბედი კაცსა.*

<u>გაგა ნახარე-დაძე</u> — თამადა:

გაიხსენეთ ყვე-ლაზე დიდი კური-ოზი, რაც თქვენს თამადობას ახლდა თან.

ეს მოხდა ლალი მაროშვილის — ჩემი მეგობრ-ის დაბადების დღეზე. ლალიმ დამირეკა და შევთანხმდით, რომ საღამოს შვიდ საათზე კუს ტბაზე ვიქნებოდით და ხუ-ერას გავეძღვებო-დი. პიდა. უცბად მოიყვანეს ჩემი უახ-ლოესი და უსაყ-ვარლესი ადამიანი — ნათელა კუჭავა და მეუბნება, დღეს „საქართველოში" 150 კაცზე მეტს ხუ-ერას გამლილი და გელოდები. თამადა შენ უნდა იყო. ხუნთქვა შემეკრა და ისლა მოვახერხე, რომ ყურმილში ყვირილით ჩავძახე:

საათი მითხ-არი, საათი.

რამ საათზე ველოდები სუფრებ-ზე, რომ მითხრა, ამოვისუნთქე. რამ საათზე „საქართვე-ლოში" ვიყავი. ღვე-ლიდან ერთი, მეორე, მესამე და მეიდი საათიც მოახლოვდა, მეხუთე განხსნავდებუ-ლი, გამოვაცხადე ცეკვა. დაუჯექი მან-

* * *

გაპრანჭულად რომ ვთქვათ — ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის გარიჟრაჟზე, როდესაც, ასე ვთქვათ — „გაქცეულ" ცხოვრებას ვენეოდი და საკუთარი თავის დანევა მიჭირდა, „ახკომის" რედაქტორის მოადგილე იყო პავლე კოხრეიძე, რომელიც კაი იეზუიტივით, საქმეს გვიჩმახებდა (ახლა მოდაშია ეს სიტყვა) — ყოველ სიტყვას ჩაკირკიტებდა და ეჭვის თვალით უყურებდა. რედაქტორი, ალბათ, ასეც უნდა იქცეოდეს, მაგრამ ახლა ჩვენს ამბავს აღარ იკითხავ — „სხვაგან ქრის მისი გონებაო" — ხომ გაგიგონიათ!

მრავალიდან ერთ შემთხვევას გაეიხსენებ. ვიღაც შრომის მოწინავეზე, რაღაც ჩემი ინფორმაცია შეუტანეს, სათაურით — „იხაროს შენმა მარ-ჯვენამო!"

როგორც შეიტანეს — ისე გამოიტანეს და მისი სიტყვაც ზედ მოაყ-ოლეს — სათაური გამოუცვალოსო!

არადა, მოკლემეტრაჟიანი ქეიფია „გემოში" — ბიჭები მელოდებიან!

— რა ჭირს ამ სათაურს გამოსაცვლელი?

„იხაროს შენმა მარჯვენამ"!

— არ მოგწონს? გამოვცვალოთ? კი, ბატონო!

„იხაროს შენმა.. მარცხენამ"! — შეეცვალე სათაური და გავიქეცი.

... ჩემი ჟურნალისტური „კარიერის" მთლად რიჟრაჟზე კი სტილისტმა ლეო ხომერიკმა დამიძახა და მითხრა — ამ შენს წერილს სასვენი ნიშნები არ უნდაო?

— ბატონო ლეო, — ვუპასუხე, — ოღონდ ვინმემ წაიკითხოს ეს ნა-ცოდვილარი და სადაც უნდა იქ შეისვენოს-მეთქი.

* * *

შენ შესატყვის სიტყვას ვეძებ –
ჩემო უთქმელ და სათქმელო –
ჭმერთმა ნუ ქნას –
ღმერთმა ნუ ქნას –
„უქართველოდ საქართველო"!

* * *

საქართველოს ძველ და ახალ
ისტორიას ვიხსენებ:
მას თურქეთში ტყვედა ჰყიდდნენ –
შენ – ქემერში ისვენებ!

* * *

ყველა ხუმრობას თავისი დროის ელფერი დაჰკრავს. დღეს რაზეც გაეცინება კაცს, გუშინ, შეიძლება, ეს სატირალიც კი იყო და პირიქით!

ამ პირიქით — პირაქეთობაში იცვლება დრო, იცვლებიან ადამიანები.

---

*ქართველებმა ქართველებთან დაკარგული ენა... უცხოელებთან მოვ-ძებნეთ?!*

*ეკა ლომიძე: „ჩვენი სიბრმავე აჟადმზირალ მტერს გაახარებს!"*

*ძმას – ძმითა კლავენ – გული ტირის, მტერი ხარხარებს (ვ.ნ.)*

ზოგი სატირალი... სასაცილო ხდება, ზოგი სასაცილო... სატირალი! ხან ერთი თვალი იცინის და მეორე ტირის, ხან მეორე...

არაფერში ისე არ მჟღავნდება ადამიანის ხასიათი როგორც იმაში — რაზე იცინის, ვის დასცინის, როგორ დასცინის?

„სიცილის არქივში" ვნერ, რომ სიცილი კოლექტივისტია, ხალხის ქომაგია, ნამდვილი დემოკრატი.

ერთი იცინის — თავს დასცინის, ორი იცინის — ერთმანეთს დასცინის. სამი იცინის — სხვას დასცინის!

საბოლოოდ კი სიცილი მკურნალია და სიჯანსაღის გარანტი. სიცილში გატარებული დრო — ასაკში არ ითვლება — ეგრევე ემატება კაცს, როგორც პრემიალური! ტყუილად კი არაა ნათქვამი ჩემი და კომპოზიტორ ნუნუ დუღაშვილის „სიცილის ჰიმნში":

„სიცილით ვინც კვდება — ის დიდხანს ცოცხლობს"!

ჰოდა, იცინეთ, რა გენაღვლებათ!

ჩვენი წინაპრების იუმორს კი აქვე დაგაჭაშნიკებინებთ, რომ ძველ დროს ამ ხუმრობითაც გაუფუცქენათ გემო.

...ბაზარში თავმომწონედ მოგოგმანობს ერთი ფაშფაშა დედაბერი.. ალაგ-ალაგ დაკერებული კაბით.

კინტო, რის კინტოა, ეს გამოეპაროს და სასაცილო შემთხვევა ხელიდან გაუშვას.

— ვა, დედიჯან, მშვიდობაში ეს „ახალი" კაბა, ალაგ-ალაგ მომილოცავს.

— იცოცხლე, შვილო, დღეგამოშვებით! — როგორი სამადლობელიცაა — ისეთ მადლობას იხდის ტფილისელი დედაბერი.

* * *

— როს დრო მოდის —
ვისთვის, როდის, სად და როგორ ჯობს?
ასეთ დილემის წინაშე არა ემდგარვარ ჯერ...
თურმე, ღმერთსაც ეცინება, როცა კაცი ბჭობს...
თეთრით შავზე ეკითხულობ და
შავით თეთრზე ეწერ!

* * *

შედან ჭილაძისა და თავად გულბაათ ჭავჭავაძის თამადობის შემდეგ, ვინმე ვასო კელენჯერიძის თამადობა რა მოსატანია, რომ არა ალავერდით მეჯლელობის შემთხვევა, რასაც კანცელარიულ ენაზე რომ ვთქვათ, სწორედ მისი თამადობის დროს ჰქონდა ადგილი!

ქანაში და ავედი კუს ტბაზე. დაველოდე ორი-სამი სადღეგრძელო, გამოვაცხადე იქაც ცეკვა და გამოვვარდი „საქართველოში", ცეკვით მოღლილ სტუმრებს ორი-სამი ქიქა „ჩავარცყმევინე" და ისევ კუს ტბაზე გავვარდი... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ღამის სამ საათამდე ასე სირბილ-სირბილში ჩავყარე ორივე წვეულება. მეტსაც გეტყვით, ერთ დღეს, გეფიცებით, სამ ოჯახში ვიყავი ერთდროულად თამადა ისე, რომ ეს არცერთ ოჯახს და სტუმარს არ უგრძვნია!

**P.S.** გოგი სიხარულიძე ის „ათას-სახიანი" კაცია, რომლის ათასერთი ღამის სიზმარ-ცხადის მოყოლას ალბათ ერთი ამდენი დღე მაინც დასჭირდება... ალბათ, სუხიშვილ-რამიშვილის ანსამბლის სოლისტს, რომელმაც ფეხისწვერებზე მოიარა მსოფლიო და ქართული ცეკვის გარდა არავის არ დადგომია ფეხის წვერებზე. ხანმოშესულს თავშიც იმიტომ აუვარდა, რომ ამდენ მოსაყოლს, ამდენ სათქმელს მარტო ფეხით ვერ

ამ მთა კაცს, რომელიც, ყოველგვარი ჰიპერბოლის გარეშე, ერთ ფუთ ღვინოს სვამდა, გადაეკიდა ვიღაც თავზე ხელაღებული და სმაში გაეჯიბრა, რაც, რასაკვირველია, ვასილ კელენჯერიძის გამარჯვებით და ამ უკანასკნელის... დამარცხებით კი არა — მარცხით დამთავრდა — მოკვდა კაცი — გული გაუსკდა!

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე: მოქალაქე ვასილ კელენჯერიძის მიერ, მისი თამადობით და მის მიერ გადასული ბოლო ალავერდით მოქალაქე „ამას და ამას" (აცხონოს ღმერთმა, მეორედაც ხომ არ მოვჭრით თავს) ყანწით მკვლელობისა გამო...

„გამო" იყო თუ „გემო", დიახ, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, ასეთი საქმე განიხილა სასამართლომ, და სამართალმა კიდევ ერთხელ, პური ჭამა (მაგრამ ღვინო აღარ დაუყოლებია) — ბატონი ვასო, როგორც იყო, გაამართლეს, რადგანაც მისი, როგორც თამადის, მხრიდან, არავითარ ძალადობას არ ჰქონია ადგილი!

...იყო ასეთი პარადოქსიც!

ერთხელ, „ნიანგში", რომელიღაც საავადმყოფოდან დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ ვიღაც რუსი და ქართველი ერთმანეთს არყის სმაშიც შეეჯიბრებიან. ამ შეჯიბრებაში ქართველს წაუგია, მაგრამ გადარჩენილა, რუსს კი მოუგია და... მომკვდარა! რავარი „წაგება" და „მოგებაა"?

რა აღარ ხდება ამქვეყანაზე!

* * *

ფარაონები, რომ ფარაონებია, იმათაც კი ჰყავდათ თავისი სრულუფლებიანი „მონები", ე.ნ. „მრჩევლები", რომლებსაც ერთადერთი მოვალეობა ჰქონდათ — დღეში სამჯერ შესულიყვნენ უზენაეს გამგებლებთან და „აიდოსტივით" შეეხსენებინათ, რომ ისინი არ იყვნენ ღმერთები!

ასეთი საღვთო სამსახური დღესაც არ აწყენდა ცხოვრებისაგან ამოტივტივებულ ჩვენს ზოგიერთ მოღვაწეთაც, რომელთაც წარსულისაკენ გახედვაც არ უნდა და არც წინ ყურებით იკლავენ თავს.

ზოგი მულტიმილიონერი — ლამისაა კულტიმილიონერად იქცეს და რამდენადაც ფულით მდიდრდება, იმდენად სულით ღარიბდება.

ერთ ასეთ ახალგამომცხვარ ნაბობს უთქვამს:

— მე დიდი მატარებელი ვარ და პატარა სადგურებში არ ვჩერდებიო.

შენ კი ხარ დიდი მატარებელი, მაგრამ არც მე ვარ პატარა სადგური, სადაც დიდი მატარებლები არ ჩერდებიან-მეთქი, შევუთვალე და ახლა მამფის (ოთარ მამფორიას) ლექსსაც ფეშქაშად ვუგზავნი:

„...ის კი გულციევად მიქრის და მიქრის,
მიქრის, მიაპობს მიწის ოხშიეარს.
მცირე პლატფორმებს ჩაუვლის რიხით,
დიდ სადგურთან კი დგება მორჩილად.
დგება ქუდმოხდით და სალამს უძღვნის
ჩახჩახა ფერებს ქალაქის თავზე
და მლიქვნელურად გართხმული უცდის —
დიდჩემოდნიან პატარა კაცებს...

---

*ნიკო კეცხოველი: ერს, რომელსაც ისტორია არა აქვს, მიეცით გარეჯი და ისტორია ექნება!*

*P.S. ვინ გაძლევს, თუ არა კი!*

* * *

ეს ლექსპრომტი კი ერთ ულამაზეს ქალბატონზე ითქვა და ყველა უბერებელ თბილისელ მზეთუნახავს ეკუთვნის.

ერთმა ღმერთმა უწყის –
თქეენი გენის კოდი?..
გაზაფხულს ეინ უთელის –
მერამდენედ მოდის!

* * *

პოეტ ვიაზემსკის ეკუთვნის ერთი ასეთი სტრიქონი:

„Есть давняя вражда каретам пешехода!" — ფეხით მოსიარულეს დიდად არ ეპიტნავება — ნაირნაირი მანქანებით მოგრიალე ტიპები და პირიქითაც — ვერც მანქანების პატრონები იტანენ, მით უმეტეს, ისეთ ფეხით მოსიარულეებს, ფეხებში რომ ებლანდებიან მანქანებს და გასაქანს არ აძლევენ.

ვერის დაღმართზე ბარბაცით ამომავალ ნიაზას ერთმა მძღოლმა მანქანიდან გადმოსძახა:

— ნიაზ, ამ შუა ქუჩაში რო დადიხარ... პრასი ხომ არა ხარ, მეორედ მოხვიდე?

— ჩემდა თავად მეორედ მომსელელისო... — ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა ნიაზმა... მაგრამ თბილისს ნიაზის „ჩალაპარაკებულიც" დღემდე ახსოვს.

* * *

როგორც ხარის რქას... წითელი ფერი!
როგორც კალმის წვერს... ფერი მელნისა!
როდესაც დგება „კორიდის" ჟერი –
ციებ-ცხელება ლექსის წერისა...
წერას აეყაეარ, წერას დაეყაეარ,
ეწერ-ემლი... საშლელით...
შეშლილსა ვგაეარ.

* * *

ახლა ძალიან მოდაშია გამოთქმა — „ჭკუა მეკეტება"...

ჭკუის დაკარგვას — ჭკუის ჩაკეტვა სჯობია, მაგრამ ჭკუასთან ერთად... გასაღებიც არ უნდა დავკარგოთ, თორემ ისიც ნათქვამია (და ისიც როდის), რომ „ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის" და რად გინდა — თუ ვერ მოიხმარ და იქით გიხმარს?

უყურდა... ესეც აკლდა და ახლა, ფეხის გახმასთან ერთად კალამსაც გაუხვე-გამოუხვა. დღეს უკვე ცნობილ მწერალსა და ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატს. მის ბეჭედივით სიტყვას ამ ჩემი სეფე სიტყვით შევუძღვნი ბეჭდვით სიტყვაში!

გაგიგონიათ გივი სიხარულიძე?

ეს არის ბუნების ნათავეხელდარი კაცი არაბული ცხენივით პატარა თავით. განიერი ბეჭებით. ეებერთელა მუშტებითა და მშვილდივით მოზიდული ცხნით. რომელიც თოფის წამალივით სულ ასაფეთქებლადაა მზად.

ეს არის ღმერთის ნებიერი კაცი, რომელმაც ფეხის წვერებზე მოიარა მხოლოდ. ცეკვით დადის. ლექსით ლაპარაკობს. მოთხრობით გიქცევს. სიცილით გაფხიზლებს...

ეს არის ჭკუის კოლოფი, რომელმაც იცის რაც გვიჭირს ჭკუის. მით უფრო უჭკუობისგან და არ მალავს არც თავის და არც ჩვენს შერეკილობას.

ეს არის კაცი, რომელზეც განგებამ თავისი მადლიანი კალთა დაიბერტყა –

* * *

ვახტანგ ჭყოიძე და მოსკოვიდან ჩამობრძანებული აჩიკო მოსაშვილი რესტორან „თბილისში" შებრძანებულან. ამ უკანასკნელს, პირველი კერძებიდან, ნახევარი პორცია „ბორშჩი" შეუკვეთია და თან განუმარტავს: მთელ პორციას ვერ მოვერევი და არ მიყვარს კერძის მიტოვებაო...

ჭყოიძის სარესტორნო პრესტიჟისთვის, ასეთი „მიკერძოება" ნუნურაქიზმის დარტყმა იყო, რის გამოც, ბატონმა ვახტანგმა „მოყვარეს პირში უძრახეს" — მთელი პირდაპირობით და საკმაოდ უკმეხადაც უთხრა:

— სამი ნყება ცოლ-შვილი გყავს მიტოვებული... ამაზე არ იკლავ თავს და ეს ნახევარი თეფში „ბორშჩი" რა გაგიხდა, შე ოჯახ...დალოცვილო!

* * *

ჩვენი პირველი ასაფრენი მოედნები — ჩვენი გულები იყო.

ჩვენი პირველი გაფრენები — ქაღალდის ჩიტები, რომლებსაც სულ ნყვილ-ნყვილად ვაფრენდით... არასაფრენოსნო ამინდშიც, როცა კლასის დამრიგებელი გვეიფრენდა და ჩვენი ქაღალდის ჩიტებიანად აგვეიკრავდა გუდა-ნაბადს.

არადა, ჩვენი პირველი სიყვარულების ტრაექტორიები... იმისდა მიხედვითაც მულავნდებოდა — საით მიფრინავდნენ ჩვენი ქაღალდის ჩიტები!

* * *

„ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის ნყალობა, უკეთეს ჯილდოს მე ვერც მოვიფიქრებდი" — გადასახლების ნინ უთქვამს აკაკი ნერეთლისთვის სამშობლოსთვის აღსასრულებლად მზად მყოფ ჭეშმარიტ ქართველ მოღვანეს დიმიტრი ყიფიანს — „რაინდსა ურჩსა მტრისასა" — შეგვახსენებს 13-19.XI.06 „კვ. პალიტრა". სნორედ, ასეთების მხრებზე იდგა საქართველო, ვით „გოდოლი შეურყეველი"!

დრო შობს გმირებს თუ გმირები ქმნიან დროს? ალბათ, ერთიცაა და მეორეც. „კიდევაც დაიზრდებიანო"! — გვამხნევებს საქართველოს ისტორია ალგეთის ლეკვებით!

* * *

მალე, შეიძლება, „კოვზი" დავინყებას მიეცეს... ყოველ შემთხვევაში, ჩაის სმისას მაინც. ახალ ფინჯანში, ახალი ტექნიკით, შაქარი, ფსკერზე მიმაგრებული მინიატურული პროპელერით გაიხსნება.

„დენგი", 2006.

P.S. ჩვენ კიდე, გვეშინია, კოვზი ნაცარში არ ჩაგვივარდეს!

ასეთი კოვზით შეიძლება, მართლაც, დაილიოს ზღვა!

მფრინავი კოვზი!

როგორია?

შეიძლება გააფრინოს კაცმა!

---

*ტალეირანი: „ერის ცხოვრებაში არის მომენტები, როცა ღალატი სახელმნიფოსი, რომელსაც ქვეყანა დაღუპვისაკენ მიჰყავს, პატრიოტის უმაღლეს მოვალეობად იქცევა".*

## ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ...

„სასაცილოა ბერიკაცი რომ ჭაბუკობდეს“...
(თავს ზევით ძალა არ არის და არც უნდა ხტოდეს!)
სატირალია სიჭაბუკე სიბერეს ძმობდეს?
რა სჯობს?
სიბერე – სიჭაბუკე ერთმანეთს სჯობდეს!
...ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი
და ვრჩები ასე: ბებერი ბიჭი!
არა ბერბიჭა... არ შეგეშალოთ –
არც ერთ ასაკში, რომ არ წამშალოთ!
ვიყო ბებერიც – ვიყო ჭაბუკიც...
უასაკობის იყოს საბუთი –
ეს ჩემი ლექსიც!

## ჩვენ!

ჩვენ– პრომეთე – ამირანის სისხლნი,
ჩვენ – ღვთისმშობლის წილხვედრ მიწის ხორცნი,
ღვთის წყალობით, მირონით და მისხით...
სული კბილით გვიჭირავს და ლოცვით!
ჩვენ – მახვილი მესიისა გვეპყრა,
ჩვენ, გვყავს დავით აღმაშენებელი.
ჩვენი – გენითა მოევლინა ქვეყნად.
თამარ – ერის დიამშვენებელი!
რუსთაველის ნათლით ვიგნებით ბნელში.
საბას „სიბრძნე-სიცრუისა“ მნათობს,
ქართველის დედა დგას შიმშერით ხელში
და ჯოჯოხეთს ეს სამოთხე ათოვს!
ერის მამას გაუხერიგა შუბლი...
ჩვენზე ფიქრმა და ჩვენივე ტყვიამ –
ილიობდა საქართველოს ზღურბლი –
დღეს ვერც ვარჩევთ – ღამეა თუ დღეა?

* * *

კაი კაცი! გარეთაც და შინაც –
საკუთარ თავს მეგობარში ეძებს...
კაი შვილი იმას ჰქვია, ვინაც...
ვინაც – მამის მეგობრობას შეძლებს!
სჯობს სიცოცხლე სულ ძმობაში ხარჯო –
მამა-შვილის-მეგობრობას რა სჯობს!
გვიან მიხვედი ამას, ახლა ედარდობ...
და შვილებში საძმაკაცოდ განდობ!
შვილთაშვილნი ამას ადრე ხვდებიან –
ბაბუების ძმებად იბადებიან!
მერე როცა ბაბუები ხდებიან –
ამ ძმობაში სიცოცხლის აზრს წვდებიან!

ერთის კი არა ათასის ნიჭი მისცა, მაგრამ არა ბედიღბალი.

ეს არის კაცი – გამოცანა! – რომელმაც ახლა თვითონ ინებს ამოხსნას თავი.

იგი ზეპირი სიტყვის დიდოსტატია.

ახლა ბეჭდვით სიტყვაში ცდის ბედს.

კიცხი ამბობდა – ყველაფერზე მეტად... ცარიელი ქაღალდის მეშინიაო. გივი და მიმი? იგი აქაც არავის ჰგავს საკუთარი თავის გარდა.

ჰოდა, ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ „ხელ“ და გახელებულ კაცს! მას გამკითხველი არასდროს აკლდა...

ახლა მკითხველი სჭირდება.

... ეს წინასიტყვაობა უძღვის წინ მის პირველ წიგნს „ჩემი ოცნების ხე“.

„ასავალ-დასავალი“ 2001. 24-30.12.

**P.S. P.S.**

გივი სიხარულიძე, მხატვარი, მწერალი, ყოფილი მოცეკვავე. მოუმენი, თამადა!

ჭკუას და გარეგნობას ვინ გაპატიებს?

ამ ქვეყანაში ჩემნაირ კაცს უჭირს – ამბობს გივი. – ამ-

* * *

ვეკითხები პოეტს:
— ლექსებს რატომ არ წერ?
ამბობს:
— ველარ ვხედავ,
ლექსის მკითხველ კაცებს!
მერე გამხდარ ხელებს გულთან ერთად მიშლის —
დაამღერებს, ხმაში შეპარული შიშით...
— როცა ხმება კუჭი... ცხრავე მუზას უჭირს.
— ეს რა შუაშია?
— წყურიათ და შიათ!
„ქვემეხები, როცა გრიალებენ..."
ყრუმან —
ღვთის კარნახი როგორ გაიგონოს?..
სდუმან! —
— მუზები და ლექსი დღეს მათ მოსდით თავში...
9 ბალიან ღელვას — ვინც უჯდება ნავში!

* * *

ერთხელ, რედაქციაში, მე და გეო შავდია (მაშინ, როცა, ჯერ კიდევ, ეჭვმიტანილი არც ვიყავი ლექსის წერაში!) დროს სიცილში ვკლავდით, „პოლიტიკური პამფლეტის" წერამ აგვიტანა და შემდგომში ერთობ გახმაურებული სატირა დავწერეთ ამერიკელ ძია სემზე!

„ოკეანეს გადაღმელო, შენ, ძია სემ!
ზანგებს რატომ აეიწროებ?
მუშებს რატომ სცემ?
ცხოვრების დონეს... დაბლა სწევ და —
ფასებს... მაღლა სწევ...
ხალხს „მახორკა" ენატრება და შენ... სიგარებს წევ!
...ამ სიგარასავით დავუსვით ლექსს ძახილის ნიშანი და ვიყავით ერთ ლადაობაში.

ახლაც, რაღაც, იმ ფეხზე ვარ ამდგარი და, უკაცრავად პასუხია, ფეხებზე მკიდია, რა როდის მოეპრიანება ქალბატონ მუზას... კაი მოსე მწერალივით ვზივარ და საკონტროლოს კარნახივით ვიწერ!

ა — შენ და ა— მე... ყოველგვარი შელამაზების გარეშე!
მე თუ მკითხავთ (როგორ გითხრათ) რა წესი და რიგია —
ჩემი „ვერა" მომენატრა — თქვენი — ვერ გამიგია?!
პოდა, თქვენთან საღლაბუცოდ, ახლა არა მცალია,
და ეს მთელი მითქმა-მოთქმა — უკრეფში წანწალია.
სად ჩაქუჩი, სად ნამგალი?.. სად თოხი და სად ბარი?
რას გავეყარ-შევეყარეთ... მეგობარ — ჯეობარით?
და რასა იქმს ეს დრო-ჟამი
ეგებ არც გაეგება —
ძია სემის სემინარზე —
კიწწის კვრით გვერეკება!
და ჩვენც მივერეკებით...

---

*ლესინგი: ჯობია მოითმინო უსამართლობა, ვიდრე — ჩაიდინო ის!*

## დეკლარაცია

დღეს ვინ და რა კაცია?
არკვევს დეკლარაცია!
რამაც ბევრი აცხელა,
პამაც ბევრი აცია!
იმათ შორის მეცა ვარ —
ერთი ნატერის ხეცა ვარ,
რა სიმდიდრის პატრონი?..
შენ ხარ ჩემი ბატონი!
...საგარეო „თომარში",
თუმცა ეს არ ითქმის —
ოჯახი და ჯახა-ჯუხი,...
ერთი არის, თითქმის!
ჭკუას არა კითხულობენ:
რამდენი გაქვს ფული?
და კაც-დეკლარაციებში —
ქაოსია სრული!

## ახლა რაც შემეხება მე!..

მთელი ჩემი ქონება —
ჩემი დედაწული:
ფირმა 2 ბიჭისთვის...
ამოხიეს ყური!
იმ ორს მოჰყვა სამი ძმა —
ანუ შვილთა-შვილი!
ვარ ბაბუა... აღარ მაქვს —
სახუმარო კბილი!
...მერე გაჩნდა 2 გოგო —
ელენე და ანა!..
აი, მთელი ამ სამოთხის
ანა-ბანა-განა!..
მამა-შვილი-შვილიშვილი —
ღმერთიცა და რჯულიც...
შვილიშვილზე გული მიმდის, —
შვილზე მომდის გული!

## ასე რომ!

ჩემი ავლადიდება —
ერთ ჯორს აეკიდება...
და რაცა მაქვს — თან დამაქვს —
მჭირდება — არ მჭირდება!
...გინდ დაიჯერეთ — გინდ არა!

*იყომ ცხოვრების ისეთი გზა უნდა იპოვო, რომ არ მეენო სხვებს ფეხიდ თვალში. მე ეს გზა ვიპოვე — გავიამდღებ ხოლმე თავს. თქვენც იმავეს გირჩევთ...*

*„თბილისელები" (2001).*

*ვახო კიღვრაძე აკადემიკოსი:*

*გალილეი რომ შეაშინეს, თქვა, დედამიწა არ ბ რ უ ნ ა ვ ს ო. ჯორდანო ბრუნო კი კოცონზე აიყვანეს, მაგრამ თქვა, დედამიწა მაინც ბრუნავსო. ჩვენ ყველას ჯორდანო ბრუნოობას ვერ მოვთხოვთ. ზოგი შეიძლება გალილეიც იყოს.*

*„ახალი თაობა", 2006.*

*ჯანსუღ ჩარკვიანი პოეტი პარლამენტარი:*

*დღეს ქვეყანა რასაც იცანს,*
*ყველაფერი ვამცნე სწორებს,*
*საქართველო მღერის „სირცვას",*
*არც ერთი აქვს, არც — მეორე.*

*„საქართველოს რესპუბლიკა", 2001.*

* * *

ისევ ფობიებზე...

ცნობილია, რომ ფობიებისკენ მიდრეკილები მდიდარი წარმოსახვის ადამიანები ხდებიან. ამერიკელი ავტორების მონაცემებით, დედამიწაზე სხვადასხვა ფობიით იტანჯება მოსახლეობის 2-დან 9 პროცენტამდე, ძირითადად, 25-დან 45 წლამდე აქტიური ადამიანები. მეცნიერები ფობიებს სამ სახეობად ჰყოფენ: ბუნებისმიერი — როცა ადამიანს ეშინია ელვის, მინისძვრის, სტიქიების, ბოროტი ძალების, დაავადების; სოციალური — პასუხისმგებლობის, საზოგადოების წინაშე გამოსვლის შიში; შინაგანი — შიში იმისა, რომ ვინმეს შეურაცხყოფა არ მიაყენოს, სასაცილო სიტუაციაში არ ჩავარდეს, სიბერის ჟამს მარტო არ დარჩეს ან არ გაგიჟდეს. არსებობს, ასევე, მომავალი ქორწინების ახირებული შიში, რომელსაც, ძირითადად, მამაკაცები ამჟღავნებენ. ამის კლასიკური მაგალითია ონორე დე ბალზაკის შემთხვევა. მრავალი წლის განმავლობაში მას სასიყვარულო მიმოწერა ჰქონდა პოლონელ გრაფინია ეველინა განსკაიასთან, რომელიც იმ პერიოდში გათხოვილი იყო. გენიოსი დიდხანს ოცნებობდა თავისი ბედის მასთან დაკავშირებაზე, მაგრამ როდესაც ქალი დაქვრივდა და მორალური დაბრკოლებაც გაქრა, ბალზაკმა იგრძნო, რომ ნანატრი შეუღლების სიკვდილივით ეშინოდა. რაც უფრო ახლოვდებოდა ქორწინების დრო, მით უფრო ცუდად ხდებოდა იგი — მას ასთმური შეტევებიც კი დაეწყო. გრაფინიას სახლში მისასვლელად სხვა ადამიანების დახმარება დასჭირდა. ამის მერე ის, რამდენიმე დღე ქორწილამდე, თითქმის პარალიზებული ინვა და ჯვერისწერაზეც სავარძლით მიიყვანეს. გოგოლს ტატეფობია, ცოცხლად დამარხვის შიში ჰქონდა; ფრიდრიხ ნიცშე ფიზოფობიით (შიში ჭუჭყისა და ინფექციების მიმართ) იტანჯებოდა — ის ხელთათმანის გარეშე ხელს არავის ართმევდა. ფობიების მკურნალობის მეთოდი შიშის ხასიათზეა დამოკიდებული. კონკრეტულ შიშთან ბრძოლა გაცილებით ადვილია, ვიდრე ყველაფრის მიმართ შიშთან. ფობიების 60-მდე სახეობა არსებობს. მათ შორის, ყველაზე გავრცელებულია: კარდიოფობია — გულის დაავადებების შიში; აბლიუფობია — წყლის პროცედურის შიში; აგორაფობია — სივრცის, ღია ადგილების შიში; ალგოფობია — ტკივილის შიში; გერონტოფობია — სიბერის შიში; ზოოფობია — ცხოველების შიში; ტრედეკაფობია — 13 რიცხვის შიში; ქსენოფობია — უცხო ადამიანების შიში და ა. შ.

**„ქრონიკა" 25.09-1.10.06.**

იფიქრო თუ არ იფიქრო, ჯობია —
რა არის ეს შენი ხობია-ფობია?
გაეურბით როგორაც ძაღლებსა ცოფიანს —
არადა —
ეს ტვინის ხუჭუჭის ობია!

P.S. 13 რიცხვში ვარ დაბადებული, მაგრამ ამის გამო არავითარ დისკომფორტს არ განვიცდი. არც მისი თარსობისა მჯერა და არც ტრედეკაფობია მჭირს, რომელიც თურმე „ჭირთა უფრო ძნელია"!

---

*ამერიკელი ლამაზმანი პეიტონ ლეი, საუკეთესო უკანალის პატრონია. მან ეს საპატიო წოდება, არც მეტი, არც ნაკლები, უკანალების მსოფლიო ჩემპიონატში მოიპოვა.*

*მოკლედ ამას ჰქვია: ატრ...ბენ და უხარიათ!*

* * *

თბილისის ფერ-უმარილით —
იებით და ენძელებით —
ყალმით... კალმით ნახატების —
თვალწარმტაც — ტანწერწეტებით...
სად — ეშმაკის მაშხალები,
სად — მედუზა — გორგონები,
ბიჭებს დღესაც თავი მოგვწონს —
გოგონების მოგონებით!

* * *

როცა სული-სულობს —
როცა გული-გულობს —
როცა სიტყვა უვლის —
უფულოდაც ფულობს —
როცა კაცი — კაცობს —
როცა ქალი-ქალობს —
როცა ღმერთი მწყალობს —
ჩემი ჩიტი გალობს.

* * *

ერთხელაც რომ ჩავიარო რუსთაველზე —
ეს იქნება ჩემი სულის ცხონება...
აქ მიმინო დამაჯდება ისევ ცერზე —
მოგონებას რომ მიწედება გონება.
მინელდება ფეხი — გული აჩქარდება,
ფრუანტელი კიდევ ერთხელ დაივლის...
აქ სიბერე მონუსხული გაჩერდება —
აქ მთავრდება სიჭაბუკის შაირი!

* * *

ერთ... არც ისე მშვენიერ დღეს, სამზარეულოში თვალი მოვკარი ცოლს და გულმა რეჩხი მიყო. ქალი, რომელსაც ერთ დროს თვალს ვერ ვუსწორებდი — ანუ ჩემი „გულის ვარდი"... დამჭკნარი მეჩვენა?!..

იმას ხომ არ ვეტყოდი ამას... ამიტომ, სხვა რა ჩარა მქონდა და ჩემს გულში ვთქვი:

ის ალმური აღარ ასდის —
სიყვარულის კოცნის კოცონს...
სუყველაფერს ყაელი გასდის —
მიყვარს, მაგრამ... აღარ მომწონს!

**P.S.** ცოლს რამეს გამოაპარებ? გულში ნათქვამი — პირში მათქმევინა და თვალებში ცრემლები ჩაუდგა... ერთი სიცილის, მეორე — ტირილის!

არქივი ერის მეხსიერების საცავია — ეს წიგნი კი — ჩემი მეხსიერების საცავი!

ლესტერის უნივერსიტეტის სოციოლოგ-ფსიქოლოგმა ადრიან უაიტმა პირველი ბედნიერების რუკა შეადგინა, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყანა დანიაა.

უაიტის გამოკვლევას საფუძვლად უდევს სტატისტიკური მონაცემები და მსოფლიოს 178 ქვეყანაში გამოკითხული 80 000 ადამიანის სუბიექტური შეფასებები. პირველ ათეულში მოხვდნენ დანია და სხვა ევროპული სახელმწიფოები, მათ შორის შვეიცარია, ავსტრია და ისლანდია, ხოლო ბოლო ორი ადგილი ზიმბაბვემ და ბურუნდიმ გაიყვეს.

ამისთანა მერამდენე ადგილზე ვართ, ნეტა, ეს ქართველები, რომ საერთოდ არ ვყავართ სათვალავში! ფუი, ეშმაკს, ასე რამ გაგვთავალა!

* * *

ბიჭი რომ ბიჭს არ გაებღლარძუნოს და არ მოსინჯოს, ეგრე სად არი... მაგრამ თბილისი ყოველთვის კეთილი მნერთნელი და არბიტრი — ჩხუბის თავი და გამშველებელი იყო!

— თავში არ იყოს...

— თვალში არ იყოს...

— საფეთქელში არ იყოს...

— მუცელში არ იყოს...

გვაფრთხილებდნენ უფროსები, ვაფრთხილებდით ერთმანეთს და ასეთი ჩხუბი მაშინდელ ძმობას უფრო ჰგავდა, ვიდრე დღევანდელ მტრობას!

რატომ გავიხსენე!

მინდოდა ეს, ერთი ჩემი ძველი ძმაკაცისთვის შემეხსენებინა, დევნილთა ე.წ. „პროსკრიფციონულ" სიაში რომ შემიტანა და დამემუქრა, თათარი ბებია მყავდა და ჩემი გეშინოდესო.

— შენ თათარ ბებიას გაკრა ჩემმა ოკრიბელმა ბაბუამ-მეთქი, — ვუთხარი ვითომ ხუმრობით, მაგრამ რას არ მიხვდებოდა, როცა სულ იძახდა — ხუმრობა ჩვენი მოგონილიაო.

* * *

არავინ ისე კარგად არ მიცნობდა, როგორც ჩემი დის ქმარი — ადოლფ ხუროძე!

არავინ ისე არ იცოდა, რით ესუნთქავდი, რით ვცხოვრობდი, რა მწყინდა და რა მიხაროდა, ისე, როგორც მან.

არავინ ისე არ მეჩხუბებოდა და მეფერებოდა, როგორც ის.

სულ ნაქეზებით და კინნისკვრით მაკეთებინა საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციები... მოკლედ, ლიმონივით გამომწურა. შეუძლებელი — შემაძლებინა, ასაღები მწვერვალი — ამაღებინა. ჩემი ხელით მაჭედინა ჩემი ბედი და არც მისი ხელი დაუკლია! ბრძენი კაცი იყო. საქმეში არც თავის დანდობა იცოდა, არც სხვისი. მსმელი კაცი იყო და სუფრაზე არც თავის დანდობა იცოდა — არც სხვისი. გულითადი — კაცი იყო, გოლიათი და — გული კი ბავშვისა ჰქონდა!

საქართველოს კვების მრეწველობის მინისტრი გახლდათ!

შექსპირს შაქარიო და სწორედ შექსპირის ნათქვამია, რომ ***ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასაფარად დედამიწა გადაეფაროს!***

თურმე ერთ, არც ისე მშვენიერ დღეს, ჩემი მანჯღვარი, ავის მთქმელი და ავის მსურველი კაცები (რომლებისთვისაც, კაცმაც იცის და ღმერთმაც იცის, არაფერი დამიშავებია), შემთხვევით მის სუფრაზე მოხვედრილან და ჩემზე აუგი უთქვამთ.

გაუგია ხუროძეს და დარევია, მარა რა დარევია — საიდანაც გამომძვრალან... იქ შეუძვრენია!

ახია ბოროტებაზე ნასწრებულ კაცებსა თუ არაკაცებზე!

ბოროტებას გრძელი ხელები კი აქვს, მაგრამ ენა მაინც უნდა ჰქონდეს მოკლე.

---

*გიმო ჩემო,*

*ამ ბოლო დროს, შენი ორი წერილი წავიკითხე „საქართველოს რესპუბლიკაში" და ორივე დიდად მომეწონა: ენობრივად და, რასაკვირველია, აზრობრივადაც; ორიგინალურად წერ, სხვებს არ ჰგავხარ...*

*კიტა ბუაჩიძე 22 აპრილი, 1999 წელი.*

მოკლედ, ეს ამბავი ყველამ გაიგო... ჩემ გარდა.

ჩემი სათქმელი კი იქ, თურმე, ჩემზე უკეთ ითქვა... და მე ეს მხოლოდ გუშინ გავიგე?!

ასე გაკეთებულ და დაფარულ სიკეთეს — კაცობა ჰქვია, ასე დაფარულ და დაუფარავ ბოროტებას — არაკაცობა!

P.S. ერთ-ორ კაი კაცს, რომელიც მათშიც გამორეულა, სქოლიოში მაინც არ დავუკარგავ სიკეთეს.

ეს კაცი სწორიაო! — უთქვამთ მრუდის გამსწორებელ კაცზე.

ღმერთმა გაუმარჯოთ!

## გზა ტაძრისაკენ

დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის, ეკატერინე ფორაქიშვილის ეაკის სასაფლაოდან ქაშვეთში გადმოსვენების წინა ღამეს ტელეფონით ანონიმურად დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ ბუბუტეიშვილიდან ფულის გამოძალვის მიზნით, შესაძლოა, ამალამ მათი ნეშტი მოიპარონო!!!

თავზარი დაგვეცა. იმ ხანად ჩვენში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე იტაცებდნენ ცოცხლებს და არც მკვდრის მოპარვისთვის მიველოდით მონანიებას.

ეგ კი არა და ე.წ. ზემდგომმა ამხანაგებმა, გადმოსვენების დღის შეცვლა მოითხოვეს, აქაოდა, დღეს სხვა ცნობილ კაცს, პარტიულ ფუნქციონერს ვასაფლავებთ, მაგისთვის არ ეცლებათ და სარაჯიშვილების გადმოსვენების პროცესი სხვა დროისთვის გადაიტანეთო?!

ვურჩიეთ, თქვენს მიცვალებულს ახალ ცოდვებს ნუ აჰკიდებთ... თავისიც ეყოფა-თქო! და ძლივს გავაჩუმეთ.

ის ღამე სასაფლაოზე თეთრად გავათენეთ.

...ლამის საუკუნის ძილისგან შევაფხიზლეთ ჩვენი ძვირფასი მიცვალებულები.

ძლივს ვიშოვეთ ძველებური კატაფალკა, ძლივს შევარჩიეთ ცხენები, რომელთაგან ერთს ფეხიდან სისხლი სდიოდა და უკანასკნელ გზას, რომელზეც უკვე მესამედ ვაცილებდით საქართველოსთვის თავდადებულ თანამეცხედრეებს, ყველაზე უფრო უხდებოდა ის სისხლიანი მრავალნერტილი, რომელიც ამ „დაოთხილი" ეკიპაჟის ერთ კიოფა ცხენს გზადაგზა სდიოდა, მაგრამ თეთრშუბლა თავი მაინც ამაყად ეჭირა.

* * *

ქართველო ქალებო!

საქართველოს ისტორია ვალშია თქვენთან:

თუ კარგი რამ ჭირდა მას — თქვენით და თუ ცუდი ჭირს... ისიც თქვენით!

„ეგ. პალიტრა“. 30.X.-3.XI.06.

მიხეილ სააკაშვილი:

თუ ამ ქვეყანაში სიმართლის თქმა სიგიჟედ ითვლება, დიახ, ვიყო გიჟი! ნეტა, ასეთი გიჟები კიდევ მრავლად იყვნენ.

„ალია“, 2001.

რეზო ინანიშვილი:

„ქართველები ან ისე ცოცხლობენ, როგორც მათ სურთ, ან სულ არ ცოცხლობენ. გაქვავება ურჩევნიათ ულამაზოდ ყოფნას“

„ყალბი მოკრძალების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ მე უკეთ და უკეთ ვწერ. მაგრამ უფრო და უფრო მიძნელდება დროის გამოგლეჯა წერისათვის. დილიდან საღამომდე ვარ სამსახურში, იქ რომ არ ვიყო, შ ი მ შ ი ლ ი თ ამომხდება სული“

„ჩემგან მოითხოვენ, მიყვარდეს ის, რაც მთავარი იქნება მომავალში. ეს ძნელი საქმეა.

მინამდე გიხრით თავს და იგივე თავს ნებას ვაძლევ — სიმართლე გითხრათ!

ყველა შეცდომა შეიძლება იოლად გასწორდეს — დედის შეცდომის გარდა!

დაუკვირდით და აწონეთ ჩემი ძმური თუ მამაშვილური სიტყვა.

თითქმის ყველა სახლში მინახავს, ერთი შეხედვით უცოდველი, „ცარ-ცის წრის" უნიჭო ოჯახური სპექტაკლი, როცა ცოლ-ქმარს, დედ-მამას, ბებიასა და ბაბუას შორის იჭყლიტება სრულიად უცოდველი ბავშვი, რომელსაც საშინელი არჩევანის წინ აყენებენ: დედა უფრო გიყვარს თუ მამაო?

ინამეთ ღმერთი, ნუ გახლიჩავთ შუაზე თქვენს პატარებს.

შეეშვით სიყვარულის პრივატიზაციას!

ლეგენდებს სოლომონ ბრძენის ჭკუა უნდა!

* * *

ზოგიერთისათვის საქართველო ერთი აულაგებელი სუფრაა! სოსო ხარაბაძემ იცოდა თქმა: ისეთი კაცი შევარცხვინე, უკან რომ მოიხედავს და ბატიბუტზე გადასაცვლელი ცარიელი ბოთლების გარდა ვერაფერს დაინახავსო.

* * *

„დილით ოქრო ხარ, სტუმარო, შუადღეს ვერცხლად იქცევიო"... და ასე შემდეგ...

როცა სტუმრები ველარ გაიკვლევენ გზას სახლში... ამ დროს უნდა შეისვას — შინწაუსვლელთა სადღეგრძელო!

* * *

ასაკს ვერ უშველი წამლით და ვედრებით,
არ ვიცი რად, როდის, სად დაეეხეტები —
ებერდები — ეშტერდები? ეშტერდები — ებერდები?..
ისე არ აუდგე სიბერეს... გვერდები!..

* * *

ყველანაირი ნიჭი არსებობს, გარდა ჭკუის ნიჭისა, რომელიც საქართველოში მხოლოდ ერთ კაცს აქვს! და იმასაც კაცად არ თვლიან, რადგან მისი „კაი ჭკუისაგან" გვჭირს „ვაი უჭკუობის".

* * *

ვიმეორებ:

თავისუფლების უფლება აქვს მას — ვისაც აქვს უფლების თავი!

ზოგი თავისუფლება უპატარძლო ქორწილსა ჰგავს!

---

*ორძალების მოძალებით!*
*აკრძალვების მოკრძალებით!*

*აღარაფრისთვის აღარ ვვარგივარ, ახლა მე ჩემი თავის ბარგი ვარ!*

## გასაუმრუმა სოსო მილიხოძესთან!

„გურიაში რა გინდოდა
თუ სიკედილი არ გინდოდა"?..
ძველი სიმღერაა — ახალიც ესეა:
მიკითხვა-მოკითხვა მოყვარობის წესია!
— სხვა, რავა გიკითხოთ? —
ცოლოურს ეკითხავ...
(თურმე ნუ იკითხავ, თურმე ნუ იკითხავ!)
ოზურგეთს ცხოვრებამ ზურგი შეაქცია,
რატომ დუმს, ნეტაი, „პრაიმ" „რე-აქცია"?
...და აი, პასუხიც ამ უპასუხობის,
ხალხის გაჭირვების — მთაერობის ცუხობის!..
— თუმცა მზე და მთვარე
კვლავ მუქთად გვინათებს —
გაჭირდა ცხოვრება, გაძვირდა სინათლე...
ოთახში შევდივარ — ავანთებ ნათურას,
გამოვალ — ჩავაქრობ... არ ვტოვებ ჩართულად...
ამ თვალის პაჭუნში... აჳსუს, ქართველები! —
დავდივართ, როგორაც...
ციცინათელები!

* * *

სხვის ლუკმაზე თვალი არ მიმივიდა...
არასოდეს არ ვყოფილვარ ხარბი,
მატარებლის ფანჯარასთან ვზივარ და
ფანჯარაში საქართველო გარბის...

* * *

ქალი არა — ქარი იყო,
ქარი არა — გრიგალი...
თვალში შუქი გამომირთო —
გადამიწვა ჯიგარი!

P.S. თბილისელი გოგოების შემხედვარე თბილისელი ბიჭები... კიდე კარგად ვართ გადარჩენილები!

* * *

„მე ვიცი, თმებში დამეწყო თოვა...
მე ვიცი, მალე ზამთარიც მოვა"...
გამოიტირებს ჩვენს სიჭაბუკეს,
თუმც, ეს სიმღერა — არ არის გლოვა...
ეს სიმღერა ჩვენი თაობისაა!
ეს სიმღერა ზუსტად ჩვენი ხნისაა!

* * *

რა და ვის — რაში არგია?
ერთი ვთქვათ — ღმერთი ვახსენოთ:
ფლორა — თუნდ დღესაც კარგია —
ფაუნის — რა მოგახსენოთ!

მე მიყვარს, რაც ჩემს მამა-პაპას უყვარდა"
„მიყვებს ხალხს, სამუდამოდ დამიპყრობს ლექსი. მეჩვენება, რომ თანამედროვე კაცური საუბრის ყველაზე ღირსეული ფორმა ურითმო ლექსია"
„მე მოწოდების მწერალი არა ვარ. მაპატიეთ, თუკი საზოგადოებას სჭირდება, გნებავთ — ქვის მთლელად. თავისუფალ დროს კი მაწერინეთ, რას განიცდის ჩემი ხელი..."
„ვაი, ჩემო დალუნდულო მხრებო, რა ამაოდ გვიზიდნია სიმძიმეები უდრტვინველად! მივდივარ ჩამოცვენილ ყვითელ ფოთლებში და დედუნით ვიხსნავ რვეულებს..."
„მე მოკლედ თხრობის, მუსიკის და ფერწერის შესაძლებლობებს შემძიებელი მწერლობის თაყვანისმცემელი ვარ. მთელი ძალით მეწევა თავისკენ ლექსივით მკვრივი და მუსიკასავით მეტყველი ნოველა"
„ჩემი წერითი კულტურის მე-

* * *

ღმერთო, ნულარ შეგვასწრებ იმ ჯარისკაცულ... საქორწილო პანაშვიდებს რომელსაც შევესწარით!

ნიკუშა კეკელიძესთან მივიდა რუსი ბიჭი სლავა მაზური (შავნაბადას ბატალიონის ინსტრუქტორი, ძვალი და ტყავი... ტამიშთან ნაღმზე აფეთქებული, ცალფეხა) და უთხრა: ეს ფეხი, სადაც დავკარგე, იქ უნდა ვეძებოო. ისევ ფრონტზე ითხოვდა წაყვანას.

ცოტა ნასვამი ჩანდა, მაგრამ ჭკუაზე ფხიზლად იყო.

* * *

ამის დედა ვატირე, ვის ვესვრით: მაღლა ღმერთია, დაბლა დედამიწა, წინ — მომავალი, უკან — წარსული... ტყვიას ტყვიაში უნდა აჯენდეს კაცი! ტყვიას უნდა ესროლოს ტყვია კაცმა!

* * *

ო, ეს მაცილი ღმერთმა გეაცილოს!..
და როგორ უნდა წახდეს დროება,
რომ მოგვეჩვენოს ჩვენ სასაცილოდ:
„ენა, მამული, სარწმუნოება"!

* * *

— ყმანვილო, დამისახელეთ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნახევარკუნძული.

ყმანვილი გაოცებული დარჩა. არ ელოდა ასეთ შეკითხვას, მით უმეტეს, რომ საქმე ჩაწყობილი ჰქონდა და გაბრაზებულმა ჩაილაპარაკა:

— უჰ, სკანი დიდა...

— ყოჩაღ ყმანვილო! დიახ, სკანდინავიის ნახევარკუნძული, — გაეხარდა ხანშიშესულ გადაყრუებულ პროფესორს.

## იმერული ესკიზი

ზეცით კოხტა — „კორტოხ"გორა... ღმერთმა ერთად მოკრიბა: მთა და ბარი, ხეეი-ხუეი და დაარქვა ოქრიბა!

თამარს უთქვამს: „ო, კრებაა მშვენიერთა სოფელთა" — ასე შერჩა ეს სახელი — ყოველ დროს და ყოველთა.

იმერეთის წალკოტია მოწამეთა, გელათი — „სხვა ათინად" წოდებული — თავის წყალწითელათი; ცამდე მართალ ნაქერალით, საწირით და ხრესილით — უფლის ხელით — ცისარტყელით, გაკრული-გალექსილი.

მზით და მთვარით, მთით და ბარით, სანთელ-კვარით, ხატულით — ენაწყლიან მაინძელის სიტყვა — პასუხ-სხარტულით.

---

*კაცი სოროსის კი არა, ოსირისის წინაშე უნდა იყოს მართალი!*

*დაემხო, დაემხო დიდი ბაბილონი, გახდა ეშმაკთა სამკვიდროდ და ყოველი არაწმიდა სულის თავშესაფრად. გამოცხ. XVIII, 2.*

აქ „რამდენი კორტოხია — იმდენია ბატონიც" —
გეფერება ყოლიფერი — მთხლეს მოუკვდა პატრონი!
გველს ხვრელიდან ამოიყვანს იმერელი ენითა...
გეგონება — მზე და მთვარე, რომ ამოსდის შენითა!
ჯერ, სიცილით მოგკლავს კაცი — ტირილით აგაჩუ-
ყებს — ბოლო პერანგს გაიხდის და იმასაც შენ გაჩუ-
ქებს. სტუმრისთვის რას არ ნახავს სამეგობრო გო-
ბიო... ხოხო... ცეცხლთან დგას ქოთანი და ქოთქო-
თებს ლობიო!
იმე...რეთი მაინძელი სულში გეხუტუნება —
აქ ბალახიც, რომ გაცინოს... ფეხში გეღუტუნება!
კეცზე ცხვება ჭადები და შამფურზე „ზის" მამა-
ლი... ჭურები „ქუდს" იხდიან და მოდგაფუნობს „ნა-
მალი"...
იმე, რეთი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი,
იმერეთში — სამზეგრძელოთ, ვართ ღამეთა მთეველი.
იმერეთში შემოდგომა, ეშმაკისგან იჯმნება, იმ-
ერეთში, შემოდგომა... ღობიანად იჭმება!

### აფსუს!

აფსუს!.. ამ ლაფსუსებს რაღა გაასწორებს?
ახალი დროება ტეხავს და ასწორებს!
დრო აღარ ჰკირდება სიყვარულს ლოდინში —
აღარ ინაყება გრძნობა ამ როდინში,
ახლა „პაემანი"... პირდაპირ ლოგინში...
ბოდიში, ბატონო, ბადიშთან ბოდიში!..

* * *

კარგის მეტი რა მეთქმის წლების სიბერეზე,
თეთრად თოეს და თეთრად ათოეს ამ ფიფქებს...
მამაზეციერო, ნუთუ სიბერეზე...
კარგი ვერაფერი მოიფიქრე?
— სიბერე ბაბუობის ბარგია,
მზე გარეთაა და მზე შინა...
ბაბუობა... თოვლისაც კარგია —
უკეთესი რა მომეფიქრებინა!
ცამდე მართალია... რა მეთქმის,
მე კი აქ ეტყუიეარ — მიწაზე...
ჩასვლა მზის — წაქცევა (ღამით დღის) —
სიბერე — წამებით ეიწამე!

* * *

რევოლუციის შემდეგ, თურმე, ოზურგეთლებმა ფილიპე მახარაძეს უთხრეს: თქვენი ძმა კოლმეურნეობაში არ შემოდის და თავისი ნეზვი ღორი არ შემოყავს... იქნება თქვენმა ზემოქმედებამ უშველოს რამეო.

*მეშავებაში. გა-რთავებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მოჰენს. აპსოლუ-ტური სიზუსტე და მეტყველების სიცხ-ადე. თავგანწირვამ-დე მისული ყოვე-ლივე ამის განხორ-ციელებისათვის... ასეთი მოჰენი ჩემთვის რადიო-ინჟინერია. 1981 წელი).*

*. ლ ს*

*22.12.06..*

*იცით თუ არა, რომ...*

*...ქალები დღე-ღამეში საშუალოდ წარმოთქვამენ 7.000 სიტყვას, ხოლო მამაკაცები მხოლოდ 2.000-ს.*

*ფიდელ კასტროს მოკვლა 637-ჯერ უც-დიათ.*

*ადამიანი დღეში 11500-ჯერ ახამხამ-ებს წამწამებს. (თვა-ლის ხამხამის დამთვლელ კომი-სიას თუ და-უჯერებთ!).*

*ავსტრალიელმა მედიკოსებმა აღ-მოაჩინეს გენი, რომლის „დახმარე-ბითაც" ცხვირის ჩიჩქნა მემკვიდრეო-*

ფილიპემ გამოიძახა ღვიძლი ძმა და მაგრა შეჯორა — რას ქეია კოლმეურნეობაში შესვლაზე იკავებ თავსო?

ძმამ ძმას ძმურად ჰკითხა:

— ძამა, მართალია, ფილიპე მახარაძეს ოზურგეთში ძეგლს უდგამენო?

ფილიპემ თანხმობის ნიშნად მძიმედ დაუქნია თავი.

— ისიც მართალია, ოზურგეთს ფილიპე მახარაძის სახელი ერქმევაო?

ფილიპემ აქაც დააქნია თავი...

— ჰოდა, აბა, ეს ერთი ნეზვი ღორი, ჩემს სახელზე, რომ იყოს, ძამა, ამით, ვითამ რა დაშავდება? — ჰკითხა ნამეტანი გაღორებული ძმის და ერთი ნეზვი ღორის პატრონმა.

### ჩემს თაფმას!

ეს ცხოვრება რა არის?..
მიჭირს აზრის მიგნება.
ერთ წრეს კიდევ დავარტყამ — რაც იქნება-იქნება!
ჰოდა, მიდი-მოვდივარ, თქვენი შიყრი-კოდი ვარ —
კალმის ერთი მოსმაა და... მეორედ მოსვლაა!
ღმერთმა მიტომ ინება და მიტომ გამამგოსნა —
ჩემით რომ დაელოცა — თქვენი მეორედ მოსვლა!

### ჩემი ხნის კაცს!

თავი ყეხებზე ჰკიდია, დადის „ჩტზ“ — ტრაქტორით,
ანუ — სქოლიო-ფეხებით... და გულით — ძველი მოტორით...
იკითხავ: რა აქეს გაელილი, ამ „საბურავებ“-„მოტორსო“?
სპიდომეტრით თუ 80... დღეს ღამეც მიემატოსო!
იმ ათას ერთი ღამიდან — დღესა მეტი აქეს სათქმელი,
დასაბამიდან აქამდე — მზე იყო მისი სარკმელი!

* * *

აქ ცხოვრება — იქ ცხონება... სად-რომელი — რამდე ღირს?
თქმითაცა და უთქმელადაც,
ჩვენში დარჩეს — რაც მეთქმის!
აზრზე მოხვალ — ხიდზე გახვალ, დაქეიფობ და ოხრავ:
ან ცხოვრება გამოგხრავს და ან ცხოვრებას გამოხრავ!..

### გლობალიზაციის კატასტროფა!

ზესახელმწიფოს მეთაური, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, ძველი ტფილისის აბანოთუბანში, ერთმა ძველმა კინტაურმა და დუდუკმა... სულ მარტივ მამრაველებად დაშალა!

სტოპ—კადრი ღირდა
ამ ერთ სტროფად —
ეს იყო გლობალიზაციის
კატასტროფა!

---

*ალფრედ ადლერი: საზოგადოება თავად ითხოვს, რომ გაასულელონ.*

*იოანე-პავლე II: ყველაზე საშინელი ციხე — დახურული გულია.*

* * *

ვარ ქრისტეს მთაზე!
ვარ გოლგოთაზე!
მაცხოვრის საფლავს ენთები სანთლად!
...ასე იწყება ჩემი ცხოვრების –
სხვა წელთაღრიცხვა და წელთა ათვლა!
...სისხლი ჯვარცმისა, არიმათელმა –
ქრისტეს კვართიდან – გრაალის თასში –
წვეთ-წვეთ აგროვა – სისხლი... ვემართებს და
ღვთის ბედისწერას ეწერ მე ამ ვალში!
ქრისტესმიერო,
სულო ძლიერო,
სვეტიცხოველო – მაცხოვრის ტაძრის...
შენ ზეციერო, ერის იერო –
მირონცხებისა მირონი გაზის!
ძმანო ქართველნო,
გრაალის მცველნო,
ღვთით გვიწვევს
„ოქროს საწმისის" მწყემსია,
რომ სადღეგრძელო –
ამ თასთა თასით და
მოთმინების ფიალით შევსვათ!

* * *

კაცი, როცა კაცებს... ქალებივით იცვლის...
არაკაცია და კაცობაზე იცრის.
არ მწამს ისეთების, არც ფიცი – არც მტკიცი –
რა კაცია როცა, ეშმაკმა თუ იცის!

* * *

მთელი ჩემი ქონება –
ჭირი არი და ლხინი,
მთელი ჩემი ცხოვრება –
კითხვაა(?) და ძახილი (!).
მე, ყველაფერს, ამ ნიშნით
ვხსნი და ვაანალიზებ –
ვარ კითხვის და ძახილის –
?იზო ნიშნიანი!ე!

* * *

სიბერემ ნოტა გამომიგზავნა — შემომაპარა თმაში ჭაღარა: თვალი-გათვალა, ყური-მინია, მუხლი-მიმუხთლა, შუბლი-დალარა. თავი ნამართვა, ველარ გამართვა, სული ვერ მოკლა, გულს ჩამაბარა... ვერ მაჯაბანა, განმწმინდ-განმბანა, ჰოდა, დამტოვა ღვთისანაბარა!..

...ბით გადაიცემა...

ტაიდა ბრეგვაძე:
„რას ვზეიმობდით?" მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ ვინ იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების მე. მ ო გ ზ ა ვ ნ ი ლ ი ჯალათები. ვინ იყო მოროზი, პანკრატოვი, მამერკინი, პოლისოვი, თვალქრელიძე, რაფავა, ცალასხაძე, ხავიცკი, წერეთელი, ძმები აივაზოვები, დავლიანიძე, გოგლიძე, ქობულოვი, კვანცალიანი, კახიანი, ლოლობერიძე...

ტროცკის სიტყვებით: თუ საქართველოს დატოვება მოგვიწევს, კარს ისე გავიჯახუნებთ, რომ ქვა ქვაზე არ დარჩება.

P.S. დალახვრის ეშმაკმა, ტროცკის სიტყვებს აგერ როდის მოუწია ასრულებამ.

ფ რ თ ხ ი ლ ა დ, ქართველებო!

ჯონ სტაინბეკის „რუსული დღიური-დან":
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ზღაპრული ქვეყანაა და იმ წუთიდანვე.

ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი...
და ერჩები ასე ბებერი ბიჭი!
სიბერეს მე არ დაენებებივარ —
ღმერთი მიყვარს და ღმერთს ვუყვარებივარ!

* * *

აქ, ქვემორე ჩამოთვლილი,
ეს ისეთი გვარებია,
სადაც ღმერთი ურევია
(ე. ი. ღმერთსაც — ყვარებია!)
უფლისაშვილი...
ღვთისიაშვილი...
ქრისტესაშვილი...
ჯვარშეიშვილი...
P.S. უპირველესი „ნიშანი" თუ მაცხოვარის ჯვარია —
ნიშნიანიძის გვარიც ხომ — ქრისტესმიერი გვარია!
ჯვარი გვწერია!

* * *

...თუ წერა — ბედისწერაა,
მწერალსაც ჯვარი წერია.
ალალი იყოს, რაც თქვენზე
მითქვამს და დამიწერია!
ზურგს უკან თქმულიც მითქვია,
გულში ნათქვამიც მითქვია,
სულშიაც ჩამიხედია,
მითვალთვალ-მითავხედია!

## მთლად საიდუმლოდ!

### (სიკვდილთან გახუმრება)

თავში — არა და — ბოლოში!..
ამ ქვეყნის ამაოებას —
მაშინღა მიხვდა დროებას —
ერთ ფეხზე ცხვარი რო ება.
სული წაძლევს თუ წაუვა...
და გააურჟოლებს ციე საფლავს,
ოხშივარი რო აუვა,
ცხვრის ყაურმას და შილაფლავს.

❖❖❖

*ნაპოლეონ პირველი: გადატრიალებებს სტომაქი ახდენს.*

*ბერტოლდ ბრეხტი: უბედურია ქვეყანა, რომელსაც გმირები სჭირდება!*

*ჯეიმს ლოუელი: სიმართლე-ეშაფოტზეა, ბოროტება — ტახტზე!*

* * *

რაც უფრო გიჟურად მოიქცევი — მით უფრო გავხარ ქართველს.

ტყუილად ხომ არ დაგვარქვეს ჩვენმა ძმებმა-სომხებმა — „გიჟვრაცუები"!

ტყუილად ხომ არ დავირქვით „შერეკილები"!

რაღა დაგვრჩა „გარეკილობამდე"???

## მთლად გაფრენილი ლექსი!

...ზედ ცხვირის წვერზე დამაჯდა ბუზი...
აღმოჩნდა ბოზი — მეგონა მუზა!
წამოაფრინდა მეორე ბუზი —
ჩემს თვალწინ — ცხვირზე — ბუზი წაკუზა!
ასე დავესწარ ბოზ-ბუზებს სექსზე...
ვიდექი „ზექსზე"!

* * *

დავბერდი და დავრჩი ისევ ბავშვი...
როგორც კიკო — ვაბზრიალებ „ჩიკორს".
ვეშმაკობ და მაინც ვძულვარ ეშმაკს,
თითქოს დიდი ანგელოზი ვიყო.
რა ვქნა, ძმაო, ვერ ველევი სიყრმეს.
სიჭკვიანეს — სისულელე მიჯობს:
ჭკუა, ხანში, იმატებს თუ იკლებს?..
თურმე, ზოგჯერ უნიჭობაც — ნიჭობს!

## ძველი სიმღერის ახალი სიტყვები

„დოქის ტუჩი მირჩევნია ქალისას" —
„პარახოდი ვკავ-ვკავ გალისა"...
წინა კაცი — უკანასთვის ხიდია,
წინას ყველა ერთ ადგილზე პკიდია.
ცხვრებივით ვართ და თხებივით გვყიდიან —
„დღეები კი მიდიან და მიდიან"...
ხელის ჭუჭყმა სულ დაგვიფსო თვალები,
სახელმწიფოს ვალებს ვიხდით ვალებით...
რის ნამუსი და ალია-ბალია —
კაცი-კაცს და ქალს არა ჰგავს ქალია...
აგვერია ახლით გზა და კვალია —
ძველით ველით... აღდგომა და ხვალეა!
ჭკუით იყავ, თუ კი ჭკუა გეყოფა —
გასაყოფი გაუყავი მეგობარს!

*როდესაც ჩვენ დავტოვეთ იქაურობა, იგი დაემსგავსა სიზმარს. საოცარი ადამიანები ცხოვრობენ საქართველოში. ეს ქვეყანა მართლაც ერთადერთი უმდიდრესი და ულამაზესი მთელი დედამიწის ზურგზე. და ეს ადამიანები ღირსნი არიან მისი. ჩვენ უკვე მშვენივრად მივხვდით თუ რატომ ჩაგვჩიჩინებდნენ რუსები: ვიდრე თქვენ საქართველო არ გინახავთ, ჩათვალეთ, რომ ჯერ არაფერი გინახავთო*

P.S. *კიდა, როგორია „რაც გინახავს, რომ ვეღარ ნახავ"?.. „მერჩეულს ნუ მოაკლებო" — ისიც ხომ გაგვიგია, ან ისიც — „რაც ჰყრობას დაუნგრევია"!..*

*რიჩარდ მაილსი* (*აშშ-ს ელჩი საქართველოში*): *„1947 წელს... სახელოვანი ამერიკელი ფოტოჟურნალისტი რობერტ კაპა და ნობელის პრემიის ლაურეატი მწერალი ჯონ სტაინბეკი*

## კეთილმოწყობისა თუ კეთილმო..ცყეემელობის თემაზე!

**(ფუნიკულორის ანძის — გაბანძება)**

ნათლის სვეტი გეედგა და იქცა ბიუტერიად...
აამიმილ-პიპილეს... რაერი სამზერია?
თვალს ჭრის მისი ბრჭყვიალი, გულსაც ეკლად ესობა —
თქვენო უმცირესობავ, თქვენო უმრავლესობავ!
ელექტრონის ბურძგლები ახლაც ტანში გვზარავსა...
ვერც კი ამჩნევს ქალაქი — ტვინის ჭყლეტის ზარალსა!
ნეტავი არ მენახე — უნახავმა რაც ენახე —
როდემდე იყურყუტებს ეს ნატვრის თუ ნაძვის ხე?

**P.S.** თითქოს მიმიხვდნენ გულის ნადებს და ეს ანძურ-ბანძური ყრუან-ტელი ულამაზესი ფერადი გამონათებებით შეცვალეს, რაზედაც მინამდე თავს ვუხრი ამის თაოსნებს!

* * *

სადღა არის სამუშაო, ან შრომას აქვს რა აზრიო?..
კი არ უნდა გაიშვირო — ხელი უნდა გაანძრიო!
ვერ გაიგებ ვინ — რით ცხოვრობს? ვის წყურია და ვის შია?
ახლა ბევრი „მათხოვრობს“ და „მათხოვრობის“ ბიზნესშია!
ბიზნესი და ბისლექსი თუ ერთურთს ასე ერითმება —
პე, უფალო, დღეს უფულოდ ლექს-ლუქსები არ ითქმება!
აბა, როგორ!

* * *

ჩვენს დროს სად იყო სათამაშოებისა და ტკბილეულობის ეს ინდუსტრია?

თვითნაკეთი „სამოკატკები“, „რაგატკები“, თოფ-დამბაჩები... იაფფა-სიანი სალოკავი „მამალოები“, „გოგლი-მოგლები“ და მისი ჯანი!

ამიტომ „ვარსკვლავებს“ ვეთამაშებოდით!..

კასრების სალტე-რგოლებს დავახრიგინებდით...

ჯოხ-ცხენების დოღში სირბილით ვკვდებოდით!

ჰოდა, კიდეც გვყავდნენ მარგალიტივით გოგოები და ვარსკვლავივ-ით ბიჭები და აგერ, სად ამოყვეს თავი!.. დღეს ჩვენი თაობის ვარსკვ-ლავებს... სწორედ ვარსკვლავებს უხსნიან... ყოველ ნაბიჯზე!

ბიძინა კვერნაძეს ვუთხარი (მისი ვარსკვლავის გახსნის წინ):

— ჩვენი ბიჭები და გოგონები ვარსკლავებს რომ ვეთამაშებოდით, იმიტომ გვიხსნიან დღეს ვარსკვლავებს-მეთქი.

მე, ვერაზე, იმ „პაემანით“ გავუხსენი ჩვენს თაობას ვარსკვლავი — იმ თაობამ და მისმა ერთმა ქალბატონმა კი — კალმით-ყალმითა-თუ მარ-გალიტებით ხატმწერალ-მხატვარმა, თვითონ ვარსკვლავმა ნელი ბერა-იამ, ჩვენი თაობის სახელით, გამიხსენა და გამიხსნა საოჯახო „ვარსკვ-ლავი“. და არის ერთი ვარსკვლავცვენა, „სიყვარული გზად და ხიდად“, რომელზეც სიძულვილი ვერ გაივლის!

---

*მსოფლიო თვლის, რომ შევარდნაძემ ბერლინის კედელი დაანგრია. რუსები თვლიან, რომ შევარდნაძემ დაანგრია სსრკ. ქართველებიც მას „ედუარდ დამანგრეველს“ უწოდებენ...*

*ისტორია. ჯერ კიდევ. ვერ გარკვეულა ამ კაცის ისტორიაში — კარგი მეტი აქვს გაკეთებული თუ ცუდი? თუმცა... მარტო ამ უსუსური (ანუ სსრ) კავშირის დანგრევა რად ღირს!*

* * *

ერთხელ, თვითონ ყველაზე პოპულარულმა ქართლის კასრაძემ — ყველაზე პოპულარულ თბილისელად დამასახელა და ჩემს სირცხვილის გრძნობას სინითლე დაუბრუნა... მახლას, გამანითლა... მაგრამ მეორედ, როცა აკადემიკოსმა, ქალბატონმა თამარ დეკანოსიძემ, „ნიანგურად" რომ ვთქვათ — „მოკითხვისა და ნახვის ნატვრის" წერილი გამომიგზავნა, მაშინ კი თვალები შუბლზე ამომივიდა, როცა ჩემი მისამართი ამოვიკითხე: „თბილისი... გიზო ნიშნიანიძეს" (ლამის ისე რა — ატლანტიკის ოკეანე, ვიქტორ ჰიუგოს?!)

ამ წერილში, ქალბატონი თამარი, თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებს ვალდებულად თვლიდა, ჩემი მისამართი... უმისამართოდაც, ზეპირადაც სცოდნოდათ!

ამ ამბავში კი მთავარი ის გახლავთ, რომ — მე ეს წერილი სწორედ ამ „უმისამართო მისამართითაც" მივიღე!

მადლობა, თბილისო!
რა სიყვარულს, სიკეთეს ქარგავ...
შენ ხომ არავის და არაფერს არ დაუკარგავ!

* * *

Ангорской кошки дикий взгляд
И прелесть Иверской мадонны,
Но все манеры говорят,
Что вы мадам из Зестафоны!..

მომინდა პაოლოს ამ შედევრის თარგმნა და ვთარგმნე!

ანგორის კატის ველური გამოხედვა —
იბერიის ღვთისმშობლის ბრწყინვალე ტანდემი...
თუმც, რაღა დაგიმალოთ და, კოჭებში გეტყობათ,
რომ თქვენ, ქალბატონო, ზესტაფონელი
ბრძანდებით!

P.S. ზესტაფონელი ხარ, ბიჭო, შენე...
ზესტაფონელი ვარ, ბიჭო, მეცე...
მომიტეხე ჭადი, მოგიტეხავ ყველსა —
ზესტაფონელი ვართ, ბიჭო, შენცე და მეცე!...
არის ასეთი სიმღერაც!

აუ, რა დრო მაქვს ნატარები ზესტაფონში, ჩემს დედულეთში!

ტყუილად კი არ აურჩევია ჩვენს ოკრიბელ... ძუკნურელ რეზო გაბრიაძეს „დანიშნულების სადგურად" მელიტოპოლ-ზესტაფონი! ნამდვილი შერეკილები ...თუ არიან — აქ არიან... იურა არაბი-

ეწვივნენ საქართველოს. ისინი მოიხიბლენ ქვეყნით და ქართველი ხალხით.

„სტალინგრადიდან გავემგზავრეთ საქართველოში. სადაც ჰიტლერელებს ფეხი არ დაუდგამთ საქართველო არის საბჭოეთის და შესაძლოა მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი მხარე...

წვეულება გაგვიმართეს. რომელიც დაიწყო ტრადიციული სადღეგრძელოებით.

საღამო, რაც უფრო გრძელდებოდა — სადღეგრძელოები მით უფრო მოკლდებოდა...

ყველანი ვცეკვავდით და ვმღეროდით ალიონზე ჩემმა მეზობელმა ხელი მხარზე გადამხვია და წარმოთქვა ყველაზე საუკეთესო სადღეგრძელო — თუ რა უნდა ვქნათ პოლიციას (საკმაოდ უწმაწური გამოთქმა იხმარა)".

<u>აკადემიკოსი სერგეი კაპიცა:</u>

„ღვინო ღვთისაგან გვაქვს"

ბოლო ხანებში, რაკი ფიზიკამ კვ-

ძის თამადობით! (ხომ დავაჭერინე ეს ძახილის ნიშანი ხელში ყანწივით!).

ზესტაფონს თუ გადაურჩი... ქუთეისში გიტირებენ და გილხინებენ ყოფას!

ახლაც ბონდოიას თუ ბონდის ხიდზე დავქანაობ, ბებიაშვილებში — ბებიაჩემის მუთაქებს ვქექავ, ბონდერი კეთილაძის ბიჭთან ერთად მის კეთილებში ვტრიალებ და ხელჩართულ ჩხუბში, საყვარელიძეების სიყვარულში თუ ვარდოსანიძეების (ჩემი დედულეთის) სურნელში ვარ!..

დედამინის ზურგზე სად ნახავდი ბიძაჩემის — ალექსანდრე მხეიძისთანა კვიცების გამხედნავ კაცს, ბრეჟნევთან რომ აქეს გადაღებული სურათი! ან შვეტიასთანა ჭკუის კოლოფს — კოპიტნარიდან ჩამონერილი ძველი თვითმფრინავი ესკორტით რომ ჩამოაგორა ზესტაფონში, მერე რესტორნად რომ გადააკეთა და ახლა მინაზე რო „აფრენს"!

* * *

..37-ს რომ ვიხსენებთ... ტანში გვზარავს, ტანში გვცრის —
ისტორიას რას ეტყვი და ისტორია რას იტყვის?
სსსუუ... კედლებსაც ყური აქვსო — ვაჭირე ენას კბილი...
— მართლა? — ტყვილა ვკითხულობდით —
აღმოჩნდა მართლა ტყვილი!
კარზე კაკუნს რომ იგებდა — გულიც ბრახუნს იწყებდა,
იმ სისხლიან 37-ს ახლაც ვერ ვიეიწყებ და...
იდგა ჟამი უჟამობის — არქალიზმ-არკაციზმი;
არქაიზმი — სხვა ქარიზმის — ტროცკიზმი და მარქსიზმი.
რევოლუციის ხნისა ვარ, მასთან ერთად დავბერდი...
პოდა, მასთან შეხუმრება — იმიტომაც გავბედე!

## „პაემანის" სადინაროდ!

ღმერთმა ინებოს, რომ სანაქებოს და საგანგებოს ჩვენს ეთნოს-ეპოსს...
სულ მისხით-მისხით და მამა-სისხლით, სულით ეკვებოს და შეგვაგებოს —
სიძველით ახალს — სიახლით ძველსა —
გენიალურსა, ჩვენს ქართულ გენსა...
დაე, იმიერ, დაე, ამიერ — პქუხდეს და სჭექდეს მრავალჟამიერ! —
საეკლესიო,
ძველი ცედური,
ის ჯანსუღური —
ეს გულის ყური —
არ წარმავალი — მრაააველი...
ხმა ღვთისნიერი — ჟაამიერი!

---

*ვილპელმ შვებელი: განწირულია ის ქვეყანა, სადაც სიმართლის ცოდნა სახიფათოა.*

*იოპან მაიმე: ხალხს, რომელიც ერთი ადამიანის დაკრულზე ცეკვავს, ტაში... ყბაში!*

*რობესპიერი: რესპუბლიკა დაღუპულია, იწყება ავაზაკთა ბატონობა.*

### ჭორი თუ მართალი!

ტაშტის გატეხვის, ტეხვის ხმა...
დაირხა ხმა და დაგეერხა!
ზოგი თოფიეით გაეარდა
და ზოგმა გაინავარდა.
ჩემი მტრის პირში ჩაეარდა –
კაცი მართალი, ალალი,
ტყუილს – ტყუილის ვალი აქვს,
მართალსა მართებს მართალის!

### როსტომ ყენიას

ერთი ტოლუმბაში იყო –
იყო არაკ-იგავში...
ყელში – სალამური ედგა,
ქარიშხალი – ჭიქაში!
და ძახილის ნიშანიეით –
ხელში ყანწი ეჭირა...
წარმართულ ლექსს კითხულობდა...
ზღაპრულ „ხარის ბეჭიდან"!
სხეამზე ლოცვას შეალია –
სადღეგრძელო თაეისა.
ესეც „იგავ-არაკია" –
„მგელისა და კრავისა"!
თავმდაბალი კაცი იყო –
ენამდე უაღკირო...
კაცობაში მკაცრი იყო –
სიყვარულში დაღვრილი!

### „დრონი მეფობენო და არა მეფენი".

#### (ისტორია ყველაფრის ამტანია)...

ტაშფანდურს...
ყელფანდურს ყელი ელერება –
აური-მაური-ხარხარი-ხმაური...
თუმც, არც გეეცეკვება – არცა გვემღერება!
„დრონი მეფობენო" სხვა დღესასწაულით!
დრო წაახდინეს და დროთი წახდნენ.
დრო ამ „ლატარიამ" გადარია –
უწინ რომ თურქეთში ტყვეობას ეძახდნენ,
ახლა ის ანტალიაში ტანტალია!
ქართველის ჭირს, მართლაც ვერავინ ვერ მოთელის...
ამ ნიჭით საჩინო რაღამ გაგვაჩინა?
მიზეზებს რა მოთელის, თუმცა პირველყოფილის,
ჩვენ...
უდარდელობამ გადაგვარჩინა!
და ამ გამძლეობამ „ღობე-ყორის"!
ქართველი-ქართველს რომ ძმურად ემტერება –
არც „მტრობა" – არც „ძმობა" არ დაეჯერება.
და სწორედ ეს არის ის „ბედნიერება" –
კაცის სატირალზე – კაცს რომ ემღერება!
...იქეთ შუაკაური და აქეთ კიდე – მრავალიიიი!..

დღეისათვის მხარდაჭერა აღარა მაქვს. კაცობრიობის რიცხოვნობის ზრდის საკითხს მოვკიდე ხელი – ფიზიკის მეთოდების გამოყენებით. კაცობრიობის განვითარების მრუდიც შევადგინე: თვით წარმოშობიდან დაწყებული. ეს რიცხვი იზრდებოდა და 2000 წლისათვის 6 მილიარდამდე ავიდა. ამჟამად ყველა საფუძველია იმის სავარაუდოდ, რომ ერთობ მოკლე დროის – ასე ასი წლის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობა „დასტაბილდება".

ამერიკაში ატომური ბომბი მთელი მეცნიერების ძალისხმევით იქმნებოდა, ჩვენ კი ეს პრობლემა მარტოებმა გადავწყვიტეთ. ჩვენი ფიზიკოსების წვალებით ამ დარგში უნიკალური წინსწრებაც გამოგვივიდა და წყალბადის ბომბი ამერიკელებზე ადრეც და უკეთესიც გავაკეთეთ.

„საქართველოს რესპუბლიკა"
16.08.06

* * *

კაი საჭმელი ის არის, რომელიც... შესაჭმელადაც არ გემეტება და თუ პირი ნაგიცდა — ეღარ მოიპირები... ან მაძღარი შურით უყურებ ახალშემოსნრებულებს, რომელსაც ანი აქვთ სათოხლავი, ის, რისი მონელებაც კი გენანება.

კუჭი მოვატყუოთო, — ამბობდნენ ჩვენი ნინაპრები და არც ფერი აკლდათ და არც ხორცი. ახლა ყველანაირ ტყუილს იკადრებს კაცი, ყველას მოატყუებს, ვის მოტყუებასაც შეძლებს და საკუთარ კუჭს რავა კადრებს მოტყუებას (თავის მოსატყუებელი კბილი მოცელილიც რომ არ ჰქონდეს!).

ვიღას ახსოვს ქეი-ქაუსის შეგონება: ერიდე თრობის თასსა და ძღომის ლუკმასო!

დადიან მუცელღმერთები ამ 9 თვიანი კულინარული ფეხმძიმობით და, ლამისაა, მუცელს გადაყვენ.

არადა, ქართველი ქალები ქართული სუფრის ჯადოქრები არიან!

ერთ დროს, ნიკო ლორთქიფანიძე, ერთი შტრიხით ხატავდა იმერულ ესკიზებს: „იმერეთში რამდენი კორტოხია — იმდენი ბატონიო!"... პერიფრაზით ვიტყვი: ჩვენში რამდენი დიასახლისია — იმდენი სახლი, რამდენი მასპინძელი — იმდენი სუფრა!.. დანარჩენი ოჯახები — საერთო საცხოვრებლები — უსტუმრო სასტუმროებია, რომლებიც მარკეტებით, საზკვების ობიექტებით იკვებებიან და არც კი იციან, ვის საცივს მიირთმევენ და ვის მოზელილ ღომში ურევენ ხელს.

ახლა, საქართველო ჰგავს ერთ — ნიკოფსიიდან-დარუბანდამდე კი არა... ახმეტიდან — სარფამდე გაშლილ სუფრას, სადაც ერთნი ჭამენ და მილიონები პირში უყურებენ.

საიდან დავინყე და სად გავედი!

კუჭის მოტყუებით თავს ვერ მოვიტყუებთ.

მუცელს „ვაქორებთ — ქორია, ვაღორებთ — ღორი"!

გამძღარი კაცის ლაპარაკიც კი ღრუტუნს ჰგავს.

* * *

სიჭაბუკე სიგიჟეაო, — მგონი, სულაც, არისტოტელემ ბრძანა და მეც — გულახდილად რომ ვთქვა:

სიჭაბუკეში, ბატონო, მიტომ ვიქეცი მხეცადა,
მე, რაც არ უნდა მეცადა, თავისთვისაც არ მეცალა...
იმდენი მწყერები გვყავდა, რომ სულ წყვილ-წყვილად ვაფრენდით,
საქებარს — ვაგინებდით და საგინებელს კი ვაქებდით!
განში ეშმაკი მეჯდა და სულ ანგელოზებს მიფრთხობდა
და როცა გამაეშმაკა... ეშმაკი იქეთ მიფრთხოდა!
მიყვარდა ვირზე შეჯდომა და ვირიც მეჯდა ჯანშია —
კაცის სიგრძე და სიგანე — არც სიგრძეში — არც განშია!
კაცი სიკეთით იცნობა, ვით ხე იცნობა ნაყოფით —
ჭირსა და ლხინში ძმობით და ჭირის და ლხინის გაყოფით.
ოხერტიალობს ცხოვრება და ჩვენაც ვოხერტიალობთ.
ბრძენს უთქვამს: ვაყა ცხენებსა — ურა კეიცებით ზრდიანო!

# მეღის წრეს ვერ გაიგებ!..

...ფიქრობდა კაცი და წუხდა:
ერთი რომ გააბურმუხტა —
მეორეს რატომ უმუხთლა?...
ფიქრობდა კაცი და წუხდა...

* * *

რას ჭიკჭიკებს, ნეტა ჩიტი ნიბლია?
აბულბულებს, ალბათ, ჩიტის ბიბლიას!
ხო-ხო-ხო-ხო... რას უბერავს დისკანტით...
მისი საწერ-კალამია ნისკარტი.
წერს ლექსებს და მერე ყელსაც იღერებს —
გეგონება, მღერის გედის სიმღერებს...
...ტყესთან ერთად გასუსული ვისმენდი
და მესმოდა ფოთლის აპლოდისმენტი.

* * *

...რამეს თუ აქეს, კოსმოსსა აქეს კოსმიური
ეთიკა —
ვარსკვლავურ-ასტრალური — ასტროენერგეტიკა...
კუდიანი ვარსკვლავი — ფიქრში დაიწრის,
აბოტებს...
დგახარ მთვარეულივით და ლექსები გაბოდებს.

* * *

ჩემს სახელს (ალბათ ეს ხმამაღლა არც კი
ითქმება)...
მგონი არცერთი კარგი რითმა — არ ერითმება...
თუმცა, ერთ-ერთი — ჩემი ღმერთი, რაც იმედს
მგერისო.
ლექსად რომ ვაფრენ — მეძახიან:
გიზო, შე გიჟო!..
სჩანს, სიგიჟეა ერთადერთი გამოსავალი
ამ ქვეყანაზე — ლექსის ყანის სხვა მოსავალი,
რომ კაფო-თესო-იმკა... სული გეჭიროს პირში —
ლხინივით ჭირში იყო, როგორც ჭირივით ლხინში!

* * *

„არ მომიპარავს — მიპოვნია, ახლა ჩემიაო" და...
„პატარა გოგოს სიყვარული,ოხ, რა ძნელიაო!"
ერთი ცინგლიანი გოგოს სიყვარული თუ ასე გვი-
ჭირდა — ამ მზიური, მაგრამ მაინც მზეთუნახავი

---

დეილ კარნეგი:
„სამუელ ლაიბოვიცმა (ადვოკატმა) 70 ადამიანი იხსნა ელექტროსკამიდან. როგორ ფიქრობთ, რამდენმა უთხრა მადლობა? აბა, გამოიცანით... სწორია — არცერთმა!"

იესო ქრისტემ ერთ დღეში 10 კეთროვანი განკურნა. აქაც, მადლობელი... არცერთი!

პლატონმა (ძვ. წ. აღრიცხვამდე V ს.): თავის სამოდელო ანუ იდეალური სახელმწიფოდან უპირველესად სატირები და მსახიობები გააძევა!

P.S. დღემდე ვერ გაგვიგია, რას გვერჩოდა ბატონი პლატონი სატირებზე?..

ერთი რომაელი სატირიკოსის პერსიუსისთვისაც ეკითხა: ერთ კაი ხუმრობას „ილიადა-შიც" არ გაუცვლიდიო!

წარმოიდგინეთ სიცოცხლე სიცილის გარეშე და თვალში თითს ვერ მიიტანთ, ისე დაბნელდება!

ეს, ბნელა მთვარიან ღამეში?

საქართველოს სიყვარული როგორღა ვზიდეთ, აგერ, აქამდე!

...ჩვენ ახლა ვესწრებით ქვემორე სტროფის დაბადების „ტექნოლოგიურ პროცესს"!

ამ ფიქრებით დაიწყო და ამ სიტყვებით დამთავრდა ეს ლექსი:

ალია — ბალია —
ეს მთა და ბარია —
სამოთხის კარია —
ნაღდი ბლაპარია —
ღმერთით მიპოენია —
არ მომიპარია —
ღვთისმშობლის ხვედრია —
ქართველს აბარია!

## შესანდობარის მაგიერ!

...კაცის, ვინაც, თავის აღმართს, ხნავდა მუდამ სხვისი ძალით...
კაცის, ვისაც, არ ახსოვდა ქვეყნისადმი კაცის ვალი...
ვისაც სხვისთვის არ ეცალა — იყო მისთვის, ერთი ცალი...
ასეთების არ გაიშვა — არცა ხორცი, არცა ძვალი!

„შესანდობრად" ცოცხალ-მკვდარის — თეთრი ლექსი — შავი ბწკარი...
ვინც აუდა ფარი-ხმალი, შინაც იყო... გარეწარი!
აიშორა შარი-შური, გაიხურა, ვინაც კარი...
„ცხოვრებიდან-ცხონებისკენ", ფეხაკრეფით გაიპარა!..

P.S. ნახეთ, რა ხდება თბილისის სასაფლაოებზე!.. აქ სააქაოში რომ კომუნისტობით პარტიულობით ხორცს ალაღებდნენ — იქ საფლავებზე, ჯვრებით უნდათ სულის ცხონება! სააქაოში — კაცს ატყუებდნენ, საიქიოში — ღმერთს!

ღმერთმა შეუნდოთ, თუ მათი ცოდვები... „ღვთის წყალობას არ გაცდა"!

საიქიოში, მხოლოდ, მართალნი ნეტარებენ!

და ეს მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა ქარონის ნავით ლეთას (დავიწყების) მდინარეს გადავცურავთ და ოსირისი, სულ წვრილ-წვრილად, ფრინველის ბუმბულით — სკრუპულით და სკრუპულოზურად აწონის კაცთა ცოდვებს!

აი, მაშინ, ზოგიერთის ბურდღაც არ დარჩება!

* * *

ჩემი არშინით გავზომე
ცხოვრების ჭრელი ფართალი...
რად მინდა იგი სიმართლე —
მარტო მე ვიყო მართალი!

---

*სერვანტესი: ყველა ღორს დაუდგება წმინდა მარტინის დღე, როცა მას საზეიმოდ დაკლავენ.*

*ეს დღე ჩვენში კალანდობაა — ღორისთვის — პანაშვიდი და ჩვენთვის ლხინი.*

* * *

ჯიშიანი ძაღლები და ყვავილები
თვალს არ მტაცებს...
ქუჩის ძაღლებს — მამაძაღლებს,
მინდვრის ტურფებს — თვალწარმტაცებს —
მე ვეძახი ნათავხედარს,
ბუნებისას...
სილამაზეს —
ცხრა მთისა და ცხრა ბარისას,
რომ გიყეფს და გხვდება გზაზე!..

* * *

ლატარია, ყველა დროის მსოფლიოს უდიდესი თვალთმაქცის — გრაფ კალიოსტროდ წოდებული იტალიელი აფერისტის მოგონილი ყოფილა:

ლატარიაც ისეთივე შარლატანობაა, როგორიც მისი სულის ჩამდგმელი კალიოსტრო.

* * *

გაზეთ „ასავალ-დასავალში" (2004 წლის 11-17.10) წავიკითხე შეფ-რედაქტორის, ჩემი ე.წ. „დაუსწრებელი" მეგობრის — ლაშა ნადარეიშვილის ერთი სტროფი, რომელმაც გამაოგნა. რახან სიტყვა-ნახევარი მთქმელისაა და ნახევარი გამგონის... გამგონის უფლებითა თუ მომგონის ნებით, თავს უფლებას ვაძლევ, ამ ერთადერთ სტროფს, რომელიც მის ავტორს საპოეტოდაც ეყოფა და ცხოვრების საგზლადაც, ჩემს წიგნშიც „გამოვუყო" საკარმიდამო ნაკვეთი!

ძვირფასო,
ჩემი სათხოვარია:
როცა ქუჩაში მათხოვარია...
ნუ განიკითხავ —
რა ცხოვარია,
იქნება სულაც... მაცხოვარია!

* * *

ერთი ჩეხური მკრეხელური ანდაზაა: ღმერთი მაშინ გწამს, როცა შენი თავის არ გჯერაო!

თავდაჯერებული ნათქვამია, მაგრამ მთლად უღმერთოდ ნათქვამსაც არა ჰგავს.

ოთარ ჩრდილელის ხელმოწერით „ალიაში" (9.X.2000) წერია, რომ 1993 წლიდან, არძინბას სეპარატისულმა რეჟიმმა სოხუმის ქუჩების ქართული დასახელების გადარქმევა დაიწყო. ბაშკირსკაია (ადამიას ქუჩა), ვაინახის (გელოვანის ქუჩა), ადიღეის (კუხალეიშვილის ქუჩა), ჩერქეზის (ყაზბეგის ქუჩა),

---

<u>გოჩა სიამიძე:</u> „ჩემი სული ეკუთვნის ღმერთს, გული — სამშობლოს, ხოლო ლემი თქვენ დაგრჩეთ ს ა ჯ ი ჯ გ ნ ა დ, ჯალათებო!" — ალბათ, ბევრს სმენია ეს სიტყვები. ბევრმა ისიც უწყის, რომ მათი ავტორი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია გახლავთ და ამ სიტყვებით მომართა მან საქართველოს დამპყ რ ო ბ ე ლ - დ ა მ მონებელ ქართველებსა თუ არაქართველებს — მის წინააღმდეგ მოწყობილ სასამართლო პროცესზე.

„ქართული უნივ ე რ ს ი ტ ე ტ ი"
8.06.04.

<u>გიორგი ერემეელი:</u> საქართველოს ამჟამინდელმა ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა მ ალექსანდრეს ბაღში, გოგოლის ნაზიუსცარზე, ახალი რუსული დემოკრატიის ბაირახტარს, ანატოლი სობჩაკს დაუდგა ძეგლი.

P.S. ან გოგოლს რას ვერჩოდით ან მის „რევიზორს"?

აბაზინის (ლესელიძის ქუჩა), თათრის (შემოვლითი გზატკეცილი), სლავების (გუმისთის ქუჩა), ალანების (ფილიას ქუჩა), კაზაკების (შუქურას ქუჩა), შამილის (თარხნიშვილის ქუჩა)...

რუსების პატივსაცემად კი ქართული სახელები შემდეგნაირად შეიცვალა: სახაროვის (ოქტომბრის ქუჩა), ვავილოვის (კვარაცხელიას ქუჩა), ოსტროუმოვის (მიმინოშვილის ქუჩა), სოლოვიოვის (სვანიძის ქუჩა), ბუბნოვის (ცხაკაიას ქუჩა).

აფხაზებმა არც თავიანთი ცრუისტორიკოსები და თანამოძმეები დაივიწყეს: აირიას (კიროვის ქუჩა), ბასარიას (კუიბიშევის ქუჩა), ჩოჩუას (კალინინის ქუჩა), „აიდგილარას" (ფრუნზეს ქუჩა), კოლონიას (ნულუკიძის ქუჩა), ინალიფას (მარქსის ქუჩა), ლეონის (ლენინის ქუჩა), იური ვორონოვის (პლასტუნკის ქუჩა), ავიძბას (ჯიქიას ქუჩა), ძიძარიას (ჩოჩუას ქუჩა); თბილისის გზატკეცილს — კოდორის გზატკეცილი, ყველასთვის საყვარელ რუსთაველის სანაპიროს კი მოჰაჯირების სახელი მიენიჭა.

P.S. ასეც ხდება, როცა კაცს ღმერთის არა, და საკუთარი თავის კი ზედმეტად სჯერა.

როგორც იტყვიან — ადრე თუ გვაიან — ამ ქუჩებზედაც მოვა გაზაფხული!

* * *

ძველ საქართველოში კაცის კაცობის 63 წესი არსებულა და ამ წესრიგით ცხოვრობდა ერი.

აფსუს... მარტო ლევან სანიკიძემ ქართველთა 369 სირცხვილი დათვალა.

ახლა კი, ქართული სირცხვილები რიცხვით ხსოვნასაც გასცდა, ალბათ!

საქართველოს ისტორია არც კარგს და არც ცუდს... არავის, არაფერს დაუკარგავს!

* * *

ცანგალამ და გოგონამ... (ცანგალა და გოგონა ეძახე შენ) დაიპყრო მსოფლიო!

ქართულმა ცეკვამ ფეხისწვერებზე შემოიარა ჩვენი პლანეტა, რომელიც, სამწუხაროდ, არც ისე დიდი აღმოჩნდა, როგორიც გვეგონა! „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცესო" — ხანჯალიც კი ... ცეკვაში — საბრძოლოდ თუ ბრძოლაში — საცეკვაოდ გამოიწვია ბარდნალელმა ბიჭმა — ლადო ასათიანმა. ქართული ცეკვის ფეხქვეშ... მართლაც მიწა იწვის! ქართული ცეკვა — ბრძოლას ჰგავს და ბრძოლა — ცეკვას! როცა ფრიდონ სულაბერიძე ცეკვავს, მისი გასმის დროს, ფეხებს ნაპერწკლები გაუდის. ომარ მხეიძე რომ ხელს გაშლის, ასე მგონია, მთელი საქართველო ეტევა მის მკლავებში და კლდის არწივი დაგვეტრიალებს თავს!

„დოლი მღერის, ვათამაშებ ამ პატარას — იმ პატარას" — აცეკვებს ლექსს ერთი ძველი საბავშეო პოეტი, გვარად სიხარულიძე (ოღონდ, ამჯერად გივი, არა!) და ამ დამპიტაურ-დიმპიტაურში ამერიკის პრეზიდენტიც კი „დავმალეთ" მარტივ მამრავლებად — ავაცეკვეთ, მეცხრე ცაზე

*ჰენრი მენკენი: მთავრობა არის შეთქმულება პატიოსანი ადამიანების წინააღმდეგ.*

*ალექსი გიგაური: რაც არ უნდა გამდიდრდეთ, გახსოვდეთ, რომ მიშველი დაიბადეთ.*

ავიყვანეთ, სადაც, მსოფლიო ახალ საოცრებათა შორის, დედამიწას დასტრიალებს ჩვენი კოსმოგენური „ჩაკრულო"! ცოცხალი ქანდაკებები — ძეგლებად იქცევიან, სიტყვები — მემორიალებად. უნივერსალურმა გივი სიხარულიძემ მისი და სრულიად საქართველოს ძეგლად სათქმელი, საფლავის ქვის ნარნერასავით ნაგვანერა გულის ფიცარზე — ქართული ცეკვის დედოფლის — ნინო რამიშვილის ნეტარსახსენებლად:

„მანამ იცოცხლებ, მშვენებავ ერის,
სანამ ქართველი ცეკვავს და მღერის!"

ვისგან რას ელის საქართველო!.. „ნიჭიერს" — ქართული ენა, მხოლოდ „ერთან" დაკავშირებულ ნიჭს ეძახის!

* * *

„აინშტაინზე მეტი ჭკუა ჰქონია —
ვისაც რომა — ლეინო მოუგონია"...
ქალისა და ცნობის მოყვარე იყო —
გუმანით გრძნობდა ქვეყნის
ინტერესებსო...
უკვდავყებამ სულაც არ გააბრიყვა:
„მე სიკვდილიც კი მაინტერესებსო!"

**რწყილ-ტილიანი**

**(მინი-პოემა ტრაგიკული ფინალით)**

იყო — არა იყო რა: იყო ერთი რწყილი...
პოდა, რა არ ილონა —ელო ლომის წილი.
რწყილი ახტა-დახტა და თურმე გახდა
ტილი...
ბევრი სისხლი გეწოვა და ქვე მოგვეჭამა
ჭირი!
„რა ცუდია ტილი — შეგაწუხებს კაცს...
სულ სხვა არის რწყილი — დაიჭერ და...
ტკაც!"

*ტარიელ ჭანტურია*

პოდა, იმ რწყილ-ტილიანს მოუვიდა რაც...
ბოლოზოლო, რაც მოსდის სისხლის მწოველ კაცს!

* * *

ვინ — სად და როგორ უნდა მახსენოს —
ჩემი საქმით და ჩემი ფიქრებით...
სადაც არ ვიყო — არ მომასვენოთ —
თქვენთანა ვარ და თქვენთან ვიქნები!

*„ახვალ-დახვალი" 7.13.08.06*

*2004 წლის 24 თებერვალს „რუსთავი-2"-ის საინფორმაციო გადაცემებში წამყვანმა დავით კიკალიშვილმა „ალორძინების" წარმომადგენლებზე — მიქაცაძეს და ჩახვაძეზე, რომლებიც თბილისში იყვნენ დაკავებულნი, ტელემაყურებელს მოახსენა, რომ ისინი „წინასწარი დაკავების საკანში არიან მოთავსებულნი."*

P.S. *ნეტა ენის გარდა სხვა არაფერი გვეშლებოდეს!*

*<u>ფიმიცრი კა-ისნი</u>: „მრავალჟამიერის" და „ჩაკრულის" ქვეყანაში რომ რუსლანას მოუსმენენ, იმ ხალხის საქმე ვერ არის კარგად.*

*ქრონიკა. 2006. 31-07.06.08*

*<u>ზურა ზაალიშვილი</u>: „გმირებს და ვირებს ისტორია გაარჩევს!*

*დღეს ვაჟას და-*

გადმოვსახლდები მე თქვენს გულებში,
დედა-წულებში, მათ სიზმარ-ცხადში
და ვისულდგმულებ მე ამ სულეთში —
თქვენს პირჯვარსა და თქვენს სანთელ-ხატში.
ინკარნაცია-არ ღირს წვალებად,
რაც ღმერთმა იცის მხოლოდ და მხოლოდ —
გარდაცვალება — ფერისცვალება,
რა ნიღაბს შირჩევს, ბოლოს და ბოლოს!
ეს ღმერთმა იცის — ცისა და მიწის —
სად... ხორცი ლპება და სული — იწვის!

## დრო...

ეს წუთი და ეს სოფელი დღე და ღამეს ებარება...
დღე რომ — თავზე დაგადგება, ღამე — წამოგეპარება.
დილა — ცხადში სიზმარია, ღამე — სიზმარია ცხადში...
დღე — დღეს მისდევს, ღამე — ღამეს...
ეს თეთრი და შავი რაში!..
მიწაზე თუ მაღლა-ცაში .. ავდარში თუ დარში, ქარში...
ამ თავესხმაში, დროის კელაში...
ისე გარბის, ისე გარბის, როგორც —
„ღამეები გარბიან... ნაბდით დაჭედილი ბედაურებივით“!
(კონსტანტინე).

* * *

უცნაურ დროში ვცხოვრობთ — ძეგლებმა ფეხი აიდგეს!

დავით აღმაშენებელმა დიდგორი მოიგო და რესპუბლიკის მოედანი „წააგო“!

თუმცა, ახლა, საქართველოს ისტორიის თავკაცი — ქალაქის თავში დგას.

მასზე უკეთესად ვინ იცის მისი ადგილი?

ის, სადაც არ უნდა იდგეს, ის არის საქართველო და მისი დედაქალაქიც... იქედან ინყება!

## თათქარიზმი!

თბილისში ამდენი დუქნები —
შენ კარგად მეყოლე —
„პანტაგრუელიზმის“ დონეა!
ლუარსაბ თათქარიძევ — უშვილო მეგონე...
რამდენი საშველი გყოლია!
მა, ამდენ „უძლებ შვილს“ რა მიწა გააძღებს,
ჭამა-სმის სულ ღოღი გედომია...
მიწას ვჭამთ-მიწა გვჭამს და ვინ-ვის გაასწრებს...
გასტრონომიული ომია!

---

*ქეროლინ უელსი: კრიტიკა აუცილებელი ბოროტებაა.*

*ჯეიმს ბერი: დემოკრატია ნიშნავს, ილაპარაკო, რაც გსურს და აკეთო, რასაც გიბრძანებენ.*

* * *

ციგურებზე სრიალი – კალმის მოსმას
მაგონებს...
და როდესაც შეეცქერი ცუგრუმელა
გოგონებს...
სილამაზის ძალხაზებს – ყინულებს რომ
სერავენ –
ვფიქრობ: თავს იწონებენ და სიყვარულს
ზვერავენ!
მათი ქარბორბალები, მათი პირუეტები,
ახლაც ტანში მიელის და კანში ეღარ
ვეტევი!

* * *

ახალგაზრდობა სიმღერით აგებს პასუხს
ყველაზე დიდი ძონძის – დროის გათლანგვი-
სათვის!

გ-ს

მე – დროს ვატარებ, შენ – დრო გატარებს,
(ქარის მოტანილს – ქარებს ატანენ).
არ დაგიბრუნებს ეს დრო არაფერს
და მოგისურავს კარებ-დარაბებს.
აღარ გიშველის წარსულზე დარდი –
მერე იგორე – აგორე ნარდი...
პოდა, კამათელს მიანდე ბედი –
საძოძხის კარით – ჯოჯოხეთს შედი.
...შენ ჩემი ჯიში-ჯილაგი მოგდგამს,
– შენს მხრებზე, ჩემს თავს,
მე ვერ გადმოვდგამ.
ჩემს გულს – შენს გულის პერანგში ვახვევ –
ალთას გეძახი – შენ ბალთას წახველ!
შეგეხიდები – ამ ხიდზე გადი...
ჭკუა იმას აქვს, ვინც ჭკუით დადის...
მე ჩემს წიაღში გეძახი, ბიჭო,
რომ შენს წიაღში შემოვაბიჯო...
რომ დავერჩეთ ერთი სისხლი და ხორცი –
ერთი პირითა და პირზე კოცნით!

* * *

უფლის ნებით და ხსენებით; ·
უფლის ლოცვით და კურთხევით;
უფლის ოფლით და უფლებით –
დაველოცოთ თავისუფლება!

ბადებიდან 145 წლისთავის, თუმც დიდი ტკივილებით გაბრუებულებმა მისთვის ვერ მოვიცალით. ამ ცოდმადლიან წერილსაც მისი სიტყვებით ვამთავრებ:

„ც რ ე მ ლ ე ბ ი
მახრჩობს, ვეღარას
ვამბობ
კარგის დალუპვა
რად გვენატრება?
ჩემო ქვეყანავ,
ჩემო სიცოცხლევ,
არ გეკადრება,
არ გეკადრება"

2005 წელს ინტერნეტის ყოველწლიური გამოკითხვით, ნომინაციაში – „წლის ყველაზე ს უ ლ ე ლ უ რ ი გამონათქვამი" – „სისულელის მსოფლიო პრემია" მიანიჭეს ჯორჯ ბუშს. წარმოიდგენთ გამარჯვებულ ფრაზას:

„ჩვენი მტრები გამჭრიახნი და საზრიანები არიან, მაგრამ არც ჩვენ ვართ უარესი. ისინი ყოველთვის პოულობენ ახალ-ახალ საშუალებებს, ჩვენ ხალხს რომ ავნონ, და ჩვენც აგრეთვე".

P.S. რადაც „ არ

## გლობალური ფიქრები

### (შავ-თეთრ ფერებში)

...რა ეშველება, ნეტა...
ამ ჩვენს პლანეტას?..
უფრო სწორად: რა გვეშველება ჩვენ?
საკუთარ ტყავში ვეღარ ვეტევით!
აღარ ვიცით: ვინ — ვის — როგორ და სად ვეკვეტებით!
...უკვე ჩვენი პლანეტა — დედამიწაც ვეღარ გვიტევს —
ჩიტი-გვრიტებს...
და თავს იმტვრევს:
რა უყოს ამ 6 მილიარდ ადამიანს?
ამდენ მწყურვალ-მშიერს...
თან კადნიერს...
რა აჭამოს და ასვას?.. რო თქვას კაცმა.
ჰოდა, კიდეც ვჭამთ ერთმანეთს...
ფიროსმანი ახატია ჩვენს ერთ მანეთს.
მწვანეს კი მწვანე ქუჩა აქვს ანთებული —
საყოველ-საერთაშორისო მაფიოზია მთლად ქებული!
დოლარი მსოფლიოს მორალია —
ფულის ფუფუნება — მოლარეა —
კეთილდღეობის —
ერთთა ზეობის —
მძლეთამძლეობის —
სხვათა ღრეობის —
ძალმომრეობის —
და უზნეობის...
დღეს, ფაქტია ეს:
გულს-სულსა და ფულს...
ერთი სუნი უდის — რითმაში,
რაც მეხმარება რის თქმაში?..
ქვეყანა მაშინ დაიქცა,
როცა ფული... ხელის ჭუჭყი გვეგონა და
სულის ჭუჭყად იქცა!
აირია მონასტერი:
მეფე — ცრუ, მონა-მტერი!..
ხაჭაპური-ჰამბურგერი;
ხაზ-ქაბაბი — ჩისბურგერი;
მოყვარე კი — ჩემი მტერი...
გასაფრენად — ასი მწყერი...
მოსაფხანად — ასი ხელი...
ჰერი, ბიჭო, ჰერი-ჰერი —
გვეტირება — მაინც ვმღერით.
არც ნამუსი — ერთი ღერი,
აღარ ცხვება ობლის კვერი,
ჩამოგვექცა თავზე ჭერი,
დგება, ალბათ, ჩვენი ჯერიც!

...ჰოდა, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს... უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს და გადაწყვიტეს: სანამ ავალთ მირიადამდე (რომლის წერაც

კი არ ვიცით და რომლის ნერასაც ვყავართ ატა-ნილი), კაცობრიობა 6 მილიარდიდან უნდა დავიყვანოთ... 1 მილიარდამდე!..

შევარცხვინე ასეთი კაცობაც და კაცობრი-ობაც! ვინ მოხედება და ვის მოხედება ამ შეს-ამცირებელ 5 მილიარდში... ეს ეშმაკმა იცის!.. ღმერთო კი მომკალი! რა გვჭირს ჩვენ სხვისი შესამცირებელ-დასამცირებელი! ამიტომაც, „თვითმომსახურებაზე" ვართ გადასული და თვითონ ვამცირებთ, ვჭამთ ერთმანეთს... ზედ შილაფლავსაც ვაყოლებთ და შესანდობარში, პლავტის პირით — პირში ვეუბნებით ადამი-ანებს, რომ Homo Homini lupus est — ადამიანი ადამიანისთვის მგელია, გველია, მკვლელია...

ისევ შენ, ღმერთო — ერთადერთო, უნდა
გეიშეელო! —
გეიდედ-გეიმამო და ეს გეამრი ისევ
გეიშეილო...
არ გააეშმაკდეთ, არ მიეყიდოთ სული
სატანას.
ფუი, ეშმაკსა! — მხოლოდ ღმერთით
შეეძლებთ გატანას...
ერთმანეთისას!

## კაცია და გუნება!

აირია მონასტერი —
დაირია ბუნება —
ნებაა თუ სურვილია?
სურვილია თუ ნება?
სატირალშიც ეცეკვეთ — ემღერით...
ერთ რამედ ღირს ყურება!
ვის-რა გულით ეყურება —
დიდი არის ცდუნება!
ზოგს ეშმა, ზოგს ანგელოზი —
ყურში ეჩურჩულება...
ეშმაა თუ ანგელოზი?
იყიდება ფულებად...
თავში ფეხი ეფხანება,
ფეხში ელუტუნება...
ეშმაკს უფრთხობს ანგელოზებს —
თავის დედაწულებად —
"ფუ-ფუ"... ორჯერ იფურთხება —
სხვაა-სხვა ფუფუნება...
არც კაცია — არც ბუნება —
კაცია და გუნება!
ის, იმაშიც მართალია,
რაც სხვას გაემტყუნება —

ი ქ ნ ე ბ ო დ ე ს იქნებასა" და „მისი მაგასაყანს" ჰგავს!

ირაკლი თიდვე: საემარისის, ედუარდ შევარდნაძე ქვეყნიდან წავიდეს, რომ მისი ქვეშევრდომნი სახლში მარტო დარჩენილი ბალღებივით იქცევიან და სახიფათოდ ანცობენ. ხან ას-ანთს წყალსადენებიან, ხან მრიცხველს დაატრიალებენ უკუღმა, ხან კი ლუხის უფროსობასაც თამაშობენ და ლამის მთელი სახლი გადაბუგონ.

„ასავალ-დასავალი", 11-17.09.2000.

**P.S.** ე. ი. გამოდის, რომ აკრძალვების ასაკი შესაბამისად გაიზარდა: „ბავშვებს 16 კი არა — 76 წლამდე ცეცხლთან ნუ მიუშვებთ!"

ირაკლი ბათიაშვილი პარლამენტარი: უნდა ვაღიაროთ, რომ, ფაქტობრივად, ჩვენ, დეპუტატები, ქვეყნის და ხალხის ტვირთი ვართ.

„დილის გაზეთი" 2000.09.

"სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი"! –
კაცია და გუნება!
არც კაცია – არცა ქალი,
ვინ – რას ერაკუნება?..
სიძეა თუ პატარძალი? –
კაცია და გუნება!
ყველაფერი ღვთის ნებაა –
ღმერთია თეით ბუნება...
ცდუნება კი ცდუნებაა –
არ ამოიწურება!
ბოროტებას საზღვარი არ აქვს!

* * *

2003 წლის 18 მარტს, სპორტის სასახლეში, ჩატარდა „ქართული ლიგის" — საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირის ყრილობა. ყრილობას სიტყვით მიმართა მწერალმა ოთარ ჭილაძემ.

ეს, ჩვენი სამშობლო იწვის... ჩვენ თვალწინ, ჩვენ ფეხქვეშ, ჩვენ გარშემო, ჩვენს სულში!... იმის ნაცვლად, კიდევ უფრო ჯიუტად, კიდევ უფრო მტკიცედ დავმდგარიყავით სამზეოზე, თანდათან რული მოგვერია და ისიც ვერ გავიგეთ, ვინ ან როდის შეგვიცვალა მხედრის ულუფა მონის სალაფავით...

აღარ გვჯერა, სამშობლოსთვის თავდადებული ვაჟკაცის საფლავიც რომ აუღებელი ციხე-სიმაგრეა მტრისთვის... არადა, თუ ჩვენს სამშობლოს მართლა დაღუპვა უწერია, გვერჩიოს, გულზე გვეყაროს და არა ფეხქვეშ, მისი ქვები...

ერთი დღეც ნუ გვაცოცხლოს უსამშობლოოდ!

ეს არც წყევლაა და არც ლოცვა. გნებავთ, ლოცვაც ესაა და წყევლაც...

...„მონობაში გადიდკაცებულთა" ამაზრზენმა სიხარბემ, შეილიეით საფერები ვაზი აგვაჩეხინა, ომებში გაბასრებული ხმალი ქარქაშში ჩაგვიჟანგა, წიგნი გადაგვეაგდებინა, ლატაკ, უთვისტომო მანაწნალებად გვაქცია... ეტყობა, ჩვენმა „გაიძვერა მოყვარემ" უკვე მიაღწია სანადელს: ის აღარა ვართ, ვინც უნდა ვიყოთ, ვინც, ჯერ კიდევ, გუშინ ვიყავით... როგორიც შეგვქმნა თავიდანვე ღმერთმა თუ ბუნებამ... მაგრამ ის მაინც ხომ უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავს, ვისი სისხლი გვიდგას, ბოლოს და ბოლოს ძარღვებში: „ვეფხისტყაოსნის" დამწერის თუ ქართველთა შეთქმულების გამცემისა, სვეტიცხოვლის ამშენებლის თუ ილიას მკვლელისა, მტრის რისხვის თუ მტრის მსახურისა...

...ჩვენ მედეას გაჩენილი და ამირანის გამჩენი ხალხი ვართ და ჩვენი ხსნა მხოლოდ ბრძოლაა. ანუ, ჩვენთვის ბრძოლაა ყველაფერი: ლხინიც, გლოვაც... ყველაფერი, რითაც საკუთარ ვინაობას ადასტურებს და საკუთარ მეობას წარმოაჩენს ადამიანი.

ჩვენც სამშობლოსთან ერთად ვიწვით ცოცხლად, მარადიულ ცეცხლში, მაგრამ ფერფლიეით კი არ უნდა გაგვფანტოს ქარმა, არამედ, ისევ მშობლიურ ცასა და მიწას უნდა მივემატოთ ცად და მიწად.

გვახსოვდეს, წინ მარადისობაა!

---

*მარტინ ლუთერ კინგი: აჯანყება მათი ენაა, ვისაც არ უსმენენ!*

*ედმონდი: „ისტორია ცივილიზაციისა რვა სიტყვით გამოითქმის: რაც უფრო მეტი იცი, მით უფრო მეტი შეგიძლია".*

P.S. „გარემოების საყვირი"!

განგაშის ზარიეით გაისმა.

ეს სიტყვა — ღმერთი თუ ღმერთივით სიტყვა — იგი ყველა ქართველის საზეპირო და სალოცავია! ფრთხილად, ქართველებო! — აქეთ ჭაბუა მოგვძახის. საქართველოს ისტორია განსაცდელშია!

* * *

ექსპრეზიდენტის ოთხი წლის წინანდელი ექსკლუზიური ვარიაციები!

(2001.13-19.08)

- ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ცხოვრობთ ისე, როგორც საჭიროა და არა ისე, როგორც გსურთ. ალბათ, ეს მძიმეა... დროებით დაივიწყეთ, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ხართ. როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, რა გენატრებათ, რა განუხებთ, რა გიხარიათ?..

— ვერ გავყოფ შევარდნაძეს — ადამიანს და შევარდნაძეს — პრეზიდენტს. მე მახარებს ის, რაც ახარებს ხალხს. როცა ჩემი საპრეზიდენტო ვადა დამთავრდება და თავისუფალი პიროვნება ვიქნები, ამაზე მაშინ ვისაუბროთ.

- როგორ ფიქრობთ, სად მოგვიწევს საუბარი?

- (იცინის) ვიღაცამ ჩინეთის ერთ-ერთი ლიდერის მაგალითი მოიყვანა, რომელიც გადადგა და შეიდი ნელი თვითონ მართავდა ქვეყანას. ასე არ იქნება, ჩვეულებრივი ურთიერთობა ახალ პრეზიდენტთანაც მექნება და ახალ გუნდთანაც, რომელიც იმუშავებს, ასევე, ჩემს თანამოაზრეებთან და სხვებთან, მაგრამ ჩემი უმთავრესი მიზანი იქნება, მომავალ თაობას დავუტოვო მემუარები, ჩანაწერები, ამ ხნის მანძილზე რაც შემიქმნია.

- იცით, რას ფიქრობს თქვენზე ხალხი?

- ვიცი, რომ ჩემზე ბევრი კარგს არ ამბობს, ეს სასიამოვნო არ არის, მაგრამ კანონზომიერია. ყველას ვერ აამებ.

- ბაბუ, გვეშველება რამე?

- 2-3 ნელინადში სულ სხვა საქართველო გვექნება, აი, ნახავთ! (პრეზიდენტმა თავისი სიტყვის სიმტკიცის ნიშნად, მაგიდას მუშტი დაჰკრა).

P.S. ექსპრეზიდენტმა თავის ექსპირობა შეასრულა. მართალია, რაც ჩაიბარა, იმ საქართველოს ვერა, მარა მემუარებს გვიტოვებს. წეროს და ვიკითხოთ მისი მემუარები. ჩვენს ამბავს კი თუ იკითხავს, ვართ, როგორც გვკითხულობს... როგორც „ნიანგელები" ვწერდით ხოლმე: „მოკითხვითა და ნახვის ნატვრით".

<u>ნობადი ბარათასი:</u>

იყიდება საქართველო!!

რომელ პერიოდში არ გიცხოვრია, იმ დროის განაჩენის გამოტანის უფლება არ გეკუთვნის.

ბრძენთა ნათქვამია: „თუ საზღვარს სამი პატრონი ჰყავს, ბოლოს მგელი ხდება მისი პატრონი"

...მე-20 საუკუნის ათიანი წლებიდან გამოჩნდა საადი შირაზელის „გოლესთანის" 8 არაკის თარგმანი, დიდი მეცენატის სარაჯიშვილის მიერ შესრულებული.

საკუთარ მიწაზე ამდენი ლტოლვილი და უსახლკარო არც ერთ ქვეყანას არ ჰყოლია. ღმერთიც ვიწამეთ, სანთელიც ბევრი დავანთეთ, ბერადაც აღიკვეცნენ. დღეს ბერებზე მეტად რაინდები გვჭირდება, ეს უფრო ახლოს ჭეშმარიტებასთან, ამას სამშობლოს სიყვარული ჰქვია. სახელოვანი სამშობლო გვაძლევს ადამიანობის უფლებას.

რამდენი ახალგაზრდაა დღეს უჯახოდ, უმემკვიდრეოდ დარჩენილი. ღიმილადაც არ ჰყოფნით ქორწინების რჩევა — რა დროს ოჯახია, ხომ ხედავთ, რა

ისე!

ედ-უარდი და მემ-უარები — როცა ორ სიტყვაში ორი „უარი" ჩაგისაფრდება — ერთი „უარი" შენც უნდა თქვა და ხელი აიღო ამ საქმეზე. ამბობენ, შევარდნაძე ეჭემიტანილია ლექსების წერაშიო. თუ ამ მხრივაც წერას პყავს ატანილი, მემუარებზე დიდი ინტერესით წავიკითხავდით მის ლექსებს.

აქვე, სახსოვრად ვიტოვებთ ჩვენი ძველი ბატონის (და არა პატრონის) დროს დატოვებულ საქართველოს საგარეო ვალებს, რომელიც გაზეთ, რესპუბლიკაში თეთრით შავზე დაიბეჭდა ამ მემუარების დაბეჭდვიდან 9 დღის შემდეგ:

2 077 290 000 $

ვინაა გადამხდელი? ჩვენ თუ ჩვენი შვილი-შვილი-შვილები? ამ ვალების შიშით, ლამის, შობადობა დაეცა — ბავშვებს მუცლიდან თავი გარეთ ვერ გამოუყვიათ!

* * *

ზუსტად ისეთი სიტუაციაა, რევოლუციურ საქართველოში რომ იყო: ლამის ნახევარი საქართველო — ნახევარი საქართველოს ვალშია... ერთი გადამგდებია — მეორე გადაგდებული... სწორედ ისე, იმდროინდელი სატირული პერიოდიკიდან რომ მახსოვს, რომელიც ერთ დიდ წიგნად („სიცილის არქივად") გამოვეცი.

ერთი კარიკატურა ასე იყო დასურათხატებული: სესხის ამღების (თავადის) კუბო მიჰქონდათ და სომხის კუბო (გამსესხებლის) მისდევდა... საფლავში, ქვემოთ ასეთი წარწერით:

„თავადი მოწყდა ამ სოფელს —
დამარხეს ერთი „ბისტითა" —
სომეხი საფლავშიც მისდევს —
„ისპალნიტელნი ლისტითა"!..

ახლაც ასე არაა! ვინ-ვის მისდევს და ვინ — ვის ემალება! დავკარგეთ ფულიც, ნამუსიც და ერთმანეთიც... (ერთ მანეთს ვიღა დაეძებს — მილიონობით, მილიარდობით მანეთზეა ლაპარაკი!).

* * *

ჩვენს წინაპარებს — ნამდვილ მამულიშვილებს, იმდენი საქვეყნო საქმე პქონდათ, ჭამისთვისაც არ ეცალათ და მაშინდელ გაქცეულ ჭამა-სმას „კუჭის მოტყუებას" ეძახდნენ. ახლა ვინ ჭამს მაგას, რომ „კუჭი მოატყუოს". დღეს ეს იდიომატიკა იდიოტიკად იქცა და ხმარებიდანაც ამოვარდა.

მასვი-მაჭამე-მალხინეს დროა.

ერთ მაყუთა კაცს, თურმე, ექიმმა... ჭამა და სმა შეუზღუდა.

— ესე იგი — ღვინოს, დუდუკსა და ქალებს უნდა შევეშვა? — ტრაგიკული სახით „გამოემშვიდობა" მაყუთა ტიპი და ლამის ნეკროლოგისთვის გაემზადა კაი პურისმჭამელი კაცი.

---

*ფრასინაქს ქალკედონელი: „ნაძირალების კეთილდღეობა ეჭვქვეშ აყენებს ღმერთის არსებობას".*

*დავით გურამიშვილი: „ყრმა სწავლაში მომშვილდდების, რკინა ცეცხლში მორბილდების, უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწბილდების"... მაგრამ შუაზეც რომ გავწყვიტოთ ეს ხალხური სიბრძნე - ისიც ხომ ფაქტია, რომ „ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის"!*

— ღვინოს და ქალებს უნდა შეეშვა და დუდუკი... უარით რამდენიც გენებოთ, — მუსიკაზე მოხსნა შეზღუდვა პაციენტის ტრაგედიით შეძრწუნებულმა ექიმმა.

* * *

სხვადასხვა ვარსკვლავზე ვართ დაბადებულები —
დალმაგდებულები თუ ალმატებულები —
უბნელესები თუ უბრწყინვალესები —
სხვადასხვა ნერგები — სხვადასხვა ფესვები!..
თუმცა, ღვთის რისხვაა ეს; თუ ღვთის წყალობა —
ღმერთმა მოგვისაჯა... ადამიანობა!

* * *

ვიცი, ვისთვის ვწერ!
ვიცი, რისთვის ვწერ!
ვიცი, როგორ ვწერ!.
ვიცი, რას ვწერ!
მაგრამ არ ვიცი, რა გამოდის?

პლუტარქეს „მორალიები" გამიგია, სენეკას „წერილები", ჩესტერფილდის ეპისტოლარული მემკვიდრეობა წამიკითხავს — „წერილები შვილს", ციცერონის „ტუსკულანური საუბრები"... ციც! ნამეტანიც არ მოგვივიდეს... ყველა შედარება მოიკოჭლებსო! ყველას მისი ყველაისი აქვს, ყველამ თავის მამიდას უნდა მოუაროს... მადლობა ღმერთს, მამიდა არ მყავს, არც მყოლია და ჩემი მოსავლელიც არაა! ჩიტივით „თავისუფალი" ვარ!... რაგატკის რომ არ ეშინოდეს!

P.S. წიგნი მკითხველის პატრონია და მკითხველის საპატრონო.

დღევანდელმა განათლების მინისტრმა კი ბრძანა, რომ: წიგნს მოუკვდა პატრონი...

ვიზიარებ მკითხველის მწუხარებას!

* * *

ერთი მთასავით კაცია, სპელეოლოგი ჯუმბერ ჯიშკარიანი, სულ სიკეთის თესვაშია (მკისა რა მოგახსენოთ). ერთხელაც სახლში მომაკითხა და როგორც დავით სარაჯიშვილის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს, მთხოვა მცირედი დახმარება გაგვეწია ლევან გოთუას სახელობის ერთდროული მემორიალური გაზეთის გამოსაცემად.

მასალებს გავეცანი და დავრწმუნდი, რომ კალიმაში დაწერილ „გმირთა ვარამის" ავტორის მარტო ერთი ამონაკვნესის, ერთი სენტენციისათვის ღირ-

*მღელვარე ჟამს იზრდებიან პატარე-ბიო.*

*თითქოს რწმენა შეგვერყა. ვადიდებთ ღვთისმშობელ ქალწულ მარიამს, პარალელურად ვხს-ნით სამეძაო სახ-ლებს, კაზინოებს. ჩვენი მეძავების ხარჯზე ჩვენმა დამ-აქცევარმა მუსლიმა-ნურმა ქვეყნებმა სა-როსკიპოები გაამ-რავლეს. ეშმაკის რქაზეც წამოგებული დღეს საქართველო-ში ქალის სახელი. ვინ ზრუნავს ერის მორალურ და ზნეო-ბრივ სიწმინდეზე? ჩვენ მხოლოდ ვლა-პარაკობთ, საქმით კი... რაც სისხლით შეგვინარჩუნებია, აზიელები და ევრო-პელები მტდური ხე-ლით ცდილობენ წაგ-ვართვან. მტის-მტად ნუ დავ-აბერებთ ჩვენს ლამაზსა და უძველეს წარსულს. ნუ დ ა ვ კ ა რ გ ა ვ თ სულიერი ძალისა და სიმამაცის ნიშანს. ერთ დროს ძალს რომ უერთხობდა მტერს. ნათქვამია: „ვინც თავს არ სწირავს თავისუ-ფლებას, ის არის მხ-ოლოდ ბორკილის ღირსი".*

*ქვეყანა რომ გაყ-იდული და დაღუ-პულია, ცხადია.*

და ამ მემორიალური გაზეთის გამოცემა. და რადგან ამ შემთხვევაში ჩემს ვიცე-პრეზიდენტობაზე უფრო მეტი იმედი საკუთარი ჯიბისა მქონდა, ავილე და ჯიბეები მოვიქექე!

ეს, იმ დროის შესაფერი, გოთუასეული ტვინის ხვეულების ნაფილიგრანები და „ნასლალომარი" შენიღბული სიტყვა დღემდე სიტყვა სიტყვით მახსოვს და აი, ისიც!

„არ ვიცი, ასე რატომ მიყვარს ჩემი სამშობლო. იმიტომ, რომ შორს ვარ მისგან? თუ, იმიტომ ვარ შორს მისგან, რომ... ასე მიყვარს ჩემი სამშობლო!"

აი, ასე!

ასე კატორღულად შენიღბული და თან ტრაგიკულად მართალი სიტყვა იშვიათად წამიკითხავს!

შენი სამშობლო უნდა გიყვარდეს შენში და არა შენი თავი შენს სამშობლოში.

ახლა ამ სიკეთის თანამონაწილე — ჯუმბერ ჯიშიან-ჯიშკარიანი, ქართულ კოლონიასთან ერთად, ამერიკაშია გადახვეწილი.

ოკეანის გადმოღმიდან — ოკეანის გადაღმა...

კაი სალამი, ჩემო ჯუმბერ!

11 ნოემბერი, 2005 წ.

* * *

...ღმერთმა ნუ ქნას, ჩემმა (ანუ ბაბუის) ნაჭამმა ქლიავმა ჩემს შვილიშვილს მოჰკვეთოს კბილი.

მართალია, ბავშვებთან სახუმარო კბილები დიდი ხანია მოვიცვალე, მაგრამ მათ რომ ახლა ამოსდით კბილი, ისიც კი მტკივა.

შვილს მამის სახელი იმიტომ აწევს მხრებზე, რომ მამამ შვილს ტვირთი შეუმსუბუქოს.

მამას კი, შვილის სახელი, სიკვდილის მერეც აცოცხლებს!

ორი უახლოესი ადამიანი მყავს.
ერთმა – სიცოცხლე გამიიოლა.
მეორემ – სიკვდილი!
ღმერთმა ორივე დალოცოს!

* * *

ცნობილი არქიტექტორი შალვა დავითაშვილი ისეთი პატიოსანი კაცი იყო, მის ცოლს ვურჩიე — ძილის წინ სიმძიმეები დაეკიდებინა, რომ სიზმარში ან ცხადში, არ დაეკრა ფეხი და ცაში არ გაფრენილიყო!

* * *

„შაირ სიტყვეითა, მესტვირემ, ღმერთი მაღალი ახსენა..."
შარმა – შაირით – მიშარა... საშაროშ გამამშიშარა!
ამხედ-დამხედა, გამხადა ღმერთმა კალმოსან-მგოსანი –
და ასე შემქმნა შემქმნელმან ხმოსანი – სიტყვაფრთოსანი!
დაეწურე ჩემი მტევანი – ცრუ სოფლის საწუთროსანი,
„თაედება ჩემი ტბილ-მწარე, შავ-თეთრი კრიალოსანი".

---

*ერთმა ქართველმა პროფესორმა მეცნიერება ქოლგას შეადარა, რომელიც* გლობალიზაციის თავსხმა წვიმისაგან დაგვიცავს.

* * *

სიტყვა-სიტყვით ხურს!
გრძელი სიტყვა — მძულს.
მოკლე სიტყვა — გულს.
უტყვი სიტყვა — სულს.
ჭრელი სიტყვა — ჭურს.
მჭრელი სიტყვა — ყურს.
მარცვალ-სიტყვა — ხნულს.
წამალ-სიტყვა — წყლულს.

* * *

ფოჩიანი... კამფეტი გამიგია. შენ?

მე კი, კაციც ვიცი — ფოჩიანი! ლატავრას მამა — მანავის მეურნეობის თავკაცი! მთა კაცი, სანაშენე — კაი ქართველი და კაი მასპინძელი!

„დედა ნახე — მამა ნახე და შვილი ისე გამონახეო"... პირიქითაც შეიძლება — შვილი ნახო და მამა წარმოიდგინო!.. ამას ფილოსოფიაში, მგონი, ინდუქცია თუ დედუქცია ჰქვია, მაგრამ რა დროს ფილოსოფიაა — დიონისე — ბახუსია — ბახუსთანა ვართ მანავში და სულ ნყვილ-ნყვილად ვაფრენთ გარეკახელების ლხინში.

ახლა, აღარ იკითხავთ, როგორ მოვხვდით ამ ღმერთკაცებთან?..

სანამ ის ბოლო ყანწი კისერს მომტეხავს, მოგიყვებით, თორემ მერე აღარც მანავი მახსოვდა და აღარც ნანავი — ისე ნამასვენეს სასტუმრო ოთახში და „დილის ხაშამდე" თუ „ზედ ლავაშამდე" გემრიელად მეძინა.

ნეტაი იმ დროს!

არადა, რა დროა?.. რიცხვიც მახსოვს, თვეც და მეტი არაფერი — არც თავი, არც სტუმარი, არც მასპინძელი. ...ნელი არ მკითხო!.. რაც არ ვიცი — არ ვიცი.

17 მარტია. არჩევნების დღე. მთავრობას რუმინეთიდან ჩამოსდის სტუმარი — ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე. სტუმარი რამ გაყო. სტუმარი ღვთისაა. სტუმარს უნდა გურჯაანში ნასვლა. რედაქტორი მავალებს, მე ვუმასპინძლო. ვერეკავ სკოლის ამხანაგთან — გივი აზაურაშვილთან (რაიკომის მდივანია). მობრძანდით — გელით — გაშლილი ხელითო!.. მიდი-მოვდივართ, მაგრამ რას ნახვალ — ცა ფეხად ჩამოდის: თოვს — წვიმს — ხოშაკკლავს... პაპაჩემი ლორსა კლავს — „ზავოდობაა", მაგრამ... ჩასვლა არ გინდა!.. გამიფუჭდა გუნება... მერე როგორც გამიფუჭდა — ისე გამინათდა გონება და სტუმარს საგარეჯოზე ვუთხარი — გურჯაანიც და მისი ჯანიც — ესაა-მეთქი. გულში კი გავიფიქრე —

ვისი ხელიც ურევია, ესეც ცხადია. რა არის ეს — სკამების ფანატიზმია, ან გმირული თავგანწირვა განწირულთა?

თავისუფლებას მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული 700 კანონი ვერ დაამკვიდრებს უდისციპლინობისა და უმოქმედობის გამო. „კანონი ძლიერია, მაგრამ უფრო ძლიერია გაჭირვება", — კარგად უთქვამს გოეთეს. ქვეყანაში იმდენი გაჭირვებულია, ჭირი უტირალი გახდა, ლხინი — უცინარი.

ილია ჭავჭავაძე — „ქვათა ღაღადი": „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ლობედ მიჩნეული ვარ, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბიჯებს, ან გვთელავს, ან მიწასთან გვასწორებს"

დიახ! დრო იყო საქართველოში ერთი შადიმანი და ერთი სააკაძე იყო.

იმ ერთმა შადიმანმა მეფეც გაყიდა და სამშობლოც. დღეს ყოველი მეორე შადიმანია. სააკაძე ჯერაც არ ჩანს. სამწუხაროდ! რომც

ესეც კახეთი არ არის-მეთქი!.. საქართველო რამ გაყო-მეთქი!.. ავიღეთ და მივადექით „მანავის მწვანეს" მეურნეობას — სხვისი სტუმრები — სხვის მასპინძელს მივაყენე კარზე?!.. საქართველოში სტუმარი და მასპინძელი ვინ გაყო-მეთქი!

რატომ ენა არ მტყდება — რისი სხვისი? ვინაა აქ სხვა და სადაა აქ სხვისი? აქ — ყველა ჩამომსვლელი სტუმარია და ყველა დამხვედრი — მასპინძელი. ასეა ეს და ამის დასტურად გაიშალა ეს მანავური სუფრაც — სტუმარიც ღვთის იყო და სწორედ მასპინძელიც, ბუნებაც დაწყნარდა და მზემაც გამოიხედა; ალაზნის ველიც გამობრწყინდა და ალაზანიც ალიღინდა. ასე გაიხარა ჩვენი მასპინძლის სასახლემ და „მანავის მწვანემ" დაუპატიჟებელი სტუმრები — განუყრელ ძმებად გვაქცია!

ასე მხოლოდ ამ ღვთივკურთხეულ მიწაზე — მიწიერ სამოთხეში — საქართველოში შეიძლება მოხდეს!

...სამწუხაროდ, ისიც მართალია, რომ „ღვინოში ნაპოვნი მეგობრობა — ღვინოსავით ქრება". თუმცა, ეს დალოცვილი „მრავალჟამიერი"... ამ ტკბილ-მწარე წუთისოფელს მარადისობისაკენ ექაჩება!

ასეთი წუთი — საუკუნედ ღირს!

* * *

შვილიც მიყვარს — შვილიშვილიც, ორივეზე ვარ შეშლილი...
შვილი არის — ერთხელ შვილი, შვილიშვილი — ორჯერ შვილი!
„შვილმა გული გაიარა — შვილიშვილმა გულის-გული...
შვილი-შვილი-შვილი-შვილმა... გულის-გულის-გულის-გული"!
უკეთესად ან ვინ იტყვის, უკეთესი ან სად არი?..
სიტყვის სეტყვა-სატევარად... ატანითა თუ გატანით!
როცა ხედავ შვილის თვალში, შვილიშვილის — გვრით ვალში —
შენი სისხლი ჩქეფს მის ძარღვში... შენი თავი გიყვარს მასში!

* * *

2006 წლის 20 ნოემბერს, პირველ არხზე... არ მინდა, ახლა, სოფლის ქალივით შევიცხადო, მაგრამ ერთი, ასე ვთქვათ, „პრეისტორიული" შეკივლება კი ზუსტად გამოხატავს ჩემს განწყობილებასაც: დიდუ, ამას რას უყურა ჩემმა თვალებმა!.. ანგელოზებივით გოგო-ბიჭები, ყოველგვარი „ზექსის" გარეშე... სექსზე ლაპარაკობდნენ და ყურში არ შესაშვებ თუ ზურგსუკან საჩურჩულოს... პირდაპირ პირში და ისიც... სახალხოდ ეუბნებოდნენ ერთმანეთს!

ასეთ რამეებს, ჩვენს დროს, კაცების საპირფარეშოში თუ მოკრავედი ყურს (ქალებისაში არ ვყოფილვარ) და ფეხსალაგის ე. წ. კედლის დამწერლობაში თუ მოკრავედი თვალს.

მოკლედ, ეს გადაცემა საბაბუაჩვენოდ და საბებიაჩვენოდ არ გამოდგებოდა, მაგრამ... ან ამ ახალგაზრდებს რა ბებიამისისას ან ბაბუამისისას აქმევდა, ეშმაკმა იცის!

მთელი გადაცემა წარიმართა რუბრიკით — „ენას ძვალი არ აქვს" და სირცხვილს — ფერი! მისი „კვანტ" თუ კვინტესენცია კი — ერთი მშვენიერი ყმაწვილის იმ „საყმაწვილო სენში" გამოიხატა, რომელიც თავისუფალი სექსის აპოლოგიის ერთ ფრაზაში ჩაეტია: 25 წლის გოგო ცოლად რომ მოვიყვანო და... ქალიშვილი აღმოჩნდეს... სახლიდან გავაგდებო?!

ასეთ კაცს კი, ჩვენს დროს... სახლშიც არ შეუშვებდნენ!

* * *

დღეს 2005 წლის 10 ოქტომბერია. დილიდან ვწერ. სტრიქონსა და სტრიქონს შორის შემომაშუადღევდა. დავიღალე და სულის მოსათქმელად კუს ტბაზე ავედი. ამ მიდი-მოდიში და ნაბიჯების ქრონომეტრაჟში იქაც შემომაღამდა.

ქალაქში ჩამოვედი, მანქანა გავარეცხინე, გზაჯვარედინთან წითელ შუქნიშანზე გავჩერდი და ტყავის შარვალსა და ქურთუკში გამომწვევად მდგარი ქალთევზასავით გოგოს მზერა დავიჭირე! ძველი ინერციით კარები მექანიკურად გავაღე. ჯერ, ღვინის ჭიქასავით წელში გამოყვანილი სხეული შემოდო სკამზე და მერე თვითონაც შემოყვა. ასე შემრჩა ხელში ახალგაზრდა, ლამაზი, ე. წ. „მხვართივით". ქალი...

რა ვუყო ახლა ამას? — ვფიქრობ და ჩემი ხნის ერთი ძველი თბილისური ანეკდოტი მაგონდება:

— გახსოვს, ქალებში რო დავდიოდით? — ეკითხება ერთი მეორეს.

— მახსოვს, მაგრამ რაზე დავდიოდით, არ მახსოვს... ალალად პასუხობს ის და ისე ვარ ახლა მეც.

— საით, გოგონი?

— საითაც გნებავთ...

— როგორ? — ვიბნევი მე.

— როგორც გნებავთ...

ერიჰაააა... ეს რა შარში გავები...

ეს უკვე „ბიბი კინგი" კი არა... ტრეფიკინგია! — რაღაცას ვებუტურები ჩემს თავს... საქციელდაკარგული.

— გავიცნოთ მაინც ერთმანეთი:

— აუცილებელია ეს?.. ცოტა დრო მაქვს.. შემიძლია შემოგთავაზოთ მინეტი...

რაო?.. აღარ ვიცი, სად გავიქცე... იქნებ ფასში მაინც ვერ შევთანხმდეთ — ვფიქრობ და მემწვანილესავით ვევაჭრები.

— რა ღირს? — გაუბედავად ვკითხულობ.

— 20 მანეთი, — გაკვირვებით მათვალიერებს.

არც ისე ძვირია, მაგრამ რად გინდა? — ვფიქრობ გუნებაში.

— იცით „მინეტჩიკების" მსოფლიო დედაქალაქი რომელია?.. ხუმრობის ტალღაზე მინდა გადავერთო... როტერდამი!..

— სიცილის ხასიათზე არ ვარ, — მითხრა, — 2 მეტრიანი უმუშევარი ქმარი და 3 მშიერი შვილი მელოდება სახლში.

უბედურება ისაა, რომ მართალს ლაპარაკობს.

— ეს თქვენი პროფესიაა?

— მე პროფესიით ექიმი ვარ. ყოფილი ტანმოვარჯიშე... თუმცა, პროსტიტუციის გარდა, სხვა არცერთი პროფესია არ გამომადგა...

გამოჩნდეს, გახდება კი რამეს? ქართველი იუდა ყოველთვის ღირსეულად ასრულებდა ძმის გამწირავი კაენის როლს.

– „მწერლის გაზეთი", 2007. 21-27.07.

შოთა ვიდაქკორიას:

შენიშვნები ენციკლოპედიის „თბილისის" გარშემო!

როცა ჩვენი დედაქალაქის ბედი სასწორზე ეკიდა, თბილისიდან გააღწია ვინმე მელიქ არარა-ციანცმა, დაეწია აყრილ სპარსელთა ლაშქარს და დაარწმუნა აღა-მაჰ-მად-ხანი, ერეკლეს საოცრად მცირე ჯარი ჰყავსო. სპარსელებმა ირწმუნეს მძევლად ჩაბარებული მსტოვარისა და შემობრუნდნენ... ამას რა საშინელი ტრაგედია მოჰყვა, საყოველთაოდ ცნობილია. ცნობილია, აგრეთვე, კრწანისის ომის მონაწილეთა უშუალო მთამომავლის ალექსანდრე ორბელიანის გადმოცემა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისა, როცა მან ერეკლე II-ს თავისი „ელჩი" გამოუგზავნა (დასაზვერად), ხოლო ერეკლემ დაატყვევა იგი, უკან აღარ გაუშვა, რომ ცნობები არ გადაეცა აღა-მაჰმად-

— თქვენი პროფესია — პროსტიტუცია, უძველესთა შორის პირველია, ჩემი კი მეორე — ჟურნალისტიკა... ვეძებ რაღაც საერთოს და რაღაცას მივედებ-მოვედები.

კიდეც აინტერესებს და არც აინტერესებს.

— თუ შეიძლება, ცირკთან დამტოვეთ, — მეუბნება უცებ ეს ლამაზი ქალი, რომელსაც... „სამსახურში" აგვიანდება!

დიახ, მას სხვა აღარაფერი დარჩენია და თავის სხეულს ყიდის.

ვინ ყიდის და ვინ ყიდულობს!

მქონდა ფული და დავუტოვე (ლამის თავი გამოვისყიდე).

თავი მოიკლა, არ იღებდა.

...მივდიოდი და ვფიქრობდი: ყველას თავის გაჭირვება ეყოფა, მე კი ამ ქალმა, ვენერიული სენივით, კიდევ ერთი დარდი ამკიდა.

ღმერთო ჩემო... რა დროა?

ამ დროს კი ადამიანის უფლებათა N1 დამცველი ქალბატონი ელენე თევდორაძე „პროსტიტუციის ლეგალიზაციის მომხრეა" („კვირის პალიტრა", 2000. 24-30.07).

ლამისაა, დაუსტვინოს კაცმა!.. ქალმაც!..

...მილიციელის სასტვენმა ჩემი „სასტვენეთიდან" გამომიყვანა და ციდან — მიწაზე დამსვა.

— წითელზე გამოიარეთ! — თავზე ხელაღებით (ანუ „ჩესტით") მითხრა ავტოინსპექტორმა.

— 1917 წლიდან სულ წითელზე არ დავდივართ? — გავეხუმრე მილიციელს, — გვაცალეთ, ბატონო და როგორც მივეჩვიეთ — ისე გადავეჩვევით!

— თქვენთვის გეუბნებით, ბატონო გიზო, — ნაცნობი გამოდგა, — თანაც, ვერაზე არღვევთ წესრიგს... ნამუსზე შემაგდო და, ზედაც, ქუჩაში მოძრაობის წესები შემახსენა.

— მე, ახლა, ქუჩაში კი არა, ცაში ვიყავი... დაუწერელი ლექსების კორიანტელში, — გამოვტყდი და გავტყდი კიდეც, — პოეტებს მართვის მოწმობას არ უნდა აძლევდეთ... როგორც კი ეწვევათ მუზა, არც პატრული იციან და არც...

...თავისუფალი ხართ! — მითხრა ინსპექტორმა და ამ წუთში, მართლაც, მთელი თავისი ხიბლით ვიგრძენი თავისუფლება!

...ეტყობა, ჯერ კიდევ იმ ლამაზი მეძავი ქალის ბედქვეშ, მისი (და არა მარტო მისი) უბედურების წნეხის ქვეშ ვიყავი და ხალხურობამდე მისულ ხნიერ ქართულ ლექსებს დედაშვილობასავით ვეფერებოდი, ვეთამაშებოდი და ვეთავხედებოდი კიდეც. და ამას მაშინ მივხვდი, როცა რაღაც ქაღალდის ნაგლეჯზე ფიქრის ნაგლეჯები გადავიტანე.

მკითხველთან რა მაქვს დასამალი. აი, ისიც!

„ქართველის ჭირსა, ვერვინ მოთელის
თუ არ ბრძენი ენამჭევრი",
— ყველა მისას თუკი მოთლის:
ცოტა — კარგი, ცუდი — ბევრი!
„ოდეს ტურფა გაიაფდეს
არღა ღირდეს არცა ჩირად!"..
— ღმერთი-რჯული, არ ღირს, ძმანო -
ერთის ლხინი — ათას ჭირად!
„ძმა-ძმისთვის და შავი დღისთვის",
„ერთი თხილი ცხრა ძმამ გაყო" —
გასაყოფი როცა არ გაქვს —
უნდა ეყო, თვითონ, „საყოფს"!

ჭირის-ჭირსა ეღარ ართობს,
ჭირის სუფრა „ლხინად“ იქცა,
საცა სხვის ჭირს ჩხირად თელიან
ლხინის ჭიქა იქ წაიქცა!
სად თქმულა ან გაგონილა:
„უჩვენოთა ვინ იმღეროთ“?
ბედნიერი ქართველი და
უბედური საქართველო!..

P.S. საოცარია! სულით ბოზს... ხორცით მეძავი ათი თავითა და ოცი ბოლოთი სჯობია!

## ის...

— ნაცვალსახელს ვის უკერავ?
ვინც მოიხდენს, ვისაც ჯერ არს!
— თვითონ იცნობს თავსა თვისას?
მოყვარეზე უფრო — მტრისას!
ის ჯიბეში ჩაისვამდა —
ყველა გაქნილ — გაიძვერას...
ბოლმას, როგორაც ჩაის სვამდა —
ვერ იტანდა თბილისს — ვერას!

* * *

სულის მღერა —
გულის ძგერა —
ბედის წერა, ბედო...
ის, რაც პირზე მომადგა და
კალამს წამოედო!
მე ამ წერის წერა ვარ და...
სად — როგორც და ჯერ არს —
რასაცა ვწერ, როგორცა ვწერ —
წაკითხვამდეც მჯერა!

* * *

„პომო-პო(—) თუკი მგელია?
კაცი-კაცისთვის მართლა მტერია?..
რა გაეწყობა, რა სათქმელია...
რა საწყენია, რა საწყენია!
აქეთ ტირიან — იქეთ მღერიან...
ეს ყველაფერი — არაფერია?..
ეს არაფერი — ყველაფერია?...
რისი ფერია, რასი ფერია...
როცა მოყვარე, თურმე, მტერია,
როცა უფსკრული — არის ფსკერია,
როდესაც ფსკერი — არის ჭერია,
როცა თვალი ვერ გაგეიხელია,
როცა სამხელი — ვერ გეიმხელია,
ვერ გაგეიწვდია სხვისთვის ხელია,
როცა უჯერო ჯერის ჯერია...
კაცნი კაცობას აღარ ელიან —
ადამიანი ერთი ღერია!..

სანისათვის. ორი დღის შემდეგ ეს ელჩი გააპარეს ჩვენმა თბილისელმა „ძმებმა“.

<u>რეზო მყავაშვილი:</u>

კიდევ ერთი არჩევნები გადავაგორეთ. ხუმრობა საქმე სულ არ არის, ჩვენ პარლამენტს კიდევ ხუთი დეპუტატი შემატება, თანაც რა დეპუტატები!.. ეს არჩევნები კი არჩევნების ისტორიაში თუნდაც სიმბოლოების სიმრავლით შევა.

არჩევნებამდე ორი დღით ადრე გამყრელიძეს ცოფსაწინააღმდეგო ვაქცინა და ოყნა მიუტანეს. არჩევნების დღეს კი ხელისუფლება მთლიანად გალაღდა და დაუკრეფავმიც გადაუიდა — სასლავის ქვა გააკეთა. (ოპოზიციის დამარცხების აღსანიშნავად) და პეტრე-პავლეს სასაფლაოზეც წაიღის. კიდევ კარგი, კახური ანეკდოტის არ იყოს, ზედ ისიც არ დააწერეს — „დავგადით მიხიდ!..“ ისე, ხუმრობა იქით იყოს, და ნორმალური ქვეყნის

* * *

ქართველი ეპიკურელი, წინანდლის ბატონი, გულით ქართველი, მხრებით გენერალი და სულით პოეტი ალექსადრე ჭავჭავაძე ალბათ სწორედ ისეთი წინაპარია, რომელმაც კონსტანტინე ბატონს ათქმევინა — მთავარი ის კი არაა — რას სვამ? — მთავარია — ვისთან სვამო!

შევარცხვინე ის სუფრა, სადაც პურ-მარილი ყელამდეა, მაგრამ სული მაინც მშიერი რჩებაო — ესეც ხოა!

„ლოთებო, ნეტავი, თქვენაო!"

პეტერბურგში დაბადებული, იმპერატრიცა ეკატერინე II-ს მოუნათლავს; წინანდლის, ან „პრივატიზებულ" მის სამოთხეში, ვაგლახ, დღეს უკვე აღარ ისმის კაპიკებში გაყიდული (მაშინდელ კახეთში ერთადერთი) პიანინოს ხმა!

სად ხართ პეტერბურგის სამხედრო აკადემია დამთავრებული ბატონი ალექსანდრე ჭავჭავაძის ყმობიდან განთავისუფლებული გრიგოლ მაისურაძის შთამომავლებო... სიკეთის დამნახველებო... ამოიღეთ ხმა! საქართველოს ისტორიას, დღემდე ჭავჭავაძის კარგიც ახსოვთ და კოზმანაშვილების ავიც.

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გადასახლებამისჯილმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ ხელისუფლებას სთხოვა — სასჯელის ტამბოვში მოხდის ვადა გადაედო მისთვის, რადგან წინანდალში სახლი ჰქონდა ასაშენებელი?!... სახლი, რომელშიაც დღესაც ტრიალებს ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეების, გრიბოედოვის, პუშკინის, ოდოევსკის, კიუხელბეკერის, რაევსკის, ფრანგი კონსულის შარლ გამბას და ვინ იცის, კიდევ ვისი სული აღარ!..

დღესაც შრიალებს აქ მაშინდელი ცაცხვი, მუხა, რცხილა, კაკალი, აკაკი, ბზა, იასამანი...

ეს სახლი კი არა, სასახლეა!

იგი უკვე მის უდიდებულესობას — ისტორიას ეკუთვნის!

ოპერის წინ, ჭავჭავაძის ალმართზე, ზოგჯერ, წამომეწევა ფიქრი, რომ ოდესღაც სწორედ აქ, ქუჩის დასაწყისში, დაუფრთხა ცხენი მეეტლეს, რომელსაც გენერლის მუნდირში საპარადოდ გამოწყობილი პატრონი... გრაფ ვორონცოვთან აუდიენციაზე მიჰყავდა!

აქ დამთავრდა ქართული რომანტიზმის მამამთავრის სიცოცხლეც და ლექსიც — „ვაჰ, დრონი, დრონი!..."

* * *

„შემოდგომის გამოცდა" დამრჩა ერთი!
ეგების... ახლა მაინც
ჩავაბარო, კარზეა — „ზამთრის არდადეგები"!..

---

*ასპინძის ბრძოლის წინ, ერეკლე მეფემ ცეცხლოვანი სიტყვით მიმართა თავის მხედრობას. „...ჩვენი ზურგი მტერმა ვერ იხილოს!.. მხნენო ქართველნო! ჩემო განუყრელნო! ჩემო გულის ძმანნო! თქვენ გენაცვალოთ თქვენი ერეკლე!"*

*გალაკტიონი: იყო მრავალი განადგურება, ლექსის სიკვდილი კი — არასოდეს!*

...რამდენი ხანია, ჩემს თავს მინდა მოვუყვე ეს ამბავი და რაიმე ახსნა მოვუძებნო, მაგრამ სულ მომყვება კუდიანი ეშმაკივით და დღემდე ეშმაკს კუდზე ფეხი ვერ დავაბიჯე!

ცოდვა გამხელილი სჯობიაო!

იყო ჩემს ცხოვრებაში კატაკლიზმები (უფრო შესაფერი სიტყვა ვერც მიპოვნია — „კატა და კლიზმა!"), როცა ჩემი ბედი, როგორც შექსპირი ამბობს (შექსპირს შაქარი!), კინაღამ „ოტელოს ბედივით ბედუკუღმა შემოტრიალდა", მაგრამ „ღმერთმა არ გამწირა" — კაცი კაცის განაწირი! ეს უკანასკნელი კაც-არაკაცი კი იყო ჩემი მათემატიკის მასწავლებელი ბ-ნი ვალიკო (გვარს არ დავასახელებ). ჯერ ოლგინსკაიას, მერე ლენინის, ახლ. კოსტავას ქუჩაზე — ფილარმონიისა და ჩემი — მე 18 თუ მე-8 ვაჟთა სკოლებისა და სამშობიარო გვერდით, ორჯერ „დავიბადე"... მესამედ კი იქვე — საღამოს მე-10 სკოლაში თავის მოჭრა, ანუ მათემატიკაში ჩაჭრა დამიპირეს!

ახლაც თვალწინ მიდგას ეს დრო, ეს სურათი და ბებრის ჭკუითაც ვერ ამიხსნია, როგორ გადავრჩი რამ გადამარჩინა, რომ მხარზე ხელი დავკრა ჩემს ბავშვობას და ვუთხრა: სალოლ, გიზო!

ამ „სალოლამდე" კი რამდენი „ტრაგედია იყო.. უგმიროდ"!

...სანყალი დედაჩემი (ეს სიტყვა, აქ, ცოტა არ იყოს, მეჩოთირება — დედაჩემი არასოდეს არ იყო „სანყალი", თუმცა, მკერავი იყო და ნემსის ნვერით ინახავდა ოჯახს) „ფიზიკაში" მამზადებდა. ფიზიკურად ჯანზეც ვიყავი, მაგრამ „მათემატიკაში ერთი 3-იანი და მისი ჯანი, სამათხოვრო მქონდა. ბ-ნი ვალიკო — სახლში მეპატიჟებოდა, კერძოდ მოგამზადებო, მაგრამ გაკვეთილზე ვერაფერს მაგებინებდა და სახლში... ფულის გარდა, სხვა რა ჭკუას მომთხოვდა?..

ფული კი.. სად იყო ფული? დღიდან-დღემდე თუ გაგვქონდა თავი და გამოსაშვებ გამოცდებზე (რომელიც საღამოს სკოლაში ლამფის შუქზე ჩატარდა, არა ენერგოკრიზისის, არამედ ომის შუქშენილ ბვების გამო), ამ თავით მისულს... ვალიკო მასწავლებელი ჩასაფრებული მყავდა — ეს ბიჭი, „ასე მუქთად" — უფულოდ, ხელიდან არ გამიძვრესო!

მაგის ჩიტი ვიყავი? დღის სკოლიდან მიყვანილი მყავდა ვუნდერკინდი გიგლა ჯანაშია, რომელიც შეიდნიშნა რიცხვებს ზეპირად ამრავლებდა და რომელმაც თავის სკოლაში კინაღამ ჩაშალა გამოცდა, როცა — საკონტროლო ნერის დროს, თურმე ამოცანას კითხვის დასმისთანავე გასცა პასუხი!

ნორმალური ხე-ლისუფლება ოპოზიციის ემნეო-ბით კი არ უნდა ხარობდეს და საფლავის ქვეშს თლიდეს, უნდა დარდობდეს, ჩემს ქვეყანაში ხაქმე მო-ლად კარგად ვერ არისო. საფლავის ქვის იდეა, ალბათ, თავისუფლების ინ-სტიტუტდამთავრე-ბულებმა მეხთავაზეს ბრძაძეს. თავის დროზე, როცა სა-კონსტიტუციო სასა-მართლომ მოსამარ-თლე ქაქუას სარჩე-ლი დააკმაყოფილა, თავისუფლების ინ-სტიტუტმა კუბო გამ-ოიტანა და ფიცულე-ბი დაწვა. მამინ ეს გროტესკის ჩარ-ჩოებში ჯდებოდა, მაგრამ ახლა მართ-ლა ნამცხანი ქნეს. პირდაპირ სასა-ფლაოზე მიიტანეს...

„ქრონიკა", 3-0.010.2005.

**P.S.** მტერ-მოყ-ვარედ ვიმღებით, დიდი არის ცდუნე-ბა,

ჩვენ-ჩვენს ქვას ვახარებთ — კაცის და გუნება.

და პრეზიდენტსაც-ოფილმა მისი ლო-ინიც გაგვახდო:

როგორ ხარო?

— ჰკითხეს და — მტრის ჯოხზე, კარგადო?!

„მტერი", ალბათ.

ჩემთვის ეს გამოსაშვები გამოცდა, ფაქტიურად, არა მათემატიკაში, არამედ საზრიანობაში, მოხერხებულობაში და დღევანდელი რეფორმატორული ენით რომ ვთქვათ — „ზოგად უნარებში იყო!" — მოყვანილი მყავდა „გიგლა ტიტინა" და მეც ფანჯრიდან ვუჭერიტინებდი, როგორ გამოყავდა ჩემთვის უძნელესი ამოცანები, რომლის ბაიბურშიც არ ვიყავი...

ვიჯექი ჩემთვის უკანა მერხზე და ცარიელ ფურცელზე ეხატავდი ძაღლებსა და ვირებს. მასწავლებლის ყურადღების მოსადუნებლად კი გვერდით მდგარ საკლასო „შკაფში" ვიყურებოდი, გაფაციცებით ვინერდი ვითომ რაღაცას და საკლასო ზედამხედველების გასაგებად „ვეჩურჩულებოდი" წიგნების კარადას: მერე, მერე... მერე, მერე???

პატ. მასწი... მეპარებოდა, მეპარებოდა და კარადას რომ გაუსწორდებოდა — კარებს დააცხრებოდა!.. მერე იქ მოკარნახეს ვერავის რომ ვერ ნახავდა, ირონიულად გამიღიმებდა და თვალებით მეტყოდა — ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიცინებს და ამ ვირებს რომ ხატავ — ვირადაც ვინ დარჩება!.. ხოლო, როცა გიგლა ჯანაშიამ ფანჯრიდან „მაშველი რგოლივით" მესროლა „შპარგალკა" და სუფთად გადაბულბულებული საკონტროლო ფურცელი პირველმა მივართვი ბ-ნ ვალიკოს... კაცი ჭკუიდან შეიშალა, დედა შემაგინა და ხელიც გამარტყა!.. (არ ვაჭარბებ! ასე იყო ეს!)

სიტყვა არა, ხელი კი შევუბრუნე და რაღა ბევრი გავაგრძელო... ისევ გამომაბუნძულეს სკოლიდან!.. ეს, ისეთივე განცდა იყო — ადამ და ევა რომ გააგდეს სამოთხიდან... ლეღვის ფოთოლის აფარება კი არა, აღარ ვიცოდი თავი სად წამეღო და სწორედ ამის ახსნას ვცდილობ დღემდე, — როგორ მეყო, რა ჭკუა მეყო, რა სითამამე, რომ ცხოვრების ამ გზაწვრილზე თუ გზაჯვარედინზე... ჩემი გზა — მე თვითონ მოვნახე!.. ერთ, მართლაც მშვენიერ დღეს... ხელჩაქნეულ მშობლებს ხელი დავუქნიე და ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე — მივადექი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს... (კომუნისტების დროს ბატონობით არ იხსენიებდნენ ერთმანეთს — არადა რა ჩემი ამხანაგის იყო) — გიორგი სტურუას!!! რომელმაც ბატონობა კი არა, პატრონობა, ამხანაგობა კი არა — მამობა გამიწია, სიტყვა შემაწია და უკვე ჩავლილ მატარებელს (სკოლის გამოსაშვებ და უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებს) დამაწია: სპეციალურად ჩემთვის მეორედ ჩატარდა გამოცდები სკოლაში... და ეს იყო ჩემი „მეორედ მოსვლა"... რაღა დაგიმალოთ და გიორგი სტურუას სახელი მერეც მიმიძღოდა წინ, უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებზე, საიდანაც სულ ფრიადები გამომყვა, რაც ფრიად აკვირვებდა ეზოში სანყლად ატუზულ მამაჩემს, რომელსაც ვერაფერი გაეგო — რა ხდებოდა?..

რაღა დაგიმალოთ და დღემდე მეც ვერ ამიხსნია ბ-ნ გიორგი სტურუას ასეთი საოცარი მამაშვილური ზრუნვა, რომელსაც არ ვიმსახურებდი და რომლის ახსნას იმითაც ცდილობენ, რომ იმ ხანად, მას ომში დაღუპული ჰყავდა უფროსი შვილი — ბორისი და მისი ხსოვნისადმი მამაშვილურ ვალს — სხვის შვილებისადმი გამოჩენილი ამაგით იხდიდა.

შეიძლება ასეც იყოს. სხვა ახსნა ამ ფაქტს დღემდე ვერ მოვუძებნე! ნათელში ამყოფოს!

**P.S.** სტურუების გვარისადმი ჩემი კაცური ვალი კი... სწორედ აქედან იწყება!

---

*მელორ სტურუა: ამერიკაში და ინგლისში ჩასულ პიროვნებებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი - თავიდან აღმოაჩენს ამერიკას. მეორე კი ინგლისის დახურვას ცდილობს!*

*ბალზაკი: ადამიანს სიჭაბუკე... სიბერის უზრუნველსაყოფად მიეცა!*

* * *

თანამედროვე უკანონობის კანონებით: თუ საკუთარი შვილი ან შვილიშვილი მიტყეპეთ ან საჭმელი დროზე არ აჭამეთ, სასამართლოში გიჩივლებთ! ეშმაკმა იცის, როგორ დაგსჯით ახალი კანონი „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ" და რისთვის იქმნება კრიზისცენტრები.

P.S. ამას ჰქვია „სამართალმა პური ჭამაო"?.. ვინ ჭამს ამას?.. ამას კრიზისცენტრები კი არა, კრიზისდაცენტრილები უნდა ერქვას.

## გამწარებული ლექსი!

### (ცხელ გულზე)

ისტორია ქართველისა სამარეში ბრუნავს
და ქართველად არ თვლის,
ვინც მისთვის არ ზრუნავს!
„გამარჯობა" სალამის
სათქმელად გვაქვს მხოლოდ —
ძველი ფიცი მწამს და
მაკვირვებს ეს ბოლო...
ვუძღვნით ქებათა-ქებას —
ღირსებების კლებას,
მოთმინების ნებას...
ქართველთ დაჩოქებას!..

P.S. ვაი, სირცხვილო!
309+... მერამდენე სირცხვილია ეს?
უკვე რიცხვით ხსოვნასაც გასცდა!
ლამის... ლომის წილი მიგვიძღვის ამაში ყველა ქართველს ერთად და ცალ-ცალკე.
მე კი ვამბობ: საკმარისია საქართველო ასმა იდიოტმა დატოვოს, რომ იგი გენიოსების ქვეყნად გადმოიქცეს!

## სააზარფეშო

დრო და ჟამო უკანის და წინისო —
ეშხო-თეთრად ნათენები დილისო...
სიზმარ-ცხადო — ჯადო ძილ-ღვიძილისო —
აზარფეშავ ზიარების ღვინისო, —
მოზიარევ ჭირისა და ლხინისო —
ფიცის-მტკიცის — მწარისა და ტკბილისო...
ცალი თვალი იცინის და ტირისო —
შენით, ძველო და ახალო თბილისო!

ხალხის, ველარ დააკონკრეტა
ჯიბმა „ჯიბი" არის... (ბუნდოვნად და მოკლედ).
ვინც გახლიჩა ქვეყანა, მონასტერი არის...
ცნობ!
წაგება-მოგება — ღვიძლი ძმები არიან!

• ლ ს
7.010.2005.

**P.S.** ვაი, თუ დადგეს დრო და გულზე დასაყრელი ქართული მიწაც საძებარი შეგვექნება!

~~ვალერიან მამუკელაშვილი:~~
„ეროვნული კატასტროფა"
„ლიტერატურულ საქართველოში", მწერალ კოტა ბუჩიძეზე, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ერის გამრავლებისა და მრავალშვილიანობის თემას. ძველი „ნიანგელი" ვალერიან მამუკელაშვილი წერდა:
ყინწვისის ნუ-ალხაცვის ადგილზე იყო სოფელი ჟინვალი. იქ, ერთ საფლავის ქვას ეწერა: „10 შვილი გავზარდე. შენ რამდენს გაზრდი?"
ახლა ეს სოფელი წყალმა წაიღო და ეს სიტყვებიც!

* * *

მერაბ ჯიბლაძე:

ბლეზ პასკალი ამბობდა: საკმარისია საფრანგეთი სამასმა ინტელექტუალმა დატოვოს, რომ ის იდიოტების ქვეყანად გადაიქცეს!

რამდენმა ინტელექტუალმა დატოვა საქართველო და როდის გადაიქცევა ეს ქვეყანა იდიოტების ქვეყნად? იქნებ უკვე გადაიქცა კიდეც?

ეს ჟურნალისტური გამოძიების მეტად მნიშვნელოვანი თემაა. სწორედ მან უნდა გასცეს პასუხი კითხვას: რატომ ვანადგურებთ განათლებას, მეცნიერებას, კულტურას და, საერთოდ, ინტელიგენციას?

ერთ-ერთი პასუხი მე ბატონ ჰაჩისინისაგან, ამერიკის საელჩოს ატაშესაგან მივიღე 1992 წელს, როდესაც მან მითხრა: „თქვენ განვითარებადი ქვეყანა ხართ და სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოს!"

მოგვიანებით ეს, უკაცრავად პასუხია, პასუხიც საფრანგეთის ელჩმა ბერნარ ფასიემ პირად საუბარში გამცა: „თქვენ რად გინდათ განათლების პროგრამა, თქვენ ხომ თეთრკანიანი ზანგები ხართ!"

„ლ.ს.", 30.XI.2006.

P.S. დავიჯერო, ასე შავადაა ჩვენი საქმე???

* * *

თავის ზომა... ტვინის საზომი არ ყოფილა.

აფრიკულ სახელმწიფო განაში მცხოვრები კუბოების ხელოსანი, მსოფლიოში ყველაზე ავანგარდულ კუბოებს ქმნის.

ლოკოკინების გამყიდველმა მას ლოკოკინის ფორმის კუბო შეუკვეთა. ზოგიერთს კი იმქვეყნიურ სამყაროში „კადილაკით" ან „მერსედესით" გამგზავრება სურს. ბახუსის მოყვარულმა ერთ-ერთმა დამკვეთმა კი გადაწყვიტა, რომ გარდაცვალების შემდეგ მას ლუდის ბოთლის ფორმის კუბო მოუხდებოდა.

P.S. სანამ გაიოცებთ, გაიხსენეთ საქოსა და სიკოს დუეტი „ქეთო და კოტედან":

„ძმებო, როცა მოეკვდებით – ნუ ჩაგედებთ კუბოშია, სუყველას გევედრებით, ჩაგედეთ ქიკვორამია-ჯან აია, ჯანო!.."

ჯანი გავარდეს, სადაც სხვისას ვიტყვით, იქ ჩვენიც არ დაგვავიწყდეს... მააშ!

* * *

კომუნისტების დროისა და სკკპ(ბ) რადიოსა და ტელევიზიის ისტორიიდან ერთი რუბრიკის ერთი ასეთი ინციდენტი მახსოვს: „კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით!"

დიქტორი: შინსახკომისა და უშიშროების ორგანოების მუშაკთა დაკვეთით მოისმინეთ სიმღერა — „ვენაცვალე მაგ შენს თვალებს, ჩუმჩუ-

*მაკიაველი: ხელისუფლების გამჭრიახობაზე მის ირგვლივ მყოფთა მიხედვით მსჯელობენ.*

*ბუნებამ ადამიანს ენა – აზრების დასამალად უბოძა!*

მად რომ მითვალთვალებს"!..

მეორე შემთხვევას კი ტელევიზიაში ჰქონდა ადგილი „დიდი ლენინის გარდაცვალების (აბა, არ მომკვდარა-მხოლოდ სძინავსო?) წლისთავზე, როცა სკოლამდელი ასაკის ბავშვებმა წაიკითხეს და იმღერეს ლექსები პროლეტარიატის უკვდავ... ასე ვთქვათ — „ბლანჟეიან" და „ბლაჟენნი" ბელადზე!

გუშინდელი დღესავით მახსოვს! ერთ ცუგრუმელა გოგოს ჰკითხეს — აბა, რა ლექსები იციო?

— ძია ლენინზე და ბეკეკაზე, კურდღელზეო...
— ძია ლენინს! ჩამოთვალა პატარამ.

— აბა, გვითხარი ლექსი დიდ ბელადზეო!..

აქ კი პატარამ დიდი შეცდომა დაუშვა და დიდ ლენინზე... პატარა ბაჭიას ლექსი თქვა, თანაც ისე სხაპასხუპით, რომ მიკროფონის გამორთვაც ვერ მოასწრეს.

— ყურცქვიტა, წვერებცანცარა... (ბოლომდე ვილამ აცალა!)... სასწრაფოდ გამორთეს და ასე დამთავრდა ის „ლენინიანა".

P.S. არადა, თურმე, როგორც დღეს გაზეთები წერენ — დიდი ბელადი, ჩვენი მამა და მასწავლებელი (როგორ გინდა, დაიჯერო, მარა...) ერთი ჩვეულებრივი... პედერასტი ყოფილა!

### მომღერალ ქეთათოს!

„თბილისელებში"
თქვენა ბრძანებთ, რომა ხართ... ევა"!
მე ვარ ადამი – მე არ ვიცი უკან დახევა.
მზადა ვარ, ვიკიხლო ის ვაშლები – მეც
ნატერის ხე ვარ!..
მაგრამ კბილებში (ჩემო კარგო) ცოტა
მერხევა!..
სულაბერიძე მოწმედა მყავს –
პოეტი – ია:
ევა-ადამის ველში არის
და მართებს ქვეყნის...
არ იქნებოდა ქალბატონი ევა ამქვეყნად,
რომ არ მიეცა მისთვის ადამს ის ერთი ნეკნი!
...მზეთუნახავნო!
ნუთუ ისევ ჩვენ ვართ ვალებში?..
(აღარც კი მახსოვს, დავედიოდი როცა ქალებში).
ვხუმრობ!..
მე თქვენ თავს –
მკვდარიც ვიყო – რა დამავიწყებს?
თქვენი გულისთვის მე ამ ლექსში –

9 ძმა ხერხეულიძე, 7 ძმა მაჩაბელი... ნაპოლეონის მე-8 შვილი ყოფილა. რუბენსი — მე-7, ვაგნერი მე-6... როკფელერის ქალიშვილი პოეტი ვილინი ფერმაში ხალიჩებს ქსოვს: ინგლისელი ლორდი ფოსტალიონობას არ თაკილობს... ჩვენ კი კუდი ყავარზე გვაქვს გადებული... მადლობა ღმერთს — გამონაკლისებიც არიან: სოფლის მეურნეობის მინისტრმა იოსებ ხარაციშვილმა, ბინების განაწილების ხაზში შეიცანა 10 შვილის მამა არჩილ გულუა, ზუგდიდელი მოწინავე დურგალი, თბილისში გამოიძახა და ბინის ორდერთან ერთად, საჩუქრად გადასცა ავტომანქანა „მოსკვიჩი"! ზღაპარი არ გეგონოთ...

ამასაც არ დასჯერდა — სოფელ ახალ აბასთუმანში ორსართულიანი სახლი აუშენა და თავის ხელით ჩააბარა კაცს სახლის გასაღები!!! სულ მალე — „თოელის ბაზუა" მინისტრის სახელზე ზუგდიდიდან ელვა დეპეშა მოუვიდა. რომელსაც ბედნიერი ადამიანები

სიცოცხლეს ვიწყებ
ახალ სიცოცხლეს!
მე ეპირდები ჩვენს გულისსწორებს –
უკვე მეორედ...
ჩემს ბიჭობას გაეიმეორებ!

* * *

სისხლგამშრალი და სისხლდაწრეტილი –
სისხლის წვეთებს პგაეს... სამი წერტილი.
ცხოვრებისაგან გულდაწყვეტილი...
რაღაცას მალავს სამი წერტილი.

## P.S.
## სხვა რეგისტრში!

ამ სამ სისხლიან წერტილს...
წერტილებად თუ დაშლი...
გადმოგორდება ბევრი –
„განხეთქილების ვაშლი“!
სიცილ-ტირილის (დღემდის), ცრემლის
ტბაში – ოფლის და ცრემლის –
წერტილმა, რაც ვერ ქნასო...
მრავალწერტილმა თქვასო!

## განწყობა

ნაცრისფერი დღე –
ცხრა მთას იქეთ მზე –
სული – ხორცის ტყვე –
მარტოსული მე!
ტირის-ტირის ცა –
ცა ჩამოიქცა –
მზერას ზარავს ელავს.
სტრიქონივით ღელავს.
გალუმპული მუზა –
კართან აიბუზა –
გულის ზარებს რეკს
და მკარნახობს ლექსს!

## მცირე განმარტება

ამ კრიალოსანს, საჩივრის წიგნს, გაქცეულ კალამს...
სანამ სათაურს მოეუფიქრებ ცხრაკლიტის კარად

და სანამ ქუდად დავახურავ მეშვიდე ცასა —
ალალად ვიტყვი, ეს დომხალი მსახურებს რასა!
ეს არის!
არც ეპატაჟი, „რეპორტაჟი სახრჩობელიდან"
ბუკისცემაა — სიჭაბუკის და სიბერიდან!!!

* * *

სად იყო ამდენი სათამაშო —
მაშინდელ ბავშვობის მოგონების?
ვარსკვლავებს ვეთამაშებოდნენ —
ეს ვარსკვლავ ბიჭუნებ-გოგონები!

## ფუფუნება

ღმერთმა იცის —
ანგელოზმა თუ ეშმაკმა ინება?..
ეშმაკმა იცის —
ქებაა, თუ ლანძღვაა თუ გინება!
ფუფუნების არ გვაქვს ნება —
კაცია თუ გუნება —
„ფუ-ფუ" — ორჯერ იფურთხება
და ნუ წაგვძლევს ცდუნება.
ჩვენს სწავლას და განათლებას
თუ რამ დაეწუნება...
უმაღლესი — უმდაბლესად! —
იქცა და მაქვს რწმუნებაა —
უკადრისი გვეკადრება კადრი...
თუ გავახურეთ.
ჩვენ გვჭირდება, სხვათა „მადლით" —
ხელზე მოსამსახურე!
...ეს რა ჭირი გველხინება,
რა ლხინი გვეჭირვება...
რა დაგვარქვათ?
ამას ჰქვია:
გამოსოროსირება!

* * *

..გუშინდელი და
დღევანდელი...
ხვალის ფიქრები:
რანი ვიყავით,
რანი ვართ და
რანი ვიქნებით???
ამაზე ფიქრებს კაცი, ვფიქრობ
ფუჭად უნდება...
გიჟივით გარბის დრო და
უკან... აღარ ბრუნდება!

აწერდნენ ხელს:
„პატივცემულო იოსებ. ახლახანს მე-11 ბიჭი შემეძი-ნა და თქვენი სახე-ლი — „სოსო" და-ვარქვი! თქვენს სახელზე გვიჩუქებია იგი საქართველო-სათვის!

როგორია?

„მე ვისურვებ-დი, რომ ყველა ქართველის ოჯახში ღვთისმშობლის ხა-ტივით ეკიდოს 15 შვილის დედის — ლოლა ზარანდიას სურათი" — წერს წერილის ავტორი და სინანულით დასძენს, რომ უმუშევარი დატოვეს 6 შვილის მამა, ქართული ენის მეს-ვეური. ჩვენი კოლეგა ლევან ღვ-ინჯილია, რომელ-მაც მე-7 შვილად აიყვანა ლტოლვილი ბავშვი!

აქვეა მწუხარე სახის რაინდი. დ ო ნ - კ ი ხ ო ტ ი. როგორ არიგებდა ჭკუას თავის საქურ-ველ მტვირთველ სანჩოს, გუბერნა-ტორად გამწესების წინ: თვითნებური კანონებით ნურა-სოდეს იხელმძღვა-ნელებ, როგორც უმეცარნი სჩადი-ან...

დიდი ილია გვ-მოძღვრავს: „ერიდე სისხლის ღვრას და მტერს

* * *

**მიქელანჯელო:**
„სიყვარულისგან რაღა რჩება — მყარი და ღირსი?
თუ სილამაზე, წლების მიღმა, მქრქალდება უფრო,
იქნებ ძვირფასი მოგონება? — მიფრინავს ისიც,
ვერ დაეწევა ჩავლილ დღეებს უგზოდ და უფრთოდ".
P.S. დიდი ბოდიში მიქელანჯელო ბუონაროტის!
— ძველი დროის ნაცვლად ახალი მოდის! —
ფერმწერ-პოეტო-არქიტექტორ და ქანდაქარო —
ნასულ წარსულის გადარჩენას იმიტომ ვჩქარობ!

* * *

ერთ-ერთმა სადაზღვევო კომპანიამ პენსიონერებს სარეკლამო წერილები დაუგზავნა — მათ დაკრძალვის უზრუნველყოფას სთავაზობდა.

სადაზღვევო კომპანიის მიერ ფოსტით დაგზავნილი წერილები შემდეგნაირად იწყებოდა: „დროა, იზრუნოთ საკუთარი დაკრძალვის უზრუნველსაყოფად".

P.S. პარადოქსებითაა ცხოვრება სავსე. ამ დროში, სიცოცხლე თუ უცხოეთში ჯობია — სიკვდილი... ჩვენში! გადაგყვებიან თან.

რაც წაიკითხეთ, ანეკდოტს ჰგავს და რასაც ახლა მოგიყვებით, ეს... კი არ ჰგავს — ნაღდი კახური ანეკდოტია.

ლუარსაბ თათქარიძის მასტის ცოცხალ-მკვდარ კაცს დოლ-გარმონით ასაფლავებენ!.. მხიარულ პროცესიას წინ გადაუდგა ერთი კაცი და ცოცხალ მკვდარ კაცს გამოელაპარაკა: ოღონდ დღეში ერთი კოკა წყალი მიზიდე და მე გარჩენო!

— რომელ სართულზე ცხოვრობო? — იკითხა „მიცვალებულმა".

— მეორეზე, — უპასუხა დამქირავებელმა.

— ლიფტი არი? — დაინტერესდა მკვდარი.

— არა.

— ჰოდა, ეგრე გეთქვა რა...

ულიფტოთ არაფერი გამოვა — შენ დაუკარო! — გადასძახა დოლ-გარმონს და გულზე ხელდაკრეფილი გაუდგა უკანმოუსვლელ გზას...

* * *

მამაჩემი, თურმე, ქუთაისში, იოსებ ოცხელის გიმნაზიაში სწავლობდა. სწავლის ქირას ვერ იხდიდა, მაგრამ არ რიცხავდნენ სასწავლებლიდან, რადგან იშვიათი პირველი ხმა ჰქონდა და უიმისოდ გალობა არ გამოდიოდა (უგალობოდ კი, მაშინდელ სასწავლებლებში, არც სული — სულობდა და არც გული — გულობდა). სამაგიეროდ, ის ღვთისნიერი კაცი, თავის წიგნების მაღაზიაში ამსახურებდა და სწავლის ქირასაც იქ აშოვნინებდა. ასე, ოცხელის ცხონებაში გაზრდილმა კაცმა, კაი ნამოყვინჩილებული რომ ვიყავი, ეკლესიაში დააპირა გალობა, რაზეც, ისევ ჩემს გამო, თქვა უარი და გაგანია კომკავშირელობის და ე. წ. „პ.წ." — ანუ პარტიის წევრობის — კომუნისტების დროში, ნებით თუ უნებლიეთ, ამკიდა იმ უდროო დროის კიდევ ერთი ცოდვა!

მაშინ არ დაგვეინდობდნენ და ახლა... შეგვეინდოს უფალმა!

ის კი არა და, აღდგომა დღეს, კაცს რომ ეტყოდი: — ქრისტე აღსდგაო!.. ვიცი, ვიციო — ჩუმად გიპასუხებდა.

* * *

ზოგს ჯვარიც აღარ ენდობა,
ზოგმა სიავით შეგვძრეს...
უღმერთო ცოდვის შენდობას —
ღმერთიც კი ვეღარ შეძლებს!
სანთელ-ხატს,
ფუჭი ოცნებით,
ბევრი ურწმუნო აცდენს.
ღმერთმა ქნას, ჩვენი ლოცვები —
ღვთის წყალობას არ გაცდეს!

* * *

საგონებელში ჩავარდნილმა „იმედის" ტელეარხის ნამყვანმა, შენუხებულმა აუწყა საზოგადოებას, რომ 108 წლის მარტოხელა ქალს სინათლე და გაზი გამოურთეს... ფულის გადაუხდელობის გამო?! ამის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკაში" წერდა გურამ გომართელი, რომლის მეგობარს, ერთ ღვთისნიერ კაცს — ნუგზარ მდივანს ხელი გაუმართია მოხუცისთვის და მუდმივი სახსარიც გაუჩენია!

ვინც 108 წლის გაჭირვებულ ადამიანს ეშმაკს არ შეატოვებს, მასთან არს ღმერთი!

თუ სიკეთის მკეთებელი კაცი იქნა — სიკეთის დამნახავ ხალხს რა გამოლევს!

* * *

თხემით ტერფამდე ინტელიგენტმა კაცმა, „ზარია ვოსტოკას" ყოფილმა რედაქტორმა, იმ დროს კი, საკავშირო, ანუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრესის სექტორის გამგემ (მაშინ — ამხანაგმა და ახლა — ბატონმა) ირაკლი ჩხიკვიშვილმა მოსკოვში, შვილის ქორწილში დამპატიჟა, რომელიც მთელი რუსულ-ქართული ელიტის თანდასწრებით გაიმართა რესტორან „პრაღაში".

ბუბუსია თვალავაძითა და მისი მეუღლით — დავით გამრეკელით (რომელსაც სიყვარულით ყველა „დათკას" ეძახდა) დანყებული... ვის აღარ ნახავდით აქ! მაგრამ იქ ერთი მოსკოველი ქალი ვნახე... რა ნახეს ჩემმა თვალებმა! ქალის უნახავი გამხადა! შავი ბრილიანტის — ბუბუსიას შემდეგ თუ კიდევ არსებობდა მსგავსი სილამაზის ქალი... არ მეგონა!.. ამ ჩემის „გადანგრეულს" თეძოები, პირდაპირ მხრებიდან ენყებოდა; მკერდი — ორსართულიანი ტორტივით უტორტმანებდა; უკანალი... უკანასკნელ შანსსაც არ გიტოვებდა, დაგეცვა ეთიკის ელემენტარული ნორმები და გულგრილად აგერიდებინა თვალი...

სიკეთით სძლიე!
„ლ. ს."
29.04.05.

ჯემალ დავლიან-იძე:

მსოფლიოში ოცი მილიონი ქართველია, ამათგან თექვსმეტი მილიონი მაჰმადიანია და მხოლოდ ოთხი მილიონი ქრისტიანი. ამას მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, როგორც ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და საზოგადოება „თვისტომის" პრეზიდენტი.

„ლ. ს." 2007.
22-28.03.

სანკტ-პეტერბურგში ქსენია (ქსიუშა) სობჩაკის ამერიკელ უმდიდრეს ებრაელზე დაქორწინება „ავრორას" ზალპით აღინიშნა. ამას ჰქვია — ამისთვის უსროლია „ავრორასო"! ამ ზალპით დაიწყო რევოლუცია და ამ ზალპით გრძელდება კონტრრევოლუცია!..

ქართული ხალხური სიმღერის და

— რა ხართ ეს კავკასიელები! — მითხრა ქართულის ბორძიკ-რუსულის ჟღურტულით ვიღაც ჩემს გვერდში მჯდომმა არაუშავს ქალმა, რომელსაც, ეს მზეთუნახავი რომ არა, მიაქცევდა კაცი ყურადღებას, — ხო-ხო-ხო... როგორ გააყოლეთ თვალი ჩემს „მეგობარ" ქალს... — ქურდობაზე ნასწრებულივით მითხრა და შევატყვე, აშკარად იქეთ მჩანგლავდა.

— თვალი კი არა, რატომ სულიც ზედ არ მივაყოლე! — ვეღარ დავმალე ჩემი აღტაცება და ვეებერთელა ნერწყვიც გადავყლაპე.

— მე შემიძლია, შეგახვედროთ მაგ ლამაზ ქალს, — დამაბა თანამესუფრე რუსის ქალბატონმა.

— როგორ? — უიმედოდ ვკითხე.

– Я скажу, что вы в восторге...

– Лучше, скажите, что я в „Мосторге" работаю. Женщинам это больше нравится.

გაეცინა.

ატყდა სმა-ჭამა, ცეკვა-სიმღერა-ფლირტი...

მეც მამღერეს ორკესტრთან ერთად!.. აზრზე ხარ!.. თან დათკა გამრეკელის თანდასწრებით! გაერეკე და... ეტყობა მეზობლის ქალმა მოასწრო მისი „პადრუგისთვის" რაღაცის გადალაპარაკება!.. „Белый танец!" რომ გამოაცხადეს — ეს მზეთუნახავი აგერ არ გამომეცხადა!

სიმწრის და სიამის ოფლმა ერთად დამასხა... ამას წარმატებებისაგან თავბრუხვევაც დაემატა და წამოვდექი, მარა ნეტა ფეხი მომტეხოდა — არ ავმდგარიყავი — ... როგორც კი „სატანცაოდ" დავწყვილდით, პირდაპირ მის ძუძუებს ვრეკე თავი!.. თავი, რომელიც აქ სახალხო და საქვეყნოდ მომეჭრა! რაღა მე და ის ქალი და რაღა „Мадонна с младенцем"! — ღმერთო, მაპატიე ეს შედარება!

პირველად გავბრაზდი მაშინ (როგორც ბებიაჩემი ანა წულუკიძის ქალი იტყოდა) „ჩემს გამსახავ ღმერთებზე" — ანუ მშობლებზე, — რატომ ვერ გაითვალისწინეს, რომ ცხოვრებაში... რა ვიცი, სად და როგორ დამჭირდებოდა და ერთი 10-15 სანტიმეტრით მაღალი გავეკეთებინეთ... სიგრძე მაკლდა, თორემ სიგანეში რა მიჭირდა!

...ცოდვა გამხელილი სჯობია და იმდენი მაინც მოვახერხე, რომ ტელეფონი გამოვართვი. მერე... მერე ჯერ სატელეფონო კავშირი დავამყარე... მერე... ამ მერე-მერეში... კიდეც „გამომელეიძა!", თურმე, ყველაფერი სიზმარი ყოფილა და არა ცხადი ( ყოველ შემთხვევაში, ახლა ამის მოყოლა, ცხადია, ასე ჯობია ცოლთან და მკითხავ-განმკითხველებთანაც!).

სიმაღლეში განსხვავებაზე კი რა მოგახსენოთ!.. ფეხზე როცა დგახარ — მაშინ ხარ ცოდვა, თორემ, წოლით რეჟიმში (როგორც ჩვენს პარლამენტარებს უყვართ თქმა) ყველა ერთია!

* * *

ეპითეტების თავსხმაშიც ჩანს ერის იერი! საქართველოს ისტორიას ჰყავდა დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, ვახტანგ გორგასალი (მგლის თავა), დემეტრე თავდადებული... რუსეთის ისტორიაში კი იყვნენ: უბედური რუსი, ცრუ დემეტრე, ივანე მრისხანე...

არა, რამდენჯერ უნდა შევახსენოთ თავსაც და სხვასაც, რომ ჩვენებური არჩევნები — კენჭის ყრაზე უფრო თვალში ნაცრის ყრას ჰგავს. ასე, გინდა კენჭი ყარე — გინდა კაკალი, გინდა ტლინკები!

ჩვენ თამადისა და ინდაურის არჩევას უფრო სერიოზულად ვუდგებით!

* * *

*ვიკვნესოდით - რითმებით -*
*გვითმენდნენ და ვითმენდით,*
*სოროსი და დავოსი - გავაჟკაცდით - გავოსდით!..*
*ქართლოსი ქაოსით,*
*ყალბ პათოსით დავოსდით.*
*ვერაფერი გავიგე საიქ-სააქაოსი.*

* * *

სუფთა თბილისური გამოთქმაა და არცერთ ენაზე არ გამიგონია ასეთი შეგონება: აზრზე მოდი და ხიდზე გადიო!..

ჩვენ კი ყველა ხიდებს ვნევავთ და ჯანდაბამდე გზებს ვეძებთ...

* * *

ამბობენ, რომ ყველა ადამიანი რაღაცისთვის შექმნა ღმერთმა.

ამიტომ, ყველა უნდა დაფიქრდეს: ვინ — როდის და ვის რაში სჭირდები?

* * *

გათენებას ვერ მოასწრებს... ღამდება,
დრო გარბის და წათეთრ ან წამავდება,
დღე და ღამე აღმა-დაღმა დადიხარ —
ღმერთმა იცის: სიდან მოხველ — სად მიხვალ?

* * *

გახსოვთ იგავ-ნაგავი —
კრავისა და მგელისა —
ველარ გაგვირჩევია —
პენსია და პენისი!
ვერც ზომით, ვერც წონითა,
ვერც სიგრძით და სიგანით,
რას არ იტყვის ენა და
მოიგონებს ციგანი!
ასეა თუ ისეა —
იმედები დიდია,
თუმც ასეთი პენსია,
ზოგს პენისზე ჰკიდია!

**ზოგიერთ თანამოკალმეს!**

მწერლის მელანი
მისი სისხლია!
მაგ შხამ-კალამში
თქვენ რა გისხიათ?!

*ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „ერისიონის" დირექტორი. ~~ჯემალ ჭკუასელი.~~*

*— 2001 წლის 18 მაისს იუნესკომ ქართული სიმღერა მსოფლიო შედევრების სიაში შეიყვანა. ბატონი ანზორ ერქომაიშვილი ესწრებოდა ამ თავყრილობას. აღიარეს რომ ქართული სიმღერა ხალხური მუსიკალური აზროვნების შედევრია. ჩვენ, მსოფლიოს წინაშე ვალდებულნი ვართ მოვუაროთ და გადავარჩინოთ ჩვენი საუნჯე... გახსოვთ ალბათ, ფაქტი. როდესაც ამერიკელებმა კოსმოსში გასაგზავნად შეარჩიეს მუსიკალური შედევრები, პირველი იყო ბეთჰოვენის სიმფონია, ლუი არმსტრონგის სიმღერა და „ჩაკრულო", რომელსაც ჩვენი ანსამბლის სოლისტები ილია ზაქაიძე და როსტომ საგინაშვილი ასრულებდნენ.*

*პარადოქსია, მაგრამ ფაქტია „თამარის ლეგენდამ" ამერიკა განაცვიფრა და ამ დროს საქართველოში თამარს, ილიას, აკაკის, გალაკტიონს, ვაჟას და საერთოდ ჩვენს კულტურას აგდებულად მოიხსენიებენ...*

ყველაფერს, ალბათ, ზეციური მამაც ვერ ნედება...
ვინ — როდის — რატომ... როგორ ცოცხლობს და როგორ კვდება!
„ყოფნა-არყოფნას",
პრინცის პრინციპს
ვერ გავუგეთო...
და ასეთ სიკვდილს მიტომ ჰქვია, ალბათ —
ულმერთო!

* * *

„ხარის ქედს, კაცის მარჯვენას,
ცის ნამს" და მიწის დედობას —
ამა ეძახის, ქართველი, დედამიწაზე ბედობას!
დედას ეეძახით ყოველსა — დედააზრს, რაიც გვამაღლებს,
მამა კი ჰქვია, ერთადერთს:
მამაზეციერს!
მამაღმერთს!

* * *

ჩემი გურული მეუღლის ყველაზე საძულველი ანეკდოტი!
...ხალხს, თურმე, ერთი კაცის საგანგებო დასჯა უნდოდა და იკითხეს:
— ამ კაცს რა ვუყოთო?
— დავხერიტოთო!
— ცოტააო...
— ჩამოვახრჩოთო!
— ცოტააო!..
— დავნვათო!
— ცოტააო...
— გურული ქალი შევრთოთო!
— ...ცოდოაო! — იყვირა ხალხმა.

## „მაქე" მოი!

მე მათ ფაშეისტებს ეეძახი! გადმოუშვიათ ღიპია...
ეს, საწყალ ქათმის კი არა — ადამიანის გრიპია!
ქათამმა ცას ახედა და... (სიცოცხლე მაინც ტკბილია),
ქათმების გრიპი: საცივი, ტაბაკა, ჩახოხბილია!

* * *

იმის მაგიერად, რომ იშიშვლონ როგორაც ხმალი,
პასუხი გასცენ მისი დროის საკითხავ კითხვას,
ნამუსის ქუდი აიფარონ, როგორაც ფარი...
ლიქნის „ლავაშში" ქაბაბივით ახვევენ სიტყვას!
ვინაც იცისო ქიცმაცური — მან იცის ქიცი!
და რა ფასი აქვს ასეთ სიტყვას — ეშმაკმა იცის!

**სულით-ხორცამდე!**

სხეული— სულის საპყრობილეა,
თეალები — საკნის ჭუჭრუტანები,
ნეკნები — რკინის გისოსები და
ალაყაფი კი — გულის კარები!

**გამგები გაიგებს!**

*ბ-ნ გ.თ-ს*

ბედია ასეთი შინაწარ-გარეწრის —
განსაცდელს პქმნის,
მაგრამ თეითონ არ განიცდის.
ისაა, რაცაა — არც „მიწის — არცა ცის",
იმისმა სიცოცხლემ... სიკედილი,არ იცის!
ფიქრობს — უკედავია (მოუკედა თაეია).
კეაჭია — საფლავის მას ელის სხვა ჭია —
აქ რომ ახარა და პყაედა „მძახალადა" —
ქეეყანა არ ეყო — სიცილ-ხარხარადა!

**სიტყვასთან შესიტყვება**

სიტყვა ვიწუნე-ვიწონე —
ვეფერე თოთო ბაეშვიეით —
უსწორ-მასწორო ვასწორე —
და ვზომე ჩემი არშინით —
ანდაზის ფიანდაზებით,
ქარაგმით და სახიობით —
კაფიის მკაფიობით და
მოთმინებითა იობის!

* * *

თუმცა ღირდა ის ერთ რამად —
გამა-ხარა, გამა-წამა —
შაე-თეთრ გამის გაეცდი სამანს —
ჟამი-დრამად, დრამა-ჟამად!..
ღამე-დღედ და დღე კი ღამედ —
პარირამა — ჩარირამად...
აი, მთელი პანორამა!
რამ ათენა? — რამ აღამა?
ქეიფმა და ჭამა-სმამა!
მგლის ყმუილმა — მამლის ხმამა —
ალიონზე სულის დგმამა —
ბედისწერის ლექსის თქმამა —
აეან-ჩაეან-მაეანმა და
ტრფობით დაგეამ — შორით წეამა...
ჯამში — ჯამით ნათქვამმა და
ამ მაჯამამ შემაჯამა!

*__ბორის მოისეევი__ (გეი-მოძრაობის თავკაცი, ცრ.კ კაცი თუ ქალ-კაცი): ვინაც არ მოვწონვარ, შე-უძლია საჯაროდ შემთხვიოს საჯ-დომზე!*

**P.S.** *როგორი სა-ჯარო „ფუფუნებისა" და უმეგერ დროში ვცხოვრობთ? — კაცი უკანალს სა-კოცნელად გვიშ-ვერს!*

*__ამირან მაღლაკაშ-ვილი:__ ბატონო პრეზი-დენტო თქვენი სუ-რათი კედლიდან ჩამოვხსენი!*

*...,პანტომიმის სახელმწიფო თეატ-რი ფეხებზე ჰკიდი-ათ...*

*- ვ ი ც ი ამერიკაში დააფასე-ბენ ჩემს ნიჭს.*

*ჩემმა მონათესავე-მა პანტომიმის თე-ატრი გახსნეს ევრო-პაში, ვაშინგტონში, ზაარბრიუკენში, ბულგარეთში, დის-ნეილენდში... ისე კი, ღმერთმანი — ი ც ო დ ე ს საქართველოშ — უ-მისოდ სიცოცხლე არ შემიძლია.*

**P.S.** *არც საქართველოს შეუ-ძლია ასეთი მეოლებ-ის გარეშე ცხოვრე-*

* * *

ოქტომბრის რევოლუციის არქივიდან!

— შენი სახელი?.. ჰკითხეს მეგრელს.

— ფორე-პატენი.

— ფორე რა სახელია?

— ქრისტეფორე მქვიოდა, მარა ამ შეჩვენებულებმა... ღმერთი აღარ არისო და — „ფორე" დამიტოვეს?!

* * *

— ძუკუ, ბატონო, რატომ არ სვამ ჩვენი მინა-ნყლის სადღეგრძელოს?.. — იკითხა თამადამ.

— მინა ჩამომართვეს და ნყალი შეისხან უკან! — უპასუხა ძუკუმ.

* * *

იმ დროისაა ჩვენს თაობამდე მოღნეული ერთი პოსტრევოლუციური სიმღერაც:

„დადიანო, დადიანო, შენს მამულში დადიანო...

მამულები ჩამოგართვეს, გული არ დაიდარდიანო!..

* * *

დიდი უცნაური და უტირაყო კაცია ჩემი ბავშვობის ძმაკაცი ომან ომანიძე. ნამდვილი რაჭველი — ღონიერი, ალალი, მართალი და... გულუბრყვილო! საკუთარ თავთანაც მომსვლია ჩხუბი, მასთან... არასოდეს! ერთხელ, ჩემმა სიძემ — ადოლფ ხუროძემაც მითხრა: იცოდე, თუ როდესმე ომანთან რაიმე უთანხმოება გექნა, აუცილებლად შენი ბრალი იქნებაო!

როგორია?

გულით რომ გინდოდეს, ვერ ანყენინებ.

მაგრამ დედიშენის შვილი ხარ და ანყენინებ!

თუ გაბრაზდა... ჩემს მტერს!

10 კაცის ძალა აქვს და 9 კაცის მოთმინება...

ჰოდა, ერთხელ, ბიჭობაში, იმ ცხრავე მოთმინებიდანაც კინაღამ გამოვიყვანეთ, როცა სადღაც, არსენალიდან, რომელიღაც ვინრო ქუჩაზე (სადაც პირველად და უკანასკნელად ვიყავით), ქეიფში ღამენათევები, ალიონზე, სატირების ხროვასავით, ბერიკებივით მოვდიოდით, მოვიმღეროდით და მოგვექონდა ცა და დედამინა.

— ბიჭებო, აქ კატუშა არ დაიძახოთ! — გაგვაფრთხილა ომანამ.

...რა ვიცოდით ვინ იყო კატუშა და ან ვინ აპირებდა მისი სახელის ხსენებას, მაგრამ, რახან რაღაცა ეშმაკი ვიყნოსეთ...

კატუშა, „ეს ოვა, ტო?".. — ნავუსომხურეთ და ეს გამაფრთხილებელი თხოვნა პირიქით შევუსრულეთ. იმდენი ვიყვირეთ, რომ ლამის მთელი თბილისის კატუშები გიჟებივით ნამოვყარეთ ლოგინებიდან.

...ერთხელ, კიდევ (ეს უკვე კაცობაში!), სადღაც ავჭალისკენ, ისეთ უკაცრიელ ადგილზე დამინიშნა „სვიდანია", რომ იქ, ახლომახლო, არსად

*ბაირონი: „დემოკრატია თავზეხელაღებულთა არისტოკრატიაა!*

*გოგებაშვილს — გაგებაშვილი უნდა!..*

არაფერი თვალსაჩინოება არ ჩანდა და ამან „გამოძებნა": ეგერ, ის კაცი, რომ დგას... იქ შევხვდეთო?!

თითქოს სადავო აღარაფერი იყო და მეც რაჭულად კვერი დავუკარი. და მხოლოდ მაშინ, სახლში რომ შემოვდგი ფეხი მივხვდი, რომ „ხარი ხართან რომ დააბა... ორი ხარი იქნება!"..

ცხელ გულზე მაშინვე ავიღე ტელეფონი და დავურეკე:

ის კაცი სულ იქ იდგება-მეთქი?

მე რა ვიციო? — ალბათ მხრები აიჩეჩა.

## სიცილ-ტირილი

სიცილის და ტირილის
ცრემლს რა აქეთ გასაყოფი?
ერთსაც და მეორესაც
ყელამდე აქეთ საყოფი!
ცალი თვალი იცინის — ცალი თვალი ტირისო:
ერთი არის ლხინისა, მეორეა ჭირისო.
თათქარიძე ლუარსაბ —
თუსაბერო ყვარყვარე —
კვაჭი კვაჭანტირაძევ —
მეხი კი დაგაყარეთ!..
სიცილითაც ვერ მოვკალ
ტრაბახა და ბრექია —
ყველა ქართველში ცხოვრობს —
ერთი ნაცარქექია!
ლევარსი როხროხაძემ,
ბეშტიამ და ბენიამ
ესტაფეტად გადმოგვცა
იუმორის გენია!..
...ან საიდან სადაო —
ბარონ მიუნჰაუზენ —.
დონ-ჟუანის ცდუნებებს —
ბიჭი ხარ და გაუძელ!
ამ ჩვენს დიონისიებს,
სალაყბოებს,
სატირებს —
სულ მუქთად და ნისიად —
სიცილით რომ გვატირებს!
პილ-პუგო და ნასრედინ...
ერთი მოლას ყოლაო —
ყველა ერს მოუხდება — სიცილისგან ძრწოლაო!
პიკარესკულ რომანის ესპანელო პიკარო —
დიდი შებერტყილი და ჯიგარი ხარ, ჯიგარო!
ტრაგიკომედიურის —
ლაპა-ლუპით რომა გვდის —
რით სჯობია სიცილის ცრემლსა —
ცრემლი ტირილის?
ასე ბრძანებს კლემენზი (ჭკუა რომ ექითხება)

ბა. მილიონზე მეტი ქართველი უკვე უსაქართველოდ ცხოვრობს... თუ ამასაც ცხოვრება ჰქვია!

ჯანრი — ვოვეშვილი:

ცნობილია, რომ მულტიპლიკაციური სერიალ „დარდუბალას" მსგავსი „კომერციული პროგრამები", მიუხედავად თავისებური თავშესაქცევი ხიბლისა, თავისი მემკვებლური მინაარსისა და ჟღერადობის მისამღერით, ერთ სახოვადობის ზომბირებისკენ, ერთ გასაგებსა კი, გამოსაქლავებლადაა გამიზნული...

„ლ.ს.". 2001. 31.08-6.09.

არსებობს ფსიქოტრონული იარაღი, მასების გამოთაყვანების ფსიქოტრონული ველით და ფსიქოტრონული სადგურებით. ანუ ხდება მასების „ზომბირება".

დასახული მიზნების მისაღწევად მოქმედებს ცენტრალური სადაზვერვო ცენტრი, რომელიც დღეისთვის 300.000-ზე მეტ

ტვენია და ტვინია — პასუხად თუ კითხვებად!
სიცილით ვკლავთ სატირალს —
სატირა ჰგავს კოცონსო —
სიცილითა ეინც კვდება —
იგი დიდხანს ცოცხლობსო!!!

* * *

მხოლოდ თბილისს ჰყავდა ყარაჩოხელი, რომელმაც მიხვრაც სხვანაირი იცოდა, მოხვრაც, გავლაც, გამოვლაც... ჩასპანდური სიარულიც, სიტყვაც, პასუხიც, მუშტიც, კრივიც, სიმღერაც, ცეკვაც, ჭამაც, სმაც, ლოცვაც, კურთხევაც... გულის ცეცხლზე, სულის თონეში გამომცხვარი ლავაშივით, სიტყვას... ქაბაბივით გაახვევდნენ, ცეკვას ჩაახვევდნენ, თვალებში ჩაგხედავდნენ, ცას ახედავდენ და ისე დაგლოცავდნენ, რომ ღმერთთან სხვა შუამავალი არ დაგჭირდებოდა!

ახლა, აგერ, მეთევზე თენგომ, ყოფილმა პოლკოვნიკმა და ყოფილი „სალდაცკი" ბაზრის თევზის გამყიდველმა, ათას ჩემნაირ კაცს რომ ძველი თბილისის გემოს არ უკარგავს (ბუბას, მუხრანის, ჩემმა და ვისი აღარ ძმაკაცმა), სიტყვა მომცა, მეტიეებში გაქეიფებ მტკვარზე და ერთი სული მაქვს, როდის გავყვები დედა მდინარეს, რომ გავიგო: ნეტავ — ახლა რაღას ბუტბუტებს და ვისთვის რას იტყვის ეს დალოცვილი?

* * *

აქ, მე, პოლიტიკაზე უფრო ჟურნალისტიკაზე მექნება ლაპარაკი! სენსაციას გამოდევნებულები ისე ვწერთ, რომ ვერ გაგვირკვევია, ვაქებთ თუ ვაგინებთ, სერიოზულად ვწერთ თუ ვმაყირობთ. ამას მარტო ბრჭყალები, ძახილისა და კითხვის ნიშნები არ ყოფნის. კარგ მთქმელს — კარგი გამგონე რომ უნდა, ცხადია... ცუდ მთქმელს რა ვუყოთ?.. ერთ ყურში შევუშვათ და მეორედან გავუშვათ?.. მაშინ ყურში არ შესაშვებს რაღა ვუყოთ?

მრავალთაგან ერთ მაგალითზე ვთქვათ!

„კმარას" აქტივისტები... ბელორუსიაში გაუფრენიათ და იქ, ისინი, დაუჭერიათ „ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევისა და დესტაბილიზაციის გამოწვევის მცდელობის" საბაბით. სულ ორად ორი კაცი ყოფილა — გიორგი კანდელაკი და ლუკა ნულაძე!...

არ დაიბნე, მკითხველო... თავიდან მეც ის გიორგი კანდელაკი მეგონა, ერთი ასს რომ ეყოფა! მაგრამ ერთი ახალნამოჩიტული ბიჭი აღმოჩნდა. მეორე — ლუკა ნულაძე, რომელიც, ასევე, ვერ გამოდგებოდა ლუკაშენკოს საპირწონედ.

ამასობაში კი გაზეთ „ქრონიკაში" (29.07.4.09) ვკითხულობ: „ფაქტს „კმარას" „დედა" (თავიდან გინება მეგონა) თეა თუთბერიძე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ლუკაშენკო (რომელიც, თურმე, „ვარდის სუნს ვერ იტანს") „შევარდნაძის შეცდომებს იმეორებს", რამაც გამახსენა, მეხსიერებას დღემდე შემორჩენილი, ჩვენი დროის არანაკლებ კურიოზული შემთხვევა, როცა საერთაშორისო კომენტატორმა აბონ ციციაშვილმა „ტყავი გააძრო" რეიგანს, ამერიკის პრეზიდენტს დაავიწყდა ქართული ანდაზა — „რაც მოგივა დავითაო"... (რაც არ იცოდა — რა უნდა დავიწყებოდა?).

შევარდნაძის შეცდომები თეამ კი არა, ეშმაკმა არ იცის, ლუკაშენკოსი, მით უმეტეს!.. უნდა მოვერიდოთ ასეთ ფამილიარობას, და ინფანტილიზმს... პოლიტიკაში მაინც!..

იმავე საღამოს, ტელევიზიით, „კმარას"... დედის მაგივრად იმ ბიჭების დიდედები ალაპარაკეს და დავინვი იმ კეთილი ქალის საცოდაობით, სიცილს რომ ვერ ფარავდა და კითხვაზე: თუ იცით, რაზე იყო თქვენი შვილიშვილი ბელორუსიაშიო, უპასუხა:

— მგონი სახელმწიფო გადატრიალების მოსანყობადო(?!).

...ასეთ პროპაგანდას, სამწუხაროდ, უკუჩვენება აქვს.

* * *

„ჩემი ათასი მანეთი კასპის ერთ დიდ კლდეში ძევსა!" — მგონი, ასე დაიბარა არსენამ და ასე, ბებიაჩვენის მუთაქებში და ბაბუაჩვენის ნიფხვებში ქონების შენახვის ტრადიციას მოჰყვა, ალბათ, შემნახველი სალაროებიც, რომლებიც, დღემდე მუშაობდნენ პრინციპით — „მიბარებული მგელმაც შეინახაო"! მაგრამ მგელი მგლობას რას მოიშლის! უნახავის მნახველები გაეხდით, ჭირის დღისათვის გადანახული ფული ხალხს... შეუჭამეს. ამიტომ, ხალხს ჭირის დღესავით სძულს არც მათი ფულისა და არც საკუთარი ნამუსის შემნახავი კომუნისტების დროინდელი სალაროები (თავის „მოლარეებიანად").

მე მახსოვს ის ფრაზაც კი, საიდანაც საქართველოში „ქრთამი" — საბას განმარტებით „საცოდავი ძღვენი" — მექრთამეობა დაიწყო!.. თორემ მანამ ყველამ იცოდა, რომ ყველა კაი საქმეს კაი „მაღარიჩი" მოსდევდა — კაი პურ-მარილი და კაი დალოცვა!

იმ „ქარაგმულმა ნაკვესმა" კი სულ საქარაგმოდ და საკვნესად გაგვიხადა საქმე. აი ისიც!

ერთ მშვენიერ... რის მშვენიერ, ერთ არამშვენიერ და უდღეურ დღეს, ერთმა კაცმა ერთი კაცი ერთ ბოთლ ღვინოზე დაპატიჟა — ერთი კაი საქმის გაკეთებისათვის, ერთი კაი მადლობის სათქმელად!

დაპატიჟებულმა ქვა ააგდო, თავი შეუშვირა და დამპატიჟებელს უთხრა:

— მე ძროხა კი არა ვარ — აქ შევჭამო და იქ (სახლში) სახლში მოვიწველოო?!

ის დღე იყო და ის დღე — ამის შემდეგ „ნველადობა" გაიზარდა და ისეთი არნახული მასშტაბები მიიღო, რომ ფულით... თუ დასჭირდათ, მტკვარსაც კი დააგუბებენ და მიუხედავად ელექტროენერგიის დეფიციტისა — ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებს!

*ფსიქოტრონულ სად-გურს ითვლის. აქედან 100,000-ზე მეტი რუსულ სექტორზე მო-დის. პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს სადგურე-ბი განლაგებულია: ჩიტა, ირკუტსკი, ბარ-ნაული, ნოვოსიბირს-კი, ალმა-ათა, მაილ-საი, ტაშკენტი, თბილი-სი, ყაზანი, ორიოლი, მოსკოვი, კიევი, ზაპოროჟიე, დონის როსტოვი, უჟგოროდი, ტიუმენი, სვერდლოვს-კი, ტომსკი, ხაბაროვს-კი, ნიჟნინოვგოროდი და ა.შ.*

*ფსიქოტრონული იარაღის გამოყენებით ხდება ადამიანის გონე-ბიდან აზრების, იდეე-ბის, ინფორმაციების და ა. შ. გამოტანა, მასების ერთ და საერ-თო დონეზე დაყვანა. ამას ფსიქოტრონულ პარაზიტიზმს უწოდე-ბენ. მკვლევარები ამტ-კიცებენ, რომ მამა ჯორჯ ბუში ფსიქოტრონული ფა-შიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია.*

*ადამიანთა მორჩილ რობოტებად გადაქცევის მთელი პროგრამა ზომ-ბის სახელწოდებითაა ცნობილი.*

*(ლ.ს. 7.010.2005).*

**P.S.** *ეეე... მეც არა ვთქვი — რამ გამოგვა-სირისირა-მეთქი!*

*ასტროლოგია გეოგ-გა რამენაირად: დაძაბ-*

## ერთს კიდევ გეტყვით
## ჩვენი ძმა — სომხების ამბავს...

(გაზეთებიდან)

ქვემო ქართლის (ძველი გოგარენი) თავისკენ მიჩოჩების სურვილით სავსე ნაშრომების გამოქვეყნება დღემდე არ წყდება სომხურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ პრესაში.

თურქეთის საზღვრებში მოქცეულ ტაო-კლარჯეთის ძველისძველ ქართულ მიწას და არქიტექტურას გვედავებიან! ავიღოთ, თუნდაც, პროფ. ტირან (თუ ტიგრან) მართუნიანის მონოგრაფია „სიღრმეთა სომხეთი" (1978). სომხურ ენაზე. მასში, არც მეტი — არც ნაკლები: ოშკი, ბანა, ხახული და სხვა ქართული ტაძრები გამოცხადებულია სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლებად. მანამდე კი, ზოგიერთმა სომეხმა მეცნიერმა ჩვეულ ნაცად ხერხს მიმართა და რუს მეცნიერს, ვინმე ტოკარსკის, დააწერინა ერცელი მონოგრაფია.— „ძველი სომხური არქიტექტურა" (1946). წიგნი გამოვიდა ერევანში, რუსულ ენაზე. რედაქტორია აკად. ი. ორბელი. მასში ტაო-კლარჯეთის ქართული არქიტექტურა განხილულია, როგორც სომხური არქიტექტურის განვითარების ერთი ეტაპი. ეს ე. წ. მეცნიერული ნაშრომი გააკრიტიკა და ტოკარსკის ყალბისმქმნელობა ძირფესვიანად გააშიშვლა აკად. ს. ჯანაშიამ — „ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ" (1947). ეს მონოგრაფია ითვლება აკადემიური კრიტიკის ნიმუშად და სომეხმა მეცნიერებმა, ფაქტობრივად, მას პასუხი დღემდე ვერ გასცეს, მაგრამ, რად გინდა, აგერ ახლახან ისტორია კვლავ განმეორდა და ზოგიერთი ერევნელი და მოსკოვში მცხოვრები სომხური წარმომავლობის რუსი მეცნიერების წყალობით, 2003 წელს, მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოსულ — „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის" მესამე ტომში ტაო-კლარჯეთის ქართული არქიტექტურა კვლავ სომხურად არის გამოცხადებული.

ზოგიერთი სომეხი მეცნიერი ქართული ეკლესიების დაჩემებასაც ცდილობს. მაგალითად, ერევაში სომხურ ენაზე დაიბეჭდა, სამველ კარაპეტიანის ავტორობით, რუკა-ცნობარი — „სომხური ეკლესიები საქართველოში" (1995). მაინც რამდენი სომხური ეკლესია შეიძლება იყოს საქართველოში? ალბათ, გაუკვირდება მკითხველს, როცა გაიგებს — კარაპეტიანი 650-ზე მეტ სომხურ ეკლესიას „აფიქსირებს" თავის ეგრეთ წოდებულ რუკა-ცნობარში (ახლახანს ეს ციფრი 50-ით თავად შეამცირეს — გ. ნ.).

მასზე ადრე, 1960 წელს, სომეხმა მეცნიერმა პ. ოსკიანმა ვენაში გამოსცა წიგნი — „გუგარქის ტაძრები" (სომხ. ენაზე). ამ მეცნიერმა, არც აცია, არც აცხელა, და ქვემო ქართლში (სომხები გუგარქს უწყობენ) ქართული ტაძრები სომხურად გამოაცხადა: პუჯაბი, წუღრუღაშენი, სიონი, ახტალა და სხვა ქართული საკულტო ნაგებობები. (ტაძრების, ეკლესიების, შესახებ დაწვრილებით იხილეთ: ბონდო არველაძე — „სომხური" თუ ქართული ეკლესიები საქართველოში" (1996). ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე).

ამგვარად, ფაქტია, 650 სომხური ეკლესიის არსებობა საქართველოში მოგონილია და სიცრუეა.

ამ ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ ეჩმიაძინიდან საქართველოს საპატრიარქოში ჩამოვიდა დელეგაცია თბილისის სომხური ეკლესიების საქართველოს სომხური საეპისკოპოსო ეპარქიისთვის გადაცემის მოთხოვნით. ალ-

---

*ერთი გიჟი შეკითხვას რომ დასვამს, იმას, ზოგჯერ, ათასი ბრძენიც ვერ გასცემს პასუხს!..*

ბათ, ამ ყალბ რუკა-ცნობარს დოკუმენტად გამოიყენებენ და დაიწყებენ, მაგალითად, თბილისის ბეთლემის ქართული ტაძრის სომხურობის მტკიცებას. ბეთლემი ერთ-ერთი უძველესი ქართული ტაძარია თბილისში. იგი ვახტანგ გორგასალმა ააშენა V საუკუნეში.

ზოგიერთი სომეხი მეცნიერი ქართული ეკლესია-ტაძრების დასაკუთრებას არ დასჯერდა და ახლა ძველი ქართული ციხესიმაგრეები დაიჩემა. აი, მაგალითად, 1970 წელს გამოვიდა მ. ჰოვანესიანის წიგნი — „სომხური ციხესიმაგრეები" (ვენეცია, სომხ. ენაზე). ბარო, ტო!... სომხურ ციხესიმაგრეებად არის შეტანილი თორთუმის ციხე, შამქორის ციხე, სამშვილდე, ანუ ორბეთის ციხე, ასკურეთის, ანუ საკურეთის ციხე, ახალქალაქის ციხე, ყველისციხე, დმანისის ციხე, არტაანის ციხე, თმოგვის ციხე, არტანუჯის ციხე, ახტალის ციხე, თუხარისის ციხე და სხვ. ამ ციხეების ძირძველ ქართულობის მტკიცებას ამჯერად არ შევუდგებით, მაგრამ ერთის შესახებ სანიმუშოდ ვიტყვით. „ქართლის ცხოვრების" ცნობის თანახმად, არტანუჯის ციხე ხომ მეფე ვახტანგ გორგასლის აშენებულია და ეს სადავო არ იყო, მაგრამ დღეს ესეც საჭოჭმანოდ გაგვიხადეს სომეხმა ისტორიკოსებმა. კიდევ მეტი: ტოპონიმ არტანუჯს სომხურ ენობრივ ნიადაგზე ხსნის ზოგიერთი სომეხი მეცნიერი: არტ-ანუშ. უძველეს ქართულ წყაროებში რომ არტანუჯად არის მოხსენებული, ამას არად დაგიდევენ... როგორც ჩანს, ქაღალდი ყველაფერს იტანს.

...ვ. მარიანი თანამედროვე რუსეთის და სომხეთის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას ერთმანეთს ადარებს და ვინმე მოსკოველი პროგრამისტის პირით ასეთ დასკვნას გვთავაზობს — ფული უნდა გააკეთო მოსკოვში და იცხოვრო ერევანში, სადაც არის მთის სუფთა ჰაერი და მსოფლიოში ყველაზე სუკეთესო წყალი მოდის ონკანებში. მოსკოველი სომეხი, ბატონი ვ. მარიანი ამ ოპუსში ცდილობს სომხურ თემაზე ერთი მეტად სკაბრეზული ხუმრობის ტრანსფორმირებას. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეს ანეკდოტური „ბიზნეს-რეკომენდაცია" კი ასე გამოიყურება: ნათქვამია, რომ ფული უნდა იშოვნო... ბაქოში, დახარჯო... თბილისში და მოიწელო.. ერევანშიო! მართალი თუ გინდა — ასეა ეს! ეს მოსკოველი პროგრამისტი, ეტყობა, სომეხია, თორემ საეჭვოა, რუსს ეთქვას ასეთი სიტყვები,

*შვილებს გოჭებივით ეზრდით და მერე გვიკვირს, ღორები რატომ გამოდიანო?!*

*ულობა 2031 წლამდე გასტანს!*

*„45 გრადუსზე აალდება ზღვა. ახალ დიდ ქალაქს ცეცხლოვანი ქარბორბალა მიეჯახება. ეს უკანასკნელი. წამზე უსწრაფესად მთანთქავს ახალ დიდ ქალაქს და მოახლოვდება ჟამი ახალი მონარქის კურთხევისა".*

*ნოსტრადამუსი. VI ცენტურია.*

*მოსვლიდან —*
*წასვლამდე*
*რა მოკლე გზა არის —*
*ან მოსვლა რა იყო —*
*ან წასვლა რა არის!*

*ნ. მშვენიერაძე:*
*ნოდარ დუმბაძის სასწაულებრივი გადარჩენა!*

*გთხოვთ, გვიამბოთ ყველასათვის საყვარელი მწერლის ნოდარ დუმბაძის სიკვდილისაგან სასწაულებრივად გადარჩენის შესახებ. მართალია თუ არა, რომ ცნობილ მწერალს თავი მსხვერპლად შესწირა მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა?*

*გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი ნათია ფარასხველიძე: „1971 წლის ოქტომბერში ნოდარ დუმბაძე მწვავე ინფარქტით საავადმყო-*

ეს უფრო გ. დანელიას ფილმის „მიმინოს" გმირის — ხაჩიკიანის ცნობილი ტრაბახის გადამღერებაა...

სურენ აივაზიანის მიერ „აღმოჩენილი" მესროპამდელი „უძველესი ანბანი" გამოდგა XVI ს არაბული ნარნერა, რომელიც სომეხმა „მეცნიერმა", სურენ აივაზიანმა, მარცხნიდან მარჯვნივ ნაიკითხა და მესროპამდელ სომხურ ანბანად გაასაღა. აკად. ბ. პიოტროვსკიმ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ს. აივაზიანი მეცნიერულ ყალთაბანდობაში ამხილა.

ამა ნლის აპრილის ნომერში, გაზ. „მენამორში" გამოქვეყნდა თვით რედაქტორის, აკად. სურენ აივაზიანის ნერილი ქართველთა შესახე. ამ სტატიაში, თუ შეიძლება ამას სტატია ენოდოს, ქართველ თავად-აზნაურთა საგვარეულო გამოცხდებულია... სომხურად. მაგალითად: ჭავჭავაძე — ჭავჭავაძეანც, ბარათაშვილი — ბარათიანც, მუხრანბატონი — მუხრანიანც, ჯავახიშვილი — ადამიანც, ნიკო ფიროსმანი — ფრომანიანც, ბაგრატიონი — ბაგრატუნ. მეფე გიორგი XII და სტალინიც კი ნმინდა სისხლის სომხები ყოფილან. „ვეფხისტყაოსანი" სომხურად დაუნერია, თურმე, რუსთაველ თავად აშოტს, შემდეგ იგი გადაუთარგმნიათ ქართველებს, ხოლო სომხური დედანი გაუნადგურებიათ და პოემა მიუთვისებიათ. თურმე, ნუ იტყვით და, სომეხი ბაგრატიონის შვილს — აკაკი ნერეთლის ფსევდონიმით „სულიკო" დაუნერია?!

აკად. სურენ აივაზიანის მიხედვით, საქართველოს მინაზე უძველესი აბორიგენები რუსები და სომხები ყოფილან, რომელთაც ძველი დროიდანვე ავინროებდენ ქართველები. სომეხთა მეფეს, ტიგრან I-ს, ქართველები, 524 ნელს ჩვენს ერამდე, მის მიერ დაპყრობილი ესპანეთიდან გადმოუსახლებია დიდი სომხეთის პროვინციაში — ვრასტანში და სხვ. ამგვარი უსაზღვრო ფანტაზიებით არის სავსე აკად. სურენ აივაზიანის ე. ნ. სტატია.

აკად. სურენ აივაზიანი მთლად დალაგებული რომ არ იქნება, ეს ძნელი მისახვედრი არ არის, მაგრამ მას და მის ბოროტ ნაბოდვარს ერევანში რომ ვიღაც იყენებს საქართველოს ნინააღმდეგ, ეს ფაქტია. გიჟის ამ „მეცნიერულ მარგალიტებს" სომეხთა გარკვეულ ნრეში გასავალი რომ აქვს, ამაში თვითონ დავრნმუნდი, როცა შემთხვევით შევხვდი რამდენიმე ჯავახელ სომეხს და ამის შესახებ სიტყვა ჩამოვუგდე. მათ არცთუ მიუღებლად მიიჩნიეს აკად. სურენ აივაზიანის „აღმოჩენა", რომელიც ნერს: „ისტორიკოსების ცნობით, „ქართის" ფუძე უკავშირდება „ქურთს". რაც შეეხება სომხეთის ამ ჩრდილოეთ პროვინციის რუსულ სახელნოდებას — „გრუზია"... ის უკავშირდება სიტყვა „გრუზჩიკს", მუშას. სნორედ ეს ფუნქცია ჰქონდათ ქართველებს, ვიდრე რუსებს შეავინროებდნენ და გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებდნენო(?!)

ცნობილი სომეხი პოეტი ოვანეს თუმანიანი თავის ერს მოძღვრავდა: „იმ სომეხ მოღვანეს, რომელიც არ დადგება საქართველოს დასაცავად, არ ესმის თავის ხალხის, მას არა გაეგება რა სომხეთის ისტორიის, ხოლო ის ქართველი, რომელიც არ დაიცავს სომეხს და სომხეთს, არ იცნობს

---

*საბას სიტყვის კონაში: ქრთამი „საცოდავი ძღვენია", მაგრამ ამ სიბრძნის მიუხედავად, თუ ფილიპეს „ფილიპიკებს" დავუჯერებთ არც ისე „საცოდავი" უნდა იყოს!*

*ალექსანდრე მაკედონელის მამამ, ფილიპე მეორემ თქვა, რომ ოქროთი დატვირთული ვირი ნებისმიერ ციხე-სიმაგრეს აიღებსო.*

ქართველ ხალხს და არ იცის საქართველოს ისტორიული გზა".

სამწუხაროდ, ეს ანდერძი დაივიწყა ზოგიერთმა სომეხმა და დღეს მტრად ეკიდება მეზობელ ქართველ ხალხს, რომელზეც იგივე ოვ. თუმანიანი ამბობდა: „თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიოს მეზობელ ხალხთა ურთიერთობებს, აუცილებლად დამეთანხმებით, ქართველები მათ შორის ერთი ყველაზე საუკეთესო მეზობლები არიან".

როგორც ახალქალაქის მცხოვრები, სომხური ორგანიზაცია „ვირქის" დამფუძნებელი დავით რასტაკიანი აცხადებს, ამ დაპირისპირებას და სომხებისგან „მტრის ხატის" შექმნას, მასმედია უწყობს ხელს.

არადა, სომხებს და ქართველებს საზღვრების, ისტორიული ძეგლების და ეროვნული ფასეულობების გარდა გასაყოფი რა გვაქვს?

ცოტაა?

* * *

სიგიჟიდან გენიალობამდე ერთი ნაბიჯია. ჰოდა, ამ ერთ ნაბიჯზეც იცნობ კაი ქუთაისელს. ძუკნურელმა რეზო გაბრიაძემ იმიტომ შეარქვა ჩვენიანებს „შერეკილები".

შერეკილებიც არიან და მთლად „გარეკილებიც"!...

ლეგენდები დადიოდა ლოტბარ ბიძინა ღოღობერიძეზე. ორ ნკიპურტს გაეიხსენებ.

ბატონ ბიძინას მომღერალთა გუნდში ერთი ჰყავდა — გოდრით დგამდა ბანს. ერთხელ, პირველი შვიდკაცას თენგიზ კორინთელზე ეთქვი და ამაზეც იგივეს ვიტყვი — რიკოთის უღელტეხილზე რომ დაგესვა — დასავლეთ საქართველოსაც ეყოფოდა მისი ბანი და აღმოსავლეთ საქართველოსაც.

მარა, შენ ნუ მომიკვდები! პირადი და პურადი — გიყვარდეს, თვალადის — რა მოგახსენო... არ შეეხედებოდა — ბანს გოდრით დგამდა, მარა თავიც გოდორივით ედგა მხრებზე და თუ პირში სიცილს ვერ შებედავდი, ზურგს უკან იფხრინებოდი კაცი! იმის გამოჩენაზე... სიმღერით კი არა, სიცილით ინგრეოდა დარბაზი.

ლოტბარს ეს გველეშაპი მკაცრად ჰყავდა გაფრთხილებული — გუნდის ბოლო რიგს ამოფარებოდა და იქედან ეთქვა ბანი. მარა, საქმეში ხარ! ხანდახან მოენატრებოდა დარბაზი, წამოყოფდა თავს და ატყდებოდა, მარა — რა ატყდებოდა!

ფიში მოათავსეს. შეშფოთებული ახლობლები მწერალს არ მოშორდებოდნენ. შუაღამისას ედიშერ ყიფიანი ღვთისმშობელს მხურვალედ შევედრა, რომ ნოდარის ნაცვლად მისი სული წაეყვანა. მართლაც, 1977 წლის დეკემბერში 47 წლის ედიშერ ყიფიანი ინფარქტით გარდაიცვალა. ხოლო ნოდარ დუმბაძემ კიდევ 17 წელი იცოცხლა და მკითხველს „მარადისობის კანონი" დაუტოვა.

„ასავალ-დასავალი".
2001.10-16.09.

**P.S.** დიდებული პიროვნება იყო ედიშერ ყიფიანი. აცხონოს ღმერთმა!

<u>ავტოექსპრომტი!</u>

ლამის 80-ის გავხდი, მაგრამ მაინც არ წავედი.

ვერ გაექცევი ასაკს, როგორც არ უნდა ასცდე!

რაც მემატება წლები, იგივე მაკლდება წლები

100-ის მაგიერად — ერთი საუკუნის ვბერდები.

ღმერთს ვთხოვ — იდინოს კვლავაც, ვევდავების წყარომ.

და სიცოცხლეში სიკვდილს უფალმა არ შემყაროს.

წლების სათვალავს, ახლა, საუკუნეთა მეკვლე

და სიჭაბუკის ოქროს — თეთრი სიბერის ვერცხლით!

ერთხელ შებოლილი თევზივით გაფშიკინებულმა ბატონმა ბიძინამ, ველარ მოითმინა და, ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე, პირში უთხრა:

— რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, შე უპატრონო, რომ თავი არ გამოყო და ისე გეითხარი ბანი-თქვა. შენ, ბიძია, სარკეში არ იყურები თუ რავაა შენი საქმე?

— მასე თუა, არც თქვენ მყავხართ, ბატონო ბიძინა, დიდი ხვითო და სარკეში ჩახედვა არც თქვენ განყენდათ! — შეუბრუნა სიტყვა თავგასივებულმა.

— ჰოდა, არც მე რომ არ მაქვს გამოსაჩენი პირი, — მონახა გამოსავალი ლოტბარმა, — ამიტომაც ვდგევარ ხალხისკენ ... ზურგით, აპა!

...ეს ერთი. ახლა მეორე!

ბიძინას ნრის კაცმა, ცნობილმა... მარტო ექიმმა კი არა, ისედაც ცნობილმა ანტუშა საკანდელიძემ, როცა მატარებლის გამცილებელი თუ მეისრე მამა ამ ნუთისოფლიდან გააცილა... მოფიქრება არ გინდა! — მისი გული (მამაშვილური სიყვარულის სახსოვრად) პროზექტურიდან ნამოილო და სპირტში შეინახა, სული კი... ინდაურის ჩინჩახვში!

ბიძინამ ეს რომ გაიგო უთხრა:

ბიჭო, ანტუშა, მამაშენი, მატარებლის მეისრე კაცი იყო... ცოცხალს ტვინი ამოუღე, მკვდრისთვის გული და სული... ამოგიცლია და აბა, ჩვენ მარტო მეისრის დროშას გვატირებო!!!

* * *

ფიქრი ქარივითაა. სად არ ნაგილებს.

იმდენი ჭკუა უნდა გქონდეს, ისე შორს არ ნაყვე, რომ უკან ვერ გამოიგნო.

„ზოგი აქეთ უბერავს... ზოგი იქეთ უბერავს"... როგორც „უცნობის" ერთი ნაცნობი ქალაქური სიმღერა უბერავს და ეშმაკმა იცის, ნაგიყვანს და რას გადაგყრის!

არის თემები, რომელსაც მართლა სულის ბერვა უნდა, მარა არც ისე რომ ორპირ ქარში გაგვიცივდეს და სული გავსაცხებინოთ.

ერთ ასეთ თემას ილია მართლის „ქვათა ღაღადიც" კი არ ეყო და დღესაც ვერ დავაღნიეთ თავი მას. ამ თემას „ქართველ-სომეხთა ძმობა" ჰქვია, რომელიც, დროდადრო, მტრობადაც კი მოეჩვენება და მოეთქვენება კაცს. ვზივარ ახლა, ჩემთვის ვარ — დემოგრაფიულ ფანტაზიებში, ეთნოგრაფიულ ნიაღსვლებში გართული, ჯერ ლექსად და მერე პროზად ვფიქრობ:

ბუნებას რომ ენება — ჩვენი ნების ჩვენება —

არ დაგვეყოფდა „გო"-ებად, გინებად და გენებად!..

ქართველები კი შევძლებდით ვაი სომხობას, მაგრამ სომხები ვერ შეძლებდნენ კაი ქართველობას!

---

*მართალს ამბობს, ვინც ამბობს, რომ არჩევნები უნდა ტარდებოდეს კარგსა და უკეთესს და არა ცუდსა და უარესს შორის.*

*ხელისუფალია ის, ვინც ჭირისუფალია!*

* * *

როცა მოდაში პატეფონი შემოვიდა... სულ მოკლე დროში, ჩამოყალიბდა გრძელთმიანი მოქალაჩუნო „პატეფონისტი" ჭაბუკის ტიპი; ხშირად ნახავდით ქუჩებში — ხელში პატეფონი ეჭირათ და სადღაც მიიჩქაროდნენ; ადვილად გამოარჩევდი სხვებისაგან — ფართხუნა შარვლის ფერი გამომწვევად შეუთავსებელი იყო ჭყეტელა პერანგთან...

გაჩნდა ფოქსტროტის შემსწავლელი წრეები... ერთი სიტყვით, მთელი საბჭოთა კავშირი აცუნდრუკდა...

თანამედროვე მკითხველისათვის ღიმილისმომგვრელი და დაუჯერებელია! მასალების სიუხვით, როგორც მახსოვს, განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ახალგაზრდა კომუნისტი". სწორედ იმ წლებში „ყალიბდებოდა" საბჭოთა ადამიანის სახე და ხასიათი.

წარმოდგენა რომ შეგვექმნას, რა ხასიათისა იყო ეს მასალები, აქ ორიოდე მაგალითს მოვიყვან:

„მეშჩანობად ჩაითვლება თუ არა, საბჭოთა ახალგაზრდობამ ჰალსტუხი გაიკეთოს?.."

პროლეტმწერლების ერთი დისკუსია გამახსენდა: მიხეილ ჯავახიშვილს, სხვა მძიმე ბრალდებებთან ერთად, ასეთი ბრალდებაც წაუყენეს: პროლეტარიატს გრძელ-გრძელი რომანების საკითხავად არა სცალია, საამისო დრო არა აქვსო!

მაღაზიებიდან გაქრა სასურსათო თუ სამრეწველო საქონელი, ახლა, თუკი რამეს მოიპოვებდნენ ანუ ხელში მოიგდებდნენ, იმ დროისათვის შედარებით პრესტიჟულ დაწესებულებებში შეჰქონდათ და მკაცრი კონტროლით არიგებდნენ თანამშრომლებზე. ადრეც გავიხსენეთ, როგორა სთხოვდა კოჯორში რამდენიმე ხნით ნასული გრიგოლ რობაქიძე გამომცემლობაში მომუშავე მეგობრებს, თავისი წილი პაპიროსი შეენახათ. ამასვე ემუდარება ჩვეული იუმორით ლექსად დაწერილ ბარათში, გამომცემლობის იმავე თანამშრომლებს, ცნობილი მწერალი და იუმორისტი შალვა შარაშიძე (თაგუნა) — თქვენი ჭირიმე, არ დამღუპოთ, ჩემი წილი პაპიროსი როგორმე მომაწოდეთ, ფეხი მაქვს მოტეხილი, შინიდან ვერ გამოვდივარო.

პაპიროსს „ფედერაცია" ერქვა — კოლოფზე უტრირებული თავისებურებით გამოსახული სამი კაცით, სამი ბოგანოთი, ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის წარმომადგენელს რომ წარმოადგენდა!..

---

ჯანსუღ ჩარკვიანი (პოეტი, პარლამენტარი):

დღეს, იცით, რა ხდება საქართველოში? — ერთი ყველასათვის, ყველა ერთის წინააღმდეგ!

„ახალი თაობა".

---

ნოდარ ჯალაღონია, პოეტი:

გაჟღენთილია მიწაც, ჰაერიც,

ამდენი ცრემლით, სისხლით, დარბევით.

ღმერთო! რამდენი დადის კაენი,

ვაი, რა ცოტა დარჩა აბელი.

„ახალი ერა", (2001).

---

ედუარდ ლიმონოვი, ლიტერატორი, ექსჰიბიციონისტი, ნაციონალ-ბოლშევიკი:

იდიოტებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!.

„Вот так", (2001).

---

მარინა გელაშვილი, იგივე „პლეხანოველი" მარინა:

შევარდნაძემ არ იცის, როგორ მიყვარს, თორემ აუცილებლად დამეხმარებოდა... ახლა მისი მოხსნა რომ უნდათ, უარესი რომ დადგეს, არ ეშინიათ? თუ სადმე შეგხვდეს, უთხარი — მარინა შენთან არის, ნუ გეშინია-თქო.

„ალია" (2001).

---

ჯაბა იოსელიანი: გაიხსენეთ, როგორ დაიწყო რევოლუცია — ბიჭებო,

შემდეგ გამოჩნდა სალუმპენ თუ ნუმპენპროლეტარიატო — ჩვენი ძმა — „პრიმა" (გ.ნ.)

..."პრიმამ" ერთი ანეკდოტური შემთხვევა გამახსენა: ცეკას ერთ-ერთი მდივანი, მჟავანაძის შემდეგ ყველაზე გავლენიანი კაცი, „პრიმას" ეწეოდა, ისევე, როგორც „უბრალო" ადამიანები. ამით იგი თავის დემოკრატიულობას და მასებთან სიახლოვეს აჩვენებდა — მეც უბრალოდ ვცხოვრობ და თქვენსავით „პრიმას" ვეწევიო. მაგრამ, როგორც მაშინ ამბობდნენ და გულიანადაც იცინოდნენ, ბოლოს მაინც გაუგეს: თურმე, საგანგებოდ მისთვის, „პრიმის" კოლოფსა და პილზებში... უმაღლესი ხარისხის ე.წ. ზღაპრულ „ოქროს საწმისსა" თუა უფრო იშვიათ არომატულ თამბაქოს სდებდნენ.

წარსულზე წუწუნს აზრი არ აქვს. მხოლოდ იმიტომ თუ გავიხსენებთ, რომ მომავალში გაკვეთილად გამოგვადგეს...

ჩვენს კლასში იყვნენ ელო მეტრეველი, გიორგი მელიქიშვილი, ოთარ გიგინეიშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი ადოლფ ხუროძე, არქიტექტორები ირაკლი ციციშვილი, შალვა დავითაშვილი, ვილი ყუფუნია, ელიკო ლორთქიფანიძე...

P.S. ეს მარტო მე-14 სკოლის ერთი კლასი... მისი კლასიკური გაგებით!

ასე იხსენებენ წინა თაობის თბილისელები ჩვენს „დაკარგულ სამოთხეს"!

*ორძალი:*

*პატრონს ლანძღავენ – პატრულს აქებენ –*
*ახლები – ძველებს აქიაქებენ!*

* * *

„ომი დამთავრდა, ხალხნო –
გეშინოდეთ მშვიდობის!.."
მოდის დრო წარღვნისა
და ნოეს კიდობნის!

P.S. ვაი, იმ ქვეყანას, რომელიც ყოველდღე გადასარჩენია!

* * *

სად ტომ სოიერი?
სად პარი პოტერი?
სად ბიძია თომა?
სად ალენ დალესი?
ცა და დედამიწა –
რა ქარი მოდენის?...
გლობალიზაცია? –
უფრო უარესი!

* * *

ვინაც მე-ვარდება —
მეც იმის ვარდი ვარ:
რა უსუპიცა ხარ —
ისეთი ბადრი ვარ!

---

*ნიკო ნიკოლაძე: „ადამიანის პიროვნებას უნდა ვაფასებდეთ დაწნამავეებიაც, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოებრივი უხეირობისა და კანონების უსამართლობის მსხვერპლი".*

* * *

რასაც ახლა სკაბრეზული ჰქვია, იმას ჩვენი წინაპარი უნმანურ სიტყვას ეძახდა და რა ნაცვალსახელებს არ უგონებდა, რომ რამე სიბინძურე არ წამოცდენოდა. ნიფხავი რომ ნიფხავია, იმასაც კი ზრდილობიანად „პერანგის ამხანაგი" ერქვა და ახლაც ჰქვია, მაგრამ ახლა, ასეთი მოკრძალებული ლაპარაკი, დღეს, ძველი და ახალი გამოთქმით რომ გამოვთქვათ — ყველას „ასო სარცხვენელზე", ანუ ერთ ადგილზე ჰკიდია და ძალიან კარგადაც იცით სად?

## სტოპ-კადრი!..

ქუჩა ჩერდებოდა, როცა თბილისის საქალაქო რადიოკვანძის ძველებური დიდყურა რეპროდუქტორიდან ქალაქს ყრუნატელივით დაუვლიდა დები იშხნელების „გახსოვს ტურფავ!"..

მეცხრე ცაზე —
ცხრავე მუზა —
კართან აიტუზა...
ეს ხმა ღმერთსაც აჯადოებს
და კაცს რაღას უზამს?..
გიტარების,
დების ხმების —
იშხნელების ეშხით...
ვიზიარეთ —
ვეზიარეთ —
ღვთიურ ბარძიმ-ფეშხუმს!..

* * *

ძნელია, კაცი რომ ყველაფერს ედება —
თუ კაცი-კაცობს ან ანგრევს, ან შენდება...
ვის-მის ბედისწერით — რა დაებედება! —
ყველაზე ძნელია... არაფრის კეთება!

## პარადოქსი!

ა-თავე „ანიდან" — იმ ბოლო — „პოეს"...
ო, საოცრება არის ღმერთმანი —
ტექნიკა, რაც უფრო გეაახლოებს —
მით უფრო ვშორდებით ერთმანეთს!

ბორჯომში მაყლებიაო. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენთანაც იყვირებს ვიღაცა რაღაცას.

„ალია" (2001).

„ასავალ-დასავალი", 2001. 18-24.06

<u>ნინო გომაშვილი:</u> ამ რამდენიმე დღის წინ დავით აღმაშენებლის ძეგლის მიდამოებში, იქ, სადაც უწინ ერთობ პოპულარული კაფე „მეტრო" იდგა (სადაც მიმტანად, დღეს უკვე სასწაულმოქმედი ჯუნა მუშაობდა — გ. ნ.), უზარმაზარი კოღოები — სარანჩები გამოჩნდნენ. რისი ნიშანია მათი შემოსევა? იქნებ აპოკალიფსური კალიების მსგავსად, იმ კაცთა საცანჯ-საწამებლად გამოჩნდნენ, რომელთაც „არა აქვთ შუბლზე ღმერთის ბეჭედი"?.. „და მოედო ქვეყანას მკალი" — ამ ფრაზას ხშირად შევხვდებით ქართველ მემატიანეთა თხზულებებში, რასაც თან სდევდა შიმშილი, გაჭირვება, მტრის თარეში და ქვეყნის აოხრება (გამოცხადება, IX.7-9.).

**P.S.** 5 წლის შემდეგ კვლავ შეიყარა ღრუბელი საქართველოს უპირველესი მეფის თავზე. მაგრამ ახლა სხვა „კალიები" მოედნენ მოედანს და აღმაშენებლის სხვა ადგილი მიუჩინეს (თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც ისე ცუდი!)..

ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინ-

* * *

როგორც ეატყობ და როგორც მეტყობა –
ტყუილად ეაწუხებ მაჯის შემტყობარს...
სანამ ჩემი მზე ჩაესვენება –
არ მიწერია მე მოსვენება!

* * *

თბილისი არაფერს არ დაგიეიწყებთ –
არც ცუდკაცობას არც კაი კაცობას...
დგება დრო – თვალებში ჩახედვას რო ვიწყებთ:
– მოდით, გაუმარჯოს ჩვენს ნაღდ გაცნობას!

* * *

ჩვენთვის: არც მოსვლა უკითხავთ –
არც წასვლას გვკითხავს გამჩენი...
გთხოვთ, შევსვათ, ფეხზე ადგომით –
მომსვლელ-წამსვლელ და დამრჩენის!

* * *

ქვეყნისათვის თავდადება აღარ არის მოდა,
სამშობლოსთვის მსხვერპლშეწირვა, თავგანწირვა, პოდა...
ძველი სიზმრის სანახავად თავს... ბალიშზე დებენ –
ახლანდელი ცოდნეები... ადრე იძინებენ!

* * *

კვირტებში სკდება ლურჯი აპრილი,
თოვლის საბანში იღვიძებს ია...
იქ, სადაც ცხადი, არის ზღაპრული,
იქ – სიკვდილიც კი სიცოცხლის ტყვეა!

* * *

გიორგი მთაწმინდელი: მას შემდეგ, რაც მივიღეთ მართლმადიდებლობა, არ გარდავსულვართ არც მარჯვენივ, არცა მარცხნივ.

P.S. ახლა კი... ფუი, ეშმაკს — რომელიღაც ტელე-შოუში, ვიღაც ვიგინდარამ, ანეკდოტად მოიხსენია ტრიადა: „ენა, მამული, სარწმუნოება"!

არავინ იცის, რამდენს უხდიან ოკეანის გადაღმელები ასეთ ურწმუნოებაში ასეთ ურწმუნოებს, რომლებსაც, ჩვენ, სახელად გველის წიწილებს ვუწოდებთ!

---

*კონსტანტინე გამსახურდია: „ჩვენი ეროვნება სწორედ დიონისეს, ქრისტე ნაზარეველსა და ზარატუსტრას შორის დგომამ იხსნა".*

*ვილჰელმ შვებელი: „ყველა ვარდს როდი სიამოვნებს, რომ ყველა. ცხვირმა დაყნოსოს" (11-17.VII.05 წლის გაზ. „ასავალ-დასავალის" სლოგანი!)*

## სურათი

უდღეური დღე.
მოწყენილი ტყე.
გასუსული ხე.
სიჩუმე და მე.

* * *

ჩემი წუთისოფელი —
ჭირისა და ლხინის:
ცალი თვალი იცინის —
ცალი თვალი ტირის!
ან იმას რა აცინებს?
ან ეს რაზე ტირის?
ან, დრო, ვის — რით აცილებს?
ან, რას იტყვის, პირი?

* * *

შვილი — მამის სიყვარულს,
მხოლოდ მაშინ გაიგებს,
როცა მამა გახდება
და სამშობლოს გაიგნებს!

## ზარი

ღმერთისაც, კაცსაც, ერსაც, ბერსაც —
ყველას, ყველას, ყველას, ყველას...
ცოცხალსაც და მკვდარსაც ესმის
შემზარავი ზარის ენა!

* * *

შენი გულით და
შენი სულით და
შენი სამწყსოთი —
გახსოვდეს წარსული!
იფიქრე მომავალზე!
იცხოვრე აწმყოთი!

* * *

როცა მტერი მემატება
და მაკლდება წლები —
წუთით გვიან ვიძინებ და
წუთით ადრე ვდგები!

❖❖❖

*სტიტუტის პათომორფოლოგიის განყოფილების გამგე ნაგვერდ ზურაბიშვილი (დიდი ფსიქიატრის ავლიპ ზურაბიშვილის ვაჟი).*

*ინტერვიუ ნაკო ფიცხიშვილთან:*

*მახსოვს, კლინიკიდან ავადმყოფი გაიქცა. როცა ავლიპმა გაიგო, გურიის მიმართულებით არის წასული, თქვა — რადა გვეშველება, ხალხში თუ გაერია, ვეღარ ვიცნობთო.*

*სხვათაშორის, მამას ძალიან უყვარდა გურულები და მათთან დაკავშირებით არაერთი გონებამახვილური გამონათქვამი ჰქონდა.*

*ერთხელაც ჩვენს პრეზიდენტთან მიმართებაში გავიხსენებ. როცა ედუარდ შევარდნაძე ცეკას პირველი მდივანი იყო, მამამ წიგნი უსახსოვრა — „ფსიქიატრია"!*

*ცეკას პირველ მდივანს გაკვირვება ვერ დაუფარავს — რა შემატყო ავლიპმა ასეთი, ეს წიგნი რომ გამომიგზავნაო.*

*როგორ ფიქრობთ, ახლა ბატონი ავლიპი ცოცხალი რომ იყოს, თავისი განთქმული იუმორის მოშველიებით რას გვეტყოდა?*

*რატომ ვარ ცოცხალი!*

*· პრესაში ხან რომელ პოლიტიკოსს უწოდებენ პარანოიის დიაგნოზს, ხან — რომელს...*

*ჩვენი უბედურებაც*

* * *

ამბობენ: სიკედილსაც კარგები უყვარსო!
ვის უყვარს წასული ხელიდან?..
ზოგიერთს პგონია, ცას გამოეკერა –
ზოგიერთს სიკედილიც ვერ იტანს!

## სადღეგრძელო სამზეგრძელოსი!

(მოკლედ და... ბუნდოვნად)

ცრუა წუთისოფელი...
და გიჟიკით მართალი!
ვერ აწონი სკრუპულით,
ვერც საბაზრო ყანთარით!

* * *

მკითხველო და განმკითხველო!
შენ ხარ ჩემი სამკითხველო...
შეილი-შეილი-შეილი-შეილო –
ჩემთვის ვწერ და შენთვის ვცდილობ.
ცოდნის წყაროს მოგაწყურებ,
გაზიარებ ბრძენთა აზრებს
და გაგიფენ ხალხურ სიბრძნის –
ანდაზების ფიანდაზებს!

## მჯობნის მჯობნს

არ ვიცი მკითხველს-მწერალი
სხვა რა სიდიდით ცნობია?
ვისი – როგორ ფრენს მერანი –
ვისი-რას იტევს გობია?
მჯობნის მჯობნს, აბა, რა დალევს –
ჩემი – მკითხველი ჯობია!

## ღამესთან ერთად მოსული ლექსი

<u>მეხსიერების საზეპიროდან!</u>

„მანცვიფრებს ზოგის გაგულისება –
დრო ხომ არავის გვერდს არ აუვლის
არც სიჭაბუკე არის ღირსება
და არც სიბერე - დანაშაული!“

## მონატრება

ღამე სიზმრებშიაც ეხედავ...
დღისით – მზისით მელანდება...
კარის ზღურბლთან ისევ სხედან –
ახლობლები... მენატრება!

...მშობელი ვარ უკეე მშობლის,
ობლის ყური მაინც წივა...
მამაჩემი – სულ მაკლია!
დედაჩემი – დღესაც მტკივა!
წარსულს – ერთ სულს, მოელა უნდა,
პოდა, გაეხსნათ ძველი გუდა
და მოექსოვოთ ამ ტბილ – მწარე
აბდა-უბდის აბლა-ბუდა...
გადავეფურცლოთ დღენი ჩვენი -
რაც არი და როგორც არი...
ექარგოთ ყაისნაღის ენით -
ქორონიკონ-კალენდარი!

* * *

მე ჩემსას ვახარებ ჰიას,
არ მინდა დიდება ყალბი.
წუთ-სოფელს საწუთრო ჰქვია...
დრო თავქუდმოგლეჯილი გარბის.

* * *

ქალის ნათქვამს გაიქვამს
ის ორპირი ქარიც...
ეს კაცური წყეულა... კაცებისთვის არი! –
კაცი, ვინაც კაცებს ქალებივით იცვლის –
13-ეით თარსად ექცეს ყველა რიცხვი!

ქეიფში გამოგონილი და
უქეიფოდ თარგმნილი!

Для пянки есть разные поводы:
Свадьбы, день рождения, встречи и проводы,
Поминки, гулянки, высший чин
И просто пянка... без причин!

ე.ი.
არსებობს ქეიფის 1000 საბაბი:
ქელეხი, ქორწილი... ხინკალი, ქაბაბი,
დღეობა, ღრეობა, გრიალი ქალებში
და „პროსტო" ქეიფი... საბაბის გარეშე!
ან:
ლხინისთვის არსებობს ათასი საბაბი:
ქაბაბი, ხინკალი – ხინკალი, ქაბაბი!..
ეპოლეტ-ტემლაკის, ჩინ-მედლის ვალებში...
და „პროსტო" ქეიფი – საბაბის გარეშე!

P.S. არც სახელი ვიცი, არც გვარი იმ კაცის, ვინაც ეს ლექსი დაწერა (რუსულად დაწერა და მისი ასეთი თარგმანი ქართულად დამაწერინა).

სწორედ ამაშია. სიტყვებს ისე ვიხმართ, არც კი გვესმის მათი მნიშვნელობა. იცით, რას ნიშნავს პარანოია? _ საკუთარი აზრის, შეხედულების ბოლომდე ერთგულებას.

„ახალი-დასავალი", 2007.4-10.03.

---

[illegible]:

არცერთი კეთილი საქმე... დაუსჯელი არ დარჩება!..

„Экспрес газета"

---

[illegible] [illegible] და გასახლების სამინისტროს [illegible] სპეციალისტი:

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გლობალური მარში და სურსათმარაგის გლობალური კავშირის თავმჯდომარე ლეილა ნაით 20 წლისთავში საქართველოში რამდენიმე ჯუჯა სახელმწიფოს შექმნას ვარაუდობს.

(„ცაისკარი" 2005. 3.010)

---

ჯანსუღ ჩარკვიანი (პარლამენტარი, პოეტი): თბილისში დადიან გასათხოვარი ბიჭები.

„შანსი", (2001).

---

ჯარჯი ფხოველი:

საბჭოურ ეპოქაში საბჭოში, თურმე, კენჭს ისროდა მალვა დადიანი... ხმის მისაცემად მისულმა შეზარხოშებულმა ემაილ-

* * *

ქუდით იწყები — თავდები...
სალამის ეშხი ისაა —
ღმერთია მისი თავმდები,
რადგან სალამი ღვთისაა!

## დილით ხაში — ზედ ლავაში

არყისფერ დილის სიფთაზე,
გადაკრავ-გადაიკარებს,
პირში სულს ჩაგაცეცხლებს და
გულში დარდს არ გაიკარებს.
ჯამით, დილით რომ ხაშსა ვჭამთ.
ჯამით ამ ჯამს მით ვჯამოს...
ალალი პურის გატეხვით
ძმობის ფიც-ვერცხლი გვეჭამოს!

## კუს ტბაზე

ძარღვებში სისხლს რომ ვაშმაგებთ —
კუს ტბაზე წრიულ დინებით —
ანგელოზს ვუფრთხობთ ეშმაკებს,
სიცოცხლეს ვეპოტინებით.
სიბერეს (ვაი-ვუებით) —
ვამარცხებთ (ჩვენი ჭკუებით)...
კუს ტბაზე... კუებ-კუებით...
დადიან, როგორც კუები!

* * *

ეს ცხოვრება გამოცანად ცნობილა...
ამოხსნი და რა მარტივი ყოფილა —
სიმარტოვის სიმარტივე მაოცებს —
მოხვედი და წახვალ დედიშობილა!

* * *

ეს ცხოვრება ზღაპარს ჰგავს:
მიწა არჩევს კარგს და ავს!
მიწა იყრის ბოლოს ჯავრს:
მიწას ვჭამთ და მიწა გვჭამს!

*მდიდარი კაცის მამალიც კვერცხისმდებელია!*

*შენს სიღარიბეს — სხვის სიმდიდრეს ნუ დააბრალებ!*

* * *

აუხსნელი გვჭირს და ვერ ხსნის —
პირს დანა და დანას პირი —
„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის“ —
ჭირის — ლხინი, ლხინის — ჭირი...
აი, რა გვჭირს!

* * *

<u>— რაა წუთისოფელი?</u>
— თვალის დახამხამება!
წუთი წუთის საწუთრო,
წამი წამის წამება —
— რაა წუთისოფელი?
— ერთი მისმა ბადისა!
წუთში მოდის წუთი და
იმავ წუთში გადისა!
მაგრამ მაინც ტკბილია,
როგორც დედის ალერსი,
მეც იმიტომ ავდექი —
წუთი-წუთში გავლესე!

* * *

ვინ იცის, ვინ რა ცოდვას ატარებს?..
კაცის მკვლელს ღმერთი არ გაახარებს...
ჯოჯოხეთისკენ გაუყენებს და
გამოუხურავს სამოთხის კარებს.
გვიან თუ ადრე... ადრე თუ გვიან...
კაცნი ცოდვილნი მაინც ხედებიან —
წუთისოფელი — მარადიული —
სოფლის საცდელი გამოცდებია...

* * *

როგორ ნარვდექი პირველად ღმერთის ნინაშე!

ახლა, შორიდან რომ ვუყურებ ჩემს ბავშვობას, ვხედები: ძნელად აღსაზრდელთა კატეგორიაში გავდიოდი და ბევრი თავსატეხი გავუჩინე ისედაც არც თუ ისე დალხინებულ მშობლებს.

ზამთრის არდადეგებზე — ოკრიბა და მისი ჯანი!.. მოვუსვამდი სოფელში და იქაც ისე ვიყავი, როგორც თევზი წყალში... მიუხედავად იმისა, რომ ბებიაჩემი — ანა წულუკიძის ქალი ერთი ციცქნა, მაგრამ ერთობ მკაცრი და გრძნეული ქალი გახლდათ — ვაგლახად ვერაფერს გამოაპარებდი!

მა თურმე ასეთი ლექსი წააწერა ბიულეტენზე: „გამარჯობა დადიანო, ხმის მიცემა მნადიანო! შენც ისე კი არაი ჰქნა, როგორც სხვები სჩადიანო: ფაეტონზე დასხდებიან, გლეხებზე ზედ დადიანო!..“ არავინ იცის, რა ჰქმნა შემდეგომ დეპუტატმა დადიანმა. მისი დეპუტატობა აღარავის ახსოვს; ოღონდ ამ მწერალს და დეპუტატს ასე მოიგონებენ: საუკეთესო თამადა იყოო... ესეც ხომ, უდაოდ, დეპუტატობაზე არანაკლები საქმეა! უაღრესად საპასუხისმგებლოც: ამდენი მთვრალი, ამბიციით ავსილი და აჯავრული ქართველი ვაბარიოს!

...სოფლიდან „ლამარას“ წარმოდგენაზე მისულა მამამ, როცა სპექტაკლი უკვე მთავრდებოდა: უთქვამს, ხელახლა ითამაშეთო. ითამაშეს ცარიელ დარბაზში... გრიგოლ რობაქიძემ იკითხა: „შეირხნენ სოფლებში საქართველოს ფესვები?..“ ვინ იცის! ვინ იცის, როგორ შეიძრა იმის გულში თორღვაის გამყინავი ხმა!

მწერალი, მწერლისთვის მგელია! — თურმე, ამის გაფიქრებაც შეიძლება, ამის თქმაც შეიძლება და, ღმერთო ჩემო, ამის დაწერაც შეიძლება: ქაღალდი ხომ ვირივით ამტანი და გამძლეა! რაღას არ გაუძლო: ამასაც გაუძლებს!

ჰოდა, ერთ... „მშვენიერს" როგორ დავარქმევ იმ დღეს — ღრუბლიანსა და უემურს... ბებიამ გამოაცხადა, რომ სახლში ფული დაიკარგა!.. მაშინ „მანათს" ფული ერქვა, ბიძია!

ააყუდეს კედელთან ყოველთვის ალალი და მართალი უჩა — ჩემი უფროსი ბიძაშვილი.

ფეხით დაკიდეს ეშმაკის ფეხის მკვნეტელი მისი უმცროსი ძმა — ზალიკა მექიევიჩი, რომლის არც ფიცი სწამდათ და არც მტკიცი...

და მომადგნენ მე — 7 წლის ბიჭს, რომელსაც, მურაბის გარდა, ჩემს სიცოცხლეში არაფერზე ნამცდენია ხელი...

შავ დღეში ჩავვარდი... ისედაც შავი დღე და ავდარი იყო — გრგვინავდა ცა და ჭექა-ქუხილით ილებდა იქაურობას!..

გუშინდელი დღესავით მახსოვს.

ხელმრუდობაში არასდროს ვყოფილვარ შემჩნეული, მაგრამ ქალაქელია და, რა იცი, ეშმაკს არ სძინავსო — უთქვია ბებიაჩემ ანას და გადაუწყვეტია, ხატზე დავეფიცებინე... გამოასვენეს ხატი და დამაყენეს ხატთან!.. ეჰე, ვერაა კარგად საქმე-მეთქი, გავიფიქრე...

ახლაც მაინც რა მაქვს შენთან დასაფიცი, მკითხველო, — არ მომიპარავს და არც მიპოვნია, მაგრამ... ვერ დავიფიცე და იცით რატომ?.. ახლა ხატზე შემიძლია დავიფიცო, მაშინ ხატზე რატომ ვერ დავიფიცე და ვთქვა ის, რაც ახლა, შეიძლება სასაცილოდაც მოგეჩვენოს, მაგრამ მაშინ მთელი ჩემი ბავშვური გულუბრყვილობითა და ღვთისმოშიშობით გულში გავიფიქრე: მე კი დავიფიცებ, მაგრამ ამ ჭექა-ქუხილში, ვაი თუ მამაზეციერს ჩემი სიმართლის ხმა ვერ მინვდეს-მეთქი!

მე — ეს ვიფიქრე და ნულუკიძის ქალმა (ანუ ბებიაჩემმა) რა იფიქრა — ძნელი წარმოსადგენი არ იქნება.

დღემდე მაწუხებდა ეს სათქმელი!

და ახლა საფლავში ჩავძახი:

„არ მომიპარავს"... რავარც ერთ „კრიმინოგენულ" სინღერაშია!

* * *

ალალი ბიძაშვილი და საერთოდ ალალი კაცი იყო ჩემი სახლიკაცი გივი (ნუზო) ნიშნიანიძე. ქართული კონიაკის მესვეური და მასავით მაგარი — გულიანი, ჯიგრიანი, სუფთა... მაგრამ ბავშვივით გულუბრყვილო (ესეც ძლიერთა მახასიათებელია). მის „მთიულურს" ნაპერწკლები გასდიოდა სცენაზე... ფილიგრანული იყო ყველაფერში. ზღაპარი ცოლი ჰყავდა — კალისა ნოდია. მათ შეხედვას არაფერი ჯობდა. გივი მაშინ მოკვდა, როცა კალისა მინას მივაბარეთ. მანამ არ მოისვენა, სანამ გვერდით არ მიუწვა. არიან ახლა, ისევ ერთად — საიქიოშიაც, შეყვარებული ცოლ-ქმარი და გვიღიმიან იქედან. ეს პატარა ჩანახატიც მათ სააქაო ძეგლწერად იყოს!

...მათი ყველაზე დიდი დარდი მხოლოდშობილი ერთადერთი სანთელივით ბიჭი იყო — ოთარი, ხატიდან გადმოსულ წმინდანს რომ ჰგავს.

ამას რა ეშველებაო? — მამურად განიცდიდა უდედოდ დარჩენილი ერთადერთი შვილის ბედს მამა, რომელმაც საფლავშიაც თან წაიღო ეს დარდი.

---

*1940 წელს, საქართველოს დიდ ლხინისუფალს ივანე ჯავახიშვილს, უკანასკნელ გზაზე... 5 ჭირისუფალი მიაცილებდა!!!*

*საქართველოს ისტორია სულ ცრემლითა და სისხლით იწერებოდა!*

საბურთალოზე, ოთარა მგელაძის საფლავის გვერდითაა ჩვენი გვარის თავკაცის — აკაკი ნიშნიანიძის ძველი ოჯახისა და დიდებული კუკური ჩაჩუას (ჩვენი სიძის) სამარადისო განსასვენებელი! — აქაა გიჟიც, თავის კალისათი! მივედი და საფლავში ჩავძახე:

— ბიჭო, გიჟი, შენი ოთარიკოს დარდი ნუ გექნება, — ეს ბიჭი, შენ რომ მისი მარტო დატოვებისა გეშინოდა, მარტო კი არა — ლეგიონია! თბილისის ომში, მოწინააღმდეგეს (სხვას რას დაარქმევ! — გ.ნ.) ტანკში ჩაუხტა და განაიარაღა?! ასეთ სიმამაცეს, მეორე მსოფლიო ომში მატროსოვობასა და რას არ ეძახდნენ!..

არადა, შეხედავ და შენსავით იფიქრებ — ეს ბიჭი არასდროს, არავისთვის ბუზის ამფრენი არაა!

შენ კი გადაჰყევი ამის დარდს.

მამებო! დაზოგეთ თქვენი შვილების ცრემლი თქვენს საფლავზე დასაღვრელადო: — ბრძენს უბრძანებია.

დღეს თქვენს საფლავზე დასაღვრელი ცრემლი საძებარი არაა!.. მაგრამ გაივლის დრო და სიკვდილსაც შეეჩვევა კაცი... ტირილისა და სიცილის ცრემლიც ირევა ერთმანეთში.

ახლაც, ამ ცრემლნარევი სიცილის გუნებაზე ვარ და მინდა, თქვენც ამ ხასიათზე დაგაყენოთ!

აკი გითხარით — ნუზო, ყველაფრამდე ძლიერი, მაგრამ ერთობ მიამიტი და გულუბრყვილო ჯეელი იყო.

მგონი მოყოლილიც მაქვს!

ერთხელ, სუფრაზე არ გაგვიჩერდა — კბილი მტკივაო და ჩემს დასთან დააპირა ნასვლა სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში (სტადიონთან ახლოს).

ვერაფრით გადავათქმევინე.

ბოლოს ვკითხე — რომელი კბილი ტკიოდა?

ზემოთა ყბის მე-7 კბილიო!

— მერე, ზემოთა ყბას მტკვრის ქვედა — ანუ მარცხენა სანაპიროზე რა უნდა-მეთქი?

აბა, სად წავიდეო?

— ზემოთა ყბა ეკუთვნის მტკვრის მარჯვენა ანუ ზედა სანაპიროს პოლიკლინიკებს-მეთქი?!.

ვიფიქრე, ნასვლას გადავაფიქრებინებდი... საქმეში ხარ! — ადგა და წავიდა მტკვრის მარჯვენა ანუ ზედა სანაპიროს პოლიკლინიკაში, სადაც მთავარ ექიმად გრიგოლ სამსონიჩი (ნიშნიანიძე) მუშაობდა.

შევიდა, თურმე, ეს კეთილაღნაგი, ლამაზი ბიჭი... დაეხვიენ ლამაზი ექიმები და ექთნები — რა გნებავთო?

(„ცისკარი". 2005, ჟ.010).

**P.S.** მოგიხვდი ჩემო მიხეევ! ბყოხო ჯარჯი. ცამდე მართალი ხარო, მაგრამ მიწამდე. რა მოგახსენოთ?.. სხვა სიმართლეც და თან „პაემანიც" გაიხსენეთ!

---

ვლადიმერ გუბარევი

მწერალი, დრამატურგი, ჟურნალისტი:

მწერლების არსებობას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — ხელისუფლებამ იცოდეს, რომ გამსამართლებელი ჰყავს.

**„Аргументы и факты"** (2001).

---

ვლადიმერ პუტინი

რუსეთის პრეზიდენტი:

ვინაც საბჭოთა კავშირის ნოსტალგია არა აქვს — ის უგულოა, ხოლო ვინც ნებისმიერი საშუალებით მის აღდგენას ცდილობს — უთავო.

**„Аргументы и факты"**

---

იგორ [illegible]

სამხედრო დირიჟორი:

ადამიანებს რომ უდირიჟორო, ამისათვის უნდა გქონდეს ცივი გონება, [illegible] გული და ქათქათა ხელთათმანები...

**"Комсомольская правда"**

---

ოთარ რამიშვილი

(კვაჭიჭო) მომღერალი:

მე ყველაფერზე ვუკრავ...

ნერვების გარდა!

გივის, სტომატოლოგთა წრეში, კარგად ცნობილი ჩემი დის — ნაზიკოს ძმად ანუ — ჩემად გაუსაღებია თავი და უთქვამს, რომ აქ კბილის ტკივილმა მოიყვანა, რაზედაც დამხვდურებს, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით შეუხედნიათ და უთქვამთ: თუ ნაზიკოს ძმა ხართ... აქ რატომ მოხვედითო? რაზეც გივის უთქვამს, რომ — მე ზედა ყბის კბილი მტკივა და იმიტომო?!.. რაზეც ეს გოგონები სიცილით დახოცილან, გივი კი ამ სიცილ-სიცილში, ბოლოს და ბოლოს მიმხვდარა, რომ გავაშაყირეთ და იქედან ათესილა!..

მაშინ ძლივს გადავურჩი და ახლა მეორეც დაემატა!

ცოტა ყურს დაკლებია და ვაკეში, მე-9 საავადმყოფოს ეზოში, ყელ-ყურ-ცხვირის მრავალსართულიანი განყოფილების მესამე სართულზე მდებარე პალატის აივანზე გადმომდგარი დამხვდა...

აქაც ეშმაკი შემიჯდა ტვინში და კაცი კინაღამ შემომაკვდა.

ეზოში შევგრიალდი თუ არა, მისალმების ნიშნად, ვახტანგ გორგასალივით ხელაწეული დამხვდა!

ხელი დავუქნიე, პირი მტკაველზე დავაღე, მაგრამ ხმა არ ამომიღია და კრინტი არ დამიძრავს — ისე დავუწყე „ყვირილი"!..

...გაფაციცდა, გაგიჟდა კაცი, დაიბნა: მე — „ვყვირი", მას — არაფერი ესმის... ან რა უნდა ესმოდეს, როცა პირს ვაღებ, მაგრამ ხმას არ ვიღებ... იფიქრა, ალბათ, რომ სულ დავყრუვდიო და კინაღამ გადმოვარდა აივნიდან...

ძალიან რომ გავახურე და კაცი ლამის კედელზე გავიდა, მეც გვარიანად შემეშინდა და მთელი ხმით დავუყვირე — ახლა ხომ გესმის-მეთქი!

გამიცინა, მაგრამ ვაი ამ გაცინებას!

* * *

გთავაზობთ ბოლო 25 წლის მანძილზე კაცობრიობის 25 საუკეთესო გამოგონების სრულ სიას:

1. უმავთულო ტექნოლოგიები; 2. თავდაცვის ტექნოლოგიები; 3. ალტერნატიული ტექნოლოგიები; 4. ბიოტექნოლოგიები; 5. კომპიუტერები; 6. ლაზერები; 7. გენომი; 8. გლობალური ფინანსები; 9. პროცესორები; 10. ციფრული დამგროვებელი მოწყობილობები; 11. კოსმოსური ტექნოლოგიები; 12. ოპტიკური ბოჭკო; 13. თანამგზავრული რადიო და ტელევიზია; 14. დნკ-ანალიზი; 15. ვიდეოთამაშები; 16. ბიომეტრიკა; 17. ენერგო და წყალდამზოგი ტექნოლოგიები; 19. მასკანირებელი მიკროსკოპი; 19. აკუმულატორი; 20. სპაზმთან ბრძოლის ტექნოლოგიები; 21. დისტანციური მართვის პულტები; 22. ცხოველთა კლონირება; 23. კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები; 24. გრძელდიაგონალიანი ეკრანები; 25. ამინდის პროგნოზის ტექნოლოგიები.

P.S. ამ პროგრესის რეგრესი! ერთადერთი მთავარი უკუჩვენება — აღტაცებისა და გაკვირვების უნარის დაკარგვაა!

*ჰორაციუსი: „პოეტებს საშუალო დონეზე ყოფნის უფლებას არც ღმერთები აძლევენ, არც ადამიანები და არც წიგნით მოვაჭრენი".*

*ალბერ კამიუ: თავისუფალი პრესა არის კარგი, ან ცუდი, მაგრამ თავისუფლებადაკარგული პრესა მხოლოდ ცუდია.*

გრიგოლ რობაქიძე:

## „თამარ"

თამარ მდიდარი იყო ყოვლად, მაგრამ ისტორიკოსის სიტყვით „არ მიდრკა, ვერცა ნარიპარა სიმდიდრემან"... გიორგი მესამის დროს განნესდა სიკვდილით დასჯა მეკობრეთა და ავაზაკთა, — თამარ კი, მისი ქალიშვილი „მშვიდი და მშვიდობისა მყოფელი იყო". მისი მეფობის ხანაში... თუ ვინმეს მიესაჯებოდა კანონით სიკვდილი ან ასოთამოღება, თამარ არ დაამტკიცებდა სასამართლოს განაჩენს და ამ გზით ნელინელ სპობდა სასტიკ სასჯელსა.

მრავალი მხარეა საგულისხმო თამარის პიროვნებაში, მაგრამ მათ შორის არის ერთი მხარე, რომელიც ნამდვილს ჯადოს აცხადებს თამარის ქცევაში. ისტორიკოსის სიტყვით, თამარმა იცოდა „კაცთა უნებლობასა შინა ...ქედფიცხელობისა და გონებაურჩობისა". საქართველოს ისტორიის პირველყოფილ ცოდვას სწორედ ეს „ქედფიცხელობა" და „გონებაურჩობა" შეადგენს, — სწორედ აქედან ნამომდგარი უნდობლობა და შუღლი ღუპავდა ისტორიულად საქართველოს — და თუ თამარის პიროვნება „კაცთა უნებლობას" „უვნებლად და მშვიდად იჭერდა", თუ კი იგი ჯადო — გავლენით სპობდა „ქედფიცხელობასა" და „გონებაურჩობას", საკვირველი აღარაა მაშინ, თუ რათ იქცა საქართველო თამარის დროს მთლიან სხეულად..

* * *

...ცნობისთვის! იაპონიაში, 40 წლამდე ასაკის ადამიანის — მინისტრად, ამერიკაში კი 45 წლამდე ასაკის — პრეზიდენტად მოღვაწეობას კანონმდებლობა კრძალავს.

* * *

ომბუდსმენი სუბარ სუბელიანი თავისი ერთადერთი „მიგნების" არგუმენტად აცხადებს, რომ თუ მართლმადიდებელი სასულიერო პირი არ მიდის სამხედრო სამსახურში, რატომ უნდა წავიდეს კათოლიკე ან გრიგორიანელიო?.. ამასვე ქადაგებს „იელოვას მოწმეთა" სექტაც.

---

*ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" „ქართლის ცხოვრების" აყვავების პირობად თვლის: „უკეთესი ქვეყნის შენებას — ერის ერთნებობითა და თანადგომით!"*

---

*P.S. მიხარია იმის გახსენება, რომ ეს ნაღდი და უბოროტო კაცი პირველად ქუჩიდან სცენაზე მე ავიყვანე.*

*<u>გურამ მამულია</u>, რეკრეაციის სამსახურის უფროსი:*

*მართალი გითხრა, არა მგონია, სიკვდილის შემდეგ ვიღაცას გავახსენდე.*

*„მეოთხე"*

***P.S.*** *ძალიან ცუდი წარმოდგენისა უნდა იყო კაცი ან საკუთარ ხალხზე ან საკუთარ თავზე, რომ ასე იფიქრო. მით უფრო გურამი მამულიასგან გამკვირვებია!*

*<u>თამაზ ნიჟნიკაძე</u>:*

*ქართულ პერიოდიკაში, ამ რამდენიმე წლის წინათ, პრესაში დაიბეჭდა წინასწარმეტყველების პრეტენზიის მქონე პროგნოზი, რომლის ავტორიც ამცნობდა, რომ დადგება დრო, როცა მსოფლიოს მართვის საქმეთმპყრობელები იქნებიან ჯორჯ ბუში — უმცროსი და მიხეილ სააკაშვილი.*

*ჩვენც ვფიქრობთ, რომ ეს წინასწარმეტყველება, რომელიც მაშინ შეიძლება ვიღაცას ფანტასმაგორიად მოეჩვენა, არ არის გამორიცხული... რეალობად იქცეს.*

*(„ლ.ს." 7.010.2005)*

***P.S.*** *შენ პირს მა-*

* * *

როცა ქვეყანას ქუდზე კაცი დასჭირდებოდა, საქართველოში ერი და ბერი ფეხზე დგებოდა და დადგება კიდეც (მარაბდის ველზე ერისკაცებთან ერთად ეპისკოპოსები — რუსთაველი და ხარჭაშნელიც დაეცნენ გმირულად).

* * *

საზოგადოებისათვის მიუღებელია ბევრი სხვა, ჯერ შეჩერებული, დადგენილება (ბიძაშვილ-მამიდაშვილების ქორწინება, გვარ-სახელების გადაკეთება), რაც, ისევ და ისევ, უცხოეთიდან ფინანსდება და დღის წესრიგში (თუ უწესრიგობაში) დგას!

* * *

მივესალმები შუქნიშნებსაც, ასფალტსაც, პატრულსაც, ლაზერ-შოუებსაც, მაგრამ ჯერ მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა! ქვეყანა უნდა გაიმართოს წელში, ხალხის ხელფასები ხელისუფლების ხელფასების მესამედს მაინც უნდა მიუახლოვდეს.

* * *

...მარადიული, რომელიც უკუნითი უკუნისამდეა — მხოლოდ და მხოლოდ უფალი ღმერთია! ამ სახელით თვით იესო ქრისტეა მოხსენიებული: „მე ვარ ანი და ჰოე, დასაბამი და დასასრული, რომელიც იყო და იქნება ყოვლისმპყრობელი" (გამოცხ. 1,8). ღმერთის სახელები, იეღოვას გარდა, არის: ადონაი, საბაოთი, უფალი, ელი, ელოჰიმი, ელ-შადაი. იეღოველები არ ცნობენ ჯვარს, სანთელს.

...დროზე გავახილოთ თვალები... ჩვენ ის ერი არ აღმოვჩნდეთ, უფალი რომ ბრძანებს: „გადმოგაფურთხებ ჩემს ბაგეთაგანო!!!"

* * *

პეკინში გაიხსნა „მთვარის საელჩოს" — ამერიკული „კანტორის" განყოფილება, რომელიც მსურველებს მთავრეზე ნაკვეთების შეძენას სთავაზობს. დედამიწის თანამგზავრზე ერთი აკრი ტერიტორიის მფლობელი გახდებით, თუკი მასში 289 იუანს (დაახლოებით 37 დოლარს) გადაიხდით. ამის თაობაზე იმ სერტიფიკატში წერია, რომელსაც ყველა მყიდველს ურიგებენ. მთვარის ტერიტორია, რომელიც „მთვარის საელჩოს" მთავარმა განყოფილებამ ჩინეთს გამოუყო, ჩრდილო განედის მე-20 და 24-ე გრადუსებს და დასავლეთ გრძედის 30-ე და 34-ე გრადუსებს შორის არის მოქცეული. „საელჩოს" წარმომადგენლის თქმით, მთვარეზე ნაკვეთის მფლობელს უფლება აქვს, მასზე 3 კილომეტრის სიღრმემდე არსებული მინერალური რესურსების ექსპლუატაცია განახორციელოს. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი მსოფლიოში უკვე მერვე ქვეყანაა, სადაც მსგავსი დაწესებულება გაიხსნა. „მთვარის საელჩოები" არის, აგრეთვე, ავსტრალიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში,

*ილია: მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე.*

ირლანდიაში, ახალ ზელანდიაში, აშშ-სა და იაპონიაში. „საელჩო", თავდაპირველად, 1980 წელს ამერიკელმა დენის ჰოუპმა დააფუძნა.

P.S. ადრე მთვარე შეყვარებულთა „თავშესაფარი" იყო. ახლა ისიც ბიზნეს-ინტერესების სფეროში გადაბარგდა.

აფსუს!

„ახ, მთვარევ, მთვარევ,
დამწვართ იმედო",
უსიყვარულოდ
ეით გაგიმეტო!

* * *

...ერთმა ჭკვიანმა ებრაელმა... თითქოს ბევრიც არაფერი, მაგრამ, თურმე, ყველაფერი ინატრა: დილით სიამოვნებით მივდიოდე სამსახურში და საღამოს სიხარულით ვბრუნდებოდე სახლშიო!

...რამდენჯერ მიფიქრია მსახიობის ცხოვრებაზე! მისი ხიბლი, ალბათ, ისაა, რომ სიხარულით შედიხარ, თუნდაც ტრაგიკულ როლში და ტრაგიკულად გამოდიხარ, თუნდაც, კომიკური როლიდან!

* * *

ამ წიგნში მინდა ჩვენი თაობის ჭკუის საკითხავი კიდევ ერთი კაცის სულმა იტრიალოს!

**ოთარ ჭილაძე:**
შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც
გულზე ახლოს ხარ და ღმერთზე ზემოთ,
ჩემო ტანჯულო, ჩემო მტანჯველო,
დაულეველო სამშობლოვ, ჩემო.
შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგეძებ,
როგორც დაეძებს საჭმელს მშიერი
და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე
შემაძრწუნებლად ვარ ბედნიერი.

***ბიბლია: სიტყვამან საშინელმან შეაძრწუნოს გული კაცისა მართლისა!***

* * *

**უილიამ ფოლკნერი. საუბრები ვირჯინიის (და არა ჯიზიანნი ვირების) უნივერსიტეტში**

ადამიანმა ხსნა თავის თავში უნდა ეძიოს.

კითხვა: სერ, რამდენად კარგი მსაჯულია მწერალი თავის ნაწერისა?

პასუხი: ალბათ, ფუყე, რადგან მას ეხება... არ უნდა, ნაკლი დაინახოს...

კითხვა: ხომ არ გექნებათ რჩევა ყმაწვილებისთვის?

*ქარი — ქვეყნაც აქ არი, რომ გამოვძებნოთ ძმობის ბაქანი. იმ სიშორეს და ამ სიახლოვეს — რა გვაშორებს და რა გვაახლოებს?.. მიხვდება ყველა ქვეყანაზე მყოფი: რა გვაქვს საყოფი და გასაყოფი. წუთისოფელი ორი დღის არი — გიღებ გულის კარს — გამიღე კარი!*

*გაისმა ცნობილი ლოზუნგი: „იყიდება ყველაფერი, ნამუსის გარდა".*

*სოროსს არც მაშინ უყიდია რამე, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი იყიდებოდა... ნამუსის გარდა; ნამუსს კი იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ ყიდდნენ, რომ ის ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს გაიყიდა.*

*„ცისკარი", 2005. 3.010.*

*<u>თენგიზ ეპიცაშვილი</u> საქართველოს უშიშროების გენერალი:*

*იმხანად შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვიყავი. ინფორმაცია მივიღე, რომ ედუარდ შევარდნაძე შვიდ მარტს თბილისში მოფრინავდა და მყისვე უნდა გაენადგურებინათ მხლებლებითურთ. არავის ვენდე, არც არავის მოვახსენე ამ ინფორმაციის შესახებ და აეროპორტში წავედი შევარდნაძის შესახვედრად, რათა საქართვე-*

პასუხი: ერთხელ, ერთმა ძალიან ჭკვიანმა კაცმა მითხრა, არასოდეს რჩევას არ ვიძლევი, ვაი თუ მიიღონო...

კორესპონდენტი: ეს, თავისთავად, უკვე კარგი რჩევაა.

P.S. ჭკუა ჭკუის საკითხავ კაცს უნდა ჰკითხო.

ჭკუის საკითხავი კაცი კი... ჭკუის საკითხავ კაცს!..

* * *

არის მოსაზრება, რომ დაბალი ტანის ადამიანები ქარიზმატული ლიდერები და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები არიან. დაბალი ტანის ადამიანთა შორისაა ისეთი ცნობილი სახელები, როგორიცაა ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, ნაპოლეონი, ალექსანდრე მაკედონელი, დასტინ ჰოფმანი, დენი დე ვიტო და სხვები.

P.S. გამოდის, რომ სიდაბლით კაცს შეიძლება თავიც კი მოგწონდეს! მე, პირადად, ამაზე მეტად ჩემს „გაუზრდელობას" — ბავშვობისდროინდელ უზრდელობას და წყევლა-კრულვას ვაბრალებ — „შენ არ გაეზარდე შენ პატრონსო" (თანაც, როგორც მოგახსენეთ, ბავშვობიდანვე სიმაღლის შიში მქონდა, რაღაც „ფობიას" რომ ეძახიან).

## სონეტი

მიბღეერს სიბერე – თეთრი დათვი, – თაითვბს ვულოკავ,
მოვა ბავშვობა – ნაცნობ ჭვალ, ნაცნობ ხედებად...
მიცნობს წამიერ, თვალებს დახრის და შეჩერდება, –
დამღალა ჩემმა უსასრულო მარტოსულობამ.

„ლ.ს.", 24.02.06.

*P.S. ციცერონი: მოსაწონია სიჭაბუკეში — სიბერის სიბრძნე და სიბერეში სიჭაბუკის მხნეობა.*

* * *

ექსკლუზიური ინტერვიუ პროკრიზისული კვლევითი ინსტიტუტის დირექტორ, ფილოსოფიის დოქტორ, გაეროსთან არსებულ საერთაშორისო ინფორმატიზაციის აკადემიკოს, რუსეთის ხალხთა საკოორდინაციო საბჭოს ასამბლეის წევრ ვახტანგ ჭკუასელთან (ფრაგმენტი):

ჩვენ ვართ ორი უკიდურესობის ერი. საშუალო არ გაგვაჩნია. ჩვენ ვართ ერი, რომელმაც, მსოფლიოში პირველმა და ერთადერთმა, ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, ლენინს დაუდგა ძეგლი და ჩვენ ვართ ერი, რომელმაც ლენინის ყველაზე დიდი ძეგლი პირველმა გადმოაგდო... სსრკ-ს დანგრევამდე სამი წლით ადრე. ამიტომ, ჩვენ ასეთ შინაგან უკიდურესობებს მივყავართ იქამდე, რომ ჩვენ გამოვდივართ — ხოლმე ყველაზე მეტად დასჯილი. ამის საწყისად, მე, შინაგან ბუნებას ვთვლი.

*უილიამ ფოლკნერი: თუ კი ჩვენ, ამერიკელებს, გადარჩენა გვიწერია, ეს იმიტომ მოხდება, რომ ჩვენ ვირჩევთ, ვამჯობინებთ და ვიცავთ იმას, რომ, პირველყოვლისა, ამერიკელები ვართ.*

*ილია II: თქვენ, მწერლები და პოეტები, არა მარტო იმისათვის ხართ, რომ ლექსი ან მოთხრობა დაწეროთ, არამედ თქვენ ბრძანდებით წინამძღვარი ჩვენი ერისა!..*

* * *

**თამაზ აქუბარდია:**

საქართველო თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის, სულ ცოტა, 3 ათას წლიან ისტორიას ითვლის. აქედან დამოუკიდებლად არსებობის — სულ რაღაც 3 ასეულს. დანარჩენი პერიოდი ქვეყანა არაბების, ბიზანტიელების, თურქ-სელჯუკების, მონღოლების, სპარსელების და სხვათა და სხვათა ულელქვეშ გმინავდა. ბუნებრივია, ამან თავისებური კვალი დააჩნია ხარკის აკრეფის მექანიზმის ჩამოყალიბებას. მრავალი ჩვენი მეფე უფრო მაღალი გადასახადებით ბეგრავდა ქვეყანას, ვიდრე დამპყრობელთათვის უნდა გადაეხადა (თუ მეხსიერება არ მღალატობს, ქართველმა მეფემ, გიორგი ბრწყინვალემ, ამის შედეგად შეძლო ჯერ შეენყვიტა ხარკის გადახდა მონღოლთა ურდოებისადმი, შემდეგ კი საერთოდ გაათავისუფლა ქვეყანა მონღოლთა ბატონობისაგან).

ქვეყანა, რომელიც მხოლოდ მოიხმარს და არაფერს არ ანარმოებს, ის მხოლოდ ეროვნული სიმდიდრის განიავების ხარჯზე შეიძლება არსებობდეს.

როცა ქვეყანას ექსპორტ-იმპორტის უზარმაზარი უარყოფითი სალდო აქვს, დეფიციტის შეესების სულ ორი უსნრაფესი გზა არსებობს — კრედიტები და ეროვნული სიმდიდრის გაყიდვა. პირველი, თავისი სიმძიმის მიუხედავად, ცივილურია, ხოლო მეორე — დამღუპველი. სნორედ, ამ უკანასკნელს, ქვეყნისათვის დამღუპველ და დამანგრეველ მოვლენას, აქვს ადგილი დღეს საქართველოში, კრედიტების დანაშაულებრივ განიავებასთან ერთად. საზღვარგარეთ იყიდება ყველაფერი, რისი გატანაც შეიძლება — ხე-ტყე, ჯართი, კულტურული მემკვიდრეობა, ეროვნული საგანძური და ა. შ.

ერის დეგრადაციის უმაღლესი გამოვლინება ის გახლავთ, რომ ზოგიერთი ქართველი ქალი თურქეთში მეძავეობით ინახავს ოჯახს.

და ამ დროს, ჩვენ, პრაქტიკულად, არ გაგვაჩნია არავითარი საგადასახადო პოლიტიკა ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

P.S. არასოდეს გადაუხდია საქართველოს მტრისთვის ასე მძიმე ხარკი.

„ახალი 7 დღე", 7-13.07.2005.

*დავით გურამიშვილი: ამად ვემდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო? სად მომიყვანა სად მყოფი, კიდევ მივყვევარ სადაო?*

*...ლო გადამერჩინა სამოქალაქო ომის ხანძრისაგან.*

*რა თქმა უნდა, დღეს ძალიან ვნანობ, რომ შევარდნაძის ჩამოსვლას მივესალმე, იმიტომ, რომ ედუარდ შევარდნაძემ შექმნა ისეთი კლანური მაფიოზური გუნდი, რომელმაც ამ ცხრა წლის განმავლობაში გაანადგურა საქართველო და ქართველი ხალხი, დაამონა და სიკვდილის პირას მიიყვანა იგი.*

*„ასავალ-დასავალი"*
*2001. 15-21.01.*

*<u>დავით დვალიშვილის მისამართით:</u>*

*ალალად, გულახდილად რომ გითხრათ, ძალიან მეცოდება ჩვენი მემხედვარე ღმერთი.*

*„მეოთხე" (2001)*

*<u>გოგა პაპინაშვილის მისამართით:</u>*

*თბილისელობამ ფუნქცია დაკარგა. არადა, სწორედ ეს მეამაყებოდა...*

*„თბილისელები",*
*2001.*

*P.S. თბილისელობამ კი არა, თვითონ თბილისმა დაკარგა ფუნქცია, ჩემო გოგა!*

*<u>პოლიტიკოლოგი დავით დარჩიაშვილის:</u>*

*„თავისთავად ცუდი არაფერია ოჯახის, ნათესავის, დედმამიშვილის, მეგობრის სადღეგრ-*

* * *

ცენზურის გამოყენების პირველი ოფიციალურად დოკუმენტირებული შემთხვევა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 605 წელს არის დაფიქსირებული. იუდეის მეფე იოაკიმმა წინასწარმეტყველ იერემიის წინასწარმეტყველებათა წიგნის დაწვა ბრძანა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 443 წელს ოფიციალურად გამოჩნდნენ ცენზორები!

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 399 წელს დაფიქსირდა სიკვდილით დასჯის, როგორც ცენზურის უკიდურესი ფორმის, გამოყენების შემთხვევა. ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე იძულებული გახდა, შხამი დაელია. სოკრატე პირველი ფილოსოფოსი იყო, რომელიც თანმიმდევრულად ამტკიცებდა სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობას.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 213 წლით თარიღდება ტოტალური ცენზურის პირველი შემთხვევა. ჩინეთის იმპერატორმა ცინ ში ხუან დიმ (რომელსაც ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობას მიაწერენ) უპრეცედენტო განკარგულება გასცა. მისი ბრძანებით გაანადგურეს ყველა წიგნი მეცნიერების, მედიცინის, სოფლის მეურნეობისა და მისნობის შესახებ (მისნობაც მეცნიერებად ითვლებოდა). 500-მდე მეცნიერი სიკვდილით დასაჯეს, რამდენიმე ათასი რეპრესიებში მოჰყვა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 48 წელს დაფიქსირდა ბიბლიოთეკის განადგურების პირველი შემთხვევა. რომაელმა სარდალმა, იულიუს კეისარმა, სამხედრო მოსაზრებებიდან გამომდინარე, ანტიკური სამყაროს უდიდესი წიგნსაცავის, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დაწვის განკარგულება გასცა, რის შედეგადაც დაიღუპა 700 ათასამდე წიგნი.

ასტრონომ გალილეო გალილეის, რომელსაც მიაწერენ ფრაზას „და ის მაინც ბრუნავს", ინკვიზიცია, სწორედ, ამ წიგნის წაკითხვის ბრალდებას უყენებდა. თავად გალილეოს წიგნი „დიალოგები" რომის პაპის ინდექსებიდან 1822 წელს ამოშალეს.

1541 წელს დაფიქსირდა ფერწერაში ცენზურის გამოყენების პირველი შემთხვევა — სიქსტის კაპელაში მიქელანჯელოს მიერ შესრულებული ფრესკა „საშინელი სამსჯავრო" პაპმა პავლე IV უზნეობად მიიჩნია.

მიქელანჯელო იძულებული გახდა, ფრესკის გაშიშვლებული პერსონაჟები „შეემოსა".

842 წელს ახალგაზრდა გერმანელმა ჟურნალისტმა კარლ მარქსმა, შვეიცარიაში, გამოაქვეყნა სტატია „შენიშვნები პრუსიის ცენზურის ბოლო ინსტრუქციის შესხებ", რომელშიც მარქსი სიტყვის თავისუფლების და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების თავგამოდებულ დამცველად გამოვიდა.

1865 წელს აღინიშნა იმ მწერლის ნაწარმოების აკრძალვის პირველი შემთხვევა, რომელიც მოგვიანებით უდიდეს ავტორად აღიარეს. აიკრძალა გუსტავ ფლობერი, ნაწარმოები „ქალბატონი ბოვარი", რომელიც შემდგომ, საფრანგეთში, ბესტსელერად იქცა და დღეისათვის XIX საუკუნის რომანის საუკეთესო ნიმუშად არის აღიარებული.

ცენზურის ყურადღების მიღმა არ დარჩენილან ოსკარ უაილდი, მარკ

---

*ომარ ხაიამისებურად და დიონისურად რომ ვთქვათ: კაციც და ქვეყანაც ერთი თიხით არის მოზელილი!*

*სტენდალი: რამდენი ხელოვანია — იმდენი სამყარო!*

ტვენი („ჰეკლბერი ფინის თავგადასავლის" ნყალობით), თეოდორ დრაიზერი, ერნესტ ჰემინგუეი, ოლდოს ჰაქსლი, სინკლერ ლუისი, ბერტრან რასელი, ჰენრი მილერი, ჯეიმს ჯოისი, ვლადიმერ ნაბოკოვი და სხვები.

იყო შემთხვევები, როდესაც მეოცე საუკუნის ცენზორები ჰომეროსს, შექსპირს, ბიბლიასა და ყურანს კრძალავდნენ.

1861 ნელს, პირველად მსოფლიოში, ოფიციალურად შემოიღეს სამხედრო ცენზურა.

1918 ნელი სოციალისტური ცენზურის შექმნით აღინიშნა. შესაბამის დეკრეტს ვლადიმერ ლენინმა მოანერა ხელი. დეკრეტში აღნიშნული იყო, რომ ბურჟუაზიული გამოცემებისა და გაზეთების დახურვა დროებით ღონისძიებას ნარმოადგენს და საბოლოო გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება ცენზურას გააუქმებდა. როგორც ისტორიამ აჩვენა, „დროებითმა ღონისძიებამ" კიდევ 70 ნელი იარსება.

1925 ნელს გაიმართა პირველი სასამართლო პროცესი, რაც სკოლის ცენზურით იყო განპირობებული. აშშ-ში, ტენესის შტატში, სკოლის მასნავლებელი ჯონ სკოპსი მკრეხელური თეორიის სნავლებაში დაადანაშაულეს — იგულისხმება ჩარლზ დარვინის ევოლუციური თეორია. სკოპსის სასამართლო პროცესების სერია ისტორიაში „მაიმუნის პროცესის" სახელნოდებით შევიდა, რადგან ნაფიცი მსაჯულები განსაკუთრებით იმან აღაშფოთა, რომ, დარვინის თეორიის თანახმად, ადამიანი მაიმუნისაგან ნარმოიშვა.

1935 ნელი აღინიშნა ეროვნული ნიშნით, ნიგნის პირველი განადგურებით. გერმანელმა ნაცისტებმა „არაარიული" რასის ავტორების მიერ დანერილი ნიგნების მიზანმიმართული განადგურება დაინყეს. პარალელურად მიმდინარეობდა, აგრეთვე, „არიელების" მიერ შექმნილი, მაგრამ მავნე ნანარმოებების განადგურება.

1938 ნელს თამბაქოს მნარმოებლებმა შეაჩერეს იმ გამოკვლევის შედეგების პუბლიკაცია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ფილტვის კიბოთი დაავადების შემთხვევების 44 პროცენტი თამბაქოს ნევით იყო განპირობებული.

1947 ნელს აშშ-ში აიკრძალა ჩარლი ჩაპლინის ფილმის „მუსიე ვერდის" ჩვენება. იმ დროისათვის ჩარლი ჩაპლინი კინემატოგრაფის ცოცხალ კლასიკოსად იყო აღიარებული.

1987 ნელს მიხაილ გორბაჩოვმა, სსრკ-ის ლიდერმა, „გლასტნოსტის" პოლიტიკის დანყე-

ძელოში, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს მოიცავს ანტისახელმწიფოებრივ, ანტისოციალურ ელემენტს: ძალიან პატიოსან ხალხად ითვლება და თავიანთ თავზეც მიიჩნევენ პატიოსნად ის ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოს წაჰგლეჯენ რაღაცას და ნათესავს, ან მეგობარს გაუმართავენ ხელს".

**P.S.** ეს, რაც „ქეიფის" და „ზეიფის" „ფილოსოფიის" „კოქტეილს" ჰგავს!

„სექსუალური რეკორდების წიგნის" თანახმად, ჩვენი თანამედროვეობის ყველაზე ახალგაზრდა ბაბუა გახდა 29 წლის მოქალაქე ინგლისელი დეილი რაიტი. 1997 წელს, მის 14 წლის ვაჟს, სტივენს შვილი შეეძინა. თვითონ დეილიც ამავე ასაკში გახდა მამა.

ეს „დეილი-ვოდელია" დღემდე გრძელდება!

თანამედროვეობის ყველაზე მრავალცოლიანად აღიარებულია ამერიკელი მქადაგებელი გლენ სკოტ ვულფი. 1997 წელს, როდესაც ის გარდაიცვალა, მისმა 29-ე ცოლმა ლინდამ, უსახსრობის გამო, მის დამარხვაზე უარი განაცხადა. თავად ლინდასათვის კი ის 23-ე ქმარი იყო. ესეც შენი იძულებითი უკვდავება!

...სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები სირიონის ტომელები გაოცდნენ, როდესაც ნახეს, როგორ

ბა გამოაცხადა. სსრკ-ში არსებული ზოგიერთი აკრძალვა მოიხსნა. უნდა ითქვას, რომ გორბაჩოვის გადაწყვეტილების შემდეგ ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყანაში, მაგალითად, გდრ-სა და რუმინეთში, აიკრძალა საბჭოთა ჟურნალ-გაზეთების შეტანა.

1998 წელი აღინიშნა ლიტერატურული ნაწარმოებისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის პირველი შემთხვევით. პაკისტანური წარმოშობის ინგლისელმა მწერალმა სალმან რუშდიმ გამოაქვეყნა წიგნი „სატანური ლექსები", რომელიც მუსლიმანურმა ორგანიზაციებმა მკრეხელურად მიიჩნიეს. 1989 წელს ირანის სასულიერო ლიდერმა აიათოლა ჰომეინიმ გამოაცხადა, რომ ნებისმიერი მუსლიმანის წმინდა ვალს წარმოადგენს რუშდის მოკვლა.

სასამართლო საქმე აღიძრა ქალაქ ცინცინატის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის წინააღმდეგ, იქ გამართული ფოტოგამოფენისათვის, რომელიც ცენზორებმა პორნოგრაფიულად მიიჩნიეს.

1999 წელს დაფიქსირდა ინტერნეტის გლობალური ქსელის ცენზურის პირველი მცდელობა. გავრცელებული პრინციპის „ინტერნეტი არავის ეკუთვნის" მიუხედავად, მსოფლიოს რიგ ქვეყანაში (ჩინეთი, ირანი, საუდის არაბეთი) ხელისუფლების ორგანოებმა სცადეს, მომხმარებლებისათვის შეეზღუდათ გარკვეული საიტებისა და სერვერების მონახულების შესაძლებლობა.

აკრძალვა, უპირველეს ყოვლისა, შეეხებოდა პოლიტიკური, რელიგიური და პორნოგრაფიული ხასიათის ინფორმაციას.

**გენადი თვაური:**
**„ახალი თაობა", 17.03.2002.**

P.S. ცენზურის „მცირე ენციკლოპედიაში", სამწუხაროდ ვერ მოხვდა ის, ჯერ კიდევ ენით აუწერელი „ნაკრძალი", რასაც თავისუფალი ბეჭდვითი თუ ზეპირი სიტყვისათვის წარმოადგენს, ე. წ. „შეშინებული ანთიმოზი" — ოჯახი — შიდა ცენზორი, რომელიც თავისუფალი სიტყვის ჩურჩულით თქმის უფლებასაც კი არ იძლევა — „კედლებსაც ყური აქვთო".. საუკუნეს მიტანებულ კაცს მაინც რაღასი უნდა ეშინოდეს, მაგრამ... „შიშს დიდი თვალები აქვს"... „შიში შეიქმს სიყვარულსაო"... ასე ვართ ახლა ჩვენც... შიშზე „შეყვარებულები"...

სხვისი არ ვიცი და პირადად მე, დღემდე, ამ არა-ინაური, არამედ შინაური „ცენზურის" გარკვეულ თუ გაურკვეველ ტყვეობაში ვარ.

ამ განწყობილებითა აქვს ნათქვამი ჩვენს ზაურ ბოლქვაძესაც: „ჯერ მათქმევინეთ მართალი სიტყვა და მერე, თუნდაც, მომჭერით ენაო"... მერე სათქმელი რომ არ შეგვექნეს — ჩემო ენავ, ძირში ხარ მოსაჭრელიო!

* * *

ვოლფ მესინგი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალებით მოსილი ფიგურაა. იგი პოლონეთში, ებრაელის ოჯახში დაიბადა და იმას მიაღწია, რომ მისი ბედი თავად იოსებ სტალინმა განსაზღვრა, ხოლო ადოლფ ჰიტლერმა პირად მტრად გამოაცხადა!

*აბონ ციციაშვილი: თბილისი – ეს უბრალოდ ქალაქი როდია. ესაა გული. რომელიც შეუმცდარად გრძნობს ადამიანებს.*

დიდი ხანი არ არის, რაც გამოვიდა მწერალ მიხაილ მიხალკოვის (სარგეი მიხალკოვის ძმის) წიგნი, რომელშიც ლაპარაკობს ვოლფ მესინგთან შეხვედრებზე.

...სტალინმა გამოჰკითხა გასტროლების ამბები, მერე კი გაეხუმრა:

- ამხანაგო მესინგ, შეძლებთ აქედან გასვლას, თუ საშვზე ხელს არ მოგიწერთ?

- ქაღალდს გულისხმობთ? რაში მჭირდება, სახსოვრად დაიტოვეთ!

- დამატებით რომ გავაფრთხილო დაცვა?

- კი, ბატონო, სინჯეთ...

სტალინმა მდივანს უბრძანა, ათი ნაბიჯის დაშორებით გაჰყოლოდა უკან.

- აი, კიდევ რას გეტყვით, — დაუმატა სტალინმა და ფანჯარას მიუახლოვდა, — თუ საშვის გარეშე გასვლას შეძლებთ, ხის ძირას გაჩერდით, ეს იყოს ჩვენი პაროლი.

რამდენიმე წუთის შემდეგ მესინგი ხის ძირას იდგა. სტალინმა ხელი დაუქნია, ისევ ჩემთან ამოდიო.

რამდენიმე წუთში მესინგი კაბინეტში შევიდა.

- როგორ შემოხვედით უსაშვოდ? — გაუკვირდა სტალინს.

- დაცვას ბრძანებას გადავცემდი — გენერალი მოდის, მიესალმეთ და გაატარეთ-მეთქი...

სტალინმა კიდევ ერთი ექსპერიმენტი შესთავაზა, — შედით რომელიმე შემნახველ სალაროში და იქ, ყოველგვარი საბუთის გარეშე, მიიღეთ 100 ათასი რუბლი. მესინგმა ორი მოწმის თანდასწრებით მოლარისაგან, მართლაც, მიიღო 100 ათასი რუბლი, თუმცა კი საბუთად მას დაუწერელი ფურცელი გაუწოდა. 15 წუთის შემდეგ, როცა მესინგმა ჰიპნოზური მდგომარეობიდან გაათავისუფლა და ფული დაუბრუნა, სანყალ მოლარეს ინფარქტი დაემართა.

სტალინმა ვოლფ მესინგს მოსკოვში ბინა მისცა და რეგულარულად კითხულობდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბავს.

## „მეფური სიკვდილი“

მეფურად გარდაცვლილთა ნუსხა საკმაოდ დიდია: იმპერატორი კარლოს დიდი, ავიცენა, რომის პაპი ლევ V, უფრო გვიან „სასიკვდილო სარეცელი“ ერგო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს — ლორდ ჰენრი პალმერსტონს (ეს მოხდა

კოცნიდნენ ერთმანეთს თეთრი კლამიანები. ამ ცრომისთვის კოცნა დღესაც დამამშვიდებლად ითვლება.

...30 წლის ფეოდ-ალმა ქალბატონმა ბოცაინს ანმეღმა მერი იძის კლამიანზე. რომელმაც მას ქორწები დაუყარა — ნემა დარიო. ეუფცნა მისთვის და კოცნისას. ეუბით ენა მოაკვნიცა.

...ყველაზე ძვირად ღირებული ჰარამხანა ჰქონდა არა შაჰს ან სულთანს, არამედ საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV-ს. მისი ყველა საყვარელი ვერსალის სასახლეში ცხოვრობდა და საგანგებო გარნიზონი იცავდა. 34 წლის მანძილზე ბევრმა მოიყარა თავი. მათ შესანახად დაიხარჯა 20 მლნ დოლარის ეკვივალენტის თანხა.

ამ დროს კი ქვეყნიდან ისე წავიდნენ ცნობილი ფიზიკოსი ისააკ ნიუტონი და ფილოსოფოსი იმანუელ კანტი, რომ ქალის ხორციელი სიყვარული არ შეუგრძნიათ.

...სიყვარულის უძველეს სახელმძღვანელოდ ითვლება არა ცნობილი „კამასუტრა“, არამედ „სექსის სახელმძღვანელო“, რომელიც დაიწერა 4500 წლის წინ, ჩინეთის იმპერატორის ხუან ცის დროს. მსგავსი ლიტერატურა ევროპაში მხოლოდ 2000 წლის შემდეგ შეიქმნა.

ყველაზე მეტი წიგნი სექსზე თავმოყრილია არა მოსკოვის სახელმწიფო

1865 წლის 18 ოქტომბერს. თავის მოსამსახურესთან თავდავიწყებამდე მისულს, საბილიარდო მაგიდაზე უწია სიკვდილმა). საფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს ფორი, 1899 წლის თებერვალში, ვიღაც ქალს დააკვდა საროსკიპოში (მისი პარტნიორი ქალი მთელი თვე ვერ გამოიყვანეს შოკიდან). აშშ-ის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს, ნელსონ როკფელერს, 1979 წელს, საყვარელთან ჩაკონებულს აღმოხდა სული.

## დრო! დრო!

„ევრიკა!" — შესძახა არქიმედე სირაკუზელმა ამ 2250 წლის წინ, როცა ჰიდროსტატიკის ძირითადი კანონი იპოვა. ალბათ, იგივე რიტორიკული შეძახილი აღმოხდა მაიკლ ფარადეის (1831 წელს) ელექტრომაგნიტური ინდუქცია რომ აღმოაჩინა და ალბერტ აინშტაინს, როცა ფარდობითობის პრინციპს მიაგნო...

* * *

ახლა დროა ისეთი... ვერ გაარჩევ კაცს — ქალში, ვერ გაარჩევ ავს და კარგს... ამ ქარში და ამქარში! ...და ამ დაკა-დაკაში, თუ გავიდა დამკაში — ანდა თუ ზის „რამკაში"... წინ და უკან ქვის კვლაში — ათენებს და აღამებს... რაღა ის და რაღა მე?

არიოლ და რეშკა ვართ: ის — მეფე, მე — „პეშკა" ვარ! შენ ის რაღას გიშველის — თვითონ არის შიშველი! ჰოდა — თუ ჩაუჯდები ნავში — შენც გაფუჭდები. ნუ ენდობი ნაძირალას — თუ დაჭირდა... ჩაგძირავს! ნადი და ტოლი ნახე — იხილე შენი სახე!

„რაც არ ექნას მამაშენს — წურც შენ დახევ მარმაშებს". ცდუნება ნუ ჩაგძირავს... თორე, ეშმაკს არ ძინავს. ნუ იცხოვრებ ბაცილად და ღმერთი არ გაგწირავს!

* * *

- ადამიანი, სიცოცხლის მანძილზე, დაახლოებით, 160 მილიონ კილომეტრს გადის;

- აინშტაინს 9 წლამდე გამართულად საუბარი არ შეეძლო და მისი მშობლები შიშობდნენ, ბავშვი იდიოტი გაიზრდებაო...

(ამ განწყობილებისაა ერთი მოარული თბილისური სიმღერაც: „აინშტაინზე მეტი ჭკუა ჰქონია — ვისაც რომა ღვინო მოუგონია!"-ო... ვინ რაში ხედავს ჭკუას!)

- მეცნიერთა პროგნოზით, 300 წლის შემდეგ დედამიწაზე სამი ენა დარჩება — ინგლისური, ჩინური და ესპანური;

P.S. ახლავე უნდა ავიმაღლოთ ხმა, თორემ მე, მშობლიურის გარდა, არცერთი ენა (საყვედლპურო რუსულთან ერთად) არ ვიცი. არადა, უკვე, დღესაც კი იგრძნობა ეს გაუცხოება!!!

---

*პაინე: ხელოვნებაში არ არსებობს მერვე მცნება. პოეტს შეუძლია ყველაფერი აიღოს, თუკი თავის ქმნილებათათვის იგი მასალას პპოვებს.*

*რუსო: ვიდრე ამქვეყნად არსებობს თუნდაც ერთი უპოვარი, წესიერ ადამიანებს არ შეშვენით ფუფუნებით ცხოვრება!*

* * *

- 1999 წელი (ბოლო 500 წლის მანძილზე) ყველაზე ცხელი წელიწადი იყო (2007 წელიც სარეკორდო ციებ-ცხელებისა იყო!).

- ყველაზე ბოროტი ადამიანები ყოველ დროში ულვაშებს ატარებდნენ (ქართულ ულვაშზე არ ითქმის ეს!);

- თუ ნიანგმა დაგიჭირათ, მას ცერა თითი მთელი ძალით ჩააჭირეთ თვალში და იგი მაშინვე სამუდამოდ შეგეშვებათ (სიცილც და რჩევას კაცი არ მოუკლავს!);

- ნაპოლეონის სასქესო ორგანო ამერიკელ უროლოგთან ინახება, რომელმაც ეს „განძი" 3800 დოლარად შეიძინა.

P.S. ისტორიას კი რაღა დარჩა: ბუს კვერცხები?

* * *

ვახტანგ ჯავახაძემ წიგნს გალაკტიონზე „უცნობი" დაარქვა!

რამდენი თავი სკდება ამ ერთუცნობიანი განტოლების ამოსახსნელად?..

ერთი ღმერთთან მოლაპარაკე კაცი იყო და ერთმა ღმერთმა იცის, რას გველაპარაკებოდა!

* * *

...ეს კი, ის — უცნობი ნაცნობი!

თუ ნაცნობი უცნობი!..

ყურმოკრულიდან — ყურმიკრულ... ანუ საუკუნის ფრაზას მოვკარი ყური: ვიღაცას ვიღაცისთვის უთქვამს: შევარდნაძის გადიდკაცება... პატარა კაცებისთვის, მისთვის და ჩემი თავისთვისაც ვერ მიპატიებიაო!

* * *

შეხმატკბილება და შეწყვეტილება...
რითმა: ერთი მთელის ორწილია!
ლექსი ჩანჩქერივით ედინება —
რითმა: სიტყვა — სიტყვით... ქორწილია!

* * *

ჩემმა მეუღლემ, სადღაც ხარახურაში, ჩემი აკვნის ხნის, ოჯახის „რელიქვია" — იაფფასიანი შუშის საშაქრე იპოვა!

იპოვა და შორიდან დამანახა:

იცანიო?

ვიცანი და მოვეფერე...

რამდენი სიტკბო მახსოვს მისგან!

*ბიბლიოთეკაში ან ამერიკის სექსის ინსტიტუტში, არამედ ვატიკანში — სულ 25.000 ტომი!*

*პირველი პორნოგრაფიული ფილმი გადაიღეს კინოს დაბადების წელსვე — 1895-ში. მაგრამ შიშველი მკერდი ამერიკულ კინოში, პირველად, მხოლოდ 1965 წელს გამოჩნდა.*

*ამერიკელმა მერლინ იელომ ქალის სხეულის ამ ნაწილს მიუძღვნა მთელი ტომი. პატარები მასში ხედავენ საკვებს, მამაკაცები — სექსს. მედიკოსები კი ავადმყოფობას. მისი წიგნი, „მკერდის ისტორია", 1997 წელს ბესტსელერად იქცა.*

*ჩინეთში, ხანის დინასტიის ეპოქაში, ითვლებოდა, რომ დღეგრძელობისა და უკვდავების გზა სექსით იწყებოდა. იმპერატორს სჯეროდა, თუ ის 1200 ქალწულს დაეუფლებოდა — უკვდავებას ეზიარებოდა.*

*პირველი შიშველი ქალი სცენაზე გამოჩნდა პარიზში, 1912 წელს. და იმ დღიდან შიშველი მოცეკვავე ქალები გახდა ვარიეტეს ყველა პროგრამის დამაგვირგვინებელი. მაგრამ მათ მხოლოდ 1995 წელს ისწავლეს მაგიდაზე ცეკვა, რომელიც ამერიკიდან გადმოიღეს, სადაც ეს რამდენიმე წლით ადრე გაჩნდა.*

*1994 წელს ბირმინ-*

* * *

- სიგარეტს ოთახში მაინც ნუ ეწევი, მაფრთხილებს მეუღლე წერა-კითხვაში შეტოპილს.

ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, თავსაც ვერ ვილებ ქალალდებიდან, ისე ვპასუხობ:

- მეწველ ძროხას ბლავილს არ უშლიან!

- ეს ანდაზა პირველად მესმის, — ამბობს ცოლი.

- მეც! — ვპასუხობ, რადგან თავადაც პირველად ვესწრები ანდაზის დაბადებას.

## სცოპკადრი ცელევკრანზე და ცელევკრანის წინ!

„სიმონიკა გოცაძე თუმანს იხდის კოცნაზეო" — ეს ერთი საქეიფო სიმღერიდანაც ვიცოდი, მაგრამ კოცნაც რომ გაძვირებულა! და ეს, ერთ-ერთი ტელეგადაცემით გაუგია, უფულობით ძმაბიჭებში ჩვენსავით და-ჩაგრულ ძმაკაცს, რომელმაც ხატზე დაფიცებით შემომჩივლა — შვილიშ-ვილი ხელში შემეყინა, როცა ეკრანზე ვილაც პარლამენტარის ბადიშმა, ბოდიში და თქვა: ჩემი ბაბუა ერთ კოცნაში 100 დოლარს მაძლევსო!

ამის გაგონებაზე გული და გულის ჯიბეები კინალამ ერთად გადმომი-ბრუნდა... ამ ახალ საბაზრო ეკონომიკის დროში, უსახსრობის გამო, შვილ-იშვილს კოცნაც ველარ გავუბედე! (რა იცი, რა ამბავს დამაწევდა ბავშვთა დაცვის 120-თუ 220-აცია!).

აბა, მუჭო!

* * *

გერმანიაში, ერთ-ერთმა გამომგონებელმა გარდაცვლილებთან საუბრისთვის განკუთვნილი მობილური ტელეფონი დააპატენტა. საკუ-თარ გამოგონებას მან „ანგელოზი-ტელეფონი" უწოდა და რაოდენ გასაო-ცარიც არ უნდა იყოს, უკვე სამი ეგზემპლარის, თითოეულის 1,5 ათას ევროდ გაყიდეაც მოახერხა.

საიქიოსთან კავშირზე არანაკლებს — კრიმინალურ სასიყვარულო კავშირსაც ჰქონდა თურმე ადგილი, თურქეთში!

ერთ-ერთ ციხეში, გვერდიგვერდ კამერებში მყოფმა ქალმა და მამაკაც-მა კედელში ნახვრეტის გაკეთება შეძლეს და ერთმანეთთან ინტიმურ კავშირს ამყარებდნენ (ე.ი. მთავარია რას ალმართავ... ალმართული კედ-ლის დასანგრევ-გასანგრევად!).

„ალია", 2006.9.01.

P.S. ამ ფაქტის ასოციაციით გამახსენდა ერთი სასიმღერო ლექსი, რომელიც სანამ ხალხური გახდებოდა, ჩემ თვალწინ მეორედ დაიბადა:

„რუსთაველის ფოლადი ახლავს
ჯეელ მეცხვარის ყ..საო,
სადაც დაადებს, გაბურღავს
როგორც ბურაო ხესაო.
მეხი კი დავაყარევი ინტელიგენტის ყ..საო.

*დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: რამეთუ კუდი ძაღლისა არ განემართების, ასევე კირჩხიბი მართლად ვალს.*

მიადებს, გაიღუნება, თან შააშეელებს
ხელსაო...
კიდევაც მაიბოდიშებს – ლექცია მქონდა
დღესაო.
ჰეეე!

* * *

ყველაფერს თავისი ფასი აქვს...
მეტეხის ხიდთან დგას ძველი ავლაბრელი და სინანულით იქნევს თავს — შამაია დავკარგეო.
- სულ ეგ არის შენი სადარდებელიო? — ჰკითხეს.
- არა, კაცო, მეშინია, ვინმე ქაჯმა არ იპოვოს ...და ტარანად შეჭამოსო.

* * *

ზოგ მოსახლეს საკუთრებაში აქვს დაახლოებით ნახევრიდან ერთ ჰექტრამდე მიწა. ხოლო მათ მეზობლად, ყოველ კორუმპირებულ მაღალჩინოსანს და პარლამენტარს 100, 200, 300, 500, 1000, 7000, 8000, 10000, 20000, 30000 ჰექტარი! ეს ხომ სოფლად ჩადებული ნაღმებია და სულ მალე აფეთქდება?
„მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან. მთელს თქვენს სამკვიდრებელ მიწაზე მიეცით მიწის გამოსყიდვის ნება. თუ შენი მოძმე გაღარიბდება და თავის სამკვიდრებელს გაჰყიდის, მიეიდეს მისი ახლო ნათესავი და გამოისყიდოს თავისი მოძმის გაყიდული" (ბიბლია, გვ. 120).
„მიწას მოშორებული ფესვები ხმება, ასევე იღუპება ერი, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი" (იაკობ გოგებაშვილი). „ვინ მოგცათ უფლება ჩვენი მიწა-წყალი სასაქონლო ტაბლად აქციოთ?" (ვაჟა-ფშაველა).
(გაზეთებიდან).
P.S. აკი „ტყე შევუნახოთ შვილებსაო"!.. ტყეს ვილა ჩივის, ხე მაინც შევუნახოთ შთამომავლობას!

* * *

ერნესტ ჰემინგუეი:
წიგნებში ჩემს თავზე ყველაფერს ვუამბობ ადამიანებს. უტყუარი კეთილშობილება მაშინ მჟღავნდება, შენ თავზე — ყოფილ „მე"-ზე როცა ამაღლდები.
ცხოვრებასა და მუშაობაში უმთავრესი, ნიჭი კი არა — ხასიათია, გონება კი არა — გულია, გენია კი არა — ძლიერი ნება, მოთმინება და დისციპლინაა, საღ განსჯას რომ ემორჩილება.

გემში (ინგლისი) გაიხსნა საპარიკმახერო, სადაც წელსწევით მომვლელი პარიკმახერები მუშაობდნენ. ეს პრაქტიკა ამერიკელებმა მანქანების სამრეცხაოშიც გამოიყენეს.
...1995 წელს ერთ-ერთ ფრანგულ ოჯახში სკანდალი აუტყდა. 97 წლის ლიონელი ქალბატონი 100 წლის მეუღლეს ღალატს აბრალებდა! მისი თქმით, ქმარი ვითომ სეირნობდა, სინამდვილეში კი საყვარელთან დაიარებოდა.
...სექსის პრობლემების პირველი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გაიხსნა 1928 წელს ბერლინში. მან მხოლოდ 5 წელი იარსება, რადგან 1933 წელს ნაცისტებმა გააუქმეს.
...პურპურისტებს და ასკეტიზმის მქადაგებლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ამერიკულ საზოგადოების ერთ ნაწილს, რომელიც მიიჩნევს, რომ ადამიანების გვერდით მცხოვრებ ცხოველებს ჩააცვან ტრუსი.
პიროვნებათა მსოფლიო ისტორიაში ყველაზე მკაცრი სასჯელი განაჩენი დაიმსახურა ჩინელმა გეეეშემ. ის დასაჯეს 1944 წელს იმისთვის, რომ დაბეჭდა 833 000 ცალი წიგნი მიმქრალი ნაწერებით.
(კომსომოლსკაია პრავდა N 115, 2000).
P.S. 100 წლის ლუღ-

სიბრძნე — განგების უკანასკნელი წყალობაა მონიფული გონებისათვის. მრავალნაცადი კაცი დროს გაიხდის — ხოლმე შემნედ და ბურჯად. ნათქვამია — დრო წარსულის შემალამაზებელი და მანუგეშებელიაო, მაგრამ ის ხომ მასწავლებელიცაა! დრო სარჩოა — გამოცდილების მასაზრდოებელი, ნიადაგია — სიბრძნის დამპურებელი. იგი ან მტრად მოევლინება სიჭაბუკეს, ან მეგობრად. დრო სიბერის სასთუმალთან გვიდგას მანუგეშებლად და ჯალათად, იმისდა კვალად, თავგზიანად მივმართეთ იგი თუ ფუჭადა ვფლანგეთ, თუ როგორ უნდა გაგველია ან არ გაგველია წუთისოფელი.

ცხოვრება, ლამის რომ ჩაივლის, მაშინღა ვნვდებით მის არსს. თუმცა, მას მარტო ხანგრძლივობით ვერ შევაფასებთ. მუხა ასეულწლობით ცოცხლობს; ამ ხნის მანძილზე მოკვდავთა არაერთი თაობა იცვლება, მაგრამ ვინ დაყაბულდება საკუკუნოვან მცენარეულ ყოფას ანაცვალოს, თუნდაც, ერთი დღე სისხლსავსე, გააზრებული, მიზანმიმართული ადამიანური ცხოვრებისა?!

ჩვენ გარშემო იმდენი რამაა მშვენიერი და სულის შემძვრელი! ცოტა არ იყოს, მერცხვეინება, ეს ყველაფერი მეტად რომ არ დავაფასე. და მაინც, წარსულს რომ გავხედავ, ამ სიტყვებით შემიძლია შევაფასო ჩემი ცხოვრება: „ბედნიერად მიცხოვრია"!

„მოხუცი და ზღვა" ის წიგნია, რომლითაც მთელი ჩემი ცხოვრებისეული ნაღვანი მსურდა დამეგვირგვინებინა. ჭირდა მასზე მუშაობა. სიბერე შემომპარვოდა. მაგრამ სიბერით ცოტანი თუ კვდებიან. იმედგაცურება, მძიმე გონებრივი და ფიზიკური შრომა, ღრმა განცდები თუ უბედური შემთხვევაა ლამის ყოველი კაცის სიკვდილის მიზეზი. ადამიანი ყველაზე შრომისუნარიანია ცოცხალ არსებათაგან. დღეგრძელობა ხშირად აკარგვინებს ოპტიმიზმს ადამიანებს. სჯობს, არ იცოცხლო დიდხანს.

ოდესღაც ერთმა ცნობილმა კბილის ექიმმა მითხრა, სულთმობრძაობა ხშირად კბილის ტკივილზე ნაკლები სატანჯველიაო.

ყველას მეომრის ხვედრი რგებია და ყველა კაცს უნერია სიკვდილი, მაგრამ ცუდ-უბრალოდ მარტო ლაჩრები კვდებიან. მუდამ მჯეროდა, რომ მამაკაცის უპირველესი მოვალეობა შიშის დაძლევაა. არაფერი ისე არ ამდაბლებს ზნეობას, როგორც სულმოკლეობა და სიმხდალე, იოლ გზას ძნელად რომ დაგისახავს, ძნელს კი — გადაულახავად. ადამიანებს ხშირად იპყრობს განუსჯელი შიში — შიში ყველაფრის ბოლომდე შეცნობისა. შეშინებულნი, ისეთი რამ არ გამოვჩხრიკოთ, თვით შიშზე უარესი რომ იქნებაო, „იმ რამეზე" ბევრად უარესს უფრთხიან. აჩრდილი ვნახეთო, — ამ აზრით გატანჯულნი დაბოგინობენ. ყველაზე უარესის ცოდნა სჯობს იმას, უარესის მოლოდინით დაზაფრული დაიარებოდე ამქვეყნად.

პატივმოყვარეობაა თავი და თავი ყოველგვარი მანკიერებისა. იგი შობს ლიქნს, აღძრავს შურს, გვიბიძგებს სიცრუისაკენ.

უმეტესწილად, კაცი რომ გამდიდრდება, სიქველეც უნელდება. ადამიანს ლუკმა-პური თუ მიაწოდე, კეთილმონყობაზე დაიწყებს ზრუნვას. კეთილმონყობილს ფუფუნებისკენ გაუწევს გული; გაფუფუნებული, სინატიფეს მოისაკლისებს და ავიშვიშდება. არც ამას დასჯერდება, ახლა გაგიჟება მოსწყურდება. მიეცით, რასაც კი მოისურვებს; ის მაინც იბუზღუნებს, — მომატყუეს, რაც მინდოდა, ვერა და ვერ ველირსეო.

დრო მოვა და ადამიანის ბუნება პირისპირ შეეჯახება თავის ბედ-იღბალს — აი, მაშინ იფეთქებს, თუ იფეთქებს!

მაოცებს, რამდენ ძვირფას წუთს ვახმართ ჩვენი სისუსტეების მიჩქმალვას, ქარაფშუტულ დროსტარებას, უაზრო ენის ქავილსა თუ საეჭვო და უმაქნის

---

*ჯონსონის ლექსიკონიდან: პატრიოტიზმი – არამზადათა უკანასკნელი თავშესაფარია!*

თავშექცევას. გაიფართოვე და არ კი გაიღრმავე თვალსაწიერი — ეს იგივეა, უბრალოდ, თავი გაიძარცვო.

საჭიროა მოქმედება. პასიური ჭვრეტა გონების სახიფათო მდგომარეობაა. არ შეიძლება, ცხოვრება ფუჭ ოცნებებს შეალიო.

სანაძლეოს მოყვარულნი და მოთამაშენი, ჩვეულებრივ, სიღარიბეში იხოცებიან. ეგაა, სიჭაბუკეში ბედმა ვინმეს კიდეც თუ გაუღიმა, საბოლოო შედეგი მეტწილად სავალალოა. ეს ხალხი არ ცნობს თავგადაკლული შრომის აუცილებლობას, არად აგდებს საზოგადოების გამოცდილებას. შრომა აღარ იზიდავს მას; ცხოვრება ცუდდება, წლები კი ილევა ხელსაყრელი შემთხვევის მოლოდინში, რომელიც არა ჩანს.

ადამიანები მუდამ მოკლე გზას ეძებენ ბედნიერებისაკენ, ეს გზა კი არსადაა.

კაცი მაშინ ბრძენკაცდება, როცა იაზრებს, რომ რალაცის მონდომება ერთია და მოპოვება — მეორე. დიდ მწერალთა ნიშანდობლივი თვისებაა სამუშაოსადმი ზედმიწევნით სერიოზული დამოკიდებულება. მათი ცხოვრება, უმეტესად, მძიმეა და უსიხარულო, მაგრამ უსაქმოდ ისინი არასდროს სხედან.

...„მე ლექსს არა ვწერ" — ლექსი ვითონ მწერსო — წერდა ტიციან ტაბიძე და იგი, ლექსს, მოვარდნილს მეწყერს ადარებდა, რომ აგილებს და „ცოცხლად დაგმარხავსო"!

* * *

ეწერ და ეწერ რა ხაიია,
რადგან არის ღვთის ნება...
და რაც უპრიანია —
მეც ის მეპრიანება!

იმპულსს მისდევს ოპუსი,
მუზის სალამ-ქალამი...
ზოგჯერ მიედევ კალამს და
ზოგჯერ მომდევს კალამი!

* * *

გულზე ხელდაკრეფილები...
თავზეხელაღებულები...
ცხოვრებაზე ხელჩაქნეულები...
აი, ჩვენი წარსული —
აწმყო და მომავალი!

* * *

ამ მარადისს, აწმისს, მერმისს:
წარსულს — აწმყოს და მომავალს —
საქართველოს ისტორიას
მე ვუტოვებ შთამომავალს! —

*აბერმა მილიციასთან ჩაიარა და თქვა: 70 წლის წინ ამ ადგილზე მე გამაუპატიურებსო!*

*მილიციის ხელმძღვანელმა ჩაეკითხა:*

*— ახლა გადაწყვიტეთ, იჩივლოთ?*

*— როგორ გეკადრებათ.* **Просто приятно вспомнить, —** *თქვა დედაბერმა, კერცემი კეკლუცად მოიქნია და გზა განაგრძო.*

*ლეოპოლდ სტატმენკა: „ყველა ადამიანში ხმინაეს მოცარეს"!*

***P.S.*** *მაგრამ ყველას ჰაინც ნუ გაადიძებთ.*

*ზურაბ მჭედლიშვილი:*

*„მდინარის შუაში თუ ლგახარ, ვერ დაგეხმარები. ან ჩემკენ გამოცურე, ან იქით, დაუბრუნდი ძველ ნაპირს".*

*„ევროის პოლიერს", 2000. 28.08-3.09.*

***P.S.*** *ეს რალაც ახალ იმსტრუქციასს თუ ინსტრუქციასს ჰგავს... არა მარტო ხამამეელი ხამხახურებისთვის!*

*3 წლის ზაზა ეკითხება დედას:*

*- დედიკო, შენ რომ პატარა იყავი, ჩემი დედა ვინ იყო?*

*ჩემი გონიერების ხრელი ხაზიჭრა:*

*70-იან წლებში ფსიქოლოგმა ჯონ ალან ლიმ სიყვარულის ექვსი*

რომ ზიდოს ვით წინაპარმა,
მძიმე ტვირთი ქართველობის —
ფიზიკური გამძლეობის,
სულიერი ჯანმრთელობის!

## ლექსპრომტი
## თავქუდმოგლეჯილ დროსა და მედროვეებს!

ბეწვის ხიდზე გადიან და ბეწვის ქუდი ახურიათ —
სიკეთისათვის — ვინც მტერია, ბოროტების - მსახურია!..

ნამუსის ქუდს ეძახიან, კაცურ-კაცსაც ქუდით ცნობენ,
ეის ახურაეს — ვინ „დახურა", ვინ — ნამუსიან აღარ ძმობენ.

სიტყვის თქმასაც არ გაცლიან — ლექსს პირიდან აგაცლიან...
აქლემის და ნემსის ქურდი...
არცერთს აღარ ეწვის ქუდი!

* * *

გული ხელით მიჭირაეს და
სული კბილით მიჭირავს...
აზრი ვეღარ გამომაქეს —
მოთმინების ნიჭიდან!

* * *

ჩვენ დროში სალამი იყო დასწრებაზე
და კაცი მჯობნის-მჯობნს, იცით, რით ხედებოდა?..
საცალფეხოზე რომ კაცი კაცს ხედებოდა —
გზას ვინ დაუთმობდა? განზე გადგებოდა?

* * *

სიკეთის მკეთებელო — დამნახველო სიკეთის,
მთესველო და მთამსელელო — მწეერვალების დამპყრობო...
წარღვნისაგან სახსნელად, ნოეს კიდობანივით,
მუზათ მთაზე — პარნასზე... მე ვაშენებ აკროპოლს!

* * *

„ოჰ, როგორ მიდის ახალგაზრდობა — დაუნდობელი სურვილი ლომის"! — მისტიროდა ანუ მისცინოდა სიჭაბუკეს თვითონ ბებერი ლომი — გალაკტიონი!

ვაჟამ რიგითი ფშავლის ცხოვრებით იცხოვრა. თვითონ ხნავდა და თვითონ თესავდა. ტერენტი გრანელი ვაგონების გადამბმელად მუშაობდა რკინიგზაზე. კნუტ ჰამსუნი თავლას ალაგებდა, ფოლკნერი ბუტლეგერობდა — აკრძალულ სპირტიან სასმელებს ყიდდა...

მახლას!

---

*სანთელი... სანთელივით წმინდა კაცის საცოდაობით იწვის!*

*კაცი იმას ჰქვია, ვინც იცის რისთვის ცხოვრობს და რისთვის კვდება.*

* * *

ვატყობ, ფერებაზე მეტად — დასჯა უხდება ზოგიერთ კაცს! მე, მაგალითად, ბავშვობაში, რამხელაზეც ამინიეს ყური — იმხელა გავიზარდე! თავზე ხელის გადასმამ კი თმა არ შემარჩინა თავზე და სიქაჩლეც სიბერემდეც მოვიდა!

სიბერე კი... რას ჰქვია სიბერე, დღემდე ვერ გავიგე, სიბერე, კაცის ასაკი კი არა — ხასიათია! გული წინ გარბის — ფეხები უკან რჩება.

ამიტომ სიბერეც... ფეხებზე უნდა დაიკიდოს!

## რატომ არ უნდა მოიფხანოს თავი პოლიტიკოსმა?

პარტია „როდინამ" სახელმძღვანელო გამოსცა, რომლითაც პარტიის წევრებმა, წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლებთან ურთიერთობისას უნდა იხელმძღვანელონ. სახელმძღვანელო გასაიდუმლოებულ „პირობებში", ძალზე მცირე ტირაჟით დაიბეჭდა და მხოლოდ „როდინას" წევრებს დაურიგდა, თუმცა, ერთი მათგანი მაინც მოხვდა მედიის ხელში. სახელმძღვანელო რამდენიმე ქვეპუნქტისაგან შედგება და ისე მარტივად არის ახსნილი ყველაფერი, რომ, როგორც ჩანს, პარტიის იმიჯმეიკერებს, ეჭვი ეპარებათ „როდინას" წევრთა გონებრივ შესაძლებლობებში.

P.S. ამ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქციის მსგავს ჩამონათვალში ვკითხულობთ, რომ: დეპუტატობის კანდიდატები ამომრჩეველთან შეხვედრაზე არ უნდა მივიდნენ მანქანით (მით უმეტეს — ძვირად ღირებულით); ილაპარაკონ უფრო ემოციურად, ვიდრე ჭკიანურად; არ გადაიდონ ფეხი ფეხზე და თავი არ მოიფხანონ; ახსოვდეთ, რომ პოლიტიკა, მის ირგვლივ, უფრო არანორმალურებს იკრებს და სხვა.

...გულწრფელობის სამაგალითო ნიმუშად მოვიყვანთ, ამას წინათ, იმერეთში, ერთი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის შეხვედრას ამომრჩევლებთან, რომელიც მართალსაც ჰგავს და მოგონილსაც.

- ამხანაგებო, — მიმართა მაჟორიტარმა თავის ხალხს, — ძალიან გთხოვთ მომცეთ ხმა არჩევნებში.

შეიძლება ამით, თქვენ, დიდი ვერაფერი შეღავათი ნახოთ, მარა, იქნება... მე მეშველოს რამეო...

ახლა, ამ კაცს, მარტო გულწრფელობისთვის არ ეკუთვნის ხმა?..

თუნდაც, მესამე ხმა იყოს - ბანი!

* * *

2005 წლის შობისათვის მოდური იქნება... თავდაყირა ნაძვის ხეები, რომლებსაც ჭერზე ლუსტრებივით დაკიდებენ.

სახეობა აღწერა:

სტორგე — ეს არის სიყვარული-მეგობრობა, სიყვარული-ურთიერთგაგება.

აგაპე — სიყვარულის ამ სახეობისთვის დამახასიათებელია პარტნიორის გაღმერთება. მისთვის ყველაფრის პატიება. ღალატისაც კი. საკუთარ თავზე უარის თქმა, თუკი ეს საყვარელ ადამიანს ბედნიერებას მიანიჭებს.

ეროსი — აქ ფიზიკური ლტოლვა პირველადგილზე დგას.

მანია — სიყვარული-შეპყრობილობა, სიყვარული-ავადმყოფობა. საფომ და პლატონმა უკვდავყვეს მისი სიმპტომები.

პრაგმა — მშვიდი, კეთილგონიერი გრძნობა. ამ დროს მეფობს გონი და ვნება მას ემორჩილება. ნამდვილ პრაგმატიკოსს არ შეუძლია უყვარდეს ის, ვინც სიყვარულის ღირსი არ არის. იგი ადამიანის ღირსებას და ნაკლს ნათლად ხედავს.

ლუდუსი — სიყვარული-თამაში, უფრო ხშირად. ეს სიყვარული კი არა, შეყვარებულად თავის მოჩვენებაა.

„ლიზა", N 2000.

ანა ჩხეიძე:

სიონის საკათედრო ტაძარში მრავალ სიწმინდეთა შორისაა: მაცხოვრის სამსჭვალი.

რას მოგვიტანს ეს ყირამალა ახალი წელი, პირველ იანვარზე უფრო, 31 დეკემბერმა იცის.

ერთხელ, ჩემი 5-10 წლის შეილიშვილები მეკვლედ დავიყენე და მეფეხურებს საახალწლო კარები რომ გავუღე, პირკატა კი არა „ცხეირკატა" და „წყვილკატა" მეცა — ყირამალა დამდგარი მამაძაღლები, ეს ეშმაკის ფეხები ...ფუი ეშმაკს — ეშმაკის წაქეზებით — სახლში, ფეხებით კი არა — ხელებით შემოვიდნენ და მას შემდეგ თითი რომ წამოგვტკივებოდა, მთელი ოჯახი ბედობის იმ დღეს და იმ მეფეხურებს ვაბრალებთ!

### ხიფთაზე

მუცლის გერემა ეიცით „ეაში" —
დილით ხაში — ზელ ლავაში!
ეიცი შენი ხეაშიადი...
გეელოდება ხაში, ადე!

* * *

ალარაფრის დარდი ალარ მაწუხებს —
დაეეხსენი ამ ცხოვრების მარწუხებს...
უდარდელის მარიფათი გაჩეენე...
რაღას ეუცდი?
ისეე დარდი მაჩერებს!

### პასტორალი

მინდორველი უფლის ხელით ნახატი —
ერთ რამედ ღირს მარტო საყურებელად...
პეპელაა — გაფრენილი ყვავილი,
ყვავილია — გაფრენილი პეპელა!

* * *

ყველას თავისი დაპყეება ბედი,
ყველას თავისი უქრის მერანი!..
ყეელას თავისი უმღერის ბედი,
ბედისწერა და ბედისმწერალი!

*გერმანული ანდაზა:* ნაღდი ფული იცინისო

### ბიძინა ივანიშვილს!

მე, ახლაც ეს ცხადი — ზღაპარი მგონია...
მსგაესი არც მინახაეს, არც გამიგონია.
მისი ღეთისწყალობა მოწყალებას გასცდა —
გაღმერთდა კაცი
ან
თეით ღმერთი განკაცდა!

---

*ჰაინე: როგორი ჩიტიცაა — ისეთ გალობს.*

*ფრენსის ბეკონი: ადამიანები თავის ნაკლს სხვებში უფრო ამჩნევენ.*

ფილობიბლონი თუ ბიბლიოფილი, ძველი ტფილისის მეტრფე, ხარფუხელი იოსებ გრიშაშვილი ხელგაშლილი კაცი იყო, მაგრამ წიგნს ხელიდან ვერ გააგდებინებდი! მისი უმდიდრესი პირადი ბიბლიოთეკის წიგნები მკითხველთან კი არ მიდიოდა — მკითხველი მოჰყავდა ბიბლიოთეკაში და ასეთ სტუმარ-მასპინძლობას ერქვა წიგნის და კაცის მეგობრობა!

სწორედ, ამ მეგობრობის ძეგლია ეს სტროფი!

წიგნს შევწირე მე ოჯახი,
გამიჩინა გულს იარა —
მთხოვე, რაც გსურს, მთხოვე რაც გსურს,
პერანგს მოგცემ, წიგნს კი — არა.

**რომ იწამო — უნდა ეწამო?**

იწამო ღმერთი უფრო ადვილია,
ვიდრე იწამო ადამიანი...
ადამიანო იწამე — ღმერთი,
ღმერთო იწამე ადამიანი!

6.05.06

**ნაზიკოს — ჩემს პირველ დას და მეორე დედას!**

მაისობაა... გაზაფხულია...
მზეგრძელობაა.. დღეგრძელობაა..
და-ძმობის მადლის — ნაზიბროლობა
და ქრისტეს მხედრის გიორგობაა!
და და ძმობა რომ გენის გენია —
სულის ცნობაა, გულის გრძნობაა...
სისხლისმიერი ნათესაობის —
ნებისმიერი მეგობრობაა!

* * *

„...როცა „ნიკოფსიით დარუბანდამდის" ერთიანი საქართველო იყო, „ყოველი საქართველოს" ერთიანი ლაშქარიც ბრძოლაში, ჩვეულებრივ, ოთხ მთავარ „დროშად" გადიოდა: მეწინავე — სამხრეთ საქართველო, მემარჯვენე — დასავლეთ საქართველო, მემარცხენე — ჰერეთ-კახეთი და ზურგი — შიდა ქართლი, როქის სპით... ბრძოლას იწყებდა სრულიად მესხეთი და ასრულებდა შიდა ქართლი, ვითარცა სამეფო სადროშო", — წერდა ქართველი ისტორიკოსი, მწერალი ლევან სანიკიძე.

*წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი, თომა მოციქულის თავის ქალა, წმ. დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მადლის ქვა და სხვა. აქვე არიან დ ა კ რ ძ ა ლ უ ლ ნ ი საქართველოს მეფეები და პატრიარქები, რომელთა შორისაა წმ. ამბროსი (ხელაია).*

*„კვირის პალიტრა" 2000, 4-10.09.*

*ვიეტნამში ოჯახის თავს „სიუ" ჰქვია. ჩვენში კი ნებისმიერ კაცს შეგიძლია „სიუ" დაუძახო და უკან გამოგხედოს.*

*მახსოვს: ალეკო გორგაძემ ცნობილი ავტო-მოტო-ველო მრბოლელ ავტო — ანუ ავთო გუნიას მანქანა გამოართვა „ხალტურაზე" სატაქსოდ და გამვლელ-გამომვლელს ეკითხებოდა: ბოდიში, „სიუ" ხომ არ დაგიძახნიათ?..*

*ნოეს კიდობანს თურქები არავის აკარებენ და მთავრობამ არარატის მთაზე ასვლაც აკრძალა.*

*„ვოკრუგ სვეტა" N 14, 2000.*

*ფოტოპალიტრა!*

*ედ. შევარდნაძე — წაგებული ომის მოგებული სარდალი ქოგ-*

# თბილისური საჭურველი!

ყოფილა ვინმე გიორგი ელიზარაშვილი, რომლის გაჭედილი ხმლით შამილი კავკასიას იცავდა თურმე.

დიახ, თბილისიც ამარაგებდა შამილს საჭურველით, რასაც საგანგებოდ შებრძოლებია კავკასიის მთავარმართებელი მიხეილ ვორონცოვი. ნიკოლოზ I-ს კი ზლატოუსტის იარაღის ქარხნის საუკეთესო ოსტატები მოუვლენია თბილისს, ხელობის შესასწავლად.

ცუდ დღეში ჩაუგდიათ ყარამან და ეფრემ ელიზარაშვილები (გიორგის ვაჟები), რომლებიც იარაღის კეთების უბადლო ოსტატები იყვნენ. ეფრემი ვერა, მაგრამ ყარამანი გაუტეხავთ ძალდატანებით და მასაც ნერილად უსნავლებია რუსთათვის ქართული ჯავარდენის (ფოლადის) ჭედვის საიდუმლო. თუმცა კი, შემდგომ რუსებს არც ფული დაუშურებიათ თავიანთი მასწავლებლისათვის. თითოეულისათვის 1000—1000 ჩერვონეცი ოქრო მიუციათ. Тифлисское оружье дорого ценится на всем востоке, — იტყვის ამ დროს ალექსანდრე პუშკინი.

აღა-მაჰმად-ხანმა, როცა თბილისური თოფხანა ააოხრა, აქაური ოსტატების ნახელავით მოხიბლულმა, ისინი ოჯახებით ნაასხა თეირანს სამუშაოდ.

თუმცა, თბილისშიც მრავლად დარჩნენ იარაღის უბადლო მკეთებელნი. სიონისა და ვერცხლის ქუჩაზე ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი დუქნები, სადაც იჭედებოდა ხმალ-ხანჯალი, მზადდებოდა ხირიმი, მაჟარო, სიათა (თოფის სახეობები), სხვადასხვა სახის დამბაჩა, ჯაჭვის პერანგი, ბექთარი, მუზარად-ჩაბალახი და მრავალი სხვა.

ამჯერად, ჩემი მეგზური ბატონი კოტე ჩოლოყაშვილია, თავადური გარეგნობის, ახოვანი, მართლაც რომ კეთილშობილი რაინდი. ბატონმა კოტემ მთელი თავისი ცხოვრება ქართული იარაღ-საჭურველის ქომაგობას შეალია და მეც მისი იარაღის კოლექციით ვინტერესდები.

- მჭედელს დანა ეკვეთებაო, — მპასუხობს და დასძენს, — შინ რად მინდა იარაღი, სადაც კი რაიმე ღირებულს ენახავ, მინდა, მუზეუმში მოვუყარო თავი და შთამომავლობას შემოვუნახოო.

საქართველოში, თურმე, ხმლით ხდებოდა მეფედ კურთხევა, მთავარსარდლად კურთხევისასაც რაინდს ხმალს შემოარტყამდნენ ნელზე. ვაჟი რომ სრულწლოვანი გახდებოდა, მასაც, ასევე, ხმლით აკურთხებდნენ. ნეფე-პატარძალსაც გადაჯვარედინებულ ხმლებს შორის უნდა გაევლო. მშობიარობის დროსაც ქალს, ბალიშის ქვეშ, სატევარს ამოუდებდნენ. არცთუ იშვიათად, ქალს სატევრით ნიშნავდნენ.

ქართველი ვაჟკაცი, მოკრძალების ნიშნად, სატევარზე დაიდებდა ხელს. ავადმყოფის შელოცვაც, ხშირ შემთხვევაში, სატევარზე ხდებოდა თურმე.

ბატონი კოტე ერთ ასეთ ლეგენდადქცეულ ამბავსაც მიამბობს:

- შაჰ-აბასს ერთანმინდის ეკლესიის დანგრევა უბრძანებია და, როცა მეომრები საქმეს შესდგომიან, დამპყრობელს მხედველობა ნართმევია.

---

*გოეთე: ადამიანის ყველა სისუსტეს მე ვაპატიებ მსახიობს და მსახიობის არც ერთ შეცდომას არ ვაპატიებ ადამიანს.*

*ზოგს სერჟანტი და სერჟანტესი ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია!*

იქვე მყოფ დარბაისელ გლეხს შაჰისთვის უთქვამს, თუ ეკლესიას ხელს აღარ ახლებ, თვალთ აგეხილებაო და ასეც მომხდარა. შაჰ-აბასს ერთანმინდისათვის ხმლის ვადა შეუწირავს, რომელიც წმინდა ნივთად შეურაცხავთ. ამ ხმლის ვადით ერეკლე მეორეს სნეული შვილი მოურჩენია და თავის სასახლეში დაუვანებია, იქიდან კი ალა-მაჰმად ხანს გაუტაცია.

შაჰ-აბასისავე ხმალი დღესაც ინახება საქართველოს მუზეუმში (ეს ხმალი, ძალის მოსამატებლად, მრავალძალის ეკლესიისათვის შეუწირავს მრისხანე შაჰს).

მრავალძალის ეკლესიიდანვე მოუტანიათ სწორედ ის მუზარადი, ქუცნა ამირეჯიბმა ჯალალედინს რომ დაავგდებინა, თურმე, შეტაკებისას და ტაძარს შეწირა.

მეტად ორიგინალურად ანრთობდნენ, თურმე, თბილისში ხმლის პირებს. გავარვარებულ ხმალს პირდაპირ სამჭედლოდან გადასცემდნენ მხედარს. ისიც იარაღის ქნევით მიაჭენებდა ცხენს და ფოლადის წრთობა გამჭოლ ქარში ხდებოდა.

ელენე სალარიძე

P.S. „ხმალი ავლესოთ, ქართველებო. ხმალი ავლესოთ!... საფლავიდან მოგვძახიან წინაპრები ბიჭი გოგიას პირით და დოლიძის „დოლურს“ გულივით გაუდის ბაგაბუგი!

* * *

XX ს. დასასრულს, ბასტილიის აღების დღეს საჭმლის ფესტივალიც დაამთხვიეს. ოთხ მილიონზე მეტი ადამიანი მიუჯდა პარიზიდან ესპანეთის საზღვრამდე გაშლილ სუფრას.

ევრიკა!

ერთადერთი ადგილი, სადაც ქართველები მტრებიც კი ძმები არიან, ესაა ქართული სუფრა. მოდით, გავშალოთ ერთი შერიგების სუფრა პანკისიდან-სარფამდე და შევუბეროთ!

აბა, როგორ, ქართველობას დიდი სულის ბერვა უნდა!

## ფასდაუდებელი წამი

ფასი ედება ისეთ წამს,
როცა გწამს მისი, ეისაც სწამს!

წასულ კაცზე იტყვიან: წერილი წაიღოო.

მე კი ამ ერთი სიცოცხლისხელა წიგნს, წერილის წასაღებად კი არა, დასატოვებლად ვწერ.

როყით ხელში.

ე. შ. – მარჯვენივ ვისი ჯარი დგას?

პასუხობენ: – რუსების.

ე. შ. – მარცხნივ?

თურქების..

ე. შ. – პირდაპირ?

აფხაზების.

ე. შ. – აბა, მე როგორ მოვხვდი ამ გაუგებრობაში?

ბადრი პაცაშურა

თბილისი.

პაპა ნიზლაძე რეკავდა:

საქართველოს 1/1 სურაყევი განიხილავს მზის ჩრდილოეთიდან ამოსვლის ვარიანტს.

„კვირის პალიტრა“ 2000, 14-20.08.

ილია: კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს „ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლი“

**P.S.** არაკაცს? არც დასატოვებელი აქვს და არც წასაღები!

უხეში გაანგარიშებით, საქართველოში შემოსული კრედიტებით და გრანტებით თითოეული ოჯახი მიიღებდა... 50 ათასი დოლარის ოდენობის დახმარებას...

„კვირის პალიტრა“, 2000, 7-13.08.

აგერ, უკვე მე-7 წელია, ცხოვრების დონის

## ამ წყობილების განწყობილება

სიმართლე თუ გინდა – სიცოცხლე არა ღირს.
ალიონს ფასი აქეს ერთ თლაშო არაყის,
თენდება – დღე დგება... აღგომად არა ღირს,
ღამდება – და ველით სიბნელის ხარაკირს.

## ურბანისტული სურათი

დედას შვილი გადაჰყაედა ქუჩაში,
მანქანების უწყვეტ ნაკადს ელოდა...
ცივი ქარი გულცივობას მღეროდა –
უმწეობის ქალაქ-აბლაბუდაში!

* * *

ქვეყნად რაცა ხდება...
ჩემს მტერსა და ავს.
აზრი ველარ წვდება...
დასასრულსა ჰგავს!

* * *

მამის დარიგება და მოიგაეთ არაკი...
სრული ჭეშმარიტებაა – არ უნდა ლაპარაკი!
...ეშმაკი არ ახარო, მტერი არ გააცინო,
ცხოვრების გაკვეთილი, შვილო, არ გააცდინო!
მამამან-ზეციერმან ეს ცხოვრება გაჩუქა...
კბილი არ ესინჯება – შენი ღმერთის ნაჩუქარს!

* * *

გულზე ხელი!
მოწმე არის:
აქ – ხმელეთი, იქ – ცა...
ფული – ხელის ჭუჭყი არის –
სულის ჭუჭყად იქცა!
არ ჭირდება ლაგარია
ნათქვამია ხალხური:
„ფული ცუდი ბატონია –
კარგი მოსამსახურე“!

*სიფრთხილე სიფრთხალედ არ უნდა იქცეს. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, სიფრთხალეს კი სატკივარს რა გამოულევს!*

## ხატის წინ

სანთლებთან ერთად ვიწვი და ვქრები.
ხატიც დაეღალე ჩემი ლოცვებით:
ცოცხალი ვარ და — მადარდებს მკვდრები,
მკვდრები — წამყვება დარდი ცოცხლების!

## ყველა თაობის სათქმელი... ნიუტონის მიხვედრილობით!

ჩვენ უფრო შორს ვჭვრეტთ,
(ჩვენ-ჩვენს მამებს, თუმცაღა ვგევართ)...
რადგანაც დიდთა წინაპართა —
დიდ მხრებზე ვდგევართ?

* * *

როდემდე ვიყოთ ამ ჭირის ლხინში...
გაუმაძღარის გაწყდეს სინსილა!
როდემდე გვიდგას გვალვა ამ პირში —
ერთის სიმაძღრით — სხვამ იშიმშილოს!..

* * *

გულზე ხელის დადებამდე — უკანალზე დაიწყე,
და იქითკენ გაუტიე — საიდანაც დაიწყე!
ანუ ჩვენი ბავშვობისკენ, ანუ პერი-პერისკენ!..
და ხელიდან თუ წახვედი — წადი ისევ —
ხელისკენ!
მოგონების სამოთხიდან... ფიქრისთვის ვინ
გამოგვყრის?..
თავზე გადგას მჭრელი სიტყვა, როგორც
ხმალი დამოკლეს!

* * *

„მე გარდავსულვარ — სიბერე მჭირს ჭირთა უფრო ძნელიაო" — სულმნათმა შოთამ. იმდენი ჭკუა კი გვაქვს, რუსთაველის სიბრძნეში ეჭვი არ შევიტანოთ და სიჭაბუკის ტვირთი — სიბერეს არ ავკიდოთ.

დღეის გასაკეთებელს ხვალისთვის ნუ გადადებ.

ხვალე იქნება თუ არა, ღმერთმა იცის!

ხვალის ხვალემ თქვასო!

---

*ქართული ანდაზა: ჭკვიანის სიტყვას რეგვენის ყურში სძინავს.*

*საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ქვეყნად კანადას აღიარებენ. მეორე ადგილზე ნორვეგიაა, მას აშშ, ავსტრალია, ირლანდია, შვეცია, ბელგია, ნიდერლანდები, იაპონია და დიდი ბრიტანეთი მისდევს*

*რეიტინგის მეორე ათეულში შევიდა ფინეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, გერმანია, ავსტრია, დანია, ლუქსემბურგი, ისლანდია, იტალია და ახალი ზელანდია. დსთ-ის ქვეყნებს შორის ლიდერობს ბელორუსია, რომელიც ლუკაშენკოს წყალობით 57-ე ადგილზეა. რუსეთმა კიდევ ჩამოიტოვა საქართველო (70), ყაზახეთი (73), უკრაინა (78), აზერბაიჯანი (90), სომხეთი (93), ყირგიზეთი (98), თურქმენეთი (100), მოლდოვა (107), უზბეკეთი (106) და ტაჯიკეთი (110).*

*ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე ექსპერტებმა აფრიკის ქვეყნებში დააფიქსირეს.*

***P.S.*** *თავიდან თუ არა, ბოლოდან ერთ-ერთი პირველები ხომ ვართ!*

*კვაზიმოდოს ნაშიერნი!*

*მსოფლიოში ყველაზე დიდი ამერიკული მონსტრების შოუს შემქმნელი პიტერ ბარნუმი მთელ მსოფლიოში ყიდულობდა მახინჯ ადამიანებს. ბარნუმის თაყვ-*

* * *

თუ გინდა თავისუფალი იყო — გიჟი უნდა იყო.
თუ გინდა გიჟი იყო — მართალი უნდა იყო.
ასეთია ჩვენში საცალფეხო გზა ჭეშმარიტებისაკენ.
გასაგიჟებელი ბედნიერებაა თავისუფლება.
გიჟი — თავისუფალია!
თავისუფლება — სიგიჟეა!

## Memento mori!

...„დაბადებიდან ვკვდებით"!
...კვდომისთვის ვიბადებით?
სიცოცხლის აზრს კი, თურმე,
სიკვდილის წინა ვხვდებით!

* * *

როცა სული ხორცს ეყრება —
ხორცი მიდის — სული რჩება!
დედა-მეილი ერთ ხორცია —
დედა-მეილთან ერთად კვდება...

* * *

თბილისში ხიდებიც — ერთი ხედის არის!
თბილისში ჭადრებიც ჩვენი ბედის არის!
ყველა აკაცია — ჩვენი ძმაკაცია!
ვინ და რა კაცია — ერთი დედის არის!

* * *

სასვენი ნიშნების მოუსვენარობით —
პუნქტუაციური პუნქტუალურობით —
სად წერტილ-მძიმეთა, ტირეთა-ტირილით —
სად მრავალწერტილის ფარული ღიმილით —
სად და რა აქცენტით, სად და რა მახვილით...
ფეხზე დავაყენე — კითხვა(?) და ძახილი(!)

---

*ბალზაკი: მკითხველს წარმოდგენაც კი არ აქვს — აზრის რა დაუცხრომელი მუშაობა სჭირდება მწერალს ყოველი დასკვნის გამოტანისას...*

*დიდი ვერავერი ბედნიერებაა, როცა ავტორები — წიგნებზე უფრო დიდხანს ცოცხლობენ.*

* * *

რა ჰქვია ასეთ საქციელს?
თავი არ გამოგვეყოფა!
ქვეყანა ნაცრად ვაქციეთ —
თავზე საყრელად გვეყოფა!

* * *

უკვდავებას არ ვეპოტინები,
კაცი სიკვდილსაც გაუგებს გემოს,
ამ წუთისოფლის ლანძღვა-გინება...
ვის შერჩენია, ბატონო ჩემო.

* * *

დღე დაღვრემილი, ჯანღი და ბაცი...
უმზეო დღე ჰგავს — უჟიგრო კაცი.
ცხრა მთა, ცხრა ბარი და მზე ცხრათვალა...
თვალა აუთვალმა და ვერ გათვალა.

* * *

შევასხოთ ქიქები — ვახსენოთ ჯიქები,
ვხსნი შამპანურებს, როგორც გაუბიცებს...
ალავერდს ვერელი — ვერასთან ვიქნები
და ამ ბათქა-ბუთქში — გაუ-გაუ, ბიჭებს!

* * *

თვითონ მკვდრებმაც არ იციან — რაა
სიკვდილი?
თვით ცოცხლებმაც არ იციან — რაა
სიცოცხლე?
ოცნებები გამითავდა — ამას მივეტირი,
გეზეურად შემომახმა ჩემი ნატვრის ხე!

* * *

დღეს ქალაქს გავეცქერი აივნიდან!..
ქალაქში ასე ვინ გაივლიდა.
„გეი-პარადი" გაიპარა —
„ჰეი, ვინ მოდის მომავლიდან"?

ბიჭოს, ამას რას მოვესწარით,
შინაწრობს ყველა გარეწარი.
წინათ ვინ ვიყავით და დღეს კი რა ვართ?
ჰკითხეთ დედალთ დედალს -
მამათმავალს!

*შოპენჰაუერი: ღირსება — გარეგანი სინდისია, სინდისი — შინაგანი ღირსება.*

*რის ვარსკვლავი იყო ცნობილი პრინცი რონდიანი, რომელიც 1879 წელს დაიბადა ბრიტანეთის გვინეაში. მას არც ერთი კიდური არ ჰქონდა, მუცლის კუნთების საშუალებით დახოხავდა და ამიტომ ადამიანი-მუხლუხო შეარქვეს. ლუისტონი პრინც რონდიანზე იხსენებს, როგორც ძალიან, ძალიან მხიარულ და იუმორით სავსე ადამიანზე. ადამიანი-მუხლუხო 5 ჯანმრთელი ბავშვის მამა გახდა. მისი დედა — ცირკის მავკანიანი დამლაგებელი. საკმაოდ მოხული და მომხიბვლელი ქალი ყოფილა. მას ქმარი, თურმე, ხელში აყვანილი დაჰყავდა.*

*ადამიანი-კიბორჩხალა ბრედი სტაილზი მოუდან ლოთობისათვის გაგდეს. ელექტროსკამისგან ის იხსნა მემკვიდრეობითმა სიმახინჯემ.*

*ბარნუმის სიამაყე იყო ლუჩია ზარატე. მსოფლიოში ყველაზე პატარა ქალი. ახალშობილი ლუჩია 12 სმ(?) იყო, ხოლო ზრდასრული 45 სმ. მიუხედავად ამისა, საკმაოდ მომხიბვლელი და ჭკვიანი გახლდათ. თავის სიმაღლესთან შედარებით, საოცრად დიდი მკერდიც ჰქონია. ტრაგიკულად დაიღუპა — ბარნუმის ცირკი მატარებლით გასტროლებზე მიემგზავრებოდა, ამ დროს ქარიშხალი ამოვარდა. ლუჩიამ ვაგონის კარი გააღო და დასის წევრების თვალწინ ქარბორბალ-*

* * *

სიცოცხლეს თუ არა ებადა,
სიკვდილი ყოფილა ოცნება,
სიცოცხლე – მაპატიონ მკვდრებმა და
სიკვდილი – მაპატიონ ცოცხლებმა.

* * *

ლექსის წერა რაა?
– ალბათ ჩვეულება!
– ბედისწერაა და საღვთო სნეულება!..
– ლექსი არის სიტყვა-ღმერთის გრძნეულება.
– პოეზია არი... მუზათა წვეულება!

* * *

თუ სიკვდილში – ეს სიცოცხლე გვენატრება –
სიცოცხლეშიც გვინატრია სიკვდილი.
წლები გადის და თოვლივით ხელში დნება –
ჭირსა და ლხინს მივეცინით და მივტირით.

## მშვიდობა ყოველთა!
(სუფრული)

სასწრაფო დახმარება –
იმიერს და ამიერს!..
ერთჯერადი ხარება –
მრააავალჟამიერ!

* * *

განხეთქილების ვაშლით, ერიდა,
გულზე ჩვენს ხეთქვას არ მოერიდა.
და თუ ესაა, ახლა, ელიტა,
წასულა ჩვენი საქმე ხელიდან.

* * *

მიდევ ამ ცხოვრებას წელათრევით –
გულშეწუხებული და სულატკივებული...
ქუჩა და სახლი მენატრება –
რითმებივით შეხმატკბილებული!

* * *

ლექსის მწერალი – „კარგადმყოფი-ავადმყოფია“,
ეს არს სიგიჟის – სიჯანსაღის ფილოსოფია!

*წინათ ბატის ფრთით წერდნენ – ახლა ბატის ჭკუითაც... თანაც, ეს ის ბატები არაა, რომი რომ იხსნეს.*

4 უკადრავად პასუხია კითხვა (?)

ვინ იცის — ვინ რა დღეშია?
ვისი ბედი — ვის ხელშია?
ვის ნყურია და ვის შია?
სად — რა და ვისი — ვისშია?

...შეილიშეილებმა ბაბუებს სიკვდილის რიგში დგომა მოგვისაჯეს!

* * *

ვინ მოკითხავს ჭკუასა — თათქარიძე ლუარსაბს...

კიდევ ერთი ბრექია — ჩვენი ნაცარქექია!

ეშმაკსაც შეგაყვარებს — ჩვენი გენი, ყვარყვარე!

სხვა ჭკუის მასწავლებელს — მეხიც კი დაეაყარე!

კუჭი თავზე დავისვით — კაი ვჭამეთ, კაი ვსვით!

* * *

არც სიყვარულს და
არც მეგობრობას —
არ აქვს ასაკი და ეროენება.
ეს არის, მხოლოდ, ღმერთების ნება —
სულმა ბრძანა და გულმა ინება!

უნიკალური ნიკალა

დრონი მეფობენო!

— ...ეს ცხოვრება რა თვალთმაქცია!

დრომ ფიროსმანი, უფულოდან ფულიან კაცად კი არა...

პირდაპირ — ფულად აქცია!

* * *

გაზეთები წერენ, რომ მოსკოვში გაიხსნა უჩვეულო პროფილის სააგენტო... მოღალატე მეორე ნახევრებისათვის! ფირმის დელიკატური მომსახურება სრულიად ანონიმურია და დედაქალაქის მდიდართა ფენაში დიდი პოპულარობით სარგებლობს (2001).

P.S. კაი ბიზნესია!

ბოლოს და ბოლოს, რაა ბიზნესი? გაიგე მოთხოვნილება და დააკმაყოფილე! ქალებზე მოთხოვნილების დაცემა კი კაცობისა და კაცობრიობის დაცემის ტოლფასია. გაფრთხ-

ამ იგი ცაში აიტაცა...

როცა ბარნუმის სიკვდილის შემდეგ პარი ლუისტონმა საკუთარი შოუ შექმნა, მისი პირველი და საკმაოდ წარმატებული აღმოჩენა იყო იტალიური წარმოშობის ამერიკელი ფრენკ ლენტინი, რომელსაც ხერხემლიდან მესამე ფეხი ეზრდებოდა. ჰქონდა 2 სასქესო ორგანო, 16 თითი, ერთი თითი მესამე ფეხის მუხლზე ვამოზრდილი... მაგრამ მონაწილეობით გამდიდრებული ფრენკი თავისუფალ დროს თევზაობდა და მოხერხებულად იყენებდა მესამე ფეხს. ის ამტკიცებდა, მასზე ისე უზივარ, როგორც სკამზეო.

(„ფოკუს სვეტა“, N 1. 2000).

**P.S.** ვის არ წაუკითხავს ვიქტორ ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის!“ ცირკისთვის, ზოგჯერ სპეციალურად, ამახინჯებდნენ სამსახიობოდ გამეცებულ უპოვარ ადამიანებს, რომლებსაც „კომპრაჩიკოსებს“ ეძახდნენ. ერთი ასეთი კაცი იმილიასხმიც იყო — მერია დადეშქელიანი, უხელო, რომელიც ცირკში გამოდიოდა — როიალზე უკრავდა. იხრიდა

ილება უნდა და უფრთხილდებიან კიდეც... თანაც ულტრათანამედროვე საშუალებებით. აბა, ჩვენ დროს რას აღარ ვიგონებდით, რომ ოჯახში უხერხული კითხვებიდან თავი დაგვეღწია. მე მოსკოველი „ნაშების" მისამართს რაღაც პირობითი ნიშნებით, თუნდაც სპეკულიანტების ტელეფონის ნომრად ვიწერდი. მაგალითად — „ლუსია" — ლუსტრად, „სვეტა" — ელექტროობად, „ლიუდა" — „ბლიუდად", „ტატიანა" — ევგენი ონეგინად და ა. შ. მეწერა...

სხვა რა გზა იყო. რაღაცა უნდა გვეღონა, რომ ვახტანგ ჭყოიძის მდგომარეობაში არ ჩავვარდნილიყავი, ვიღაცა ქალმა პომადით რომ დააწერა გულზე — ამა და ამ დღეს ჩემთან იყოო და ცოლმა ვაიუშველებელი ატეხა — ეს რააო?

ჭყოიძე რის ჭყოიძე იქნებოდა, გამოსავალი რომ ვერ ეპოვა. გადაბრუნდა ლოგინში და ცოლს ზურგი მიუშვირა: მიწერე პასუხიო!

## გამოჩენილ ადამიანთა საფლავის წარწერები:

მაქსიმილიან რობესპიერი (1758-1794), საფრანგეთის რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე: „გამვლელო, ნუ იდარდებ ჩემს ბედზე, ვინაიდან მე რომ ცოცხალი ვყოფილიყავი, შენ იქნებოდი მკვდარი".

დიოგენი, დიდი ბერძენი ფილოსოფოსი: „შენს დიდებას მარადისობა ვერ მოიტაცებს, რადგან შენ ერთმა ასწავლე მოკვდავთ მცირედით დაკმაყოფილება და მიუთითე ადამიანებს ცხოვრების ყველაზე იოლი გზა".

ლეონიდე, სპარტას მეფე. აკლდამაზე აღმართულ ლომის ქანდაკებას აწერია ეპიტაფია: „ნადირთა შორის მე ვარ უმძლავრესი, ხოლო კაცთა შორის უმძლავრესია, ვისაც მე აქ ვდარაჯობ".

ალექსანდრე მაკედონელი: „ეს საფლავი საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, ვისაც არ ჰყოფნიდა მთელი მსოფლიო".

მონტეკული (XVII ს.), გენერალი: „გამვლელო, შეჩერდი, შენ ფეხს ადგამ გმირს".

ისააკ ნიუტონი, ინგლისელი ფიზიკოსი და ფილოსოფოსი: „ეს მარმარილოს ლოდი აღიარებს ისააკ ნიუტონს მოკვდავად, მაშინ, როცა დრო, ბუნება და ზეცა მოწმობენ მის უკვდავებას".

მიშელ ნოსტრადამუსი, წინასწარმეტყველი, ფილოსოფოსი: „აქ განისვენებს ძვლები მიშელ ნოსტრადამუსისა, რომლის თითქმის ღვთიური კალამი ღირსად იყო ცნობილი, რომ ადამიანებისთვის ეუწყებინა ვარსკვლავთა გავლენა წინასწარგანზრახულზე... ო, შთამომავალო, ხელი არ ახლო ამ ნეშტს და ნურც შეგშურდება განსვენებულის სიმშვიდე".

სარდანაპალი, ასურეთის მეფე: „გემრიელად ვჭამდი, ტკბილად ვსვამდი და გულიანად ვმხიარულობდი, სხვა დანარჩენს კი არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევდი".

სამასი სპარტელის საფლავის ეპიტაფია: „მგზავრო, როს მოხვალ ლაკედემონს, აუწყე ყველას, რომ ჩვენ, ერთგულნი ფიცის და ვალის, აქ განვისვენებთ".

ლუციუს კორნელიუს სულა, რომაელი სარდალი და პოლიტიკოსი: „აქ

ნევს სულა, რომლის მსგავსად ჯერ არავის არ მიუზღავს სიკეთე მეგობრისადმი და ბოროტება მტრისადმი".

სციპიონ აფრიკელი, პუბლიუს კორნელი, რომაელი მხედართმთავარი, ჰანიბალის დამამარცხებელი: „უბედურო სამშობლოვ, შენ ვერ მიიღებ ჩემს ძვლებს".

**ბიჭი თეზელიშვილის ნაჩუქარი წიგნიდან**

* * *

ბორის კუზნეცოვი წერს, რომ აინშტაინს სამართლიანობის ავადმყოფური სიყვარული ჰქონდა. ალბერტს, თურმე, ახალგაზრდობაში დედას ბიჭს ეძახდნენ.

ნამდვილად ჭკუის საკითხავი კაცი იყო. „დანახვისა და გაგების სიხარული ბუნების ყველაზე დიდი უნარიაო", — აღიარებდა.

აინშტაინმა, თავის ავტობიოგრაფიას, თურმე, ნეკროლოგი უნოდა...

მართლაც! ნეკროლოგით ან თავდება — ან იწყება ავტობიოგრაფია. ვინ სიცოცხლეშიც კვდება — ვინ სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობს!

* * *

სპეციალისტებმა ცნობილი მეცნიერების, მწერლების და მხატვრების ასობით ბიოგრაფია შეისწავლეს და შემოქმედებით პროდუქტიულობასა და ასაკს შორის კავშირი გამოიკვლიეს.

აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები პროდუქტიულობის მწვერვალს სხვადასხვა დროს აღწევენ. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მოღვაწეთათვის ეს 30-50 წელია. ჰუმანიტარებში შემოქმედებითი ნიჭი გაცილებით გვიან იფურჩქნება. აღმავლობას დაქვეითება მოსდევს. საერთოდ, ისინი ერთმანეთს ენაცვლება. ფსიქოლოგთა აზრით, სიცოცხლის განმავლობაში ადამიანს შემოქმედებითი აქტიურობის ორი პიკი აქვს.

P.S. „რა დროს ჩემი ლექსებიაო!"

არის ასეთი ლექსი. მაგალითად კი ჩემი მაგალითიც გამოდგება!

53 წლისამ გავაფრინე და მანამდე ლექსის წერაში ეჭვმიტანილიც რომ არ ვიყავი, ვფიქრობდი: რაღა დროს ჩემი ლექსებია-მეთქი!

მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო!

*პაემანებს ვერაზე...*

*გილოცავ და გულით გლოცავ*

*შენი, დემურ ლოლაძე.*

***P.S.*** *ავიატორები და პოეტები კოლეგები არიან — ორივენი აფრენენ! ისინი ცაში — ესენი მიწაზე!*

*დემოკრატიისა და თავისუფლების ეროვნულმა ცენტრმა ღია წერილით მიმართა შევარდნაძეს და ასევე მოკავშირის სხვა ლიდერებს, რომელმაც ამ პარტიას და მისი ხელმძღვანელების მიმართ „77 უმძიმესი ბრალდებაა" დაუკისრებული. მათ შორის არის იმის მსგავსიც, რის გამოც, როგორც ნოდარ ნათაძემ ბრძანა, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს მეფე ლუი მე-16-სა და დედოფალ მარია-ანტუანეტას რობესპიერმა და იაკობინელებმა თავები გააგდებინეს. ეს ბრალდება ეხება საქართველოს ქვეყნის წინააღმდეგ უცხო ქვეყნის ჯარების გამოყენებას და უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონი ნათაძეც შევარდნაძეს და მის გუნდს სამოქალაქო ომის დროს საქართველოში ბ. ელცინის ჯარების შემოყვანაში ადანაშაულებს... ასე რომ, უნდა ველოდოთ თავისუფლების მოედანზე „გილიოტინის ამართვას"?! მაგრამ საინტერესო ის არის, ვინ შეასრულებს „ქართველი*

„რაიც ღმერთსა არ ენებოს,
არა საქმე არ იქნებისო"!

ღმერთმა ინებოს და წინ რა ეშმაკი დაუდგება! ისე, მგონი, ღმერთიც წერს ლექსებს, თანაც ღმერთიეთით ლექსებს, მაგრამ ჩვენსავით რედაქციებში არ დაარბენინებს... ნაკუწ-ნაკუწნადაც ხეეს და ფანტელებად გვაყრის თავზე ზამთარში, ან გაზაფხულის მახარობელ კვირტებად სკდება ნაზამთრალ ხეებზე.

„რაო-რაო?" 2003.31.03-6.04.

* * *

...საუწყებო და პირადი დაცვის ლურჯხალათიანებს მიაქვთ ქუჩა.

კრწანისის ყაყაჩოებივით დგანან, ხალხსაც აჩერებენ და ვერ გაგვეირკვევია, ვის — ვისგან ეიცავთ...

ამან ამომათქმევინა ეს სტროფიც!

რამდენი ჯარისკაცი — იმდენი კარისკაცი,
რამდენი უჭმელ-უსმელ-ჩაუცმელი...
იმდენი პირადი დაცვა გვყაეს, რომ...
სამშობლო დაგვრჩა დაუცველი!

* * *

1949-50-იან წწ. ავჭალის გზატკეცილზე, აგურ-კრამიტის კომბინატის მიდამოებში გათხრილ ორმოსამარხებში უამრავი თიხის ხელადები, ჩაფები, დოქები, კოჭობები, ქოთნები, ქვაბები, ქილები, ფიალები, სასმისები და ბრინჯაოს სატევრები და შუბისპირები აღმოჩნდა!

ქართველის დედასაც ერთ ხელში ფიალა უჭირავს — მეორეში ხმალი... ხმალი — მტრისთვის, ფიალა — მოყვრისთვის!

ასე არჩევდა ჩვენი წინაპარი მტერ-მოყვარეს და ასე მოიტანა დღემდე სული, რომელიც ახლაც კბილით გვიჭირავს...

„პაემანში ვერაზე" სწორედ ასეთი მოთმინების ფიალით შევსვი დედაქალაქის სადღეგრძელო, რომელიც დღეს თბილისში ყანწიდან-ყანწზე, ალავერდიდან — ალავერდზე გადადის!

შეეარცხვინე ის სადღეგრძლო, რომელიც...
ჭიქის ხელში აღებამდეა მოჟიქრებული!
შეეარცხვინე ის სიტყვა, რომელიც...
ჭიქის პირისაკენ წაღებამდეა გაჟიქრებული!
ვენაცვალე იმ სადღეგრძელოს —
ჭიქასთან ერთად რომაა ჩამოსხმული...
ჭიქასთან ერთად რომაა აწეული და
ჭიქასთან ერთად რომაა... ჩაჟიქრებული!

...საქართველოში თითქმის ყველა დროისა და ყველა სახეობის სასმისით შესმული ყველა ლოცვა მითქვამს და ყველა სალოცავი დამილოცნია! კაცმა ისმინოს და ღმერთმა შეისმინოს!

---

*მარციალი: ნამდვილ გმირობას მოწმე არა ჰყავს და არც სჭირდება.*

კონსტანტინე გამსახურდია:

უმძიმესი პროფესია გახლავთ მწერლობა. ჩემის აზრით, მეშახტეობა თუ შეედრება მას.

...ერთხელ სახაშეში ვიჯექი.

პაოლო იაშვილი და მისი მოსკოველი სტუმარი კიტრის ნაფცქვენებს მესროდნენ.

მე მივედი მათ მაგიდასთან, ჩემი სატევარი, რკინისა და ძვალთა მჭრელი, გავაშიშვლე და მივეჭერი მთვრალებს.

პაოლო აყვირდა: მე მომკალი, ოღონდ მაიაკოვსკი დაზოგეო.

P.S. როგორც კი შემოვდგი ფეხი კავკასიაში,, მაშინვე გამახსენდა, რომ მე... ქართველი ვარ!.. — ნეტავ მერე ბაღდადელი ვლადიმერ მაიაკოვსკი!

* * *

უსახელო პორტრეტი:

იმოდენა მხრები ჰქონდა, 9 თავს დაიტევდა;

იმ სიგრძე ხელები — პირველი სართულიდან მეორეზე კაცს გალახავდა;

იმ სიმაღლე ფეხები — ერთ ნაბიჯზე ათით თუ დაეწეოდი...

* * *

ბიბლიაში ნათქვამია: „მხიარული გული ჯანმრთელობაა, მწუხარე სული კი ძვლებს ფიტავს" (სოლომონის იგავნი, 17,22).

ასწლეულის წინ რობერტ ბარტონმა წიგნში „მელანქოლიის ანატომია" თავისი დაკვირვებები აღწერა: „იუმორი წმენდს სისხლს, აახალგაზრდავებს სხეულს, ხელს უწყობს ნებისმიერ სამუშაოს". ბარტონმა სიხარულს „მელანქოლიის კედლების სანგრევი მანქანა" უწოდა და ამტკიცებდა, რომ იგი სნეულებებს კურნავს.

იმანუელ კანტი წიგნში „წმინდა გონების კრიტიკა" წერდა, რომ „სიცილი ჯანმრთელობის შეგრძნებას იძლევა, ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესს ააქტიურებს! ძლიერდება კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკა და დიაფრაგმის მოძრაობა, მიიღწევა სულისა და სხეულის ჰარმონია".

საინტერესო ექსპერიმენტი მოეწყო იაპონიაში. ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობის პროგრამაში შეიტანეს „სიცილის თერაპია". ეფექტი გასაოცარი აღმოჩნდა — პაციენტების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

რომეხპიერის' როლს?

„კვირის პალიტრა", 31.07-6.08.2000.

<u>თამაზ ხაზგიშვილი:</u>

გერმანელებს, ქართველის გარდა, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული, უკრაინული, ჩეხური და სხვა ლეგიონებიც ჰყოლიათ. მათ შორის განსხვავება ის იყო, რომ ისინი ფიცს ფიურერის სახელზე დებდნენ, ხოლო ქართველები კი საქართველოს იფიცებდნენ.

მოიკიდებს თუ არა ფეხს საქართველოში რადიკალური ნაციონალიზმი? ამ კითხვით ქართველ ნაციონალისტთა ერთობის ხელმძღვანელს გაიოზ მამალაძეს მივმართე.

ქართულ ნაციონალიზმში შეუძლებელია ისეთი მოვლენის არსებობა, როგორიცაა რასიზმი, ნაციზმი და ა. შ. რა განსხვავებაა ნაციონალიზმსა და ნაციზმს შორის, ამის ახსნას არ დავიწყებ, რადგან საზოგადოებამ ეს კარგად იცის. მაგრამ გეტყვით, რომ ფაშიზმი, როგორც ასეთი მოვლენა, არც ქართველებისთვის იყო სულ უცხო... გერმანიის „ეს-ეს"-ის ლეგიონში იყო ნაცის ჯარების მთავარსარდლის მალხაზ მელიქიშვილის მამა დიმიტრი. ეს ფაქტი ხელს უშლიდა მელიქიშვილს დაწინაურებაში, მაგრამ მან ასეთი არგუმენტი მოიყვანა: — მამაჩემი

* * *

ჯემალ ცერცვაძე:

ეინ იცის ახლა ღირს თუ არა ლექსების წერა,
ეინც ბეერი წერა, რას უმზადებს მას ბედისწერა,
ჩვენ წაეალთ, ქვეყნად რა დარჩება, სახელის მეტი?! -
სამარის პირას გაიღიმებს ბაბუაწვერა!

P.S. გაიღიმებს და ბაბუასწვერ-ბაბუაწვერას...
ეს ქარი-ამქარს არ შეარჩენს აღარცა ბურდღას.
როცა განკითხეის ჟამი დგება, წარსდგები ჯერ არს -
კვდება კაცი და მაინც ცოცხლობს... თუ სული უდგას!
სრული მონება სიტყვა-ღმერთის ან „ანექსია"!
სიტყვა კი სულის ცხონებაა — ანუ ლექსია"..

(გ.6)

## ქართველებზე „ზედმეტად შეყვარებული" რუსი „პოლიტიკოსის" აზრები!

ვიყავი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს მე-7 განყოფილებაში, სპეცპროპაგანდის ხაზით ვმუშაობდი. ბიზნესი თბილისში დავიწყე. სახინკლეში კარგადაც ვქეიფობდით... რა დამავიწყებს „ხვანჭკარას", ხაჭაპურს, ბაკურიანს... მშვენიერი იყო საქართველოში ცხოვრება, მაგრამ ვეღარ ეღირსებით მეტად, რადგან ომიდან ვეღარ გამოხვალთ(?!).

თუ პრეზიდენტი გავხდი, ბრძანებას გავცემ, რომ რუსეთში მყოფი ყველა უცხოელი, მათ შორის თქვენ, კავკასიელებიც, სატვირთო ეშელონებით გაუჩერებლივ დაგაბრუნონო კავკასიის ქედს იქით.

— უკრაინისა არ იყოს, პრობლემები თქვენც მალე დაგეწყებათ. ამერიკელები, ბოლოს და ბოლოს, შეგიწყვეტენ ფინანსურ დახმარებას, სამხედრო მრჩეველებსა და ინსტრუქტორებსაც გაიყვანენ და პირისპირ შერჩებით უამრავ პრობლემას აფხაზეთში, ცხინვალში, ახალქალაქში, მარნეულსა და თვით აჭარაში. საქართველოში შიდაარეულობა და გადატრიალება გარდაუვალია.

„...თუკი პრობლემებს შეუქმნით რუსეთს, განმასხვავებელი ნიშნების უქონელი ბომბდამშენები ორ საათში მიწასთან გაასწორებენ საქართველოს..."(?)

(„კვირის პალიტრა" 19-25.09.05).

P.S. ეს „დეზერტირის" ბაზართან ვინმე ციგანი ბოშა ქალის მარჩიელობა კი არა — ციგან ჟირინოვსკის „წინასწარმეტყველებაა, რომელიც, მასავით, არც ჭკვიანურს ჰგავს და არც მთლად სულელურს — არც მთლად ტყუილსა და არც მთლად მართალს.

---

*ზოგს, გინდ მაგალითი მიეცი... გინდ მარგალიტი – ზედაც არ უყურებს და როცა უყურებს, მაშინაც ვერ ხედავს!*

ამიტომ იყო, ალბათ, რომ ცნობილმა იუმორისტ-პაროდისტმა ბიძინა მახარაძემ მისი სადღეგრძელო... ოყნით დალია!

მადლობა ღმერთს, რუსეთი მარტო ჟირინოვსკი არაა.

რუსეთისგან ბევრი სიკეთე უნდა გვახსოვდეს (და მიუხედავად... უკან მოუხედაობისა), ისიც, რომ „მეზობელი" კარისა — სინათლეა თვალისა" — პირდაპირი და გადატანითი (თუ გნებავთ ენერგეტიკული) მნიშვნელობითაც.

* * *

პენტაგონმა, ავღანეთის მთებში, „მწვანე ბერეტების" საბრძოლო ოპერაციებისათვის... ვირები შეიძინა!

ბატებისა და რომისა არ იყოს, ულტრათანამედროვე ზეიარაღის პირობებშიც კი ამ პირუტყვს გვერდს დღესაც ვერ უვლიან, რადგან იგი, ურთულეს პირობებშიც კი, 21-ე საუკუნის სპეცრაზმელთა შეუცვლელი მეგობარი აღმოჩნდა.

ამ ინფორმაციის მომწოდებელი ირაკლი ალადაშვილი წერს, რომ ყარაბაღის ომის დროს, ღამით, სომეხმა სამხედროებმა რამდენიმე ათეულ ვირს თავზე მაშუქი დაამაგრეს, ავტომობილის აკუმულატორი აკიდეს და (მაგნიტოფონზე ჩაწერილი ტანკების ღმუილით) მოწინააღმდეგის სანგრებისკენ გარეკეს. როგორც ამბობენ, შედეგი ფანტასტიკური აღმოჩნდა — მოწინააღმდეგის სანგრები წამში დაცარიელდა.

ეს, არც მთლად ხუმრობით!

ახლა, მთლად სერიოზულად! რა სტრატეგიული უპირატესობები აქვს ომში სახედარს?

„მთებში, ჯანმრთელ ვირს, 80 კგ ტვირთის კარგა ხნით ტარება შეუძლია, რაც სპეცრაზმელებისთვის დიდი შეღავათია, აქამდე ხომ თითოეულ მათგანს, იარაღის გარდა, 30-35 კგ-იანი ზურგჩანთაც მიჰქონდა თან.

ზურგის ოფიცრებს ყველაზე მეტად ის უხარიათ, რომ ვირებისთვის ბენზინის ზიდვა არ დასჭირდებათ და ეს ჭკვიანი ცხოველი თავად გამოიკვებავს თავს მთებში.

ამასთან, სპეცრაზმელების შეეულმფრენით დესანტირებისას, მხოლოდ ყრუს არ ესმის საფრენი აპარატის გუგუნი. ასევე, ყურისწამღებად ხმაურობს მთებში ჯავშანტრანსპორტიორი. თუკი ვირმა მოულოდნელად ყროყინი არ დაიწყო (მას აჩვევენ თავის „შეკავებას"), მისი აღმოჩენა საკმაოდ ძნელია.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის იბრძოდა.

სამშობლოს სიყვარულის ფაშიზმთან ვაიგივებს მძიმე მოსასმენი ფრაზაა, ქართველთათვის ამას ყოველთვის პატრიოტიზმი ერქვა.

„კვირის პალიტრა", 2000, 31.07-6.08.

მანამ ძალ-ღონე შეგწევთ, ფუკეთ, რაც შეიძლება მეტი ფული იშოვეთ. კემბრიჯის უნივერსიტეტის სოციოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ სიღარიბე სიცოცხლეს მინიმუმ 4 წლით მაინც ამცირებს.

ყოველდღიურად მიირთვით ჩაი 20 გრ ვისკით და მიაყოლეთ მოხარშული ხახვი – ასეთია დიდი ბრიტანეთის უხუცესი მანდილოსნის ევა მორისის დღეგრძელობის რეცეპტი, რომელსაც 114 წელი შეუსრულდა და შესაშური ჯანმრთელობის პატრონია.

დღეში 5-ჯერ მიირთვით ცოცხალი ხილი და ბოსტნეული. ისინი შეიცავენ ანტიოქსიდანტებს, რომლებიც კიბოსგან დაგვიცავს და დაბერების პროცესს შეანელებს.

რაც შეიძლება ხშირად ისიყვარულეთ. ჩვენთვის უკვე ნაცნობი ექიმი უიქსი ამტკიცებს, რომ რეგულარული სექსი (მეუღლე პარტნიორთან) თუ არ ახანგრძლივებს სიცოცხლეს, 10 წლით მაინც ახალგაზრდავებს ადამიანს. ექიმი ამ დასკვნამდე მივიდა 3 500 ცოლქმრული წყვი-

მეორე მსოფლიო ომის დროს, კავკასიის ფრონტზე, აქტიურად იყენებდნენ ვირებსა და საჭაპანე ცხენებს".

...ეს ამბავი კი მე მკითხეთ!

გუშინდელი დღესავით მახსოვს — როგორ იდგნენ თავჩაქინდრული ათასობით ნყნეთელი, კუმისელი, კახელი ვირები ახლანდელ გმირთა მოედანზე და კავკასიის ფრონტზე ნასასვლელად ემზადებოდნენ... ამ გონიერ და ღონიერ პირუტყვს, რომელსაც, აქამდე რძე და მანონი ჩამოჰქონდათ თბილისელი ბავშვებისათვის, ახლა სისხლიც უნდა დაეღვარათ ჩვენთვის... საოცარი სურათი იყო — ძალიან სასაცილოც და ცოტა სევდიანიც!

....კავკასიონზე, ვერმახტის ჯარებს, რაღაც მანქანების საბურავების კვალი უპოვნიათ და საგონებელში ჩავარდნილან: რა ტექნიკა აქვთ ამ ოჯახქორებს, რომ მიუვალ მნვერვალებზე ტრანსპორტით დასეირნობენო?.. არადა ამის ალი-კვალი ნებისმიერმა იმერელმა გლეხმა იცოდა, რაც იყო — ჩვენი სოფლის კაცები ძველი საბურავების ნაგლეჯებს წუღების საძირედ იყენებდნენ და ასე ტოვებდნენ მანქანის საბურავების კვალს საცალფეხო გზებზე — კავკასიონის მთებსა თუ ჭიუხებში, სადაც ჯიქიც ვერ გაივლიდა.

ამერიკელებმა მეორე მსოფლიო ომზე მრავალსერიან კინოფილმს „უცნობი ომი" დაარქვეს, რადგან ეს თემა ამოუნურავეია!.. და აქ კიდევ ერთი, სიცილით სასიკვდილე ასეთი ფაქტი უნდა გავიხსენო!

გერმანელებმა საქართველოში დესანტი გადმოსხეს — 2 აქაური კაცი — ერთი ზომაზე მეტად გამხდარი ქართველი, მეორე — ზომაზე მეტად მსუქანი სომეხი (რომელიც სპეციალური პარაშუტით იყო აღჭურვილი!). მაგრამ მთელი ტრაგიკომედია იქიდან დაიწყო, რომ გადმოხტომის დროს, თურმე, პარაშუტები აერიათ — ქართველის მცირე ზომის პარაშუტით გადმომხტარი სომეხი კვახივით დაასკდა მიწას, ხოლო სომხის ვეებერთელა პარაშუტით გადმომხტარი ძვალი და ტყავი ქართველი კი ნახევარი საათი ნარნარად ეშვებოდა მშობლიურ მიწაზე, სადაც ასე მოუთმენლად ელოდა მას „მშობლიური"... „ენკავედე"!

სასაცილოა... სატირალი რომ არ ყოფილიყო.

* * *

დააკვირდით ამ სიტყვებს!
ნარსული...
მოსული...
მომავალი...
მიმავალი...
ოთხივეში ყველგან „სული" დევს!
ნარ-სულშიც სულის ვალია,
მო-სულშიც (ანმყოს რომ ვეძახით).
მომა-ვალის ვალიც - სულშია!
ღმერთო ჩემო, ამ ღმერთების ენაში - ქართულში რა ღვთიური ნეს-

---

*ხალხს, რომელიც ვერ ინახავს საკუთარს... მოუწევს სხვისი არმიის შენახვა!*

*ნიცშე: Падающего толкни. Сострадание слабость. Даже бог умер от сострадания людей.*

რიგია, სიტყვა - ღმერთით რა ქრისტესმიერი გასაღები დევს ნებისმიერი იგავმიუწვდომელი აზრის ცხრაკლიტულის გასახსნელად ან დასახსნელად!

ლადო ასათიანი
საქართველოს მთებში გაგაჩინა შენამ.
სადღეგრძელოს, ლექსის და ღმერთების ენავ!!
P.S. ღმერთების ენით —
ქართულით, თითქმის —
სათქმელიცა და უთქმელიც ითქმის!

* * *

ნიკო ლორთქიფანიძე:

„იყიდება საქართველო“, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერი ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცური ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით, დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯი ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშე ცით; ერით, ბერით, თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით...

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებად, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ; ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით...

იყიდეთ ბარემ მთლად, განწენეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრად დარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს ჭირისუფალს“.

თითქოს დრო გაჩერდა. ნიკო ლორთქიფანიძის სათქმელს ახლა ამბობს გიგა ლორთქიფანიძე და... მთანი ბანს ეუბნებიან.

მოკლედ, ვიყიდებით თხასავით!

* * *

მურმან ლებანიძეს, წასაქცევად გამზადებული კაცის, ერთი გასაქცევი ლექსი აქვს: „მშვიდობით, გალმა სოფელი მოჩანს... ანი, სიკვდილი ფეხებს ვერ მომჭამსო“... ფეხებს კი არა... კამბოჯაში, თურმე, ერთ კაცს 150 ქალის გაუპატიურებისათვის ქალებმა განაჩენი თვითონ გამოუტანეს, დაიჭირეს, მოაჭრეს ის საოხრე და აჭამეს... პოლიცია კი, თურმე, მშვიდად ადევნებდა თვალს ამ „პურ-მარილს“.

*ლის გამოკვლევის შედეგად.*

*იყოლიეთ ძაღლი ან კატა, ან რომელიმე ფრინველი. თუნდაც მისაერი სხვა ცხოველი. ისინი 80% გვიხალისებენ ცხოვრებას.*

*იყავით ცნობისმოყვარე. დიდი ბრიტანეთის სიბერის ნაციონალური ინსტიტუტის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ცნობისმოყვარეობა კიდევ 5 წლით გვიხანგრძლივებთ სიცოცხლეს.*

*სვით, რაც შეიძლება მეტი მწვანე ჩაი. იტალიელ მეცნიერთა ჯგუფმა, მარკელ გიუოანის ხელმძღვანელობით, გამოთვალა, რომ დღეში ამ არომატული სასმელის 5 ფინჯანი ხსნის ინფარქტისა და ინსულტის რისკს.*

*თუ არის შესაძლებლობა, გადასახლდით თბილ ქვეყნებში. სიცივე, როგორც მეცნიერება ამტკიცებს, არ უწყობს ხელს დიდხანს სიცოცხლეს.*

*„პოსლედნიე ნოვოსტი“ .N 20 (2000).*

**P.S.** *თქვენს ხელთაა ჯანმრთელობის „ელექსირი“. გინდათ დიდხანს იყოთ ამ ქვეყანაზე? .. იყავით! ...სტუდენტობის დროს, ერთი ზამთრის პირზე, გოგლა ფირცხალავამ ახედა მოქუფრულ ცას, თბილი ქვეყნებისაკენ გაფრენილ ჩიტებს და თქვა: ზამთარი მოდის, მე კი პალტო არ მაქვს. რა ვქნა?*

*— გადაფრინდი თბილ ქვეყნებში, — ვურჩიე მე.*

*...რის ხაჯაძის მიხ-*

* * *

1609 წელს, თათარ-ხანი, ყირიმელი თათრებით თრიალეთიდან შემოგვესია. მანგლისში მტერმა ერთი კეელთელი გლეხი დაიჭირა, რომლის სახელი დღეს ჩიტმაც... ყველა ქართველმა იცის (ან, უნდა იცოდეს) თევდორე!

მეფის სადგომი უნდა მიგვასწავლოო! — უბრძანეს.

ლუარსაბ მეფე და დიდი მოურავი გიორგი სააკაძე მაშინ ცხირეთის ციხეში იყვნენ გამაგრებული.

თევდორემ თავი განირა და მტერი მოყვრისაკენ კი არა, სულ სხვა გზით — ჯანდაბისაკენ გაუყენა. თათრები გვიან მიხვდნენ, რომ ამ კაცმა ისინი მოატყუა.

თევდორე აკუწეს.

ქართველებმა კი ახალქალაქთან თათარ-ხანი სასტიკად დაამარცხეს.

...თევდორე მღვდელის სახელი მანამ არ მოკვდება, სანამ საქართველო იცოცხლებს, საფლავი კი დღესაც საძებარი გვაქვს.

...ჩემი ახლობელი ცოლ-ქმრის — ბუბა და გუგული დევდარიანების სულით და ხორცით ლამაზმა ასულმა — „ვეფხისტყაოსნის" თინათინის მოსახელემ და ტყუპისცალმა, კეთილაღნაგმა — იურისტმა თინათინ დევდარიანმა, როგორც მისი ოჯახისა და პირად მეგობარს, გამანდო, რომ დედამისის სოფელში — მანგლისში, ძველ სასაფლაოზე, ერთი ძველისძველი საფლავის ქვისთვის მიუკვლევია, რომელზეც ძნელად, მაგრამ მაინც, იკითხება სახელი — „თევდორე".

... ასეთ გვარიან კაცებს ჩვენში უგვაროდაც სცნობდნენ.

იქნებ, მართლაც... „ეგ არის, რასაც ვეძებდით"...

ახლაც ყურში მაქვს შოთას სიტყვები... ამჯერად ნიშანიანიძის!

— თევდორეეე!...

— თევდორეეე!...

ეს რა ძალამ გასულდიდა,

მომავალი კიდევ ბევრჯერ

გამოგიხმობს წარსულიდან.

— თევდორეეე!...

— თევდორეე!...

— შენისთანა მეკვლე გვინდა.

შენი ერი კიდევ ბევრჯერ გამოგიხმობს ლეგენდიდან.

* * *

*იოანე ზოსიმე. X ს. სასულიერო მწერალი, ჰიმნოგრაფი:*
*-დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა*

*ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი ამბობდა, რომ ადამიანის მეხსიერების დროითი ქრონოგრაფი ძალიან მოკლეა და იგი ოთხ-ხუთ თაობას თუ სწვდება.*

*საქართველო ჰგავს აულაგებელ სუფრას, სადაც ერთი ჭამს, მეორე სვამს, მესამე ნერწყვს ყლაპავს.*

*იმედი ყველაზე ტკბილი უიმედობაა.*

*სანამემშლად. რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა... და ესე ენაი, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული. მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა"*. (სინური მრავალთავი, გვ. 283).

* * *

1922 წელს თბილისის მიდამოებში მოუკლავთ თურანული ვეფხვი, რომელიც, როგორც საბავშვო ენციკლოპედია იუწყება (ტ. I, გვ. 240) „შემთხვევით იყო შემოსული საქართველოში — „ვეფხისტყაოსნის" ქვეყანაში. ახლა, იმ ვეფხვის ფიტული, თბილისის ზოოლოგიურ მუზეუმში ინახება...

...ასოციაციაა ეს თუ 220-აცია — ჩემი სტუდენტობის მეგობრის, პროფესორ არჩილ ერგემლიძიდან მახსოვს, რომ ცნობილ ეკონომისტს... თუ მეხსიერება არ მღალატობს ან მეცნიერებას არ ვღალატობ — XIX საუკუნის ინგლისელ ეკონომისტს და რაღაც „მსუბუქი ბიუჯეტის თეორიის ავტორს" უილიამ გლადსტონს, რომელმაც, რაღაც ისტორიული მიზეზით გზად საქართველო გაიარა და... თავიც დააჭინყდა, საქმეც და ინგლისური ჯენტლმენობაც (ერთი დღის მაგივრად, ერთ კვირას დარჩა თუ ჩარჩა აქ, გახეთქეს ჭამა-სმით). ერთი კვირა ვერ გამოფხიზლდა და მერე, მადლობის მაგივრად წერდა თურმე: მადლობა ღმერთს, რომ ქართველები ისეთი ცოტანი არიან ამ ქვეყანაზე, როგორც ვეფხვები და ლომებიო!

ეცი, ახლა, ასეთ კაცს პატივი?..

თუმცა „გინებით" ასეთი ქებაც ხომ „ერთ რამედ ღირს!..

* * *

ბევრი მტერი ჰყოლია, ღვთით — სამეგობროდ გაჩენილ ჩვენს ქვეყანას, მაგრამ შაჰაბასზე ცბიერი...

ქართლ-კახეთის ქრისტიანი მეფეები თავიანთ რჯულზე მტკიცედ იდგნენ და მათი კაი ყმობა ისაა, რომ შაჰის ყმობაზე არც კი ფიქრობდნენ... გურჯისტანის დაუმორჩილებლად კი ოსმალების გამარჯვებაზე ფიქრი ფუჭი და ნაადრევი იყო. ისიც ისტორიული რეალობა გახლდათ, რომ კავკასიაში ფეხმოკიდებულ რუს ხელმწიფეს, სამხრეთისაკენ მიმავალ გზაზე წინ ველარაფერი დაუდგებოდა. ამიტომ „გურჯისტანი" „ირანისტანად" უნდა ქცეულიყო.

1614 წელს შაჰ-აბასმა კახეთი ააოხრა და დიდძალი ტყვე წაასხა.

*ვილი დღესაც სამშობლოს მწედ არი...*

*როცა ქიხვინებს ულაყი — მისი პატრონის მზე-დარი...*

*როცა ნოხვევში ლაგამს გლეჯს მისი მრინჯაოს მხედარი*

*გმირი, თუნდ ქვაში ცოცხლობდეს, ხოველი მაინც მხნედ-არი!*

*...გიორგი სააკაძე და საქართველო, ორსახოვნებითაც ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს.*

*ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთსა და იმავე პიროვნებას უკავშირდება სასახელო მარტყოფი და საძრახი ბაზალეთიც!.. გულგამზარელი წერს თამაზ ნატროშვილი.*

*ვატიკანთან დაკავშირებული სკანდალური ამბებიდან ყველაზე საინტერესო — პაპ იოანე VIII-ის ისტორიაა: ქალისა, რომელიც თავს კაცად ასაღებდა?! იგი ვატიკანს მეთაურობდა მანამ, სანამ ბუნებამ თავისი არ ჰქნა და ხალხმრავალ სადღესასწაულო ცერემონიაზე არ იმშობიარა?!..*

*„ტაინაია ვლასტ" N 13, 2000.*

*ვან გოგმა ხატვა დაიწყო სიკვდილამდე 2 წლით ადრე. პოლ გოგენმა უძრავი ქონებით ვაჭრობას მიანება თავი და ფერწერას მიეცა სა-*

ერთი წლის შემდეგ კახელები აჯანყდნენ, განყვიტეს ყიზილბაშთა გარნიზონები და ისევ თეიმურაზი დაისვეს მეფედ. შაჰ-აბასმა ალი-ყული ხანი დაძრა ლაშქრით კახეთის დასაჩოქებლად.

არაგვის პირას თეიმურაზმა დიდ შენაერთს სძლია და ხონთქარს ძღვნად გაუგზავნა 2500 მოჭრილი თავი. 1616 წელს შაჰ-აბასი პირადად წამოუძღვა ლაშქარს გურჯისტანში, კახელების 2/3-ზე მეტი ამოწყვიტა ან ტყვედ ნაასხა, ციხე-სიმაგრეები მილეწ-მოლეწა, სოფელი თუ ქალაქი გადაწვა თუ გადაბუგა...

XVII საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველოს და ქართველების ყოფნა-არყოფნის ჟამი იდგა.

აი, სწორედ ახლაა ის დრო აქვე გავიხსენოთ — „ერთხელ ხმამაღლა, რომ თქვათ — მარაბდა!". „პირველთა გმირთაგანაც არათქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმა სახელი და ომი ქმნა" — გვაუწყებს მატიანე და ქედს იხრის სამშობლოსათვის დაცემულ გმირთა — აღათაგან ხერხეულიძისა — და მისი რვა ძმის, ცხრა ძმა მაჩაბელის, დავით ასლანიშვილის, თეიმურაზ მუხრან ბატონის, ბაადურ ციციშვილისა და სხვათა — მათდა ღირსეულთა ძმათა უკვდავების წინაშე.

ავდგეთ და ჩვენც მინამდე დავუხაროთ თავი ჩვენს სახელოვან წინაპრებს — ძველთაც და ახალთაც, რომლებიც დაეცნენ სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში!.

სულთათანა განუსვენე მაცხოვარ!

დრომ მოიტანა ალბათ ეს შეყვარებულების ლექსიც:

„ახ, მთვარევ, მთვარევ — დამწვართ იმედო" და დრომ მოიტანა სიმღერაც „ზამთრის ყინვა არ მაშინებს"... ნეტავ იმ დროს! ახლა კი ზამთრის ყინვაც მაშინებს და ზაფხულის სიცხეც! „დაიწოს ჩვენი დამწველი"... აგვისტოს ხვატი კიდე მესმის, მაგრამ — სექტემბრის პაპანაქება(!) ვის გაუგია, კაცო... აღარ ვიცით თავში რა ქვა ვიხალოთ და რომელ სოროში შევძვრეთ?

„მზეო ამოდი, ამოდი... ნუ ეფარები გორასა", შევხაროდით ბავშვობაში მზის ამოსვლას. ახლა კი ველარც მთები გვიფარავს მზისგან, ველარც ხის ჩრდილი და ველარც კონდიციონერი!... ერთი სული გვაქვს როდის ჩავა მზე და სულის მოთქმის საშუალებას მოგვცემს.

მოგეხსენებათ, 36,6 გრადუსი სიცხე ადამიანის ნორმალური ტემპერატურაა, მაგრამ ნორმალურია, როცა შენს იღლიაში ტემპერატურა 36.6 გრადუსია, გარეთ კი 40(!) და თუ უფრო მეტი არა! (ისიც თუ სახელმწიფოს ქირაზე მყოფ სინოპტიკურ სამსახურსა და ტელევიზორს დაუჯერებ!).

სიცხე რაღა დასამალია, კაცო?

„კაცმა ჭირი მალა, მარა ჭირმა თავი არ დამალაო". სწორედ ამაზეა ნათქვამი — „ბუნება მბრძანებელიაო!"... ალბათ ესაა ის გლობალურ დათბობის კოსმოსური გაკვეთილი ყოვლის მბრძანებელი ბუნება რომ გვიტარებს და ეს, ჩვენთვის, მსოფლიო კატაკლიზმების დაწყებითი განათლებაა.

ღმერთო გვიშველე,

ღმერთო გვიშველე!

**თბილისი. აგვისტო-სექტემბერი, 2006.**

P.S. თურმე კიდევ უფრო „ცხელი" აგვისტო" გველოდა 2008 წელს, რომლის გულზე მოდებული ცეცხლი ჯერაც არ გაგვნელებია!

---

*გიჟი თავისუფალია! აი, მესმის, სრული თავისუფლების კომფორტი!*
*თავისუფლების უფლება აქვს იმას, ვისაც აქვს უფლების თავი!*
*ისინი, ვისაც კლასში დარჩენა სიკვდილივით არ უნდოდათ, ისტორიაში დარჩენაზე... თავს იკლავენ?!*

* * *

გაგვიწყრა ღმერთი ქართველებს,
ეშმაკებს ეელაქუცებით,
მიდიან ქაქუცები და
...მოდიან ქარაქუცები!

2002

* * *

დემეტრე II თავდადებული: ....ან მნებავს, რათა ნარვიდე ყაენის წინაშე და იყოს ნება ღვთისა. უკეთუ მომკლან, ვგონებ, ჩემი ქვეყანა უვნებლად გადარჩეს.

P.S. საქართველოს ისტორიას ამშვენებენ თავდადებულები და არა თავგასულები!

* * *

ის რა ცხოვრება, რომელსაც სიცოცხლით ვერ შეემატები და სიკვდილით ვერ მოაკლდები.

* * *

ვაჟა:
„მემღერება და ვიმღერი, გულშე მჭირს
ვარამი:
წარსულზე ფიქრი მაწუხებს, აწმყოში არა
ყრია რა
და მომავალის ფიქრებიც არავინ
გამიმზიანა!“
P.S. ჩარგლის მთის თავის ნაჟური —
ვაჟას სიტყვაა ვაჟური —
კაჟური — ენანყლიანი...
და მზიან-ქარიშხლიანი!

* * *

...და ვინაც იცხოვრა მაცხოვრის
ცხოვრებით,
და არა ხორცისა და მუცლის ცხონებით,
სულისა და გულის — გონების ანბანით —
სულისა და გულის — გონების განბანით —
სანამ გაწედებოდა მას წლების საბანი,
ალია ჯანი და არ იყო ჯაბანი,
ცხრა მთა და ცხრა ბარი,
ცხრა სკნელი — სამანით...
ასეთს ეკითხება ამბავი-ხაბარით.

*აკაკი: სადაც სიყვარულია — ღმერთიც იქ არის!*

*ცოცხლე. უოლტ უიტმენმა შუახანს გადაცილებულმა დაიწყო ლექსების წერა...*

*რაღა ჩემი 53 წლის ასაკში გაპოეტება უკვირთ იმ ტიპებს, რომლებმაც წერა საკუთარი ლექსების კითხვით, ან პირიქით, — კითხვა საკუთარი ლექსების წერით ისწავლეს...*

*შიმშილობით... ჩვენ — მთავრობას ვემუქრებით, მთავრობა კი — ჩვენ!*

*<u>მარინა ბაბუნაშვილი:</u>*

*-ცრემლიანი წარსული...*

*ხურცილავების ოჯახიდან აფხაზებმა ჩემი მეგობრის მამა, ძმა, ქმარი და მაზლი ჩახოცეს. ოჯახისთავი მზიის სკოლაში პედაგოგი იყო და ამბობენ, იგი მისმა მოსწავლემ მოკლა: გაბრაზდა — სკოლაში ორიანებს რომ მიწერდიო?!*

*ჩეჩნებს ყოველი მოკლული ქართველის მოჭრილი ყური „მძივებად" ეკიდათ ყელზე. მახსოვს, ქუჩებში ამაზრზენად ეყარა თვალებდათხრილი, ცხვირ და ყურებდაჭრილი გვამები. კაცებს სასქესო ორგანოც მოჭრილი ჰქონდათ. მივდიოდი ჩემს საყვარელ ქუჩებში, სადაც კენჭიც კი ნაცნობი იყო და ხმამაღლა ტირილი მინდოდა. მერე გამახსენდა აფხაზების დანაქადები: თუ ტირილის ხმას*

* * *

დედაშეილობაც ეერ გადურჩა ამ დროს – შუქ-ჩრდილით...
უნივერსიტეტი ჩახმახზე დგას – თოფს ჰგავს გატენილს –
წუხს მოყვარე და ეშმა ხარობს მისი წუხილით –
იცინის მტერი – ტირის ჩვენი ალმა-მატერი.
დედაშვილობა დავუწუნეთ ეროენულ ტაძარს –
ჰოდა, რაღაცის მისაბაძად – ვიღაცას ვბაძავთ!
გაქვავებულან ეზოში და მზერენ შეკრებილთ...
დაბრიყვებული ბავშვებივით დგანან ძეგლები.

## ახალი ანდაზები სახალხო ფიანდაზებად

...საქართველოში ყველას აქვს უფლება, იცხოვროს კარგად, მაგრამ არავის არ აქვს უფლება, იცხოვროს... საქართველოზე კარგად!

საქართველოში უკან დახევა არ იციდნენ, რადგან საქართველოში... უკანდასახევი გზა არ არი.

სახელი და დიდება მათ, ვინც დაეცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში და სამშობლოსათვის თავგანწირვის ნიჭი გადაარჩინა!

სახელი და დიდება მათ, ვისთვისაც სამშობლო — მშობლებით იწყება, მაგრამ მშობლებით არ თავდება!

* * *

კიდევ ერთი ვარდით,
კიდევ ერთი ვადით,
1001 დარდით...
ლამის გადავვარდით!

* * *

მე-19 საუკუნისთვის არავის არ დაუსვამს ასეთი კითხვა:

„აბა სად არის ქართველი და საქართველოო?" — იკითხა თერგდალეულმა ილია ჭავჭავაძემ.

მე-19 საუკუნისთვის საქართველოსთვის არავის არ დაუსვამს ამაზე მწარე კითხვა.

ორი საუკუნის შემდეგ ილიასეულმა განწყობილებამ დამაწერინა ეს სტროფი!

---

*ყირამალა აზრები:*
*აირია მონასტერი – ძაღლი პატრონს ვერა ცნობს:*
*ზენა გრძნობა – ქვენას ვერ გრძნობს, ქვენა გრძნობა – ზენას გრძნობს?..*
*ვინ ტყუის და ვინ სწორია, ვინ დუმს და ვინ ბლუყუნებს...*
*საქართველოს ისტორიას სეირივით უყურებს!*

...სადღა არის „ძლევაი საკვირველნი" –
პირველები, ვართ ბოლოდან პირველნი.
მუცელქორობთ, თავს ვიწონებთ
ძველითა,
საფლავს ვითხრით საკუთარი ხელითა!
ისტორია გვიხმობს ქვათა ქვითინით –
შექმნათ აწმყო – წარსულს ნუღარ
მიეტირით,
ხალხნო, ვისი გორისა ვართ – გვახსოვდეს,
რომ ახალში – ძველ საქსოვებს –
ვაქსოვდეთ!
გასვენება... დასვენებად... ვახსენოთ?..
არ გაბრიყვდეთ, გენი არ მოასვენოთ,
ბედისწერას რომ პირჯვარი დაწერო,
სადაც შენი – იქაც ჩემი ახსენო!
თორემ!..
დასვენება უნდა, ალბათ, მზესაცა...
ამოდის და ძალას იკრებს მყისავე,
ამირანი, მიჯაჭვული დღესაცა –
ჯაჭვის ჭაპანწყვეტაშია ისევე!
კავკასია თავად იქცა ბორკილად –
ასი თავი უნდა თავთან მორკინალს!
მოციქულობს ტყვია... ბრმა თუ ცალთვალა,
მტერ-მოყვარე ავმა თვალმა გათვალა.
რაღა დაგვრჩა ჩვენ სხვასთან გასაყოფი?..
„ქართველებს მტრად – ქართველებიც
ეყოფათ!"
ვით შაჰ-აბასს უთქვამს ასე საჯაროდ –
„მტრის ჯინაზე გავიცინებ" ხანჯალო!
ნიშატიც არ დარჩა ძველი დიდების,
წყალს მიეყავართ, ხავსსაც ვერ
ვეჭიდებით...
იმას ვიმკით, რაც არ დაგვითესია –
თუმც იმედით ვცოცხლობთ –
მოვა მესია!

* * *

– რა ჰქვია ამას?..
– მონატრება დედის და შვილის! -
თბილისში ვცხოვრობ
და თბილისში დავეძებ თბილისს!

*კონსტანტინე გამსახურდია: თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა – ალექსანდრე მაკედონელიც ვერ უშველის.*

*გავიგონებთ, ჯერ ენას ამოვგლეჯთ და მერე დაგხვრეტთ.*

*10.010.2005.*

*მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებიან, რომ სტიქიურმა უბედურებამ დაანგრია ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სოფელი მამათი. რასაც ცხელ გულზე ასეთი სტროფი მოჰყვა!*

*ვხედავ ღმერთი გვიწყრება და*

*„ვხედავ" მასთან კამათს...*

*თუკი შვილმა გაწყენინა.*

*რას ერჩოდი მამათს?*

*სიკვდილი მაშინ უნდა გეწყინოს.*

*როცა სიცოცხლე გიხარია.*

*ბეჭდვითი სიტყვა ქრონომეტრაჟით:*

*წიგნი – წლებს უჩვენებს, ჟურნალი – საათებს, გაზეთი – წუთებს.*

*სწორედ ამ უჟამო ჟამის – საათების, წუთების და წამების საწამებლად გთავაზობთ ჩვენი დროის ქრონიკას.*

*წუთისოფლის წუთწამების*

*ფიქრი-ფიფქი მათოვს...*

*მარადიულ კითხვებს ვსვამ:*

*რისთვის, როგორ, რატომ???*

* * *

„იმ დღეს შევარდნაძემ და გორგოძემ ერთმანეთზე გაიწიეს"(?!).

ოჰო, ბატონი ვახტანგ რაზმაძეც ალაპარაკდა!

სეზამ... რას იზამ?

გაიღეო და იღება XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ყრუდ გამოჯახუნებული კარებები... ქვათა სროლის ჟამი არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე დაანყო ქვათა აკრეფის და მაინც, უჟამო ჟამი! ალაპარაკდა კაცი, რომელიც იმ უდროობის დროში რესპუბლიკის პროკურორი იყო, ეშმაკებს ანგელოზებს უფრთხობდა... როცა, ქალაქურად რომ ვთქვათ — „ბნელოდა მთვარიან ღამეშიც" და ძნელად გაარჩევდი ვინ ეშმაკი იყო — ვინ ანგელოზი!

მე იმ დროის ცოცხალი მონმე ვარ და მიუხედავად იმისა, რომ თვით ის დრო და ქვეყანაა პასუხისგებაში მისაცემი (გაიხსენეთ ნიურნბერგის პროცესი!), ერთ მონმედ შემიძლია დავუდგე რესპუბლიკის მაშინდელ პროკურორს მის პირადობაში (და არა პირატობაში!). ვახტანგ რაზმაძე ის საოცარი ფენომენია, რომელმაც, მეტნაკლებად გაუძლო, იმ გაუსაძლის დროს და კაცად დარჩა!

ამას ვაცხადებ მთელი, თუ გნებავთ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით... მიუხედავად იმისა, რომ არავითარი პირადი ვალი და არც სურვილი არ მაქვს სამართალდამცველთა უსამართლო დაცვისა და არც თავი მომძულებია მათ მოძულეთაგან თავის დასაცავად!

ნარმოიდგინეთ ჯერ რა სამართალი გექონდა იმ დროს და ნარმომიდგენია — რა სამართალი გვექნებოდა ამდენ მგელში თითო-ოროლა კაცი რომ არ გამოგვერეოდა და სული კბილით არ ჭეროდათ! „როცა თქვენი მოღვანეობის პერიოდზე ესაუბრობთ, ჩვენც და ქართულ პოლიტიკაში ჩახედულ უამრავ ადამიანს ერთი კითხვა ანუხებს (აკმაროთ — გ. ნ.): როგორ შეინარჩუნა შევარდნაძის გენერალურმა პროკურორმა პოსტი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ"?..

ეს არგუმენტი შეიძლება კონტრარგუმენტადაც გამოდგეს! ზვიად გამსახურდიამ იცოდა კაცის ავკარგის გარჩევა!.. თორემ ბოროტებასთან მისი შეურიგებლობის მაგალითი (დღესაც რომ აგრძელებს მისი მეუღლე მანანა არჩვაძე), თუნდაც იმავე დღის „ასავალ-დასავალის" შპიგელიდანაც ჩანს, რომელიც ამ აგვისტოს ხვატში შურისძიების პაპანაქებას აყენებს ნონპარელით ანყობილ უშველებელ ტექსტში:

„ვინც შევარდნაძის სასამართლო პროცესს დაინყებს, ის იქნება ნამდვილი ქართველი და ეროვნული ხელისუფალი!"

...მე კი, ისევ, სასჯელის უმაღლესი ზომა, არანაკლებ სასტიკი მსჯავრი — XX ს. ამერიკელი მნერლის იუჯინ ო ნილის მსჯავრი მახსენდება:

კაცს რომელსაც საკუთარი მიზნის გარდა სხვა არაფერი ამოძრავებს, უნდა დაისაჯოს ამ მიზნის... შესრულებით!

ამაზე „ჰუმანური" და ამაზე მკაცრი სასჯელი არ არსებობს.

რაც შეეხება „თეთრი მელის" „კუდებს"... ვფიქრობ, ვახტანგ რაზმაძე ის შემთხვევაა, როცა კაცი არაკაცად ვერ იქცა და ბოროტების მონმედ არ გამოდგა!

მე ჯერ არც გამიგია, რომ პროკურორი ხალხს ყვარებოდეს! პარადოქსალურად ჟღერს, მაგრამ ვახტანგ რაზმაძე, ხალხს არ სძულდა (თუმცა გამონაკლისი სიყვარულშიც არსებობს და სიძულვილშიც!).

კარგა ხანს დუმდა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს დუმილიც არ იყო თანხმობის ნიშანი!

„...მზადდებოდა ათიათასობით ტონა ფალსიფიცირებული ღვინო. შაქრით, ჭარხლით, წყლითა და საღებავებით... ამის გამო პასუხისგებაში მისცეს მრავალი ათეული ადამიანი. ღირდა თუ არა ყველაფერი ეს იმ ოქროს მედლად, რომლის მისაღებად შევარდნაძის ხელისუფლებამ უამრავი სიყალბე ჩაიდინა? ამაზე შევარდნაძემ უნდა გასცეს პასუხი".

„...აღშფოთდა და მომახალა — შენ რატომ არ უნდა იმას ანგარიშს, რომ მე გურული გლეხის შვილს, პარტიამ ნდობა გამომიცხადა და ცეკას პირველ მდივნად ამირჩია. მე მაგენი ცეკას მდივნებად დავნიშნე და თუ ვინმე მღალატობს არ დავინდობო".

„...შევარდნაძე მე მაფრთხილებდა, არავის არაფერი უთხრაო და თავად, თურმე ხაბეიშვილს აბარებდა ანგარიშს (!) თან ძირს უთხრიდა, თან პირში ეფერებოდა... შევარდნაძეს ეშმაკობაში ვერ ვაჯობებდი, მაგრამ ჩემს მხარეზე სიმართლე იყო".

მოტყუედა კაცი, რომელიც სხვას ატყუებდა ყოველთვის.

„...ახლა შენ გაჩუმდი, ვახტანგ, ჩანყობილია გორბაჩოვთან ეს საქმე..."

შევარდნაძე გაშიშვლდა, მან გამნირა და დაინყო მისთვის დამახასიათებელი ანგარიშსნორება..."

კაცმა ჭირი მალა, მარა ჭირმა თავი არ დამალაო!

ასეა ეს, — როგორც თუთაშხია იტყოდა!

ახლა პასუხსაც გავუსინჯოთ კბილი! მითუმეტეს რომ, როგორც პირადი ექიმები, თავის დროზე, გაზეთებში თავს ინონებდნენ, ამბროსოვიჩი, მიუხედავად ასაკისა, 32 კბილის ნარმადობით ჭამდა მტრებს და ხანდახან მოყვრებსაც ზედ მიახრამუნებდა. მკითხველი, ცხადია ელის, არც თუ ყველასგან მიტოვებული, მაგრამ მაინც მარტოსული მეფე ლირის მძვინვარებას... რაღაც ამდაგვარს: იზუზუნე და იქროლე ქარო, მილენ-მოლენე და შეუშალე ქვეყანას სახე, რომ აღარ დარჩეს თესლი უმადურ ადამიანთა სულისკვეთების!..

მაგრამ, ნურას უკაცრავად!

მის მოთმინებას არ აქვს საზღვარი.

იგი კვლავ „მოთმინების ფიალით" სვამს კაცობისა და კაცობრიობის სადღეგრძელოს!

„მე ყველას ცოდვა ვიცოდი" (საკუთარის გარდა!)

ვახტანგ რაზმაძეს დიდი ხანია ვიცნობ და

*ავთანდილ მარგიანი: საქართველოში ყველა ბოროტების თავი და თავი შევარდნაძეა!*

**„Я не отвечаю за действия Саакашвили и даже за действия Гамсахурдия" –** *წერს „არგუმენტი ი ფაქტი"-ში ედუარდ შევარდნაძე.*

*რა შეიძლება ითქვას ამაზე?*

*„ფაქტი" არი – „არგუმენტი" – არა!*

*შურმან გიგას (პენსიონერი):* *რას არ იტყვის კაცის ენა და რას არ გაიგონებს კაცის ყური? დიდი ხანია, ასე გულიანად არ მიცინია. შევარდნაძე წერს – გრაჩოვი რომ ენახა და პისტოლეტი რომ მომცა, მოვკლავდი, იმდენი ბოროტება აქვს ჩადენილიო.*

*შევარდნაძე წერს „ასავალ დასავალში", რაც ქუთაისიდან ჩამოვედი, ჯიბეში ფული არ ჩამიდიაო. რაც მაგან საქართველოში ფული მოხვეტა, რომელ ჯიბეში ჩაეტეოდა.*

ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა. ვახტანგი ყოველთვის ვაჟკაცურად ამბობდა სათქმელს, ძალზე რთულ ვითარებაშიც კი ცდილობდა ობიექტური ყოფილიყო. ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო კარგი გამომძიებელი და პროკურორი. ბოლო დროს „კვირის პალიტრისათვის" მიცემულმა მისმა ინტერვიუმ გამაკვირვა. ჩემთვის ნამდვილად მოულოდნელი იყო მისი განცხადებები".

„...გორბაჩოვს პოლიტბიუროს წევრობაზეც კი უარი ვუთხარი, კრემლს ქართველები არ აკლია-მეთქი.

მაშინ ის პოლიტბიუროს წევრებს მიუბრუნდა — У нас работал один грузин (სტალინი იგულისხმა) но этот другой, не такой, как тот?!.

ეშმაკმა იცის, ტყუილია თუ მართალი, ძმები ივერიელების მამის თხოვნაზე — ერთი შვილი მაინც მაჩუქეო, პასუხი —აირჩიე რომელიო?..

„თვითმფრინავის გატაცების ამბავს ხშირად იხსენებენ... გეგა კობახიძის მამა ჩემთან მეგობრობდა, აკადემიკოსი კოტე წერეთელი ჩემი მეგობარი იყო, მაგრამ მისი შვილი ვერ დავინდე. სხვათა შორის, მისი შვილის დახვრეტის შემდეგაც გავაგრძელეთ ჩვენ მეგობრობა"...

ა?.. როგორი არგუმენტი და ფაქტია! აქ კომენტარი ზედმეტია!

და იქვე!

„არ ვიცი, რისთვის დასჭირდა ვახტანგ რაზმაძეს ჩემზე ლაპარაკი. ყოველთვის ობიექტურ კაცად ვთვლიდი, ტყუილი არ უთქვამს და არასოდეს არაფერი დაუბრალებია ჩემთვის. ახლა არ ვიცი, რატომ ლაპარაკობს, შესაძლოა ვინმემ სთხოვა ამის თქმა". („კვირის პალიტრა" 8-14.VIII.05).

„ვინმემ!"... რა გვეშველებოდა ეს ნაცვალსახელები რომ არ ყოფილიყო.

მახსენდება საფრანგეთის რევოლუციის ტრიბუნის — მარატის მკვლელობა ერთი უბრალო გლეხი ქალის — შარლოტა კორდეს მიერ, რომელმაც კითხვაზე: ვინ დაგავალა მისი მოკვლაო, უპასუხა: საკუთარმა თავმა... სხვის დავალებას ცუდად ასრულებენო!

დიდი ფილოსოფოსი, ინგლისური მატერიალიზმისა და ექსპერიმენტიალური მეცნიერების ფუძემდებელი, ყოფილი ლორდ-კანცლერი ფრანსის ბეკონი ნამდვილად ჭკუის საკითხავი კაცია. სხვა სიკეთისაც არ იყოს, განათლებასა და ნიჭს გარდა ისიც ეყოფა, რასაც ჩვენი წინაპარი ნამდვილ კაცს „აკადემიად" უთვლიდა — ციხეს!.. რომელიც მასაც ნახეხი აქვს და თან რისთვის? — მექრთამეობისთვის, რასაც სულხან-საბა სამარცხვინო ძლვენს ეძახდა... ამ ჩვენს ძღვენიჭამია დროში ეს, ალბათ, დიდ გაკვირვებას ვერ გამოიწვევს.

თავის ესეებში მან გამოამზეურა არა თავისი პიროვნული ინტროსპექტული, ანუ შიგნიდან ხედვა — კვლევა-თვითდაკვირვება, არამედ Persona, საზოგადოების როლი, რის ცოდნასაც ჩემულობდა. „იგი ირგებს ნილაბს შორსმჭვრეტელი, ფხიზელი მრჩევლის, რომელმაც იცის სამყაროს გზები და არ ეშინია თქმა იმისა, რაც სამყაროს გამოასწორებს".

პოდა ამ კაცმა, რომელმაც იცის სამყაროს რა გამოასწორებს, არ იცის ის — თვითონ მას რა გაასწორებს?.. მახსოვს „ნიანგში" ჩემი პირველი სტრიქონები იყო, უმცროსის კრიტიკაზე — როგორ დაიწყო უფროსმა გამოსწორება... უმცროსის მინასთან გასწორებით!

უილიამ ბლეიკმა ფრანსის ბეკონის ცხოვრებისეულ ესეებს უწოდა ადამიანის „რჩევები სატანის სამეფოში შესაღწევად".

შიშს რომ დიდი და არც ისე მომხიბლავი თვალები აქვს, ეს ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა, როცა ფრანსის ბეკონმა აღიარა და აგერ აქამდე ანგელოზები დაგვიფრთხო: „ცოლ-შვილი დაბრკოლებაა დიდ საქმეთა აღსრულებისას, მაგრამ ეს არის სასჯელი ადამიანისთვის და შეუძლია შეაკავოს ოჯახის მამა სახიფათო ნამონყებისაგან".

P.S. ვაღიარებ, ალბათ სიბერეა ჩემი სითამამის, სიტყვის თავისუფლებისა და ოჯახზე და თავზე ხელის აღების მიზეზი!

* * *

ყველაზე კარგი მრჩეველი ხალხური სიბრძნეა.

ხალხური სიბრძნისმეტყველებით: კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალა. თანაც სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს!

ეს ამბავი ისედაც დიდი ხანდაზმულობის, ლამის ჩემი ხნისაა.

გადავწყვიტე, რომ ახლა თქმა სჯობს უთქმელობას... ურჩხულისათვის დიდი ფუფუნებაა ხშირად ხსენება, მაგრამ გველობისა და უხსენებლობისა არ იყოს, ბოროტებისათვის სულ არ ხსენებაც დიდი კომფორტია...

ავსა კაცსა ქურდობასავით უნდა მეუხნრო ავ საქმეზე!

ეს უვერტიურაა — ოპერა ახლა იწყება!

აქა ამბავი ჩემი გაპოეტებისა!

53 წლის ასაკში ლექსების წერა პირდაპირ „ფოლიანტით"-პოემით დავიწყე და გენახათ რა დღეში იყო ჩემი ყურჩამოყრილი ცოლ-შვილი — ამ კაცმა სიბერეში გააფრინაო!

არც უმაგისობა იყო.

სხვა ფორმა სათქმელს ვერ მოვუძებნე და ისე გავთავხედდი, რომ — რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონისა და სხვათა და სხვათა — ღმერთ-კაცების საუფლოში — პოეზიაში გავბედე ცხვირის შეყოფა!

შევყავი და... ზემოხსენებულ ტიტანებს ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ ქვემოსახსენებელმა ტიტინებმა — ანუ ახლაგამომცხვარმა „გენიოსებმა" ერთი ამბავი ატეხეს — რა დროს მისი ლექსების წერააო! — თითქოს მათ საკარმიდამოს ვუყოფდი ცაში.

წერას ატანილი, პირველად, კინაღამ მათი წერა გავხდი.

არადა ის ჩვენი გოგო-ბიჭები, ვისთვისაც პოეტობაც კი გავბედე, ამ არაკაცების დაქალები და ძმაკაცებიც იყვნენ. ვიფიქრე იმათ მაინც რა პირით

*აკადემიკოსი ია-კობ ახვლედიანი: ედუარდ შევარდნაძე კომუნისტების გამყიდველ ცბიერ ციერს მაგონებს. მას ვერც საქართველოს მომთხრელ აღა-მაჰმად-ხანს, ვერც მურვან ყრუს, ვერც თემურ ლენგს ვერ შევადარებდი. მას ბადალი არ მოეპოვება ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობის საქმეში. და ამიტომ იგი მხოლოდ ედუარდ შევარდნაძეს მაგონებს.*

*აფხაზეთის ომში დაზარალებული აფხაზები აპირებენ საქართველოს ექსპრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს ჰააგის სასამართლოში უჩივლონ. სოხუმში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც შევარდნაძეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ინსპირირებაში სდებს ბრალს. აფხაზებს მიაჩნიათ, რომ შევარდნაძემ უნდა გაიზიაროს იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის, სლობოდან მილოშევიჩის ბედი და წარდგეს ჰააგის ტრიბუნალის წინაშე აფხაზთა და*

შეხვდებიან სააქაო-საიქიოში-მეთქი!

აქ კი მათი „რაპირი" და „დაშნა" — ტყვია, რომელიც გულში მოხვდათ, ალბათ ჩემი ტყვიასავით სიტყვა იყო. მე წარსულს მიეტიროდი — ესენი ანმყოს შეპხაროდნენ და ხვალესაც არ უპირებდნენ ძმურად გაყოფას.

დრო მიდის, გვითელის ნაბიჯებს

და უკან აღარ ბრუნდება.

ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს —

მეორედ მოსვლის უფლება!

მე მათ მეორედ მოსვლას ვევედრებოდი ღმერთს და ჩემი ოპონენტები კი, მათთან ერთად, ერთხელ მოსვლასაც არ მაცლიდნენ.

ერთი აჭარული სიმღერასავით — „დიმესიენ" ეს ღმერთგამწყრალი მტერ-მოყვრები — შენთვის დაგვიანებულია ლექსის წერა. შენ ძველი ფელეტონისტი ხარ და წერე შენი ფელეტონები — თავში ქვა გიხლია და მუცელში სამართებელიო! ჰოდა, მეც „დიევსიე" განდაგანა, — არცერთი შავი რეცენზია არ მივიღე, რადგან კარგად ვიცოდი, რომ მათ უკან იდგნენ შავი რეცენზენტები, რომლებიც გამომცემლობის დაკვეთას ასრულებდნენ. გამომცემლობა კი ვის დაკვეთას ასრულებდა — ესეც არ იყო ჩემთვის ინკოგნიტო, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მაშინ იგავმიუწვდომელ „ზღაპრულ ბიჭებს" წარმოადგენდნენ, ვარსკვლავებს ეთამაშებოდნენ, და ასე განსაჯეთ — „ჰუმანოიდობაზეც" კი დებდნენ თავს (ღმერთო შეგვინდე ერთსაც და მეორესაც!).

იმერელის ხუმრობა ნახევარი მართალიაო. მეც იმერელი ვარ და ამ ნახევრით — სრული სიმართლე ვუთხარი გამომცემლობა „მერანის" დირექტორს გურამ გვერდნითელს:

— მიკვირს, რომ მარტო გვერდნითელი ხარ, შენ მთლად წითელი უნდა იყო-მეთქი.

— მე რა ვქნა, რეცენზენტები წერენ, რომ ამ ასაკში ლექსის წერა დაგვიანებულია, შენი „პაემანი-პროზა — კარგია, პოეზია — არაო!

— ლექსს, როგორც სიყვარულს ასაკი არა აქვს... ვითომ არ იცოდა ეს?

ჩემს რეცენზენტებს კი თავი ქუდში ჰქონდათ, ხელს ყველაფერზე აწერდნენ, რადგან იცოდნენ, რომ უსახელო საქმეს უსახელოდ აკეთებდნენ.

(რა მაგის პასუხია და ეს ის დრო იყო, როცა უსახელო წერილებს, ისედაც დიდი გასავალი ჰქონდა და ერთ თათარს ცეკაში საჩივარი რომ გაუგზავნია — ხელი ასე მოუწერია: „ანონიმშჩიკ მამედოვ"?!)

...იაპონელები თურმე, ანეკდოტს რომ ჰყვებიან, მსმენელს აფრთხილებენ სად იცინონ!

მეც ასე მოვიქცევი!

მსმენელს ვაფრთხილებ, რომ ამ ანეკდოტთან — იცინონ, ხოლო იმ ბოროტებასთან (რომელიც ახლა უნდა მოგახსენოთ) სიცილისაგან თავი შეიკავონ!

თუმცა, პატიოსან კაცს, ასეთი გაფრთხილება არ ჭირდება, რადგან არაფერში არ ჩანს ადამიანის ხასიათი ისე, როგორც იმაში — რაზე იცინის და რაზე ტირის?

და აი, პრინციპში, დადგა დრო ჩემი კი არა, საკუთარი თავის მტრები ვამხილო: ჩემი „პაემანის" დაქირავებული ოპონენტი.

ემზარ კვიტაიშვილი (რომელსაც მეგონა რომ კარგად ვიცნობდი და არ

მცნობია!)... „საფარ-ბეგო, პირშავობა შენი ვიცი, შემიტყვიაო"... როგორც უთქვამს ჩვენს ბოროტება-ზე ხმალმოღერებულ ნინაპარს.

...სულო ცოდვილო! — მთელი მათი ლიტერატურათმცოდნეობითი განაჩენი, ვერსიფიკატორულ-ლექსთნყობითი ტექნიკისა თუ „სანტექნიკის" ჩხიბვა-ჩხირკედელაობას არ გასცილებია.

„ნისლი ფიქრია მთებისაო" — საქართველოს ყველაზე კაი ვაჟმა — ვაჟამ თქვა. ქალაქელმა კაცმა, მთისა და მთიელის რომ ვერ გაიგოს, ღმერთმა ნუ ქნას...

მთის კაცს კი ქალაქისა და ქალაქელი კაცისათვის რომ ვერ გაეგო, ამას უფრო დავიჯერებდი და დავიჯერე კიდეც, მაგრამ ეს ქვებუდანობა ემზარ კვიტაიშვილს უფრო ვერ ვაპატიე.

არ მინდოდა სიბერე ან ჩემთვის ან მისთვის ჩამემნარებინა, მაგრამ ასეთი მამის შვილს (ჩვენი ოჯახის ექიმი იყო) პირში სიმართლე როგორ არ ვუთხრა!

მამულისათვის, ცხადია სჯობს, რომა შვილი სჯობდეს მამასა, მაგრამ ეს სნორედ ის შემთხვევაა, როცა პირიქითაა (პირიც იქეთ მიქნია!).

ამ ბუნჩულა, პატიოსან და ღვთისნიერ კაცს, შვილი, ერთი შეხედვით ნორმალური, ორი შეხედვით კი ორპირი და ორგული აღმოაჩნდა.

ეს ჩემთვისაც აღმოჩენა იყო. სნორედ მისგან არ მოველოდი.

ეს, რაღაც, იმ, ერთ მივინყებულ, ქართულ ქარაგმულ ნაკეესს ჰგავდა — იმ მთამ მოგითოვოს, რომლის იმედიც გქონდესო!

იმ დღეს მის მაგივრად ერთი სიკვდილი გავათავე და თბილისში ერთი სალამი დავუკარგე!.. ისევე, როგორც ნანული დ.-ს... ყოველ შეხვედრაზე, რომ მეკითხება — რატომ არ მესალმებიო?

რა ვუპასუხოს?

სალამი ღვთისაა, და არა ღვთის პირიდან გავარდნილის!

თუმცა, მათგან, რაღაცით რომ განსხვავდებოდე, პატიების ნიჭი, მაინც არ უნდა დაკარგო კაცმა!

...ბოლოს და ბოლოს ამ ზოილების პირში მოხვედრილი ნიგნი მორის ფოცხიშვილის ხელში მოხვდა და ბოროტების დაღმა ნაფარცხი — სიკეთემ აღმა ფარცხა — „მერნის" მიერ შავად შეკვეთილი ბოლო სიტყვა (რომელსაც ნიგნის ბედი უნდა გადაენყვიტა) ისეთი ვარდისფერი აღმოჩნდა, რომ გამომცემლობის დავალებით დანერილი „შავი" რეცენზია — ავტორის (ანუ ჩემი) ნებასურვილით ნიგნის... ნინასიტყვაობად დაიბეჭდა?! ასეთი რამ იშვიათობაა! მორის ფოცხიშვილმა (მისი სული გაანათლოს ღმერთმა),

*ქართველთა სისხლიანი გენოციდის გამო.*

*როგორც აფხაზეთიდან დევნილთა ერთმა ჯგუფმა განაცხადა, ისინი მზად არიან შეუერთდნენ აფხაზთა სარჩელს შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ი ს წინააღმდეგ, რადგან მიაჩნიათ, რომ იგი არის ინსპირატორი ომის, რომელმაც 15 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და 300 000 ადამიანი ლტოლვილად აქცია. ქ ა რ თ ვ ე ლ ი ლტოლვილები, სარჩელში, მამინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯ ო მ ა რ ი ს, ვლადისლავ არძინბას მეყვანასაც აპირებენ.*

*შევარდნაძე და არძინბა მანამდე უნდა ისხდნენ და არკვევდნენ მტყუანმართლს, ვიდრე მართალ-მტყუანს გაარჩევდნენ — ანუ მთელი თავისი დღე და მოსწრება!*

*<u>როსტომ ცხვედიანი (ექიმი):</u> ედუარდ შევარდნაძეს რომელიმე გზაჯვარედინზე მექნიმანთან დავასახლებდი, რათა თვი-*

რომელმაც, წმინდანივით, მცხეთის დედათა მონასტრის ეზოში ჰპოვა სამარადისო ბინა) არ გაამართლა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" მოლოდინი, სიმართლის მხარეზე დადგა და მიუხედავად იმისა, რომ მაშინ, პირადად იმდენად არც მიცნობდა — მომილოცა!.. და თანაც როგორ! და ზედ კალამბურიც დააყოლა:

*„გაგიმარჯოს, ჩემო გიზო — ასე უნდა იგიზ-გიზო!"*

ახლა „რეცენზიის" ფრაგმენტებიც ნახეთ!

ამპლი...ტუდა თუ იცით (შავების შავი რეცენზიები) — ახლა ამპლისუდაც იხილეთ!

„გიზო ნიშნიანიძის „პაემანი ვერაზე" სიცოცხლისა და მარადიული სიჭაბუკის, გულითადობისა და კაცურ-კაცობის, სიკეთედ და სიყვარულად „დაღვრილი" მზეჭაბუკების პატიოსანი ცხოვრების საგალობელია"... ამ სიტყვებით... სიტყვებით კი არა ოქრომჭედლობით იწყება თვითონ ეს „საგალობელი", რომელმაც მავანთა კაცთა თუ არაკაცთა ავყიობას „გალობანი სინანულისანის" ჟიშის სულიერება და უკანდასახევი გზა დაუტოვა.

„გიზო ნიშნიანიძე ბეწვის ხიდზე გადის, როგორც მწერალი, მაგრამ ხომ გადის!" — წერს მორისი — „ეს წიგნი ან ყველა ჩვენგანს უნდა დაეწერა ერთად ან ერთ ჩვენთაგანს. პატივი და ბედნიერება ამჯერად წილად ხვდა მას".

„ამ წიგნში მოცემულია თბილისის კოლექტიური ფსიქოლოგია, რომელზეც ჩვენ პირველად გიზო ნიშნიანიძემ ჩაგვაფიქრა" — წერდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, დიდი ქართველი ფსიქოლოგი ალექსანდრე ფრანგიშვილი.

ასე „ბეწვის ხიდზე" გავლით ბეწვზე გადარჩა „პაემანი ვერაზე", რომელიც, პირში, სახელმწიფოს მეთაურმაც მიქო, ზურგსუკან კი შერისხა და ტელევიზიაც გვარიანად შეახურა — შეეშვით მაგ კაცის აპოლოგიასო...

როგორც ჩანს (მიუხედავად იმისა, რომ „მეგობრობა"... მეგობრობა თუ არა ნაცნობობა მაინცაა და თან „ისა სჯობს რაც ძველია"), მას არც მე „ვევასებოდი" და არც თბილისი, რადგან, (ერთხელ უკვე მოგახსენეთ) ედუარდ შევარდნაძე მსოფლიო მოქალაქე გახდა და თბილისელი, ვერა! და ეს მის უბედურებაზე მეტად, იყო ჩვენი უბედურება!

ასე იყო ეს.

ჭირი იქა-ლხინი აქა!

ასე თავდება ეს ზღაპრები.

მაგრამ ეს ხომ ზღაპარი არ არის. ეს ცხადია და დღეს ამ სიზმარ-ცხადში, ასეთი „ჰეპი-ენდი", მენდეთ — აღარ არსებობს: აქაც ჭირი" — იქაც ჭირია! სადაც ლხინი — იქაც ჭირია! ჭირი-ჭირს ართობსო — ისიც ტყუილია. კაცი ჭირს აღარ მალავს — ჭირი თავს რას დამალავს! ...მანამ სანამ არ „აღვადგენთ" ერთ უწყინარ, მაგრამ ერთ დროს პირიდან-პირზე გარდამავალ „სტრატეგიულ" — საგზა-შარო და საშარიშურო სიმღერას:

ჭრიჭინ-ჭრიჭინ, საქმეს უჭირს —<br>
შეუჭრიჭინეო!..<br>
შენ რაც გიჭირს — მეც ის მიჭირს —<br>
შენი ჭირი — მეო!

სანამ, ქვას და გულს კი არა, ერთმანეთის ჭირს თავს არ შევუშვერთ, მანამ არაფერი გვეშველება — თქვენი ჭირი-მე!

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საელო ძარღვი გაუწყდაო, ამბობდა დიდი ილია.

* * *

„ბატონებო! დროზე თქვით სათქმელი. ნაძალადევ სიჩუმეს საზოგადოება დიდხანს არ მოგითმენთ... მე უკვე ვგრძნობ, მავანთა გვარები ბერბიჭაშვილისას გადასწონიან...

პირველი პრეზიდენტი — ზვიად გამსახურდია შევარდნაძის უშუალო დავალებით მოკლეს..."

ეს მან თქვა: მე ცოცხალი გამსახურდია არ მჭირდებაო (საქართველოს უშიშროების ექსმინისტრი, ან დამალული და მარადიული ძებნილი იგორ გიორგაძე).

ვანო პავლიაშვილი — დაუნდობელი, პირშიმთქმელი კაცი! ბევრჯერ მიმიცია ინტერვიუ. თვითონ კორესპონდენტი, მისი ხათრით ბევრჯერ ვყოფილვარ რესპოდენტი. ახლა ჟურნალისტური ვალის გასტუმრების დროა და „ქრონიკაში" (8-15, 15-21.VIII.05) მის ერთ, კალოსპირულივით გრძელ პუბლიკაციას მივადექი, რომელიც ფარდას გლეჯს ძველ კომუნისტურ „ბუფონადას", „წითელი ჯოჯოხეთის", კახელი მეღვინეების, ანუ 23 წლის წინანდელი (წინანდალში არ აგვერიოს) ე. ნ. „ნუღლიას" სისხლის თუ უსისხლო სამართლის უსამართლო საქმეს! „შევის" მორიგი ფანტასმაგორია — ერთი კაცის „გმირობასა" და „მიწერებს" (1975-1977 წწ.) როგორ შეეწირა ათასი! მაშინ კახეთში ცოდვის რთველი დატრიალდა და პირველმა, მისთვის ჩვეული ციესისხლიანობით „კოლაელ ყრმათა" ახალი ცოდვის კალო გალეწა.

მაგრამ, როგორც შექსპირმა თქვა (შექსპირს შაქარი ...ისევ შაქარი, კაცო?): ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა თუნდ დასაფარად დედამიწა გადაეფაროსო!

არა არს დაფარული რაიცა არ გაცხადდესო — სახარებამ!

და აი, ის სიზმარი და ეს ცხადი!

„მიწერების" „პრიკაზი" ცეკადან გაიცა და „პირველი"...

„მიწერები" თითქმის 7 წელიწადს გრძელდებოდა... ამ ხნის მანძილზე „ნუღლიასათვის" უპატრონოდ ხმა არავის გაუცია... მთელი კახეთის გზა, „შაქრის მანქანებით" იყო სავსე...

1975-1976 წლებში რესპუბლიკამ 800 000 ტონა ყურძენი აწარმოა, აქედან 300 000 „მიწერების" გმირობა გახლდათ..."

სატირა და იუმორი, როგორც ყოველთვის ხალხის მხარეზე იყო და, მახსოვს „ნიანგში" ასეთი სატირალსატირული ხუმრობა დავბეჭდეთ. კახეთის ზერებიდან ცეკაში დეპეშა მოვიდა: რთველი დამთავრდა,

სი „ეროვნული" მოღვაწეობის ერთ-ერთი მეთოდი — მათხოვრების არმია ყოველდღე იხილის.

ფოიზბარ ჯავდადე: ვინ არის ედუარდ შევარდნაძე?

ადამიანი, რომელმაც მოაშთო ქართული ეროვნული სული. მას სინდის-ნამუსი რომ ჰქონდეს, იმდენი ცოდვა აქვს ჩადენილი, მემუარებს კი არ უნდა წერდეს, უფალს შენდობას უნდა სთხოვდეს.

ვაღიარებ, რომ არც მე ვარ დემოსთენე — არც თქვენ — ფილიპე მაკედონელი და ეხლა ფილიპიკებში არ ჩამითვალოთ, მაგრამ ვერ იქნა ვეღარ მოვწყდი ამ თემას!

„არც შეეხება დღევანდელ კრიზისს", როგორც თქვენ ბრძანებთ, ბატონო ედუარდ, არა სხვა და მათ შორის, „არა თქვენი მიზეზით", არამედ თქვენი შეხედულებით, იგი საქართველოს მიმართ ნეგატიურად განწყობილი ძალების მიერაა ინსპირირებული" (ისევ ეკ-

ყურძნის „კრეფა“ გავაგრძელოთო?!..

მიდით, მოვდივართო! — იყო პასუხი და იმის მაგივრათ, რომ წამატე-ბულ-წარმატებულობასა თუ წარუმატებლობაზეც ერთად ეგოთ პასუხი, „პასუხისგებაში მისცეს „ნუღლია“ და მისი რაზმი! ესეც ადგა და კაკო ყაჩაღივით გაიქცა ამ უპატრონო ბატონისაგან.

„ცეკას მდივანმა, რა თქმა უნდა იცის, რომ ძებნილი მელვინე მართა-ლია, მაგრამ ამბროსის ძემ ისიც კარგად უწყის, რომ ეს სიმართლე, შეი-ძლება ძვირად დაუჯდეს. აკი, კრემლიდან ხმებიც მოუვიდა, ანდროპოვი დაჭერას გპირებსო და თვითგადარჩენის ჩეკისტური ინსტიქტიც ამუშავ-და: მერე რა, რომ მელვინეები კანონს მისი დავალებით არღვევდნენ? მერე რა, რომ საკუთარი დანაშაულისთვის სხვისი დასჯა უზნეობაა? ახლა, მთავარია, ცოცხალმკვდარი ანდროპოვის გული მოიგოს და დააჯეროს, რომ ყველაფერი მის ზურგს უკან ხდებოდა. ჰოდა, არაფერი დაშავდება, თუკი ერთ-ორ მელვინეს დახვრეტს...

— უფლის არ გეშინია? — შევარდნაძე სარკეში საკუთარ ორეულს და-ყინებით მიაჩერდა.

— ჰმ... ღმერთი... მე ათეისტი ვარ, ნამდვილი კომუნისტი.

მერე, წლები გავა, ამხანაგი შევარდნაძე ეკლესიურად გიორგად მოინ-ათლება... სვეტიცხოველში „ნუღლიასაც“ შეხვდება. ეს 1993 წლის 14 ოქ-ტომბერს მოხდება, სოხუმის დაცემიდან რამდენიმე დღის შემდეგ...

პატრიარქმა წირვა რომ დაამთავრა, სტუმრები ტრაპეზზე მიიპატიჟა...

— უწმინდესო და უსპეტაკესო (ესეც შევარდნაძისეული „რედაქციაა“ საეკლესიო იერარქიაში კათალიკოს-პატრიარქის მოხსენიებისა — სად „უნეტარესო“ და სად „უსპეტაკესო“? — გ. ნ.).

სოხუმიდან რომ მოვფრინავდი, ჩემს თვითმფრინავს ჭურვი მოხვდა — შევარდნაძე ხმადაბლა ლაპარაკობს, — მაგრამ ალბათ იმიტომ გადავრჩი, რომ რწმენას დავადექი და თქვენ მომნათლეთ.

— აი, ჩვენმა ზურაბმაც ბევრი რამე გადაიტანა, მაგრამ ერთმანეთთან ახლა კარგად ხართ, — უწმინდესი და უნეტარესი „ნუღლიას“ თვალს არ აცილებს.

— კი... გავიგე, კახეთში უფასო სასადილოები გაუხსნია, ავტობუსები გამოუყვია და მაგის ჰუმანურ საქციელს მივესალმები, — შევარდნაძე ხმას უწევს, — მაშინ კი სხვა ქვეყანა იყო, მაგრამ ურჩხული კომუნის-ტური წყობა მე თვითონ დავანგრიე...“

გესმით, ხალხო! ყურებს თუ უჯერებთ, დროში ცოტა უკან დავბრუნ-დეთ და ახლა ესეც მოვისმინოთ!

ნუღლიას ძმა, ჯიგრიანი კაცი გივი ბაკაშვილი (ჩემ ძმაკაცთან ომან ომანიძესთან ერთად მუშაობდა და ხშირად ვხვდებოდი. როცა „ნუღლიაზე“ საკავშირო ძებნა იყო გამოცხადებული), ლამის კედელზე გადიოდა, ამდე-ნი სიკეთისმკეთებელ, ეკლესიის მშენებელ, ხალხის ხელის გაამართავ კაცს რას ერჩიანო...

შევარდნაძისთვის გმირის ოქროს მედლის დამკიდებელი, გასაქცევად გამზადებული კაცი კათალიკოს-პატრიარქთან მისულა:

„უწმინდესო, შევარდნაძემ ჯერ გეგმები მასრულებინა, ახლა კი მიჭ-ერს... საქართველოდან მივდივარ და ჩემი სამი შვილი თქვენ ჩაიბარეთ...

— წადი, შვილო, — პატრიარქმა „ნუღლიას“ პირჯვარი გადასახა, — ნუ გეშინია, ვერავინ დაგიჭერს და შენზე ვილოცებ!...“

და დაიწყო კახური ტრაგედია უგმიროდ, „ნულლიას" ოდისეა: თურქეთი, რუსეთი, უკრაინა... აღმა და დაღმა — კამჩატკა, ლამის მთელი საბჭოეთის „Широка страна моя"... ოღონდ „родная"-ს რა მოგახსენოთ.

ეს იყო ჯვარცმა, რომელიც კაცს კაცმა მიუსაჯა და ღმერთმა გადაატანინა, რადგან მართალი კაცი კლდესავით მაგარია.

„ზვიად გამსახურდიას ვაჟკაცობა იყო რომ 1990 წელს... 96-ე პრიმა მუხლით (დახვრეტის მუხლი. ვ. პ.) გასამართლებული ყველა მსჯავრდადებული გაანთავისუფლა.

თავის დროზე კი „ამბროსოვიჩს ნერვები, ალბათ, „ბი-ბი-სიმაც" მოუშალა, მეღვინეებს „მინერები" პარტიულმა ჩინოვნიკებმა დაავალესო..."

რა ტყუილ-მართალი აღარ ითქვა „ნულლიას" საქმეზე. კახელი მეღვინე ბრეჟნევის ქალ-სიძესთან მეგობრობდა და შევარდნაძეს (მილიონ მანეთად), იმან ჩაუწყო საქმე, პირზე კოცნით — მკერდის გმირის ოქროს ვარსკვლავით დამშვენებაშიო. „სანამ მილიციას ჩაბარდებოდა, „ნულლიამ" ედუარდ ამბროსის ძეს წერილი გაუგზავნა, იცოდე, გულზე რომ გიკიდია იმ ვარსკვლავის ერთი ქიმი... ჩემიაო".

„კახელმა მეღვინემ საბჭოთა აზროვნებაში ერთგვარი რევოლუცია მოახდინა" — წერს ვანო პაპიაშვილი „ნულლიას" ეპოპეის გაგრძელებაში. „ის ერთადერთია, ვინც ხელისუფლებას „ღია ომი" გამოუცხადა... კახელი მეღვინე გმირად იქცა, თანამედროვე არსენად..."

მოსკოვში ქმრის საშველად ნასულ გამოუცდელ ცოლს, თავის საქრთამო ფულით გაძეძგილ ჩემოდანთან ერთად იჭერენ....

...„ვეჩემ" რომ დარეკა, შევარდნაძე შინ ნასასვლელად ემზადებოდა. ყურმილი უხალისოდ აიღო, ნელნელა ფეხზე წამოდგა...

— ამხანაგო ედუარდ ამბროსის ძევ, მოსკოვში ქართველი პედაგოგი დააკავეს... ჩემოდანში 800 000 მანეთი ჰქონდა, — ანდროპოვეს ისეთი ხმა აქვს, გეგონება სამარიდან ლაპარაკობს, — სკოლის მასწავლებელს, ამდენი ფული რომ აქვს, შენთან პარტია არსებობს?

კავშირი შეწყდა... საბჭოთა კავშირის გენმდივანმა შევარდნაძის პასუხის მოსმენაც არ ისურვა... მაშასადამე საქმე ძალიან ცუდად არის..."

მიუხედავად ამისა, ანდროპოვის ავადმყოფობიდან მის სულის ამოხდამდე გაძლების იმედით პარტიის XI პლენუმზე შევარდნაძეს (გორგასალივით უშიშსა

ირობის პირში გამოვლებული სიცრუეების კორიანტელი! გ. ნ.)

დრო კაცზე უფრო ულმობელია, სიცრუეს არ მეგობრობს. იყო დრო, როცა თქვენ ბრძანდით: „მე ვერ წარმომიდგენია ცხოვრება ამ ქვეყანაში, რომელმაც დაიხურება ისეთი გაზეთი, როგორიც „ლიტერატურული საქართველოა", მაშინ მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო ეს და თქვენც იმიტომ ვერ წარმოიდგინეთ. ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ, სამწუხაროდ, დადგა ეს დრო.

და ახლა თქვენ ბრძანებთ: „თუ ხელისუფლებაში „ლიტერატურულ საქართველოს" არ კითხულობენ — ტრაგედიაა, ხოლო თუ კითხულობენ და მაინც დახურვას უპირებენ — უბედურების მაუწყებელია!"

....მე მამაშვილურად მივმართავ ჩემს მემკვიდრეებს: მინდა დავიჯერო, რომ ქვეყნის პრეზიდენტი, საერთოდ, ხელმძღვანელობა, არა და არ დაუშვებენ „ლიტერატურული საქართველოს" დახურვას... ედუარდ შევარდ-

და უხორცოს), ეყოფა სინდისი რომ ამაყად განაცხადოს: ამხანაგებო, სიღნაღის რაიონში ამხელა დანაშაულებრივი ჯგუფი გამოვაელინეთ და ამ ჯგუფის ერთ-ერთი ნევრი ქალი იყო, პედაგოგი, სამი შვილის დედა, მაგრამ პარტია და ხალხი ითხოვს, ყველა დამნაშავე სამაგალითოდ დაისაჯოსო"...

ეს მხოლოდ ედუარდ შევარდნაძეს შეეძლო!

კაცს, რომელმაც „კარგი მოსმენა" იცოდა, „ვალუტნი" ღიმილი ჰქონდა (ჩემი გამოთქმაა — გ. ნ.) და, როგორც თვითონ განაცხადა — „ყველას ცოდვა იცოდა" (საკუთარის გარდა!).

* * *

„ქართველი კაცის ღირსება ვინც ფულის გამო შელახოს, სუყველა, ამბროსოვიჩთან ერთად, საფლავში მენახოს!" — წერს ორშაბათის ინტერვიუში პრეზიდენტთან („ას-დას." 15.21-08.05) ცნობილი „ხალხოსანი" და მგოსანი სიმონ ბალახაშვილი. აშკარად ნიჭიერი კაცი, მაგრამდაუნდობელი! რითმის გულისათვის კაცმა კაცი ასე უნდა განიროს?!!

* * *

„ახლახან ვიყავი შვეიცარიაში (!) და კარგად ვიცი, რომ, საქართველოს პარლამენტი, დემოკრატიულობით უფრო დაბლა დგას, ვიდრე მოზამბიკის და უგანდის"... წერს ერთი პატივცემული ქართველი პარლამენტარი, რომლის ჭკუაში ყველაზე ნაკლებ მეპარება ეჭვი, მაგრამ მაინც საეჭვოდ მიმაჩნია ის რომ ერთი ქვეყნის ამბის გასაგებად მეორე ქვეყანაში მიდიოდე, აფრიკის ამბავს აზიაში კითხულობდე, ან კანარის კუნძულებზე ისვენებდე და ციმბირის კატორღების ბედი „არ გასვენებდეს"!

* * *

„მაოხრებელი გზირი"! ჩვენ კი ვიცით ვისზეა ლაპარაკი, მარა სულხან-საბამ რა იცოდა?

* * *

ნანყვეტი დიტო ჩუბინიძის ინტერვიუდან ქალბატონ მანანა არჩვაძესთან (გაზ. „ასავალ-დასავალი". 15-21.08-05)... „ზვიადმა აკრიფა ტელეფონი და დაურეკა შევარდნაძეს... „პირადად ჩემს საქმეზე არ განუხებთ... არც არასოდეს დაგირეკავთ, მაგრამ თუ საქართველოს თქვენს სამშობლოდ თვლით, თქვენს მეგობარს გარბაჩოვს უთხარით ორიოდე სიტყვა... ერთხელ მაინც დაამტკიცეთ ცხოვრებაში, რომ ხართ ქართველი, სხვანაირად როგორ აპირებთ თქვენ საქართველოში დაბრუნებას?"

...„დიდმა პოლიტიკოსმა" ასე უპასუხა ზვიადს: „რას მერჩით, რა გინდათ ჩემგან, ერთი მოხუცი პენსიონერი კაცი ვარ... რისი გაკეთება შემიძლია!.." 14 თვეში კი იგი საქართველოს კვლავ „დიდ პოლიტიკოსად" მოევლინა".

ინტერვიუც და ვაიც იქით იყოს და ამ ნუმპედან სალტიკოვ-შჩედრინის სიტყვები ამომიტივტივდა: ბაყაყები კი არ ქმნიან ჭაობს, ჭაობი ქმნის ბაყაყებს!

* * *

როდესაც შევარდნაძე ცეკას პირველი მდივანი გახ-და, უთქვამს:

— მე ამაზე შვიდ წელინადს ვიფიქრე!

არა მარტო იფიქრა, არამედ შვიდ წელინადში ინ-ტრიგების ვირტუოზული კომბინაციებით ქვეყნის პირველი კაცი გახდა და საქართველოს, იმ დღიდან, დიდი პოლიტიკის მოცარტად — ედუარდ შევარდ-ნაძე მოევლინა. თუმცა, შევარდნაძის პოლიტიკაში გაცილებით მეტი ნოტი აღმოჩნდა, ვიდრე გე-ნიალური მოცარტის პოლიფონიებში.

როდესაც ედუარდ შევარდნაძე მსოფლიო პოლი-ტიკის რანგში ალზევდა, მისმა მოღვანეობამ გაც-ილებით დიდი მასშტაბი შეიძინა. იგი გიგანტური სახ-ელმწიფოებრივი ნარმონაქმნის ოლიმპზე აღმოჩნდა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა. „ამ უმაღლესი გადასახედიდან, მთელი პლანეტა რომ ხელისგულივ-ით მოჩანდა, ჩემი თვალმარგალიტი, ჩემი საქართვე-ლო, თავისი თვალისმომჭრელი კიაფით შემახსენებ-და თავს", — ამბობს შევარდნაძე თავის პირველ ნიგნ-ში — „ჩემი არჩევანი", რომელიც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობის ბოლო ნლებში დან-ერა. ზუსტად შვიდი ნლის შემდეგ ედუარდ შევარდ-ნაძე თავის თვალმარგალიტ სამშობლოს უბრუნდება — „თვალისმომჭრელი კიაფი" თავისმომჭრელ „კაეფ-ში" გადადის და აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რუსეთს უფეშქაშებს... ჯერჯერობით უცნობია, როგორ ახსნა თავის მემუარებში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა ედუარდ შევარდნაძემ, მაგრამ ძნელი მის-ახვედრი არ უნდა იყოს, რომ თუ ამ ფაქტს გვერდი არ აუარა, სიმართლეს, მით უმეტეს, არ ან ვერ დანერდა. სიმართლე კი, როგორც შევარდნაძის შეურიგებელი ოპოზიცია აცხადებდა ხოლმე, იმაშია, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო ექსპრეზიდენტმა გაყიდა..."

პ.ს. საფლავში ბრუნავენ ჩვენი ნინაპრები, — „იყ-იდება საქართველო!" (ნიკო ლორთქიფანიძე).

* * *

მანუჩარ მაჩაიძე („დინამოს" ლეგენდარული კაპ-იტანი): „ქართული ფეხბურთი შევარდნაძის კლანმა დალუპა!"

P.S. ასე რომ ნებისმიერ დარგშია ცნობილი შე-ვარდნაძის „პენალტი"!

* * *

პარლამენტის მრავალგზის მონვევის დეპუტატი ფილოსოფოსი გერმანე ფაცაცია ენამოსნრებული კა-ცია და აღიარებს, რომ ცალმა თვალმა თუ მაინც არ

ნაძე"....  (გაზ. „ასავალ-დასავალი" 1-7.07.05).

მე ხომ აქამდე ჩემი ხალხის ყვე-ლა სურვილი შემი-სრულებია:

„ჩამოდითო" — შემომითვალეთ და ჩამოვედი.

„გადადექითო" — მითხარით და გადა-ვდექი...

ახლაც ვიმეორებ, თუ ამ გაზეთსაც იმ-იტომ ხურავთ, მე რომ საქართველო დავტოვო, ამას ნუ იზამთ და, თუ გნებავთ, მარტო ამ ქვეყნიდან კი არა, სულაც იმ ქვეყანად წავალ, ოღონდ ერთი თხოვნა მეც მექნება — ახლაც ვარდებით ნუ გამ-აცილებთ!..

...მძიმე შემთხ-ვევაა.

სასაცილოც და სატირალიც!

არადა, რა ახ-ლოსაა და რა შორ-საა ის „ელიკა" და ეს „ეთიკა"? ქართველებს ერთი ფიგურალური გამოთქმა აქვთ: „ცალი თვალი იცი-ნის — ცალი ტი-რისო", მაგრამ ორივე ერთდრო-ულად?.. ეს უნი-კალური შემთხვევაა: არ ვიცოდი ასე მე-ტირა და ასე მეცი-ნა? კაცმა, რომელ-

იცინა, ორივეს სატირლად ექნება საქმე.

1992 წელს, რუსთაველის პროსპექტზე შევარდნაძის „გადადგომის" სპექტაკლი, რომ დაიდგა, სამარცხვინო საფინალო სცენა... ხალხის დაჩოქება იყო!

ქართველების ბიბლიის — „ვეფხისტყაოსნის" ავტორს არ ღირსებია ასეთი პატივი-მეთქი, ვთქვი და ამ დროს ვიღაც „შევარდნაძისტმა" თავში ჩამარტყაო, — იხსენებს ბატონი გერმანე, რომელმაც „იუდვარდს" (ავთო მარგიანის გამოთქმაა) ზეობის პერიოდში (ერთ სხდომაზე) პირში სახალხოდ უთხრა: „მე თქვენ ყოველთვის გაქებდით, თქვენ კი მაგინებდით... ორივე ვცდებოდითო" (სხდომა ჩაშლილა).

...„მოქაქეთა კავშირის" (ენის დეფექტის გამო ერთი ფუნქციონერი ასე წარმოთქვამდა ამ სიტყვას) ძველი წევრის თამაზ გიორგაძის გამოსვლებს ვერ იტანდა პარლამენტის სპიკერი და რამდენჯერმე სიტყვა შეაწყვეტინა.

გერმანე ფაცაციამ თავი გამოიდო და ქ-6 ნინოს, როგორც დეპუტატმა დეპუტატს „უსაყვედურა": თქვენ ვალდებული ხართ დეპუტატისგან მოისმინოთ როგორც სიბრძნე, ისე იდიოტიზმი!..

P.S. თამაზისგან მიკვირს. არ მეგონა თუ ეს ამბავი მარტო სამი წერტილით დამთავრდებოდა და ეს ბიზონივით კაცი (რომელსაც სიტყვაც უჭრის და მკლავიც) კორიდას არ მოუწყობდა ფაცაციას, რომელმაც „არც აცხელა, არც აცია" და გაშველების მაგივრად, გააშიშვლა, გადაკიდა ხალხი ერთმანეთს.

* * *

...ახლა ისიც გაიხსენეთ რა უთხრა შევარდნაძეს გიგა ლორთქიფანიძემ, როცა გაიგო რომ მას უამრავი მრჩეველი ჰყავდა:

— ბატონო ედუარდ, რათ გინდათ, ამდენი მრჩეველი? დავიჯერო სულ არაფერი იცითო?..

* * *

ოთარ ლაზიშვილი სეიფივით ცეცხლგამძლე კაცი აღმოჩნდა. ვერ გატეხეს!

მაგრამ პატარა შვილიშვილი რომ მიუყვანიათ სასამართლოზე და თვალი მოუკრავს, კინაღამ „გავლღვიო" მითხრა. და უყვირია: ახლავე წაიყვანეთ ბავშვიო!

ერთხელ ჰკითხეს: ყველაზე უბედური როდის იყავიო? უპასუხნია: როცა 16 წლის უნახავი შვილიშვილი მომიყვანეს ციხეში და „უცხო ქალს" ვერ ვაკოცეო...

აი, ჩვენი დროის ახალი „ტრაგედიები უგმიროდ"!

და აი, მათი ავტორიც!

ერთიც!

„ნულლას" არ ვიცნობ. მისი ძმა კი, როგორც გითხარით, ჩემ ძმაკაცთან მუშაობდა და პურიც გაგვიტეხია.

„მეღვინეების საქმეც" ხომ ჩვენი დრო სასინჯ ქვად იქცა.

რაღა იდისევსის და რაღა ზურაბ ბაკაშვილის „წითელი ჯოჯოხეთის" ისტორია.

ვინ-როდის და როგორ ამოხსნა ეს სიკვდილიდან მობრუნებული კაცი, მე კი ამ სტრიქონებითაც ვიცანი!

„ჩემზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ, როცა „კაგებეს" იზოლატორში „ვიჯექი", მითხრეს, დედაშენი და შენი ცოლ-შვილი მოვიდნენ, მაგრამ ყველას ვერ შეგახვედრებთ, ერთერთი აირჩიეო. ოთხი წელი არც დედა მყავდა ნანახი და არც ცოლ-შვილი. ჰოდა, არჩევანის გაკეთება როგორი საქმეა? ბოლოს ერთი ხალხური ლექსი გამახსენდა: „ჯერ დედას გადავეხვევი, მერე — ცოლსა და შვილსაო" და დედაჩემს შევხვდი" (შენი არ ვიცი, მკითხველო, მე კი ეს რამდენიმე სტრიქონი... ტრაგიკულ ნოველ-ას მაგონებს!).

ვიმეორებ, შაჰ-აბასისადმი იოსებ ნონეშვილის „შე-ბრუნებული სონეტისა" არ იყოს — უკულმართობის ერთი ასეთი ულმერთობაც ახსოვს ჩვენს ისტორიას! „მელეინეობის საქმემდე"... „თეითმფრინავის საქმე" იყო, რომლის დასახვრეტთა სიაში ორი ძმა იეერიე-ლი ერია. ჭორია ეს თუ მართალი, ტყუილადაც ძნე-ლი დასაჯერებლია და სიმართლედაც! თოფის გავარ-დნამდე — ხმა გავარდა — მათი პროფესორი მამა (რომელსაც თვით მაშინდელი რესპუბლიკის თავკა-ცი მეგობრდ მოიხსენიებს) მისულა მასთან და უთხ-ოვია, შვილები მაჩუქეო.

ორივეს ვერ დაგპირდები და ერთი აირჩიეო?!

მიულია უპასუხობის პასუხი.

აი, როგორი არჩევანი ჰქონდა ხალხს და როგორი არადანი მათ თავკაცებს!

...დრო იყო ისეთი, არც სიტყვა ჰგავდა სიტყვას და არც პასუხი — პასუხს!

ღმერთო გვაპატიე! თუ უკვე პატიების ზღვარსაც არ გავცდით!

* * *

პარლამენტარმა, ისტორიკოსმა ელდარ ნადირაძემ „რაო-რაოს" შეკითხვაზე „ვინ ვის გვაგონებს?" თქვა, რომ ედუარდ ამბროსოვიჩი მას აგონებს ერთ ადამი-ანს, რომელზეც დიდმა სეკლესიო მამა ბასილმა ბრ-ძანა: „სიბერისა სიწმინდე, არა სიწმინდე არს, რამედ ბოროტისა შეუძლებლობა".

ახლა ერთი მის ექიმებსაც ჰკითხონ! 40 წლის კა-ცის ჯანმრთელობის მქონე ამბროსოვიჩი დღესაც ორი იმდენი წლის კაცის და 32 კბილის წარმადობით იცინის იმაზე, რასაც მასზე ამბობენ და „მტრის ჯინაზე" (როგორც ერთ საგაზეთო პუბლიკაციაშია წერს) კარგად არის!

* * *

**გელა ჩარკვიანი:** შევარდნაძესთან საგარეო ურთიერთობათა საკითხებზე ვმუშაობდი, ახლა

*მეც პროფესიად გავიხადე სატირა და იუმორი, ტირილის და სიცილის ცრემლი ვერ გავარჩიე და ტირილისა და სიცილის ადგილი ვერ შევარჩიე.*

*ესე იგი, გამოდის ყველაფერი ეს, ადრე ნათქვამიც და ახლა თქმულიც ხუმრობა იყო! ჯანდაბას ჩვენი თავი, ხუმრობასაც ვეღარ ვარჩევთ. ეს მაინც ვიცოდით. თავის დროზე ჰიმნიც კი მაქვს დაწერილი სიცილზე!*

*„სიცილით ვინც კვდება, ის დიდხანს ცოცხლობს...*

*სიცილი უხდება ოსტეოხონდროზს, ნაღვლის ბუშტს და ღვიძლს.*

*ენცეფალოსინდრომს.*

*სიცილი არც ბაცილას ბოცოლებს...*

*და ბიძებსაც ინდობს!"*

*ვიცინოთ, ვიცინოთ,*

*ვაურომიცინოთ,*

*აბა ჰე, აბა ჰო...*

*ი ხო-ხო-ხო" და ა. შ. (ანუ — აი, მევარდნაძე!)*

***P.S.** იმედია არ მიწყენთ ბატონო ედუარდ! ხუმრობა ხომ თქვენი — გურულების მოგონილია. წარჩევი პატივისცემით. გ. ნ.).*

პრესსპიკერი ვარ. ეს აბსოლუტურად განსხვავებული სფეროებია და მათი შედარება, ალბათ, ძნელია. მე მაშინაც კომფორტულად ვგრძნობდი თავს და ახლაც ასე ვარ (თუმც მაშინდელი კომფორტი... დღევანდელი დისკომფორტი ტოლფასია!).

* * *

**დიტო ჩუბინიძე:** ხვალ 27 სექტემბერია — სოხუმის დაცემის ავადსახსენებელი დღე!

ხვალ გამყიდველი ქართველები, რუსი სამხედროები, აფსუა სეპარატისტები და ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს ასაოხრებლად გადმოთრეული ფანატიკოსები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს — ჟიული შარტავას სოხუმიდან გუდაუთისკენ მიმავალ გზაზე დახვრეტენ!...

ხვალ შევარდნაძე სოხუმიდან თბილისში გამოიპარება...

ცეცხლმოკიდებულ ქალაქს, რომლის ჩასაბარებლადაც შევარდნაძემ ორი თვით ადრე დაიჭირა თადარიგი (1993 წლის 27 ივლისს, სოჭის შეთანხმებით, აფხაზეთის დამცველებს ტანკები და მძიმე არტილერია ჩამოართვა), ვერავინ და ვეღარაფერი უშველის! ნუ დაუჯერებთ ცრუ ზღაპარს, შევარდნაძე სოხუმიდან თვითმფრინავით არ გამოსულა. სახელმწიფოს მეთაური იგორ გიორგაძის სპეცრაზმმა ჯავშანტრანსპორტიორით გამოარიდა სოხუმს. ედუარდ ამბროსოვიჩს ჯავშანმანქანით გაუყენებენ ჭუბერის გზას, სადაც მას ვერტმფრენი ელოდება; ვერტმფრენი შევარდნაძის გენერლებით ისეა გაძეძგილი, რომ ამდენ ხალხში თაგვი კუდს ვერ მოიქნევს. შეშინებული და მშობიარე ქალივით აკივლებული გენერლები, რომლებსაც პანიკამ ადამიანის სახე წაართვა, ვერტმფრენში შევარდნაძეს ადგილს არ უთმობენ... ძალის გამოყენება გახდა საჭირო, ავტომატები ააჩხაკუნეს და ორი თუ სამი კაცი კაბინიდან გადმოათრიეს... ადგილი გათავისუფლდა, შევარდნაძე ვერტმფრენში ავიდა და გამოფრინდა... ჟიული შარტავა მკვდარია... 18 წლის ვინმე ალეშქა პაპასკირს, რუსებისა და გადამთიელთა ტყვეობაში ჩავარდნილი ჟიული შარტავასთვის, უკვე მოესწრო მუხლების გადაცრიხლვა.... არ იჩოქებდა, თურმე, ჟიული შარტავა და ტყვიებით გადაუმსხვრიეს მუხლები, ფეხზე რომ ვერ დამდგარიყო. მერე დახვრიტეს, დახვრიტეს მამია ალასანიაც...

შევარდნაძემ ჟიული შარტავას ნიჭიერი გუნდი ქვეყნის რეალურ მმართველობას ახლოს არ გააკარა. ბატონ ჟიულის, ედუარდ ამბროსოვიჩმა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში პირველად და უკანასკნელად უხმო — ცეცხლმოკიდებულ სოხუმში ჩაიყვანა, მერე ხაფანგი დაუგო და სასიკვდილოდ გაწირა!...

...1993 წლის 15 სექტემბერს, შევარდნაძემ ჟიული შარტავა სოხუმიდან თბილისს იხმო. იმ ღამეს, შევარდნაძის კაბინეტში, საქართველოს ნომერ პირველი მოღალატე და მომავალი ნომერ პირველი გმირი შელაპარაკდნენ, თურმე...

ჟიული: — ბატონო ედუარდ, სოხუმში კატასტროფული ვითარება და მოჩვენებითი სტაბილიზაციაა, სასწრაფოდ გამოაცხადეთ საყოველთაო მობილიზაცია და გადავარჩინოთ აფხზეთი!...

ედუარდი: —ჟიული, შენ ყველაფერში მაქსიმალისტი ხარ და რაღაც გეჩვენება!

ჟიული შარტავა შევარდნაძემ მანქურთებს იმიტომ ჩაუგდო ხელში, რომ ბატონი ჟული, თურმე, ტელევიზიით აპირებდა გამოსვლას და შევარდნაძის დადანაშაულებას სამშობლოს ღალატში.

მეორე: სოხუმში ჟიული შარტავამ, თავის კაბინეტში, შემთხვევით ნაასნრო „ეჩ"-თი გენერალ გრაჩოვთან რუსულად მოსაუბრე შევარდნაძეს. შევარდნაძემ იეჭვა, ჟიულიმ რაღაც ისეთი ხომ არ გაიგონა, რაც არ უნდა გაეგონაო და...

* * *

მაია მარგველანი:

## <u>ინტერვიუ ე. შევარდნაძესთან</u>

— აფხაზეთის დაკარგვიდან 12 წელინადი გაეიდა, როგორ შეაფასებთ დღეს ამ მოვლენებს?

— აფხაზეთის ომის დეტალური აღწერა გადმოცემული მაქვს ჩემს მემუარებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მასზე მუშაობა არ დასრულებულა, ითარგმება უცხო ენებზე და ქართულადაც დაიბეჭდება, მაგრამ ამას, შედარებით, დიდი დრო დასჭირდება.

• — ერთპიროვნულად მიიღო კიტოვანმა ეს გადაწყვეტილება, რომ სოხუმში ჯარით შესულიყო?

— ერთპიროვნულად!

— გამოდის, რომ ომი აფხაზეთში კიტოვანს დაუწყია...

— ვერ გეტყვით, გინდათ, კიტოვანს დააბრალეთ, გინდათ, შევარდნაძეს...

— ჟიული, შეიძლება ითქვას, ჩემი გაზრდილი იყო... აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედაც მე დავნიშნე და უნდა გითხრათ, რომ დღემდე ვნანობ ამას, რადგან ეს ნაბიჯი რომ არ გადამედგა, შესაძლოა, ცოცხალი გადარჩენილიყო, მაგრამ ყველაზე მეტად მისი იმედი მქონდა.

ჟიულის მკვლელობის შემდეგ აფხაზეთში რუსეთის წარმომადგენელს — პასტუხოვს შევხვდი და ვუთხარი, რომ თუ ჟიულის ცხედრის გადმოსვენებას ვერ შევძლებთ, თავს მოვიკლავ-მეთქი.

...12 წლის წინათ, 27 სექტემბერს, სოხუმი დაეცა... 12 წლის წინათ, 27 სექტემბერს, ბრძოლის ველზე დაეცა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომრე, ეროვნული გმირი ჟიული შარტავა... 12 წლის წინათ,

*<u>დავით ჩუბინიძე:</u>*
*შევარდნაძის კაბინეტში დაურეკავს ზვიადისთვის მოსკოვიდან და ყურმილში ბოროტად ამეოხრიალებდა — ბატონო ზვიად, მე შენ და შენს თავისუფალ საქართველოს ხელ მალე სისხლში ჩავახრჩობთ!..*
*(„ასავალ-დასავალი" 8.14.08.05 .)*

*<u>ჯანო ჯანელიძე:</u>*
*არცთუ დიდი ხნის წინათ წავიკითხე საქართველოს მამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჩიკვაიძის მოგონებათა წიგნი — „პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ჭადრაკი — სამი სხვადასხვა ქვეყნის ელჩის თვალით" (იხ. ლოგოს პრესი, 2004 წ.), რ ო მ ე ლ შ ი ა ც სწორედ აფხაზეთის ომის ამ ბოლო დღეების მოვლენებიც გახლავთ ასახული.*
*ყველაფერი ნათელი რომ გახდეს, აი, რას წერს ბატონი ალექსანდრე ჩიკვაიძე აღნიშნულ წიგნში:*
*„...უცბად ტელეფონის ზარი...*
*ყურმილის მეორე მხარეს ვლადისლავ არძინბაა...*

27 სექტემბერს, ცეცხლში გახვეული სოხუმი დატოვა ქვეყნის მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ. დედაქალაქში, მას, კოლეგა პარლამენტარები მქუხარე ტაშით შეეგებნენ(?!)

— რამდენად უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მქუხარე ტაშით რომ შემხვდნენ, იმ დროს პოლიტიკიდან და თანამდებობიდან ჩემი წასვლა მართლა ღალატი იქნებოდა, რადგან ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ იმედად ვითვლებოდი...

— გადაწონის თუ არა თქვენი პოლიტიკური კარიერის მანძილზე მიღწეული წარმატებები მარცხს, რომელიც აფხაზეთის დკარგვით განიცადეთ?

— სხვადასხვა სახის და მასშტაბის მოვლენებია და ამიტომაც ჩემი პოლიტიკური წარმატებებისთვის ხაზის გადასმა აფხაზეთის დაკარგვის გამო სწორი არ იქნებოდა.

— ექს-პრეზიდენტ გამსახურდიას შეიარაღებულ მომხრეებთან საერთო ენა რომ გამოგენახათ, იქნებ, აფხაზეთი არ დაგეეკარგა?

— გამსახურდიას შეიარაღებულ მხარდამჭერებთან საერთო ენას ვერ გამოვნახავდი, რადგან თავად გამსახურდია არ წამოვიდოდა ჩემთან დიალოგზე. უფრო მეტიც, მას ქვეყნის ნომერ პირველ მტრად მივაჩნდი. საქართველოს მტრების საკუთარი სიაც ჰქონდა შედგენილი და პირველი მე ვეწერე ამ სიაში...

* * *

იგი ერთუცნობიანი განტოლებაა, რომელიც მისი სიმარტივის მიუხედავად, ვერ ამოხსნეს. ეს სფინქსივით კაცი სხვის გულებში იხედებოდა და საკუთარში არა (თუ ვერა!).

ასეა თუ ისე, მის სახელმწიფოში, მრავალთაგან მეც (ფაქტია თუ ინფარქტი), სიკვდილამდე მივედი!

ლადო ასათიანისა და ჭლექისა არ იყოს — „პირს მარიდებდნენ", შიშის დიდთვლებიანი პატარა კაცები.

ჩემი ჩუმი ჩამი-ჩუმითა და მარტოობით შევეცქეროდი ჩემს ცოცხლად დამარხვას, რომ არა გულზე ხელდადებული და თავზე ხელაღებული თბილისელები — ესტრადის ვარსკვლავების და ქალაქელების ელიტა, რომელმაც (ლამის ნახევარი საუკუნის შემდეგ) კიდევ ერთხელ გამართა „პაემანი ვერაზე" და სიკეთისა და ჩემს გასამხნევებლად თქვა: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!".

მერე ამ საღამოს ჩანაწერი მოსკოვში გამოიცა 2 გიგანტ ფირფიტად; მერე 15 000-იან ტირაჟით დაიბეჭდა წიგნად; მერე კი ბევრჯერ ტელევიზიით გადაიცა მხატვრულ-დოკუმენტურ კომპოზიციად, რამაც თბილისსაც მოუბრუნა სული და მეც.

მაგრამ, ეშმაკსაც არ ეძინა, თურმე და ყოველ ფეხის ნაბიჯზე კუდით ქვას ესროდა ამ თბილისურ ვაკხანალიას. გინდათ დაიჯერეთ — გინდა არა: ჩემ ძველ მეგობარს, ამხანაგს, ნაცნობს (რაც გინდა დაარქვით) სასტიკად გაუფრთხილებია აპოლოგიას არ გირჩევთო!

— რატომ, კაცო?

„არა არს დაფარული, რომელიც არა გამოჰსჩნდესო" — სახარებამ.

ახლა მაინც ჩავიხედოთ ჩვენს გულებში.

ახლა მაინც სჯობს თქმა უთქმელობას!

ჰოდა, ვთქვათ!

ვთქვათ ის რასაც მოჰყვა რეპრესიების კასკადი... ჩემი ცოლისძმის მოხსნა „ანასეულის ინსტიტუტის დირექტორობიდან“, სიძის გადაყენება მინისტრის პოსტიდნ... რომელი ერთი!

მერე... „ღირსების ორდენის“ გადმოცემა; „ვახტანგ გორგასლის“, „საპატიო თბილისელის“ ორდენები... ცოდვა-მადლი, მწარე-ტკბილი...

თუ ეს — თუ ის...

რატომ, კაცო?

დევნაც და ხვევნაც?..

რატომ კაცო?

რატომ და მიტომ!

აი, ერთადერთი უპასუხობის პასუხი, რომელიც შეიძლება მივიღო.

...აუნიეთ მაგნიტოფონს, აუნიეთ!... გავყვირი მეორე ოთახში ჩემს შვილიშვილს დათოს.

— შენი ვერაფერი გაგვიგია, ბაბუ... შემომეპასუხა. — ხან აუნიეთ, ხან დაუნიეთო — და მაინც აუნია:

„მიზეზს ვეძებ, ვერ გავიგე, ნეტავ რა იყო.

როგორ მოხდა, ჩვენი გზები როგორ გაიყო“.. თითქოს ჩემს გულში იჯდეს, სიმღერით იზიარებს ჩემს მწუხარებას გენიალური ჯანსულ კახიძე.

...80-ს აღარფერი მიკლია. უკვე დროა ნუთისოფელთან ანგარიში გაასწორო და ყოველი დღე ნაჩუქრად ჩათვალო. ისიც უნდა გახსოვდეს, რომ რაც უნდა მწარე იყოს დღევანდელი დღე, ნაჩუქარს კბილი არ გაესინჯება.

გმადლობთ, შენ, უფალო!

მაგრამ კაცი კაცთანაც და ღმერთთანაც რომ მართალი იყო... სიმართლეს თვალებში უნდა ჩახედო და თვალი კი არ ჩაუპაჭუნო — თვალი გაუსწორო!

ბოროტებისთვის ფუფუნებაა ხშირად ხსენება და ამდენ ბოროტებას რა სიტყვა-პასუხი აუვა, რა ათვლის, რა ჩამოთვლის? მაგრამ, ზოგი მგლისკენ და ზოგი ცხვრისკენ (ფიგურალური გამოთქმაა, თორემ ცხვრობაზე თავს არ ვდებ), ახლა იმაზეც დაეფიქრდეთ და ტვინი ვიჭყლიტოთ — რას-როგორ ვემსახურეთ, ან რა — რით დავიმსახურეთ?..

ვინ რა დგვიშავა და ვის რა დავუშავეთ?...

იქნებ ის მეთვლება დანაშაულში რომ ერთხელ ერთ ქორწილში, მილიციის მინისტრობის დროს, სადღეგრძელო დავუგვიანეთ და იმ დაგვიანებულზეც, ბიჭებმა, პარტიული ჰიმნი დავაგუგუნეთ, რაზედაც მაშინვე მოგვცა რეაქცია — „მაშაყირებთო?“;

ასეთ შემთხვევასაც ვიხსენებ:

ერთხელ, უთენია შემხვდა შავი „ვოლგით“ ქაშვე-

„შევარდნაძე
შემხვდეს“, — მეხ-
მის ყურმილში, —
მე მზად ვარ მო-
ლაპარაკებისათვის,
სადაც გინდათ,
როდესაც გინდათ“.
შევარდნაძე: სა-
მას გადაეცით,
არძინბას უთხრას,
რომ ვერ მიპო-
ვა?!..
ეს გაუგებარი
ვარი შევარდნაძის
არძინბასთან შეხვე-
დრაზე საბედისწე-
რო აღმოჩნდა აფხ-
აზეთის 300 ათასი
ქართველისათვის
და მთელი საქარ-
თველოსათვის?!
ლეგენდასავით
გავრცელდა ხმები:
როცა გუდაუთისაკ-
ენ მიჰყავდათ ჟიუ-
ლი შარტავა, აფხ-
აზეთის ახლანდელ
ე. წ. საგარეო
საქმეთა მინისტრს
სერგეი შამბას დაუ-
რეკეს, ჟიული შარ-
ტავა მოგვყავსო.
— აქეთ რას მო-
გყავთ, მას ძალიან
უყვარდა აფხაზეთის
მიწა, მიწა აჭამეთ
და იქვე დამარხე-
თო.
ბრძანების ად-
სრულებმა აფხაზმა
ნარკომანმა, მავ
სამყაროში ალემქსა
სახელით ცნობილ-
მა, ალიომა პაპს-
ქირმა იაისრა.
— დაიჩოქე და
ჭამე აფხაზური
მიწა! — იყო ბრძა-
ნება.

თის ეკლესიასთან, პირჯვარის ვერტიკალზე რომ მქონდა ხელი!.. აღარ მოვრიდებივარ და ახლა ჰორიზონტალის გავლებით ვუქნევდი თავს სალამის ნიშნად (დღეს უკვე მონათლულ ეკლესიურ გიორგის)...

...ან, იქნებ, ის, სწორედ მისი პოლიციური მოღვაწეობის დროს „ნიანგში" კარიკატურა რომ დავხატეთ: ვიღაც დედაბერი ფერდებჩაცვენილ ძროხას აბალახებს შლაგბაუმთან, თავგასივებული ავტოინსპექტორი კი ეუბნება:

— ბებია, ჩვენს ჯიხურთან რომ მოგიყვანია ეს გაძვალტყავებული საქონელი... ამ ასფალტზე სად ხედავ ბალახსო?

დედაბერი პასუხობს:

— რა ვიცი, შვილო, პირველად შენც რომ მოგიყვანეს აქ, ასე იყავი გაძვალტყავებული და ახლა ქე ხარ ბუღასავითო.

ენყინა. დაგვირეკა და გაგვაფრთხილა:

ჭკვიანად იყავითო!

ეს იყო და ეს...

სხვა შეხების ნერტილები გახსენებადაც არ ღირს.

არადა თავიდან როგორი თაგამოდებული ქომაგი ვიყავი მისი.

რამდენთან მიჩხუბია (ფიზიკურადაც კი) და თავი დამიდია მის კაი კაცობაზე! ახლა აღარ ვიცი სად გამოვყო ის თავი.

შეგახსენებთ: რესპუბლიკის მეთაურად მისი აღზევების პირველივე დღეებიდან ხმა დაირხა — ამ კუდაბზიკა ქართველებს ისე გავუხდი საქმეს, რომ ტრამვაიში ბილეთი ვერ აუღონ ერთმანეთსო(?!).

რომელი ერთი! ვინ რას არ იხსენებდა და ვინ რას არ ითმენდა, თურმე. ხალხმა ჭირი მალა და ჭირმა თავი ვერ დამალა!

არადა, ეტყობა ბავშვობიდან ჩემი პროფესია — ჟურნალისტიკა იზიდავდა. მეორე მსოფლიო ომის საქართველოს პრესის ისტორიაზე რომ ვმუშაობდი, 1941-1942 წლების გაზეთ „კომუნისტში" მის 9-სტრიქონიან ინფორმაციას ნავანყდი, რასაც დიდი ასოებით მე-8 კლასელი „ედუარდ შევარდნაძე" ანერდა ხელს. კორესპოდენცია კი იუწყებოდა ფრონტიდან სამამულო ომის გმირის გოგიჩაიშვილის მშობლიურ გურიაში ჩასვლაზე.

გაყოლოდა ამ საქმეს. ხომ გადავრჩებოდით, ისიც და ჩვენც (თუმცა ჩვენ ვიკითხოთ, თორემ იმას, დღესაც არაფერი სჭირს გადასარჩენი).

ამბობენ ვლადიმერ ილიჩსაც უყვარდა მუსიკაო. (მთვარის სონატაზე გიჟდებოდაო). ჩვენდა ჭირად — არც ის გაყვა მუსიკას, ეჰ!... ყველა რომ თავის საქმეს აკეთებდეს, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაყეფდა, ახლა კი ძაღლიც გვიყეფს და მამაძაღლიც!

ქალბატონი ნანული უფრო ავკარგიანი ქალი იყო (აცხონოს ღმერთმა).

კარგად მახსოვს: ერთი კაი თბილისელი კაცის — ჩიორა ბაქრაძის გასვენებაში ხალხში თვალით მომძებნა, მომიახლოვდა და რაღაც საგანგებოდ მომიკითხა, — როგორა ხარო?

— როგორც მკითხულობთ-მეთქი, — ფაქტიურად მას კი არა, მის მეუღლეს გავეცი პასუხი.

მიხვდა რომ მათი ზეობის დროშიც კი, მზად ვიყავი, პირში მეთქვა სიმართლე იმ უდროობის დროში.

...როგორ მექცა დედინაცვლად ჩემი დედაქალაქი.

— შენ, ჩემო კარგო, სხვისი დახმარება რაში გჭირდება... თავი გადგას მხრებზე — თავი დამადგა ნუგეშის სიტყვით.

— მადლობა ღმერთს, რომ ეს თავი მაინც შემარჩინე-მეთქი, — ვუთხარი მე და ახლაც ვიმეორებ, რომ ეს მთლად ირონიაც არ არის — ჩვენმა ძველისძველმა ნაცნობობამ (ასე მაინც დავარქვათ) ბენეზე გადაარჩინა გიზო ნიშნიანიძე, რომელიც უამისოდ (ფრანსუა ვიიონისა არ იყოს) შევარდნაძის ყულფში გაიგებდა — რას ინონის... ჩემი ფეხები! (რამე სხვა უფრო უნმანური სიტყვა რომ არ ნამომცდეს!).

P.S. სათქმელი ბოლომდე მაინც უთქმელი დამრჩა. მზად ვარ ჩვენს შორის „საუკუნის დიალოგისათვისაც", რომ საქვეყნოდ სათქმელი ჩვენს შორის არ დარჩეს.

ერთხელ ინტერვიუერმა მკითხა:

— რით დაიწყო თქვენი ჟურნალისტური მოღვანეობა?

— ნარკვევით, ედუარდ შევარდნაძის შესახებ-მეთქი!

— რით აპირებთ დამთავრებასო?

— ინტერვიუთი ედუარდ შევარდნაძესთან! — ვუპასუხე.

მე მზად ვარ, ბატონო ედუარდ.

თქვენ?

* * *

*რაზეც გუშინ თვითონ ვქუხდი,*
*დღე იმაზე ვნუხდია...*
*ერთი კაცის გადასახდელს —*
*მთელ თაობას უხდიან!*

რატომ? — აზდაკივით ვკითხულობ მე და „ქრონიკას" ვიმონმებ, სადაც ახალი თაობა აშკარად ილაშქრებს ჩვენს უთაობაზე.

„შევარდნაძე მაოხრებელ პრეზიდენტად გვექცა... მის ხელში პენსია ხან 6 ლარი იყო, ხან — 8, ხან — 12."

მაოხრებელი... მკვდარი გამიგია მე — ცოცხალი არა, მარა, დღეს ვინმეს რამეს გააგებინებ? როგორც ჩანს, უმეტეს შემთხვევაში, კაცი უნდა ეყოს ჯამაგირს, იშვიათ შემთხვევაში კი — ჯამაგირი კაცს!

* * *

ბოროტებისთვის დიდი ფუფუნებაა მისი ხშირად ხსენება — ახლაც, სულის მოსათქმელად, ისევ სიკეთეს მივუბრუნდეთ!

---

*დიდგორის მემორიალი გაძარცვეს!*
*ვისთვის ის ძეგლია, ვისთვის — ჯართი!*
*ვაი, სირცხვილო!*
*ვახ, დრონი, დრონი!*

*ჟიული შარტავას არც დაუჩოქია და არც აფხაზურ მიწას დახარბებია.*

*სიკვდილის წინ გმირს ავტომატის ტყვიებით მუხლები დაუცხრილეს და ისე წაიქცა, როგორც მუხა წაიქცევა ხოლმე მეხის დაცემისას.*

*როცა სენაკში ჟიული შარტავას ცხედარი მიასვენეს, დედამ, ქალბატონმა ფენიამ შვილს ჯერ ნატყვიარი მუხლები მოუსინჯა, შემდეგ კი სახეზე დახედა, ჩემს შვილს შიშის კვალი ხომ არ აღბეჭდვიაო.*

*შიშის ოდნავი კვალიც კი არ ჩანდა გმირის სახეზე.*

*დღეს ჟიული შარტავა საფლავში განისვენებს, ხოლო ის, ვინც იგი გასწირა, კრწანისის რეზიდენციაში ნებივრობს და მის ფერხთა ქვეშ კრწანისის გმირებს ნაიარევი ხელახლა ეხსნებათ.*

**P.S.** *ყველაფერი ცხადდება. დადგა დრო ქვათა შეგროვებისა, დრო განკითხვისა, დრო არს შურისძიებისა — მართლის ძიებისა!*

## *ჩემი ოკრიბა*

### იმერული ესკიზი

ახლა უნდა დავხატო
ჩემი სოფლის სურათი,
პურით გაჭირვებულის
... და მით უფრო პურადის!
ღმერთის ხელით დახატულს —
სხვისი რას შეედრება,
ეს მიიღეთ მლოცველი კაცის —
ღმერთთან ვედრებად!
გულით დამილოცნიხარ,
ტუჩით დამიკოცნიხარ,
ჩემი სული — გული ხარ,
ჩემი სისხლი — ხორცი ხარ!
ო, ეს მთა და ო, ეს ცა —
სუნთქვა მეკვერის, მოიცა!..
ჩემი სამოთხე არი,
თვალი მისკენ მოიქცა!
ო, ეს ნაკადულები — ჩემი ყრმობის წყლულები,
ო, ეს ღობე — წნულები — ჩემი დედაწულები,
მობუყბუყე დევები — ქვემეხები — ჴურები...
რავარც მეჭუკჭუკები — ისე გებულბულები!
...მარნის კარი ჭრიალებს, დედამიწა ტრიალებს,
ყანწებს ნუ ეხუმრები — გაგაოხერტიალებს!
მათრობელა სუნი დგას — მაჭრისა და ბალახის,
სტუმარს წვიმაც იჭერს და
ფეხს უბორკავს ტალახიც.
ცვარი თუ მარგალიტი, კაცია თუ გუნება
აქ, ბალახიც, სიცილით, ფეხში გეღუტუნება.
ცა და მიწა ახლა მას, ასე ეუბნებაო:
მოსვლა თქვენი ნებაა — წასვლა ჩვენი ნებაო!
ავი თვალის — არ თვალის ჭაჭანება არაა,
ავ თვალს არ ენახება — ვენახი თუ ყანაა!
ბროწეული, სულელი ბავშვივით იკრიჭება —
მოწეული სოფელი... ღობიანად იჭმება!
„მაინძელი — მაინძლობს... გულით მეცხრე ცაზეა" —
ხარისთვალას პაიჟობს — აგერ ერთ გაფსმაზეა.
მზეზე თბება ბებერი ბაგრატი და გეგუთი! —
ცაზე მთვარე ჰკიდია, როგორც თურქის ბებუთი.
დღის ბაჯაღლოს სილურჯე ეპარება მთებისა —
სიტყვაც აღარა მყოფნის ცა-ფირუზის ქებისა!
მწიფობელის სტვენაზე დღე და ღამე იყრება,

სადღაც წეიმა გადიელის და დარჩება ნიყეებად.
...სოკოწითლის ქოლგებში ბავშეობა შეაფაროთ,
ჩვენი სიყრმის მზისაგან თავშესაფარ – ლაფაროს...
მერე, გალუმპულები, ვიცინით და ვძიგძიგებთ...
და პატარა გულებით სიყვარულის გზას ვიგნებთ.
მერე მოგვეაბღაელებენ ძროხები და ხბორები –
როგორც დედმამისშვილებს – ისე ვეამბორები.
ჯიქნებიდან უმ რძეს ეწოვეთ, პირზე რძე არ გვიშრება...
წიხლის შიშით, მას გემო ვერ გაუგეს მშიშრებმა,
ჩვენი ძროხა – გიშერა, ღვიძლ შვილებში არ მარჩევს...
ხელს უსვამს და გამხდარი ეჩვენება მამაჩემს.
სათიბებში ბალახი ჩვენთან ერთად იზრდება,
ღამე ჭიაკოკონის ცეცხლი აგიზგიზდება.
სარზე, ძონძ-მონძ ახალუხს, ჩააცმევენ საფრთხობელს –
ეჰ... ბაბუის ნაქონი, ჩოხა როგორ მაფრთხობდეს?..
ეს ხომ მისი „სანეფო" და გამონაცვალია...
თვითონაც კი ვეღარ ცნობს – შეელანძღა ძალიან...
უკვე ასი წლის არი, მოტყდა კაცი ნაჯაფი....
მიაყუდა წლები და ააყუდა ნაჯახი.
ახლა, თავის ხელით თუ გააჩაღებს ყალიონს –
მერე, პე-პე-პეიო!.. მიაძახებს ალიონს!
თუმცა, არ დარჩენია სადღეგრძელოს ვალიო,
დიდი – დიდი, სამხრობას, ერთი დოქი დალიოს.
ხარობს მითი – რაიცა ხარობს მისი მარჯვენით
და თუ ჯერ არ წაიქცა – შვილები ჰყავს მარჯვენი!
თქვენს გამსახავ ღმერთებს ვთხოვ, მყავდეთ დიდი დღეთიო!..
ლოცავს შვილს და შვილიშვილს...
შვილები გყავთ რეთიო?
არ გაგიწყრეთ გამჩენი, არ ქნათ დედის ერთიო,
რას გაჩუმდით, სახეზე რად ჩამოგდით ზეთიო?
ღობე სარით არი და ფოთოლი კი ხეთიო...
აბა, როგორ, სიცოცხლემ რითი ძლიოს მკვდრეთიო?
აბა, როგორ ვარჩიოთ აქეთურ-იქეთიო?
აბა, როგორ გამრავლდეს ჩვენი იმერეთიო?
საქართველოს, აბა, რით შეეწიოს ღმერთიო?..
ღმერთმა მოგცათ სამოთხე – არ ქნათ ჯოჯოხეთიო.
შენ ხარ ჩემი ბატონი... რა გისურვოთ მეტიო –
ასე, მამაშვილობამ – გეღამოთ და გეთიოთ!
...უბებიო' ამბები, აბა, რა ამბებია?
ერთ სოფლად ღირს, ერთ სოფლად – ჩემი სოფლის ბებია...
თუმცა, ყურშიც კლებია, თუმცა, თვალსაც კლებია –
ნემსის ყუნწშიც გამძვრალა, ნემსის ქალი, ბებია!
მის წიოკ-„წია-წიას" ყურიდან ვერ ვიცილებ.

კაცის ჭკუას მოთხოვდი — მის გამოზრდილ წიწილებს.
აღარც ბატი-ბატობდა, აღარც იხეის ჭუკები,
იმათ ყი-ყი-ყი-ყინში იღვიძებდა შუკები.
ბაყაყებს გაემართათ კრება მთლად საარაკო,
ჭაობებს გეიშრობენო — ჰქონდათ სალაპარაკო.
გომბეშოს მოხსენება მთელ ბაყაყეთს წვდებოდა,
მათი ყოფნა-არყოფნის საკითხები წყდებოდა,
...სულ ტყეილია, ბატონო — „თხამ შეჭამა ვენახი",
ვინც შეჭამა ვენახი, ჩემი თვალით, მე ვნახე!
ბრიგადირმა კაკანომ რომ ატეხა კაკანი —
ადგეს ახლა აქანა და ამტვრიოს კაკალი...
ქე რომ დააბოტებდა, ვით მონღოლთა ხაკანი —
ზრდილობისთვის პაერში, რომ ისროლა ჯაკანი,
თავის ხელით მოტეხა ვებერთელა აკიდო,
მერე მიდგა-მოდგა და საქმე ჩვენ თხას აკიდა?!
მეც ავდექი-დავდექი...
„არ დაბერო სულიო —
შენ რომ ნახე,
ის კაცი... არ ვარ — ღმერთი-რჯულიო"...
იქეთ შემომედავა — ვენახში რა გინდოდა?
— თხაი-თხაზე ნაკლები... მეც მოპარვა მინდოდა!
ტყუილებში დაჭერას — გამოჭერა ვარჩიე,
მერე, როგორც ქურდმა-ქურდს, ვთხოვე ჩემი არჩიეი.
...ბებოს შიშით ვაგლახად ვერავინ გამლახავდა.
ისიდორე ბაბუა ვაშლს ხეზე მინახავდა!..
...ახლა მადლი მითქვია ამ სამოთხის მხრისათვის,
კენწეროში გავსულვარ შეთვალული მსხლისათვის.
რამდენჯერ გვითევია ღამე წყლის პირს, წისქვილში —
გოგო-ბიჭებს, და-ძმურად, სიცილში და კისკისში.
რავარც ჩამძინებია ქვის ღოლაბის ნანაში,
ისე დამთენებია სიყრმის ოქროყანაში.
თვალი გამიხელია,
გულში გამიმხელია —
ეს ცხადი თუ... სიზმარი — სიყრმის მზეს უმღერია!
ვერ გაეძღები, სოფელო, მე შენს ხვევნა-ალერსში,
ვერ დაგატევ ქაღალდზე, ვერ ჩაგატევ ამ ლექსში.
არ მეყოფა სიტყვები, არ მეყოფა ფერები,
რავარც შენ გეკადრება — ისე ვერ გეფერები.
ერთსაც გეტყვი, ძვირფასო — საიდუმლოს გაგიხსნი —
რომც შემეძლოს, ბოლომდე, სიყვარულს არც ავხსნი,
რადგან მისი ახსნა და დამთავრება ერთია —
სიყვარული უთქმელი, აუხსნელი ღმერთია!

1985.

## *კახეთი*

### ოდა

პოდა!..
კახეთში სუფრას შეესწარ,
მარტო შეხედვით დაეთვერი –
ალაზნის პირზე, წაჭრილ მორს
უჯდა ათიოდ ქართველი!..
ჭირის ოფლს – ჭირისუფლობდნენ,
ჭირნახულს ლხინად წურაედნენ,
წუთ-სოფელს – წუთისოფლობდნენ,
ღვინის ღვარცოფში ცურავდნენ.
რა ნახეს ჩემმა თვალებმა –
რაც არ ენახათ, აწ ნახეს –
თაფლი სდიოდა ღვარებად,
კახეთის – ბიბლიურ საწნახელს!
...წალამზე მწვადი იწვოდა,
ატრიალებდნენ შამფურებს,
არხარის ყანწი გეიძლოდა –
ხარხარით მიწა იძეროდა –
კაცმაც და ღმერთმაც იცოდა –
ღმერთმა რომ კაცი იძმო და...
ეაკხებსა ჰგაედნენ ზღაპრულებს.
...ქორბუდა გადმომდგარიყო
ქარაფს სათოფედ მოსული!..
ტყეე ტყეიაც კი დამტკბარიყო –
სიცოცხლის ეშხით ორსული.
იყო თანხმობა, გულთხმობა, მხართმხრობა, ალხობ-ჩალხობა,
ყინულთა ლხობა, ჯამთ მხობა –
ერთგულ-ერთსულ-ერთსახლობა...
იდგა სამხრობა –
ალალი პურის ალო და კეალობა,
გუთნის დედ... მეხრე-მემხრეთა
არხალალ-ვარხალალობა!..
რთველგაკრეფილი ვენახი ქვევრებში იძირებოდა,
მარნის ღრიჭოდან გეიღრეჭდა ჭინკა და ჭიპზე სკდებოდა.
გეზელი ქორი ითვლიდა შემოდგომაზე ჭუჭულებს,
კრუხი კრიახით ფრთებს შლიდა, იყრიდა უჭულ-ბუჭულებს.
მამალი, თავის ამალით, ვიდოდა პარამხანაში,
ამ ხონთქრის დაკვლის დროც დადგა ბაირამ-არამ-ხანაში.
ყიჟილით უთენებია დღე წუთისოფლის ჯარაში,
ყინჩობით ვის შერჩენია ერთი დრო ოქროყანაში...
იკრიჭებოდნენ ბიჭები ბროწეულების ჭალაში,
კაკლაობ-კინკლაობდნენ და კბილს ლესდნენ კუკრუჭანაში.
...მთები დაიძრნენ ბარისკენ, – ქარავნის ნიაღვარებით,

თვალი ეჭირათ ზეარისკენ – ულრუბლო ზეცის ვალებით,
ჟუჟუნა წვიმის ნაეშხარს მოაცილებდნენ დევები
და შემოდგომის კაეშანს ჩანჩქერით ხვრეპდნენ ხევები.
საითოხლავ თოხლებს, შიშაგებს, მოუძლევებოდნენ ყორჩები,
ფარის მფარეელებს – ნაგაზებს მოსდევედნენ ოჩოკოჩები.
ბატკნის კიკინ – თხის პეტელი, ერთ წყვეტილ „მეეე-ში“ ნამატი,
ნაიალაღარ მწყემსური – „მე ვარ და ჩემი ნაბადი“!
– მაშ, მტყუნის?.. ხელის ბარტყუნი, მხრებზე და ქება-გინებით...
ყველანაირი შაირის, შეშის და თივის ზეინები.
პატარა ღაჟო, მესკია, ნაჟურით გამობრუჟული,
ფოლორც-კლიპორტზე ურმის თვლით გადაჭყლეტილი უჟმური!
მზე – შინათი და მზე – გარით, იასსარით და კოპალით,
ეშმა – ანგელოზდამფრთხალი, მზის საგალობელ-ტროპარით...
ავი სულების მარულა...
ვის ჯოჯოხეთი ეგონა –
ამდენი გულის ცეცხლი და
\ამდენი ჭიაკოკონა...
აქა მშვიდობა კიდობანს, არული კუდიანებსა,
ალქაჯებსა და როკაპებს... მხარული ზვრებს და ყანებსა,
პოპუნითა და მხაპუნით საევანედ დანავანებსა,
თეით საპაოთმა, რა გულით, რა ხელით მიწას გალექსა.
სამოთხე ღგა, სანახებად, აეთვალს არ დაენასება –
უეშმაკო და უმანკო სოფლის და ოფლის სახება.
საფრთხობელები იხდიდნენ ნათხოვარ ძონძ-მონძ ჩოხებსა,
გულის ბუხარი სდიოდათ სასახლედ ქცეულ ქოხებსა.
ორღობეს მოჭრიალებდა დამძიმებული ურემი,
ურმული მოურმულებდა – თვალიც ძღებოდა, ყურებიც...
ნახირი მოჯახირობდა ჯაგან-ჯიქნების ცურებით,
სოფლის თაეს, გოგნი-გოგები,
წყაროს წყალს წყავდნენ სურებით...
ამ ბრილიანტის ნამსხვრევით ქალმა ამივსო მათარა,
უკვდავებისა ნასმევით – უკვდავებაში მატარა...
მოსავალს ვერა წონიდა თეით მამაღმერთის ყანთარი,
თითები გაეიჩურჩხელე დაბადაგებულ თათარით...
ვლოკე და ვლოკე, როგორაც აღზევანს ლოკავს მარილსა
– გადასაჩეხი ღეინია...
მის რქით – რქა ვლოცე ხარისა!
...დაქარგულ იყო მიწა-ცა, ხევი-ხუვი და მთა-ბარი,
დაშაქრულ იყო კაციცა, რაიცა უფრო მთავარი –
ღია გულით და კარებით წალკოტში იდგნენ სახლები,
უკუდო ამპარტავნობით არ ქოფაკობდნენ ძაღლებიც.
ღდინ-ძაღლნიც დატკბენ, მობეზრდათ,
აღარ გვიკლებდნენ ყეფითა...
დიდი ღღე ადგა სოფელსა კაცით –
ბუნების მეფითა!
ამ ღვინობისთვეშ, სოფელი, უფრორე გააპურადა,
ყველა ჭკუაზე მყოფელი სტუმარს ელოდა ძმურადა,

ბახუსს ელოდნენ, მღეროდნენ,
სერობდნენ, ლხინი შეენოდათ,
გზაზე კოკები იდგნენ და გზას გასცქეროდნენ ჩეროდან.
რაც ედგათ, ისა სდიოდათ – მზისა... და აღარ იცდიდა –
მადლი ცისა და ზერისა და... აძოხვრეპილი მიწიდან.
პაპის ნაქები, ურნები, ჯინები – ჯანყბმაგარი...
ყინი ყონავდა ტუჩებში პაპანაქების თაკარით.
ველარ იცავდა ფუჩეჩი, ბოხოხებად რომ ეხურათ,
სიცოცხლე იდგა ქურებში და მასპინძლობდა გლეხურად.
გამოეფინათ საგზალი, ნუზლით ეირს წელი წყდებოდა,
ყვაოდა ყვარლის ვაგზალი – აცილებდა და ხვდებოდა...
რა საყვარელი – ყვარელი, შილდა და ბიდბის ბაზარი –
კახ-კუხის მთიელ-ბარელი ციკანს უკლავდა ლაზარეს...
დედოფლისწყარო, სიღნაღი, მუკუზანი და მირზაანი –
მზეთუხილავის მხილავი, მხელავი ჯვარ-ზარ-მიზანით...
კარდანახი და ქიზიყი, მანავი, ციეი გომბორი,
ლაგოდეხი და... ღვთის მადლით –
რის მარგალიტი ობოლი!..
საჩუქ-ვეჯინ-ართანა... გულღია კარი კართანა,
ალალმა გაამართალა,
მთა-მთასთან, ბარი-ბართანა!
...საგარეჯო და გურჯაანი, ალაზანი და იორი,
კახეთის სიგელ-გუჯარი, სამოთხე ერთი ფიორი...
სიღნაღ-ანაგ-გრემ-იყალთო, ჭიკაანი და ახმეტა!
„სუ დალოცეილი იყათო“...
ღმერთშა ვაზითა აღმერთა!..
ჯიბრით კი არა – შეჯიბრით გაწალკოტ-წინანდლებული –
მიწა-ცა-კაცი-ეჯიბი – ღვთიშობლის წილადებული...
...ზეიმი იყო ზევსური, სტუმარი იყო ღვთისაო –
გაბაასება ზნესრული – კაცის, ღამის და დღისაო!
...ლუკმა ლუკმასა ეძმო და ტიკები იდგნენ კაცებად –
ჭაშნიკი ჭაშნიკს ებრძოდა და „მიწა დაბარბაცებდა“.
უძლები შეილიც ძლებოდა ამ ასპარეზის ყურებით,
ნადავლ ხმლებივით ეყარა (ჯვარედინ) დედას პურები.
გუდის ყველმა და ტარხუნამ გაახურა და დახურა –
ალალ-მე, დილილ-დალალმე – გლეხურადა და კახურად...
სუფრას არც ჩიტის რძე აკლდა, არცა კამეჩის მაწონი,
ალაზნის ლოქო დნებოდა პირში, ქინძმარში ნაწოლი.
თითქო შინ არა დარჩა რა, ხარჯ-ბორჯი გადანახული,
ისმოდა, როგორ ისროდა მზის შხეფებს კარდანახული!..
სულო და გულო რა გინდა, – იზნიქებოდა მაგიდა,
„რატევენის მტევენის“ აკიდო მეზერემ ცის კიდეს აკიდა:
ქართლ-იმერეთი-გურია – ერთ ჯიშ-ჯილაგის ცურია,
რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი – მწყურიან დედა წულიან,
მეგრულ-აჭარულ-მაჩაბლურ-ფშავ-ხევსურ-აფხაზურია...
– გულქართლი საქართველოის ერთად მფეთქავი გულია!
...ჰოდა, რა გული გაგიძლებს – კაცს გული გედგას ღმერთისა,
ედგე ამ ხატზე საფიცრებს – ალავერდად და ხერთვისად!

იყო ამ სამოთხეში და ასე გწყალობდეს ბედიცა –
ერთი მიწა და ერთი ცა – კაციც იყო და ღმერთიცა!!!
...თვალი დავხუჭე... ეგება ზღაპარში მოვხედი ბალღია?
თვალები გავახილე და... სიზმარში დავრჩი თვალღია?!
ახლა ყურს ვუგდე ყურია – წვეთავდა ჩანაწურია,
ორ ხმაში: დედას ლევანა და დანიელა ურია...
ჩაკრულო ჩარაკრაკებდა, ჩაკეროდა გულის გასაღებს,
ჭერი ასწია, გასწია „ჩვენი მასპინძლის სასახლემ".
სულ გადარია, არია ხალხი სადღეღრძელოს აშლამა!..
სუფრაზე, ორთქლმავალივით რო შემოიჭრა ხაშლამა...
დაშნა, ძვალ-ხორცში გარჩილი, ვით შეშის ზედახორები,
20X20-ზედა დაჭრილი, სიგრძე-სიგანით ტოლები...
რა სიტყვა, ან რა პასუხი, მარგალიტები ულევად.
გულს–მღერა, ყელს–მოღერება შაშვსაც არ დაეწუნება!
...მაძლო ამ მიწამ ზიარმა, მასპინძლის ხელის გაშლამა,
ჩამოტარებით კი არა, ჩადგმით მოიდა ხაშლამა!
...ნაღდი პური და მარილი, გალაღებული ბუნება –
თუ კაცია და გუნება – კაცი-კაცად გეგულება!..
ყოველად ერთარსი არსება – უძრავ-მოძრავის მსგავსება,
აგავედა აღუვსებელის ერთ საწყაულად ავსებას...
...თალარს გვერდს ჩაუდიოდა ბრიალა ბროლი – მთის ჩქერი,
ჭალას თავს გადასდიოდა ჭიუხს მომსკდარი ჩანჩქერი.
ზრიმლ-მარგალიტი ეყარა ველზე ცვარად და ნამადა,
ვთქვი: ეს ჩანჩქერი ან ჩქერი ავირჩიოთ-თქო თამადად!
ყური მივუგდოთ მის შხუილს, ალავერდს მოვა წინწკლებით,
რას ღრიალებს და რას ღმუის – უკან მეწყერით, წინ წყლებით.
ის ან ნისლების რძე არის, ან გულის სისხლი მთისაო,
ის ხან კლდის ვეფხვის ძე არის, ხან შველის ნუკრივით კრთისაო.
მან უკეთ იცის კაცზედა ამბავი მთის და ბარისა,
ზესკნელ-ქვესკნელის, ცის, მიწის,
დღის, ღამის, მზის და მთვარისა.
პოდა, დაგვიდგეს თამადად და გაგვისველოს ყელია,
წყლის ენას ვთარგმნით თამამად, წინწყაროსას ხომ მღერიან!
მის შესხმას ვადრი ვედრებას, ვიდრემდე ყურობს ყურია,
ეგეც ხომ ჩვენი გორისა ჯიმ-ჯილაგი და რჯულია.
გენია ჩვენი გონისა, გონია ჩვენი ღონისა...
ისიცა ჩვენებურია... სხვაცა ვთქვათ, სხვათა შორისა!..
ის დარ-ავდარის შვილია, გა́კრეჭილია ენადა,
მსგავსი თამადა ტყუილია,
ღირს ერთ ლხენად და სმენადა!
გული-გულს, ღონე-ღონესა,
გვეწყუროდა, კვლავაც გვწყურია,
მოჰყვეს ამ ლობე-ყორესა,
გაგვატეხინოს პურია.
...ამ სიზმარ-ცხადის ნარჩენსა, ზღაპარს, ამითი ვასრულებ!..
მადლი შევწირეთ გამჩენსა,
რაცა ვთქვით – კიდეც ვასრულეთ!
დავსვით თამადად ჩანჩქერი და გავიტრუნეთ შხუილში...

და თუ დამიჭერს გამჩენი ლამაზ ან ლამის ტყუილში,
გამიწყრეს ღმერთი, რომელიც იალ-კიალში ვიხილე,
იქ, საცა ჩრდილი ვიჩრდილე,
იქ, საცა ხილი ვიხილე,
იქ, საცა მიწის ფარდაგი ჭრელ ფიანდაზად შლილ იყო,
იქ, საცა ცოტა აკლდა კაცს ჭკუიდან არ შეშლილიყო.
იქ, საცა მთანი მაღალნი, ცის, მიწის საზღვარს ხაზავდნენ,
იქ, საცა სიამტკბილობით ზესკნელ-ქვესკნელიც დაზავდნენ...
არა ილაკუზს, იალბუზს ცის თაღი მხრებით ეჭირა,
მიწას ხავერდი ეფინა, გვეფინა მწვანე ჯეჯილად,
ტყე-ჭალად, მინდვრის ყვავილად და ტყის იორდასალამად,
ცა თავზე ქუდად წაეიდა და დედამიწა ქალამნად.
...როს მოგვეპარა ღამე და მნათი-მნათობნი კრებულით,
ჩვენ შევსვით, ფეხზე ადგომით, მთვარის — ვით შემოსწრებულის!..
ეს ღამის მეხრე, ნამგზავრი, კვლავ მგზავრი იყო უკუნეთს,
უკუნითს უკუნისამდე ხარის თვალივით უყურებს.
გზა დავულოცეთ, გაივსო და დაილოცა გლეხურად,
გაიბადრა და ერთ ქუდად... თავზე მთელ კახეთს ეხურა!
ანგელოზები გაგვხადა, ვერცხლის ემბაზში განგვბანა,
ჩრდილ-ჩადრი ნათლით აგვხადა, შუქ-მუქი გაგვიანბანა.
ავ-კარგ, შავ-თეთრი არჩია, განგვასპეტაკა, განგვწმინდა,
აგვავსო... ხარჯი ხარჯია, ბაჯაღლოს წვიმა გვაწვიმდა!
ალალი გულით ირჯება — ცა და ხმელეთი გვაჩუქა,
კბილი არ გაესინჯება ალალი გულით ნაჩუქარს.
სატივეს ტივი შევკარით, ხორხები ავატივტივეთ,
გზა დავულოცეთ ზეკარით — ცის ოკეანის მეტივეს.
გამოიხურა ცის კარი და ცისკრის ვარსკვლავს გახედა...
ეს მთვარეული სიზმარი მთვარეს ესიზმრა... კახეთად!!!
...შემოგვებურა ბურანი, ზარის ხმა და ალავერდი,
სხვა ნათლისღების „ყურანი“, სიჩუმის ყუმი ხავერდი...
იქ, სადღაც, ჭრიჭინობელა დღესა და ღამეს ხერხავდა,
აქ — სუფრის ბოლოს, ვილაც შლუ ქეიშის თოკებსა გრეხავდა.
თვალში აყრიდა ნაცარსა, ტყუილებში არ ნაცადსა,
ნაცარქექიას ბრექია ქეიფს შნოსა და ლაზათსა.
აძლევდა!.. ეშმა გაძევდა სიცილ-ხარხარ და ხორხოცში —
სიცოცხლე თეთრად ათევდა კახური რთველის ფერხულში!
...გულკეთილ-ენამწარობით, კენწლაობით და ქილიკით,
ერთ გზად და შარად იყრიდა თავს სოფლის ყველა ბილიკი.
ზმა და უშარო შაირი, ფანდ-ქამანდური-ფანდური,
გავარვარებულ დაირით — მთვარით, ცეკვა და ნადური.
ტაში — ტყეების შრიალი,
ტუში — ალაზნის გრიალი,
მთხლეთი დამთვრალი ართვალის — ავი სულების წრიალი.
...ქვის ხიდი... დგას ის ვიდრეო,
უასაკო და უზადო —
მკვიდრი და სამემკვიდრეო, პრეისტორიის ღუზადო —

ჩალეწილ ღამის თვალებში მოჩანს აქლემის კუზადო,
ჩვენ შვილთაშვილსაც ეყოფა —
გზად, ხიდად, ლექსად, მუზადო!
...გალავნის თაღი, ნაგები — ქვით, კირით, ქათმის კვერცხითა,
ფალავან-ლაღი, ნაღები — სინდის-ნამუს-ფიც ვერცხლითა!..
დაგვეცქერის ბებრის სიბრძნითა და გამძლეობით მაძღარი,
ერის ბერთ-ბერი, ჭერთ-ჭერი,
ბურჯთ-ბურჯი, მოძღვართ-მოძღვარი!
რა ცეცხლი გამოუვლია, რა მეწყერი და რა წყალი.
არც ყოფილ — ნურცა ყოფილა უმოწყალო ან საწყალი.
...აქ კი, ჩვენს ამორძალებსა, ასკვერცხიანი ნამცხვარი
ფრთხილად შემოაქვთ,
— არ მოხედეს, ქა, არც ნიავი, არც ცვარი ...
ისე ლაყლაყებს, ყანყალებს... აბა, რაა აქ სამალი,
სირცხვილით იწვის მაყალზე... ფერმის საჯიშე მამალი.
...ენა უძელოა, კვიმატი, საქალამნედაც ვარგია,
იცინონ, ერთი იმათიც...
აქესო ქმედება მარგია.
სიცილი — საბრძნე-სიცრუის, კაცთმცოდნეობის დარგია,
ავს თუ ავი არ დაარქვი, მაშ, რას დავარქვათ კარგია?
...მართალი კაცის ხორხოცი უთაღო ცასა სწვდებოდა,
მაძღარი სიტყვის ფერხორცით ცაცა და მიწაც ძღებოდა.
მამამზის — ცის ამბიონი — თავს გვადგა კავკასიონი,
არმაზის ძეთა ჯაჭვემსხრეველ ამირან-დევმაყრიონით!
...ილუმპებოდნენ კახელნი კახური ლხინის თავსხმაში,
იყო თამადა-ჩანჩქერი სეფე-სიტყვათა ასხმაში!
— მე კავკასიის სისხლი ვარ, ხორცი ვარ მყინვარწვერისა!
მე განა მისხის-მისხი ვარ, ძვალი ვარ შენი ძველისა!
ეს ჩემი ზეირთის გრიალი, აგრე რიგად რომ გშვენისა,
განა ბალღების ღრიალი... გრგვინვაა პაპაშენისა,
ლოცვაა შენი ხვალისა, ჟრჟოლვაა ჩემი გვარისა,
ელვაა ჩემი თვალისა, ღელვაა შენი ვალისა!..
აქ რომ ყელაობ-ხელაობს ჩვენი მილეთის ეს ხალხი,
მკვდრისა — სიცოცხლე სჯერაო
და თევზსაც... ცოცხალს ეძახის!..
პოდა, მეც ცოცხლად მიგულე, შენს წისქვილს ვასხამ წყალსაო,
მოდი, თვალებში მიყურე, გიფსკვნი გზასა და კვალსაო.
მე განა არსულ-წარსულის აორთქლებული დარდი ვარ,
ცრემლი ვარ გაწყალებული, გადარეული დავდივარ.
ჩემი ენაა დგაფუნი, გრგვინვა და ზრიალ-ზრიალი,
ან — თქვენით ლხენა მეფური, ან — დარდით წრიალ-რიალი!..
ვაბრუნებ დოლაბ-ქვასა და
ვუქვავ წუთისოფლის წუთსაფქვავს,
წისქვილმა მისი ფქვასა და სხვამ რაცა უნდა ისა თქვას.
...იმ სულმნათ მოთას ანდერძში თეთრით შავზედა სწერია:
„ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".
გული არ დგება საგულეს, ველარ ვიშუშებ იარებს,

კაცთ მგლობით გამგელებული კლდეს ვასკდები და ვღრიალებ.
წავსულვარ, როგორც სისხლი და
მოვსულვარ, როგორც ჩანჩქერი,
წავიღე თქვენი ჭირი და ახლაც ფიქრი მკლავს მტანჯველი.
შვილებზე დარდი საფლავშიც, მიყვება თურმე, მშობლებსა,
ღმერთით — არ ჩანდით ავდარში,
კაცით — არ ჰგავდით ობლებსა...
ჰოდა, ვინც გეძმოთ, ვინც გიძმოთ,
ვინც ძმა-ძმით გაგაძლიერათ,
ვისმა ძმობამაც დაგიხსნათ სისხლის წვიმებს-ცაიერადს,
დავლოცავ, ვლოცავ, ვავედრებ,
ყველა ხატს, ყველა სანთელსა...
და როცა გხედავთ სულით — მხნეს, გულით — მთელს,
ჯანით — ჯანმრთელსა...
გშველით წარსულის დიდება, გშვენით მომავლის იერი,
თქვენზე ფიქრით ვარ მწუხარე, 
თქვენზე ფიქრით ვარ       მშიერი...
...თვალს, პატიოსანს, ართვალის — ავთვალის ჯაჭვი გებადა,
ვით მარგალიტი ობოლი — გული...
მა სხვა რა გებადა?
რა იყო შენი ამჯარი — სულ ხარჯში იყო ხანჯალი,
მიგებით მოიგერიე რჯულ-ურჯულ-ურჯუკ-არჯალი.
ვიცი არ გიგორებია წითელი კვერცხი მტრისათვის,
პირი არ გიქორებია მუცლისთვის...
სულის ხსნისათვის! —
იხსენ და გიხსნა, სასნილოდ. სულის მხნეობით ზეობდი,
მუცელ-მუცალთან მტრობით და ხეკვთილ-ნატერისხეობდი.
არ გაკლდა მტერუდიერი, არ დაგიკარგავს იერი,
რაც უნდა იყო ხნიერი —
„ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!"
ძმობის და ღვინის სიმაგრე სიძველით გაიზომება...
ასობით წელი — ერთგულად, ორგულთან — ერთად ომებად,
ასობით წელი — ათასჯერ ძმობის შავი დღით გამოცდა —
საუკუნეებს გაცდა და საუკუნეებს გამოცდა!..
ერთობა ჩვენიძვის ტახტია, მტერი კი გაგულისა,
ნათესაობა — ღვთისაა, მეგობრობა — კი გულისა...
ის არის გენის გენია, ჯიშ-ჯილაგიევით ხნიერი —
ეს კი საკუთრივ შენია — ერთა ერთობით ძლიერი!
ის ტყეში ერთი ხე არის, ეს — არის ტყე უსიერი,
ისაა — სისხლისმიერი, ესაა — ნებისმიერი!..
...კაცი კი ნებით ინებე, იწამე ფიც-ვერცხლ-მტკიცობა,
კაცი კაცობით იცანი, კაცი კაცითაც იცნობა!..
რა განძი, რა ჯილ-ბაჯაღლო, რა შეედრება ამ მადანს,
მარტო — ძმის ცნობა, ძმის ძმობა — ღირსო,
თუნდაც ერთ რამადა:
ღობის-სარით და კაცით-კაცთ ზრდა-გაზრდად ერთი ასადა,
აუწონ-დაუწონელად — თავად სიცოცხლის ფასადა!..

...„გაუმარჯოს სიცოცხლეს“! – „სიკვდილი ფასობს მისითა“,
...ღმერთო, ეს მიწა მიცოცხლე, მისი მთა, ბარი, მისი ცა! –
თქვა მან, გასვდა ალავერდს და ალავერდი მიიღა,
მირიად ჭიქა-ვარსკვლავი მიართვა ოქროს ტივითა.
და აღავლინა ტაძარმა თეთრი ლოცვა და კურთხევა –
დე, იძალოსო ამ ძალმა, ღმერთით, ამ კუნჭულ-კუთხემა.
დამილოცნია სვეტ-ცხოველის მაცხოვრის კვართის ძალითო,
წარსულითა და მოსულით, ყრმით, კაცითა და ქალითო.
აღმაშენებელ-ბრწყინვალე-წამებულ-თავდადებულად –
ერთობით, ერთადერთობით –
ბედის ვარსკვლავთა კრებულად!..
...ქართველი იტყვის – „ჩემმა მზემ“, ან „მე და ჩემი ღმერთიო“ –
მზე გედგათ გულშიც, ენაზეც, დღე და ღამ ღმერთთან გეთიოთ!!!
...ტყემ ცქვიტა ფოთლის ყურები, მთვარემ ღრუბელი გაცურა,
იმეორებდნენ ჭურები, ღმერთების ნათქვამს, კაცურად.
წუთით შეჩერდა მდინარეც, ირგვლივ სიჩუმე გამეფდა,
ჩანჩქერმა, პირმომცინარემ, ღვთის პირით – საღვთო რამე თქვა!..
თვალს და ხელს შუა გაგვიტყდა ღამე იმ თიხის ჯამებში,
ბედის ვარსკვლავიც დაგვითვრა – თეთრად ნათევ ღამეში.
გათენდა, შემოგვათენდა, მთვარე გავცვალეთ მზეშია,
ჩანჩქერმა პირი დაგვბანა, ჯამში გვესროლა თქეშია,
მზის საზეოდ და სამზეოდ მადლი შევწირეთ გამჩენსა,
ყოველ სულიერ-ხორციელს – რაიც აჩენს და არჩენსა.
...ცისარტყელებმა მოხაზეს ქართველის სამოთხის რუქები,
ამ დედამიწის ლოყაზე (თავისი ნაქებ-უქებით)...
ვლოცეთ და ვლოცეთ – როგორიც იყო, არის და იქნება,
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტად“, ჯავნებათა და ჯიქნებად...
...რაღა არ ითქვა – ცის თუ ბრის, გაცნობისა თუ ცნობისა,
საწმის-სასმისად – ვის და რის:
ვაზის და ჭიგოს ძმობისა!..
ყველა ვაზი ვერ იქნება,
ყველა ვერ ისხამს მტევანსა,
ჭიგოსაც უნდა მიგნება, საქმეში თანამდევარსა.
შევეჩონგუროთ ერთმანეთს – აბა, დელია დელაო –
„ჩონგური საქართველოა – სიმები ჩვენ ვართ ყველაო“...
...ვაფრინეთ თასი ოთხკუთხივ, ცხრა მთას, ამ გორას, იმ გორას...
გადამთიელსა, ვინ უწყის, მფრინავი თეფში ეგონა!..
გლეხკაცის პეშვიც, ვით თეფში, ვიხმარეთ ნაჯაფ თასადა,
ყოველთა ლხინით ვილხინეთ – ჩვენი სამებაც გასამდა:
რაც მტრობას დაუნგრევია – ვიხსენებთ ნოეს კიდობანს,
სიყვარულს უშენებია:
1. ძმობას,
2. შრომას და
3. მშვიდობას!
...ხალხო!
მიხედეთ ამ სოფელს,
წუთია, მაგრამ ტკბილია,

ყველა ამ წუთისოფლის და ერთი დედ-მამის შვილია,
მამაშვილობას გაუიცებთ, ძმობას ნუ აქცევთ მტრობადა,
ცდომა — ვაქციოთ წვდომადა,
ღვთისწყრომა — ღვთისწყალობადა!
...„დავუსხით, დავალევინეთ ეს ღვინო ოხერტიალი"
და წალმა დავაძლევინეთ ქვეყნის უკუღმა ტრიალი.
ავდექით და ცას ავხედეთ, ცამაც დაგვხედა ალერსით,
ერთობ-ღმერთობა ვახსენეთ და აღვევლინეთ ამ ლექსით!
მივხედოთ ღმერთით ნაბოძებ ამ ზვრებს და ამ ოქროყანებს. .
არ გავაცინოთ მტერი და არ ავატიროთ მოყვარე!
ეს 1001 ზღაპარი ქეიფში ღამეს თევდა —
თვალი ვუსწოროთ ნათელს და... ამასობაში გათენდა!..
...ავაჩანჩქერეთ დოქები, ავატორტმანეთ ჭიქები,
ვარკინ-ვარქინეთ ყანწები, მზეს შევაჯახეთ ჯიხვ-რქები...
ცა—მიწა—წყალი—წაწალი —ჯაგან—ჯიქანი—თავველი —
სამოთხე ერთი ფიორი — საზომი ღმერთის მტკაველით!
შენ ხარ და შენი ნაბადი, გამთენებელი ღამისა —
მე ვარ და ჩემი კალამი — ამსხმელი თავსხმის ამისა!
ჩანჩქერი მოჩანჩქარობდა და თავის სათქმელს ჩქარობდა —
ცისა და მიწის შემყურე — კაციც და ღმერთიც ხარობდა!
...უნახავის ვარ მნახველი და ამად ვიჯექ ხამადა,
ასეთი ენაწყლიანი ...ჯერ არ მინახავს თამადა!

1987 წელი, მწიფობისთვე.

ბაბუების, შვილების და შვილიშვილების,
ანუ წარსულის, აწმყოსა და მომავლის,
ანუ თაობების „ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი"
„ღვთაებრივი" ტრაგიკომედია

## „პაემანი ვერაზე"
## 2
## თბილისური საღამო!!!

(ღვთის წყალობითა და კეთილი ადამიანების ნებითა
და თანადგომა-შემწეობით)
მონაწილეობს თბილისური ელიტა — მკვდრებიცა და ცოცხლებიც!
„წარსულს, მოსულს, ძველს და ახალს —
რაც გინახავს... ისევ ნახავ!"

— რა ჰქვია ამას?
— მონატრება დედის და შვილის!...
თბილისში ვცხოვრობ
და თბილისში დავეძებ თბილისს!

ცისარტყელებმა მოხაზეს რკალი
— სამოთხის კარის... ნიშნად დარისა —
„ვარდისფურცლობის ნიშანი არის
და დრო ახალი პაემანისა!"

დრო მიდის...
გვითელის ნაბიჯებს
და უკან აღარ ბრუნდება...
ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს —
მეორედ მოსვლის უფლება!

ყველას, ყველას, ყველას გიწვევთ
„პაემანი ვერაზე",
რომ ერთმანეთს პირში ვუთხრათ, ჩვენს თბილისურ ენაზე:
ვინ ვიყავით, ვინ ვართ, რა ვართ, ან ვინ გვინდა, რომ ვიყოთ...
— ჭირი — იქა, ლხინი — აქა, ძმებმა ძმურად გავიყოთ!
ვუთხრათ შვილებს, შვილიშვილებს, ვისი გორის არიან,
— შევაღვიძოთ საქართველო, თავის მთიან-ბარიან!
რომ ფიც-ვერცხლი, გულის ცეცხლი თაობების კერაზე,
— არ ჩაგვიქრეს... ერო, ბერო, შევუბეროთ ვერაზე!

გაძლოს გენმა თბილისურმა —
მესმის მათი გულის ფეთქვა —
აქ, ვერაზე, მათმა სულმა —
შადრევნებად ამოხეთქა!

კონცერტის მსვლელობის დროს ჩართვები რეგიონებიდან, შეიძლება აუდიო-ვიდეოჩანაწერებიც. „პერებივკებისთვის" აზურ ნაცვლიშვილის ფერადი პალიტრა (ტელეჩანახატი)

სალამო იწყება ქუჩაში, 17 საათზე და 30 წუთზე.

სამფეხა ფოტოაპარატი ძველებურად იღებს სამახსოვრო სურათებს.

უკრავენ „პადზემკის" მუსიკოსები.

არღანი მუზასთან დგას და შორიდან იწვევს თბილისელებს ძველებური ჭრიალით.

ფილარმონიის კიბეებზე მედოლე ბიჭები (გოგოტიშვილის) დაფდაფებით გვიხმობენ „პაემანზე".

მონაწილე ვაჟები, ავტორთან ერთად, ფილარმონიის წინ არიან შეკრებილები. მემტრედე (რეალური პიროვნებაა) უახლოვდება მონაწილეებს.

ჩიტო: ხალხო, პაემანზე ქუდზე კაცს ეძახდით და ჩვენც მოვედით! „კაცი ვარ და ქუდი მხურავს". მე, ძმებო, თბილისელი მემტრედე ვარ. ჩიტო მქვია (გვარი?) მეც კაი ჩიტი ვარ და ჩიტოსაც მეძახიან. ჩემი ჩიტები ჩემპიონები არიან. რით შეგვიძლია, გემსახუროთ? რა ხდება აქ?

გიზო: შთამომავლობას წერილს ვუგზავნით!

გიეი ბერიკაშვილი: მისამართი?

გიზო: XXI საუკუნე.

კახი კავსაძე: ვის?

გიზო: ახალ თბილისს.

ზურა ბერიკაშვილი: ვისგან?

გოგა პიპინაშვილი: ძველი თბილისელებისაგან.

გურამ სალარაძე: რატომ?

გიზო: თბილისური სულის, თბილისური ხასიათის გადასარჩენად.

გიზო: რა ჰქვია ამას?

მონატრება დედის და შვილის...

თბილისში ვცხოვრობ

და თბილისში...

დავეძებ თბილისს!!!

ჩიტო: ჩემი თავი გენაცვალოთ და ჩემი ჩიტებიც! თქვენთანა ვართ! (აჰა, ეს წერილიც) შევაბათ და, ჩვენს სულთან და მოკითხვასთან ერთად, ჩვენს მომავალს გავუგზავნოთ!

გიზო: მობრძანდით, გელით გაშლილი ხელით!

*(გააფრენენ მტრედებს... შედიან ვესტიბიულში)*

ვესტიბიულში — დები იშხნელების ჩანაწერი („და ის, ვინც გვიყვარდა, და ის, ვინც გვახსოვდა"

აკაკის ხმა „მთაწმინდა ჩაფიქრებულა" (რ. ლაღიძის ამავე სიმღერის ფონზე — ნანი ბრეგვაძე)

დარბაზში — უნიკალური რადიოჩანაწერები — იოსებ გრიშაშვილის

„შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა..."

„საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი შიგ ჩასმული ბადახში..."

აგრეთვე,
ა. ჩიმაკაძის „ფიროსმანი"

ძაგნიძე, ჩხიკვაძე „ჩემო ჩიტუნია"

ბაგრატიონი „ყვავილების ქვეყანა"

ჩაფიჩაძეების „თბილისო"

ეს ყველაფერი გადანაწილდება დარბაზსა და ვესტიბიულში, სანამ „პაემანზე" მოსულები ადგილებს დაიკავებენ.

მე-13 რიგში (ჰორიზონტალურად) და მე-13 ადგილზე (ვერტიკალურად) დაწყობილია სასაჩუქრო წიგნები „პაემანი ვერაზე", ავტოგრაფით.

კვენეტაძის კლიპი „პატარა და დიდი ბიჭი"
გოგოების პანტომიმა — ნოტების ხაზები
სიმღერა — გამათბე და ა.შ.
ფილარმონიის სცენა.

ეკრანიდან დარბაზში შემოფრინდება ქუჩაში გაფრენილი მტრედი. ეკრანზე იწერება გაკრული ხელით:
*ცისარტყელებმა მოხაზეს რკალი*
*სამოთხის კარის (ნიშნად დარისა).*
*„ვარდისფურცლობის ნიშანი არის*
*და დრო ახალი პაემანისა"!*

ეკრანი:
*პროლოგი:* „დიდმა ლომმა ბრძანა"...
რეპლიკა — შვილიშვილისა — „პაემანი ვერაზე" (გიო)
პაემანი გიზო ნიშნიანიძესთან — „სალამი ჩემს სასალმეთს" *(წიგნის ყდა)*
რეპლიკა — „კიდევ ერთი თეთრი ღამე გავუთენოთ თბილისს"

ჩვენი მამების თაობის სახელით — გიზო ნიშნიანიძე
(ეკრანზე ანკეტა)

დოსიე:
პროფესია — თბილისელი;
ხელობა — სიტყვით, სიცილით მკურნალი;
სამოქალაქო წოდება — დედაქალაქის ნდობით აღჭურვილი პირი;
„სასულიერო წოდება" — ვერის ბერი.

(გაკრული ხელით იწერება:)
*იყავ შუაკაცი მიწათა და ცათა,*
*არხარის რქა გეპყრას ხელში ვეებერთელა,*
*სადღეგრძელოს სვამდე ჩვენს დათა და ძმათა*
*და ამ ყანწში ესხას თბილისი და ვერა!*

## პატარა ეკრანი

რამაზ ჩხიკვაძე: „ხახვზე გატეობთ კმაყოფილობას... ვო-წევბთ მეორე განყო-ფილობას"

*(ან ეკრანზე, ან დღევანდელი ჩანაწ-ერი, ან ცოცხლად)*

„ქეთო და კოტე" — „ხალამი ჩვენს მახპინძელხა"

კადრები კუზანო-ვის ფილმიდან: მეარ-ღნე დადის და თავის თავს ელაპარაკება. ძველ თბილისს იგ-ონებს (ფირი).

შემდეგ ბუბა მღერის „მეფაიტონეს" *(ერთი მუხლი)* — ფონად გავა ბუბას ეარხკვლავის გახსნის კადრები.

ბუბა — „მიყვარს ძველი უბნები".

სამივე ეკრანზე — ძველი თბილისი და თბილისელები — კა-დრები დოკუმენტური და მხატვრული ფილმებიდან.

## სცენა დიდი ეკრანი

სცენები „ხანუმადან"

კადრები თბილისზე (ისტორია)

*(ბუბა სალამოს მონაწილე მსახ-იობებთან ერთად გამოდის სცენაზე. ხელს ართმევს ავტორს. ავტორს ამქრებივით აჰყვებიან*

## მორბენალი სტრიქონი

ილია: „დედ-ბუნებიდან კაცთა მა-გალითებით ისტო-რია ხნურთნის ერსა"

კ ა დ რ ე ბ ი თბილისზე *(თანამედ-როვე)*

| | | |
|---|---|---|
| | *თბილისელი მსახიობები. ბიჭების „დასტა“ — ბერიკები (მამა-შვილი), გურამ სალარაძე, გია ბურჯანაძე, გოგა პიპინაშვილი, ლადო ხელაშვილი, ალეკო თეთრაშვილი, მერაბ დონაძე... (შესარჩევია!)* | კაკო: ..ვინც მოიხადა ამ სოფლად ვალი...<br><br>..თუ იდეალი მწერლისა. მხოლოდ პური და ღვინოა. რა არის, თუ არ ნუკაკო. პურისთვის მუფთი გომია<br><br>..მაშინ უფრო მდიდარი ვარ, როცა უფრო ღარიბი ვარ<br><br>..სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი<br><br>..სიყმაწვილემ რომ იცოდეს და სიბერეს რომ შეეძლოს |
| წიგნის ტექსტი განაწილდეს თბილისურ „ბაზართან“<br><br>გიზო:<br>დილით ადრე ვდგებოდით,<br>მზის ამოსვლას ვხვდებოდით —<br>სიცოცხლის აზრს ვწვდებოდით,<br>ღმერთს ვებაასებოდით.<br>მაშ!<br><br>ბიბინა კვერნაძის „შემოდგომის ყვავილები“ (სიმფონიური ორკესტრი)<br>დათო ხუჯაძე „გენაცვალე“<br>თბილისის კოლაჟი რუბრიკით „ქალაქური ალბომიდან“ (კადრები და დუბლები ამ ფილმიდან). ძველი თბილისის ნოსტალგია. | *მოხეტიალე მევიოლინე დადის და აკომპანიმენტს უკეთებს ტექსტებს — ეს ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილია, მისი სახელის მოზიარე — ივანე ჯავახიშვილი (ფირი ან ცოცხალი შესრულება).* | |

გურამ საღარაძე:

XI საუკუნის „მატიანე ქართლისაში“ სწერია, რომ ტფილისს „ტფილელი ბერები“ მართავდნენ — ანუ ქალაქის თავადნი — უხუცესნი... ჩვენი ბიჭობის დროს, ვერისუბნის ერთ-ერთი გამგე და გამგებელი შიო მღვიმელის შვილთაშვილი, თბილისელი რაინდი — მხატვარ-დეკორატორი და ქალაქის „ჩუქურთმა“, მისი მთავარი ორნამენტი შოთა დედაბრიშვილი იყო, თბილისის ფერ-უმარილი, ფერმწერი და ხასიათიანი თბილისური ყაიდის კაცი... თბილისს შენობით რომ ელაპარაკებოდა. მან ერთი საზეპირო სტრიქონი დაგვიტოვა:

კილაკი — თბილისი. ძველი ქალაქის ძველთა ხეუსაკები, თავები (გადასაღებბია). აქეც. ბერიკას თავი გადათამაშით.

კადრი ველოდრომიდან: ქარის ანენილი ქუჩა. ხალხი დათრინავს. ფოთოლცვენა.

გიზო:

Здравствуйте мой тбилисские тротуары - пишите свой тротуарные мемуары!

მე ახლა ვგავარ ფიროსმანის მეეზოვეს, რომელიც შემოდგომის ფოთოლცვენაში თბილისში აქუჩებს ფოთლებს, ცეცხლს უკიდებს, თვითონაც თბება და ჩვენც გვათბობს.

*სინათლე მოძებნის ლეკიშვილს (ავტორს სიმღერისას „გავა დრო და მოვუყვებით შვილებს“), გიზო მიდის მასთან და ხელზე ეამბორება.*

*ადგილებიდან წამოიშლებიან მსახიობები და პიუპიტრებთან იწყება კითხვა-განკითხვა ჩვენი წარსულის, აწმყოს და მომავლისა!*

გია ბურჯანაძე:

მოვა დრო და მოვუყვებით შვილებს... „მოვა დრო და დაზამთრდება გულში“ — როგორც ერთ სიმღერაშია. მოვიდა ის დრო, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და რისი წალებაც შეძლო, წაიღო, მოტანით კი მრავ-

გოგი დოლიძე „გავა დრო და მოვუყვებით შვილებს“

კარდების რევოლუციის, მიტინგების, თბილისური ომის

ამსახველი კადრები.

ალათასიანი ახალი „პაემანი" მოიტანა, რომელსაც სულ სხვა სახელი — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჰქვია (ახირებაში ნუ ჩამომართმევთ და ისიც ვერელებმა დაიწყეს)

ლადო ხელაშვილი:
ბედნიერია ჩვენი „პაემანი ვერაზე", თუნდაც იმით, რომ საქართველოს განთავისუფლებაზე ლაპარაკს მოესწრო... ბედნიერია ჩვენი თაობა, რომ საქართველოს განთავისუფლებას ელირსა.

პატარა ბერიკა:
ერთი რევოლუცია კი, თავისუფლებასთან ერთად, თბილისში თბილისური ემხის დაბრუნებასაც დასჭირდება!

საცეკვაო მუსიკა: პირით მღერიან რიტმულ საცეკვაოს (ჯამბურია?). ცელეჩანაწერი. მერე დოლიც ნელ-ნელა გაახურებს ცეცხლს... (მესხიძ-ის მედოლეები)

ძველი თბილისური ბაზარი. ქალაქური კოლორიტი.

გიზო:
დღეისა... ხვალემა თქვას!
გუშინდელმა — გუშინდელის!
მოდით, შევიაროთ ბაზარში, იუზგარ! სკოლამდე დრო არის ჯერ კიდევ ბევრი...
დახლებს დავუაროთ, ახლებს გავუაროთ, უზღვავი მივუზღოთ — გაველენოთ კევრი.

კადრები კინოფილმიდან „ღიმილის ბიჭები" (ბაზარი)

გია ბურჯანაძე:
სულ ოქროს მარცვლებად... სიკეთემ იბარტყოს, ნუ ჩაგვთელით ბაცნებად, დე, მადლმა იმადლოს...
ნდობის და შენდობის, პური ჩვენ არსობის და არა ნავსობის და არა თარსობის...

გოგა პიპინაშვილი:
სიფთაზე, ცის ფრთაზე ეკიდა სუფთა მზე
და ზღაპრულ ხალიჩას ჰგავდა.
ბაზარმა იცოდა, იმ საძმო სუფრაზე
რომ ბევრი სარჩენი ჰყავდა.

კადრები კაკა მირჩილაძის გადაცემის თბილისური ყოფიდან.

ბაზარი

ლადო ხელაშვილი:
ეე, რას იკრიჭებით, შეეიდეთ,

ბიჭებო და დახლებს ჩავუკრათ თვალი,
დე, მუქთმა ქლიავმა მოგვეკვეთოს კიჭები,
თვალს დავალევინოთ წყალი.
ზრდილობისათვის ვიკითხოთ ფასი და უფასოდ მივირთვათ ბალიც.
ჩვენ არ დაგვამადლის ასიდან ასი და
დავიდოთ ეს ერთი ვალიც!

გივი ბერიკაშვილი (*დუდუკებ-ის ფონი, დილის საარი*):
დილის მზე რომ თბილისს მიე-სალმებოდა —
მუგუზალა მარნყვებს ცეცხლი ედებოდა.
კაი ნაცნობივით ყველას უცინ-ოდა,
ყველას მისი წილი სითბო უწილადა.
ჰოდა, დილის მადლით ქროდა გრილი სიო,
კაცი აზროვნებდა სამადლ-სა-ნისიოდ...

ძველი თბილისი.

თბილისის ხედები — ქუჩები, კადრები ჩემი კასეტებიდან, მველი თბილისის ტეირთით დავდივარ თბილისში... და დამაქვს „დარდის გუდურა გრილი"!

პატარა ბერიკა:
და დილის საარი მოლერნმისლ-ერობდა.
მყიდველ-გამყიდველის იმ ჯარს რომ ლხენოდა.
მუშტარს უშტარისა, აბა, რა უგავდა,
მყიდველს — გამყიდველი:
ერთრჯული,
ერთგული,
ერთსული,
ერთხორცი თუ ჰყავდა!

გურამ საღარაძე:
სოფლელს ქალაქელი ძმასავით ელოდა,
მაშინ, როს მასავით არავის სცხელოდა,
მაშინ, როს კაცისგან კაცს არა სწყენოდა,
მოგქონდა სოფელი, კაც-ხურ-ჯინ-ცხენო და
ქალაქი — დალაქი ჭირნახულს პარსავდა,

ერის ნიშამე.
ბერის ნიშამე.
ქვეყნის ნიშამე...
რაც მართალია —
მას — ყველაფერი.
სხვას — არაფერი.
ეს ვერაფერი სა-
მართალია!
გ. ნ.

სოფელი — ალაგი არც ჭამდა, არც სვამდა
უმისოდ — უძმისოდ... იცოდა, რა დროა
და ისიც, ცალკერძი ჭამაში ცოდოა,
მით უფრო, უჭმელი, უსმელი, უცმელი,
პირში გვალვიანი და ჭირში უთქმელი.
ცალკეტუჩაობა მოდგმით არ მოგვედგამდა

გივი ბერიკაშვილი:
ჯამაათს ელოდა ერთ ჯამით რომ დგამდა
ლობიოს კაცი და ერთ გობში მეგობარს
უყოფდა უყოფს და გაყოფით მეფობას!
კაციც სწორი იყო და სწორი სასწორიც,
ანი ენდობოდი სიტყვითაც აწონილს,
უწონლად აწონილს, ზედ გულით დაწონილს...

ზურა ბერიკაშვილი:
და არა ქედხუდით — სხვა ქედით და ქუდით,
მრუდეს ასწორებდა, აწონასწორებდა
სინდისი, ნამუსი — სიწმინდით ჯამისა,
სიზუსტით გრამისა იოტით, ლამისა,

კაცის ფასი კაცმა იცის, ბიზნესმენი კი იმდენი ღირს, რამდენიც აქვს.

გ. ნ.

გივი ბერიკაშვილი:
რით ველარ გაუგე გემო ამ ღვინოსა...
შენა, ჭოე, სულ მუქთა ყოფილხარ, შვილოსა!

კადრები ძველ თბილისზე; ხევდიანი თბილისური მელოდიები.

გოგა პიპინაშვილი:
იმერლის ხარჯულაც ასე გახარჯულა,
კახურმა რაც აკლო, კუხურმა არჯულა...
და იყო სიცილი ჰომერისნაირი,
ტუში — ტაშ-ფანდური-დოლ-გარმონ-დაირით,

ლაზლ-პაჭიჭ ქსოვა და ხარ-ჭედვა ყაირით —
სიტყვით კენწლაობა, ფშაური შაირი.

კადრები ძველი თბილისის ქუჩიდან.

*(დოლის აკომპანიმენტზე)*

გივი ბერიკაშვილი:
აური, ზაური, აბაზი, შაური —
დოლ-გარმონ-ხმაური და დიმპი-ტაური...

ზურა ბერიკაშვილი:
ტაური, ტაური, ტაური, ტაუ-რი, იგავე-არაკული, არაკ-იგა-ვური...

კადრები ძველ თბილისზე. ხევდიანი მელოდიები.

გივი ბერიკაშვილი:
მეც ხამი როდი ვარ — მიდი და მოვედივარ — იმ საძმო როდინის ქვა და შიფრ-კოდი ვარ.

ჩიმაკამის „შენ გიმ-ღერი", ფიროსმანის „ბურ-მარილის" კა-დრებით.

ლადო ხელაშვილი:
„სულ დაუსეტყვა შეთესა, რაც რომ მომკა და შეთესა,
ომათი დედა ვატირე, ვინც ეგ ლექს შაგიკვეთესა"...

კადრები ჩემი კასეტებიდან.

გივი ბერიკაშვილი:
ალათასა — ბალათს, შუშა კი-ტრის კალათს,
თუთა — ხართუთასა ანონიდი ცალად.
გვეპიტნავებოდა პიტნა ჭყინ-ტი ყველით,
ქორწილს გადიხდიდი ერთი ოყა-წველით.
აქეთ — ტყემალი და იქეთ — ტყემლის ბუში,
აქეთ — ზვინი ქინძის, კამის, ოხრახუშის...

ბლეზ პასკალი: „...კაცობრიობა ორ ნაწილად იყოფა: ალა-ლმართლებად, რომ-ლებიც ცოდვილებად თვლიან თავს და ცოდვილებად, რომ-ლებსაც თავი ალალ-მართლებად მიაჩნიათ!"

ზურა ბერიკაშვილი:
აქეთ ალუჩები — საკოცნი ტუ-ჩებით,
იქეთ კუ — კაკლები, ქერქლე-გა ზუჩებით...
ნივრის, პრასის წნილი, ჭარხ-ლის თუ ღანძილის...
კაციდან — კაცამდე საკოცნი მანძილი...

აქეთ — სიმინდის და იქეთ — ფქვილი პურის,
ხალხი მილეთის და მაინც ერთი რჯულის,
მაინც ერთი ჯურის, მაინც ერთი ჭურის,

გია ბურჯანაძე:
ერთი ჯიშ-ჯილაგის, ერთი ჯიქან-ცურის! —
მტკვრის მღვრიე ლიმანის, თბილისურ ჯიგარის,
ჭრელი ბოშასავით და არა ციგანი.
თბილისურ მეტრით და არშინით მიმგვანი,
სხვადასხვა და მაინც ერთ სიგრძე-სიგანის...
ელეთი-მელეთი, კოდა და თელეთი,
მთელი ეს დუნია — მტკაველა ხმელეთი...

მუსიკა „ვერისუბნის მელოდიები": „თეთრია თუ შავია", „ანა-ბანა".
„მაგდანას ლურჯა" _მენახშირის სიმღერა.

გოგა პიპინაშვილი:
სინსილა არ იყო ხარბი და ხამისა,
მოწმე ვარ ამისა, მოწმე ხარ ამისა.
იმ ანონ-დანონილს რა წონა ანონის,

ძველი თბილისის კადრები

ბელისხვი: პა-ურისან ადამიანებს ცუდი ჩვევა აქვთ — უცხოელთა წინაშე ქედს იხრიან!

გია ბურჯანაძე:
მანოოონი, მანოოონი... იალაღს ნანოვი...
პირ-რძე შეუშრობი ნაგრამი ანონის,
ჩვენი ბადიში და ჩვენი მომავალი,
წარსულთან, ბოდიში, მომავალს მაეალი...

ლადო ხელაშვილი:
მომავლის ყანთარი, მომავლის ყაფანი,
მომავლის სკრუპული... სხვა ზომა და წონა,
რომელიც ანონის, რომელიც დაწონის და მადლს ამ სასწორის,
ერთ ქილა მანონად
არ გვიანგარიშებს არც პენით, პიასტრით, არც ობოლ-ყურუშით, კაპიკით, მანეთით,

კადრები ჩემი კასეტებიდან

ძველი თბილისი.

ლიერით და ლირებით, ლევით და რეალით...
ანონის, დანონის — სიგრძე-სიგანეთი!...

გიეი ბერიკაშვილი:
ეს ხონჩა და ფარჩა ნატურმორტად დარჩა,
ახლა ნაქულბაქარს, როგორც შენს პირს შაქარს,
ვერ ეუპოვენი სიტკბოს, ვერ ეუპოვენი სითბოს,
ერთი ტკბილი სიტყვა... ძვირი ღირდეს, თითქოს!
ნეტავ, რამ გაგვერნა ეს ჩვენი ტაეერნა,
პირუხეი, გულუხეი ძველი სამიკიტნო...

კადრები ჩემი კასეტებიდან.

ლადო ხელაშვილი:
ბევრი ჰყავდეს მჭამელად, ახლა ერთის ნაცვლად,
ბატონობს, პატრონობს, ზოგჯერ სამი კინტო!

ზურა ბერიკაშვილი:
საცემი არიან ასეთი კაცები,
მათთვის სულ დარია გატაცდატაცებით,
სიტყვა „შანსიანი" ვინც მეტრად აქცია,
იქნება, ვერც მიხვდა, როგორ დაგვაქცია.
ვაგინებ მათ მოდგმას, ვუთელი ანათემას,
ასე მიუდგომელად ვუდგები ამ თემას.
გულზე ხელის ნაცვლად ფულზე ხელს იდებენ,
სხვას არ თელიან კაცად, ფეხზე იკიდებენ,
ვერცხლის სიყვარულმა ფსკერზე ჩაძირა-რა,
მამონამ ამონა ბევრი ნაძირალა...

ეპიგრაფი: „ი. ნეესი. რაკიმ მიეკი მან ადამიანს ნიშანი ყელზე და ნიშნეული იქნის გასარჩევად, რიკა თვითონ მას არ დაეუ რამე ნიშანი სიკვდზის და არაკაციბის საჯნიშად!"

გიზო:
„ის დრო წავიდა, როცა იკითხავდი — რა მოგცე? — და გიპასუხებდნენ — რაც შენი ნება იყოს"-ო — გალაქტიონმა.

გრძელდება კადრები და ხიმღერები თბილისზე.

გია ბურჯანაძე:
მამა-პაპათა ხელდასმულს,
არ ეკადრება ხელყოფა,
ქვეყანა ნაცრად ვაქციეთ,
თავზე საყრელად გვეყოფა!

გურამ საღარაძე:
აფსუს!
ცეცხლო — სულის ქურის,
სიტყვავ — გულისყურის,
ლხინო — შოთის პურის,
ყინო — თონის სუნის,
ღვინო — შრომის ჭურის,
გრილო — თიხის სურის,
არ დატოვებ სურვილს,
მოკლავ ყველა წყურვილს...

გრძელდება კადრები ჩემი კასეტებიდან.

გია ბურჯანაძე:
ჩინო — ბაზრის თვალის, სინო — მადლის — ხელის,
ზვინო — საძმო გობის, ტკბილო — გობით ძმობის,
ანუ მეგობრობის, არა მეკობრობის,
არა სულობლობის, ობლის კვერის ცხობის.
გასავალო — გრძნობის, მოსავალო — ლმობის,
არა მუცლით ძღომის, კაცის კაცით ცნობის!

ბენჯამენ ფრანკლინი: ძმა ყოველთვის არ არის მეგობარი, მეგობარი კი ყოველთვის ძმაა.

გოგა პიპინაშვილი:
აზრო სიცოცხლისა, საზრდოვ ერთი დღისა,
ლუკმავ, გასაყოფო, უკმარ და საყოფოვ...
ზღვაო ნუთისოფლის, ტბაო სოფლის ოფლის,
გზაო მიწის ხნისავ, ხვავო ნატერის ხისავ,
მურთხო ჭიუხისავ, რქაო სიუხვისავ...

გიხო: მეც მანდ ვარ. ბატონო ბენჯამენ: მიდი, თბილისურად — ძმებში ძმაკაცობას და ძმაკაცობაში ძმობას გაუმარ...ჯოს! კარგია!

ოთხი გიას ხახუმარო ხიმღერა: ნუში შვილი მემწვანილე მინდოდა.

ზურა ბერიკაშვილი:
ურმის კონკილები, ქეშელი ტიკები,
კიოფი — თეთრშუბლა და კავშა ცხენები,
თავმოსართავებით, თიეაზე თავებით და
ერთ ტომარაში ნარევი ენები —

ცხენების...
და თივის ხვიხვინით ხრამუნი,
ხრამიდან ხრამამდე — ხრამუ-
ლი, ხრამული!...

გივი ბერიკაშვილი:
ვის ჰქონდა აზრადა, ეზარდა მაზანდა,
აქ ომი მუცელთან უომრად დაზავდა.
...პატარა ლავაში — სოფლური თაფლვაში,
იმ თონე-ვულკანში, ამ თონე-ლაველში,
რა დედას პურები, რა მისის ნულები,
უძლები ყურებით... გაძლები საფლავში...
ზედ თლაშო არაყი — დილის მადლისათვის,
მთელი დღის მარაგი მიდის მადისათვის,

ზურა ბერიკაშვილი:
ვის ჰქონდა აზრადა — ექცია ბაზრადა,
რაც ჰქონდა ხაზადა, არსობის ლაზათად!
ეს ხალხი, ეს ალხი, ეს თალხი აზამბარს —
ერთი წრფე-წრფელისთვის თარაზოდ ხმარობდა,
დარშიაც, ავდარშიც, იალშიც, კიალშიც —
„კაცი კაცითაო" — და-ძმობით ხარობდა.

გურამ სალარაძე:
...ხარები კი იდგნენ — კევილექიები,
არა მცონარენი — ღლეტიბექ-იები,
მოზერებს გასცქეროდნენ, სახ-ატე კურატებს,
მსხვერპლად შესაწირებს, ხარივით გულადებს...
ცრემლი მოჟონავდა თვალზე ხარისთვალას,
კაცმა ხარის ცრემლი ვეღარ დაითვალა,
თავისიც ჰყოფნიდა, სისხლი და

წარსულის დიდე-ბიდან... ძველებურ კედლის ხალიჩაზე კამომხრჩვალი ფარ-ხმალი შემოგვრჩა...

...მშვიდობის მა-ძიებელს დახაკინ კაკზე იყურიდნენ. საქართველოში ვის ჰქონდა მშვიდობის ფუფუნება! თვითონ ეს სიტყვაც კი ორ-ჯერ იფურთხება!

დოკუმენტურ-მხატ-ვრული კადრები თბი-ლისზე.

ოფლი და
სხვა რა ჩარა ჰქონდა ამ წუთი-
სოფლიდან,

გია ბურჯანაძე:
...ნაფი და ნარაფი ელოდნენ ჭა-
შნაგირს
გასასინჯ ჭაშნიკს აქ სულ ჰქონ-
და ანშლაგი,
ღვინის ძეირს გლეხკაცი თვლის
დედის გინებად,
რკინის მკვენეტელასა და დევს
შერკინება,
იყო მეზვრის ქება, რქანითელ-
ზედაშეს:
— მოკითხეა მამაშენს,
სიცოცხლე დედაშენს...
ამ წრუპვა-წრუპვაში ბევრიც
მოიცელა,
რამდენი ნისია, ლოთი, ღორ-
მუცელა.

ლადო ხელაშვილი:
ჭოპორტის, დმანისის, ნავკისის
ლოდინში,
წყალტუბო — ქუთაის — ზე-
სტაფონ — ოდიში.
ძმრის ნაყვა და შეხლა ერთ საძმო
როდინში,
ალსავლის — მაიცა, დასავლის
ბოდიში...
მანგლისი, არც ისე შორს,
როგორც ინგლისი,
განგალი-აგანგალ და დინგლი-
დინგლისი,
დანდური მჟავე და ფანდური
ძირტკბილი,
სიცოცხლის სიცოცხლით დამ-
ფრთხალი სიკვდილი!

გურამ სალარაძე:
...ისევ ქორფა კიტრი, ისევ
ალუბალი,
ისევ ტარხუნა და ისევ ნიახური,
ახლაც მრჩება მათზე სული,
გული, თვალი,
მიტომ ავახურე, მიტომ გავახ-
ურე...
ბაზარმა გვიშველა, ბაზარმა
გვიშვილა
და ტიტველ-შიშველას ათბობდა

წარსულზე ფიქრი, ხშირად, შვილმკვდარ დედას ჰგავს, რომელიც ცარიელ აკვანს არწევს — ნათქვამია.

ჩემი კახეთები თბილისურ თემაზე.

ის ეერა.
რით ავხსნა, ვით ავხსნა დღეის ალგორითმით,
ქვეყნის მარჩენალი ეერის ის ბაზარი.
რა ზარი!... რის ზარი? და თბილისს გასარითმი
ეს კოსმოგენური ბაზარი-კვაზარი!

გივი ბერიკაშვილი:
თბილი, თბილი, თბილი,
ტკბილი, ტკბილი, ტკბილი — კაციან-ხორაგიანად,
ნისია — სხვისია... სხვისია... ვისია.
ნონიდნენ ბარაქიანად,
ურიგ-რიგიანად... ასე ივსებოდა

*(სოფიკო ჭიაურელი ეკრანზე)*

საერთო ყულაბა — ხონჩა,
ეს იყო ამ ბაზრის აზრი, ვინც ხვდებოდა,

*(მატარებლის ინტერიერი... კრძალდება ცოცხლად)*

იყო და არ იყო... მორჩა!

ზურა ბერიკაშვილი:
ასეთი იყო ეს აკადემ-ბაზარი,

*(ეკრანის კამერა. კორესპონდენტი გია როინიშვილი და რესპონდენტი გიზო ნიშნიანიძე)*

ვთქვათ ერთიც — ვხარობდით ამით და
რასაც იქ ერთი ის „ეერა" შერებოდა —
ვერ შეება უნივერ... სამი!

ალაგებულ სცენას ჰგავს ჩემი უბანი,
ახლა აქ სხვა სპექტაკლი გადის,
ასხვა ალი-კვალი და სხვა კაბაკუბანი...
აქ ჩემი ბავშვობა დადის...

გია როინიშვილი:
ჩვენი მატარებელი მიდის დანიშნულების სადგურზე. იყო დრო, როცა, როსტოვის სადგურისა არ იყოს, რიონშიც აფრთხილებდნენ ჩვენს მამა-პაპებს, ფანჯრები და კარები ჩაკეტეთო!

თბილისის თემა ჩემი კასეტებიდან *(ჩართვები)*

დღეს კი... მაინც რა გვჭირს ქართველებს?

ვაჟა-ფშაველა:
..ბალახი ფეყო ხათ
იბი.

თბილისის ხედები

გიზო:
ქართველებს გვჭირს ერთმანეთის ჯინაზე კარგად ყოფნის უბედურება!

არა მწვანე ცელობა, ცხვარად მამყოფა იხევე.
ოღონდ ამმირდეს მგელობა"

გია ბურჯანაძე: რესტორნებით გაივსო თბილისი. არი გრიალი!.. გვაქვს კი ამდენი ლხინის საბაბი?

..როცა ქვეყანა ნესს,
მაშინ ყველაზე უბედური... გახარებული კაცია"

გიზო:
ლხინისთვის არსებობს ათასი საბაბი, ,,დღეობა, ღრეობა, ხინკალი, ქაბაბი"...
პური, მარილი, რაღაცის ვალებში
და „პროსტო" ქეიფი... საბაბის გარეშე!
ასე გადმოვთარგმნოთ ეს პასუხი!

საერთო დარდმა დღეს იმდენი ცრემლი გვადის,
რომ ერთი წვეთი აღარ დაგვრჩა თავის სატირლად.
გიზო *(ეკრანზე იწერება ეს ლექსი):*

კადრები ჩემი კასეტებიდან

გიზო: ბატონი ირაკლი აბაშიძის ერთი ლექსიც მახსენდება:

ირაკლი აბაშიძე ლექსი იწერება

,,იქნება ჯობდა... კაცმა რომ თქვას, ჯობდა ნამდვილად.
მეცხოვრა ჩემთვის, მხოლოდ მწერლის ხმით და უფლებით.
უფრო ნამდვილად, უფრო ჩემთვის, უფრო ადვილად.
ჩემი ქალაქით, ჩემი ქუჩით, ჩემი უბნებით!"
თუ ამ დიდებულ კაცს და დიდებულ პოეტს ეს სანატრელად ჰქონდა, მე სხვა ცხოვრება ვერც მოვახერხე. ბატონ ირაკლის კი სანატრელი არაფერი ჰქონდა, ისე იცხოვრა, როგორც კაცურ კაცს უნდა ეცხოვრა.

გიზო:
ჩვენი ,,შტრაფნიკების" მე-8 ვაჟთა სკოლა, მერე, ეს ჩვენის 18-იანი მე-18... აგერ, ერთი ხელის გაშვერაზეა ფილარმონიის წინ. სხვა სკოლებიდან გამოგდებულები აქ იყრიდნენ თავს. აგერ, ჩვენი სახელოვანი გიგა ლორთქიფანიძე... ტყუილს არ მათქმევინებს. ერთ დროს ერთ მერხზე ვიჯექით და ათას საინტერესო ამბავს ვუყვე-

კადრები ჩემი კასეტებიდან.

ბოდით ერთმანეთს. ერთხელ, კლასის დამრიგებელმა ბატონი ლეონტი ლაბარტყავამ ჰკითხა: რასაა, რომ ლაპარაკობ მაქო?... მერე გეტყვი, მასწო... ძმაკაცივ-

თბილისის ომი.
მატარებლის კადრი

ით გადაუგდო პასუხი.

როგორია?

II კასეტა
შეილიშვილების შეხვედრა — ნიაზი და გიზო

გია ბურჯანაძე:
რას წერთ ახლა?

გიზო:
თურმე, ჩვენი თაობის ერთ კაცსაც ჰკითხეს, რას წერო და წერილსო.

— ვის სწერო?
— ჩემს თავსო.
— რა წერია შიგო?
— არ ვიცი, ჯერ არ მიმიღიაო!
ასე ვარ მეც.

გია ბურჯანაძე:
ცხოვრებაში ვისი ან რისი მადლიერი ხართ?

გიზო:
იმ ბრმა ტყვიის, რომელიც თბილისს ესროლეს და მეც მომხვდა!... ახლაც ტანით დამაქვს, რომ მუდამ მახსოვდეს სიკვდილი.

არც კი ვიცი. საიდან სად მივალ და რა საქმეილ მითა-მამებს წარბი!
მატარებლის ფან-ჯარასთან ვზივარ. ფანჯარაში საქართვე-ლო გარბის!

გია ბურჯანაძე:
ვინ ხართ თქვენ?

გიზო:
ამ კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ პირველ საღამოზე გასცა ნიაზ დიასამიძისა და ნუნუ დუღაშვილის სიმღერამ — „მე თბილისის მოტრფიალე ვარ“ და ვოცნებობ თბილისში ჩვენი შეილიშვილების ახალ პაემანზე!

თბილისის ხედები — დღე და ღამე

„ღობე-ყორეს ყვავე-ბი“ — ოთარ რამიშ-ვილი იწყებს და აგრ-ძელებს ანსამბლი.

რა დროა? — კარგი არის. კარგია — არა. სიყვა არის — პა-ცრინი არა! სმალი არის — მომქნევი არა! მწერალი არის — მკითხველი არა! კისე არის — სიმაგრე არა!

დრო მიდის, გვითელის ნაბიჯებს
და უკან აღარ ბრუნდება,
ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს
მეორედ მოსვლის უფლება!
რა არის ეს ცხოვრება,
მიჭირს აზრის მოგნება...
ერთ წრეს კიდევ დავარტყამ —
რაც იქნება, იქნება!

გალაქტიონი:
„ოჰ, როგორ მიდის ახალგაზრდობა.

ვერელების ვერ-

ნიხავი. ფოტო წიგნიდან გვ. 287; ავთო ვარაზი

„ფიროსმანი“ — ვარაზი მისი პროფილით (წიგნიდან)

ლადო ხელაშვილი:
მივდივართ, მაგრამ, თანაც, ვრჩებით...
თუმცა, წარსულთან ტყდება ხიდები.

დაუნდობელი სურვილი ლომის!
და ყოველივე როგორ ნაზდება,
როცა ახლოს მზე შემოდგომის.

გივი ბერიკაშვილი:
და, ამ ხიდებით და, ამ ხედებით...
ჩვენ, რაც დრო გადის, უფრო ვცივდებით,
თბილისურ გზებით, თბილისურ გზნებით,
ამ ლობე-ყორეს მიტომ ვედებით!

ვაჟა-ფშაველა:
გააჩნევა მშობელი
უმსგავსი შვილის ყოლამა.

გიზო:
ვერა, ვერასგზით, ვერასდიდებით,
ვერაზე ვარაზს ვერ ავცილდები

ვასილ ბარნოვი:
„ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
ოდეს გაზაფხულს მოველით.

მარინა კახიანი:
ვინა — ვინა და, ყველას გვენიშნა — ავთანდილ ვარაზს ჰგავს!

კადრები კ/ფ „ფიროსმანი“

გიზო:
ავთოს ცოლუ სახლში, თურმე, საჭერიტინოს აყენებდა და ავთომ უთხრა, ეგ „გლაზოკი“ უკუღმა ჩადგი, რომ მომსვლელმა დაინახოს, სახლში ვართ თუ არაო.

ვიღაცამ უთხრა, შენ შენს როლს ვერ თამაშობ, ფიროსმანი როგორ უნდა ითამაშოო? უპასუხა: მე ფიროსმანს კი არ ვითამაშებ, გავაცოცხლებ, ფიროსმანი ვიქნებიო!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ფრანგიშვილი: „პაემანი, პოეტური სახეებით ნაჩვენები თბილისური სახეთებია ფსიქოლოგიურ-ეთნიკური პროცესების კანონზომიერებით. იგი დედაქალაქის ისტორიული ფსიქოლოგია, ორიგინალური ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებია, რომლის ანალოგი ჩვენს მწერლობაში არ მეგულება“

გია ბურჯანაძე:
1970 წლის 13 სექტემბრის „კომუნისტი“ წერდა: იმ საბედისწერო — 37-38 წლებში, სამედიცინო ინსტიტუტის ბიოქიმიის კათედრის გამგეს, პროფესორ ვასილ ვარაზს შვეიცარიიდან კაროლონის სამეფო ინსტიტუტის წერილი მოსვლია: „პატივი გვაქვს, მოგიწვიოთ ნობელის პრემიის მოსაპოვებლად ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში“. მაშინ, ამ წერილის მიღება... ამ ქვეყნიდან წერილის ნაღების ტოლფასი იყო. ვასილ ვარაზმა

მცხეთა, ბაგრატოვანთა სამლოცველო „სვეტიცხოველში“

პეტრე გრუზინსკის ოჯახი

ბაგრატიონების ოჯახი

ნობელის პრემიაზე უარი თქვა და ეს წერილი არც კი გამოუჩენია.

*(ავტორი კითხულობს მოთა ნიშნიანიძისა და საკუთარ ლექსებს)*

როცა მე გარდავიცვალე,
იდგა აღდგომის სწორი.
სამარეში სარი ატირდა,
სახლში შვილი და ცოლი.
შემუდგნენ არაგველები
თავსი მკოსნის ცხედარს,
ფარებზე გადამასვენეს
და წამასვენეს მცხეთას!
საით, ბიჭებო, შევძახე,
მითხრეს: უფლისა ნებით...
აქ დიდი საქართველოა,
აქ არასოდეს ვკვდებით.
საცა მოთასი — იქ ჩვენიცა ეთქვათ!
ხმა ვედრების — ხავერდების...
არა ეალბი, რიომში...
მოწყდეს სააქაოსა და
მიწყდეს საიქიოში!
მცხეთაში ქვათა ქვითინი,
მესმის ჩურჩული ხეთა...
მცხეთა — მცხეთობით —
მემეცხეთა... მცხეთის მირონი
მცხეთა!

*(სინათლე მოიელის დარბაზს, სცენას და მოდის მცხეთის სამაროვნებზე, ეკლესიისა და სინათლეების*

თემო ნაცვლიშვილი:

ანა კალანდაძის „ქარი გიმღერის ნანასა“

*(თემო ნაცვლიშვილის, თემო ჩირგაძის და გოგი დოლიძის ფილმი.)*

*იწყება ბაგრატიონების თემა.*
*(სცენიდან პროჟექტორი ეძებს ბაგრატიონებს).*

გივი ბერიკაშვილი:

პეტრე გრუზინსკი!

... ნამდვილი მეფეც ვერისუბნელი იყო (ასე ვთქვათ, „ვეტერანი თვითმპყრობელობის“). რევოლუცია რომ არა, ბიძია, მეფე იქნებოდა სრულიად ქართველობის!

გოგა პიპინაშვილი:

ჯანო ბაგრატიონის „ყვავილების ქვეყანაც“ ეყოფა ჩვენს ქვეყანას... საგაზაფხულოდ!

ის გახლდათ სხვა მეფე, სხვა ბაგრატოვანი,

სახალხო არტისტი ნუცა-მესტიანად,

დატოვა მეჯლისად „ქორნილ-ალევანური“

და „ძველი თბილის“ ტაეის ფრესკიდან.

*(ეკრანზე — ცეკვა „ქართული“)*

*მღერის ლიზა ბაგრატიონი.*

გიზო:

უბედურია ის, ვინც საქართველოს ისტორიას სეირივით უყურებს.

*ფონზე)*

გიზო: ბიბინა იყანიშვილი (სურათი) აი, თანამედროვე დავით სარაჯიშვილი! „არალეგალური ქველმოქმედი"!

„ალილო"

„იავნანამ რა ჰქმნა"

თამარ ჩარკვიანი: „ღმერთმა ქნას, ყველაზე ღარიბი მე ვიყო საქართველოში"

ჯანსუღ ჩარკვიანის სიმღერა: „თავისუფლება ლომთა სვედრია"

არჩვამეების დუეტი (მამა-შვილი)

II კასეტა

ქეიფი. მიშიკო შენგელია. მღერის ტრიო. დევი სტურუა — ლექსი-მიძღვნა ავტორისადმი.

გიორგი გაჩეჩილაძე: „ქალაქი ქალაქს აღარ ჰგავს"

გურამ საღარაძე:

ჩვენს ისტორიას სკლეროზი სჭირს. ღმერთმა ნუ ქნას, ბაგრატიონებს, სააკაძეებს, ხერხეულიძეებს — ბაგრატიონების, სააკაძეობის, ხერხეულიძეობის შეხსენება დასჭირდეს.

გივი ბერიკაშვილი:

დავით სარაჯიშვილის, უყვარდა, თურმე, თქმა: ფული ცუდი ბატონია და კარგი მოსამსახურეო.

ზურა ბერიკაშვილი:

მანდვე ჩემი თანამედროვე თამარ ჩარკვიანის რეპლიკა: ფულიანებო, იყავით გულიანები! (*სინათლე ეცემა ამ სიტყვის ავტორს)*

(უკრავს თაკო ჩარკვიანის შვილი ირმა გიგანი)

შალვა დადიანი (იშვიათი რადიოჩანაწერები)

იაკობ ხუცესი (V ს.): „იყავ მხნე, მომთმენი და სულგრძელი"

დავით აღმაშენებელი: „მსაჯული მართალს სჯიდე"

გალაქტიონი: „მე ჩემს სამშობლოს, ძველი გზებით ვეღარ მივაგნებ. და აღარ ვიცი, მქონდა იგი თუ აღარ მქონდა"

„ქართველებმა უკან დახევა არ იციან, რადგან საქართველოში უკან დასახევი ადგილი არ არის.

დიდება საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირებს, რომლებიც მიუყვნენ და სამშობლოსათვის თავგანწირვის ნიჭი გადაარჩინეს.

ხელის კანკალით მემოსახულ

II კასეტა

დავანგრიეთ თბილისი, ტყვია ესროლეთ ქაშუეთს.

ქართველთა რუქას — არავინ იცის. ღმერთის გარდა. ეშმა რას უქადს!

გოგა პიპინაშვილი:
ღმერთმა იცის,
ეშმაა თუ ანგელოზმა ინება...
ეშმამ იცის —
ქებაა თუ ლანძღვა თუ გინება...
ფუფუნების არ გვაქვს ნება —
კაცია და გუნება —
ფუ, ფუ... ორჯერ იფურთხება
და ნუ წაგვძლევს ცდუნება"...

აზურ ნაცვლიშვილის პალიტრა იშლება (პერებიკებით) — თემიდან თემაზე გადასახვლელად.

მიხეილ ჯავახიშვილი:
..ხმალი თუ იშიშველე, კიდეც უნდა მოიქნიო!

ილია II:
..ივერნი, გორგასლიანნი, დავითიანნი, თამარიანნი!
მუდამ გახსოვდეთ პასუხისმგებლობა წინაშე ღვთისა და მამულისა.
არ მიდრკეთ, არ შეუშინდეთ განსაცდელს; ჯვარი, რომელიც გვიბოძა უფალმა, ბოლომდე უნდა ვეზიდოთ და ჩვენი მისია აღვასრულოთ.

დარბაზში სახალხო გმირის — გია აბესამის ოჯახის წევრები

გიზო:
„ტრაგედია უგმიროდ“ თუ გმირი უტრაგედიოდ?

თბილისის ომი

„ალავერდობა“ (გეიდარ ფალავანდიშვილის სცენა)

გიეი ბერიკაშვილი:
ფუ, ფუ! ასეთ ფუფუნებას!
გამოსორროსირებას!

ზვიად გამსახურდიას ესხე გურამ რჩეულიშვილზე

გია ბურჯანაძე:
ქართველს, ქართველის გარდა, მტერი არ სჭირდებაო, უბრძანებია შაჰ-აბასს ბაზალეთის ძმათა მკვლელი ომის დროს (რომლისთვისაც ჯერ სახელიც ვერ დაგვირქმევია)...

კადრები ხამებიდან! (ეკლესია სანთლებით, გალობით)

ომის კადრები

ახალგაზრდა ექიმმა გია აბესაძემ, სისხლმოწყურებული ქართველების წყურვილის მოსაკლავად, რუსთაველის გამზირზე — მარადიული სიცოცხლის ქუჩაზე ბენზინი გადაისხა, ჩირაღდანივით აენთო, მარადიულ ცეცხლად იქცა და სამშობლოს სიყვარულში დაიფერფლა.

ომი, მათხოვრები, ნაცრისფერი დღეები.

ლადო ხელაშვილი:
ეს არ იყო ის, რასაც ნიკო

ლორთქიფანიძემ „ტრაგედია უგმიროდ“ დაარქვა. ეს იყო საქართველოს ისტორიაში „ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი“ გმირი უტრაგედიოდ!

გიეი ბერიკაშვილი:
აფსუს, საქართველოს ისტორიამ გმირი ვერ იცნო!

გიზო:
სულო, ცოდვილო!
ზესტაფონში — ჩემს დედულეთში, სავარდოსანიძეოში, ჩემიანებში, რალა დაგიმალოთ და მეც ექვით შევალე აბესაძეების მამაპაპური სახლის კარი და, პურთან და მარილთან ერთად, სირცხვილნაჭამი, მისი ჯვარცმის თბილისურ კოცონზე მეც დავიწვი საცოდაობითა და... სირცხვილით!

მარინა რჩეულიშვილი:
ეძღვნება გმირების სიცოცხლეს და არდავიწყებას...

სწორედ, ამ ცხელ გულზე, ამ სინდის-ნამუსითაა დაწერილი ეს, ჯერ კიდევ გაურანდავი, სტრიქონებიც:
მე, აბესაძე გიასა — პატივს მივაგებ გვიანსა...
და მის საფლავზე ვახარებ სიცოცხლის ვარდს და იასა!

გოგა პიპინაშვილი:
არ ეკადრება ეპოქას მსგავსი გმირების ხელყოფა.
ქვეყანა ნაცრად ვაქციეთ, თავზე საყრელად გვეყოფა!

გია ბურჯანაძე:
9 აპრილი!
(რექვიემი)
ქრისტეს აქეთ 198...9 წელსა!...
წელს ეხვია, უხსნებელს რომ ვახსენებთ — გველსა...

სიმფონიური ორკესტრი კლასიკურ-დრამატული მუსიკით.

საუკუნის მიწურულში მოწურული რისხვა,
ბოროტების ახალა მტევნებს მრსიხანებად ისხამს!
იმ 9-ის ზამთარს — გაზაფხული თეთრი სევდით ყვება —
შემკრთალი და დაზაფრული გაზაფხული კვდება...

ალეკო თეთრაშვილი:
...როცა მამლის ბიბილოზე
დაეკიდა დილა...
როცა ძაღლის ალიონზე
ძაღლსაც არ ეძინა,
დღის და ღამის გასაყარზე,
გარეთ დაყრილ ბალღებს
დაერიენ... დამჯდარ კაცსა
თუმცა ძაღლის არ ყეფს.

გივი ბერიკაშვილი:
ცხრაკლიტულთან ცხრათავიან
დევს უპყრია კარი,
ამ ნკვარამში რას გაიგნებს
სანთელი და კვარი...
ერთი თხილი —
9 ძმამ გაყო,
ეს 9 — არ იყოფა,
იგივეა, წყალი ნაყო,
ჭირმა ჭირი შობა... ე კ ლ ე ს ი ა
სანთლებით

ზურა ბერიკაშვილი:
9 თვე მუცლით ატარებდა
9 ძმას — ქართველის დედა,
რომ 9 პირი ტყავი ეძრო
9-ჯერ 9 გზის მტერთა...
9 საცერი გავუცერი,
9 ვუზიდე კოკა, ომი
9 მუცელი დავაპურე — დანგრეული თბი-
სწორედ 9-ში მომკლა! ლისი

გურამ სალარაძე:
ცხრიანების ცხრილით
ეცხრილე საკრალური ცხრილი
და 9 მუზა გაეანითლე
სისხლიანი კვირით.
ისტორია მეორდება ცხრიანებ-
ის ცხრომით,
უფლის ლოცვა — ღვთისნყ-
ალობით,
ღვთის გმობით და ნყრომით!

ლადო ხელაშვილი:
ნეტარ იყვნენ,
ნეტარ იყვნენ —
ნეტარებით ცხრათა,
ზარების რეკვა დევეგმირები, დევენილები,
სასუფეველს ცათა.

გივი ბერიკაშვილი:
გიხაროდენ,
გიხაროდენ,
გიხაროდენ მკვდრეთით —
ვინც დამარხეთ საძაგლეთი
და იხილეთ ღმერთი!

ზღვა, სოხუმი, ბათუმის, ოსეთის ხედები

მარინა კახიანი:
სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველნო შვილნო,
აკენის საყიდლად ნასულსა, არ არისო შინო,
ვაჟის მამა — მზე შინათი და სეძეო ძუთა,
არნივების აკვანს არწევს ქართვლის დედა
ყურთან...
კვლავ ჩამესმის სახელები დიდთა წამებულთა
უფრო მეტი გახელებით — ჩვენ ჯიშთა და რჯულთა!

გურამ სალარაძე:
გოლო, ჩადექ საგულესა, გულის პერანგს ნუ ხევ,
ისევ ენახე საქართველო ცუდ სიზმრებში ნუხელ!...
საფლავიდან ადგნენ ძველი და ახალი მკვდრები
და მოჰქონდათ კუბოები საკუთარი მხრებით.
ღმერთო,
მამაზეციერო,
შვილთ ფარავდე შენთა!...
ერთობაა ერთადერთი,
ღმერთი ურთიერთა!..
თუ გვსურს, მეხი არ დაეცეს
ჩვენთა ნატვრის ხეთა,
ჯერ ჩვენ ვიყოთ ღმერთთან, რომე
ღმერთი იყოს ჩვენთან!

გალაკტიონი:
...ხელში გვქო-
რის სიმართლის თასი.
მასში მეფეები გრძნობის
ჩაწერე.
რასაც არა აქვს სიყვარულის ფასი —
დაღვენე, დაწვი,
გაანადგურე!

ზურა ბერიკაშვილი:
ზარებს რეკენ მოზარენი
სიონსა და ქაშვეთს
და მათ გაშლილ დროშებს
დროში სიო ათამაშებს
და მათ ხატებს, სანთლით ხელში,
თვით რომ ექცნენ ხატად,
საქართველო ნათლის სვეტში
მათ ხატებად ხატავს.

ეკრანზე იწერება:
ომარ ხაიამი:
ვინც ღამობს,
ქვეყნად
ბოროტებით
თავი გაირთოს.

ნინელი ჭანკვეტაძე:
შოთა ზოიძის პირით
მოანყდა თბილისს ბათუმელი კაცის,
ძმით, მზით და ზღვით ნატირლების ტალღა
„გონდაკარგული ქართველი
ქართველს ღმერთის ნაჩუქარ სიცოცხლეს ართმევს,
რუსთველის ქუჩა დიდი და ფართო ინვის
და ღამეს ხანძარში ათრევს.
ინვის თბილისი. ბრაზდება ღამე. ცეცხლის ენები ისერიან ჩრდილებს.
რა ვუპასუხოთ შვილებმა მამებს, ანდა პირიქით — მამებმა — შვილებს?!

ნუ აქვს იმედი,
განკითხვის დღეს
თავი არიდოს.
ღმერთი შეუნდობს, ვინც ვერ შეძლო
სიკეთის თესვა.
მაგრამ ავისმქმნელს, არამზადას
ის არ დაინდობს!

წმინდა ეფრემ ასური:
ავის ხსოვნა უბეში შხამოსანი გველის კოდისა ჰგავს.

ვახტანგური!
რამდენი კითხვაცაა, სადაა იმდენი პასუხი?
ისე წახვედი, არც გითქვამს რამე,
სიბნელე ისევ ანვება კარებს,
მოვიდა შუქი და ბნელი ღამე
შავი ძალლივით გააგდო გარეთ.
სტრიქონი სტრიქონს ისე მოება, რომ
თავისი თავი იცნო დროებამ,
ასე დასრულდა ჩემი პოემა,
ვით წუთისოფლის ამაოება.

გრიგოლ რობაქიძის ჩანაწერი:
რატომ წამოვედი საქართველოდან.

უნივერსიტეტის 7 დავითი (ჩანაწერი ან ცოცხალი შესრულება)

მერაბ დონაძე:
წუთისოფელი ასე: ცალი თვალი ტირის, ცალი იცინის. ან ერთს რა ატირებს, ან მეორეს რა აცინებს... ქვათა ქვითინი — მსხვრევა ამ ქვითკირის... დროს ახალი მოაქვს, დრო ძველს აცილებს.

გოგი დოლიძე „აღმაშენებელი თბილისს მობრძანდება"

ნოდარ დუმბაძის ჩანაწერებზე ისმის ხიმღერა „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო"

გია ბურჯანაძე:
გავქვავებულვართ და ვილებთ „სამძიმრებს"
ვდგავართ კაცები და სიყრმეს ვერ ველევით.
თბილისის მტრევისა მტვერიც კი გვამძიმებს —
ჭირისუფლის უფლებით ვდგავართ

ნატო ვაჩნაძე, ვერიკოს, თამარ ციციშვილის გაელვება ეკრანზე

ვერელები, თბილისელები, ქართველები!

გიზო:
ჩემ შემდეგ ქვა რომ ქვაზე დარჩეს, ვლოცულობ ვინძლ;ო,

შალვა ნუცუბიძე — რენესანსი

თბილისს რომ ფრჩხილი წამოსტკივდეს, საფლავში ვიგრძნობ!

გიეი ბერიკაშვილი:
მებულდოზერეს ესმის აზრი ბერის მზერისა და ბერიკაცსაც ესმის, ალბათ, ბოლდოზერისა!

ილია: ხარაჯიშვილი ჩოთქზე...

გია როინიშვილი:
ერთი თვალი იცინის,
მეორე კი ტირისო!...

*(კადრები ფილმიდან „ქეთო და კოტე")*

ერთი რამე საკბილო თქვენი იუმორისტული მოღვაწეობიდან!

მეც ამ მაყურებლიდან ვარ და ძირი მაქვს ჩემიდნის...
პროჟექტორის კარებიდან ბრალდებული მემოდის!

ზურაბ ლეჟავა, გოგი გელოვანი

გიზო:
გთხოვთ, ჩართოთ „სიცილის ჰიმნი" ჩემი და კომპოზიტორ ნუნუ დულაშვილის შემოქმედებიდან!

ზურა ლეჟავა და წოპე *(სცენაზე სინათლე/მომებნის სცენის პროჟექტორით)*

*(აქეე ვყვები მინიატურებს: „ტაში" და „ჩვენებური კაცი!")*

„ვაი, იმ ქვეყანას, რომელიც ყოველდღე გადასარჩენია!"

*„მზე შემოდგომისა" (სერენადა); „ქეთო და კოტე" (ქეთო და კოტე ფაეტონით, გამოდის მედეა)*

მარტო ცალკეტუჩაობით,
დაეითა —
რაც მოგვივა, ყველა ჩვენი თავეითა!
ერთი გულით და ათასი მკლავეითა,
ვიდავითოთ,
ვიდავითოთ... დავითად!

უმანკო ჩხეიძის „ბალადა ვეფხისა და მოყმისა" (ის. მის მიერიდან მისი პორტრეტის ფონზე)
იოსებ გრიშაშვილის ჩანაწერი „ეჰ, რა კარგი დღე არის. ეჰ, რამდენი ქალია"

*სცენაზე ზის ლამა და რეზიკო თაბუკაშვილები (პროჟექტორი დააფიქსირებს მათ)*

*(ინტერვიუ „მატარებელი")*

გია როინიშვილი:
რას ეტყოდი შენს თაობას, ჩემს თაობას, ახალ თაობას?

კანტი: „ყველაზე ერთგული ქალი — ქალარაა.
საქართველოში ჩამოსულ ნიკოლოზს მერი შერვაშიძეზე უთქვამს: **Грешно быть такой красивой!**

გიზო:
გვეყო ამდენი უთავობა!
გაბზარული საქართველოს ორივე მხარის გასაგონად კი ვიტყვი:
თუ ასე არ ფიქრობ, ძალიანაც ცდები —

*მაცაცო ხებისკვერ-*

ტყუილად გამსარჯე და ტყუილად გაისარჯე:

*ამის ხიმღერა „იმერეთი“*

შენი გამარჯვებით — მე არ დავმარცხდები!
ჩემი დამარცხებით — შენ ვერ გაიმარჯვებ!
აი, რა უნდა ეუთხრათ ჩვენ ჩვენს თავსაც და ჩვენს მტრად ქცეულ ძმებს — აფხაზებსა და ოსებს!
*(მზადდება თბილისელი მზეთუნახავების თემა)*

მიშიკო შენგელიას ქეიფი; ჩირგოს კადრები; „არაჩვეულებრივი გამოფენა“. ოთარ რამიშვილი „აფთიაქარი“ *(ხიმღერის ფონი)*

ოთარ მელვინეთუხუცესი „დიდოსტატის მარჯვენა“ — მეფე გიორგის მონოლოგი.

მალუა დადიანი: 84 წლის ვარ. მესმის სიყვარულის ფეხის ხმა (იმეათი ხმების ვილეიჩანანერი იქრის ფინლილან).

გიზო: ჩვენი დროის თბილისელი ბიჭები ცოცხალი ძეგლივით დადიოდნენ თბილისის ქუჩებში. ერთხელ ოთარ მამფორიამ ფიჩხულას სადალაქოდან გამოსულს გოგია გელოვანს უთხრა: რესტავრირებულ გელათს ჰგევხარო, რაზეც მაშინვე მოვარგე ახალი ეპითეტი: „შენ კიდევ ზედგამოჭრილი შტატგარეშე შოთა რუსთაველი ხარ-მეთქი.“ ღმერთია მოწამე, ამ სიტყვებს ჰაერში ვისროდით, მაგრამ არა ჰაერზე!

*(პროჟექტორი ანათებს ოთარს, მერე მორჩენს — ლალი ბადურაშვილს. მორჩენა ვეფხვებთან)*

კონსტანტინე გამსახურდია: „და დღეები გარბოდნენ, როგორც ნაბლით დაქცეული ბედაურები.

ეკა კახიანი და ნინი ბადურაშვილის კლიპი

მიხეილ ჯავახიშვილი: ნუ გეშინის სიკვდილის, გეშინოდეს სირცხვილის.

II კახეთა — ბაბუების ბაემანი შეილიშვილებთან ანუ მე — ჩემს საკუთარ სკოლაში.

გურამ სალარაძეს ლაშა გადასცემს რეზო თაბუკაშვილის ანდერძს (კითხულობს).

კადრები ფილმებიდან „ქეთო და კოტე“

რეზო თაბუკაშვილის ანდერძი შეილიშვილებს:

და, თუმცა, ჩემი გამგზავრება
ჰგავედა წვალებას,
სიკვდილი მაინც არ დაარქვათ
გარდაცვალებას.
... მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ
თქვენთან დავრჩები,
მეც გიმეგზურებთ, ცხოვრების
გზას
როცა გაჰყვებით...
მაგრამ იცოდეთ, მე იმ დღიდან
თქვენთან არა ვარ.
თუ სარბიელად საქართველო
გეპატარავათ.
დამარცხებულიც არასოდეს
ჩანდეთ საბრალოდ,
· ვინმეს სიგლახე კაცთა მოდგმას
არ დააბრალოთ!

ოთარ მელვინეთუხუცესი და მედეა ჯაფარიძე კ/ფ „მზე შემოდგომისა“

კონსტანტინე გამსახურდია: არაფერი ისე არ ამშვენებს კაცურებას, როგორც სიკვდილთან თამაში.

„...ეს თაობა, რომელიც გმირების აკლდამებს ჩრდილებს ეფარება, ღირსი არ არის არსებობისა.“

მერაბ მამარდაშვილი:
„თუ მართლა სერიოზულად ეძებ ღმერთს, უკვე გიპოვია"

სცენაზე შემოდის ბატონ კიზოს ნ შეილიშვილი

ამბობენ, სიკვდილსაც კარგები უყვარსო,
მას რაღა სიკვდილი არჩევინებს.
ერთი კი ნაღდია — ადრე ნასულები
რალაცით ჯობია დარჩენილებს.
თუ სიკვდილმა იცის თემიკო ჩირგაძის ფასი... ალალი იყოს!

მარაყი: „თუ გაქვს იმის ვაჟკაცობა, თავისუფალი იყო, თავისუფალი ხარ!

მამა-შვილი ბაღაშვილი *(მარცხნიდან მამა, მარჯვნიდან შვილი)*; ორი გიტარა _ მამა-შვილი ხუციშვილი *(კლიპი _ ნახტომი კლდიდან)*

გურამ სალარაძე:
მე ჩემი თაობით მომწონს თავი და ჩემს თაობას — რეზო თაბუკაშვილითა და მედა ჯაფარიძით!

როიალთან ელისო ბოლქვაძე
ზაურ ბოლქვაძის ქალიშვილი

კოლხი მედეას მოსახელეს დანახვაზე მთელ საქართველოს გული ხელით ეჭირა და ხელის გულზე ატარებდა ანტიკვარულ „ქეთოს", რომელსაც „ხანუმობა" თეით ქალბატონმა მუზამ გაუწია, რადგან რეზოზე კარგი „კოტე" არ ეგულებოდა და ღმერთი იყო შუამავალი!

„ჰაემანი ვერაზე" („ჰაემნიდან"); სეფაშვილის ტრიო „ვინა თქვა"; თბილისის ხედებს შეეხიდება მერაბ ხეფაშვილის „ჩემო თბილის-ქალაქო"

...ებრაელ ისაკ მექუდის კეპკაში და ბაბკენას კოსტუმით ქუჩაში გამომზეურებულს, ბიჭებთან ერთად გაელა-გამოელის დროსაც კი მიფიქრია, წარმომიდგენია და მინატრია: ნეტავ, ეს ბიჭი საქართველოს მეფე იყოს-მეთქი!

გია ფერაძე _ „ფოტოები საოჯახო ალბომიდან"

მედეა კი სწორედ ის მედეა გახლდათ, ვისზეც სადედოფლო კაბის თარგივით იყო გამოჭრილი პოეტის სტროფი: „შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენდებოდა!" ჰოდა, ამათ შემხედვარეს, რა ექნა უკეთესი, რა მოეფიქრებინა არსთა გამრიგეს?

დათო გომართელის კლიპი

რადგან უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა — დედაც ნახა, მამაც ნახა და შვილი ისე გამონახა — ლაშა რევაზისა და მედეას ძე თაბუკაშვილი! — მწერალი და დრამატურგი, რომელსაც სულ ახლახანს რუსთაველის პრემია მიენიჭა!

კადრები ჩემი კასეტებიდან _ იტალიის ეკლესიაში ლოცვა

ვასილ ბარნოვი:
„ზამთარი ვერ შეგვაშინებს, როცა გაზაფხული მოდის"

გია ბურჯანაძე:
ვაშა, ლაშა!
არსებობს ერთი გენეტიკური კოდი: გენი, რომელიც მუშაობს მშობლებში, უმეტესად ისვენებს შვილებშიო!
მადლობა ღმერთს, რომ თა-

ბუკაშვილების გენს მოსვენება არ უწერია.

გიზო:
ღმერთმა ყველას დაგილოცოთ, მეც ვარ ექვსვარსკვლავიანი ბაბუა ვარ!.
ცოლო, შვილო, შვილისშვილო, შვილისშვილისშვილებო,
ჩემი ჭირის ლხინებო და ჩემი ლხინის „ჭირებო"!
ჩემი თავი გენაცვალოთ,
მზად ვარ, მსხვერპლი გავილო.
ჩემი ლხინი დაგიტოვოთ —
თქვენი ჭირი წავილო.

კინსცენარის გამ-ხსნელის: „ამ ქვეყ-ნად ერთადერთი სამოთხეა ბავშვობა"

ალეკო თეთრაშვილი:
გამარჯობა, ლომო! გამარჯობა, ზაურ!
ჩემი შვილების თაობის გასაგონად მითქვამს:
უკვდავებას არ ეეპოტინებით...
და ნატერას ვხედავთ -- იმ ნატერის ხეში,
კიდეც რომ მოეკვდე დროთა დინებით
ჩვენი სიცოცხლე განვაგრძო თქვენში.

მაცაცო სებისკვერამის სიმღერების თანხლებით.

ზაურ ბოლქვაძის ლექსი:
„ჩემთვის უცხოა თავდავიწყება
და უკვდავების მკრთალი
ლანდები,
მე ამ პატარა ლექსში ვიწყები
და ამ პატარა ლექსში
ეთავდები"

სიმღერა „თეთრი ვარდები" ნუკრი კახანაძის შესრულებით.

რადიოში მოსმენილი კაცი და ორი ქალი „არ მიმჩვით"

ლექსი იტალიაზე საორღანო მუსიკის თანხლებით:
„სანუთრო გამოვიხილე,
პირჯვერის წერით და წირვითა
ზღაპარში ცხადი ვიხილე
ცხადში ზღაპარის ხილვითა.
მიეც კეისარს კეისრის
ჭირ-ლხინში, სიცილ-ტირილში,
ყველა გზა რომში მიდის და
მერე ბრუნდება თბილისში".

კადრი კასეტიდან: გიზოანთებს სანთელს. ისმის დეკანოზის გალობა „უფალო..."

*(ინტერვიუ მატარებელში)*
საქართველოში ყველას აქვს უფლება, იცხოვროს კარგად, მა-

კადრები იუბილ-ური დღიურიდან

გრამ არავის აქვს უფლება, იცხოვროს... საქართველოზე კარგად!.. ქართველ ერს არ აქვს უფლება უკან დახევის, რადგან საქართველოში აღარ დარჩა უკან დასახევი ადგილი.

გრიგოლ ხანძთელი (VIIIს.): „მეინანით დაბადებაი კაცისაი დამბადებელმან"

მეორე ეკრანზე ინოლა გურგულიას ანდერძის ფირი. ხიმღერა კ/ფ „დღე პირველი, დღე უკანასკნელი"

გია რონიშვილი:
რას მიაღწიეთ ცხოვრებაში?
გიზო: შრომა გავისურვილე!
გია როინიშვილი:
რას წერთ ახლა?

ინოლას კადრები

გიზო:
ჩემი ფანტაზია ახლა ფანტვაზეა... წერილს ვწერ.

ია შუღლიაშვილი _ ინოლა გურგულიას შვილი

გია რონიშვილი:
ვის?

ავტორის კარდიოგრამა „პაემანი ვერაზე" წერის დროს *(წიგნის უკანა ფურცელზეა)*

გიზო:
ჩემს თავს.

გია როინიშვილი:
რა წერია შიგ?

გიზო:
არ ვიცი, ჯერ არ მიმიღია(?!).
სიბერით სიკვდილს ველლაბუცები,
ვატყობ, წყალს ველარ მოიტანს კოკა...
დანის მლესავი, კალმის მლესავი
დღე-ღამესავით:
დრო მკლავს და დროს ვკლავ!
...დღევანდელ დღეზე კი რა გვეთქმის?
თუმცა, მზე და მთვარე კვლავ მუქთად გვინათებს.
გაძვირდა ცხოვრება, გაძვირდა სინათლე...
ოთახში შევდივარ და ვანთებ ნათურას,
გამოვალ — ჩავაქრობ, არ ვტოვებ ჩართულად.
ამ თვალის პაჭუნში, ახლა ქართველები...
დავდივართ; როგორც ციცინათელები!
მერნყული ვარ.

ილია !!
დღეს ახალგაზრდებზე უკვე სხვა ახალგაზრდები გამოდიან, საქართველოს, არ დაიკარგის თაობათა ერთობა და ახალი მოთხოვნების შესაბამისად გაგრძელდეს ეროვნულ ფასეულობათა დაცვა.

წიგნიდან მათი პორტრეტები

„ზოგიერთებში ეპოქის ქარცეცხილი მხოლოდ სურდოს იწვევს"

გია როინიშვილი:
როგორ უნდა შეეატყოთ კაცს, თბილისელია თუ არა?

„მარიც ცუდია და მერიც ცუდია. ამ ორი სიტყვიდან კი ერთი კარგი სიტყვა გამოდის „მარი-მერი"

გიზო:
მაჯაზე მოკიდე ხელი... თუ თბილისელია — მაჯა უნდა აუჩქარდეს!

ზემელი _ სტოპ-კადრი. დგანან, ელიან: კუკური კლენტი, ვალიკო ჭუბაბრია, ვახტანგ ჭელიძე-ჭურტულორთქიფანიძე.

*(რაიმე კითხვა ლიკა გიორგაძის სალონიდან და ბატონ გიზოს სიმღერა „ნაზი ბულბული")*

სოფიკო *(კადრი)*:

თბილისელთა გალერეა *(წიგნიდან „პირმშო ფერისა")*; ოჯახებიდან მოპოვებული ვიდეო-მასალა.

ინოლას ლანდი დადის ჩვენს ქუჩებში, ინოლა გურგულიას...
თუ გინდათ, იმისი ჩურჩული გაიგოთ, უსმინეთ ფოთლების შრიალს.
თუ გინდათ, იმისი ლანდი რომ დალანდოთ — შეხედეთ სანთლების ბრიალს,
ჩანყვეტილ გულებს და დანყვეტილ გიტარებს, სულების რიარიას.
ინოლას, სასწაულს, აკვანში, თავის თავს, თვითონ რომ უმღერა ნანა,
სიმღერით მოვიდა, სიმღერით წავიდა, სიმღერა წაიღო თანა...
ბევრიც მოგვაბარა, მღერით დაგვიბარა: „პირველად იყოო სიმღერა" —
სიმღერით მოვიდა, სიმღერით წავიდა, წასვლის წინაც კი იმღერა:

თბილისის ხედები და ძეგლები _ მეტრაბ ბერძენიშვილი

„მალალო ცაო, მზეო, მინაო... მადლობელი ვარ *(ფირი)*
ყველა ზაფხულის და გაზაფხულის, ნაზი ბგერების და სიმღერების,
მადლობელი ვარ.
ყველაფრისათვის, რაც მყავს და მიყვარს,
ვინც მნადია და მაბადია,
მეგობრისათვის, ნათელი დღისათვის...
მადლობელი ვარ..."
დღეს მის სიმღერებს ჩვენ ვმღერივართ... მადლობელი ვართ.

ვოლტერი: „ხუმრობას, როცა ახლავ მოგართმევენ. მამონაა კარგი!"

ზემელი.
დაბარებულივით მოდიან ვერ-

ელი, მთაწმინდელი, სოლოლაკელი ბიჭები. ნელ-ნელა იყრიან თავს და იწყება სპექტაკლი, რომელიც არასოდეს არ მეორდება და სხვაგან ვერ ნახავ.

— პალტო არა მაქვს, კაცო, რა გაძლებს ამ ზამთარში? — ამბობს ერთი, რომელსაც ქუჩა მარტო სასადილოდან სახლში მისვლისთვის ჭირდება.

— გაფრინდი თბილ ქვეყნებში, — ურჩევს ვახტანგ ჭყოიძე და ზედ აყოლებს — მაინც რა გაგიცვეთია, ბიჭო, პალტო? შენ სულ რესტორანში ზიხარ და მაგი სულ გარდეროპში კიდია.

სოკრატე: „საჭმლის საუკეთესო საკაზმი... შიმშილია!"

რეზო ლალიძე:

— ხო, ხო, ხო... რა „სასტავი" ხართ...

ჭყოიძე:

— „სასტავი" კაი ვართ, მარა პარავოზი გვაკლია!

არავინ არ იცავს საიდუმლოს ისე, როგორც ის, ვინც ეს საიდუმლო... არ იცის!

შედიან „პივნოიში".

„ცისფერი ტრიო". იწყება ვალოდია მებურიშვილის სიმღერების პოპური.

ვიღაცას ბუტერბროდი მოპარეს.

— განზრახვით? — არა, ტო, კალბასით!

— 10 ქალიშვილიდან ერთი გაუთხოვებია ბესარიონ ბიძიას. კიდევ კარგი, რომ სიძე მაინც შეხვდა ჭყოიძე.

*(სინათლე მებურიშვილების ოჯახზე)*

გიზო:

...კიდევაც დაიზრდებიანო ალგეთს ლეკვები მგლისანი,

თუმც რისი მგლისი, ბოკვერნი ვეფხისა და მოყმისანი,

ბარტყები არწივისანი, უფრრრ... ანგელოზნი ღვთისანი,

ბოლნისის გზაზე შემომხვდნენ ნატეხნი უტეხ კლდისანი.

მარნეულს გადმაელობნენ ხმლით ყრმანი თლილნი ქვისანი...

ამ მგლის ლეკვებში, მე... მერაბ ბერძენიშვილი

ვიცანი!

„ისწავლა სწავლის მძებნელმან, მიჰყვა დავითის მცნებასა,

ჯერ მწარე ჭამა, კვლავ ტკ-

ილუსტრაციები ჩემი წიგნიდან გადაფურცლით.

დააკვირდით ესკიზს „თბილისელი ბიჭები" ჯგუფური კომპოზიციის ამ ესკიზს, რომელიც, ჩემი თხოვნით, ანდერძივით დამიხატა „პიემანის" მხატვარმა ვერელმა ვახო რურუამ. ბარემ ისიც ვთქვათ, რომელ ქანდაქართან ვართ ალავერდს. „ბარემ" — უკულმა „მერაბია" მერაბ ბერძენიშვილს ღმერთმა ხელი მოუმართოს და მისი გულის კარნახით შექმნას ეს მონუმენტი, როგორც თაობების ხსოვნა.

გ. ნ.

ბილი", მოჰყვა დავითის ქებასა,
,,თითზე ვართ ჩამოსათვლელნი, დასაკარგავი სად არი?"
შვილი მიჰგვარა დედასა, არ გაუცივა ლადარი...
დგას, ახლა, გურამიშვილი და ჩვენს ჭირ-ვარამს არჩევსა,
მკვდარიც ცოცხლებში სწერია, მადლი ღმერთს,
მადლი გამჩენსა!
დიდება აღმაშენებელს!
,,ცოდვილთა ჰგვემდეს ცეცხლით"...
,,მართალნი ნეტარებდნენ და
აჰა, მირონ-ფიც ვერცხლიო!"
,,ძლევაი საკვირველი" და
ის დიდზე დიდი დიდგორი —
,,ქრისტეს მხედარი" —
,,მახვილი მესიის" —
ღვთის სამკვიდრონი!
რასაც ვერ იტყვის სიტყვა და
რასაც ვერ ზიდავს ქაღალდი,
მეგალითების დუმილში
ისმის იმ ქვათა ღაღადი!

ეკრანზე კადრები წიგნიდან ვალოდიას სურათებით, მედიკო მებურიშვილი თევზით.

როს სააკაძის ფარ-ხმალი დღესაც სამშობლოს მნედ არი,
როცა ჭიხვინებს ულაყი, მისი პატრონის მზედარი,
როცა ნოსტეში ლაგამს გლეჯს მისი ბრინჯაოს მხედარი...
გმირი, თუნდ, ქვაში ცოცხლობდეს,
სოფელი — მაინც მხნედ არი!

*(კოკა ჭიჭინაშვილი მეკახმის ფორმაში დგას და ჩემი ფირის პარალელურად სახვითად, მიმიკებით კითხულობს!)*

*ვალოდია მებურიშვილის თემა*

ლეონარდო და ვინჩი:
სადაც აზრი ხელთან ერთად არ მუშაობს, იქ მხატვარიც არ არის.

ვალოდიას ილუსტრაციები წიგნიდან. თბილისელი ბიჭები.

გიზო:
ამ სიმღერებს ვინ არ მღერის, ავტორი კი ვის ახსოვს?
სიცოცხლეში ხსოვნას ელის, სხვას არაფერს არა გვთხოვს.
ამ მუქთა კომპოზიტორმა სულ მუქთად დაგვიდგა ცისკრის ეს მთები,
არ იქნებოდა ვერისუბნის მელოდიები,
არ ყოფილიყო ვერისუბნის ვალოდიები!

ფერწერა პოეზიაა, რომელსაც ხედავენ. პოეზია — ფერწერაა, რომელსაც ისმენენ.

გიზო „პაემანის" კასეტიდან::
ჰოდა, ვალოდია მებურიშვილ-

საც გაუმარჯოს!
ნამეტან დაგვიანებულ აზნაურსაც.
გახერეტილი შაური რომ დებოდა გახერეტილ ჯიბეში,
არ დაიტოვებდა იმ შაურსაც.
პირველ ჭირისუფალსა და პირველ ლხინისუფალს,
არსად არ ვეარგოდით უიმისოდ,
ან თბილისი რაა ჩემთვის უმებურიშვილოდ,
ან მებურიშვილი — უთბილისოდ?

გიზო:
*(სომეხი მეეახშე სუმბათა)*
*(შემოდის გოგა პიპინაშვილი სომეხი მეეახშის როლში)*

სულ ვალებში იყო ჩვენი ვალოდია, სიმღერით ისტუმრებდა ვალებს,
სიმღერაში ილებდა, სიმღერაში ხარჯავდა -- ველარ აუდიოდა ლალებს...
მაშინდელი მეეახშეც სულ სხვა კაცი იყო და სულაც არ ჰგავდა გობსეკს, თორემ...
ამისთანა მეეახშეს და მედლემეხვალიეს ვინ ჭკვიანი მიუშვებდა გობზე?!
ხან პატიოსან სიტყვას უტოვებდა კონსტანტინოვიჩი.
ხან... გირაოდ მიჰქონდა გიტარა,
ფულის წამოღება არ ავიწყდებოდა, ავიწყდებოდა... მიტანა!
დინჯი კაცი იყო სუმბათ აირაპეტიანი, ბოლოს ამოუვიდა ყელში...
ბევრი ვუარე იმის სახლს შორიდან... ერთხელაც ჩამიგდო ხელში.

გოგა პიპინაშვილი:
ეგ შენი ძმაკაცი სად დამეკარგაო, მიწამ ჩაყლაპაო თუ ცამო?

გიზო:
კვდება-თქო, ვუთხარი სალსალამათ კაცზე მე, დაბნეულობის გამო.

იფურცლება წიგნი „პაემანი ვერაზე“ ადრე წახული გოგონებისა და ბიჭების პორტრეტები... გოგი გელოვანი, გივი ნიჟარაძე და სხვები.

პოპოვი: მწერლის მელანი მისი სისხლია.

კონსტანტინე გამსახურდია:
წიგნის სათაური ხმლის პირველ მოქნევას ჰგავს

თუ მთელმა ერმა არ მოინდომა გამარჯვება, მაკედონელიც ვერას უშველის.

ერთგულისთვის ორი ხმალი ცოტაა, ორგულისთვის ერთიც მეტია!

სენეკა: მოდით, ვილაპარაკოთ ის, რასაც ვფიქრობთ და ვიფიქროთ ის, რასაც ვლაპარაკობთ.

გოგა პიპინაშვილი:
აბა, აბა, ეგეთები არ იყოს,
იცოდეთ, რა დროს სიკვდილიაო,
ვალი გაისტუმროს, მერე კი
ჯანდაბას, თავში ქვა უხლიაო.

თავისუფალი ისაა, ვინც თავის უფალია!

სერვანტესი: გულში ლაქას სასნეპე საღებავი სჭირია.

სოკრატე: ყველა ადამიანში მზეა. ოღონდ აცალეთ, რომ ანათოს!

გიზო:
მაგრად აშუხურდა: ეგ შენი
ძმაკაცი ხელიდან წასულაო
სულო...

გოგა პიპინაშვილი:
კაკ ვი ნე სტიდნაო, ჩალადოი
მელავეკო, მერზაეეც ი სიკინ
სუნო!...

გიზო:
კაკ ეტა ტაკ-მეთქი, კაცი კედე-
ბა-მეთქი, კაცი ვარ მეც, ნი ტაკ-
ლი?

გრძელ ეკრანზე —
გოგი დოლიძე „ვერა“

გოგა პიპინაშვილი:
კაკ-ლი, ტაკ-ლიო, ტაკ-ლი, მა
კაკ-ლიო...
ახლაც სადღაც სომსო ბაკლით.
მაგას რა მოკლავსო რა ჭირი
ეცაო. წვრილად გამომკითხა ბო-
ლოს...
დაი ბოგ, იცოცხლოს, ოღონდ
ეგ ფული, სადაც უნდა, იქ შონოს!

გიზო:
გლანდები ამოჭრეს, სახლში
წევს, ჩემმა მზემ — ვუთხარი,
მოეულბე გული

გოგა პიპინაშვილი:
შენმა მზემ, ჩემმა მზემ? ეა, აფ-
სუს, რა ბიჭი როგორ უნდა
შული?!

გიზო:
რის შული, რა შული? აქ ძია
სუმბათამ გლანდებში რაღაც აუ-
რია...
მთავარი ის იყო, კაცი გაახსენ-
და და გადააჟინწყდა შაური!
ამიტომ ვუკერავ სიკეთის მან-
ტიებს სუმბათ სუმბათის ძეს —
თბილისელ რანტიეს!

კონფუცი: ძველად ადამიანები ცოტას ლაპარაკობდნენ.

გრძელ ეკრანზე — გოგი დოლიძის ეს სიმღერა „ვერაზე" (თბილისში ყველა პატარა უბანს თავისი წილი უნდა სიმღერა)

პატარა ეკრანზე: „პაემანი ვერაზე" „ათადანბაბადან" — სიტყვა თბილისზე.

გურამ ხაღარაძე *(„პაემანი ვერაზე" კადრებიდან)*

რომე შენება არა ჰგავდეს გადაშენებას,
ნიხტიკოპიეთ შეგინახავ შენს ძველ მშვენებას,
შენს ქუჩა-ბანდებს რომე შერჩეს ქალწულის ფშნი,
რომ ხიაბანდი არ დაუმზნეს შენს ბარმიმფეშხუმს...

გურამ სალარაძე:

ბოდბელ მოგვთან, ჩვენს ესკულაპ-ასკლეპიოსთან ანუ დიდ ქართველ ფსიქიატრ ბატონ ავლიპი ზურაბიშვილთან ერთ ბებიას ერთი შვილიშვილი მიუყვანია.

— რა გაწუხებთ, ქალბატონოო? უკითხავს ბატონ ავლიპის.

— მე რა მაწუხებს და, აი, ეს დევიეით ბიჭი ობლობაში გავზარდე, ეს კი ამხანაგებზეა გადაყოლილი, უკანასკნელი ლუკმა რომ ჰქონდეს, იმასაც ამხანაგებს მისცემს.

ბატონ ავლიპს თავი გადაუქნევია — რას ამბობთ, რას ამბობთ, სხვაო?

— სხვა რაღა გინდათ, ისე ჯანმრთელია.

— შენა, ბიჭო, შენ რაღა გაწუხებს? — ახლა შვილიშვილს მობრუნებია.

— მე მარტო ის მაწუხებს, რომ ბებიაჩემი წუხსო.

ბატონი ავლიპი ამდგარა, მამაშვილურად გადაუკოცნია „პაციენტი" და უთქვამს: შენ გაიხარე, შვილო, კაცი შენა ყოფილხარ. კარგი ქენი, ბებიაშენი რომ მომიყვანე სამკურნალოდო.

დიდმა ლომმა ლევ ნიკოლოზის ძემ ბრძანა:

— თუ შეგიძლია, ნუ დაწერო.
არა, არ შემიძლია, უნდა ვწერო.
კმარა!
ვერა... ვერ შევძლებ გაჩუმებას, მჯერა!
„ვერა" არ მაძლევს მოსვენებას —
„ვერა"!
სიყრმის მზისკენ თვალი მომჭრა მზერამ,
ბავშვობისკენ გამიტაცა ძერამ,
ლეიძლი შვილივით შემიხორცა ვერამ
და შეშლილივით ამიტანა წერამ!

რადგან სირცხვილად თვლიდნენ, ვერ დაწერდნენ საკუთარ სიტყვებს.

გიზო: კაცს შვილი შეეძინა — ვინ გაჩნდა.
ბიჭი თუ გოგო? — ჰკითხეს.
— გაიზრდება და თვითონ გადაწყვეტსო!

თბილისის პირველი გიმნაზიელი ნიკოლოზ ბარათაშვილი:
აჰყევით სიფელს,
შეურჩეველს და მომღერალს.
ნუ მოაცილებთ სიყმაწვილეს
ც რ ფ ო ბ ი ს ა ალსა!

აკაკი: ნეტარ იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს!

გიზო: კაცს შვილი შეეძინა — ვინ გაჩნდა.

ეკრანი: გოგლა ლეონიძე —
„ვარდისფურცლობის ნიშანი
არის და დრო ახალი პაემანისა!“

გიზო:
ცისარტყელებმა მოხაზეს რკალი
სამოთხის კარის (ნიშნად დარისა)

გიზო:
თუ სხვა აზრისა ხარ, ოი როგორ ცდები,
ტყუილად გამსარჯე და ტყუილად გაისარჯე,

ზუმელის კადრები - ჩემი ქუჩის კასეტიდან.

მატიანედან პიკასოს იუბილის კინო-ფირი,

გოგა პიპინაშვილი:
შენი გამარჯვებით — მე არ დავმარცხდები,
ჩემი დამარცხებით — შენ ვერ გაიმარჯვებ!

მსახიობს არ უნდა ეტყობოდეს, რომ თამაშობს... რადგან არც მაყურებელია მოსული სათამაშოდ!
გ. ნ.

გივი ბერიკაშვილი:
ისე ენდები — ებდები ორ თითს შუა ცვდები,
ჩემი ჭირი — ლობის-ჩხირად გაიხარჯე!

ზურა ბერიკაშვილი:
შენი გამარჯვებით — მე არ დავმარცხდები,
ჩემი დამარცხებით — შენ ვერ გაიმარჯვებ!

„ცისფერი ტრიო“

შოთა რუსთაველი:
ანდა ვიცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია.

ნინელი ჭანკვეტაძე:
შენ ამას ვერ ხედები და იმ სკამზე ჯდები,
რომელსაც ვერ ნვდები... ალავერდი ქაჯებს!

თბილისის ქუჩები, ხალხი, კონფლიქტები, მიტინგები;
ფილმებიდან: ეზოები, თბილისური შტრიხები.

ეკა კახიანი:
შენი გამარჯვებით — მე არ დავმარცხდები,
ჩემი დამარცხებით — შენ ვერ გაიმარჯვებ!

ნინელი ჭანკვეტაძე:
და ნუთუ ვერ ხედები, როგორ, როგორ ცდები,

მამის საფლავს ხნავ და გულზე დაალაჯებ.

ეკა კახიანი:
შენი გამარჯვებით — მე არ დავმარცხდები,
ჩემი დამარცხებით — შენ ვერ გაიმარჯვებ!

გურამ საღარაძე:
ღმერთმა გაგიმარჯოს, თუ ეყოფა კლებით,
შენი გამარჯვება საქართველოს ხარჯებს:

*ომის კადრები*

მერაბ დონაძე:
შენი გამარჯვებით — მე არ დავმარცხდები,
ჩემი დამარცხებით — შენ ვერ გაიმარჯვებ!

*დები იშხნელების: „და ის ვინც გიყვარ-და..*

გიზო:
ალიკა გორგაძე!
ჭრელი ამბავია
და „ჭრელ მოთხრობებში",
სულის ძერით გვაუწყებს ჭრელი ელიანი,
ათენელ ჭაბუკს რომ ძეგლი შეუყვარდა,
ყელამდე რომ მოსწვდა ტრფობის ლელიანი.
ხუთასთა საბჭოში ნარბები შეიკრეს,
პრიტანებს შეექნათ ცილობა,
სიშმაგე, ნესით და ადათით შეიპყრეს,
ჩვეულის საბუთის სიდინჯით შეიკლეს —
ვინ თქვაო ქვა და ქვის ცოლობა?!...
მან შექმნა მარმარილოს ოცნება,
მერე ვერ გაეყო ორად,
გამოძერწა ლამაზი ქანდაკება
და მერე შეირთო ცოლად!...
იგი სამოთხეში გულმშვიდად შევა,
მან თავის ხელებით მოზილა ევა!

*(სინათლე ალიკა გორგაძის ქალიშვილზე გადადის)*

*ე. ჯოენზი: მეგობარია ის, ვინც სწორედ მაშინ შემოდის ჩვენს კარებში, როცა მთელი სამყარო კი გადის იქიდან.*

*ქალები, წნეთელი ვერები, მანტა... „ნატურმიცების" ჩვენება*

*წიგნიდან სურათი სასკოლო-სამხედრო ბატალიონისა*

მერაბ დონაძე:
აი, თურმე, საიდან იღებს სათავეს ჩვენი მხედრული მამაცობა.

*ისეთი თავი უნდა გიყვარდეს, რომელიც შენს*

ბავშვობიდან გვასწავლიდნენ ომობანას თამაშს. ამ სურათზე ყველას ვერ ვცნობ, მაგრამ გულზე ხელი შემიძლია დავიდო და წინა პირველ რიგში პირველი სამი კაცი ვიცნო. მაშ, ასე, მარცხნიდან მარჯვნივ მეორე, ჩვენი ვასიკო... შემდგომში თბილისის პროკურორი ვასო ფოცხვერია. აგერ, ვერელი გივი აზაურაშვილი და ყველაფერში პირველი კაცი ნოდარ ნათაძე!

დანარჩენი თქვენ იცანით.

გარდა სხვასაც მოსწონს.

გ. ნ.

ზემელი სტომ-კადრი!

ფეხბურთის მარში. სტადიონი, პაიჭაძის მღიადა _ მერე მათი ცვლა: ყიფიანი და სხ-ვები. ჩემპიონთა თასი...

ძველი სპორტუ-ლი ღირსების ამსახ-ველი კადრები. ყი-მაყურიძე, ღუმბა-ძე, ჩიმიშკიანი...

გია ბურჯანაძე:
ჩემპიონ ბიჭებს!
ნუხელ სიზმარი არ უნახავთ საქართველოში,
რადგანაც ნუხელ არ ეძინა მთელ საქართველოს,
სულ 90 წუთში, რაღაც სულ მოკლე დროში,
ჩამოუქროლა ისტორიამ „ვესტ-ჰემის“ მდელოს...
კრნანისის ელდა შემოიჭრა შამქორის მინდორს,
რუხმა ლრუბელმა გააყრყოლა ელვად ბასიანს,
თითქოს ასპარეზს ახლა თვითონ კოლხეთი იდო
და არგონავტთა ოქროს ვერძიც — ოქროს თასია!

კარტოზია, დვალი, დუდუ დადიანი, მიშა ქორქია, ზურა ხაკანდელიძე, ხერგიანი, დარახველია, მესხი, ბორის პაიჭაძე, ზვიადაური, ყიფიანი, ახანიძე...

მერაბ დონაძე:
თერთმეტი ცოტნე ტრიალებდა დიდგორის ველზე,
თერთმეტ დემეტრე თავდადებულს გაპქონდა ლელო,
თერთმეტ თევდორეს მობურთალნი „აკრავდნენ ძელზე“
და ბრიტანეთის ლომი სვამდა მათ სადღეგრძელოს!

სპორტული კალეიდოსკოპი _ ძველი და ახალი სპორტული მიღწევების კადრები.

აქაც სპორტული თემა _ თბილისის თემასთან ერთად.

გივი ბერიკაშვილი:
ტემზის ნაპირებს შეეხეთქა მტკვრის მეცხრე ტალღა,
აუტერ-რინგი დაემსგავსა

აქაც გრძელდება სპორტული კალეიდოსკოპი თბილისური თემებით

რინგის ფიცარნაგს,
ჩ ა რ - ი ნ გ - კ რ ო ს - რ ო დ ზ ე,
პიკადილზე ყინული გალღვა,
ჩვენი ბიჭების მზის და მინის
დასაფიცარად. ფილმი „დათი ყიფიანი"

ზურა ბერიკაშვილი:
წმინდა ბართლომეს კათე-
დრალზე... ლურჯი მონასტრის
ადის სილურჯე და დღეს იმას
გამოჰყავს ნირვა,
სიტზე და სტრიტზე, ვესტ მინ-
სტერზე — დღეს სხვა ქარი ქრის
და ქარიშხალიც ვერ მოთოკავს
ამ თავგანწირვას!
ძია სემს ცერად ასპარეზზე
უჭირავს თვალი,
ბივერბრუკების ლონდონ-„სა-
ტარი" თბილისს ინიშნავს,
ინგლისის ბანკებს ვესტ-
ჰემისთვის დაედოთ ვალი,
სკოტლანდ იარდის ხელჯოხები
— ძახილის ნიშნად!!!

მერაბ დონაძე:
დიუნინგ-სტარზე პრემიერი
უყურებს ტელეს, ფეხბურთი. „კარლ ცაისთან" გამარჯვება. თასების თასი!
ნარბი შეუკრავთ ლორდ-მინის-
ტრებს უაიტ-ჰოლზე,
ტომ სოიერი ძმაკაცები... რებე-
კა ტეჩერს,
ბავშვების ეშხით მიუძღვნიან
გოლებზე გოლებს.

გოგა პიპინაშვილი:
და ბაბილონის გოდლის ენით 44-
ჯერ,
საოცარ ამბავს იუწყება ღამით
ბიბისი,
როგორ შელეწეს ალბიონი ბი-
ჭებმა ოთხჯერ...
ქართულ სოფელში ხმას დაარხ-
ევს ჩვენი ყვიბისი!
ჩვენი მანგლისი და ინგლისი
დარჩება სახტად,
ეს რა თამაში გაუმართეს ჩვენმა
ბიჭებმა...
ბრიტთა სატახტო, ევროპაში
დაგერჩება ტახტად,
თბილისისათვის სხვა გვირგვი-
ნის მისანიჭებლად.

**გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა**
ხმოროტული კალეიდოსკოპი _ მესხის ფანდი, საკანდელიძის, ქორქიას კადრები...

ლადო ხელაშვილი:
„ერთ მშვენიერ დღეს" უნოდებენ ჩვენში მშვენიერს,
„მშვენიერ ღამეს" — ჯერ არ თქმულა ალბათ იმისთვის...
სიტყვა სათავით უნდა მოსკდეს... ან და ამიერ,
არის საბაბი ამ იშვიათ „ტოპონიმისთვის"!

გია როინიშვილი:
თუმც სიზმარს ჰგავდა, ეს სიზმარი არ იყო მაინც,
რომელი ერთი, გლოცავთ, თუნდაც ერთი რამისთვის,
რომ დაგვასხნარით ჩვენი გენის მძიმე ორ ტაიმს,
მადლობთ, ბიჭებო, ამ ზღაპრული თეთრი ღამისთვის.

*გოგი ცაბაძის თემა (ფირი) — მისი შვილის შემოქმედების თანხლებით.*
*ეკა კვალიაშვილი, მარო თარხნიშვილი (ბებია-შვილიშვილის დუეტი)..*

გურამ სალარაძე:
და სიკვდილში თუ სიცოცხლე გვენატრება,
სიცოცხლეშიც გვინატრია სიკვდილი...
ნლები მიდის და თოვლივით ხელში დნება.
ჭირსა და ლხინს მივტირით თუ მივცინით.

II კასეტა
აზურ ნაცვლიშვილის კასეტა _ ბალიტრა.
დაყანგრიეთ თბილის, ტევია ევხროლეთ ქაშვეთს... თბილისი მისამართად იქცა!

გია ბურჯანაძე:
სიყვარული — მკერდში ოქროს გულია,
სიძულვილი — მზეში სიბნელეაო.
სიბერემ თქვა: რა დროს სიყვარულია?
სიყვარულმა — რა დროს სიბერეო!!!

კონსტანტინე გამსახურდიას:
არავის ისე არ უყვარს სიბერის ჭირი, როგორც პოეტს, რადგან მასში ყველაზე ხანგრძლივად ეხ-

კოტე მახარაძე („პაემანის" ფირი)

ბიზნესმენები (ფირი).

გუჯა ბუბუტეიშვილი

თამადის სადღეგრძელო ბოლოში არის,

მოდით, ჩვენს თამადას გაუმარჯოს!

ამ ლხინისუფალმა და ჭირისუფალმა ყველას სიტყვა უნდა მოუმარჯვოს

„და აქ უნდა მას სიტყვაი გამორჩინებული"...

და ადგას მას სვეტი ნათლისჩინებული...

ჩემი ფირი _ ქალის გადაცემა _ გიზოშ მოიხადა თბილისელის ვალი, ძველი თბილისის ხედები _ მეიდანი, შარდენი.

სიმონ მესვეტის სეხნიას, ჩვენს სიმონიკა სხირტლაძეს

დიდება ქართული ენის თამადამასწავლებელს!

იმისი სუფრა, სიტყვა და პასუხი უდრიდა ერთ უმაღლეს სასწავლებელს.

ჭიქაში, როგორც ფოკუსში, შეყრიდა მზეს —

გარეთასა და შიგა მზეს,

ისეთ სადღეგრძელოს იტყოდა სიმონიკა, რომ

ბულბულს დასვამდა ჭიქაზე!

ქალაქის ხედები. ხალხი რუსთაველზე _ ჩემი კასეტიდან.

ასეთი იყო ესე დიქტატურა თამადა-დიქტატორის,

ასეთი გული-მზე, ენა-მზე, სიტყვა-მზე, თამადა არ იყო ორი,

ხულები გამომღერალვენ: შალვა დადიანი, ნუცუბიძე, რობაქიძე... მიმართვა მომავლისადმი!

რამდენი ცხონება შესთხოვა მაცხოვარს მსოფლიო თამადა კვერთხმა,

რამდენი ლხინი და ჭირი გადიხადა... აცხონა, აცხონა ღმერთმა!

აკაკი: დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ _ შენს მიწას მიმაბარეო. (ჩანაწერი).

გიზო:

დრო მიდის, გვითვლის ნაბიჯებს

და უკან აღარ ბრუნდება.

ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს

მეორედ მოსვლის უფლება!

სოფიკო:

ნავა ზამთარი და ატირდება,

ცრემლად ილვრება, ვით მეფე ლირი,

თბილისის კადრების ფონი; წიგნის „მაგმანი ვერაზე" სოჯახო ალბომის ფესტივალის ფონი.

გაზაფხული კი სკდება კვირტებად,

როგორაც ზამთრის ღია წერილი!

ივერობს ბავშვი.

სიბერე და სიბრძნე ტოლები არიან. შემოქმედება მწერლისა ჰგავს ეშაფოტზე მიმავალ გზას.

ს ე რ ე ნ ა დ ა

..გინდ მეძინოს...

პარალელურად მოდის მიზანსცენა (ფირი) — ჯანსუღ კახიძე დირიჟორობს სიმფონიურ ორკესტრს. ფილარმონიის სცენის ორმო ამოდის — ორკესტრი ვატო კახიძის დირიჟორობით — ეკრანზე ჯანსუღს ცვლის ვატო... დარბაზში მზესავით ამომავალ სცენაზე დირიჟორობს ჯანსუღური „მრავალჟამიერის" გუნდურ შესრულებას...

გია ბურჯანაძე:
ღმერთმა ინებოს, რომ სანაქებოს და საგანგებოს ჩვენს ეთნოსეპოსს
მისხით და მისხით თუ მამასისხლით —
სულით ეკვებოს და შეგვაგებოს
— სიძველით ახალს, სიახლით ძველსა —
გენიალურსა ჩვენს ქართულ გენსა!

ალექსანდრე ჭავჭავაძე:
„ვაჰ, დრონი, დრონი,
ნავებნი მეჭენარად,
წარილტვენენ, გაქრნენ
სიზმრებრივ ჩქარად...

გურამ სალარაძე:
დაე, ამიერ! დაე, იმიერ! — ჰქუხდეს და ჭექდეს —
მრავალჟამიერ!
საეკლესიო,
ძველი ჭედური,
კახ-ჯანსუღური —
გული და ყური!

გიზო:
ცისარტყელებმა მოხაზეს რკალი
სამოთხის კარის (ნიშნად დარისა).
„ვარდისფურცლობის ნიშანი არის
და დრო ახალი პაემანისა"!

ეროსი (ფირი)
...ოდითგან აქ გმირთა სულები ესვენა,
სულ გმირთა მოედნად გექციოთ ეს ვერა
და მიმზიდველობის კანონი ვერისა,

გოგლა ლეონიძის ღიმილიანი სურათის გამოჩენა.

თბილისის ამ თბილ და საძმო კვერისა,
შენა ხარ ვენახი — ისე შეგვენახოთ, როგორაც ტახტი
და გვირგვინი ერისა...
გაგიმარჯოთ!

ეკა კახიანი:
თქვენს გულში ვზივარ და სულ ვწუხდი ამ ოქროს ხელიდან გაშვებას,

სამების ეკლესია. ლოცვა-სანთლები!

ნინელი ჭანკვეტაძე:
ქედს ვუხრი...

ხარკს ვუხდი ყველაზე დიდ მეფეს.

„მრავალჟამიერის“ ფონზე

გურამ საღარაძე:
მის უდიდესობას —

გია ბურჯანაძე:
მის უწმინდესობას —

გოგა პიპინაშვილი:
მის უგიჟესობას —

ლადო ხელაშვილი:
მის უციგნესობას —

ზურა ბერიკაშვილი:
მის უტკბილესობას —

გიეი ბერიკაშვილი:
ბავშვობას!

გიზო:
მე ბოდიშს მოვიხდი
ბინდისფერ წარსულთან...

რაც არ გამახსენდა ამ წამს. ზოგჯერო სათქმელი უთქმელი ჯობია... სათქმელი — უთქმელი — არ მწამს.

ყველას გაუმარჯოს, ვინც ხსოვნის ბურუსში ბჟუტავს და სევდის რძეს წველავს!..

ვინაც სიყმაწვილის ელვარე სანთლებში.— სულ სხვა ელვარებით ელავს... ვინც დაგვყვა აკვანში... ვინც აგვყვა აკვნიდან... და ვინაც ჩვენს სულში ღელავს — ვინც.. კაცობა მოგვცა და ზედ ტვირთი აგვკიდა —

ყველას, გაუმარჯოს, ყველას!

*გათვალისწინებულია კათალიკოს-პატრიარქის,*
*პრეზიდენტის და ქალაქის*
*მერის ჩართვები .*

# *მეორე მოქმედება*

## სცენა

### *დიდი ეკრანი*

ეკრანი: ისმის რეზო ლაღიძის „თბილისო" დები ჩაფიჩაძეების შესრულებით.

ეკრანზე II კ. ინერება „პაემანი გიზო ნიშნიანიძესთან"

გიზო:

რა ჰქვია ამას?

მონატრება დედის და შვილის!

თბილისში ვცხოვრობ

და თბილისში დავეძებ თბილისს!!!

*..როცა თვალებს ილუმინესი შუქე. თბილისი მეხსიერება მე — ვიყალი კირიყიჩი.*

*გიზო: ღმერთმა არ მომცა ხიბერის ნიჭი... და ვრჩები ასე: ბებერი ბიჭი!*

*..ადამიანები ქმნიან ქალაქებს და არა კედლები — ჩინური გამონათქვამი.*

დიდი ეკრანი: კადრები ფილმიდან „Покровские ворота" (სახლს ანგრევენ)

გიზო *(ფირი)*:

როდესაც თბილისში ძველ სახლს ანგრევენ

ვერისუბანში, მეიდანში,

რიყეში,

ხარფუხში ან აშპაშხანაში

და სამარადისოდ იშლება კვალი...

მგონია, ვესნრები სადღაც პანაშვიდს და ვდგევარ, როგორც ჭირისუფალი!

*ძველი თბილისის ბიჭები რომეოები იყვნენ. ძველი თბილისის გოგოები კი ჯულიეტები... ახლა, ჯულიეტები რომეოებია, რომეოები კი — ჯულიეტები!*

დიდმა ლომმა ლევ ნიკოლოზის ძემ ბრძანა:

— თუ შეგიძლია, ნუ დაწერო.

არა, არ შემიძლია, უნდა ვწერო.

კმარა!

ვერა... ვერ შევძლებ გაჩუმებას,

მჯერა!

„ვერა“ არ მაძლევს მოსვენებას —

„ვერა“!

სიყრმის მზისკენ თვალი მომჭრა მზერამ,

ბავშვობისკენ გამიტაცა ძერამ,

ღვიძლი შვილივით შემიხორცა ვერამ

და შეშლილივით ამიტანა წერამ!

ბიჭი თუ გოგო? — ჰკითხეს.
— გაიზრდება და თვითონ გადაწყვეტსო!

თბილისის პირველი გიმნაზიელი ნიკოლოზ ბარათაშვილი:
აჰყევით სოფელს,
შეურჩენელს და მომღერალსა.
ნუ მოაცილებთ სიყმაწვილეს
ტრფობისა ალსა!

ეკრანი: გოგლა ლეონიძე — „ვარდისფურცლობის ნიშანი არის და დრო ახალი პაემანისა!“

აკაკი: ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს!

გიზო:

ცისარტყელებმა მოხაზეს რკალი

სამოთხის კარის (ნიშნად დარისა)

„ვარდისფურცლობის ნიშანი არის

და დრო ახალი პაემანისა!“

გმადლობთ სამი თაობის პაემანზე მობრძენება-მობრძანებისათვის!

„გაზაფხული შემოსულა, ლენ! და ამ ტურფების შემობრძანების თანმხლები სტრიქონები!

*(სცენაზე შემოდიან სალამოს სტუმრები და მონაწილეები: თბილისური ელიტა (ძველი და ახალი). მათ შორის, ჯემალ სეფიაშვილი. ჯდება როიალთან. „ქართული ხმები“ ასრულებს „გაზაფხული შემოსულა, ლენ!“)*

შოთა რუსთაველი: „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად... სიყვარული აგვამაღლებს!

ეკრანზე: ჩანს სტუმრები.

*(შემოდიან ცნობილი ვარსკვლავები და ახალი თაობის ლამაზმანები)*

ეკრანზე: კადრები ფილმიდან, ფოტოები დამანა მდივნიშვილის წიგნიდან „მშვენიერთა სავანე" — მისი პერსონაჟების ცოცხალი დასწრებით.

დიდ ეკრანზე: თბილისი, ვერა, ვერელები, თბილისელებო!

გიზო:
მართალია, მურმან ლებანიძემ ამ სიმღერის ლექსი თავის მეუღლეს უძღვნა, მაგრამ იგი ყველა თბილისელ მზეთუნახავს და მანდილოსანს ეკუთვნის.

ეკრანი: კლიპი თბილისზე (გ. ჩოლოყაშვილის მონაწილეობით)... ჩემი წიგნის „პოემანი ვერაზე" გადამღებ-გადა ფერკული — თბილისელი ლამაზმანების გალერეა.

ჩემი კასეტა: დავდივარ ქალაქში, ვეფერები; კადრები თბილისზე სხვა ფილმებიდან.

მიშიკო ზაქარეიშვილი მღერის — „თბილისელ კაცს თბილისურად" *(ახალი კლიპიდან)*

ილია:
„ვაი იმ ხალხს, ვინც არ იცის, რისთვის კვდება... რომელსაც საერთოდ ძარღვი გაუსკდა... სადაც „მე" ხშირია და „ჩვენ" — იშვიათი!"

„ერის პირქვე დამხობა, გათახსირება იქიდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს"

გიზო:
ჩვენი ფანტაზია ახლა ფანტეაზეა,
სიყრმით მოგატარე მთელი ევრაზია —
თუ არც ჭურში ზიხარ და არც პანტაზეა —
მთელი ევრაზია აგერ, ვერაზეა.

გივი ბერიკაშვილი:
თბილისის ბაჯაღლო ჩვენი ბექდის არის,
თბილისის ჭადრები ჩვენი ბედის არის.

კახი კავსაძე:
ყვლა აკაცია ჩვენი ძმაკაცია,
ვინ და რა კაცი —
ერთი დედის არის!

არისტოტელე: „სიქაბუკე სიგიჟეა."

ეკრანი:
გადაცემა „მატარებელი" *(დასაწყისი)* — „მე დავიბადე..." *(გიზო და გია რონიშვილი)*

დოსტოევსკი: „თუ ბავშვი არ იყავი, კაცი ვერ გახდები."

გიზო:
არც კი ვიცი, საიდან და სად

მივალ —
რა საეჭვოდ მითამაშებს ნარბი...
მატარებლის ფანჯარასთან ვზივარ და
ფანჯარაში საქართველო გარბის.

თუ კაცი ხარ, კაცად ღირხარ —
დაუნახავს დაინახავ,
კაი ბიჭი თუ არ იყავ,
კაი კაცი საიდან ხარ?

გიზო: დღეს მესამედ ვიბადები! ჩემს მესამე მშობიარობას ვესწრებით! მაგრამ, არ ვიცი, ან თქვენ როგორ გადაიტანთ ამ მშობიარობას, ან მე.

დიდ ეკრანზე: (ძველი თბილისის კადრები — მედუდუკეები, აკა მორჩილაძის გადაცემის კადრები, ნაწყვეტი მისი ფილმიდან.)

გურამ სალარაძე *(ცოცხალი შესრულებით, ეკრანის შემდეგ):*
შენი ქუჩების ფეხთა მტვერი ვარ, ვერის ბერი ვარ, ჩემო თბილისო!
მე შენს სიაში სისხლით ვნერივარ, განა გერი ვარ, ჩემო თბილისო!

თბილისის კადრები
*(ჩემი კახეთიდანაც)*

ჩემო თბილისო, როგორც მშვენიხარ, ისე გშვენივარ — მხოლოდ შენი ვარ,
ჩემო თბილისო, ერთი ღერი ვარ, რალაც ტკბილ-მნარე ჰანგზე ვმღერივარ!

(პატარა ეკრანზე ქალაქის ნგრევისა და აღმშენებლობის კადრები)

აკაკი:
„და ბვერნახულო სიბერევ,
რად სძრახავ სიყმაწვილესა?!
დღეს იმას ხმარობ შენც მკაში,
რაც სიყმაწვილემ გილესა"...

დიდ ეკრანზე: ძველი თბილისის კადრები.

სცენაზე: ინსტრუმენტული ანსამბლი ძველი თბილისური მელოდიებით ან ჩიმაკაძის სიმღერა — „საქართველოს სერებს", გიორგი ქუჩიშვილის ორიგინალური ხმით *(მისი ტექსტი მისი სახების ფონზე)*

სცენაზე: მუსიკოსების *(იუმორინას ორკესტრი)* ადგილს იკავებენ ტექსტის მკითხველები. ავანსცენაზე დგას პიუპიტრები, რომლებზეც აწყობენ თავიანთ ტექსტებს და მერე ნოტებივით შლიან მას.
ეკრანი: რ. ლაღიძის „საჭიდაო" *(ძველი თბილისის კადრებით).*

იოსებ გრიშაშვილი *(სილუეტით)*

„შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა,
ქორონიკონის კენტი და ლუწი,
მაგრამ არ იცი,
ჩვენმა ქალაქმა
რა სურათები მოქარგა უწინ.

ეკრანი: „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ (*შეხლა-შემოხლის და ჩხუბების კადრები).*

გია როინიშვილი: სხვათა შორის, თბილისი იშვიათთა შორის უიშვიათესი ქალაქია, რომელიც პირდაპირ ქალაქად დაიბადა და დაგვებედა. თბილისს, თურმე, აღმოსავლეთში ანუ ორიენტალისტურ სამყაროში „სახლი სიხარულისა“ ერქვა.

გიზო:
თუ გსურს, სამოთხეზე იოცნებო,
თავი თბილისელად მოგქონდეს,
თბილისი ასე ილოცება:
ღმერთმა შენ მოგცეს, რომ მე მქონდეს!

ეკრანი: თბილისური ჰანგები: „დავალ მუდამ მოხიბლული“, „თბილისელ კაცს თბილისურად მიყვარს ჩემი უბნები“ და სხვა...; კადრები, სურათები.

კადრები ფილმებიდან თბილისზე

გურამ საღარაძე: თბილისი შეინახეს თბილისელებმა, სრულიად საქართველოს ლვიძლმა შვილებმა. ძველს ხელი არ ახლეს, ახალი აახლეს, ასე განაახლეს — დიდება მათ სახელს!
გულო, ჩადექ საგულესა...

გია როინიშვილი:
მთავარი, ქალაქელობა კი არა, მოქალაქეობაა!
და, კაცმა რომ თქვას, ამ ცნებებში რა სხვაობაა?!
გია ბურჯანაძე:
ამბობენ, არ უნდა დავეშვათო ქუჩის დონემდე!...
სულაც არ ითქმის ეს თბილისის ქუჩის დონეზე!

დისქალეთ!
გორკი:
..თუ ადამიანს ლირი ეძახე, ბილის... აღრეულნდება"

მეილებს, ზოგჯერ, გიქებიერთ ეწრდით და მერე გეკუერის. ლირები რაკიმ გამოუდნენი?! (გ.ნ.)

იაკობ ხუცესი (V ს.): ..მხნე იყავ, მოთმინე და ხელგრძელი"

სულხან საბა (XVII-XVIII სს.): ..ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია, ზურგთა მიმზმელია... ამხანაგის უკეთესს რას იშოვი!"

გიზო: ის გამორიცხავს, თავად
ჰკიცხავს ქუჩურ ქამანდებს
და მე თუ მკითხავთ, მის დონემ-
დე უნდა აემაღლდეთ!

ხოსე მარტი პერ-
ესი: ..ყველაზე
რთული პროფესია
კაციობაა!

გივი ბერიკაშვილი:
დედაქალაქში ცხოვრების წესს
საზღვრავს პირობა:
ზნეკეთილობა, გულქართლობა,
ხელგაშლილობა,
ალალმართლობა, გულუხვობა,
არპურძეირობა,
არქედმაღლობა, თავმდაბლობა,
ზრდილთა-ზრდილობა!
არკუთხურობა, ყოფა-ყოფნით
ყოფნის მცდელობა.
თბილისში.
მხოლოდ, მხოლოდ, მხოლოდ...
თბილისელობა!

რუსო: ..ჩემი
საქმეა, სიმართლე
ვთქვა და არა ის,
რომ გაიძულო მისი
დაჯერება

ზურა ბერიკაშვილი:
რომ კიდევ ერთხელ ვიგრიალ-
ოთ, გავტეხოთ ნავსი, შემოვაცალ-
ოთ სიჭაბუკეს სიბერის ხავსი,
მოვუსვათ მხარულ-ბაყაყური
მტკვრის მღვრიე ტალღას, რომლის
ბადალი არ ენახოთ უმსგავსებს მს-
გავსი.
გაღმა გასულნი გამოღმელებს
არ შევედავოთ, უბრალოდ —
შვილებს, შვილიშვილებს ვუჩვენოთ
კლასი...
მერე გავტეხოთ პური, მერე
შევავსოთ თასი, ვახსენოთ ვერა,
თბილისლობის ამოვხსნათ არსი,
გავიგოთ ფასი.

შევარცხვინე ის
სუფრა, სადაც პურ-
მარილი ყელამდეა.
მაგრამ ხელი მაინც
მშიერი რჩება!

გივი ბერიკაშვილი:
ქებათა ქება ჩვენს თაობას...
გაკვრით ზოგიერთ უთავობას,
სიყრმის შეცდომებს (შეგვინდოს
გამჩენმა), ეს შესვას ყველა წამსვ-
ლელ-დამრჩენმა.

*ეკრანი: ქართლოს კასრაძე (დილა
უთენია, ყოველ გამთენია)*

გოგა პიპინაშვილი:
მე ჩემი ქალაქის ვარ ფიჩხულ
დალაქი.
ვარ პირისფარეში — ხუმრობის

თბილისური კადრები

გარეშე,
1000 ბანი და ის ერთი უბანი,
ის ლხინისუფალი,
მე — ჭირისუფალი — ვერის ვერელობის,
ვერისუბნელობის,
არა გულღრძოობის, არა სულთბნელობის!...

ხელაშვილი:
— ერთი გულისხმობის, ერთი სულის წრთობის,
არა ვერაგობის — გობით მეგობრობის,
ერთი ლუკმის ყოფის, ერთი ყოფით ყოფის!

კონსტანტინე გამსახურდია:
„მთავარი ის კი არ არის, რას ჭამ. მთავარია, ვისთან ჭამ"

გია ბურჯანაძე:
ვერის ვერდიქტით და ვერის სულგრძელობით!
ვერის ჰორიზონტალ — ვერის ვერტიკალით...
ვერის ვერნისაჟით, ნატურით და შარჟით.

„პაემანი ვერაზე"
ეროსი: შევაესოთ ჭიქები! —
ვახსენოთ ჯიქები,
ეხსნი შამპანურებს, როგორც ჰაუბიცებს...
ალავერდს ვერელი, ვერასთან ვიქნები
და ამ ბათქა-ბუთქით —
გაუ, გაუ, ბიჭებს!

ეკრანზე: ძველი თბილისი — „რაც გინახავს, ველარ ნახავ", „მაგდანას ლურჯა" *(...„ტროლა ვარ ალიონზე...")*

II კასეტა *(ქართლოსზე)*

ილია: „ბავშვი სათავეა დიდი ადამიანისა!"

გიზო:
„იყო და არა იყო რა —
სულ ოქროს კვერცხი გვიგორა...
ტირილი მოკლა სიცილით,
სიცილი კვდება ტირილით"
ქართლოსი და სიკვდილი?
ეს რა ეშმაკმა ინება,
ქართლოსისთანებს, ქართლო-

სიანებს რა მოკლაეს,
მკედარსაც კი გაეცინება!

პაპა: „სიყმაწვილემ რომ იცოდეს და სიბერეს რომ შეეძლოს...“

ეკრანი: „პაემანი ვერაზე“ (ფირი): სოფიკო ჭიაურელის კადრი — სინკა, ლილა, სინკა, ლილა... ასე თენდებოდა თბილისში ლურჯთვალება დილა“

გიზო: ეს იყო ნამდვილი სპექტაკლი, არც როკ-ენ-როლის და არც ტვისტის...

თბილისი — მხიარული სახლის ვარიაციები, პროლოგი — ოლიეერ ტვისტის,

ეკრანზე: გიზო, II კასეტა.

სოფიკო — მესამედ რომ შემოკრეს ზარი,
ჩვენ ასეთ სპექტაკლს დავესწარით,
იმ თბილისს სულზე მივუსწარით,
ამ ზლაპარს ცხადად შევესწარით!

მარაკი: „შენ თავისუფალი ხარ, თუ გაქვს იმის ეა-ჭააკობა, თავისუფალი იყო!“

ეკრანი: „დავლევ, აბა, რას ვიზამ“ (მ. ზაქარიაშვილი)

დიდ ეკრანზე: ეროსის კადრები „ხანუმადან“ (ცეკვა მედეა ჩახავასთან); „ვერისუბნის მელოდიები“ (ალა გეურქა)

ეროსის კადრები

ეროსის ფირი „პაემანი ვერაზე“:
შევარცხვინე ის სადღეგრძელო,
რომელიც...
ქიქის ხელში ალებამდეა მოფიქრებული!

ეკრანზე: ბიჭები, ხურათები, მეარღნე.
მამა-შვილი ქიტესოვები _ არღნის მკეთებლები.

შევარცხვინე ის სიტყვა, რომელიც... ჭიქის პირისკენ ნალებამდეა გაფიქრებული!
ვენაცვალე იმ სადღეგრძელოს,
ჭიქის ხელში ალებისას რომაა ჩამოსხმული,
ჭიქასთან ერთად რომაა აწეული
და... ჭიქასთან ერთად რომაა ჩაფიქრებული!
მოდით, გაუმარჯოს, ბიჭებო,
სახლიდან ჩვენს პირველ გამოღოღებას, ჩვენს პირველ გაპარვას ეზოდან, თვალების ფართოდ

გალებას.
ჩვენს პირველ შეხვედრას თბილისთან და მისი კარების შეღებას, პირველ გაოცებას... პირველ შიშს... და პირის მტკაველზე დალებას!
დედის შეკივლებას: მიშველეთ, ბავშვი ქუჩაში გასულაო,
ჯერ მიწას არ აცილებია, მამაძაღლი, უკვე ხელიდან წასულაო... ...ჩვენს პირველ გაქცევას და პირველ წაქცევას, კაცს, ფეხზე დამყენებელს — მამაჩვენს გაუმარჯოს, ვითომ გაბრაზებულს, პირველი ბრალდების წამყენებელს:

გივი ბერიკაშვილი:
მეზობელს უბრძანებია (თქვენ ასე განსაჯეთ),
ახლავე დასაჯეთ, თავზე არ დაიჯინოთო,
მე გირჩევთ, რომ სამჯერ ისროლოთ ჰაერში და
ორჯერ დაიჭიროთო!

სოფიკო:
ენკი-ბენკისა და ენკი-ბენკიბას, სნიპ-სნაპ-სნურესა და სნურე პაზალორეს,
ინილო-ბინილოსა და შროშანო კვინილოს... რას არ ვიგონებდით თამაშს, მაზალოებს.

ეროსი *(ფირი)*:
საქართველოში იბადებოდნენ და მერე მუდამ სწუხდნენ ამაზე,
ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზე"...
წუთით?
წუთით კი არა, მთელი ერთი საათით,
გიბრუნებთ ბავშვობას მინუს ოცდაათით,
სულ ერთი საათით,
სულ ერთი საათით,
სულ ჭენებ-ჭენებით
და არა ტაატით...
მიეუშვათ ლაგამს, აიწყვიტონ ჩვენმა რაშებმა

კადრები ჩხუბის, ჭიდაობის, კრივის (აგრეთვე, მოკრივე მალვა დვალის კადრები);
კადრები მხატვრულ-დოკუმენტური ფილმებიდან;
უნიკალური საოჯახო ვიდეო-არქივი (თამაზ მილაკამის საოჯახო ჩანაწერები და სხვა)

მორის ფოცხიშვილი *(ფირი)*:
გაგიმარჯოს, ჩემო გიზო —
ასე უნდა იგიზგიზო!

გონდა. იყო ბედნიერი? იყავი!

სოფრომ მგალობლიშვილი: „ყოველ კაცი ქვეყნის მიყვარდა"

გალაქტიონი: „მე მეშინია იმგვარ სი ც ო ც ხ ლ ი ს, სიკვდილს რომ ჰგავს და [illegible]".

„ოჰ, როგორ მიდის ახალგაზრდობა,
დაუნდობელი სურვილი ლომის
და ყოველივე როგორ ნელდება,
როცა ახლოა შენ შემოდგომის."

და გაიხარონ დღეს — კაცებმა,
გუშინ — ბავშვებმა...
როგორც ზღაპარში:
ფქვილი აქა და ქატო იქა,
გატეხეთ პური, ჩამოასხით,
ასნიეთ ჭიქა!

დიდ ეკრანზე: ქეიფი (კადრები მეხგელის ხათაკასხი ფილმიდან)

გიზო:
კაცები ეეგონეთ და კაცი გვეგონა, თუმცა, ღმერთის სახელი ჰქონდა,
ღმერთივით ხმა, ღმერთიეით კაცი იყო, მაგრამ ჩვენი ბიჭების გარდა,
ვის უნახაეს ასე გაშინაურებული ღმერთი. ყოველდღე პირზე კოცნით რომ გვხედებოდა!

დავით გურამიშვილი (XVIII ს.): ..ამად ვემდური სანუთრის. თურემ. სხვა რა მაქვს სადაო? სად მიმიყვანა, სად მეყოფა. კიდევ მივყავარ სადაო!

კადრები ჩვენს ფალავნებზე: გიგი კარტოზია, არსენ მეკოკიშვილი;
ძველი სპორტსმენები: მესხის ფინტი... (ტექსტის შესაფერისი ფონი)

ეკრანი: გიზო *(კასეტიდან):*
ალარაფრის დარდი ალარ მანუხებს,
დაეეხსენი ამ ცხოვრების მარწუხებს...
უდარდელის მარიფათიც გაჩეენე...
რალას ვუცდი?
ისეე დარდი მაჩერებს!

*(თბილისური სურათებისა და სიმღერების ფონზე)*
გიზო *(სცენაზე):*
ჩემი არშინით გავზომე
ცხოვრების ჭრელი ფართალი...
რად მინდა იგი სიმართლე —
მარტო მე ვიყო მართალი!

ეკრანი: მუსიკა (...ერთხელ ამერიკაში) კადრები.

პითაგორას სამოსელი: ..არ დახუქო თვალი დასაძინებლად, სანამ ყველა შენს გადადგმულ ნაბიჯს არ გააანალიზებ...
ეკრანზე: მუსიკა ..ერთხელ ამერიკაში

სცენა დარბაზის ეკრანიდან:
გუგული მგელაძე:
გარდაცვლილ ბიჭებს შეეხვდი ვერაზე,
ვერ გავექეცი შენს წარსულს ვერსად...
ნიშნიანიძე იდგა სცენაზე

და მოდიოდა სიყრმის მზე ლექსად.

გიზო:
„უხასიათო კაცი რაა, ქალაქი რა უნდა იყოს"
ქალაქის პირველი ყოჩიც ჩვენებური იყო,
აზანზარებდა ქალაქს...
მოდიოდნენ გოგია რებეცა,
სვანეთისუბნელები,
ძმურად უსინჯავდნენ ძალას.
*(სცენაზე დგას პროექტორი, რომლითაც ოპერატორი იმ ნერტილს ანათებს, სადაც ვის აცხადებენ. იქვე მათი შთამომავლობა ზის (პრინციპით: „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა"))*

კადრები „იეთიმ გურჯიდან" (ირაკლი უჩანეიშვილის მონაწილეობით)

ფალავას ხსენებაზე შეილიშვილს ეაჩვენებთ დარბაზში. დგება და ხელის აწევით მოგვესალმება.

გია ბურჯანაძე:
თუ გინახავს სადმე სხვა ორი,
რეზო ფალავასთანა ჩხუბი რომ იცოდა.
ჩემს მტერს, ჩემო ძმაო, მისი ტორი,
მის ნაჟეჟს პატრონი ვერ ცნობდა.

გოგა პიპინაშვილი: ჰაი, დედასა, რა სახელები განეიმდა,
ძველი ნავიდა, ახალი დაცვევდა,
ძველი მაინც არ გაცივდა...
„ავლაბარი — ტრაბახეცი, უმარხფეცი, დიფვერქსეცი,

ეკრანზე: ფილმები, კადრები, პირადი არქივები — ვერას ყოჩიაშიდას!

შოპენჰაუერი: „სიჭაბუკეში — ჭვრეტა, სიბერეში — განსჯა. პირველი — პოეზიაა, მეორე — სიბრძნე"

ლადო: „არიან სახითიანი კაცნი, გულთაწრულნი"

რეზო ფალავას პ ი რ ვ ე ლ ი წიგნიდან „პოემანი ეკრანზე"

ვერელეცი — ყოჩალეცი, ხარფუხეცი — მუშტიხფეცი"

მუშტი მუშტობდა და სამართლობდა — ქვეყნის საკამათოს კამათობდა...

„ნუ გვშინია სიკვდილისა, გვშინოდეს სირცხვილისა"

გიზო: ...აური-ზაური-თაური, არგაჭაჭანება დანის და რევოლვერის,

ლანალუნი, სარმა, ზედ შუაკაური, აი, „ოლიმპიადა 40" ჩვენი ვერის!

გაცნობის ჩხუბი იყო!...

პირველად — შეჯიბრება,

მერე კი — შეჯიგრება

და ნყენის ახლო არგაკარება,

პირველად — გაჯიქება,

მერე კი — გაჭიქება,

ბოლმისგან დაცლა და გულთან არნაკარება!

სოლომონ ბრძენი: „კობია, ბრძენმა გაგონოს, ვიდრე სულელმა გაქოს"

გოეთე: „მეკ-ლომები, კიდევები სიზმრემდე არ უნდა ვატარიოთ"

ეკრანი: „უძინართა მზე", „ჩვენი ეზო" (პაპიროსის ნევა); ოთარი და გიზო პაპიროსით; „ღიმილის ბიჭები". სურათები „პაემანიდან"

გივი ბერიკაშვილი: არ იყო ქუჩური ჩხუბი ასე ხელნამოსაკრავი (ხელს ნამოკრავედი და კაი დროსაც გაატარებდი). ბევრი დასაჯეს... თეითონ განსაჯეთ: როცა 1851 ნლის 2 თებერვალს, სიონის ქუჩაზე ატეხილი აყალმაყალის გამო, ხელმნიფემ საერთოდ აკრძალა მუშტი-კრივი, მეფის ნაცვალს მიხეილ ვორონცოვს სანკტ-პეტერბურგში მის უავგუსტოესობასთან ნერილი უფრენია, მუშტი-კრივის აკრძალვით აქაურ მებრძოლ ხალხს ერთობ დაალონებთო!

შოთა რუსთაველი: „მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირსა"

ეს ტექსტი ჩვენი ლაწირაკობისდროინდელი პაპიროსიანი პორტრეტის ფონზე.

გიზო: ზემელზე, შეშინებულივით კედელს აკეროდა ქუჩის ერთადერთი ტელეფონ-ავტომატი და ამ ჭკუის კოლოფს ზედ ამოკაწეროდა ნეტარხსენებული სახელები მათი... ახლაც კარგად მახსოვს, ჟანგიან ფირფიტას ზედ რაც ენერა და ზედ რაც ნაენერათ: „ხანძრის შემთხვევაში დარეკეთ 01-ზე"

სცენის პროექტორი, ოთო მგელაძის პორტრეტის გამოჩენისთანავე, პარტერში ვმებს მის ოჯახს და ნათელი მოეფინება

ოთარის დანატოვარ ლამაზ ოჯახს, ზურა საკანდელიძის პორტრეტის ხაზგასმით. (№1 ეკრანი: კადრები საკანდელიძეების. ვერის სასაფლაოზე ორი ზურაბის საფლავი).

გიზო: ისე, თვითონაც კაი გიჟი იყო და გადარეული.

ამ „პაემანის" წინ, მისი 40 წლის წინანდელი ნაჩუქარი კალმისტარი მომხვდა ხელში. ჟრუანტელივით დამიარა და გულში მათქმევინა:

ჩვენთან ყოფნას, ჩვენთან გრიალს, ნუთუ
ხელდაკრეფილს, მშვიდი ძილი გიჯობს.
აქ — ერთ წუთსაც რომ ვერ ძლებდი, ოთარ,
იქ — მაგდენ ხანს როგორა ძლებ, ბიჭო?
გაფრენის დროს დაგიბნელდა მზეზე,
ძველი დარდით დღესაც ისევ ვშფოთავ.
უკვე ორჯერ უფროსი ვარ შენზე —
ახლა მაინც დამიჯერე, ოთარ!

ეკრანი: „პაემანი ვერაზე".

(კადრები „პაემნიდან")

(გვერდზე კი ნაკაწრი ლურსმნულით და ცერად)

ზურა ბერიკაშვილი:
„შუხურის შემთხვევაში დარეკეთ ჩემთან!
ღმერთი არ გაგიწყრეთ, მაშ, მე აქ რაღა ვარ,
არავინ მიჰქაროს, უჩემოდ იჩხუბოს...
თქვენი ზიარება, თქვენი ძმა — ფალავა... 3-01-03"

გიზო:
...რამდენი ბავშვობაში გალახული მახსოვს,
დღესაც გველის ნაკბენივით ახსოვს.
ბიჭობაუნახავად გაბერბიჭებული
შხამსა და სამსალას აქსოვს.
გუშინდელ ჯავრს დღეს იყრის ეს ბოღმა,
ცუდად გატარებული ბავშვობის გამო,
ბიჭობაგამოუვლელად გაძველბიჭებული
ძველი ანგარიშების სწორებას ლამობს.

გურამ სალარაძე:
კარგი მეხსიერება იმას ჰქონია —
ვისაც დავიწყება შეუძლიაო,
ვისაც ეს არა სწამს,
თავიც გასკდომია,
კისერიც უტეხია,
კინჩხიც უხლიაო.

გია ბურჯანაძე:
იმ ძმობას გაუმარჯოს, ბიჭებო,
დედის მუცლიდან რომ არ დაგვყვება,
იმ წყენას გაუმარჯოს, ბიჭებო,
აქამდე რომ არ გაგვყვა!

დიდ ეკრანზე: გადაცემა „მატარებელი"

გიზო:
ერთ ნაამხანაგარს ნაამხანა-

სუხომლინსკი:
..სამი უბედურება აქვს კაცობრიობას: სიკვდილი, სიბერე და ცუდი შვილები"

..ბიჭოება იქამდე მოვიდა, რომ უკვე ნაკლებ ბიჭოებას ვარჩევთ" (გ.ნ.)

ვახტანგ VI:
..კაცმან უნდა თავის საქმე. ყველა ღვთით მოიყვარგის...
სახელის ხე. საჩრდილობლად. წყლისა პირსა ხემე დარგის"

თბილისური ბავშ-
ვობის ამსახველი კა-
დრები კინოფილმე-
ბიდან.

გარისაგან!

შენ არასდროს არ მეძახდი ამხანაგს, როცა მართლა ამხანაგი იყავი.

შენ მე, ახლა, „ამხანაგოს“ მეძახი და ამხანად ჩვენ ორად გავიყავით.

შენს მეფობას მივცინოთ თუ მიეტიროთ...

ორფეხობამ შენ წინ ოთხზე ვიცოცეთ...

შენ სიცოცხლით მოგვისაჯე სიკვდილი!

ჩვენ სიკვდილად მოგისაჯეთ სიცოცხლე!

ეკრანი: გია როინიშვილი — თუ ჩაჯდომიხართ ხელმწიფეს ნავში?

ფილმი: ელიჩქა ახვლედიანის სა-ლიხში.

გიზო:

იეთიმ გურჯის პირითა და ძველისძველი თბილისური ჰანგით გიპასუხებ!

ეკრანი: თ. თათარაშვილის „კარგი იყო, არ გამეცან თავიდან...“

გიზო: ახლაც დაძრწის შენი ელეთმელეთი,

თბილისის ძევ, თბილისელო, შენ, იეთიმ!

პირველი და მეორე ეკრანები — სურათები. ქრონიკა. ფილმები „დანგრეული რუსთაველი“, „ერთხელ ამერიკაში“ (მკვლელობის ეპიზოდი); თბილისის კოლაჟი; დემონსტრაციები, ომები... (ჩემი წიგნიდან). თბილისური ალბომი.

გიზო:

სანამ ოთარ მგელაძე დაბოგინობდა, ჩვენს ქუჩას პატრონი ჰყავდა,

სანამ ცუდი კაცის ჯავრს არ ამოიყრიდა, ქვაზე შეშლილსა ჰგავდა.

შემხვედრიც ის იყო და გამცილებელიც,

დავით გურამიშვილი: „რაც ერთხელ ცხოვლად ხელს დააჩნდების, სამეილიმეილიდ გარდაეცემის“

აკაკი: „სადაც სიყვარულია, იმ-

ფირი.

200-ცხენისძალიან ჩვენს „მერსედესებს“ — ერთფეხისძალიან „სამოკატკებს“, ჩვენს მაუზერებს, აბედკვეხებს — ქვასროლიას ხის შურდულებსა და ხის „რაგატკებს“.

სეირსა და ჩვენი ეზოს კრებას... და მოხაშუშებლად შემოსულ მეშუშეს — „ხტიოკლა ვსტაველიაიუს“ — ფანჯარა-გულების ერთად გამრთელებას.

ეკრანი: ნ.დიასამიძე „რა ვიდიდონო, რით ვუშველო იარებს“?...

აქეთაც ლამაზმანების გალერეა

ეკრანი — ირაკლი უჩანეიშვილი „შაუმანი ვერაზე“ „ბებერი ხოლოლაკის სახელით“, მეც რის „ავადა ვარ, ავადა“.

მტერს — მტრულად, მოყვარეს — მოყვრულად ხვდებოდა,

გუშინ ჩვენს ქუჩაზე კაცი მოუკლავთ...

ის რომ ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა!

თუ ასე არ ფიქრობ, ძალიანაც ცდები:

ტყუილად გამსარჯე და ტყუილად გაისარჯე:

შენი გამარჯვებით მე არ დავმარცხდები!

ჩემი დამარცხებით შენ ვერ გაიმარჯვებ!

ფიქრები — ღრუბლები სააედროდ იყრებიან, დაბორიალობენ ლანდები, მდაბლად თავს მიკრავენ ჩვენი რაინდები — თბილისის ნამდვილი გრანდები.

ერთი აქ არის".

გივი ბერიკაშვილი:

რის ზიზილ-პიპილ-თოჯინტიკინები...

რა გვექნა, ვარსკვლავებს ვეთამაშებოდით,

კასრის სალტე-რგოლებს დავახრიგინებდით,

„ვგაზავდით“, ვხაზავდით, სირბილით ვკვდებოდით,

(თბილისელი ბიჭები ჩემი წიგნის გალერეადან)

გია როინიშვილი:

ვერის შეღამება და ვერის დილები — მისი ახალუხის კილოებ-ღილები, ეს გულით-სულები, ეს სულით-გულები — ვისი მჯობნით-მჯობნი მე არ მეგულება!

ადრე ასეთ ბიჭებზე ლეგენდებს თხზავდნენ, ჰკითხეთ, ბატონო, აგერ, ჩვენს ანტიკურ მეზობლებს.

ყალბ დიდებას ისინი კბილს არ უსინჯავენ, ბოროტებას ვერა და ვერ დაუზავდნენ.

საიგავენაგავოდ არ ექცნენ ეზოპეს!

თამაზ მელიავამ მელიაზე მოგონილი ჭორები მარტო მისი გვარითაც კი გვარიანად გააბითურა.

კაცი სიგრძე-სიგანით რომ არ

სიტყვა: „ადამიანი ყველაზე დიდი სასწაულია"

იზომება, მთელი სიგრძე-სიგანით დაამტკიცა ბუთურამ,

ცინცაძე ბუთურამ — პატარა კახმა და მისმა ძმებმა — „რიჟა თამაზებმა".

და, კიდევ სხვებმა, ბიჭად-კაცებმა, რომლებმაც შეძლეს დევებთან შებმა — დოდო აბაშიძემ!

თენგიზ კეკელიძემ!

გოგი ქარსელაძემ!

ეკრანი: კადრები დოდო აბაშიძის ფილმებიდან (აბდუშაპილი, ჭრიჭინა და სხვა.)

ლამაზმანების გალერეა:

გია ბურჯანაძე:

ესაა დოდო, ყველამ ვიცანით,

ვიცით, ის ჩვენთვის რა და ვინც არის,

ვერის მედროშეს... ვერის ალამი! დოდოს -- სიცოცხლე! დოდოს -- სალამი!

*(სინათლე ეძებს ხალხში დოდოს შვილს ზაზა აბაშიძეს. პოულობს.)*

ზაზა აბაშიძე: ვიცი, ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა! მაგრამ, ძალიან ძნელია, დოდოს აჯობო.

ავთო ვარაზზე! აქტორი იწყებს:

ვერა, ვერასგზით, ვერასდიდებით, ვერაზე ვარაზს ვერ ავცილდებით!

„ფიროსმანის" კადრები.

გიზო:

ვერისუბნის სასაფლაოზე ერთ საფლავის ქვას აწერია ამ საფლავები ქვათა ლაღადი. აი, ეს ოთხ სტრიქონად გაქვავებული პოემაც:

Вчера я по кладбищу ходил,
И там все надписи изучил,
Двум-трем сказал: зачем ты умерь?
А остальным: - зачем ты жыл?

გრძელდება ლამაზმანების გალერეა:

*(ნასული მზეთუნახავები: ბუბუსია თვალავაძე, მედიკო ბებურიშვილი და სხვები.)*

ეკრანი _ II კასე-ტა ავტორი

ეკრანი: ვ. აზარაშვილის „ტან-გო"

მღერის „ქალი ნახო ფეხშიშველი"

გიზო: სცენა

ვერისუბნის ერთი მარადიული გამოცანა!

მინდა, ესტაფეტა გადავცე შთამომავლობას — ქალის სახელს ვერ მათქმევინებ?

მარიკა: ვერა!

გიზო: ხომ გათქმევინე! ახლაც არ გჯერა?

ეს იყო თბილისელების ერთსიტყვიანი და ერთგულიანი კოლექტიური დაუწერელი პოემა, რომელიც, ალბათ, სრულიადაც არ იყო მარტო თამაში, თანაც შემთხვევითი... ვერიკოსა და ვერისუბნისათვის.

ლეინძრი და ენჩრ: „თვალი ხელის სარკმელია"

გივი ბერიკაშვილი:

*(ნახევარი ტექსტი — პირით და ნახევარი — ცოცხალი შესრულებით)*

სიზი-ალრანებსა და „ბელახვოსტებს" —

ჩვენი სახლის სახურავის მტრედებს,

იმათ დაქალებსაც — საქალე მასალებსაც,

უბნის გოგოებს — თეთრ გედებს:

თამრიკოებს, ქეთინოებს, თეკლეებს,

ლიანებს, დიანებს, მაიებს,

უბანში აფრენილ პეპლებს, სიყვარულის პირველ ეკლებს,

ქუჩაში მოარულ ძეგლებს,

ჩვენს ლამაზ ჭიამაიებს.

მღერის: „ავადა ვარ, ავადა _ მოდი ხანახავადა"

გულის ფიცარზე ამოსანვავებს —

პირველი ცეცხლის პირველ ნამწვავებს,

მკლავებზე დადაღულ „სონაკოლკეებს" —

პირველ გოგოებს — „სანაკოლკეებს".

ილია: „ცხოვრება წეწვა-გლეჯის ბაზარია... შიხა და შიას ჭიდილია, ერთადერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა!"

ზურა ბერიკაშვილი:
ვერა, ვერ ვშორდებით ერთმა-ნეთს,
ღმერთმანი!
იხილეთ მაშინდელი არითმეტი-კა —
თვალის თვალში გასწორება-გა-ტოლება,
ვინ — ვის მივუმატოთ, ვინ — ვის უდრის, ანუ — ორნაცნობიანი განტოლება!

*(ილუსტრაცია ჩემი წიგნიდან — ნაკოლკებიანი ვერელი ყორიკა)*

გოგა პიპინაშვილი:

უზარმაზარი ლურჯი წყლის სასწაულის სანახავად ბიჭებს ზღვაზე წასვლა არ გვჭირდებოდა! ლია სარიშვილის თვალებში იყო შავი ზღვაც, თეთრიც, წითელიც, კასპიისაც, მარმარილოსიც და ოკეანეებიც... წყნარის გარდა... რამდენი მინახავს ამ ზღვაში დამხრჩვალი. ვინ ამოხსნა ამ ორი ოკეანის საიდუმლო? ვინ გადაურჩა მისი სიყვარულის ბერმუდის სამკუთხედს?

გურამ სალარაძე:
ბავშვობის მინდორზე დასდევედა როს პეპლებს — ვარდი და ბარდი არ ისხამდნენ ნარ-ეკლებს და შაშვიც გალობდა სხვა ლაზათ –სხვა ეშხით, შავი სმოკინგით და ლამაზი კაეშნით, თეთრი გვირილებიც თავს ხრიდნენ მორჩილად, ფერი მისდიოდათ მიხაკს და ყოჩივარდას.

ირაკლი უჩანეიშვილი (ფირი):
ყაზბეგზე ასვლამდე
„ყაზბეგში“ ჩავდიოდით,
არ გვქონდა სავალი გრძელია...
საოცარი რაღაცა ხდებოდა, ბიჭებო,
დღეს ამის ახსნაც კი ძნელია.

ეკრანი: ტანც-გეურქას დუქანში საკურთხებლად
არ იყო არც ფული, არც საბაბი,

ეკრანზე თბილისე-ლი ქურთები!
ალიკო თეთრუაშ-ვილი:
„ჰაემანს ეკრანზე
ჩვენს ქართველ-ქურთველებს გაუმარ-ჯოს:
დადის, ვილესა და ტახარას...
ჯიბოს, შამოხა და ლადო ადოს,
იმათ ევავი-ჩხიკვის ბახალას.
მათი ულვაშებით გვაშინებდნენ —
მერე კი რამდენი გვახარა!..
ადოს გაუმარჯოს — ერთ მტკაველს — ადოს — ამ ჯუჯა გოლიათს, თვალში რომ არავის არ უჩანდა, ჯანით რომ ჯაბნიდა, ჯობნიდა მგონი ათს. პიანინოს რომ მოკიდებდა ადო და აღმართს აუყვებოდა ხუნწით, პიანინო ნეველა მიიზლაზნე-ბოდა, კაცი კი არ ჩან-და ქვეშით.
ზრდილობის სკოლა იყო ადო,
გზას თვითონ უთ-მობდა ამვლელ-ჩამვ-ლელს. ტვირთს შეაბრუნებდა, პიანი-ნოს შეაბრუნებდა ზემურაზე და გაატარებდა გამვლელს.
მის კურტანს გაუმარჯოს, თბი-ლისელებო,

ალიშერ ნავოი:
..გაიარი ცხოვრება და არასრულყო-ფილი დარჩე. იგივეა, აბანოდან დაუბანელი გამოხ-ვიდე.

რამდენი სიკეთე ზიდა,
მთებს მრავლდა, მთებს მრავლდა ის მობელმაღლი,
თვით იყო ერთი ციდა.
...ქურთული ქორწილის გნიასი თუ გახსოვთ,
დოლის ბრახა-ბრუხი, ზურნების ჭყვიტინი.
მისი მოზაიკა, მისი ჭრელა-ჭრელა,
ნავიდი პატარმალის შორიდან ჭიტინი.
ერთი წლით ნაგროვებს ერთ დღეში ხარჯავდნენ,
ამ დღეს ასკენებდნენ ქურთები ზურგებს,
მღერობდნენ ცეკვითა:
დადაი, მიხოი, ჯანოი, ეილეი, ხანუმე, ლურკე!!!

იყო მგლის მადა, ხოში, „ნემეცკი შროტი" და
„კატუშას" ჟურჟებივით ქაბაბი,
იყო მედუქნე და იყო დახლიდარი,
ჩვენგან რა ხეირი ჰქონდათ.
იყო გატანა და არა ახლის დარი,
ლუკმის, ჟიჟის ნდობა, პოდა...
სახლიც მშვიდად იყო, დუქანს ენდობოდა,
ვაჟარს ენდობოდა „მაჟარს",
ბიჭებს ანდობდა და თავი ქუდში ჰქონდა,
სულ სხვა გემო ჰქონდა ნაჭამს.
შენ ჩარჩი უძახე, იცოდა, ვინ და „ფრუქტი",
ვინ რამდენ ლიტრიანი იყო,
„მენიუ-შენიუ-ჩვენიუ" იცოდა,
რამდენი ნისია გვიყო.

გივი ბერიკაშვილი:
რა ნაცნობი სევდა მიპყრობს, გოგოებო, როცა თქვენი მახსენდება ვალები, თქვენ არასდროს არ გერქმევათ მოგონება, თქვენ ვერაფრით ვერ დაგარქვით ქალები!

ზურიკო ბერიკაშვილი:
თქვენს პაემანზე სხვა მოვიდა სულ სხვა იერით და ჯოჯოხეთი გამოვიდა დღე მშვენიერი..

გიზო: ახლა მე დაუსწრებლად უნდა დავასწრო ჩვენს პაემანს ჩვენი დროის შემორჩენილი ერთ-ერთი თბილისელი მზეთუნახავი ქალბატონი ლია სარიშვილი, რომლის ელეთ-მელეთი ახლაც დადის თბილისში! თვითონ კი თბილისში ცხოვრობს... უთბილისოდ — სახლიდან არ გამოდის!

*(სინათლე პარტნერისაკენ: ლია სარიშვილის დარბაზში მჯდომი ქალიშვილი აგ ზავნის მობილურ ტელეფონს სცენაზე — დედამისთან გვაკავშირებს. გიზო ელაპარაკება ლია სარიშვილს!)*

გიზო: ქალბატონო ლია, პაე-

ლია:
..სათლავი ქვეყნის მოღვაწე ყუყაჯოხა წმინდა ხალიფავია პამულისათვის"
..დაე თუნდ

მანს ვერაზე უთქეენოდ ეშხი აკლია.

ლია: ბატონო გიზო, არც ეს თბილის ჰგავს იმ თბილისს და არც ეს ლია სარიშვილი — იმ ლია სარიშვილს. დღეს მე პაემანს ვერაზე ვერ მოვუხდები. სულით და გულით კი თქეენთან ვარ.

მოვკვდე, არ მეშინიან, მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან, თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი

ეკრანი:
ქართლოხი
„...გუტენ მორგენ, გურგენ... ესქუ ტაკა-ტანემ — იცოდი „მინუტკის" კადრი,
რამდენი უკვდავი წუთი შეგვინახე,
რამდენი უკვდავი კადრი!
უკვდავებაზე ფიქრს ვბედავ"

გიზო: ტირით, ქალბატონო ლია?

ლია: არა. სიხარულსაც ჰქონია ცრემლი.

გიზო:
ალარაფრის დარდი ალარ მაწუხებს,
დავეხსენი ამ ცხოვრების მარწუხებს.
უდარდელის მარიფათიც მაჩვენე...
რალას ვუცდი? ისევ დარდი მაჩერებს!

სადაც მიჰქონდათ ურმა.
კვნესოდა ღოლი და ზურნა.
გლოვის მარშს უწყობდა ფეხს და გულივით ბაგაბუგს ცემდა.
სადაც უბერავდა სახვლე.
სადაც ისმოდა ზარი.
სადაც — ქვეყნიდან წასულებს ტიროდა ქნარი და თარი.

ეკრანი: ძველი თბილისის აბანოები.

გიზო *(სცენაზე)*: ეკრანზე „პაემანი ვერაზე"
გინახავთ მაამებლობა მლიქვნელობის გარეშე?
ჩვენსობას ასეთიც იყო.
ჩემი თვალით მინახავს, ჩემი ყურით გამიგია,
ჩემმა მზემ, უნამუსო ვიყო...
ვერის დაღმართზე აბანო ბოლავდა, ბაიათს ღიღინებდა ჰასანა,
ვერელი მექისე (ოლონდ არა დამასტეს მასტის)...
პროკრუსტეს სარეცელივით, ქვის ტახტზე რომ გაგვშოტავდა,
ფეხქვეშ რომ გაგვეიგდებდა,
ფეხსიგულებითაც რომ გაგვიდებდა და სანამ —
ტყავეს არ გაგვაძრობდა, სიქას არ გაგვაცლიდა,
გულის ჯავრს, გზის ჭუჭყს არ

ქართლოხი (რეპლიკა):
...იქვე, ბაღის კიდეში, ჩვენი ინტერვიუზია — კოსმოვიზია
ანუ ზემელიდან ვეროპაში გაჭრილი
პირველი ფანჯარა!
ვიწევთ „ვერნი" ხვანსს,
თავის ფლანით და ფსტანით...
აგდებთ 10-კაპიკიანს...
ნახამთ ტიტველა ქალი!
„— ორთქლმავალი შენი იყოს, მაიტა ქალი!

სადაც მიგრიალებდა კაეთალკა.
ხელის გულს ეს ეფნათ მკედარი.
მიიმღეროდა ხალხის ტალღა.
როგორც მღერის ტალღა მტკვარის.
სადაც ჭირისუფლობდა მოჰენი.
ი ს მ ო დ ა მემზარავი გრიგი.
მღეროდა პენსიონერი ოპერის
ჭირის დღის წესით და რიგით...

— წადი, გაიარე სკოლაში, შენ ზარი დარეკეს...
— შენ მიდი, გარეკე!"

ამოგვყრიდა,
არ მოგვეშვებოდა...
გულს რომ იჯერებდა, ხელს წამოგვკრავდა და წამოგვყრიდა.
ბატი-ბუტივით ეყარა კუნთები მკლავებზე, ხინკლებივით ვეყარეთ ტახტზე,
ოხშივარი აგვდიოდა საპნის მუთაქებში, კბილებში ეჭირა სხვა მზე...

ეკრანი: თბილისის ხედი, აბანოები.

გიზო:
ორას მისხლამდე ბაჯაღლო ოქროს 32 კბილის წარმადობით ხვიხვინებდა,
ამ სარდაფ-სასახლის სველი ხელმწიფე იყო, უხედნი ულაყივით ჭიხვინებდა.
არ იყო ხარბი და უთოფო ყაჩაღი,
ჯიბეს არ გვისუფთავებდა, ხელის ჭუჭყს არ გვაცლიდა,
ისხამდა სურნელოვან ჩაის — „პრიკუსკით" შეექცეოდა და
ჭიქას ჭიქაზე ცლიდა.
რასაც უფეშქაშებდი — იმას ჯერდებოდა — ჩოხოსან-ყარაჩოხოსანო,

დავით კლდიაშვილი:
..სიძულვილით შორს ვერ წახვალ'

*პატარა ეკრანი:*
ირაკლი უჩანეიშვილი ვასო გოძიაშვილზე:
დაფარფატებდა ხანთლით
და ცახცახებდნენ ორივე...
სიკვდილსაც ჰქონდა ხათრი,
თუმც, არც ის იყო შორი.
ხცენა პანაშვიდს ჰგავდა —
ვასო ტიროდა ვასოს,
ვიღაც სინათლეს რთავდა და
დასცქეროდა წამზომს.

გაამოთ, გაამოთ, ბიჭებო, სანდ-საღოლ — დააყოლებდა თანო.
მტკვარი ვერ გაგვერეცხავდა, ისეთები ჩავდიოდით,
იქედან კი... მეყოლე გერიტივით!...
თავი ძლივს ჩაგვექონდა, მეორედ ვიბადებოდით,
იმ ქედანს ვგავდით, იმ ჩიტივით მოვფრინავდით,
რომლის გალია ღია დარჩათ,
ცხოვრება იწყებოდა თავიდან...
სხვა „მაამებლობა" მოვიდა, ბიჭებო,
ის მაამებლობა წავიდა.
...მერე ჩვენი ეზოს ქართველთა და ქურთველთა
შერეული გუნდი სიმღერას დასცხებდა,

ვაჟა-ფშაველა:
ხოგსა კაკსა კაკი ჰქვიან.
ხოგსა კაკსა — კაკუნაო.
ხოგ ლელაკაკს — ლელაკაკი.
ხოგსაც — ლელაკაკუნაო.

მერე დაირხა ჭორი —
გომიაშვილი მოკვდა!...
იყო საშინლად სწორი —
უკვდავი გაჰყვა მოკვდავს!

შემთხზეელიც ის იყო და შემსრულებელიც,
იქვე ლექსს იტყოდა, ძმობის მადლს ნასცხებდა:
— კურე, ვარე... ჭიქას ღვინით ავსებდა...
წვიმა მოსულა, ქუჩა დასველდა,
გინდა იყოს წვიმა, გინდა იყოს მზე,
გინდა იყოს სოსხი, გინდა იყოს მე.
ქიურთი ვარ, ქიურთი, ელო ვარ, ელო,

ეკრანზე „ძველი ვოდევილები"

მაიტა სოსხი, დაგაეო ეზო.
ოე, ოე, ოე, ოე... ოე, ტი მოი ბრატ, ია — ტვოე...
ოე, ოე, ოე, ოე... შირაკოე სტრანა მოე...

ნაწყვეტი კახო გომიაშვილის ფილმიდან და სპექტაკლიდან:
„მერე რა, რომ წლები გავიდნენ,
ბზარი გამიჩნდა ხმაში,
ჩემო კედლებო, ისევ მიყვარხართ,
როგორც მიყვარდით მაშინ"

ეს ქურთულ-ქართული ჩვენი მასკარადი —
ნაღდი გრძნობა იყო, ძმობის ქარი ქროდა,
დედაბუდიანად სუყველა ხარობდა, ღმერთსაც უხაროდა და მზეც იცინოდა.

ეკრანი: „პაემანი ვერაზე" *(ისევ კადრები)*

ეკრანზე:
„პაემანი ვერაზე"
გივი ბერიკაშვილი:
სალოლ, ბაბაიანც!...
შე ეშმაკის ფეხო!
რამდენი სიკეთე დათესე...
დეზდემონასთვის ბაწრიდან
რამდენი სავალი ათესე.
სალოლ, ბაბაინაც,
ჩვენი ეზოები
თეატრად რომ დაგაქციე.
შაურად „ოტელო" გვიჩვენე,
აბაზად სატრფო წააქციე.
...ვიღაცამ გაგჭორა,
შპიონი არისო,

გიზო:
და აჯდა ძველ თბილისს, ვით მჯილას ეს ჯილა,
ძველთაძველ ძმობის ბეჭედი —
სამი სანთელი: სიონი, სინაგოგა და მეჩეთი!

კადრები ჩემი კასეტებიდან.
.....თბილისში დავდივარ და დავეძებ თბილისს...

და, ჯვარი აქაურობას, როცა კვდებოდა კაცი... რჯულ-ჯილაგსადაურობას ვატყობდით არა ჩაცმით, არამედ იმით, საით გაუხვევდა სამგლოვიარო პროცესია — კუკიის, პეტრე-პავლესა თუ ვერის სასაფლაოსკენ.
ქალაქი იხდიდა ქუდს,
ქალაქი იხრიდა ქედს,
ნუთიერ პატივს წუთს
დუმილით უხდიდა ბედს.
*(კადრები: ქალაქის ძველი უბნები, მეარღნე, მეფაიტონე)*

ეკრანი: როსინი „სევილიელი დალაქი"

ვიღაცამ _ არისო ქურდი...
გიყვარდა თბილისი, უყვარდი თბილისს და
გაცხოვრა ამ ერთადერთმა
_სად ხარ, ბაბაიანც, შე კოჭლო ოტელო!
თუ მოკვდი, გაცხონა ღმერთმა!

გოგა პიპინაშვილი:
სევილიელ კია არა, ზემელელ დალაქს — ფიჩხულას გაუმარჯოს,
— ადე, სონა, დიზელი მოეიდა, პრიბოოოოორ!...
ბოქსი, პოლუბოქსი, იოჟიკი, ქურთული...
თავის გადახოტრა, სიმონ!
იმის ხელში იყო მთლად ინჟორბიურო და სინდის-ნამუსი ვერის,
იმან ჩამოგვეპარსა ბავშვობის ღინღლი და ამოგვიბიბინა წვერი...

აფსუს, ჩვენს წინაპარზე იოლად შევველიეთ იმ წვერ-ულვაშს! რომელიღაც გენერალმა (ნიშნად ჩრდილოეთის ერთგულებისა, ცარიზმის მორჩილებისა) მრავალთა ბატონიშვილთა მოაპარსვინა, თურმე, წვერი და ბალნით გატენილი ტომრები მტკვარში გადაუძახა. ჩაიხედეთ ძველი თბილისის ალბომებში, როგორ უხდებოდათ ჩვენს წინაპრებს პატიოსანი წვერი და კოკობი ულვაში!

*(ძველი თბილისის ფოტოები აკა მორჩილაძის გადაცემიდან)*

ეკრანი: წიგნიდან „თბილისელი ფოტოგრაფები“

ლადო ხელაშვილი: *(ქართლოსის თემა — ფოტოგრაფების ილუსტრაციები)*

ესეცა ვენეცია — ქალაქი წყალში...
ხალხი მიდი-მოდის, ფეხები არ უსველდება.
განა იმიტომ, რომ კალოშები აცვია...
ესეცა, პარახოდი „ტიტანიკი“... სოხუმთან ჩაიძირა,
ჰაა, ცხვირი იქით გასწი, ვირი იყავ და დარჩი ვირად...
„პარახოდი ეკავ-ეკავ გალისა, ჩემოდანი ააცალეს არიფსა...

ნახეთ სტეფენსონის ორთქლმავალი...

ომის თემა

ქართლოსი *(ფირი):*
ტიტველა ქალები როდის იქნება?
რა დროს შენი ტიტველა ქალია, შე მართლა კალია...
ჯერ არ გამომძერალა ეს ლობემძერალა და ღმერთგამწყრალი, რომ უჟე ქალი!
...ესეც ძმები რაიტების ჰაეროპლანი... ზაპასნოი პაკრიშკებით...

მეორე მსოფლიო ომის ამსახველი ფილმების ფრაგმენტები.
„ღიმილის ბიჭები“.

მარკუს ავრელიუსი:
..ყოველი დღე ისე უნდა გაატარო, როგორც უკანასკნელი განგაშის, შიშის, სიცრუის გარეშე"
გაგიტარებიათ ასე ცხოვრების თუნდაც ერთი დღე?

ლადო ხელაშვილი: სამალოტი რომ სამალოტია, იმასაც თავისი ლოჩიკი ყამს...
— მაგას ვინ ჭამს...

იაკობ გოგებაშვილი:
..სიყვარული შობს სიყვარულს."
..გოგებაშვილს გაგებაშვილი უნდა"

ქართლოსი:
— ესეც მონბლანი! ,,ვისშაია ტოჩკა ევროპი"... ამასთან ფუნიკულიორი, როგორც ,,ტაბურეტკა"
ქალაქი ჩიკაგო... სოფელი ვაშლინგტონი...
— ვა, არა ჩანს, აქ კამეჩებია.
— რის კამეჩები, ეგ არის ბიზონი, ბოინში დაკლამენ, ხედამენ თვალები როგორ კარკლამენ...

იაპონური ზონტიკები... ნაპოლეონის კაბინეტი... ორი შიმპანზე შამპანიური სვამენ და მაიმუნობენ...
— რაფიკ, აქ ერთი მაიმუნია, მეორე სად არი?
— მეორე შენა ხარ!
— ახარ, მოკეტე, სანამ ლამაზი ხარ!
— ვა, მა თავზე რას მაზიხარ!
— წინ იყურე!...
— ჟირაფი გინახამს.
(რაფიკა ხათუნებს ბოლოსთვის ინახავს)
— ესეც ვალპუგრის ღამე...

მე-2 მსოფლიო ომის კადრები. კადრი მეორე

მხოფლიო ომის დამთავრებისა _ ვერიკო, ხესილია და სხვები მოდიან გამარჯვების ზეიმზე!

— ძია-ჯან, არა ჩანს, როგორი რამეა...

— რა უნდა გამოჩნდეს, ვირიშვილო, ხომ ხედავ, ღამეა!

ესეცა პარიზი, მდინარე სენა, „ვერა-რეჩკა", იქაური მტკვარი, რალა...

ესეც ვილაც მუტრუკი, მილიონერი, ქიალანი ალა...

ესეც ეიფელის კოშკი... ყოზეფინა ბროშკით... პრასტიტუტკა დროშკით...

ესეცა, მოისვენე... აჰა, ტიტველა ქალები...

დახუჭე თვალები,
ჯიბიდან ხელები ამოიღე,
ათი კაპიკი დატოვე და ათში ერთი წამოიღე!

ნესრიგი კრუგში, სლედუშჩიიი...

ვაჟა-ფშაველა:
„ბოლოს ერთი ხათიბი,
არა მწადია ქელიბა,
ცხერადეე მამყოფა იხეეა,
ილინდ ამშირდეს მგელიბა" ,

თბილისის ომის კადრები.

გურამ სალარაძე: *(სცენა)*

...„შაირსიტყვითა მესტვირემ ღმერთი მაღალი ახსენა" და ღმერთთან ერთად ახსენა ოძელაშვილი არსენა!

მეფეც ის იყო და მონაც ის იყო, ლალი და მხარგაშლილი, ჩვენი არსენა და ვერის ხევისბერი — სპარტაკა ბალაშვილი!

ახევე, კადრები „გიორგი სააკაძიდან"

*(კადრები სპარტაკ ბალაშვილის ფილმიდან I და მე-3 ეკრანებზე)*

გია ბურჯანაძე:

დაფეთებული და სულ აფეთქებული გულისხმევისა და სულისძერისაგან,

ელდანაკრავი და დარეტიანებული არა შარბათისა და ღვინის სმისაგან,

გახელებული და თავბრუდახვეული, არა განდიდების თილისმისაგან,

შეყვარებული და ხარივით დამფრთხალი ჭკუაზე შესაშლელი თბილისისაგან.

ეკრანი: ნაწყვეტი ფილმებიდან: „გიორგი სააკაძე", „არსენა"
(თბილისელი ლამაზმანები ჩემი და დამანა მღოვნიშვილის წიგნებიდან)

გიზო: გასაუბრება ლიანა ასათიანთან.

ეკრანი: გუგული და ლექსო

თორაძეები.

ვალსი ფილმიდან „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“.

*(ლექსო უკრავს გუგული თორაძის ნაწარმოებს)*

გიზო:
ერთმა, ღმერთმა უწყის
თქვენი გენის კოდი...
გაზაფხულს ვინ უთვლის,
მერამდენედ მოდის!

ქალბატონებო, ეს ლექსპრომტი გეძღვნებათ თქვენ, თბილისელ მზეთუნახავებს, რომლებიც ეკრანზეც, სცენაზეც და ცხოვრებაშიც, დღემდე, დედოფლობთ!

კადრები გალაკტიონის კლიპიდან, მისი თანხლება საავტორო ტექსტებზე (შორიდან ისმის მისი ხმა).

მერაბ დონაძე:
მეორე მსოფლიო ომის ბავშვობას გადავურჩით და „თბილისის ომს“ — ვერა.

ლადო ხელაშვილი:
თუმცა, ახლაც ტანში მცრის, აი, რომ გამახსენდება: პურის რიგი, თევზის ქონი და ის კვერცხის ფხვნილი!..

გივი ბერიკაშვილი:
ბუს თუ კუს კვერცხები,
შავ-თეთრი ბუხანკები,
შებინდული ფანჯრები,
განგაშის ზარები...

გურამ საღარაძე:
ქალაქში მომრავლდნენ:
უხელოები, უფეხოები, უთვალოები...
დაჭრილები, დასახიჩრებულები, თავგაგლეჯილები...
უზადოები, უსათნოები, სულიანები, გულიანები —
ჯიშიანები, ჯიგრიანები, ჯილები!

ზურა ბერიკაშვილი:
„სტარი ადიოჯ, სტარი ვეშჩი პაკუპაიუ“,
ძველმანებს დაეძებდა ტომრიანი კაცი...

ჩვენ იქით დავეძებთ, რას ჰქვია ძველმანი,
ტანთ გვაცვია, გვებადა რაც კი.
„სტარი ადიოჯ, სტარი ვეშჩი პაკუპაიუ“,
ნაგვის ფასად ყიდულობდა ნაგავს.
ერთმა: ცოლს გაგატან, აგერ, სულ მუქთადო, დაძველდა, შეხედეო, რას ჰგავს...

თბილისის კადრები ჩემი კასეტიდან.

გივი ბერიკაშვილი:
სიცილით ვძლებოდით, რამეთუ სიცილი კაცს მზით ცვითავს და მზით ლევს,
ტირილით ვკვდებოდით, შიმშილით ვცვდებოდით და მუშტებს ვულერდით ჰიტლერს
უუ, მაგის!...
ჩემს ეზოში წვიმა მოდის, შენს ეზოში დარიაო,
მე და შენი დაშორება სულ ჰიტლერის ბრალიაო.
ჰიტლერი და შოშიაო ისხდნენ ფულუროშიაო,
მოუბრუნდა შოშიაო, ჩაჰკრა კინკრიხოშიაო.
ვა... ეს რა ქენი შოშიაო.
— იმიტომ, რომ ხოშიაო... მთელი ჩვენი სიყრმის მზე... შენ დალუპე ომშიაო.
ჰიტლერი კაცი არ არის, ის ნადირია ტყისაო,
ხელშეკრულება დახია სსრ კავშირისაო.

თბილისის ხედები ჩემი კასეტიდან და ახალი პეიზაჟებიც.

ეკრანი: „არაჩვეულებრივი გამოფენა“ (ომის დამთავრების ეპიზოდი — თოფის სროლა)

ალიკო თეთრუაშვილი:
გადადიოდა ეზოდან ეზოში, ქუჩიდან ქუჩაში ეს ბრალდება-სიმღერა!
არავინ იცოდა, ვის მოუვიდა თავში, მთელმა თბილისმა კი იმღერა.
კავკასიონზე შავად იყრებოდნენ წითლად გასისხლული ღრუბლები,
ბავშვობას არ გვაცლიდნენ, ხე-

დოკუმენტური კადრები.
კადრები ჩემი კასეტებიდან

ლიდან გვაცლიდნენ, უცბად გვაკაცებდნენ,

რა უფლებით...

და ვწერდით სასაცილო და სატირალ ლექსებს ჩვენი თითის სიგრძე ტალანტით,

წერას ავყავდით და წერას დავყავდით,

ვწერდით,

ვხევდით,

ანდა ვმალავდით.

გივი ბერიკაშვილი:

ჰიტლერი ზის, დორბლი ჩამოსდის,

ევა ბრაუნი ეკითხება: ჰიტლერ, რა მოგდის?

— როგორ რა მომდის, მე ბრაზი მომდის, სსრკ გაიმარჯვებს და მერე...

— რა, მერე?

— დაჯექი და კერე.

*ელდარ გენწაძე „გალაქტიონზე" სიმღერა-ექსპრომტი მოთაჭანკეტამისა.*

ეკრანი: რ. ბარძიმაშვილისა და ლ. ლაზარიშვილის დუეტი „არ გეშინია?"

*(სინათლე პარტერში ლ. ლაზარიშვილს ანათებს. კადრები რ. ბარძიმაშვილის გაცილებიდან)*

გალაკტიონი:
„დღეს მაისი ფერში ნაირფერშია.
თუ დრო არის, დრის ისევ შენ მეჰფერი.
და თუ ქრისტემ გალილეა არჩია,
მე ცოლისა ავირჩიე ზეზერი!

ეკრანი: გალაკტიონი!

ნანი ბრეგვაძე „ქარი ქრის"

გიზო:

იმ წვერებიან კაცს გაუმარჯოს, ბიჭებო,

ბარბაცით რომ ამოდიოდა „გემოდან".

რუსთველის ძეგლის ადგილზე ის იდგა მაშინ და ღიმილით დაგვცქეროდა ზემოდან.

კაი ძმაკაცივით შემოვეხვეოდით და სულაც არაფერი ვითომაც.

კაი ძმაკაცივით გაგვერეოდა, რადგან ბავშვი იყო თვითონაც.

ერთხელ, შორიდან ზარის ხმა შემოგვესმა. გვითხრა:

— ეს არისო სიონი!

*(სინათლე ებებს პატარა ნიაზს _ დარბაზიდან ორივე ხელით მოგვესალმება ნიაზ II)*

სიმღერები გალაკტიონის ტექსტებზე:
„დედაო ღვთისა" _ ნანი ბრეგვაძე
„ქარი ქრის" _ მერაბ სეფაშვილი;
„ქარი ქრის" _ ნიაზ დიასამიძე

მერე ვილაცამ თქვა: იცით, ვინ არისო?

— ვინ?

— გალაკტიონი!

გაგვეიამხანაგდა — გავეიამხანაგეთ...

— როგორა სწავლობთო? — გვეკითხა.

სად იყო, სად არა, სოროდან გამოძვრა ერთი ჩვენკლასელი ვირთხა...

— ისეო, რაო, — დაიწყო ფიცია,

ოღონდ ლექსებში გვიწერენო ორებს.

ხუთიანს ლოყაზე ხედავო, ბიძია... ვერ ვუძლებთ მამების ტორებს.

ცოტა იოლი ლექსები წერეო — ჩაანყო გალასთან საქმე.

— კაიო, ძამიკო, — მოჭუტა თვალები — აბა, რისთვის ვარო აქ მე?

...ისე კაცმა რომ თქვას, რომელი ჯობია, მერე რო შარში არ ჩავვარდეთო,

ჩემი გაბავშვება თუ თქვენი დაკაცება?

ჯობია, თქვენ გაიზარდეთო!

ჩვენი ქუჩის შვილი იყო გიორგი ქუჩიშვილიც,

ლექსებით დაგვაპორწიალებდა ოლიმპზე,

ერთი მზე თავზე დაგვეჩახჩახებდა,

ქუჩიდან შემოგვეციცინებდა ორი მზე.

ღმერთმანი, არ ვაჭარბებ... მიწიერ ღმერთებს არ აქვთ შენდობა,

კაცი მიწაზე ღმერთს არ ენდობა, თორემ...

ახლა ხშირად ბჭობენ —

გალაკტიონი მეტია, მისი „ნიკორწმინდა" თუ

თვითონ ძეგლი ნიკორწმინდა...

ნათელ-მირონმა კი აკვანშივე იცნო სულიწმინდა და დაარქვა

გალაკტიონი ანუ გალაქტიკა!...

მზე, ვარსკვლავები, პლანეტე-

გალას კარები

ქუჩიშვილის პირველი წიგნიდან.

კონსტანტინე გამსახურდია: „ლიტერატურა, რომელიც თანამედროვეობას ვერ გაუსწორებს ნაბიჯს, უნაყოფო კალმის ნაყოფია."

გიზო ნიშნიანიძეს — ხაზა კაკიაშ-

ბი, რიგორისტიკა... ცოტა მისტიკა!..

„ავად ვიყავი წუხელ, ვკვდებოდი, ახლა მიგონებს, ალბათ, ზოზია,

გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზიაო“ —

ტერენტი გრანელმა.

მე კი მგონია...

გალაქტიონი თუ დემონია,

დამეთანხმება, ალბათ, ზოზია,

მაშინ... დემონიც ანგელოზია!

ან ანგელოზშიც არის დემონის!

მე უფრო მჯერა, გალაქტიონი ანტიანთეოსი...

თუმც, მიწიერი, არბიწიერი, ყოველდღიური, მაინც ღვთიური.

ზევსის ძე, მუზათ წინამძღვარი, თვითონ ჰერაკლეც

იმას მიწიერ სისუსტეში ვერ დაიჭერდა.

გალაქტიონი, როგორც ატლანტი, ცის თაღს ცალი ხელით იჭერდა...

რაღაც სისუსტეს მაინც იჩენდა...

არაბი მეხანძრის პორტრეტი.

მთელ გალაქტიკას ზიდავდა გალა, მარა...

საკუთარი თავის ზიდვისათვის

არ ეყო ძალა!

გივი ბერიკაშვილი:

ეს არის არია, რომელმაც არია — ფიქრი და გონება... და სულ გადარია.

ეს არია, გალას მაკვარანცხ ტექსტებზე.

დაწერა თბილისელ-ქუთაისელმა

ჩვენმა ძმამ და პირის ზიარებამ

შოთა ჩაკვეტაძემ *(სინათლე მოძებნის)*

ქუთაისის სახელით კი, ელდასავით მოვარდნილმა ელდარ გენაძემ დაგვიმშვენა თბილისური „პაემანი ვერაზე“.

გიზო:

ომის შემდეგ გალაკტიონს საღამო მოუწყვეს...

ვილი:

მიეცი სული სული.

წმინდას სულ ინალმართის,

ინებოს ღმერთმა — კაცთაც

უძღვნას ქებათაქება,

სიტყვის ცეცხლს ანთებ.

როგორც სანთლებს დაანთებს მნათე.

თვით უცინართა ხელმწიფესაც გაეცინება!

პირველი მეიდკაცა (ჯანსულ კახიძის):

..და მე სიცილით ვკვდები. მეცინება ხა-ხა ხა-ხა...

ეკრანი: პატარა ნიაზის ანსამბლი 33ა, გალაკტიონის კლიპი — „ქარი ქრის“...

ეკრანი:
ნიაზას გაუმარჯოს, ბიჭებო, დიასამიძეს
და იმის ხარივით ბულდოგს.
ყველა სახლს და ქუჩას, ყველა მერცხლის ბუდეს — ბედი ბადეს,
სადაც ჩვენი ბუდა ბუდობს.
ჩიტივით ჭამდა და ჩიტივით სვამდა,
მგონი ჩიტი იყო თვითონაც...
ფიროსმანის იყო ჯიშის და ჯილაგის, ეს კაცმაც იცოდა და ხეითომაც. იზამდა — მსგავსს სხვა ვერ იზამდა, იცვამდა — სხვის წესს არ იცავდა;
დალევდა — ზეცას ახედავდა;
იტყოდა — ქვასაც გახეთქავდა...
ვერავინ იტყოდა ნიაზზე უკეთესად, ვერავინ დაუკრავდა როიალზე,
ვერავინ ფიქრსაც ვერ გაბედავდა უფრო მოხდენილსა და შნოიანზე.
„სკაპენის ოინები“ ნიაზას ოინებთან სახსენებლადაც კი არ ღირს,
რას არ იტყოდა, რას არ იგონებდა, კაცი არ იტყოდა მის ძვირს.
კარის მეზობელმა: ქათამი დამიკალიო... ხელში შეაჩეჩა დანა.
ყვავიო სამას წელიწადს ცოცხლობსო, თურმეო, ზედვე დააყოლა თანაც.
რის ხახამი იყო, კაი ხამი იყო, ქათმის დაკვლა რა იცოდა...
იქნება ქათამიც ცოცხლობსო მაგდენ ხანს,
ვაცალოთ, ნუ დავკლავთ ბიცოლა...
ერთხელ, ამხანაგი რომ ველარ იშოვა, ხოჭო გამოიჭირა,
გამოაბა ფეხზე კოჭა-ძაფი და მასთან გაატარა კვირა.
სუფრა გაუშალა, მოქაჩა

მუსიკა ნუნუ დულაშვილის „ცოდვა თუ მაქვს ჩადენილი რამე (სინათლე მოძებნის კომპოზიცია ნუნუ დულაშვილს)

— რა დარჩა თქვენი დროის თბილისიდან?
— მისამართი!

ბელინსკის №10 ნიაზის სახლი. ცოტა მაღლა — ქართლოსის სახლი.

იზეტ ქაჯარის ფოტო

თავისკენ, შენს მოსვლას გაუმარ-
ჯოსო!..

...ნიაზმა იმღერა ეს გედის სიმღ-
ერა,

გურამის კადრები „პაემნიდან“

ეს ბედის სიმღერა დედისთვის
იმღერა,
იმხელა ბოდიში იხადა, იმხელა,
რამხელაც თბილისთან შეეძლო
გამხელა...

დედა-კალერიას და უფრო დიდ
დედას — თბილისს პატიება სთხო-
ვა,

ხაოჯახო კადრები გარდაცვლილი ბიჭებ-ის ხიღოცხლისა (ციხი გახსენებაც თბილისს ქრუანტელად დაუვ-ლის): ბიძინა აკალიშ-ვილი, ალიკა გორ-გაძე, რეზო თაბუკაშ-ვილი და სხვები.

თუმცა, არ ჰქონდა სული ნანყ-
მედილი, არც დიდი ცოდვების
გროვა...

შენ, დედაქალაქო, დედაო
თბილისო, ამ ბიჭს ხომ შენ ასეი
აიაზმა!...

ცოდვა თუ მიგიძღვის რაიმე
ნიაზთან... პირიქით შეგინდოს
ნიაზმა!...

ხვანეთის მთები

ნინელი ჭანკვეტაძე:
თინა რეხვიაშვილი:
რა ხანია, სამანს გასცდა
„პაემანი ვერაზე“
ალბათ მალე ითარგმნება ლამან-
ჩელის ენაზე.

გურამ თიკანაძე, რჩეულიშვილი და აწ განსვენებული თბი-ლისელი ბიჭების გალერეა...

მის ფურცლებზე ვერ დაიჭერთ
სიტყვას, ყურით მონათრევს.
ამიტომაც რაინდობის ბიბლია-
დაც მონათლეს.
ყალბი აზმა არ ეგების
ქართლოსებს და ნიაზებს...
ღამეს თეთრად გამოაცხობთ,
კალამს აცლით არაქათს...

ხალილ ჯებრანი:
„მე ვისწავლე დუმილი — მოლაყბისაგან, მოთმინება — სულწასულისგან, სიკეთე — ბოროტისაგან, მაგრამ, რა საკვირველია, არ უნდა იყოს, არავითარ პატივისცემას არ განვიცდი იმათ მიმართ, ვინც ეს მასწავლა“

ქლესიის გუმბათზე „ალავერდობა“

ყველასი ხართ, მაგრამ მაინც
„არავისტი“ არა ხართ.
ვინ მაღირსებს — მეც შევალო
თქვენი წიგნის კარები,
და შეგკადროთ„იდალგოებს“
„დულსინეას“ ბნკარები.

ინგლისური ანდაზა:
„ან გაჩუმდი, ან თქვი ისეთი, დუმილს რომ სჯობდეს“

კადრები ფილმე-ბიდან გურამ რჩეულიშვილზე, ტო-გრიკაზე. ჰ/ფ „ცისკა-რა“

გურამ სალარაძე:
1922 წლიდან არაბი ბაშირ შამბე
არა მაზდეანობამ და ცეცხლთაყ-
ვანისმცემლობამ ჩააყენა ცეცხ-
ლის სამსახურში, არამედ თბილი-
სის ეშხმა და ჯიგარმა. იგი რიგითი
და რიგიანი მეხანძრე გახდა.
„ცეცხლს შენობით ელაპარაკებო-

კონსტანტინე გამსახურდია:
„სიკვდილის შიში ვინც დასძლია, ღმერთია“

და“ და 27 წელიწადი იცაედა თბილისს ცეცხლისაგან თავისი ოქროსფრად ბრჭყეიალა ბრანდსპოიტებით...

გიეი ბერიკაშეილი:

რაც არაბებმა 400 წლის ბატონობისას თბილისს ზიანი მიაყენეს, ამას სიტყვა კი არა, არაბული ციფრიც ვერ იტყვის...

მთები, კავკასიონი...

„ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?“

ჰაი, დედასა, ალბათ სულ ოთურმას გადადის საფლავში და ბებიამისის მუთაქებს ქექავს ბაღდადის ხალიფა მუთავაქილი, მურვან ყრუ, საჰაკ-ისმაილი, ბუღა თურქი, თემურ ლენგი, ჯალალედინი, ჯეჰან შაჰი, უზუნ ჰასანი, იაყუბ ყაენი და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ადამის მოდგმის მოსისხლე კაენი.

ნიკმე: „მიკვდი... დრიუდად!

ლადო მესხიშვილის კადრები თხილამურებზე.

გაიგოს ყველა ბუღამ და ყველა ყრუმ, რომ

ჩვენი ბუღები — ბაშირები სულ სხვა ხალხია.

მათ ჩამოგლიჯეს ისტორიას შავი თალხია.

უფრო მეტს გეტყვით, მაქვს ურიცხვი სხვა მაგალითიც,

არა ობოლი, არა შავი თვალმარგალიტი!

გურამ თიკანაძისა და გურამ რჩეულიშვილის საფლავები. სხვაც: ტოგრიკა, ჩიჩიკა, ოთარ მკვლაძე, ნიაზა...

ყური დამიგდე, აზრზე მოდი და ხიდზე გადი,

თუ მსგავს სამართალს პურს შეაჭმევს მოლა და ყადი...

ბოროტ საჭურისს, ჰუსეინის ძეს, მაჰმად ყაჯირს —

ალა-მაჰმად-ხანს არ სჭირდება დიდი გაცნობა,

ამ ანტიქრისტეს, ყიზილბაშს და შარა გზის ყაჩაღს... ულმერთობისათვის:

მეტეხე, თაბორი, ნარიყალა, ხოშა ყალა,

შავნაბადა და კრწანისიც ეყოს საცნობად!

მაგრამ თბილისი მაინც ცოცხლობს, ჯერობს სულ სხვა ჯვარი —

სისხლით ნაჯვარი... თბილის-

თბილისი მენდება, მშვენდება...

თბილისურ სასაათს რა ემშველება?

სასოს სისარულისას. როგორც ორიენტალისტურ სამყაროში ეწოდებანეს თბილისს. ვინ ააშენებს და ვინ დაამშვენებს!

ქალაქმა არ ჩაკეტა სამოთხის კარი —
თბილისში ცხოვრობს ქალბატონი იზეტ ყაჯარი!
სისხლის გადასხმის ინსტიტუტის ექიმი გახლავთ,

*ისმის ეკლესიის მგალობელ ქალთა „უფალო...“*

ალას სისხლ-ხორცი სისხლს პატრონობს ის ჩვენსას ახლაც (?!)
ჰოი, თბილისო, რა ძალი გაქვს,
რა ეშხი, რიდი...
ყველა ბოროტი მეხთატეხის
ხარ მეხამრიდი!

ლერმონტოვი: „სიკვდილისა არ მეშინია, მეშინია — გაქრობის“

*კადრები „ალავერდობიდან“*

გია ბურჯანაძე:
ახლა კი ჩვენი მამა აბრამის ბატკანი (ყოველგვარი ირონიის გარეშე)
თითო ლომად ღირდა თითოეული მათგანი —
გურამ თიკანაძე — ჩვენს თვალთა არეში.

*ფილმი გურამ რჩეულიშვილზე „ალავერდობა“ (ცხენებით ჯირითი)*

ნირვა ხელთათვის, ეკლესია, სანთლები.

ბიბლია: „მრავალ არიან ჭირნი მართალთანი“

კახი კავსაძე:
ვიკინგები ჩრდილოეთის ქარმა შექმნა —
ქართველები... მრავალჟამიერმა და კავკასიონმა.

ლოპე დე ვეგა: „...ვინც გულზე არ დააკაკუნა, კარებზე ტყუილად აკაკუნებს“

*(ნუცა ზარ წერეთლის ოჯახზე გადადის სცენის პროჟექტორის სინათლე (ორიოდე სიტყვა წერეთლისა))*

*(ფონოგრამა:)*
იგი, როგორც ყველა მეოცნებე ბავშვი, მის ვარსკვლავს ეძებდა ცაში,
მას თვალი ეჭირა მთებისკენ...
დიდხანს უყურა და როცა მთა არ მოვიდა მასთან,
ადგა და, ვითარცა მუჰამედი, გურამი წავიდა მთასთან...
კაცური კაცი საცა ქრება, იქ არ ბნელდება,
სად ულამდებათ ასეთ კაცებს — იქ უთენდებათ!
გურამი ადგა საფლავიდან, წავიდა მთაში...
მეორედ მოსვლას ჰგავდა ეს დღე სოფელ ლატალში
კავკასიონმა ნაპრალების შემოჰკრა ტაში,
შურთხმა ირაო შემოხაზა სამინე ცაში...

ეს დღე გურამმა იმ დღეს დაინახა,
როცა გადაიღო მისი სიკვდილის წუთი:
„მონყვეტა აილამის ქედიდან".

გია ბურჯანაძე:
„ეოი, რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!

ოთარ მგელაძე, ოთარ ნიშნიანიძე, გიუი, ტოგრიკა... ახტამურაჩა...
(თბილისელი ბიჭების ანტურაჟი)

ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს გურამის ნეშტი უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს მშრალი ბურთები გასჩრიათ ყელში"
გურამ თიკანაძე და გურამ რჩეულიშვილი, მთის ენაზე რომ ვთქვათ —
ბენვის ხიდის, ერთ ბაწარში ჩაბმული ანუ თოკის მეგობრები იყვნენ
და ეს მოუთოკავი ბიჭები სიყვარულის, ბედისწერის ბეწვზე ეკიდნენ —
ერთი მთამ ჩაყლაპა, მეორე — ზღვამ.
შავ ზღვას ეს ცოდეაც ეყოფა შაეად სახსენებლად.

*(ფონოგრამა:)*
...დაიქცა ცრემლი, ითქვა სიტყვა, აეუგეთ წესი,
თუმც, მიწის გულზე დასაყრელად არვინ დახრილა.
ტრადიციაზე ვთქვით უარი და უარესი — საფლავის გათხრამ მოგვიწია
ბიჭების ახლად.
რატომ?
შვილის ცხედარი არ მიიღო მშობლიურმა მიწამ,
თბილისის მიწამ გაგვაოცა მისი ბიჭები,

მთები

და მესაფლავემ: — ღმერთი, რჯული, ყველა წესს ვიცავ, მაგრამ...
რა ვქნაო, ძმაო, განიერი აქვსო ბეჭები...
ერთნი იტყვიან, რომ ასედაც ხდება ხანდახან,
თუმც, იშვიათად... გასაკვირი

აქაც თემატური კადრები; ჩემი წიგნის ფურცლა და ან განსვენებ-ულთა პლეადა.

არაფერია,
მე კი მითქვამს, პირს შეკრავდა მინა.
ჰა და ჰა,
და ამ საქმეში თვითონ ღმერთის ხელი ერია!
გია ბურჯანაძე:
მთებმა დაიდეს კიდევ ერთი ცოდვა ბარისა,
ჩვენი ბიჭების, ჩვენი სახლის ჩვენი კარისა,
ჩვენი სიყრმის და სიჭაბუკის ნიაღვარისა,
ჩვენი ქუჩების, ვერისუბნის მზის და მთვარისა,
ჩვენი ჯიშისა, ჯილაგისა, ჩვენი გვარისა!...

ფირი:
ხეფაშვილის ტრიო „ვინა თქვა, რომ...“

გადარეული ენგურის კადრები.

სულ სიტკბო მოგცეთ და გაშოროთ ძირი მწარისა!

(ფონოგრამა:)

ძველი თბილისის კადრები და სიმღერები
ხეფაშვილი „გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო“
ხალვაში „თბილისო“
ნაფიჩაძეები. იოანა.

არც აქ თავდება მითი, ძმებო, მითი გრძელდება,
ხელაღებულმა მთამ იკისრა ისევ ხელდება!
ეს ეკლესია მაცხვარიშის იყო თავდები,
დიდო სიცოცხლევ, იქ იწყები — საცა თავდები!
მემორიალებს მულახისას, ბეთქილს, შგარიდას
ჭაბუკის ჩრდილი აეტუზა უკან კარიდან...
იქნებ არ გჯერათ სასწაული, ხალხნო, ერიჰა,
ჰკითხეს სვან ბიჭებს, ჰკითხეს უშგულს, ალპიურ რიჰას,
რაიცა ძეგლად მათ დაუდგეს ძმას და მეგობარს...
ბორის კახიანს, მის ლომგულებს ესეც ეყოფათ
სახელ-დიდებად, უკვდავებად, სულის საგზალად
გაბლიანების, ხერგიანების, გელოვანების, თიკანაძეების,
ილიას, მიხეილის, მირზას, გურამის...

თბილისური სიმფონიური მელოდიების თანხლება ჟანსუღ კახიძის რეპერტუარიდან.

სხვათა და სხვათა, ვეფხვთა თუ მთათა —
მათ ალალ ძმათა...
უკვდავებაში გადასაგზავნად!

სიცოხლეშიც, აქაც, იქაც, ერთად იყვნენ და ერთად არიან გურამები:

ერთხელ, გურამ რჩეულიშვილს კლდეზე ლოდმა უმტყუნა და გურამ თიკანაძე იყავარჯნა;

ერთხელ, ცივ გომბორზე, გოგოჭურების ჯირითში, ბატკანი მოიგო და დაკელას გადაარჩინა;

ერთხელ, „ალავერდობაზე“, გალეშილ თუშ-ლეკებს ცხენი მოსტაცა და მდევრებს გარიდებული იქ ავიდა, სადაც ბევრის ლოცვაც ვერ აღწევს — „ალავერდის“ გუმბათზე!

ღმერთო, უშველეო, დაადევნეს თავად მდევრებმა თავზეხელაღებულს და ღმერთმა შეაშველა ხელი;

მან იცოდა, რომ ადამიანებს ისე უნდა უბერო სული, არ გადავარდეს; მან იცოდა, რომ „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“;

მან იცოდა, ახალ ცხოვრების დასაწყისში დასასრული რა ახლო იყო.

„მე ახლა ოცდახუთი წლისა ვარ“ — წერდა იგი, — „ჯერ ჩემი სიკვდილი შორს იყო, სიცოცხლე მინდოდა“.

მე დავიბადე თქვენთან ერთად... ვიცვამ თქვენსავეით „ბუტილკა“ შარვალს... არ ვატარებ ქუდს... დავდივარ უპალსტუხოდ, გაღეღილი გულითა და მძიმე, მაღალყელიანი ფეხსაცმელებით... ერთნაირად მადგება ოპერაში და მთაში, კინოში და ჩხუბში... პირველი ჩემი სიყვარული დაიწყო, როცა ვიყავი ხუთი წლის... მე ისევ დავრჩი მუდმივი შეყვარებული... მე მიყვარდა ანა კარენინა“...

გურამს უნდოდა, ჩუმად ეხნა და ეთესა საქართველოსათვის;

გურამს სურდა, სისხლით ენერა მისი ახალი ისტორია და მისი დიდი წარსული აწმყოდ ექცია... სამომავლოდ! ამიტომ ამზადებდა ლადო ქოქიაშვილს ალუდა ქეთე-

კათალიკოსის წირ· ვა

ლაურად, ამიტომ ემზადებოდა პაატობისათვის. არ დასცალდა. ამიტომ, მისმა ძმაკაცებმა გურამ გეგეშიძემ, შოთა მირიანაშვილმა და მათმა ვაჟებმა: მიხა-გიორგიმ ვერც ამ არგასამეტებელი ბიჭის სახელი გაიმეტეს, ვერც ხევსურეთის ერთი ულამაზესი მწვერვალი... ასე უსახელოდ — გურამის სახელი დაარქვეს და გურამის სახელით დგას ახლა იგი მთებში ამ მთა ბიჭის მოსაგონებლად.

ეგზიუპერი: „ბევრი უნდა გადაიტანო, რომ ადამიანი გახდე“

მთები

მარინა კახიანი:

საავტომობილო კატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა ჩემი გვარის კაცი — ბორის კახიანი, სვანი ახალგაზრდობის თავკაცი, 15 წლის ასაკში უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სამთო-სათხილამურო სპორტში, ყოვლად კაი ყმა და საყოველთაოდ აღიარებული კაი ყმათა პატრონი, წასული ბიჭების ხსოვნის პანთეონის პირველი ჭირისუფალი და სულისჩამდგმელი... რომ წაილო და აღარ დააბრუნა ენგურმა.

კონსტანტინე გამსახურდია: „არავის ისე არ უყვარს სიბერის ქირი, როგორც პოეტს. რადგან მასში ყველაზე ხანგრძლივად ცხოვრობს ბავშვი“

ეკრანი: მატარებელი

გია როინიშვილი:

ბატონო გიზო, რას აკეთებთ ახალს?

გიზო: ვამზადებ ახალ პაემანს მცხეთაში და ვერაზე!

ტელეჩანახატი: ბაბუის გაკვეთილი ჩემს ძველ სკოლაში.

სცენაზე ავთო ჩხიკვიშეილი.

სანთლები სცენაზე.

ძველი თბილისური კადრები და სიმღერები.

ეკრანი II კასეტა — „როცა მე გარდავიცვალე“ (შოთა ნიშნიანიძე)

„მცხეთის მირონი მცხეთა!..“

„ხმა ვედრების — ხავერდების — არა ყალბი, რიოში“ — მოსწვდეს საქაოსა და მისწვდეს საიქიოში“

II კასეტა — მცხეთაზე (რადიოჩანაწერი)

გრ. რობაქიძის ანდერძი: ერთმა ლამაზმა ქალმა სვეტიცხოველში დამინთოს სანთელი, მეტს არაფერს გთხოვთ. *(ისმის განმეო-*

*რეჟიით და სხვა უფრო მორიდან)*

სცენაზე სამი ქალი:

თამუნა გეგეჭკორი:
ღმერთო, იმედს ნუ მოგვიშლი,
ვდგევარ, ზურგის ქარი ველი...
უბედური საქართველო და...
ბედნიერი ქართველი?

მარინა კახიანი:
რამდენი ყალბი ოცნებით,
რამდენ სალოცავს აცდენს,
ღმერთმა ქნას, ჩვენი ლოცვები
ღვთის წყალობას არ გასცდეს!

გურამ სალარაძე:
ვინც ფიქრობს
ქვეყნის სადარდელს...
რა დარდი აუთავდება?!
ვაი მას, ვისი სამშობლოც —
მისი მშობლებით თავდება.

გიზო *(ეკრანი)*:
ებრაელ ისაკა მექუდეს ქუდი მოეუხადოთ,
მთელ თბილისს დაახურა ქუდი!
არათბილისელს ქუდს არ უკერავდა,
ყავარზე გადებული ჰქონდა კუდი. *(კეპკას თემა კინოფილმიდან)*

გივი ბერიკაშვილი:
მონოპოლისტი იყო ისაკ მორდეხიჩი, ქუდის მონოპოლია ეპყრა,
დედამიწის ზურგზე არ იყო ისეთი, როგორიც თბილისური კეპკა!
სადაც ნახეალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო — ძველთაგან ხმები დადიოდა,
თბილისურ ნამუსის ქუდს მოხდა არ უნდოდა, სუყველგან გადიოდა.

ეკრანი: მუსიკა „ჩემს ქალაქში დაბრუნებას ვნატრობ"
სცენაზე ლადო ხელაშვილი:
თეთრ რუსეთში... ყოფილ

ნამოგვექრილის ქარმა და
ნამოგვერმალის ფიქრები...
წყალნაღებული არს და
ქარნაღებული ვიქნებით!
ხალიკ ნამოღებს — ნავყვები.
რასაკ მოყვებ — მოვყვები...
ნარხულთა მერიბამოყვრობით.
ხელთა და გულთ იხებით!
გ.ნ.

სანკტ-პეტერბურგში, მერე ლენინ-გრადში, მერე ისევ სანკტ-პეტერ-ბურგში, 1945-ში,
ჩემი თვალით წავიკითხე ერთი განცხადება...
„ლენქალაქცნობის" ეს ფარატი-ნა ქაღალდი უდრიდა ოცნების აცხ-ადებას.
ვიღაც რუსი დედაბერი (ნევის პროსპექტზე) თავშესაფარს სთა-ვაზობდა ჩამოსულებს
არა ანტიკვარის გასაღებად,
არამედ...
ანტიკვარული ცოდნის წასაღე-ბად წამოსულებს!

გოგა პიპინაშვილი:
„ვიყვან ნახლებნიკს, ვაქირავებ ბინას სტუდენტებისათვის (სიტყ-ვა-სიტყვით მომყავს მისი ენით),
სულ სამი თუმანი საწოლ-კვები-სათვის...
სასურველია თბილისელი"!
პრასკოვია (გვარი აღარ მახს-ოვს)
ერთმა ღმერთმა იცის, ვინ ვის ელის.

გივი ბერიკაშვილი:
ვის რა მიზეზი აქვს ნაღდი ლხე-ნის,
ასე სიტყვასიტყვით, მისი ენით — „სასურველია თბილისელი"

ეკრანი: ფორტე „თბილისის მზე"

გიზო:
გმადლობთ, დედა პრასკოვია, დედობისთვის,
ამ ქუდებს გავუფრთხილდეთ, ბიჭებო, ბედობისთვის,
ამ ქუდებს ნამუსი შევუნახოთ, ბიჭებო...
იმ სახელ-დიდებას — ამ ქუდს ვანიჭებო!

კადრი: გივი ბერიკაშვილი ისაა-კა მექუიდს ქუდს ესვრის სახს-ოვრად დარბაზს!
ილია: რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშ-

ვილოდ გადაეცემის!

გიზო:
მომავალ შეხვედრამდე!
გელით გაშლილი ხელით —
გაეხსნათ გული და ავხადოთ ჭერი!

გაძლოს გენმა თბილისურმა —
მესმის ჩვენი გულის ფეთქვა.
აქ, ვერაზე, მათმა სულმა —
შადრევნებად ამოხეთქა!

დრო მიდის...
გეითელის ნაბიჯებს
და უკან აღარ ბრუნდება.
ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს
მეორედ მოსვლის უფლება!!!

სამივე ეკრანზე თბილისური საზეიმო კალეიდოსკოპი — ჩუმი, უხმაურო კადრები ძველი თბილისისა — შენება, მშვენება, შრომა, ლხინი.

გალაკტიონი:

დღეს თბილისი — ფერში ნაირნაირშია,
თუ დრო არის — დროს ისევ შენ შეჰფერი
და თუ ქრისტემ გალილეა აირჩია —
მე თბილისი ავირჩიე ბებერი!

2010

ბიჭობაში ვამბობდი:
რაც უნდათ, ის თქვან-მეთქი!
კაცობაში ვთქვი:
ზედმეტი არაფერი წამოგცდეთ-მეთქი!
სიბერეში ვამბობ:
ოღონდ ილაპარაკონ, რაც უნდათ — ის თქვან-მეთქი!

ფინიშის სწორზე კი ისე ვფიქრობ, როგორც ამ კატრენშია!



# გზამკვლევი

## (ანუ მოკლე შინაარსი... ფართო გაგებით)

3. „ნერილი ქუთათურებს" — საქართველოს იუმორის სატახტო ქალაქად ქუთაისის კურთხევის ფესტივალის კონტურები; „სიცილის ჰიმნით", ჭიპილიას მარშითა და იმერული ყბისსაქცევებით 18. ოთარ კორინთელი და „მონანიების" ფრაგმენტი 40. „ბოჟე... ოტ ცარია ხრანი"; 41. თეთრი და შავი ცხენი 42. პეტრეც და პავლეც 44. ოთარ ღუდუშაური და გამნვანების კვირეული 45. ბოროტი საქმე და დღის სინათლე. პარიზი და ... იქაც ლენინი! ორევუარ, მუსიე! 51. სიცილის მეფე (არკადი რაიკინი) 55. ვლადიმერ კონიჩი (შტრიხები პორტრეტისათვის). 63. პიტუ და ღამის „რეიდი" 72. ფაცაციას „ფაცეციები" 78. კონიჩის კლასელი კაკი ჭავჭანიძე 79. პოლკოვნიკი ვალოდია ნიჟარაძე და... აგური 82. კეჩხობის სამოთხე; კაცი-ირემი! 83. მორბენალი „ბუტერბროდი" 84. ნაღადავება. ნიაზა, ტიტო და გიგლა. 86. გაგიმარჯოს, ნიგნო კეთილო! 87. დრო, დრო! 90. ფილოსოფიური მედიტაციები (ბუზებისა და ბოზების თემაზე) 91. იყიდება საქართველო! თოქ-შოუ და თოქში-ვირო! 92. ესევითარი ქვითარი! 93. შაჰი და ჩემპიონი. „გიჟვრაცუები" 94. უკულმართები. „ის ურჩევნია მამულსა" ევროპელი მამალი! 95. გარბის დრო (არა რო!) (ლ); ზალიკო 96. კოსმოსური ინფორმატიკა; კუს ტბის „პარლამენტი" 97. რუსუდან გიგინაშვილი — ადამიანის შექმნა (ლ) 98. „რაც არ ექნას მამაშენსა" 100. საუკუნის ფინიშზე! („ხმა ვედრების — ხავერდების...") 101. ილია მეორე 102. ვინ არ ნერს ლექსებს? 103. პრესრინგი (ქუჩურ მოტივებზე და მშვენიერი ელენე); „გოგონების მოგონებით" (ლ) 104. ვაჟა ნადირაძის „ვერის უბნის ქრონიკები" 105. ჩემი ჯაყვა-დანა... მეორე მსოფლიო ომში 106. გერმანელების დესანტი; შუქშენიღბვის სიბნელეში 109. ლეგენდარული პარმენა! 111. გოგებაშვილის „საგანძურიდან" 112. აკორდეონისტი სერგუა 114. ჩვენებური პრომეთე. მერნყული 115. ლირიული გაპასუხება — „რას ვყიდით და რას ვყიდულობთ უკეთესს" (ლ); ლალი კობახიძე 117. ვაჟას... ვაჟური! (ლ); „საქართველოს ისტორიას სეირიეით უყურებს" (ლ); „საქართველოს ჯერ ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ!" (ლ) 118. „ნიკოფსიიდან — დარდუბალამდე!" (ლ); „რაც გინახავს — ისევ ნახავ" (ლ) 119. „გედის სიმღერა გედმა იმღეროს" (ლ); სეირინგომანია. აინშტაინი. ჯადოსნური სარკე 120. „ბატონი გულში მღეროდა"; ვან ბაი... ბურთი და მოედანი! უკაცრავად პასუხია... 121. ჩვენ საცდელი ბოცვრები ვართ. 122. ვუახლოვდებით რიონს! (ლ) 123. მუზა და შადრევნები; მუცლის მოტყუება; საპარლამენტო მჭევრმეტყველება (ლ) 124. ტაბუდადებულ თემაზე 125. რა განსხვავებაა.. ეშმაკის ყუთი. რამდენი ჯარისკაცი — იმდენი კარისკაცი! (ლ); ღვთის სამსჯავროზე! 126. სხვის დროში ჩემი დრო გავატარე. „ტო"!... ნამთქნარევი ფიქრები (ლ). 127. ბოლო კბილის დაფიცება! „შვილიშვილურ-ძილისპირული" (ლ); კეისარს კეისრისა! გამოღმით — მე ვარ, გაღმით — შენ!... 129. ტყვიასავით სიტყვა (ლ); „ქუჩებს ვაქუჩებ და უბნებს ვეუბნები" — „პაემანი ვერაზე!" ბედნიერებიდან — უბედურებამდე („რა გატირებსო?") 131. „...ის აკლდა აკლდამას" (ლ); „გაშვერილი ხელი შეიკვრება მუშტად (ლ); ქა...რთული (ლ); ეს უდროო დრო (ლ); ორჯერ შვილი! 132. ელიჩკა — დამშვიდობება თბილისთან; აკაკის ხე და ჩემი ბულბულები — „ოქროს ნისკარტი... ჩიტური დისკანტით!" (ლ); ანბანური (ლ) 133. „ღმერთთან შენობით ლაპარაკობს მხოლოდ მგოსანი" (ლ); „კუს ტბის რკალი" (ლ) „ანა-ბანა" 134. გაძაღლებული ცხოვრება და გაციფებული ადამიანები; ვაჟას ვაჟობა! 135. ლირიული გაპასუხება (ლ); „უბედური საქართველო და ბედნიერი ქართველები" (ლ); დათუნამ დაუსტვინა 136. ქართველი ამორძალების ნაშიერი; არუთინ! ხალიჩაზე უკეთ ქსოვდი რითმას (ლ) 137. ილია მეორე — 2005 ნლის საშობაო ეპისტოლე; „ლომობას ლამობს" (ლ)

138. სამტრედია თუ საგალაქტიონო? ქრისტეს ძმის საფლავი; გურამ ასათიანი — ლადო ასათიანზე 139. მაკედონელი: ხელცარიელი მოვედი — ხელცარიელი წავალ; ლირიული გაბაასება (წუთისოფელი ასეა); სისხლის ყივილი... პენსილვანიიდან და აშშ... 140. ბატონი ანტონი! (ლ); სიცილის დედოფლის თვალი და კაცი... პატიოსანი 141. ომარ ხაიამის ნამალი; 6 წლის დათუნას აღსარება; ვახუშტი კოტეტიშვილი: „...კოჭლობით არ მოკვდებაო" (ლ) 142. სიცილით ვინც კვდება...დიდხანს ცოცხლობს! (ჰიმნი სიცილს); 1 ლედი — „იდეალისტის ნაამბობი" 143. ..შეიცან თავი" (ლ); ლირიული გაბაასება; ისევ დათუნა (ციკლიდან „პირველი სტრიქონი") 144. ინტერ... „ვაი", „ვუი" თუ „ვიუ" ვანუასთან (ანუ პაელიაშვილთან); ინტერვიუ დიტო ჩუბინიძესთან 153. ინტერვიუ ბადრი ნამიჭეიშვილთან 156. გაბისკირიას დიქსილენდი 158. ნიაზური თავგადასავლები (ჟ. „ვარდი", 2-8.06.04) 160. თეა კერვალიშვილი: „პაემანი გიზო ნიშნიანიძესთან" 166. ღია წერილი XXI ს. ვერელებს. 167. მე ბაბუობა კი არა, შვილიშვილებთან მეგობრობა მინდა! 170. თამარ თაბაგარი: „უნივერსიტეტი არასოდეს მთავრდება" 178. „ტროტუარული მემუარები" — „პაემანის" პროლოგი 179. რა ჰქვია ამას? 180. „ხმა ვედრების ხავერდების"...181. შალიკო დვალი 183. მოსკოვის ქუჩა (ნაბიჯ-ნაბიჯ) 185. სამშობლოს სიყვარული...შორი-ახლოდან! 186. გიზო, გიჟო! ჩვენი მზეთუნახავები 187. თენგიზ კორინთელი 188. ორი ზურაბი. 190. „ჭრიჭინ-ჭრიჭინ... საქმეს უჭირს"... თბილისური მაჯა! (ბადრი... არა მარტო მთვარე!) 192. უქეიფობის უქეიფობა!193. თბილისური მოზაიკა (მანანა ნოზაძე); „იმიჯი" (01.04) 194. ქეთევან ხამიცაშვილი: „რომელ ქალს დაუდგამდა თბილისში ძეგლს გიზო ნიშნიანიძე? 198. ვანო პაელიაშვილი: „ვარდისტყაოსანი" 205. ქეთი ქართველიშვილი: „პაემანი წარსულთან" 207. „დრო მიდის, გვითელის ნაბიჯებს"... 206. 500 გატეხილი ჭიქა 209. ძაღლი ყეფს...ქარავანი ვერ მიდის! 210. ნათელა ალექსანდროვ...იჩი ანუ ნიქარა! 211. „ქვეყნად რაც არა ყრია რა" (ლ); ახალგაზრდობის ცოდვებს სიბერეს ნუ ვკიდებთ (ლ) 212. ნეკროლოგის მაგიერ (ლ); სტალინებთან შეხვედრა კუს ტბაზე 213. „ვაჰ, სოფელო! (ლ); „რამდენი გედის სიმღერა არ ისმის" (ლ); გენერლის საფლავის წარწერა 214. მკვლელობა თუ თვითმკვლელობა? გამარჯვებულს არ ასამართლებენ. ილია მეორე; უოლტ უიტმენის აკაკური! ქართული ენის საიდუმლოებები; ხალხური სიბრძნე (ლ) 215. „ფუი, ეშმაკს!" (ლ); ძმობა თუ მტრობა? (ლ); „კატები — ყეფენ, ძაღლები — კნავიან (ლ); „სიბერეზე არ იფიქრო" (ლ); „უნახავმა რა ნახა" (ლ) 216. ჩემი სასკოლო ავტობიოგრაფ-გეოგრაფია! გურამ დოჩანაშვილი ლიტერატურის ღირებულების მისი საზომით! მარიამ წიკლაური: დრომ რა რით შეცვალა? 217. „რამდენი ჯარისკაცი — იმდენი კარისკაცი!" (ლ); ახლა თქვენი დროა! (ლ); ერთი ჭამს, ასი პირში უყურებს (ლ); ძმური გაყოფა (მაჩაიძურად!) 218. ძველ წიგნებს გაყიდვამდე...კიდევ ერთხელ კითხულობენ; „ბასმაჩა"; ცეკას წყალი; „თავისუფლების" იმიტაცია (ფეხსაცმლის გახდით!) 219. ძველი თბილისური კედლის დამწერლობა; „ყველაფერს აქვს საზღვარი?" (ლ); „ღვთის წყალობას არ გავცდეთ"(ლ) 220. „დავდივართ, როგორც ციცინათელები" (ლ); ოტექსტრო... (პროკლამაციები! ) „ბაბუს დარიგება" (ლ); სვანური კოშკი... საჩუქრად! 221. ლოცვა (ლ); პირველი ფალავანი — ძილი! 222. ქართული სუფრის გამოლ...ანჩება! (ლ); როცა მარტო ვარ — არც მაშინა ვარ მარტო (ლ); „ოჯახური ჯახა-ჯუხი" (ლ); გ-ს (ლ); ბაბუიდან — ბაბუინობამდე (ლ) 223. „მზად ვარ, ლხინი დაგიტოვოთ — თქვენი ჭირი წავიღო (ლ); 5ვარსკვლავიანი ბაბუის ანდერძი (ლ) 224. ანდაზის დაბადება; „მიახკი ზნაკი" 225. უფრთებოდაც ვფრინავდი (ლ); „შენმა მზემ და ჩემმა მზემ" (ლ) 226. მაერის პოზით სათქმელი: გამიწევია სამსახური, თვითონაც იციან! 227. „ღმერთმა შენ მოგცეს, რომ მე მქონდეს!" (ლ); ამ რითმის არითმია (ლ); 120 და 220-აციები; სსრ თუ უსუსურ კავშირი (ლ); „მე და დათუნა" (ლ) 229. რა და რიზმების როგორიზმები (ლ); „საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!" (ლ); პირში სული ან... ნობელის

პრემია! სპეკულაცია... გურულად; „რომელმა დაითმინოს..." 231. „სიკვდილი ბოლო საიდუმლოა" (ლ); პაპანაქება (ლ); „რევოლუციურს, ჯერ არ ნახულს" (ლ); „სინოპტიკური ცნობა" (ლ); „ჭეშმარიტება ღვინოშია!" 232. მოისვენე, ადამიანო!; ვან ბაიბურთი და ვან გოგი (ვა, გოგი?); სიბრძნის სიცრუე (ლ) 233. ლექსის ენაა — ღმერთების ენა! „ანდაზების ფიანდაზები" (ლ); ლექსებს მთის ჰავა უხდებათ (ლ); ზაურ ბოლქვაძე: მინაზე და მინაში! (ლ) 234. „გვირგვინი მხცოვანთა და მაგალითი ყრმათა"; „შექსპირის შაქარი" (ლ); „ძვირფასო გალ!"... ელვა — ბლიცით გადაღებული ღამის სურათია! 235. რამდენი კაცია — იმდენი სიმართლე! მოთმინების ფიალით (ლ); უჟამო ჟამი (ლ); მესა „მე"! (ლ); გიბრალტარის სალამი (ლ); მოგონებები ვაკის საცურაო აუზზე; მაგალითების... მეგალითები! „ხმით სატირლები" (ლ); ისტორია თალხებში 237. მამაშვილური თავლი გაახილე... გულში (ლ); არასაფრენოსნო ამინდი (ლ); მონა და გმირი (ლ); „ბუმბერაზობა" თუ „ბემურაზობა"? 238. ლევილის საფლავის „ეპიტაფია"; ნოდარ გურეშიძის ერთი სტროფი!... „გიტარა — ატირა, გიტარამ — იტირა" (ლ); ნიორივით ხალხი 239. „დიდი ლხინია ჭირთა თქმა" (ლ); „თვითმკვლელობის ხელობა" (ლ); „ქვათა ღაღადი" (ლ). 240. აღარაფერი დარჩა სნორი... სნორი ნანლავის გარდა; „რა და როსტოვა?" (ლ); „მგოსანნი გლოვისანია" (ლ); „სხეული სულის საპყრობილეა" 241. „გულის არა, მარა — ენის გასატეხი"; „ცუდ ფეხზე ამდგარი ლექსი"; „სურვილები გამითავდა"; „საპარლამენტო ფილიპიკა" 242. არამარტივი მარტი (ლ); „დანიის პრინცის პრინციპულობით" 243. „ჭიდაობას რა უნდა?" (ლ) 244. მე სამშობლოთი არ ვვაჭრობ! „კოსმოგონია" 245. „ბუნების მეფეს" (ლ); „კომპლიმენტი" თუ „კომპრომატი"? ვინც ცოლ-შვილი მოიგონა!!! (ლ) 246. ვასო — გვევასებოდა, ვასოს — ვევასებოდით! უკვდავი გაჰყვა მოკვდავს (ლ); იდეალური იდეა რუბრიკით — „ზამთრის ყინვა არ მაშინებს!" 248. „რა ყოფილან ეს რუსები — გაგვითავეს რესურსები"; „ვისი სული გსურს?" 250. აბუდალაურისა თუ ზედაზნის ტყის სიზმარ-ცხადი და ჩემი „კოპალა" 251. ამოცანა გვეკითხება — ამოცანას ვეკითხებით (ლ); „ღმერთო, როლი შემირჩიე" (ლ); დასტვენამ სიღარიბე იცის 252. „მედიტაცია" (ლ); „ლექსპრომტი" მეუღლეს (ლ); ეკალი — ვარდის საუნჯებო" დაცვა 253. „სიცოცხლე — მაპატიონ მკვდრებმა და სიკვდილი — მაპატიონ ცოცხლებმა! (ლ); ორი გული — ერთგულებით ფასობს; „ნასულა ჩვენი საქმე ხელიდან" (ლ); გურული „ასეჩკა" 254. „ბებრული დიალოგი" (ლ); „ნარსულის პეიზაჟი" (ლ); „მაცალე სულის ამოთქმა" (ლ) 255. „ჟამი ჩაფიქრების" (ლ); „საარაკო იგავი — საიგავო არაკები (ლ) 256. ბაღდადის ხალიფას ამბავი. 257. ქიცმაცურიც და ქიციც (ლ); „ლექსპრომტი" დათუნა ნიშნიანიძეს 258. „ამ პოტენციით გაუმარჯოს იმ პოტენციას!" (შემზარ თუ ემზარ, ჯგირო თუ ჯგერენაიას!" ძველი თბილისის ახალი ბოჰემა 260. მაჩაბლის დასტის შიქასტა (ლ); „აზმანი არა შარავანდედთანი" (ლ) 261. ჩემი ყანა ბიბინებს (ლ); „ლამის ლობის ნილი აქვს" (ლ); გაბაასება ვანო ჩხიკვაძესთან (ანუ: იჭვიანი ფიჭვიანი!) 262. გივი ალხაზიშვილი: „დღევანდელი ფუფუნება"; იოანე ოქროპირის პირიანი სიტყვა; თეთრი ლექსები 263. „აირია ფიქრები, აშლილია გიტარა" (ლ); „სიტყვის რახარუხს აქვს თავის რიხი" 264. ლექსია სულის საცხონებელი; „თბილისო, გზა ხომ არ აგერია?" „ოოო......გეშინოდეს სუფთა ქაღალდის"; „ცხელ გულზე" (ისევ გ-ს) 266. „უნიჭობის ნიჭი" (ლ); „ქრონოსიც მე ვარ და ქრონოგრაფიც" (ლ); დემოკრეტინკრატები (ლ); „ბოროტი საქმე დღის სინათლეს... აღარ გაურბის!"; „ჩვენ მინასა თუ მინა ჩვენ გვიტანს!" (ლ) 267. „ჰე, ლილეო!" „ჰარალე!" (ლ); „ერთ თავკაცს!" (ლ); „პოეზია, უპირველეს ყოვლისა!" (ლ); სისხლის სამართალი... უსისხლოდ" (ლ); ხუთვარსკვლავიანი ბაბუის ნატვერა (ლ); არარაობა — რაობა (ლ) 269. „შენ არ დაითვალო — ღმერთმა ჩაგითვალოს" (ლ). „სიჭაბუკემ რომ იცოდეს და სიბერეს კი — შეეძლოს"

(ლ); იგიზგიზოს ორმა გიზომ (ლ); „ზოგი ამბობს — ვგიჟდებიო... მე კი უკვე გიჟი ვარ!" 270. ისევ და ისევ შეილიშვილებზე (ლ) 271. შენი თავი გიყვარს მასში (ლ); დუმილი რეკავს (ლ) 272. ძუკნურელი რეზო გაბრიაძის წინასწარმეტყველება; მან თავის ხელებით მოზილა ევა (ლ) 273. ალიკა გორგაძე — ნიჭიერების კასკადი 274. ბაბუა დუროვის საკვირველებანი; ლურსმნებზე ჩამომხრჩვალი ძველი დიდების ნაშთები; საჯაროდ დასახელებული ციფრები! რა ყოფილა ლიკანი? 275. ქარნაღებული სტრიქონები (ლ); ლექსპრომტი ჩემს დას (ლ) 276. ბუკინისტური მაღაზიის ბუკ-ნაღარა! 279. ციხის სავარაუდო ფირნიში 280. ატანდა სიბერე მოდის! (ლ); შვილიშვილებო-ვირიშვილებო... (ლ); დედას პური და მამის ულვაში 281. ნელინადის დრონი (ლ) 283. დარვინიზმ-არვინიზმი (ლ); ჩემი მკითხველი ჯობია (ლ) 284. „და თუ სიცოცხლე ასე ნავარდობს..." რძალ-დედამთილობა — უქმროდ და უშვილოდ 285. „ხანძარი კონტროლს ექვემდებარება" 287. რას ვყიდით და უკეთესს რას ვყიდულობთ? მზე შინა და მზე გარეთა (აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე) 288. გონდურასი 289. შენს თავს დააბრალე (ლ); ადამიანს ვეძებ სანთლით (ლ); უდარდელობა ლექსებს არა წერს (ლ); გულში ნათქვამი (ლ) 290. სადა ხარ, ჩემო სულიკო? ქაშვეთის ზარები 291. აგვისტოს ხვატში (ლ); სტუმარ-მასპინძლობა (ლ); ძველი ლათაიური (ლ); შურის შარი-შური (ლ) 292. გენერალისიმუსის ქუდი; უსტაბაში ბუში და თბილისური კინტაური; ერთხელ, ამერიკაში (ამერიკის აღმოჩენა) 293. ეკლესიის ზარები — ბგერითი ალგორითმი; კომპიუტერები — ჭკუის კოლოფები; „იყო შაშვი მგალობელი" (ნეკროლოგის მაგიერ); „ციხის ღიურიდან" (ლ) 294. ჟურნალისტიკა და პროსტიტუცია: გაუფრთხილდით კვერცხებს! მედიტაცია (ლ) 295. შენი ცხადი და ჩემი სიზმარი (ლ); გონი-ერი, ბედნი-ერი (ლ); უბედურებაა, იყო ბედნიერი (ლ); ღმერთია მონყალე (ლ); „თელიანი ველის" თავკაცს, არჩილ გეგენავას! 296. კაცის სასწორი — ქალია (ლ); საქ-იქაო (ლ); ჩვენში ავადმყოფობას — უქეიფობა ჰქვია (ლ); უპირო პირიანობა; ბიზნესმენი იმდენი ღირს — რამდენიც აქვს 297. უღიმღამო ღამე; თუ ნასასვლელი ვართ, რაღას მოვდიოდით! (ლ). ისევ ისე — მე და მე ვართ! (ლ); სიკეთე აკეთე! (ლ); ჩემპიონ ვერელ კაცს (ლ); ბედნი-ერი. ნამუსიც კარგი საქონელია; სამშობლოს სიყვარული მშობლებით ინყება, მაგრამ შვილების სიყვარულით არ თავდება; ბუბუსიას მრავალნერტილი (ლ); კანტის საფლავის ნარნერა 299. ნაფლეთები ტოქსიკური ფიქრებიდან (ლ); შავი დღე და თეთრი ღამე (ლ); ადამიანის საზომი (ლ); მივტირ-მივღიმი დროს; ჩამოიმარცვლნენ დღეები (ლ) 300. მემღერება და ვმღერივარ 301. ნუთისოფელი ასეა (ლ); გიტარამ გიტირა (ლ) 302. მაია და „ტვაია" — სიკეთის მკეთებელს — სიკეთის დამნახველი უნდა! ეშმაკისეული ხხხ და დოსტოევსკის კაზინოს ვალი! 303. გლეხი დაგლახდა (ლ); ქალაქი მარტო თბილისს ერქვა! ორუცნობიანი განტოლება (ლ); გულოვანი-გელოვანი (ლ) 304. ქაღალდზე მივდევ კალამსა (ლ); სიმარტოვი სიმარტივე (ლ); ცოლ-ქმრობაა (ლ); იდუმალი დუმილი (ლ) 305. ნვერებიანი ხუმრობა (ლ); ვით ორი პინა ყანთარის: ზაფხულია და ზამთარი (ლ); ვერცერთ ფათერაკს გვერდი ვერ ავუარე (ლ); არჩევან-არადანი (ლ) 306. თოვლის ბაბუიდან გამომდნარი ლექსი (შვილიშვილებს); მათი ნყევლით მიდგას სული (ლ); ქაჯობამ გვაჯობა (ალავერდი კოტე ყუბანეიშვილთან) 307. ყივის მამალი (ლ); რითმების სექსი (ლ); ვისაც სიკვდილის... სიკვდილივით ეშინია (ლ); შენს ჭკუაზე, ნეტავ, შენც არ დადიოდე (ლ); დრო, დრო აღნიშნეო — გალამ (ლ) 308. მუიმე თუ ფუიმე! პასუხი-კითხვას (ლ); კვიცი გვარზე ხტის (დათუნა) 309. ქალბატონი პლისეცკაია — ასეც კაია, ისეც კაია! გამათხოვრებული მათხოვარი — ვაშა, ლაშა; სიცილით ვინც კვდება — ის დიდხანს ცოცხლობს (ჰიმნი სიცილს!); სიმართლემ გამიჩმახა ცხოვრებაში; კალმით ტკბობა და მელნით თრობა... ქმრები — გარეთ გმირები — სახლში ვირები! თბილისის გრანდები (ლ) 311. ლხინით ხარ ჭირში (ლ); ხარ ქვეწარმავალ-ზეწარმავალი (ლ); ჭირმა თავი არ დამალა

(ლ); აქ ყოფნის დრო იწურება (ლ); ლიანა ასათიანს (220-იანი ძაბვის ლექსპრომტი); ჭიქის მომჭახუნებელი (ლ) 312. ქალებს შეეშვი და დუდუკი უკარი, რამდენიც გინდაო! სხვისას შენი გერჩიოს! „შევეხმატკბილოთ ერთმანეთსო" (ლ) 313. ჭირში — ძმობა და ლხინში — მტრობა (ლ); ქალი სუსტია, დედა — ძლიერი (ლ). ღმერთმა რა და რისთვის მოგვცა? (ლ) 314. ერთი ფულსაც ჰკითხონ (ლ); ვინ სტუმარია — ვინ მასპინძელი (ლ); ლექსი თუ გაგიჟდა (ლ); მე ჩემ მაგივრად გიტოვებთ წიგნებს (ლ); ბოლო საიდუმლო (ლ); ზოგი სიკვდილშიც ცოცხლობს (ლ) 315. კაცის ლხინი და ქათმის ჭირი. რაღა დარჩა (ლ); ფეხის ხმაზე გიცნობ (ლ); ასე თქვა საბამ... აბა! 316. მარტო მე ვიყო მართალი (ლ); ანბანური ჭეშმარიტება (ლ); მართალივით გიჟი (ლ); ვერ ეფარავ ვერაფერს (ლ) 317. დღე — სიცოცხლეა, ღამე — სიკვდილი (ლ); შეყვარებულს არ დაარქვა... ცოლი (ლ); როცა სიკვდილს ებაზრები (ლ); ცოლ-ქმრული ინილო-ბინილო (გურულ კილოზე); ადამიანი-ტაძარი 318. პ ოთარი! 320. ანდერძი. ოთარ ჭილაძე: უნიგნურობა ნყვდიადია 322. თამაზ ჭილაძე: კომპიუტერი — პანდორას ყუთი! შადრევნები 323. ძაღლის ნაყინი და ძაღლური ცხოვრება; რეიპლანტატორები! ვლადიმერ კონიჩი: ჩემი ლხინი დაგიტოვეთ — თქვენი ჭირი ნავილე! მზეს ვერ ვუსწორებ თვალებს (ლ); კაი სალამი — კაი სალამო (ლ) 324. ბაბუა-კაქტუსები; ლადო მრელაშვილი — ნატვრა (ლ); „ცოცხალი ვარ, ცოცხალი!" 325. უხარია, რომ ცოცხალია! საგულდაგულო (ლ); ენა — სულთმოფენაა (ლ); მოკლე ჭკუას გრძელი ენა აქვს (არისტოფანე); ხმამაღალი ფიქრები (ლ); სიჭაბუკე თესავს — სიბერე იმკის (ლ) 326. ილიას და აკაკის პოეტური თვალსაწიერი 327. „პლატინოს" ნომრები 328. აფსუს! (ვის წერ წერილსო და ჩემს თავსო!) 329. დიდმა ლომმა — ლევ ნიკოლოზის ძემ ბრძანა! 330. ან-ბან-გან-დონ... ავანგარდისტული კონცერტი და მისი ალმატებულება... შემთხვევა! 333. ხალხური სიბრძნის სალაროდან 334. თბილისის ნამდვილი გრანდები! (ლ); დათუნა: „ხახვის ცრემლები" 335. ერთმანეთის ჯინაზე 337. გივი კარტოზია 347. თეთრი ღამე და თეთრი ქაღალდი (ლ); ირაკლი მეგრელაძეს (ლ) 348. „პლუტოვსკი" რომანის კონტურები; ვისი ვისაშია (ლ); გენეტიკური კოდი (ლ) 349. ქსანტიპას (ლ); სხვისი ჭირი (მარიამ ღვთისმშობლის წილ მარიამს) (ლ) 350. შარი და შური (ლ) 351. ცოლიკოურს — ქმარიკოულისაგან (ლ); ლექსპრომტი ნაბოლარა ქალბატონ ანას! (ლ); ჭკვიანს გიჟი უკვირდა — გიჟს ჭკვიანი უკვირს (ლ); კაცი — კაცებს ქალებივით იცვლის (ლ) 352. ზეიადი: „... მემრე თქეეს: დრო რომ მოუვლის, კარ გაიღების თავადა"-ო (ლ); სული — ღმერთს, ლეში — თქვენ, ჯალათებს; „კოკობი ულვაშით გატენილი მუთაქები"; „რასაცა გასცემ..." 353. რამ ათქმევინა აკაკის! სიყვარულით მძულხარ (ლ); „ჯვარს აცუ, ეგე!" ღირსი ისააკ ასური (ლ); იმე... რული ესკიზი (ლ) 355. საპრეზიდენტო კატრენი 356. სიყვარულის პრივატიზაცია; წაღმა-უკუღმა პროპაგანდა 357. საუწყებო დაცვის საუწყებო სტროფი! გუშინ და დღეს (ლ) 358. დონარა კინწურაშვილი და ლავრენტი პავლოვიჩი; ელექტრონული პრეზერვატივი; გასაუბრება ბაჩანა რაზიკაშვილთან (ლ) 360. „აფხაზური იორდასალამი" ათასსახიანი კაცი — დიმიტრი ჯაიანი და ზღვა მწუხარება-სიხარული... 367. დევი დევიძე: „სიყვარულს ასაკი არ აქვს" 369. საიათნოვას მეზობლად (ლ); მკაფიო კაფია (ლ); გასაუბრება ირაკლი აბაშიძესთან (ლ) 370. ზაზას! (ლ) 371. იტალიური დღიურიდან! (ლ) 373. გივი ნიჟარაძეს: „ანი, სიკვდილი ფეხებს ვერ მომჭამს" (ლ) 374. კაცთმოყვარე ქალი; „თელასი" ვალდებული, სააქაოში გვამყოფოს ნათელში! სათაურების ძებნა 375. Мои года – мое богатство! ეკლესიის ზარები და შემზარავი სიმართლე; დღისით — სიზმარში, ღამით — ცხადში 377. რაა სიბერე (ლ) 378. კატის გოჭი თაგვია (ლ); გალაქტიონი: „ოჰ, ეს ფოთლები..." (ლ) 379. ეკლესიასტე 380. გრ. რობაქიძე: ქართველების გამაერთიანებელი... სუფრაა! გუჯა: „გაუმარჯოს პახმელიის საერთაშორისო დღეს — 1 იანვარს!" პაინე და მუზა 381. პაგანინი; ბერნარდ შოუ; პიკასო; სტალინი და დე გოლი 382.

ნიკო მუსხელიშვილს; ჩვენთა მუხლთა დრეკადობა! 383. ხალხური იუმორი 391. ქართლოს კასრაძე 395. კუკური ჟღენტი 392. ვახტანგ ჭყოიძე 405. ნიაზა 410. ტატო იოსებიძე 411. ჩოფურა 415. მოარული ხუმრობები 423. პროკოფი ნემსაძე 424. ნუგზარ გუნცაძე 425. გიგა ლორთქიფანიძე 426. სევა ელიავა 428. ქიშო და გენერალი 429. თინა რეხვიაშვილის ლექსპრომტი 430. ლერი ჩანტლაძე, ნოდარ ხუნწარია ,,500 ანეგდოტი 8 კაპიკად" 433. ჟორჟიკა იაშვილი; სამტერდიის ,,ტექთან" 441. სიდედრის სურათი 443. ვინ კითხავს გორბაჩოვს? კი ყვიროდა, მიჭირსო, მარა... ახლა ყველას გვიჭირს; ისტორიის გამოცდაზე 444. თითზე ძაფი შევაბათ 445. ასე თუ არ ეფერე თანამშრომლებს! ,,ბელაია გარიაჩკა" ბანი პარტერიდან; ბავარიული პივა თუ გინდოდა 446. ქუთაისური იუმორი 457. ბელინსკის 10; ნილს ბორი 458. აინშტაინი 459. ატომური განგაში და სალორიის ტყის ზღაპრები 460. ლანა და ლანდები 461. სალამ-კალამი! (ლ) 462. ლურჯი მონასტრის ,,ტრიბუნა"; ღარიბი მაშინ ჭამს, როცა აქვს; შეუძლებელია, სეირივით უყური ქვეყნის ისტორიას 463. სისხლის და ცრემლის ლაბორატორიული ანალიზი; სიტყვაზე ბრძენი რიცხვია? 464. როცა საკუთარი ჩრდილის გშურს; საათს რომ ჭკუა ჰქონდეს, 24 საათი არ იმუშავებდა; კაცის და ზრდილობის ფასი 11000 მანეთი! 465. ძალაუფლების და ბოროტების ქორწინება; ო, რას უბერავდა! ჰენდე, ხოხ! მიდის ეს წუთისოფელი (ლ) 466. ფული უნდა იშოვო ბაქოში, დახარჯო თბილისში და ...; ბრძნული აზრები ზაზას გულისჯიბის უბის წიგნაკიდან... 467. ჭრელი სადარბაზოების კედლის დამწერლობა (ლ); ნუნუ ნიშნიანიძე და პროტექცია! 469. გიორგი გვახარიას თოქ-შოუ და უჭკუობის ჭკუის საკითხავი კაცები! 471. ცოცხლებში მკვდრები და მკვდრებში ცოცხლები (ლ); კატაკლიზმების მიზეზი... ადამიანი! ზექს-სექს-ლექსები (ანუ წერაობის დაწყებითი განათლება); ყრუ-მუნჯთა სკოლის მასწავლებელი მარტიონ ნიშნიანიძე; სეიფის ,,სეკრეტები" 475. კაცი არი და გუნება (ლ); მავზოლეუმი 476. ,,აი ლავ იუ"; წინ — დასასრულია, უკან — დასაწყისი (ლ) 478. გემოვნებაზე... დაობენ! ანბანთქება (ლ) 479. შეხვედრა რუსთავის გიმნაზიაში 481. ღმერთები არა კვდებიან (ლ) 482. მუშტაიდის რკინიგზით... მარნეულში?! ,,ვიგრძენი, როგორ მიჭერდა ყულფი!" 483. რატომ გვიყვარს შვილიშვილი? თენგიზ კეკელიძის ,,წვრილმანი ხულიგნობა" უკაცრავად პასუხია! — კითხვები ზოგადსაგანმანათლებლო ტესტებიდან! პოლონელი ჟურნალისტის ავტონეკროლოგი 486. სიცილით მოკლულები... საკუთარი ჩრდილის... ზოგჯერ ეშინიათ, ზოგჯერ შურთ კიდეც (ლ); ,,დედის გული" 487. ქაბაბი და ლაბაბი (ლ); შენი ბებია და ჩემი ბაბუა... 488. ლადო პაპავას მამის ნათქვამი; რეიტინგები და რეიტინგიცები; ვუახლოვდებით რიონს... რა დღეში ჩაგვაგდო ამ მამაძაღლმა სეთურმა! 489. თბილისური-თბილი სული (ლ); ღამე სიკვდილი და დილას დაბადება (ლ); რამხელა განსხვავებაა ბივშტექსსა და რამშტექსს შორის? 490. ბაჭყატას ,,გრიალუშკები"; გაიზრდება და თვითონ გადაწყვეტს, ბიჭი იყოს თუ გოგო; კათალიკოსის წირვა და მტრედის შეფრენა 491. კავკასიის მთავარმმართებლები... 493. თეიმურაზ (ჭიყო) ჭყონიას ანტიკვარული თბილისი! 496. 2 ტონა საცივი 497. ენვერ ქულბაქ-ქელბაქიანი 499. სტენდალის ,,წითელი და შავი" 500. ლერმონტოვის სურათი; ენციკლოპედიის აზრით! 502. დედა უფრო გიყვარს თუ მამა? (ანუ სიყვარულის პრივატიზაცია); დრო მკლავს და დროს ვკლავ (ლ); კანიბალებში; ,,თავისუფალში" არის ,,უფალი" (ლ); სილამაზის გარდა მას... არ აქვს ,,დანაშაული" (ლ) 503. სიცილივით ტირილი და ტირილივით სიცილი (ლ); შრომა გავისურვილე (ლ); ღმერთმა გამამგოსანა (ლ); წარსულს გავცქერი (ლ); მიყვარხარ და სიყვარულით ,,მძულხარ" (ლ); სიბერეს არსად არ ეჩქარება 504. 504. ზოოპარკის ვოლიერის ტრაგედია; ქათმის თუ ჩვენი ტრაგედია; ქართლოსას კომპეტენცია მეფრინველეობაში 505. ტირემ ტირილით თქვასო (ლ); აფსუს! (ლ) 507. შიშის თვალით. კონცერტი დაკვეთით. საკრეკიორო 508.

ადამიანური კაპიტალი; ტელე-ტვინის რეცხვა 509. ბრძენი იუდეველის შეგონება; საშობაო ეპისტოლე 510. ნუთის ძალა; კალამსობა-კალმასობა 511. არალეგალური ქველმოქმედი (ბიძინა ბიძია) 513. სატირული და სატირალი... სიცილი 515. „ნუზო" 516. ოთარ ნიშნიანიძე და „მიახკი ზნაკი"; დავით სარაჯიშვილის ძეგლი და ნოე ჟორდანიას ნათქვამი 517. პროკლამაცია-პროვოკაცია! 518. „თანამედროვე არგონავტიკა"; კაცის სასნორი... ქალია (ლ) 519. „სალამი ჩიტუნებო" და ბოლშევიკები; თბილისური კონსერვატორია — სადარბაზოები 520. ქალის „მგელი" — კაკო ჯაფარაშვილი; სვანური კოშკი და შექსპირის სონეტები 522. მორისკა ყიფიანი 523. „კეირის პალიტრის" ნერილები... მომავალას! 526. ქათმის გრიპი — ბიზნეს-გრიფით! 527. „არაბული ცხენისა და... ლელა არაბულის გული!" 528. თეა კერვალიშვილი: პაემანი გიზო ნიშნიანიძესთან! გამჭრიახობით მოპოვებული სტუდენტობა; „პაემანი ვერაზე" ჩვენ ხასიათიანი ხალხი ვართ; ასე ინრებოდა ქალაქური პოემა 533. „309+" (ლ); შე, ძველო და შე, ახალო თბილისო! (ლ); დედა-მინა და მამა-ღმერთი (ლ); სიხარული შემოვლობეთ (ლ) 534. პაემნის ექო 535. პაემანი დარეჯანის სასახლეში. თავისი ნვიმით! პავლე ბერეკაშვილი: ვერელ-ოკრიბელს! (ლ); ქურთ-ქართველის ალალი მადლობა 536. რეზო დეალიშვილი; ნოდარ გეეტაძე; ფარსადან თოფურია; გელა მუხაშავრია 540. იმ შავ დღეებს ერთი ღამე თეთრად გავუთენოთ! 541. ქვადნერას უნდა ნერაქვი! (ლ); კაციცა ხარ დაქუდიცა გხურავს (ზაზა ნეფარიძე); ბოლომდე აუხსნელი სიყვარული; ნერილი საკუთარ თავს 542. ბებერი ბიჭი 543. „ქუჩის ბიჭები" და „დედას ბიჭები" 544. „უხარია, რომ ცოცხალია" 545. ტიპი 546. ავტოინტერვიუ 547. ჩვენი ეზო 548. გვარის სისხლის კოკტეილი; ერთხელ იბადებოდე და ისიც... საბჭოთა კავშირში? „ჩემს ლოგინს რატომ სცემთო?" „სილამაზის გარდა სხვა... არ აქვს დანაშაული" 549. სხვისი ჭირი? ანდაზების დაბადება; „ფობიების" გარნიტური 551. კინტო და კომკავშირი; აი, ვინ იყვნენ კოლორიტები! (ჭყ-ჟღ და მათთა მსგავსთა ჟღარუნ-რანუნი) 552. უნიჭობის ნიჭი 553. „მოვა დრო და მოვუყვებით შვილებს..." 15 „პონჩიკი" 554. შეხვედრა ელბაზე ანუ „ნითელ ეშმაკუნებთან" 555. ხე. ზუგდიდური ქორნილი 556. სიყვარულის სიძულვილი! ანონიმშიკ მამედოვი; „ნიანგის არქივიდან" 557. გველი... კაბინეტში! ამხანაგი გულთა ნათელია (ნოდარ ცომაია); „ზღაპრიდან მიტომ გამოვიპარე" (ნათელა-ლამარა-ალექსანდრეს ძე ნიქარიშვილი) 560. სიყვარული გადავიყვარე (ლ); ოთარ კარსანიძე — უტირაჟო კაცი! 562. ლუტუნა! თბილისური სევდა მურის ციხის გადმოსახედიდან; ვენერა მოსულიშვილი და რომეო და ჯულიეტას ჩვენებური ტრაგედია 564. სვანური კოშკი მაჩუქეს; ქართული „ტოსტები" და ამერიკული ტესტები! 565. პაემანის ახალი ადრესატები; მადრიდს რას შევადრიდი? 566. გარობოტება და გაბოროტება 567. ახალი იგავ-ნაგავები; გაშიშვლებული სიმართლე; ყველაზე ძვირი ტუალეტი მუსიკით! 568. ცენზურის ცენზურა; სიზმარი და ცხადი; ლეცი: კითხვის ნიშანი დაღლილი ძახილის ნიშანია! თავისუფლების საპყრობილეში (ლ); მსახიობი შიმშილით მოკვდა 570. ტრა-ბახ-ბახ-ბათქა-ბუთქი (ლ); უნიჭობა ბოროტების ნიჭია (ლ); მეზობელი კარისაო და ეკავ-ეკავ გელისაო (ზაზას „მარინადი" 571. ქონება თუ არქონება! საქართველოზე გაგიჟებული... სოროსი! 572. ბედნიერების გზა... კუჭზე გადის; ქუთაისელი ფოტოგრაფი; ცვეტაევა: ლექსი ჯობია პროზასა 573. ვახუშტური კაფია (ლ); ხე — ნაყოფით; კაცმა თუ ქნა — ღმერთმა რა ქნას? თუ ბატებმა?... დიოკლეტიანეს კომბოსტო! ნახევარი... ნახევრადაც არ ვარგა! დღე და ღამე! „მემენტო ვიტა!" სიყვარულის პრივატიზაცია და... ამერიკანიზაცია 576. პირი და პიარი; გია სტალინს! 577. მსოფლიო იუმორის საანთოლოგიოდ; თბილისური მოზაიკა; ვენსენის პროფესორი და გამნვანების კვირეული 580. კიტა ბუაჩიძე 590. ოთხი გიზო! 591. ალიონზე... ჰიმნის მოსასმენად! ლომური „პერედაჩები"; იმ ქუჩის დონემდე! 592. ქალბატონო სონია!; ნიკა

საკაშეილი; შორაპნელ ბებიაშვილებში; ნეკროლოგის მაგიერ 593. ახალი „ნეპი" (ლ); „მიახკი ზნაკი" ურა; ანა ბებია (ნულუკიძის ქალი); ღმერთმა ახსენა — ბერი არსენა! კოლია სტურუა 596. უსიკვდილოდ (შოთა კირვალიძე) 602. სასეენი ნიშნები; გეელის ნაკბენი სიტყვა; სიცილ-სიცილში 603. შავით თეთრზე ვწერ! (ლ); ვასილ კელენჯერიძე — ჩვენი გარგანტუა და სმაში ხელშიშემომკვდარი კაცი 604. ფარაონები და მრჩევლები; „მამფი" — „დიდჩემოდნიან პატარა კაცებს" (ლ) 605. გაზაფხულს ვინ უთვლის... მერამდენედ მოდის (ლ); „ჩემდა თავად მეორედ მომსვლელის!..." წერას ავყავართ, წერას დავყავართ (ლ); ჭკუასთან ერთად გასაღებიც არ უნდა დავკარგოთ (ლ) 606. ნახევარი მათლაფა „ბორშჩი"; ქალალდის ჩიტები; „რაინდსა ურჩსა მტრისასა"; კოვზი-პროპელერი 607. ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ (ლ); ჩვენ — პრომეთე-ამირანის სისხლნი (ლ); კაი კაცი (ლ) 608. ლექსი — 9ბალიანი ღელვა! (ლ); ძია სემს! (ლ) 609. დეკლარაცია (ლ) 610. ისევ ფობიებზე 611. გოგონების მოგონებით (ლ); ჩემი ჩიტი გალობს (ლ); აქ მთავრდება სიჭაბუკის შაირი (ლ); მიყვარს, მაგრამ... 612. ჩვენი დროის ბიჭური ჩხუბი... მოფერებასაც ჰგავდა; ჩემი სიძე და ბოროტებაზე ნასწრებული არაკაცები; კიტას წერილი; გზა ტაძრისაკენ 613. საქართველოს ისტორია ვალშია თქვენთან! დედა თუ მამა? 614. საქართველო აულაგებელი სუფრა არაა; შინნაუსვლელთა სადღეგრძელო; ისე არ აუდგეს... სიბერეს გვერდები (ლ); ჭკუის ნიჭი?! თავისუფლება და უფლების თავი 615. ციცინათელები (ლ); ფანჯარაში საქართველო გარბის (ლ); ქალი არა — ქარი იყო (ლ); „მე ვიცი, თმებში დამეწყო თოვა (ლ); ფაუნის რა მოგახსენოთ (ლ) 616. სლავა მაზური; ტყვიას ტყვიაში; „სკანი დიდა..." იმერული ესკიზი (ლ) 617. აფსუს (ლ); სიბერეზე კარგი, ღმერთო, ვერაფერი მოიფიქრე? ფილიპე მახარაძის ძმის ნეზვი ლორი; ჩემს თაობას (ლ); „სპიდომეტრით" 80 მაქვს გავლილი!; ცხოვრება თუ ცხონება (ლ); გლობალიზაციის კატასტროფა 619. გრაალის თასი თუ მოთმინების ფიალა (ლ); ეშმაკმა თუ იცის (ლ); ?-ის და !-ის ნიშნიანიძე?! ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი 620. ჩემი გვარის ფუძეც ნიშნიანი ანუ ჯვარია (ჯვარი გვნერია); თუ წერა ბედისწერაა (ლ); სიკვდილთან გახუმრება (ლ) 621. გიჟვრაცუები; ბოზი და ბუზი (ლ); უნიჭობა ნიჭობს (ლ); „პარახოდი ეკავ-ეკავ-გალისა" (ლ) 622. გაბანძებული ანძა (ლ); მათხოვრობის ბიზნესი (ლ); ვარსკვლავებს ვეთამაშებოდით 623. „თბილისი. გიზო ნიშნიანიძეს" Но все манеры говорят! 624. 37 წელი; ღმერთმა ინებოს! 625. მართალსა მართებს მართალის; როსტომ ყენიას (ლ); ანტალიაში ტანტალია (ლ) 626. გამძლარი კაცის ლაპარაკიც ღრუტუნს ჰგავს; სიჭაბუკე სიგიჟე (ლ) 627. ფიქრობდა კაცი და ნუხდა (ლ); ფოთლის აპლოდისმენტი (ლ); ლექსების ასტროენერგეტიკა (ლ); გიზო — შე გიჟო (ლ); არ მომიპარავს — მიპოვნია (ლ) შესანდობარი ცოცხალ-მკვდარს (ლ); ბუმბულით ანონილი ცოდვები 629. ქუჩის ძაღლებს — მამაძაღლებს (ლ); შარლატანობა; ვაშა-ლაშა! (ლ); მისამართი შეიცვალა! 630. კაცის კაცობის 63 წესი; ფეხწერის ხელწერა 631. აინშტაინზე მეტი ჭკუა ჰქონია! (ლ); დაიჭერ და... ტკაც! (ლ); სიცოცხლეშიც, აქაც — იქაც (ლ) 632. დრო (ლ); ძეგლებმა ფეხი აიდგეს; თათქარიზმი (ლ) 633. სიყვარულის მალხაზებს (ლ); მე — დროს ვატარებ, შენ — დრო გატარებს (ლ); უფლის ლოცვით და კურთხევით (ლ) 634. გლობალური ფიქრები (ლ) (6-დან 1 მილიარდამდე); კაცია და გუნება (ლ); აირია მონასტერი 636. ოთარ ჭილაძე: ამხედრებული სიტყვა! 637. ექსპრეზიდენტთან ინტერვიუს ექსკლუზიური ვარიაციები (მემ-უარები); გადამგდებები და გადაგდებულები; „ისპალნიტელნი ლისტი" (ლ) 639. სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნად; ღმერთმა მოგვისაჯა... ადამიანობა (ლ); ჩიტი და რაგატკა; ჯუმბერ ჯიშკარიანი; გაორებული სიტყვა (!); შალვა დავითაშვილი; შავ-თეთრი კრიალოსანი (ლ) 641. სიტყვა (!) ფოჩიანი... კამფეტივით კაცი! 642. შენი თავი გიყვარს მასში (ლ); ყურში არშესაშვები ამბები და სახლში არშესაშვები ქალები და კაცები 643. საით, გოგონი?

644. უბედური საქართველო — ბედნიერი ქართველი? 645. სისხლს, როგორც ჩაის, სვამდა (ლ); მე ამ ნერის ნერა ვარ (ლ); „ჰომო-ჰო-ს" (ლ) 646. ვაჰ, დრონი, დრონი!..." გიგლა ჯანაშია; გიორგი სტურუა; კრიზის...ცენტრები თუ დაცენტრილები? სააზარფეშო (ლ) 650. ბერნარ ფასიე: თქვენ თეთრკანიანი ზანგები ხართ! ძმებო, როცა მოვკვდები..." ლექსები ბელადზე და კურდღელზე; უმთავრესი ქართული ნიგნი; ქეთათოს (ლ) 652. სამი ნერტილი (ლ); რეპორტაჟი სიჭაბუკიდან (ლ) 653. ფუ-ფუ-ნება; გამოსოროსირება (ლ); რანი ვიყავით?... 654. დიდი ბოდიში! მიქელანჯელოს (ლ); ცოცხლად დამარხვა! „სერვისი" დაგვიანებული ბოდიში მამაჩემს 655. ღვთის ნყალობას არ გავცდეთ (ლ); ღმერთმა „იმედი" ნუ მოგვიშალოს — 108 ნლის ქალს სინათლე გამოურთეს; „ვოსტორგი" თუ „მოსტორგი" რუს-ქართველ მეფეთა თიკუნები. 657. გინდა კენჭი უყარე — გინდა კაკალი; აზრზე მოდით — ხიდზე გადით! ვინ — რაში სჭირდება ღმერთს; სიდან მოხველ და სად მიხვალ (ლ); პენსია თუ პენისი? (ლ); საეპიტაფიოდ (ჰამლეტ გონაშვილს) 658. მამაღმერთს! სასჯელის უუმაღლესი ფორმა (ლ); „ბაჟე მოი!" ქაბაბივით გახვეული სიტყვა (ლ) 659. სულით-ხორცამდე (ლ); შინანარ-გარენარს (ლ); სიტყვასთან შესიტყვება (ლ); ამ მაჯამამ შეაჯამა (!) 660. ქრისტეფორე; მინა-ნყლის სადღეგრძელო; დადიანო-დადიანო... ომან ომანიძე 662. გადამდგარი პოლკოვნიკი, მეთევზე, თენგო და მტკვარზე ქეიფის მოლოდინი; ლუკა ნულაძე და ლუკაშენკო 663. საიდან დაინყო ქრთამი 664. ერთს კიდევ გეტყვით...სომხების ამბავს! 667. ბიძინა ღოღობერიძე. დემოგრაფიულ ფანტაზიებსა და ეთნოგრაფიულ ნიაღსვლებში 669. ჩვენი ნინა თაობის სიახლეები (პატეფონი, „პრიმა" და სხვა); „ღვინოვ, რაჭულო" — ანუ „ხვანჭკარის" ამბები 671. „პერანგის ამხანაგი" ანუ ზრდილობა და ახლანდელი „ამხანაგები" დები იშ'ნელები; ყველაზე ძნელია არაფრის კეთება (ლ); პარადოქსი (ლ) 672. ფეხზე ადგომით (ლ); ახლანდელი ცოტნეები ადრე იძინებენ (ლ); იქ სიკვდილიც კი — სიცოცხლის ტოლია (ლ); გველის ნინილები 673. სურათი (!); შვილი — მამის სიყვარულს (ლ); შემზარავი ზარის ენა (ლ); ნარსულ-ანმყო და მომავალი (ლ); როცა მტერი მემატება (ლ) 674. ზოგიერთს სიკვდილიც ვერ იტანს (ლ); ცრუა ნუთისოფელი (ლ); ანდაზების ფიანდაზები (ლ); ჩემი — მკითხველი ჯობია (ლ); მონატრება (ლ) 675. აბდა-უბდის აბლაბუდა (ლ); არსებობს ქეიფის 1000 საბაბი (ლ) 676. ქუდით ინყები (ლ); ჯამს რომ ეჭამოს (ლ); კუს ტბაზე... კუებ-კუებით (ლ); მოხვალ და ნახვალ დედიშობილა (ლ); მინას ვჭამთ და მინა გვჭამს (ლ); მაინც რა გვჭირს? (ლ) 677. რაა ნუთისოფელი (!); ადრე თუ გვიან (ლ); ბებია-ჩემის ანუ ანა ნულუკიძის გასაუბრება გველის ნინილთან; ხატზე დაფიცება; ნუზო (გივი ნიშნიანიძე) 680. კაცობრიობის 25 საოცრება 681. გრიგოლ რობაქიძე; პრეზიდენტის ასაკი; ომბუდსმენი სიმართლის სმენაზე! 682. ქუდზე კაცი; ახლანდელი მამიდაშვილ-ბიძაშვილობა; კარგიც ვთქვათ და ცუდიც! სანამ უფალი გადმოგვაფურთხებს ბაგეთაგან; მთვარის საელჩო; ჭკვიანი ებრაელის ნატვრა; ოთარ ჭილაძე: „შემაძრნუნებლად ვარ ბედნიერი." ფოლკნერის საუბრები ვირჯინიის (და არა ჯინიანი ვირების — გ. ნ. ) უნივერსიტეტში; გირჩევთ, რჩევას ნუ მისცემთ! 684. ტანდაბლები — ქარიზმატიული ლიდერები! სონეტი; ექსკლუზიური ინტერვიუ 685. აქუბარდია: საქართველოს უმძიმესი ხარკი; ცენზურის ისტორიის სათავეებთან 688. ვოლფ მესინგი — კაცი სასნაული 689. მეფური სიკვდილი 690. ევრიკა! დროს (ლ); ადამიანის ქრონომეტრაჟი 691. ნაპოლეონის ასო (სარცხვინელი კი არა — უსირცხვილო); უცნობი; რითმით სიტყვის შენყვილება (ლ); ყველას რაღაცა აქვს სახსოვარი; ანდაზის დაბადება 692. სიმონიკა გოცაძე — თუმანს იხდის კოცნაზე! ჯეელ მეცხვარის სიმღერა 693. შამაია! „ტყე შევუნახოთ შვილებსა!" ჰემინგუეი 695. გაქცეული კალამი (ლ); თავზე ხელაღებული და ცხოვრებაზე ხელჩაქნეულები! ნარსულს, ანმყოს და მომავალს (ლ) 696. აქლემის და ნემსისი ქურდი (ლ); მოთმინების ნიჭი

(ლ); სალამი, რომელიც იყო დასნრებაზე (ლ); სიკეთის მკეთებელო (ლ); დიდები... მცირეთა თვალით! ყურს სანამდე გინევენ — იქამდე იზრდები! 697. დეპუტატობის კანდიდატის ნინასაარჩევნო „პროპაგანდა!" კარზე ყირით მომდგარი — მეხელური თუ მეფეხური 698. ხვაშიადი და ხაში... . ადე! ყვავილ-პეპელა (ლ); ლადო მრელაშვილი; ემილი დიკენსონი 699. გრიშაშვილი: პერანგს მოგცემ — ნიგნს კი — არა (ლ); ჩემს დას (ლ); ლევან სანიკიძე: ოთხი სადროშო! 700. თბილისური საჭურეელი 701. საჭმლის ფესტივალი და ქართული სუფრა პანკისიდან-სარფამდე (ანუ „სარფიანი" იდეა); თქვენი გენის კოდი (ლ) 703. ამ ნყობილების განნყობილება (ლ); დასასრულსა ჰგავს (ლ); მამაშვილური დარიგება (ლ); ფული ცუდი ბატონია (ლ); ბოლნისის ბოძი და მისი ნაღმა-უკუღმა ტექსტი! ხატის ნინ (ლ); მოგონების სამოთხე (ლ); ხვალისა ხვალემ თქვას 704. გიჟი თავისუფალია (ლ); დაბადებიდან ვკვდებით (ლ); როცა სული ხორცს ეყრება (ლ); ყველა აკაცია ჩვენი ძმაკაცია (ლ) ?! ნიშანი (ლ) 705. თავზე საყრელად გვეყოფა (ლ); უკვდავებას ასე ვეპოტინები (ლ); უმზეო დღეს ჰგავს უჯიგრო კაცი (ლ); შევავსოთ ჭიქები, ვახსენოთ ჯიქები (ლ); გეი-პარადი გაი-პარა (ლ) 706. სიკვდილი მაპატიონ ცოცხლებმა (ლ); პოეზია მუზათა ნევეულება (ლ); მივტირით და მიეცინით (ლ); მრავალჟამიერი (ლ); ელიტა (ლ) 707. ვისი — ვისაშია? კუჭი თავზე დავისვით (ლ); ფიროსმანი (ლ); თანამედროვე სასნრაფო ნახმარება; ბიჭიკო თეზელიშვილი: ქვათა ღაღადი 709. შემოქმედებითი პიკების ასაკი 710. რამდენი ჯარისკაცი — იმდენი კარისკაცი! (ლ); შევარცხვინე ის სადღეგრძელო, რომელიც ...711. პაოლო: მე მომკალი, მაგრამ მაიკოვსკის ხელს ნუ ახლებ! სიცილი — ნამალი! 712. ჯემალ ცერცვაძე; ბაბუას ნვერ-ბაბუანვერას (ლ); ჟირინოვსკი და „ბედი ქართლისა" 713. რომი, ბატები, სახედრები და მეორე მსოფლიო ომი (ქართულ-სომხური დესანტით) 714. ქართული ენის ნესრიგი! 715. ვიყიდებით თხასავით; „ანი სიკვდილი... ფეხს ვერ მოგვჭამს" 716. მღვდელი თევდორე; იოანე ზოსიმე: „ამითა ენითა"... 717. თურანული ვეფხვი... თბილისში 718. მზე და სიცხე რაღა დასამალია! 719. თავდადებულები და თავგასულები! გასაუბრება ვაჟას აჩრდილთან (ლ) 720. დაბრიყვებული ალმა-მატერი (ლ); ახალი ანდაზები სახალხო ფიანდაზებად! ილია: აბა, სად არის საქართველო და ქართველი! 721. მოვა მესია (ლ); მე თბილისში დავეძებ თბილისს! (ლ). 754. პაემანი ვერაზე

## მარგინალიები

5. გაიაფებული გვარ-სახელები და გაძვირებული ცხოვრება 9. სად ჰილარი კლინტონი და სად... ჩულურეთი? 50-იანელთა ახალი ზნეობა თუ უზნეობა? 11. ჩვენი ასტროლოგიური ჭირვეული მეზობლობა; როცა „უდანაშაულობა... დანაშაულია!" 13. რა ქნას ან პეპელამ ან ჩვენ? 15. ერთი ადამი და რამდენი ევა?; „ევროპეიზაცია" 21. დიდი კაცების დიდი ახირებები 23. კისერი გვიტეხია და „კიჩხიც" ზედ მიგვიყოლებია 33. საით მივექანებით? 39. მოკვდავი და უკვდავი სტალინი 41. ძაღლური ცხოვრება... ამერიკულად! 43. 43. მადამ ტიუსოს პანოპტიკუმი 45. „300-თა კომიტეტი" და ახალი „ნესრიგი" 53. ერთი „უ"-ს დაძახება! 55. უთაო და თავზეხელაღებული; აფხაზური „მანია გრანდიოზა" 61. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ახალი ავტორი; ნიგნების უნიგნური ავტორი 63. ზოგჯერ ღალატიც პატრიოტიზმია?! 65. ერის ძველ ფუძეზე განახლება 67. ახლებური „შატალო" 69. სამაჯურიანი ჯარისკაციდან „ნაკოლკიან საპატარძლომდე" 73. მ. სააკაშვილი: ვისთვის და რისთვის იბრძოლა საქართველომ მეორე მსოფლიო ომში? 75. ბავარიული... ლუდია კარგი და არა... იდეოლოგია! 77. თავისუფლება და უფლების თავი 79. ძმები მაჩაიძეებისა და სტალინური ლოგიკა 81. „თავისუფლება" — თავი ასოს (თ) გამოკლებით; გალაქტიონის კი არა, ქალაქის მერი; თბილისელის საც-

ნობი; გერონტი გასვიანი: მეზობელი კარისაო. 89. ძვირფასი ქალბატონი — რუსლანა 91. თურქი მესხები 93. აქაური და იქაური ძაღლური ცხოვრება; ფატალური ინფორმაცია 95. სად არიან, ვისაც წყევლამ უნია? სოლომონ ბრძენის „ბეჭედური სიტყვა" 97. „სიხარულის ქვეყანა" (ანუ „ყვავილების ქვეყანა" ანუ „სახლი სიხარულისა") ბავშვის ტიტინის განმარტებითი ლექსიკონი 99. პროფესორი სოსო სიგუა: გენიალური... უბედურებები; სულის არქაიკა 113. ვახტანგ ხარჩილავა: ვინ წერს ლექსებს? 121. „კალეიდოსკოპი" ფსიქოტრონულ იარაღსა და ტვინების გამორეცხვაზე 125. მეორე მსოფლიო ომი მოუგიათ... გვამებს, მაგრამ ცოცხლებსაც ნუ დავუკარგავთ გამარჯვებას. 127. ივანე ჯავახიშვილის კიდევ ერთი მკვლელობა! 131. რეიგანი: დემოკრატია საშინელებაა, მაგრამ უკეთესიც არ ვიცი! მიცვალებული ჩვენებას იძლევა; გიგლა ფირცხალავას სიცოცხლით სავსე... სიკვდილი 133. თამარ ქალო — ქვეყნის თვალო! 149. რა — რას უხდება? ქარიშხლიანი პოეტის მიშ შელის შეგონებანი. 153. საქართველოს პრეზიდენტის რევოლუციური შემართება 155. ჰოლივუდის უბერებელი ლეგენდა ლიზ ტეილორი 159. სიკვდილშიაც გენაცვალე (ანუ ერთგულების ფასი); კოსმოსში გასაფრენი ბილეთები გაიაფდა 161. სინამდვილე ფანტაზიას უსწრებს; ახალი დანაშაული და სასჯელი! 165. ღმერთის ნამება.. შევისებურად! 171. მეზობელო კარისაო... ისევ „ანძრევ გალისაო" 173. ამერიკის პრეზიდენტი და საქართველოს პრეზენტაცია! 175. შიშველი რეალობა ანუ ნუდიზმი 179. ამაზე მაღლა და ამაზე მაღლიდან... ვერც ახტები, ვერც ჩამოხტები! 181. ზვიადაურები — ძმები და მეტოქეები; რაიხსტაგის დროშა და... ლავრენტი ბერია! 185. პირველ და ბოლო ადგილზე! 187. წიგნებს მინაზე აღარ კითხულობენ და კოსმოსში გზავნიან; ტომას კარლაილი და ულტრათანამედროვე „ლაილა" 193. ჭკუა ჭკუის საკითხავ კაცს ეკითხება (თამაზ კვაჭანტირაძის „სიბრძნე სიცრუისა") 207. ამერიკა — სამოთხე თუ „ბარდაგი"? 207. აფრაკი „აფრიკელი" 209. არაფერს არ ვხედავ, არაფერი არ მესმის! 211. ახალი დროის სიურპრიზები. ვახტანგ გოგუაძე: მართალი თუ გინდათ! 215, პარლამენტარმა გონგაძემ გონგს შემოკრა! 217. დისპროპორციები და „დისპროპორციები!" 219. ჯაბა და ჯაბანები; კიდევაც დაიზრდებიან! 221. ნამების ახალი ფორმები 223. ხელფეხშეკრულობის თავისუფლების უფლება 225. ქალის ენაზე უფრო გრძელი კაბა; ერიდეთ ხელმწიფის ნავში ჯდომას! 229. არწრუნის წრუწუნი და აკაკური პასუხი 229. ქართული სიტყვის განფენილობა 233. თავისუფლების ინსტიტუტს რომ ჰკითხო! 235. „მე მოვკლავ დედას, მე მოვკლავ მამას, რევოლუცია თუ მეტყვის ამას" (ამის ახალი ვარიანტები!); რატომ ყიდის აქ თავის ბიზნესს ყველაზე ქველმოქმედი ბიზნესმენი? 237. საზოგადოება „სხივის" თავმჯდომარის, დავით მგელაძის ისტორიული ექსკურსი 241. თამაზ გოგლიძე: გამოცდილება? 243. ნიკო ლეკიშვილი: საგანგაშო არაფერია? 245. ლევან ლეინჯილია: რა უნდათ ჩვენს „გადამკეთებლებს?" 247. ვლადიმერ ილიჩი და მაკედონელი 249. ვახტანგ ხარჩილავა: პოეტებზე და პოეზიაზე. 257. ზვიად გამსახურდია: „ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისათვის..." 259. მინა გვჭამს და მინას ვჭამთ 261. რამდენი შარიკოვი და შვონდერი გვყავს! ვასილ ვედენეევი: სტალინის გამოყვანა მავზოლეუმიდან და პარტიული ჭირი... „ლხინით" (два по 100 запавочный – 200) 265. ქარნაღებული და წყალნაღებული სტრიქონები ალენ დალესის სატანისტური პროგრამიდან 271. თბილისელი ცვასმანები და ვან კლიბერნები; ოთარ ლაზიშვილიდან ოთარაანთ ქვრივამდე 279. მაიმუნიდან — ადამიანამდე და ადამიანიდან მაიმუნობამდე; პოლიტიკური ჯვარცმის ინდუსტრია 283. ილია ბარამიძე: „სალამი, გმადლობთ, მშვიდობით!" თამაზ მამალაძე: დედა თუ დედინაცვალი? მამები და შვილები! 289. სძლიე სიხარბესა შენსა! 293. ქვათა ღაღადი 303. სხვა სხვის ომში! 307. პური და სანახაობა (საქართველოს ისტორიას სეირივით ვუყურებთ!" 311. ქართველს ქართველიც ეყოფა მტრად (შაჰ-აბასი); კრემლის ტელეფონი... პუტანკის ნიგნაკში?! 317.

საფო — უპირველესი პოეტი ქალი 321. სუფროლოგია და სასუფრო მჭ-
ევრმეტყველება; კავკასიონის წყლები კუვეიტის ნავთობზე ძვირფასია!
323. აპოკალიფსური „მხეცის რიცხვი" 666 კი არა — 616-ია! თხა თხაზე
ნაკლები! 325. სიკვდილსაც დავეწყებივართ! 327. სად არიან დედანთან
სწორი ასლები? 326. „შონი ჯვარს იწერსო!... რაო-რაო?" შეუჩვეველი
ლხინი! 331. მე-20 საუკუნის მიღება-ჩაბარების აქტი! 333. პრესის სარკე-
ში 337. შემოქმედება — ფსიქოთერაპია და მსხვერპლად შეწირვა 341. ჭი-
ჭაღუა და პოლ რობსონი 343. გრაფი ვორონცოვი და ვან ბაიბურთი 345.
ბექა-ალიბულას სამართალი და სისხლის ფასი; „ერთხელ ხმამაღლა რომ
ვთქვათ მარაბდა!" 349. ლევან გოთუა: „არ ვიცი, ასე რატომ მიყვარს
სამშობლო" 359. ქეთევან დედოფალი 361. დაჩოქილი ქართველი! 363.
კიდსი 365. ნოდარ ნათაძე; გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი ლაკია
369. აკადემიკოსი ციკოლია: „შევი" პროვინციულ ფაშიზმზე 371. თვით-
მარქვია მოხალისე გომიკები 377. ასტროლოგიური პროგნოზი 379. ფარს-
მან პირველის საბრძოლო სიტყვა; ოთარ ჭილაძე: მწერალი სიზიფეს ლო-
დის მტვირთველია; ჯარისკაცული სიტყვა 387. ხუან კობო: როგორ
აფასებდა თეოდორ დოსტოევსკი დონ კიხოტს (გენიალური ნაწარმოებ-
ის ზეპირად კითხვისა და ხელით გადაწერის ხალხური ტრადიცია) 393.
იყიდება... ვიყიდებით! 397. ცოცხალი და მკვდარი (მიცვალებული აკაკის
გაცნობის მსურველი ფუნქციონერი) 399. მსახიობი კურდღელი და ჩირ-
გვები 401. უჩინმაჩინი პატარძალი 403. ყველაზე ნერვიული — ჟურნალ-
ისტის პროფესია! 405. გამგელებული კაცი და გაკაცებული მგელი 407.
ესენინი — ნამგალი და ურო! 409. ნებაგვი... ბოზობაზე უარი განვაცხა-
დოთ! 413. სიძე, შე ძველო! 415. მოაშორეთ სიცილს რევოლუციური (სი-
წითლის) ფერი! 417. პირველი აპრილი 421. „სუუუ... სიკვდილმა არ გაგვი-
გოს!" ტილიანი მეფე; ობოლას სიცილის... ცრემლი; სიყვარული ყურე-
ბით და თვალებით 425. ლუმპენ თუ ნუმპენპროლეტარიატი? სიმბა! 427.
ილია: „ჩემზე ამბობენ..." 429. კანიბალები; შატილიონის ამბავი 431.
ბეზირგანი: „კობა და სამყაყეთი". პაოლო 433. „ცარიელ-ტარიელი".
ქართული „სინჯარის ბავშვი". ზენარმავლები და ქვენარმავლები 435.
დანიელ დეფო; მთავრობა ხალხს უსმენს და არა მარტო გულისყურით!
437. ახალი კოლხი მედეა! 443. თამაზ ჭილაძე: ადამიანის საკუთარი დრო;
ვისი სული გსურს? 445. პარიზის კომუნის დროს ბავშვები თამაშით კვდე-
ბოდნენ; სიკვდილისთვის არ სცალიათ; კლიმოვი: „წითელ ბრძენთა ოქმე-
ბი"; გენიალური შეშლილები 563. მარქსიზმი და რევოლუცია რუსეთის 50
მილიონი კაცის სიცოცხლის ფასად 465. პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა,
დაიშალეთ! 467. დარდუბალა; კომედიის ძალა 469. იეთიმ გურჯი; კრის-
ტიან ბერნარდი და გული! 471. კარიკატურისტი ამბოკაძე 473. რკინის
მკვნეტელი მიშელ ლოტიტო და ეიფელის კოშკი; როტშილდი და 50 პენსი
475. კუს შეჭამანდი; ძველი თბილისი 487. გრამატიკისთვის რომ არ დაგვე-
ჯერებინა. 487. წესის აგების წესი 491. სული 493. ჯოჯოხეთი 495. საიქიო
497. შენმა სიკეთემ მიგაცილოს სასაფლაომდე. 499. ვინ დათვალოს ზღ-
ვაში ქვიშა და თვალის ხამხამი? მასაჩუსეტსის კუბოები — ცოცხლები
არანაკლებ გამოადგებათ! 499. დიოგენე მინაზე ეძებდა ადამიანს, ვახ-
ტანგ გოგუაძე — ცაში! სააკაშვილი — „რეფორმატორი მგელი"; ევგენი
ჯუღაშვილი; სტრასბურგი ნიურნბერგად მოგვეჩვენება 503. ნაპოლეო-
ნი: ხიშტები კარგია ხელისუფლების მოსაპოვებლად და არა ზედ დასაჯ-
დომად! ელტონ ჯონი — „ცისფერი" ბედნიერება. 505. ედუარდ შევარდ-
ნაძე: არჩევანიც — მე და არადანიც... მე! ლ. ბერძენიშვილი: საქართვე-
ლოს ისტორია... ჯარით! 507. მიხეილ სააკაშვილი: თუ სიმართლე სიგიჟეა;
ჯაბა იოსელიანი; კახა თარგამაძე 509. რკინის გული; ელენე თევდორაძე:
37 წლის სუნი; შოთა ნადირაშვილი; მურმან ლებანიძე: ვარ კამათელი,
მთიდან ნასროლი და უსათუოდ შაშზე დავჯდები! 513. ქაფიანიძე:
დემოკრატიაა ეს? სადაა სანდრო მამასახლისი? 517. დათო მაღრაძე:
საქართველო ავადაა; მამა როსტომი და ქუჩის ბიჭები! 519. სუპერსენ-

სორ სუსანა; მონაპოვარი — მონა — პოვარი! 521. ქართლოსი: მე — ვირის თავ-ფეხი? ანზორ ბალ-მასკარადუაშვილი; კოკო გამსახურდიას დედა, დალი ლოლუა: კეთილი სიტყვა ქ-ნ ეიკა სირაძეზე! 525. ვახტანგ ბოჭორიშვილი: „საქართველო უკვე დაღუპულია" ირაკლი თოდუა: ბავშვები... 76 წლამდე თანამდებობებზე არ დაიშვებიან! 527. ჯანსუღ კახიძე; შალვა ნათელაშვილის ანტიკატასტროფული დოქტრინა. 531. ელიზბარ ჯაველიძე: ვის რა უჭერს — ვის რა უჭირს? ამირან შალიკაშვილი (პანტომიმის მამა) 533. ნარო კოლხელი: ჯუმბერ, ნადი მეორე ნრეზე. აქ ისევ ის მთავრობაა! 535. ლევან გაჩეჩილაძე: ვის მეტი ფული აქვს — ბიზნესმენს თუ პოლიტიკოსებს? ლაშა თაბუკაშვილი: პატიოსნება... ნამგებიანი ხელობაა! თენგიზ არჩვაძე: სასიკეთოს სიზმარშიც ვერ ვხედავ 537. გიზო ნიშნიანიძე: მერნყული ვარ! 539. კახა შარტავა: ნერილი მამებს! 541. ეკა ნანი ბრაგვაძის ასული მამალაძე; 543. გიგი ნერეთელი — ყველაზე ზრდილობიანი პარლამენტარი; რეზო შატაკიშვილი: არჩევანი — მე!... არადანი — ვის? 547. მტრის... ანუ ვის ჯინაზე? მინა ჩამოგვართვეს — ნყალი შეისხით უკან! 551. კაც-ზვიგენები 555. თამაზ ჩხენკელი: „გაეუფრთხილდეთ საქართველოს! კომპლიმენტი... სასტიკად აკრძალულია! ელგუჯა ამაშუკელი 557. ამირან ბუაძე და ნითელი ნიგნი; აკა მორჩილაძე: სნრაფვა — ევროპისკენ და ქაჩვა — აზიისკენ! ლია სტურუა: ადამიანი ადამიანის თვალში; რა ღირს ადამიანი? ორი მზის ქვეშ გადაბუგულნი! 559. გეი მოძრაობას — ახალი „გაი" სჭირდება. ხმებს იგებს ის — ვინც ითვლის! 561. ტიბეტელ ქალებს კაცები... სარტყელზე ჰკიდიათ; ჰიტლერის შვილი? 563. ცხრა ცა 565. იაკობ ახუაშვილი: გვარ-სახელების ისტორია; პროფესორი ჟორდანია და ატლანტის ოკეანე 571. ავთანდილ მარგიანი: პროკურორი — ტაიგა და კანონი — დათვი! ცისფერები; ჯეობარი; ენციკლოპედიური ცოდნის რეკორდსმენი 579. ამერიკის აღმოჩენა! ..მე ვარ ნათელი..." 581. ლევილის საფლავის ნარნერა; ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან? სექსუალური ციებ-ცხელება! 583. მსოფლიო ღორმუცელები; ექსკლუზიური ინტერვიუ ვირტუალურ პრეზიდენტთან 587. ნემო ბურჭულაძე და „ნემოი" შეეი! 589. ვალერია ნოვოდვორსკაია 591. გურული „ბიზნესი"; სხვისთვის — გიჟი, თავისთვის — ჭკვიანი მეფე და რეაქტიული კლუბი!... თავის ოქსფორდიან-ფსიქიატრიულიანად 593. რეზო ესაძე: რა ხდება? ირაკლი ნერეთელი „ქაჯეთის ციხეზე" 595. ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა; გიგა ლორთქიფანიძე: ისევ იმ გზაზე ვადგავართ? ვახტანგ ბოჭორიშვილი: საველე-პაველეობა! პარლამენტარი ანზორ აბრალავა: სად არის შევარდნაძის დაპირებული ქვეყანა? 597. კოტე ყუბანეიშვილი; ნუნუ იპოლიტეს ასული ხეიჩია: მოვანყოთ იპოლიტეს სახელობის სიცილის კუნძული! (ირბინეს ძუნძულით, სადაა კუნძული?) 601. გივი სიხარულიძე — ბუნების ნათავხედარი კაცი 609. ილია ბარამიძე: რა ღირს... პაპაროტის კია არა, ამომრჩევლის ხმა? ჯანუკი: საქართველო მღერის სირტაკს — არც ერთი აქვს, არც — მეორე 611. ნადი, შენი!...მიხეილ სააკაშვილი... „რკინის კაცი" 615. აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი: „რაო-რაო? — მურმან ლებანიძე! 617. ზურაბ ქაფიანიძე: ესაა დემოკრატია? 625. ქართლოსი და ახალი ვალუტა ბებიათქვენის კურსითა და რაკურსით! 627. დუმილის ბიჭები 631. ირაკლი თოდუა: შევარდნაძის ცელქი ბიჭები; ირაკლი ბათიაშვილი: ჩვენ, დეპუტატები, ხალხის მსახურები კი არა, ხალხის ტვირთი ვართ; ჯანსუღ კახიძე და მისი მუსიკალური სამოთხე 635. თემურ ჭყონია: ისევ კომუნისტები? ელიზბარ ჯაველიძე: ასეთი გამნარებული მოსამართლეებიდა რა სამართალს ელით? 637. ამირან შალიკაშვილი: ვცხოვრობთ, თუ ამასაც ცხოვრება ჰქვია; ლაშა თაბუკაშვილი: სახელმნიფოში კი არა, „დურდომში" ვცხოვრობთ; თენგიზ არჩვაძე: კარგი სიზმარიც კი სანატრელი გახდა 643. კახა შარტავა: თაობების ჩატეხილი ხიდის აღსადგენად! 645. როდის უკრავს როსტროპოვიჩი ყველაზე კარგად. 647. საპარლამენტო არჩევნები გედებიდან — ფარშევანგებამდე, სუბოტექსიდა — საფლავის ქვამდე 649.

ჩვენ ჩვენთვის ვახარებთ (ლ); მინების პრივატ-პრიხვატიზაცია 657. იქაუ-
რი აკრძალვები და აქაური „დაკრძალვები"; ქალბატონი ვაჟბატონები.
661. ჰიტლერის ნაბიჭვარი; ცხრა ცა 663. მასების ზომბირება 665. რამ
გამოგვასოროსირა? მეგობრული თავგანწირვა და „მარადისობის კანო-
ნი" ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა რა არის (ლ); შვილებს გოჭებივით
ვზრდით და... 667. სიჭაბუკის ოქრო და სიბერის ვერცხლი; ჯანუკი: ერთი
ყველასათვის და ყველა — ერთი ნინაალმდეგ! ნოდარ ჯალაღონია: ღმ-
ერთო! რამდენი დადის კაენი! ექსჰიბიციონისტი ედუარდ ლიძინოვი: იდ-
იოტებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! პლეხანოველი მარინა! ჯაბა: „და
მოედო ქვეყანას მკალი! (გამოცხადება IX, 7-9); ავლიპ ზურაბაშვილის
ფსიქიატრია (საჩუქრად შევარდნაძეს) 675. შვარცი: 20 წელინადში პატ-
არა საქართველო კიდევ უფრო ჯუჯა სახელმწიფოებად დანაწევრდება!
ჯანუკი: გასათხოვარი ბიჭები; ჯარჯი ფხოველი: ცოდვა გამხელილი
სჯობს! გუბარევი: მწერლობას ერთი მიზანი აქვს — ხელისუფლებამ
იცოდეს, რომ გამსამართლებელი ჰყავს! ვლადიმერ პუტინი; იგორ შევ-
ერნიოვი: ადამიანებს რომ უდირიჟორო!... კვაჭიჭო: მე ყველაფერზე
ვუკრავ! 681. გურამ მამულია: არა მგონია, სიკვდილის შემდეგ ვინმეს
გავახსენდე; თამაზ ნივნივაძე: მსოფლიოს საჭეთმპყრობელები... იყიდე-
ბა ყველაფერი... უნამუსოდ და ნამუსიანად! გენერალი თენგიზ ეპიტაშ-
ვილი: „ბედისწერის შეცდომები" 685. დავით დვალიშვილი: ვაი, ჩვენს პა-
ტრონს! გოგა პიპინაშვილი: იკარგება თბილისელობა... პოლიტოლოგი
დავით დარჩიაშვილი: ქართული სუფრის ავ-კარგი 687. სექსუალური
რეკორდების წიგნი (პორნოგრაფიის მსოფლიო ისტორია) 695. ზურაბ
მჭედლიშვილი: წყალწაღებულთა გადარჩენისათვის! ჩვენი გრძნობების
სრული სპექტრი; ანა ჩხეიძე: სიონის საკათედრო ტაძრის მარადიული
ბინადარნი 699. ალიკა გიორგაძე — ბოდიში, „სიუ" ხომ არ დაგიძახნი-
ათ? ნოეს კიდობანი არარატის მთაზე; ნაგებული ომის მოგებული სარდა-
ლი! მზის ჩრდილოეთიდან ამოსვლის ვარიანტის განხილვა; კაცს ორი
სახელი უნდა ჰქონდეს: სააქაო და საიქიო! გრანდები. საქართველო 70-ე
ადგილზე! კვაზიმოდოს ნაშიერნი. მფრინავები და პოეტები. 709. ვინ შეა-
სრულებს ქართველი რობესპიერის როლს? 711. ჰიტლერის ნაციონალური
დივიზიები; სადღეგრძელო და დღეგრძელობის ინსტრუქციები 714.
ქართული ენის ღვთიური წესრიგი 715. როს სააკაძის მახვილი დღესაც
სამშობლოს მნედ არი... 717. რომის პაპი... ქალი! შემოქმედი და ასაკი!
719. აფხაზური ტრაგედია 721. რას ერჩოდნენ მამათს? როდის უნდა გიხ-
აროდეს სიცოცხლე და სიკვდილი! მარადიული კითხვები!